დოდო ჭუმბურიძე

აკაკი ჩხენკელი

სახელმწიფო მოღვაწე
დიპლომატი
მამულიშვილი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

ვუძღვნი საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და
თბილისის უნივერსიტეტის დაარსების *100* წლისთავს

რედაქტორი **დიმიტრი შველიძე**

© დ. ჭუმბურიძე, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი", 2018
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge

ISBN 978-9941-26-187-9

წინათქმა

„თუ მიზანი არ არსებობს — არაფერს აკეთებ, და ვერ გააკეთებ ვერაფერს დიდებულს — თუ მიზანი უსუსურია."

დენი დიდრო

„თავისუფლება ციდან ჩამოვარდნილი მანანა არ არის, ის თვითონ უნდა გამოგლიჯო მტერს ხელიდან, ამისათვის უნდა ემზადო, განიმსჭვალო ურყევი ნებით, არ დაერიდო მსხვერპლს... ერთი სიტყვით, უნდა იბრძოლო. ერი, რომელიც თავისუფლებისათვის არ იბრძვის, არცაა ღირსი ამ სახელის ტარების"

აკაკი ჩხენკელი

ასი წლის წინათ, 1918 წელს, ქართველი ხალხის ორი დიდი ოცნება განხორციელდა, ორი დიდებული მოვლენა მოხდა მის ცხოვრებაში: 26 იანვარს თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა, 26 მაისს კი, ქვეყანამ აღიდგინა 117 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობა. ორივე ამ მოვლენის ეპიცენტრში იმყოფებოდა გამოჩენილი მოღვაწე, სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და დიპლომატიური ნიჭით გამორჩეული ადამიანი, გულანთებული მამულიშვილი — აკაკი ჩხენკელი.

წიგნი ამ საამაყო თარიღებს ეძღვნება და ერთხელ კიდევ გვახსენებს სირთულეებსა თუ წარმატებებს, რაც ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ იმ მძიმე წლებში გადაიტანა, გვაშლევინებს ისტორიის იმ ფურცლებს, რომელთაც ქვეყნის დამცველთა სისხლის წვეთები ამჩნევია, გვახვედრებს ერისა და მისი ბედნიერი მომავლისთვის თავდადებულ ადამიანებს, რომელთა უმეტესობას, სამშობლოდან განდევნილებს, მუდამ მასზე მეოცნებეებს, არც აღარასდროს ღირსებიათ მშობლიური ქვეყნის ნახვა და რომელთა საფლავები სადღაც შორს, უცხოეთის მიწაში დარჩა.

წიგნის მთავარი გმირი არის კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას, ჰუმანური და დემოკრატიული იდეების პროპაგანდას, ვინც არ ყოფილა ჩაკეტილი რომელიმე პარტიულ და იდეოლოგიურ ჩარჩოში და ვისთვისაც ღირებულებები იყო ყველაზე მთავარი. მასთან ერთად გავეცნობით იმ ადამიანთა სახელებსა და ნაღვაწსაც, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისათვის, მისი დამოუკიდებლობისა და სიძლიერისათვის. მათი მიზანი კეთილშობილი იყო, საქმეები კი — დიდებული.

აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური პორტრეტისათვის

ჩემს თაობას კარგი წარმოდგენა არ ჰქონია სოციალ-დემოკრატიაზე, ბოლშევიკებისას თავად ვგრძნობდით, ან ეროვნული მოძრაობის ლიდერებისაგან, ან ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებით ვეცნობოდით, ან თავად ცხოვრებისაგან შევიცნობდით (თუმცა სხვას გვასწავლიდნენ), მენშევიკებისას კი, ან არაფერს გვეუბნებოდნენ, ან ძალიან ცუდს. დღემდე გრძელდება ამ უკანასკნელთა დისკრედიტაცია, მათთვის გადაბრალება დამოუკიდებლობის დაკარგვის თუ ყველა იმ უბედურებისა, რაც შემდეგ, საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმში გადაიტანა ქართველმა ხალხმა. არადა, ეს ასე არ არის.

ზოგადად, ქართულ პარტიათა მსგავსად, არც სოციალ-დემოკრატია იყო ერთგვარი, მისი წევრები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან თავიანთი აზროვნებით, ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულებით, მათი ნაწილის ცხოვრება და მოღვაწეობა არაფრით ჩამოუვარდება სხვა გამოჩენილ მამულიშვილთა სულისკვეთებასა და ეროვნულ თავდადებას. ამის ნიმუშად აკაკი ჩხენკელის ცხოვრება და მოღვაწეობაც გამოდგება.

გრიგოლ წერეთელი[1] 1971 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში – „ქართული ემიგრაცია და ადამიანები" — შემდეგნაირად ახასიათებს აკაკი ჩხენკელის პიროვნებას: „ადამიანი არაჩვეულებრივი ზრდილობის და სიდარბაისლის. ჩვენ პარტიაში ითვლებოდა დისციპლინის კაცად, იდეოლოგიურად იცავდა ყველა ქართველების ერთობას, ყოველ პირობებში. თუ სოციალიზმის ეკონომიურ პროგრამას იზიარებდა ურეზერვოდ, სამაგიეროდ, ეროვნულ საკითხში მას ჰქონდა სულ სხვა მიდგომა, რომელსაც ნიჭიერათ იცავდა. საფრანგეთში იყო ჩვენი რესპუბლიკის პირველი ელჩი და დიდი ღირსებით ასრულებდა მოვალეობას. ჰქონდა დიდი ცოდნა და კულტურა. როგორც ორატორი არავის არ ჰგავდა. მისი კრებაზე გამოსვლა ყოველთვის დამაჯერებელი იყო. თუმცა მისი ლაპარაკი მუსაიფის ტონს ატარებდა; ეხერხებოდა და წერდა ნიჭიერად."

ეს ადამიანი — აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი, იქცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ სახედ, დიპლომატად და არქიტექტორად, სიკვდილამდე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ერთგულად.

[1] გრიგოლ წერეთელი — გრიგოლ (გრიშა) წერეთელი, სოციალისტ-ფედერალისტი, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა პარიზში, დაკრძალულია ლევილში. მისი ქალშვილი — ელენე წერეთელი-ბენარი დაჯილდოვებულია საპატიო ლეგიონერის ორდენით.

როდესაც 1991 წლის 9 აპრილს, ზვიად გამსახურდიამ[1] საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხდა, ამ ისტორიულ გადწყვეტილებას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი დაუდო საფუძვლად. ჩვენი ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, XX საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ ლიდერს ეს შემთხვევით არ გაუკეთებია.

1918-1921 წლები საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ორიათას წელზე მეტი სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილება აქვს, დღევანდელი, ახალი ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტი იმ წლებში ჩაიყარა, როდესაც აღსდგა 117 წლის დაკარგული სახელმწიფოებრიობა და ჩამოყალიბდა თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები, გატარდა რეფორმები, ერი გაერთიანდა დამოუკიდებლობის იდეის გარშემო, საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ აიღო ევროპული პოლიტიკური ორიენტაცია და დაიწყო ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანებისთვის ბრძოლა. სოციალ-დემოკრატების მმართველმა პარტიამ, რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, თავი ქართულ პარტიად გამოაცხადა, უარი თქვა რუსულ ორიენტაციაზე და მთელი არსებობის მანძილზე ევროპული პოლიტიკური ორიენტაციის ერთგული დარჩა. ორი ძირითადი ფასეულობა: დამოუკიდებლობის იდეა და ევროპული ორიენტაცია იყო ის, რაც ამდროინდელ ქართველ პოლიტიკოსებს აკავშირებთ დღევანდელი ქართული პოლიტიკის მთავარ მიზნებთან და მათ მოღვაწეობას სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილებად აქცევს. ისინი, ხელისუფლებაში მოსვლიდან, სიცოცხლის ბოლომდე ამ იდეების ერთგულნი დარჩნენ, ხელიდან არ გაუშვიათ არცერთი ხელსაყრელი მომენტი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდისათვის, მისი პოპულარიზაციისათვის ევროპის ქვეყნებში. ისინი, მართალია, სოციალისტები იყვნენ, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მათი განცხადებები და პოლიტიკური ლოზუნგებიც უფრო ინტერნაციონალურ-კოსმოპოლიტური იყო, ვიდრე ეროვნული, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მათი სოციალიზმი არ ყოფილა ბოლშევიკების მსგავსად აგრესიული, სისხლისა და სიკვდილის მქადაგებელი, ეს ევროპული ტიპის სოციალიზმი იყო და სახელმწიფო მართვაში ნაკლები გამოცდილებისა და მცირე დროის მიუხედავად, მათ წარმატებით განახორციელეს მისი ბევრი იდეა, რითაც საქართველოში სტუმრად ჩამოსული ევროპელი სოციალისტებიც აღაფრთოვანეს.

ორ წელიწადსა და რვა თვეში, გამოუცდელი მთავრობის მიერ, მუდმივი საბრძოლო ვითარების, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეურიგებელი მტრების გარემოცვის პირობებში გატარებული ბევრი რეფორმა, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ბევრი დეტალი, რა თქმა უნდა,

[1] ზვიად გამსახურდია — (1939 წლის 31 III, - 1993 წლის 31 XII), ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, პოეტი, მეცნიერი., საქართველოს ეროვნული გმირი, განისვენებს მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

წარმატებებთან ერთად, ხარვეზებსაც მოიცავდა. იყო შეცდომებიც, არასაკმარისი დემოკრატიაც, რაც პოსტკოლონიური ქვეყნისა და რუსეთის იმპერიაში დაბადებული და ნაცხოვრები თაობებისათვის ადვილად დასაძლევი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო შესდგა, ქვეყანა სწორი გზით, წარმატებული ეკონომიკური და სოციალური, კულტურული და სამხედრო პოლიტიკით წინ მიიწევდა. ამდროინდელი საზოგადოება სწორად ხედავდა მომავლის პერსპექტივას, წინ იყურებოდა და უკეთესი მომავლისკენ მიდიოდა, მაგრამ მისი ისტორიული მსვლელობა რუსული საბჭოთა იმპერიის ძალადობამ შეაჩერა.

არც დამოუკიდებლობის დროს, არც მანამდე თუპპ შემდგომ, რუსეთსა თუ საზღვარგარეთ დევნილ რუსულ ემიგრაციაში, არცერთი ძალა, პარტია, არც ლიბერალურ-დემოკრატიული, არც იმპერიულ-მონარქისტული, არც კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, მცირე გამონაკლისს გარდა, არ ეთანხმებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ისინი საქართველოს და მთელ კავკასიას რუსეთის ნაწილად მიიჩნევდნენ.

რუსულ აგრესიასა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საშუალებებზე, მის სამრეწველო-ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ ასპექტებზე, პოლიტიკურ მეთოდებზე ძალიან ბევრს ფიქრობდნენ და წერდნენ დამოუკიდებელი საქართველოს — პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პატრიოტი მოღვაწენი, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი აკაკი ჩხენკელს ეჭირა.

ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა პირველი მინისტრი, საქართველოს ელჩი საფრანგეთსა და ევროპაშიში, ემიგრანტი მოღვაწე და დიდი პატრიოტი — აკაკი ჩხენკელი თავისი დროისათვის გამორჩეული პიროვნება იყო. მიუხედავად სოციალ-დემოკრატობისა, ის არასდროს შემოზღუდულა პარტიული ინტერესებით და ეროვნულ იდეალებს ყველაზე მაღლა აყენებდა. მისი დიპლომატიური ნიჭი და სწორი სახელმწიფოებრივი ხედვები კარგად გამოვლინდა ბრესტის ზავის შემდეგ გართულებულ ვითარებაში საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისა და ოსმალეთის იმპერიულ ამბიციებთან შეჯახების დროს. მან ყოველნაირად სცადა ამ ამბიციების შეკავება, გერმანელი მოკავშირეების საშუალებით სწორი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა და კიდევაც დაიმსახურა დიდი დიპლომატიური გამოცდილების მქონე ევროპელების თანადგომა, რასაც ერთხმად აღნიშნავდნენ ჯერ კიდევ ბათუმის საზავო კონფერენციის მსვლელობისას მაშინდელი წამყვანი პოლიტიკოსები. ამ შეფასებას კიდევ უფრო დიდი მასშტაბი მისცა საზღვარგარეთ ჩხენკელის დიპლომატიურმა მოღვაწეობამ. მას სიკვდილამდე არ შეუწყვეტია სამშობლოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლა.

აკაკი ჩხენკელი, მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით გვა-

ძლევს საშუალებას — შევაფასოთ როგორც დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მამულიშვილი, დიპლომატი და ჰუმანისტი.

მისი ბიოგრაფიული მონაცემები და ემიგრაციაში მასზე დაწერილი თანამემამულეების წერილები პირველად ქართველ მკითხველს გურამ შარაძემ გააცნო[1].

ვინც საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვან პერიოდს (1917-1921) იკვლევდა, თითქმის ვერავინ ასცდა აკაკი ჩხენკელის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან შეხებას. ესენია: უშანგი სიდამონიძე, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, შოთა ვადაჭკორია, ავთანდილ სონღულაშვილი, ავთანდილ მენთეშაშვილი, მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული, როლანდ კალანდაძე, რევაზ გრძელიძე, ალექსანდრე მუჯირი, ოთარ ჯანელიძე, გელა საითიძე, დიმიტრი შველიძე, ნუგზარ ზოსიძე, მალხაზ სიორიძე, მამია დღვილავა, ოთარ გოგოლიშვილი, ნინო ვაშაყმაძე, აპოლონ სილაგაძე, ლელა სარალიძე, ხათუნა ქოქრაშვილი, შორენა მურუსიძე და სხვ.

ზაირა გერგედავა-ჭელიძემ გამოსცა მისი რამდენიმე თხზულება, კერძოდ — „ერი თუ კაცობრიობა? (ბ. Baton-ის წიგნის გამო)", „ერი და ჩვენ", ასევე, დაწერა მის შესახებ ნარკვევი, რომელიც მოიცავს ჩხენკელის მოღვაწეობის დეტალებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. მასში შესულია საქართველოს სხვადასხვა არქივებში დაცული საარქივო დოკუმენტების, პრესაში გამოქვეყნებული სიტყვებისა და სტატიების მცირე ნაწილი, რასაც ჩხენკელის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის შესასწავლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. შეგროვილი დოკუმენტური და პუბლიცისტური წყაროების გამოყენებით ავტორმა გამოაქვეყნა გამოკვლევა — „აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ევოლუცია (1898-1917)"[2].

როგორც ამ სათაურიდან ჩანს, ნაშრომი სრულად არ ასახავს აკაკი ჩხენკელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობას. რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი კი, კერძოდ, სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმული სიტყვები ავტორს მოაქვს რუსულად. უკეთესი იქნებოდა მათი ქართულად თარგმნა.

სათათბიროში ჩხენკელის მიერ რუსულად წარმოთქმული სიტყვების ნაწილი თარგმნა და გამოაქვეყნა ისტორიკოსმა გელა საითიძემ თავის მონოგრაფიაში — „ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო"[3]. ჩვენც შევეცადეთ გვეთარგმნა რამდენიმე სიტყვა და, მიუხედავად მათი სიდიდისა, ისინი სრულად შევიტანეთ წიგნში. მიზანი იყო, გვეჩვენებინა, ჩხენკელის ეროვნული სულისკვეთება, იმპერიის დროს სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოთქმულ მის სიტყვებში დაუფარავად რომ ჩანდა.

სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი ამ პარტიის ისტორიასთან

---

[1] გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი", 1991 წელი, გვ. 67-83;

[2] ზაირა გერგედავა-ჭელიძე, „აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ევოლუცია (1898-1917),თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002 წელი, გვ. 1-87;

[3] გელა საითიძე — ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო, თბილისი, 2005.

მჭიდროდ არის დაკავშირებული. ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორია სიღრმისეულად შეისწავლა მკვლევარმა შოთა ვადაჭორიამ. მან ამ თემას რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა.[1]

ევროპული, რუსული და ქართული სოციალიზმის ისტორია შეისწავლა ახალგაზრდა, სამწუხაროდ, ნაადრევად გარდაცვლილმა მკვლევარმა, ნინო ვაშაყმაძემ. მის ნაშრომში კარგადაა ნაჩვენები ქართველ სოციალ-დემოკრატთა იდეური გრადაცია[2].

აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პერიოდია 1918-1921 წლები, ასევე, საკმაოდ ხანგრძლივი ემიგრაციის პერიოდი.ყველაფერი ეს თვალნათლივ იკვეთება იმ მდიდარ საარქივო მასალებში, რომელიც დაცულია ჩხენკელის პირად ფონდში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ინსტიტუტების — სამხედრო, შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროების, დამფუძნებელი კრებისა და სხვა არქივებში, ასევე, ამდროინდელ მოღვაწეთა პირად ფონდებში, ბოლო წლებში გამოქვეყნებულ საისტორიოგრაფიო ნაშრომებში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცდებით აღნიშნული ხარვეზების შევსებას, თუმცა, ამ ნაშრომს მაინც არ ექნება აკაკი ჩხენკელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულად ასახვის პრეტენზია. ეს, ალბათ, გაცილებით ვრცელ მონოგრაფიას მოითხოვს, ვიდრე ჩვენი ნაშრომია. კარგი იქნება მის ფონდში დაცული ასეულობით დოკუმენტის სრულად გამოქვეყნებაც. მართალია, ჩვენ ბევრ მის პირად წერილს ვაქვეყნებთ, მაგრამ ეს ყველაფერი არაა.

შევეცდებით, ჩვენ მიერ გაცნობილი წყაროების მიხედვით, წიგნის ფორმატიდან გამომინარე, იმ საერთო სულისკვეთების წარმოჩენას, რაც ამ გულანთებული ქართველი კაცის, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებასა და საქართველოს ინტერესებისათვის მის ხანგრძლივ ბრძოლას ეხება.

აკაკი ჩხენკელის მოკლე ბიოგრაფია

აკაკი ჩხენკელის არქივში დაცულია მისი ხელით შედგენილი ავტობიოგრაფიული ტექსტი, სადაც წერია, რომ ის 1874 წლის 19 მაისს, სოფელ ოქუმში (სამურზაყანოში), მრავალშვილიან მღვდლის ოჯახში დაიბადა. დანარჩენ დოკუმენტებში ყველგან წერია, რომ აკაკი ჩხენკელი 1874 წელს, ხონში დაიბადა. მის მშობლებს ცხრა შვილი ჰყავდათ. მამამისი — ივანე პეტრე ძე ჩხენკელი მღვდელი იყო, ხონიდან, უაღრესად კულტურული და განათლებული

[1] შოთა ვადაჭკორია, „პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა“, თბილისი, 1998; „ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923)“, თბილისი, 1998; „ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიიდან, 1917-1918“, თბილისი, 1999; „საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე)“, I, II ნაწილი, თბილისი, 2006.

[2] ნინო ვაშაყმაძე, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2014.

პიროვნება. დედა — ირინე გიორგაძე, საოცრად სათნო და კეთილშობილი ადამიანი, სასულიერო პირის შვილი იყო. მამამისი, — ასევე მღვდელი, ბესარიონ გიორგაძე ქუთაისის ერთ-ერთ ეკლესიაში მსახურობდა.

სასულიერო მოღვაწეობას ივანე ჩხენკელი აფხაზეთში, სამურზაყანოში ეწეოდა და ოჯახთან ერთად იქ ცხოვრობდა. ეს წლები, აფხაზ და მეგრელ თანატოლებთან ურთიერთობა, აკაკი ჩხენკელს მთელი ცხოვრება ემოციურ მოგონებად დარჩა, კარგად იცოდა მეგრული, ესმოდა აფხაზური და როდესაც ოსმალეთში მცხოვრებ ლაზებზე იყო საერთაშორისო დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკი, ის ადვილად ამტკიცებდა ლაზების ქართულენოვან სამყაროსთან ნათესაობას. ამაში უცხოელ კოლეგებს ლაზური ენის ცოდნით არწმუნებდა, რადგან ეს ენა ძალზედ ახლოს დგას მეგრულთან.

ივანე ჩხენკელის ყველა შვილმა კარგი განათლება მიიღო. მათ შორის აკაკი და კიტა ჩხენკელები (1895-1963, დაკრძალულია შვეიცარიაში, ციურიხში) ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო და კულტურულ წრეებშიც კარგად იყვნენ ცნობილნი. ასევე იმსახურებდნენ ქართველი ხალხის სიყვარულს მისი უფროსი ვაჟი — პროფესიით ექიმი ივანე ივანეს ძე ჩხენკელი, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე, სათავეში ედგა ხონის დრამატულ საზოგადოებას 1909-1915 წლებში, აქტიურად მონაწილეობდა ხონის თეატრის რეპერტუარის შერჩევაში, ქუთაისიდან და თბილისიდან პროფესიონალი რეჟისორების — ქორელის[1], გვარამაძის[2], შალიკაშვილის[3] მოწვევასა და მათთან თანამშრომლობაში (მასზე საკმაო მასალებია დაცული 1909-1917 წლების ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში"; დაკრძალულია პარიზში). ასევე ცნობილები იყვნენ: მიხეილი, ბეითალი - ლუკა, უმცროსი ვაჟი პეტრე (კიტა), ქალიშვილები: ნეონილა, ანა და მარიამი, რომელთაც ტრადიციული ქართული ოჯახები შექმნეს.[4]

ხონის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აკაკი თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი გახდა, საიდანაც 1893 წელს გარიცხეს სემინარიაში გამეფებული ანტიქართული რეჟიმის წინააღმდეგ გაფიცვაში მონაწილეობის გამო. საკუთარი ხელით დაწერილ ბიოგრაფიაში ის წერს: „1893 წელს სემინარიაში არეულობა მოხდა, მოტივი ეროვნულ-პედაგოგიური; არეულობას ხელმძღვანელობდა გარედან საიდუმლო სოციალისტური ჯგუფი, რომელშიც ა. ჩ. მონაწილეობდა".

იმავე 1893 წლიდან დაიწყო პოლიტიკური მოღვაწეობა. მალე სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1896-1901 წლებში ჩხენკელი რუსეთშია, კიევში, მოსკოვსა და პეტერბურგში, სწავლობს იურიდიულ მეცნიერებას. თუმცა აქაც, იმ დროს ასე გავრცელებულ ახალგაზრდულ რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმისათვის

[1] ქორელი, — ქორელი (ქორიძე) მიხეილ ფილიმონის ძე (1876— მილანი, 1949, თბილისი), რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაკრძალულია დიდუბის მწ. და საზ. მოღვაწეთა პანთეონში.

[2] გვარამაძე — ნიკოლოზ გვარამაძე (1892-1959), მეცნიერი, მოყვარული თატრალი.

[3] შალიკაშვილი — ვალერიან შალიკაშვილი (1874-1919), რეჟისორი, დრამატურგი.

[4] ვ. ჩუბინიძე, „ერის ცხოერების კვალის დამჩნევი აკაკი ჩხენკელი", ჟ. „გუშაგი", პარიზი, 1984 წელი, 1, 2. გვ. 55-59;

გარკვეული დაბრკოლებები შეექმნა და სწავლა გაუწყდა.

1902-1904 წლებში აკაკი ჩხენკელი აფხაზეთში ადვოკატად (ვექილად) მუშაობდა, ებრძოდა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას, წერდა სტატიებს ქართულ და რუსულ პრესაში, მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თედო სახოკიასა და ათიმოზ ჯუღელთან ერთად მოთავეობდა „აფხაზეთის ქართულ პარტიას". მალე ცოლად შეირთო მაკრინე სიმონის ასული თურქია (1881-1967), რომელმაც ცხოვრების ბოლომდე ნამდვილი მეგობრობა და მეუღლეობა გაუწია მუდამ საზოგადო საქმით დაკავებულ აკაკი ჩხენკელს.

ოჯახის შექმნიდან ცოტა ხნის შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა სასწავლებლად.

როგორც თვითონ წერდა, სამი წელი ცხოვრობდა ბერლინში, ერთი წელი ვენაში, ერთი წელი პარიზში, ერთიც ლონდონში, სწავლობდა სოციალისტურ თეორიებსა და პრაქტიკაში მისი გამოყენების შესახებ დაწერილ შრომებს, ესწრებოდა სოციალისტურ კონფერენციებსა და კონგრესებს[1].

აკაკი ჩხენკელმა 1907 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტი და სწავლა განაგრძო ჟენევაში. 1908 წელს ჟენევაში ჩატარდა რსდმპ-ს V კონფერენცია, რომელსაც აკაკი ჩხენკელიც დაესწრო და სიტყვითაც გამოვიდა. მან აქ პირველად წამოაყენა რუსეთის იმპერიაში საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი.[2]

აკაკი ჩხენკელი ქართველ სოციალ-დემოკრატ პოლიტიკოსთა შორის ერთ-ერთი განათლებული ადამიანი იყო. მისი ინტერესების სფეროც მრავალმხრივობით გამოირჩეოდა. 900-იან წლებში ქართველ მოაზროვნეთა შორის ის პირველად დაინტერესდა და სერიოზულად შეაფასა ფრიდრიხ ნიცშეს[3] ნაწერები. ნიცშეს გვარი ქათულ პრესაში პირველად 1899 წელს გამოჩნდა, ანტონ ფურცელაძის[4] წერილში, რომელიც გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნდა. მომდევნო წელს თავის წერილში გერმანელი ფილოსოფოსი კიტა აბაშიძემაც[5] ახსენა, ოღონდ ორივე შემთხვევაში ნიცშე უარყოფით კონტექსტში იყო მოხსენიებული. ეს ავტორები მის ნააზრევს „ავაზაკურ ფილოსოფიასა" და „ახალ კერპთაყვანისმცემლობას" უწოდებდნენ. „უფრო სერიოზულად ნიცშეს ნააზრევის კვლევა დაიწყო აკაკი ჩხენკელმა და გააგრძელა გერონტი ქიქოძემ [6]", —

[1] სცსსა 1831, აღწ.2, საქმე 1, ფ1-2;

[2] ტიერი ბერიშვილი, ქართული სოციალ-დემოკრატია 1880-1953 წლებში, იეანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 115.

[3] ფრიდრიხ ნიცშე, — 1844-1900, XIX ს.-ის ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი, ავტორი გახმაურებული ნაშრომებისა: „ასე იტყოდა ზარატუსტრა", „მხიარული მეცნიერება", „ანტიქრისტე", „მორალის გენეალოგია", „ვაგნერის საქმე", „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან".

[4] ანტონ ფურცელაძე, — 1839-1913, ცნობილი ქართველი მწერალი (პროზაიკოსი, პოეტი, მთარგმნელი), პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი, საზ. მოღვაწე.

[5] კიტა აბაშიძე. — 1870-1917, ლიტმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზ. მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი. დაკრძალულია დიდუბის მწ. და საზ. მოღვაწეთა პანთეონში.

[6] გერონტი ქიქოძე, — 1886-1960, — მწერალი, საზ. მოღვაწე, დამფუძნებელი კრების წევრი. დაკრძალულია მწ. და საზ. მოღვაწეთა პანთეონში.

წერენ ნიცშეს ქართველი მკვლევრები. მათი აზრით, ამ წერილებს დიდი რეზონანსი მხოლოდ იმიტომ არ მოჰყოლია, რომ „ისინი ინტელექტუალთა ვიწრო წრისათვის უფრო იყვნენ განკუთვნილნი, ვიდრე ფართო მასებისათვის".[1]

აკაკი ჩხენკელის ხელით შედგენილ ბიოგრაფიულ მონაცემში არ არის ნახსენები ევროპაში განათლების მიღების ფაქტი, არც ლაიფციგსა და ჟენევაში ცხოვრებაა დამოწმებული, თუმცა მის ბიოგრაფიაში არსებულ ამ ფაქტებზე წერს მკვლევარი გურამ შარაძე.[2]

ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში ჩხენკელი არც თბილისში ჩამოსვლისა და ორჯერ დაპატიმრების, კავკასიიდან მისი გასახლების ფაქტზე ამბობს რაიმეს.

1909 წელს საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ჟურნალისტურ საქმიანობაში. უმთავრესად წერდა ეროვნულ და საპარლამენტო საარჩევნო თემებზე, ქართულ და რუსულ პესაში აქვეყნებდა წერილებს ეროვნულ საკითხებზე, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მისი საპარლამენტო ცხოვრებაზე დაწერილი სტატიები, რამაც სახელი გაუთქვა, როგორც ამ საკითხების კარგად მცოდნესა და კომპეტენციის მქონეს.

ვ. ჩუბინიძის[3] აზრით, ჩხენკელი 1910 წელს, მასიური დაპატიმრებების დროს, დაუტუსაღებიათ და ჯერ მეტეხის ციხეში ჩაუსვამთ, შემდეგ კი როსტოვში გადაუსახლებიათ, სადაც სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატებიც (ნოე რამიშვილი[4], ნესტორ ჩხიკვაძე[5], ზაქარია გურული[6], უშანგი და ნიკო ელიავები[7], ანდრო ჭიაბრიშვილი[8] და სხვ.), იყვნენ გადასახლებულნი.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს IV მოწვევის არჩევნების წინ, 1912 წელს, აკაკი ჩხენკელი საქართველოში დაბრუნდა. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მას დაუპირისპირდნენ „ბატუმსკი ვესტნიკის"

---

[1] ფრიდრიხ ნიცშე, „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან", გიორგი მესხი, „მთარგმნელის წინასიტყვა", „ჩვენი მწერლობა", თბილისი, 2016, გვ. 20; ელიზბარ ელიზბარაშვილი, „ნიცშე და საქართველო. რეალური ისტორია", თბილისი, 2007.

[2] გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1991.

[3] ვ. ჩუბინიძე, — 1891-1988, ქართველი სოციალ-დემოკრატი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე, ქართული პოლიტ. ემიგრაციის თვალსაჩინო წევრი. დაკრძალულია ლევილში.

[4] ნოე რამიშვილი, — 1881-1930, — საქართველოს დემოკრატ. რესპულიკის მთავრობის პირველი თავ-რე, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი, დაკრძალულია ლევილში.

[5] ნესტორ ჩხიკვაძე, — სოციალ-დემოკრატი რევოლუციონერი, მუშაობდა მუშად (კონდუქტორად), რამდენჯერმე იყო გადასახლებული.

[6] ზაქარია გურული, — ზაქარია დავთის ძე გურული, სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების დეპუტატი.

[7] უშანგი და ნიკო ელიავები, — რევოლუციონერები, ნიკოლოზ ზურაბის ძე ელიავა (1874-1937) იყო ადვოკატი, ჟურნალისტი, დამფუძნებელი კრების წევრი. გადავიდა ბოლშევიკების მხარეს, მოღვაწეობდა სხვადასხვა თანამდებობებზე საბჭოთა საქართველოში. ემსხვერპლა სტალინურ რეპრესიებს.

[8] ანდრო ჭიაბრიშვილი, — ანდრო იაკობის ძე ჭიაბრიშვილი იყო სოც-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების წევრი, ეროვნული გვარდიის მთავარი შტაბის თავ-რის (ნოე ჟორდანია) მოადგილე.

რედაქტორი გრიგოლ ვოლსკი და ალექსანდრე შერვაშიძე. შემდეგ ვოლსკიმ უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე, ალექსანდრე შერვაშიძე კი ჩხენკელმა დაამარცხა. მან მეტი ხმა მიიღო და გახდა დეპუტატი აფხაზეთიდან და ბათუმ-ყარსის ოლქიდან. შედიოდა სათათბიროს მენშევიკთა ფრაქციაში, ეკავა ცენტრისტული პოზიცია. ის ერთ-ერთი პირველი ქართველი მენშევიკია, რომელმაც ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას დაუჭირა მხარი. ამ მოთხოვნით იგი სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდანაც კი გამოვიდა. როგორც დეპუტატი, ჩხენკელი სათათბიროს ტრიბუნიდან პოლიტიკურად აქტიურობდა. ცნობილია მისი მწვავე სათათბირო გამოსვლები სოციალურ და ეროვნულ პრობლემებზე, ე. წ. „მოღალატე აჭარლების" პროცესზე და სხვა.

დუმაში გამოსვლებმა აკაკი ჩხენკელს დიდი პოპულარობა მოუტანა. განსაკუთრებით გაითქვა სახელი 1914 წელს სამხედრო ბიუჯეტის წინააღმდეგ გამოსვლის შემდეგ, რომელსაც მხარი დაუჭირა ყველა მემარცხენე დეპუტატმა. ამის გამო განრისხებულმა მთავრობამ საკრებულო რამდენიმე კვირით დაითხოვა.

1914 წელს აკაკი ჩხენკელი მონაწილეობდა ბრიუსელის თათბირში, რომელიც მოინვია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულმა ბიურომ. მის ეროვნულ მოღვაწეობას განსაკუთრებით ფართო ასპარეზი მიეცა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. იგი გახდა რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში, „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის" (ОЗАКОМ) წევრი. ეს კომიტეტი 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გაუქმდა.

1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ ჩხენკელი ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია, თუმცა, საბჭოს მუშაობის ძირითადი ტვირთი მის მხრებზე გადადიოდა. ასე მაგალითად: ის იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 26 ნოემბრის სხდომის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას ნაცვლად, ის ასევე იყო ამავე ორგანოს მეორე და მესამე სხდომის თავმჯდომარე 1917 წლის 28 ნოემბერს, ამავე წლის 1-2-3 და 17 დეკემბერს გამართული სხდომების წამყვანი და ძირითადი მიმართულების მიმცემი.

1918 წლის იანვარში, როდესაც ბოლშევიკებმა და ლენინის მთავრობამ გარეკა რუსეთის დამფუძნებელი კრება, ქართველ პოლიტიკოსებს იმედი რუსეთის ხელისუფლებაში დემოკრატიული ძალების დაბრუნებაზე გაუქრათ და გადაწყვიტეს ამიერკავკასიის სეიმის დაარსება. მის თავმჯდომარედ რუსეთში სახელგანთქმული ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე[1] აირჩიეს, ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარედ კვლავ ევგენი გეგეჭკორი დარჩა, რომელსაც სამხედრო მინისტრის პოსტიც შეეთავსა, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი წილად აკაკი ჩხენკელს ჰხვდა, შინაგან საქმეთა მინის-

[1] კარლო ჩხეიძე, — 1864-1926, სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების თავ-რე. დაკრძალულია ლევილში.

ტრისა — ნოე რამიშვილს, მინათმოქმედების მინისტრის — ნოე ხომერიკს[1], საზღვაო მინისტრის — ვლადიმერ გობეჩიას[2], დანარჩენი სამინისტროების მეთაურები სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები გახდნენ.

სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ბრძოლა საქართველოს ეროვნული ცხოვრებისათვის გადამწყვეტი ორი ისტორიული მოვლენის განსახორციელებლად: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად და თბილისის უნივერსიტეტის დასაარსებლად, რაშიც ქართულ საზოგადოებასა და ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის მებრძოლ ადამიანებს დიდი დახმარება გაუწია სწორედ აკაკი ჩხენკელმა.

კარგად რომ დავინახოთ, რა დატვირთვითა და თავდადებით მუშაობდა აკაკი ჩხენკელი, რუსეთის იმპერიის დაცემიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, საკმარისია დავასახელოთ თუნდაც მის მიერ ამ მცირე დროში დაკავებული თანამდებობები: ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) წევრი; საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე; ამიერკავკასიის კომისარიატის წევრი; საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატი; საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ამიერკავკასიის სეიმის წევრი; ტრაპიზონისა და ბათუმის საზავო კონფერენციების დელეგაციის ხელმძღვანელი; ამიერკავკასიის დემოკრატიული ფერერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. მისმა გამორჩეულმა დიპლომატიურმა ნიჭმა და სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში.

ჩხენკელის ბიოგრაფიისათვის მნიშვნელობა აქვს იმ დოკუმენტებს, სადაც ჩანს მისი თბილი დამოკიდებულება ოჯახთან, მისი დიდი ავტორიტეტი დამოუკიდებელ საქართველოში.

1917 წლის 25 მაისს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელთა ყრილობამ, რომელსაც 200-მდე დელეგატი ესწრებოდა, აკაკი ჩხენკელს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა განახლებული დროებითი მთავრობის არჩევასთან დაკავშირებით და ყრილობის სახელით ასეთ სიტყვებს წერდა: „ყრილობა ფიცს დებს, რომ მისი მონაწილენი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ მომავალი თავისუფლების მოსაპოვებლად, დარწმუნებულნი იმაში, რომ რუსეთის ყველა ეროვნების სკოლა იქნება გამოხსნილი, რომ ყველა ჩაგრულმა ერმა, მათ შორის ქართველებმაც მიიღოს დემოკრატიული ეროვნული ტერიტორიული ავტონომია.

---

[1] ნოე ხომერიკი, — 1883-1924, — სოც-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი. ემიგრირებულ მთავრობას გაჰყვა, იყო კონსტანტინეპოლის ქართული ემიგრაციის პოლიტიკური კომისიის ხელმძღვანელი, 1923 წელს სამშობლოში დაბრუნდა ანტიბოლშევიკური აჯანყების ორგანიზებისათვის, დაიჭირეს და „ჩეკამ“ 1924 წელს დახვრიტა.

[2] ვლადიმერ გობეჩია, — სოციალისტ-რევოლუციონერი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, ცნობილი სოციალისტ-რევოლუციონერის, დამფუძნებელი კრების წევრის — იოსებ გობეჩიას ძმა. გარდაიცვალა 1918 წელს, 23 ივნისს მის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა კალისტრატე ცინცაძემ.

ყრილობის თავმჯდომარე ჩიხლაძე, მდივანი სანიკიძე[1].

ბათუმში 1917 წლის 15 ივლისს შემდგარი გლეხთა ყრილობის შესახებ აჭარლების სახელით ჰასან ლორთქიფანიძე წერილს სწერს აკაკი ჩხენკელს.

6 ივლისს აჭარიდან ჰასან ლორთქიფანიძის გამოგზავნილი წერილი „აჭარელთა ძვირფასი მეგობრის" — აკაკი ჩხენკელისადმი:„ამა წლის 15 ივლისს ბათუმში შედგება აჭარის გლეხთა წარმოადგენლების ყრილობა. განხილული იქნება მთელი რიგი ჩვეულებრივი საკითხები და, მათ შორის სასკოლო განათლების. აქ შეიძლება დღის წესრიგში დადგეს ენის საკითხი, ჩემი აზრით, ეს ყრილობის ყველაზე საჭირო თემაა. შეიძლება ვთქვათ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაზე დამოკიდებული იქნება აჭარის შემდგომი ბედი.

მრავალ მიზეზთა შორის, რომელსაც მე აქ არ შევეხები, თქვენი დასწრება ყრილობაზე, თუნდაც მცირე დროით, პირდაპირ აუცილებელი საჭიროებაა. მე ვფიქრობ, რომ თქვენ, როგორც ჩვენი გლეხობის ოფიციალურ წარმომადგენელს გეკუთვნით ამ ყრილობის გახსნაზე დასწრება და ყველაზე კარგი იქნება, — თავად გახსნათ იგი.

ბოლოს, თავს უფლებას მივცემ, რომ აჭარლების სახელით თქვენდამი დიდი პატივისცემა გამოვხატო დაუღალავი გარჯისა და მცდელობის გამო დაღუპული აჭარლების ოჯახების დასახმარებლად. მხედველობაში მაქვს არაერთი საქველმოქმედო აქტი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ყველასათვის გახდა ცნობილი"[2].

სენაკის ქალაქის გამგეობამ 1920 წლის 10 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება მისი სახელი ეწოდებინა ქალაქის II პირველდაწყებითი სასწავლებლისათვის.[3]

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. შეიქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის საგარეო სქმეთა მინისტრად დაინიშნა ამ საქმეში უკვე გამოცდილი აკაკი ჩხენკელი.

როგორც ვთქვით, აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის საზავო დელეგაციებს ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე, ის ხელმძღვანელობდა 1918 წლის ივნისში გერმანიაში მივლინებულ ქართულ დელეგაციას, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი ქართველი დიპლომატები და საზოგადო მოღვაწეები: ნიკო ნიკოლაძე[4], ზურაბ ავალიშვილი[5], სპირდონ კედია[6], კონსტანტინე გვარჯალაძე[7]. დამოუკიდებლობის პერიოდში

[1] სცსსა, ფონდი 1831. აღწერა 2, საქმე 3, ფ.1

[2] სცსსა, ფონდი 1831, 2, საქმე5, ფ1-2.

[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 16, ფ. 1.

[4] ნიკო ნიკოლაძე (1843-1928), — ცნობილი ქართველი მოღვაწე, პუბლიცისტი, რედაქტორი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპატიო თავ-რე, დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე.

[5] ზურაბ ავალიშვილი (1874-1944), — იურისტი, ისტორიკოსი, დიპლომატი, ცხოვრობდა ემიგრაციაში, გარდაიცვალა გერმანიაში, — შვარცენფელდში, ჩამოასვენეს თბილისში და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

[6] სპირდონ კედია (1884-1948), — დაიბადა ზუგდიდში, ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი, პარტიის თავ-რე, დამფუძნებელი კრების წევრი, ცხოვრობდა ემიგრაციაში პარიზში, სადაც გარდაიცვალა, დაკრძალულია ლევილში.

[7] კონსტანტინე გვარჯალაძე (1884-1969), —. სოც-დემოკრატი, დამფუძნ. კრების წევრი, საქა-

მან ბევრი იღვაწა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ცნობისათვის, ერთა ლიგაში მის გასაწევრიანებლად. როდესაც 1921 წლის თებერვალში საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო, საქართველოს პირველი ელჩი საფრანგეთში — აკაკი ჩხენკელი დიდი პატივით მიიღეს ელისეს სასახლეში, თავად ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა — მილიერანმა[1] გადასცა მას ელჩის მანდატი, აქედან კიდევ ცამეტი წელი გაგრძელდა მისი დიპლომატიური მოღვაწეობა საფრანგეთში, მანამ, სანამ ქართული ლეგაცია არ გაუქმდა (1933 წ.), რომლის თავმჯდომარეც ის იყო.

უდიდეს ძალისხმევას იჩენდა აკაკი ჩხენკელი ევროპაში მოხვედრილი ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობისა თუ პოლიტიკური ემიგრანტების დასახმარებლად. 1929 წლის 3 მარტს მისი თაოსნობით პარიზში დაარსდა „ტუბერკულოზით დაავადებულ ქართველთა დამხმარე კომიტეტი", რომელმაც უამრავ ადამიანს გაუწია დახმარება და გადაარჩინა სიკვდილს. მისი პირადი მიმოწერა უამრავ საქველმოქმედო მოღვაწეობის მაგალითებს მოიცავს და ამ კუთხითაც გვაჩვენებს მის პიროვნებას, როგორც დიდ ფილანტროპსა და ქველმოქმედს.

ლეგაციის გაუქმების შემდეგაც არ შეუწყვეტია აკაკი ჩხენკელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ევროპელების ყურადღების მისაქცევად საქართველოს პრობლემებისადმი, მუდმივად ჰქონდა ურთიერთობა ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების ემიგრაციასთან და იღვწოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მათი აქტიურად ჩაბმისათვის, ეწეოდა ჟურნალისტურ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1939 წელს, „ანჩინის" ფსევდონიმით პარიზში გამოქვეყნდა მისი წიგნი – „სახელმწიფო და ერი".

მისი არქივი ერთ-ერთი სუკეთესოდ შენახული და მოწესრიგებული არქივია, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მისი შემდგენლის ხასიათსა და პასუხისმგებლობაზე თანამედროვე თუ მომავალი საქართველოს წინაშე. ჩვენი წიგნი ამ არქივის მასალებს ეყრდნობა. აქ დაცული დოკუმენტების გამოყენება, თავისებური ანალიზი და ინტერპრეტაცია კიდევ ბევრ მკვლევარს, მისი ცხოვრებით დაინტერესებულ ბევრ ადამიანს შეეძლება მომავალში და, ალბათ, ბევრიც გამოიყენებს ამ შესაძლებლობას...

აკაკი ჩხენკელი პარიზში გარდაიცვალა, 1959 წელს. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე. ჰყავდა ერთი ვაჟი-ალექსი, რომელიც სამხედრო იყო და იბრძოდა გენერალ დე გოლის არმიაში. პენსიაში გასვლის შემდეგ გადასახლდა ამერიკაში. აკაკის უმცროსი ძმა - კიტა ჩხენკელი იყო ცნობილი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი.

აკაკი ჩხენკელის მეუღლემ, მაკრინემ, ქართველოლოგ ლეა ფლურს

რთველოს მთავრობის რწმუნებული და სათვისტომოს ხელ.-ლი სტამბოლში, დაკრძალულია ლევილში.

[1] მილიერანი, — ალექსანდრ ეტიენ მილიერანი (1859-1943), ცნობილი ფრანგი სახ. და პოლიტ. მოღვაწე.

(კიტა ჩხენკელის მონაფეს) გადასცა ოჯახში დაცული არქივი, მათ შორის: დამოუკიდებლობის აქტი (ორიგინალი), კონსტიტუცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო შტანდარტი. შემდეგში ეს რელიქვიები საქართველოს დაუბრუნდა.

ეროვნული საკითხი არა სოციალ-დემოკრატიული პოზიციიდან

„სცენაზე გამოდის ახალი მოქმედი პირი — ბ-ნი ჩხენკელი, რომლის ნაწერებს ეროვნული საკითხის შესახებ გულდასმით უნდა დავაკვირდეთ, რადგან ამ ნაწერებში თვალსაჩინოდ სჩანს ის დიდი რყევა და გამოურკვევლობა, რომელიც ამჟამად სუფევს ქართულ სოციალ-დემოკრატიაში. ბატონი ჩხენკელი გულახდილი მწერალია და ხშირად ამბობს იმას, რის თქმასაც ვერა ჰბედავენ მისი ამხანაგები".

არჩილ ჯორჯაძე, 1909 წელი.

ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია 1903 წელს რუსეთის იმავე სახელწოდების პარტიას შეუერთდა და გახდა რუსული პარტია, რსდმპ-ს ნაწილი. ეროვნული საკითხი ამ პარტიის პროგრამასა და იდეოლოგიაში ველიკოდერჟავული შოვინიზმის საფუძველზე განიხილებოდა და მისი ქართველი ნევრებიც ვერ აპროტესტებდნენ და ბოლომდე ვერ უარყოფდნენ ერებისადმი ამგვარ დამოკიდებულებას. 1905-1907 წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა ეროვნული საკითხი ქვეყანაში გაამწვავა. გამწვავდა ის საქართველოშიც. როდესაც იმპერიულმა ხელისუფლებამ აქ ალიხანოვ-ავარსკის[1] სადამსჯელო ოპერაციები განახორციელა, რასაც ქართველი ხალხის მიმართ არნახული სისასტიკე ახლდა, როდესაც წამოინია ავტონომიის მანამდეც არსებულმა იდეამ და ახლა მას ღია სახე მიეცა, მხარდამჭერები თავად იმპერიულ წრეებშიც აღმოაჩნდა (სახელმწიფო სათათბიროში შეიქმნა სპეციალური ავტონომისტთა ფრაქცია). რა თქმა უნდა, ამ პრობლემამ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთი ნაწილიც ახლებურად განაწყო. მათ შორის, ვინც ეროვნულ ინტერესებს იმპერიულ სივრცეში პირველმა დაუჭირა მხარი, იყო ვლადიმერ დარჩიაშვილი[2],

[1] ალიხანოვ-ავარსკი, — მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი (1846-1907), რუსული არმიის გენერალი, იყო 1905-1906 წლების რევოლუციური გამოსელების ჩასახშობად გამოგზავნილი რუსული არმიის სარდალი, სადამსჯელო ორგანიზაციის ხელ-ელი.

[2] ვლადიმერ დარჩიაშვილი (1872-1916), — იყო „მესამე დასის", შემდეგ კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნევრი. თბილისის სას. სემინარიის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო საზღვარგარეთ, — საფრანგეთსა და შვეიცარიაში, ამავდროულად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში, წერდა ეროვნული ხასიათის პუბლიცისტურ წერილებს. 1914 წელს იქორწინა და გერმანიაში წავიდა მეუღლესთან ერთად, სადაც დააპატიმრეს როგორც რუსეთის მოქალაქე. ტყვეობაში დაავადდა და გარდაიცვალა. დაკრძალეს ლაიფციგის ახლოს, ქ. გრიმმაში.

ამას დაემატა აკაკი ჩხენკელი. და პარტიის შიგნით ამგვარმა აზროვნებამ ლამის განხეთქილების სახე მიიღო.

თანაპარტიელთაგან განსხვავებული აზროვნება აისახა 1908 წლის მაისში გამოსულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანოში — „ალიონი". ამ მოვლენის გამო წერდა არჩილ ჯორჯაძე[1]: „ამ ორგანოს გამოსვლა არაჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირველი ნომრის წაკითხვიდანვე მკითხველმა საზოგადოებამ დაინახა, რომ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში რაღაც ღრმა განხეთქილება მომხდარიყო"[2].

ცოტა მოგვიანებით გერონტი ქიქოძეც აღიარებდა: „ქართული სოციალ-დემოკრატია ყოველთვის ევროპული ტიპის იყო, გარკვეულ პერიოში მათ შეიძინეს რუსულ-ებრაული ჟარგონი, მაგრამ ჩქარა ქართულს დაუბრუნდნენ".[3]

აკაკი ჩხენკელი, ჯერ კიდევ 1908 წლიდან აყენებდა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ფართო თვითმმართველობის იდეას. ამის დასტურია მის პირად ფონდში დაცული მასალა[4]. აღმოჩენილი თეზისები საქართველოში თვითგამორკვევის პრინციპების შესახებ, წაკითხულია ქართული საზოგადოების წინაშე 1908 წლის დამლევს და 1909 წლის დასაწყისში.

აკაკი ჩხენკელი აღიარებდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია და, შესაბამისად, მათი ქართველი თანაპარტიელები, ეროვნულ საკითხში არასწორ პოზიციაზე იდგნენ. ამის ხმამაღლა გამოცხადება იმ დროს და ისეთი ძლიერი პარტიის რიგებიდან, როგორიც სოცალ-დემოკრატია იყო, საკმაოდ გაბედული და პროგრესული ამბავი იყო, ამ მოვლენის მიზეზები თავად პარტიის იდეოლოგიასა და მისი წევრების არასწორად აზროვნებაში რომ მდგომარეობდა, ამას ჩხენკელი არ აღიარებდა, პარტიის ამ გზაზე დადგომას მათ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალებს აბრალებდა. ამის გამო აკრიტიკებდა ჩხენკელს არჩილ ჯორჯაძე და მას, როგორც სოციალ-დემოკრატთა სკოლაში აღზრდილს, მედიდურობასა და უპრინციპობაში ადანაშაულებდა. მართალია, ჯორჯაძე ამ შეფასებაში ნაწილობრივ ობიექტურიც იყო, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ჩხენკელის აზროვნებაში უკვე ჩანდა ეროვნული პრობლემისადმი თანაპარტიელებისგან განსხვავებული, უფრო პროგრესული ხედვა. შემდეგში ეს ხედვა კიდევ უფრო გაღრმავდა და აკაკი ჩხენკელი ზეპარტიული აზროვნების, საერთო-ეროვნულ ნიადაგზე მდგარ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა.

---

[1] არჩილ ჯორჯაძე (1872-1913), — ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი და სოციოლოგი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი. დაკრძალულია დიდუბის მწ. და საზ. მოღვაწეთა პანთეონში.
[2] არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი I, ტფილისი, 1911 წელი, გვ. 246;
[3] გერონტი ქიქოძე, „ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია", გამომც. „ეროვნული ენერგია", თბილისი, 1919.
[4] სცსსა 1831, აღწერა 2., საქმე 196, ფ.1-2

რა ჰქონდათ გასაყოფი აკაკი ჩხენკელსა და მიხაკო წერეთელს
ჩხენკელის ნაშრომი —
„ერი თუ კაცობრიობა? (ბ. „Baton"-ის წიგნის გამო)"

ძირითადი საპოლემიკო თემა პარტიებსა და ამ პარტიათა წარმომადგენლებს შორის XX საუკუნის 10-იან წლებში ეროვნული საკითხი იყო. განსაკუთრებით ეს თემა 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ გააქტიურდა. ყველა პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია რუსეთსა და საქართველოში გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა ეროვნული პროგრამების შემუშავებას და სწორად გააზრებას. ამ საკითხზე დაუპირისპირდა აკაკი ჩხენკელი მიხაკო წერეთელს[1]. როგორც აღვნიშნეთ, ჩხენკელი ეროვნულ საკითხს უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა და გაცილებით მაღალ შეფასებას აძლევდა, ვიდრე მისი პარტიელები. მიუხედავად ამისა, მან არ გაიზიარა მიხაკო წერეთლის თვალსაზრისი ერისა და კაცობრიობის შესახებ და 1912 წელს გამოცემული ნაშრომით მძაფრად დაუპირისპირდა მას. წიგნი აკრიტიკებდა ორი წლით ადრე (1910) გამოცემულ მიხაკო წერეთლის პუბლიკაციას — „ერი და კაცობრიობა". თავისი ნაშრომი ჩხენკელმა უძღვნა იმ დროს ახლად გარდაცვლილ ქართველ მამულიშვილს, მრეწველსა და ქველმოქმედს დავით სარაჯიშვილს. მიძღვნა ასეთი იყო: „საუკეთესო მამულიშვილისა და მსოფლიო მოქალაქის დავით სარაჯიშვილის ხსოვნას". ეპიგრაფი სავსებით შეესაბამებოდა ავტორის თვალსაზრისს იმაზე, რასაც თავის ნაშრომში აცხადებდა: ადამიანი, ვინც ღირსეულად ემსახურება საკუთარ ხალხსა და სამშობლოს, იმავდროულად არის ღირსეული მსოფლიო მოქალაქეც.

ჩხენკელის აზრი წერეთლის ნაშრომზე სრულიად უარყოფითია, წერეთლის შეხედულებები მისთვის მიუღებელია. შესავალ ნაწილში — „წინასიტყვაობის მაგიერ", ის ამ თავის უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზებს ასაბუთებს. ძირითადად, მისი კრიტიკა ეფუძნებოდა მარქსისტულ-სოციალისტურ იდეოლოგიას, ამიტომ, ბევრი რამ მისი შენიშვნებიდან, მკვეთრად არგუმენტირებულობის მიუხედავად, დამაჯერებელი არ ჩანს, ზოგიერთი შენიშვნა კი, არცთუ უსაფუძვლოა. ის, რომ მიხაკო წერეთელი მრავალრიცხოვანი უცხოური ლიტერატურის გამოყენებასა და მისი საშუალებით საკუთარი დასკვნების გაკეთებაზე საუბრობს, ამაში არც არაფერი გასაკვირი არაა, რადგან ევროპული აზროვნების მქონე, იქ მცხოვრებ, კარგად განსწავლულ მიხაკო წერეთელს საუკეთესო წვდომა ჰქონდა იმ უზარმაზარ სამეცნიერო ლიტერატურასთან, რომელიც XIX საუკუნეში შეიქმნა და ძალზე საინტერესო იყო პატარა ერის წარმომადგენელი ემიგრანტისთვის, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათა-

[1] მიხაკო წერეთელი (1878-1965), — მეცნიერი, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალისტი, ლინგვისტი, სოციოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე, ცხოვრობდა ემიგრაციაში და მონაწილეობდა პოლიტიკურ-დიპლომატიურ პროცესებში. სხვადასხვა დროს იყო მარქსისტი, ანარქისტი, სოციალისტი. გარდაიცვალა მიუნხენში, დაკრძალულია ლევილში.

ვისუფლებელ მოძრაობაში. მოდით, წინასიტყვაობაში ჩხენკელის მიერ წერეთლისადმი მიცემული შენიშვნები პუნქტობრივად ჩამოვაყალიბოთ:

1. წერეთლის ნაშრომის სათაური („ერი და კაცობრიობა განხილულნი სოციოლოგიური მხრით") მიუთითებს, რომ ის სამეცნიერო გამოკვლევა უნდა იყოს, მაგრამ, ჩხენკელის თვალსაზრისით, ეს ასე არ არის. ამაში ის თავად წერეთელს იმოწმებს, რომელიც თავის ნარკვევს „პატარა მოთხრობას" არქმევს;

2. წერეთელი თავად მიუთითებს საკუთარ სამ ნაკლზე, რასაც ეთანხმება ოპონენტი: მოთხრობის ფორმა ვერ არის კარგად მოფიქრებული, გაუმართავი ქართულითაა დაწერილი, რაც თავიდან ვერ აიცილა (სხვანაირად ვერ შესძლო) და მესამეც, განზრახ აირჩია განმეორების, გაჭიანურებული თხრობის მეთოდი, რათა მკითხველისთვის „უფრო ნათელეყო" თავისი აზრი. ამით, ჩხენკელის თქმით, მან „გლახა ჭრიაშვილის მსგავსად, კიდევ უფრო დაამძიმა და უინტერესო გახადა თავისი თხზულება";

3. ჩხენკელს არ მიაჩნია სწორად წერეთლის განცხადება, რომ მან ეს თემა იმიტომ აირჩია, რომ მისთვის „ეროვნული საკითხი სამკვდრო-სასიცოცხლო" იყო და სურდა სხვა ჩაგრული ერებისთვისაც ამ საკითხის სამართლიანობა დაემტკიცებინა. კრიტიკოსის აზრით, ეს ავტორს ხელს უშლიდა მიუდგომლად, ღრმად და მენიერულად დასაბუთებული არგუმენტებით ემსჯელა საკითხზე. რადგან „სამკვდრო-სასიცოცხლო" თემა ემოციურია, ამიტომაც დაარქვა მას „მცირე მოთხრობა". ჩხენკელს აწუხებს, რომ ავტორმა მეცნიერული ფორმის ნაცვლად მხატვრული არ აირჩია საკუთარი ემოციების („ტრაღიკული სულისკვეთების") გამოსახატავად;

4. ჩხენკელს მიაჩნია, რომ ავტორის ტონი ხან ტრაგიკულია, ხან პათეტიური, ისტერიულიც და აღშფოთებულიც. „როგორ გნებავთ ანგარიში გაუწიოთ ასეთ შრომას?" — კითხულობს ჩხენკელი. მას გული წყდება, რომ ის უამრავი სამეცნიერო ლიტერატურა, რასაც იყენებს და ეყრდნობა შრომის ავტორი, დასახელებული არაა, მითითებული არაა უცხო ავტორთა შრომებიდან ადგილები, რაც მეტ წონასა და ღირებულებას მისცემდა მიხაკო წერეთლის გამოკვლევას.

ეს ბოლო შენიშვნა მართლაც აკადემიური ხასიათისაა და მისი არსებობა ამ ერთი საუკუნის წინანდელ ნაშრომს დღესაც კი მისცემდა მეტ სამეცნიერო წონასა და ღირებულებას. სხვა რომ არაფერი, დღევანდელ მკითხველს უფრო ღრმად ჩაახედებდა იმ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებში, რასაც იმდროინდელი ევროპის სამეცნიერო წრეები აქცევდნენ ყურადღებას, გვაჩვენებდა ჩვენთვის უცხო თვალსაზრისებსა და XIX-XX საუკუნეების ეროვნული პრობლემატიკის საკითხებზე მომუშავე დღევანდელ მკვლევართ მეტად დაეხმარებოდა. ასე რომ, აკაკი ჩხენკელის კრიტიკული გამონათქვამი ამ შემთხვევაში მთლად უსაფუძვლო არაა.

ერი. აკრიტიკებს რა მიხაკო წერეთლის შეხედულებებს, აკაკი ჩხენკელი აყალიბებს ერის შესახებ საკუთარ მოსაზრებას. ამისათვის ის იყენებს იმ მრავალფეროვან სოციოლოგიურ კვლევებს, რაც XIX საუკუნეში განხ-

ორციელდა. მისი აზრით, წინა საუკუნეში დაიწყო და XX საუკუნეშიც გაგრძელდა ერების ჩამოყალიბების პროცესი. ერებს ის ჰყოფდა დაპყრობილ და დამპყრობელ ერებად. დამონებული ერის წარმომადგენელს, ჩხენკელის თქმით, უნდა აინტერესებდეს ეროვნული პრობლემის პრაქტიკული მხარე, რასაც, მისი აზრით, არ აკეთებდა წერეთელი. წერეთელი ერად მიიჩნევდა გარკვეულ სოციალურ კატეგორიას — საზოგადოებას, მაგრამ მისი განვითარების ცალკეულ საფეხურებს ანგარიშს არ უწევდა. ჩხენკელი გამოყოფდა წერეთლისეული საზოგადოების, ანუ ერის დახასიათების შემდეგ ძირითად ნიშნებს: 1. კვებისა და სხვა ეკონომიკურ საკითხებს; 2. შთამომავლობის გაჩენისა და აღზრდის მოვლენას; 3. ხელოვნების საკითხს; 4. რელიგიურ და მეცნიერულ მოვლენებს — სარწმუნოებისა და ცოდნის საკითხებს; 5. მორალურ, —ზნე-ჩვეულებების საკითხს; 6. იურიდიულ მოვლენას ერში ანუ სამართლის საკითხს; 7. პოლიტიკურ საკითხს; 8. ენას.

ჩხენკელი არ დაეთანხმა წერეთლისეულ ერის განსაზღვრებას: „ერი არის სოციალური სუპერ-ორგანიზმი ან ჰიპერ-ორგანიზმი (ტარდის სიტყვებით), შემდგარი ერთგვარი ან მრავალგვარი ეთნიური და სოციალური მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მონესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავის ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, — საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა. "

ჩხენკელი ვერ ეგუება ამ განსაზღვრებაში ერისა და საზოგადოების განსხვავებას და მათ იდენტურად მიიჩნევს. მისი აზრით, საზოგადოება ვითარდება და გარკვეულ ეტაპზე ყალიბდება ერად. ამაში, გარდა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორისა, მთავარი მისთვის ფსიქოლოგიური ფაქტორია. თვითშეგნება მას ერის ერთ ორგანიზმად შეკავშირების აუცილებელ პირობად მიაჩნია. მისი დასკვნით, „ერი არის ისეთი სოციალური ორგანიზმი, რომლის ხორცშესხმულ არსებობას, როგორც ხელუხლებელ და განყოფილ ინდივიდუალობისას, ინსტიქტიურათ გრძნობენ და ინტელექტუალურათ სჭვრეტენ თვით მისი შემადგენელნი წევრნი"[1].

კაცობრიობა. ჩხენკელი განარჩევს წერეთლის ნაშრომის მთავარ პრობლემას: „რა არის კაცობრიობა და რა ერი", შეეწირება თუ არა პირველს მეორე.

მიხაკო წერეთელი ნაშრომში — „ერი და კაცობრიობა", თვლიდა, რომ ერი არის არსებული კატეგორია თავისი მახასიათებელი ნიშნებით, კაცობრიობა კი არა, რადგან მას არა აქვს ის ძირითადი ორი მახასიათებელი, როგორიცაა საერთო ენა და სახელმწიფო. ამიტომ, კაცობრიობა უბრალო სოციოლოგიური ცნებაც კი აღარ არის. ავტორი მიუღებლად მიიჩნევს ოპონენტის თეზას: ერი ყველაფერია, კაცობრიობა კი არაფერი. თუმცა მასაც მიაჩნია ერი მისი დროის ყველაზე დიდ სოციალურ ორგანიზმად, მა-

[1] აკაკი ჩხენკელი, „ერი თუ კაცობრიობა?!" (ბ. ბატონ-ის წიგნის გამო), თბილისი, 2000 წ., გვ. 26;

გრამ თვლის, რომ საბოლოოდ ცივილიზაცია მოიტანს უფრო ფართო და განზოგადებულ სოციალურ ორგანიზმს, და მისი აზრით, ეს კაცობრიობა იქნება. ამ ორგანიზმის ჩამოყალიბებას კლასობრივი წინააღმდეგობანი უშლის ხელს, რასაც იწვევს კაპიტალიზმის არსებობა. ჩხენკელის აზრით, ეს წინააღმდეგობა დაძლეული იქნება სოციალიზმის მიერ. ეს აზრი მან ამგვარად ჩამოაყალიბა: „სოციალიზმი, კლასობრივ წინააღმდეგობათა მომსპობი წესწყობილება, ეს ხორცშესხმული ჰარმონია ცხოვრების მიდრეკილებისა, ერთის მხრივ, და ადამიანთა სოციალურ-ეკონომიურ ინტერესისა, მეორეს მხრით, დაასრულებს იმ პროცესს, რომელსაც საძირკველი კიდევ კაპიტალისტურმა ხანამ ჩაუყარა. კაპიტალიზმმა დაგვანახა ერის ორგანიზმობა, სოციალიზმი დაგვანახებს აგრეთვე ევროპიელების და შემდეგ თვით კაცობრიობის ორგანიზმობას“.

უნდა ვთქვათ, რომ აკაკი ჩხენკელის ეს თვალსაზრისი რუსული სოციალისტური იდეოლოგიის ჩვეულებრივი გამოვლენა იყო: „ცივილიზაციის“ მიერ ერების წაშლა და განზოგადებული სოციალური საზოგადოების — კაცობრიობის — ჩამოყალიბება, სადაც აღარ იქნებოდა კლასობრივი წინააღმდეგობა და არ იარსებებდა კაპიტალიზმი, — უტოპია იყო. ეს ილუზორული თეორია ისტორიის მსვლელობამაც გამოავლინა და თავად ჩხენკელმაც საბოლოოდ უარყო იგი. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მან ევროპაში გაატარა, ევროპული ცხოვრების წესი გაიზიარა და კაპიტალიზმისადმი თვალსაზრისიც შეეცვალა. მას ახალგაზრდულ წლებში პაექრობის გამო, არც მიხაკო წერეთელთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება გასჭირვებია.

ჩხენკელის აღშფოთებას იწვევდა მიხაკო წერეთლის მიერ ერისა და კაცობრიობის სოციოლოგიური ნიშნით განხილვა და ცხოვრების ევოლუციური პროცესების უარყოფა. „მას აინტერესებს სოციალურ მოვლენათა სტატისტიკა და არა დინამიკა“, — აქედან ასკვნიდა, რომ ანარქისტები და მისი ბელადი კონსერვატორები იყვნენ. რა თქმა უნდა, მიუხედავად თანაპარტიელებისგან განსხვავებული პროგრესული აზრებისა ეროვნულ საკითხზე, ორთოდოქს მარქსისტ ჩხენკელს, არ შეეძლო არ ეკრიტიკებინა მიხაკო წერეთლის უარყოფითი დამოკიდებულება კოსმოპოლიტიზმისადმი, რომელიც უაზრობას უწოდებდა ამ მოვლენას. ჩხენკელს ნიმუშად ფრანგები მოაქვს, მათი სიტყვა — ჰუმანიტე. იმავდრულად კაცობრიობასა და ადამიანსაც ნიშნავსო, მას მიაჩნდა, რომ კოსმოპოლიტიზმსა და ჰუმანიტეს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. ის მსჯელობდა საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, თვლიდა, რომ აქედან მოყოლებული, კოსმოპოლიტიზმი შეცვალა ინტერნაციონალიზმმა, „რაც გულისხმობს სამსავე ცნებას: ადამიანს, ერს და კაცობრიობას.“ „ინტერნაციონალიზმი კოსმოპოლიტიზმის განვითარებაა და არა მისი უარყოფა“, — ირწმუნებოდა იგი. ერისა და კაცობრიობის ჰარმონიას ის ხედავდა პირველ კოსმოპოლიტ-ჰუმანისტთა ინტერნაციონალურ და იმავდროულად ჰუმანისტურ ლოზუნგებში; „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ [liberté, égalité, fraternité].

მართალია, ჩხენკელმა მიხაკო წერეთლის შრომისადმი მიძღვნილი სტატია დაუსრულებლად გამოსცა (მიზეზად დაასახელა ავტორისა და გამომცემლისაგან დამოუკიდებელი მიზეზი, რაც, როგორც მკითხველისადმი ბოლო მიმართვაში უნდა იგულისხმებოდეს, ცენზურას ეხებოდა), მასში მაინც კარგად გამოჩნდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი ნაწილის ეროვნული შეხედულებები.

ერის, კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზმის კავშირი: „ერი და ჩვენ“ აკაკი ჩხენკელი და ნოე ჟორდანია ეროვნული საკითხის შესახებ

უკვე ვთქვით, რომ აკაკი ჩხენკელი იმთავითვე გამოირჩეოდა თანაპარტიელებს შორის თავის ეროვნული სულისკვეთებითა და ქართველი ერის იდეალებისადმი ერთგულებით. ის პირდაპირ მოუწოდებდა ინტერნაციონალისტ თანამედროვეებს, რომ მეტად განევრცოთ და გაეაზრებინათ ინტერნაციონალიზმის იდეა და მასში დაენახათ ეროვნულის ადგილი.

ეს კარგად ჩანს მის ნაშრომში — „ერი და ჩვენ“, რომელიც ანჩინ-ის ფსევდონიმით გამოქვეყნდა 1915 წელს, ქუთაისში[1].

ამ ნაშრომში ის ედავება პუბლიცისტს, რომლის ფსევდონიმია ან—ი. ვინ არის ანი? ამ ფსევდონიმის მატარებელი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი. ის ნოე ჟორდანიაა, რომელმაც 1908 წელს გამოსცა თვით მისი თანაპარტიელებისათვის მიუღებელი, ეროვნულ საკითხში უაღრესად კოსმოპოლიტურ-სოციალისტური შეხედულებებით ავსილი წიგნი — „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“[2].

ამას მოჰყვა 1909, 1912 და 1913 წლებში რამდენიმე ნაშრომის გამოცემა ნოე ჟორდანიას ავტორობით, სადაც ის ამავე პრობლემას, — ერის, სახელმწიფო მოწყობისა და ამ დროისათვის პოპულარული საქართველოს ავტონომიის საკითხებს ეხებოდა.

თუმცა, აკაკი ჩხენკელის ნაშრომის გამომცემელს, ზაირა გერგედავაჭელიძეს ეს საკითხი არა აქვს დაკონკრეტებული, არადა, როდესაც ნაშრომს სცემ გარკვეული სამეცნიერო აპარატურით, მას უნდა ახლდეს ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. ამ შემთხვევაში, თუ არ ვიცით ან.-ის ვინაობა, მისი ნაშრომი, ჩვენ ვერ შევძლებთ ჩხენკელის ნააზრევის შეფასებას და მისი ამ ნაშრომის გამოცემასაც ეკარგება აზრი, მითუმეტეს, სამეცნიერო ღირებულება; ჩხენკელი მისი პარტიის ლიდერსა და დიდი ავტორიტეტის მქონე ნოე ჟორდანიას არ ერიდება და მას საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებს.

ვლადიმერ დარჩიაშვილმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთაგან პირველმა, ხმა აღიმაღლა ნოე ჟორდანიასა და ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეხედულებებზე ეროვნულ საკითხში (ამ შემთხ-

[1] ანჩინ (აკაკი ჩხენკელი), ერი და ჩვენ, ქუთაისი, 1915 წელი.

[2] ანი, (ნოე ჟორდანია), ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი, ელექტრომბეჭდავი ი. კილაძისა, ქუთაისი, 1908 წელი.

ვევაში მენშევიკების, რადგან ბოლშევიკები მთლიანად ემიჯნებოდნენ ეროვნულ საკითხს, ამ პერიოდში სტალინის ნაშრომებით გადმოცემული ბოლშევიკური სოციალიზმის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი სრულ კრიტიკას იწვევდა არა მარტო ეროვნული მიმართულების ქართულ პარტიებში, არამედ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებაშიც).

ნოე ჟორდანია 1908 წლიდან გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ საკითხს. თუ მანამდე მის ნაწერებში ეროვნული თემატიკა სრული ინტერნაციონალისტურ-მარქსისტული სულისკვეთებით განიხილებოდა, ამჯერად მისი მსჯელობა უფრო ზომიერი გახდა, თუმცა, სრულიად მიუღებელი მისი პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის, კერძოდ, დარჩიაშვილისა და ჩხენკელისათვის. 1909 წელს ჟორდანიამ დასახელებული სტატიის გარდა („ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი") გამოსცა ასევე „სადაო კითხვები"და „კიდევ სადაო კითხვები". 1912 წელს გაზეთ „ჩვენ ცხოვრებაში" დაიბეჭდა ჟორდანიას სტატია — „ძველი და ახალი", 1913 წელს კი — „ნაციონალური კითხვა ჩვენში". ეს უკანასკნელი ცალკე წიგნადაც გამოვიდა ჯერ ქუთაისში (ქართულად), შემდეგ კი ბაქოში რუსულ ენაზე. სწორედ ამ ორ უკანასკნელ სტატიას ეძღვნებოდა ჩხენკელის პუბლიკაცია — „ერი და ჩვენ".

თავის ბოლო ორ სტატიაში ნოე ჟორდანია საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას ნაციონალისტურს უწოდებდა და წერდა: „ჩვენ თავიდანვე კავკასიის თვითმმართველი ერთეულის ნიადაგზე დავდექით და ყოველი კუთხური გამოცალკავება უარვყავით. ჩვენ დღესაც ამ აზრს ვადგევართ და რაც დრო მიდის, ამ აზრს მეტი საფუძველი ეძლევა".[1] ჟორდანია საქართველოს არ მიიჩნევდა ერთ ეკონომიკურ ერთეულად და ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებლობის შემთხვევაში ის ერთ წელინადსაც ვერ გასძლებდა, „ქართველ ხალხს აღარ ჰყოფნის თავისი ტერიტორია და ის მიდის სხვადასხვა მხარეს თავის სარჩენათ", — წერდა იგი. აქედან აკეთებდა დასკვნას: „კავკასიის ეკონომიკური განვითარება ხდება და უნდა მოხდეს ადგილობრივი ერების ერთ უღელში შებმით, მათი საერთო ძალ-ღონითა და ერთიმეორის დახმარებით, მათი იურიდიული კალაპოტი უნდა იყოს ერთი, ყველასათვის ერთნაირად სავალდებულო და ხელის შემწყობი"[2].

ჩხენკელმა ჟორდანიას ასეთი დამოკიდებულებაც არ მიიღო და არც ფედერალისტების თვალსაზრისი გაიზიარა — საქართველოს სრული ავტონომიის შესახებ.

„ბევრს ჯერეც ვერ დაუღწევია თავი პირველყოფილი კოსმოპოლიტიზმისათვის., რომლისთვის არცკი არსებობდა ცნება „ერი". ავიწყდებათ, რომ თანამედროვე ინტერნაციონალიზმი შეიცავს მეტს, ვინემ ძველ კომუნისტთა კოსმოპოლიტიზმი. უკანასკნელს საქმე ჰქონდა ორ მოვლენასთან, ადამიანთან და კაცობრიობასთან, მათ შორის რომ გაჩრილი იყო ერთი ახალი მოვლენაც — ერი, ეს შეუმჩნეველი რჩებოდა. დღეს

[1] ნოე ჟორდანია, „ძველი და ახალი", ქუთაისი, 1912 წელი. გვ. 4-5.
[2] ნოე ჟორდანია, „ძველი და ახალი", ქუთაისი, 1912 წელი. გვ. 9.

ერი, ეროვნება, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი ვერ დარჩება. ამიტომაც ვეძახით ჩვენს თავს ინტერნაციონალისტებს. ერი აღიარებულია როგორც სოციალური ორგანიზმი, როგორც სუბიექტი უფლებისა, აი, სათავე თვითგამორკვევის პრინციპისა, აი, ბაზა საერთაშორისო განწყობილებისა. სოლიდარობა მშრომელ კლასთა შორის, განურჩევლათ ეროვნებისა, უნდა გარდაიქმნას მომავალში სოლიდარობად თვით ერთა შორის, აი, საითკენ მიგვაქანებს ინტერნაციონალიზმი"[1].

„სწორათ გაგებული ინტერნაციონალიზმი პირდპირ გვავალებს ჩვენ, რომ ვაწარმოვოთ ეროვნული პოლიტიკაც. ეს კი არაფრათ ეპრიანება ბევრ „ინტერნაციონალისტს".

ამას იმათ გასაგონად ამბობდა, ვინც IV სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატთა გამოსვლა და მათ მიერ ეროვნულ-კულტურული თვითმმართველობის საკითხის დასმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ჩხენკელის აზრით, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა, საზოგადოების ეს ნაწილი ეროვნული საკითხის დაყენებაში ჩამორჩა, „მან ცნო თავის ეროვნული პროგრამის უკმარისობა და კულტურულ-ნაციონალური თვითმმართველობის დროშა ააფრიალა". მისი რწმენით, სოციალ-დემოკრატიამ ეროვნულ საკითხში სწორედ ამ დროს (1912 წელი) „რუბიკონი გადალახა".

თავის ძირითადი სათქმელი ჩხენკელმა ასე ჩამოაყალიბა:

1. რსდმპ ეროვნული პროგრამა მიუღებელია ქართველი ერისათვის. მას თავი ვერ დაუღწევია კოსმოპოლიტიზმისათვის, სადაც არ არსებობს ერის ცნება;

2. სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპები უნდა შეუფარდონ ეროვნულს, მეტიც, ინტერნაციონალიზმის პრინციპი ავალებს სოციალ-დემოკრატიას ეროვნული პრობლემის გადაჭრისთვის ზრუნვას;

3. ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ უკვე გადადგა წინ ნაბიჯი ეროვნული პროგრამის დამუშავების საკითხში.

ერი, კაცობრიობა და საზოგადოება

ნაშრომის — „ერი და ჩვენ" — II თავში ჩხენკელი აყალიბებს ერისა და კაცობრიობის, ერისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებას, გვაძლევს ამ ტერმინების თავისებურ დეფინიციას.

„როცა ერის შემადგენელი ადამიანთა კრებული გრძნობს თავის ერთობას, ჭირსა და ლხინში განუყრელობას, და ეს გრძნობა გადააქვს აზროვნებაშიც, მაშინ მას შეუძლია თქვას, რომ ის არის ერი თანამედროვე მნიშვნელობით. ბუნება, გვარ-ტომობა, ერთნაირი თავგადასავალი, ხასიათი, ენა, ადათი და ბევრი სხვაც არის ის ელემენტი, რომლისგან იქმნება დროთა განმავლობაში ერი, მაგრამ ამისთვის ნიადაგი უნდა შემზადდეს თვით ცხოვრებაში"[2].

---

[1] აკაკი ჩხენკელი, ერი და ჩვენ, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2000 წელი, გვ. 17;
[2] აკაკი ჩხენკელი, ერი და ჩვენ, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2000 წელი, გვ.20;

ჩხენკელი, სტალინისა და სხვა სოციალისტ-დემოკრატთა მსგავსად, მიიჩნევდა, რომ თანამედროვე ერები ნაყოფი იყო და არის ახალი ბურჟუაზიულ-ეკონომიკური წყობილებისა, ანუ რუსეთის იმპერიაში ერთა გაჩენა XIX საუკუნის ბოლოს მიეკუთვნება. თუმცა, ერების ჩამოყალიბების დროის განსაზღვრაში მისი აზრი სტალინისას ემთხვეოდა, სხვა მხრივ იგი დაუნდობლად აკრიტიკებდა იოსებ სტალინს.

ჩხენკელის აზრით, რუსეთის იმპერიაში დემოკრატიული მმართველობის შემოღება ბევრ ვერაფერ სიკეთეს მოუტანდა ჩაგრულ ერებს. მას იმპერიის ჩაგვრის თავიდან აცილებისა და საკუთარი განვითარებისათვის აუცილებლად ჭირდებოდა კულტურულ-ნაციონალური თვითმმართველობა. ამ შემთხვევაში ის სტალინს გადაწვდა და მისი საწინააღმდეგო დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი გააკრიტიკა. „კულტურულ-ნაციონალური თვითმმართველობა არის ყველაზე უმცირესი, მინიმუმი იმისა, რაზედაც უფლება აქვს ერს, არა თუ უფლება, რომლის უმისობა გადაგვარებას მოასწავებს მისთვის. ვინც ამასაც ვერ იმეტებს ერისათვის, როგორც სტალინი, ის, მართალი გითხრათ, თვით უნდა იდგეს გადაგვარების გზაზე".

ჩხენკელის თვალსაზრისი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. ერი და საზოგადოება ერთი და იგივე არ არის, მათ შორის არსებითი განსხვავებაა; 2. სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაციაც კი, მითუმეტეს, თუ ეს სახელმწიფო იმპერიაა, სრულიად არ ნიშნავს ეროვნული საკითხის გადაჭრას; 3. ჩხენკელი მიემხრო სტალინის მოსაზრებას, რომ ერები ბურჟუაზიული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ნაყოფია, მაგრამ გააკრიტიკა იგი ერის თვითმმართველობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის, მისი აზრით, აუცილებელი იყო იმპერიაში შემავალ ერებს მიეღოთ კულტურულ-ნაციონალური თვითმმართველობა.

როგორ ესმოდა ნაციონალური სახელმწიფო აკაკი ჩხენკელს 1915 წელს

თავის ნაშრომის III თავში — „ნაციონალური სახელმწიფო" — ჩხენკელმა დააზუსტა მისი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობისადმი, ზოგადად, ეროვნული სახელმწიფოებრიობისადმი. ამ საკითხზე მსჯელობას ჩხენკელი იწყებს იმით, რომ ერი და სახელმწიფო სრულიად სხვადასხვა ცნებებია: ერი ადამიანთა თავისუფალი კავშირია, სახელმწიფო კი, პირიქით, ადამიანთა ძალდატანებითი გაერთიანება. ერისა და სახელმწიფოს მსგავსებას ის ხედავდა იმაში, რომ ორივე საზოგადოების განვითარების, ისტორიული პროცესის პირმშოა, ოღონდ, ერი უფრო ახალია, ვიდრე სახელმწიფო. მოაქვს ამის ისტორიული მაგალითები ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების არსებობიდან, შემდეგ შუა საუკუნეების აბსოლუტური მონარქიების ცხოვრებიდან და ასკვნის, რომ ამგვარი მონარქიები და დესპოტური ხელისუფლებანი არ ცნობენ ერებსა და მათ უფლებებს. ამ თავში ჩხენკელი საფუძვლიანად აკრიტიკებს ჟორდანიას იმისათვის, რომ მას დიდი ქვეყნების კოლონიების მცხოვრებნი

დამპყრობელი სახელმწიფოს ქვეშევრდომებად მიუჩნევია და ისე შეუფასებია ერისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა ამ ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთსა და ინგლისში. ჩხენკელი კი, დიდ განსხვავებას ხედავს დამოკიდებულ ერთა და კოლონიებში მცხოვრებ ხალხს შორის. ამიტომ, ქართველი ხალხი, მისი აზრით, უნდა შებრძოლებოდა რუსეთის მისწრაფებას — კოლონიად ექცია საქართველო და კავკასია. ეს იქნებოდა აქ მცხოვრები ერების დეგრადაცია. „კავკასია რუსეთის ნაწილია და არა სამფლობელო"! — აცხადებდა ჩხენკელი. თუ კოლონიებში ხვდებიან კულტურული ხალხები, რამდენადაც ისინი ერებად ჩამოყალიბდებიან, იწყებენ სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლას, დამოკიდებულმა ერებმა, ასეთად კი მისთვის საქართველო გაიაზრებოდა, უნდა იბრძოლონ პოლიტიკური უფლებებისათვის, გარეშე ძალის ბატონობის წინააღმდეგ, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი გადასახედიდან ჩხენკელის აზროვნებაში ბევრი რამ მიუღებელია, მაინც ჩანს, თუ როგორი პროგრესული და წინგადადგმული იყო მისი თვალსაზრისი ეროვნულ საკითხში მის იმჟამინდელ თანაპარტიელებთან შედარებით. მაშასადამე, ჩხენკელმა მიიჩნია, რომ: 1. ერთი და იგივე არ არის ერი და სახელმწიფო, სახელმწიფო უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე ერი; 2. კოლონიური ქვეყნები და საქართველო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, რომ კოლონიები სრულიად უუფლებონი არიან, არ ითვლებიან დამპყრობელი ქვეყნის მოქალაქეებად (საფრანგეთისა და ინგლისის მაგალითზე), საქართველო და კავკასია კი დამოკიდებული ქვეყანაა და უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ რუსეთმა არ აქციოს კოლონიად, იბრძოლოს სახელმწიფოებრიობისათვის. ჩხენკელის ეს უკანასკნელი შეხედულება, რა თქმა უნდა, არ არის სწორი, რადგან ყველანაირი თვალსაზრისით, თვით რუსი დიდმოხელეებისაც, საქართველოს რუსეთის იმპერიული წრეები ყოველთვის კოლონიად განიხილავდნენ და საამისო პოლიტიკასაც აწარმოებდნენ მის მიმართ.

ტერიტორიის საკითხი ეროვნული თვითმმართველობის პროგრამაში

ჩხენკელის ნაშრომის — „ერი და ჩვენ" — IV თავი არის „ტერიტორიის საკითხი". ავტორი იწყებს ავტონომიაზე მსჯელობით, რაც რუსეთის სინამდვილეში აღარ იყო აკრძალული და გულისწყრომის გამომხატველი სიტყვა. მართლაც, 1905 წლის ოქტომბრის მანიფესტით იმპერატორმა ქვეყანას მისცა სათათბირო ორგანო, სადაც 1906 წელსვე ჩამოყალიბდა ავტონომისტთა დიდი ფრაქცია, რომელიც აღიარებდა კულტურული თვითგამორკვევისათვის ერების მისწრაფებისათვის მხარდაჭერას. მასში ბევრი იმდროინდელი გამოჩენილი რუსი მოღვაწე შედიოდა. ჩხენკელის ეს სტატია გვიან იწერებოდა (1915) და, რა თქმა უნდა, მასში თავისუფლად შეიძლებოდა ავტონომიის საკითხზე საუბარი. „ერს სრული უფლება აქვს, რომ მოითხოვოს თვითმმართველობა, ამით ჩვენ ვაღიარებთ ერთ დიდმ-

ნიშვნელოვან პოლიტიკურ პრინციპს. როცა ამბობენ, ერს უნდა მიეცეს კულტურულ-ნაციონალური თვითმმართველობაო, ეს არის ამ პოლიტიკური პრინციპის ერთგვარი განხორციელების წადილი".

აქვე ისმებოდა ტერიტორიის პრობლემა, რაშიც ჩხენკელი აკრიტიკებდა ანის (ნოე ჟორდანიას) თვალსაზრისს. „ანმა ნიშანში ამოიღო ტერიტორია და სცადა მისი გაქარწყლება ერისთვის. წინათ თუ ის გვიმტკიცებდა, არ არსებობს ნაციონალური სახელმწიფოებიო, ახლა გვიმტკიცებს, არც ნაციონალური ტერიტორია არსებობსო. „ძველი თქმულება — ერთი ერი, ერთი მიწა, — არ გამართლდა. მრავალი ერი, ერთი მიწა, — აი, დღევანდელი მდგომარეობა", — ამბობს ან. ის მსჯელობს ასე: „ტერიტორიალური ერთობის ეკონომიური საფუძველი სასოფლო მეურნეობაა, პირადი კავშირების ეკონომიური საფუძველი — მრეწველობა და აღებ-მიცემობაა". რას ნიშნავს ეს? აი, რას: ვინაიდან თანამედროვე ერის მომავლინებელი მიზეზი მრეწველობა და აღებ-მიცემობა არის, ამიტომ ერის ერთობაც „პირად კავშირებში" გამოიხატება, აქედან, ერისათვის ტერიტორია უმნიშვნელო რამაა, ან თუგინდ მნიშვნელობაც ჰქონდეს მას, სულ ერთია, ეროვნული ტერიტორია არ არსებობს და არარსებულზე ლაპარაკი ხომ მეტაფიზიკაა! ყოველივე ეს, რასაკვირველია, ნებას აძლევს ან.-ს სასტიკი განაჩენი გამოუცხადოს ყელა ჯურის „ტერიტორიალისტებს", ვისი მისწრაფებაც „აგებულია ძველ ურთიერთობაზე, ძველებურ კარჩაკეტილობაზე და ისტორიულ უფლებებზე"[1].

ჩხენკელი ეთანხმება ან-ს იმაში, რომ კაპიტალიზმის დროს ადამიანი მიკრული აღარ არის მიწაზე, თავისუფლად გადადის ახალ საცხოვრებელ ადგილებზე, თუმცა ამას არ თვლის მისი მსჯელობის საფუძვლად. არ მიაჩნია, რომ ამით ეროვნული ტერიტორია ერებს ხელიდან ეცლებათ. „თანამედროვე ერში, — წერს იგი, — სიმძიმის ცენტრი გადმოდის სოფლიდან ქალაქში, სასოფლო მეურნეობიდან მრეწველობაზე, უძრავი ქონებიდან მოძრავ ქონებაზე, მაგრამ მთელი ეს პროცესი უმთავრესად ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ხდება. ერთათ ბინადრობა ერისა ამით კი არ იშლება, არამედ წარსულზე უფრო მეტად მტკიცდება. განსხვავება ის არის, რომ წინანდელი ერთობა უფრო სუსტი, დღევანდელი კი ძლიერია. თუ წინათ ხევი ხევს, სოფელი სოფელს ვერ იცნობდა, დღეს ისინი გადახლართულნი არიან ერთმანეთზე ათასი ძაფით და ერთი მეორის უმისოთ ვერა სძლებენ".[2]

ჩხენკელს მიაჩნია, რომ როდესაც ერი ეკონომიკურად ძლიერდება, წინანდელზე უფრო მყარად დგას თავის ტერიტორიაზე, ერის ერთი ნაწილის სამშობლოდან წასვლა და სხვაგან დასახლება არაფერს ნიშნავს, რადგან რაც აკლდება ამით ერს, უფრო მეტი ემატება ბუნებრივი ზრდის მეოხებით. ჩამოსახლებულ უცხოელებს კი თავად ემუქრებათ საფრთხე ადგილობრივებთან ასიმილაციითა და საკუთარი ეროვნული ნიშნების დაკარგვით.

---

[1] აკაკი ჩხენკელი, ერი და ჩვენ, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2000 წელი, გვ.33;
[2] აკაკი ჩხენკელი, ერი და ჩვენ, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2000 წელი, გვ.34;

რას აძლევდა საქართველოს ავსტრია-უნგრეთის იმპერიასა და ავსტრიელ სოციალ-დემოკრატთა პროგრამაში ერონული საკითხისადმი მიდგომის გამოცდილება

ვინაიდან ყველა დებულებას, რომელიც ეროვნულ საკითხსა და სახელმწიფოებრიობას ეხებოდა, ან-ი ანუ ნოე ჟორდანია ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვნული იმპერიის მაგალითზე განიხილავდა, აკაკი ჩხენკელიც დანვრილებით აცნობდა მკითხველს ამ ქვეყნის ისტორიულ ვითარებას და იქაური სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებს ამ საკითხზე. ის უარყოფდა მონინააღმდეგის აზრს, თითქოს ავსტრია-უნგრეთში ერები ათქვეფილი იყვნენ ერთმანეთში და საკუთარი ტერიტორია დაკარგული ჰქონდათ. ასევე, უმართებულოდ მიაჩნდა ჟორდანიას აზრი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაზე, რომელმაც თითქოს ეროვნულ საკითხში სულ უკუაგდო „ტერიტორიალური პრინციპი" და ხელმძღვანელობდა „პერსონალური პრინციპით". მას მოაქვს 1899 წელს ბრიუნის ყრილობაზე მიღებული ამ პარტიის პროგრამის მაგალითი, სადაც რამდენიმე მუხლით იყო განსაზღვრული პარტიის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი. ეს იყო: 1. ავსტრია უნდა გარდაიქმნეს ეროვნებათა ერთ დემოკრატიულ სახელმწიფო კავშირად; 2. ისტორიული სამეფოებისა და ქვეყნების ნაცვლად, არსდება ეროვნულად შემოფარგლული თვითმმართველი სხეულები, რომელთა კანონმდებლობა და მმართველობა მიენდობა თვითეულის ეროვნულ პალატას, არჩეულს საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

სწორედ ეს მუხლები, განსაკუთრებით კი მეორე, მიაჩნდა ჩხენკელს უტყუარ დადასტურებად იმისა, რომ ავსტრია-უნგრეთის სოციალ-დემოკრატია ტერიტორიების საკითხს არ უგულვებელყოფდა, შეგნებულად ებრძოდა ისტორიული სამეფოებისა და ქვეყნების საზღვრების დასახელებას, მაგრამ ეროვნულ საზღვრებს მოითხოვდა. მომდევნო მუხლებით კი მტკიცდებოდა, რომ ინტერნაციონალიზმით განმსჭვალული ეს პარტია უარყოფდა ერთი რომელიმე ერისა და ენის გამორჩევას და მათ თანასწორობას ემხრობოდა. ამ პროგრამის ყველა მუხლის განხილვის შემდეგ, ის ამართლებდა პროგრამის ავტორის — შპრინგერის დამოკიდებულებას იმპერიაში შემავალ ერთა თვითგამორკვევაზე და ოპონენტ პუბლიცისტს —ან.-ს მის მცდარად გაანალიზებას, ქართველი მკითხველის დაბნევას და ცრუ ინფორმირებას საყვედურობდა.

ჩხენკელი ცალკე ქვეთავებს უძღვნიდა რუდოლფ შპრინგერისა და ოტო ბაუერის თეორიების განხილვას, რასაც ეყრდნობოდა თავის ნაშრომში ან-ი და რაც მას არასწორად ჰქონდა კომენტირებული. ჩხენკელი მათ თვალსაზრისებს გადმოსცემდა, ახლებურ კომენტარებს სთავაზობდა მკითხველს და ამ თვალსაზრისებზე დაყრდნობით აკრიტიკებდა ოპონენტს. მისი საკუთარი თვალსაზრისი ამ კამათში ასე გამოიკვეთებოდა: 1. აუცილე-

ბელია ბრძოლა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისათვის, რასაც ვერ შეცვლის და ვერ გადაჭრის ვერც ამიერკავკასიის ავტონომია-თვითმმართველობა და ვერც მხოლოდ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია. 2. კაცობრიობის განვითარების ბუნებრივი პროცესი მიუთითებს ზოგად ტენდენციაზე, რომ ერთი ერი ქმნის ერთ სახელმწიფოს. 3. მრავალეროვნული სახელმწიფოები უნდა დაიშალონ და ყველა ერმა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა შექმნას.

რა თქმა უნდა, ჩხენკელის ეს დასკვნებიც დღევანდელი პოზიციიდან ვერ უძლებს კრიტიკას: ქართული სახელმწიფო ყოველთვის იყო მრავალეროვნული და ეს ხელს არ უშლიდა მის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სიმტკიცეს. მაგრამ ის, რომ, ჟორდანიასგან განსხვავებით, მას არა ამიერკავკასიის ტერიტორიული ავტონომია, არამედ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოპოვება სურდა რუსეთის იმპერიაში, წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქართულ სოციალისტურ აზროვნებაში.

რას ნიშნავდა ჩხენკელისათვის საქართველოს თვითმმართველობა

პირველ რიგში, ჩხენკელისთვის მიუღებელია საქართველოს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს იდეის წინააღმდეგ ოპონენტის ნიჰილიზმი, მას მოაქვს „კავკასიის კალენდრის" ოფიციალური სტატისტიკა, ასევე, იმპერიული სტატუსი ქვეყნისადმი, მისი დამოკიდებულება „ტერმინ —„საქართველოს" დეფინიციისადმი. აი, რას წერს ამაზე ჩხენკელი: **„საქართველო! შენი მტერია, სახიფათო გახდა ამ სიტყვის ხმარება! და თუ მაინც არ დაგიშლია, გაფრთხილებ მკითხველო, შენ ეგ სიტყვა ფრჩხილებში უნდა ჩასვა! ამით შენ გამოსთქვამ იმ უბრალო და უდავო რამეს, რომ ოდესღაც მართლა არსებულა საქართველო, ხოლო დღეს იგი არ არსებობს"**[1].

ის უწუნებს ან-ს იმას, რომ უკრიტიკოდ იღებს ოფიციალურ სტატისტიკას. ჩხენკელის კრიტიკა საკმაოდ ობიექტურია, რადგან ამ სტატისტიკაში ქართველები კუთხურობისა თუ რელიგიური ნიშნით ხშირად იყვნენ დანაწევრებულნი, მაგალითად, როგორც ჩხენკელიც აღნიშნავდა, მაჰმადიანი ქართველები „თათრებად" იყვნენ მოხსენიებულნი. „კავკასიის კალენდარი" შეცდომებს ყოველნლიურად შაბლონურად იმეორებდა.

ჩხენკელი ასკვნის: საქართველოს თვითმმართველობა აუცილებელია, ქართველ ერს აქვს თავისი ტერიტორია, სადაც ოდითგანვე ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს მისი უმეტესობა, თითქმის 95 %, მის განაპირა ოლქებში, მართალია, ცხოვრობენ არაქართველებიც, მაგრამ ძირითადი ტერიტორია ქართველებს უჭირავს, ამიტომ, საქართველოს თვითმმართველობა სწორედ ამ ისტორიულ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს. ასეთია აკაკი ჩხენკელის თვალსაზრისი იმაზე, თუ სად, რომელ ტერიტორიაზე უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს თვითმმართველობა.

---

[1] აკაკი ჩხენკელი, ერი და ჩვენ, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2000 წელი, გვ.54;

როგორ უნდა მოეწყოს თვითმმართველობა: ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი

ეს საკითხი პრინციპულ საკითხად მიაჩნდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს. სოციალ-დემოკრატები ცენტრალიზმის პრინციპს იცავდნენ, ფედერალისტები კი — დეცენტრალიზმს უჭერდნენ მხარს. ან-ი თვლიდა, რომ ეს ტაქტიკის საგანი იყო, ჩხენკელი ამას უარყოფდა და პრინციპულ საკითხად მიიჩნევდა. კერძოდ, რატომ იცავდა და რას ხედავდა მისაღებს ცენტრალიზაციაში აკაკი ჩხენკელი, კარგად ჩანს მის მსჯელობაში: „კაპიტალიზმს ახასიათებს წარმოების განსაზოგადოებრიობა, ერთი მხრით, და საწარმოო ძალთა უმცირესობის ხელში დაგროვება, მეორე მხრივ. ეს ძირითადი მიდრეკილება თანამედროვე ცხოვრებისა გამოიხატება არა მარტო შრომის განაწილებაში, ტექნიკის გაუმჯობესებაში, ან დამზადებული ნივთების ზრდაში, არამედ იმაშიც, რომ მთელი ეს პროცესი რაც შეიძლება მეტ სივრცეს იკავებს, რაც შეიძლება მეტ ხალხს ითრევს საერთო ფერხულში, მოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებულება და მიმოსვლა, რაც დღე გადის, უფრო და უფრო რთულდება, მჭიდროვდება. მათი ეკონომიკური იტერესები ისეა ერთმანეთზე გადაკვანძული, რომ შეუძლებელია და საზარალო მათი ერთმანეთისაგან გამოთიშვა, დაქსაქსვა. ხოლო რაც ცხოვრებაში ხდება, იმას აწესრიგებს ფორმალური უფლებაც: ცენტრალიზაცია ეკონომიკაში იწვევს ცენტრალიზაციას პოლიტიკაშიც. ცენტრი სცემს კანონებს, რომელიც თანაბრად ეხება ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა. აი, მოკლედ ის მთავარი აზრები, რომლითაც ხელმძღვანელობს მარქსისტი-ცენტრალისტი".

ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს ასუსტებდა ის დეცენტრალიზმი, რასაც ფედერალისტები მოითხოვდნენ. ამ შემთხვევაში კი, პრინციპულად არც ჟორდანია ეწინააღმდეგებოდა მათ, რადგან თვლიდა, რომ ეს მხოლოდ ტაქტიკის საგანი იყო. მისი აზრით, „წარმოუდგენელია სახელმწიფოს არსებობა, თუ ის მოკლებულია მის მთავარ ფუნქციებს, ე. ი. თუ ის არ განსაზღვრავს სუვერენულათ ქვეშევრდომთა როგორც პოლიტიკურ, ისე მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფო მარტო იმისთვის როდია მოვლენილი, რომ უყარაულოს ტერიტორიას, ის მოწოდებულია, გარდა ამისა, რომ შექმნას ის უფლებრივი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ყოველმხრივ აღორძინებას. ეს კი გამოიხატება ქვეშევრდომთა სრულ თანასწორობაში კანონის წინაშე, ერთის მხრით, და თვით კანონის ერთგვარობაში მეორეს მხრით. არ შეიძლება სრულ თანასწორობაზე ლაპარაკი იქ, სადაც ადამიანი სხვადასხვა კუთხეში სულ სხვადასხვა კანონს ემორჩილება...როცა ფედერალისტები მოითხოვენ თვითეული კუთხისათვის კანონმდებლობას სამოქალაქო და სოციალურ დარგებში, ამით ისინი ხელს უწყობენ სახელმწიფოს აჭრელებას უფლებრივათ, რაც ასუსტებს კავშირს სხვადასხვა კუთხის მშრომელ მასებს შორის"...

ჩხენკელს მიაჩნდა, რომ ფედერალისტების დეცენტრალიზმი უცილო-

ბლად გამოიწვევდა ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებებსა და შულლის გაღვივებას საქართველოს მოსახლეობაში.

ჩხენკელი პასუხობდა ან-ის კრიტიკას და უარყოფდა, რომ ფედერალისტები საქართველოს სახელმწიფოებრიობას უჭერდნენ მხარს, სოციალდემოკრატები კი მის თვითმმართველობას. ის ამტკიცებდა, რომ სოციალდემოკრატებიც უჭერდნენ მხარს სახელმწიფოებრიობას და ეს მცდარი თვალსაზრისი, რასაც ან-ი საყვედურობდა, მისი პარტიის რამდენიმე წევრმა ადრე გამოთქვა, როდესაც საშიშ ტენდენციებს უკავშირდებოდა ამ აზრის მიმხრობა. ჩხენკელი შიშობდა ბურჟუაზიისა და გაბატონებული კლასების ხელში არ გადასულიყო ძალაუფლება და ხალხის ჩაგვრა არ მომხდარიყო, რაც სახელმწიფოსა და ძალაუფლების მარქსისტულ განსაზღვრებას წარმოადგენდა. ეს ბუნებრივიც იყო მარქსისტი ჩხენკელისათვის, თუმცა, მისი ეს შეხედულება მას თანაპარტიელებისგან გამოარჩევდა და გაცილებით ეროვნულ და პროგრესულ მოაზროვნედ აქცევდა...

როგორი უნდა ყოფილიყო ეკონომიკის განვითარების გეზი

ჩხენკელი მკითხველს აცნობდა ოპონენტის ეკონომიკურ თვალსაზრისს, კერძოდ, ან-ის მსჯელობას, რომ საქართველო ეკონომიკურად არ იყო ერთი მთლიანი ორგანიზმი, თავადაც იზიარებდა და ფედერალისტებთან შეუთანხმებლობას სწორედ ამ კუთხით ხსნიდა. ის თავს იმართლებდა და ამტკიცებდა, რომ არ უფიქრია ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთისაგან, რასაც ან-ი სწამებდა. მართლაც, ამდროინდელი სოციალდემოკრატიის მენშევიკთა ფრთა რუსეთის იმპერიაში საქართველოს კულტურულ-ავტონომიურ თვითმმართველობაზე საუბრობდა და ისიც არა ყველა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, რომელთა შორის იყო აკაკი ჩხენკელი. რაც შეეხება პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოყოფას, ამას ისინი ამ დროს უარყოფდნენ. ამაზე თვით ამ ტექსტშიც არის საუბარი. „საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ აქვს ან.-ს წარმოდგენილი ამიერკავკასიის თვითმმართველობა, შეიძლება მისი აზრით, ეს თვითმმართველობა ამიერკავკასიის ეკონომიურათ რუსეთისგან გამოყოფას მოასწავებს! ასეთი ფარცაკი რამ არც ერთს თანამოაზრეს არ უფიქრია, არა მგონია, რომ ანი ექომაგებოდეს მას“[1].

ამას მოსდევს მისი მსჯელობა, რომ მისი პარტია არ იყო ცენტრისგან ეკონომიკურად გამოცალკავების მომხრე. ამიტომ უკვირდა ან.-ის თვალსაზრისი, თითქოს საქართველოს თვითმმართველობის მომხრეები საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მომხრეებიც იყვნენ. ის მიუთითებს ოპონენტის შეცდომაზე და თავისა და მისი თანამოაზრეების პოზიციას ასე განმარტავს: „არა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რაც მისთვის სიკვდილს მოასწავებდა, არამედ საქართველოს მკვიდრთა თანდათანი გაერთიანება სწორედ ეკონომიკურ ნიადაგზედ — აი,

[1] აკაკი ჩხენკელი, ერი და ჩვენ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2000 წელი, გვ.76;

საძირკველი, რომელზეც უნდა აშენდეს მომავალი თვითმმართველობა"...[1]

საერთო დასკვნები აკაკი ჩხენკელის შეხედულებებისა და ჟორდანიასთან მისი უთანხმოებისა ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. აკაკი ჩხენკელმა, ჟორდანიასგან განსხვავებით, შეუძლებლად სცნო ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის დაარსება; ის მხარს უჭერდა ამიეკავკასიის კულტურულ-ტერიტორიულ ავტონომიას, რაც შეზღუდული იყო იმით, რომ ცენტრიდან იმართებოდა.

2. ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ საქართველოს მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო ავტონომია უნდა მიეღო, თანაც ეს დარგი უნდა ემართა არა ადგილობრივ, ამიერკავკასიის სეიმს, არამედ ცენტრს, საიმპერიო პარლამენტს. ეს შეხედულება სრულიად განსხვავდებოდა ნოე ჟორდანიას ნაშრომის —„ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი" (ქუთაისი, 1908 წელი) ბოლო სიტყვებისაგან: „ნაციონალური ენა და კულტურა ამიერკავკასიის ყველა ერთა თანხმობითა და ერთი მეორის დახმარებით — აი, ჩვენი ხალხის დღევანდელი ნაციონალური თვითგამორკვევა."

3. ჩხენკელმა ამხილა საკუთარი პარტია, რომ ის ეროვნულ საკითხში არასწორ გზაზე იდგა, თუმცა, ეს არ დააბრალა არც იმ იდეოლოგიას, რომელსაც სოც-დეკები მიჰყვებოდნენ, არც ამ პარტიის წევრთა ეროვნულ საკითხში არასწორ ცოდნასა და გაუაზრებელ პოლიტიკას, არამედ იდეურ მოწინააღმდეგეებს, რაც ცოტა გაუგებარი მსჯელობა იყო.

4. თავისთავად, ჩხენკელის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი XX საუკუნის 10-იანი წლების შუა ხანებში პროგრესული იყო თანაპარტიელებთან შედარებით, თუმცა ეს აზროვნება სოციალ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების მოწინავე ეროვნულ შეხედულებებს ვერ შეედრებოდა.

აქვე უნდა შევეხოთ მეორე, გაცილებით თამამი სოციალ-დემოკრატის — ლადო დარჩიაშვილის თვალსაზრისს ნოე ჟორდანიას იმავე ნაშრომებზე, რომელთა კრიტიკასაც ეძღვნება აკაკი ჩხენკელის ზემოთ განხილული სტატია.

„ან-მა ამ ბოლო დროს გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილებისა, — წერდა ლადო დარჩიაშვილი იმავე პერიოდში, — სადაც ის არკვევდა აღნიშნულ საკითხთ. სიმართლე უნდა მივუზღოთ, ეს წერილები უფრო საყურადღებოა და სერიოზული, ვიდრე ყველა ის, რაც კი ხსენებულ საგანზე ქართულ პრესაში დაიწერა ამ ბოლო ხანებს. ან-ი არღვევს ნაციონალური ბრძოლის ზედაპირს, ცდილობს ჩაგვახედოს მის გულის სიღრმეში და გვაჩვენოს, თუ იქ როგორ არის ჩაქსოვილი კლასიური ინტერესები. მაგრამ, სამწუხაროთ, ამ თვალთა ხედვის წერტილს იგი ბოლომდის ლოლიკურად ვერ ატარებს, მას წამდაუწუმ სცდება. ამიტომ, მის წერილებში სწორე და მრუდე შეხედულებები ერთმანეთს სცვლიან და ბოლოს ხელში გვრჩება ყალბი დასკვნები საკითხის როგორც პრინციპიალურ, ისე პრაქტიკულ სფეროში".

ამის მიზეზად დარჩიაშვილს მოაქვს ის, რომ ჟორდანიას ეს მოსდიო-

[1] აკაკი ჩხენკელი, ერი და ჩვენ, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2000 წელი, გვ. 78;

და „პოლემიკის ჟინიანობით“, ან გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმით, რომელსაც თავი ასპარეზზე გამოსვლისთანავე დააღწია, „მაგრამ იმ ჯგუფმა, რომელმაც ანი თითქმის იმ თავიდანვე ხელში აიტაცა საგოგმანებლათ, მაგრათ შებოჭა გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმის არტახებით“.[1]

ნაციონალიზმის წინააღმდეგ ამხედრებამ, დარჩიაშვილის აზრით, ჟორდანია უფსკრულში გადააგდო. მან საქართველო ორ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ ბანაკად გაყოფილი წარმოიდგინა: ერთი მხრივ იყო ყველა პარტია და მეორე მხრივ — სოციალ-დემოკრატები.

ეროვნულ საკითხში ჩხენკელის თვალსაზრისი 1917 წლიდან ნელ-ნელა, სრულად იცვლება, ის ამ მიმართულებით ყველაზე მისაღებ და ჯანსაღ პოზიციაზე დგება. რაც შეეხება ნოე ჟორდანიასთან მის ურთიერთობას, მათ შორის მცირეოდენი შინაგანი უთანხმოება და დაძაბულობა ყოველთვის იყო, ეს კარგად ჩანს მის ეპისტოლურ ნაწერებში, ჩანს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ ბათუმიდან გამოგზავნილ წერილსა თუ თანაპარტიელებთან მიმოწერაში. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი აკაკი ჩხენკელი ყოველთვის ცდილობდა არათუ თანაპარტიელებთან და, მითუმეტეს, ლიდერთან, არამედ ყველა ქართველთან საქმიან და განონასწორებულ ურთიერთობას.

აკაკი ჩხენკელი — რუსეთის IV სახელმწიფო დუმის დეპუტატი

1912 წლის 29 აგვისტოს რუსეთის იმპერატორმა დაითხოვა III სახელმწიფო სათათბირო და 10 სექტემბრიდან დანიშნა IV სათათბიროს არჩევნები. ეს სათათბიროც, III-ის მსგავსად 1907 წლის 3 ივნისის კანონით ირჩეოდა. კანონში გარკვეული ცვლილებები და დამატებები იყო შეტანილი. ასარჩევ დეპუტატთა ოდენობა პროპორციულად არ იყო განაწილებული: იმპერიის მთელ მოსახლეობაზე 442 დეპუტატიდან 403 დეპუტატს ირჩევდა ევროპული რუსეთი, 15-ს აზიური რუსეთი, 14-ს პოლონეთი, 10-ს კავკასია. ამ 10 დეპუტატიდან 3 — რუსი მოსახლეობისათვის იყო განსაზღვრული. დანარჩენი 7 დეპუტატი განაწილებული იყო არა რეალური მოსახლეობის მიხედვით, არამედ ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად. 2 დეპუტატი მიეკუთვნებოდა იმიერკავკასიის ადგილობრივ მოსახლეობას, 5 ამიერკავკასიას: 3 ქართველებს, 1-1 კი სომხებსა და მაჰმადიანებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის მეფისნაცვალი — ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, რევოლუციური მდგომარეობის გამო, ერიდებოდა ნაციონალისტური ნრეების შესვლას საკანონმდებლო ხელისუფლებაში და მათთან შედარებით ხელისუფლებისთვის ნაკლებ საშიშად სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს თვლიდა. მაშასადამე, ქართველ სოციალ-დემოკრატებს არჩევნებში ერთგვარად ხელისუფლების მხარდაჭერაც ჰქონდათ. ამან განაპირობა ამ პარტიის წარმატება ოთხივე სათათბიროს არჩევნებში.

---

[1] ვლადიმერ დარჩიაშვილი, რჩეული, პუბლიცისტიკა, თეორიული კვლევები, ესსეები, პირადი წერილები, გამომცემლობა „ლამპარი“, თბილისი, 2001, გვ. 324;

საარჩევნო კანონში შეტანილ სიახლეებს ბევრი ნაკლი ჰქონდა. ერთ-ერთი იყო ისიც, რომ გეოგრაფიული, ეკონომიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით ერთანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ართვინისა და ბათუმის ოლქები და სოხუმის ოკრუგი ხელოვნურად გაერთიანდნენ ერთ საარჩევნო ოლქად. აქ არჩეული დეპუტატი ვერაფრით შეძლებდა თანაბრად გაენაწილებინა ძალები სამივე რეგიონის მოსახლეობის ინტერესთა დასაკმაყოფილებლად. აკაკი ჩხენკელი სწორედ ამ ოლქიდან აირჩიეს რუსეთის IV სახელმწიფო დუმის დეპუტატად.

ბათუმის, ართვინის და სოხუმის ოკრუგი შედიოდა VI საარჩევნო ოლქში. აქ 25 ამომრჩეველი ირჩეოდა, აქედან 14 ოკრუგებიდან.

ბათუმის ოკრუგი: 6 ამომრჩეველი: მემამულეთა კურიიდან — ჯემალ-ბეგ აჭარელი, გადამდგარი პოლკოვნიკი, მემარჯვენე; საქალაქო კურიიდან: 1. გრიგოლ სტანისლავის ძე სოღორაშვილი — ჟურნალისტი, ქართველი კათოლიკე, სოციალ-დემოკრატი; 2. კაპიტონ ალექსანდრეს ძე გოგოლაძე, ბულალტერი, სოც-დეკი; 3. ფილიპე ანდრიას ძე ქიქავა — ზეინკალი, სოც-დეკი. გლეხთა კურიიდან: ჰეილულ ბეგ აზაბ-აღა-ზადე — მუსლიმი გლეხი სოფ. მაჭახლისპირიდან, მემარჯვენე; მუშათა კურიიდან: პავლე კოკის ძე დოლბაიძე — ბათუმის ქარხანა „მარსის" მუშა, სოც-დეკი.

ართვინის ოკრუგი: 3 ამომრჩეველი.

საქალაქო კურიიდან: 1. აკოფ პეტროსის ძე ფილოიანი — „ბრიტიშ პეტროლიუმის" ბათუმის კანტორის მმართველი, პროგრესისტი; გლეხთა კურიიდან: 1. ახმედ აღა ჩილ ჰუსეინ-ოღლი — გლეხი სოფელ ქვაცხანადან, უპარტიო; 2. მოლა ქარიმან მევლუდ აღა- ოღლი — გლეხი სოფ. შაეგულარიდან, უპარტიო.

სოხუმის ოკრუგი: 5 ამომრჩეველი.

მემამულეთა კურიიდან: 1. ალექსანდრე გრიგოლის ძე შერვაშიძე, თავადი, პროგრესისტი; 2. მელიტონ ემხვარი, თავადი, პროგრესისტი;

საქალაქო კურიიდან: 1. ივან შარვანის ძე კოზმავა, ნოტარიუსის თანაშემწე, სოციალ-დემოკრატი; გლეხთა კურიიდან: 1. პავლე იორდანეს ძე ჩაჩა, ბერძენი, სოფლის მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი; 2. აკაკი ივანესძე ჩხენკელი, იურისტი, ნაფიცი მსაჯულის თანაშემწე, სოციალ-დემოკრატი.

ოხრანკის ინფორმაციით, ბათუმის ოლქში არჩევნების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება იყო. სოხუმის ოლქში უფრო მეტი აქტიურობა ჩანდა, აქ სოციალ-დემოკრატები აქტიურობდნენ, ზოგადად კი, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქართველები იყვნენ სხვებზე მეტად ჩართულნი. ერთმანეთს ძირითადად 2 ბლოკი — ნაციონალისტებისა და პროგრესისტების (ნიკოლოზ თავდგირიძე, ალექსანდრე შერვაშიძე, ტატაშ მარშანია) და სოციალ-დემოკრატები (აკაკი ჩხენკელი, ივანე კოზმავა, დიმიტრი ზახაროვი) უპირისპირდებოდა.[1]

არჩევნებში მონაწილეობისათვის საჭირო ქონებრივი ცენზი აკაკი ჩხენკელს არ ჰქონდა. ამისთვის მან წარადგინა მეუღლის — მაკრინე თურ-

[1] სცსსა, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე 2709, მიმონერა ოხრანკასთან IV სახ. სათათბიროს შესახებ.

ქიას სავაჭრო დუქანი ოჩამჩირეში.

ხელისუფლება კარგად იცნობდა მამა-შვილ ჩხენკელების ეროვნულ მოღვაწეობას აფხაზეთში. ამიტომ, მან წინასწარ იზრუნა ახალგაზრდა, განათლებული და რუსულ იმპერიულ პოლიტიკასთან შეურიგებელი აკაკი ჩხენკელის საარჩევნო პროცესიდან ჩამოშორებაზე: 1911 წლის 3 ნოემბერს მას 5 წლის ვადით აუკრძალა კავკასიაში ცხოვრება და როსტოვში გადაასახლა.

არჩევნების დღეს, 2 საათით ადრე, ჩხენკელი ჩუმად ჩამოვიდა ბათუმში და მივიდა ქალაქის თვითმმართველობის შენობაში, სადაც დეპუტატის არჩევა უნდა მომხდარიყო. მკვლევარი ბონდო კუპატაძე ამ ისტორიული მომენტის შესახებ ორი თანამედროვის, სოციალ-დემოკრატების — (ვალერიან ჩუბინიძე და ვასო წულაძე) მოგონებას ერთმანეთს ადარებს და ჩუბინიძის მიერ მოტანილ ფაქტს — თითქოს ჩხენკელის მეტოქე არჩევნებში იყო სოხუმის ქალაქის თავი — ნიკო თავდგირიძე, ან გრიგოლ ვოლსკი, არ მიიჩნევს სწორად. არგუმენტად მოაქვს ის, რომ თავდგირიძე ამომრჩევლადაც კი ვერ გავიდა და პირველივე ეტაპზე დამარცხდა, ვოლსკი კი არ ყოფილა დეპუტატობის კანდიდატი. მისი აზრით, სწორია ვასო წულაძე, რომელიც ჩხენკელის ძირითად მოწინააღმდეგედ არჩევნებში ალექსანდრე შერვაშიძეს ასახელებს და დეტალებში აღწერს მათ ორთაბრძოლას.[1]

მკვლევრის ამ არგუმენტს ოხრანკის დოკუმენტებიც მოწმობს.

შერვაშიძე 30 შეიარაღებული თანმხლებით მივიდა არჩევნებზე. ვასო წულაძე იგონებს: „ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში იყო დანიშნული არჩევნები, რომელიც სრულ თორმეტ საათზე უნდა დაწყებულიყო. მანამდე დერეფანში ვუცდიდით და მოლაპარაკებას ვეწეოდით ამომრჩევლებთან. აკაკი ჩხენკელი დიდ ამბავში იყო. ის ყარსიდან ჩამოსულ ამომრჩევლებს — თათრებს უხსნიდა თავის საარჩევნო პროგრამას, რომელსაც ჩვენი თარჯიმანი უთარგმნიდათ. დარბაზის გახსნის დრო იყო და თავმჯდომარე კი — დამოუნის ჩინოვნიკი ზიკოვი — რატომღაც კრებას არ ხსნის. თურმე, ნუ იტყვით! რაღაცას უცდიან, ნამესტნიკთან დეპეშა ჰქონიათ გაგზავნილი, რომ ჩხენკელი, როგორც როსტოვში ადმინისტრაციულად გადასახლებული და ახლა აქ მყოფი, დაიჭირონ და ამით უზრუნველყონ შერვაშიძის არჩევა. და აი, კიდევაც, ბათუმის პოლიცმეისტერი რუჩი, გააფთრებული კიბეზე ამორბის, ხელში უკავია დეპეშა და ხმამაღლა ყვირის: „გასპადინ ჩხენკელი, გასპადინ ჩხენკელი!“ ჩხენკელი დააპატიმრეს და წაიყვანეს, რამაც მისდამი დამოკიდებულება შეცვალა, გაზარდა ამომრჩეველთა სიმპათია. „საარჩევნო დარბაზი გახსნეს და არჩევნებს შეუდგნენ. აკაკი ჩხნკელმა მიიღო 14 ხმა, ხოლო შერვაშიძემ — 12. არჩეული იქნა ჩხენკელი. ამასობაში პოლიცმეისტერს ჩხენკელი გუბერნატორთან წაეყვანა. იქ ხელი მოაწერინეს რომ იმ საღამოსვე დატოვებდა ბათუმს“. მაგრამ ვინაიდან ის უკვე არჩეული იყო დეპუტატად, მეორე დღეს იმავე გუბერნატორმა, ვინც აპატიმრებდა, პატივით მიიღო და,

[1] ბონდო კუპატაძე, საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2005, გვ. 57-58.

კანონის მიხედვით, საგზაო ხარჯები და საჭირო საბუთებიც მისცა.[1]

საარჩევნო კანონის თანახმად, ჩხენკელს, როგორც იმპერიის უმაღლესი ორგანოს დეპუტატს, მოეხსნა საპოლიციო მეთვალყურეობა და მხოლოდ 300 მანეთის ჯარიმის გადახდა დაეკისრა თვითნებური გადაადგილებისათვის.

აკაკი ჩხენკელთან ერთად, IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ამიერკავკასიიდან იყვნენ: კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, ირაკლი წერეთელი, ვარლამ გელოვანი[2], მათე სკობელევი[3], მიხეილ პაპაჯანოვი[4] ერევნის გუბერნიიდან, იუსუფ ჯაფაროვი[5] ბაქოს, ერევნისა და ელიზავეტპოლის მუსულმანური მოსახლეობის წარმომადგენელი.

სოციალ-დემოკრატია ამიერკავკასიაში ყველაზე გავლენიანი ძალა იყო, რაც ამ არჩევნებმაც დაადასტურა. მას უკვე ჰქონდა სერიოზული პოლიტიკური გამოცდილება წინა სათათბირიოებში მოღვაწეობით. ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, ირაკლი წერეთელი გამოცდილ პოლიტიკოსებად ჩამოყალიბდნენ, მათ ამჯერად აკაკი ჩხენკელი დაემატა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ დროისათვის (1912) სოციალ-დემოკრატიამ გარკვეული ტრანსფორმირება განიცადა. მის რიგებში გაჩნდა ავტონომისტთა ფრაქცია ლადო დარჩიაშვილისა და აკაკი ჩხენკელის სახით. ჩხენკელმა ადგილობრივი პარლამენტის იდეაც კი წამოაყენა.[6] ნოე ჟორდანიამ

---

[1] გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, I ტომი, გვ. 67-85, თბილისი, 1991.

[2] ვარლამ გელოვანი (1878-1915), — პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1906). სტუდენტობის დროს იყო ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე. იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. 1912 ვ. გელოვანმა სათათბიროში საქართველოს ავტონომიის საკითხი დააყენა. I მსოფლიო ომის დროს იყო კავკასიის ფრონტზე სახელმწიფო სათათბიროს სანიტარული რაზმის მეთაური.

[3] მათე სკობელევი (1885-1938), — IV სათათბიროს ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი, აღმსარებლობით მოლოკანი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ინჟინერ-ტექნოლოგი, დაამთავრა ვენის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ბაქოში მისი საარჩევნო კამპანიის წამყვანი იყო ნოეჟორდანიას მეუღლე ინა კორენევა, რისთვისაც მას 3 წლით აეკრძალა კავკასიაში ცხოვრება. კერენსკის მთავრობაში სკობელევი შრომის მინისტრი გახდა. შეეწირა საბჭოთა რეპრესიებს.

[4] მიხეილ პაპაჯანოვი (1869-1930)., — პოლიტიკური მოღვაწე თბილისის პირველი გიმნაზიის კურსდამთავრებული. სწავლობდა ნოეოროსიისკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე. რუსეთის მე-4 მოწვევის დუმის დეპუტატი ბაქოს, ელისავეტპოლსკისა და ერევნის გუბერნიიდან. 1912 წლიდან პარტია „დაშნაკცუთუნი"-ს წევრი.მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში. საადვოკატო პრაქტიკას ეწეოდა ერევანში, ალექსანდროპლსა და თბილისში. 1899 წლიდან ცხოვრობდა ბაქოში.1912 წლიდან რუსეთის მე-4 მოწვევის სახელმწიფო დუმის დეპუტატია და კონსტიტუციურ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი. მონაწილეობა მიიღო 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში; 1917 წლის 27 თებერვლიდან გახდა სახელმწიფო დუმის დროებითი კომიტეტის წევრი, (ВКГД); ხოლო 9 აპრილიდან დაინიშნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის კომისრად. 1917 წლის 12 ოქტომბერს უარი თქვა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისრის თანამდებობაზე.

[5] იუსუფ ჯაფაროვი, — ჯაფაროვი მამედ-იუსუფ ჰაჯიბაბა - (1885-1938) აზერბაიჯანელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის მეოთხე მოწვევის სათათბიროს დეპუტატი, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი, ამიერკავკასიის ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარი, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

[6] გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლაბურჟუაზიული და ნერილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903-1923), თბილისი 1974, გვ.131.

კი, რომელიც მანამდე საქართველოს ყოველგვარ ავტონომიას ებრძოდა, კულტურული ავტონომიის იდეას დაუჭირა მხარი.[1]

მიუხედავად სიძნელეებისა, აკაკი ჩხენკელი სახელმწიფო დუმაში თავდადებით მუშაობდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესთა დასაცავად, სახელმწიფო სათათბიროში მუდმივად იცავდა როგორც პარტიულ, ასევე ეროვნულ ინტერესებს, აყენებდა საქართველოს კულტურული ავტონომიის საკითხს. ჩხენკელის აქტიურობა კარგად ჩანს სათათბიროს სტატისტიკური მონაცემიდან:

აკაკი ჩხენკელი IV სათათბიროს 6 მუდმივმოქმედი კომისიის წევრი იყო, რვაჯერ იყო არჩეული სხვადასხვა საპარლამენტო კომისიის წევრად, 22-ჯერ ხელი მოაწერა სხვადასხვა კითხვას, 49-ჯერ რეპლიკა ესროლა სიტყვით გამომსვლელს, 81-ჯერ შენიშვნა მიიღო სათათბიროს თავმჯდომარისგან, 5-ჯერ სიტყვა გააწყვეტინეს, 4-ჯერ დარბაზიდან გააძევეს. მარტო 1916 წელს ის 49-ჯერ გამოვიდა სიტყვით.[2]

ამ მონაცემთა მიხედვით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ აკაკი ჩხენკელი არაორდინალურად თამამი და დაუოკებელი პიროვნება გახლდათ, მაგრამ ეს ასე არ იყო. ამგვარი რამ მხოლოდ იმ მომენტებში ხდებოდა, როდესაც მისთვის სრულიად მიუღებელი გადაწყვეტილებების მიღების საშიშროება იდგა, სხვა შემთხვევაში ის წყნარი, ჩუმი და მომლაპარაკებელი, შემთანხმებელი ადამიანი უფრო იყო, ვიდრე მეამბოხე და დაუმორჩილებელი.

როგორც ისტორიკოსი გელა საითიძე აღნიშნავს, მისი გამოსვლა სათათბროს ტრიბუნაზე 1912 წლის 10 დეკემბერს საქართველოს ავტონომიის საკითხზე გამორჩეულია იმით, რომ მან ეს საკითხი სამი დღით ადრე წამოაყენა, ვიდრე ცნობილმა სოციალისტ-ფედერალისტმა დეპუტატმა ვარლამ გელოვანმა, რომლის სიტყვა ქართველი პატრიოტი დეპუტატის სითამამისა და ეროვნული სულის გამოვლენის ნიმუშად არის მიჩნეული. მან ამ სიტყვაში სასტიკად გააკრიტიკა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და წამოაყენა საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი[3]. მოვიტანთ ჩხენკელის გამოსვლის სრულ ტექსტს (თარგმანი ჩვენია):

ჩხენკელი (ყარსის და ბათუმის ოლქები, სოხუმის მხარე). ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრებო, მე ერთში ვეთანხმები წინამორბედ ორატორს, ბარონ მეიენდორფს, 17 ოქტომბრის პარტიის უკან ნამდვილად არ დგანან მასები, მაგრამ მის უკან დგას 3 ივნისის კანონი. ახლა კი გადავდივარ ჩემ სიტყვაზე. თავს უფლებას მივცემ თქვენი ყურადღება შევაჩერო ერთ-ერთზე იმ სამ ვეშაპთაგან, რომლებზედაც, ორივე საკანონმდებლო დაწესებულებისა და მთავრობის დიდი უმრავლესობის აზრით, თითქოსდა დამოკიდებულია რუსეთის მთელი მომავალი, — მხედველობაში მაქვს 5

[1] საქართველოს რაინდი არჩილ ჯორჯაძე (ტექსტი მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და პირთა საძიებელი დაურთო ლეილა ნანიტაშვილმა), თბილისი, 1991, გვ.306.

[2] გელა საითიძე, III და IV სახელმწიფო სათათბიროს ქართველი დეპუტატები, თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 2017 წლის წლიური საკვლევი ნაშრომის ხელნაწერი.

[3] გელა საითიძე, აკაკი ჩხენკელის პირველი გამოსვლა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები," 2002, №2, გვ. 76

დეკემბერს ამავე ტრიბუნიდან, ბატონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ნაქადაგევი მებრძოლი ნაციონალიზმი. ის არახალია, თუმც, ამავე დროს, არც ძველია, რადგან მას მოქმედებაში უშვებენ თავიანთი უიმედო პოზიციის გასამაგრებლად. ეგრეთწოდებული განახლებული წყობა ჩვენში აღინიშნა წამოწევითა და ხაზგასმით ნაციონალური მომენტისა, ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა შესაძლო გამოვლინებაში. თავისთავად, რუსეთის პირობებში, რომელსაც უამრავ ეროვნებათა არსებობა ართულებს, **ნაციონალური მომენტის წინ წამოწევა და ხაზგასმა არ წარმოადგენს არანორმალურ მოვლენას.**

განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში, რუსეთის მრავალფენიანი მოსახლეობის დემოკრატიული მოთხოვნების რიცხვში, თვალსაჩინო ადგილს იკავებდა, ეროვნული ჩაგვრისა და დამცირებისკენ მიმართული ყველა კანონისა და განკარგულების დაუყოვნებლივ გაუქმება, აგრეთვე მოთხოვნა — დაჩაგრული ერებისადმი იმ უფლებების მინიჭებისა, რომლებიც მათ თავისუფალი განვითარების გარანტიას მისცემდა. მაგრამ ამ მოთხოვნებს, ისევე, როგორც ბევრ სხვასაც, განხორციელება არ ეწერა. კონტრრევოლუციამ ისინი სისხლში ჩაახშო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. **(კრუპენსკი 1: თქვენ მიერ დაღვრილი).** ჩვენ ყველანი მოწმე ვიყავით თავისი მასშტაბებით და სისასტიკით არგაგონილი ებრაელთა დარბევის და სომეხ-თათართა ხოცვა-ულეტისა. სათავე, ვგულისხმობ, ამ ადამიანთმოძულეობის საწყისისა, ჩადებულია ეგრეთწოდებული კონსტიტუციის საფუძველში, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს ერთ-ერთ გზის მანათობელ ვარსკვლავად იქცა ივნისის გადატრიალებისას. მესამე სახელმწიფო სათათბირო თავისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე, არა მხოლოდ სისტემატურად ინონებდა მთავრობის ყველა ანტიეროვნულ პოლიტიკას, არამედ თვითონაც, ასე ვთქვათ, საკუთარი ინიციატივით, გამოსცემდა ახალ-ახალ შემზღუდავ კანონებს არარუს ეროვნებათა მიმართ. მას, ამ სახელმწიფო სათათბიროს, რომელიც თვითონ ხალხის უკანონობის წინააღმდეგ გიგანტური ბრძოლიდან იყო გამოსული, სრულიად არ შერცხვა, ეს უკანონობა ფინელ ხალხზე გაევრცელებინა, მას, რომელიც მუდმივად პრეტენზიას აცხადებდა, რომ მისი წევრების უმრავლესობა სლავთა საერთო ოჯახის წევრები იყვნენ, არ შერცხვა, სილა გაეწნა სლავური წარმომავლობის ერთ-ერთი ყველაზე კულტურული ერისთვის, კერძოდ პოლონელებისთვის. მან სამარცხვინოდ გააუქმა ადგილობრივი ენების გამოყენება სასამართლოებში, რითაც მოახდინა მართლმსაჯულების პროფანირება. ის ყოველნაირად ხელს უწყობდა არარუსულ სკოლებში გარუსების პოლიტიკის გაბატონებას. ერთი სიტყვით, მესამე სათათბიროს უმრავლესობა წარმოჩნდა, როგორც რუსეთის მოსახლეობის უზარმაზარი ნაწილის შეურიგებელი მტერი. არ არსებობს მსოფლიოში მეორე ისეთი ტრიბუნა, საიდანაც გაისმებოდა თავისი სახელმწიფოს სხვა ეროვნების მოსახლეობის მიმართ სიძულვილისა და ზიზღის ისეთი რაფინირებული ფრაზები, როგორიც სწორედ ამ ტრიბუნიდან.

თქვენ თავს ნება მიეცით გეცინათ ამას წინათ, როდესაც ჩემმა მეგობარმა ფრაქციიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წერილობით განცხადებას დეკლარაცია უწოდა. დაგავიწყდათ, რომ სრულიად რუსეთის მუშათა კლასის სახელით წარმოდგენილი დეკლარაცია, შესაძლოა იმაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ის დეკლარაცია, რომელიც მთავრობამ წარმოგიდგინათ.

მუშათა კლასი ახლა მხოლოდ დეკლარირებს, მაგრამ შესაძლოა არც ისე შორს იყოს ის დრო, როდესაც იგივე მუშათა კლასი დეკრეტებსაც გამოსცემს. **(ტაში მარცხენა მხრიდან, ხმა მარჯვნიდან: ოჰ, როგორ შეგვაშინეთ!).** ბატონო კრუპენსკი, თქვენ, მგონი, ვერ გაიგეთ მოლდოვური პოლიტიკა, რომელზედაც აქ იყო საუბარი; თუმცა, თქვენთვის ცნობილია, რაში გამოიხატება მოლდოვური პოლიტიკა რუმინეთში, გლეხებთან მიმართებაში; აშკარაა სწორედ იგივე ხდება თქვენთან ბესარაბიაში **(კრუპენსკი 1: არა, არა!).** თუ არ იცით, ცოტა უნდა ისწავლოთ.

თავმჯდომარე: თუ შეიძლება, ადგილებიდან შენიშვნების გარეშე.

ჩხენკელი: როგორი იქნება არარუსებთან მიმართებით მეოთხე სახელმწიფო სათათბირო? ამ კითხვაზე საკმაოდ გარკვეული პასუხი მივიღეთ. მთავრობის მეთაური თავის დეკლარაციაში რუსული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად ასახელებს **„ისტორიით გაბრწყინებულ რუსთა უპირატესობის პრინციპს"**, ან უფრო ზუსტად, „ველიკორუსულ ეროვნებისას". სხვა ერების მიმართ მხოლოდ ხაზს უსვამს, არსებული კანონების თვალსაზრისით, დანაშულებრივ დაყოფას რუსეთის მოქალაქეებისა ორ, არათანასწორუფლებიან კატეგორიად. არსებითად კი, ის კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლება კვლავ დარჩება თავისი ანტიეროვნული პოლიტიკის ერთგული.

ამასთან, სამინისტროს მეთაური, არცთუ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ მეოთხე მოწვევის სახელმწიფო სათათბირო, თავისი წინამორბედის ანდერძის ერთგული, სრულიად შეუერთდება ამ პოლიტიკას. მემამულეთა და ჩინოვნიკთა წარმომადგენლებით შემდგარი სათათბიროსგან სხვა არც არაფერი იყო მოსალოდნელი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ბატონო სათათბიროს წევრებო, ნაციონალური უმრავლესობისგან, ისეთი მომენტები, როდესაც თქვენი მოსაზრებები ერთმანეთს არ დაემთხვევა, თუნდაც ზედაპირულად, მაგრამ შეუძლებელია ისეთი მომენტის წარმოდგენა, როდესაც თქვენ ყველანი ერთად მეგობრულად არ დაიცავთ, ზოგჯერ კი ხოტბასაც არ შეასხამთ ყველა სამთავრობო ღონისძიებას, რომლებიც მიმართული იქნება ჩაგრული ერების წინააღმდეგ. ჩვენ, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები, ნათლად ვაცნობიერებთ ამ ბარბაროსული პოლიტიკის უკიდურესად მავნებლურ შედეგებს მთელი სახელმწიფოსათვის და ამიტომაც ენერგიულად ვეწინააღმდეგებით მას.

ჩვენ კატეგორიულად ვამტკიცებთ, რომ ერთი ეროვნების დაპირისპირებით ყველა დანარჩენის მიმართ დაინტერესებულები არიან გაბატონებული კლასები და მათი „კომიტეტი" — გაერთიანებული მთავრობა,

რათა ამ გზით ჩაახშოს მშრომელი კლასების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები. ამას გარდა, ისინი დაინტერესებულნი არიან თავიანთი უნიჭო შვილები უზრუნველყონ „თბილი ადგილებით" ქვეყნის განაპირა მხარეებში და საპოლიციო ზომებით შეავიწროვონ არარუსი კონკურენტები ეკონომიკურ სარბიელზე.

არარუს ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკას მოაქვს უშუალო ზიანი თავად რუსი ხალხისთვის, რადგან აღვიძებს და აღვივებს რა მის შედარებით შეგნებულ ნაწილში თანამედროვე ადამიანისათვის შეუფერებელ ინსტიქტებს, ამით ის ახდენს მისი პოლიტიკური ძალებისა და გაქანების პარალიზებას ელემენტარული დემოკრატიული უფლებების მოსაპოვებლად. ხშირად საუბრობენ ებრაული სიღარიბით გამოწვეულ საშინელებებზე, დარბევების დროს, მაგრამ არც ისე ხშირად ლაპარაკობენ იმ გამხრწნელ ზეგავლენაზე, რომელსაც ეს დარბევები ახდენენ თვით რუსთა მასებზე. სოციალ-დემოკრატებს ხშირად აკრიტიკებენ ინდიფერენტული დამოკიდებულებისათვის იმ ეროვნებათა ბედის მიმართ, რომელთაც თავდ ეკუთვნიან. ამ სულისკვეთებით იყო გამოთქმული შენიშვნა ერთი მხრიდან (**მიუთითებს მარჯვნივ); მათ ხშირად უწოდებენ Faterlandslose,** ესე იგი სამშობლოს არმქონეთ და არმცნობთ. ამ ბრალდებაში მცირეოდენი სიმართლეც კი არ ურევია.

მე თავად მივეკუთვნები ერთ-ერთ დაჩაგრულ ერს, კერძოდ ქართველი ვარ და ასე ვთქვათ, საკუთარ ტყავზე ვცდი ნაციონალური ჩაგვრის მთელ არაადამიანურობას. ასე რომ განუსჯელობაა მტკიცება იმათი ინდიფერენტულობისა, ვინც ამ უსამართლობას უშუალოდ განიცდის.

ჩემი მსოფლხედველობა ოდნავადაც არ მიშლის ხელს დავდგე ჩემი ხალხის კულტურისა და ზოგადად ინდივიდუალიზმის დაცვის სადარაჯოზე, პირიქით, მავალდებულებს მტკიცედ ვემსახურო ამ ამოცანას. მაგრამ საკუთარი ხალხის დაცვა ეროვნული ჩაგვრისგან ჯერ კიდევ არ ნიშნავს, ჯერ ერთი, თვალი დახუჭო თვით ამ ერის შიგნით მიმდინარე სოციალურ ბრძოლაზე, მეორეც — დაივიწყო მთელი რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ერების საერთო ინტერესები.

ნაციონალისტები სწორედ იმით განსხვავდებიან ჩვენგან, რომ კლასთა ბრძოლის ჩანაცვლება ეროვნული ბრძოლით სურთ. მესამე სახელმწიფო სათათბიროში ერთ-ერთმა ცენტრისტმა დეპუტატმა, კერძოდ ფონ ანდრენმა განაცხადა, რომ სახელმწიფო სათათბიროს ეროვნული უმრავლესობა უცხოტომელთა (არარუსთა) სიყვარულსა და პატივისცემას საჭიროებს, მას კი სურს შთაუნერგოს მათ შიში და ელდა (**კრუპენსკი1: პატივისცემა**) თავისი მჩაგვრელებისადმი. დიახ, ბატონებო, გიყვარდეს რუსი რეაქციონერი შავრაზმელები და ფულის ტომრები, ასევე სხვადასხვა სამთავრობო უწყება, ნამდვილად შეუძლებელია, აქ საუბარი შეიძლება იყოს არა სიყვარულზე, არამედ სულ სხვა გრძნობაზე, რომლის დასახელებაც საჭიროდ არ მიმაჩნია, რადგან ისედაც ნათელია. რაც შეეხება შიშს მათ მიმართ, ყოვლისშემძლე ბიუროკრატიამ ჯერ კიდევ თქვენამდე განი-

ცადა სრული კრახი ამ სფეროში.

დაშინების პოლიტიკამ, რომელსაც ბიუროკრატია ატარებდა, იქამდე მიიყვანა საქმე, რომ უცხოტომელები (არარუსები) კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და ძალით გამოვიდნენ საკუთარი უფლებების დასაცავად. განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში კი, არა უცხოტომელებს, პირიქით, ბიუროკრატიას ეშინოდა მათი. ეს იმით აიხსნება, რომ რუსეთის ჩაგრული ერების მშრომელი კლასები შევიდნენ თავდაცვით და თავდასხმით კავშირში რუსი ერის მშრომელი კლასების წარმომადგენლებთან. მათ საერთო დროშას აწერია: ულმობელი ბრძოლა ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ, ნაციონალური იქნება იგი, ეკონომიური თუ პოლიტიკური. ამ ისტორიულად უდავო ფაქტის მიმართ ანგარიშის გაწევა უხდება არა მხოლოდ ბიუროკრატიას, არამედ გიხდებათ თქვენც, სახელმწიფო სათათბიროს ბატონო წევრებო უმრავლესობიდან. თქვენს დაუღალავ სწრაფვაში — გაზარდოთ ძველი და გამოსცეთ ახალი შემზღუდავი კანონები უცხოტომელთა წინააღმდეგ, ნათლად მოსჩანს ერთადერთი სურვილი — გამოიწვიოთ რუსებში უნდობლობა ყველაფერ არარუსულისადმი; მაგრამ ეს არ გამოგივათ, ისევე, როგორც არ გამოგდიოდათ ადრე, რადგან საუბარია ჭეშმარიტ და დუბროვინსკის[1] რუს ერზე. ამის შესახებ ლაპარაკობს მთელი თქვენი წარსული, ეს მტკიცდება სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობით მეოთხე სათათბიროშიც, ვიმედოვნებ, ეს კვლავ დადასტურდება. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია არა მხოლოდ რუსი ერის, არამედ მრავალმილიონიანი მასის, რუსეთის მთელი მრავალეროვნული მოსახლეობის სახელით გამოდის. **(კრუპენსკი 1: ყველას ადეკრეტირებს?)** დიახ, დიახ, დიახ.... **(სიცილი)**. ის თვალნათლივ აყენებს მთელი ქვეყნის წინაშე ამ მრავალმილიონიანი მასების ძმობისა და სოლიდარობის მანიფესტს. რამდენად ეს ძმობა და სოლიდარობა იგრძნობა ჩაგრული ერების მიერ, ამის მაგალითია საქართველო, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში სისტემატურად აგზავნის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლებს.

შესაძლოა მრავლგვარი აზრი არსებობდეს ამ ქართველი დეპუტატების მოღვაწეობის მიმართ, მაგრამ ერთ რამეში შეუძლებელია მათ სამართლიანად მიაგონ, დაუძინებელმა მტრებმაც კი, კერძოდ იმაში, რომ ისინი ყოველთვის თავგანწირულად იბრძოდნენ ყველა ეროვნების საერთო მიზნისათვის. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უნდა გავამხილო: ამ წელიწადში საქართველოს ერთ ნაწილს, კერძოდ ქუთაისის გუბერნიას თავის წარმომადგენლად არა სოციალ-დემოკრატი, არამედ სოციალ-ფედერალისტი ჰყავს. ჩემი თანამემამულისა და ძველი ნაცნობის, თავადი გელოვანის[2] პიროვნების მიმართ ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე,

---

[1] დუბროვინსკი — (1855-1921), რუსი პოლიტიკოსი, პროფესორი; 1905 წელს მხატვარ მაიკოვთან ერთად დააარსა „რუს ხალხთა კავშირი". იყო ამ კავშირის თავ-რე, „რუსსკოე ზნამიას" რედაქტორი, აკრიტიკებდა თვითმპყრობელობას, სახელმწიფო დუმის საქმიანობას, აქვეყნებდა ანტისემიტურ სტატიებს, რამდენჯერმე იყო პასუხისგებაში მიცემული.

[2] თავადი გელოვანი — ვარლამ გელოვანი (1878-1915), სოციალისტ-ფედერალისტი,

თუმცა უნდა განვაცხადო შემდეგი: საარჩევნო კრებაში, სადაც 17 ხმით 15-ის წინააღმდეგ არჩეულ იქნა თავადი გელოვანი, ადმინისტრაციის თვითნებობის წყალობით, ვერ მოხვდა ხუთი სოციალ-დემოკრატი ამომრჩეველი, ქუთაისიდან და საპორტო ქალაქ ფოთიდან. ამის შემდეგ, დამსწრე ცხრა გლეხ ამომრჩეველთაგან, რვამ სახალხოდ განაცხადა, როგორც პრესის, ასე ჩვენდამი სპეციალური მომართვის საშუალებით, რომ მათ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ სოციალ-ფედერალისტი, თავადი გელოვანი, ქუთაისის გუბერნიის გლეხთა ინტერესების წარმომადგენლად ჩათვალონ, რომ თავიანთი ინტერესების დაცვას ისინი ავალებენ თქვენ მონა-მორჩილს და მის ფრაქციელ მეგობრებს — ჩხეიძესა[1] და სკობელევს[2]. მე აუცილებლად მივიჩნიე ეს ყოველივე მეცნობებია სახელმწიფო სათათბიროსთვის არა იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გამესვა ქართველ სოციალ-დემოკრატთა კუთრი წონისათვის, არამედ უფრო მეტად იმისთვის, რომ მეჩვენებინა როგორი უსაზღვრო ნდობით არიან განმსჭვალული ქართველი გლეხები რუსი წარმოშობის სკობელევის მიმართ. ეს გლეხები, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის სოფლებში ცხოვრობენ, სადაც ჩვენ თითქმის არა გვაქვს რუსული კოლონიები, მხოლოდ რუს ჩინოვნიკებს, საკუთარ მჩაგვრელებს ხედავენ, თვალითაც არასოდეს უნახავთ არც ერთი წესიერი, პატიოსანი რუსი და ამის მიუხედავად, ეს გლეხებიც კი, ერთმანეთისგან მშვენივრად არჩევენ რუს ჩინონიკსა და რუს ხალხს.

ისინი არ იცნობდნენ სკობელევს, მაგრამ იცოდნენ ერთი, ის ამიერკავკასიაში მოსახლე ყველა ეროვნების დამცველია, ასევე მთელი რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთა მშრომელი მასების. მისი წინამორბედი, მოგეხსენებათ, ჩემი მეგობარი სკობელევის წინამორბედი ბატონების, მარკოვი 2-ისა[3] და პურიშკევიჩის[4] მეგობარი, ბატონი ტიმოშკინი[5] იყო, რომელიც არ იღლებოდა, ამ ტრიბუნიდან დაემტკიცებინა თქვენთვის, რომ კავკასიაში მიმდინარეობს მშვიდობიან რუს მოსახლეობაზე ძალმომრეობა არარუსთა მიერ. ახლა თვით რუსმა გლეხობამ, ამიერკავკასიის რუსმა მოქალაქეებმა დაიწუნეს სწორედ ეს ტიმოშკინი და აირჩიეს,

---

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ის კურსდამთავრებული, IV სახელმწიფო დუმის დეპუტატი.

[1] ჩხეიძე, — ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926), ცნობილი სოციალ-დემოკრატი, რუსეთის III და IV სახელმწიფო დუმის დეპუტატი, საქ. დემოკრატიული რესპ. დამფუძნებელი კრების თავ-რე.

[2] სკობელევი — მათე ივანეს ძე სკობელევი (1885-1938) — დაიბადა ბაქოში, იყო IV სახ. დუმის დეპუტატი ამიერკავკასიის რუსული მოსახლეობისგან, 1917 წელს იყო პეტროგრადის აღმასკომის თავ-რის მოადგილე, დროებითი მთავრობის შრომის მინისტრი; ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ჯერ ბაქოში წავიდა, შემდეგ თბილისში, 1921 წელს კი ემიგრაციაში გაემგზავრა, პარიზში, მუშაობდა საქართველოს ემიგრაციასთან. 1925 წელს დაბრუნდა სსრკ-ში, მუშაობდა სხვადასხვა სავაჭრო-ეკონომიკურ თანამდებობებზე, 1934 წელს გამოიგზავნა ა/კ-ში სსრკ შინაგან საქმეთა სახ. კომისრის რწმუნებულად, 1937 წელს დაიჭირეს, 1938 წლის 29 ივლისს დახვრიტეს.

[3] მარკოვი 2 — III სახელმწიფო დუმის დეპუტატი, სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი).

[4] პურიშკევიჩი — III სახელმწიფო დუმის სოციალ-დემოკრატი დეპუტატი, ნაციონალ-შოვინისტი.

[5] ტიმოშკინი — III სახელმწიფო დუმის დეპუტატი, სოციალ-დემოკრატი.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სრულიად სანინააღმდეგო ფრაქციის წარმომადგენელი და ამით დაამტკიცეს (ხმაური მარჯვნიდან) რომ მათ, ადგილობრივებსაც და რუსებსაც, საერთო ინტერესები აქვთ როგორც ადგილზე, ამიერკავკასიაში, ასევე ცენტრშიც. რუსეთის ჩაგრულ ეროვნებათა მდგომარეობა მძიმე და აუტანელია. თავს ვერ ვიდებ ამ მდგომარეობის თქვენ წინაშე წარმოჩენას, მხოლოდ რამდენიმე სიტყვით გეტყვით საქართველოს ხვედრზე.

საქართველო, როგორც თქვენთვის ცნობილია, საკუთარი სურვილით შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. ეს იყო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ნაბიჯი მთელი რიგი წინასწარ, იმავდროულად, გმირობითა და ტრაგიზმით სავსე მოვლენებით. მიიღო რა ახალი წელთაღრიცხვის პირველსავე საუკუნეში მართლმადიდებლობა, რომელიც მისი ეროვნული ერთიანობის სიმბოლოდ იქცა, საქართველომ თითქოს თვითონ გაიწირა თავი უთვალავი უბედურებისათვის. იმყოფებოდა რა აზიაში, მოინდომა ევროპული ქრისტიანული ქვეყანა გამხდარიყო — ეს ის ამოცანაა, რომლის შესრულება ბიზანტიისათვისაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა კონსტანტინოპოლის იმპერიის დაცემის შემდეგ, საქართველო კიდევ მრავალი საუკუნე ინარჩუნებდა თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, სანამ, XVIII საუკუნის დასასრულს ერთმორწმუნე რუსეთის შემადგენლობაში არ შევიდა. **ეს შეერთება მოხდა განსაკუთრებული, ორივე ქვეყნის მონარქთა მიერ ხელმოწერილი ორმხრივი ტრაქტატის ძალით, რომელიც ქართველ ხალხს ყველა საშინაო საქმეში სრულ ავტონომიას ანიჭებდა. მაგრამ ათი წელიც არ გასულა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უცერემონიოდ, ერთი-მეორის მიყოლებით, ყველა ავტონომია წაართვა, რომელსაც ეს საერთაშორისო აქტი ითვალისწინებდა.** რაღაც დაუჯერებელი მოხდა: საქართველომ, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში იბრძოდა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, უარი თქვა სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებაზე ერთადერთი იმედით, რომ ერთმორწმუნე რუსეთი უზრუნველყოფს ყველა მისი ეროვნული ენერგიის გაფურჩქვნას. სინამდვილეში სრულიად სანინააღმდეგო რამ აღმოჩნდა: **მან, სახელმწიფო ხელისუფლებასთან ერთად, დაკარგა ნორმალური ეროვნული განვითარების ელემენტარული გარანტიები. რუსული ბიუროკრატია საკმაოდ მუხანათი (ვერაგი) იყო, რათა ქართველი ხალხის უფლებების უზურპირება მოეხდინა. მან ტრაქტატში ასახული საკუთარი მონარქის აშკარა ნებაც კი გააუქმა. ამჟამად, ოფიციალურ ლექსიკონში ტერმინი „საქართველოც" კი აღარ გვხვდება, ბიუროკრატიის თვალში იგი უბრალოდ აღარ არსებობს. მართალია, ჯერ კიდევ ამბობენ „საქართველოს ეგზარქოსი", მაგრამ არვინ იცის, რომ ეს ფრაზა ცარიელი სიტყვებია, მხოლოდ ირონიაა. რუსი ეგზარქოსების როლი ქართული კულტურის დანგრევაში, იმდენად ფართოდ არის ცნობილი, რომ მასზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია.**

რუსეთთან შეერთების შემდეგ, ასზე მეტი წლის განმავლობაში ქართველი ერი იყო ობიექტი სიტყვით გამოუთქმელი დევნისა და დამცირები-

სა. თქვენ ყურადღებას აღარ შევაჩერებ ქართული ენის არანორმალურ დევნის ამოჩემებულ მეთოდზე, რისი წყალობითაც სკოლა ნორჩი არსებების სულის დამახინჯების ადგილად იქცა. სასამართლო აუკულმართებს სამართლიანობას, ეკლესია ძალადობს სინდისზე და ა.შ. მხოლოდ ერთი, ძალიან დამახასიათებელი ფაქტის კონსტატირებას მოვახდენ: მართლმადიდებელი ქართველები გაცილებით ბევრს იტანენ ამ მიმართებით მართლმადიდებელივე მწიგნობართა და ფარისეველთაგან, ვიდრე სომეხი-გრეგორიანელები და მუსულმანები, რომლებიც სასკოლო და საეკლესიო საქმეებში გარკვეული ავტონომიით სარგებლობენ. **რუსული ბიუროკრატია არ კმაყოფილდება ქართული ენის სისტემატიური დევნით ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, მან სერიოზულ მიზნად დაისახა, ქართველ ერს დააკარგიოს ტერიტორია, მისი არსებობის საფუძველი.**

დავიწყოთ იქედან, რომ ოდესღაც მეფისა და ავტოკეფალური ეკლესიის მფლობელობაში არსებული მიწები რუსულმა ბიუროკრატიამ სახაზინო კუთვნილებად გამოაცხადა, ოღონდ არა იმ აზრითა და მნიშვნელობით, როგორც მთელ მსოფლიოში ესმით სახელმწიფო საკუთრება. ისინი ამ მიწებს სახაზინოდ თვლიან, იქამდე, სანამ მათზე პრეტენზია ქართველ გლეხობას აქვს, მაგრამ როგორც კი რუსეთის შიდა ტერიტორიებიდან გადმოსახლებულებზე მიდგება საქმე, სახაზინო კუთვნილება მაშინვე ქრება. ამ სახით, საქართველოს ტერიტორიის თითქმის მესამედი ქართველ ხალხს ხელიდან გამოეცალა და ანტინაციონალური პოლიტიკის გასატარებლად იქნა გამოყენებული. გარდა ამისა: ტფილისში ფუნქციონირებს ორი ბანკი — სახელმწიფო სათავადაზნაურო და საგლეხო, რომლებიც სასწრაფოდ ახდენენ ქართველ თავად-აზნაურთა მფლობელობაში მყოფი მიწების მობილიზებას და ყიდიან მას, უპირატესად, იმავე გადმოსახლებულებზე. გარედან შეიძლება ჩანდეს, რომ საქართველოში ბევრი მიწაა და რატომ არ შეიძლება მისი დასახლება მოსული ელემენტებით, მაგრამ სინამდვილეში, საქმე სულ სხვაგვარადაა: **მთელ რუსეთში თქვენ ვერც ერთ კუთხეს ვერ ნახავთ, სადაც მიწათმფლობელთა კლასი ასეთი გაჭირვებული იქნება მცირემიწიანობის, ან, სულაც უმიწობის გამო, როგორც ეს საქართველოშია. ამას კატეგორიულად ვამტკიცებ.** კავკასიის ადმინისტრაციამ ჩემზე უკეთ იცის ქართველი გლეხობის ამ გაჭირვების შესახებ. მან, მაგალითად იცის, რომ ქუთაისი გუბერნიის რომელიღაც რაჭის მაზრაში, მთელის სრულწლოვანი მამრობითი მოსახლეობა საერთოდ მიდის მაზრიდან და მინდვრის სამუშაოებს ცოლებისა და ქალიშვილების ანაბარა ტოვებს, თუმცა დასამუშავებელი მიწა ამ ქალებისთვისაც კი არაა საკმარისი. კავკასიური ადმინისტრაცია ამ ფაქტს ოფიციალურად აღიარებდა 1905 წელს, მაგრამ ალიხანოვის[1] ცნობილი სადამსჯელო რაზმების შემდეგ, საქრთვე-

[1] ალიხანოვი — მახსუდ ალიხანოვ-ავარსკი (1846-1907), გენერალ-ლეიტენანტი, დაიბადა ხუნძახში, დაღესტანში, ავარიელი ოფიცრის ოჯახში. ბავშვობაში შამილის ტყვე იყო, გამოსყიდვის შემდეგ სწავლობდა თბილისის IIსათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1862 წელს შევიდა კონსტანტინოვკის სამხედრო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ გახდა ჯერ

ლოს არერთი ქალაქი და დასახლება რომ მიწასთან გაასწორეს, ბიუროკრატიას ეჩვენება, რომ ამ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებთან ერთად ქართველი გლეხობის მიწის ნაკლებობაც გაქრა. შიმშილით უცილობელი საკვდილისაგან გადასარჩენად, გლეხები მასობრივად ტოვებენ სოფლებს და ქალაქებში გარბიან. მაგრამ როგორ ხვდება მათ იქ ადმინისტრაცია? რა თქმა უნდა, მტრულად. **ყველა სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებაში ნაბრძანებია, ქართველი მუშები სამუშაოდ არ მიიღონ და თუ მიიღებენ, ანაზღაურების მინიმალური საპროცენტო ნორმით. ადმინისტრაცია კიდევ უფრო შორს მიდის, საიდუმლო განკარგულებებს აძლევს კერძო სააქციო საზოგადოებებსა და დამოუკიდებელ მეწარმეებს უარი უთხრან ქართველ მუშებს სამუშაოს მიცემაზე.** ხოლო როდესაც ყველა ეს მარწუხი არასაკმარისი აღმოჩნდება, მიმართავს საპოლიციო დაშოშმინების ზომებს, ქართველი მუშების მასობრივ დაპატიმრებებს, ციხეებში ჩასმას, შემდეგ კი გადასახლებას, ყოველგვარი სახსრისა და რუსული ენის ცოდნის გარეშე. თითქმის დამტკიცებულად შეიძლება ითქვას, რომ ამ გადსახლებების წყალობით, ქართველი გლეხობის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია საქართველოში, ვიდრე მის ფარგლებს გარეთ. იყო დრო, როდესაც ჩვენი რედაქციები ჩიოდნენ სხვადასხვა კუთხიდან თანამშრომლების სიმცირეზე, დღეს კი ამა თუ იმ კუთხიდან საჩივრის გამომგზავნთა რაოდენობა მკითხველებს აჭარბებს.

კავკასიის ადმინისტრაცია სერიოზულადაა დაკავებული, საქართველოში არ დატოვოს არც ერთი შეგნებული, უბრალოდ, წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი. ეს ყველაფერი, რაც მე საქართველოს შესახებ გითხარით, მეტნაკლებად, ამიერკავკასიის სხვა ერებსაც ეხება: ჩვენ — თურქები, სომხები, ქართველები, ლეკები, ოსები, აფხაზები, ყველანი ვიტანთ დაუჯერებელ დევნას **დანიშნული ბასკაკებისგან. ბიუროკრატიის თვალში კავკასია რუსეთის სახელმწიფოს თანასწორი ნაწილი კი არ არის, არამედ კოლონია, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის სულსა და ხორცზე უკანონოდ ახორციელებენ დაბალი დონის ექსპერიმენტებს. ჩვენი ოფიციალური მეტსახელი "ტუზემცები„ (სხვამიწელები) გახდა. რას ნიშნავს ეს? ამ ტერმინით გერმანელები თავის სამხრეთაფრიკელ ჰოტენტოტებს მოიხსენიებენ — „Eingeborene".** ცოტა ხნის წინ ამ ტრიბუნიდან საუბარი იყო რუსეთში მძვინვარე განსაკუთრებულ მდგომარეობაზე. ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრებო, ჩვენთან, კავკასიაში, ეს მდგომარეობა გამონაკლისი კი არა, სრულიად ნორმალურია და არსებობს იმ მომენტიდან, როდესაც პირველმა რუსმა ჩინოვნიკმა ფეხი დაადგა ჩვენს მიწაზე. მაგალითისათ-

---

კორნეტი, შემდეგ როტმისტრი. ამის შემდეგ სწრაფად განვთარდა მისი სამხედრო კარიერა. მიიღო მრავალი უმაღლესი ჯილდო. მონაწილეობდა იაპონიის ომში, 1905 წლის დეკემბერში თბილისის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა, 1906 წლის იანვრიდან ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორად. მას ეკუთვნის ქართველი ხალხის წინააღმდეგ სისიხლიანი ანგარიშსწორებისათვის ჩატარებული ლაშქრობები დასავლეთ საქართველოში. პირსისხლიან გენერლად იცნობდნენ, 2-ჯერ მოანყვეს ალიხანოვ-ავარსკიზე თავდასხმა, საბოლოოდ მოკლეს სომეხმა დაშნაკმა ტერორისტებმა 1907 წლის 3 ივლისს, როდესაც ყაბარდინის პოლკის შეკრებიდან ბრუნდებოდა.

ვის გაგახსენებთ, ეგრეთ წოდებულ სამხედრო-სახალხო მმართველობას, რომელიც ამიერკავკასიის მთელ რიგ ოლქებში იყო გამეფებული და ადმინისტრაციას ისეთ უფლებებს ანიჭებდა, როგორიც ყოველგვარი წერილობითი კანონების ზღვარს სცდება. ამ მიმართებით განსაკუთრებით იტანჯება ჩემი საარჩევნო ოლქი — ბათუმისა და ყარსის ოლქები, სოხუმის ოკრუგი. ჩვენ აქამდე არა ვართ გათანაბრებული ცენტრის მოსახლეობასთან იმ უმნიშვნელო უფლებებშიც კი, რაც მათთვის აღიარებულია. სამაგიეროდ, დიდი ხანია გაგვათანაბრეს მოვალეობებში — შევასრულოთ ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ვალდებულება. ახლახანს ეს გამოიხატა, ადგილობრივი გლეხობისათვის სრულიად შეუძლებელი, მიწის დაბეგვრის სისტემის კავკასიაზე გავრცელებით. ბატონი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გვპირდება ახალი აგრარული კანონმდებლობის გავრცელებასაც, რომლის გამოყენების წინააღმდეგ რუსეთის ცენტრში თვით პურიშკევიჩებიც კი გამოდიან. იგი კიდევ მეტსაც გვპირდება: გადმოსახლების ჩაკატიზმის[1] გაძლიერებას. მორჩილებით მადლობას ვუცხადებთ ბატონ თავმჯდომარეს ამისათვის. ის მეტად კეთილია. ჩვენი მშრომელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ გმინავს ბატონყმური საძულველი ნარჩენების მძიმე ტვირთქვეშ. ყველა ეს, ეგრეთწოდებული დროებითი ვალდებულება მემამულეთა მიმართ, ხიზნობა, სამინათმოქმედო მონობა დაღესტნის, ბათუმის და ყარსის ოლქებში და კავკასიის ოლქში, ყველა ეს, ვიმეორებ, დრომოჭმული ინსტიტუტები ხელფეხს უბოჭავენ გლეხობას და განთავისუფლების საშუალებას არ აძლევენ.

მეორე მხრივ, სახელმწიფო გლეხების მიწებით უზრუნველყოფის ვერმოხერხება, სერვიტეტული[2] დამოკიდებულების უკიდურესი არეულ-დარეულობა და სრული ქაოსი გამოკითხვის წარმოებაში აფერხებენ განაპირა მხარის საწარმოო ძალების განვითარებას.

ხოლო ნატურალური ვალდებულება, ხიდებისა და გზების შეკეთების, სახაზინო ტვირთისთვის ფურგონებისა და ურმების გამოყოფის, ასევე, ჩინოვნიკების გადაადგილების ცხენებით უზრუნველყოფის სახით, ყველა ეს ნატურალური ვალდებულება დიდი ხანია აღარ არსებობს რუსეთის ცენტრში, ჩვენთან კი მსგავსი მოვალეობები აკისრიათ არა მხოლოდ არა რუსებს (ინოროდცებს) **(ნოვიცკი: ჩვენთანაც)**. თქვენთან ეს მოვალეობა ერობას აკისრია, ჩვენთან კი ერობა არ არსებობს, ამიტომ ეს მოვალეობები აკისრიათ არა მარტო, არარუსებს, არამედ რუსებსა...

ერობის დაცვის შესანახად მილიონზე მეტი მიდის ადგილობრივი მოსახლეობის ჯიბიდან. სოხუმის ოლქში ამ დაცვითაც არ კმაყოფილდებიან. იქ თითოეულ კომლს აიძულებენ ყოველწლიურად სამი მანეთი შეიტანონ ეგრეთწოდებული მფრინავი რაზმის შესანახად. ასეთი რეფორმა — რა თქმა უნდა, ბრჭყალებში, — შემოიღეს ადგილობრივმა სატრაპებმა საკანონმდებლო სანქციის გარეშე, პეტერბურგში ამ რეფორმის შესახებ

[1] ჩაკატიზმი — გადმოსახლების ინტენსიურობა

[2] სერვიტეტული —სხვისი ქონებით სარგებლობის უფლება გარკვეულ ფარგლებში.

არაფერი იციან. სოხუმის ოლქში ხომ სამხედრო-სახალხო მმართველობა ბატონობს, ამიტომ ეს სავსებით გასაგებია.

თავმჯდომარე: სახელმწიფო საბჭოს წევრი ჩხენკელი თავის სიტყვას განაგრძობს სხდომის განახლების შემდეგ. ვაცხადებ შესვენებას, 12.57.-დან 2.5. საათამდე.

თავმჯდომარე: სხდომა გრძელდება. სიტყვა ეძლევა სახელმწიფო სათათბიროს წევრს, ჩხენკელს.

ჩხენკელი (ყარსის და ბათუმის ოლქები, სოხუმის მხარე (ოკრუგი). ბატონმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, თავის დეკლარაციაში, ადგილობრივ თვითმმართველობაზე საუბრისას, ამიერკავკასია საერთოდ არ ახსენა. ეს მე სულაც არ მწყენია, პირველ-რიგში იმიტომ, რომ ის გუბერნიები, რომლებიც დეკლარაციაში იყო ჩამოთვლილი, როგორც სავსებით სწორად შენიშნა ბატონმა შინგარევმა[1], **მეორედ მოსვლამდე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მოლოდინში იქნებიან:** მეორე რიგში იმიტომ, რომ ამიერკავკასიას თვითმმართველობა კიდეც რომ მისცენ, ის ისეთივე იქნება, როგორიც იყო მინიატურაში ყარსის საქალაქო მდგომარეობა, რომელიც მიუღებელი შეიქნა ჩვენი ლორდთა პალატისთვისაც კი. მე ვამბობდი, რომ სახელმწიფო სათათბიროს ახლანდელი შემადგენობისაგან, თვითმმართველობის საკითხთან დაკავშირებით არაფერს სასიკეთოს არ ველოდები. ასე რომ, ჩვენ მოკლებული ვართ და კარგა ხანს მოკლებული დავრჩებით ერობასა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. არცთუ დიდი ხნის წინათ კავკასიის მეფისნაცვალი სხვაგვარად ფიქრობდა: ამიერკავკასიაში ერობის შემოღება მას გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა და მისი წინადადებით შეიქმნა სამაზრო და საგუბერნიო სათათბიროები, რომლებშიც დაჩქარებულად განიხილებოდა იმ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა გატარება აუცილებელი იქნებოდა ერობის შემოღებისას. ეს ის ისტორიული მომენტი გახლდათ, როდესაც კავკასიის ადმინიტრაცია, საშინელი სამსჯავროს მოლოდინში, ცდილობდა მოელბო მათთვის საძულველი ტუზემცების გული. ახლა კი იგივე კავკასიის მეფინაცვალი არასაკმარისად მომწიფებულად მიგვიჩნევს ჩვენ ერობის შემოღებისათვის. სამაგიეროდ, ამის ნაცვლად, იგი სასწარფოდ ხელს აწერს სასიკვდილო განაჩენებს, რომლებსაც საკასაციო ინსტანციამდეც კი არ უშვებს. ერთი სიტყვით, იგი უკეთესად ასრულებს ჩვენ დასჯას, ვიდრე სახელმწიფო სათათბირო და მისი უმრავლესობა.

ყველა თქვენგანისათვის ცნობილია, ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრებო, რითი დასრულდა ინოროდცების (არარუსების) თხოვნა, **ტფილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. ცენტრალურმა ხელისუფლებამ უარი უთხრა,** ტყუილად კი არ ამბობენ საზღვარგარეთ, რომ რუსეთი უცნაურობების ქვეყანაა. მართლაც, არარუსები ითხოვენ ყურადღებას, ბატონო ნაციონალისტებო, არარუსები ითხოვენ რუსულ

[1] შინგარევი — ანდრეი სერგეის ძე შინგარიოვი (1869-1918), მრავალმხრივი მოღვაწე: საერობო, საზოგადო, სახელმწიფო, პოლიტიკოსი, ექიმი და პუბლიცისტი.

მთავრობას, მათთვის რუსული უნივერსიტეტის გახსნას, თქვენი ღრმადპატივცემული ხელისუფლება უარით პასუხობს. რას ნიშნავს ეს? ჩემთვის რულიად გასაგები იქნებოდა, ისინი რომ ვთქვათ თათრულ, სომხურ, ქართულ უნივერსიტეტებს ითხოვდნენ. ასეთ შემთხვევაში იმ ხელისუფლების უარი, რომელიც ადგილობრივ ენაზე ჰიგიენის საკითხებზე ლექციის წაკითხვასაც კი კრძალავს, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. ისიც კი მესმის, რომ გალიციის[1] მოლოროსებმაც დღემდე ვერ მიაღწიეს საკუთარი ნაციონალური უნივერსიტეტის გახსნას ავსტრიის სახელმწიფოსგან: გასაკვირი არაფერია არც იმაში, რომ ჩეხეთის ერები თავგანწირვით იბრძვიან კიდევ ერთი გერმანული უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგ ბოჰემიასა[2] თუ მორავიაში[3], — გაუგებარი და გასაკვირია მხოლოდ თქვენი მთავრობის საქციელი. (**კრუპენსკი 1: რას ნიშნავს თქვენი?**) ის თავს თქვენ მთავრობად თვლის და არა ჩვენად.

თავმჯდომარე: თუ შეიძლება, გადალაპარაკებების გარეშე.

ჩხენკელი: რუსული უნივერსიტეტი, ცოდნისა და განათლების კერა, ხომ იქნებოდა თუნდაც ინოროდცების ნაწილის, გარუსების ყველაზე მშვიდობიანი, ყველაზე უეჭველი ფაქტორი. აი, რა ვერ განჭვრიტა თქვენმა მთავრობამ. თქვენ გინდათ, თქვენ იბრძვით ჩვენი გარუსებისათვის, მაგრამ არა კულტურული, არამედ ძალადობრივი მეთოდებით და კიდევ გყოფნით გაბედულება თქვათ რომ კულტრულტრეგერები[4] ხართ იმპერიის განაპირა მოსახლეობისათვის. არაფერს ვიტყვი ხელისუფლების დეკლარაციულ დაპირებაზე, რომ კავკასიაში ოდესმე გახსნის უმაღლეს სასწავლებელს, ამ დაპირების ბუნდოვანებიდან და გაურკვევლობიდან გამომდინარე. მაგალითისთვის მოვიშველიებ თუმდაც იმას, რომ მთავრობამ თავად არ იცის, რა ერქმევა უმაღლეს სასწავლებელს როსტოვში, ამბობენ, რომ იქ სამედიცინო ინსტიტუტი იქნება. რაც შეეხება კავკასიას, ამასთან დაკავშირებით დუმს, რადგან არ იცის. ვფიქრობ, ჯერ კიდევ მძლავრობს ბატონი კასო, რომელმაც არსებული უნივერსიტეტი, თანაც ერთ-ერთი უძველესი, უსახელო სასწავლო დაწესებულებად გადააქცია. რაღა გასაკვირა, რომ ჯერ კიდევ გაუხსნელ დაწესებულებას სახელი ვერ მოეძებნა? მე სახელმწიფო სათათბიროს შევთავაზებდი, თუნდაც დროებით, კავკასიაში გასახსნელი უმაღლესი დაწესებულებისათვის ეწოდებინა კასოს სახელობის

---

[1] გალიცია — ისტორიული მხარე ცენტრალურ ევროპაში, სხვადასხვა დროს სრულად ან ნაწილობრივ შედიოდა კიევის რუსეთის, ლიტვის დიდი სამთავროს, რეჩ-პოსპოლიტას, ავსტრია-უნგრეთისა და უკრაინის სსრ-ს შემადგენლობაში. გალიციის დიდიქალაქებია: ლვოვი, კრაკოვი, ტერნოპოლი.

[2] ბოჰემია — ისტორიული რეგიონი ცენტრალურ ევროპაში. მოიცავს ჩეხური მიწების თითქმის ორ მესამედს, მდებარეობს თანამედროვე ჩეხეთის ტერიტორიაზე, საზღვრებად მეზობელ ქვეყნებთან აქვს 4 მთაგრეხილი: 1. ბიომერვალდი (ავსტრია, ბავარიასთან), 2. ერცგებორგე (საქსონიასთან), 3. ზუდეტები (სილეზიასთან), 4. ჩეხომორავიის მაღლობი (მორავიასთან).

[3] მორავია — ისტორიული ლანდშაფტი დღევანდელ ჩეხეთში, ბოჰემიის აღმოსავლეთით. სახელწოდება მოდის მდინარე მორავადან.

[4] კულტურტრეგერი — ირონიული სახელწოდება იმპერიალისტი კოლონიზატორის, რომელიც ძარცვავს დამონებულ მოსახლეობას.

უძველესი ენების ინსტიტუტი. მაშ ასე, ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრებო, **ჩვენ, არა რუსი სოციალ-დემოკრატები, ღრმად განვიცდით წყენას, რომელსაც თქვენ და თქვენი მთავრობა ჩვენს ერებს გამუდმებით აყენებთ. ამ წყენას არასოდეს დაგივიწყებთ, ამ წყენისთვის თქვენ აუცილებლად გაგვცემთ პასუხს არა მარტო ჩვენ, იმ ხალხსაც, რომლის წარმომადგენლებიც, სამწუხაროდ ბრძანდებით.** ჩვენ და ის ხალხი, ვისი წარმოგზავნილებიც ვართ ამ სათათბიროში, ძალიან მჭიდრო კავშირში ვიმყოფებით თქვენს დაუძინებელ მტერთან — რუს მშრომელ ხალხთან და მის ავანგარდთან — პროლეტარიატთან. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ თქვენი ანტიხალხური პოლიტიკა მხოლოდ ერთი ნაწილია თქვენი ზოგადრუსული რეაქციონული პოლიტიკისა და ამიტომაც ჩვენ, ამ დუმაში ჩვენ წინამორბედთა ტაქტიკასთან სრულ თანხმობაში, ჩვენს უპირველეს ამოცანად მივიჩნევთ შეურიგებელ ბრძოლას (**კრუპენსკი 1: დიდი სიამოვნებით**) საერთო რუსული ჩაგვრისა და თვითნებობის წინააღმდეგ, იმ საშინელი კოშმარის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ყველას წნეხში გვამყოფებს, განურჩევლად ეროვნებისა და აღმსარებლობისა. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყოველთვის მკვეთრად უარვყოფთ ნაციონალისტურ ხაზს იმ ჩვენი ბურჟუაზიული რადიკალებისა, რომლებიც საკუთარ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ და რომლებიც თვლიან, რომ ერთი რომელიმე ერის თავისუფლება შესაძლებელია მთელი რუსეთის საერთო სამოქალაქო თავისუფლების გარეშე. ამიტომ ჩვენც და ჩვენს მიერ წარმოდგენილი მშრომელი ხალხიც მათ მივყვებით, ისევე, როგორც ისინი ჩვენ.

თავისუფალ რუსეთში თითოეული ერი მიიღებს უფლებებს და ორგანიზაციებს, ამ უფლებათა განსახორციელებლად. ნებისმიერი სოციალური ორგანიზმი და ასეთ par exellense- ეს წარმოადგენს ერი, ნორმალური განვითარებისათვის საჭიროებს საჯარო-სამართლებრივ ორგანოებს. ასეთი საჯარო-სამართლებრივი ორგანოების კონკრეტიზაციის მომენტი რუსეთში ჯერ არ დამდგარა. ექსპლოატატორთ და რუსეთის მჩაგვრელთა მხრიდან ნაციონალური მოწამვლის წინააღმდეგ, **ჩვენ გამოვდივართ ეროვნებასთან და აღმსარებლობასთან დაკავშირებული ყველა შემზღუდავი კანონის გაუქმების მოთხოვნით, კერძოდ კი ებრაელთათვის ბინადრობის ადგილის შეზღუდვის გაუქმების, ეროვნებათა თანაბარუფლებიანობისა და მათი თავისუფალი თვითგამორკვევის, მშობლიური ენის ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებაში გამოყენების, თითოეული ერის თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი დაწსებულებების დაარსების მოთხოვნით.**

მესამე დღეა, ჩემ მეგობარ მალინკოვს[1] საშუალება არ მიეცით, ბოლომდე ჩაეკითხა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის განცხადება. სხვათაშორის, სწორედ ამ განცხადებაშია შეტანილი ის პუნქტი, რომელიც მე სიტყვა-სიტყვით წაგიკითხეთ. ამ პუნქტში გამოტანილი უბრალო თეზისებიდან თქვენ ხედავთ, ბატონო ნაციონალისტური უმრავლესობის წევრებო, რომ

[1] მალინკოვი —სოციალ-დემოკრატი დეპუტატი რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროში.

საერთორუსული მშრომელთა კლასი, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახით, გამოუტანს თქვენ და თქვენ ველიკორუსული ერის პირველობის პრინციპს, უფრო ზუსტად, თქვენ ზოოლოგიურ ნაციონალიზმს, **თქვენ შოვინიზმს, თქვენ დამარბევლობას ყველაზე მკაცრ განაჩენს (~~კრუპენსკი~~: სასიკვდილოს).**

თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ სხვა ერებს სეპარატისტულ და სხვა საშინელ გეგმებში დასდოთ ბრალი. მაგრამ ამ ერებს ეს არაფერში სჭირდებათ, რადგან, მათზე არანაკლებ დამონებული რუსი ხალხის სახით მათ ჰყავთ ნამდვილი მეგობარი და არა მტერი. მოკლედ, ამ ბრალდების თქვენ თვითონაც არ გჯერათ, ამის მოწმე კავკასიის მეფისნაცვალია. მე სავსებით მესმის თქვენი, ძალიან გინდათ რომ ხალხები ისე გაბრიყვდნენ, რომ სეპარატისტები გახდნენ. ასეთ შემთხვევაში უფრო ადვილი იქნებოდა მათი ცალ-ცალკე განადგურება, მაგრამ ისინი ბრიყვები კი არა, საკმაოდ ჭკვიანები არიან იმისათვის, რათა წინასწარ განჭვრიტონ ამ ტაქტიკის მთელი უგუნურება. ძალიან კარგად გახსოვთ, განსვენებული სტოლიპინის[1] სამინისტრომ თავისი უდიდესი, ამ სიტყვას ბრჭყალებში ვხმარობ, აგრარული რეფორმის შემდეგ, თავის დროშაზე წააწერა მებრძოლი ნაციონალიზმი, ის თქვენგანაც კი ზურგით შებრუნდა, ბატონო ოქტიაბრისტებო[2] და ძალიან გმფარველობდათ თქვენ, ბატონო ნაციონალისტებო.

პირველ შემთხვევაში ამას, რა თქმა უნდა არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, თქვენ ისე ცდილობდით, ბატონო ოქტიაბრისტებო — თქვენი განაწყენება სულაც არ მინდა! — ახლანდელი სამინისტრო ნამდვილად სრულიად არაორიგინალურია, როგორც ამ ტრიბუნიდან ითქვა, ჩაებღაუჭა სტოლიპინის ულტრა-ნაციონალიზმს და სრული ფიასკო განიცადა. ამას ყველა დაადასტურებს, რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოც კი, თუმცა კი უკანა რიცხვით. რა საბოლოო შედეგი გამოიღო ამასწინანდელმა საარჩევნო კამპანიამ? სტოლიპინის ნაციონალიზმის სრული გაბანკროტება. აქ უწმინდესი სინოდიც კი უძლური აღმოჩნდა. რა თქმა უნდა ამით იმის თქმა არ მინდა, რომ თქვენ, ბატონო ნაციონალისტური უმრავლესობის წევრებო, შეწყვეტთ თქვენი ნაციონალისტური პოლიტიკის გატარებას, თქვენ ხომ სხვაგვარი პოლიტიკა არცა გაქვთ და არც შეიძლება გქონდეთ და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ერები გეზიზღებათ, არამედ უფრო მეტად იმის

---

[1] სტოლიპინი — პიოტრ არკადის ძე სტოლიპინი (1861-1911), ცნობილი რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა დრეზდენში (საქსონია), იყო სხვადასხვა თანამდებობებზე რუსეთის იმპერიაში, მონაწილეობდა 1905-1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ჩახშობაში. გახდა რუსეთის შინაგან საქმეთა და პრემიერ მინისტრი, გაატარა რეფორმები, რომელთაგან გამორჩეულია სტოლიპინის აგრარული რეფორმა. სტოლიპინზე 11 თავდასხმა განხორციელდა, აქედან მე11 თავდასხმის დროს, 1911 წელს, კიევის ოპერაში, სასიკვდილოდ დაიჭრა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

[2] ოქტიაბრისტები — პოლიტიკური პარტია რუსეთში, „17 ოქტომბრის კავშირი", იყო რუსი ლიბერალების მემარჯვენე ფრთის პარტია, ჩამოყალიბდა 1907 წლის შემოდგომაზე. მისი დამფუძნებლები და ლიდერები იყვნენ: ო. გუჩკოვი, დ. შიპოვი, პ. გეიდენი, მ. როძიანკო, მ. სტახოვიჩი, მ.ხომიაკოვი და სხვ. ისინი წარმოადგენდნენ ჩინოვნიკების, ვაჭარ-მრეწველების, მემამულეების ინტერესებს. პარტიის ორგანოები იყო: „სლოვო" (1905-1906), „გოლოს მოსკვი" (1906-1916).

გამო, რომ თქვენ საკუთარ ხალხსაც ვერ იტანთ. (**ჩხეიძე: მართალია**). ის უუფლებოა, თქვენ კი მას ფინელ გოფგერიხტთა[1] წევრებს წარუდგენთ, ის მშიერია, თქვენ კი მას იუშინსკის შესახებ ზღაპრებით კვებავთ, ის ჩივის, თქვენ კი მას სიზანტით და საბოლოო აკორდით პასუხობთ: ასე იყო, ასე იქნება, ის აპროტესტებს, თქვენ მას კატორღებში აწამებთ. ეს ხომ არ არის თქვენი ნაციონალიზმის სრული გაბანკროტება?

მე რა თქმა უნდა, წასვლისასაც კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს ჩემი გამოსვლის მთავარ აზრს. თქვენ გინდოდათ და გინდათ ინოროდცების (არარუსების) იზოლირება, მაგრამ იზოლირებულები თქვენ თვითონ აღმოჩნდებით მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია შეეცდება გააკეთოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი, რათა დააჩქაროს თავსი მიზნების აღსრულება...“

ამ სიტყვიდან ნათლად იკვეთება:

1. სოციალ-დემოკრატი ჩხენკელი, რუსეთის ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის მიუხედავად, წინ წამოსწევს ნაციონალურ საკითხს და ამას ბუნებრივად მიიჩნევს;

2. ჩხენკელი სათანადო მაგალითებით ამხელს რუსეთის ანტიეროვნულ პოლიტიკას, მის დამოკიდებულებას ფინელებთან, პოლონელებთან, ებრაელებთან, ქართველებთან და სხვა პატარა ერებთან;

3. ჩხენკელი თამამად გმობს „რუსთა უპირატსობის“ თეორიას, ეროვნებათა დაპირისპირებისა და მათი კონფლიქტების ხელოვნურ ინსპირაციას;

4. ჩხენკელს სამართლიანად მიაჩნია, რომ **„არარუს ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკას მოაქვს უშუალო ზიანი თავად რუსი ხალხისთვის, რადგან აღვიძებს და აღვივებს რა მის შედარებით შეგნებულ ნაწილში თანამედროვე ადამიანისათვის შეუფერებელ ინსტიქტებს, ამით ის ახდენს მისი პოლიტიკური ძალებისა და გაქანების პარალიზებას, ელემენტარული დემოკრატიული უფლებების მოსაპოვებლად“;**

5. ჩხენკელი იცავს სკუთარ პარტიულ იდეოლოგიასაც: თვლის, რომ ეროვნული ინტერესების წინ წამოწევა კლასთა ბრძოლის უკანა რიგში გადატანას არ გულისხმობს; მისი აზრით, მის პარტიას გამოარჩევს ამ ორი მხარის თანაბრად დაყენება, რასაც სხვა პარტიები ვერ მოახერხებდნენ;

6. ჩხენკელი საუბრობს საქართველო-რუსეთის კავშირზე, ახსენებს გეორგიევსკის ტრაქტატს, თვლის, რომ „საქართველო რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდა“, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ იქვე აკრიტიკებს შეერთების ფაქტს და მას ძალადობრივად, ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მიიჩნევს. **„ეს შეერთება მოხდა განსაკუთრებული, ორივე ქვეყნის მონარქთა მიერ ხელმოწერილი ორმხრივი ტრაქტატის**

---

[1] ფინელი გოფგერიხტთა წევრები — ფინეთში ღია სასამართლოს ეწოდებოდა გოფგერიხტი. ის დააარსა ნიკოლოზ I-მა 1839 წელს, სანამ სასამართლო რეფორმა გატარდებოდა რუსეთის იმპერიაში, ის იყო სასამართლოს უმაღლესი ინსტანცია, შუამავალი II ინსტანციის სასამართლოსა და სენატს შორის. 1868 წლის სასამართლო რეფორმით, 1917 წლამდე, გოფგერიხტი გადაკეთდა II ინსტანციის სასამართლოდ, რომელიც ექვემდებარებოდა სენატის სასამართლო დეპარტამენტს.

ძალით, რომელიც ქართველ ხალხს ყველა საშინაო საქმეში სრულ ავტონომიას ანიჭებდა. მაგრამ ათი წელიც არ გასულა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უცერემონიოდ, ერთი-მეორის მიყოლებით, ყველა ავტონომია წაართვა, რომელსაც ეს საერთაშორისო აქტი ითვალისწინებდა... საქართველომ, სახელმწიფო ხელისუფლებასთან ერთად, დაკარგა ნორმალური ეროვნული განვითარების ელემენტარული გარანტიები. რუსული ბიუროკრატია საკმაოდ მუხანათი იყო, რათა ქართველი ხალხის უფლებების უზურპირება მოეხდინა. მან ტრაქტატში ასახული საკუთარი მონარქის აშკარა ნებაც კი გააუქმა. ამჟამად, ოფიციალურ ლექსიკონში ტერმინი „საქართველოც" კი აღარ გვხვდება, ბიუროკრატიის თვალში იგი უბრალოდ აღარ არსებობს" — ამბობს ის;

7. ჩხენკელი სრულიად მიუღებლად მიიჩნევს რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას საქართველოში: მართალია, ჯერ კიდევ ამბობენ „საქართველოს ეგზარქოსი", მაგრამ არვინ იცის, რომ ეს ფრაზა ცარიელი სიტყვებია, მხოლოდ ირონიაა. რუსი ეგზარქოსების როლი ქართული კულტურის დანგრევაში, იმდენად ფართოდ არის ცნობილი, რომ მასზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია";

8. ჩხენკელი ლაპარაკობს რუსეთის მიერ ქართული ენის შევიწროებაზე, ქართული კულტურის დევნაზე, საქართველოს ისტორიული მიწების ხელში ჩაგდებასა და ქართველი გლეხებისა და მუშების დისკრიმინაციაზე; „რუსული ბიუროკრატია არ კმაყოფილდება ქართული ენის სისტემატიური დევნით ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, მან სერიოზულ მიზნად დაისახა, ქართველ ერს დააკარგიოს ტერიტორია, მისი არსებობის საფუძველი."

9. ჩხენკელი კავკასიაში მომსახურე რუსულ ბიუროკრატიას მონღოლთა „ბასკაკებს" უწოდებს, აპროტესტებს „ტუზემცებად" მცირე ერების მოხსენიებას, დანაშაულად მიაჩნია თბილისში უნივერსიტეტის გახსნაზე მთავრობის უარი, მითუმეტეს, ეს იყო რუსული და არა ქართული უნივერსიტეტის მოთხოვნა.

10. რუსული პოლიტიკის, „ზოოლოგიური ნაციონალიზმისა" და შოვინიზმის აშკარა გამოვლენად ჩხენკელს მიაჩნია კავკასიაში ერობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოუღებლობა, ის მოითხოვს ეროვნულ თვითმმართველობას, ძირითადი საკითხების ადგილზე გადაწყვეტას;

11. ჩხენკელი გაბედულად აყენებს ხელისუფლებისგან აკრძალულ მოთხოვნებს: „ჩვენ გამოვდივართ ეროვნებასთან და აღმსარებლობასთან დაკავშირებული ყველა შემზღუდავი კანონის გაუქმების მოთხოვნით, კერძოდ კი ებრაელთათვის ბინადრობის ადგილის შეზღუდვის გაუქმების, ეროვნებათა თანაბარუფლებიანობისა და მათი თავისუფალი თვითგამორკვევის, მშობლიური ენის ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებაში გამოყენების, თითოეული ერის თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი დაწსებულებების დაარსების მოთხოვნით";

12. ჩხენკელის მიერ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში — IV სახ-

ელმწიფო დუმაში პირველად გაცხადდა საქართველოს ავტონომიური თვითმმართველობის მოთხოვნა, მან ამ სიტყვით რამდენიმე დღით დაასწრო სოციალისტ-ფედერალისტ ვარლამ გელოვანის იმავე მოთხოვნით წარმოთქმულ სიტყვას.

აკაკი ჩხენკელის სხვა გამოსვლები რუსეთის იმპერიის IV სახელმწიფო სათათბიროში

არანაკლებ გაბედული და ლიბერალურ-პროგრესული იყო აკაკი ჩხენკელის სხვა გამოსვლები რუსეთის IV სახელმწიფო დუმაში.

ის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ყველაზე აქტიური წევრი იყო, შესაშური ენერგიით იღვწოდა ნებისმიერი საკითხის გამოსარკვევად დასაზოგადოების წინაშე გამოსატანად. ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათათბიროს სტატისტიკური მონაცემით, მარტო 1916 წელს 49-ჯერ გამოვიდა სიტყვით.

ამდენად, მისი სიტყვების სრული განხილვა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ზოგადად მაინც შევეხებით იმ პრობლემებს, რომელიც ჩხენკელმა წამოჭრა დეპუტატობის დროს.

პირველი: მან წარმატებით დასვა და განახორციელა მურღულის ხეობის ძანსულის სპილენძის მაღაროების მდგომარეობის საკითხი.

ამ საწარმოს კონცესიები ეკუთვნოდათ ამერიკელებს და ადგილობრივი პოლიციის დახმარებით ცდილობდნენ მაქსიმალური მოგების მიღებას. ისინი სამუშაოდ იღებდნენ იაფფასიან მუშახელს, რუსეთის ტერიტორიაზე უკანონოდ შეგროვებულ ირან-ოსმალეთის მოქალაქეებს, რომელთაც თავის მხრივ პოლიციაც უკანონოდ სძალავდა ფულს და სიამოვნებით ამარაგებდა მაღაროებს ამ კატეგორიის ხალხით. ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებული ყო ამ შესაძლებლობას, არა მარტო ისინი, არამედ იმპერიის ნამდვილ ქვეშევრდომებს, პროფესიონალ და მცოდნე ადამიანებს ამ მაღაროებში სამუშაოდ მოხვედრა არ შეეძლოთ. ამის მიზეზი ის იყო, რომ მათ ისე ვერ მოექცეოდნენ, როგორც ფაქტობრივად არალეგალურად შეკრების სამუშაო კონტიგენტს ექცეოდნენ. მათ უპასპორტოდ არ უშვებდნენ და ათასგვარ პრეტენზიებს უყენებდნენ.

ყველაფერთან ერთად, მაღაროებში სრული განუკითხაობა სუფევდა. დაცული არ იყო უსაფრთხოების ელემენტარული ნორმებიც კი. 1913 წლის 31 ოქტომბერს ჩამოიქცა მაღაროს ერთ-ერთიშახტი და 35 მუშა იმხვერპლა. წინადღით მეთვალყურემ გაფრთხილება შეიტანა არსებული ბზარების შესახებ, რაც კონცენსიონერმა არ მიიღო და სამუშაოს გაგრძელება მოითხოვა. როგორც ჩხენკელი ამბობდა, „საქმე ჩაიფარცხა“, შედგა ყალბი ოქმი, რომელზეც წერა-კითხვის უცოდინარ მუშებს მოაწერინეს ხელი. აკაკი ჩხენკელმა საპარლამენტო არდადეგების დროს ეს საქმე ბოლომდე გამოიძია და 1914 წლის 4 თებერვალს სათათბიროს ტრიბუნიდან ამხილა საქმის ნამდვილი ვთარება. მან, როგორც იურისტმა, კანონის მე-40 მუხ-

ლით მოითხოვა მაღაროს მეპატრონეთა პასუხისგებაში მიცემა.[1]

დეპუტატი ფრონტის ხაზად ქცეული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს პრობლემებს მუდმივად აქცევდა ყურადღებას. მან გორემიკინთანაც[2] კი დააყენა ქართველ მაჰმადიანთა საკითხი.[3]

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დეპუტატის ღვაწლი ე. წ. „მოღალატე აჭარლების" მიმართ. ის იყო სიკვდილმისჯილთა ადვოკატი და ბევრი თანამემამულე იხსნა სასჯელისაგან იმით, რომ პროფესიონალურად დაამტკიცა მათი უდანაშაულობა. სათათბიროში ჩხენკელმა გაილაშქრა აჭარელთა მიწების გაყიდვის გამო, რუსული კოლონიზაციის წინააღმდეგ საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონში. ჩხენკელი ვერ ეგუებოდა იმას, რომ ამ ტერიტორიას დაეუფლენ სომხები, სახელმწიფო კი მათ ეხმარებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დაჩაგვრის ხარჯზე. საკანონმდებლო ორგანო აპირებდა სომხებისთვის ამ მიწების დაკანონებას.[4]

დუმის დეპუტატი აკაკი ჩხენკელი ცდილობდა დახმარებოდა პირველი მსოფლიო ომის დროს დაზარალებულ საქართველოს მოსახლეობას. ამ დროს შიმშილობა ტანჯავდა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს. აქ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად მან 1916 წელს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მდივან პავლე საყვარელიძესთან ერთად იმოგზაურა ყარსში, არდაგან-ართვინის მხარეში. აკაკი ჩხენკელი მოხსენებით გამოვიდა 1916 წლის 6 ოქტომბერს თბილისში გამართულ საქველმოქმედო საზოგადოების კრებაზე დასავლეთ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო.[5]

შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ის იყენებდა მთავრობის დიდ მოხელეთა დახმარებას, ხვდებოდა მეფისნაცვლის თანაშემწე — პეტერსონს, გენერლებს — პოროშინსა და მიკულსკის.[6]

ჩხენკელის მიმართვის შემდეგ მთავრობამ დახმარება გაუწია სამურზაყანოელ გლეხებს. ჩხენკელმა უშუამდგომლა ასევე, ფასების გაზრდასთან დაკავშირებით გაფიცულ სოხუმელ ვაჭრებს, ეს საკითხი სათათბიროშიც დააყენა.[7]

პირველად ჩხენკელმა წამოჭრა ოჩამჩირის თვითმმართველობის საკითხი.[8]

აკაკი ჩხენკელის დიდი ავტორიტეტის მანიშნებელია ეგზარქოს პიტირიმის მოკრძალებული წერილი და მისი ჩარევის შემდეგ ილორის

---

[1] გაზეთი „სიმართლის ხმა", 1914, № 43.

[2] გორემიკინი, — ივან ლონგინოზის ძე გორემიკინი (1839-1917), რუსი პოლიტიკოსი, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი 1895-99 წლებში, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავ-რე 1906 და 1914-1916 წლებში.

[3] გაზეთი — Русское слово, 1915, № 32.

[4] სცსსა, ფონდი 13, აღ. 27, საქმე 4654, ფურც. 51. ამიერკავკასია და IV სახელმწიფო სათათბირო 1916 წელს.

[5] გაზეთი „საქართველო", N 223, 1916 წ.

[6] სცსსა, ფონდი 13, აღ. 27, საქმე 1572, ფ. 195.

[7] გურამ შენგელია, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1907-1917), თბილისი, 1991, გვ. 95.

[8] გაზეთი „ახალი კვალი",1915-1916, № 9.

წინამძღვრის მიმართ ჩადენილი უსამართლობის დაუყონებლივი გამოსწორება.

სათათბიროში მოღვაწეობამ აკაკი ჩხენკელი ჩამოაყალიბა სახელმწიფო მოღვაწედ, დიპლომატიური გამოცდილებისა და ეროვნული ინტერესების დამცველ პოლიტიკოსად. დუმაში მისი გამოსვლები ერობისა და ავტონომიის საკითხებზე ამ მხრივ უბადლო და სახელმწიფოებრივად აზროვნების სრულყოფილი ნიმუში იყო. ამით მან ქართულ საზოგადოებას აჩვენა არა სოციალისტური კონფორმიზმი და კოსმოპოლიტიზმი, არამედ გულმხურვალე პატრიოტიზმი და მამულიშვილობა. კიევში არსებულმა არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებამ მას ამისთვის სამადლობელი დეპეშაც კი გაუგზავნა.[1]

ჩხენკელის სათათბიროში წარმოთქმული მრავალრიცხოვანი სიტყვებიდან შეიძლება გავიხსენოთ 1914 წლის 5 მარტს წარმოთქმული სიტყვა — ხარკოვში პოლიციის მიერ შევჩენკოს იუბილესთან დაკავშირებით მოწყობილი სტუდენტური მანიფესტაციის დარბევის შესახებ. ამის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინინისტრომ საერთოდ აკრძალა შევჩენკოს იუბილის აღნიშვნა. ქართველმა დეპუტატებმა — აკაკი ჩხენკელმა და ვარლამ გელოვანმა ეს ფაქტი უკრაინელი ხალხის ეროვნული ღირსების შელახვად მიიჩნიეს და სათათბიროში ამის თაობაზე შეკითხვაც შეიტანეს.[2]

აკაკი ჩხენკელი სათათბიროში გამოდიოდა ზოგად, ჰუმანურ და დემოკრატიულ-ლიბერალურ თემებზეც. მან ხმა აღიმაღლა უზენაესი სენატის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის საფუძველზეც რუსეთთან მეომარი სახელმწიფოების ქვეშევრდომებს სასამართლო დაცვის უფლება წაერთვათ[3].

ჩხენკელი ამბობდა, რომ ეს რუსეთის ისტორიაში სამარცხვინო ფაქტი და იმ პროფანაციის შედეგი იყო, რაც შჩეგლოვიტოვის და ხვოსტოვის ხელში განიცადა რუსულმა სასამართლომ.

ჩხენკელმა ხმა აღიმაღლა ომის დროს მოხელეთა მექრთამეობა-თვითნებობის წინააღმდეგ, მოითხოვა „პასუხისმგებელი სამინისტროს" შექმნა.[4]

ქართველმა დეპუტატმა ღიად დასდო ბრალი მთავრობას რუსული იმპერიალისტური სლავიანოფილური პოლიტიკის წარმოებაში, რასაც ჩვენ მიერ ზემოთ სრულად მოტანილი მისი სიტყვაც, ასევე სხვა გამოსვლებიც მოწმობს[5].

1916 წლის 19 ნოემბრის გამოსვლაში ჩხენკელმა პარლამენტში არსებულ პროგრესისტთა ბლოკს მთავრობის მიმართ ლოიალობაში დასდო ბრალი. „ჩვენ ჩიხში შევდივართ — თქვა მან, — საიდანაც ერთადერთი გამოსავალი რევოლუცია შეიძლება იყოს".[6]

ჩხენკელის ამ სიტყვისათვის მემარცხენეთა ორივე ფრაქცია 8 სხდომით

---

[1] გაზეთი „სახალხო ფურცელი", 1917, № 782.
[2] გაზეთი „აზრი", 1914, № № 6-8.
[3] გაზეთი „ Приазовский край", 1916, № 71.
[4] გაზეთი „სახალხო ფურცელი", 1917, № 529.
[5] გაზეთი Закавказская Речь, 1915, №128.
[6] Аврех А. Я. Расспад Третьеюнской системы, М. 1985, с.141.

გააძევეს სათათბიროს დარბაზიდან.

IV სათათიროში კადეტებისა და ოქტიაბრისტების პროტესტის შემდეგ აკაკი ჩხენკელმა შეკითხვა შეიტანა 87-ე მუხლთან დაკავშირებით. ამ მუხლის თანახმად, სათათბიროს არდადეგების დროს, თუ ექსტრემალური მდგომარეობა შეიქმნებოდა, მთავრობას უფლება ეძლეოდა თვითონ მიეღო კანონი და შემდგომ დაემტკიცებინა სათათბიროზე ამ მუხლით დაშვებული გამონაკლისი შემთხვევა ლამის ყოველდღიურობად იქცა, რამაც გამოიწვია დეპუტატთა პროტესტი. მთავრობა იღებდა თავისთვის ხელსაყრელ ახალ კანონთა ვარიანტებს, რომლებიც მუშავდებოდა სათათბიროს კომისიებში. ამის გამო, ბოლო სესიები შემოკლებული გრაფიკით ჩატარდა და სათათბირო ნაადრევად გაუშვეს შვებულებაში.

1916 წლის ჩხენკელის გამოსვლები იმდენად საინტერესოა, რომ მას ცალკე გამოკვლევა შეიძლება მიეძღვნას. იმდენად სწორად ხედავდა ქართველი პოლიტიკოსი მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რომ წინასწარმეტყველურ დასკვნებს აკეთებდა იმპერიის ხვალინდელ დღეზე. ასეთი წინასწარმეტყველური იყო მისი გამოსვლა 1916 წლის 3 ივნისის სხდომაზე. მან ამ გამოსვლაში თქვა: „ევროპის ომი, რომელიც ორი წელია მძვინვარებს, დასრულდება, საგარეო კრიზისები ადგილს საშინაო კრიზისებს დაუთმობენ. რუსეთისთვის ამ მომენტის დადგომა იმის ნიშანი იქნება, რომ საჭირბოროტო საკითხები გადაწყდება, რაც ქვეყანას ბორკილებისგან გაანთავისუფლებს".

აკაკი ჩხენკელი და აფხაზეთი

„ქართველი ვარ, სოხუმიდან"
აკაკი ჩხენკელი

აკაკი ჩხენკელი აფხაზეთში, გალის რაიონის სოფელ ოქუმში დაიბადა, აფხაზეთში აღიზარდა, საზოგადო მოღვაწეობაც აქ დაიწყო, აქ შეუყვარდა და იქორწინა სოხუმელ მაკრინე თურქიას ქალზე, აქ შეეძინა ერთადერთი ვაჟი, ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ეს კუთხე მისთვის არა მარტო მშობლიური, არამედ განსაკუთრებული და გამორჩეული, სიყვარულითა და ტკივილით განცდილი იყო.

ის ყოველთვის მიიჩნევდა თავს „აფხაზ ქართველად". როდესაც იტალიის მეფეს — ვიტორიო ემანუილ III-ს შეხვდა, 1921 წლის 20 მაისს, კითხვაზე — საიდან იყო, რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა და რას საქმიანობდა ადრე, მან უპასუხა: „ქართველი ვარ, სოხუმიდან, ვიყავი პოლიტიკური მოღვაწე და დუმის დეპუტატი რუსეთში".[1]

მამამისი, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე — იოანე (ივანე) პეტრეს ძე

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 21, საქმე 100, ფურც. 8-10.

ჩხენკელი 1869 წლიდან ოქუმის ღვთისმშობლის ხარების ეკლესიაში მოღვაწეობდა. აკაკი ჩხენკელის ბაბუა — პეტრე ჩხენკელიც მღვდელი იყო.

ოქუმში 1850 წლიდან წმინდა გიორგის ეკლესია არსებობდა, სადაც ბლაღოჩინი მღვდელი — დავით მაჭავარიანი მსახურობდა.

აფხაზეთის ქართული მოსახლეობა მძიმედ განიცდიდა რუსეთის რელიგიურ ექსპანსიას, ცდილობდა ყველა საშუალებით დაპირისპირებოდა მას. ოქუმი იყო ერთ-ერთი საეკლესიო კერა აფხაზეთში, სადაც ქართველი მართლმადიდებელი მრევლი ებრძოდა რუსულ შოვინიზმსა და ძალადობას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციების შეურაცხყოფასა და დაკნინებას. აქაურმა მრევლმა 1866 წელს საკუთარი სახსრებით ააგო ღვთისმშობლის ხარების ხის ეკლესია, რომელიც 1877 წელს განახლდა და ქვის ეკლესიად გადაკეთდა.[1]

ამ ეროვნული საქმის მოთავე აკაკის მამა, იოანე ჩხენკელი იყო. 11 წელი მსახურობდა ის ოქუმში მღვდლად, 1880 წლიდან კი დეკანოზ ი. ჭიჭინაძის ნაცვლად, გახდა სამურზაყანოს ბლაღოჩინი.

1888 წლის სოხუმის ეპარქიის აღწერილობაში ივანე ჩხენკელისა და ოქუმის ეკლესიის შესახებ შემდეგ მონაცემებს ვხვდებით:

„სამურზაყანოს საბლაღოჩინო, ოქუმის ეკლესია, ხის, წმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის; აგებულია 1866 წელს, გადახურვა 1877 წლის, საკმაოდ დაძველებული. 1877 წელს აიგო ახალი ქვის ეკლესია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ხატებით შემკული და ნაკურთხევი. ეკლესიის მსახურნი ცხოვრობენ თავიანთ სენაკებში.

სამურზაყანოს ბლაღოჩინი, მღვდელი ჩხენკელი. წარჩინებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსი. მსახურობს 1869 წლიდან. მეორე მღვდელი სპირიდონ ჯინჯიხაძე, სასულიერო სემინარიის მე-6 კლასის განათლებით, მსახურობს 1880 წლიდან. დიაკონი მჟავანაძე. მედავითნე ძოწენიძე".[2]

1893 წლის ოქუმის ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის საქმეში უფრო დაწვრილებითი ჩანაწერია ივანე ჩხენკელის განათლების, სასულიერო მოღვაწეობისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. ნათქვამია, რომ ის წარმოშობით სასულიერო წრეს ეკუთვნოდა, მამამისიც მღვდელი იყო. დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია პირველი თანრიგის სტუდენტის მონმობით. 1867 წლის 1 სექტემბრიდან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში საღვთო სჯულის უმცროს მასნავლებლად დაწყო მუშაობა. იმავე წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მიიწვია თავისთან დიაკონად. 1868 წლის დეკემბერში გადიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასნავლებლის მასნავლებლად, ამასთანავე, ეკლესიაში დიაკონადაც დარჩა. მეუფე გაბრიელის სურვილით 1869 წლის 26 აგვისტოს ის ყველაზე რთულ რეგიონში — სამურზაყანოში გადაიყვანეს, ოქუმის ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის მღვდლის გათავისუფლებულ ვაკანსიაზე. 1871 წლის 4 ნოემბერს ნაყოფიერი და გულითადი საქმიანობისათვის დააჯილდოვეს გვერდსაკრავით

[1] ჯემალ გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. — 1921), გვ. 856, თბილისი, 2005.
[2] სცსსა, ფონდი 1458, აღწერა 1, საქმე 177, ფ.3.

(ნაბედრენნიკომ). 1876 წელს კვლავ დააჯილდოვეს თავდადებული მოღვაწეობისათვის სკუფიით. ამავე წლის მაისში აირჩიეს იმერეთის ეპარქიის სასულიერო ყრილობაზე სამურზაყანოს სასულიერო დეპუტაციის წევრად. ყრილობა იხილავდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ვითარების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

1877 წლის 9 აგვისტოს დაინიშნა მოძღვრის თანაშემწედ სამურზაყანოს სამხედრო რაზმში, რომელიც ოქუმში იდგა და მთელი ომის განმავლობაში ამ მოვალეობას უსასყიდლოდ ასრულებდა. 1880 წლის 4 თებერვალს დაინიშნა სამურზაყანოს ბლაღოჩინის მოვალეობის შემსრულებლად, ამავე წლის 1 მარტიდან კი — ბლაღოჩინად. ამ სასულიერო თანამდებობაზე, როგორც ჩანაწერში ვკითხულობთ, ივანე ჩხენკელმა ბევრი იღვაწა სამურზაყანოს ეკლესიისა და მრევლის სასიკეთოდ, ხელს უწყობდა ახალი ტაძრების აგებას, ჩამოთვლილია მისთვის გადაცემული ჯილდოები. ამ საკმაოდ ვრცელი ჩანაწერის ბოლოს დასახელებულნი არიამ მისი ოჯახის წევრები: მეუღლე ირინა ბესარიონის ძე (გიორგაძე), ექვსი შვილი: მიხეილი, აკაკი, ლუკა, ნეონილა, ანა და მარია. ამ ცნობით, უფროსი ვაჟი — მიხეილი ელიზავეტოპოლსკის გიმნაზიაში სწავლობდა, აკაკი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, ანა თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში.[1]

ამ ჩანაწერებში არ ჩანს ივანე ივანეს ძე ჩხენკელი, აკაკის ძმა, რომელიც ხონის დრამატულ საზოგადოებას ხელმძღვანელობდა და აქტიურ თეატრალურ მოღვაწეობას ეწეოდა. ვფიქრობთ, ეს სახელი ერქვა მიხეილს, უფროს ვაჟს, მეორე სახელად, რაც ასე დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსთვის.

1896 წლის — Клировые ведомостие благочиния свящ. Чхенкели — უკვე ივანე ჩხენკელის 7 შვილს ასახელებს, ამ დროს ახალი დაბადებულია უმცროსი ვაჟი — პეტრე (პეტრე, იგივე კიტა ჩხენკელი დაიბადა 1894 წელს). ნეონილა უკვე დაოჯახებულია, ანა ემზადება თბილისის ქალთა ინსტიტუტში შესასვლელად, მარია კი სოხუმის ქალთა პროგიმნაზიაში სწავლობს სახელმწიფოს ხარჯზე.

ივანე ჩხენკელი აქტიურად იბრძოდა იმ ქართველი სამღვდელოების გვერდით, რომელიც აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის მთავარ მოწინააღმდეგედ გამოდიოდა. ქართველი მოღვაწეები არ ერიდებოდნენ ცენზურას, მთავრობის მოხელეთა აგრესიულ ბრძოლას ეროვნულად განწყობილი სამღვდელოებისა და მათი სულიერი შვილების მიმართ და თამამ, კრიტიკულ წერილებს აქვეყნებდნენ აფხაზეთის ეკლესიაში ქართული ენის დევნის შესახებ. ამ მხრივ გამოირჩეოდა ე. წ. „ქართული პარტია", რომელიც დაუპირისპირდა ისეთ ანტიეროვნულ ფაქტს, როგორიც იყო „მეგრული დამწერლობის" შექმნის პროექტი, ქართული ენის აკრძალვის ფაქტები, ქართული საეკლესიო ქონების მითვისება რუსი მღვდელმთავრების მიერ და სხვ. ეს ბრძოლა მთელ საქართველოში მიმდინარეობდა, მაგრამ აფხ-

[1] სცსსა, ფონდი 489, საქმე 43932, ფურც. 1-2.

აზეთში ის მაინც გამორჩეულად მძიმე იყო, რადგან ცარიზმის ხელისუფალნი აქ ერთმანეთს უპირისპირებდნენ ქართველებს და აფხაზებს, სდევნიდნენ როგორც ქართულ ენას, ასევე აფხაზურს, ატარებდნენ მხარის სწრაფი კოლონიზაციის პროცესს, მოსახლეობაში სეპარატულ გრძნობებს აღვივებდნენ და აღრმავებდნენ. ეს სამომავლოდ გათვლილი პროგრამა იყო, რასაც უნდა მოეტანა აქაური მოსახლეობის სრული ასიმილაცია და ათქვეფა რუსულ სახელმწიფო სივრცეში, იმპერიულ ქვაბში უნდა გადახარშულიყო ის მრავალეროვნული მოსახლეობა, სადაც აფხაზთა და ქრთველთა გარდა, მრავალი ჩამოსახლებული, გარუსებული, ან ამისთვის გამზადებული ეთნოსი იყრიდა თავს.

1885 წლის 12 ივნისს რუსულმა კოლონიურმა ხელისუფლებამ აფხაზეთის ეკლესია ცალკე ეპარქიად გამოყო სოხუმის საეპისკოპოსოს სახელით. 1886-დან 1919 წლამდე სოხუმს სულ 10 ეპისკოპოსი ჰყავდა და აქედან მხოლოდ ერთი იყო ქართველი. მათი უმრავლესობის მორჩილებაში მოუხდა ივანე ჩხენკელს მოღვაწეობა. ესენი იყო: გენადი პავლინსკი (1886-1889); ალექსანდრე ხოვანსკი (1889-1891); აგაფოდორ პრეობრაჟენსკი (1891-1893); პეტრე დრუგოვი (1893-1894), არსენი იზოტოვი (1895-1904); სერაფიმ ჩიგაგოვი (1904-1905); კირიონ საძაგლიშვილი (1906-1907); დიმიტრი სპეროვსკი (1907-1911); ანდრი (1911-1914) და სერგი (1914-1919). რუსი მღვდელმთავრების მოღვაწეობამ აქ მართლმადიდებელი ქრისტიანობის პოზიციები კი ვერ გააძლიერა, როგორც რუსული ხელისუფლება ვარაუდობდა, არამედ შეასუსტა.[1]

განსაკუთრებით გამკაცრდა იმპერიული საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში. თუმცა, ამ დროს დანიშნულმა სოხუმის ეპისკოპოსმა გენადიმ ვერ შეასრულა მისია, ვერ აღკვეთა მშობლიური ენა აფხაზეთის ეკლესიებში, პირიქით, მან ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების საქმეს ამ მხარეში.[2]

მან იმოგზაურა სამურზაყანოში, სადაც მოინონა ივანე ჩხენკელის მოღვაწეობა, აქაური სკოლის მოსწავლეთა ცოდნის დონე, ურჩია მათ ახალი სამრევლო სკოლის გახსნა.

ზოგადად, ივანე ჩხენკელის სასულიერო მოღვაწეობა სამისიონერო ფუნქციასაც მოიცავდა, რადგან ის ცდილობდა მდინარე ენგურიდან ილორამდე, მის საბლაღოჩინოში, რომელიც აფხაზეთის 4 საბლაღოჩინოდან ქართული ელემენტით ყველაზე ძლიერი იყო, ქრისტიანობა განმტკიცებულიყო, მართლაც, აქ ყველა ქრისტიანი იყო. ამის შესახებ წერდა კალდახვარის ეკლესიის მღვდელი ი. ოსიძე ჟურნალ „მწყემსში".

აფხაზეთის ეკლესიაში შექმნილ ვითარებას ეხებოდა 1895 წელს ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნებული თედო სახოკიას წერილი. მასში ბევრი ისეთი ანტიჰუმანური ფაქტი, ქართველებისა და აფხაზების ისეთი დის-

[1] გივი როგავა, რელიგია და ეკლესია აფხაზებში, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2007, გვ. 103, 109.

[2] ჯემალ გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს.— 1921), გვ. 548.

კრიმინაციის მაგალითები იყო მოტანილი, რომ რუსული პრესის ზოგიერთმა ორგანომაც კი გაიზიარა ქართველი ავტორის გულისტკივილი. საერთოდ, ამ დროიდან, 1895 წლიდან იწყებს მოქმედებას „ქართული პარტია", რომლის იდეური სულისჩამდგმელი თედო სახოკია იყო, მასში კი ქართული საზოგადოების ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე იყო გაერთიანებული. ისინი ნამდვილ იდეურ და პრაქტიკულ ბრძოლას უცხადებდნენ რუსულ პოლიტიკას საქართველოს ამ ულამაზეს რეგიონში.

1900 წლის 1 ივლისს თედო სახოკიამ კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა „პეტერბურგსკიე ვედომოსტშიც". გარდა იმისა, რომ სახოკია კრიტიკის ქარცეცხლში ხვევდა სოხუმის ეპარქიის რუს ხელმძღვანელს, ეპისკოპოს არსენს, რომელიც, სხვათაშორის, სინოდის დადგენილებასაც არ ასრულებდა და აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას თვითნებურად ართმევდა მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენის საშუალებას, ის არც რეტროგრად ქართველ მღვდლებს ინდობდა. ეს ადამიანები გვერდით ედგნენ რუს შოვინისტ სამღვდელოებას და ყველანაირად ცდილობდნენ სურვილების ასრულებაში მათ დახმარებას. ასეთი იყო ოქუმის თემის, სოფელ ღუმურიშის ეკლესიის ქართველი მღვდელი — ი. ქავჟარაძე, რომელსაც საკუთარი მრევლი დაუპირისპირდა. მრევლის მხარეზე დადგა ბლაღოჩინი მღვდელი ივანე ჩხენკელი. 1899 წლის 26 აგვისტოს სოფლის 169 მცხოვრებმა მღვდელი ქავჟარაძის წინააღმდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მას დაეტოვებინა თავის სამსახური, თუმცა, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თ. გერშელმანი და სოხუმის ეპისკოპოსი არსენი იცავდნენ რენეგატ ქართველ მღვდელს. ივანე ჩხენკელმა ქავჟარაძე საშობაო მარხვის მეორე დღეს ჯვრისწერის ჩატარებაში ამხილა, რითაც მას დაუმძიმა მდგომარეობა. ეს საქმე ისე გახმაურდა, რომ ეგზარქოსამდეც მივიდა.[1]

1874 წელს ოქუმში დაიბადა აკაკი და ამ ეკლესიაში მიიღო პირველი სულიერი ნათლობა. ეროვნული სულისკვეთების მქონე, მორწმუნე ოჯახში აღზრდილს, სათნო დედისა (ქუთაისელი მღვდლის შვილის) და მამის გვერდით, არ შეიძლებოდა აკაკი ჩხენკელი შინაგანად სპეტაკ და მთლიან პიროვნებად არ ჩამოყალიბებულიყო. ამას ემატებოდა ის განსაკუთრებული ეროვნული სულისკვეთება, რასაც აფხაზეთის ქართველობა გამორჩეულად შეიგრძნობდა ამ კუთხეში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის სიმკაცრის გამო. ცნობილი ქართველი სასულიერო პირები, მთელი სულითა და გულით ეხმარებოდნენ ნიჭიერ ბავშვებს განათლების მიღებაში, იმ სოციალური პრობლემების დაძლევაში, რაც ამდროინდელ მრავალშვილიან ოჯახებს ჰქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის იმერეთის ეპისკოპოსს — გაბრიელს. მკვლევარ ჯემალ გამახარიას, წიგნში — „აფხაზეთი და მართლმადიდებლობა", მოაქვს ერთი საარქივო დოკუმენტი, სადაც ჩხენკელების მრავალშვილიანი ოჯახისთვის გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ აღმოჩენილი შემწეობის მაგალითი არის მოტანილი. ეს დოკუმენტი იუწყება:

[1] სცსსა, ფონდი 489, აღწერა 1, საქმე 43852, ფ. 1-6.

«Свидетельство

Данно сие благочиному Самурзаканских церквей Абхазской епархии священнику Окумской благовещенской церкви Иоанну Чхенкели, сагласно просьбы его, в том, что он по скудости получаемого им содержания и бедности своей не в состоянии дать приличное образование своим детям на свой счет, в чем подписью моею с приложением казенной печати свидетельствую. г. Кутаис, 16 декабря, 1881 года.

Гавриил Епископ Имеретинский».

გაბრიელ ეპისკოპოსის შუამდგომლობით, ივანე ჩხენკელის შვილებმა კარგი განათლება მიიღეს: უფროსი ვაჟი მიხეილი ჯერ ელიზავეტპოლსკში, შემდეგ კი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა, ქალიშვილი ნეონილა სოხუმის ქალთა პროგიმნაზიაში, შემდეგ ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში, მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ხარჯზე; აკაკი ჯერ სამეგრელოს სასწავლებელში შეიყვანეს, საიდანაც გადმოვიდა ხონში, შემდეგ ქუთაისში, ბოლოს კი თბილისის სასულიერო სემინარიაში. ლუკამ, რომელიც ბეითალი გახდა, სოხუმის მთიელთა სკოლაში დაიწყო სწავლა, შემდეგ კი ქუთაისში გააგრძელა. ივანეს ჰყავდა კიდევ ვაჟი — პეტრე (იგივე კიტა), რომელიც მოგვიანებით ემიგრაციაში ცხოვრობდა, რადგან ევროპაში მისი სწავლის დროს მოხდა საქართველოს გასაბჭოება. ის ევროპის სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი მეცნიერი იყო. ივანეს ქალიშვილები იყვნენ 1879 წელს დაბადებული ანა და 1883 წელს დაბადებული მარიამი.

ეპისკოპოს გაბრიელის მზრუნველობას კიევის უნივერსიტეტის ახალგაზრდები, რომელთა შორის იყო აკაკი ჩხენკელიც, გამორჩეული მადლიერებით პასუხობდნენ: 1899 წლის 10 ნოემბერს ისინი ეპისკოპოსს აცნობებდნენ, რომ „კიეველი ქართველი სტუდენტები ირჩევდნენ მის მეუფებას თავის საპატიო წევრად".[1]

როდესაც რუსეთმა XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიის ანექსია მოახდინა და იმპერიის ნაწილად აქცია იგი, დაიწყო ქართველი ხალხის ეთნიკური ასიმილაციის პროცესი. ეს მოვლენა გამოიხატა ქართულ ეკლესიებში რუსული მღვდელთმსახურების დანესებით, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში რუსული ენის დამკვიდრებით, ხელოვნური მიგრაციებითა და ჩამოსახლებულთა კომპაქტური დასახლებების შექმნით, ქართულ სამყაროში მათი ინტეგრირებისათვის ხელის შეშლით.

განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა არაქართველების ჩამოსახლება, რუსული, გერმანული, სომხური, ესტონური და სხვა ეთნიკური კუთვნილების ადამიანებით დასახლებული სოფლების შექმნა აფხაზეთში.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის სამთავრო ყოველთვის წარმოადგენდა ერთიანი საქართველოს ნაწილს, თუკი ქვეყანა არ იყო გაერთიანებ-

[1] ჯემალ გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს.— 1921), გვ. 495, თბილისი, 2005; სცსსა, ფ. 1458, აღწერა 1. საქმე 177, ფურც. 3.

ული, ისტორიულ-კულტურული ცნობიერებით მაინც ქართულ სამყაროს ეკუთვნოდა ისევე, როგორც ოდიში, სამეგრელო, გურია, სვანეთი, იმერეთი, ქართლი, კახეთი და სხვა ქართული პროვინციები. ეს სამთავრო 1810 წელს შეიყვანა რუსეთმა თავისი „მფარველობის" ქვეშ და, როგორც მანამდე ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, ასევე მისი ოკუპაციაც ამ სახით („მფარველობით") მოახდინა. აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ნებელდისა და სხვა მთის საზოგადოებების გარეშე. 1864 წელს რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ გააუქმა აფხაზეთის სამთავრო და ტერიტორია — მდინარე ენგურიდან გაგრის ჩათვლით, „სოხუმის სამხედრო განყოფილებაში" შეიყვანა, რომელსაც შემდეგში სოხუმის ოლქი ეწოდა.

აფხაზეთის კოლონიზაცია მთელი XIX-XX საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა.

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, აფხაზეთის ადმინისტრაცია შეუდგა ამ მხარეში „სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის ზრუნვას", რაც თანმიმდევრული კოლონიზატორული პოლიტიკის გატარებას გულისხმობდა. 1866 წლის 11 აგვისტოს დებულების თანახმად, სოხუმის სამხედრო განყოფილება ბიჭვინთის, დრანდის, ნებელდის, ოქუმის ოკრუგებად დაიყო. მასში ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით შევიდა ქალაქი სოხუმი. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს სამხედრო გუბერნატორის უფლება მიენიჭა, თუმცა ნომინალურად ის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარებოდა. იმის გამო, რომ ცარიზმს გადაწყვეტილი ჰქონდა მდინარე ბზიფიდან მდინარე ენგურამდე შავი ზღვის სანაპიროს კოლონიზაცია კაზაკებით, სამურზაყანო აფხაზეთს შეუერთეს.

აფხაზეთის კოლონიზაცია ითხოვდა დაცარიელებულ მიწებს, რის გამოც აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა აყარეს და გადაასახლეს თურქეთში. რუსული პოლიტიკა მიმართული იყო აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის — აფხაზებისა და ქართველების გარუსების, საქართველოს დაქუცმაცების, ტომობრივ-კუთხური ნიშნით დაშლისა და სამომავლოდ მისი გადაგვარებისაკენ.

აკადემიკოსმა ნიკო მარმა გამოსცა ვერეშჩაგინის თხზულება აფხაზეთზე, სადაც კავკასიელი მთიელების დაპყრობა რუსეთის იმპერიის მიერ, მისი ანტიჰუმანური პოლიტიკა დაპყრობილი ხალხების მიმართ, მუჰაჯირობის უსასტიკესი პროცესი ასეა ფორმულირებული:

„მას შემდეგ, რაც 1864 წლის მაისში საბოლოოდ დასრულდა მრავალწლიანი ომი კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგზე, ყველა ჩერქეზულმა დასახლებამ გადაწყვიტა დაეტოვებინა თავისი საუკუნო საცხოვრებელი ადგილი, **როგორც მგლები გაჰქრნენ ანგლო-საქსონური ტომების ხელში, როგორც ლომები თანდათანობით ისპობიან ალჟირში, შავკანიანები — ამერიკაში, ვეფხვები და მტაცებელი ცხოველები, 1200-მდე რაოდენობით, მოკლულია გასულ წელს ინგლისელების მიერ ინდოეთში, ზუსტად ასევე კავკასიელმა ველურებმა, 300 ათასზე მეტმა ადამიანმა უარი თქვა თავის სამშობლოზე, ამასთან, თავიანთ მხეცურ ზნეობაზე. ისინი, ერთმორწმუნე**

თურქეთში გამგზავრებულნი, დაუპირისპირდნენ მათ, ხელჩართული ბრძოლა გამართეს ერთმანეთთან, კლავდნენ ერთმანეთს, აქამდე ათასობით მშვიდობიანი მოსახლეა დაღუპული, რომლებიც ცხოვრობდნენ მდინარე კუდეპსის მარჯვენა ნაპირზე, შავი ზღვის ოკრუგის განაპირა მხარეს. შეიძლება ვთქვათ, რომ ჩერქეზები ამქვეყნად აღარ არიან".

1910 წელს, მთავრობის წარმომადგენელთა მიერ შედგენილ ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ კავკასიის სხვა ადგილები მხოლოდ **კულტურული რუსი ადამიანებისთვის** არის განკუთვნილი და არა ადგილობრივი ბრიყვი, ხეპრე და უვიცი მცხოვრებლებისათვის, რუსები უნდა იქცნენ მათთვის სამაგალითოდ სოფლის მეურნეობაში.

გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" 1912 წლის 22 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ცნობით, 1905 წელს შავი ზღვის სანაპიროზე 37 რუსული სოფელი იყო, 52 ათასი დესეტინა მინით, ხოლო 1912 წელს ამ დასახლებების რიცხვმა 150-ს მიაღწია, მათი კუთვნილი მინის ოდენობა კი 113 ათასი დესეტინა გახდა.

ეს სოფლები იყო: ალექსეევსკოე I, ანდრეევსკოე, დიმიტროვსკოე, მიხაილოვსკოე, პეტრო-შავლოვკა, ბაკლანოვკა, ვესიოლაია, ალექსეევსკოეII, მატროსსკაია, ვორონცოვკა, ვასილევკა, როჟდესტვენსკოე, პოლტავსკოე, პეტროვსკოე, პავლოვსკოე, მარინსკოე, ოლგინსკოე, ეკატერინსკოე, ჩერნიგოვსკოე, იურევსკოე, ალექსანდრევსკოე, სუვოროვსკოე, იურევსკოე, დუბროვკა, დრანდა, ივანოვკა, კონსტანტინოვკა და ა. შ.[1]

ახალი საკოლონიზაციო რაიონების შესწავლას ამიერკავკასიაში აწარმოებდა სპეციალური კომისია, რომელსაც საგადასახლებო პარტია ერქვა და რომელსაც დიდძალი თანხა გამოეყოფოდა ხაზინიდან. მის წევრებს მთავრობა ამტკიცებდა, კავკასიის კოლონიზაციის საკითხებს ხელმძღვანელობდა სენატორი ვატაცი (XXსაუკუნის დასაწყისში). საკოლონიზაციო საკითხების ხელმძღვანელად 1910 წელს დაინიშნა იური ნიკოლოზისძე ვორონინი, რომელიც მიწათმოქმედების სამინისტროს კავკასიის დეპარტამენტის თანამშრომელი, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მთავარი ექსპერტი იყო. მის მოადგილედ დაინიშნა ნიადაგთმცოდნე, საქარის საცდელი სადგურის თანამშრომელი მიხეილ თევდორეს-ძე კალინინი.

ამ დროს გამომავალ პერიოდულ გამოცემებში — „Кавказ" „Тифлисские ведомости", „ივერია", „დროება", „ცნობის ფურცელი", „შრომა", „ამირანი", „ისარი", „სახალხო საქმე", „ერი", „იმერეთი", „კოლხიდა", „კლდე", „საქართველო", „ერთობა", „საქართველოს რესპუბლიკა", ჟურნალები — „კლდე", „ცისარტყელა" და სხვ. — საუბარია უმეტესად საქართველოს ზღვისპირეთის კოლონიზაციაზე, ქართველებისთვის მიწების წართმევასა და მათ იძულებით იმიგრაციაზე, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის ანტიქართულობაზე, „გადასახლებულთა შესახებ" კანონის შედეგებზე. ქართველი პუბლიცისტები არ უშინდებოდნენ და არ ემორჩილებოდნენ მკაცრ ცენზურას, ამხელდნენ რუს მოხელეებს, მათ შავრაზმულ და შოვინ-

[1] სცსსა, ფ. 1458, აღწერა 1. საქმე 177, ფურც. 5.

ისტურ საქმიანობას. მართალია, პრესის ორგანოებს მთავრობა ამის გამო ხშირად ხურავდა, მაგრამ მებრძოლი პატრიოტები ისევ აარსებდნენ ახალ, სახელშეცვლილ, შინაარსით კი იგივე შეურიგებელ ჟურნალ-გაზეთებს, ქართველ ხალხს ეუბნებოდნენ სიმართლეს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, აფხიზლებ- დნენ და საბრძოლველად განაწყობდნენ.

აი, როგორ აღწერდა სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთი „სახალხო საქმე" რუსეთის იმპერიულ-კოლონიურ პოლიტიკას საქართველოს იმ უმშვენიერეს ნაწილში, რომელსაც სამურზაყანო ჰქვია და სადაც მოღვაწეობდნენ ეროვნული სულით გაჟღენთილი მამა-შვილი — ივანე და აკაკი ჩხენკელები: **„მუდმივი დამსჯელი რაზმები, სახლების გადაწვა, კარმიდამოს განიავება, ხალხის დახვრეტა, — აი, რა ახასიათებს რუსების მაშინდელს მოღვაწეობას სამურზაყანოში. ყველა ეს, რუსების აზრით, „საჭირო იყო „სამურზაყანოელების ველურ და ყაჩაღურ ბუნების გასაკეთილშობილებლად". ეს გაკეთილშობილება კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ სამურზაყანოელებს თავიანთი ქართველობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაევიწყნათ და ტკბილი მოგონება დიდებულ საქართველოსი თავიანთ ხსოვნიდან საბოლოოდ ამოეშალათ. ამ „კეთილშობილურ" მისიის შესასრულებლად რუსები ურცხვად სდევნიდნენ ყველა იმას, რასაც ქართული ნიშანნწყალი ჰქონდა და სამურზაყანოლებს თავიანთ ქართველობას მოაგონებდა. უპირველესად დევნა დაუწყეს ქართულ წირვა-ლოცვას, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თითქმის ერთადერთ შემაერთებელ ხიდად გადარჩა სამურზაყანოსა და საქართველოს შორის. საგანგებო „სამეცნიერო" კომისიების საშუალებით კიდეც დაამტკიცეს, რომ რომ სამურზაყანოელები აფხაზები არიან და არა ქართველები"...**[1]

ამ რეალობაში მოხდა აფხაზეთში ქართული ეროვნული სულისკვეთების გაძლიერება, ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია და დაპირისპირება იმპერიულ ანტიჰუმანურ, პირდაპირ ბარბაროსულ მეთოდებთან.

მონინავე ქართული საზოგადოება აფხაზეთის საკითხს მწვავედ ეხმაურებოდა და მკაცრი იმპერიული ცენზურის პირობებშიც გამორჩეულად აპროტესტებდა.

ამ ადამიანთა შორის გამორჩეული ადგილი ეჭირა აკაკი ჩხენკელს, IV სახელმწიფო სათათბიროს — დუმის დეპუტატს სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან. 1896-1901 წლებში ჩხენკელი რუსეთის უნივერსიტეტებში, კიევსა და პეტერბურგში ეუფლებოდა იურიდიულ მეცნიერებას, 1901 წელს კი სამშობლოში, კერძოდ, აფხაზეთში დაბრუნდა და დაიწყო ადვოკატად მუშაობა. ამავე დროს იგი აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა: ებრძოდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას აფხაზეთში, მონაწილეობდა სხვადასხვა პარტიულ შეკრებაში.

900-იანი წლების დასაწყისში რუსული ხელისუფლება და ჟანდარმერია სასტიკად შეებრძოლა ე. წ. „ქართული პარტიის" მოქმედებას, რომელმაც

[1] დოდო ჭუმბურიძე, რუსული დასახლებები საქართველოში და „გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება", კრებულში — „საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნი I, გვ.72-123, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2007.

აფხაზეთსა და სამეგრელოში რუსულ საეკლესიო პოლიტიკას გამოუცხადა ნამდვილი ომი. „ქართული პარტიის“ საქმის გამოძიებას საფუძვლად დაედო მთავარმართებლისათვის წარდგენილი ქუთაისის გენერალ გუბერნატორის გერშელმანის მოხსენებები 1900 წლის 28 ივლისს, 3 აგვისტოსა და 2 სექტემბერს. გამოძიება თითქმის 4 წელი გაგრძელდა და 1904 წლის 12-15 მარტს მთავარმართებლის საბჭოს წარედგინა გამოძიებული მასალა, სადაც „ქართული პარტიის“ მთავარ დანაშაულად ჩათვლილი იყო აფხაზეთის მოსახლეობის გარუსების სამთავრობო პოლიტიკისათვის ხელის შეშლა ამ პარტიის წევრთა მხრიდან. პარტიის აღიარებულ ლიდერებს შორის: თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი, ივანე გეგია, გრიგოლ კანდელაკი, ივანე ბურჭულაძე, ფარნა დავითაია, სპირიდონ ნორაკიძე, დასახელებულნი იყვნენ მღვდლები: ივანე ჩხენკელი, დავით მაჭავარიანი, ბესარიონ ხელაია (შემდეგში საქართველოს კათალიკოს-პტრიარქი ამბროსი) და კერესელიძე. ნათქვამი იყო, რომ მათ სურდათ მოსახლეობის გაქართველება. მთავარმართებლის საბჭოში წარდგენილი მასალების მიხედვით, სოხუმის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველმა, ნამდვილმა რუსმა შოვინისტმა — ვ. იასტრებოვმა დაადასტურა აფხაზეთში „ქართული პარტიის“ არსებობა, რომელიც სკოლებსა და ეკლესიებში ქართული ენის დანერგვით ხელს უშლიდა აფხაზური მოსახლეობის იმპერიასთან შერწყმას., „в уповании создать грузинское царство“. ქართული პარტია, მისი მტკიცებით, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (აფხაზეთის ყოფილ ეპისკოპოსს), რუსეთში გადაყვანილი კირიონის, იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე), ე. მამინაიშვილის (ცნობილი მისიონერი, მართლამადიდებლობის აღმდეგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი), თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგის ნატროშვილის ფარული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. სოხუმის ოლქში მისი აგიტატორები იყვნენ: თ. სახოკია, ა. ჯუღელი, ფ. დავითაია, ს. ნორაკიძე, ი. გეგია; მღვდლები: ი. ჩხენკელი, ფანცულაია, გაბისონია, ხარებავა და სხვ. „ყველა ეს პირი, — ამბობდა ი. იასტრებოვი, — სარგებლობენ სოხუმის საკათედრო ტაძრის პროტიერეის — დავით მაჭავარიანისა და მღვდელ ბესარიონ ხელაიას მფარველობითა და მხარდაჭერით. ქართული პარტიის ლიდერები სარგებლობენ სოხუმის ოლქში სასულიერო პირებსა და ხალხში დიდი ავტორიტეტით.“ მან დაწვრილებით ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ „იმ პერიოდში, როდესაც აფხაზეთის ეკლესია ქუთაისის ეპისკოპოს გაბრიელს ემორჩილებოდა, ამ უკანასკნელმა დაიკავა პოლიტიკური პოზიცია და აფხაზეთის პროტიერეი მაჭავარიანის დახმარებით როგორ გზავნიდა აფხაზეთში უვარგის ქართველ მღვდლებს, რომელთაც არ ჰქონდათ შესაბამისი განათლება, მოვალეობის შეგნება, სინდისი და პატიოსნება, იყვნენ მეწვრილმანეები, მატყუარები და შარიანები, თქვენ წარმოიდგინეთ, ცხენის ქურდებიც კი“.

12 პუნქტიან კითხვარში, რომელსაც ჟანდარმერიის შეფი სოხუმის ეპისკოპოსს უსვამდა, იყო ასეთი კითხვა (მერვე): „რადგან უტყუარი ცნობე-

ბი მაქვს, რომ ნაცნობობა აქვთ არასაიმედო და წარმართი მიმართულების ხალხთან თედო სახოკიას, მღვდლებს: ჩხენკელს, კერესელიძეს, მაჭავარიანს და ბესარიონ ხელაიას, ამიტომ გთხოვთ აღნიშნულნი პირნი დამიხასიათოთ ზნეობრივის მხრით თითო მათგანი კერძოთ და დაწვრილებით გამაცნოთ მათი მოღვაწეობა".

იასტრებოვის ეს სიტყვები სრული ცილისწამება იყო. აფხაზეთში ამ დროს სწორედ განათლებული და პატიოსანი ქართველი მღვდლები მუშაობდნენ.

სოხუმის ეპისკოპოსი არსენი არ მალავდა ეპარქიაში მიმდინარე ქართულ ეროვნულ პროცესებს, იგი წერდა: „„პირველსავე დღეებიდან ჩემი სოხუმის ოლქში დანიშვნისა, შევნიშნე, რომ ეპარქიაში მცხოვრები ქართველები ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ დანერგვას სამურზაყანოსა და აფხაზეთში ქართველთა მოქალაქეობრიობისა, რაშიც სრულ დახმარებას უწევს მას სამღვდელოება, რომელნიც განსაკუთრებით ქართველთა და მეგრელთაგან შედგება. ამის დასამტკიცებელი საბუთი მრავალი მომეპოვება".

ერთ-ერთ საბუთად რუს ეპისკოპოსს მოჰქონდა 1895 წელს ქართველთა მიერ სამასწავლებლო საბჭოში აღძრული შუამდგომლობა აფხაზეთსა და სამურზაყანოში ქართულ ენაზე სწავლების შესახებ, ასევე რუსულ გაზეთში — „რუსსკი ტრუდ" დაბეჭდილი ქართველების წერილი, სადაც გაკრიტიკებული იყო სოხუმის ეპისკოპოსის მიერ წმინდა ნინოს დღესასწაულზე, 14 იანვარს, სოხუმის ტაძარში ქართულად წირვა-ლოცვის აკრძალვის ფაქტი.

„ქართული პარტიის" მოქმედებას რუსი მოხელეების წინააღმდეგობა კი ვერ ანელებდა, პირიქით, აძლიერებდა. ამ პარტიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებულნი ჩხენკელების ოჯახი. „ქართულ პარტიაში" დაიწყო თავისი მოღვაწეობა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, შემდეგში ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა (ივანე ჩხენკელის შვილმა)", — ვკითხულობთ აპოლონ სილაგაძისა და ვახტანგ გურულის ნაშრომში. [1]

ამას თავად ივანე ჩხენკელის მიერ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები მიუთითებს. 1895 წელს „კვალში" გამოქვეყნებული მისი წერილი — ფსევდონიმით „ალ. ენგურელი" — წარმოაჩენს სამურზაყანოში მიმდინარე რუსიფიკატორულ საეკლესიო პოლიტიკას, რომელსაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი კოლაბორაციონისტი მოძღვარიც ედგა გვერდით. მღვდელი ჩხენკელი ამ წერილში მოხერხებულ კონტექსტებს იყენებს, ის მკითხველს აჯერებს, რომ მთავრობა როგორ წავიდოდა მშობლიურ ენაზე სწავლისა და ლოცვის წინააღმდეგი, ამას მხოლოდ მასწავლებლები ვერ ანხორციელებდნენ. რა თქმა უნდა, მან კარგად იცოდა, რომ სწორედ მთავრობა და მისი კანონები ცდილობდა ქართველი ბავშვების გარუსებას და მათთვის მშობლიური ენის გადავიწყებას და არა მხოლოდ ის მასწავ-

[1] რ. ბ.-ლი, სამურზაყანოში", გაზეთი „სახალხო საქმე", № 479, 1919 წლის 14 მარტი.

ლებლები, რომლებიც, მისი თქმით: „თუთიყუშურად აზეპირებენ ბავშვებს მათთვის გაუგებარ რუსულ სიტყვა-ფრაზებს“.

ივანე ჩხენკელის აზრი სამურზაყანოს სკოლებზე ასეთი იყო: „სამურზაყანოს სკოლებიდან განდევნილია, უარყოფილია ქართული ენა, მაშინ, როდესაც ამ ენაზე უნდა იყოს მიქცეული უმთავრესი ყურადღება საზოგადოთ სამრევლო და სასოფლო შკოლებში და მით უფრო სამგრელო-სამურზაყანოში, წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარ ნაყოფს არ მოგვიტანს სამრევლო სკოლები“.

მოძღვარს მიაჩნდა, რომ სამრევლო სკოლა მიღებული მეთოდით რიგიანად ვერც რუსულს ასწავლიდა და ვერც ქართულს. „სულ სხვა იქნებოდა ქართულ ენას უპირატესობას რომ აძლევდნენ სამრევლო სკოლებში, — წერდა ივანე ჩხენკელი, — სამი-ოთხი წლის განმავლობაში გვარიან მეცადინეობასთან ბავშვს შეუძლია მშვენიერათ შეისწავლოს წერა-კითხვა-ლაპარაკი, რის მნიშვნელობა და სარგებლობა ყველასთვის ცხადია და, ვგონებ, არავითარი განმარტება არ სჭირდება“.

ის აკრიტიკებდა ოქუმის სკოლის ზედამხედველს — მამა კეჟერაძეს, რომელიც ბავშვებს უკრძალავდა ქართულ ენაზე ლაპარაკსაც კი, ჩხენკელის აზრით, „მისდევდა აშორდიას გზას“. **„მთავრობას არასოდეს არ აუკრძალავს ქართულის სწავლება სამურზაყანოს სკოლებში და არც იკადრებდა ამას. შეიძლება ქართული ვალდებულ ენათ არ მიაჩნდა, მაგრამ ნუთუ თქვენ და, საზოგადოთ სასწავლებელნი, ვალდებულნი არა ხართ წინაშე სვინდისისა და საზოგადოებისა, რომ იტვირთოთ ქართული ენის სწავლება?“**

ის სთხოვდა ქართულ საზოგადოებას, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, დახმარებას ოქუმის ქართული სამკითხველოს გახსნაში. „იმედია არავინ დაიშურებს თავის წვლილს ამ კეთილი საქმისათვის, — ამ სიტყვებით ასრულებდა ვრცელ წერილს, — მით უფრო, რომ **დღეს სამურზაყანო განსაცდელშია, უკანასკნელს მდგომარეობაშია და, თუ დროზე არ მივეშველეთ, ლამის სულ გადარჯულდეს ეს მხარე.“**[1]

„ქართული პარტიის“ საქმიანობა ტაქტიკური და გააზრებული იყო. 1897 წელს სოხუმის ქალაქის თავის ნიკო თავდგირიძის წერილი თედო სახოკიასადმი გვაცნობს იმ უბრალო ტაქტიკურ ნაბიჯებს, რომელსაც ზოგჯერ ქართველი პატრიოტები დგამდნენ. ნიკო თავდგირიძე ერთ-ერთი აქტიური ეროვნული მოღვაწე გახლდათ აფხაზეთში. მისი წერილიდან მოტანილი ნაწყვეტი კარგად აჩვენებს იმ ბრძოლას, რასაც რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ მართავდნენ ქართველი მოღვაწეები.

„როდესაც საზოგადოების ინიციატივით სოხუმში ქართული საქალაქო ბიბლიოთეკა გაიხსნა, მთავრობის წრეები კიდევ უფრო დაეჭვდნენ „ქართული პარტიის“ წევრთა საქმიანობაში. ქალაქში ხმა ვრცელდებოდა და ყველგან საუბრობდნენ, „თითქოს მთავრობის სანინააღმდეგო აზრს

[1] ალ. ენგურელი (ივანე ჩხენკელი), „სამურზაყანოს ვითარება“, ჟურნალი „კვალი“, 1895 წელი, 16 ივლისი.

ვავრცელებდეთ ხალხში და მას ვამზადებდეთ ასაჯანყებლათ", — წერდა სახოკიას თავდგირიძე. „ეხლა მაინც დიდი ზედიზედ საწინააღმდეგო ბრძოლა მაქ გამართული: აქაური ქალების სასწავლებლის მასწავლებელნი ორივე რუსის ქალებია, ქმარშვილიანები, ჩემი აქ მოსვლის შემდეგ თითქმის ყოველ დღე იმის მიწერაში ვართ, რომ გამოგვიცვალონ ისინი, მაგრამ ლევიცკიმ[1] — „არ გაღირსებთ მანდ ქართველ ქალსო". წელს სულ მოსპო ქართველი. ამდენ ხანს კერძოთ მაინც ასწავლიდა ციციანოვი. ჩვენ, რაკი კანონიერი თხოვნით არაფერი გაგვივიდა, მასწავლებელ ქალებს ჯამაგირი მოვუსპეთ, ასე რომ, სამი თვეა უჯამაგიროთ არიან. ლევიცკი გაცოფებულია, ყოველივე ზომებს ხმარობს, მაგრამ ჯერ კანონი ვერ გამოაცვლევინა ხელმწიფეს და ისე ვერაფერი მოგვიხერხა. ჩვენ აღარ ვაძლევთ შემწეობას სკოლას და მთავრობას ჯერ ერთი კაპიკიც არ დაუხარჯავს შკოლაზედ, ამნაირ მდგომარეობაშიდ ვართ. ახალი სამრევლო ქალების შკოლისათვის 600 მანეთი მცხოვრებლებმა გადაწყვიტა გაიღოს მიწის შესაძენად და ორასი ყოველ წლივ ქალაქის თვითმმართველობამ. ერთი სიტყვით, ორნაირი ტაქტიკური ბრძოლა გვაქვს და ვნახოთ ვინ ვის მოერევა".

მიმდინარე ეროვნულ მოძრაობაში ჩაება ფხაზეთში დაბრუნებული აკაკი ჩხენკელიც.

1904 წლის 1 მაისს მთავარმართებლის საბჭომ განიხილა 12-15 მარტს შემოსული გამოძიების საქმე „ქართული პარტიისა" და აფხაზეთში მიმდინარე ეროვნული ძალების მოქმედებაზე. განიხილეს თედო სახოკიას, ა. ჯუღელის, ი. გეგიას, გ. კანდელაკის, ი. ბურჭულაძის, ფ. დავითაიას, ს. ნორაკიძის და სხვათა საქმე. მათ შორის იყო რუსეთიდან ახლახან დაბრუნებული და ადვოკატად მოღვაწე აკაკი ჩხენკელის საკითხიც. მისი და ზემოთ დასახელებულ პირთა, მათ თანამოაზრეთა საქმიანობა საეჭვო იყო, მათი პოლიტიკური სანდოობა მთავრობამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. გოლიცინის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა — მათ, როგორც „ქართული პარტიის" მთავარ წევრებს — противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа, — უვადოდ დაეტოვებინათ კავკასიის ფარგლები. საბჭომ იმსჯელა ასევე აფხაზეთის სამღვდელოებაზე, რომელიც მთავრობას უნდა დგომოდა გვერდით სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებაში, ის კი ამას ხელს უშლიდა და მოსახლეობას ხელისუფლებასთან აპირისპირებდა. საბჭოს გადაწყვეტილებით, ეს საკითხი, — აფხაზეთში მოღვაწე სამღვდელოების კავშირის დამადასტურებელი ფაქტები „ქართულ პარტიასთან" — უნდა გადაგზავნოდა საქართველოს ეგზარქოსს და საკითხი საეგზარქოსოს უნდა შეესწავლა.

1904 წლის 10 მაისს მთავარმართებელმა გ. ს. გოლიცინმა საბჭოს გადაწყვეტილება დაამტკიცა. რუსეთ-აპონიის ომმა და რევოლუციამ, ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა კრიზისმა დაწყებული გამოძიების გაგრძელება შესაძლებელი ვეღარ გახადა.

სწორედ ამ მოვლენების გამო შეშინებულმა ხელისუფლებამ თავისი

[1] ლევიცკი — ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მთავარი ინსპექტორი.

საქმიანობის გამო გააძევა აკაკი ჩხენკელი 1905 წელს იმპერიის ფარგლებიდან. ამ დროს ის უკვე დაქორწინებული იყო აფხაზეთში მცხოვრებ მაკრინე თურქიაზე. ის საკუთარ დასთან — მაშო თურქიასა და აკაკის და ანეტა ჩხენკელთან ერთად თამაშობდა სოხუმის სცენისმოყვარეთა წრეში, რაზეც წერდა 1900 წლის გაზეთი „ივერია". გაზეთის ცნობით, ხალხის ტევა არ იყო მათ სპექტაკლებზე, რადგან ამ დასს ხელმძღვანელობდა აღათი შერვაშიძე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცენატი ქალი, რომლის სახელსაც მიეწერება ერთდროულად რამდენიმე ასეული აფხაზი ბავშვის მონათვლა[1].

სპექტაკლებზე დამსწრე მაყურებელთა რიცხვში, ბუნებრივია, აკაკი ჩხენკელიც იქნებოდა. უნივერსიტეტდამთავრებული, რუსეთიდან ახლახან დაბრუნებული და აქტიურ ეროვნულ მოღვაწეობაში ჩართული ახალგაზრდა ადვოკატი ადვილად გაიტაცა მთავარ როლებში წარმატებით მოთამაშე მოყვარულმა მსახიობმა — მაკრინე თურქიამ, რომელზეც მალევე იქორწინა და 1905 წელს ვაჟიც შეეძინათ. აკაკი ჩხენკელი, ამჯერად, მოსალოდნელი დაპატიმრების განსაცდელში მყოფი, ტოვებს თავის ქვეყანას, წყვეტს აფხაზეთში მოღვაწეობასა და საზღვარგარეთ, ევროპაში მიემგზავრება. სასწავლებლად ჯერ გერმანია აირჩია (ლაიფციგის უნივერსიტეტი), შემდეგ შვეიცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტში განაგრძო ფილოსოფიური და საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლა. ამან გააღრმავა მისი ცოდნა და აზროვნება, ამ დროს გაიტაცა ის ნიცშეს ფილოსოფიურმა შეხედულებებმა. ამავე დროს, კერძოდ, 1908 წელს, ჟენევაში გამართულ სოციალ-დემოკრატთა კონფერენციაზე, მან, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, წარმოთქვა სიტყვა, სადაც დაუფარავად დაუჭირა მხარი საქართველოს ავტონომიას.

აკაკის მამა — ივანე ჩხენკელი 1900-1910-იანი წლებშიც თავდაუზოგავად იბრძოდა ეროვნული იდეალების განხორციელებისათვის აფხაზეთში, რამაც მის წინააღმდეგ ხელისუფლების რეაქციული დამოკიდებულება გაზარდა. მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, კათალიკოსმა კირიონმა უბოძა მას დეკანოზის წოდება, რასაც ბრძოლითა და ძნელი ცხოვრებით დაღლილი მოძღვარი შვილისა და მისი თანამოაზრეების პოლიტიკურ გამარჯვებასთან აკავშირებდა.

აკაკი ჩხენკელის პირად ფონდში ინახება დეკანოზ ივანე ჩხენკელის შვილისადმი გაგზავნილი ორი წერილი, სადაც საოცრად თბილი და მამა-შვილური სიყვარული იკითხება. დეკანოზი ვაჟს უძვირფასესსა და საიმედო შვილს უწოდებს. „მიხარია და მოგილოცავ, რომ უკანასკნელად შენი მამა, შენი შემწეობით, აკურთხა დეკანოზათ მისმა უწმინდესობამ კათალიკოზ პატრიარქმა კირიონმა. ამ ფრაზას თავმოწონებით არა გწერ, მე გავიხსენე შენი მონაწერი პეტროგრადიდამ, შემდეგ ამბავი შენი მძიმე სნეულებისაგან მორჩენისა, მე გილოცავდი.. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ შენ თანამიგრძნობ ყოველ ჩემ მწუხარება-მხიარულებაში, თორემ

[1] გაზეთი „ივერია", 1900 წლის 24 თებერვალი.

მე თვით კათალიკოზსაც უთხარი, — არ მიხარია ასეთი ჩემზე მოვლენილი სიკეთე ასეთ დროს, მოხუცებულიც ვარ და სნეულიც." მაგრამ სხვა მხრივ მოგვრილ სიხარულს უმხელდა შვილს: „უფრო ის მიხარია, რომ მომესწრო ასეთი დრო. დღეს საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი ჰყავს. ჩვენი უწმინდესობის ხელიდან ვღებულობ ამ ღირსებას".[1]

განსაკუთრებული იყო აკაკი ჩხენკელის კავშირი აფხაზეთთან და ამ კუთხის მოსახლეობასთან მისი რუსეთის დუმაში დეპუტატობის დროს (1912-1917).

IV სახელმწიფო სათათბიროში არჩევის შემდეგ ჩხენკელი თავდადებით იცავდა ჩაგრული ხალხის ინტერესებს, კავკასიის მოსახლეობის პრობლემებს ახმიანებდა და გაბედულად უპირისპირდებოდა „ინოროდცებისა და ტუზემცების" დისკრედიტაციით დაკავებულ იმდროინდელ რუს შოვინისტ და ნაციონალისტ დეპუტატებს.

მოვიტანთ რამდენიმე სტატიას დუმის დეპუტატ ჩხენკელის შეხვედრებზე აფხაზ მოსახლეობასთან.

გაზეთი „მერცხალი", 64, 1913 წელი, 17 მარტი:

დეპუტატის მოგზაურობა, სოხუმი.

დეპუტატი ჩხენკელი სოხუმში ავადმყოფი ჩამოვიდა... დეპუტატს ნახულობენ სოფელ ბაგავეშტას გლეხების წარმომადგენლები და თავიანთი მიწისა და გადასახადების პრობლემას აცნობენ და დახმარებას თხოვენ.

კვირას, 6 ოქტომბერს დეპუტატი ინახულა იმავე საზოგადოების სოფელ ბაბუშერის გლეხობის წარმომადგენლებმა. მათ უამბეს ჩხენკელს, რომ ისინი 40 წელი იქნება, რაც თავად გიორგი შერვაშიძის ადგილში ცხოვრობენ და განიცდიან დიდ შევიწროებას მოურავებისაგან. სკოლის შენობის დასადგამ ადგილშიაც ფულს ახდევინებენ, რის გამოც სკოლის შენობის აგება შეფერხდა.

ამას წინათ, თურმე უმცროსმა მოურავმა გრიგოლიამ, მობოჭა გლეხებში კომლზე სამ-სამი მანეთი ცემენტის ხიდის გასაკეთებლად, მაგრამ დღემდე არ გაუკეთებია. იჯარის ტექსტი კონტრაქტორის ხელშია და გლეხებს პირი არა აქვსთ. ასე რომ, ჩვენი კონტრაქტის შინაარსი ზეპირად უნდა დავიხსომოთ, — ამბობდნენ გლეხები. უამბეს რა ყოველივე ეს ბაბუშერის წარმომადგენლებმა, სთხოვეს დეპუტატს, თუ მოხერხდება, ხსენებული ადგილების მათ კუთვნილებაში გადასვლას შეუწყოს ხელი. დეპუტატმა აუხსნა, რომ მას ასეთი პირობის მიცემა არ შეუძლია, რადგანაც დღევანდელი კანონები არ გადასჭრიან ამ კითხვას გლეხების სასარგებლოთ. ის მხოლოდ ინახულებს პეტერბურგში თავად გიორგი შერვაშიძეს, გადასცემს ყოველივე მათ გაჭირვებას და სთხოვს, რომ ყურადღებით მოეკიდოს ის გლეხების მოთხოვნილებას.

ბაბუშერაში 400-მდე კომლი ცხოვრობს, ის 20 ვერსით არის დაშორებული ქალაქ სოხუმზე. მცხოვრებთა უმრავლესობა მეგრელებია.

დეპუტატი ინახულეს აგრეთვე სოხუმის ოლქის მასწავლებელთა წარ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, ფ. 2;

მომადგენლებმა, ისინი ამბობენ, რომ მათ სდევნიან, უკრძალავენ ქართულის სწავლებას და სხვ. სახალხო სწავლების ინსპექტორმა ხელი მოაწერა პროგრამის დებულებას და მოითხოვს მუნჯური მეთოდის შემოღებას. დეპუტატმა სთხოვა მასწავლებლებს ხსენებული ცირკულიარის პირი და აღუთქვა, რომ ყოველივე ამ უკანონობისა და შევიწროების წინააღმდეგ გაილაშქრებს და სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდგან გამოაქვეყნებს. სამურზაყანოდან ჩამოსულმა მღვდლებმა შესჩივლეს დეპუტატ ჩხენკელს, რომ მეგრელ მღვდლებს სდევნიან.

გალში არის სასულიერო-სამასწავლებლო ორ კლასიანი სკოლა, რომლის კურსდამთავრებულნი ინიშნებიან ან მღვდლებად, ან მასწავლებლად. მაგრამ ქართულს ამ სკოლაში არ ასწავლიან და ამნაირად სამურზაყანოსთვის ხსენებული სკოლიდან გამოდიან ქართულის არმცოდნე მღვდლები და მასწავლებლები, მაშინ, როდესაც სამურზაყანოში მეგრელები ცხოვრობენ და სწავლა-განათლებას ითხოვენ ქართულ ენაზე. დეპუტატმა ურჩია მღვდლებს, რომ მათ შეკრიბონ ყოველივე ცნობები ეკლესიაში და სკოლებში ენის დევნის შესახებ და გაუგზავნონ მას დუმაში, რათა სინოდის სმეტის განხილვის დროს გამომჟღავნებული იქნეს ყველაფერი.[1]

გაზეთი „მერცხალი", 64, 1913 წელი, 24 ნოემბერი:

ოჩამჩირე. დეპუტატ აკაკი ჩხენკელის ჩამოსვლა 13 ნოემბერს. მიწების საკითხი.

სოხუმი.

გასულ მარიამობისთვეში რამდენიმე აფხაზმა ინტელიგენტმა სთხოვა სოხუმის ოლქის უფროსად ახლად დანიშნულ ბ-ნ **ვეტცელს,** მოეწვია სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელნი იმის გამოსარკვევად, თუ რას გაიღებდნენ მცხოვრებნი საოსტატო სემინარიის დასაარსებლად აფხაზეთში. ბ-ნ ვეტცელმა დიდი თანაგრძნობა გამოიჩინა და აღუთქვა ინიციატორთ ყოველგვარი დახმარება, თუ საზოგადოების წარმომადგენელნი თანაგრძნობით მიეგებებოდნენ ამ აზრს. კრება მოხდა მარიამობისთვეს. კრებას დაესწრო 56 სოფლის საზოგადოების წარმომადგენელი და საქმის ინიციატორნი, სულ ას ოც კაცამდის.

კრების მონაწილენი დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ ამ აზრს და ხანგრძლივ თათბირის შემდეგ ერთხმად დაადგინეს: „ეთხოვოს სათანადო მთავრობას, საოსტატო სემინარია გახსნას ქალაქ სოხუმში და თუკი გახსნას, მიეცეს წინადადება ერთდროულად ამ სასწავლებლის შენობის ასაგებად თითოეულმა კომლმა, სოხუმის ოლქში მცხოვრებმა, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, გაიღოს ხუთ-ხუთი მანეთი. კრებამ სთხოვა ბ-ნ ოლქის უფროსს შუამდგომლობა გაეწია მთავრობის წინაშე ამის შესახებ, თვითონ წარმომადგენლებმა კი, ვალად იდვეს ადგილობრივ თავიანთ საზოგადოებას განუმარტონ სემინარიის საჭიროება, და თუ დაეთანხმებოდნენ მათ დადგენილებას, შეედგინათ შესაფერისი პრიგოვორები. როგორც უკვე გამოირკვა, თითქმის ყველა საზოგადოებას შეუდგენია ოლქის უფრო-

[1] გაზეთი „მერცხალი", № 64, 1913 წელი, 17 მარტი.

სისათვის, კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსიც დიდი თანაგრძნობით მიეგება მცხოვრებთა შუამდგომლობას, თუკი დანაპირებს შეასრულებთო. ამ განაჩენის ძალით უნდა შეგროვდეს არანაკლებ ასოციათასი მანეთისა. გარდა ამისა, 12 ნოემბრის სხდომაზე ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა, მისცეს სემინარიას 5 დესეტინა მიწა და ერთდროულად 10 ათასი მანეთი. ამრიგად, ახლო მომავალში სოხუმს ერთი საშუალო სასწავლებელი მიემატება...“

კიდევ უფრო გააქტიურდნენ ქართველი პოლიტიკოსები იმპერიის დაშლის შემდეგ. ამიერკავკასიის რესპუბლიკის ხელისუფლებში ყოფნისას აკაკი ჩხენკელი სხვა თანაპარტიელებთან ერთად ხშირად ჩადიოდა სოხუმის ოლქში, არკვევდა აქ არსებულ პრობლემებს. ოლქში კოლონიზაციის პოლიტიკით გართულებული სამეურნეო-ეკონომიკური პრობლემები იყო, ბევრი ქართველი გლეხი ვერ ინარჩუნებდა საკუთრებას, იყო არენდატორთა და გლეხთა შორის დაძაბული ურთიერთობა.

მის ერთ ასეთ მოგზაურობას აღწერს 1917 წლის გაზეთი „ერთობა“. გაზეთის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ: „ 13 ივლისს დეპუტატი ჩხენკელი გაემგზავრა სოხუმის ოლქის დასათვალიერებლად, მას მიზნად ჰქონდა სოხუმის ოლქის გლეხთა ყრილობაზე დასწრება.

15 ივლისს დეპუტატი სოხუმს ჩავიდა. ამ დღეს გაიხსნა გლეხთა ყრილობა.

18 ივლისს დასრულდა გლეხთა ყრილობა, არჩეული იქნა გლეხთა დეპუტატების საბჭო.

19 ივლისს დეპუტატი გაემგზავრა სამურზაყანოში. ქ. ოჩამჩირეში მას დაუხვდა მრავალრიცხოვანი კრება, რომელსაც ხანგრძლივად ესაუბრა დეპუტატი... სამურზაყანოს ცენტრში, დაბა გალში დაუხვდა 14 საზოგადოების მცხოვრებნი. კრება გაიმართა ადგილობრივი სკოლის წინ. უმთავრესი თხოვნა ეხებოდა მესაქონლეობისა და ავადმყოფი დეზერტირების საქმეს“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ჩხენკელი დამოუკიდებლობის წლებიდანვე ძირითადად დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა საზთვარგარეთ, ის მაინც ნახულობდა დროს ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის განსამტკიცებლად, დამოუკიდებლობის შესახებ ლექციების წასაკითხად, განსაკუთრებით ეს იმ რეგიონებს ეხებოდა, სადაც რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ დიდხანს იღვაწა ამ იდეის დასაზიანებლად და შესასუსტებლად. ასეთი რეგიონი იყო აფხაზეთიც, სადაც დაიბადა, გაიზარდა დ საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო ქართული დამოუკიდებელი სახელწიფოს იდეის ერთერთმა უერთგულესმა დამცველმა აკაკი ჩხენკელმა.

1920 წლის იანვარში, საქართველომ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება, როგორც დე-ფაქტო დამოუკიდებლობის მქონე ქვეყანამ. აკაკი ჩხენკელმა, ამჯერად არა როგორც დუმის დეპუტატმა, არამედ საკუთარი სამშობლოს დამფუძნებელი კრების დეპუტატმა, იმოგზაურა აფხაზეთში,

[1] გაზეთი „ერთობა“, № 107, 1917 წელი, 27 ივლისი.

შეხვდა ოჩამჩირის და გალის მოსახლეობას, სადაც მრავალრიცხოვანი კრებები ჩატარდა ამ სადღესასწაულო მოვლენის აღსანიშნავად. კრებებზე ჩხენკელი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა, ყველა კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ აფხაზეთის ამ ქალაქებისა და დაბების მკვიდრნი აქტიურად ჩაებმებოდნენ მშობელი ქვეყნის სამსახურში, ყველაფერს გააკეთებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს საკეთილდღეოდ.[1]

ემიგრაციაში მყოფი ჩხნკელი არ ივიწყებდა მშობლიურ კუთხეს, კავშირი ჰქონდა თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში მცხოვრებ აფხაზეთის წარმომადგენლებთან, მხარს უჭერდა საქართველოს ერთიანობის პრინციპს, სადაც აფხაზი ხალხი თავის გამორჩეულ სიტყვას იტყოდა ისევე, როგორც ამას ქვეყნის ერთიანობისა და სიძლიერის ყველა ხანაში აკეთებდა.

საინტერესოა აკაკი ჩხენკელის სიტყვა აფხაზეთის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის — არზაყან ემუხვარის დაკრძალვაზე ლევილში 1939 წლის მარტში.

სიტყვის ავტორისეულ დედანს თავზე წარწერა აქვს: „დ. ს." რედაქცია (გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო") ამიჯანყდა ლადი ემუხვარის[2] სიტყვის გამო, არ დაიბეჭდება არც ვლასას სიტყვა, მოთავსდება მხოლოდ კონია კანდელაკის სიტყვა. აი, ეს ხალხი აპირებს აბხაზებთან მეგობრობას!"

წერილში, გარდა იმ გულთბილი ურთიერთობისა, რაც არზაყან ემხუართან აკავშირებდათ დამოუკიდებელი საქართველოს ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკოსებს, დასმულია სხვა საინტერესო საკითხებიც. როგორც ვიცით, აკაკი ჩხენკელი აფხაზეთში დაიბადა და გაიზარდა. არზაყანი მისი ბავშვობის მეგობარი იყო. მათი ქართული პატრიოტიზმი, სადაც კუთხურობის მომენტი გამოირიცხებოდა, მათი ერთნაირი შეხედულება ქართული სახელმწიფოს მოწყობაზე, სათავეებს იმ შორეულ ურთიერთობაშიც იღებდა. ეს კარგად იკითხება ჩხენკელის სიტყვაში. სამგლოვიარო ტექსტში ბევრი უცნობი დეტალიცაა ემხვარის ცხოვრებიდან, რაც ამ გამოჩენილი მოღვაწის, ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის სიმბოლოს წარმოაჩენდა.

„არზაყან! მეგობარო არზაყან! შენ სწორედ დღეს, კვირას, უნდა ჩამოსულიყავი ლევილში ჩვენი პატარა მამულის სანახავად, გელოდნენ კიდეც. შენ მართლა მოდი, მაგრამ როგორ! მართალია, შენ გინდოდა აქაც, ამ სამსხვერპლოზე მოსვლა, სადაც ამდენი ქართველი განისვენებს, ყვავილების მოყრაც გინდოდა კოლია ჭუმბურიძისა და კონია საბახტარაშვილის საფლავებზე. უბედობაც ასეთი უნდა, ჩემო არზაყან!

[1] გაზეთი „ერთობა", № 32, 1920 წლის 11 თებერვალი.

[2] ლადო ემუხვარი, ქართველი სამხედრო ემიგრანტი, არზაყან ემხვარის ვაჟი, მოღვაწეობდა პრაღაში. მის შესახებ მიხეილ უბირია წერდა აკაკი ჩხენკელს 1925 წლის 11 ოქტომბერს, რომ ის დაქორწინდა გერმანელ (ბერლინელ) ქალზე და ქორწილისთვის ემზადებოდნენ [სცსსა, ფონდი 18311, აღწერა 2, საქმე266, ფურც.4.].

ხუთშაბათ ღამეს შენ გვეუბნებოდი საავადმყოფოში მე და კოწიას[1], შენს მეგობარს, რომელიც ესაა გელაპარაკა აქ: მე უკეთ ვარ, გული მაგარი მაქვსო, ხოლო შემდეგ გავიგეთ, რაც გითქვამს სოხუმელი მეგობრისთვის, საშა ქორქიასთვის: ნეტავი არ გავწვალდებოდე, ისე გავთავდებოდეო. მაშ, შენ გული გაგვიკეთე მე და კოწიას, დილით ექვს საათზე გაგვეპარე. შენ მართლა არ გიწვალია, ასე გვითხრეს შენს სანახავად მოსულებს. ლამაზად, მშვიდად, შენებურად დაგიხუჭავს თვალები. მე არ ვიცი, რა უფრო გძაგდა შენს ცხოვრებაში: ბოროტი, უსამართლო საქმე, თუ ულამაზო, უშნო საქმე. მე მგონია, მეორე და ეს იყო, რაც შენ განსხვავებდა სხვებისაგან.

მე მინდა, არზაყან, ზოგი რამ ვუამბო აქ დამსწრეთ შენი ცხოვრებიდან. მაგრამ არ ვიცი, რომელი ერთი მოვყვე, ერის ღირსებისა და სახელის დაცვაში შეუპოვარი იყავი. თუ გინდ, ერთი ეპიზოდი შენი ახალგაზრდობიდან, როცა შენ 15-16 წლის იყავი, მე ხომ უფროსი ვიყავი შენი და არც მეგონა, ჩემზე უწინ თუ ჩახვიდოდი საფლავში. ჩვენ ორივემ გავქუსლეთ ცხენით ბედიისკენ, მისი ნანგრევების სანახავად. ის ხომ მოსაზღვრეა ოქუმის საზოგადოებისა, სადაც ჩვენ დავიბადეთ და აღვიზარდეთ. ავედით თითქმის ჭიანით შესანიშნავ გორაზე, სადაც ნანგრევებია და იქიდან გადაგვეშალა შესანიშნავი სურათი: ერთის მხრით სამეგრელო, მეორეს მხრით აბხაზეთი, აბჟუა, მესამე მხრით მთები, მეოთხე მხრით შავი ზღვა, იქვე გაჩნდა რამდენიმე აბხაზი და შენ მიუბრუნდი და ეუბნები მათ: იცით, ვინ ააშენა ეს დიდებული ტაძარი? მეფე ბაგრატ III-მ, მაგრამ მანვე ააშენა აგრეთვე ტაძარი ქუთაისში. იცით, რას ეძახოდნენ მას? მეფე აბხაზეთისა და საქართველოსი! და ამ წუთს ისე ასწიე შენ თავი, რომ აფხაზებმაც მოგიხედეს და მათაც ასწიეს ამაყად თავი! აი, ერთი ნიმუში შენი პროპაგანდისა, თუ ამას პროპაგანდა დაერქმევა.

არზაყან! შენ არ იყავი არც პროპაგანდისტი და არც აგიტატორი, თუმცა სოციალ-დემოკრატი იყავი და დარჩი ბოლომდე, მაგრამ სულ სხვანაირი ყაიდის. გლეხები შენში თავდადებულ მეგობარს ხედავდნენ, შენ მათ უყვარდი, მათი სათაყვანებელი იყავი, მაგრამ გარეგნულად თითქოს მათი ამხანაგი იყავი.

უცხოეთიდან დაბრუნებული ჩამოვედი ოქუმში 1910 წელს. მინდა განახო, მაგრამ მეუბნებიან, რომ შენ ჩხორთოლიდან შეშელკოში გადასახლებულხარ. გეწვიე და რა ვნახე? გაგიჩეხია ტყე და შიგ კოპნია ოდა დაგიდგამს. ირგვლივ ძალიან ფართე ეზო, არცერთი მეზობელი. — რას შვრები ამ ტყეში მარტო? — გეკითხები მე. შენ ჩაიცინე და მიპასუხე: ოდის ირგვლივ, ტრიალი მინდვრიდან მტერი ვერ შემომეპარებაო. თითქოს მართალს ამბობ, წელზე გკიდია რევოლვერი, წინათ კი იარაღი არ გიყვარდა, ატარებდი პატარა სატევარს შნოსათვის. შენთან დავყავი ერთი კვირა და მართლაც გავიგე, რომ მტრები ბევრი გაგიჩენია, შენ არ გიყვარდა ამაზე ლაპარაკი, სხვებმა მითხრეს, შენმა სტუმრებმა, თითქმის ყველა რჩევადარიგებისთვის მოსულებმა. მაშინ დავინახე აგრეთვე თუ როგორი მამა

[1] კოწია — უნდა იგულისმებოდეს კონსტანტინე კანდელაკი

გამხდარხარ. ცოლი და ორი ვაჟი თვალს არ გაშორებდენ, სიყვარულით აღსავსეს. შენ გამაცანი აბხაზეთის მდგომარეობა, შენი ჭირ-ვარამი, ორგანიზაციის მუშაობა სოფლად, დაბებში, ცენტრში — სოხუმში და მისი კავშირი ქუთაის-თბილისთან.

დადგა 1917 წელი, რევოლუცია და შენც დაიწყე ძალთა მობილიზაცია. ცდილობდი და კიდეც მიაღწიე, რომ ხალხის მიერ ხელისუფლების აღება მწყობრად მომხდარიყო, უექსცესოდ. მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკის შემდეგ, როცა კავკასიის და საქართველოს მდგომარეობა მეტად გართულდა, აბხაზეთმაც ვერ აიცდინა თავიდან არეულობა, მოწყობილი შავრაზმელი რუსებისაგან და ბოლშევიკებისაგან. სწორედ მაშინ დაიბადა ტფილისის ზოგიერთ წრეებში აზრი სამურზაყანოს აბხაზეთისაგან ჩამოშორებისა, რასაც შენ გაუწიე სასტიკი წინააღმდეგობა და მეც დამიხმარე ამაში. როგორ, —ამბობდი შენ, თუ სამურზაყანო ჩამოაცილეთ აბხაზეთს, გამოეთხოვეთ უკანასკნელს, ის დაკარგულია სამუდამოდ! შენ მართალი იყავი, ასჯერ მართალი! სამურზაყანო აბხაზეთის ბურჯია, მისი ხერხემალია. უმისოდ მას არსებობაც არ შეუძლია. ზოგმა ქართველმა არც კი იცის დღემდე, რატომ ეძახიან სამურზაყანოელნი თავის თავს აფხაზებს, თუმცა, ყველანი მარტო მეგრულად ლაპარაკობენ. ამის ახსნა თვით ხალხის თავდაცვის ინსტიქტში უნდა ვეძიოთ. ენგურის გაღმა სამურზაყანოელი არაფრით განირჩევა მეგრელისაგან, ღალიძგის გაღმა ის აბხაზია. სამურზაყანო ხიდია, აბხაზეთსა და საქართველოს შუა გადებული, მისი ჩატეხვა ვერ შესძლო რუსის მმართველობამ, ქართველები კი ამას არ მოისურვებენ, თავის თავის მტერი არ არიან.

მაგრამ მეორე კითხვაც გაწუხებდა შენ, არზაყან! ერთხელ მომვარდი ტფილისში და მეუბნები: რას შვრება დამფუძნებელი საკონსტიტუციო კომისია, შეიტანს თუ არა პროექტში აბხაზეთის ავტონომიას. ჩვენ ეს ფორმულა შევიმუშავეთ და კიდეც გავიყვანეთ კომისიაში. შენ კი არ დაგიცდია ამისათვის, აბხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე იყავი და ერთი წუთიც არ გქონდა თავისუფალი. ერთხელ მეც ჩამოვიარე აბხაზეთი, 1920 წელს, ვლასასთან ერთად[1] რომელმაც ასეთი მხურვალე სიტყვა გითხრა არზაყან[2], ვიყავით სოხუმშიც, რა გვესმოდა შენზე, როგორ გიყურებდა ხალხი! არზაყან უხაწკისეით (არზაყანის ჭირიმე), აი, რა გვესმოდა ყოველის მხრიდან. მაშინ გავიცანი შენი დაუღალავი თანამშრომელი მიხა უბირია, აბხაზეთის რამიშვილი. სწორედ მისგან მივიღე გუშინ დეპეშა პრაღიდან: ვარ განცვიფრებული, რა მოუვიდა ჩვენს გაუტეხელ, ერთგულ და კეთილშობილ არზაყანს, ქართველ დიდ პატრიოტს, ვსტირით უნუგეშოდ პრაღის ქართველები, ვიხდით პანაშვიდებს".

მე არ ვიცი, როდის გაიგებს აბხაზეთი შენს დაკარგვას, ვიცი მხოლოდ, რომ ის მწარედ ამოიოხრებს. მაგონდება დიდი ტირილი აბხაზეთში: გრ-

[1] ლასა, — ვლასა მგელაძე (1872-1943), ცნობილი სოციალ-დემოკრატი, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 1918 წლის 26 მაისს, მთაწმინდაზე, ილიას საფლავზე ავიდა და ჩასძახა: გავიმარჯვეთო.

[2] იგულისმება ემუხვარის დაკრძალვაზე ვლასა მგელაძის სიტყვა, რომელიც არ დაუბეჭდავს „დამოუკიდებელ საქართველოს".

ძლად ჩამწკრივებული უთვალავი ხალხი, ერთ მხარეზე, შავ ძაძებში თმაგაშლილი ქალები, მეორე მხარეზე ვაჟები, შუაში თეთრ ძაძებში გარდაცვლილის ძიძა, მის უკან ძიძიშვილებს უჭირავთ მისი შეკაზმული ცხენი, ისინიც შავებში. მღერიან რიგ-რიგობით აფხაზთა დაუვიწყარ ზარს, ქალები მესტებს ირტყამენ თავში, ვაჟები ხელებს, ხოლო ძიძა ლოყებს იკაწრავს. მას ადათი არ აძლევს ნებას შავი ჩაიცვას, არც გარდაცვლილად იგულოს თავისი გაზრდილი და განაგრძობს მისი სახელით ფიცს. სწორედ ამგვარათვე, აბხაზეთი არ შეურიგდება არზაყან, შენს სიკვდილს, ის განაგრძობს — გიფიცოს, „არზაყანი არ მომიკვდეს"! მე დარწმუნებული ვარ, რომ არც შენს ძვლებს დატოვებენ აქ. შენ უთხარი ჩემს ცოლს: სამშობლოს განთავისუფლების იმედი რომ არ მქონდეს, თავს არ ვიცოცხლებდიო. და აი, სწორედ განთავისუფლებული სამშობლო მიგიკრავს შენ გულში.[1]

აფხაზეთისა და აფხაზების სიყვარულს ჩხენკელი სიკვდილამდე გულით ატარებდა და სწამდა, რომ ისტორია ყოველთვის იქნებოდა ქართველი და აფხაზი ხალხის განუყრელი კავშირის მომხრე.

აკაკი ჩხენკელი და აჭარის საკითხი

ჩხენკელი სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით იყო დაკავშირებული აჭარასა და ბათუმთან. ის 1912 წელს, IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად, სოხუმის ოლქთან ერთად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით ბათუმის ოლქიდანაც აირჩიეს. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მას დაუპირისპირდნენ სოხუმის ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე[2], „ბატუმსკი ვესტნიკის" რედაქტორი გრიგოლ ვოლსკი[3], მაგრამ მისი

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 251, ფურც. 1-2.

[2] ნიკო თავდგირიძე, — ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძე 1871-?.. ეროვნულ-დემოკრატი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, აქვეყნებდა წერილებს ეროვნულ-დემოკრატიულ პრესაში — „ერი", „ალოხიდა", საქართველო", „ალდე" და სხვ. იცავდა აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესებს, აკრიტიკებდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას აფხაზეთში. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ებრძოდა საოკუპაციო ხელისუფლებას. როდესაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია დააპატიმრეს გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მიმართვის გამო, დააპატიმრეს ასევე სხვა პირები, რომელთაც 1924 წლის მარტში სასამართლომ სხვადასხვა სასჯელი გამოუტანა. ნიკო თავდგირიძეს, რომელიც ამ 6 კაცს შორის იყო, მიესაჯა „სამი წელიწადი, 6 თვე და 23 დღით სასტიკი იზოლაცია და ქონების ჩამორთმეება". გარდაცვალების წელი უცნობია.

[3] გრიგოლ ვოლსკი — გრიგოლ იოსების ძე ვოლსკი (ფსევდ. გრ. უმნიფარიძე) (დ. 24 იანვარი, 1860, ქუთაისი, — გ. 5 ოქტომბერი, 1909, თბილისი; დაკრძალულია ბათუმში), ქართველი პუბლიცისტი, პოეტი, ექიმი, საზოგადო მოღვაწე; წარმოშობით პოლონელი. დაიბადა რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი პატრიოტის ოჯახში. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო და ფილოლოგიური ფაკულტეტები. ვოლსკი 1888 წლიდან მოღვაწეობდა ბათუმში, სადაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, არჩეული იყო ქალაქის სათათბიროს წევრად. მისი თაოსნობით 1889 წელს ბათუმში აშენდა ახალი ქართული სკოლა, რომელსაც შემდგომ თავადვე ემსახურებოდა უფასოდ, როგორც ექიმი. მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის 1897 წელს ბათუმის ქალთა პროგიმნაზიის, ხოლო 1900 წელს ვაჟთა გიმნაზიის დაარსებაში, მისივე ინიციატივით 1902 წელს გაიხსნა და 1903 წელს გაფართოვდა

ძირითადი მოწინააღმდეგე იყო ალექსანდრე შერვაშიძე[1].

აკაკი ჩხენკელმა მეტი ხმა მიიღო და გახდა დეპუტატი აფხაზეთიდან და ბათუმ-ყარსის ოლქიდან.

როგორც დეპუტატი, ჩხენკელი სათათბიროს ტრიბუნიდან პოლიტიკურად აქტიურობდა, სათათბიროში ის საგარეო დარგში მოღვაწეობდა, ხელმძღვანელობდა შეკითხვათა კომისიას. ის იყო ასევე სოციალისტური ინტერნაციონალის ფრაქციის წევრიც. განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება I მსოფლიო ომის დროს იმპერიის ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ღალატში დადანაშაულებული აჭარლების მიმართ. ჩვენ მოვიძიეთ და ქართულად ვთარგმნეთ დოკუმენტი, რომელიც აჭარის საზოგადოებამ წარუდგინა აკაკი ჩხენკელს, როგორც მის წარმომადგენელს სახელმწიფო სათათბიროში. დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია, ის ხელმოწერილი არაა, მაგრამ ჩანს, რომ მის შედგენაში მონაწილეობდა აჭარის მაშინდელი მოწინავე საზოგადოების მთელი ჯგუფი, ადამიანები, რომლებიც იცავდნენ ე. წ. „მოღალატე აჭარლების" და ზოგადად, სახელმწიფოს მტრებად მიჩნეულ ქართველ მუსულმანთა უფლებებს.

1. ტრაგიკული მოვლენების წინაისტორია დოკუმენტში ასეა გადმოცემული: „ბათუმის ოლქის[2] ფარგლებში წარმოქმნილ სამხედრო მოქმედებებში ადგილობრივმა სამხედრო ხელისუფლებამ გამოავლინა სრული დაბნეულობა და გაუთვითცნობიერებლობა, რის გამოც თურქებმა სწრაფი შეტევით ორი დღის განმავლობაში დაიკავეს თითქმის მთელი ოლქი. ამ დროს ჩვენმა ჯარებმა, შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობის გაუწევლად, დაიხიეს ბათუმის მთებისკენ, რომელიც გამაგრებულია მიხეილის ციხე-სიმაგრით[3]. ამ რაიონის სარდალმა (მეთაურმა), გენერალ-მაიორმა გოლშინმა, ვერ გაითვალისწინა რა თურქთა თავდასხმა, არათუ არაფერი გააკეთა რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობის საშველად, არამედ განკარგულებაც კი გას-

---

ბათუმის პირველი საავადმყოფო, იმავე წელს გაიხსნა ბათუმის გაერთიანებული საჯარო ბიბლიოთეკა, 1908 წელს კი — ბათუმის საბავშვო მუზეუმი. დავით კლდიაშვილთან და ივანე მესხთან ერთად იღვნოდა აჭარის მოსახლეობის კულტურული პროგრესისათვის. ხელმძღვანელობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილებას; მხარს უჭერდა დემოკრატიული რეფორმების გატარებას, სანარმოო ძალთა განვითარებას კაპიტალისტურ საფუძველზე.

1907 წელს ვოლსკის თავს დაესხნენ და მძიმედ დაჭრეს. მოღვაწეობის გაგრძელება მხოლოდ 1908 წლიდან შეძლო – მუშაობდა თბილისის კერძო გიმნაზიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. გარდაიცვალა თბილისში; დაკრძალულია ბათუმში, თუმცა მისი საფლავი დაკარგულია. ვოლსკის სახელს ატარებს ქუჩა ბათუმში.

[1] ალექსანდრე შერვაშიძე — დაიბადა 24.XI.1867 — გარდაიცვალა 17.VIII.1968; დაკრძალულია სოხუმში.

[2] ბათუმის ოლქი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში, შეიქმნა 1878 წელს, საქართველოს იმ ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთმა შემოიერთა 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით. ის აერთიანებდა ბათუმის, ართვინისა და აჭარის ოკრუგებს. 1882 წელს ოლქი გაუქმდა და ოკრუგის სახით ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. 1903 წლიდან ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას გამოეყო ცალკე ერთეულად, ადმინისტრაციული ცენტრით — ქ. ბათუმი.

[3] მიხეილის ციხე-სიმაგრე — საფორტიფიკაციო ნაგებობა, ციხე-სიმაგრე ქ. ბათუმის მახლობლად.

ცა ციხე-სიმაგრის რაიონიდან ძალადობრივი გზით იქ მცხოვრები ყველა აჭარელი, — მუსულმანი ქართველები, თურქული ჯარის მიერ დაკავებულ მხარეს განედევნათ. ამასთან, ამ მუსულმანების სახლები და ქონება მათსავე თვალწინ იქნა გადაცემული გასაძარცვად და გადასაწვავად, თავად ისინი, მათ შორის ქალებიც, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, მათი მხრიდან, ათასგვარი ძალადობის და შეურაცხყოფის მსხვერპლნი შეიქმნენ. ამავე დროს, მიმავალი ჯარის კვალდაკვალ ბათუმიდან მიდიოდნენ ბედის ანაბარად მიტოვებული ადმინისტრაციის წევრები და ქრისტიანი სომხები — ქალაქ ართვინის მცხოვრებნი. ყველამ მშვიდობიანად მიაღწია ბათუმს და სასამართლო პროცესების დროს ადმინისტრაციის ჩინოვნიკები ადასტურებდნენ ადგილობრივ მუსულმანთა — სრულიად მტრობას მოკლებულ, თანაგრძნობის გამომხატველ დამოკიდებულებას მათ მიმართ".

2. მოვლენების II პერიოდს, დოკუმენტის ავტორების აზრით, წარმოადგენდა ჩვენი ჯარების შეტევაზე გადასვლა ბათუმისა და ყარსის ოლქების[1] ფარგლებში (ამ უკანასკნელის დიდი ნაწილი, სარიყამიშის ბრძოლის დროიდან მოყოლებული, ასევე დაკავებული იყო თურქების მიერ). ეს პერიოდი, ამ ოლქების მოსახლეობისათვის, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში თურქების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, დიდ უბედურებად იქცა. რუსული ჯარი, რომელიც შედგებოდა თურქესტანიდან, იმიერბაიკალიდან და რუსეთის სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ხსვადასხვა ნაწილებისაგან, რომლებიც ნაკლებად იცნობდნენ ადგილობრივი ცხოვრების პირობებს, ხელისუფლებისა და სომხების დამოკიდებულებას მუსულმანების მიმართ, თურქეთსა და თურქების მიერ ოკუპირებულ ჩვენ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქრისტიანთა ხვედრს, სასტიკად უსწორდებოდნენ საბრძოლო შეტევისას გზაზე შეხვედრილ ჩვენ მუსულმან მოსახლეობას.

ძნელია აღერა ყველა იმ სისატიკის, ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის სურათის, რომლის მსხვერპლიც გახდა აჭარელი მოსახლეობა (აგრეთვე ყარსის მუსულმანი მოსახლეობა). რუსული ჯარის უკუშეტევისას. სასტიკმა, დაუმსახურებელმა გასწორებამ, პანიკაში მყოფი მოსახლეობა აიძულა გაქცეულიყო და თავი მთებისა და ტყეებისათვის შეეფარებინა, სადაც შიმშილით იხოცებოდნენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იყო შემთხვევები, როცა ძაღლები საკუთარი პატრონების გვამით იკვებებოდნენ, ქალები ჩვილ ბავშვებს თოვლში აგდებდნენ, გაყინვით სიკვდილისთვის გამეტებულებს. იმ ქალებზე, რომლებიც გაქცევას ვერ მოასწრებდნენ, ჯერ ძალადობდნენ, შემდეგ კი ხოცავდნენ. ყარსის ოლქში ქალთა საკონცენტრაციო ბანაკებიც კი შეიქმნა, სადაც მათზე ძალადობა ყოველდღიურად ხდებოდა. როგორც აჭარელ, ისე ყარსელ მუსულმანთა მთელი ქონება გაძარცვულ იქნა, სახლები დაანგრიეს. აჭარაში, მაგალითად, სპილენძის ერთი ჭურჭელიც კი არ დარჩა. მთელი მუსულმანური მოსახლეობა ეჭვმიტანილი გახდა და მასობრივი დახვრეტების მსხვერპლად იქცა. ეს ყველაფერი კი ხდებოდა გეგმაზომიერად, შეგნებულად,

[1] ყარსის ოლქი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში (1878-1917). სამხრეთ კავკასიაში, ადმინისტრაციული ცენტრი — ქალაქი ყარსი.

როგორც გარკვეული გეგმის შედეგი, რომელსაც განუხრელად ატარებდა სამხედრო ხელისუფლება. სახელმწიფო სათათბიროს წევრის, აკაკი ჩხენკელის მცდელობებმა, დახმარებოდა მოსახლეობას და საზოგადოების რამდენიმე ფენაში ატეხილმა განგაშმა მხოლოდ ის შედეგი მოიტანა, რომ ხელისუფლება გაღიზიანდა. აი, ამ ხელისუფლებამ, ადგილობრივი ადმინისტრაციის თავდებობის მიუხედავად, დაიწყო აჭარლების და ყარსის მუსულმანთა დადანაშაულება სომეხთა ხოცვა-ჟლეტაში, სომხების მუსულმანთა წინააღმდეგ გაქეზება, საჩივრების შემოსატანად და საპასუხო ძალდობის ჩასადენად. და აი, ასეთ პირობებში შეიქმნა პროსკრიპციული[1] სიების შედგენა, დაახლოებით 3 000 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც სახელმწიფო ღალატში ადანაშაულებდნენ.

რამდენიმე ნეიტრალური მოწმის ჩვენებით, რომლებიც სრულ ნდობას იმსახურებენ, შემდეგ კი გამოძიების ობიექტური მონაცემებით (ამ პროცესში წინასწარი ძიება არ ყოფილა) დადგინდა, რომ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე თურქების მიმართ ბათუმის და ყარსის ოლქების მუსულმანური მოსახლეობა სრულიად ლოიალური იყო. გენერალ პოროშინის, შემდეგ კი ბრწყინვალე თავადის, გალიცინის გამოძიების მიხედვით, რაც დეპუტატ აკ. ჩხენკელისა და მთავარსარდლის შტაბის დაჟინებით მოხდა, დადგინდა, რომ მუსულმანური მოსახლეობის მხრიდან მასობრივ ღალატს ადგილი არ ჰქონია. საყურადღებოა, რომ მეფე ნიკოლოზ II-ც კი, თავის დეპეშაში ვორონცოვ-დაშკოვის[2] სახელზე, აჭარის მოსახლეობაში მომხდარს მოიხსენიებდა არა ღალატად, არამედ „უბედურებად". იმავე მონაცემებით დგინდება, რომ არავითარ მტრულ გამოსვლებს ადმინიტრაციულ ჩინოვნიკთა და სამხედროთა წინააღმდეგ, საომარი მოქმედებების დაწყებამდე ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ადმინისტრაციის თითქმის ყველა ჩინოვნიკი ადასტურებდა, რომ ბევრი მოხალისე მუსულმანი აგენტი აძლევდნენ მათ ღირებულ და სანდო, როგორც შემდეგ გაირკვა, ინფორმაციას თურქული ჯარის განლაგების შესახებ. საზღვრისპირა მოსახლეობა, თურქთა თავდასხმის შიშით, მუდმივად ითხოვდა ქვეყნის სიღრმეში გადმოსახლებას, ჯარების მობილიზაციის პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა ყველა მოვალეობას ზუსტად ასრულებდა, სატელეგრაფო ხაზის დაცვა მოსახლეობის რაზმების მიერ ხორციელდებოდა ზედმიწევნით, ჯარის ბათუმის ოლქიდან გასვლის მომენტამდე, თურქების ქალაქ ართვინზე[3] თავდასხმის წინაც კი, კერძოდ, 1914 წლის 3-4 ნოემბერს, ამ მოსახლეობის მიერ შეძენილი იქნა დიდი ღირებულების სახაზინო მიწის ნაკვეთები, თანხა სრულად იქნა გადახდილი და ყველა ფინანსური

[1] პროსკრიპციული — იმ პირთა სია ძველ რომში, რომლებიც პოლიტიკური საქმიანობისთვის სახალხოდ იყვნენ გამოცხადებულნი კანონგარეშედ.

[2] ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (1837-1916) — რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოხელე, გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი. იყო მეფისნაცვალი კავკასიაში 1905-1916 წლებში.

[3] ართვინი — ქართული ისტორიული პროვინციის — ლაზეთის ქალაქი. XVI ს-იდან ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა. 1878 წლიდან შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, როგორც ოკრუგის ცენტრი. 1918-1921 წლებში ისევ დემოკრატიული საქართველოს შემადგენლობაშია, 1921 წლიდან კი — კვლავ ოსმალეთის.

მოვალეობა მოსახლეობის მიერ უსიტყვოდ იქნა შესრულებული. თურქთა ჯარების თავდასხმის დროს დადგენილია თურქთა ტყვეობიდან რუსი სტრაჟნიკის[1], კასიანოვის გათავისუფლების ფაქტი, აგრეთვე მუსულმანთა მიერ გაწეული დახმარება ჩვენი ჯარებისათვის დათოვლილი უღელტეხილებისა და გზების უფასოდ გაწმენდის სახით. ჯარმა უსაფრთხოდ დაიხია უკან ზემო აჭარის მცხოვრებთა დახმარებით".

3. დოკუმენტი ასევე დაწვრილებით ეხება მოვლენების შედეგებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოკუმენტში მოტანილი ფაქტი, რომ რუსული სარდლობის მიერ თურქი ჩეთნიკების[2] დანაშაული სომეხთა დარბევაში პროვოკაციულად დაბრალდა აჭარელ მუსულმანებს. ამით ნათლად ჩანს, რომ ცარიზმი სპეციალურად აპირისპირებდა ერთმანეთთან ამიერკავკასიის მოსახლეობას, რათა გაეთიშა ისინი და თავად ესარგებლა ამ ვითარებით. აი, როგორ არის გადმოცემული დოკუმენტში ამ დაპირისპირების ესკალაციის მომენტები და თავად აკაკი ჩხენკელის უდიდესი ძალისხმევა უდანაშაულო მუსულმანი თანამოძმეების დასაცავად.

„ყველა აღწერილი დეტალი, — ვკითხულობთ დოკუმენტში, — თითქოსდა უნდა გამორიცხავდეს სასამართლო პროცესს აჭარლებისა და ბათუმისა და ყარსის ოლქების მუსულმანთა მიმართ სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით, მაგრამ ამ საქმისადმი შექმნილი განწყობის გამო, მთავრობაში წინ წამოიწია ამ რეგიონის სომეხი მოსახლეობის საკითხმა, იმის გათვალისწინებით, რაც ამ მოსახლეობას გადახდა. ამ რაიონში თურქული ჯარისა და ეთნიკური ბანდების ოთხთვიანი ყოფნისას მიმდინარეობდა სომეხთა ხოცვა-ჟლეტა. საქმის მონაცემებით უნდა დავასკვნათ, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა დაიწყო თურქეთის ჯარის უკანდახევისას ოლქის ფარგლებიდან, როდესაც ბრძოლისუნარიანი სომეხი ახალგაზრდობა ცდილობდა გაპარულიყო თურქების მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან და დახმარებოდა შეტევაზე გადასულ ჩვენ ჯარებს — ამ მკვლელობებს თან ახლდა ძარცვა-გლეჯა და ძალადობა ქალებსა და ცალკეულ პიროვნებებზე. სომეხთა ეკლესიები დარბეულ იქნა. ყველა ამ საშინელებას სომხებში საპასუხო გაბოროტება უნდა წარმოეშვა ზოგადად მთელი მუსულმანობის მიმართ. ეს ყოველივე კი, რა თქმა უნდა, ნოყიერი ნიადაგი იყო სხვადასხვა პროვოკაციებისა და ბნელი ძალების საქმიანობისათვის, რომლებსაც ყოველთვის მოსწონდათ მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორეზე გაქეზება, განსაკუთრებით მუსულმანების სომხებზე და პირიქით. ამის ნათელი დასტურია სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის ისტორია. ჩატარდა გამოძიება, მიკერძოებული სამხედრო-სასამართლო ნაწილის მეთაურის, გენარალ მაკულსკის ხელმძღვანელობით, რომელიც ამჟამად სამსახურიდან დათხოვნილია, არღვევდნენ ძიების ჩატარებისას დადგენილ ყველაზე ელემენტარულ წესებსაც კი და ყველგან ავლენდნენ მიკერძოებულობას

[1] სტრაჟნიკი— დაბალი ჩინის პოლიციელი რუსეთის იმპერიაში.

[2] ჩეთნიკები — იგულისხმება თურქ მოხალისეთა ჯგუფები, რომელთაც ოსმალეთის ხელისუფლება იყენებდა მისთვის არასასურველი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ.

და წინასწარგანწყობას მუსულმანთა წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე, გაღატაკებულმა და შემდგომში მთელი ამ სისასტიკისგან გაბოროტებულმა სომეხმა მოსახლეობამ, რა თქმა უნდა შური ადგილობრივ მუსულმანებზე იძია. ზემოთქმულის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიტანოთ შემთხვევა, როდესაც არტანუჯის პროცესში, რომელზეც 49 ადამიანს ედებოდა ბრალი, ნეიტრალური მოწმის, ფელდფებელ პოპოვის ჩვენებით დადგინდა, რომ დაპატიმრებული მუსულმანები ამოცნობამდე არტანუჯის მოედანზე გამოჰყავდათ, შემდეგ კი მორეკავდნენ სომხებს და აიძულებდნენ მათ ამა თუ იმ პირების ამოცნობას. ასეთ პროვოკაციულ ხერხებს ძიების წარმოებისას არაერთგზის მიმართავდნენ. **ასე ესმოდა მათი როლი ამ საქმეში დეპუტატ ჩხენკელს, რომლის ენერგიული გამოსვლების წყალობით, როგორც სახელმწიფო სათათბიროს, ისე უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, ბათუმისა და ყარსის ოლქების მუსულმანი მოსახლეობა საბოლოო დარბევას გადაურჩა.** ასე ესმოდათ მათი როლი საზოგადოებას და ადმინისტრაციის რამდენიმე მიუკერძოებელ ჩინოვნიკს.

საკმარისია გავიხსენოთ სომეხ-თურქთა ისტორიული დამოკიდებულება, რომ მაშინვე დავრწმუნდეთ, რომ საცოდავ სომეხთა ხოცვა-ჟლეტა თურქთა უკანდახევის დროს მოხდა თურქი ჩეთნიკების მიერ. რატომ უნდა ჩაედინათ ეს ჩვენ მუსულმანებს და არა თურქულ ბანდებს, ისიც იმ მომენტში, როდესაც ჩვენი ჯარების ძლევამოსილ შეტევაში ეჭვი არ ეპარებოდათ არა მარტო სომხებს, არამედ მუსულმანებსაც, აუხსნელია როგორც ძიების მონაცემებით, ისე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. სხვაგვარად როგორ შეიძლება ახსნა, მაგალითად, იმვე საქმეში არსებული ამაღელვებელი შემთხვევის ამბავი, რომელიც მთლიანად სომხებით დასახლებულ დაბა ფხიკიურში მოხდა, სადაც ჩვენმა მუსულმანებმა თურქ ჩეთნიკებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს სომხების დამცირების მცდელობის გამო და სადაც ამავე მუსულმანებმა ეს სომხები და მათი ქონება საღ-სალამათი და ხელუხლებელი გადაარჩინეს. ბოლოსდაბოლოს, უცნაური არ არის, რომ ჩვენი ჯარის ბათუმის ოლქში შესვლის პირველი ორი კვირის განმავლობაში, სომხები, ნეიტრალური მოწმეებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების ჩვენებების თანახმად, იცავდნენ ადგილობრივ მუსულმანებს და ხელისუფლებას უდასტურებდნენ მათ კეთილსაიმედოობას და მხოლოდ გენერალ მაკულსკის კომისიისა და ათასგვარი ბნელი ძალების გამოჩენის შემდეგ უკლებლივ ყველა ადგილობრივი მუსულმანი ძარცვასა და მათ მიმართ ძალადობაში დაადანაშაულეს. ეს ყველაფერი ნათელ მაგალითს წარმოადგენს გენერალ მაკულსკის საგამოძიებო კომისიის ზოგიერთი წევრის დანაშაულებრივი როლისა, რომლებიც, ყველაფერთან ერთად, ფორმალურ პროცესუალურ დარღვევებს უშვებდნენ როგორც ძიების პროცესში, ისე სასამათლო დადგენილებებში.

დოკუმენტში აღწერილია ის პროცესუალური დარღვევები, რომელიც მაკულსკის საგამოძიებო კომისიამ მოახდინა.

1) ეს იყო საკანონმდებლო დარღვევა, ანუ როგორც მას დოკუმენ-

ტის შემდგენლები უწოდებენ, — აზრობრივი, სამხედრო სასამართლოს დადგენილების 342-ე გვერდზე და ამავე დებულების პროექტის III განყოფილების 1350-ე გვერდზე მოცემული განმარტებისა, რომ ძიების მწარმოებელი, რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ცვლის სამხედრო გამომძიებელს, ვალდებული იყო დაეცვა სამხედრო გამომძიებლის მოქმედებათა მარეგულირებელი კანონები.

ამასთან, მოცემულ საქმეში, ძიების მწარმოებლები დაშორდნენ კანონის ნორმებს და დანაშაულის ძიების საქმეში ახდენდნენ კანონმდებელთა ყველა ნების იგნორირებას, რაც ხელს უშლიდა სასამართლოს — სწორად განესაჯა ამა თუ იმ პირთა დამნაშავეობა ჩადენილ სისხლის სამართლის საქმეებში.

2) ბევრ განსასჯელს ბრალად დებდნენ მკვლელობასა და ძარცვას, მაშინ, როდესაც ამ დანაშაულთა შედეგად დაზარალებული პირები სრულიად ნათლად და გარკვეულად მიუთითებდნენ მათთვის მოპარულ საგნებს და იმ ადგილებს, სადაც მათი მოკლული ნათესავები იყვნენ დამარხული. სასამართლომ დაადგინა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო საგამოძიებო მოქმედებების სრული არაობიექტურობის შემთხვევები მკვლელობებისა და ძალადობათა ძიების პროცესში. არაობიექტურობა დაშვებული იყო ბოროტმოქმედების ადგილის დათვალიერებისა და ძალადობის მსხვერპლთა სამედიცინო შემოწმებებისას, მოკლულ სომეხთა საერთო საფლავების შესწავლისას ექსპერტთა საშუალებით, ამ საფლავებიდან ამოღებული გვამების გაკვეთის, მათი პიროვნებების, წარმოშობისა და ეროვნებების დადგენის პროცესში და სხვ.

ამ ყველაფერთან ერთად, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ სამხედრო სასამართლო ქარტიის 445-450 მუხლების ისეთი არსებითი დარღვევა, რომელიც, დიდი სურვილის მიუხედავად, აფერხებს მკვლელობების და ძარცვის არაერთი ბრალდების ობიექტური გამოძიების ყოველგვარ შესაძლებლობას.

ასეთ პირობებში ამ დანაშაულების შესახებ ჩატარებული ყველა განხილვა იძულებულია დაემყაროს დაზარალებულთა ცარიელ სიტყვას.

რამდენად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ დაზარალებულთა განცხადებებს, დანაშაულებრივ მოვლენათა ობიექტური გამოძიების არარსებობის შემთხვევაში, იმითაც შეიძლება განვსაჯოთ, რომ დაღუპულ სომეხთა საერთო საფლავებზე ჯვარი და ღობეები გაჩნდა მხოლოდ თვენახევრის შემდეგ რუსის ჯარის გამოჩენიდან და ისიც მაშინ, როდესაც სამხედრო გუბერნატორმა უსაყვედურა მათ ახლობლებს წამებულთა საფლავების მიმართ უყურადღებობა.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იწვევდა ადვოკატთა ეჭვებს და ბუნებრივად უბიძგებდა მათ გამოეკვლიათ ამ საფლავების შიგთავსი, რაოდენობა მათში დამარხული სომხებისა, რომელთა მკვლელობაშიც ადანაშაულებდნენ განსასჯელებს.

ასეთი გამოკვლევისა და ნივთმტკიცებათა არარსებობა, ახლაც ბადებს

კითხვებს, ჰქონდა კი ადგილი ამ დანაშაულებრივ შემთხვევებს?

3) გამოძიება წინამდებარე საქმეზე, რომლის საფუძველზეც ყველა მსჯავრდებულს წაყენებული აქვს ბრალდება სახელმწიფოს ღალატში, სისხლის სამართლის 103-ე მუხლით, ანუ მოქალაქისთვის ყველაზე საშინელ დანაშაულში, დარღვეულია სასამართლო ქარტიის 514, 515 და 518 მუხლები, რასაც ადასტურებს ბრალდებულთა ახსნა-განმარტებები და თვით საქმის წარმოება.

ბრალდებულებს არ წარედგინათ საგამოძიებო მოქმედება, როგორც ეს არის მოთხოვნილი სამხედრო სასამართლო ქარტიის 514-ე მუხლით;

ამავე ქარტიის 515-ე მუხლის მიუხედავად, ბრალდებულებს არ მიეცათ შესაძლებლობა მიეთითებინათ რაიმე ახალ გარემოებებზე და საერთოდ, დაეპირისპირებინათ რაიმე მათ მიმართ წაყენებული დანაშაულისადმი;

გამოძიებასთან დაკავშირებული ქაღალდები, შეკრული და აკინძული იქნა არა მათი წარმოების ადგილზე, თავად ძიების განმხორციელებელთა მიმართ, არამედ ქალაქ თბილისში, იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც მასში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ეს საქმეები დაბეჭდილია კავკასიის არმიის სამხედრო სასამართლო ნაწილის მთავარსარდლის ბეჭდით.

ძიების მწარმოებელთა ასეთი მოქმედებები წარმოადგენს სამხედრო სასამართლო ქარტიის 518-ე მუხლით გათვალისწინებული წესის პირდაპირ დარღვევას.

არსებითად, ეს აუფასურებს მთელს კვლევას და საფუძველშივე სპობს მისი განმახორციელებლების მიმართ ნდობას, ბრალდებულებს კი ართმევს დოკუმენტების დაცულობის და საგამოძიებო მასალების ხელშეუხებლობის კანონის მიერ მისთვის მინიჭებულ გარანტიას, დოკუმენტებისა, რომლებიც, როგორც წესი, მოიცავენ არა მხოლოდ ბრალდებულის დანაშაულის მამხილებელ, არამედ მის გამამართლებელ მონაცემებსაც.

4) სასამართლო მოკვლევაზე არაერთი სომეხი მოწმის ჩვენებით დგინდება, რომ უმეტეს ბრალდებულთა ჩხრეკას და ნივთმტკიცებათა ამოღებას ისინი თავად აწარმოებდნენ, ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე და ასეთი გზით მოპოვებული მონაცემები ედო საფუძვლად ქურდობის, ძარცვის და დარბევის ამა თუ იმ კონკრეტულ ბრალდებას. თავად გამომძიებლები ჩხრეკას არ ატარებდნენ და, შესაბამისად, საქმის ეს მხარე, არ იყო სამხედრო სასამართლო ქარტიის 425-444-ე მუხლების შესაბამისად მოწყობილი.

5) მოკვლევის მწარმოებლებმა, რომელთა ხელშიც არის აქამდე ძიების მთელი მონაცემები, სომეხ მოწმეთა ჩვენებებში ვერსად იპოვეს მითითება ბრალდებულებზე, როგორც საქარის ქედზე მომხდარი ბრძოლების მონაწილეებზე. ამ გარემოების დადგენა აუცილებლად უნდა მოხდეს ოფიციალურად არმიის შტაბისგან: 1) ნამდვილად ჰქონდათ თუ არა ბრძოლები ამ ადგილებში ჩვენ ჯარებს ადგილობრივ ჩეტნიკებთან ან თურქეთის რეგულარულ ან არარეგულარულ არმიასთან და 2) დროის რა მონაკვეთში, რა

რიცხვებში და როგორ პირობებში მიმდინარეობდა ეს ბრძოლები.

საქმეში ასეთი მონაცემების არარსებობა ხელს უშლიდა სომეხთა განცხადებების ჭეშმარიტების დადგენას, მით უფრო, რომ მიდამოს ტოპოგრაფია, საქარის ქედის დიდი დაშორება ოკრობა ქედიდან უდავოდ აჩენს ეჭვს სომეხ მოწმეთა იმ განცხადებების სიმართლეში, რომ, თითქოს მათ სროლის ხმა ესმოდათ და ზოგიერთ შემთხვევაში ბრძოლის ველსაც კი ხედავდნენ.

ასეთ პირობებში, წინასწარი მოკვლევის ეს არსებითი ნაკლოვანებანი მნიშვნელოვნად შეიძლებოდა გამოსწორებულიყო საქარის ქედისა და ართვინის ოლქის სოფელ სვეტის უშუალო დათვალიერების მონაცემებით, მაგრამ ამ მიმართებითაც მოკვლევის მწარმოებლებმა, შემდეგ კი სასამართლომ მოახდინეს სამხედრო სასამართლო ქარტიის 365-ე სტატიაში მითითებული დანაშაულის ადგილის დათვალიერების წესის იგნორირება.

6) დაცვის მხარისათვის სრულიად გაუგებარი იყო, მოკვლევის ნორმალურად წარმართვის შემთხვევაში, როგორ შეიძლებოდა განსასჯელის სკამზე აღმოჩენილიყო ავადმყოფი და დაუძლურებული მოხუცი სალაჰ ჰუსეინ-ოღლი. იგი, როგორც სასამართლო თვალნათლივ დარწმუნდა, დაჩაჩანაკებული და უძლური ბერიკაცია, რომელსაც სხვის დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია. მისნაირ ბრალდებულთა არსებობა (თავად ის სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში გარდაიცვალა) განსასჯელთა შორის კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მოცემულ საქმეში უგულვებელყოფილი იყო დანაშაულის გამოძიების ყველაზე ძირითადი წესები, ამასთან, ასეთ აშკარა შემთხვევებშიც კი, არ არსებობდა ბრალდებულის სამედიცინო შემოწმების დასკვნა.

7) სასამართლო მოკვლევით დადგენილია, რომ, ბევრ შემთხვევაში, ძიების მონაცემები უარყოფილი იქნა ბრალდების მოწმეთა ჩვენებებით და ეს ეხებოდა ისეთ გარემოებებსა და ფაქტებს, რომლებიც, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო სცოდნოდათ მოკვლევაზე დაკითხულ პირებს. აქვე, შეუძლებელია არ გაითვალისწინოთ თარჯიმანთა დანაშაულებრივი როლი. ესენი არიან: აპეტიანი, კარკარიანი, მელქონიანი და პარომაქსიზოვი, რომლებიც ვითომდა მოწმეთა ჩვენებების თარგმანის სახით, მოკვლევის მწარმოებლებს აწვდიდნენ საკუთარი განსჯის ნაყოფს. დასახელებულ თარჯიმანთაგან პირველი, — აპეტიანი, როგორც პოლკოვნიკ პოსტორგუევის ჩვენებამ გამოავლინა (გვ. 79), ჯერ კიდევ ომამდე ახდენდა ხოლმე ადგილობრივი მუსულმანების პროვოცირებას და საერთოდ, მათ მიმართ საეჭვოდ იყო განწყობილი; მეორე თარჯიმანიც, კარკარიანი, დაზარალებულ მხარეს წარმოადგენდა, რადგან მას დედა და ძმა მოუკლეს.

საქმეში დამტკიცებული არ არის არათუ განსასჯელთა მონაწილეობა მათთვის დაბრალებულ დანაშაულში, არამედ თვით ის ფაქტიც, ეს დანაშაულები ნამდვილად იქნა ჩადენილი თუ არა.

ამ საქმეებზე არსებულ ყველა საბრალდებო აქტში, მოკვლევის ასეთი

სახით დაყენებაში გამოსჭვივის აშკარა შეუთავსებლობა საბრალდებო აქტის ისტორიულ ნაწილსა და ბრალდების ფორმულირებაში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კოდექსის 3-108 სტატიებთან შეუსაბამობა.

თავად ბრალდების ფორმულირებაში, სისხლის სამართლის კოდექსის 3-108-ე მუხლების მიხედვით, ყველგან მითითებულია, რომ ბრალდებულები მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში, მაგრამ რომელში, სად და როდის, თითქმის არცერთ შემთხვევაში მითითებული არ არის, რადგან ეს მონაცემები არც მოკვლევაში არსებობდა. სრულიად გასაგებია, რომ ასეთი ბრალდება, რომელიც შემოზღუდული არ არის არც სივრცით, არც დროით, საშუალებას არ იძლევა მას თუნდაც მოწმის ჩვენება დაუპირისპირო. უმრავლეს შემთხვევაში და სხვა, სიხლის სამართლის ზოგად დანაშაულებში, რომლებიც წარმოიქმნა სახელმწიფო ღალატის ბრალდების დანაშაულის გზადაგზა, ასევე არ არის მითითებული მათი ჩადენის ზუსტი დრო.

ამ ფორმალურ საფუძვლებზე აიგო მთელი დაცვა. ყველა ამ არსებითი დარღვევის მიხედვით, დაცვის მიერ დროულად კეთდებოდა როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი განცხადებები, მაგრამ ყოველგვარი წარმატების გარეშე, რაც სამხედრო სასამართლოებში საქმეების უკიდურესად არანორმალურად დაყენების შედეგი იყო, რომლის შემადგენლობაშიც წინასწარგანზრახულად იყვნენ შეყვანილი ტენდენციური და უკიდურესი მრწამსის მატარებელი პიროვნებები. საქმეში დაცვის მხარის ორწლიანი მონაწილეობის განმავლობაში, მისი როლი ყველაზე უმწეო იყო, მდგომარეობა კი ყველაზე შეურაცხმყოფელი, როგორიც შეიძლება ახსოვდეს რუსეთის სისხლის სამართლის პროცესების ისტორიას. დაცვა მუდმივად ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლების გამოყენებას მოცემულ საქმეში არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა, იმდენად, რამდენადაც საქმეში არ არსებობდა პირობები, რომლებიც ამ მუხლების და ასევე სარედაქციო კომისიის ჟურნალის შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლოს მისცემდნენ საფუძველს ასეთი მძიმე ბრალდება აეგო. დაცვა განუწყვეტლივ მიუთითებდა სასამართლოს, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში განვითარებული მოვლენები, რისი შედეგიც გახდა მუსულმანი მოსახლეობის სამშობლოს ღალატში დადანაშაულება, ისეთ პირობებში ხდებოდა, როცა ქვეყნის ოკუპაციის პერიოდში მტერს საშუალება ჰქონდა ნებისმიერ ბრალდებულზე მოეხდინა ფიზიკური და მორალური ზემოქმედება.

ამჟამად რამდენიმე ასეული სამშობლოს ღალატში ბრალდებული აჭარელი და ყარსელი მუსულმანი რუსეთის სხვადასხვა ციხეში იხდის საჯელს. მათ ყოფილ დამცველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა ყოფილი ხელისუფლების აგენტების ამ უდანაშაულო მსხვერპლთა ბედისადმი სერიოზულ ყურადღებას გამოიჩენს.

წარმოგიდგენთ რა, ღრმად პატივცემულო აკაკი ივანეს ძევ, ამ მოხსენებით ბარათს, დამცველთა ჯგუფი გთხოვთ შუამდგომლობით შეხვიდეთ დროებით მთავრობასთან უდანაშაულო აჭარლებისა და ბათუმისა და

ყარსის ოლქის მუსულმანების ამნისტირების შესახებ. ეს ზომა, გარდა სამართლიანობისა და ჰუმანურობის გამოჩენისა ბრალდებულთა და მათი ოჯახების მიმართ, ასევე დაამშვიდებს და დააკმაყოფილებს ადგილობრივ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც გულისფანცქალით ელოდება სამართლიანობის ამ აქტს დროებითი ხელისუფლების მხრიდან."[1]

ასეთია ამ ვრცელი საარქივო დოკუმენტის შინაარსი. ის ახალი ფაქტებით ავსებს ამ საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს იმ დიდ გულისხმიერებას, რაც აკაკი ჩხენკელს და, ზოგადად, მთელს ქართულ საზოგადოებას გააჩნდა აჭარისა და მისი მოსახლეობის მიმართ.

„მოღალატე მაჰმადიანთა" საქმე შეწყდა ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 26 იანვრის დადგენილებით. ამ დროს აკაკი ჩხენკელი ამიერკავკასიის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და ამ საქმის შეწყვეტის ინიციატორადაც ის გამოვიდა. ამიერკავკასიის კომისარიატის მცირე საბჭოზე, მისი თანხმობით, მოხსენება ამ საკითხზე იურისტმა გრიგოლ რცხილაძემ გააკეთა. ამიერკავკასიის კომისარიატმა გადაწყვიტა: „1917 წლის 16 ივნისამდე ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულისათვის ბათუმისა და ყარსის ოლქების მუსულმანური მოსახლეობიდან სახელმწიფო ღალატის ბრალდებით უკვე მსჯავრდებული ან იგივე ქმედებაში ბრალდებული პირების მიმართ სამუდამოდ შეწყდეს სისხლის სამართლებრივი საქმეების აღძვრა და წარმოება".

ამ დადგენილების საფუძველზე საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდნენ ის ადამიანები, რომლებიც ლტოლვილებად იყვნენ გადახვეწილნი სხვადასხვა ადგილებში.

თანამემამულეების დასაცავად მებრძოლი ქართველი საზოგადოების გვერდით აქტიურად იდგა აკაკი ჩხენკელი. მან, როგორც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა და ამიერკავკასიის ხელისუფლების მაღალ თანამდებობაზე მყოფმა მოხელემ, შესძლო დაემარცხებინა რუსული იმპერიული ძალების შურისძიება და მუსულმანი ქართველები ეხსნა უმაღლესი სასჯელისაგან.

აჭარის საკითხი და ჩხენკელი დამოუკიდებლობის წლებში

საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის მთარობისათვის უმძიმესი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ძირითადი საფრთხეები ორი ყოფილი იმპერიის — ოსმალეთისა და რუსეთისგან მოდიოდა. ეს საფრთხეები ეხებოდა ქვეყნის განაპირა ოლქებს, მათ შორის აჭარას.

რუსეთის მონარქისტული ძალებიც და ბოლშევიკური ხელისუფლებაც ერთნაირი დამპყრობლური გეგმებით უყურებდნენ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს. სამწუხაროდ, მათ რიგებში მოღვაწე ქართველებიც იზი-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 1, საქმე 1, ფურცლები 21-27.

არებდნენ ამ გეგმებს და ეხმარებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს. ამას მოწმობს არტილერიის ქართველი გენერლის, დენიკინის არმიაში მომუშავე ქართველი ნათიშვილის მოხსენებითი ბარათი „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა სამხედრო მმართველობის უფროსისადმი", სადაც აღწერილია ამდროინდელი პოლიტიკური ვითარება და კარგად ჩანს საქართველოსადმი ე. წ. „მოხალისეთა არმიის" გეგმები.[1]

გენერალი ნათიშვილი ბათუმში ანტიქართული მოღვაწეობის ჟამს მოკლეს, რასაც დენიკინელთა გაზეთი — „ნაშ კრაი" საქართველოს მთავრობას აბრალებდა.[2]

„კავკასიის ქედი არც ისე მაღალია, რომ რუსის ჯარისკაცმა ვერ შესძლოს მეორედ მასზე გადმოსვლა", — იქადნიდნენ დენიკინელები, მაგრამ ნათიშვილის მკვლელობამ ისინი დააეჭვა გამარჯვებაში. 1919-1920 წლის მაძილზე მთელ საქართველოში იმართებოდა მიტინგები რუსეთის აგრესიული ძალების, მათი მხარდამჭერი ინგლისელებისა და პროთურქული მოძრაობის წინააღმდეგ, აჭარის საქართველოს შემადგენლობაში შეყვანის მოთხოვნით.[3]

აკაკი ჩხენკელი, როგორც დიპლომატი და დამფუძნებელი კრების დეპუტატი, ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა.

1920 წლის 12 ოქტომბერს ის სიტყვით გამოვიდა მეჯლისის სხდომაზე და შექნილი პოლიტიკური ვითარება დეტალურად ახსნა. სხდომა გახსნა და შეკრებილ მეჯლისის წევრებსა და პარტიათა წარმომადგენლებს სიტყვით მიმართა მეჯლისის თავმჯდომარემ — მემედ აბაშიძემ. მან თქვა, რომ ოლქსა და ქალაქში მდგომარეობა ძალზე კრიტიკული იყო. ხალხში გავიდნენ და მუშაობა გააჩაღეს როგორც ქემალისტებმა, ასევე ბოლშევიკებმა, ხალხი ტყუვდება და ზოგან ხერხდება მათი გადაბირებაო. მან დამსწრე საზოგადოებას ხსენებული მუშაობის სალიკვიდაციო ღონისძიებების მოფიქრება ურჩია. მდგომარეობა გაანალიზეს და თავიანთი თვალსაზრისები წამოაყენეს: სოციალ-დემოკრატებმა — ა. წულაძემ და კ. გოგოლაძემ, სოციალისტ-ფედერალისტმა გ. ჩიქოვანმა, ეროვნულ-დემოკრატმა იაკობ სულაბერიძემ, პრესის სახელით ისაუბრა ირ. დიდიძემ. საერთო მდგომარეობა და გამომსვლელთა თვალსაზრისები შეაფასა აკაკი ჩხენკელმა, რომლის სიტყვასაც, გაზეთ „საქართველოს" მიხედვით, „უსაზღვრო აღფრთოვანება" გამოუწვევია და სხდომის წევრების დიდი ტაში დაუმსახურებია.[4]

1920 წლის 15 ნოემბერს, კონსტანტინეპოლიდან აკაკი ჩხენკელისადმი თურქეთის მთავრობის და აჭარაში თურქ ემისართა საქმიანობაზე იოსებ გოგოლაშვილის მიერ გაგზავნილი წერილიდან ჩანს თურქეთში მიმდინარე პროცესები, ბოლშევიკური ორიენტაციის პოლიტიკის გაძლიერება და ქართველ დიპლომატთა ცდა, — ეს ახალი ვითარება პრაგმატულად გამო-

[1] გაზეთი „სახალხო საქმე", № 599, 1919 წელი.
[2] გაზეთი „ერთობა", № 147, 1919 წელი.
[3] დოდო ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, გამომცემლობა „მემატიანე", თბილისი, 1999 წელი, გვ. 36-79.
[4] გაზეთი „საქართველო", № 124, 1920 წელი.

ეყენებინათ და არ დაეშვათ, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ თურქები ბოლშევიკების მხარეს ყოფილიყვნენ.

„უძვირფასესო ბატონო აკაკი!

დარწმუნებული ვარ ღრმად, რომ თქვენ პირადად და სხვა ჩვენი ერის ბელადნი ისევე ბედნიერად მოაბრუნებთ ჩვენი ქვეყნის საჭეს, როგორც აქამდე, და ისევე გადაარჩენთ ჩვენს სამშობლოს და ხალხს განსაცდელისგან, როგორც მუდამ ასეთ კრიტიკულ მომენტებში. ამიტომ დამშვიდებით მოგახსენებთ აქაურ ამბებს.

მოგეხსენებათ ოსმალეთის ახალი კაბინეტის ამბები, ეს კაბინეთი მზად იყო თურმე ორი თვის წინად. ახალი კაბინეთის შემადგენლობიდან ორი წევრი იზეტ-ფაშა და სეფა-ბეი (შინაგან და საგარეო) ნამდვილი ნაციონალისტებია. მხოლოდ საუკეთესო დროს მოელოდნენ, რომ ანტანტოფილური კაბინეტი ფერიდ-ფაშასი გადაეგდოთ. ფრანგები და იტალიელები უკვე დიდი ხანია დაადგნენ ოსმალეთის მიმართ დათმობის გზას და მხოლოდ ინგლისი იდგა უარზე და კატეგორიულად მოითხოვდა სევრის ხელშეკრულების[1] განხორციელებას. მაგრამ შინაურმა კრიტიკულმა მდგომარეობამ, თუ აღმოსავლეთში მუსულმანთა საფრთხემ, ბოლო დროს ინგლისელებზეც იქონია გავლენა და იგიც შეუერთდა დანარჩენთ, რომ როგორმე გამოეძებნა ოსმალეთის მთავრობას გეზი, რომელიც ანატოლიასთან შეუთანხმებდა მას. ამ მიზნით შესდგა ახალი კაბინეთი, რომელსაც ქემალისტებიც ენდობიან. მაგრამ ფარულად მთავრობა თანამგრძნობია ნაციონალისტებისა და მით უფრო სარგებლობს, რაც უფრო უთანხმოებაა ანტანტისტებს შორის. იტალიას არ უდა საბერძნეთის გაძლიერება და ყოველნაირად ეხმარება ოსმალეთს. იარაღსაც კი აწვდიდა... საფრანგეთმა დაინახა, რომ ინგლისი ოსმალეთში გაბატონდა და მან თავისი ძველი კულტურული გავლენა დაკარგა, ამიტომ ისიც არ იყო წინააღმდეგი ინგლისის პოლიტიკური დამარცხებისა. ყველა ამან იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ინგლისის და სხვათა კატეგორიულ მოთხოვნაზე, რომ სევრის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოეხდინათ, ოსმალეთის მთავრობამ უარით უპასუხა და იმით დაასაბუთა, რომ მას უპარლამენტოდ ეს არ შეუძლია. ნამდვილად კი იგი აჭიანურებს დროს, რათა ქემალისტების ავანსით გამარჯვებული ოსმალეთის წინაშე დაყენოს ანტანტა და ბოლშევიკებ-ნაციონალისტების შეერთების საფრთხით აიძულოს იგი სევრის ხელშეკრულების გადასინჯვაზე და ამავე დროს, რაც შეიძლება მეტი მოიგოს. ოსმალეთის პრეტენზიები იქამდეც კი მიდის, რომ აპირებენ ომის წინ არსებული საზღვრების მოთხოვნას. ბათომისა და საერთოდ ჩვენს შესახებ ოსმალები არასდროს არ დატოვებენ თავის აგრესიულ ზრახვებს, სანამ ერთი მუსულმანიც კი ეგულებათ აჭარაში, რომელთაც მათკენ უჭირავთ თვალი. თუმცა, საუბრის დროს ბევრი მარწმუნებს, რომ არც ქემალისტებს და არც ოსმალეთის მთავრობას განზრახვა არა აქვს საქართველოს მეგობრობა დაჰკარგოს და ბათომი მათთვის მესამეხარისხოვანი საკითხია, მაგრამ გულში ყველანი ჰფიქრობენ ბათომის უკან დაბრუნებას. ეჭვს გარეშეა

[1] სევრის ხელშეკრულება —სამშვიდობო ხელშეკრულება, დადებული 1920 წლის 10 აგვისტოს ოსმალეთის იმპერიასა და ანტანტას შორის პირველი მსოფლიო ომის დასასრულებლად.

აჭარაში მათი ემისრების მუშაობა გრძელდება. ამას წინეთ ოსმალეთმა ორმოცდაათამდე ემისარი გამოგზავნა აჭარაში და ჩრდილო კავკასიაში სამოქმედოდ. ისინი მუდამ ემყარებიან ბათომის ხელშეკრულებას და ამბობენ, რომ საქართველოს მაშინ ვიცნობთ, როდესაც ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდებაო. ბოლშევიზმი ანატოლიის გმირებს იმდენად უნდათ, რამდენად ეს უებარი საშუალებაა ანტანტისტების დასაფრთხობად და მათგან მეტის მისაღებად. მოხდება თუ არა შეთანხმება ანტანტისტებთან, ოსმალები ერთ ბოლშევიკს არ გააჭაჭანებენ ანატოლიაში, მიტომ რომ ძალიან კარგად ხედავენ თუ რას მოასწავებს ბოლშევიზმი აზერბაიჯანის მაგალითზე.

ყოველ შემთხვევაში მდგომარეობა აქ ძლიერ დახლართულია, და მით უმეტეს რთულდება, რომ ინგლისელები აპირებენ კონსტანტინეპოლის ევაკუაციას და აქ მხოლოდ ერთ დივიზიას სტოვებენ. ჯარების ევაკუაცია უკვე დაინყო და ერთ-ორ თვეში დამთავრდება.

თქვენი დავალება გადავეცი ლორთქიფანიძეს და ცოტათი დაეტყო წყენა, რომ თქვენ არ მისწერეთ, მაშინ მე ვუთხარი, რომ თქვენ ავად ბრძანდებოდით და ამიტომ ვერ მისწერეთ და როგორც კი გამოირკვევა მდგომარეობა, მისწერთ საქმის ვითარებას. ამით დავამშვიდე. ვინახულე აგნი-ფაშა და სხვა ოსმალოში მყოფნი ქართველი მაჰმადიანები. ეხლა ვმუშაობ ნაციონალისტების მეთაურებთან დაახლოვებაზე და თუ რაიმე იქნება საინტერესო — მოგახსენებთ.

დარწმუნებული ვარ, რომ არ მომაკლებთ თქვენს ყურადღებას და დარიგებას და ამ იმედით გემშვიდობებით.

სულითა და გულით გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

მიიღეთ ჩემი მეუღლისაგან და ჩემგნით

უგულწრფელესი სალამი.

თქვენი ერთგული სოსო გოგოლაშვილი.[1]

ემიგრაციაში მყოფ ჩხენკელს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა აჭარასა და ამ კუთხის შვილებთან. მას ყოველთვის მიჰქონდა გულთან აჭარის პრობლემები. ამაზე მიუთითებს სტამბოლიდან ევროპაში სულეიმან კომახიძის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილი. წერილიდან ჩანს, რომ ჩხენკელს აინტერესებდა აქაური ქართველების მდგომარეობა და ამაზე ინფორმაციას ითხოვდა სტამბოლში მოღვაწე მეგობარი აჭარლებისაგან, რომელთაც სრული წვდომა ჰქონდათ ამ რეგიონში არსებულ ვითარებაზე.

„დეკემბერი, 1922 წელი, ქ. სტამბოლი

დიდათ პატივცემულო ბატონო აკაკი!

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის. საუბედუროთ მარცხი შემემთხვა — ტრამვაიდან გადმოვვარდი და ფეხი მოვიტეხე, რის გამოც ლოგინათ ვარ და ვერ შევძლებ დაწვრილებით მოგახსენოთ აჭარის ჭირვარამი. იქაური მდგმარეობა საერთოთ წარმოდგენილი გექნებათ: ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს, იგივე დიდი უბედურება გვაწევს თავს, რასაც

[1] სცსსა 1831, აღწერა 2, საქმე 405, ფურც. 59-60.

ჩვენი ქრისტიანი ძმები განიცდიან. მაგრამ ერთი რამ სანუგეშოთ მიმაჩნია: ღრმა იმედი მაქვს, რომ საერთო გაჭირვება დაგვაახლოებს ერთმანეთს, საერთო ბრძოლა ხელს შეუწყობს ჩენში ნდობის განმტკიცებას და შეგვაძლებიებს ვძლიოთ მომავალში ის შეცდომები, რომლებზეც თქვენ ბრძანებთ თქვენს წერილში. პირადად მე და ჩემს მეგობრებს აჭარაში მუდამ აუცილებლათ მიგვაჩნდა ჩვენი კუთხის საბედნიეროთ საუკეთესო, მეგობრული და ძმური განწყობილება საქრისტიანო საქართველოსთან, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო ჩვენი ეროვნული მთლიანობის აღდგენაში. მაგრამ ჩვენი, აჭარლების სარწმუნოებრივი განსხვავებულობის გამო, მიუცილებლად მიმაჩნდა აგრეთვე კეთილი და მეგობრული განწყობილების დამყარება საქართველოსა და ოსმალეთს შორის, უამისოთ ძნელია აჭარის საქართველოსთან ეროვნულათ და პოლიტიკურათ გაერთიანება. მთლიანი საქართველო, დაკავშირებული კავკასიის სხვა ერებთან, და ამ შეკავშირებული კავკასიის მეგობრული განწყობილება ოსმალეთთან, რათა საერთო ძალით შევძლოთ მოვიგერიოთ რუსეთის იერიში კავკასიისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. ეს იყო და არის ჩემი და ჩემი მეგობრების სურვილი და მისწრაფება. ეს გულისხმობს სამუდამოთ გაწყვეტას რუსეთთან და მეგობრულ ურთიერთობას ოსმალეთთან, ამიტომ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის ძლიერ საწყენი დარჩა აქ შეტყობილი ამბავი ბ. ვეშაპელის ნაბიჯების შესახებ რუსებისაკენ და ოსმალების საზარალოთ. ბ. ვეშაპელს დიდი პატივისცემა აქვს სამაჰმადიანო საქართველოში, როგორც ქართველ ეროვნულ მოღვაწეს, რუსეთის მტერს და ოსმალეთის მეგობარს. მით უმეტეს საწყენი იყო ჩემთვის და საწყენი დარჩება ყველა აჭარელისათვის მისი ზემოთ აღნიშნული ნაბიჯი. მე მრწამს, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა იყო და რომ ყველა ხელმძღვანელი ქართველი მოღვაწე იზიარებს იმ შეხედულებებს, რომელიც ასე კარგადაა გამოთქმული თქვენს წერილში და რომელიც არის ასევე ყველა მონინავე აჭარელის შეხედულება. შემიძლია დანამდვილებით მოგახსენოთ, რომ აჭარის ხალხის დიდი უმრავლესობა მომხრე იქნება საქართველოს ავტონომიურ ნაწილათ დარჩენისა, ამავე დროს დამყარდება კავკასიის ერთა კავშირი, რომელიც გადაჭრით გაწყვეტს კაშირს რუსეთთან და დაამყარებს მეგობრულ განწყობილებას თურქებთან. მე მგონია დადგა დრო ამ მისწრაფების განსახორციელებლათ და მეც მზად ვარ ჩემი სუსტი ძალით ვემსახურო საერთო საქმეს თქვენი გონიერი ხელმძღვანელობით.

ამ ხანებში უკან დაბრუნებას არ ვაპირებ, თუ საერთო საქმემ არ მოითხოვა ჩემი საჩქაროთ წასვლა. მხოლოდ დაუყონებლივ მოვახსენებ თქვენს სალამს აჭარას, რომელიც არასოდეს დაივიწყებს თქვენ მისდა გადასარჩენად გაწეულ სამსახურს და მოღვაწეობას და რომელსაც თქვენ მიაჩნიხართ საყვარელ და პატივსაცემ ეროვნულ მოღვაწეთ და ხელმძღვანელათ.

მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემა და უმდაბლესი სალამი
თქვენი მუდამ ერთგული, სულეიმან კომახიძე.[1]

[1] სცსსა, 1831, აღწერა 2, საქმე 112, ფ.1.

აკაკი ჩხენკელის პუბლიცისტური წერილი „ხმა აჭარიდან“ 1920-იანი წლები

აკაკი ჩხენკელს ეკუთვნის გამოხმაურება გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ დაბეჭდილ „მოხუცი აჭარელის“ წერილზე, ბოლშევიკური ხელისუფლების პირობებში აჭარის მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ.

ჩხენკელი წერილს იწყებს იმის აღნიშვნით, რომ თებერვლის ნომერში წაიკითხა გაზეთის სტატია, სადაც მოხუცი აჭარელი ალალად გადმოსცემდა თავის აზრებს, ემოციებს. „ჩვენ შეგვიძლია მივულოცოთ „დამოუკიდებელ საქართველოს, რომ მას მიუგნია ჩვენი მაჰმადიანი ძმების გულისთვისაც, რომელსაც ასე მოკრძალებით და უმზაკვროთ გვიშლის მოხუცი აჭარელი. უნებლიეთ გვებადება აზრი, რომ დღევანდელ დუხჭირ ხანას ერთი დადებითი მხარეც თან ახლავს: ბევრი რამ ვისწავლეთ და შევიგნეთ არა მარტო მაჰმადიანმა, არამედ ქრისტიანმა ქართველებმაც. აი, როგორ გამოთქვამს ჩვენი ძვირფასი კორესპონდენტი ამ აზრს: „გამოიცვალა მარტო სახელები, იყო შავი რუსეთი, არის წითელი რუსეთი, არ გამოცვლილა ერთი რამ, — ეს იმპერიალისტური პოლიტიკაა. ნურვის ჰგონია, რომ ჩვენ, ქართველი მუსულმანები, ვერ ვერკვევით ბოლშევიკების დაფასებაში. ჩვენ, ისე, როგორც მთელი საქართველო, მოველით ბოლშევიზმის დანგრევას და მთლიანი საქართველოს გამარჯვებას“.

ადვილი არ იყო აჭარლებისათვის მსგავსი აზრების შეთვისება. მათ თითქმის არ უგემნიათ დამოუკიდებელი არსებობის ნაყოფი, ამიტომ ვერც მისი დაკარგვის მთელ სიმწარეს განიცდიდნენ. სამი წლიდან საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისა, აჭარა მხოლოდ უკანასკნელი თვეები იყო თავისუფალი, დანარჩენი დრო კი ის უცხოელთა ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა. და თავისუფლების დროსაც, ვინაიდან მისი დედაქალაქი ბათომი დასავლეთთან მიმოსვლის მთავარი ძარღვია, პირობები ერთობ რთული იყო იქ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ბევრი სამწუხარო გაუგებრობის თავიდან აცდენა.

სარწმუნოების, ანუ როგორც აჭარლები იტყვიან, რჯულის სხვადასხვაობაც თავის როლს თამაშობდა, რასაკვირველია. დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც ახლო მეზობლები გურულები აჭარლებს „თათრებს“ ეძახოდნენ. დღეს კი, ბალღიც არ მოიპოვება ჩვენში, ვისაც არ ესმოდეს, რომ სიტყვა „თათარი“ მოდგმის, რასის მაჩვენებელია და არა სარწმუნოების. რა განსხვავებაა ჩვენს შორის მოდგმის მხრივ? არავითარი, ეს ცოტაა, — ჩვენ იგივენი ვართ ენით, ზნე-ჩვეულებით, ადათებით, ტრადიციებით. ერთის სიტყვით, მთელის ჩვენის კულტურით. თქვენ მეტს განსხვავებას იპოვით მაგალითად, გურულსა და რაჭველს შორის, ვინემ იმავე გურულსა და აჭარელს შორის.

მაგრამ სწორეთ სარწმუნოების მხრივაც ნამდვილი საეპოქო გარდატეხვა მოხდა აჭარლების ფსიქოლოგიაში ამ უკანასკნელ წლებში, მკითხ-

ველი მიხვდება, რომ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ოსმალეთის რევოლუცია, რომელსაც შედეგად მოჰყვა ხალიფატის გაუქმება, რესპუბლიკის დაარსება და მთელი რიგი სხვა ცვლილებანი. რას ეყრდნობა დღევანდელი ოსმალეთი? მოდგმას, რასას. თურქი, თურქიზმი, — აი, მთელი ნაციის კვარცხლბეკი, მისი მიზანი და იდეალი. ანგორის პოლიტიკა ისე გაჟღენთილია ამ მიდრეკილებით, მისწრაფებით, რომ ჯერ კიდევ ოსმალეთის საზღვრებში არათურქნი ადვილათ იგნებენ თავიანთ ეროვნულ ვინაობას. რაც შეეხება საზღვრების გადაღმა, აქ ხომ ბუნებრივი, სტიქიური უნდა გამხდარიყო ასეთი შეგნება.

აჭარლები, თუმცა ყურადღებით, უნდობლათ გვისმენდნენ ამ ახლო წარსულში, როცა ვუამბობდით, რომ მაჰმადიანობა, ისე, როგორც ქრისტიანობა, მრავალ ერთა და სახელმწიფოთა სჯულს შეადგენს, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ ეს ერი და სახელმწიფონი ცალ-ცალკე არსებობდნენ, ერთიმეორის დამოუკიდებლათ. მეზობელ ოსმალეთში მომხდარმა ამბებმა ეს უნდობლობის თოვლიც გაალხო და ყველასთვის აშკარაა დღეს, რომ შეიძლება რჯულიც უმწიკვლოდ შეინახო და შენი ტომის ხალხთანაც ძმურათ იცხოვრი ერთ ჭერქვეშ.

მოსკოვსა და თფილისში მოკალათებულ ქართველთ მოდგმის არამზადებს გამოეპარათ ოსმალეთის ეროვნული რევოლუციის ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი და მისი ღრმა გავლენა აჭარლების სულისკვეთებაზე. „ბოლშევიკებმა შემოსვლისთანავე, — მოგვთხრობს მოხუცი აჭარელი, — სამუსულმანო საქართველო აჭარისტანის რეპუბლიკად გამოაცხადეს. როცა ჩვენს თვალწინ ანგრევდნენ ეკლესიებს და სდევნიდნენ სამღვდელოებას, ქართველ მუსულმანებისთვის ხელი არ უხლიათ. პირიქით, იყო შემთხვევები, როცა ჯამეზე მოგროვილ ხალხს ოფიციალურათ, მთავრობის სახელით, უცხადებდენ: კარგათ შეინახეთ რამაზი (მარხვა) და სადღესასწაულოთ დაგირიგებთ პურის ფქვილს, შაქარსა და ბრინჯსაო. ვისაც კი შევუტყობთ, რომ რამაზი გასტეხა, დავატუსაღებთო."

მოყვანილი სტრიქონებიდან ნათლათ სჩანს, რომ არამზადები ცარიზმის მიერ გაკვალულ გზას გაჰყვნენ და, როგორც ტლანქ მიმბაძველთ სჩვევიათ, ზედმეტი ერთგულება გამოიჩინეს. მეფის გუბერნატორი რომანოვსკი-რომანკო მართლაც აგონებდა აჭარლებს, რომ ისინი თურქები არიან ტომით, მაგრამ „აჭარისტანის" გამოცხადებამდე არ მისულა საქმე, არც რამაზის პოლიციური ზომებით შენახვამდე. ეს დღევანდელ გათახსირებულ ჯამბაზებს მიეწერებათ. მათ იქამდისაც მიიყვანეს საქმე, რომ აჭარის გადაცმულმა კომუნისტებმა ფორმალურათ დასვეს ერთხელ კითხვა აჭარის საქართველოდან გამოყოფისა და რუსეთთან უშუალო შეერთებისა!

აჭარლები ჩქარა მიუხვდენ მოსკოვს მდაბალ განზრახვებს, „ბოლშევიკების ამ წმინდა რუსულმა პოლიტიკამ, საბედნიეროთ, ნაყოფი ვერ გამოიტანა", — გვეუბნება მოხუცი აჭარელი. ბოლშევიკებმაც დაინახეს შემდეგ, რომ მათი ფანდი არ სჭრის, და იმავე კორესპონდენტის გადმოცემით, აჭარლების „უწლოვანი შვილები ნელ-ნელა კომსომოლში შეიტყუეს

და დღე და ღამ სჯულის და ღმერთის წინააღმდეგ უქადაგებდენ". ამ რიგათ, მგელმა გაიძრო კრავის ტყავი და არ ინდობს არც მაჰმადიანს და არც ქრისტიანს, ვისაც ქართველის სახლობა არ დაჰკარგვია.

ქართველი ერი, განურჩევლათ სარწმუნოებისა და მდგომარეობისა, გათანასწორებულია მონობაში, სიღატაკეში, ტანჯვა-ვაებაში. აჭარლებს ესეც კარგათ ესმით და ეს სჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „ბოლშევიკების უკუღმართმა პოლიტიკამ თანდათან გააღარიბა აჭარელი გლეხობა, გააძვირა ცხოვრება და სრულიად მოსპო საშუალება რაიმეს შეძენისა და ნორმალურ აღებ-მიცემობისა". ასეთ პირობებში ხალხს არაფერი დარჩენია, გარდა კონტრაბანდობისა, რაზედაც ვრცლად მოგვითხრობს მოხუცი აჭარელი. ის, სხვათაშორის, აგვიწერს, როგორ ვერაგულად მოატყუეს მოსკოვის აგენტებმა აჭარაზე ახლათ მიმიჯნული სამი სოფელი და როგორის თავხედობით ლამობენ ისინი „ფასით, შარაგზაზედ მათ გაცარცვას".

მაგრამ კონტრაბანდობის გამომწვევი მარტო ეს ადგილობრივი მიზეზი არ არის. მას ხელს უწყობს და აუცილებლად ხდის მოსკოვის საბაჟო პოლიტიკა, მოსკოვმა დაკეტა საზღვრები უცხო საქონლისთვის და გატანის უფლებასაც არ აძლევს კერძო პირებს. ის აქაც ცარიზმის კვალს მისდევს და იჩენს გაათკეცებულ სიავეს იმითაც, რომ აჩეჩებს ხალხს სახელმწიფო ფაბრიკებში დამზადებულ უვარგის და ძვირ საქონელს და ართმევს მას სამაგიეროთ რაც აბადია. ამრიგათ, მოსკოვი ორი ერთიმეორეზე უსაზიზღრესი სახით ევლინება ხალხს: როგორც ჩეკისტი ჯალათი და როგორც მონოპოლისტი ჩარჩი.

აღებ-მიცემობა უცხოეთთან — ყოფნა-არყოფნის საკითხია საქართველოსთვის. ერთმა გერმანელმა ექსპერტმა სთქვა 1918 წელს: ნორმალურ პირობებში საქართველოს მარტო ზომიერი ბაჟებისა და ტრანზიტის შემოსავლით შეუძლია თავისი სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგინოს და ხალხი მთლათ გაანთავისუფლოს სხვადასხვა გადასახადებისაგანო. მკითხველმა არ უნდა გაიკვირვოს ეს ვარაუდი, თუ მიიღებს მხედველობაში საქართველოს გეოგრაფიულ მდგომარეობას. მართლაც, საქართველოს უჭირავს შავი ზღვის ერთადერთი მარჯვე ყელი, სადაც, ნორმალურ პირობებში უნდა გაიაროს ყოველგვარმა ნაწარმოებმა როგორც მთელი კავკასიიდან, კასპიის ზღვის ნაპირებიდან, სპარსეთიდან, წინა აზიიდან, ისე წინაუკმო ევროპა-ამერიკიდან და სამხრეთ რუსეთიდან. შავი ზღვის ჩვენი ნაპირები ერთ დროს უთუოთ უნდა იქცეს ზევით დასახელებულ ქვეყნების როგორც ნედლი მასალის, ისე ფაბრიკატების უდიდეს ბოლაზად, იქვე გაიხსნება, ამის გარდა, მრავალი ფაბრიკა-ქარხნები აღმოსავლეთის ნედლი მასალის გადასამუშავებლათ. ჩვენ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ამ შემთხვევაში თვით საქართველოს სამრეწველო პერსპექტივები, დამყარებული მის მიწის ქვეშ და ზედაპირზედ არსებულ სიმდიდრეზედ.

სასაცილოა ამიტომ მტერთა და ხშირათ არამკითხე მეგობრების ლათაიები, ვითომ საქართველოს ეკონომიური შესაძლებლობანი უიმედო იყოს, უიმედო არის და წინეთაც იყო საქართველოს ყოველმხრივი აღორ-

ძინება, სანამ ის რუსეთის უმნიშვნელო პროვინციას წარმოადგენს. მტერმა იგი უკვე აქცია ასეთად, ამას მტკიცება არ სჭირდება. როცა მოხუცი აჭარელი ამბობს: „აჭარისტანის რესპუბლიკა თვალთმაქცობა და ზღაპარიაო", იქნება აქედან ის დასკვნა გამოიყვანოს ვინმემ, რომ საქართველოს დღევანდელი „რესპუბლიკა" უკეთეს მდგომარეობაშია. მოხუცი აჭარელი ამაშიც ჩახედულია და სხარტად გვიჭრის: **„ბათომის და თფილისის კომისრები მოსკოვის პატარა ფინიებია და გულმოდგინეთ ლოკავენ რუსულ ჩექმასო".**

აკი, მოსკოვის საოკუპაციო ხელისუფლება, ბათომში შემოსვლისას, „ფუხარა" ხალხის დაცინვას ისახავდა მიზნად! დღეს ბლომათ გზავნის ის ამ ხალხს ციმბირში და ჩეკის სარდაფებშიც ტევა არ არის. „თუ ეს აუტანელი ბატონობა დიდხანს გაგრძელდა, — ასკვნის მოხუცი აჭარელი, — საშიშია, აჭარის გლეხობა არ გადაიხვენოს მუჰაჯირებად ოსმალეთშიო. როცა ამ სიტყვებს კითხულობთ, ტანში ჟრუანტელი გივლით. ჩვენ გვახსოვს სნორეთ ის საბედისწერო დრო, როცა ბათომიდან ბორჩხამდე — მიჯნა სამხედრო ოპერაციებისა, — გარდა შეშლილი მოხუცისა და უპატრონო ძაღლისა, არცერთი სული არ მოიპოვებოდა; როცა რუსის ჯარი წინ მიერეკებოდა აწიოკებულ მცხოვრებთ და უკან ჩამორჩენილ ქალებს იქვე ასალმებდა წუთისოფელს, ნამუსის ახდის შემდეგ. როცა რუსის მოხელენი ათვალიერებდნენ დატოვებულ სახლ-კარს, ყანა-ბაღებს გადამთიელთა ჩასასახლებლათ...

აჭარას ახსოვს და არ დაივიწყებს, თუ როგორ ერთსულოვნათ გამოეხმაურა მის გაჭირვებას საქრისტიანო საქართველო. ჩვენ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო, — იტყვიან, ეს არ არის დამსახურება, არამედ თავის თავის შველა, ფიზიკურათ თავის გადარჩენა. საქრისტიანო საქართველო დღესაც, როგორც მაშინ, გვერდში ამოუდგება სამაჰმადიანო საქართველოს, ისინი ერთმანეთს ეკუთვნიან ჭირშიც და ლხინშიც და ვერ და ვერავითარი ძალა გასთიშავს მათ.[1]

რას წერდა აკაკი ჩხენკელი მოგვიანებით აჭარასა და კოტე აფხაზზე

პირველ მსოფლიო ომში აჭარელთა პრობლემას ვხვდებით ჩხენკელის მიერ 1949 წელს დაწერილ სტატიაში — — „სამშობლოსათვის თავგანწირული კოტე აფხაზის ხსოვნას", რომელიც 1949 წელს, ოქტომბერშია დაწერილი და გადაეგზავნა აფხაზის ვაჟს — ნიკო აფხაზს.[2]

„1914 წლის ზაფხულში ამტყდარ ამ დიდ ომში ოტომანთა იმპერიაც ჩაება გერმანიის მხარეზე რუსეთის წინააღმდეგ. მესმა რა ადრე შემოდგომას მისგან გამოწვეული აჭარლების დიდი გაჭირვება, გავეშურე ბათუმისკენ, სადაც პირველად მომიხდა გენერალ ლიახოვის ნახვა მისივე კომენდატუ-

[1] სცსსა 1831, 2, საქმე 226, ფურცელი 5,
[2] სცსსა, 1831, 2, საქმე 253, ფურცელი 4, ხელნაწერი.
(შენიშვნა: ხელნაწერი შავი ვარიანტია, ჩასწორებებით, ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს — „ეძღვნება მის ერთადერთ შვილს ნიკო აბხაზს").

რაში. აქ ხომ ჩემს ნებადაურთველად არ შეიძლება ჩამოსვლა, თქვენ კი დაარღვიეთ ეს ბრძანება, — მეუბნება მაღალი, ჩოხა-ახალუხში გაჭიმული გენერალი.

— რად მეჭირვებოდა თქვენი ნებართვა, — ვუპასუხებ, მე, ბათუმის დეპუტატს სახელმწიფო დუმაში, თითქო მე ვარ აქ მასპინძელი და თქვენ კი სტუმარი. გენერალ ლიახოვს ჭკუაში დაუჯდა ეს პასუხი, დატოვა დარბაზში ათიოდე შტაბის ნევრი და შემიძღვა თავის ბიუროში. ცოტა ხნის მუსაიფის შემდეგ შემოვბრუნდით დარბაზში და გენერალმა ლიახოვმა გასცა ბრძანება გაენთავისუფლებინათ ომის გამო დატუსაღებულნი, როგორც მახსოვს 150 აჭარელი. და იქვე მდგომ გენერალ მილლერს წინადადება მისცა, თქვენ წაიყვანთ ბატონ დეპუტატს ადრე დილით ბრძოლის ველზეო. მართლაც ჩამისვა გენერალმა მილლერმა თავის ავტოში და ვიმგზავრეთ გზატკეცილით ბორჩხამდე, სადაც ორიოდე ზარბაზანი ყუმბარას გაისროდა მდინარე ჭოროხის გაღმა ტყიან მაღალ გორასკენ და იქიდან ტყვიისმფრქვეველით (პულიმიოტით) უპასუხებდნენ. ესენი არიან „ჩეტნიკებიო", მეუბნება გენერალი, დავრჩი 2-3 საათი, იქვე ვისაუზმეთ. შემთხვევითმა ტყვიამ ჩვენამდე მოაღწია, მაგრამ არავის მოხვედრია. მხედართა შორის აღმოჩნდა ერთი ექიმიც, ახალგაზრდა ქართველი. ამდენი გზა გამოვიარეთ და ერთი ძაღლის მეტი არავინ შეგვხვედრია, სად არიან მცხოვრებნი, რატომ არ სჩანან-მეთქი, — ვეკითხები მას ქართულად. მცხოვრებთ ატუსაღებენ და ამიტომ გარბიან დიდი და პატარა ოსმალეთისკენ, აჭარა ცალიერდება! — მიპასუხა ექიმმა. მაშ, იმათაც დაიჭერენ, ვინც გუშინ გაანთავისუფლეს, — ვეუბნები ჩემს თავს. ბათუმში დაბრუნებისას ვინახულე ქალაქის თავი თავადი ანდრონიკაშვილი და ზოგიერთი სხვა გავლენიანი პირი. ჩემ შეკითხვებზე, რატომ არ იღებენ ზომებს მშვიდობიან მცხოვრებთა დასაცავად? განა იყო შემთხვევა, მათ რამე დაუშავეს რუს მეომართ? რატომ არ მიმართავენ მათ უფროსებს თბილისში ამ საჩივრით? — ერთხმად მიპასუხებენ: შეუძლებელია! სამხედრო ნესებია გამოცხადებული, ქალაქიდან გასვლა-შემოსვლა ნებადაურთველად აკრძალულია, მცხოვრებთ არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ საჩივრისთვის ჩვენც დაგვსჯიან... ჩამოვედი თბილისში და ვინც ვნახე და გავეცანი, პირველი გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი თ. კოტე აბხაზი იყო. მან თავაზიანად მიმიღო, ყურადღებით მოისმინა ჩემი ნანახი და გაგონილი ბათუმის ოლქში. სამწუხაროდ, — მითხრა მან, — ჩვენ უძლურნი ვართ რამეს გავხდეთ ასეთ დროს და ღიმილით დასძინა: თუ აჭარლები გაიქცნენ, მათ ადგილზე ჩვენს უმიწაწყლო გლეხებს ჩაასახლებენ. ეს კი არ მომეწონა და ვუპასუხე აღელვებით, როგორც მჩვევია: რას ბრძანებთ, თავადო, განა ჩვენი გლეხებისთვის ვინ გაიმეტებს ასეთ სამოთხისებურ მხარეს?

მეორე პაემანი მეფის მოადგილის სამხედრო ნაწილის თანაშემწე ღენერალ მიშლიავსკისთან მქონდა დანიშნული. მანაც ყურადღებიანად მომისმინა და ზოგი რამ კიდეც ჩაიწერა და დამპირდა — ზომებს მივიღებო. მე ვითომ უცაბედად, გამომშვიდობებისას ჩავილაპარაკე: როგორც კი გაიხ-

სნება სახელმწიფო დუმა, შეკითხვას შევიტან-მეთქი. ამ დროს მაცნობეს, რომ ერთ დარბაზში ქართველები ბჭობენ იმავე საგანზე და სურთ შენი ნახვაო. მეც წავედი მაშინვე და გავაცანი შეკრებილთ საქმის ვითარება. იქვე გავეცანი მარშლის თანაშემწეს თ. სუმბათაშვილს, რომელიც ბათუმში წავიდა უდანაშაულო ხალხის გამოსაქომაგებლად. აქედან უკვე სჩანდა, რომ კოტე აფხაზის მწარე ღიმილი მე ვერ გამომიცვნია და ჩემს ნაბიჯს უშედეგოდ არ ჩაუვლია. მე ხშირად ვესტუმრებოდი ბათუმს, ორჯერ კიდეც გავანთავისუფლებინე ახლად დაჭერილები, ქართულ საზოგადოებაშიც დაიწყო ერთგვარი აღელვება, პრესაც ალაპარაკდა, თუმცა ფრთხილად. მემედ-ბეგიც ამუშავდა თავისებურად; გამოიცა სპეციალური ერთდროული გაზეთიც. პირველ გვერდზე მოათავსეს სხვათა შორის ჩემი წერილიც, ბათუმის ქალაქის თავი ანდრონიკაშვილი გამომედავა თურმე განმეორებით პრესაში, კოტე აბხაზი კი სდუმდა. მე ამ დროს პეტროგრადში ვიყავი, გვიან გავიგე".

დოკუმენტიდან ჩანს, უუფლებო ქართველი მაღალჩინოსნები როგორ ეძებდნენ ურთულესი სიტუაციებიდან გამოსავალს და თავიანთ მოვალეობას ერისა და სამშობლოს წინაშე ზოგჯერ უჩინრად ასრულებდნენ.

საინტერსოა აკაკი ჩხენკელთან სტამბულის წარმომადგენლობიდან გამოგზავნილი წერილი თურქეთის პოლიტიკურ ვითარებასა და ქართველების ცდაზე, როგორმე მოკავშირედ გაეხადათ იგი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში, რუსებთან მათ ურთიერთობას არ შენირვოდა ქართული ეროვნული ინტერესები.

„ამ სამი თვის წინად ჩვენ გავიცანით აქ ერთი ქართველი (ბათუმელი) ხოჯა, რომელსაც ხოჯების მასწავლებლის ადგილი უჭირავს სტამბულის ერთ უდიდეს ჯამეში. მან ჩვენზე თავიდანვე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართული კარგად იცის, თავი ქართველად მიაჩნია და ჩვენი საქმისადმი დიდ ინტერესს იჩენს. ნელ-ნელა ჩამოვითრიეთ მუშაობაში. მას ჰყავს მეგობარი, მილეთის ჯარის პოლკოვნიკი, ტომით აფხაზი, აფხაზეთის და საქართველოს დიდი პატრიოტი. როცა ანგორის ჯარები ზღვას მიადგა და თურქების გენერალიტეტი ბურსაში იმყოფებოდა, ხოჯამ და პოლკოვნიკმა წინადადება მოგვცეს თურქეთის გენერალური შტაბის უფროსთან ფევზი-ფაშასთან გავაბამთ კავშირს ჩვენი საქმის გამოო. ფევზი ფაშა თურმე აფხაზი პოლკოვნიკის სკოლის ამხანაგი ყოფილა. ერთად შევიმუშავეთ წერილის შინაარსი. აფხაზი აგონებდა წინანდელ ბაასს, რომელიც მას ჰქონია ფევზი-ფაშასთან კავკასიის შესახებ. სწერდა მოკლედ აფხაზეთის და აჭარის ახლანდელ მდგომარეობას, მიუთითებდა ანგორის გამარჯვების მნიშვნელობას კავკასიისათვის, და სთხოვდა თავისი და ხოჯას სახელით დახმარებას კავკასიის საკითხის წამოყენებისათვის ანგორის მმართველ წრეებში. გავიდა ორი-სამი კვირა. ამასობაში რეფეტ-ფაშა აქ სამოქალაქო მმართველობას დაეპატრონა. ერთ მშვენიერ დღეს პოლკოვნიკი და ხოჯა დაიბარა რეფეტ-ფაშას ადიუტანტმა და აცნობა: ფაშას უნდა თქვენთან ლაპარაკი იმის შესახებ, რაც ფევზისათვის მიგიწერიათო. ფევზი ფაშას

გადმოეგზავნა აბხაზის წერილი რეფეტისათვის და ეთხოვნა დაებარებინა და მოლაპარაკებოდა ხოჯას. უკანასკნელი რეფეტ ფაშამ ძლიერ კარგად მიიღო. ხოჯამ უამბო აჭარის აუტანელი მდგომარეობა რუსის ბატონობის ქვეშ და წარუდგინა ვექილობა ქედის რაიონის მცხოვრებლებისაგან, რომელთაც ჯერ კიდევ 1919 წელში (ინგლისელების დროს) მიუნდვიათ მისთვის თავიანთი ინტერესების დაცვა, აღნიშნა ქართველი ხალხის და აჭარლების საერთო ბრძოლა რუსების წინააღმდეგ და სთხოვა შეძლებისდაგვარად დახმარება. ისიც უთხრა, რომ აქ იმყოფებიან ქართველი მოღვაწეები, რომელთაც თავის ქვეყანასთან აქვთ კავშირი და უნდათ მუშაობის განგრძობა მომავალშიც. რეფეტმა, ხოჯას გადმოცემით, შემდეგი უპასუხა: ჩვენ ქართველი ხალხის თავისუფლებას იმთავითვე დიდის თანაგრძნობით ვეკიდებოდით. გაიხსენეთ ომის დროს ლეგიონის დაარსება...[1]

გაიხსენეთ, რომ ჩვენ პირველმა ვიცანით საქართველო. ამ ბოლო დროსაც ჩვენ ინტერესით ვუყურებთ ქართველი ხალხის მომავალს, რუსებთან ჩვენი კავშირი დროებითია..."[2]

წერილიდან კარგად ჩანს თურქეთში მცხოვრები აჭარელი და აფხაზი ემიგრანტების პატრიოტიზმი, საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, მათი ანტირუსული სულისკვეთება. ამ ადამიანებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, პირველ რიგში — აკაკი ჩხენკელთან.

ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო და აკაკი ჩხენკელი

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის იმპერიაში მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რისი შედეგიც იყო მონარქიის დამხობა და იმპერიის დაშლა. რუსეთის სახელმწიფოში შემავალ არარუს ერებს მიეცათ თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის საშუალება. ეს პროცესი გააქტიურდა კავკასიაშიც.

საქართველო დიდი ხანია ებრძოდა რუსეთის იმპერიულ-კოლონიურ რეჟიმს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აქ საზოგადოების თითქმის ყველა ფენას მოიცავდა, რაც მას საყოველთაო-სახალხო მოძრაობის ხასიათს აძლევდა. მიუხედავად ამისა, ამ მოძრაობას წინ დიდი პოლიტიკური და სხვა ფაქტორები ეღობებოდა, რაც აძნელებდა მის წარმატებას.

1. ქვეყანაში მრავალი პოლიტიკური პარტია მოქმედებდა, რომელთაც განსხვავებული პროგრამები და პოლიტიკური ხედვა ჰქონდათ ქვეყნის მომავალზე. ეს, უპირველესად, საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციას ეხებოდა. ზოგი პარტია დასავლურ ორიენტაციას ერთგულებდა, ზოგი კი — რუსულს. ეს აძნელებდა ეროვნული საკითხის სწორად დაყენებასა და

[1] შენიშვნა: ფურცელი გვერდზე ჩამოხეულია და აკლია სიტყვა.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 110, ფ.7.

გადაჭრას. პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე ძნელი იყო იმის განჭვრეტა, თუ რომელი სამხედრო ბლოკი გაიმარჯვებდა და საქართველოს ეროვნულ ძალებს რომელ ქვეყნებზე შეეძლოთ არჩევანის გაკეთება, რათა მათი მიზნები წარმატებით განხორციელებულიყო. ყველაზე ეროვნული პროგრამის მქონე პარტია — ეროვნულ-დემოკრატებისა, გერმანიასა და მათ მოკავშირეებზე აკეთებდა გათვლას. გერმანია 1911 წლიდან მზადყოფნას აცხადებდა საქართველოს დახმარებაზე დამოუკიდებლობის აღდგენისა და სახელმწიფოებრიობის საკითხში, თუმცა, მისი მოკავშირე ომში — ოსმალეთი თავის დამპყრობლურ ინტერესებს ქართული ტერიტორიებისადმი და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიური ერების ისტორიული მინაწყლისადმი არც მალავდა. მეორე დიდი პარტია — სოციალ-დემოკრატებისა (მენშევიკები) რუსეთის ერთგული იყო და მომავალ საქართველოს მხოლოდ მის შემადგენლობაში შემავალ გარკვეულ ავტონომიად მოიაზრებდა. მართალია, 1915 წლის ქუთაისის შეკრებაზე პარტიებმა თანხმობა განაცხადეს ორიენტაციის თემაზე (მიემხრობოდნენ იმ თვალსაზრისს, რომელიც აქტუალური, სასარგებლო და რეალური იქნებოდა ქართველი ხალხისათვის), მაგრამ სრული თანხმობა ამ საკითხში ჯერ კიდევ არ იყო.

2. რუსეთში არც ერთი პარტია და პოლიტიკური ძალა არ მოიაზრებდა კავკასიის დაკარგვას, რადგან ამით ის კარგავდა გავლენას ახლო აღმოსავლეთში, საქართველოს კი, მითუმეტეს, საკუთარ ტერიტორიად აღიქვამდა, როგორც კავკასიის ცენტრსა და ქვეყანას, რომლის ფლობის გარეშე გაუჭირდებოდა იმ გავლენის სფეროების შენარჩუნება, რაც ჰქონდა იმპერიის დროს.

3. საქართველოს წინააღმდეგ განწყობილ ოსმალეთის პოლიტიკურ ელიტას ზურგს უმაგრებდა ძლიერი არმია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბდა გერმანული ფინანსებითა და გერმანული არმიის სარდლობის რეორგანიზაციით. ამდროინდელი ქართული პრესა აღნიშნავს, რომ ოსმალური ჯარი იყო დისციპლინირებული, კარგად შეიარაღებული და გერმანიის ჯარის სტანდარტებთან დაახლოებული. ამას ემატებოდა ოსმალ ჯარისკაცთა მოტივაცია, რაც კარგად ჩანს იმ სიმღერაშიც, რომელსაც ისინი ფრონტზე მიმავალნი მღეროდნენ, როგორც საბრძოლო ჰიმნს. და რაზეც წერდა გაზეთი „სახალხო საქმე" (თურქული სიმღერის ქართული შინაარსი ასეთი იყო: „არდაჰანსა და ბათუმში როგორც კი რუსს დაინახავ, იქვე ტვინი შეუჭამე, ბათუმს სისხლით შევღებავთ, სოხუმს ცეცხლს ნავუკიდებთ, თურქეთის ჯარით, ერთი დაკვრით თბილისს მივადგებით")[1].

ამ მოტივირებულ და კარგად გაწვრთნილ არმიასთან შესაბრძოლებლად საქართველო არ იყო მზად და ამას ის მარტო მაინც ვერ შესძლებდა, კიდეც რომ ჰყოლოდა საკუთარი ჯარი.

4. ოსმალეთთან ომის შემთხვევაში საქართველოს ვერ დაეხმარებოდა ანტანტა, რომელიც თავისი მიზნებით მოქმედებდა და მის ყველა ნევრს ეს რეგიონი ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის ჭირდებოდა (ამასთა-

[1] გაზეთი „სახალხო საქმე, № 279, 1918 წელი;

ნავე, მოკავშირე საქართველო რუსეთის ტერიტორიად მოიაზრებოდა და მის დამოუკიდებლობას ხელს ვერ შეუწყობდა). მას შემდეგ კი, როდესაც რუსეთი ბრესტის სეპარატული ზავით ჩამოსცილდა კოალიციას, მოახდინა ბოლშევიკური გადატრიალება, ევროპის ქვეყნებმა მხარი რუს მონარქისტებს დაუჭირეს, საქართველო კი, მთელ კავკასიასთან ერთად, მონარქიაში მოიაზრებოდა. მას მხოლოდ ერთი გზა, — გერმანიასთან კავშირი და მისი დახმარების იმედი დარჩა, თანაც ვერც გერმანია გაუწევდა მას სამხედრო დახმარებას ოსმალეთთან კონფლიქტში, ის დიპლომატიურად თუ შეაკავებდა ოსმალეთის ახალ პანთურქისტულ ტალღას.

5. ქართველი პოლიტიკოსები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: თუ რეგიონიდან ოსმალეთი წავიდოდა, აქ შემოვიდოდა რუსეთი, რომელიც ისედაც ახლოს იყო და, ფაქტობრივად, შემოსული თავის მეხუთე კოლონით, თუ დამარცხდებოდა რუსეთი და დატოვებდა კავკასიას, აუცილებლად გააქტიურდებოდნენ ოსმალები და თავიანთ პოლიტიკურ პრეტენზიებს რეალობად აქცევდნენ. საჭირო იყო ოქროს შუალედის მოძებნა, რაც თეორიულად შეიძლებოდა, „რეალ-პოლიტიკაში" კი ამ გზის მონახვა ურთულესი იყო.

6. ყველაფერი რომ იდეალურად დასრულებულიყო — საქართველოს აღედგინა დაკარგული სახელმწიფოებრიობა, შეექმნა სახელმწიფო ინსტიტუტები, თავად განესაზღვრა და გადაეჭრა საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები, აქედან გასულიყო ყველა დიდი სახელმწიფო და აღარ ჰქონოდათ მათ რაიმე ზეგავლენა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, მაშინაც კი ქვეყნის ბედი უდიდესი რისკის ქვეშ დგებოდა: 117 წლის მანძილზე დამპრობელმა რუსეთმა კავკასიაში განახორციელა აღმოსავლური სამხედრო იმპერიებისათვის დამახასიათებელი იმგვარი პოლიტიკა, რომ მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი ასიმილირებული და გაუცხოებული იქნა ქართული სამყაროსაგან, გარუსებული პატარა ერები არ შეუერთდებოდნენ ქართველი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესს, არ დაუჭერდნენ მხარს მის დამოუკიდებლობას და ამას რუსეთის მფარველობა-წაქეზებით ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლად აქცევდნენ. საქართველოში მცხოვრები მცირე ერები, რომლებიც ადრე მეგობრულად და მშვიდობიანად თანაარსებობდნენ ქართულ სახელმწიფოში, არ გრძნობდნენ არავითარ დისკომფორტს რელიგიური, ეთნიკური, კულტურული თვალსაზრისით განსხვავებულობის გამო, ამჯერად, კვლავ რუსეთის (ან ოსმალეთის) წაქეზებით დაიწყებდნენ ბრძოლას ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამიტომ, დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა მოკავშირე დიდი ქვეყანა (ქვეყნები), რის გამოც ესწრაფვოდა ის შემდომში ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანებას. ეს პოლიტიკური კითხვები და პრობლემები კარგად ჰქონდათ გააზრებული ამდროინდელ ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც, საბედნიეროდ, იყვნენ საქართველოში. 1917-1918 წლებში იმდენი ძლიერი, განათლებული, პატრიოტი და მებრძოლი პოლიტიკოსი

გამოჩნდა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების არენაზე, რომ ამას უნდა მივაწეროთ ისტორიული მოვლენების სწრაფი და სწორად განვითარების დაწყება იმპერიის ნანგრევებიდან გამოსულ საქართველოში. ამ პოლიტიკოსთა შორის იყო აკაკი ჩხენკელიც.

განსაკუთრებული ნიშვნელობა აქვს იმას, რომ ის იყო იმ დროს ყველაზე გავლენიანი პარტიის წევრი, რომლის დიდი ნაწილი ეროვნულ საკითხზე ისე ჯანსაღად არ სჯიდა, როგორც ეს ადამიანი. კარგი იყო ისიც, რომ ეს ჯანსაღად მოაზროვნე პიროვნება მოხვდა მაღალ თანამდებობებზე ამიერკავკასიის ახლად დაარსებულ განსაკუთრებულ კომიტეტსა (ოზაკომი) და კომისარიატში.

1917 წლის თებრვალ-მარტის რევოლუციით დასრულდა კავკასიის სამეფისნაცვლოს არსებობა. რუსეთის სახელმწიფოს ახალმა ხელისუფლებამ, — დროებითმა მთავრობამ — ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა გადასცა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომს), რომელიც დაკომპლექტდა ეროვნული და პარტიული პრინციპით. მისი თავმჯდომარე გახდა რუსი ვ. ხარლამოვი. ოზაკომის წევრად დაინიშნა ქართველი მოღვაწე, ლიტერატორი და კრიტიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი — ივანე (კიტა) აბაშიძე.

კიტა აბაშიძე ამ დროს უკვე ავად იყო და ფაქტობრივად ვერც მონაწილეობდა ამ სახელმწიფო ორგანოს მუშაობაში. მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, თანაც იმ პარტიის წევრი იყო, რომელიც სოციალისტურ იდეოლოგიას არ უარყოფდა, ამის გამო სოციალ-დემოკრატებმა არ გააპროტესტეს მისი დანიშვნა ამ თანამდებობაზე, თუმცა, მოითხოვეს მათი პარტიის წარმომადგენელიც შეეყვანათ კომიტეტის შემადგენლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომიტეტს ბოიკოტით დაემუქრნენ. რუსეთის დროებითმა მთავრობამ კიტა აბაშიძე გამოიყვანა ოზაკომიდან და მის ადგილზე აკაკი ჩხენკელი შეიყვანა. ამჯერად პროტესტი სოციალისტ-ფედერალისტებმა გამოთქვეს, ბრალი დასდეს ხელისუფლებასა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დევნასა და პარტიული ჰეგემონიის დამყარებაში. მათ მოითხოვეს აბაშიძის აღდგენა, რასაც მთავრობამ კვლავ გაუწია ანგარიში და აბაშიძეც აღადგინა და ჩხენკელიც კომიტეტში დატოვა.

საარქივო ცნობა, გაცემული აკაკი ჩხენკელის სახელზე, რომ ის გახდა ოზაკომის წევრი, ასეთი შინაარსისაა:

„გაცემულია მასზედ, რომ სახელმწიფო დუმის წევრი აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი, ნამდვილად არის ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი, რომელიც შექმნილია დროებითი მთავრობისა და სახელმწიფო დუმის დროებითი კომიტეტის მიერ 1917 წლის 9 მარტის ბრძანებით".

ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ის ირჩეოდა და იხელმძღვანელებდა რუსეთის დროებითი მთავრობის კანონებით, რომელიც 1917 წლის 6 მარტს შეიქმნა.[1]

ამიერკავკასიის მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე არჩევის შემდეგ სასახლის საწყობიდან მის ბინაზე გადაიტანეს

[1] სცსსა, 1831, აღწერა2, საქმე6, ფ. 1.

ნივთები, რომლის სია მოკრძალებული იყო. მასში შედიოდა; საწერი მაგიდა, ტყავის სავარძელი, ხის სავარძელი, პატარა მაგიდა, ელექტრონული ლამპა, საწერ-კალამი თავისი მოწყობილობით, საფერფლე, 2 თურქული დიდი ხალიჩა, 1 პატარა ხალიჩა, საკიდი, ჭურჭლის პატარა კარადა, ღამის ნათურა, 6 სკამი, 4 ჭიქა და 4 ღრმა თეფში, ყავის მადუღარა, გრაფინი, დიდი და პატარა ჩაიდანი, 6 თეფში, სადილის მოსამზადებელი 2 ქვაბი, 4 ბოკალი, 6 ზენარი, 2 სანოლის გადასაფარებელი, 4 პირსახოცი, 6 მაგიდის სუფრა და 4 ჩაის ტილო, 4 საბანი, 1 რბილი სავარძელი, 1 დოქი.[1]

ეს იყო ოზაკომის მაღალი თანამდებობის პირის — აკაკი ჩხენკელის ძირითადი ავეჯი და ქონება.

ოზაკომი მოღვაწეობას შეუდგა 1917 წლის 18 მარტს. ხარლამოვზე მეტად, მასში სომხური დაშნაკ-ცუტიუნის, აზერბაიჯანელი დაშნაკების პარტიისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები აქტიურობდნენ. ესენი იყვნენ: მ. პაპაჯანოვი (დაშნაკი) და მ. ჯაფაროვი (მუსავატი). სხდომათა უმეტესობას აკაკი ჩხენკელი თავმჯდომარეობდა.

ოზაკომი არ წარმოადგენდა ამიერკავკასიაში დიდი გავლენის მქონე სახელისუფლებო სტრუქტურას. ამ მხრივ, ხალხის მეტი მხარდაჭერა ჰქონდა და რეალურ ხელისუფლებას ფლობდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ნოე ჟორდანიას მეთაურობით და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სამხარეო ცენტრი, რომელსაც ასევე ჟორდანია ედგა სათავეში. ასევე დიდი გავლენის იყო კავკასიის რუსული არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო დიმიტრი დონსკოის მეთაურობით[2].

ამ ორ ხელისუფლებას შორის ისეთივე ომი და დაპირისპირება შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოშიც, როგორც რუსეთში იყო. რუსეთში ერთმანეთს ებრძოდნენ დროებითი მთავრობა და ადგილობრივი დეპუტატთა საბჭოები, ამიერკავკასიის ხელისუფლება — ოზაკომი კი არ დაპირისპირებია საბჭოებს. მას არ გამოუყენებია რუსეთის მთავრობისაგან მიღებული ძალაუფლება, საბჭოებს კი არ უსარგებლიათ მათი რელური ძალმოსილებით. ამაში დიდი დამსახურება ეკუთვნოდათ აკაკი ჩხენკელსა და მის თანაპარტიელებს — ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, ევგენი გეგეჭკორს და სხვა სოციალ-დემოკრატ ლიდერებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ უკმაყოფილებას არავინ მალავდა ოზაკომის მუშაობით. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო, გაზეთი„ერთობა" ხშირად აქვეყნებდა ამ ორგანოს კრიტიკას.

„ერთობის" აზრით, ოზაკომმა ხელუხლებლად დატოვა მეფისდროინდელი ბიუროკრატიული სისტემა და ის კიდევ უფრო „არივ-დარივა". ასეთ სიტუაციაში დეპუტატთა საბჭოებს ხშირად მიმართავდნენ მოთხოვნით — ოზაკომისათვის ჩამოერთმია და ხელში აეღო ძალაუფლება, რაც მან, მდგომარეობის გამწვავების შიშით არ გააკეთა. შესაძლო გართულებული ვითარებით მხოლოდ ბოლშევიკები ისარგებლებდნენ და მოახდენდნენ ვითარების დესტა-

[1] სცსსა 1831, 2, საქმე 8, ფ. 1, 1917 წელი.

[2] ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918), თბილისი, 2000 წელი, გვ. 17.

ბილიზაციას. ამ მხრივ მართლაც აღნიშვნის ღირსია სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსების თავშეკავება და პოლიტიკური პრაგმატიზმი[1].

ოზაკომის წევრმა აკაკი ჩხენკელმა დიდი როლი ითამაშა ამ ფაქტობრივად რუსული ხელისუფლების მშვიდობიან თანაარსებობაში ამიერკავკასიურ პარტიებთან. არც ოზაკომი და არც მისი ზემდგომი რუსეთის დროებითი მთავრობა აღარ დეკლარირებდნენ მანამდე არსებულ რუსეთის კოლონიურ პოლიტიკაზე კავკასიაში, ეს, თუნდაც დროებითი და მოჩვენებითი პოლიტიკა გაფრთხილებას და შენარჩუნებას საჭიროებდა და ქართველი პოლიტიკოსიც თანაპარტიელებთან ერთად იცავდა პოლიტიკურ სტატუს-ქვოს, ცდილობდა, არც რადიკალურ მემარჯვენეებს და არც ბოლშევიკებს პროვოკაციულად არ ემოქმედათ და არ გამოეწვიათ დესტაბილიზაცია რეგიონში. ამით შესაძლებელი გახდა საქართველო მშვიდად წასულიყო თავისი მთავარი ეროვნული მიზნისაკენ. ჩხენკელმა კარგად იცოდა, რა მოჰყვებოდა ამ პროცესებს იმ ვითარებაში, როდესაც რუსული არმია ჯერ კიდევ იდგა კავკასიაში. მისი და ოზაკომის ხელისუფლების ხელშეწყობით ამ ჯარს უნდა შეესრულებინა სამხრეთის საზღვრების დაცვის ფუნქცია, რაც იმ კონკრეტულ მომენტში ქართულ ინტერესებსაც ეთანხმებოდა. ის შეთანხმებულად მუშაობდა ოზაკომის არაქართველ წევრებთან, მათთან ერთად ცდილობდა რელიგიური და ეთნიკური ინტერესების გაერთიანებას და შეთავსებას, რაც ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანობას არ დაარღვევდა და რეგიონში ანარქიისა და ქაოსის გამოწვევას შეეწინააღმდეგებოდა. მისი დიდი სურვილი და ოზაკომში მოღვაწეობის მიზანი იყო ისიც, რომ რუსეთში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური პროცესები, რომელიც დამანგრევლად იმოქმედებდა ისედაც უამრავი პრობლემით დამძიმებულ სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, არ გადმოსულიყო მასზე და ისეთი სერიოზული და მწვავე პრობლემა, როგორიც აგრარული საკითხი იყო, გადაჭრილიყო სამართლებრივ, კანონიერ საფუძველზე.

აკაკი ჩხენკელისა და მისი თანაპარტიელების დამსახურება იყო ისიც, რომ მათ მხარი დაუჭირეს პარტიების გაერთიანებას გადასაჭრელი პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური პრობლემების ირგვლივ და მათი ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. შემდგომში, 1918-1921 წლებში, დიპლომატიურ სარბიელზე გამოჩენილი მისი ნიჭი დაეხმარა მას უკვე ამ დროს პრაგმატული პოლიტიკის გატარებასა და მთელი რიგი წარმატებების მიღწევაში.

აკაკი ჩხენკელი — საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს თამჯდომარე

1917 წლის აპრილში მოწვეულ იქნა ინტერპარტიული კრება, რომელსაც იმჟამად საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელი ესწრებოდა. კრებას თავმჯდომარეობდა აკაკი ჩხენკელი. კრებამ განიხილა საქართველოს პარტიებს შორის შეთანხმების საკითხი. შეთანხმება შესაძლებლად იქნა აღიარებული ეროვნული საქმეების სფეროში.

[1] ვახტანგ გურული, მერაბ ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბილისი, 1999 წელი, გვ. 285;

1917 წლის 12 აგვისტოს, მოწვეულ იქნა საქართველოს ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს დამფუძნებელი კრება. კრების გადაწყვეტილებით, ინტერპარტიულ ეროვნულ ბიუროში მონაწილეობის უფლება მიეცა 5 პოლიტიკურ პარტიას: სოციალ-დემოკრატებს, სოციალ-ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს და ბოლშევიკებს. ბიუროს შემადგენლობა წარმოდგენილი პარტიების ხუთ-ხუთ წევრით განისაზღვრა. ქართველი ერის ინტერპარტიულ ბიუროს ჰყავდა აღმასრულებელი ორგანო — პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში თითო პარტიიდან თითო წევრი შედიოდა.

ბიუროს უფლებამოსილებანი ასე იყო ჩამოყალიბებული: „ქართველი ერის ინტერპარტიული ბიურო დაარსებულია ქართველი ხალხის ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ-საზოგადოებრივ საჭიროებათა გასაძღოლათ და დასაკმაყოფილებლად. ერის ყველა მთავარ საჭირბოროტო საკითხებს არკვევს და სწყვეტს ინტერპარტიული ბიურო. მისი დადგენილებანი სისრულეში მოყავს პრეზიდიუმს.

პრეზიდიუმში შეთანხმება სადაო საკითხებში არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ინტერპარტიულ შეთანხმებად. იქ დასმული სადაო კითხვები პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით და დასკვნით გადაეცემა პლენუმს განსახილველად.

თვით ქართველთა ინტერპარტიულ ბიუროში (პლენუმში) შეთანხმება ნიშნავს საქართველოს ინტერპარტიულ შეთანხმებას. პლენუმის შეთანხმებული დადგენილება ამა თუ იმ საკითხზე ასასრულებელი და სავალდებულოა ქართ. ინტერპარტიული ბიუროს ყველა შემადგენელ დანესებულებათათვის.

ქართ. ინტერპარტიულ ბიუროს და მის პრეზიდიუმს ჰყავს მუდმივი თავმჯდომარე და მდივანი".[1]

ინტერპარტიული ბიუროს შემადგენლობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან შედიოდნენ: წევრები: აკაკი ჩხენკელი, ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე, ნოე რამიშვილი, პრეზიდიუმის წევრი: აკაკი ჩხენკელი, კანდიდატი: ნიკოლოზ ქარცივაძე;

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, წევრები: სპირიდონ კედია, გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული, დავით ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპიძე, კანდიდატები: იოსებ მაჭავარიანი, რაფიელ ივანიცკი (ინგილო), პრეზიდიუმის წევრი: სპირიდონ კედია, პრეზიდიუმის კანდიდატი: გიორგი გვაზავა;

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრები: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შალვა მესხიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, კანდიდატი: ქრისტეფორე რაჭველიშვილი, პრეზიდიუმის წევრი: გიორგი ლასხიშვილი, კანდიდატი: გრიგოლ რცხილაძე;

---

[1] შოთა ვადაჭკორია, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917), რედაქტორი ფ. სიხარულიძე, საქ. მეცნ. აკადემია, 1998; საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილი- ნოემბერი), დოკუმენტები და მასალები (გამოსაცემად მოამზადა ზაირა გერგედავა-ჭელიძემ), რედაქტორი ვახტანგ გურული, გამომცემლობა „მერიდიანი", თბ., 1999.

სოც.- რევოლუციონერთა პარტიის წევრები: გრიგოლ ნათაძე, კონსტანტინე მესხი, ივანე ჩერქეზიშვილი, ანდრია დგებუაძე, დავით კაჩაური, პრეზიდიუმის წევრი: კონსტანტინე მესხი, კანდიდატი: ივანე ჩერქეზიშვილი;

ინტერპარტიულ საბჭოში შეიყვანეს ბოლშევიკებიც, თუმცა, მათ უარი თქვეს და წარმომადგენლები არ გამოგზავნეს.

1917 წლის 21 აგვისტოს ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროს სახელი შეეცვალა და ეწოდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, ხოლო ბიუროს პრეზიდიუმს — აღმასრულებელი კომიტეტი.

ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე (1917 წლის 28 აგვისტო) გადაწყდა გაზრდილიყო ინტერპარტიული საბჭოს შემადგენლობა. თითოეულ პარტიას საბჭოში ხუთის ნაცვლად ათი მუდმივი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა.

ინტერპარტიული საბჭოს შემადგენლობა საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: ნ. ჟორდანია ა. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი, ა. ლომთათიძე, ე. გეგეჭკორი, ს. ჯიბლაძე, პ. საყვარელიძე, პ. ქავთარაძე, ივ. გომართელი, ლ. შენგელაია, ნ. ქარცივაძე, ი. გობეჩია, კ. მესხი, ი. ჩერქეზიშვილი, გ. ნათაძე, ნ. ჩიგოგიძე, მ. გავაშელი, დ. კაჩაური, გ. ლასხიშვილი, დ. უზნაძე, შ. მესხიშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. რცხილაძე, შ. მიქელაძე, ი. ბარათაშვილი, ს. ფირცხალავა, ქრ. რაჭველიშვილი, შ. დადიანი, გ. ჟურული, გ. გვაზავა, შ. ამირეჯიბი, დ. ვაჩნაძე, სპ. კედია, ი. მაჭავარიანი, რ. ივანიცკი (ინგილო), გრ. ვეშაპიძე, გ. ქიქოძე, შ. ქარუმიძე.

აღმასრულებელი კომიტეტის წევრები იყვნენ: ა. ჩხენკელი, ნ. ჟორდანია, გრ. რცხილაძე, გ. გვაზავა, ნ. ქარცივაძე, პ. საყვარელიძე.

ინტერპარტიული კრების უმთავრეს თემას „ეროვნულ საკითხში შეთანხმება" წარმოადგენდა. საკითხი ორ ნაწილად გაიყო: საქართველოს ტერიტორია და ეროვნული სეიმის კომპეტენცია.

ტერიტორიის საკითხზე შეთანხმებას პარტიებმა პირველივე კრებაზე მიაღწიეს. ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დამოუკიდებელი არ იყო, ურთულესი და უსიამოვნო ნიუანსებით გამოირჩეოდა, რადგან დიდი იყო იმ მეზობლების პრეტენზიები, რომელთან ერთადაც, ერთ სახელმწიფოში იმყოფებოდა ქართველი ხალხი. საჭირო იყო აუცილებლად დასმულიყო და შემუშავებულიყო ქართული პარტიების მიერ საქართველოს მომავალი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის გეგმა[1].

ზოგადად განისაზღვრა ქვეყნის საზღვრები, საქართველოს ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო: უდაო და სადავო ტერიტორიებად. გამოიკვეთა ის, რასაც ქართველი საზოგადო მოღვაწეები მანამდეც ხშირად იხილავდნენ და რაზეც კიდევ უფრო ხშირად ვერ თანხმდებოდნენ: ეს იყო უდავო და სადავო ტერიტორიების დეფინიცია: რომელი ტერიტორია უნდა ჩათვლილიყო უდავოდ, ქართველების კუთვნილებად, რომელი სადავოდ, რისთვისაც შემდეგში მოუხდებოდათ ბრძოლა და ისტორიული თუ სამართლებრივი

[1] ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, 1990 წელი, გვ.77;

არგუმენტების მოშველიებით მისი დაკანონება. იმჯერად კი, სოციალ-დემოკრატთა ინიციატივით, ამ საკითხის ირგვლივ ჩამოყალიბდა საერთო პარტიული აზრი: ქართველებით დასახლებული ტერიტორია უდავოდ გამოცხადდა, არაქართველები სადაც სჭარბობდნენ, ის მიწები სადავოდ, ხოლო თბილისი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს აქ ქართველები არ წარმოადგენდნენ მოსახლეობის უმრავლესობას, უდავოდ ქართულ ტერიტორიად ჩაითვალა[1].

სადავო ტერიტორია კრებამ ასე განსაზღვრა: „ეს პერიფერიებია, განაპირა რაიონებია, სადაც უმრავლესობას ქართველობა არ შეადგენს, ან ხალხის სურვილი არ ვიცით, საით მოისურვებს წასვლას". სადავო ტერიტორიების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მოსახლეობის გამოკითხვით, რეფერენდუმის გზით[2].

ინტერპარტიული საბჭოს კრებამ ამგვარად საკითხის დასმით დიდი შეცდომა დაუშვა. სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწეები ამ საკითხზე სოციალ-დემოკრატთა შეხედულებებს 1912-1915 წლებში ქართველი ერისთვის საზიანოდ მიიჩნევდნენ და თავიანთ პრესაში მუდმივად აკრიტიკებდნენ მათ ამგვარ მიდგომას საქართველოს ისტორიული მიწებისადმი. ეს იყო ქართული ინტერესების საწინააღმდეგო და, ამასთანავე, ისტორიული სინამდვილის გამაყალბებელი გადაწყვეტილება. „სადავოდ" მიჩნეული მიწები, სადაც ქართული მოსახლეობა ან უმცირესობაში იყო, ან სულაც აღარ ცხოვრობდა, ხელოვნურად იყო წარმოქმნილი. რუსულმა აგრესიულმა და დივერსიულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ XIX საუკუნეში აქ წარმოშვა არაქართველთა კომპაქტური დასახლებანი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად. ამ მიზანს, იმპერიული წრეები, უპირველესად, მომავალი ქართული სახელმწიოებრიობის აღდგენის წინააღმდეგ მიმართავდნენ. ამჯერად კი, ქართველი პოლიტიკოსები სწორედ ამ ძირძველ ქართულ მიწებს აცხადებდნენ „სადავოდ" და ფაქტობრივად რუსულ იმპერიულ წისქვილზე ასხამდნენ წყალს.

ინტერპარტიულ საბჭოს მომავალი სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებად ან საქართველოს სამეფო-სამთავროების საზღვრები უნდა აეღო, რაც რუსეთის შეერთებამდე არსებობდა, ანდა რუსეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით უნდა ეხელმძღვანელა. თუმცა, ამ უკანასკნელს ქართული ეროვნული ინტერესებისათვის ბევრი რამ მიუღებელი ჰქონდა, მაგრამ ის მაინც უკეთესი იყო იმაზე, რაც ინტერპარტიულმა საბჭომ გააკეთა, რადგან ისტორიულ სამართლიანობას ეყრდნობოდა და უფრო მეტად გამორიცხავდა სეპარატიზმის წარმოქმნის შესაძლებლობას საქართველოს არაქართველ მოსახლეობაში.

ინტერპარტიულ საბჭოში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა. ეროვნულ-დემოკრატების აზრით, თუ რუსეთი ფედერაციული სახელმწიფო იქნებოდა, საქართველოს უნდა მიეღო ფედერაციული ერთეულის სტატუსი; თუ რუსეთი უნი-

[1] სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 6, ფ. 1.
[2] სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 7, ფ. 2-3.

ტარული რესპუბლიკა იქნებოდა, საქართველოს უნდა მოეთხოვა ფართო ეროვნული ავტონომია საკუთრი პრეზიდენტით. სოციალ-დემოკრატები უარყოფდნენ როგორც ფედერაციას, ისე ავტონომიის იდეას და მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს უნდა ჰქონოდა ფართო ადგილობრივი ეროვნული თვითმართველობა, რომელიც, თავისთავად, რუსეთის სახელმწიფოს ნაწილი იქნებოდა.[1]

საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს პირველ კრებას სულ მალე მოჰყვა მეორე (16 აპრილს). სხდომის თავმჯდომარე იყო აკაკი ჩხენკელი, მდივანი — სოციალ-დემოკრატი პავლე საყვარელიძე.

კრებას ესწრებოდნენ: ეროვნულ-დემოკრატები: გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული, დავით ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპელი, სპირდონ კედია, ალექსანდრე ასათიანი; სოციალისტ-ფედერალისტები: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, იესე ბარათაშვილი, სიმონ მდივანი, სამსონ დადიანი, შალვა მესხიშვილი სამსონ ფირცხალავა; სოციალ-დემოკრატები: აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, გოგიტა ფაღავა, გრიგოლ გიორგაძე, პავლე საყვარელიძე. კრებას ესწრებოდნენ მ. მაჩაბელი და ვ. თუმანიშვილი.

ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრებაზეც მოხსენებით გამოვიდა აკაკი ჩხენკელი. საკითხი ეხებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობას, ეროვნული სეიმის კომპეტენციას.

კრების გახსნისას აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ეროვნული სეიმის კომპეტენციის საკითხი სამ ქვესაკითხად გაყოფილიყო, რათა უფრო დეტალურად მომხდარიყო მისი განხილვა და ამ საკითხზე ნაყოფიერი კამათი გამართულიყო. ესენი იყო: 1. საქართველოს ტერიტორიული ერთეულის კომპეტენცია; 2. საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ტერიტორიულ ერთეულებთან; 3. საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიული ერთეულების დამოკიდებულება სრულიად რუსეთის ცენტრთან.

აკაკი ჩხენკელის შესავალ სიტყვაში გამოითქვა სურვილიც, რომ კრება კვლავ დაბრუნებოდა საქართველოს ტერიტორიის საკითხს საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად[2].

ეროვნული სეიმის კომპეტენციაზე ისაუბრა გიორგი გვაზავამ. როგორც ვიცით, ამ ეტაპზე საუბარი იყო არა დამოუკიდებელ საქართველოზე, არამედ რუსეთის ფარგლებში მის ავტონომიაზე. გიორგი გვაზავას აზრით, საქართველოს ტერიტორიულ ერთეულს უფლებათა მინიმუმი მაინც უნდა მინიჭებოდა, ზოგადი სახელმწიფო საქმეები იქნებოდა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ხელში, დანარჩენი გადაეცემოდა ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულს. შინაური საქმეები მას თავად უნდა გადაეწყვიტა. საამისოდ მან შვეიცარიისა და ამერიკის მაგალითები მოიტანა. ადგილობრივი პრობლემების განსაზღვრა მან ავტონომიური ერთეულების კომპეტენციად ჩათვალა. გვაზავამ დაწვრილებით ჩამოაყალიბა ეროვნულ-

[1] ზ. გერგედავა-ჭელიძე, აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მოღვაწეობა (1898-1918), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2002, გვ. 61-62.
[2] სცსსა, ფონდი 1836, ან. 1, საქმე 7, ფ. 3-4.

დემოკრატების თვალსაზრისი ეროვნული სეიმის შესახებ: „თუ რუსეთი ფედერატიული იქნება, ცენტრის ხელში დარჩება საყოველთაო საქმეები, ასეთია ჯარი, ფლოტი, საერთაშორისო პოლიტიკა, საბაჟო, გადასახადები, სახელმწიფო ბიუჯეტი, ზოგიერთი რკინისგზა, ტელეგრაფი, ფოსტა, ზოგი ტელეფონი, სავაჭრო პოლიტიკა, სამოქალაქო და სისხლის სამართლიდან ზოგიერთი საზოგადო კანონები, მაგალითად, შესახებ ვექსილისა, ბანკისა, ღალატისა და სხვა. სასამართლო პროცესის შემუშავება ცენტრს ექნება დავალებული. აგრეთვე ცენტრმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეობრივი თავისუფლება, ავტონომიას ნება ექმნება, მხოლოდ გააფართოვოს ეს თავისუფლება. იქ, ცენტრში, უფლებათა მინიმუმი იქნება აღნიშნული, აქ, ავტონომიაში, — მაქსიმუმი. ფული, წონა, ზომა ცენტრის ხელშია, დანარჩენი საქმეები და მათ შორის კანონმდებლობა ავტონომიურ ერთეულებში წყდება. გარანტია — ფედერაციაა. თუ უნიტარული რესპუბლიკა განხორციელდა, მაშინ საქართველო 1783 წლის ხელშეკრულების ნიადაგზე უნდა დადგეს. ბრძოლა წმინდა უფლებრივ ხასიათს ღებულობს. ავტონომია ამ შემთხვევაში უფრო ვრცელი და ფართე შინაარსის უნდა იყოს. მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციის თვალით თუ განვიხილავთ კითხვას, ადგილობრივ ავტონომიას შეიძლება ეყოლოს საკუთარი პრეზიდენტი. მთელი რუსეთის რესპუბლიკას ეყოლება საერთო პრეზიდენტი. რასაკვირველია, კანონმდებლობა საერთოა და ადგილობრივი. ადგილობრივ კანონებს ადასტურებს ცენტრის წარმომადგენელი. რაც შეეხება სასამართლო დეცენტარალიზაციას, ყოველი საქმე აქ უნდა თავდებოდეს. მომრიგებელი მოსამართლე აირჩევა, იქმნება მომრიგებელ მოსამართლეთა კრება, საოლქო სასამართლო და პალატა. სენატი აქ უნდა იყოს"[1].

სოციალ-დემოკრატების შეხედულება კრებას გაუზიარა ნოე რამიშვილმა. მან თქვა: „ვერ გამიგია, რათ ელიან ნაკლებს ფედერატიული წყობილების დროს, ან რატომ მოვითხოვთ მეტს უნიტარული რესპუბლიკის დროს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რუსეთი ფედერაციამდე არ მივა. ეს იქნებოდა ეკონომიკურად უკან დამხევი და პოლიტიკურად შეუძლებელი. ჩვენს კითხვას სამი რამ ახასიათებს: სასამართლო, მართვა-გამგეობა და კანონმდებლობა. სასამართლო ადგილობრივია, მოსამართლენი არჩეულნი და არა დანიშნულნი. საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნება, რაღა თქმა უნდა, როგორც პრინციპი კი უნდა იყოს ბრალდებულის ენის ხმარება, როგორც ეს განვითარებულ დემოკრატიებშია. მართვა-გამგეობა ადგილობრივი პირების ხელშია. არის სასოფლო თვითმმართველობა, სამაზრო და კანტონური გამგეობა. ცენტრი ანხორციელებს კანონებს ადგილობრივი პირების საშუალებით. უმთავრესია კანონმდებლობა. ეროვნულ-დემოკრატებმა წინათ თქვეს: ცენტრს მხოლოდ ჯარის, ფლოტის და სხვა საქმე უნდა ეკითხებოდესო, ჩვენ ვამბობთ: ცენტრის ხელში უნდა იყოს უმთავრესი კანონების გამოცემა, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, სოციალური კანონმდებლობა, სავაჭრო პოლიტიკა და სხვ. ფედერაცია რუსეთში, როგორც ვთქვით, არ მოეწყობა. ფედერაცია სადაც არის, იქაც

[1] სცსსა, ფონდი 1836, ან.1, საქმე 7, ფ.5-6.

იზღუდება, იქმნება ფართო დეცენტრალიზაცია. თვით ფინლანდიაში ისმება კითხვა საბაჟო და სავაჭრო კედლების მოსპობის შესახებ. საქართველო სამეურნეო ქვეყანაა, ეს არ იქნება სახელმწიფო, როგორც ფინლანდიაა, ეს იქნება ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა. ჩვენ აქ სხვა ერებთან შეუთანხმებლად ვერ ვიმოქმედებთ. მეზობლებთან დამოკიდებულებას განსაზღვრული ფორმა უნდა მიეცეს. ამიერკავკასიის სეიმი აუცილებლად საჭირო იქნება. ზოგიერთი კითხვები (გზა, არხი და სხვ.) ერთად გადასაწყვეტი ექნებათ აქაურ ერებს. სეიმი უთუოდ საჭიროა, თუნდაც მისი სესიები შეზღუდული და ხანმოკლე იყოს. კულტურული კითხვები ერთიანად ნაციონალური ერთეულის ხელში გადავა".

შეკითხვებით ნოე რამიშვილმა კიდევ უფრო გააღრმავა თავისი შეხედულება საქართველოს ავტონომიასა და ადგილობრივ უფლებებზე, თუმცა, არც ის და არც რომელიმე სხვა პირი ამ კრებაზე საქართველოს ტერიტორიების საკითხს აღარ დაბრუნებია.

ინტერპარტიული საბჭოს ამ კრებამ გამოკვეთა სხვადასხვა პარტიული პოზიციები ეროვნულ საკითხზე, რაც შემდეგში მდგომარეობდა: ეროვნულ-დემოკრატების პოზიცია ასეთი იყო: თუ რუსეთი ფედერაციული სახელმწიფო იქნებოდა, საქართველო მასში შევიდოდა დამოუკიდებელი ფედერაციული ერთეულის სტატუსით. თუ რუსეთი იქნებოდა უნიტარული რესპუბლიკა, საქართველოს უნდა მოეთხოვა ფართო ეროვნული ავტონომია საკუთარი პრეზიდენტით (1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე).

სოციალ-დემოკრატების პოზიცია იყო: ისინი არ ეთანხმებოდნენ არც ავტონომიის იდეას და არც ფედერაციისას, თვლიდნენ, რომ საქართველოს უნდა ჰქონოდა ფართო ადგილობრივი ეროვნული თვითმმართველობა, მაგრამ არა უშუალოდ რუსეთის შემადგენლობაში, არამედ ამიერკავკასიის ფედერაციაში, რომელიც თავისთავად რუსეთის ნაწილი იქნებოდა. აკაკი ჩხენკელს ამ დროს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, როდესაც მის ჟორდანიასეულ კრიტიკას შევეხეთ, ჰქონდა ამ ჯგუფისგან განსხვავებული თვალსაზრისი. ის არ ეთანხმებოდა ჟორდანია-რამიშვილის თვალსაზრისს ავტონომიის თემაზე და თვლიდა, რომ საქართველოს უნდა ჰქონოდა თვითმმართველობა ადგილობრივ საკითხების გადაწყვეტაში, და საერთო პირდაპირ ცენტრთან.

საბოლოოდ, ინტერპარტიული საბჭოს ამ სხდომებმა ვერ შეიმუშავეს ერთიანი აზრი ეროვნულ საკითხზე, ვერ დააყენეს საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა. პარტიები ამ საკითხებზე მსჯელობით დაკმაყოფილდნენ. საკითხების რეალური გადაწყვეტა კი მომავალს მიენდო.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მესამე კრებამ, 1917 წლის 3 გვისტოს, ასევე აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობითა და ინიციატივით მიიღო დადგენილება აღნიშნული ორგანოს სახელის გადარქმევის თაობაზე. **მას ქართველი ერის ინტერპარტიული ბიურო დაერქვა.** აქვე გადაწყდა, რომ ინტერპარტიული ბიუროს მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდნენ მხოლოდ ის პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ბიუროში ეყ-

ოლებოდათ 5-5 წარმომადგენელი.

ინტერპარტიული ბიუროს 1917 წლის 18 აგვისტოს სხდომაზე განიხილეს საკითხი ქართული ჯარის ნაციონალიზაციის შესახებ. გადაწყდა: "მოხდეს ქართული ჯარის ნაციონალიზაცია, დაარსდეს ქართული პოლკები. ამისათვის შუამდგომლობა აღიძრა კავკასიის ჯარის საოლქო ცენტრში და უმაღლესი მთავრობის წინაშე"[1].

ქართველი ერის ინტერპარტიული ბიუროს მომდევნო სხდომებს, აკაკი ჩხენკელი 15 ოქტომბრამდე აღარ დასწრებია. ამ დროს ის პეტროგრადში იმყოფებოდა. 15 ოქტომბერს კი ის კვლავ თავმჯდომარეობდა ბიუროს კრებას, რომელიც ძალზე რთული აღმოჩნდა, რადგან ამ კრებაზე ნოე ჟორდანიამ დასვა საკითხი სოციალ-დემოკრატების ბიუროდან გასვლის შესახებ. ამის მიზეზად დაასახელა სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოციალისტ-ფედერალისტების მიერ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა[2].

ნოე ჟორდანიას ეს განცხადება ართულებდა ვითარებას, ხელს უშლიდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევას, სადაც უნდა დასმულიყო ძირითადი ეროვნული კითხვები.

ჟორდანიასთან ისედაც დაპირისპირებული აკაკი ჩხენკელი არ მოერიდა უხერხულ სიტუაციას, თავის თავზე აიღო და 17 ოქტომბერს ჩაატარა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება ეროვნული ყრილობის საჩქაროდ მოწვევის შესახებ. იმ ვითარებაში, როდესაც მის თანაპარტიელებს (და არა მარტო მათ), რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ ამდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ აზრზე, არ სურდათ ეროვნული ყრილობის მოწვევა, აკაკი ჩხენკელის ეს პრინციპული დამოკიდებულება ყრილობის მოწვევის აუცილებლობისადმი, მაჩვენებელია მისი გამორჩეული პოლიტიკური ხედვისა და ეროვნული სულისკვეთებისა.

1917 წლის 3 ნოემბერს ინტერპარტიულმა საბჭომ, აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით, დანიშნა ეროვნული ყრილობის მოწვევის დღე — 1917 წლის 19 ნოემბერი. ამ საკითხზე მსჯელობა გაგრძელდა 4 ნოემბერსაც, იმავე საბჭოს სხდომაზე, 8 ნოემბერს კი, საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს ეროვნული ყრილობის რეგლამენტი.

საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა დიდი ისტორიული მოვლენა იყო ჯერ კიდევ რუსეთის საგამგებლო ქვეყანაში, ეს ნიშნავდა, რომ ერი იწყებდა უკომპრომისო ბრძოლას დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის. ყრილობის მოწვევა ბევრ სიძნელეს უკავშირდებოდა, საჭირო იყო ყველა დეტალის წინასწარ განსაზღვრა და გააზრება. ამისათვის აკაკი ჩხენკელმა, საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის უპირველესმა მოთავემ, 19 ნოემბრამდე ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არაერთი სხდომა (8 სხდომა) მოიწვია.

[1] ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, 1990 წელი, გვ.77.
[2] სცსსა, ფონდი 1823, აღწერა 1,საქმე 1,ფურცელი 33.

აკაკი ჩხენკელის მიზანსწრაფვას საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ, ამაგრებდა ის ფაქტი, რომ საქართველოში ამ დროს ქართველების ინტერესების დამცველი ცალკე ორგანიზაცია არ არსებობდა.

იმპერიის დაცემისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მთავრობის მოსვლის შემდეგ, მრავალეროვნულ და მრავალკონფესიურ საქართველოში ერთა თვითგამორკვევის პროცესი დაიწყო და შეიქმნა აქ მცხოვრებ პატარა ერთა ეროვნული საბჭოები იმ კულტურული პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც ამ ერების მოწინავე წარმომადგენლებს მიაჩნდათ საჭიროდ. ესენი იყო: სომეხთა, ბერძენთა, რუსთა, თათართა და სხვ. ეროვნული საბჭოები. ქართველთა ეროვნული საბჭო ამ დროს არ არსებობდა. ამიერკავკასიის ხელისუფლება (კომისარიატი) უძლური იყო ყველა ის პრობლემა გადაეწყვიტა, რომელიც ქართველ ხალხს აწუხებდა. დღის წესრიგში დადგა ქართველთა ეროვნული საბჭოს შექმნის საკითხი. საქართველოს ინტერპარტიულმა კომიტეტმა ამ საკითხის მოგვარებას მოჰკიდა ხელი.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში მოწვეული იქნა ეროვნული ყრილობა, რომელსაც 324 დელეგატი დაესწრო. ისინი წარმოადგენდნენ სხვადასხვა პარტიებს, საქართველოს რეგიონებს, საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებებს, რელიგიურ კონფესიებს და სხვ. ყრილობას კავკასიის რუსული ჯარის მთავარსარდალი გენერალი პრჟევალსკიც დაესწრო[1].

ყრილობა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს სახელით გახსნა აკაკი ჩხენკელმა. შესავალ სიტყვაში ორატორმა გამოკვეთა ძირითადი ეროვნული და პოლტიკური აქცენტები. მან თქვა:

„მე ბედად მხვდა პირველს საქართველოს ეროვნულს ყრილობას მოვახსენო საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიული საბჭოს სახელით მხურვალე სიტყვა მილოცვისა და სიხარულისა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ან რატომ არ უნდა გვიხაროდეს, როცა ვხედავთ ამ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თავმოყრილ პოლიტიკურ ორგანიზაციათა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებს. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ეს პირველი ეროვნული ყრილობაა ჩვენი ხალხისა. დღევანდელი დღე — 19 ნოემბერი არის დატა, რომელიც არ ამოიფხვრება ჩვენი ხსოვნიდან. მართალია, დღევანდელ ყრილობას ვერ დავუძახებთ საქართველოს ნამდვილ სახეს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ყრილობაზე წარმოგზავნილნი არიან ყველა საკულტურო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დელეგატები, რომ აქ არიან ჩვენი დაბა-ქალაქების ნორჩი დემოკრატიისა და მის აღმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენლები, რომ აქვე მონაწილეობენ საპროფესიო კავშირების და მუშათა და ჯარისკაცთა სარევოლუციო ორგანიზაციების რწმუნებულნი, თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ასეთი

[1] გრიგოლ ურატაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921, პარიზი, 1993 ნელი, გვ. 89-90;

შემადგენლობის ყრილობა უეჭველად გამოსთქვამს ქართველი ერის ნამდვილს გულისთქმასა და ზრახვას.

აქვე არიან სტუმრები და ნება მომეცით, თქვენი სახელით მივესალმო მათ, ჩვენს სტუმრებს, პირველყოვლისა ამიერკავკასიის კომისარიატს, რომელიც სრულის შემადგენლობით აქ იმყოფება (ისმის ტაში).

მივესალმები აგრეთვე ამიერკავკასიის რევოლუციონურ ცენტრის დელეგატებს (ტაში). აქვე არიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები: ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, სპარსეთისა და იტალიისა. ნება მომეცით, თქვენი სახელით მათ მივესალმო (დიდი ტაში). აქვეა კავკასიის ფრონტის სარდალი პრჟევალსკი (ტაში, პაუზა). მე ვიტყოდი თქვენს მაგიერ: გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას (ხმები: გაუმარჯოს! ტაში). გაუმარჯოს აგრეთვე ყველა ერთა და სახელმწიფოთა სამართლიან დემოკრატიულ ზავს (ხმები: გაუმარჯოს! ტაში). აქვე არიან, მოქალაქენო, ჩვენს ძვირფას მეზობელ ერების წარმომადგენელნი: სპარსეთის, რუსეთის, უკრაინის, პოლონეთის, აფხაზეთის, ებრაელების, სომხების, თათრების, ლიტვის (ტაში). გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას (მხურვალე ტაში).

მოქალაქენო! დღეს ჩვენ ფრიად საბედისწერო და საპასუხისმგებლო მომენტს განვიცდით. მთელი რუსეთი ომის ქარცეცხლითაა მოცული. მრავალი საკითხი უძევს მას წინ გადასაწყვეტად, დღის წესრიგშია დასმული რუსეთის სხვადასხვა ერთა ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ჩვენ ფეხზე წამოდგომით პატივს ვსცემთ იმ უთვალავ მსხვერპლს, ამ ომმა რომ შეიწირა, პატივს ვსცემთ იმ გმირებს, რომელთა სისხლით და სიკვდილით მოვიპოვეთ დღევანდელი ბედნიერება და თავისუფლება, მუხლს ვიდრეკთ ჩვენს გმირ ძმათა უთვალავი საფლავების წინაშე, ისინი იბრძოდნენ მთლიანობისათვის. გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიის ერთ მთლიან ფრონტს (ტაში)!

მოქალაქენო! ჩვენ, ამიერკავკასიის ერებს, შეგვიძლიან თავი მოვიწონოთ იმ როლით, რომელიც მივიღეთ და დღესაც ვიღებთ რუსეთის რევოლუციაში. და დღეს, როცა რუსეთს არა ჰყავს ერთი ცენტრალური მთავრობა, ჩვენ მაინც ვიტყვით იმას, რაც გვითქვამს: გაუმარჯოს რუსეთის მთლიან დემოკრატიულ რესპუბლიკას (ტაში)!

ის ძლიერი ტალღა, რომელიც 25 ოქტომბერს გადმოსროლილია ცენტრიდან და პერიფერიებს დაღუპვას გვიქადის, გვიკარნახებს დაღუპვის ასაცდენად სწორედ ამ პერიფერიების გამაგრებას. ჩრდილო კავკასიაში უკვე გაჩნდნენ ეროვნულ-პოლიტიკური ერთეულები, რომელიც ლამობენ თვის საკუთარის ძალ-ღონით საკუთარ საქმეების გაძღოლას. მაშ, აუცილებელია ჩვენთვისც ეს გზა და კავშირი ერებს შორის. საჭიროა ერთი პირით შევიკრათ, ერთად ვიაროთ საფრთხის თავიდან ასაცდენათ. ამიერკავკასიის კომისარიატი ვერ შესძლებს თავის დანიშნულების შესრულებას, თუ იგი არ დაემყარა ამიერკავკასიის ერთა ძალას, ერთა სოლიდარობას.

მე დიდი სიამოვნებით წავიკითხე მოწოდება-დეკლარაცია კომისარიატისა ამიერკავკასიის ერებისადმი. ის ადგილი დეკლარაციისა, რომელიც

ეხება ეროვნულ საკითხს, მეტათ დამაკმაყოფილებელია. ყველა ერი ამის ძალით წარუდგენს თავის მოსაზრებებს იმისას, თუ როგორ უნდა მოგვარდეს და მოეწყოს მათი ბედი და იღბალი.

თუ ვინიცობაა დამფუძნებელი კრება არ შედგა, ჩვენ ვირჩევთ დეპუტატებს, რომლებიც ჩვენს ბედს ისე გადაწყვეტენ, როგორც ჩვენ მოვისურვებთ და დავავალებთ. ყოველ ერს უნდა ჰქონდეს რევოლუციურ-დემოკრატიული პრინციპი, ხოლო ასეთი პრინციპის ერთა თვითგამორკვევა, რომელიც უნდა განახორციელოს ყოველმა ერმა სხვა ერების დახმარებით. თქვენ კარგად იცით მოქალაქენო, თუ რას გულისხმობს ეს პრინციპი და როგორ უნდა გადაწყდეს ჩვენში ეს საკითხი. ეს არის ეროვნულ-პოლიტიკური თვითმმართველობა საკუთარის კანონმდებლობით და (ძლიერი ტაში) და მმართველობით. ამ საგანზე შემდეგ ყრილობას წარმოედგინება მოხსენება ამხ. ნ. ჟორდანიას მხრივ.

მეორე საკითხი, ამ ყრილობაზე გადასაწყვეტ-გამოსარკვევი შემდეგია: მისაღები გვაქვს ქართველ თავადაზნაურებისაგან მამული, რაც საისტორიო მოვლენაა მთელს რუსეთში (ტაში მარჯვენა ფრთაში). რუსეთის თავადაზნაურთა შორის ქართველმა თავადაზნაურობამ პირველი ადგილი დაიკავა. რა თქმა უნდა, თუ ღრმათ დავაკვირდებით ამ მოვლენას, რომ ეს მიეწერება ქართველი ერის სიძლიერეს, მისი დემოკრატიის მნიშვნელობას და გავლენას. ქართველი ერი და დემოკრატია არის ისეთი ძლიერი ფაქტორი, რომლის წინაშე თავადაზნაურობას ქედი უნდა მოეხარა (ტაში). დღეს-დღეობით, უკულმართი პირობების წყალობით, ქართველ ერს, როგორც ასეთს, არა აქვს საკუთრება. საკუთრება აქვს მარტო წოდებას, შემდეგში მას ქონება უეჭველად ექნება და ის მამული, დღეს რომ გადმოდის ქართველ თავადაზნაურობისაგან, იქნება პირველი ფონდი ქართული ეროვნული ქონებისა.

გამოქვეყნებული დეკლარაციის ძალით ჩვენ ველით, რომ დაუყონებლივ შემოღებული იქნას ერობა, მოხდება სასამართლოს სრული რეორგანიზაცია მისი ნაციონალიზაციის სახით, შემოიღება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ველით აგრეთვე სკოლის ნაციონალიზაციას.

მაგრამ ყველა ამ საკითხებს რიგიანად რომ გაუძღვეს ქართველი ერი, საჭიროა ეროვნულმა ყრილობამ აირჩიოს ორგანო, რომელიც დაიჭერს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს ადგილს და ერთის მხრივ გაუძღვება, უპატრონებს მიღებულ ქონებას, ხოლო მეორე მხრივ, ფხიზლათ მოეპყრობა ყველა იმას, რასაც წარმოშობს დრო და გარემოება.

ეს ყრილობა ერთი არ იქნება, ამას უნდა მოჰყვეს საქართველოს დამფუძნებელი კრება (ტაში).

საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს სახელით გაგზავნილი იყო ქალაქ პეტროგრადს მომხდარ დემოკრატიულ თათბირზე საგანგებო წარმომადგენელი, რომელიც თათბირს მიესალმა და რომელმაც გამოუცხადა მას ქართველი ერის გულისნადები (შენიშვნა: საბჭოზე სიტყვით თავად აკაკი ჩხენკელი გამოვიდა).

საბჭოს შექმნაში, ჩვენს ეროვნული თვითგამორკვევის დაჩქარებაში დიდი როლი უძევს ქართველი ჯარის სარდალს სტეფანე ახმეტელაშვილს![1] (ტაში). ამ ჯარის საქმეა დაცვა, რევოლუციის დროს მოპოვებულ თავისუფლებათა დაცვა ერთა შორის სოლიდარობისა და სხვა.

ჩვენ გვაქვს ურთიერთობა და მიმოსვლა სხვა მეზობელ ერებთან. ჩვენ გავგზავნეთ წარმომადგენელი საბჭოსი აფხაზთა ყრილობაზე დასასწრებლად და მისასალმებლად, აგრეთვე სამაჰმადიანო საქართველოში. აფხაზეთის შესახებ ჩვენ ვიყავით და ვართ ერის თვითგამორკვევის პრინციპის მოზიარენი და ეროვნულ საკითხს ისე გადავსწყვეტთ, როგორც ამას მოითხოვს მისი არსებითი ინტერესები. ასეთივე სიტყვები ეთქვათ ჩვენს მოძმე მაჰმადიან ქართველებს. ჭირი და ვარამი, მათ რომ გადაიტანეს, აუტანელია და ნება მომეცით, თქვენს მაგიერ და თქვენის სახელით მივესალმოთ: ვაშა აფხაზეთს; ვაშა აჭარას!

მოქალაქენო! ჩვენ უნდა შევუდგეთ ჩვენს წმინდა საქმეს. საჭიროა ამისთვის ვიქონიოთ მხედველობაში ჩვენი წარსული და აწინდელი საარსებო ინტერესები. იყო თქმული ხშირად, რომ ქართველი ერის ბედი რუსეთთან იყო დაკავშირებული. ეს ნამდვილია, მაგრამ ქართველი ერის ბედის გამომჭედი არის მისი დემოკრატია (ტაში). ქართველი ერის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლას, აქამდე სოციალურ ნიადაგზე რომ ვაწარმოებდით, დავუმატოთ ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლა. აწ განსვენებულმა ბებელმა სთქვა: ვინ არის ერი? ვინ არის ნაცია? ჩვენა ვართ ნაცია, დემოკრატიაო და ჩვენც შეგვიძლიან ვსთქვათ თამამად, რომ დემოკრატია არის სასიქადულო მემკვიდრე ერისა.

საქართველოს ეროვნულ ყრილობას ვაცხადებ გახსნილად".[2]

მთავარი სათქმელი ამ სიტყვისა შეიძლება ასე გამოვყოთ:

1. ჩხენკელი ყრილობას ხსნიდა და საუბრობდა ინტერპარტიული საბჭოს სახელით, რაც შეკრებას სახალხო და ლეგიტიმურ ხასიათს აძლევდა;

2. ყრილობის ლეგიტიმურობას ასევე განსაზღვრავდა ის ფართო პარტიული, სახელისუფლო, პროფესიული, საზოგადოებრივ-ორგანიზაციული წარმომადგენლობა, რითაც ეროვნული ყრილობა გამოირჩეოდა. მას ესწრებოდნენ ევროპის დიდი ქვეყნების: ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იტალიის, ესპანეთის, პოლონეთის, ლიტვის, ასევე სპარსეთის, ამიერკავკასიის ხალხების წარმომადგენლებიც.

---

[1] სტეფანე ახმეტელი (1877-1922) ვლადიმერ და სიკო ახმეტელების ძმა, გენერალი, ქართული ჯარის პირველი მეთაური, 1921 წლის თებერვალში მტრის მრავალრიცხოვანი ძალების ზენოლის შედეგად გენერალი სტეფანე ახმეტელი კახეთში დისლოცირებულ მე-6 ათასეულთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ დასავლეთისკენ იხევდა და იძულებული შეიქმნა დარჩენილი რაზმით, ახმეტაზე და დუშეთზე გავლით, საქართველოს სამხედრო გზაზე გამოსულიყო, სადაც ვლადიკავკაზიდან მომავალმა მტერმა გზა გადაუჭრა და გენერალ ჭავჭავაძესა და გენერალ თავაძესთან ერთად ტყვედ ჩავარდა. მალე გაასამართლეს და რუსეთში (რიაზანში) გადაასახლეს. ძმა — სიკო თან გაჰყვა გადასახლებაში. გზაში უვლიდა და ამხნევებდა. ამის გამო ისიც დაატუსაღეს. ძმა ამაყობდა, რომ სნეული გენერალი ღირსეულად იქცეოდა, პატიმრები და თვით ციხის ადმინისტრაციაც პატივისცემით ეპყრობოდნენ. 1922 წელს სტეფანე რიაზანის ციხეში გარდაიცვალა (ოფიციალური ვერსიით ტიფით).

[2] გაზეთი „ერთობა", №202, 1917 წელი.

3. რუსეთის საქართველოში ბატონობის მთელი 117 წლის მანძილზე ეს ერთადერთი ეროვნული ყრილობა იყო, სადაც ქართველ ერს უნდა გამოეთქვა საკუთარი შეხედულებები და დაეცვა ეროვნული ინტერესები;

4. ყრილობის მოწვევა განაპირობა რუსეთში მიმდინარე მოვლენებმა (სამოქალაქო ომმა), რაც განადგურებით ემუქრებოდა ყოფილ იმპერიაში შემავალ ერებს;

5. რუსეთმა დემოკრატიული რევოლუციით თვითგამორკვევის უფლება მისცა მასში შემავალ ერებს, მაგრამ მას არ ჰყავდა ცენტრალური მთავრობა, რუსეთში 25 ოქტომბერს მოსულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საფრთხეში ჩააგდო თავად რუსი ხალხიც და მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხებიც, რის გამოც ეს ხალხები იძულებულნი ხდებოდნენ თავიანთი ხელისუფლება თავად შეექმნათ.

6. ძირითად საკითხად ჩხენკელის სიტყვაში დაისვა ეროვნულ-პოლიტიკური თვითმმართველობების — ერობების შექმნა, ასევე ეროვნული ყრილობის შემდეგ დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას შეასრულებდა და ეს ყველაფერი კეთდებოდა რუსეთთან შეთანხმებით (საქართველოდან წარგზავნილმა დეპუტატმა პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე ქართველი ხალხის ეს სურვილი, ჩხენკელის თქმით, გაახმოვანა, თუმცა მას არ დაუზუსტებია, რა ლეგიტიმურობა ჰქონდა ამ თათბირს მაშინ, როდესაც ბოლშევიკების უკვე გამარჯვებული ლენინური რეჟიმი სხვა ხელისუფლებას, გარდა საბჭოებისა, არ სცნობდა).

7. ქართველი ერის ბედი, მართალია, რუსეთთან არის დაკავშირებული (ადრეც ასე იყო და ახლაც), მაგრამ დღეიდან მას გამოსჭედს ქართველი დემოკრატიაო (ე.ი. სოციალ-დემოკრატები), ქართული დემოკრატია ძლიერია, რისი ნიშანიც არის თავადაზნაურთა მიერ ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემაც, რაც მომავალი სახელმწიფოს პირველ კუთვნილებას წარმოადგენსო.

8. ამ დემოკრატიის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის კომისარიატისა და ქართველი ერის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ქართველ მაჰმადიანებთან და აფხაზ ხალხთან მომავალი პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

ამდენად, ჩხენკელის სიტყვაში გაიჟღერა იმ პრორუსულმა ორიენტაციამაც, რაც მის პარტიას ჰქონდა, თუმცა მასში დამოუკიდებელ მმართველობასა და დემოკრატიული მოწყობის პრინციპზე მეტი აქცენტი გაკეთდა. ამასთანავე, არა მარტო ჩხენკელს, არამედ მთლიანად ქართულ საზოგადოებას ეროვნული საბჭოს დაარსება და რუსეთის იმპერიის დაცემა ეხატებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინაპირობად, აკაკი ჩხენკელი კი, თავისი განვლილი პოლიტიკური მოღვაწეობის მიხედვით, ეროვნული იდეების ერთგულ და ხორცშემსხმელ ადამიანად. ამას მოწმობს მისი ერთ-ერთი თანაპარტიელის, შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენ-

ლის — მ. იანქოშვილის — მილოცვა ეროვნულ საბჭოში მის არჩევასთან დაკავშირებით:

„პატივცემულო ძმაო აკაკი!

წმინდის გულით მოგილოცავ ახალს დანიშნულებას და ღმერთს ვსთხოვ, რომ მოგცეს ჯანი და სიბრძნე ამ ძნელი საქმის გასაძლიერებლად.

ღმერთმა ბრძანოს დღევანდელი დღე ჩვენ საყვარელ ტურფა სამშობლოს აღდგომად გაუთენდეს და მეტეხზედ აფრიალდეს საქართველოს განთავისუფლების დროშა [მეტეხის ციხე, ბასტილიის მსგავსად, თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო იყო —დ.ჭ.].

ვისთანაც პირობა ჰქონდათ შეკრული ქართველებს, იგინი აღარ არიან ბატონ-პატრონად, მაშასადამე საქართველო თავისუფალია და მისი პატრონი მისივე ხალხია.

ჩვენს ქვეყანაში თუკი უცხონი თავს ბედნიერად გრძნობენ და ვეღარ სთმობენ, მით უფრო ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ აქ ბედნიერებას.

მაშ, წაგვიძეხ წინ გაბედულად და ჩვენც შეუდრკელად მოგყვებით.

უკვე დროა!

მარად თქვენი პატივისმცემელი

მათე იანქოშვილი

19-XI-17, თბილისი.“[1]

ასე გაიხსნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელსაც იმ საბედისწერო ხანაში ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისათვის. ყრილობას ესწრებოდნენ პარტიათა წარმომადგენლები, საზოგადოების ნაწილი, ვისთვისაც ქვეყნის ბედი მტკივნეული იყო და სურდათ მისი გადარჩენის გზის მოძებნა, ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა ადამიანთან ერთად.

როგორც დავინახეთ, ყრილობის გამართვის ძირითადი ორგანიზატორი მაინც სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო, რომელსაც ამ დროს ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხებზეც და საქართველოს მოსახლეობაზეც. სამწუხაროდ, ამ პარტიის ლიდერები ჯერ კიდევ პრორუსული ორიენტაციის იყვნენ და არც მალავდნენ ამას. რუსული ორიენტაცია უფრო დიდი დოზით გამოჩნდა ამავე ყრილობაზე, მეორე დღეს (20 ნოემბერს) სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის — ნოე ჟორდანიას გამოსვლასა და მის მიერ ყრილობის დასამტკიცებლად წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტში.

ამ დროს დასავლური ორიენტაცია უკვე მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ქართულ პოლიტიკურ ელიტაში: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მთლიანად ამ ორიენტაციას ემხრობოდა, სოციალისტ-ფედერალისტთა დიდი ნაწილი, ასევე სხვა პარტიების წარმომადგენლებიც იზიარებდნენ საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის ამ ბუნებრივ — ევროპულ ოჯახთან ყოფნის მოთხოვნილებას.

სოციალ-დემოკრატები თავიანთ პოლიტიკურ ორიენტაციას ხსნიდნენ

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 4, ფურც. 1.

იმით, რომ ვითარება იყო რთული, საქართველოს არ უნდა გაეღიზიანებინა რუსეთი, თავიდან უნდა აეცილებინა მისი მხრიდან მომავალი შესაძლო აგრესია. ამას ისინი ცალკეული დეტალებით ასაბუთებდნენ და თავს იმართლებდნენ, რაზეც ოპონენტები არ ეთანხმებოდნენ: მათი მტკიცებით, ქვეყანას ხანგრძლივ პერიოდში უნდა გაეწერა სახელმწიფოს პოლიტიკური კურსი და არა დროებით, დემოკრატიული რუსეთი არ არსებობდა და მისი მომავალიც რუსულ სინამდვილეში არ ჩანდა, ამიტომ, მხოლოდ ევროპა თუ იქნებოდა ერის დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის დაცვისა და შენარჩუნების ერთადერთი გარანტი.

ამ თემებზე კამათი გაიმართა საქართველოს ეროვნულ ყრილობაზეც ჟორდანიას მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტის განსახილველად და მის შესამუშავებლად შექმნილ ეროვნულ-პოლიტიკური სექციის წევრთა შორის, რომელიც ასევე ფართო წარმომადგენლობით გამოირჩეოდა (მასში აკაკი ჩხენკელი არ შედიოდა)[1].

რეზოლუციის პროექტზე ბევრი იკამათეს პროდასავლელმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა: გიორგი გვაზავამ, გრიგოლ ვეშაპელმა, სოციალისტ-ფედერალისტ გრიგოლ რცხილაძის მოთხოვნით, პროექტი მუხლობრივად განიხილეს და ზოგი რამ ჩაასწორეს, თუმცა რუსული ორიენტაციის ამსახველი დებულებები მასში მაინც დარჩა. რუსულ ორიენტაციას სოციალ-დემოკრატები იმ დემოკრატიასთან კავშირით ამართლებდნენ, რომელიც უნდა მოსულიყო რუსეთის ხელისუფლებაში. დიდხანს გაგრძელდა ეს ლოდინი. დემოკრატიული ძალები არათუ მაშინ, არამედ არც მას შემდეგ მოსულან რუსულ ხელისუფლებაში და უფრო მეტიც: ისინი საერთოდ არსებობენ თუ არა რუსეთის სინამდვილეში, ესეც კი არ ჩანს, რადგან რუსულ იმპერიულ ამბიციებს ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთეულები თუ აკრიტიკებენ.

კამათშიც და ჩხენკელის შესავალ სიტყვაშიც კარგად გამოჩნდა ქართველ პოლიტიკოსთა ანალიზის უნარი, მათ არ სურდათ იმ მომენტში ისედაც რეაქციული და გაავებული რუსეთის გაღიზიანება, სურდათ ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის მეტი სიმშვიდე მოეპოვებინათ და ამ რთულ ვითარებაში ეროვნული ორიენტაციის საკითხი პრინციპულად არ დაეყენებინათ. ამ საკითხზე ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწეების თვალსაზრისთა ობიექტურობისა და პროგრესულობის მიუხედავად, ჩვენთვის არადამაჯერებელი სოციალ-დემოკრატ მოაზროვნეთა პოზიცია მაინც უნდა გავამართლოთ პრაგმატიზმითა და იმ ურთულესი ვითარების, საშიში გამოწვევების თავიდან აცილების სურვილით, რასაც ამ დროს ქართველი პოლიტიკოსები ესწრაფვოდნენ. მაშინ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, საქართველოს ხელისუფლების წევრთა დიდი უმრავლესობა, მთელი პარტიული მრავალფეროვანი ელიტა, თითქმის ყველა, ბოლშევიკებს გარდა, პრორუსულ ორიენტაციას აღარ განიხილავდა ქვეყნის მომავლის მთავარ ორიენტირად. მათ შორის იყვნენ მმართველი პარ-

[1] სცსსა, ფონდი 1836, აღწერა I, საქმე 29, ფ. 20-23.

ტიის სოციალ-დემოკრატი წევრები, რომლებიც ევროპულ სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში თამამად გამოდიოდნენ ქართველი ერის ევროპული წარსულისა და ამავე მომავლის აუცილებლობის მტკიცებით.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, მასში 66 წევრი შევიდა, რა თქმა უნდა, მათ შორის ბევრი საპატიო ადამიანი იყო. ესენი იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, გერონტი ქიქოძე, გრიგოლ რობაქიძე, ლეო ქიაჩელი, კოტე მაყაშვილი, პავლე ინგოროყვა, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე აფხაზი და სხვ.

წევრთა შორის იყო აკაკი ჩხენკელი, კაცი, რომელიც საქართველოს ბედზე დაუცხრომლად ფიქრის გარდა, აკეთებდა უამრავ რამეს მისი დამოუკიდებლობის მოპოვებისა და გამარჯვებებისათვის, მისი ღირსეული მომავლისათვის.

აკაკი ჩხენკელი საქართველოს ევროპული საგარეო კურსის ყველაზე აქტიური დამცველი იყო არა მარტო სამშობლოში, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში მოღვაწეობისას, არამედ ემიგრაციაში ხანგრძლივი ცხოვრების დროსაც.

აკაკი ჩხენკელის როლი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში

აკაკი ჩხენკელმა, სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს. ეს აქტი 1917 წლის 12 მარტს განხორციელდა და ჩვენი ერისთვის დიდი სულიერი ზეიმის მომტანი გახდა. მანვე არ დაიშურა ძალი და ღონე, რათა გვერდით ამოდგომოდა დიდ ივანე ჯავახიშვილს და საქართველოს მიეღო დიდი ხნის ნაოცნებარი ეროვნული უნივერსიტეტი.

ჩხენკელს თავის დროზე, სახელმწიფო დუმის წინაშე არაერთგზის დაუყენებია საკითხი თბილისში უნივერსიტეტის გახსნაზე, თუმცა, მაშინ ეს აუსრულებელ ოცნებად რჩებოდა. მხოლოდ რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ გახდა ამგვარი ოცნების ახდენა რეალურად შესაძლებელი და მანაც, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ, ყველაფერი გააკეთა ამ მიზნის განსახორციელებლად. ქართველმა საზოგადოებამ უნივერსიტეტისთვის ბრძოლის დიდი გზა განვლო. ამ გზის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილს გვერდს უმშვენებდნენ სახელოვანი მამულიშვილები, მათ შორის აკაკი ჩხენკელი. **ის იყო უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარე.** ამიტომ ერგო პატივი როგორც ამ საზოგადოების, ასევე საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით გაეხსნა თბილისის უნივერსიტეტი და საზეიმო შეკრებაზე შთამბეჭდავი სიტყვა წარმოეთქვა. „აქამდე ჩვენ არ გვქონდა მაღალი სასწავლებელი, — თქვა მან. ეს იმიტომ, რომ რუსეთის სახელმწიფოში ჩვენ ვიყავით, როგორც სხვა მრავალი ჩაგრული ერი... ჩვენი სასწავლებელნი უფრო გამარუსებელნი, ბიუროკრატიული, ცოდნის ნაკლებ მომცემნი ვერ იტევდნენ სწავლის მო-

სურნე ქართველებს. იბადება კითხვა, რატომ ვხსნით ახლა პირველყოვლისა უმაღლეს სასწავლებელს, როცა არ გვაქვს საშუალო და დაბალი. იმიტომ, რომ სწორედ ასეთ ხანაში იყო საჭირო გახსნილიყო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც განსწავლულნი გაუძღვებიან და დააარსებენ კიდეც ახალ სასწავლებლებს". [1]

„ჯერ სუვერენობა გონებისა, და მერე პოლიტიკური სუვერენობა", — ეს სიტყვები აკაკი ჩხენკელს ეკუთვნის. კონტექსტი ამ სიტყვებისა ის იყო, რომ უნივერსიტეტის გახსნა პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის გზაზე, მას პოლიტიკური სუვერენობა უნდა მოჰყოლოდა. მარტო ამ სიტყვებიდანაც ჩანს, როგორ სწამდა აკაკი ჩხენკელს საქართველოს პოლიტიკური სუვერენობის აღდგენისა და რომ ის არ ყოფილა ის სოციალ-დემოკრატი, რომელთა შესახებ ხშირად გაისმოდა: დამოუკიდებლობა არ სურდათ, ეს შემთხვევამ მოიტანაო.

დეტალებს, თუ როგორ მიმდინარეობდა უნივერსიტეტის დაარსებისა და მის ირგვლივ შექმნილი სიძნელეების გადალახვისათვის ბრძოლა, რა წვლილი ჰქონდა ამ საქმის დაგვირგვინებაში საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი ჩხენკელს, კარგად გადმოგვცემს თავად იგი მოგონებაში, — „თბილისის უნივერსიტეტის დაარსება", რომელიც ემიგრაციულ ჟურნალ „კავკასიონში" დაიბეჭდა 1978 წელს, მისი გარდაცვალებიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ[2].

ჩხენკელი წერდა: **„26 იანვარს, 1918 წელს მე მხვდა ნილად გამეხსნა ჩვენს დედაქალაქში საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით პირველი ქართული უნივერსიტეტი. ჩემთვის ძნელია მოგონება, რა ვთქვი იმ დღეს თავმჯდომარის სავარძლიდან, მახსოვს მხოლოდ არაჩვეულებრივი მღელვარება, გულის ტოკვა, რომელიც განვიცადე.**

და განა მარტო მე! ამავე განცდას ადვილად ამოიკითხავდით სხვა დამსწრეთა სახეზედ. დიდი იყო მათი რიცხვი, ხალხს ვერ იტევდა საზეიმო დარბაზი, ვერც განიერი დერეფნები, თვით ეზოში ბევრი კანკალებდა სიცივისაგან. ამოდენა, უადგილობით გაწბილებულ ხალხს სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ ბანი დაეწია დარბაზიდან მიღებულ ვაშა-ტაშისათვის...

ჩვენ ვხსნიდით, ასე ვთქვათ, კერძო უნივერსიტეტს, მას კიდევ არ ერქვა „სახელმწიფო", რადგან უკანასკნელი მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გაჩნდა..."

ვრცელ წერილში ჩხენკელი დაწვრილებით ჰყვებოდა იმ სიძნელეებზე, რაც თბილისში უნივერსიტეტის დაარსებას შეხვდა. ოზაკომი, რომელიც რუსეთის დროებითი მთავრობის ნებას აღასრულებდა ამიერკავკასიაში, მისი არაქართველი წევრები ქართულ უნივერსიტეტს მხარს არ დაუჭერდნენ და არც უჭერდნენ. მხოლოდ 1917 წლის ნოემბერში შექმნილმა

[1] ქართული უნივერსიტეტის გახსნა, გაზეთი „სახალხო სამე", 28 (10) იანვარი, 1918.

[2] აკაკი ჩხენკელი, „თბილისის უნივერსიტეტის დაარსება", ჟ. „კავკასიონი", XIX, პარიზი, 1978 წელი, გვ. 5-8;

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ შესძლო ამ საშვილიშვილო საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიეღო. აკაკი ჩხენკელი იყო ის ადამიანი, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების სახელით გადაჭრით მოითხოვდა თბილისში სწორედ ქართული და არა რუსულ-სომხური უნივერსიტეტის დაარსებას.

მამულიშვილებს მხარს ახლად აღდგენილი საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და კათალიკოს-პატრიარქი კირიონი უმაგრებდა. უნივერსიტეტის დამაარსებელ ივანე ჯავახიშვილთან, პირველ პროფესურასთან ერთად, ქვეყნის პირველი უნივერსიტეტის გახსნაზე სიტყვები წარმოთქვეს აკაკი ჩხენკელმა — ეროვნული საბჭოს სახელით და კათალიკოს-პატრიარქმა კირიონმა — როგორც ერის სულიერმა მოძღვარმა.

აკაკი ჩხენკელის სიტყვის შემდეგ საზოგადოების წინაშე წარსდგა პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი, ასევე პროფესორთა საბჭოს პირველი მდივანი — იოსებ ყიფშიძე.

მართლაც, განუსაზღვრელი იყო იმ მეტად რთულ ვითარებაში, საკითხის კეთილად დაგვირგვინებისა და დიდი ივანე ჯავახიშვილის მიზნის განხორციელებისათვის აკაკი ჩხენკელის როლი, რადგან, რომ არა მისი დიპლომატიური სვლა და საქმის მოგვარების ნიჭი, ისე ვერ მოხერხდებოდა სომეხი და აზერბაიჯანელი მთავრობის წევრების დარწმუნება და ქართული უნივერსიტეტისთვის მხარდაჭერა. ჯერ საქართველო დამოუკიდებელი არ იყო და ამიერკავკასიის მთავრობას მხარს უჭერდა რუსული საზოგადოების გარკვეული ნაწილი არა ქართული, არამედ საერთო ამიერკავკასიური რუსული უნივერსიტეტის შექმნაში, რადგან, მათი აზრით, ქართული უნივერსიტეტი გამოიწვევდა აქაური ხალხის გათიშვას.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება ჩხენკელს ერის გამარჯვებად მიაჩნდა და ამას არც ემიგრაციაში ივიწყებდა. 1928 წელს, უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავზე ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი „მამულიშვილი" (რედაქტორი რევაზ გაბაშვილი) წერდა: „19 თებერვალს პარიზში გადახდილ იქმნა საქართველოს ელჩის ბ-ნ ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით დღესასწაული საქართველოს უნივერსიტეტის 10 წლის თავის აღსანიშნავად. დაესწრო მრავალი საზოგადოება. იყვნენ ბევრი უცხოელები, ისეთები, როგორც „ფრანს-ორიანის" თავმჯდომარე, ნაციონალური ბიბლიოთეკის პრეზიდენტი, რექტორი აღმოსავლეთის ფაკულტეტისა, წარმომადგენლები სტუდენტთა საერთაშორისო ორგანიზაციიდან და მრავალი სხვა. ზეიმი გახსნა ბატონმა აკაკი ჩხენკელმა. შემდეგ წარმოითქვა სიტყვები პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის (უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი) მიერ, ბ-ნ შევალიესი (საფრ. ყოფილი უმაღლესი კომისარი კავკასიაში) და მ. ხუნდაძესი. შესვენების დროს უკრავდა სიმებიანი ორკესტრი. საზოგადოება ფრიად კმაყოფილი დარჩა."[1]

მისი წონა ამ საკითხის გადაწყვეტაში კარგად იცოდა თავად ივანე ჯავახიშვილმაც, რომელმაც 1917 წლის 9 ოქტომბერს, აკაკი ჩხენკელს

[1] გურამ შარაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, გვ. 76. თბილისი, 2001.

„ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების" საერთო კრებაზე გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩევა მიულოცა.[1]

აკაკი ჩხენკელის სიტყვა პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე 1917 წლის 18 ოქტომბერს

აკაკი ჩხენკელმა პეტროგრადის თათბირზე, რომელიც წინ უსწრებდა ოქტომბრის გადატრიალებას რუსეთში, 1917 წლის 18 ოქტომბერს წარმოთქვა სიტყვა, სადაც აღნიშნა, რომ ყველა პარტია საქართველოში გაერთიანებული იყო ერთი იდეის — საქართველოს ნაციონალურ-ტერიტორიული თვითმმართველობის — გარშემო. მისი თქმით, საჭირო იყო საქართველოს იმ „უფლებების აღდგენა", რომელიც ჩადებული იყო საუკუნის წინათ დადებულ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაში (გეორგიევსკის ტრაქტატი). როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა, მან სამხრეთ კავკასიის სხვა ერების, თავად რუსი ერის თვითგამორკვევაზეც ილაპარაკა. ამის აუცილებლობას ის ხედავდა რუსეთის რევოლუციის შედეგებში, ამ რევოლუციის მთავარ მონაპოვრად მიაჩნდა ერთა თვითგამორკვევის უფლება. თუ ეს არ მოხდებოდა, მაშინ, მისი აზრით, თებერვლის რევოლუცია გამარჯვებული ვერ იქნებოდა.

მოვიტან ნაწყვეტს ჩხენკელის სიტყვიდან, რომელმაც არაერთხელ გამოიწვია სხდომის დარბაზში ხმაური და მოწონების შეძახილები: „ჩვენს ეროვნულ პროგრამას საფუძვლად დავუდეთ ერთაშორისი შეთანხმება, ესაა შეთანხმება ამიერკავკასიის ერებს შორის, შემიძლია გითხრათ: რადგანაც ჩვენ წილად გვერგო ვილაპარაკოთ რუსეთში დემოკრატიის სახელით, ჩვენ ვილაპარაკეთ რევოლუციურ-ინტერნაციონალური დემოკრატიის სახელით. შედგა პროგრამა, სადაც წარმოდგენილია ესა თუ ის ეროვნება, რაც მისაღები უნდა იყოს რუსეთის ინტერნაციონალურ-რევოლუციური დემოკრატიისათვის... მე აქ გუშინ მოწმე გავხდი სხვადასხვა ეროვნული დელეგაციის გამოსვლისა, მოწმე გავხდი დემოკრატიული საზოგადოების თათბირისა და უნდა ვთქვა, რომ მე ამ პროცესში ვიგრძენი ერთი, შესაძლოა ყველაზე სამწუხარო ფაქტი რუსეთის ტრაგედიისა, ვიგრძენი გარკვეული განსხვავებული აზროვნების არსებობა, შეუთავსებლობა რუსეთის სხვადასხვა ეროვნების დემოკრატიებს შორის. რუსეთი არის ინტერნაციონალური სახელმწიფო და იმ ეროვნული კითხვების წამოჭრა, რაც რუსი ერის წინაშე დგას, არ შეიძლება ხდებოდეს სხვა ერების დემოკრატიებთან შეუთანხმებლად (შეძახილი — ბრავო!).

გუშინ მე ვუსმენდი სხვადასხვა ერთა წარმომადგენლებს. მინდოდა მომესმინა რუსი ერის ერთი წარმომადგენლისთვის მაინც, მინდოდა ერთს მაინც დაეფიქსირებინა რუსი ერის ინტერესები ეროვნულ საკითხზე. ახლა მარტო ეგრეთწოდებული ინოროდცების კი არა, რუსი ერის ეროვნული ინტერესების პრობლემაც დგას... მინდოდა გამეგონა, რომ რუსი ერის ინ-

[1] გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი", 1991 წელი, გვ. 75;

ტერესები არაფრით განსხვავდება, მაგალითად, ქართველი ერის ეროვნული ინტერესებისა და გრძნობებისგან."[1]

აკაკი ჩხენკელმა ისაუბრა 1917 წლის 14 მარტს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სხდომაზე მიღებულ ცნობილ დეკლარაციაზე, რომელმაც ერებს თავისუფლება მოუტანა. მაგრამ სინამდვილეში დეკლარაციამ, თავისთავად დიდ მოვლენას რომ წარმოადგენდა, ვერ მოუტანა ქვეყანას მშვიდობა, ვერც პოლიტიკური და ვერც სოციალური სიკეთე, ჩაგრულებიც და მჩაგვრელებიც ძველებურად ცხოვრობდნენ. გამოსვლა აკაკი ჩხენკელმა ასე დაასრულა: „თუ ჩვენი ხვედრია დამარცხება ამ დიდებულ მსოფლიო ბრძოლაში და ბრძოლაში ქვეყნის შიგნით, სადაც კონტრევოლუციური ძალები ნელ-ნელა წამოიმართებიან, მე თქვენ ქართველი ხალხის სახელით გეტყვით: — არ ელოდოთ სეპარატისტულ გამოსვლებს ქართველი ნაციისგან, არც კავკასიის სხვა ნაციებისგან, როგორც ეს ერთხელ ვთქვი, მაგრამ ახლა გეტყვით, იქნებ ჩვენ მაშინ შევქმნათ ერთი სეპარატული გამოსვლა და თუ ჩვენ დავმარცხდებით, მაშინ ჩვენს წინაშე ვაყენებთ საკითხს: ხომ არ ჯობია ჩვენ ვიყოთ თავრიდის სასახლე რუსეთის რევოლუციაში? (მქუხარე ტაში)".

ჩხენკელი უდავოდ გულისხმობდა ბოლშევიზმის ძლიერი ტალღის აზვირთებას ამჟამინდელ რუსეთში, ყოველგვარი ეროვნულის წინააღმდეგ მის დაპირისპირებას, რაც საფრთხე იყო არა მარტო „ინოროდცებისათვის", არამედ რუსეთის იმპერიის ყველა ერის ინტერესებს ლახავდა. მისი გამარჯვება და სახელმწიფოს სათავეში მოსვლა უბედურება იქნებოდა და უმჯობესად თვლიდა სოცაილ-დემოკრატ მენშევიკებს დაეკავებინათ თავრიდის სასახლე, ამით აღსრულებულიყო რუსეთის რევოლუციის ჭეშმარიტი იდეალები, რისიც ჯერ კიდევ სწამდათ ქართველ სოციალისტებს, მათ შორის აკაკი ჩხენკელსაც.

აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობა ამიერკავკასიის კომისარიატში

1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ დაამხო დროებითი მთავრობა, რასაც მოჰყვა მისი ამიერკავკასიის ორგანოს, განსაკუთრებული კომიტეტის — ოზაკომის გაუქმებაც.

იმავე დღესვე, არმიისადმი მიმართვაში, ეს გადატრიალება დაგმო ამიერკავკასიის სამხარეო დეპუტატთა საბჭომ და თბილისში მყოფ რუსულ არმიას სიმშვიდის დაცვისაკენ მოუწოდა[2].

ბოლშევიკური გადატრიალება 26 ოქტომბერს თავად რუსული არმიის ამიერკავკასიის ხელმძღვანელობამაც დაგმო[3].

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში, საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის ინიციატივით, სახალხო სახლის შენობაში გაიმართა თათბირი,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 198, ფურც. 1-2.
[2] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб. 1990. გვ. 11.
[3] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб. 1990. გვ. 12.

სადაც დაისვა ამიერკავკასიის ახალი სახელისუფლო ორგანოს შექმნის საკითხი.

თათბირს დაახლოებით 400 კაცი ესწრებოდა. ესენი იყვნენ სხვადასხვა პარტიების, დეპუტატთა საბჭოების, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე კავკასიის რუსული არმიის მეთაურები: არმიის მთავარსარდალი გენერალი პრჟევალსკი[1], არმიის შტაბის უფროსი გენერალი ლებედინსკი, არმიის შტაბის გენერალ-კვარტირმაისტერი გენერალი ლევანდოვსკი[2], კავკასიის არმიის შტაბში მოვლინებული ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო აგენტები, ამერიკის შეერთებული შტატების კონსული სტივენსი და სხვ.[3].

რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება პრეტენზიას აცხადებდა იმპერიულ საზღვრებში თავისი ხელისუფლების გავრცელებაზე. ამიტომ, ლენინის ხელისუფლებას დაასწრეს ამიერკავკასიის პოლიტიკოსებმა და თათბირიდან რამდენიმე დღეში, 1917 წლის 15 ნოემბერს გამოაცხადეს სამხარეო ხელისუფლების ახალი ორგანოს — ამიერკავკასიის კომისარიატის ჩამოყალიბება.

ამიერკავკასიის კომისარიატში აკაკი ჩხენკელი შინაგან საქმეთა (კომისრის) და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის პოსტზე დაინიშნა; ევგენი გეგეჭკორი გახდა კომისარიატის თავმჯდომარე, შრომისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი; სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი გახდა — დ. დონსკოი; ფინანსთა სამინისტროს სათავეში დანიშნეს ბ. კარჩიკიანი; სახალხო განათლებისა და იუსტიციის სამინისტროს კომისრად — შ. ალექსი-მესხიშვილი, ვაჭრობისა და მრეწველობის კომისრად — მ. ჯაფაროვი, გზათა სამინისტროს კომისრად მ. მელიქ-ასლანოვი, მინათმოქმედების სამინისტროს მეთაურად — ა. ნერუჩევი, სურსათის საქმეთა სამინისტროს კომისრად — გ. ტერ-გაზარიანი, ა. ოგანჯანიანი — მზრუნველობის საქმეთა კომისრად, ხ. ბ. ხას-მამედოვი სახელმწიფო კონტროლის კომისრად.

როგორც ვხედავთ, აკაკი ჩხენკელის თანამდებობა საპატიოც იყო და საპასუხისმგელოც. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით ამიერკავკა-

[1] გენერალი პრჟევალსკი, — მიხეილ ალექსანდრესძე პრჟევალსკი (1859-1934), რუსეთის არმიის გენერალი, 1917 წლის 3 აპრილიდან კავკასიის არმიის მეთაური, ხოლო 31 მაისიდან ამიერკავკასიის ფრონტის მთავარსარდალი. 1918 წლის 28 XII—ს მოიხსნა უფლებამოსილება და დატოვა არმია. მალე გახდა დენიკინის კავკასიის მოხალისეთა არმიის მეთაური, 1919 წელს ნავიდა ემიგრაციაში.

[2] ლევანდოვსკი — გენერალ-მაიორი ვლადიმირ ანტონის ძე (1873-1946). რუსეთ-იაპონიის და I მსოფლიო ომის მონაწილე, 1918 წლის ივლისიდან ასრულებდა კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსის თანამდებობას. 1921 წელს ნავიდა ემიგრაციაში ჯერ იტალიაში, შემდეგ, 1924 წელს აშშ-ში, მუშაობდა მებაღედ. გარდაიცვალა 1946 წელს. ეს ლევანდოვსკი იგულისხმება ჩვენ მიერ მოყვანილ შემთხვევაში. დამოუკიდებლობის წლებში საქართველოსა და კავკასიის სხვა რაიონებში მოღვაწეობდა მეორე რუსი გენერალი — მიხეილ კარლოს ძე ლევნდოვსკი (1890-1938), რომელიც თბილისში დაიბადა და გროზნოში გაიზარდა, შევიდა ბოლშევიკურ არმიაში, საბოლოოდ გახდა XI არმიის სარდალი, რომლის ხელმღვანელობით მოხდა დამოუკიდებელი აზერბაიჯანისა და საქართველოს ოკუპაცია.

[3] ვახტანგ გურული, მერაბ ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბილისი, 1999 წელი, გვ.294;

სია საბჭოთა რუსეთს გაემიჯნა. მან განცხადებაც გააკეთა, რომ ზოგადად კი არ ემიჯნებოდა რუსეთს, არამედ ბოლშევიკურ ხელისუფლებას აპროტესტებდა, როგორც ძალადობრივს, და როდესაც ძალით დამხობილი დროებითი მთავრობა აღდგებოდა კანონიერი გზით, მაშინ კვლავ მის შემადგენლობაში დაბრუნდებოდა.

1917 წლის 18 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა მიიღო მიმართვა — „ამიერკავკასიის ხალხებს", რითაც ერთხელ კიდევ გაემიჯნა რუსულ ბოლშევიკურ ხელისუფლებას. მან თავის თავზე აიღო რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, რეგიონში წესრიგისა და მშვიდობის უზრუნველყოფა და მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილება.

აკაკი ჩხენკელმა, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, დიდი როლი ითამაშა მთავრობის მიერ გაცხადებული ამ მისიის აღსრულებაში.

ამიერკავკასიის კომისარიატის დამსახურებას წარმოადგენს 1918 წლის იანვრის დასაწყისში ფრონტიდან გამოქცეული გაბოლშევიკებული რუსული არმიის აგრესიის თავიდან აცილება და მათი გადასროლა ბაქოს მიმართულებით, რათა თბილისში არ შემოსულიყვნენ და არ მომხდარიყო სამხედრო შეტაკება ახლადშექმნილ ქართულ სამხედრო შენაერთთან და სახალხო გვარდიასთან, რაც ძალადობის შემდგომ ესკალაციას გამოიწვევდა.

ამავე დროს, ქართველ პოლიტიკოსებს გაუცრუვდათ რუსეთში კანონიერი ხელისუფლების (დროებითი მთავრობის) აღდგენის იმედი, რასაც დამფუძნებელი კრების საშუალებით ვარაუდობდნენ, თუმცა ამ კრებამ, 1918 წლის 6 იანვარს ვერ შესძლო ბოლშევიკური ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ბოლშევიკებმა არ მიიღეს ოპოზიციის კრიტიკა და დამფუძნებელი კრება გარეკეს. რუსეთის დემოკრატიულმა ძალებმა დიდი მარცხი განიცადეს. ქართველი პოლიტიკოსებიც ნელ-ნელა გამოდიოდნენ რუსული ორბიტიდან, თავისუფლდებოდნენ იმ ილუზიიდან, რომ რუსეთში ოდესმე დამყარდებოდა ისეთი დემოკრატიული მმართველობა, რომელსაც შეეძლებოდა ადრე იმპერიაში შემავალ არარუს ერთა ინტერესების დაცვა. პოლიტიკოსთა მოაზროვნე ნაწილი ნელ-ნელა ინტერნაციონალ-კოსმოპოლიტური სამყაროდან ეროვნულ სივრცეში ბრუნდებოდა. ამ ჯგუფის ერთ-ერთი ნამყვანი პოლიტიკური ფიგურა იყო აკაკი ჩხენკელი.

1918 წლის 10 (23) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი, მის თავმჯდომარედ სოციალ-დემოკრატი კარლო ჩხეიძე იქნა არჩეული. სეიმი ამიერკავკასიიდან არჩეული დამფუძნებელი კრების დეპუტატებისაგან შედგებოდა. ამით ამიერკავკასიამ საბჭოთა რუსეთისგან გამოყოფა დაადასტურა.

საბჭოთა რუსეთი ცდილობდა იმპერიული რუსეთის საზღვრებში ძალაუფლების გავრცელებას, საამისოდ იყენებდა დიპლომატიასა თუ ბოლშევიკების მიერ ინსპირირებულ სამოქალაქო ომს. 1918 წელს ლენინის მთავრობამ ზავი გააფორმა გერმანიასთან, გამოვიდა ანტანტიდან, მთლიანად I მსოფლიო ომიდან და მეტი ძალა მოიკრიბა ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან საბრძოლველად. 3 მარტს ბრესტში დადებული ხელშეკრულე-

ბით მან გერმანიას მოკავშირე ოსმალეთისთვის გადასცა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები, რაც ამწვავებდა ამიერკავკასიის ურთიერთობას როგორც რუსეთთან, ასევე ოსმალეთთან, ქმნიდა საომარ სიტუაციას. საქართველო ვერ შეურიგდებოდა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების დაკარგვას, ვერ ჩათვლიდა ზავს ლეგიტიმურად.

1918 წლის 10 მარტს ოსმალებმა მოითხოვეს ბრესტის ზავით გადაცემული ტერიტორიები. აკაკი ჩხენკელსა და დელეგაციის სხვა წევრებს გერმანელთა იმედი ჰქონდათ, რომელთაც უნდა ჩაეგონებინათ მოკავშირე თურქებისათვის უკან დახევა. მაგრამ ოსმალებში იმდენად მძაფრი იყო პანოსმალური იმპერიის აღდგენის სურვილი, რომ არავის უსმენდნენ. 11 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა უარი განაცხადა ოსმალთა მოთხოვნაზე, მდგომარეობა ოსმალეთსა და ამიერკავკასიის სახელმწიფოს შორის დაიძაბა. ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარების მიზნით ტრაპიზონში გაიგზავნა ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია აკაკი ჩხენკელის მეთაურობით. 14 (27) მარტს ტრაპიზონის კონფერენცია გაიხსნა. წარგზავნილ დელეგაციას ტრაპიზონში დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა. მას 16 მარტს ისევ წაუყენეს მოთხოვნა გადაცემული ოლქების შესახებ, ბრესტის საზავო ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხის გამოკითხვას, რეფერენდუმს, მაგრამ სანამ ამას გააკეთებდა, ოსმალეთმა ჯარით დაიკავა ბრესტის ზავით მიკუთვნებული მიწები. 19 მარტს ოსმალეთმა სრულად დაიკავა არტაანი, შემდეგ დღეებში კი ყარსისა და ბათუმის ოლქის ოკუპაციას შეუდგა.

აკაკი ჩხენკელი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში

აკაკი ჩხენკელი იყო XX საუკუნის დასაწყისში აღდგენილი პირველი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ნამდვილი არქიტექტორი. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში და თავისი ნაკლებად პრინციპული თანაპარტიელების დარწმუნებაში, რომ ეს აქტი უსიკვდილოდ უნდა განხორციელებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ათასწლოვანი ქართული სახელმწიფოს ისტორია სამუდამოდ ჩაესვენებოდა.

ტრაპიზონის კონფერენციაზე ქართველებმა წარმატება ვერ მოიპოვეს, ვერც გერმანელთა კეთილგანწყობილებამ უშველა საქმეს. ოსმალები თავის ინტერესებს არ მალავდნენ ისტორიული ქართული მიწებისადმი და ბრესტის ზავის უპირობოდ შესრულებას მოითხოვდნენ. აკაკი ჩხენკელმა ბევრი იბრძოლა, მაგრამ ენვერ ფაშა და პროთურქული გუნდის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები არაფერს თმობდნენ. კონფერენცია დაიხურა, თუმცა მოლაპარაკებების გაგრძელება საჭირო გახადა ოსმალურმა აგრესიამ, მათ მიერ ჯარით სადავო ტერიტორიების დაკავებამ. ოკუპირებული იქნა არტაანი, ყარსი, ბათუმის ოლქი, ქალაქი ბათუმით, ასევე არ-

ასადავო, ბრესტის ზავის მუხლებში გაუთვალისწინებელი ის ტერიტორიები, რომელსაც არც ოსმალური იმპერიისა და არც „ახალი თურქების“ ლიდერები არ უყურებდნენ გულგრილად და მათ დაპყრობას ყველა ხელსაყრელ მომენტში ცდილობდნენ. ამიერკავკასიის სახელმწიფოში შემავალი აზერბაიჯანი (ადარბადაგანი) პროთურქულ ორიენტაციაზე იდგა გასაგები მიზეზების (ეთნიკური ნათესაობის) გამო, ხოლო სომხებს, თურქეთთან ისედაც საომარ მდგომარეობაში მყოფებს, არავითარი სამხედრო ძალა არ აძლევდათ ამ ქვეყანასთან საომარი დაპირისპირების საშუალებას. საქართველო ამ დიდი მეზობლის პირისპირ მარტო აღმოჩნდა, ამას ემატებოდა მეორე დიდი მეზობლის — რუსეთის მტრობა, იქ მიმდინარე პროცესები და ქართველი პოლიტიკოსები ახლა, სრულიად გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდნილები, ეძებდნენ გზას სამშობლოს გადარჩენისათვის. პარტია, რომლისთვისაც მანამდე (გამონაკლისი წევრების გარდა) ეროვნული საკითხი, სამშობლოსა და პატრიოტიზმის ცნებები საკამათო იყო, ახლა პირდაპირ აღმოჩნდა იმ საჭესთან, რომელსაც ან უნდა გადაერჩინა ამ სიტყვების მიღმა არსებული რეალობა, ან ხელი უნდა მოეწერა მის დაღუპვაზე. ეს საჭე იმ ურთულეს ჟამს პირდაპირ მოხვდა აკაკი ჩხენკელის ხელში, რომელმაც სხვებზე უკეთ ჩაიხედა კატასტროფული ვითარების სიღრმეში და მის თანამებრძოლებს გამოფხიზლება დაუწყო.

მისი აზრით და მოწოდებით, ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო და საქართველო, საუკუნეებში ბრძოლებითა და ტანჯვით გამოტარებული, უნდა გადარჩენილიყო. მის პარტიაში, რომელიც ამიერკავკასიის ხელისუფლებაშიც და ქართულ საზოგადოებაშიც იმ დროს ლიდერობდა, ამ საკითხზე ფრთხილად მსჯელობდნენ, წონიდნენ, რისი დროც აღარ იყო და თუ საჩქაროდ არ იქნებოდა ზომები მიღებული, ქვეყანა უფსკრულში აღმოჩნდებოდა. ეროვნული მიმართულების მემარჯვენე პოლიტიკოსები კი რადიკალურ წინადადებებს აყენებდნენ და მათ განხორციელებას ითხოვდნენ. არც რადიკალიზმის დრო იყო და არც დაყოვნების. ოქროს შუალედის მოძებნა კი, არც ისე ადვილია.

ამდროინდელი გაზეთი „საქართველო“ წარმოაჩენდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შეხედულებას, აკრიტიკებდა ხელისუფლებას ოსმალეთთან აგრესიული დამოკიდებულების გამო და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ მიიჩნევდა ოსმალეთთან საერთო ენის გამონახვას. ასეთი პოზიცია ნიშნავდა ბრესტის საზავო პირობების მიღებას, რასაც მთავრობა არ აპირებდა, არც გაუკეთებია მანამ, სანამ გერმანიის გარანტიები არ მიიღო მისი შუამდგომლობით ოსმალეთისთვის დასათმობი ტერიტორიების მალევე დაბრუნებაზე. ისიც ცნობილია, რომ ოსმალეთის ამდროინდელი პოლიტიკოსებიდან ყველაზე აგრესიული საქართველოსთან მიმართებაში იყო ენვერ-ფაშა. მისი ხელმძღვანელობით ოსმალები ცდილობდნენ ბრესტის ზავის განხორციელებას და უფრო მეტსაც: მას შემდეგ, რაც 1918 წლის მარტ-აპრილში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს, ოსმალებმა იმაზე მეტი

წაიღეს, რასაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავი ითვალისწინებდა და ამჯერად, ამ, ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორიების დაკანონებას ცდილობდნენ.

7 მაისის „საქართველო" აქვეყნებდა წერილს — „ოსმალეთ-საქართველოს დამოკიდებულების გამო", სადაც მოვლენები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციიდან იყო შეფასებული. წერილში აღწერილი იყო ოსმალეთიდან ბათუმის კონფერენციაზე მომავალი გემის ეკიპაჟის შემადგენლობა და ეკიპაჟის წევრთა დამოკიდებულება კავკასიის პოლიტიკურ მოწყობაზე.

როდესაც 1 (14) აპრილს ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია მთავრობამ უკან, თბილისში გამოიწვია, ტრაპიზონში დარჩნენ დაღესტან-ჩეჩნეთის დელეგატები (ტაპა ჩერმოევი[1] და ჰაიდარ ბამატოვი[2]), დარჩნენ ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის ზოგიერთი წარმომადგენლებიც: კერძოდ, მაპმადიანთა კომიტეტის წევრები მამედ გაჯინსკი[3] და ახმედ პეპინოვი[4] და საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის წევრი — გრიგოლ ვეშაპელი. დარჩენილთა მიზანი იყო, რომ ხელი შეეწყოთ ოსმალეთსა და კავკასიის ქვეყნებს შორის კეთილმეგობრული ურთიერთობის აღდგენისათვის. დელეგატებმა იცოდნენ, რომ ტრაპიზონში დღე-დღეზე უნდა მოსულიყო ოსმალეთის გენერალისიმუსი და სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა[5], რომელიც „ახალგაზრდა ოსმალების" პოლიტიკის გამტარებელი იყო და ამავე დროს ახლოს იდგა გერმანიის იმპერიის მმართველ წრეებთან.

დელეგაციის თბილისში გამომგზავრებიდან 2 დღის შემდეგ, მართლაც მოვიდა ენვერ-ფაშა ტრაპიზონში. მას თან მოჰყვნენ გერმანელი სამხე-

---

[1] ტაპა ჩერმოევი (1982-1937), — მთიელთა რელსპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნებით ჩეჩენი, ნავთობმრეწველი, მასონთა ლოჟის წევრი, 1919 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი.

[2] ჰაიდარ ბამმატოვი (1889-1965), — დაღესტნელი პოლიტიკური მოღვაწე, ჩრდილოკავკასიური ემიგრაციის ლიდერი, ორგანიზაცია „კავკასიის"დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი, ჟურნალ „კავკაზის" (გამოდიოდა რამდენიმე ენაზე და მათ შორის ქართულადაც) რედაქტორი.

[3] მამედ გაჯინსკი — მამედ ჰასან ჯაფარ-ყული ოღლი (1875-1931), აზერბაიჯანის პოლიტ. და საზ. მოღვაწე. 1918 წ.-საზერბაიჯანის საგ. საქ. მინისტრი, 1919 — ფინანსთა, 1920 — აზერბაიჯანის შსს მინისტრი. დაიბადა ბაქოში, დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგ. ინსტ.-ი, მუშაობდა მოსკოვში, 1908 წ.-ს დაბრუნდა ბაქოში და ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურში ჩადგა, იყო პარტია მუსავატის წევრი, 1920 წლის აპრილში, ბოლშევიკების ბაქოში შესვლისას დატოვა ეს პარტია და კომუნისტურ პარტიაში განევრიანდა. 1930 წელს დააპატიმრეს, 1931 წელს, ტუბერკულოზით დაავადებული, გარდაიცვალა ციხეში, ერთი ვერსიით თავი მოიკლა, მეორეთი, წამებით მოკლეს. დაკრძალულია თბილისში, მუსულმანთა სასაფლაოზე.

[4] ახმედ ბეკ პეპინოვი (1893-1937), — აზერბაიჯანის შრომისა და მინათმოქმედების მინისტრი 1919-1920 წლებში, დაამთავრა მოსკოვის უნ-ი, მესხეთელი თურქი, 1920 წლის აპრილში გადავიდა კომუნისტების მხარეს, 1930-იან წლებში ჯერ ულიანოვსკში, შემდეგ ყაზახეთში მუშაობდა, იყო ყაზახ. კულტურის მინისტრის მოადგილე, 1937 წელს რეპრესირების დროს დახვრიტეს.

[5] ენვერ ფაშა (1881-1922), — ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ბასმაჩების მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. პანთურქიზმის იდეოლოგი და პრაქტიკაში გამტარებელი. 1908 წლის ახალგაზრდა თურქების რევოლუციის აქტიური მონაწილე, ახალგაზრდა თურქების პარტიის „ერთიანობა და პროგრესის" ერთ-ერთი ლიდერი.

დროები, გენერალ ციეგტის მეთაურობით, რომელიც ადრე მაკენზენის შტაბს ხელმძღვანელობდა, ენვერს ბათუმში სპეციალურად მოჰყავდა სულთნის ბიძაშვილი ომარ ფარუქი, რომელსაც ქობულეთელი ქართველი დედა ჰყავდა.

იმისათვის, რომ მივხვდეთ რა დიპლომატიური ჩანაფიქრი ჰქონდა დიდი თურქეთის აღდგენაზე მეოცნებე ენვერს, გავიხსენოთ მისი ბიოგრაფიის შტრიხები: ენვერ ფაშა — ცნობილი თურქი სარდალი, პანთურქიზმის იდეის ერთგული, მოძრაობა „ახალგაზრდა თურქების" ერთ-ერთი ლიდერი იყო; დაიბადა 1883 წელს, სტამბულში, ხელმოკლე თურქულ ოჯახში. ძლიერი ხასიათის, დაუზოგავიც და გულჩვილიც, მასიური მკვლელობების ორგანიზატორიც და ბავშვებისა და ცხოველების მოყვარულიც, — ასე ახასიათებენ მას თანამედროვენი. წერდა ლექსებს, ამბობდა: „სიკვდილს დავენიძლავე, რომ ვერ დამამარცხებსო". I მსოფლიო ომის დროს ოსმალეთს არა სულთანი, არამედ პრაქტიკულად ტრიუმვირატი მართავდა — ენვერ-ფაშას, ტალაატ-ფაშას და ჯემალ-ფაშას სახით. აქედან კი, მთავარი როლი ენვერს ჰქონდა. ის იყო თავდაცვის მინისტრი და მთავარსარდლის მოადგილე (მთავარსარდლად ფორმალურად სულთანი ითვლებოდა), გამოდიოდა „დიდი თურანის" შექმნის იდეით და ამ მიზნის განხორციელებას გერმანიასთან კავშირით გეგმავდა.

1918 წლის მარტში მისი მითითებით შემოიჭრა ოსმალური ჯარი საქართველოში, სურდა მთელი ამიერკავკასიის შეერთება ოსმალეთთან, რამაც მისი მოკავშირე გერმანია შეაშფოთა და მის საწინააღმდეგოდ განაწყო. გერმანიას მისმა ქმედებამაც გადააწყვიტინა საქართველოს ხსნა ოსმალური აგრესიისაგან. ენვერ-ფაშა უპირისპირდებოდა ქემალ-ფაშას (ათა-თურქს), მას პანთურქიზმის იდეით ოსმალეთის იმპერიის აღდგენა სურდა, ათა-თურქი კი დემოკრატიული თურქეთის რესპუბლიკის შექმნის მომხრე იყო. ენვერ-ფაშას კავშირი ჰქონდა ლენინთან (ისევე, როგორც ათა-თურქს), ჩავიდა რუსეთში, სურდა თავისი მიზნებისათვის რუსეთის გამოყენება, მაგრამ მიხვდა, რომ ლენინი თავად აპირებდა მის გამოყენებას, გაიპარა ტაჯიკეთში და შეუერთდა იქ მიმდინარე ანტისაბჭოთა აჯანყებას, დაინიშნა არმიის მთავარსარდლად. რუსეთის ჩეკამ, ფელიქს ძერჟინსკის უშუალო ბრძანებით, განკარგულება გასცა მის მოკვლაზე. იგი მოკლეს 1922 წელს წითელმა კომანდირებმა აკოფო (იაკობ) მელკუგოვმა და გეორგი აგაბეკოვმა. ერთი ვერსიით, ეს მკვლელობა სომხურმა ორგანიზაციამ დაუკვეთა, რომელმაც თურქეთში სომეხთა გენოციდისათვის შურისძიება დაგეგმა და შეადგინა დამნაშავე თურქების სია. ამ სიის სათავეში ენვერ-ფაშა იყო.

როგორც ვთქვით, სწორედ ენვერ-ფაშამ მოაწყო საქართველოს მთელი რიგი რაიონების ოკუპაცია 1918 წელს. და აი, ეს ენვერ-ფაშა მოეშურებოდა ბათუმში და სპეციალურად შეკრიბა გემის ეკიპაჟი, რათა საკუთარი პოლიტიკური მიზნის განხორციელებაში გამოეყენებინა. თავად განუცხადა მგზავრებს, გემით გავემგზავროთ, უფრო მეტი დრო დაგვრჩება სასაუბროდო. მასთან ერთად ბათუმში წამოვიდნენ ოსმალური არმიის ცნობილი

მეთაურები — ვეხიბ-ფაშა და რაუფ-ბეი.

´ აქვე შევნიშნავთ, რომ დელეგაციაში მათი ყოფნა ბევრ მკვლევარს არა აქვს დასახელებული. მაგალითად, მკვლევარი მალხაზ სიორიძე ჩამოთვლის ბათუმის კონფერენციაზე ოსმალური დელეგაციის წევრებს. მიუთითებს წყაროს[1] და ამ სიას ასე აყალიბებს: ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელი — ხალილ-ბეი, წევრები: გენერალი ვეხიბ-ფაშა, ორხან ბეი (დელეგაციის პირველი მდივანი), სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მუხთარ ბეი, სახელმწიფო მრჩეველთა იურიდიული ბიუროს დირექტორი ნუსრეთ ბეი, კავკასიის ფრონტის სანიტარული სამსახურის უფროსი — თევფიკ სალიმ ბეი, გენშტაბის ოფიცრები — იუსუფ ბეი და სადივ ბეი, ნიზამედინ ბეი (დელეგაციის მდივანი). ამ ჩამონათვალში არ შევიდა არც ენვერ-ფაშა, არც რაუფ-ბეი, არც გერმანელი გენერალი ციეგტი, არც ომარ ფარუქი. ვფიქრობ, გაზეთ„საქართველოს" ინფორმაცია არ იქნება უზუსტო, რადგან ოსმალური გემის ეკიპაჟთა შორის იმყოფებოდა ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ვეშაპელი, როგორც მოვლენებში ჩართული აქტიური ფიგურა და გამორიცხული არ არის, რომ მას მიეწოდებინა ცნობა გაზეთისათვის.

გაზეთში დასახელებული თურქი დელეგატები — პანთურქისტები და საქართველოს მტრები იყვნენ. ნოე რამიშვილს ცნობილ დეპეშაში, რომელიც 1918 წლის მაისის ბოლო დღეს არის გაგზავნილი ფოთიდან თბილისში და აღწერს ოსმალეთის დელეგაციასთან მიმდინარე მძიმე მოლაპარაკებებს, ვეხიბ-ფაშა გაქნილ პოლიტიკოსად ჰყავს მიჩნეული.[2]

აკაკი ჩხენკელის ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილებშიც ეს თურქი სარდლები კარგად არიან დახასიათებულნი. ამ ადამიანებმა გემზე მოლაპარაკებები გამართეს როგორც ჩრდილო კავკასიელ, ასევე ამიერკავკასიის მთავრობაში შემავალ აზერბაიჯანელ დელეგატებთან, რომელთაც ისედაც პროოსმალური ორიენტაცია ჰქონდათ, მათი თანდასწრებით ისაუბრეს საქართველოს წარმომადგენელთან, ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრ გრიგოლ ვეშაპელთან.

თუ გაზეთ „საქართველოს" კორესპონდენციას უკრიტიკოდ მივიღებთ, „სამი დღის განმავლობაში დელეგაციას სრული შეძლება ჰქონდა ნათლად გაერკვია ის კეთილისმსურველი შეხედულება, რომელიც აქვს ოსმალეთის მთავრობას კავკასიის ერთა მიმართ", მაგრამ ოსმალეთის მაშინდელი „კეთილისმსურველობა", რა თქმა უნდა, ფანტაზია უფრო იყო, ვიდრე რეალობა. კერძოდ, გრიგოლ ვეშაპელთან მოლაპარაკების დროს, რომელიც მთიელი და თათარი (ასე უწოდებდა მათ გაზეთი) დელეგატების თანდასწრებით ხდებოდა, ენვერ-ფაშამ გადაჭრით განაცხადა, რომ მას და მთელი ოსმალეთის მთავრობას, რომელიც გერმანიასთან შეთანხმებით მოქმედებდა კავკასიაში, არავითარი აგრესიული მიზნები არ ჰქონდა საქართველოს ტერიტორიებზე, თუ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება იქნებოდა შესრულებული.

ენვერ-ფაშამ ისიც განაცხადა, რომ ის და მთელი ოსმალეთის მთავრობა

[1] სცსსა, ფონდი 1796, აღწერა 1, საქმე 86, ფ.3.
[2] სცსსა, ფონდი 1861, აღწერა2, საქმე 15.

მომხრეა საქართველოს სახელმწიფოს და მთავრობის აღდგენისაო. სავსებით ენვერ-ფაშას საუბარი შემდეგში იქნება დაბეჭდილი ჩვენს გაზეთშიო. ერთი, რომ ეს საუბარი გაზეთ „საქართველოში" აღარ დაბეჭდილა, მეორე ის, რომ ენვერ-ფაშა იყო სნორედ იმ 72- საათიანი ულტიმატუმის ავტორი, რამაც ტრაგიკული ვითარება შექმნა ქართულ პოლიტიკაში და საქართველო 1918 წლის 23-25 მაისს ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე შეაგდო. რომ არა გერმანია, უფრო სნორად, ქართველი პოლიტიკოსების მიერ გერმანიის გამოყენება ამ ურთულეს ხანაში, ამ მოვლენის შედეგები ისეთივე იქნებოდა, როგორც ამავე პერიოდის სომხეთის მოვლენები იყო. მესამეც ის, რომ გაზეთი „საქართველოც" და ენვერ-ფაშასთან მოლაპარაკების ქართველი სუბიექტი — ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ვეშაპელი ამაოდ ამტყუნებდა ევგენი გეგეჭკორს, მიიჩნევდა, რომ გეგეჭკორის შეურიგებელი პოზიცია ოსმალეთის მიმართ მცდარი იყო და იგი საფრთხეში აგდებდა მთელი კავკასიის ხალხებს, უმთავრესად კი — საქართველოს. ამ შემთხვევაში არა გეგეჭკორი, არამედ ვეშაპელი და მისი პარტიის ორგანო ცდებოდა, ოსმალები თავისი მიზნების დიპლომატიურად მიღწევას ლამობდნენ და ქართველი პოლიტიკოსის დაჯერებას ცდილობდნენ. ცბიერმა ენვერმა ეკიპაჟის წევრებს 3 რადიოგრამა გამოაგზავნინა თბილისში, ორი მთავრობის სახელზე — თათრების და მთიელების, მესამე კი ეროვნული საბჭოს სახელზე თავად ვეშაპელს დააწერინა. რადგან ბათუმის რადიოსადგური ომის დროს გაფუჭდა, გემიდან თბილისს ვეღარ გადმოსცეს ეს დეპეშები, ენვერის ბრძანებით სამივე ტელეგრამა კონსტანტინოპოლის მძლავრ სადგურს გადასცეს, რათა მას პირდაპირ გადაეცა თბილისში.

გრიგოლ ვეშაპელის ტექსტი ფრანგულად იყო დაწერილი და მისი ქართული თარგმანი ასეთი იყო: „თბილისი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ოსმალეთის სახელმწიფოს პასუხისმგებელი წარმომადგენელი გულით მონდომილია, რომ აღადგინოს მეგობრული განწყობილება ქართველებთან, მაგრამ მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა ცუდ ბედს უქადის საქართველოს. საჭიროა დაუყონებლივ ზავის ჩამოგდება ოსმალეთთან". ოსმალეთისთვის **„სასურველი ზავი"** კი, ბრესტის ზავით გათვალისწინებულ სხვა, ისტორიულად ქართულ ტერიტორიებთან ერთად, აჭარის ხელახლა დაკარგვას მოასწავებდა.

რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის მთვრობის ქართველ წევრებს და არც საქართველოს ეროვნულ საბჭოს მაშინ გაზეთისა და ცნობილი ეროვნულ-დემოკრატის — ვეშაპელის პოზიცია არ გაუზიარებია.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის წევრთა და ვეშაპელისა და მისი პარტიის პოზიციის მოწინააღმდეგეთა პოლიტიკა უფრო მეტ რისკებსა და საქართველოსთვის სახიფათო გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, მათ მაინც არ მიიღეს ენვერ-ფაშას ულტიმატუმები ცალმხრივად, მოკავშირე დიდი სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში გერმანიის რჩევისა და გარანტიების გარეშე. რაც შეეხება ვეშაპელს, ის არ იყო მტკიცე პოლიტიკური შეხედულებების მქონე, ხშირად იცვლიდა პოზიციებს, რაც უნებურად მისი თანამედროვე სოციალ-დემოკრატი გრიგოლ ლორთქიფანიძის შეფასებას გვახსენებს: ქართველების

დახასიათებისას ის სხვა უარყოფით და დადებით თვისებებთან ერთად ამბობდა, რომ „ჩვენ ვართ ერი — პოეტი ყველგან". ამაში ლორთქიფანიძე არ გულისხმობდა იმას, რომ პოეტები ვართ და ეს ცუდია, არამედ იმ ზედმეტ ემოციურობას, რომელიც ქართულ პოლიტიკას ახასიათებს და არ უხდება. ვეშაპელი იყო ნამდვილი პატრიოტი, მისი პუბლიცისტიკა XX საუკუნის 10-იანი წლების ეროვნულ-დემოკრატიულ პრესაში გამოირჩევა სიმწვავით, ობიექტურობით და სწორი პოლიტიკური ხედვით. თუმცა ემიგრაციაში მან ის ხედვა მთლიანად შეცვალა, დაიჭირა პრორუსული ორიენტაცია, გამოსცა საკუთარი გაზეთი, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებოდა და მის მომავალს მხოლოდ რუსეთთან კავშირში განიხილავდა. ამის გამო მოკლა ის პარიზში ქართველმა ემიგრანტმა, რომლისთვისაც ამგვარი პოზიცია სრულიად მიუღებელი იყო.

დავუბრუნდეთ ისევ ჩხენკელსა და ბათუმის კონფერენციას, სადაც ისევ ის ხელმძღვანელობდა ქართულ დელეგაციას და სადაც უფრო დიდი დიპლომატიური ომი გაიმართა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.

ბათუმის კონფერენციაზე გერმანიამაც მოავლინა საკუთარი დელეგაცია გენერალ ფონ ლოსოვის (გერმანიის სამხედრო რწმუნებული კონსტანტინოპოლში), გრაფი შულენბურგის (ომამდე გერმანიის კონსული თბილისში) და აღმოსავლეთის საქმეთა სპეციალისტის — ო. ვეზენდონკის შემადგენლობით.

მათ დავალებული ჰქონდათ აელაგმათ ოსმალეთის გაზრდილი მადა, არ დაეშვათ ბრესტის ზავით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე მეტის მოთხოვნა მათი მხრიდან, რაც ლახავდა გერმანიის ინტერესებს ამიერკავკასიაში, ამასთან, გერმანელებს დავალებული ჰქონდათ კონფერენციის სწრაფად დასრულება, რათა ამიერკავკასიის ფრონტზე დაკავებული ოსმალეთის ჯარები გადასროლილი ყოფილიყვნენ ინგლისის წინააღმდეგ მესოპოტამიაში.

კონფერენციის პირველივე სხდომაზე (11 მაისი) გამოვლინდა უთანხმოებები, როგორც ამიერკავკასიისა და ოსმალეთის, ისე ოსმალეთისა და გერმანიის დელეგაციებს შორის. ამიერკავკასიის დელეგაციამ მოითხოვა, რომ მოლაპარაკებები წარმართულიყო ბრესტის ზავის საფუძველზე, იმავე აზრის იყო გერმანიის მხარეც. ჰალილ ბეიმ კი განაცხადა, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ ჩაშალა ტრაპიზონის კონფერენცია, რის გამოც საქმე ხელახალ შეტაკებამდე მივიდა, სისხლი დაიღვარა, ამიტომ „შემდგომი მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მოთხოვნებს ვერ დაეფუძნებაო". სანაცვლოდ მან აკაკი ჩხენკელს შესთავაზა საზავო ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომლითაც ოსმალეთის ხელში დამატებით უნდა გადასულიყო ახალციხის, ახალქალაქის, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის რაიონები. ამით ფაქტობრივად 1828 წლის საზღვარი აღდგებოდა.

ჩხენკელი იმედოვნებდა, რომ გერმანია ამიერკავკასიაში ოსმალეთის ასეთ გაძლიერებას არ შეურიგდებოდა და ამით სარგებლობას ცდილობ-

და. ამ მიზნით, 13 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციამ შეადგინა მემორანდუმი, რომლითაც მოითხოვა ოსმალეთის მიერ 11 მაისს შემოთავაზებული „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულების“ დოკუმენტი განეხილა მოკავშირე ოთხთა სახელმწიფოს ყველა წარმომადგენელს. ამას ოსმალები არ დაეთანხმნენ. ჰალილ ბეიმ 14 მაისს კიდევ უფრო მძიმე ნოტა წარუდგინა ჩხენკელის დელეგაციას: მოითხოვა ალექსანდროპოლ-ჯულფის რკინიგზის გადაცემა, რასაც ასაბუთებდა ჩრდილოეთ სპარსეთში ინგლისელებთან ბრძოლის სტრატეგიული აუცილებლობით.[1]

გერმანია დარწმუნდა, რომ ენვერი და სხვა ოსმალო პოლიტიკოსები კავკასიაში საკუთარ ინტერესებზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე გერმანიის ბედზე, ან ინგლისთან ომზე.[2]

აღშფოთებულმა გერმანიის გენშტაბის უფროსმა გენერალმა ლუდენდორფმა დაავალა ოსმალეთის გენშტაბის უფროსის მოადგილეს გენერალ ფონ სექტს, რომ ენვერ-ფაშას ტერიტორიული პრეტენზიები მოექცია ბრესტის ზავის ფარგლებში, შეეჩერებინა ოსმალთა შემდგომი წინსვლა ამიერკავკასიაში და აქ გამოთავისუფლებული მათი ჯარები სპარსეთსა და მესოპოტამიაში გადაესროლა[3].

კავკასიელი მაჰმადიანური მოსახლეობის ანტირუსულ გამოსვლას გეგმავდა და აქეზებდა ავსტრია-უნგრეთის ჯარების სარდლობაც.

ოსმალთა წინაშე სამი ძირითადი გეგმა იყო: ეგვიპტის, ბალკანეთისა და კავკასიის დაპყრობისა. აქედან უპირატესობას ისინი კავკასიის დაპყრობას ანიჭებდნენ, აქედან სურდათ გასვლა შუა აზიისკენ და იქაური მაჰმადიანების დაპყრობა. გერმანიას კი, უპირველესად, სუეცის არხის გაწმენდა და ეგვიპტიდან ინგლისელების განდევნა უნდოდა.

ოსმალეთის დამპყრობლურ მადას ვერც გერმანია ერეოდა, ის საქართველოს დახმარებას ცდილობდა იმით, რომ შულენბურგის რჩევით, საქართველოში მცხოვრები გერმანელი კოლონისტებისა და ტყვეებისაგან ჩამოეყალიბებინათ რაზმები, რომლებიც დაიცავდნენ საქართველოს საზღვრებს ოსმალთა შემოტევებისაგან.[4]

შექმნილ ვითარებაში დახმარება რომ უფრო ეფექტური ყოფილიყო, გერმანიის წარმომადგენლებმა ურჩიეს აკაკი ჩხენკელს — საქართველოს ეროვნულ საბჭოს ოფიციალურად ეთხოვა მფარველობა გერმანიისათვის. მართლაც, 14 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გერმანიას სთხოვა დახმარება საერთაშორისო და პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებში, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა გარეშე და შინაური მტრებისაგან[5].

ამ პოლიტიკური ვითარებისა და მოკავშირეთა შორის უთანხმოების ფონზე აკაკი ჩხენკელმა ნამდვილი დიპლომატიური ნიჭი გამოავლინა,

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с.269-273.
[2] Людендорф Э., "Мой воспоминания о войне 1914-1918г.г". т. 2, М. 1924, с. 187.
[3] Кюльман К., «Германо-Турецкий военный союз в мировой войне», с. 29.
[4] დავით ვაჩნაძე, „სამშობლოს სამსახურში“, მოგონებანი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი „ივერია“, 1992, 1, გვ. 129;
[5] Пилия Г.В. , «Германская империализм в Закавказье в 1910-1918 г. М.1978»., გვ. 103.

რაზეც მეტყველებს ნოე ჟორდანიასდმი გაგზავნილი მისი წერილიც.

15 მაისს აკაკი ჩხენკელმა ვრცელი, არგუმენტირებული და გამაფრთხილებელი წერილი გაუგზავნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს — ნოე ჟორდანიას.

სრულად მოგვაქვს ამ წერილის შინაარსი.

„15/5 — 18

გამარჯობა, ნოე!

ამ დილის ნოტა ჯარების გაშვების შესახებ დელეგაციისთვის მოულოდნელი არ იყო, 13-ს ღამით გვითხრეს ეს, კერძოთ ხალილ-ბეიმ და ვეხიბ-ფაშამ. მხოლოდ ჩვენ ველოდით პირველად ულტიმატუმს, რაიც უფრო გაართულებდა საქმეს და გვართმევდა საშუალებას, თუ დავთანხმდებოდით, ფორმალური პროტესტი განგვეცხადებია. გუშინ არ შეიძლებოდა თქვენთვის შეტყობინება, ვინაიდან ამით ეძლეოდათ თურქებს საშუალება ეფიქრნათ, რომ ჩვენ ვთანხმდებით ამ წინადადებაზე. მე კატეგორიულად განვუცხადე მათ და გერმანელებს, რომ ჯარებს გავუშვებთ მხოლოდ იმ პირობით, თუ პრინციპიალური საკითხი საზღვრებზე გადაჭრილია ბრესტის ზავის ნიადაგზე. ტაქტიკურათ უკეთესი იყო ენახათ თურქებს და გერმანელებს, რომ ჩვენ მტკიცეთ ვდგევართ ჩვენს პოზიციაზე, რასაც სრულად ეთანხმებოდა გენერალი ლოსოვი. უკანასკნელმა თავის მხრითაც პროტესტი განუცხადა ოსმალეთის მთავრობას გერმანიის სახელით ჩვენი უზენაესობის შელახვის გამო. ფორმალურათ ასეა საქმე, მხოლოდ არსებითად თქვენ უნდა მისცეთ თურქებს საშუალება არა-ოფიციალურათ, რაც შეიძლება საჩქაროთ რკინის-გზით გაატარონ ჯარები, ვინაიდან ისინი აპირებენ შორეთ იარონ, რაც უეჭველათ სამხედრო მოქმედებას გამოიწვევს. ამიტომ მოდიან გერმანელი ორი ოფიცერი მხლებლებით, რომ ეცადონ თურქებს არ მისცენ საშუალება ისარგებლონ რაიმე ინციდენტით და სამხედრო მოქმედება დაიწყონ. თქვენ ეს გერმანელები ფიცხლავ ალექსანდროპოლში უნდა გააგზავნოთ, რომ ადგილობრივ უნდა მოახერხონ ყველაფერი. საჭიროა ნაზარბეგოვს ცალკე უთხრათ, არაოფიციალურათ ხელი შეუწყოს. ერთი სიტყვით, გარეგნულათ უნდა იქნეს დაცული დეკორიუმი, თითქო თურქები თავის ნებით სარგებლობენ რკინის გზით, ფაქტიურად კი ხელი შეუწყვეთ, რომ ჯარები ჩქარა გავიდნენ, რაიც სასარგებლოა ჩვენთვის: ნაკლები დარჩებათ აქ. ვეჰიბ-ფაშა იძლევა სიტყვას, რომ სხვა ფრონტებზე ის ფეხსაც არ მოიცვლის, აქედან სრულიად სასტიკათ უნდა უბრძანოთ ჩვენებს არასგზით არ მისცენ თურქებს საბაბი. [*მინაწერი დეპეშის პირველ გვერდზე: დახმარება ყოველმხრივ გერმანელებს: ბინა, საჭმელი და სხვა*].

დასკვნა: 1) ყველაფერი საიდუმლოთ უნდა შეინახოთ, ახმაურება პრესისა, ან სეიმისა, შეუწყნარებელია. ალაგმეთ „ბორბა" და სხვები. ნუ ყბედობენ, აქ კითხულობენ გერმანელები და საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს. პრესა იმასვე ამბობს, რასაც ამბობდა ტრაპეზუნდში მოლაპარაკების დროს, ე. ი. უნერგავს ჩვენდამი უნდობლობას არამცთუ თურქებს, არამედ გერმანელებსაც. ისინი კითხულობენ ქართულ პრესასაც. პირდაპირ ღა-

ლატია, როცა „ერთობაში“ ათავსებენ „პრომეთეოსის“ კორესპონდენციას (9 მაისის ნომერი) იმის შესახებ, რომ ჩვენი ჯარები გარბიან. დასვით „ერთობაში“ პასუხისმგებელი პირი, რომელმაც უნდა იცოდეს, რასაც სწერს. ლანძღვა-გინება გერმანიისა, როცა მისი წარმომადგენელნი აქ ხელს გვიწყობენ, ვერაგობაა, სხვა არაფერი. „ბორბას“ და „იზვესტიას“ უნდა ჩააგონოთ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზედაც ასე ჭყივიან, უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე, რომ ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებს პირველს შევურიგდეთ, ვინაიდან გერმანიამ თუ გვიხსნა, მხოლოდ თავის იმპერიალისტურ მადის დასასაბუთებლად და არა რუსი ამხანაგების ლამაზ თვალისათვის. ოსმალებსაც ძალიან ფრთხილად უნდა მოეპყრან პრესაში. მე ვიცი, რუსი ამხანაგები პირველათ გაიქცევიან და ჩვენ კი მთელ ჩვენ ერებს ვუსპობთ სიცოცხლეს.

2) ომი შეუძლებელია ჩვენთვის, — ეს აქსიომაა, მაშასადამე, პირდაპირ შეუწყნარებელი იქნებოდა ჩვენ რომ ის გვექნა, რაც ჩავიდინეთ 31 მარტს. ვშიშობ მხოლოდ, რომ რუსებმა და განსაკუთრებით სომხებმა არ გაიძულონ თქვენ ისევ იარაღს მიმართოთ. მაშინ დაასამარებთ სომხებსაც და ქართველებსაც. მაშასადამე, თურქების გასვლა ჯულფისაკენ არასგზით უნდა ჩაითვალოს კაზუს-ბელიდ. ასე ფიქრობენ სომეხი დელეგატები. თუ ვინიცობაა, ან პრესამ, ან რუსის სამხედრო წრეებმა გაგინიეს წინააღმდეგობა, სასტიკათ უნდა მოეპყრა. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ მომენტში, როცა საჭიროა ясности цели и решительность мыр. **სპეციფიკური შენი ტაქტიკა დამღუპველია, ესე იგი კომპრომისი, ნახევარი ნაბიჯი წინ, ნახევარი უკან. ამან დაღუპა ჩვენი ტრაპეზუნდის პოზიცია: ერთი დღის მაგიერ ერთი კვირა ვიკამათეთ.**

ახლა მთავარი უნდა გითხრა, ვინაიდან მთელი სურათი უკვე გამორკვეულია და ნათელი, წინეთ მხოლოდ ჩვენს აზრს ვწერდი, რაიც მთლად დადასტურდა ახლა. მე განვუცხადე თურქებს და გერმანელებს, რომ პირველთა ხელშეკრულების პროექტი (რაიც გუშინ გამოგიგზავნეთ), თუკი ის სისრულეში მოუყვანიათ მათ, მაშინ იქნება სუბიექტი საერთაშორისო უფლებისა, ესე იგი მთლიანი ამიერკავკასიის რესპუბლიკა, საერთო მთავრობა, სეიმი და აქედან დელეგაციაც. ამ რიგათ, მათ ერთმევათ ყოველი საშუალება შეკრან ხელშეკრულება ე. წ. ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან. ხალილ-ბეიმ არაფერი მითხრა ამის შესახებ. თქვა კერძოდ ისა, რომ კონსტანტინოპოლში გაიმარჯვა ენვერის პარტიამ და პროექტიც ასეთი გამოვიდაო. ფონ-ლოსოვმა კი თქვა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავი ჩვენთვის ძალაში რჩება, ბერლინის ინსტრუქციის ძალით ის ამას ეცდება, ცხოვრებაში გაატაროს. ეხლა წარმოებს აქ ინტენსიური მუშაობა ლოსოვის დახმარებით, რომ თურქების მადა ალაგმოს, ვინაიდან ამიერკავკასიის მთლიანობას ძლიერ აფასებენ გერმანელნი. მე არას ვიტყვი, გაუვათ გერმანელებს რამე თუ არა, თურქები მათ იზოლაციას ახდენენ და ძალიან უშლიან პირდაპირი მავთულით ლაპარაკს კონსტანტინოპოლთან. ყოველ შემთხვევაში ისინი მაინც ანვდიან ცნობებს და ინსტრუქციებსაც ღებუ-

ლობენ. მაშასადამე მუშაობა ამიერკავკასიის სახელით ინტენსიურათ წარმოებს და არის რამდენათმე იმედი, რომ ჩვენ გავიტანთ საზღვრების რამდენათმე შესწორებას.

მაგრამ ყოველთვის უარესს უნდა ელოდე. თურქებს არ სურთ უკვე ამიერკავკასიის მთლიანობა და ისინი სრულიათ საბუთიანათ ემყარებიან ჩვენი თათრების სურვილს. არსებითად კითხვა არ დამისვამს დელეგაციაში, ვინაიდან ჯერ ვუცდი შედეგს ლოსოვის ცდის ამიერკავკასიის ინრტერესებისათვის, მაგრამ ისე ცხადია კი, რომ ჩვენი თათრები უკვე ადერბეიჯანის გამოყოფის მომხრე არიან, სომხებს გაწირავენ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ, თუ ომი გავბედეთ, — ეს აქსიომაა, ესე იგი აქტიურად გაერევიან ომში ჩვენს წინააღმდეგ. რომელია მთავარი მოტივი როგორც თურქებისა, ისე თათრებისა. ინგლისელების დაბლიდან წინ წამოწევა: ეს მიუღებელია ჩვენი თათრებისათვის, ვინაიდან ომში ისინი გადაჭრით ოსმალეთის მომხრე არიან, ვინაიდან მხოლოდ და მარტო ეს უზრუნველყოფს მათ რუსეთის ჩამობრუნებისაგან, ჯერ ბოლშევიკების სახით. თურქებს კი აინტერესებთ ერთადერთი — ჩვენი მუსულმანების ახალგაზრდობის ჯარში ჩაწერა, რაც მოსახერხებელია, თუ ადერბეიჯანი ცალკეა. მათ გაუწყდათ ჯარები, ეჭირვებათ ახალი მასალა, ეს არის სუსტი მხარე — აგრეთვე გერმანელებისთვისაც. ისინი შეიძლება იძულებულნი შეიქნან ბოლოს, თავისდაუნებურად, მხარი დაუჭირონ ადერბეიჯანის გამოცალკევებას, ვინაიდან ინგლისელების მოქმედებას ისინი სერიოზულად უყურებენ. როგორი უნდა იქნეს ჩვენი მახლობელი ნაბიჯი, თუ თურქებმა სერიოზულათ მოინადინეს თავის პროექტის განხორციელება? უნდა გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობა ყოველ მიზეზის გარეშე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ზავის შეკვრა ჩვენთვის მისაღებ პირობებში. სომხები, რა თქმა უნდა, არ შეურიგდებიან თურქების გეგმას და ომს გამართავენ თუგინდ „მთელ მსოფლიოსთან", როგორც ამბობენ ხატისოვი და კაჩაზნუნი. ეს მით უფრო, რომ მათ შორეული იმედი მაინც რჩებათ ინგლისისა. ჩვენ ვდგევართ უფსკრულის წინ: უნდა გადაწყდეს, გაყვება თუ არა ამ გზას ქართველებიც, როგორც ამას აქამდისინ ჩადიოდნენ რევოლუციურ ფრაზეოლოგიით დამთვრალნი. მე ვამბობ: არას გზით, ვერ გაყვება, სანამ ინგლისელები მოვიდოდნენ ამიერკავკასიაში, რაც საეჭვოა, ჩვენ დავკარგავთ ყველაფერს, სიცოცხლესაც, დამოუკიდებლობას კი შეუძლია ჩვენი ხსნა. თურქები თუ ნებით არა, ძალით გაივლიან ამიერკავკასიას, თუ ძალით გავლენ, ჩვენ დაპყრობილი ვართ, ჩააყენებენ ჯარს სიმაგრეებში (ყარსი და სხვა) და ინგლისელებს არ მიუშვებენ მანამდის, სანამ არ ამოგვჟლეტენ. ვინც თქვენს შორის დაადგება 31 მარტის ტაქტიკას ამ პირობებში, ის გიჟია, მოღალატე არ დაერქმევა მას. როცა ყოველი იმედი დაგვეკარგება, რომ გერმანელების დახმარებით ოსმალების მადას ავლაგმავთ, მაშინ დელეგაცია არ არსებობდეს იქნება, როგორც ყველა თქვენი დაწესებულებანი საერთო ხასიათისა, მაშასადამე, **მე დავიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით, როგორც გერმანელებთან,**

ისე თურქებთან, რომ ვცადო საქართველო მაინც გამოვიყვანო ცეცხლის ალიდან.

როგორც ვწერდი, არც სომხებმა უნდა აიღონ იარაღი, მაგრამ ეს ფიზიკურათ შეუძლებელია მათთვის. არც ის შეიძლება, რომ სომხებმა ჩვენთან ერთად ერთი ფედერაციული სახელმწიფო შეადგინონ, ეს არ უნდათ თურქებს, არც თათრებს. თუ ისინი ცალკე იქნებიან და მაინც იომებენ, რაიც უეჭველია, განსაცდელში ჩავარდებიან. მიიღეთ ყოველი ზომა, არ იომონ და მაშინ გერმანელები არ მისცემენ თურქებს ნებას ამოჟლიტონ, ამის გარანტიას აქაც მივიღებთ. ჩვენთან ყოფნა კი შეუძლებელია, ვინაიდან მათი ტერიტორია გამოურკვეელია და გადაგვკიდებს როგორც თურქებს, ისე თათრებს. ალბათ ადერბეიჟანი ოსმალეთის პროვინციად იქცევა, მხოლოდ ექსპლუატაცია გერმანელებს შერჩებათ, სომხებს კი ძლიერ აფასებენ ისინი, როგორც მოვაჭრე ელემენტს.

ასე, **მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობა — აი, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას,** როცა აქაური მოლაპარაკება შეწყდება. შეწყდება იმიტომ, რომ თურქების პროექტი მიუღებელია, ეს მათ მშვენივრად იციან, მაგრამ მიზნათ ხომ ჩვენი მთლიანობის დამხობა აქვთ.

საჭიროა ეს წერილი წაიკითხო ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმში სრულიათ საიდუმლოთ, საჭიროა წინასწარი თადარიგის მიღება, თუ დრომ ეს ნაბიჯი მოითხოვა ჩვენის მხრით. ყოვლად შეუძლებელია ამ საგანზე საოლქო კომიტეტში ან ფრაქციაში ლაპარაკი. **თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღანელოთ, თუ არ შეგიძლიათ, უკეთესია გადადგომა, მაგრამ ამ შემთხვეაში ერი დაიღუპება. თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი.**

საჭიროა ამ წუთშივე გათვალისწინება ყველა ამისა, **საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას.**

ერთი საკითხიც. აქ აბხაზების წარმომადგენელნი არიან, არამკითხენი, რასაკვირველია. აგრეთვე აბხაზი მხედარნი მოჰაჯირები, ე. ი. ოსმალეთიდან. სრულიათ ნათლათ გამოირკვა, რომ მათ უნდათ და კიდეც შეასრულებენ თურქების თავდასხმას აფხაზეთზე, არის გეგმა, არის ძალები გამზადებული სადღაც ახლო. მე ვმოქმედობ ხელი შევუშალო. თქვენც გმართებთ ახლავე დაგზავნოთ შიკრიკები საიდუმლოთ. უნდა მოვიდნენ აქ გლეხების წარმომადგენელნი აბხაზეთ-სამურზაყანოდან, მე მომმართონ და მერე მე ვიცი. უთუოთ მოახდინეთ ეს ფიცხლათ, ნუ გაამჟღავნებთ. დედა — თქვენი მოქმედებისა აბხაზეთ-სამურზაყანოში: არამკითხენი ცდილობენ თურქების თქვენზე შემოსევას, რომ ამოჟლიტონ სომხები, რუსები, მეგრელები, ქართველები, შემდეგ დაგიპყრობენ, ეს კი არაა საჭირო, ვინაიდან სოხუმის ოლქზე არაა დავა თვით თურქებისაგან, ის მიიღებს იმავე უფლებას, რასაც საქართველო, იქნება კავკასიის ფედერაციის ერთი ნაწილი, როცა მთიელები სახელმწიფოს შექმნიან, ჩვენ შემოგვიერთდებიან, ახლა კი საჭიროა ამიერკავკასიის ფარგლებში დარჩეს სოხუმის ოლქი,

იმიტომ, რომ ზავი მხოლოდ მასთან იკვრის. ამ ზავის ხელშეკრულებაში შევიტან ორ მუხლს: 1) რომ მოჰაჯირი აბხაზები დაბრუნდნენ სრულიათ თავისუფლათ; 2) რომ აბხაზეთ-სამურზაყანო გახდეს სრულუფლებიანი წევრი ამიერკავკასიის და შემდეგ კავკასიის ფედერაციისა. კატეგორიულათ განუცხადეთ ჩემ მაგიერ, თუ ასე არ მოიქცენ, თურქების არჩივი გახდებიან. ეს უნდა შესრულდეს!

ერთი კიდევ: არასგზით არ უნდა გამოუცხადოთ მტრობა ჩვენ თათრებს. იცოდეთ მტკიცეთ, სხვაგვარ მათ მოქმედება არ შეუძლიათ, ჩადექით მათ მდგომარეობაში. მათი მომდურება დასაკლავი დანაა ჩვენთვის. თუ გავიყარენით, უფრო შეგვიყვარებენ, ეს იცოდეთ.

კიდევ ერთი, ბაქოს უშველეთ, ვინაიდან ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ნიადაგზე ვდგევართ.

ერთი კიდევ. **ეს წერილი დატოვე ეროვნული საბჭოს არქივში, ვინაიდან ის არის ჩემი გასამართლების საბუთი, თუ ვინიცობაა თქვენი გზით იარეთ.** ისე არ დაგემართოთ, როგორც ამას წინათ: შენ და ევგენი მწერდით 30 მარტს, ბათუმის ხსნა შეუძლებელიაო და 31 მარტს ქვეყანა გადაატრიალეთ!

ერთი კიდევ. მოვიდეს ნოე, რომ თავის თვალით ნახოს ყველაფერი, ძლიერ საჩქაროთ.

ველი პასუხს

შენი აკ. ჩხენკელი

ამ პოლიტიკას სავსებით ვიზიარებ და ვეთანხმები

ნ. ნიკოლაძე[1]

ამ ვრცელ და ისტორიული, დიპლომატიური თუ სხვა თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტიდან შეიძლება გამოვყოთ ძირითადი ასპექტები, რასაც ამ ურთულეს, უფრო მეტიც, საქართველოსთვის ყოფნა-არყოფნის პერიოდში სვამს ერთი ქართველი კაცი, იმ პარტიის წევრი, რომლისთვისაც მანამდე ეროვნული საკითხი სასხვათაშორისო იყო, ახლა კი ეროვნული არსებობის სადავე მის ხელთ აღმოჩნდა. მართალია, აკაკი ჩხენკელი ამ საკითხს ყოველთვის უფრო ფრთხილად, მტკივნეულად აღიქვამდა, ვიდრე მისი პარტიელი ამხანაგები, მაგრამ არა ისე, რომ კაცს არ გაკვირვებოდა მისი ამჟამინდელი სიმამაცე, პრაგმატულობა, საფრთხის წინაშე დიდი ნახტომისკენ ერის წაქეზების უნარი, ანდა ის ნიუანსები, რომელსაც ის ხედავდა კარსმომდგარი საფრთხეების მიღმა.

1. 15 მაისის დილით ოსმალების ნოტა საქართველოს ტერიტორიაზე ჯარების გაშვების შესახებ ბათუმის კონფერენციაზე მყოფი ამიერკავკასიის სახელმწიფო დელეგაციის ქართველი წევრებისათვის მოულოდნელი არ იყო, ეს შეთავაზება-ულტიმატუმი მათ წინა დღით მიიღეს, მაგრამ უარი თქვეს ფორმალურად, ტაქტიკური მოსაზრებით, რათა ეგრძნობინებინათ ოსმალებისა და გერმანელებისთვისაც, რომ ქართველები ასე ადვილად არ

[1] სცსსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 23, ფურცელი 5-8.

ნებდებოდნენ.

2. ოსმალეთის მთავრობის ამგვარი აგრესიული ულტიმატუმი გერმანიის სახელით გააპროტესტა გერმანიის მისიის მეთაურმა ფონ ლოსოვმაც, მაგრამ ოსმალებს უკან ვერ დაახევინა;

3. ეს ყველაფერი ფორმალურ, გარეგნული დეკორის დანიშნულებისა იყო. სინამდვილეში კი, ქართველებს არაოფიციალურად უნდა მიეცათ ოსმალებისათვის რკინიგზით ჯარის გატარების უფლება, რომ არ მომხდარიყო მათი შეტაკება ქართველების ან სომხების ნაწილებთან (აზერბაიჯანი მათ მხარეზე იყო), ამიტომ ოსმალეთის ჯარს მეთვალყურედ მოყვებოდა ორი გერმანელი ოფიცერი მხლებლებით. ეს გერმანელები ქართველებს დაუყონებლივ ალექსანდროპოლში უნდა გაეგზავნათ, რათა იქ მოეგვარებინათ ყველაფერი. აზერბაიჯანული მხარის წარმომადგენლის — ნაზარბეგოვისთვის ცალკე უნდა ეთქვათ ქართველ პოლიტიკოსებს, რომ ოსმალებისთვის არაოფიციალურად შეეწყოთ ხელი.

4. ჯარების ჩქარა გასვლა საქართველოს ტერიტორიიდან სასარგებლო იყო ქართველებისათვის: ისინი ნაკლები დარჩებოდნენ საქართველოში, ოსმალების სარდალი ვეჰიბ-ფაშა იძლეოდა სიტყვას, რომ სხვა ჯარს არ მოხსნიდა ფრონტებიდან.

5. სამხედრო საიდუმლოება მკაცრად უნდა დაცულიყო, არც პრესას და არც სეიმის დეპუტატებს სამხედრო საკითხებზე ხმამაღლა არ უნდა ესაუბრათ. ჩხენკელი გმობდა გაზეთების აგრესიულ ტონს ოსმალების და მითუმეტეს გერმანელების მიმართ. ის ურჩევდა ჟორდანიას, რომ თბილისში გამომავალ ქართულ და რუსულ გაზეთებში — „ბორბა, „იზვესტია“ და „ერთობა“ დაესვათ მთავრობის კაცი, ვინც ამას გააკონტროლებდა. ლანძღვა-გინება გერმანიისა, როცა მისი წარმომადგენელნი ხელს უწყობდნენ ქართველებს, ჩხენკელის აზრით, ვერაგობა იყო და გერმანელებს, რომლებიც ამ პრესას კითხულობდნენ, გულს უტეხდა საქართველოსთვის დახმარების გაწევაში. არ უნდა ელანძღათ არც ოსმალეთი, რადგან ეს გააძლიერებდა მათ აგრესიას.

6. ჩხენკელმა იცოდა, რომ გერმანიასაც თავისი ზრახვები ჰქონდა საქართველოსადმი, მაგრამ ეს ნაკლები ბოროტება იყო იმასთან შედარებით, რაც ქვეყანას რუსეთისა და ოსმალეთისაგან ელოდა. საგულისხმოა მისი სიტყვები: „ბორბას“ და „იზვესტიას“ უნდა ჩააგონოთ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზედაც ასე ჭყივიან, უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე, რომ ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებს პირველს შევურიგდეთ, ვინაიდან გერმანიამ თუ გვიხსნა, მხოლოდ თავის იმპერიალისტური მადის დასასაბუთებლად და არა რუსი ამხანაგების ლამაზ თვალისათვის.“

7. ომი შეუძლებელი იყო საქართველოსთვის, მას არ უნდა ჩაედინა ის, რაც 31 მარტს, როდესაც სომეხი დეპუტატების და რუსი სამხედროების ნაქეზებით ომში ჩაება ოსმალებთან და ტრაპიზონის კონფერენციის მოლაპარაკებებს ხელი შეუშალა. ამას ჩხენკელი ჟორდანიას აბრალებდა და შიშობდა, რომ რუსებსა და განსაკუთრებით სომხებს არ აეძულებინა ისევ ქართველები ომში ჩაბმულიყვნენ. თურქების გასვლა ჯულფისაკენ

წინააღმდეგობის გარეშე უნდა მომხდრიყო, თუ პრესა, ან რუსის სამხედრო წრეები ამას არ დაეთანხმებოდნენ, ქართულ მხარეს სასტიკად უნდა დაეცვა ეს მიმართულება. ჩხენკელს ეფიქრებოდა ჟორდანიას პრინციპულობა და წერდა: „სპეციფიკური შენი ტაქტიკა დამღუპველია, ესე იგი კომპრომისი, ნახევარი ნაბიჯი წინ, ნახევარი უკან. ამან დაღუპა ჩვენი ტრაპეზუნდის პოზიცია, ერთი დღის მაგიერ ერთი კვირა ვიკამათეთ".

8. ქართულმა დელეგაციამ თურქებსა და გერმანელებს განუცხადა, რომ პირველი ხელშეკრულების პროექტი, რაც უკვე გადმოგზავნილი ჰქონდათ ჟორდანიასთან, თუკი ის სისრულეში მოვიდოდა, მაშინ იქნებოდა სუბიექტი საერთაშორისო უფლებისა, ესე იგი ხელშეკრულება მთლიანი ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან დაიდებოდა, რაც თურქებს არ აწყობდა, რადგან მათ სურდათ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, ოსმალურ ჯარში განვევა აზერბაიჯანის ახალგაზრდობისა, რითაც ამ ურთულეს ჟამს ფრონტს გააძლიერებდნენ. ფონ-ლოსოვი არწმუნებდა ქართველებს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობებს დაიცავდა ბერლინის ინსტრუქციის ძალით, ემხრობოდა ამიერკავკასიის მთლიანობას, ცდილობდა ოსმალთა მადის ალაგმვას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. მუშაობა ამიერკავკასიის სახელით ინტენსიურად წარმოებდა და ჩხენკელის დელეგაციას იმედი რჩებოდა, რომ მოახდენდა თავის სასარგებლოდ საზღვრების რამდენადმე შესწორებას.

9. ჩხენკელს არ განუხილავს დელეგაციის სომხურ და აზერბაიჯანულ ნაწილთან საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, ელოდებოდა ფონ-ლოსოვის მცდელობის შედეგს, მაგრამ, როგორც ქართველი დიპლომატი და მისი თანმხლები ქართველი დელეგატები ვარაუდობდნენ, მალე გერმანიაც დაეთანხმებოდა ოსმალეთს, რადგან ინგლისის შემოტევები გაძლიერდა და ამისთვის დამატებითი სამხედრო ძალა იყო საჭირო, მოკავშირეები ამას აზერბაიჯანში ხედავდნენ. „ჩვენი თათრები უკვე ადერბეიჯანის გამოყოფის მომხრე არიან, სომხებს განირავენ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ, თუ ომი გავბედეთ, — ეს აქსიომაა, ესე იგი აქტიურად გაერევიან ომში ჩვენს წინააღმდეგ...ომში ისინი გადაჭრით ოსმალეთის მომხრე არიან, ვინაიდან მხოლოდ და მარტო ეს უზრუნველყოფს მათ რუსეთის ჩამობრუნებისაგან." ასე სჯიდა აკაკი ჩხენკელი და სამომავლო ნაბიჯების გათვლასაც ცდილობდა.

10. ჩხენკელის დაჟინებული მოთხოვნით, ძირითადი ამოცანა ახლა იყო ის, რომ უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა ყოველ მიზეზს გარეშე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ზავის შეკვრა ქართველებისთვის მისაღებ პირობებში. სომხები, რა თქმა უნდა, არ შეურიგდებოდნენ თურქების გეგმას და ომს გამართავდნენ თუგინდ „მთელ მსოფლიოსთან", როგორც ამბობდნენ ხატისოვი და კაჩაზნუნი, — დელეგაციის სომეხი წევრები. ამას გააკეთებდნენ, რადგან მათ შორეული იმედი მაინც რჩებოდათ ინგლისისა. „ჩვენ ვდგევართ უფსკრულის წინ: უნდა გადაწყდეს, გაყვება თუ არა ამ გზას ქართველებიც, როგორც ამას აქამდი-

სინ ჩადიოდნენ რევოლუციურ ფრაზეოლოგიით დამთვრალნი. მე ვამბობ: არას გზით, ვერ გაყვება, სანამ ინგლისელები მოვიდოდნენ ამიერკავკასიაში, რაც საეჭვოა, ჩვენ დავკარგავთ ყველაფერს, სიცოცხლესაც, დამოუკიდებლობას კი შეუძლია ჩვენი ხსნა", — ირწმუნებოდა ჩხენკელი. თურქები თუ ნებით არა, ძალით გაივლიდნენ ამიერკავკასიას, დაიპყრობდნენ საქართველოს, ჩააყენებდნენ ჯარს სიმაგრეებში და ინგლისელებს არ მიუშვებდნენ მანამდის, სანამ არ ამოჟლეტდნენ ქართველობას. თუ ჟორდანია და ეროვნული საბჭოს სხვა ლიდერები დაადგებოდნენ 31 მარტის ტაქტიკას და ომში ჩაერთვებოდნენ, საქართველო დალუპული იყო. ამის გამო, ის იწყებდა დიპლომატიურ მოქმედებას, რომ ქვეყანა გადაერჩინა;

11. ჩხენკელი თხოვდა ჟორდანიას, დაერწმუნებინა სომხები, არ აეღოთ იარაღი, მაშინ ის შეძლებდა გერმანელების კეთილგანწყობის მოპოვებას და სომხების დახსნას ხოცვა-ჟლეტისაგან, რადგან გერმანელები მათ აფასებენ ვაჭრული ნიჭის გამო. მათი ჩვენთან ყოფნა ერთ ფედერაციაში კი არ შეიძლება, რადგან ეს არც ოსმალებს სურთ, არც აზერბაიჯანლებს, გერმანელები კი მათ ვერ შეენინააღმდეგებიან. ამასთანავე, სომხებს ტერიტორიული საზღვრები არ ჰქონდათ გამოკვეთილი, რაც კონფლიქტურ სიტუაციებს უქმნიდა მეზობლებთან, საქართველო კი ამ კონფლიქტებში ვერ ჩაერეოდა.

12. საჭირო იყო ბათუმში მოლაპარაკების შეწყვეტა, რადგან თურქების პროექტი მიუღებელი იყო თბილისის დელეგაციისათვის, ამასთანავე, უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა.

13. ჩხენკელის წერილი ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმში სრულიად საიდუმლოდ უნდა წაეკითხათ, უნდა მიეღოთ წინასწარი თადარიგი. ჩხენკელი ყოვლად შეუძლებლად მიიჩევდა ამ საგანზე საოლქო კომიტეტში ან ფრაქციაში ლაპარაკს. ის თამამ წინადადებას აძლევდა სოციალდემოკრატების ლიდერსა და ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს: **„თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღანელოთ, თუ არ შეგიძლიათ, უკეთესია გადადგომა, მაგრამ ამ შემთხვეაში ერი დაიღუპება. თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი. საჭიროა ამ წუთშივე გათვალისწინება ყველა ამისა, საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას".**

14. აფხაზებს, განსაკუთრებით ოსმალეთში მცხოვრებ მოჰაჯირებს, ოსმალები დამოუკიდებლობისკენ აქეზებდენ და მათ მიერ აფხაზეთის ოკუპაციის საფრთხე დგებოდა. ეს ხდებოდა კულისებს მიღმა, ბათუმის კონფერენციაზე კი, ჩხენკელის თქმით, სოხუმის ოლქზე თურქების მხრიდან დავა არ იყო, ის მიიღებდა იმავე უფლებას, რასაც საქართველო, იქნებოდა კავკასიის ფედერაციის ერთი ნაწილი, ჩხენკელის აზრით, როცა მთიელები სახელმწიფოს შექმნიდნენ, საქართველოს შემოუერთდებოდნენ, იმჟამად კი საჭირო იყო ამიერკავკასიის ფარგლებში სოხუმის ოლქის

დარჩენა, რადგან ზავი მხოლოდ მასთან იკვროდა. არ უნდა მიეცათ აფხაზთა თურქოფილური ნაწილისათვის რაიმე პროვოკაციის საშუალება. ის აძლევდა წინადადებას ჟორდანიას, რომ ბათუმში გაეგზავნათ აფხაზეთ-სამურზაყანოს გლეხთა დელეგაცია, მათთან შეხვედრის შემდეგ ბათუმის ზავის ხელშეკრულებაში შეიტანდა ორ მუხლს: 1) რომ მოჰაჯირი აფხაზები დაბრუნდებოდნენ სრულიად თავისუფლად; 2) რომ აფხაზეთ-სამურზაყანო გახდებოდა სრულუფლებიანი წევრი ამიერკავკასიის და შემდეგ კავკასიის ფედერაციისა.

15. განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა უნდა შენარჩუნებულიყო აზერბაიჯანთან, დამოუკიდებლობის შემდეგ ის გახდებოდა საქართველოს კიდევ უფრო დიდი მეგობარი. უნდა დახმარებოდნენ ბაქოს, რომელიც ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ფარგლებში იყო.

ჩხენკელს მიაჩნდა, რომ ეს წერილი იყო მისი ერთ-ერთი გამამართლებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა დარჩენოდა ეროვნულ საბჭოს, რასაც იმ შემთხვევაში გამოიყენებდა, თუ მისი მიმართვის ადრესატები არ დაიჯერებდნენ, არ შეასრულებდნენ მის რეკომენდაციებს და საქართველოს ბედს უკუღმა წაიყვანდნენ.

ოსმალეთის ჯარები ამიერკავკასიის ქართული დელეგაციის პროტესტს ყურს არ ათხოვებდნენ და აგრძელებდნენ წინსვლას დასახული მიზნის მისაღწევად: მათ 15 მაისსვე აიღეს ალექსანდროპოლი, შემდეგ თბილისისა და ერევნის მიმართულებით დაიძრნენ. 1918 წლის 17 მაისს ბათუმის კონფერენციაზე გერმანიის დელეგაციის მეთაურის — ფონ ლოსოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა ასეთი შინაარსის იყო:

„პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ მე გერმანიის იმპერიის კანცლერისგან მივიღე ქვემოთ მოტანილი შემდეგი ინსტრუქცია:

გერმანიას არ შეუძლია ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა იცნოს ამჟამად, მანამდე, ვიდრე ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას არ იცნობს რუსეთი. საიმპერატორო კარის წარმომადგენელს რუსეთში გრაფ მირბახს გადაცემული აქვს რწმუნება ჰკითხოს რუსეთის მთავრობას, როგორია მისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

ამიერკავკასიის ხელისუფლების (მთავრობის?) თხოვნის თანახმად, გერმანია მზად არის იკისროს შუამდგომლობა ამ საკითხზე რუსეთსა და ამიერკავკასიის სახელმწიფოს შორის შეთანხმების მისაღწევად. ამასთან, თქვენ ვალდებული ხართ აცნობოთ ბატონ ჩხენკელს, რომ ამიერკავკასიის ცნობა გერმანიისაგან სხვა არცერთ პირობაზე არაა დამოკიდებული, გარდა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ცნობისა მოსკოვის რუსული ხელისუფლებისაგან.

ამა წლის 8 რიცხვით გამოგზავნილი გაიდარ-ბეი ბამატოვის წერილით მეცნობა, რომ ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის ტუზემც ხალხებსაც გამოუთქვამთ დამოუკიდებლობის სურვილი. როგორც კი მივიღებ ინსტრუქციას საიმპერატორო ხელისუფლებისაგან, რომელიც ჩათვლის ამ ხალხების დამოუკიდებლობის ცნობას შესაძლებლად, დარწმუნებ-

ული ვარ, რომ გერმანიის ხელისუფლება ისევე აღიარებს ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისა და დაღესტნელების დამოუკიდებლობას, როგორც ამიერკავკასიის სახელმწიფოსას".

ოსმალური ჯარები ამიერკავკასიაში მოქმედებდნენ და საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს არსებობასაც. ამას იუწყებოდნენ ჩხენკელისადმი გამოგზავნილი ქართველი სამხედროებისა და პოლიტიკოსთა დეპეშებიც. 19 მაისის დეპეშა რამიშვილის — ჩხენკელისადმი იუწყებოდა: „ელიზავეტპოლში მოვიდა შეიხი ულ-ნელამი. მოსახლეობამ მას მოთხოვა ბათუმში წამოვიდეს და თურქების დელეგაციას მოელაპარაკოს. მას მისცეს დავალება მოითხოვოს თურქული არმიის გაგზავნა გუბერნიაში წესრიგის აღსადგენად. ჩემი მხრიდან ამაზე უარის თქმა გამოიწვევს მთელი მუსულმანური ფრაქციის აღშფოთებას. ველოდები თქვენს მითითებას. უარყოფითი პასუხი გამოიწვევს ხელისუფლების კრიზისს.

ნოე რამიშვილი[1] .

19 მაისსვე აკაკი ჩხენკელის ინიციატივით, ამიერკავკასიის დელეგაციამ მიმართა ფონ ლოსოვს, ეშუამდგომლა ოსმალეთის წინაშე, რათა საომარი ოპერაციები შეწყვეტილიყო, გერმანიის ამ მოთხოვნას ოსმალები არ დათანხმდნენ[2].

20 მაისს გენერალი ნაზარბეკოვი ამიერკავკასიის სარდლობას მოახსენებდა: „მიუხედავად საზავო მდგომარეობისა, თურქები განაგრძობენ სამხედრო მოქმედებასა და, კერძოდ, კარაკლისის ფრონტზე აგრძელებენ რა შეტევას, დღეს სოფელ ავდიბედიდან გარეკეს ჩვენი ნაწილები. მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ თურქები თბილისის გზატკეცილზე და ლორის რაიონში აჯგუფებენ დიდ ძალებს. ცნობილია მათი განზრახვა — გააგრძელონ შეტევა კარაკლისზე და შემდეგ თბილისზე. ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, ალექსანდროპოლისა და ერევნის გზის დაკავება მხოლოდ დასაწყისია შემდეგი დაპყრობისა"[3].

ბათუმში, გერმანულ-ქართული შეხვედრების დროს, რასაც ჩხენკელი თითქმის დელეგაციის სხვა წარმონადგენლებისაგან კონსპირაციულად მართავდა, გადაწყდა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის საკითხი [4].

22 მაისს ზურაბ ავალიშვილის ხელმძღვანელობით დასრულდა დამოუკიდებლობის აქტის შედგენა. ბათუმში ჩასულმა ნოე ჟორდანიამ აქტი თბილისში წაიღო. მას გამოცხადებამდე უნდა შეეთანხმებინა ტექსტი სხვადასხვა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ამ დღეებს დაწვრილებით იგონებს ზურაბ ავალიშვილი.[5]

24 მაისის ღამით ჩხენკელმა დეპეშა გაუგზავნა გენერალ კვინიტაძეს:

---

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწერა 2, საქმე 46, ფ. 8.

[2] Документы и материалы...306.

[3] Документы и материалы...302.

[4] გიორგი გოცირიძე, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2009, გვ. 178;

[5] ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები, გამომცემლობა „მხედარი", თბილისი, 2011, გვ. 74-79.

წერდა, რომ მოვლენები ისე ვითარდებოდა, სასწრაფო იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. როგორც ავალიშვილი იგონებს, ეს დეპეშა თავისი ხელით დაშიფრა გენერალმა ოდიშელიძემ. **„წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი (იაპონიის ომისათვის), ყოფილი სამხედრო გუბერნატორი სამარყანდის ოლქისა, დასავლეთის ფრონტის რუსეთის ერთ-ერთი ლაშქრის უფროსი და სხვადასხვა... სანამდე მიდით, გენერალო! ის კი გახარებულია", — წერს ავალიშვილი და ამ სიტყვებში აქცევს იმ ირონიას, რაც არ შეიძლებოდა არ გაჩენილიყო ამ დროს მოღვაწე რუსული ხელისუფლების უერთგულესი ადამიანების ეროვნულ ბანაკში ასე სიხარულით გადმოსვლის გამო.**

აქვე გავიმეორებთ იმ ბანალურ ჭეშმარიტებას, რაც ცხადზე ცხადია, მაგრამ ხშირად ამახინჯებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები იმით, რომ ამტკიცებდნენ, თითქოს დამოუკიდებლობის აქტი გერმანიის ინიციატივით მომზადდა, საქართველოს მაშინდელ ლიდერებს (გულისხმობენ სოციალ-დემოკრატებს) არ სურდათ დამოუკიდებელი საქართველოო. სინამდვილეში, 1918 წლის 26 მაისის აქტი იყო: 1. 117 წლის მანძილზე ქართველი ერის დაუცხრომელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგი ქართული სახელმწიფოს აღსადგენად და რუსეთის კოლონიური უღლის გადასაგდებად: 2. ეს აქტი მოამზადეს ქართველმა პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, პატრიოტებმა, რომელთა კუთვნილება მარტო ერთ პარტიას და ერთ სოციალურ ჯგუფს არ მიეწერება; 3. შექმნილი პოლიტიკური ვითარება მხოლოდ მაპროვოცირებელი და დამაჩქარებელი იყო დამოუკიდებლობის იდეის განსახორციელებლად, გერმანია კი, ქართველი ერის საერთო მიზნიდან გამომდინარე, პოლიტიკურად ყველაზე ხელსაყრელი მოკავშირე აღმოჩნდა; 4. პოლიტიკური და პრაქტიკული ხელმძღვანელობა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის საქმეში გასწია სოციალ-დემოკრატმა, საერთო-ეროვნული ინტერესების გამტარებელმა პიროვნებამ — აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც მთელი ქართული საზოგადოება გააერთიანა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გარშემო, დაარწმუნა თავისი პარტიის მერყევი და პრორუსული ნაწილი ამ იდეის განხორციელების აუცილებლობაში.

ოტომანთა იმპერიის და ამიერკავკასიის მთავრობათა დელეგაციების მეთაურების — ჰალილ-ბეისა[1] და აკაკი ჩხენკელს შორის გაცვლილი ნოტები ბათუმის სამშვიდობო კონფერენციის მსვლელობის პროცესში ალექსანდროპოლ-ჯულფის მიმართულებით ჯარის შეტევის შეჩერების თაობაზე.[2]

„ბატონო თავმჯდომარე

მივიღე შეტყობინება, რომ 15 მაისს, დილის 7 საათსა და 15 წუთზე თურქულმა ძალებმა შეუტიეს ჩვენ ჯარს ალექსანდრეპოლის რაიონში, ამ

[1] ჰალილ ბეი — ჰალილ სამი-ბეი, ოსმალეთის არმიის პოლკოვნიკი, მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, თანამშრომლობდა ქართველ დიპლომატებთან, ხელი მოაწერა ბათუმის 1918 წლის 4 ივნისისხელშეკრულებას, როგორც ოსმალეთის იუსტ. და საგ. საქმეთა მინისტრმა.
[2] სცსსა 1831, აღწერა 2, საქმე 444;

ქალაქის სადგურის დასაკავებლად. წინასწარ წარმოდგენილი იქნა ულტიმატუმი, სამსაათიანი ვადით, რომლითაც მოთხოვდნენ, ამიერკავკასიის რესპუბლიკის ჯარებს ალექსანდრეპოლ-ჯულფის მიმართულებით 25 ვერსტით უკან დაეხიათ რკინიგზის ხაზიდან და ქალაქი ალექსანდროპოლი და აღნიშნული რკინიგზა გადეცათ თურქეთის ხელისუფლების ხელში, მთელი ომის განმავლობაში.

იძულებულად ვრაცხ თავს, მივუთითო თქვენ აღმატებულებას, რომ თურქეთის ჯარის მეთაურების საქციელის ზოგადი მიუღებლობის გარდა, რომელთან დაკავშირებითაც ფორმალური პროტესტი გაცხადებული იყო ჩემ 15 მაისის ნოტაში, მსგავსი ქმედებები და მოთხოვნები, ჩემი აზრით, სრულებით არ შეესაბამება მისი აღმატებულება ვეჰიბ-ფაშას, კავკასიის ფრონტზე თურქეთის ჯარების მთავარსარდლის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც თქვენი 14 მაისის ნოტით მაცნობეთ.

აღნიშნულ ნოტაში არაფერი იყო ნათქვამი ზემოხსენებულ ოპერაციებსა და მოთხოვნებზე. ამ ნოტის მიხედვით, ვეჰიბ-ფაშას მეთაურობით მოქმედი ჯარების გადაადგილებას ალექსანდროპოლ-ჯულფის მონაკვეთზე უნდა ჰქონოდა სრულიად მეგობრული ხასიათი და განხორციელებულიყო თავშეკავებით, (ზომიერად) აუცილებელი გარანტიებით, რომელთა დაცვა აუცილებელია ასეთი რთული, დელიკატური ამოცანის შესრულებისას.

თუმცა, როგორც ჩემ მიერ ახლახან ნახსენები შეტყობინებიდან ირკვევა, ალექსანდროპოლში თურქული სარდლობის მოქმედებები მოწმობს სრულიად სხვაგვარ დამოკიდებულებას. ჯერ ერთი, მოსალოდნელი გადაადგილების შესრულებისას მოხდა აშკარა მტრული მოქმედებები და მეორეც, წამოყენებული მოთხოვნები ბევრწილად გამოდის ალექსანდროპოლ-ჯულფის რკინიგზის გამოყენების შესახებ მეგობრული შეთანხმების ჩარჩოდან, რის შესახებაც თქვენ ნოტაში მატყობინებდით. რეალურად შეუძლებელია მოთხოვნა — ჯარების რკინიგზიდან ასეთი შორი მანძილით დაცილების შესახებ, რაც ფაქტობრივად ნიშნავს თურქეთის მიერ მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკავებას, — ჩაითვალოს „ძალიან მეგობრულ მოქმედებად", როგორც თქვენ ამ ჯარების დამოკიდებეულებას თქვენ ნოტაში მოიხსენიებთ.

ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ შეიძლება იყოს მიღებული არც ოტომანთა დ არც ამიერკავკასის სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში, თუ შესაბამისი დელეგაციების მიერ არ იქნა წინასნარ განხილული და გადაწყვეტილი, დიპლომატიურ წარმომადგენლობების კონფერენციაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალაქ ალექსანდროპოლის თურქეთის ჯარის ხელში გადაცემა ნახსენები არ არის ზემოთაღნიშნულ ნოტაში და ამდენად, ის შეუძლებელია წინასწარდაგეგმილი რკინიგზით სარგებლობის შეთანხმების უშუალო შედეგი ყოფილიყო.

ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ თურქეთის ჯარების მიერ ალექსანდროპოლ-ჯულეფის რკინიგზის შესაძლო გამოყენება სპარსეთ-

ში გადასაადგილებლად არ გულისხმობს აღნიშნული სარკინიგზო ხაზის დაკავებას თურქეთის მთავრობის მიერ.

რაც შეეხება ამ საკითხის განსახორციელებლად თურქული სარდლობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელსაც უამრავი გართულება შეიძლება მოჰყვეს, თავს ვალდებულად მივიჩნევ, თქვენი აღმატებულების ყურადღება მივაქციო იმას, რომ ნოტა, რომელიც იტყობინებოდა მისი აღმატებულება ვეჰიბ-ფაშას გადაწყვეტილებას, ჯარების გადაადგილების ოპერაცია 15 მაისის ადრიან დილით დაეწყოთ, ჩემამდე მოვიდა მხოლოდ იმავე დღეს, დილის 6 საათზე, ალექსანდროპოლში წარდგენილი ულტიმატუმი, როგორც ჩანს, გადაცემული იყო იმავე დილის 4 საათზე, რის შედეგადაც ჩემთვის ფიზიკურად შეუძლებელი იყო გამეფრთხილებინა ჩემი მთავრობა და შესაბამისი ხელისუფლება ოტომანთა სარდლობის მხრიდან მოსალოდნელი მოქმედებების შესახებ.

აშკარაა, რომ ასეთ გარემოებებში, არავითარი საშუალება არ გამაჩნდა, შესაბამისი ზომების მისაღებად, რათა თურქეთის ჯარების გადაადგილებებს ნინააღმდეგობა არ შეხვედროდა ჩვენი ნაწილების მხრიდან, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ბათუმში განლაგებული მთავარი თურქული ძალების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და მათთან დამოკიდებულებაში ჩვენთვის შექმნილ სირთულეებზე.

ასე რომ, არანაირი ზომები არ ყოფილა მიღებული ოტომანთა მთავარსარდლობის მიერ, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ზედმეტი სისხლისღვრა და არასასურველი სამხედრო შეტაკება.

გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, ჩემ მოვალეობად მოვიჩნევ, პროტესტი გამოვთქვა თურქეთის შეაიარაღებული ძალების ამგვარი მოქმედების გამო და თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, რომ ასეთი წესების გამოყენება უკიდურესად არასასურველია და მხოლოდ ძალიან სამწუხარო გართულებებამდე შეუძლია მიგვიყვანოს, ისეთების, რომლებსაც ყველა შესაძლებობით უნდა ვირიდებდეთ, საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

აკაკი ჩხენკელი".

ოტომანთა დელეგაციის თავმჯდომარის მიერ გადაცემული ნოტა ამიერ-კავკასიის დელეგაციის თავმჯდომარის სახელზე, 1918 წლის 18 მაისი:

„იმ ნოტის პასუხად, რომლის მონერაც ჩემთვის ინებეთ ამა წლის 16 მაისს , ვისწრაფი მოგაწოდოთ მემორანდუმი, რომელშიც გადმოცემულია ოტომანთა დელეგაციის თვალსაზრისი თქვენი აღმატებულების მემორანდუმში დასმულ იმ საკითხებზე, რომლებიც აღნიშნული ნოტით გადმოგვეცით.

ვსარგებლობ შემთხვევით და ა.შ.

საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად, ამა თუ იმ რწმუნებულთა მიერ ხელმოწერილი ნორმები ძალაშია იმდენად, რამდენადაც ქვეყნის ხელისუფლებამ მოიწონა ისინი, რწმუნებულის პიროვნებისგან და მისი უფლებამოსილებისაგან დამოუკიდებლად. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში, ამიერკავკასიის ხელისუფლებამ არა მხოლოდ არ

სცნო თავისი წარმომადგენლის განცხადება, არამედ სრულიად დაინუნა თავისი დელეგაციის ქცევა, რის შედეგადაც 1918 წლის 10 აპრილის დეკლარაციით უბრძანა მას გაეწყვიტა მშვიდობიანი მოლაპარაკებები და თბილისში დაბრუნებულიყო, რაც შესრულდა კიდეც. ერთ-ერთი შეხვედრისას, დელეგაციის ხელმღვანელს რაუფ-ბეისთვის[1] არც დაუმალავს მოლაპარაკებების შესაწყვეტად მთავრობისგან მიღებული დეპეშის შინაარსი და ისიც თქვა, რომ იმედოვნებს, თბილისში დაბრუნებული მთავრობას დაარწმუნებს, გადაწყვეტილება შეცვალოს. თუმცა, მან საჭიროდ არ ჩათვალა ოტომანთა დელეგაციისათვის დეპეშის ტექსტის ჩვენება.

მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზებია: წინააღმდეგობა, რომელიც ამიერკავკასიის ჯარებმა თურქულ ძალებს სამი სანჯაყის ფარგლებში გაუწიეს, რისი არანაირი უფლებაც არ გააჩნდათ და შედეგად ბათუმის აღება, გეგეჭკორის კაბინეტის დაცემა, რაც თურქეთის ჯარების საქართველოს ტერიტორიაზე შესვლას მოჰყვა, კაბინეტისა, რომელმაც ამიერკავკასიის დელეგაციას მოლაპარაკებების შეწყვეტა უბრძანა, ამიერკავკასიის ჯარებს კი, ოტომანთა არმიისთვის წინააღმდეგობის გაწევა; ბატონი ჩხენკელის 1918 წლის 23 აპრილს მის აღმატებულება ვეჰიბ-ფაშასადმი[2] გაგზავნილი წერილი, რომელიც იუწყებოდა, რომ ახალი კაბინეტი, ბატონი ჩხენკელის თავმჯდომარეობით „იწონებს ამიერკავკასიის დელეგაციის 1918 წლის 10 აპრილის დეკლარაციას" და შეიცავდა თხოვნას, დაპირისპირებული ქმედებების შეწყვეტის შესახებ. იუწყებოდა, რომ ბატონი ჩხენკელი თავის მხრივ, გასცემს ასეთივე ბრძანებას; ბატონი ჩხენკელის მეორე, 27 აპრილის წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ საომარი მდგომარეობა შეწყდა, — აი, რიგი ფაქტებისა, რომლებიც უეჭველად ამტკიცებენ, რომ ორივე მხარის თანაფარდობა ერთმანეთის მიმართ შეიცვალა, ისევე, როგორც მათი შეერთების ხასიათი, რაც ოტომანთა დელეგაციის ხელმძღვანელის მიერ ახსნილი იქნა ბათუმის კონფერენციის პირველი სხდომის დროს. აქედან გამომდინარეობს, რომ ოტომანთა მთავრობამ მოიპოვა საზღვრის შესწორების შეთავაზების უფლება.

ოტომანთა საიმპერატორო დელეგაციამ თავის 1918 წლის 21 მარტის ნოტაში განმარტა რა პირობებით ცნობს ამიერკავკასიის მთავრობის დამოუკ-

---

[1] რაუფ-ბეი, — ორბაი ჰუსეინ რაუფი (1881-1964), თურქი დიპლომატი და საზ. მოღვაწე. დაიბადა და გარდაიცვალა სტამბულში. ბათუმის კონფერენციის მონაწილე, 1918 წლის 14 ოქტომბერს დაინიშნა ოსმალეთის საზღვაო მინისტრად, იზეტ-ფაშას ხელისუფლებაში შეასრულა ოსმალეთის დელეგაციის ხელ.-ელის როლი 31 ოქტომბერს მუდროსის საზავო მოლაპარაკებაში. ამ ზავის პირობები მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, სტამბოლი დატოვა და ანატოლიაში წავიდა, სადაც ქემალ-ფაშას მოძრაობას შეუერთდა. ამ დროის მოღვაწეობის გახსენებისას ქემალი მას „ჩემ ძმა რაუფად" მოიხსენიებდა, თუმცა, შემდეგ მათ შორის განხეთქილება მოხდა და რაუფი ოპოზიციაში აღმოჩნდა. ქემალზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს მასზეც მიიტანეს ეჭვი და მან სამშობლო დატოვა. სამხედრო ტრიბუნალმა საბოლოოდ გაამართლა, დაბრუნდა თურქეთში, მიუხედავად ყველაფრისა, მას არ აღუდგენია ძველი ურთიერთობა ქემალთან. მეჯლისის მე-6 მოწვევის დეპუტატიც გახდა, 1942-1945 წ.წ. იყო თურქეთის ელჩი ლონდონში.

[2] ვეჰიბ-ფაშა, — თურქი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციების დროს მიმდინარე მოვლენების მონაწილე.

იდებლობას და მას არ შეუცვლია თავისი შეხედულება ამ საკითხისადმი.

ამიერკავკასიის მთავრობის მიერ გამოხატული სურვილის, — განაახლოს მოლაპარაკებები, — პასუხად, საიმპერატორო მთავრობამ ცნო ეს მთავრობა და მოუწოდა თავის მოკავშირეებს იგივე გააკეთონ. მისი აღმატებულება ვეჰიბ-ფაშამ, იცოდა რა ეს, აცნობა ეს ამბავი ამიერკავკასიის მთავრობას, როგორც რიგითი ინფორმაცია. გენერლის დეპეშას ამ თემაზე სხვა მნიშვნელობა არა აქვს.

თუკი დავუშვებთ კიდეც, რომ საიმპერატორო მთავრობამ ცნო ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, აქედან შეუძლებელი იყო გვეფიქრა ის, რა დასკვნაც ამიერკავკასიის დელეგაციამ გამოიტანა, რადგან ეს ცნობა შემოიფარგლებოდა მხოლოდადმხოლოდ საერთაშორისო პირად აღიარებით.

რაც შეეხება ტერიტორიის საერთაშორისო მდგომარეობის აღიარებას, რომელიც ნახსენებია ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების მე-4 გვერდზე, ვინაიდან ამიერკავკასიის მთავრობა არ წარმოადგენს აღნიშნული შეთანხმების მხარეს და მისი გაფორმების დროისთვის საერთაშორისო პირიც კი არ იყო, უფლება არა აქვს შენიშვნები გამოთქვას ამ შეთანხმების დადგენილებებზე და მათი აღსრულების წესზე. ოტომანთა დელეგაციის ხელმძღვანელი, მიუხედავად დიდი სურვილისა, რაც შეიძლება სწრაფად იქნას მიღწეული შეთანხმება, თავს ვალდებულად თვლის მიუთითოს, ამიერკავკასიის დელეგაციის დაჟინებას, აზრი გამოთქვას ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების ზემოხსენებულ გვერდზე, შეიძლება ჰქონდეს ძალიან სერიოზული შედეგი, მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში.

მინისტრი თავმჯდომარის საპასუხო ნოტა ოტომანთა დელეგაციის თავმჯდომარის მიმართ, 23 მაისი, №392 (თარგმანი)

ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტები მეცნობა ალექსანდროპოლის მოვლენების შემდეგ, ჩვენ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობისა და ბათუმის მოლაპარაკებების მიუხედავად, თურქული ჯარის მიერ ჩრდილოეთის მიმართულებით ჩატარებული ოპერაციის შესახებ.

გენერალი ნაზარბეკოვი[1] 20 მაისის დეპეშით მაუწყებს, რომ თურქეთის ძალები მოძრაობენ ქარაქლის მიმართულებით; სხვა დეპეშაში არის ინფორმაცია თურქული ძალების ქალთახჩიში მოძრაობის შესახებ, ასევე

[1] გენერალი ნაზარბეკოვი, — ნაზარბეკოვი (ნაზარბეკიანი) თომა ოვანესის ძე (1855-1931), სომეხი სამხედრო მოღვაწე, რუსული არმიის გენერალ-მაიორი, სომხური არმიის გენერალ-ლეიტენანტი, დაიბადა თბილისში, შეძლებულ ოჯახში, დაასრულა მოსკოვის II სამხედრო გიმნაზია, შემდეგ ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი, მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის და I მსოფლიო ომებში, ჰქონდა უამრავი სამხედრო ჯილდო. დამოუკიდებლობის შემდეგ ხელმძღვანელობდა სომხეთის არმიას, ოსმალეთთან და აზერბაიჯათან ბრძოლებში იყო მისი სარდალი. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა დაიჭირეს, გადაიყვანეს ჯერ ბაქოს, შემდეგ რიაზანის საპყრობილეში. ამნისტიის შემდეგ დაბრუნდა ოჯახში და უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1931 წელს, თბილისში.

იგდიარის და ბაშაბარანის რაიონებში ქურთული და თათრული ბანდებით გაძლიერებული რეგულარული ჯარების შეჭრის შესახებ. ბაშარაბანში სომხურ სოფლებში ჩატარდა ჩხრეკა; 15-დან 70 წლამდე ასაკის, მათი მთელი მამრობითი მოსახლეობა განიარაღებული იქნა და გაურკვეველი მიმართულებით წაასხეს.

ასეთია, როგორც ჩანს, ოტომანთა ჯარის აუხსნელი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ, რაც ყოველწუთს კიდევ უფრო უხეშ ხასიათს იღებს.

ვაუწყებ რა თქვენ აღმატებულებას ყოველივე ზემოთქმულის შესახებ, ჩემ მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მსგავსი მოქმედებები აშკარა წინააღმდეგობაში მოდის იმ მეგობრული განზრახვებისა და პრინციპების, რომელიც გამოხატა ოტომანთა საიმპერატორო დელეგაციამ როგორც მოლაპარაკებების დროს, ისე წერილობით დოკუმენტებში, რომლებიც ბათუმში გავცვალეთ.

ზემოთნახსენები გარემოება, მეორე მხრივ, შეუძლებელია ახსნილი იყოს ჯარების ალექსანდროპოლ-ჯულფის მიმართულებით გატარების აუცილებლობით; კიდევ უფრო ნაკლებად შეიძლება 15-დან 70 წლამდე მამაკაცების დაპატიმრება და საცხოვრებელი ადგილებიდან გაყვანა.

როგორც თქვენი აღმატებულებისათვის ცნობილია, რესპუბლიკის ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების შემოყვანის გამო პროტესტის გამოცხადებასთან ერთად, ამიერკავკასიის მთავრობამ, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთა, ალექსანდროპოლ-ჯულფის სარკინიგზო ხაზზე თურქული არმიის გადაადგილების გასაიოლებლად, ამ მიზნით სამხედრო ხელისუფლებებს შორის ტენიკური შეთანხმებაც კი იქნა დაშვებული.

აქედან ნათელია, რომ რესპუბლიკის მთავრობის მოქმედება სრულებით არ აძლევდა თურქეთის ჯარს ზემოთნახსენები მოქმედებების განხორციელების საფუძველს.

შედეგად, მაქვს პატივი, ჩემი მთავრობის სახელით ვთხოვო თქვენ აღმატებულებას, ინებოს ჩვენთვის ცნობება, მართლა ჰქონდა თუ არა ადგილი ზემოთჩამოთვლილ ქმედებებს, როგორც ამას ჩვენამდე მოსული ინფორმაცია ადასტურებს და თუ ასეა, გვაცნობოთ, რა ზომების მიღებას აპირებს ოტომანთა მთავრობა, მსგავსი ხელყოფის აღსაგველად.

იმ შემთხვევაში, თუ, როგორც ეს სავარაუდოა, ზოგიერთი ეს ოპერაცია მიეწერება თურქულ და ქურთულ ბანდებს, მე გთხოვდით მაცნობოთ, რომ თქვენი მთავრობა ემიჯნება მსგავს ქმედებებს.

თქვენ აღმატებულებას ვთხოვ, პასუხი რაც შეიძლება მალე მომანოდოს.

ჩხენკელი."[1]

ეს იყო ურთულესი დღეები ჩხენკელის ცხოვრებაში. მაშინ ის ქართველი ხალხის ლიდერს წარმოადგენდა და მასზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, მთავარი კითხვები კი ასე ეღერდა: გადარჩება კი საქართველო? რა გზის არჩევაა ამისთვის საჭირო? როგორ უნდა იარო ბეწვის ხიდზე შენს

[1] სცსსა, აღწერა 2, საქმე 252, ფ. 1.

ხალხთან და ქვეყანასთან ერთად ისე, რომ უფსკრულში არ გადავარდე?..

აი, როგორ იგონებდა აკაკი ჩხენკელი ბათუმის კონფერენციას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1930-იან წლებში.

ხელნაწერი, რომელიც მის პირად არქივშია შენახული, დასათაურებულია ასე: „პირველი დიპლომატიური ნაბიჯი (მოგონებიდან)". აქ ის ეხება ბათუმის კონფერენციისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და პასუხს სცემს იმათ, ვინც აკრიტიკებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, არ თვლიდა მის წევრებს ქვეყნის დამოუკიდებლობის მომხრე და მოსურნე ადამიანებად, თითქოს ისინი გარეშე ძალებმა აიძულეს ასე მოქცეულიყვნენ. ჩხენკელი წერდა, რომ ეს ასე არ იყო.

საკმაოდ ვრცელ სტატიაში, იგი აღწერდა ბათუმის კონფერენციის დეტალებს, იმ პირველ დიპლომატიურ ნაბიჯს, რომელსაც ქართველი პოლიტიკოსი დგამდა. ალბათ ეწყინებოდა და წყენია კიდეც ზურაბ ავალიშვილისეული მოგონება იმავე მოვლენებზე, სადაც ცოტა ირონიაც გამოკრთოდა ჩხენკელზე, რომელიც სული და გული იყო ამ დიპლომატიური საკონფერენციო ომისა. ავალიშვილი მას კი არა, უფრო თავის თავსა და ღვაწლს ნარმოაჩენდა. ჩხენკელს ასეთი რამ არ ესიამოვნებოდა იმ ადამიანისგან, რომელსაც სულ ესარჩლებოდა და თანაპარტიელებს საყვედურობდა, ასეთ ნიჭიერ კაცს რატომ არ ენდობითო. ავალიშვილი მან მიიყვანა ქართულ დიპლომატიურ ასპარეზზე და გაკვირვებია მისგან გადამეტებული თავის ქება, მისდამი გულგრილი დამოკიდებულება. სხვას თავად ეს სტატია გეტყვით:

„ვერ ნარმოიდგენთ, რანაირ უსუსურობას, მეტი რომ არ ვთქვათ, იჩენენ ისინი, ვინც ამბობს, ვითომ ჩვენი დამოუკიდებლობა ნაკარნახევი იყო გარედან, ოსმალო ან გერმანელისაგან, ვითომ ჩვენ კიდეც მოვიწვიეთ ისინი! ვინც ამას ამბობს, არ მოსდის თითქოს თავში, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა, ისე როგორც პოლონეთის, ბალტიის რესპუბლიკების, ფინლანდიის, პირდაპირი შედეგი იყო საიმპერიო რუსეთის დამარცხებისა და დაშლის.

მაგრამ დავუბრუნდეთ ოსმალოთ და გერმანელთ, განა ჩვენ მოვიყვანეთ ისინი? არა, რასაკვირველია, თვითონ მოვიდნენ ბრესტ-ლიტოვსკის შემდეგ, იქ დათმობილ საქართველოს და სომხეთის ერთი ნაწილის დასაკავებლად. ჩვენ გავუძალიანდით, წავაგეთ — აქედან ბათუმის კონფერენციაც.

და აი, ამ კონფერენციაზე ვიხილეთ პირველად გერმანიის დელეგატი. ჩვენ ერთი თვე ველაპარაკეთ პირისპირ ოსმალეთის დელეგაციას ტრაპეზუნდში და იმათ ვეკითხებოდით, რატომ გერმანიამ, ავსტრო-უნგრეთმა და ბულგარიამ არ გამოგზავნეს თავიანთი დელეგატები-თქო. მაშასადამე, გერმანელების გამოცხადება ბათუმში ახალი საყურადღებო მომენტი იყო.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვიცოდით წინასწარ, როგორ უნდა მივდგომოდით მათ, ან კიდევ, როგორ მიუდგებოდენ თვითონ ისინი ჩვენ საქმეს. მდგომარეობა კი მეტის მეტათ მძიმე იყო. ოსმალომ გადალახა ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრები, დაიკავა ნახევარი სომხეთი, შეიჭრა საქრისტიანო საქართველოში, მისი ხალხი მბრძანებლობდა განჯას, ბაქო კი ბოლშევიკების ხელში იყო. საზავო პირობები, რომელიც მან წარმოგვიდ-

გინა, მოითხოვდა მთელს მესხეთს ჩვენგან, გუმრის და ეჩმიაძინის მაზრებს სომხეთისაგან, და კიდევ უპირატესობათა მთელ რიგს ომის უფრო მარჯვედ გასაძღოლათ ინგლისის წინააღმდეგ სპარსეთში.

საჭირო იყო შექმნილი მდგომარეობის დიდის წინდახედულობით დაფასება და ერთი გარკვეული ხაზის აღება დაუყონებლივ. რა ხაზი იყო ეს? ცდა, მიგვემხრო გერმანელი და დავა ჩვენსა და ოსმალოს შორის მათზე, ე. ი. ოსმალოსა და გერმანეთს შორის გადაგვეტანა! მაგრამ როგორ? ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მომარჯვებით, ერთის მხრით, და მათთვის აუცილებელი სატრანსპორტო საშუალებათა დათმობით, მეორეს მხრით. ჩვენ ვამბობდით: **დამარცხებული ვართ, მშველელი არავინ გვყავს, არ მივცემთ — თვითონ წაიღებენ; სამაგიეროთ, გერმანელი არ მოისურვებს ისე ადვილათ ბრესტ-ლიტოვსკის აქტის ცალი მხრით გადასინჯვას ოსმალოს მიერ, სხვა მოკავშირეთა უნებურათ...**

ჩვენ გვქონდა სულ ერთი სხდომა, ანუ უკეთ, კონფერენციის გახსნა, როცა ოსმალოსაგან „ზავის და მეგობრობის" პროექტი მივიღეთ. დანარჩენი დრო მოვანდომეთ ნოტებით კამათს ოსმალოსთან ბრესტ-ლიტოვსკის ირგვლივ და კერძო შეხვედრებს მასთანვე და გერმანელთან, ცალ-ცალკე. აქ უნებურათ მაგონდება ბ. ზ. ავალიშვილის ერთობ მხიარული აღწერა ამ ამბების, და თან ისე, ვითომ მის უმისოთ ნაბიჯიც არ გადადგმულა, თუმცა მეტ შემთხვევაში ის არაფერ შუაში იყო და არც არაფერი იცოდა, რასაც მე ახლა უნდა გაგიტყდეთ, ყველაზე ნაკლებ ვნანობ... ერთს მაინც ვერ ვაპატიებ ჩემს უსნორო „მრჩეველს": ასეთი გარდაუვალი პიროვნება ჩვენი დიპლომატიისათვის, და ისიც კი არ ჩამითვალა დამსახურებად, რომ მე თვითონ გამოვნახე ის და ჩავაბი მუშაობაში! მაგრამ ბატონი ზურაბი ისედაც დასჯილია იმით, რომ მისი წიგნიდან გვიშენენ დღესაც მძიმე ყუმბარებს, არას ვამბობ შალვა ელიავას წინასიტყვაობაზე[1].

ერთი სიტყვით, ჩვენ სულაც არ ვიყავით მხიარულ გუნებაზე და თვით საქმეც არა ყოფილა ისე მარტივი, დიდი ომი ჯერ კიდეც გრძელდებოდა, მაშასადამე, წარმოუდგენელი იყო, რომ გერმანიას მოესურვებია ჩვენი გულისთვის მის მოკავშირე ოსმალეთს აშლოდა... თან ოსმალოს ჯარი ჰყავდა კავკასიაში, გერმანელს კი არა. მაშ, როგორ გნებავთ, რომ პირველს შეესმინა მეორის რჩევა?

მართალია, ჩვენი პროგნოზი სწორი გამოდგა: გერმანიის პირველ დელეგატს გენერალ ფონ ლოსოვს ძალიან არ მოსწონდა ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრების გადალახვა. მას აფიქრებდა განსაკუთრებით რუსეთის შეურიგებელი პოზიცია — დაკარგულ ტერიტორიებზე კიდევ არაფერი

[1] შალვა ელიავა, — შალვა ზურაბის ძე ელიავა (1885-1937), ქართველი ბოლშევიკი, სკკპ (ბ) ნევრი 1904 წლიდან, ეკონომისტი, დაამთავრა ბერლინის უნ.-ი და მუშაობდა გერმანიასა და იტალიაში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იქორწინა ეკატერინე კერესელიძეზე, რომლის მამა — გიორგი კერესელიძე გენერალი იყო. დედა — მარიამ ლორთქიფანიძე — ქუთაისის ქალაქის თავის ქალიშვილი. 1934 წელს შალვა ელიავა სსრკ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ აირჩიეს, 1937 წელს დააპატიმრეს მემარჯვენე ძალებთან თანამშრომლობისა და ჯაშუშური საქმიანობის ბრალდებით. 1937 წლის 12 დეკემბერს დახვრიტეს. დარჩა ერთი ქალიშვილი, მსახიობი ლია ელიავა. ტექსტში საუბარია იმაზე, რომ 1927 წელს გამოცემული ზურაბ ავალიშვილის წიგნისათვის მას წინასიტყვაობა დაუწერია.

წაემატებია. ამიერკავკასია ჯერ არავისგან იყო ცნობილი და ფორმალურათ რუსეთის ფარგლებში ითვლებოდა და ამიტომ გერმანია გაურბოდა ახალ გართულებას მასთან. ფონ ლოსევმა ბევრი ეცადა ჩვენ და ოსმალო მოვერიგებიეთ, შუაკაცობაც კი იკისრა ოფიციალურათ, მაგრამ ვერას გახდა, ოსმალეთის პირველი დეპუტატი, იუსტიციის მინისტრი ხალილ ბეი იმეორებდა კონფერენციაზედ წამოყენებულ დებულებებს: ტრაპეზუნტის ზავი ამიერკავკასიის სეიმმა არ დაადასტურა, პირიქით გვეომა და წააგო, მაშ ჩვენ ეხლა ვერ დავჯერდებით ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრებსო.

ხალილ ბეი ასრულებდა თავის მთავრობის დირექტივებს, მაშინ, როდესაც ფონ ლოსევს არ ჰქონდა მაგარი ზურგი იმავ სტამბოლში. იქ მაშინ ელჩად იჯდა გრაფი ბერნსტორფი, სწორეთ ის ბერნსტორფი, რომელმაც ეხლახან გაითქვა სახელი ჟენევაში თავისი „ბოლშევიზანობით"! აი, ეს ელჩი, შეშინებული იმით, რომ ოსმალეთი გადაუდგებოდა გერმანიას, ძალიან ერიდებოდა თალაათ-ენვერ-ჯემალის წყენას და ურჩევდა გერმანიის დელეგატს ბათუმში დათმობას და კიდევ დათმობას.

არ ვიცი, გამოქვეყნდება თუ არა ერთ დროს ფონ ლოსევის და ბერნსტორფის არა ერთი ბაასი პირდაპირი მავთულით, ან კიდევ მათი მიწერ-მოწერა, ცხადია მხოლოდ, რომ ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომელი ერთი თვალსაზრისი გაიმარჯვებდა. ფონ ლოსევი ეყრდნობოდა „დიდ შტაბს", ხოლო ბერნსტორფი — საგარეო სამინისტროს. უნდა ითქვას, ბათუმი არ იყო ისეთი კარგი სტრატეგიული პუნქტი, როგორიც სტამბოლი: მთელი კავშირი როგორც ბერლინთან, ისე ფრონტთან ბერნსტორფის ხელთ იყო, ასე რომ, მას საშუალება ჰქონდა ფონ ლოსევის მოხსენებანი თავისი „დასკვნებით" გაებათილებია!

და ეს ჩვენ მაშინ ვიგრძენით, როცა ფონ ლოსევმა განაცხადა მოულოდნელათ, რომ საჭიროა მისი გამგზავრება ბერლინსა და ფრონტზედ, სადაც მას კაიზერის „დიდი შტაბი" ეგულებოდა. მაგრამ ამ განზრახვას ბერნსტორფი გადაეღობა წინ, ჯერ ზავი შეკარითო — თვლიდა ის. ცხადი იყო ჩვენთვის, რომ ფონ ლოსევმა წააგო ბრძოლა უმაღლეს ინსტანციებში. . .

ხალილ ბეიც, რა თქმა უნდა, გულზედ ხელდაკრეფილი არ იჯდა და ცდილობდა ჩვენს წაჩოქებას. ყოველ შეხვედრაზე იმას გვეუბნებოდა, ჩამოსცილდით მაგ გერმანელს, საქმე მარტო ჩვენთან დაიჭირეთო. დიდის სიამოვნებით, ვუპასუხებდით ჩვენ, ოღონდ ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრებს ნუ გადადიხართ-თქო.

საუბედუროთ, ყველა ამას დაერთო არაერთსულოვნება დელეგაციაში. აზერბაიჯანელები, რაც დრო გადიოდა, დაჟინებით მოითხოვდნენ დათმობას. ჩამოვიდა არაოფიციალური დელეგაციაც განჯიდან და ჩვენს ზურგს უკან გაუმართა მოლაპარაკება ოსმალოს! ისინი ასე ასაბუთებდნენ ამ საქციელს: ოსმალოს დახმარება გვჭირია ბოლშევიკების ბაქოდან გასაძევებლათო.

ამრიგათ, ამიერკავკასიის რესპუბლიკა არ არსებობდა ფაქტიურათ: აზერბაიჯანი და სომხეთი მეტ-ნაწილათ დაკავებული იყვნენ გარეშე ძალებ-

ისაგან, დარჩა მხოლოდ საქრისტიანო საქართველო, რომლის ერთი გვერდი უკვე შელეწილი იყო და ოსმალო სხვა მხრიდანაც უვლიდა მას. საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა! ამ დიდ ფაქტს ფრიად საინტერესო პროცედურა უძღოდა წინ, მაგრამ ეგ არ არის ჩვენი დღევანდელი თემა.

ფონ ლოსევმაც მაშინვე გააკეთა თავისი დასკვნა, როგორც კი გაიგო ჩვენი განზრახვა: ამიერკავკასია ჰქრება, მაშინ ჩემი მანდატიც ჰქრება, ზავი მხოლოდ მასთან უნდა შემეკრა, გავეშურები შინ ახალი ინსტრუქციებისათვის! თქვა და მაშინვე გემი „მინა ჰორნის" მოკაზმვას შეუდგა.

ამ დროს ჩვენ უკვე ხელთ გვქონდა ხალილ ბეის ულტიმატუმი: სამ დღეში ან მიიღეთ ჩვენი პირობები, ან სამხედრო მოქმედებას დავიწყებთო. ამუშავდა აპარატი ბათუმსა და სტამბოლს შორის: ფონ ლოსევი მიდის, შეაჩერეთ — მოითხოვს ხალილ ბეი. ის ეხლა არც კი ერიდება თავის კოლეგას და აპარატსაც არ აძლევს დასალაპარაკებლათ — გაფუჭებულია, დაკიდებულიაო!

ჩვენც ვეუბნებით თფილისს: დააჩქარეთ დამოუკიდებლობის გამოცხადება, სანამ ულტიმატუმის ვადა არ გასულა.

დადგა 26 მაისი, მოდის დეპეშა და ფონ ლოსევიც ადის გემზედ თავისი ბარგი-ბარხანით. ღუზა აღებულია, გემი იძვრის, ჯერ კიდევ ახლო ნაპირთან, ხმის მიტანება შეიძლება. ამ დროს ჩნდება ხალილ ბეის კურიერი, კონვერტით ხელში: „უბრძანეთ გააჩერონ გემი ღენერალო! მაქვს გადმოსაცემი მინისტრისგან!" — აჩვენებს კონვერტს. გემი უმატებს სვლას, არაფერი ესმით არც ღენერალს, არც მის ამალას, ჰქრება.

არ იყო ძნელი მისახვედრი, რა უნდა ყოფილიყო კონვერტში: ბერნსტორფის საშუალებით გადმოცემული ბრძანება ბერლინიდან: არ დაიძრათ ადგილიდან! მაგრამ ფონ ლოსევისათვის არ არსებობდა ეს ბრძანება, მას არ ჩაუბარებია, რადგან წასული შეიქნა! მან არც სტამბოლი გაიარა, კონსტანცა-რუმინიით გაეშურა ბერლინს...

ჩვენც, რა თქმა უნდა, განვუცხადეთ ხალილ ბეის, თფილისს მივდივართ, ეხლა უკვე საქართველოს მთავრობისგან „ინსტრუქციების მისაღებათ-თქო"! გაცილება ძალიან საზეიმო იყო ბათუმის სადგურზედ, ქათინაურებს ბოლო არ უჩანდა აქედან, განსაკუთრებით ჩვენსა და ვეჰიბ-ფაშას შორის!

აი, ეს გახლდათ ჩვენი პირველი დიპლომატიური ნაბიჯი. აღწერა სქემატურია, უსულო ჩონჩხია, თუ გნებავთ, მე ამას კარგათ ვგრძნობ... მაგრამ ერთი მაინც აშკარაა: **არ იყო მთლათ ურიგო ეს ნაბიჯი, გასაწითლებელი არაფერი გვაქვს. ვიცი, მტრები გვიკიჟინებენ: თქვენ სხვა და სხვა ქაღალდებს მოაწერეთ ხელიო. დიახ, მართალიცაა, მაგრამ ისიც არ დაგვიწყნია, როცა ხელს ვაწერდით, რომ ომი გრძელდებოდა და საბოლოო არაფერი იყო; ხოლო დასახული ამოცანა პირნათლათ ავასრულეთ: ქვეყნის გადარჩენა აოხრებისაგან."**[1]

ამ მოგონებიდან კიდევ უფრო თვალნათლივ ჩანს, რა საფრთხის წინაშე იდგა 1918 წლის გაზაფხულზე საქართველო და რა ააცილა ჩვენ ქვეყანას ჩხენკელის დპლომატიურმა ხედვამ. სხვათაშორის, ბათუმის კონფერენ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 246, ფ. 1-4.

ციის მონაწილე სხვა პარტიული კუთვნილების ქართველებიც, იმ კონ-ფერენციას მისი რეკომენდაციით ესწრებოდნენ, მისი რჩევით დაევალათ მათ ამ დიდ ეროვნულ მომენტში მონაწილეობა (დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის შედგენა), რადგან მათ მაშინდელი სოციალ-დემოკრატი ლიდერ-ები, რომლებიც ამიერკავკასიის მთავრობის სათავეშიც იდგნენ, დიდად არ სწყალობდათ და, შესაძლოა, რომ არა ჩხენკელის დაჟინებული მოთხოვნა, ახლოსაც არ გაეკარებინათ.

ჩხენკელის დიპლომატიური ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ უცხოელ ავტორებსა თუ პოლიტიკოსებს. აი, მაგალითად, რას წერს **ფრანგი ავტორი პოლ ჟანტიზონი აკაკი ჩხენკელის შესახებ. ნაწყვეტი წიგნიდან — „წამებული საქართველო“:**

„კარგად ვიცნობდი ბატონ ჩხენკელს, კავკასიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უბადლო მცოდნეს. ამ დროისათვის მას არავითარი ოფიციალ-ური თანამდებობა არ აქვს, მაგრამ მან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრუ-ლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. 1918 წელს თურქეთთან და გერმანიასთან გამართული ურთულესი მოლაპარაკებების სულისჩამდგ-მელი იყო თანამოკავშირულ გამარჯვებამდე. როგორც ამიერკავკასიის მთავრობის წევრი, თავდაპირველად ის ტრაპიზონში გაგზავნეს, როგორც ქართველთა, თათართა და სომეხთა დელეგაციის მეთაური, რომელსაც ყველანაირად უნდა მოეხერხებინა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების იმ მუხლების შესრულების თავიდან აცილება, რომელიც ამიერკავკასიას ეხ-ებოდა. „რუსეთს არა აქვს უფლება ჩვნს ნაცვლად აწარმოოს მოლაპარაკე-ბები“, — ეუბნებოდა ის თურქ დელეგატებს, რომელნიც ხელშეკრულებ-ის დაუყონებლივ აღიარებას ითხოვდნენ. მოლაპარაკებები ჩავარდა, ამიერკავკასიურმა სეიმმა დელეგაცია გამოიხმო და, ვირტუალურად, თურქეთი და ამიერკავკასია საომარ მდგომარეობაში გადავიდნენ.

ენვერ ფაშას ჯარებმა დაიკავეს ბათუმი და სომხეთის ნახევარი იმგ-ვარად, რომ ვერცერთი მნიშვნელოვანი ძალის დაპირისპირება ვერ მოხ-ერხდა, მოლაპარაკებები განახლდა ბათუმში, მაშინ, როდესაც თურქები წინ მიიწევდნენ და თფილისს ორმოცდაათი კილომეტრის დისტანციაზე მიუახლოვდნენ.

სწორედ ამ დროს გერმანიამ გადაწყვიტა, ორ მხარეს შორის შუამავ-ლის როლი ეკისრა, ის ძალიან დიდი წუხილით აკვირდებოდა თურქულ საჯარისო ნაწილებს მესოპოტამიიდან, სადაც ინგლისელებს ჰქონდათ გავ-ლენები, ეს ფრონტი იცლებოდა კავკასიის ფრონტზე გადმოსასვლელად. ამგვარად, გერმანიამ თურქული ჯარების თფილისისკენ სვლის შეჩერ-ება მოითხოვა, ამასთან, ამიერკავკასიის დაშლა იწყებოდა, ერთი მხრივ, სომხეთის დიდი ნაწილის ოკუპაციის გამო და, მეორე მხრივ, თათრების დადებითი დამოკიდებულების გამო თურქების მიმართ, რომლებიც დიდ ყურადღებას არ ავლენდნენ კაიზერის ოფიცრების ბრძანებების მიმართ.

საქართველომ თავი ვალდებულად ჩათვალა, დამოუკიდებლობა გამოე-ცხადებინა, რომელსაც თავის მედიტაციაში დიდი სარგებლობის ნახ-

ვის იმედი ჰქონდა, თურქული ჯარების წინააღმდეგ განალაგა საკუთარი ჯარების პოსტები, გზებზე გერმანული დროშებით. ოსმალებმა ვერ გაბედეს თავის თანამოკავშირეებთან დაპირისპირება და გერმანიამ ამგვარად გადაარჩინა საქართველო თურქული შემოსევისაგან, ზედმეტი გულმოდგინებისა და ქველმოქმედების გარეშე ამ პატარა ქვეყნის მიმართ.

ბატონმა ჩხენკელმა წარმართა სრულად ეს მოლაპარაკებები და უნდა აღვნიშნოთ, რომ მან ეს საქმე შესანიშნავი სიმარჯვით მოახერხა. რაკი ასეთი იყო საქართველოს ბედნიერი ხვედრი, მას, ამ კრიტიკულ ჟამს, როდესაც თავის მხრივ, უამრავი საფრთხე გროვდებოდა სასაზღვრო ზოლებში, თავის განკარგულებაში მრავლად ჰყავდა მტკიცე ხასიათის, მაღალი ინტელექტუალური და მორალური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებანი, რომელნიც გამოწვრთნილნი იყვნენ პოლიტიკურ ბრძოლებში თავისი მტრული დამოკიდებულებით ცარიზმის მიმართ, მაღალი ღირებულებების, ენერგიული, შეუპოვარი და მტკიცე სახელმწიფო პირთა პლეადა, რომელთა საკრალური პრინციპი იყო — მცირე ერებს, ისევე, როგორც დიდს, ჰქონოდათ არსებობის უფლება, განმსჭვალულიყო იმ იდეით, რომ ეროვნულობის შენარჩუნება არაფრით ეწინააღმდეგება დემოკრატიას".[1]

აკაკი ჩხენკელის დიპლომატიური მოღვაწეობა დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წლებში)
რუსეთი თუ ევროპა?

> **„ჩემში არ ლაპარაკობს პირადული მომენტის ერთი ნატამალიც, მე მზად ვარ ყველაფერი დავთმო, არ მინდა არავითარი თანამდებობა, მამუშავეთ როგორც შავი მუშა, ოღონდ იდეა დამოუკიდებლობისა აღდგეს ჩვენში".**
>
> **აკაკი ჩხენკელი**

აკაკი ჩხენკელს ხშირად უხდებოდა პრორუსულად მოაზროვნე ქართველებთან კამათი, რასაც მწვავე ხასიათი ჰქონდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას იმდროინდელ რუსეთის საზოგადოებაში ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა. მის შემდეგაც, ხშირად გაისმოდა: საქართველოს დამოუკიდებლობა იყო შემთხვევითი აქტი, ის გააზრებული არ ჰქონია მაშინდელ მმართველ პარტიას, მათ არც სურდათ ასეთი რამო და ა. შ. ამ კრიტიკას მაშინვე სცემდა პასუხს საქართველოს მოწინავე საზოგადოება. ზ. ავალიშვილი წიგნში — „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში", განიხილავდა ქვეყნის სახელმწიფოებრი-

[1] ტიერი ბერიშვილი, ქართული სოციალ-დემოკრატია 1880-1953 წლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 229-231.

ობის ეტაპებს, ასკვნიდა, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციას საქართველო განვლილი ისტორიის მანძილზე არ მოწყვეტილა და 1918 წელს მან ბუნებრივად აღადგინა დამოუკიდებლობა, რაც ნაყოფი იყო 1801 წლიდან ქართველი ხალხის თავდადებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა. „წარსულთან ასეთი კავშირისა და წარსულის ასე გათვალისწინების შემდეგ, — წერდა იგი, — უნაყოფო და ამაო იქნებოდა, საქართველოსა და კავკასიის სხვა ერების დღევანდელ პოლიტიკურ მოძრაობაში ვხედავდეთ გარეშე გარემოებათა, ინტრიგებისა და პატივმოყვარეობის შემთხვევით ნაყოფს. იგი უეჭველად, ფესვებით ღრმად ნიადაგში ჩასული ძველი ხის ახალი ყლორტია"[1].

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აკაკი ჩხენკელი დაინიშნა ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრად, შემდეგ კი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად ევროპაში. მისი ამოცანა იყო ევროპის სახელმწიფოებში დამოუკიდებელი საქართველოს, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი ვექტორების შესახებ ცნობების გავრცელება, ხელის შეწყობა ევროპულ სახელმწიფოთა მიერ მისი აღიარებისათვის, ევროპულ ოჯახში ინტეგრირებისათვის, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების საერთაშორისო ბერკეტებით მოგვარებისათვის და სხვ.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ის გაჰყვა დელეგაციას ბერლინში, რათა 28 მაისს ფოთში დადებული საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის შეეწყო ხელი და გერმანულ პოლიტიკურ წრეებში საქართველოს ინტერესების დაცვის იდეა განემტკიცებინა. გერმანიაში ის რამდენიმე თვე დარჩა.

გერმანიასთან გართულებული ვითარება ემთხვეოდა თავად ამ ქვეყნის შიგნით მომხდარ ურთულეს პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებს, რასაც კარგაად ასახავს აკაკი ჩხენკელის მიერ ბერლინიდან ნოე რამიშვილთან გამოგზავნილი წერილები. ეს წერილები დაწერილია 1918 წლის სექტემბერ-ნოემბერში და ეხება გერმანელებთან ურთიერთობის გაუმჯობესების, გერმანიაში რევოლუციის მიმდინარეობის, საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საჭირო გზების გამონახვის აუცილებლობას.

წერილებში კარგად ჩანს ამ პერიოდის ქართული სახელმწიფოს პრობლემები, მისი მმართველი პარტიის მისწრაფება — დამოუკიდებელი ქვეყნის ინტერესების დაცვა ყველანაირი საშუალებითა და პოლიტიკურ-დიპლომატიური გზით მოეხერხებინა, აქ ასევე იკვეთება ახალგაზრდა ქვეყნის ჯერ კიდევ გამოუცდელ დიპლომატთა ნიჭი და სამშობლოსადმი სიყვარული. მთავარი, რაც ამ წერილებიდან ჩანს, არის აკაკი ჩხენკელის ერთგულება საქართველოს დამოუკიდებლობისადმი, მისი შეურიგებლობა იმ თანაპარტიელებთან, რომლებიც კვლავ რუსეთისკენ იხედებოდნენ, ამიტომ გაუბედავი და არაეფექტური იყო მათი ეროვნული პოლიტიკა.

ჩხენკელისთვის მთავარი ფასეულობა იყო **ქვეყნის დამოუკიდებლობა**

[1] ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები, გამომცემლობა „მხედარი", თბილისი, 2011, გვ. 7.

და ევროპული ორიენტაცია. მას თანამოაზრედ მიაჩნდა წერილის ადრესატი — ნოე რამიშვილიც, ამიტომ უზიარებდა მას თავის ეჭვებსა და აზრებს. ისინი, ვისზეც მიუთითებდა, როგორც არაპრინციპულ და პრორუსულ პოლიტიკოსებზე, დასახელებული არაა, მარამ ვხვდებით, რომ ასეთი პიროვნებები ამ დროს სახელმწიფოს სათავეში უნდა ყოფილიყვნენ და ისინი, წერილის ავტორის აზრით, აბრკოლებდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინსვლას. ეს აქცენტები კარგად იკითხება ქვემოთ წარმოდგენილ საკმაოდ ვრცელ ბარათში, რომელიც ბერლინიდან საიდუმლოდ გადმოუგზავნა ნოე რამიშვილს, როგორც თავის თანამოაზრესა და საქართველოს დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ ყველაზე შეუპოვარ მებრძოლს.

29. IX.18, ბერლინი

„პირადათ საიდუმლოთ

ძვირფასო ნოე,

შენი წერილი მივიღე. მე აქ მინდა შევეხო მხოლოდ ერთ დიდ საკითხს, რომელსაც კავშირი აქვს ყველა სხვა საკითხებთან. ეს არის **საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი, მხედარი პოზიცია მის მიმართ. უნდა გამოვტყდე, არათუ ჩვენი პარტია საერთოთ, არამედ ხელმძღვანელნიც რაღაც რყევაში არიან, მათ თითქო არ სჯერათ გულის სიღრმეში დამოუკიდებლობის შესაძლებლობა, ზოგს შეიძლება არცა სურს ეს. ასეთი ფსიხოლოგიური მიდრეკილება მთავარი მიზეზია ჩვენი უძლურებისა.** ჩვენს შორის ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენიათ ნათლათ, თუ რა მოუვიდა რუსეთს, თორემ მასთან ხელახლა გაერთიანება თუგინდ რომ შესაძლებელი იყოს ეს, სასტიკ პროტესტს უნდა იწვევდეს მათ არსებაში. მთლიანი რუსეთი შესაძლებელია, როგორც რეაქციონური, ეს იცის ყველამ, მაგრამ არავინ უნევს ანგარიშს იმას, რომ რუსეთი უკვე გადასროლილია რამდენიმე ათეული ნლით უკან, ამიტომ ის მხოლოდღა კოლონიადაა ქცეული, სულ ერთია, ვინც უნდა იყოს ბოლოს გამარჯვებული. ისპობა მისი მრეწველობა, ფინანსები, თვით ინტელექტი. სახელმწიფოს მექანიზმის მოსპობას თქვენ ახლა კარგად გრძნობთ, რა შედეგი მოსდევს, ხალხი გადაეჩვია თანდათან სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და უბრუნდება პირველყოფილ მდგომარეობას. რუსეთის გლეხობა, საუბედუროთ მუშათა კლასიც, წარმოადგენს სრულიად დარღვეულ-დაუკავშირებელ ბრბოთა ნაწილებს, რომლის ისევ თავმოყრას და დაქვემდებარებას საჯარო ნორმების წინაშე შესძლებს ერთადერთი — ფიზიკური შიში, სხვა არაფერი... **საქართველოს შეუძლია და მისთვის უფრო ხელსაყრელია პირდაპირი კავშირი იქონიოს დასავლეთ ევროპასთან, ამ გზით ის უფრო ადვილად შესძლებს ყველა თავისი ძალების განვითარებას.** საერთაშორისო კონიუნქტურა უეჭველათ ხელს უწყობს მის განვითარებას და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. ორივე კოალიცია, სულ ერთია ვინც მოიგებს, უფრო მოსალოდნელია ვერცერთმა ვერ მოიგოს ომი, — უეჭველათ დაინტერესებულია იმაში, რომ საქართველო და აქედან ამიერკავკასია მთიელებთან — შეიძლება დამოუკიდებელი და ნეიტრალური დარჩეს, ვინაიდან ეს დიდი შარაგზაა ევროპასა და აზიას შორის. ამავე დროს, ოსმალეთი რომ დასუსტებული გამოვა ამ ომიდან,

ეს თავისთავად ცხადია, ასე რომ, ის მიზეზი, რომელმაც ასოცი წლის წინათ რუსეთს შეგვაერთა, გაქრება. მეორეს მხრით, თუგინდ ეს ომი უკანასკნელი არ იქნეს, მეორე ომი ჩქარა მომავალში ყოვლად შეუძლებელია. ამ პირობებში ჩვენი დამოუკიდებლობა შეიძლება კიდეც განმტკიცდეს სამუდამოთ. ამბობენ, პატარა სახელმწიფოს არსებობა ძნელიაო, ეს მართალია, მაგრამ შესაძლებელი კი არის. **ასე წარმოიდგინე, ჩვენ იმდენად არ გველის გარედან შიში, რამდენათ შიგნით. ჩვენ თვითონ ძაბუნი ვართ, არ გვიღვივის ეროვნული თავისუფლების ცეცხლი გულში, არ გვასულდგმულებს მისწრაფება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი საქმიანობისადმი, რომელიც ერთადერთი საფუძველია ჩვენი ინდივიდუალურობის ყოველმხრივ დაწინაურებისა. ჩვენ ვართ ზარმაცნიც იმავე დროს, სისტემატურათ თავჩაქინდრული მუშაობა, რომელსაც მოითხოვს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ჩვენ არ გვეხერხება. გარწმუნებ, ჩემო უძვირფასესო ამხანაგო, ჩემში არ ლაპარაკობს პირადული მომენტის ერთი ნატამალიც, მე მზად ვარ ყველაფერი დავთმო, არ მინდა არავითარი თანამდებობა, მამუშავეთ როგორც შავი მუშა, ოღონდ იდეა დამოუკიდებლობისა აღდგეს ჩვენში.** ჩვენი მუშაობა უიდეოა, რუსეთის დარღვევასთან დავკარგეთ უნარი ენერგიული მუშაობისა ჩვენს ხალხში. რუსოფილური მიდრეკილება ჩვენი ერისა ემყარება ინერციას, ჩვენს პარტიას მაინც მართებს განთავისუფლდეს ამ ინერციისაგან, ჩაერიოს ხალხში თავისებურათ-ახლებურათ, ჩაუნერგოს მას ეროვნული გრძნობა, პასუხისმგებლობის შეგნება, ისა რომ, ის ახლა თვითონაა თავის ბედ-იღბალის გამომჭედი... აბა გადაშალე ჩვენი პრესა — მარტო გული გიკვდება, სხვა არაფერი. ჩვენი პარტია ისეთი ძლიერია, რომ მას ბევრი შეუძლია, მაგრამ მეათედსაც არ აკეთებს, არ აკეთებს იმიტომ, რომ თვით დამოუკიდებლობის იდეა დოქტრინალურათ აქვს შეთვისებული, გარეშე ძალისაგან თავზე მოხვეული, ის არ შეადგენს მის არსების ნაწილს.

კრესთან დამოკიდებულების გაცივება, იმედია, გარდამავალი ხასიათისაა. ლოსოვი მისწერს მას მეგობრულ დარიგებას, ის არაა ურიგო კაცი. შენი შიში გერმანიის გამზრახვების შესახებ ობიექტურათ უსაფუძვლოა. რა თქმა უნდა, თქვენ უნდა იცოდეთ, რამდენი ჯარი მოჰყავთ, სად, რისთვის, ერთი კია, ვინაიდან ომი კიდევ მძვინვარებს, კრესი არ იქნება ხშირათ იმ მდგომარეობაში, რომ ყველაფერი გაცნობონ. რომ გერმანიისაგან ჩვენ დაპყრობა არ მოგველის, ეს ცხადია არა მარტო იმიტომ, რომ მის იმპერიალისტებს ეს არ უნდათ, არამედ იმიტომ, რომ ეს არ ძალუძს მას და არც ხელსაყრელია მისთვის. ახლა აქ დიდი მიდრეკილებაა დემოკრატიზაციისადმი, თუ სისტემა მმართველობისა არ შეიცვალა, თუ რეიხსტაგს მეტი გავლენა არ მიეცა, გერმანიას განსაცდელი მოელის. რეიხსტაგის ყველა დეპუტატებს კარგად ესმით ჩვენი კითხვა, ისინი მხარს უჭერენ და მომავალშიც დაუჭერენ ჩვენს და საზოგადოთ კავკასიის დამოუკიდებლობას.

თავი და თავი, ვიმეორებ, ისევ ჩვენ ვართ, როგორ ვაფასებთ ჩვენ თვითონ ჩვენს დამოუკიდებლობას. აი, ამაში ეჭვი შეაქვთ გერმანელებს. ისინი ადევნებენ დიდის სიბეჯითით ჩვენს მიდრეკილებათ თვალყურს. ეს ბუნე-

ბრივია, რომ გერმანიის სამხედრო პირებს არ მოსწონთ ჩვენი რადიკალიზმი... მაგრამ ომის დაბოლოვება მოასწავებს ჯარების ჩვენი ქვეყნიდან გაყვანას. დღეს კი ძლიერ საჭიროა გერმანიის ჯარების ყოფნა ჩვენში, სანამ საკუთარ ძალებს არ შევქმნით. გერმანელებს იჭვი შეაქვთ ჩვენს აგრარულ კანონმდებლობაშიც. მე ვფიქრობ, თქვენ დაუბრუნდით ჩვენს ძველ პროგრამას, რომ კულტურული მამული პატრონს დარჩება, თუგინდ არ აღემატებოდეს ნორმას. ეს აუცილებელია ქვეყნის განვითარებისათვის. არას გზით არ გაიყვანოთ მადნეულების წარმოების ნაციონალიზაცია, ეს ჩვენს მდგომარეობაში განვითარების დახშვაა. რაც შეეხება მადნების საკუთრებას და საზოგადოთ სამთო კანონმდებლობას, ჩვენ უნდა ავიღოთ გერმანიის კანონდება, რომლის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ მიწისქეშ არსებულს სახელმწიფოს აკუთვნებს. სიჩქარე ამ მხრივ, სრულიად მეტია.

შენ განევს, ნოე, დიდი პასუხისმგებლობა, იმავე დროს შენი მხრით... განმტკიცება პარტიაში და იქედან ერში დამოუკიდებლობის ღრმა რწმენისა, სხვა დანარჩენი... დიდის ჭაპანწყვეტით თავისთავათ მოვა.

დიდი მოკითხვა

შენი აკ. ჩხენკელი[1]

ჩხენკელი ცდილობდა საქართველოს მთავრობისგან ყველაზე ნიჭიერი პოლიტიკოსების გაგზავნას ევროპაში, სადაც მათთან ერთად შეეცდებოდა საზოგადოებრივი აზრის შექმნას დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოზე, მის დემოკრატიულ და ჰუმანურ მისწრაფებებზე. 10 ოქტომბერს მისი ბერლინიდან ნოე რამიშვილთან გამოგზავნილი წერილი ამაზე მეტყველებს.

10. X.18, ბერლინი.

ძვირფასო ნოე!

გიორგი (გვაზავა) ეხლავე უნდა წამოვიდეს და მოგწერ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით კანდიდატებზე ჩვენი პარტიიდან, რომელნიც უნდა გამოიგზავნონ აქეთ, თანახმათ ჩემი წერილისა მთავრობის სახელზე. შენ, კაკი[2] და კარლო[3] ხართ ჩემი კანდიდატები, კითხვა მხოლოთ იმაშია, რომელს უფრო შეელევით ამ საშიშ მომენტში. მე ვფიქრობ, კარლოს ყველაზე ადვილათ შეელევით, ვინაიდან ის მხოლოდ თავმჯდომარეა საბჭოსი და სხვაში მაინცდამაინც არ უნდა იყოს გართული. სამაგიეროთ მას აქვს დიდი სახელი ევროპაში, თან პარლამენტის თავმჯდომარეა. ენის არცოდნა არაა საფიქრებელი, თარჯიმნით მშვენივრათ შეიძლება მუშაობა, თავი და თავი წარმომადგენლობაა. შენსა და კაკის შესახებ აბა რა უნდა ვთქვა! ორივე კარგი ხართ, ვისაც შეგელიონ, ის წამოვიდეს. წერეთელი და ჩხეიძე ევროპაში პატარა ბალღებმაც კი იციან. მე ვფიქრობ, ერთი კარლო უნდა იქნეს, მეორე კი შენ ან კაკი. თუ გაიხსენებ, რა დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციალ. პარტიებს, განსაკუთრებით ახლა, დამიჯერებთ, რომ მე

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწერა2, საქმე 83, ფ. 1-3.

[2] კაკი — ირაკლი წერეთელი.

[3] კარლო- კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე.

მართალი ვარ. შეიძლება და სასარგებლოც იქნება კოლია ქარცივაძეც[1] გამოაგზავნოთ, ენა იცის, განათლება აქვს და კარგი დამხმარე იქნება მუშაობაში. სხვა პარტიებზე არას ვამბობ. ყველა აიძულეთ, მართლაც შესაფერი გამოგზავნონ. იცოდე, ახლანდელ ჩვენ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაქსიმუმ 5, მეტი არაა საჭირო,

ნიკოს[2] სახელით მოგწერეთ. აკ. ჩხენკელი [3]

მომდევნო წერილი კიდევ უფრო მეტად აჩვენებს მთავრობაში შექმნილ რთულ სიტუაციას. პრორუსული ორიენტაცია ჯერ კიდევ შერჩენოდა მის ზოგიერთ წევრს, რაც აძნელებდა საერთო მოქმედებას და მრავალი საფრთხის წინაშე მდგარი ახალგაზრდა რესპუბლიკის მომავალს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. ამჟამად ჩხენკელი აქცენტს ირაკლი წერეთლის პრორუსულობაზე სვამდა. ის ხედავდა, რომ ევროპის ქვეყნებში სოციალისტები მოწინავე ადგილს იკავებდნენ, მაგრამ მათ სოციალიზმს არაფერი ჰქონდა საერთო ქართველი სოციალისტების პრორუსულ აზროვნებასთან.

16. X.18, ბერლინი

ძვირფასო ნოე,

მე უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მომავალი საერთაშორისო მოლაპარაკების დროს დიდ როლს ითამაშებენ სოციალისტური, საზოგადოთ მუშათა ორგანიზაციები. ამისათვის საჭიროა აუცილებლათ, რომ ჩვენი ცნობილი ამხანაგები ჩამოვიდნენ აქ სამუშაოთ. მე უკვე მოგწერე მაჩაბლის ხელით (სხვათა შორის მაჩაბელი ისევ უკან უნდა დაბრუნდეს, ის ძალიან ყოჩაღია) რომ თქვენ სამიდან (ნოე, კაკი, კარლო) ორი უნდა წამოვიდეს. კარლო არ არის თქვენთვის ისე აუცილებელი ჩემი წარმოდგენით. აქ კი, საზოგადოთ ევროპაში, მისი სახელი ძალიან გამოგვადგება. თქვენ ორიდან არ ვიცი, რომელი უფრო საჭირო ხართ მანდ. მე ვფიქრობ შენ, ამ შემთხვევაში **კაკი უნდა წამოვიდეს. მხოლოდ ერთი პრეზუმცია: თუ ის თავის რწმენით სავსებით შეურიგდა საქართველოს დამოუკიდებლობას!**

მე დამავიწყდა წინა წერილში შენთვის მეპასუხნა ერთ კითხვაზე: ფოთის ხელშეკრულებით ჩვენ სრულიად არ ვიყავით მოვალე ჩვენი გემები გერმანიისათვის გადაგვეცა ფაქტიურათ. ეს იყო ფიქტიური ქაღალდი, რომ ამით ოსმალეთი არ დაპატრონებოდა ჩენს გემებს. გაუწყებთ, რომ ამ ხელშეკრულებას, ახლა მაინც, არავითარი ძალა არა აქვს, ვინაიდან აქ ის არ დაგვიდასტურებია. უნდა შექმნათ განსაკუთრებული განყოფილება სამინისტროში, რომელმაც უნდა იკისროს სანავოსნო კადრის შეგროვება და ახლად შექმნა და გემები მას გადაეცით, კრესი თუ არ დაგეთანხმათ, ტელეგრამით მაცნობეთ. საზოგადოთ ფოთი სრულიად უყურადღებოთაა თურმე, საქონელი

---

[1] კოლია ქარცივაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე (1884-1937), დაიბადა ოზურგეთის რ-ნის სოფ. გოგიეთში, უმაღლესი განათლება (იურიდიული) მიიღო ჟენევაში, იყო 1904-1918 წლებში სკკპ(ბ) წევრი, 1918-1925—ში სოციალ-დემოკრატი (ე. წ. მენშევიკი), 1925-იდან უპარტიო; პარიტეტული კომიტეტის წევრი, მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების მომზადებაში, მუშაობდა ეკონომისტად, დააპატიმრეს 1937—ში და ბრალდებად წაუყენეს ყველა ის ქმედება, რაც წარსულში ჰქონდ, განსაკუთრებით „მენშევიკობა". ნ. ქარცივაძე დახვრიტეს.

[2] ნიკო — ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ამ დროს ჩხენკელთან ერთად იმყოფებოდა გერმანიაში.

[3] სცსსა, ფ. 1831, აღწერა2, საქმე 83, ფ. 4

არავის არ გაატანოთ, თუ სამაგიერო საქონლის შემოტანას წერილობით არ შეგპირდებიან. კარგი განწყობილება გერმანელებთან ამით არ ჩაიშლება.

შენი აკ. ჩხენკელი[1]

გერმანიასა და ევროპაში მიმდინარე მოვლენები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალი პერსპექტივა ევროპულ თანამეგობრობაში, ქართველ პოლიტიკოსებში რწმენის განმტკიცება, აი, რა იყო მისი ბერლინიდან 1918 წლის შემოდგომაზე გამოგზავნილი წერილების ძირითადი პათოსი.

25. XI.18, ბერლინი

ძვირფასო ნოე,

გერმანიის დიდი რევოლუცია განაგრძობს თავის მსვლელობას მწყობრათ და შეუშფოთებლათ. არის ნიშნები უთანხმოებისა ზედაპირზე, მაგრამ იმედია, აქაური ორგანიზატორული გენია სძლევს სტიქიას. გერმანიამ ქეყანა განაცვიფრა თავის ტეხნიკით და მეცნიერებით, შესაძლოა მან კიდევ უფრო გაანცვიფროს ის თავის პოლიტიკურ და სოციალურ ნაბიჯებით. სოციალიზმი დღის წესრიგშია. ამას ამბობენ ყოველი მიმდინარეობანი სოციალ-დემოკრატიისა, კამათია მხოლოდ მეთოდზე, როგორ უნდა განახორციელონ ის. ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა: თუ გერმანიამ საბოლოოთ შეინარჩუნა თავის თავისუფლებანი, ის გახდება ცენტრი საკაცობრიო განმათავისუფლებელი მოძრაობისა...

რა გავლენა იქონია ჩვენებზე აქაურმა ამბებმა, პირველ ყოვლისა, გერმანიის დამარცხებამ, მე არ ვიცი, თუმცა კონიას[2] ნაამბობმა ძალზე დამამშვიდა ამ მხრივ. ჩვენი მდგომარეობა, მე ვფიქრობ, არ არის ცუდი. **ჩვენ გადავარჩინეთ ქვეყანა აოხრებას, ანარქიას, ამ ბრძოლაში გაკაჟებულნი ჩვენი ამხანაგები ალლოს აუღებენ, იმედია, ახალ მდგომარეობას და ბოლომდე მტკიცეთ გაყვებიან ერთხელ არჩეულ თავისუფლების და დამოუკიდებლობის გზას.** იმ დროს, როცა ყოველი ქვეყნის დემოკრატია ძლიერდება და სახელმწიფოების მთავარ ფაქტორად ხდება, ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ჩვენს დამოუკიდებლობას ვერ შევინარჩუნებთ. ახლა დღიურ წესრიგში, როგორც კაუცკი ამბობს, არა მრავალერიანი სახელმწიფოებია, არამედ ეროვნულ სახელმწიფოთა კავშირი.

დიდი პასუხისმგებლობა აწევს ჩვენს პარტიას კისერზე, რყევა და ხასიათის სისუსტე მომაკვდინებელი იქნებოდა ახლა მისთვის. რუსეთისაკენ პირის გაკეთება ეროვნულათ სახიფათო იქნებოდა, ხოლო ეკონომიურათ და პოლიტიკურათ უკანსვლას მოასწავებდა ჩვენთვის. სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, საკუთარ ძალაზე დაყრდნობა და ამრიგათ ქვეყნის მოვლა ანვითარებს უმწვერვალესათ ერის შემოქმედებით ნიჭს ყოველ დარგში, ის აღწევს ამ გზით უფრო ჩქარა და ადვილათ თავის მიზნებს.

ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ ძალათ შეგვაერთებენ რუსეთს, შეუძლებელია, დაუშვებელია. არასგზით არ უნდა შეიცვალოს პარტიამ თავისი პოზიცია, თუგინდ პირველ შეხვედრაზე ანტანტის წარმომადგენლები ცივად შეხ-

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწერა2, საქმე 83, ფ. 5.

[2] იგულისხმება საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) კონსტანტინე გვარჯალაძე.

ვდნენ ჩვენს დამოუკიდებლობას, ეს ტაქტიკა, საზოგადოთ, მიღებულია დიპლომატიაში, ამან არ უნდა შეგვაშინოს. მედგრათ, უკომპრომისოთ უნდა დავიცვათ მათ წინაშე ჩვენი დამოუკიდებლობა. ყოველი თავის მართლება, ბოდიში, სრულიად მეტია, როგორც ეს გამოსჭვივის კაკის მემუარიდან. იქ ყველაფერია, მხოლოდ ერთი არაა — ესაა მტკიცე და შეურყეველი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი. მე ვწერ მას დაწვრილებით...

ეს სტიქონები მეტია, იტყვი შენ, მეც გეთანხმები, მხოლოდ **რაღაც უჩინარი ძალა ჩამძახებს სულ ერთსა და იმავეს: გეშინოდეს, შენიანებმა არ გადაუხვიონ გზას!**

აკ. ჩხენკელი.[1]

ან კი, როგორ არ უნდა შეშინებოდა! ზოგი ახალი გადმობარგებული იყო ბოლშევიკური პარტიიდან, ზოგიც იქით უფრო იხედებოდა, ვიდრე მისიანებისკენ. ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ნიადაგზე მტკიცედ მდგარი არცთუ ბევრი ჩანდა.

აკაკი ჩხენკელი საქართველოს დამოუკიდებლობის მთავარი არქიტექტორი იყო. მას ყოველმხრივ ჰქონდა გააზრებული ამ დიდი აქტის მნიშვნელობა. გერმანიაში წასული დაუღალავად წერდა წერილებს არა მარტო საქართველოს მთავრობის წევრებს, არამედ იმ დიპლომატებს, რომლებიც ახლად გამოცხადებული დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ მეზობელ ქვეყნებში, აძლევდა მათ სწორ პოლიტიკურ რჩევებს, უსახავდა დიპლომატიურ სფეროში მოღვაწეობის მიმართულებას, მოითხოვდა მათგანაც ყოველგვარ ინფორმაციას, რაც იმ ქვეყნებში ხდებოდა, საქართველოსთან დაკავშირებულ ყველა საკითხს აანალიზებდა.

ბერლინიდან, 1918 წლის 6 დეკემბერს გაგზავნილ წერილში ბიქტორ თევზაიას[2], უკრაინაში წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, საყვედურობდა პასიურობას, საჭირო ცნობების გაუგზავნელობას. თავად ყველა იმ სიახლეს აცნობდა, რაც ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკაში საქართველოს ეხებოდა. „ჩვენს ნაბიჯებს აქ ანგარიშს უწევენ", „ჩვენს დამოუკიდებლობას არსაიდან ჩირქი არ სცხია", „ანტანტას გავაცანით ჩვენი დამოკიდებულება გერმანიასთან, არც ის დაგვიმალავს, რომ უკანასკნელმა გვიხსნა ოსმალეთის აგრესიისაგან!" და სხვ. ამ შემთხვევაშიც მთავარი აქცენტი გადააქვს ქართველ ერზე, მის ერთიანობაზე, დამოუკიდებლობისადმი მის ერთგულებაზე, რადგან ევროპაში რუს მონარქისტებს მფარველობდნენ (მომავალში არც ბოლშევიკებისადმი აპირებდნენ ბრძოლას რომელიმე პატარა ქვეყნის გამო), საქართველოს რუსეთისგან დამოუკიდებლად არ მოიაზრებდნენ. გამონაკლისი იქნებოდა მაშინ, თუ თავად ქართველი ერი დაიცავდა პრინციპულად დამოუკიდებლობის მოთხოვნას. „მე დარწმუნებული ვარ, — წერდა ჩხენკელი კიდევ ერთ ურწმუნო და დამოუკიდებლობისადმი ეჭვით შეპყრობილ ადამიანს, — ამის ზოგიერთი საბუთიც

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწერა2, საქმე 83, ფ.6

[2] ბიქტორ თევზაია, — (ბ. თეკლათელი), 1883-193?, სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების წევრი, რევოლუციონერი, პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს წარმომადგენელი უკრაინაში.

მაქვს, ანტანტა დადებით შეხვდება ჩვენს დამოუკიდებლობას, სიმძიმის ცენტრი თვით ჩვენზეა, ე. ი. ერზე, — მოითხოვს თუ არა ის მტკიცედ ამას. რუსეთთან ყოფნის პერსპექტივა იმდენად მიუღებელია ჩვენთვის არა-მარტო პოლიტიკურათ (ძველმა ნაცნობებმა თავი ნამოყვეს: მილიუკოვი, შულგინი, პურიშკევიჩი, როდზიენკო), არამედ ეკონომიურადაც".[1]

იმავე ბიქტორ თევზაიას, საქართველოს წარმომადგენელს უკრაინაში, ისევ ბერლინიდან, 1918 წლის ნოემბერში უმკაცრეს წერილს წერდა და საყვედურობდა რუსეთის მომხრეობას, არწმუნებდა, რომ ეს საქართველოს ინტერესების ღალატი იყო. ამ წერილით მართლაც კარგად ჩანს ჩხენკელის მთელი პოლიტიკური კრედო, მისი სწორი აქცენტები საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სფეროში, შეურიგებლობა პრორუსული ორიენტაციის აზროვნებასთან.

„თქვენმა გუშინდელმა დეპეშამ ცოტათი გამაკვირვა. საზოგადოდ გეთანხმებით, ეს არაა, ჩემი აზრით, საკმარისი სახელმწიფო მოღვაწეობაში. მე ამას არ მივაქცევდი ყურადღებას, კონიასგან [კონსტანტინე გვარჯალაძე — დ. ჭ.] რომ არ გამეგო თქვენი რყევის შესახებ ჩვენი ერის ძირითად საკითხში. **თქვენ თურმე იმ აზრის ხართ, რომ საქართველო ამა თუ იმ სახით ისევ უნდა შეუერთდეს რუსეთს! მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს უფლება თქვენი რწმენის საქმეში ჩავერიო, მხოლოდ მაინტერესებს ერთი მხარე, — ეს არის ის, რომ ჩვენი მთავრობა დამოუკიდებლობის ნიადაგზე სდგას და ფიქრობს, მტკიცედ დაიცვას ის ყველგან, მაშასადამე კიევშიც.** რა მიზანი აქვს კიევის კონფერენციას? თქვენ არ იწერებით ამას, მაგრამ ცხადია რა: რუსეთის გაერთიანება. სხვა მიზნით დონის და ყუბანის დელეგატები ვერ მოვლენ მანდ. ჩვენი მათთან თათბირი ამ ნიადაგზე უადგილოა, მე ვიტყოდი, მავნეც, ვინაიდან ეს იქონიებს ძალიან ცუდ გაელენას ჩვენს მუშაობაზე ევროპაში. აქედან დიდი ხანია დაგზავნილია ხალხი, გადაცემულია ნოტები, მემუარები, ყველას ყური გამოვუჭედეთ, მთავრობის დავალებით, საქართველოს დამოუკიდებლობაზე, და ამ დროს ჩვენი წარმომადგენელი კიევში რუსეთის გამაერთიანებელ კონფერენციას ესწრება! ეს მიუღებელია ჩვენთვის. მეორე მიზანი კონფერენციისა, ალბათ ბოლშევიკებთან ბრძოლა იქნება. ეს სულ შეუწყნარებელი იქნებოდა ჩვენთვის. ახსნა სრულიად მეტია. ჩვენ ვებრძვით ბოლშევიკებს ჩვენს ქვეყანაში, **რაც შეეხება რუსეთს, ის უცხოეთია ჩვენთვის, იქ ჩვენ ხელი არა გვაქვს.**

მე გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ დღევანდელ საპასუხისმგებლო მომენტს, **პატარა შეცდომა დიდ ზიანს მოგვიტანს, ვინაიდან ჯერ არ ვართ ცნობილი. ახლანდელ მომენტში, როცა დემოკრატია იმარჯვებს ყველგან, ჩვენ უფრო არ გვმართებს ისევ რუსეთის გერობა ვარჩიოთ, ჩვენ გვეხსნება საშუალება შევიდეთ განათლებულ მსოფლიოს ერთა კავშირში. მრავალერიანი სახელმწიფონი ინგრევიან, ეროვნული სახელმწიფონი ფუძნდებიან და ჩვენ ამწუთში არასგზით არ გვმართებს დამოუკიდებლობის გზას გადავუხვიოთ.** მე გთხოვთ თავი შეიკავოთ კონფერენციაზე მონაწილეო-

[1] სცსსა, ფ. 1831, აღნერა2, საქმე 87, ფ. 1;

ბის მიღებისაგან, სანამ მთავრობის განკარგულება არ მოგივათ, და თუ არ მოგივიდათ, — შეიძლება მიმოსვლა შეწყდეს, — მაშინაც ნუ მიიღებთ მონაწილეობას. მხურვალე სალამი თქვენ და მათეს [უნდა იყოს მათე იანქოშვილი, რომელმაც მხურვალე მილოცვის დეპეშა გაუგზავნა მას ეროვნულ საბჭოში არჩევასთან დაკავშირებით. დ. ჭ.).

აკ. ჩხენკელი, 1918 წლის 29 ნოემბერი, ბერლინი[1].

მსგავსი შეხედულებების მქონე მაშინდელი პოლიტიკოსები, უმეტესად სოციალისტ-დემოკრატები, ფიქრობდნენ, რომ რუსეთისგან გამოყოფა საქართველოს „ჩაკეტავდა", მოწყვეტდა გლობალურ სივრცეს. ასეთ მსჯელობაზე ჩხენკელი იმავე თევზაიას პასუხობდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დადებითად იყო აღქმული ევროპის მაშინდელი დიდი სახელმწიფოებისაგან, ალბათ მალე აღიარებდნენ კიდეც, მაგრამ მთავარი მაინც ქართველი ხალხის სწრაფვა, ამ საკითხში მისი პოლიტიკოსების სიმტკიცე იყო. „მთავარი პირობაა, რა თქმა უნდა, — წერდა აკაკი ჩხენკელი 1919 წლის 30 იანვარს ბერნიდან თევზაიას, — თუ ჩვენ თვითონ მტკიცედ ვიდგებით ჩვენს პოზიციაზე. ამ მხრივ სრული თანხმობა არსებობს ჩვენს პოლიტიკურ და მმართველ წრეებში (მაშასადამე, ის კითხვის ნიშნები, რაც მას ჰქონდა თანაპარტიელების რწმენაზე დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით, ჩხენკელს უკვე მოხსნილი ჰქონდა), არავის არ მოსდის თავში ერთხელ აღებული დამოუკიდებლობის ალღო დააგდოს.

რა თქმა უნდა, ყველას შეიძლება ჰქონდეს თვალსაზრისი, მაგრამ უეჭველია ერთი: ჩვენი ნაბიჯები დამოუკიდებლობისადმი არ არის ახლა ტაქტიკური, ჩვენ პრინციპიალურათ ვუჭერთ მხარს დამოუკიდებლობას და არც ვაპირებთ ამ გზიდან გადახვევას. თქვენი აზრი, — საქართველოს „კარჩაკეტილათ"არსებობა არ შეუძლიაო, — შემცდარია ჯერ კიდევ იმ მხრივ, რომ **ჩვენ რუსეთის საზღვრებში ვიყავით სწორეთ კარჩაკეტილი და მოწყვეტილი სწორეთ დასავლეთ ევროპისაგან. ოსმალეთზე ლაპარაკიც მეტია, მეტია აგრეთვე რუსეთზე ლაპარაკიც. სავალალო და სამარცხვინო იქნებოდა ჩვენი პარტიისათვის, მას არ ესარგებლა დღევანდელი ფრიად მოხდენილი მომენტით და არ მოეპოვებინა ერისათვის სრული დამოუკიდებლობა, რომ ამით მას გაეხსნას საშუალება სრულუფლებიან წევრად შევიდეს საერთაშორისო ოჯახში, რაიც მას გაუხსნის სწორ გზას დას. ევროპასთან, მთელ მსოფლიოსთან და მით საქართველო შეუდგება მის ყოველმხრივ აღორძინებას.**

აკ. ჩხენკელი, 30. I, 1919 წელი, ბერნი [2]

მსგავსი განცდები იკითხება შვეიცარიიდან პარიზში საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ მის ზოგიერთ წერილშიც. „ძალიან მეშინია, რომ თქვენი პირველი საჯარო გამოსვლები ვერ მოახდენდა კარგ შთაბეჭდილებას მანდაურ ფაქტორებზე, — წერდა ჩხენკელი ერთ-ერთ წერილში. — თვითონ კაკი მწერდა, ჩვენი საქმე დიპლომატიურათ და დახურულ კაბინეტში წყდებაო. სწორედ ამიტომ უნდა აგეცდინათ თავიდან სა-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღ.2, საქმე 87, ფ. 2.
[2] სცსსა, ფონდი 1831,აღ.2, საქმე 87, ფ. 3

ჯარო მუსაიფი სოციალისტებთან „ინტერვენციაზე", ჩვენი „საბჭოების" ძლიერებაზე და სხ. სოციალისტებმაც დაამახინჯეს თქვენი ნათქვამი, „გისარგებლეს", როგორც კარლო იწერებოდა. **თქვენ დაგავიწყდათ, რომ სახელმწიფომ გამოგგზავნათ და არა პარტიამ. ამას იმიტომ კი არ გეუბნებით, რომ არ უნდა გენახათ სოციალისტები, პირიქით, მხოლოდ სხვა სახით.** მათი პრესის ალაპარაკება ჩვენს შესახებ თავის თავათ საჭირო იყო, უნდა ეცადოთ ხშირათ აწერინოთ ბოლშევიზმის შეუხებლათ..."

ბერლინის დელეგაციის მოღვაწეობას აკაკი ჩხენკელი წარმატებულს უწოდებდა მისი შემადგენლობის გამო, რადგან დელეგაციაში მოღვაწეობდნენ არასოციალისტებიც, ასახელებს ავალიშვილსა და ნიკოლაძეს. წუხს, რომ მათ მთავრობაში „ბურჟუაზიად" თვლიან, სინამდვილეში კი პროფესიონალები და პატრიოტები არიან.

„მე დავრწმუნდი, რომ ხშირათ ძალიან სასარგებლოა, როცა ჩვენს გარდა მოქმედებენ ჩვენი „ბურჟუაზიის" წარმომადგენლებიც, ამ მხრივ ბევრი გააკეთეს ზურაბმა და ნიკომ ბერლინში. საზოგადოთ, მე ვამჩნევ, თქვენ არცკი აჩენთ გარეთ ზურაბს, მაშინ, როდესაც ის ძალიან თავდაჭერილი, მტკიცე და მცოდნე მომლაპარაკებელია, არცერთ რუსეთიდან ჩამოსულ დელეგაციას არ ყავს მაგისთანა მრჩეველი, თქვენ კი არ სარგებლობთ, ასეთია ჩემი შთაბეჭდილება"[1].

დასკვნა: 1. ამ წერილებიდან ჩანს, თუ რაოდენ ერთგული და დამცველი იყო აკაკი ჩხენკელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეისა; 2. აკაკი ჩხენკელი ცდილობდა ამ იდეის განმტკიცებასა და მის გარშემო არამარტო მისი პარტიის ლიდერების, არამედ მთელი ერის გაერთიანებას; 3. აკაკი ჩხენკელი მაღლა იდგა პარტიულ ინტერესებზე, მას არ მოსწონდა მართვის დიქტატორული სტილი, მიაჩნდა, რომ ყველა ნიჭიერ ადამიანს უნდა მისცემოდა ასპარეზი სახელმწიფო ორგანოებში, პოლიტიკურ არენაზე, ზოგჯერ თანაპარტიელებზე მაღლა აყენებდა სხვა პარტიების წარმომადგენლებს, იცავდა მათ ინტერესებს. 4. თანაპარტიელებს ის უწუნებდა დიპლომატიას, ბოლშევიზმისადმი გაურკვეველ ლოიალობას, უპრინციპობას. 5. ჩხენკელმა კარგად იცოდა ევროპის სახელმწიფოებში შექმნილი ვითარება და ცდილობდა ქართული ინტერესებისათვის გამოეყენებინა ზოგიერთი მომენტი. 6. მისი ნაწერებიდან ზოგადად და, კონკრეტულად, ბერლინიდან გამოგზავნილი მისი წერილებიდან იკვეთება, რომ ჩვენს წინაშეა არა სოციალ-დემოკრატი, მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, არამედ ქართველი პატრიოტი, ილია ჭავჭავაძის იდეების მიმდევარი, ნიჭიერი პოლიტიკოსი, დიპლომატი და პატრიოტი მოღვაწე.

თავად ჩხენკელისგან „ეჭვმიტანილი" თანაპარტიელები დიდხანს არ დარჩენილან ამ რყევასა და ორჭოფობაში. მათმა ნაწილმა მტკიცედ აირჩია ევროპული განვითარების გზა და საქართველოს დამოუკიდებლობის მთავარ ფასეულობად აღქმაც მოახერხა, ნაწილი კი, ბოლომდე გაორებული დარჩა. როდესაც 1920 წლის 30 აპრილს საბჭოთა რუსეთმა აზერ-

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწერა 2, საქმე 51, ფ.9.

ბაიჯანი დაიპყრო, რასაც წინ ოსმალეთ-რუსეთის გარიგება უსწრებდა, საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გამოსულმა მთავრობის თავმჯდომარემ სწორედ ამგვარი განწყობა გამოხატა და მის სიტყვებზე დაყრდნობით დამფუძნებელმა კრებამ ასეთი განცხადება გააკეთა: „ქართველმა ერმა რევოლუციის პროცესში თავისი დამოუკიდებლობა აღიდგინა, გახდა სრული ბატონ-პატრონი თავისი ბედ-იღბლისა, ხალხის უზენაესი ორგანო — დამფუძნებელი კრება შექმნა, სახელმწიფო დემოკრატიული წესწყობილება დაამყარა და რევოლუციურ მონაპოვართა ფხიზელი დარაჯი შეიქმნა.

საქართველოს დემოკრატიამ ორი წლის განმავლობაში საკუთარი ძალღონით უდიდესი სიძნელენი გადალახა შიგნით თუ გარეთ, ის მტკიცედ იცავდა მეზობლებთან კეთილგანწყობილებასა და დაწინაურებულ ევროპასთან მჭიდრო დამოკიდებულებას. საქართველოს ღვაწლს ეროვნულსა და საერთაშორისო სფეროში ამაოდ არ ჩაუვლია. იგი იცნო ევროპულმა სახელმწიფოებმა და მან ფეხი შესდგა თავისუფალ ხალხთა ოჯახში. ჩვენი მისწრაფება ნათელია და სამართლიანი. დღეს ერის და დემოკრატიის უძვირფასეს განძს — დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას საშიშროება მოელის.

გვევლინება ბოლშევიზმის სამოსელში გახვეული რუს-თურქული იმპერიალიზმი, რომელიც ლამობს ჩვენი დამოუკიდებლობა და მთლიანობა დაამხოს. ეს იმპერიალისტური შავი ძალა უკვე შემოიჭრა აზერბაიჯანში, რომლის პარლამენტმა, თანახმად მოსკოვ-ერზერუმის დირექტორებისა, გააუქმა თავისი თავი და ამით მშრომელ ხალხს ძველი უღელი დაადგა და ევროპიდან აზიისკენ აქნევინა პირი.

ამას ვერ ჩაიდენს საქართველოს დამფუძნებელი კრება და მთავრობა.

ამას ვერ ჩაიდენს ქართველი ერი და საქართველოს დემოკრატია.

ის დემოკრატიას, თავისუფლებას ვერ უღალატებს, ვერ გასცემს, ვერ გაჰყიდის: ევროპისაგან ის პირს აზიისაკენ ვერ იბრუნებს; დემოკრატიზმის მაგიერ დესპოტიას ადგილს ვერ დაუთმობს; ანარქიის ტალღებში ხალხს ვერ გადაისვრის!..

...დამფუძნებელი კრება მიმართავს ევროპის დემოკრატიას, რომ მანაც აღიმაღლოს ხმა უზენაესი სამართლიანობის დასაცავად და ღრმათ სწამს, რომ გასაჭირის დროს ევროპის დემოკრატია არ დასტოვებს საქართველოს დემოკრატიას მარტო ბრძოლის ველზე“ [1].

ასე გაითავისეს საქართველოს მმართველმა ძალებმა, ოდესღაც პრორუსულმა და სოციალიზმის იდეებით მთვრალებმა, თითქმის მთლიანად, ევროპული ფასეულობები, მიზნად დაისახეს ამ ფასეულობათა დაცვის აუცილებლობა, გაუჩნდათ, ევროპასთან შედარებით, რუსეთისა და ოსმალეთის ჩამორჩენილობის განცდა. **ამასთან, ქართველი სოციალ-დემოკრატები, ისევე როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მოღვაწე სხვა პარტიები (ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სხვ), ერთნაირად არ აფასებდნენ ისტორიულ პროცესებს, არც ერთნაირი პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონიათ,** ბევრი გაორებული იყო, მტკიცედ არ ჰქონდა გააზრე-

[1] სცსსა, ფონდი 1833, აღ.1, საქმე 1135, ფ. 4-5.

ბული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სამწუხაროდ, ამ პარტიების (მათ შორის სოციალ-დემოკრატებისაც) ბევრი წევრი აღმოჩნდა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ სოციალ-დემოკრატები გაცილებით პრინციპულად იცავდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას, ვიდრე სხვა პარტიათა წარმომადგენლები. თუმცა მას ვერ უვიწყებდნენ წარსულს, იმ დროს, როდესაც ეროვნულ საკითხს სოციალურზე დაბლა აყენებდნენ, როდესაც ამ პარტიის ლიდერები ეკამათებოდნენ ილია ჭავჭავაძესა და მისი იდეების დამცველებს. ილიას მკვლელობასაც სოციალ-დემოკრატების იდეურ ბრძოლას უკავშირებდნენ. ამ პარტიას ბოლომდე „მენშევიკებს" უწოდებდნენ, თუმცა, დამოუკიდებლობის წლებში ისინი აღარ იყვნენ რუსული მენშევიკური პარტიის წევრები, იმპერიის დანგრევის შემდეგ ეს პარტია ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად იქცა. მისმა ლიდერებმა დიდი როლი ითამაშეს ილიას გზის, მისი მთავარი იდეის — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში, აიღეს ევროპული ორიენტაცია და დაიწყეს სახელმწიფო სტრუქტურების მოდერნიზაცია, სიკვდილამდე, დევნილობაშიც აკრიტიკებდნენ რუსეთს, მოუწოდებდნენ ევროპას საქართველოს მფარველობისკენ, გული ტკიოდათ, რომ ამას ვერ აღწევდნენ. აკაკი ჩხენკელი ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიის ერთ-ერთი პრინციპული წევრი, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეის ბოლომდე დამცველი და ერთგული იყო.

ქართველი დიპლომატის პირველი ნაბიჯები
„დიპლომატიის არდადეგებს ომი ეწოდება"
იუნგი

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბერლინში წასული და ევროპის ქვეყნებთან დიპლომატიური გზებით მომუშავე აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობა მართლაც ჰგავდა ომს. ეს ომი საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად, ევროპის ქვეყნების მოკავშირეებად ქცევის ნიშნით მიმდინარეობდა და ქართველი პატრიოტის დაძაბულ ცხოვრებას უქმნიდა. ის ამ დროს თავად ძერწავდა საკუთარ თავს იმ დიპლომატად, ვისაც შემდეგში ღირსეულად შეეძლებოდა წარდგომა ევროპელ ლიდერთა წინაშე, ყველაფრის მცოდნე და განსწავლულ, დიპლომატიაში გაწვრთნილ პოლიტიკოსებთან საუბარი. განათლება, ენების ცოდნა, გაწონასწორებული ხასიათი, მეტყველება და კიდევ უამრავი ადამინური თვისება ჭირდებოდა ამ მეტად საპატიო მოვალეობის წარმატებით შესრულებას. და ეს თვისებები მას იმდენად ჰქონდა, ზოგჯერ უცხოელები გაოცებას ვერ მალავდნენ მისი გაბედული მსოფლიო პოლიტიკური პროცესების პროგნოზირებისას.

როდესაც 1918 წლის 22 სექტემბერს, ბერლინში მყოფი, როგორც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გერმანიის მთავრობას მიმართავდა, ამჟღავნებდა მთელი გეოპოლი-

ტიკური და გეოსტრატეგიული ფაქტორების ცოდნას, ამასთანავე, იმ სასიცოცხლო საკითხებს წამოსწევდა გერმანიის მთავრობის წინაშე, რომლის მოგვარებაშიც ახალი მოკავშირის ჩარევა იყო საჭირო. ეს იყო საქართველო-ოსმალეთის დავა საზღვრებზე, ოსმალური ოკუპაციის მწვავე შედეგების განეიტრალების აუცილებლობა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის. იგი ასე მიმართავდა გერმანული პოლიტიკის მაშინდელ ხელმძღვანელს:

„თქვენო აღმატებულებავ!

როგორც გამოირკვა, ამ დღეებში უნდა გადაწყდეს კავკასიისა და ოსმლეთის საზღვრების საკითხი. უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი მდგომარეობა ძალიან უხერხულია, ვინაიდან არ მაქვს საშუალება პირადი მონაწილეობა მივიღო იმ მოლაპარაკებაში, რომელიც სწარმოებს ოთხ მოკავშირეთა შორის და ეხება აგრეთვე საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებსაც.

პირად შეხვედრის დროს ოსმალეთის დიდმა ვეზირმა მომცა წინადადება ახალციხის მაზრაში პლებისციტი მოვახდინოთ. მე მეშინია, ამ წინადადებამ რაიმე გაუგებრობა არ გამოიწვიოს. ჯერ ერთი, საქართველოს მთავრობა ბოლშევიკური არ არის, როგორც არ არიან ასეთნი მოკავშირეთა მთავრობანი, ამიტომ ყოველი პრინციპის აბსურდამდე მიყვანა ჩვენთვის არაა სავალდებულო. მე მესმის თვითგამორკვევის უფლება, როცა ის ვრცელდება მთელს ერზე, მთელს ტერიტორიაზე და არა ერთ მუჭა ხალხზე ყოველ კუთხეში, ყოველ ქალაქში, ყოველ სახლში, რაიცა სახელმწიფოს თვალსაზრისით შეუწყნარებელია. **ახალციხის და ახალქალაქის მაზრები ორგანული ნაწილია საქართველოსი, საქართველოს, როგორც მთლიან სახელმწიფოს, უნდა ეკითხოს, რამდენად ასატანია მისთვის ამ ორგანული ნაწილების ჩამოკვეთა. მე მქონდა პატივი ამ კითხვაზე გამეცა პასუხი ჩემს ნოტაში... თარიღით ... ახალციხე საქართველოს კარია-მეთქი, მე ვთქვი, სხვათა შორის ამ ნოტაში, ოსმალეთის მთავრობა სწორედ ამ კარის ჩამოხსნას ეპირება, რაიცა მოასწავებს საქართველოს არსებობის უარყოფას მისი დაბადების დღიდანვე. სხვა მიზანი, გარდა საქართველოს მუდმივ შიშში ყოლისა, ოსმალეთის მთავრობას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან ახალციხე თავის თავად არავითარ სახარბიელო ობიექტს არ წარმოადგენს.**

1783 წლის დამატებით ტრაქტატში, რომელიც შეიკრა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-სა და საქართველოს მეფე ერეკლე II-ს შორის, ნათქვამია, სხვათა შორის, რომ რუსეთი ვალდებულია მიიღოს ყოველი ღონე დაუბრუნოს საქართველოს მისი დაკარგული პროვინციები და ამაში იგულისხმებოდა მთელი სამცხე-საათაბაგო, ე.ი. ბათუმი, არტაანი, ოლთისი, ახალციხე, ახალქალაქი. რუსეთის მთავრობამ დროთა განმავლობაში კიდეც შეასრულა ეს დაპირება, თუმცა, თვით საქართველო, როგორც სახელმწიფო, მან ძალად გააუქმა. ახალციხე და ახალქალაქი მან შემოუერთა საქართველოს 1829 წელს, ხოლო ბათუმი, არტაანი და ოლთისი — 1878 წელს. 1918 წ. გერმანიის თანხმობით, სამწუხაროთ, საქართვე-

ლოს ჩამოეცალა არა მარტო არტაანი და ოლთისი, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას უკვე დავიწყნიათ ქართული ენა, არამედ ნამდვილი ქართული ბათუმის პროვინციაც. მე არა მწამს, რომ იმავე გერმანიის თანხმობით, ჩამოეჭრას საქართველოს ახალციხე-ახალქალაქის პროვინციაც. ეს მოახდენდა ქართველ ერზე ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას, ვინაიდან მას უნებლიეთ მოუვიდოდა თავში ღირსშესანიშნავი ანალოგია: **რუსეთთან დაახლოებამ მას შესძინა დაკარგული პროვინციები, ხოლო გერმანიასთან დაახლოვებამ მას ხელიდან გამოაცალა ისინი.**

მე ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, თვალი გადაავლოს გერმანიის ყოფილი საიმპერატორო ელჩის სტამბოლში ბარონ ფონ ვანგენჰეიმის[1] წერილობით დეკლარაციას 14.IX.1918 წლის თარიღით, რომელიც გადაუცია მას ქართული კომიტეტის ერთ-ერთი წევრისათვის. ამ დოკუმენტის ძალით გერმანიის მთავრობა ჰპირდება საქართველოს იცნოს მისი დამოუკიდებლობა ომის წინა პერიოდის საზღვრებში, ე. ი. ზევით ნახსენებ პროვინციების მის ფარგლებში მოთავსებით. ამ დეკლარაციას ადასტურებს მეორე მოკლე განცხადება, რომელიც მიუღია საქართველოს კომიტეტს ბერლინში, 17. XII, 1917 წლის თარიღით, უნტერ სტატს-სეკრეტარი Freiherr von dem Buschee-საგან. ეს ფაქტები ნებას მაძლევს გამოვთქვა ჩემი შიში, რომ საქართველოსგან მისი ორგანული ნაწილების ჩამოჭრა დიდათ ავნებს გერმანიის პრესტიჟს მთელს კავკასიაში. ეს აუხსნელიც იქნებოდა ქართველებისათვის, ვინაიდან მხოლოდ დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველო შეიძლება გახდეს ცენტრალურ სახელმწიფოთა და აზიის ხიდად.

ამ გარემოებას არ უწევს, საუბედუროთ, ანგარიშს ოსმალეთის მთავრობა...

ზემოთ ნათქვამი, ჩემი ღრმა რწმენით, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ოსმალეთმა არ გაიმეოროს წარსული შეცდომები. **საქართველო თითქმის ორიათასი წელი იცავდა თავის დამოუკიდებლობას და 1783 წელს, ოსმალეთისა და სპარსეთის დაუძინებელი მტრობის გამო იძულებული შეიქნა შეერთებოდა რუსეთს, რასაც მოყვა მთელი კავკასიის დაპყრობა. XX საუკუნეში საქართველო ისევ დაუბრუნდა თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას იმ იმედით, რომ ოსმალეთი მეგობრულათ მოეპყრობა მას, ვინაიდან ამას მოითხოვს თვით მისი საარსებო ინტერესები...**

საქ. საგ. საქმეთა მინისტრი

აკ. ჩხენკელი.[2]

აკაკი ჩხენკელმა კარგად იცოდა, რომ 1783 წელს საქართველო რუსეთს არ შეერთებია, მაგრამ ამ ფაქტს უფრო მეტი არგუმენტირებისათვის იშველიებდა. ამ მიმართვით მას სურდა გავლენა მოეხდინა გერმანიის პოლი-

---

[1] ბარონ ფონ ვანგენჰეიმი, — ბარონი ჰანს ფონ ვანგენჰეიმი, გერმანელი დიპლომატი (1859-1915). 1899-1904 წლებში გერმანიის საელჩოს მდივანი კონსტანტინეპოლში; 1904-1908 წლებში მინისტრი მექსიკაში; 1909-1912 წ. წ. — მინისტრი ათენში; 1912-1915 გერმანიის ელჩი კონსტანტინოპოლში. აქ მოხსენიებული თარიღი ვერ იქნება ზუსტი, რადგან 1918 წელს ვანგენჰეიმი ცოცხალი აღარ იყო. როგორც ჩანს, დოკუმენტი ვანგენჰეიმის მიერ შედგა 1912-დან 1915 წლამდე და გადაეცა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთ წევრს. ამ დოკუმენტს, როგორც სამართლებრივ წყაროს, ასახელებს ჩხენკელი.

[2] სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 7, ფ. 1, 2. 4.

ტიკურ წრეებზე და მისი საშუალებით მიეღწია ოსმალეთთან დამოუკიდებელი საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის.

აკაკი ჩხენკელი იმავდროულად ურთიერთობას აღრმავებდა ევროპელ სოციალისტებთან, რომელთა ნაწილი საქართველოში 1920 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა და აღფრთოვანდა ნანახით, ეს მათ სოციალიზმის იდეის რეალური განხორციელების ნიმუშად ჩათვალეს.

ჩხენკელი 1918 წლის 11 ოქტომბერს, ბერლინიდან დეპეშას უგზავნის ციურიხში პაულ აქსელროდს[1], თხოვს დახმარებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის ევროპაში.

15 ოქტომბერს შვედეთის მთავრობასთან საქართველოს წარმომადგენლის — მიხაკო წერეთლის ხელით გაგზავნილი მემორანდუმით, რომელიც ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის, სოციალისტ — ბრანტინგის[2] სახელზე იყო, ჩხენკელი აცნობდა მას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიას, თხოვდა დახმარებას აღიარებაში და უხსნიდა საქართველო-გერმანიის კავშირის არსს, ვინაიდან ეს პოლიტიკური კავშირი მილიტარისტულ გერმანიასთან ევროპის ქვეყნებისთვის მიუღებელი იყო. ჩხენკელი წერდა: **„სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღვნიშნოთ, რომ საქართველო ოსმალეთის შემოსევისაგან მისმა მოკავშირე გერმანიამ გადაარჩინა. გერმანიამ მოგვცა ასევე საშუალება ბერლინში ჩამოვსულიყავით და აქედან გვეწარმოებინა ჩვენი საქმე. ეს გარემოება არ მოასწავებს, რა თქმა უნდა, რომ ჩვენ ხელს ვუწყობდეთ გერმანიის იმპერიალისტური წრეების მიზნების განხორციელებას, პირიქით, ჩვენ ვიცავთ აქაც და ყველგან, მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობას“.**

ჩხენკელი წერდა, რომ რეიხსტაგის მარცხენა ფრთასთან, სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმართულებასთან ჰქონდა კავშირი და მათი საშუალებით გერმანიის მთავრობისგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევას ცდილობდა. ამ განმარტებასთან ერთად, რაც შვედეთის პოლიტიკური ინტერესი იყო, ჩხენკელი თხოვდა ბრანტინგს შვედეთის მთავრობისგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, ასევე თხოვდა მას ეშუამდგომლა ინტერნაციონალის ბიუროში საქართველოს წარმომადგენლის დასაშვებად[3].

1918 წლის 17 ოქტომბერსვე ჩხენკელი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღიარების თხოვნით მემორანდუმებს უგზავნიდა შვეიცარიაში ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩებს, ახსენებდა მათ მთავრობის წარმომადგენლის — ზურაბ ავალიშვილის პირად საუბარს ქრისტიანიაში (ოსლო) 9 და 16 სექტემბერს საქართველოს შესახებ[4].

1918 წლის 29 ოქტომბერს ბერლინიდან მოსკოვში საქართველოს ელჩთან — გაბრიელ ხუნდაძესთან გაგზავნილ წერილში ის აცნობდა ელჩს ევროპაში

---

[1] პაულ აქსელროდი —პაველ ბორისის ძე აქსელროდი (1850-1928) რუსი სოციალისტი, მარქსისტი, მენშევიკი. გარდაიცვალა ემიგრაციაში, ბერლინში.

[2] ბრანტინგი, — კარლ იალმარ ბრანტინგი (1860-1925), შვედი სოციალისტი, შვედეთის პირველი პრემიერ მინისტრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. დაიბადა და გარდაიცვალა სტოკჰოლმში.

[3] სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 7, ფ. 16-17.

[4] სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 7, ფ. 14-15.

მიმდინარე პროცესებს, წერდა, რომ **რუსეთმა და გერმანიამ ფაქტობრივად იცნეს საქართველო.** რა თქმა უნდა, გერმანიისგან, მითუმეტეს, საბჭოთა რუსეთისგან დამოუკიდებელი საქართველოს ცნობა ამ დროს შორს იყო, ამ დასკვნამდე ჩხენკელი ალბათ მიიყვანა ბრესტის ზავის შემდეგ, 1918 წლის აგვისტოში გერმანია-რუსეთის შეთანხმებამ ზავის იმ პუნქტის გადასინჯვაზე, რომელიც ოსმალეთისთვის გადაცემულ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას ეხებოდა. ჩხენკელი არიგებდა ხუნდაძეს[1], რომ ეხმარა დიდი ტაქტი, გამოეჩინა სიფრთხილე რუსებთან დამოკიდებულებაში. „თქვენ გმართებთ, ჩემი აზრით, დიდი ტაქტით და მეგობრულად იმოქმედოთ რუსეთში. არ ღირს მტრული განწყობილება როგორც ბოლშევიკებთან, ისე სხვებთან. საჭიროა პრესაში, კრებებზე, ისე კერძო მოლაპარაკებაში მტკიცედ დაიცვათ ჩვენი პოზიცია. თქვენ ამისთვის ზედგამოჭრილი უნდა იყოთ, როგორც გამიგონია. საჭიროა სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან იქონიოთ მიმოსვლა, დაინტერესოთ ისინი, მათი აზრი მნიშვნელოვანია მათი მთავრობების თვალში" — ასეთი იყო მისი დამოკიდებულება და რჩევები მოსკოვში საქართველოს საელჩოსადმი.[2]

ომის დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, 1918 წლის 1-2 ნოემბერს, ბერლინში მყოფმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა — აკაკი ჩხენკელმა გერმანიის საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარს მიმართა თხოვნით, მისი ქვეყნის ოფიციალურად ცნობის შესახებ, ამასთანავე, აღუწერა ის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რაც საქართველოში იყო. წერილში ჩხენკელი საინტერესოდ ასაბუთებს სოციალ-დემოკრატიის განსაკუთრებულ პოპულარობას და ქართველი ხალხისაგან გამოჩენილ ნდობას.

„საქართველო ერთადერთი მხარეა მთელს რუსეთში, — წერს ის, — რომელმაც ბოლომდის შეინარჩუნა რევოლუციის დროს მონაპოვარი თავისუფლებანი. ვინც ჯერ კიდევ ცარიზმის დროს თვალყურს ადევნებდა რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობას, ის უეჭველად შენიშნავდა, რომ მასში ქართველი სოციალ-დემოკრატია თვალსაჩინო როლს თამაშობდა. საკმარისია მივუთითოთ მარტო იმ ფაქტზე, რომ რუსეთის ოთხივე სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციებს მუდამ ქართველი დეპუტატები ედგნენ სათავეში. და როცა რევოლუცია დაიწყო, შარშან მარტს, მას მოჰყვნენ სათავეში ინტერნაციონალში კარგად ცნობილი ამხანაგები, მეორე, მესამე და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციების ლიდერები — ჩხეიძე და წერეთელი, ორივე საქართველოს დეპუტატები.

თვით საქართველოში სოციალ-დემოკრატიის გავლენა, თქმა არ უნდა, გაცილებით დიდი იყო: ის იყო უძლიერესი პარტია იქ, რაიც მტკიცდება იმით, რომ ყველა სახელმწიფო სათათბიროში საქართველო მარტო სოციალ-დემოკრატების კანდიდატებს ირჩევდა. ამასთანავე, უნდა ითქვას,

[1] ხუნდაძე. — გაბრიელ ხუნდაძე (1877-1937), დემოკრატ. საქ.-ოს ელჩი ჯერ საბჭოთა რუსეთში, შემდეგ აზერბაიჯანში. დაიღუპა სტალინური რეპრესიების შედეგად.
[2] სცსსა 1831, აღ. 2, საქმე 86, ფ. 1.

რომ დღიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორ დიდ მიმდინარეობად გაყოფისა, ქართველების უმრავლესობა მიემხრო მენშევიკურ მიმდინარეობას, ამიტომ საქართველო, შეიძლება ითქვას, რუსეთის მენშევიზმის ციტადელი იყო. მთავარი განსხვავება რუსეთსა და საქართველოს მენშევიკებს შორის ის იყო, რომ მეორენი ენერგიულად აწარმოებდნენ არალეგალურ პარტიულ მუშაობას, მაშინ, როდესაც პირველნი ალმაცერად უცქერდნენ მას. საქართველოს მენშევიკები ეწეოდნენ ლეგალურ მუშაობასაც, მაგ., მათ, მიუხედავად ათასგვარი რეპრესიებისა, მუდამ ჰქონდათ ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული პრესა ქართულ ენაზე. ამას შეგვიძლია დავსძინოთ ისიც, რომ ამიერკავკასიის ცენტრალურ ორგანიზაციაში, საოლქო კომიტეტში, რომელიც არსებობდა საქართველოს სატახტო ქალაქ — თფილისში, ხელმძღვანელობა ქართველ ამხანაგებს ეკუთვნოდა.

სოციალ-დემოკრატიული იდეების ასეთი გავლენა საქართველოში აიხსნება იმით, რომ გლეხობა განიცდის მიწის სივიწროვეს და განუწყვეტლივ იძლევა მუშათა თვალსაჩინო კონტიგენტს. მუშები უმთავრესად დაგროვილი არიან საქართველოს მთამადნეულის რაიონებში, როგორიცაა მაგალითად: ჭიათურაში, სადაც გამოაქვთ გერმანიაში ცნობილი მარგანეცი, ძანსულში,[1] სადაც გამოაქვთ სპილენძი და ტყიბულში, სადაც გამოაქვთ ქვანახშირი. ბევრია ასევე მუშები საქართველოს სანაპირო ქალაქებში: ბათუმში, ფოთში და სოხუმში, აგრეთვე თფილისში, სადაც რკინიგზის სახელოსნოები მუშების საუკეთესო ელემენტებს იძლევა. ნათქვამს უნდა დაემატოს ისიც, რომ ქართველი ერი დიდ დევნას განიცდიდა თავისი ენისას და კულტურისას რუსეთის ბიუროკრატიისაგან, რაც ხელს უწყობდა სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური აზრების გავრცელებას მასში მთელი რეჟიმის წინააღმდეგ".

ჩხენკელის აზრით, დემოკრატიის მთლიანი ფრონტი, რომელსაც ქართველი სოციალ-დემოკრატები იცავდნენ, დაარღვიეს რუსმა ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრების განდევნითა და ხელისუფლების უზურპაციით, რამაც გაყო საქართველო-რუსეთის გზები[2].

მემორანდუმში, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა, ჩხენკელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ქვეყნის როლს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში და თხოვდა ეცნო იურიდიული ფორმით ეს ისტორიული ფაქტი. „მე არ მჭირდება — წერდა იგი, — დიდხანს შევაჩერო თქვენი ყურადღება იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფილად მიმაჩნია მე გერმანიის მთავრობისა და ხალხის სიმპათია საქართველოსა და ქართველი ერის დამოუკიდებლობისადმი. საკმაოა ამისათვის მივუთითო რეიხსტაგის სხდომებზე ამა წლის 24 და 25 ივნისს, სადაც როგორც ყოფილმა სტატს-სეკრეტარმა ფ. კიულმანმა, ისე ყველა ფრაქციების ლიდერებმა, საჭიროთ გამოთქვეს თავიანთი კმაყოფილება იმის გამო, რომ გერმანიის მთავრობამ ფაქტიურათ უკვე იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დანიშნა თფილისში თავისი წარმომადგენელი.

[1] ძანსული, მდებარეობდა მდინარე ჭოროხის აუზში, ართვინის პროვინციაში, მურლულის ხეობაში.
[2] სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 7, ფ. 9-10.

ამ, ქართველი ერის სასარგებლოდ წარმოებულ პოლიტიკას უნდა მიეწეროს ისიც, რომ მოსკოვის მთავრობამ თავისი თანხმობა განაცხადა „Fragenzungsvertrag"-ში გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურად აღიარებაზე."

ჩხენკელი რწმენას გამოთქვამდა, რომ გერმანია არა მარტო აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას იურიდიულად, არამედ დაეხმარებოდა მას საერთაშორისო კონფერენციაზე დაშვებასა და თავისი კანონიერი უფლებების დაცვაში[1].

სამწუხაროდ, ქართველი დიპლომატის ეს იმედები (ისევე, როგორც ბევრი სხვა იმედი მომდევნო წლებში) არ გამართლდა, რადგან ომში დამარცხებული გერმანია თავად არ დაუშვეს საერთაშორისო კონფერენციაზე პარიზში და წამყვანი ქვეყნებისგან საკუთარი უფლებების დიდი ნაწილიც წაერთვა.

საქართველო და მისი პოლიტიკოსები იმედის ყველა ხავსს ეჭიდებოდნენ, მათ შორის, ცდილობდნენ საქართველოს ძველი მეგობრების საშუალებით ევროპული კავშირების გაბმას. ამ მეგობართა შორის იყო ოლივერ უორდროპი,[2] რომელიც იცნობდა და აფასებდა საქართველოს, მის ისტორიასა და კულტურას. მისმა დამ — მარჯორი უორდროპმა[3] ინგლისურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი", ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა ქართულ ოჯახებთან, იცნობდა ბევრ ქართველ მოღვაწეს, მათ შორის ილია ჭავჭავაძეს. თავად ოლივერმა დაწერა წიგნი — „საქართველოს სამეფო", სადაც თა-

[1] სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 7, ფ. 11.

[2] ოლივერ უორდროპი (1864 —1948) — ბრიტანელი დიპლომატი, მოგზაური და მთარგმნელი. გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში (1919-1921).უორდროპმა საქართველოში პირველად 1887 წელს იმოგზაურა და დაწერა წიგნი „საქართველოს სამეფო". მეორე ვიზიტისას 1894 წელს, მან შეისწავლა ქართული და საქართველოს შესახებ რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა, ასევე გადათარგმნა სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა". 1906 წლიდან 1919 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე რუმინეთსა და ნორვეგიაში. 1919 წლის ივლისში იგი თბილისში ჩამოვიდა, როგორც ბრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენელი. ნოე ჟორდანიას მთავრობა მიესალმა მის დანიშვნას ამ თანამდებობაზე. უორდროპი თანაუგრძნობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ცდილობდა მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოეჩინა მისთვის, თუმცა, მას არ შეეძლო შეეცვალა ინგლისის სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესები კავკასიაში..საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ინგლისში დაბრუნებულმა ორგანიზება გაუკეთა ქართულ ემიგრაციას და დააარსა ქართული კომიტეტი. 1930 წელს ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიული საზოგადოება, რომელიც გამოსცემდა ჟურნალს „გეორგიკა". ოლივერ უორდროპი აქტიურად თანამშრომლობდა ოქსფორდის უნივერსიტეტთან და ბრიტანეთის მუზეუმთან, ის შეიძლება ჩაითვალოს ქართველოლოგიური მიმართულების დამფუძნებლად ამ მსოფლიო მნიშვნელობის საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

[3] მარჯორი უორდროპი (1869 —1909) — ბრიტანელი სწავლული და მთარგმნელი, ოლივერ უორდროპის და.შვიდ უცხო ენასთან ერთად, მან შეისწავლა ქართულიც და იმოგზაურა საქართველოში (მოგვიანებით რუსეთის იმპერიის ნაწილში) 1894-1895 და 1896 წლებში. მან თარგმნა და გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები (ლონდონი, 1894 წ.), ილია ჭავჭავაძის განდეგილი (ლონდონი, 1895 წ.), წმინდა ნინოს ცხოვრება (ოქსფორდი, 1900 წ.) და კიდევ რამდენიმე ნაწარმოები. ის ასევე იყო პირველი ადამიანი, რომელმაც ინგლისურად თარგმნა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი (გამოიცა 1912 წელს ლონდონში მისი ძმის მიერ). მისი გარდაცვალების შემდეგ, სერ ოლივერ უორდროპმა ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორი უორდროპის სახელობის ფონდი დააარსა, რომლის მიზანიც სტუდენტებში ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის სურვილის წახალისება იყო.

ვისი ღრმა პატივისცემა გამოხატა ჩვენი ერისა და მისი წარსულისადმი.

1918 წლის 18 ნოემბერს აკაკი ჩხენკელმა მას მიმართა წერილით, რომელიც გაატანა დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ინგლისში — ზურაბ ავალიშვილს. აკაკი ჩხენკელის წერილი ოლივერ უორდროპისადმი ასეთი იყო:

„ღრმად პატივცემულო, ბატონო უორდროპ!

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ მოგიძღვნათ ჩემი გულითადი სალამი და მხურვალე სურვილები. მე არ ვაძლევ ჩემს თავს ნებას, დაწვრილებით მოგწეროთ, ვინაიდან ბ. ავალიშვილი პირადად გაგაცნობთ ჩვენს მდგომარეობას. მაქვს სრული იმედი, როგორც ყოველთვის, კვლავაც მხურვალედ მოეკიდებით მრავალ-ნამებული საქართველოს სვე-ბედს.

საერთაშორისო ომის ძლიერმა ტალღებმა კვლავ აღადგინა თავისუფალი საქართველო. ის არსებობს იურიდიულათ ნახევარი წელიწადია, არსებობდა ფაქტიურად რუსეთის რევოლუციის პირველი დღიდან, იმედი გვაქვს, იარსებებს მომავალშიც.

ქართველი ერი და მისი მთავრობა თავიდანვე ლოიალურნი იყვნენ და არიან მეომარ სახელმწიფოთა მიმართ. ისინი მოელიან ამიტომ საქართველოს ფორმალურად ცნობას და მის კანონიერად მიღებას ერთა ოჯახში.

ბევრია დამოკიდებული თქვენს სამშობლოსგან — დიდი ბრიტანიისაგან. მე დარწმუნებული ვარ, საქართველოს დამოუკიდებლობა სრულიად ეთანხმება დიდი ბრიტანიის პოლიტიკურ ინტერესებს და ამიტომ იმედი გვაქვს, რომ უკანასკნელი მხარს დაგვიჭერს.

თქვენ კი, ვიმეორებ, ბატონო უორდროპ, ყველა ჩვენი პოლიტიკური წრეების რწმენით, მხარს დაგვიჭერთ ამ წმინდა საქმეში, რასაც არ დაგვიწყებთ თავისუფალი საქართველო.

ღრმად თქვენი პატივისმცემელი

აკაკი ჩხენკელი, ბერლინი" [1].

აკაკი ჩხენკელის წერილები ბერნიდან და ჟენევიდან (1918-1919 წ.წ.)

თუ როგორ უყურებდა აკაკი ჩხენკელი ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკას, მათ თვალსაზრისს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი, კარგად ჩანს ბერნიდან და ჟენევიდან პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციისა და თბილისში, საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ მის წერილებში (გაგზავნილია სულ 14 წერილი). ამ წერილებიდან ასევე კარგად ჩანს, თუ რა დიდ როლს თამაშობდა ის დელეგაციის მუშაობაში, როგორ ეხმარებოდა მას პოლიტიკური განცხადებების გაკეთებასა და დოკუმენტაციის შედგენაში.

წერილები ეხებოდა ევროპაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, ანტანტის ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარებას ქართველი ელჩებ-

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწ.2, საქმე 88, ფ 1.

ის მიერ, ბერნის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაში მის მონაწილეობას, ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების ღონისძიებებს ევროპის სახელმწიფოებთან, საქართველოში მცხოვრებ შვეიცარიელთა მდგომარეობას (რისი გარკვევაც შვეიცარიის მთავრობამ მოითხოვა მისგან) და სხვა.

ჩხენკელი ურჩევდა საქართველოს მთავრობას, მოეწვიათ დამფუძნებელი კრება ინგლისელების თანდასწრებით და აერჩიათ რესპუბლიკის პრეზიდენტი. აქედან ჩანს, რომ მას, ეროვნულ-დემოკრატების მსგავსად, მიაჩნდა, რომ საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა უნდა ყოფილიყო და არა საპარლამენტო. ამას გვაზავა და სხვები, მათ შორის სოციალ-დემოკრატი ჩხენკელიც, ხსნიდნენ იმ დიდი საფრთხეებით, რაც ქვეყანას ჰქონდა და რაც მტკიცე ხელისუფლების ფორმას ითხოვდა.

იმას, თუ რისთვის წავიდა ბერლინიდან შვეიცარიაში, ჩხენკელი ხსნიდა ბერნიდან საქართველოს მთავრობასთან გადმოგზავნილ წერილებში.

„წერილი I, 15 დეკემბერი, 1918 წელი, ბერნი, საქართველოს მთავრობას

ბერლინიდან ჩამოვედი აქ 9 ამ თვეს, სანამ წამოვიდოდი, გამოვგზავნე ვრცელი მოხსენება კურიერ ანტონ ხელაძის ხელით. აგრეთვე სხვა მასალებიც. შემდეგ, წამოსვლის დღეს, გამოვგზავნე მოკლე წერილი განჯელ კოლონისტ ჰუსელის ხელით, როგორც პირველმა, ისე მეორემ წამოიღეს აგრეთვე ეკონომიური კომისიის მოხსენებანი.

როგორც ვიწერებოდი, ბერლინში ჩემი დარჩენა არ იყო საჭირო, აქედანაც შეიძლება ყურის გდება, ხოლო აქ ჩამოსვლა კი სასარგებლო იყო, რათა თვალ-ყური მედევნებია ჩემს მიერ დაგზავნილ პირების მოქმედებისათვის, თან ვცდილიყავი უფრო მჭიდრო კავშირი გამება ანტანტის ქვეყნებთან. ავალიშვილის გემს ავარია მოსვლია და ისევ ნორვეგიის ნაპირზე ჩამოუსვამს, მაგრამ ახლა უკვე ლონდონში იქნება უეჭველათ. ლამბაშიძისგან ჯერ კიდევ არ მომსვლია პირდაპირი ცნობა, მაგრამ ისე, არაპირდაპირ ვიცი, რომ ნიადაგი მომზადებული აქვს ინგლისთან კარგი განწყობილების დასამყარებლათ. ამას უნდა მიეწეროს ისიც, რომ იქაურმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ წამოსვლის ნება დართო ავალიშვილს, რაიც თავისთავათ ნაბიჯია წინ. გვარჯალაძემ ინახულა კოპენჰაგენში საგარეო მინისტრი და თანხმობა მიიღო ჩვენი წარმომადგენლის ყოლისა. იქ წავა ჭუმბაძე. შემდეგ გვარჯალაძე წავიდა სტოკჰოლმში და იქიდან ეცდება წავიდეს პარიზში ან ლონდონში, საითკენაც დართავენ ნებას. სკანდინავიაში წავიდნენ აგრეთვე ინჟინრები — კაუხჩაშვილი[1] და გაჩეჩილაძე[2] ეკონომიური მიზნისათვის. ვენაში გაიგზავნა კანდელაკი ტყვეების საქმისათვის. ბერლინში დარჩა წარმომადგენლად ბაქრაძე, მასთან არიან ახმეტელი, ლომოური, მდივანი, გოზალიშვილი და კერესელიძე, უკანასკნელი

[1] ყაუხჩიშვილი მიხეილ — (1889-1947), პოლიტიკური მოღვაწე, ინჟინერ-ელექტრიკოსი, ქიმიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი, 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი, 1931-1939 წლებში ფირმა „სიმენსის" მთავარი სამმართველოს წევრი და დირექტორი გერმანიაში, 1939-1947 წლებში იმავე ფირმის იტალიური განყოფილების დირექტორი.
[2] გრიგოლ გაჩეჩილაძე, ემიგრანტი, ინჟინერი.

ტყვეების საქმისთვის, დროებით. ბერნში დამხვდნენ სუმბათაშვილის გარდა, შავიშვილი[1] და გურჯიძე[2]. ვაწყობთ აქ პატარა ბიუროს, სადაც უნდა მონესრიგდეს მუშაობა პოლიტიკური და პრესსისათვის. შეიძლება ამავე

[1] შავიშვილი — ხარიტონ შავიშვილი (1886—1975) — ქართველი რევოლუციონერი და დიპლომატი. 1881 წელს რევოლუციურ საქმიანობაში ჩაება. აქ დაუახლოვდა სოციალ–დემოკრატებს – ისიდორე რამიშვილს, ნოე ხომერიკს, ბენია ჩხიკვიშვილს, ნოე რამიშვილს. აქვე გაიცნო ნოე ჟორდანია და იოსებ სტალინი. რევოლუციური მოღვაწეობა ჭიათურაში გააგრძელა, საიდანაც ქუთაისში გადავიდა. 1906 წელს დააპატიმრეს, ჯერ მეტეხის ციხეში ჰყავდათ, შემდეგ ციმბირში გადაასახლეს. სხვადასხვა საპყრობილეში გაიცნო ცნობილი რევოლუციონერები, მათ შორის ლევ ტროცკი. 1908 წლის გაზაფხულზე მოახერხა ციმბირიდან გაქცევა, გადალახა რუსეთი, პოლონეთი და შვეიცარიაში აღმოჩნდა, სადაც უფროსი ძმა, ვანო ეგულებოდა. ჟენევაში ის 21 წლისა ჩავიდა. იქ გაიცნო ლენინი. ახლო ურთიერთობა ჰქონდა მენშევიკთა ბელადებთან – პლეხანოვსა და მარტოვთან. ეს ყველაფერი ხარიტონ შავიშვილს დაწვრილებით აქვს აღწერილი 1974 წელს ჟენევაში, ფრანგულ ენაზე გამოცემულ წიგნში – „რუსი რევოლუციონერები ჟენევაში 1908 წელს“. 1918 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილმა პირმა მიხეილ სუმბათაშვილმა ხარიტონ შავიშვილთან ერთად ბერნში დააარსა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგნელობა. 1918 წლის ნოემბერში იგი ჟენევაში, ერთა ლიგაში საქართველოს წარმომადგენლად დაინიშნა. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ხარიტონ შავიშვილი ჟენევაში დარჩა და 1934 წლამდე აგრძელებდა მოღვაწეობას ერთა ლიგაში როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი. 1918 წლის ნოემბერში ხარიტონ შავიშვილმა ბერნში დააარსა ქართული პრესის ბიურო, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. 25 წლის განმაელობაში ბიურო მსოფლიო პრესაში ყოველთვიურად აქვეყნებდა ცნობებს საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, თუმცა 1921 წლის შემდეგ ოფიციალურად აკრძალული ჰქონდა ინფორმაციის გავრცელება. 1925 წელს ხარიტონ შავიშვილმა „ჟურნალ დე ჟენევე"-ის რედაქტორ ჟან მარტენთან ერთად შვეიცარიაში დააარსა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ბრძოლა მოსკოვის მიერ საქართველოს შესახებ გვარცელებული ცილისწამების წინააღმდეგ. შავიშვილს ათზე მეტი პოლიტიკური ხასიათის წიგნი აქვს გამოქვეყნებული ფრანგულ ენაზე. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ევროპის ქვეყნების სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, მეგობრობდა შვეიცარიის რამდენიმე პრეზიდენტთან. მუდმივად ეხმარებოდა შვეიცარიაში მყოფ ქართველებს. გრიგოლ რობაქიძე მისი ხელშეწყობით მოხვდა შვეიცარიაში და შემდგომშიც მუდმივად მფარველობდა. აღსანიშნავია ხარიტონ შავიშვილის აქტიური მეცადინეობა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის, ავსტრიისა და იტალიის საოკუპაციო ზონებში მყოფი თანამემამულეების გადარჩენისთვის. ომის შემდგომ პერიოდში მისი უშუალო მონაწილეობით ჟენევაში დაარსდა „ქართველ ემიგრანტთა წარმომადგენლობა". ხარიტონ შავიშვილმა შვეიცარიაში შექმნა ოჯახი. მას ჰყავდა ფრანგი მეუღლე, რომელთანაც შეეძინა ვაჟი – ლევანი, ხოლო ამ უკანასკნელს კი სამი შვილი დარჩა: ეკატერინე, ემანუელ და იზაბელ (ნინო) შავიშვილები. ხარიტონ შავიშვილი 1975 წლის 27 იანვარს, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ჟენევის კოლონის სასაფლაოზე. პატივისცემის ნიშნად ჟენეველმა სოციალისტებმა სამუდამოდ შეისყიდეს სასაფლაოს ნაკვეთი, ხოლო უცხოეთის ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოებამ სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლისთვის მიანიჭა თავადის (Prince) ტიტული. 2013 წლის 10 ივნისს ჟენევაში, ჟორჟ-ფავონის ბულვარზე მდებარე სახლზე, სადაც ხარიტონ შავიშვილი სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა, საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობისა და ჟენევის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით გაკეთდა მემორიალური დაფა, რომელსაც ქართულ და ფრანგულ ენებზე ამშვენებს წარწერა: „აქ ცხოვრობდა ხარიტონ შავიშვილი, რევოლუციონერი, მწერალი და ერთა ლიგასთან საქართველოს დემოკრტიული რესპუბლიკის წარმომადგენელი (ფრანგულ ენაზე), იცოცხლა სამშობლოსთვის (ქართულ ენაზე).". ხარიტონ შავიშვილის არქივი დაცულია გაეროს ჟენევის განყოფილების ბიბლიოთეკაში. მისი ელექტრონული ასლი 2015 წელს ეროვნული არქივის თანამშრომლებმა საქართველოში ჩამოიტანეს და დოკუმენტები საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდებს გადასცეს.

[2] გურჯიძე — საქართველოს წარმომადგენლობის მდივანი ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ - ლონდონში.

ბიურომ ხელი შეუწყოს საქართველოსა და შვეიცარიის ურთიერთ ეკონომიურ დაახლოებას. სუმბათაშვილი შვეიცარიის მთავრობამ უკვე მიიღო წარმომადგენლათ, მასთან იქნება მრჩევლად შავიშვილი, ხოლო გურჯიძე — მდივნად.

ანტანტის მისიები, განსაკუთრებით საფრანგეთისა, უნდობლად მოეპყრენ სუმბათაშვილს, როგორც საქართველოს წარმომადგენელს. მე მას მივეცი მანდატი მთავრობის სახელით. მიღებაც კი გაუჭიანურეს, მაგრამ ბოლოს მან მიაღწია მათი ნდობის მოპოვებას, გააცნო ჩვენი მდგომარეობა, დამოკიდებულება ცენტრალურ სახელმწიფოებთან, გადასცა მემუარი (გეგზავნებათ ასლი) და სხვ. ეს მემუარი განირჩევა ჩვენს მიერ გამოტნეული მემუარისგან (გამოგიგზავნეთ მრავალი ცალი, ახლა ერთს გიგზავნით) და როგორც ამიხსნეს, ეს გამოიწვია აქაურმა განსაკუთრებულმა მდგომარეობამ. საფრანგეთს აინტერესებს გერმანიის სამუდამო დასუსტება. ამიტომ სურს მას რუსეთის აღდგენა, ისიც, ვინაიდან დაეკარგა კადეტების იმედი, რეაქციონურ რუსეთის. ასე არ იქნება, იმედია ჩქარა მომავალში, ვინაიდან საფრანგეთს მოელის შინაური გამწვავება და კლემანსო დიდხანს ვერ იბატონებს. ახლა იქ მისი დიკტატურაა. არსებითად რუსეთი უჩვენოთაც საკმაოდ ძლიერი იქნება, თუ ეშველა და განთავისუფლდა ანარქიისაგან, რაც ამ დროებით საეჭვოა. რაც შეეხება ვალებს, ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, საქართველოსთვის უკეთესია შესაფერისი პროპორციული ნაწილი თვითონ იხადოს, თუ მაინცდამაინც ამაზე მიდგა საქმე, ვინემ რუსეთთან ერთად. ამის გარდა, ბოლშევიკებისგან განადგურებულ სახელმწიფოს აღდგენა იდოს კისერზე, რაიც ვალებზე გაცილებით მეტ თანხას მოითხოვს. ეს გარემოება ჩვენმა მთავრობამაც უნდა მიიღოს უთუოთ სახეში. ვიმეორებ, ვინაიდან მეტი ანგარიში გაუწევიათ საფრანგეთისთვის, ამიტომ, ტაქტიკურის მოსაზრებით, პრინციპიალურათ უარყოფითად არ მოპყრობიან მემუარში რუსეთთან გაერთიანებას, უადგილო გულცივობაც გამოუჩენიათ, მხოლოდ უთქვამთ, — რუსეთის აღდგენა ძნელია და თუ შეიძლება ისევ მისი ნაწილების, მათ შორის საქართველოს წინასწარი ცნობითო და სხ. ასე კითხვის დაყენება შეცდომაა, ჩვენთვის სიმძიმის ცენტრი უნდა ემყარებოდეს საქართველოს და მისი ხალხის რეალურ ინტერესებზე და არა იმაზე — მოსწონს თუ არა ეს საფრანგეთს.

ყოველ შემთხვევაში, ამ ნაბიჯით უფრო გაგვიადვილდა ახლა საფრანგეთთან მოლაპარაკება და მას ისევ ჩქარა გავმართავთ. ე. ი. დავაწვებით დამოუკიდებლობას, როგორც ჩვენთვის სასურველ მიზანს. მე ვნახე ერთი გავლენიანი ფრანგი, რომელიც განზრახულია, საზავო კონფერენციის მდივანი იქნება, და დავრწმუნდი, რომ საფრანგეთს ჯანი არა აქვს არ შეურიგდეს ჩვენს დამოუკიდებლობას. ამერიკის, იაპონიისა და იტალიის მისიები დადებითად ეპყრობიან ჩვენს საქმეს. როგორც გამოირკვა,

იტალიას დიდი როლი უთამაშნია სომხების საქმეში, ახლა ჩვენ გვპირდებიან თავის გამოდებას, წინადადებაც მისცეს სუმბათაშვილს რომში ჩასვლისა, რითაც ისარგებლებს პირველ შემთხვევისთანავე. ეს არის წამიკითხა სუმბათაშვილმა თავისი მოხსენება. მას გიგზავნით, ამიტომ არაა საჭირო სიტყვის გაგრძელება. იქ არის ლაპარაკი ერთ ტელეგრამაზე, რომელსაც ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია აქ. ეს ის ტელეგრამაა, რომელიც გამოაგზავნა კრესმა რამიშვილის ნოტის ძალით. მე გამოუგზავნე მასთან ერთად ბერლინიდან სუმბათაშვილს საიდუმლო ტელეგრამა. არ გადაეცა, თუ საეჭვო იყოს ანტანტის მისიებისათვის, მაგრამ მას ვერ გაურჩევია სამწუხაროთ, ჩემი წინადადება.

საჭიროთ დავინახე შევადგინო ახალი მემუარი სპეციალურათ ჩვენ დამოკიდებულებაზე ცენტრალურ მთავრობებთან, რომ ერთხელ და სამუდამოდ გავაქარწყლო ყოველგვარი სულელური ეჭვები. არ არის ისეთი ერი და მთავრობა ყოფილ რუსეთში, რომელსაც ჩვენსავით ლოიალურათ და სუფთათ ეწარმოებიოთ საქმე. მე მინდა მემუარს თან დავსძინო უმთავრესი დოკუმენტი ტრაპეზუნტის და ბათუმის კონფერენციებიდან, აგრეთვე ფოთის ხელშეკრულებიდან, სამხედრო და პოლიტიკური ბერლინის ნოტებიდანაც დავსძენ უსაჭიროესს. რაც შეეხება ეკონომიურს ხელშეკრულებებს, აგრეთვე ფინანსიურს, ვინაიდან ისინი ძალაში არ შესულან და არც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ქონებიათ, სულაც არ ვახსენებ. საქმე იმაშია, რომ მათ შეუძლიათ მადა გაუღვივონ ანტანტის წევრებს, რაიც სულაც არაა ჩვენთვის საჭირო. დაბეჯითებით ვთხოვდი მთავრობას ისიც ასე მოიქცეს, ვინაიდან პოლიტიკურ ფაქტორებს არ მართებთ სრულიად არარსებულზე იბაასონ. და თუ მაინც დაუყენეს კითხვა, საჭიროა ითქვას, რომ კრიტიკულმა მდგომარეობამ გვაიძულა ასე მოვქცეულიყავით. (თუმცა მე პირადად დიდად საჭიროდ ვთვლიდი ამ ხელშეკრულებებს, განსაკუთრებით გერმანელებთან თანამშრომლობას, დამოუკიდებლათ იმისა, მომწონდა თუ არა მათთან მეგობრობა!), რაიც სულაც არ ნიშნავს, რომ შემდეგშიც, როცა განადგურებები არ მოგველის, ასევე უნდა მოვიქცეთ.

მე ვფიქრობ, ინგლისელები უკვე მანდ არიან, შეიძლება ფრანგებიც. დიდათ საინტერესოა როგორ დახვდით, რა უთხარით, რა გითხრეს. სიმძიმის ცენტრი ახლა თქვენთან გადმოდის. დიდი მნიშვნელობა ექნება ეხლა მანდაურ ინგლისელების და ფრანგების მოხსენებებს ლონდონში და პარიზში. **მე გწერდით არაერთხელ, თითქმის თავიც კი მოგაბეზრეთ, რომ თქვენ სიმტკიცეზე და ენერგიაზე, თუ ყველაფერი არა, ბევრია დამოკიდებული. არასგზით არ უნდა დასთმოთ თქვენი პოზიცია სრულიად დამოუკიდებლობისა. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ არ გვადგია ახლა კარზე ოსმალეთი, რომლის უნდა გვეშინოდეს. განადგურებასა და მოშლას გადავურჩით სამუდამოთ, მაშ, რათ უნდა დავიხიოთ უკან! ჩვენი საბოლოო მოკავშირეა ევროპის დემოკრატია, რომელიც დღეს არა, ხვალ იქცევა უძლიერეს ფაქტორად საერთაშორისო განწყობილებაში. სავალალო და მიუტევებელი იქნებოდა არ გვესარგებლა ამ შესანიშნავი მომენტით და ჩვენი ერის**

ბედის გამოჭედვა სხვებისთვის მიგვენებებია. თან რეალური ინტერესი უკარნახებთ ინგლისელებს მხარი დაუჭირონ ჩვენს თავისუფლებას. საუკუნეებით ისწრაფვიან ჩვენი წინაპრები, შეგნებულად თუ ინსტიქტურათ ევროპასთან პირდაპირ დაკავშირებას. ნუთუ ახლა უნდა გავუშვათ ხელიდან ეს მშვენიერი შემთხვევა. მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ საერთაშორისო კონფერენცია ჩვენ არ შეგვაერთებს ძალათ რუსეთთან, საჭიროა მხოლოდ — ერი მტკიცედ იდგეს თავის პოზიციაზე. საჭიროა უთუოთ დამფუძნებელი მოიწვიოთ საჩქაროთ და მას გამოათქმევინოთ ერის ნება. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ყველას, რომ ბევრ სხვა შესანიშნავ ნაბიჯებთან ერთად დამფუძნებელიც ჩვენ მოვიწვიეთ პირველად მთელს რუსეთში.

საჩქაროთ გამოაგზავნეთ მარსელით ღირსეული დელეგაცია აღჭურვილის სრულის მანდატით საზავო კონფერენციისათვის. საჭიროა წინასწარ მუშაობა ყველა სახელმწიფოების მთავრობებთან ცალ-ცალკე და ერთად. უნდა წამოვიდნენ აგრეთვე მეზობლების დელეგაციები, რომელნიც იმოქმედებენ პარალელურათ. ცალ-ცალკე მოქმედება, ერთნაირის მეთოდით და მიზნით — აი, ჩემის აზრით რას თხოულობს დღევანდელი მდგომარეობა. დიდათ სამწუხარო იქნებოდა, დაგვიანება დელეგაციის გამოგზავნის საქმეში. არასგზით არ აჩქარდეთ, არ შედრკეთ და რაიმე წინდაუხედავი ნაბიჯი არ გადადგათ მანდ. ჩვენი კითხვა უნდა გადაწყდეს საერთაშორისო კონფერენციაზე...

თუ ნება დართეს, სუმბათაშვილი ორი კვირით პარიზში წავა, მე კი კერძო პირი ვარ ახლა, პარლამენტის წევრი, და დაველოდები უფრო მოხერხებულ შემთხვევას.

აკ. ჩხენკელი"[1]

წერილების გამოგზავნა სამშობლოში არც ისე ადვილი იყო. ის ფოსტით ვერ ხერხდებოდა, მხოლოდ სანდო პირისთვის უნდა გამოეტანებინათ. მითუმეტეს, ჩხენკელის წერილები, სახელმწიფო საიდუმლოების თუა არა, იმდენი პოლიტიკურ-დიპლომატიური ინფორმაციის შემცველი იყო, მისი ჩაგდება უცხო ადამიანების ხელში არ შეიძლებოდა. გზა უსაფრთხო არ იყო, საომარი კონფლიქტები დუღდა როგორც რუსეთში, ისევე, უკრაინასა და კავკასიაში. ზემოთ მოტანილი წერილიდან მომდევნომდე თითქმის ორი თვე გავიდა, დრო კი ძალზე ძვირად ფასობდა იმ დროის აჩქარებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ყოველდღიური საშინაო თუ საგარეო პრობლემები ჰქონდა. ამას მოწმობს ჩხენკელის მომდევნო წერილი საქართველოს მთავრობისადმი.

19. II, 1919 წელი, ბერნი

საქართველოს მთავრობას

ეს ორი თვეა, რაც ეცდილობ წერილები გამომეგზავნა, მაგრამ ჯერეც ვერ მივაღწიე ამას. კონსული მეიერი, რომელიც დიდი ხანია უნდა გამომგზავრებულიყო საქართველოში, მხოლოდ ხვალ გავა მარსელიდან, როგორც დეპეშით იტყობინება. მას მიაქვს ორი ჩემი წერილი მასალებით,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 89. ფ. 1–4.

ასევე სუმბათაშვილისგანაც. ეს წერილი არ ვიცი მოაწევს თუ არა, წამომ-ღები უკრაინით მიემგზავრება.

ჩვენი დელეგაცია საქართველოდან ჯერეც არ ჩამოსულა პარიზში, უეჭველათ რაღაც მიზეზით აჩერებენ მას გზადაგზა, გავიგეთ სტამბოლი-დან გამოვიდნენო, შემდეგ მალტის კუნძულებზე იყვნენ, დანამდვილებით არაფერი ვიცით. დელეგაციაც თვითონ არაფერს არ იტყობინება. მე ვუც-დიდი მათ ჩამოსვლას პარიზში, რომ თუ მანდატი ექნებოდათ ჩემთვის, რო-გორც საგარეო საქმეთა მინისტრი იტყობინებოდა, მეც ჩავსულიყავი იქ. საზოგადოთ ფრანგები არ უშვებენ ბევრს პარიზში, და ჩემზედაც უარი გა-ნაცხადა მათმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ, სრულიად უსაფუძვლოდ, რა თქმა უნდა. ასე წარმოიდგინეთ, უკრაინელებს, პოლონელებს და სხვებს, ვინც ასე ახლო დამოკიდებულებაში იყვნენ გერმანიის მთავრობასთან და შტაბთან, უშვებენ, მე კი არა. თუმცა ჩვენი დამოკიდებულება სულ სხვა ხასიათის იყო ამათ ორგანიზაციებთან. ამას წინეთ ოგანჯანიანს მისცეს ნება პარიზში ჩასვლისა. დელეგაციაც წავიდა იქ სომხეთისა. მე მაინც ვცდილობ.

პარიზში არიან გვარჯალაძე, ავალიშვილი[1] და ღამბაშიძე[2]. ისინი, რო-გორც იწერებიან, მუშაობენ რაც კი შეუძლიათ. აცნობენ ყველა დელეგა-ციებს, აგრეთვე საფრანგეთის სამინისტროს ჩვენს საქმეებს, ათავსებენ ცოტ-ცოტას პრესაში, რომელიც არ გვწყალობს საზოგადოთ და სხვა. ფიქრობენ, რომ განსაკუთრებული კომისია გამოიყოფა რუსეთის საქმეებ-ისთვისო, და მაშინ პრაქტიკულათ დაისმება საკითხიო. პრინცის კუნძულზე კონფერენცია არ შესდგება, როგორც ეტყობა... ჩვენებს წერილობითი ნო-ტით მიუმართავთ კონფერენციისათვის და უარი უთქვამთ მონაწილეობის მიღებაზე პრინცის კუნძულის კონფერენციაზე. ეს ნაბიჯი მე შემცდარათ მიმაჩნია და კიდეც მივწერე მათ. ჩვენ არ უნდა გავურბოდეთ არცერთ მო-ლაპარაკებას, სადაც კი არ უნდა მიგვიწვიონ. ჩვენისთანა პატარა და უც-ნობ ერს ჯიუტობა და დოქტრინიორობა ვნებას მოუტანს მხოლოდ. ყოველ შემთხვევაში, როცა პრაქტიკულად დადგება კითხვა კონფერენციაზე, ჩვენები ალბათ გაასწორებენ შეცდომას... ძალიან დიდი შეცდომა ჩაიდინა მთავრობამ, რომ გვარჯალაძეს არ გამოატანა იმთავითვე ჩვენთვის სრუ-ლი მანდატები. **ამდენმა განსაცდელმა კიდევ ვერ მიგაჩვიათ, სამწუხაროდ, დიდ სიფრთხილეს...**

ჩემი აქ ყოფნა გამომადგა იმ მხრივ, რომ **მონაწილეობა მივიღე ბერნის საერთაშორისო კონფერენციაზე და წილათ მხვდა პირველათ დამეყენ-ებია მის წინაშე საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.** ჩვენი დელეგაცია დაშვებული იქნა სრული უფლებით...

განმიცხადეს, რომ მთელი კონფერენცია სამართლიანად თვლის ქართველი ერის მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი. ჩვენი და სომხების

[1] ავალიშვილი ზურაბ — (1875-1944), პოლიტიკოსი, მეცნიერი და საზ. მოღვაწე, 1918 წლი-დან საქ. დემ. რესპუბლიკის მთავრობის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. 1921 წლიდან ემიგრაციაში იმყოფებოდა.

[2] ღამბაშიძე დავით (1884-1963), პოლიტიკური და საზ. მოღვაწე, დიპლომატი, 1920 წლიდან საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის წარმომადგენელი ინგლისში.

დელეგაცია შევთანხმდით იმაშიც, რომ ჩვენი სადავო კითხვები გადაწყდეს თანახმად კონფერენციაზე მიღებული პრინციპიალური რეზოლუციისა, რის შესაფერი განცხადებაც გავაკეთეთ. ამასთან გიგზავნით ჩემს მიერ წარმოთქმულ სიტყვას და ანგარიშებს აქამომდე გამოსულს, თან წერილის ასლს, რომელიც ჩვენ წარვუდგინეთ კონფერენციას თფილისიდან მოსულ მემუართან ერთად. გიგზავნით ასევე ერთ დაბეჭდილ ცალს ჩემი მემუარისას, რომელიც ეხება ჩვენს დამოკიდებულებას ოსმალეთთან და გერმანიასთან და რომელიც ოფიციალურათ გადაეცა ანტანტის წარმომადგენლებს, აგრეთვე ერთ ბროშურას ღამბაშიძისა ინგლისურ ენაზე.

ჩვენ ვაპირებთ აქ შვეიცარიელებთან ერთად დავაარსოთ ერთი დიდი ქართულ-შვეიცარიული საიმპორტო და საექსპორტო საზოგადოება, რომელიც, მე ვფიქრობ, დიდ როლს ითამაშებს ჩვენს ცხოვრებაში. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეხედავს ამ დაწყებულებას ანტანტა, ჩვენც ამის გამოკვლევაში ვართ ჯერჯერობით და, თუ დაბრკოლება არ იქნა, განვახორციელებთ უთუოთ, რადგან მსურველნი არიან. მთავრობამ უნდა იქონიოს სახეში ეს.

საუბედუროთ, ჩვენ სრულიად მოწყვეტილნი ვართ თქვენგან. არ ვიცით როგორ მიდის ჩვენი საქმეები, როგორ დამოკიდებულებაში ხართ მოსულებთან. გვარჯალაძე მწერდა, კარგი ამბები მოდის საქართველოდანო, ჩვენც ამით ვნუგეშობთ. აქ, როგორც სიტყვიერათ გვეუბნებიან, ინგლისელები, ამერიკელები, იაპონელები და იტალიელები დადებითად უყურებენ ჩვენს მისწრაფებას... ბოლოს მეტ ინტერესს იჩენენ ჩვენი საქმეების გასაცნობათ, მე პირადათ სრულიად არ მეეჭვება, რომ ჩვენსას გავიტანთ, თუ ადგილობრივ მტკიცედ ვიქნებით. დაუჯერებელია და აუხსნელი, რომ ჩვენ გვაიძულონ, რომ რუსეთს დავუბრუნდეთ, ეს არ შეეფერება თვით დიდი სახელმწიფოების ინტერესებს. **თუ თქვენ აქამდე არ მოგიწვევიათ დამფუძნებელი კრება, შეცდომაა, ძალიან საჭიროა არჩევნებთან ერთად მოახდინოთ პლებისციტი დამოუკიდებლობის შესახებ ინგლისელების თანდასწრებით, აგრეთვე აირჩიეთ უთუოდ რესპუბლიკის პრეზიდენტი, ნუ აყოვნებთ. ღმერთმა დაგიფაროსთ სახელმწიფოს სუვერენობა რამეში შებღალოთ, არ გარიოთ საშინაო საქმეში არავინ, ნუ გეშინიათ, თუ შინ გავმაგრდით, ჩვენი საქმე სამუდამოდ უზრუნველყოფილია. გვიცნობენ უთუოდ.**

აკ. ჩხენკელი"[1]

ამ წერილიდან ჩანს, რომ აკაკი ჩხენკელს, როგორც პიროვნებას, ქართველ დიპლომატს, როგორც საქართველო-გერმანიის მოკავშირეობის ინიციატორს, გამარჯვებული ევროპის სახელმწიფოები ეჭვით უყურებდნენ, მეტიც, მას უძნელდებოდა ამ ქვეყნებში შესვლა და დიპლომატიური საქმიანობის წარმოება. მაგრამ ეს ყველაფერი დროებითი იყო. ჩხენკელმა შესძლო ამ დაბრკოლებების დაძლევა და ევროპის სრულყოფილ დიპლომატიურ ცხოვრებაში ჩაბმა.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 89. ფ. 5-6.

მომდევნო წერილებში ჟენევიდან ჩხენკელი კვლავ არიგებდა მთავრობის წევრებს და უხსნიდა მათ იმ რეალურ ვითარებას, რაც ამ დროის ევროპულ პოლიტიკაში იყო საქართველოს საკითხის მიმართ. ევროპა ინგლისის მეთაურობით დენიკინს უჭერდა მხარს და მიისწრაფვოდა დახმარებოდა რუსეთში მონარქისტულ ძალებს, დაემარცხებინათ ბოლშევიკები და აღედგინათ ერთიანი რუსეთი. ინგლისელები იმიტომ არ უყვარდათ საქართველოში, რომ ისინი პრინციპულად არ უჭერდნენ მხარს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, ეხმარებოდნენ რუსეთის მონარქისტებს და საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ძალებს — სრულიად არ ეხმარებოდნენ.

1919 წლის 4 მარტს ბერლინიდან პარიზში საქართველოს დელეგაციასთან გაგზავნილი წერილი ეხება საქართველოს საზღვრებს, რომელიც უნდა განხილულიყო სამშვიდობო კონფერენციაზე. დოკუმენტი პავლე ინგოროყვას მიერ იყო შედგენილი და მთავრობის წევრთაგან შემოწმებულ-შეჯერებული. საზღვრების დადგენის საკითხში დიდი როლი ითამაშა დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა.

წერილში აკაკი ჩხენკელი ვრცლად განიხილავს საქართველოს მომავალ საზღვრებს და საკუთარი თვალსაზრისის გადმოცემასაც არ ერიდება.

„გარდა ნახსენებ წიგნაკისა, ბევრი სხვაც იყო საჭირო, რომელიც აქ არ იშოვება. მე ვფიქრობ, ზურაბმა (ავალიშვილი) კარგად უნდა იცოდეს ჩვენი საზღვრების, ეთნოგრაფიის და საზოგადო წარსულის საკითხი. მე ვათარგმნინებ აქ ვეშაპელის რუსულ წიგნაკს ფრანგულ ენაზე და, როცა მზათ იქნება, გამოვგზავნი. ის ეხება ლაზისტანს. წიგნაკი საკმაოდ საინტერესოდ არის შედგენილი და რამდენიმე სურათიც აქვს დართული.

ინგოროყვას წიგნაკს, იქ ნაჩვენებ საზღვრებს (ვგზავნი აგრეთვე ჩვენი მთავრობის მიერ ოფიციალურათ გამოცემულ საზღვრების აწერილობას გერმანულ ენაზე) შესნორება დასჭირდება. ჯიქეთი და ყაზახი, აგრეთვე ყარაიაზის ნაწილი უნდა ჩამოსჭრათ. აქვე ვგზავნი ჟენევის გაზეთიდან ამონაჭერს, სადაც მოთავსებულია პლეხანოვის სიძის კორესპონდენცია სომხეთის შესახებ. თქვენ უნდა გაეცნოთ უთუოთ მას, მანდ გაიგებთ მის ადრესს, ნიჭიერი და გავლენიანი მწერალია შვეიცარიაში. საფრანგეთშიც იცნობენ. მას მისწერა სიდედრმა ჟენევიდან, მიაქციოს ჩვენს საკითხს ყურადღება. თქვენ გმართებთ ძალიან მოხერხებული პოლიტიკური ნაბიჯები სომხეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. საჭიროა მათ დელეგაციასთან საფუძვლიანი მოლაპარაკება და შეთანხმება. არტაანისა და ოლთისის ოლქები არასგზით არ უნდა დავუთმოთ, ვინაიდან იქ 95% მაჰმადიანებია და თუ ასარჩევი შეექმნათ ჩვენსა და სომხებს შორის, უეჭველათ ყველანი ჩვენთან ყოფნას აირჩევენ. თუ სომხები ეფუძნებიან ისტორიულ უფლებაზე, ჩვენ მეტი გვეთქმის ამ მხრივ.

არ ვიცი, როგორ პირობებში გიხდებათ მუშაობა, სომხებს აქაც პრივილეგიური მდგომარეობა უჭირავთ ჩვენთან შედარებით. ამიტომ ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა. შიში მაქვს, თქვენ შეძლოთ მანდ სომხებთან შეთანხმება საზღვრებზე, მაგრამ ერთში მაინც უნდა დაგეთანხმონ: შედგეს

დაინტერესებულ სახელმწიფოთაგან კომისია და მას მიენდოს ადგილობრივ, გამოარკვიოს საკითხი, გაიგოს აგრეთვე მცხოვრებთა სურვილი და ისე გადაჭრას დავა.

პირდაპირ აღმაშფოთებელია, რომ ტრაპეზუნდის ვილაიეთზე სომხები და ბერძნები ვაჭრობენ ურთიერთშორის, როცა იქ ერთნიც და მეორენიც უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ! მე ვფიქრობ, ეს ვილაიეთი უნდა გაიყოს დაახლოებით შუაზე, რომლიდანაც მარჯვენა მხარე, რიზედან დაწყებული, უნდა შეუერთდეს საქართველოს, ხოლო მარცხენა მხარე, პლატანიდან დაწყებული, თურქებს უნდა დარჩეს. შუა ნაწილი ტრაპეზუნდით შეიძლება გადაეცეს სომხებს, თუმცა, უფრო სამართლიანი იქნებოდა მისი ინტერნაციონალიზაცია. ასე თუ ისე, **ლაზისტანი სამეგრელოა ენით და მისი სომხებზე გადაცემა პირდაპირ შეუწყნარებელია. იპანჯანიანი სრულად მეთანხმებოდა, რომ ის საქართველოს უნდა შეუერთდეს. მე ვიცი ეს მხარე, მქონია ლაზებთან ხშირი ლაპარაკი მათ დედაენაზე. მათ, უნდა ითქვას, სარწმუნოების გამო ოსმალეთთან ურჩევნიათ ყოფნა. მაგრამ, თუ მას მოაშორეს, რა თქმა უნდა, ჩვენთან ყოფნას ირჩევენ, მათ შორის არ ცხოვრობენ არც სომხები და არც ბერძნები.**

საზოგადოთ ისე უკუღმა წარმოებს მანდაური საზავო მოლაპარაკება, რომ, ვშიშობ, ცალმხრივად არ გადაწყდეს ჩვენი საკითხი. ჩვენ უნდა დავტოვოთ დუმილი და ხმამაღლა ვილაპარაკოთ ჩვენს საქმეებზე. საჭიროა უთუოთ რომელიმე გაზეთში მოახერხოთ ჩვენს შესახებ ხშირათ იწერებოდეს რამე, გამოეცით ბიულეტენებიც. წავიკითხე „ჰუმანიტე"-ში ჟორდანიას გაშუღლება დენიკინთან და კიშენის შენიშვნა მეორე დღეს. მე ვფიქრობ, ამის შემდეგ შეგიძლიათ აიძულოთ კიშენი მოათავსოს ჩვენზე რამეები. საქართველოს დასახელებაც კარგი იყო თავისთავათ. განზრახულია, ალბათ, ცნობა. საფრანგეთის ინტერესებშია ბოლშევიკების ძლევა, ამისათვის იგი მზადაა დახმარება გაუწიოს ანტიბოლშევიკურ მთავრობებს. ჩვენ კი გვინდა არა ბრძოლა, არამედ მშვიდობიანი ცხოვრება დამოუკიდებელ სახელმწიფოში. რუსეთს ეყოფა თვით რუსებისგან დასახლებული თვალუწვდენელი ტერიტორია, არარუსები კი, ვისაც კი ნაციონალური კულტურა აქვს, უნდა განთავისუფლდნენ. ჩვენ არ გვჭირდება მანდატორი, ამიტომ თავისუფალი უნდა გვყონ მისგან.

თქვენ არაფერს იწერებით, რას გვეუბნებიან, რას გვიპირებენ, მე მეტი არ ვარ ფიქრისგან, არც საშვალება მაქვს შინ მაინც წავიდე, რადგან მანდ არ მაძლევენ ჩამოსვლის ნებართვას. ანტანტა ვერ შეძლებს დაამთავროს ზავის საქმე. მანდაური მოდარბაზენი იმდენათ გონებადაბნეულები არიან, რომ ვერ ამჩნევენ მოახლოებულ ქარიშხალს. მათ დააგვიანეს ზავი, ახლა უნდათ ის შეკრან ძალადობის ნიადაგზე, რაც უმზადებს სამარეს მის ავტორებს. მოსალოდნელია ისეთი მდგომარეობაც, როცა ევროპა რევოლუციის ალში გაეხვევა და აზია კი თავს წამოყოფს, ჩვენს წინაშე შეიძლება ისევ ოსმალეთის საშინელება გაჩნდეს! გვმართებს დიდი სიფხიზლე მოქმედებაში...

მოიწერეთ უთუოთ, რა ხდება, პირდაპირ გაშმაგებული ვარ ცნობების მიუწვდომლობის გამო, არც ასე შეიძლება. თქვენ შეგიძლიათ იაპონიის საელჩოთი ისარგებლოთ, ეტყვით იქ გამოუგზავნონ აქაურ იაპონიის საელჩოს მრჩეველს ბოტას ჩვენდა გადმოსაცემად. გთხოვთ მოიწეროთ.

ეს არის დეპეშა მოუვიდა პარიზიდან ერთ ნაცნობს მისი ცოლისაგან: პაკეტს სუმბათაშვილს ვატანო. აქედან დასკვნა, რომ სუმბათაშვილი მოდის აქეთ. ეს ძალიან საჭიროა, რადგან საეაჭრო საზოგადოების საქმე უკვე იწყება, ბიუროც გაიხსნა და მისი აქ ყოფნა აუცილებელია. მე ამ საზოგადოებას არანაკლებ მნიშვნელობას ვაწერ, ვინაიდან, სანამ თქვენ მანდ პოლიტიკურ საქმეებს აწყობთ, სანამ თვით ანტანტა გართულია საზავო კითხვებით, მას შეუძლია გააჩაღოს მოქმედება და რამდენათმე მაინც ხელი შეუწყოს ჩვენს ეკონომიური დამოუკიდებლობის საქმეს. ჩამოვიდეს მაშ, საჩქაროთ.

აკ ჩხენკელი."[1]

17 აპრილს აკაკი ჩხენკელი პარიზის ქართულ დელეგაციას უგზავნიდა გაზეთ „ერთობის" კოლექციას და სხვადასხვა საბუთის ასლს, ითხოვდა, კომისიას მუდმივად მიეწოდებინა პარიზის კონფერენციისათვის საქართველოს ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ ცნობები, მეტი ეწერათ პრესაში რუსეთზე, რადგან თავად რუსეთი ეწეოდა არაობიექტურ პროპაგანდას, ავრცელებდა სიცრუეს, რისი გამომჟღავნება ქართველებისთვის ყველაზე ადვილი იყო. „საქმე ისე აქვთ წარმოდგენილი, — წერდა აკაკი ჩხენკელი, — თითქოს რუსეთის ძველი აღმოსავლეთისებური იმპერიალიზმი, დაწყებული პეტრე დიდიდან, ბუნებრივი და საღი რამ იყო, თითქოს რუსეთის მთლიანობა ძველ საზღვრებში რაღაც უმაღლეს სამართლიანობას მოასწავებდეს და სხ. და სხ. ამის გასარკვევათ თქვენ სხვებზე უარესათ არა ხართ მოწოდებული და მომზადებული"

წერილის მომდევნო ნაწილი მთლიანად ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის გარშემო კონფერენციის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელთა შემოკრებას. მისი თხოვნა იყო, ყველაფერი გაეკეთებინათ დიდი სახელმწიფოების მისამხრობად.

„აუცილებლათ საჭიროა, ჩემი აზრით, რაც შეიძლება მჭიდრო და ხშირი დამოკიდებულება იქონიოთ ინგლისის მთავრობასთან და დელეგაციასთან. უნდა იქნეს ერთი ვინმე კარგად გაცნობილი და დაინტერესებული ჩვენი საქმით, რომ მხარი დაუჭიროს ენერგიულათ ჩვენს დამოუკიდებლობას. ინგლისელები ჩვენში ბატონად გრძნობენ თავს, მათ იციან რა უნდა გააკეთონ იქ, მაგრამ ჩვენც უნდა ვუჩიჩინებდეთ მათ, თუ რა გვინდა. „ტაიმსის" ღვარძლიანი გამოსვლები უკვე იძლევა კლიტეს მთავრობის გულის ნადების გასაგებათ. ისინი არ გადაუხვევენ თავიანთ ტრადიციულ პოლიტიკას, უთუოთ მაგრათ ჩასჭიდებენ ხელს მთელს კავკასიას, ხელს გადუსვამენ თავზე ჩვენს მეზობელ მაჰმადიანებს, ქართველ მაჰმადიანებსაც დაგვიპირდაპირებენ, რომ ამით შეასუსტონ, თუ მთლად ვერ მოსპეს, ქართველი

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51. ფ. 7.

ერის განსაკუთრებული მდგომარეობა კავკასიაში და მისი დემოკრატიული მისწრაფებანი. ამის მასალას, სამწუხაროთ, ჩვენც ვაძლევთ მათ ხშირათ. ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა ახლა ისეთია ჩვენში, რომ ინგლისელების სერიოზული ჩათრევა კავკასიის საქმეებში უფრო დადებითია ჩვენთვის, ვინემ უარყოფითი. მომავალში კი, თუ ახლა უზრუნველვყავით ჩვენი საზღვრები და თვით ფიზიკური არსებობაც, საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობა ევროპაში, მათ შორის ინგლისშიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, საშუალებას მოგვცემს და თავიდან მოვიცილებთ იმ უარყოფით მხარეებსაც, რომელიც შეიძლება გვარგუნოს პარიზის ზავმა. **ინგლისი თავად უნდა იყოს დაინტერესებული და გაავლოს ჩვენი საზღვრები არტაანოლთისისაკენ და ლაზისტანისკენ. ბოლოს და ბოლოს ჩვენთვის არც ის იქნება საზარალო, თუ ამ სამაჰმადიანო საქართველოს ცალკე გამოყოფს და დაუმორჩილებს თავის ბატონობას, ვინაიდან ეს ასწევს ამ მხარის განვითარებას და ჩვენს ეკონომიკურ-კულტურულ მუშაობას იქ, რომლითაც ვისარგებლებთ უფრო მარჯვე შემთხვევებში მომავალში, როცა ჩვენც ჩვენში გავმყარდებით.**

მე არ ვიცი, გაქვთ თუ არა მოლაპარაკება სომხებთან ლაზისტანის შესახებ, მათთან შეთანხმება ამ საკითხში დიდი გამარჯვება იქნებოდა ორივე მხარისათვის. ჩვენ მეტს ვერ მოვითხოვთ, რა თქმა უნდა, გარდა იმისა, რაც თქვენ აღგინიშნავთ კარტაზე, მაგრამ ეს საზღვრები რომ შეთანხმების შედეგი ყოფილიყო სომხებთან, დიდათ წინ წასწევდით საქმეს. ხოლო სანამ ამას ვერ მიგვიღწევია, საჭირო იყო ტაქტიკური მოსაზრებით ცოტა შორსაც გაგვეწია სამხრეთ-დასავლეთის საზღვრები. ჩვენ არასოდეს არ ვიყავით და არც ახლა ვიქნებოდით ლაზისტანის პრეტენდენტები, ოსმალეთის ბატონობის მოსპობა რომ არ იყოს განზრახული. ამ შემთხვევაში კი, სომხებთან შედარებით, ჩვენი პრეტენზია მთელი ტრაპეზუნდის ვილაიეთზე უფრო კანონიერია...დღევანდელი თქვენი საზღვრები, მაშასადამე, შეთანხმების შედეგი უნდა ყოფილიყო. ოგანჯანიანი სრულიად მეთანხმებოდა აქ მე, ის იმასაც კი შიშობდა, რომ ჩვენ ტრაპეზუნდს მათ არ დავანებებდით. ახლაც არაა გვიან გამართოთ მოლაპარაკება სომხებთან.

როგორც ეტყობა, ინგლისელები მთიელებსაც უშვებენ ხელს, ეს კი გაცილებით დიდ სიფრთხილეს საჭიროებს აფხაზეთსა და ზაქათალაში. თქვენ არ დაივიწყებთ, რომ აფხაზეთში მეგრელი ქართველობა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ, მაშასადამე, დათმობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იქ მდინარე მზიმთას საზღვრამდე. არც პლებისციტის არ უნდა გვეშინოდეს იქ. ზაქათალაში სულ სხვაგვარათაა საქმე, იქ ერთადერთი სერიოზული საბუთი ჩვენს სასარგებლოთ ისაა, რომ მხარე გეორაფიულათ და ეკონომიურათ საქართველოსთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. პოლიტიკური ფორმულა, მისაღები როგორც ჩვენთვის, ისე ადგილობრივ მცხოვრებთათვის, თვითმმართველობაში გამოიხატება"....

აქვე მინდა, ჩხენკელის ამ წერილის დანერიდან (17.IV) რამდენიმე დღის შემდეგ (12.V, 1920) ივანე ჯავახიშვილის ხელით შედგენილი დოკუმენტი

მოვიტანო. როგორც ჩანს, ჯავახიშვილს ეს ტექსტი იმ საერთო დოკუმენტის შესადგენად მოსთხოვეს, რომელიც ჩხენკელის მიერ პარიზში გადაეგზავნა საქართველოს დელეგაციას.

„საქართველოს უფლებები ზაქათალის ოლქზე

ზაქათალის ოლქზე საქართველოს ყოვლად აღიარებული უფლება აქვს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს კუთხე უძველეს დროითგან ქართველების მკვიდრ მიწა-წყალს შეადგენდა და ჰერეთის სახელით ცნობილი ქართული კულტურისა და ხელოვნების ასპარეზად ითვლებოდა. XVII საუკუნის I მეოთხედამდე ის მუდამ ქართველთა უდავო სამფლობელოსა და საკუთრებას შეადგენდა. „თათრები", ანუ თურქები აქ მხოლოდ შაჰ თამაზის, საქართველოს ამ დაუძინებელი მტრის, წყალობით გაჩდენ. ჩვენი ქვენის აოხრების შემდეგ მანაც თავისი ერთგული მაჰმადიანი ტომი ჩაასახლა, რომ ამით სპარსეთს შემდეგში საქართველოში შესევა გაადვილებოდა. ამ გარემოებას ქართველთათვის, რასაკვირველია, ახალი უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა არ შეეძლო და შემდეგშიც ჰერეთი, იგივე საინგილო, ანუ ზაქათალის ოლქი საქართველოს კუთვნილ თემად ითვლებოდა. ეს მარტო ქართული წყაროებით კი არ მტკიცდება, არამედ რუსულ ოფიციალურ წყაროებშიაც არის აღბეჭდილი. სახელდობრ, 1743 წელს მოსკოვში დახატულ მაშინდელი საქართველოს რუსულს რუკაში, რომელიც პეტერბურგის სამხედრო სამინისტროში ინახება, ეს კუთხე კახეთის სამეფოს განუყოფელ ნაწილად არის აღნიშნული. ხოლო რუსეთის ელჩის ბურნაშევის მიერ 1784 წელს შედგენილი საქართველოს რუკა ცხადად ამტკიცებს, რომ ერეკლე II-ის მიერ რუსეთთან 1783 წ. ხელშეკრულების დადების დროსაც ზაქათალის ოლქი საქართველოს უფლებრივად აღიარებულ კუთვნილებად ითვლებოდა. მაშასადამე, საქართველოს ამ ოლქზე უფლება დადებული ხელშეკრულებების ძალით რუსეთიც მოვალე იყო მთელი თავისი ძალით დაეცვა.

ივ. ა. ჯავახიშვილი

ტფილისი, 1920, 12.V"[1]

ჩხენკელის წერილებში საუბარი იყო ისევ რუსულ პროპაგანდაზე საქართველოსა და კავკასიის წინააღმდეგ, ჩხენკელი ურჩევდა პრესაში გააქტიურებას, ზურაბ ავალიშვილისა და ნაცნობი ფრანგების გამოყენებას. წერილების დიდი ნაწილი ეთმობოდა ეროვნული პრობლემისადმი ქართული დელეგაციის არასწორი მიდგომის კრიტიკას, ჩხენკელი მთავრობას ურჩევდა დაბრუნებოდნენ სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ფიქრსა და ზრუნვას, გამოეყენებიათ მათ თანაპარტიელებზე უფრო მცოდნე და ჭკვიანი ე. წ. „ბურჟუაზიული" წრის წარმომადგენლები, კიდევ ერთხელ შეახსენებდა, რომ ევროპაში ისინი თავიანთ პარტიას კი არა, სახელმწიფოს წარმოადგენდნენ.

იხსენებდა ბერლინის დელეგაციის მოღვაწეობას და წარმატებულს უწოდებდა მას შემადგენლობის გამო, რადგან დელეგაციაში მოღვაწეობდნენ არასოციალისტებიც.[2]

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 1, საქმე 274, ფურც. 1-2.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51. ფ. 9-11;

1919 წლის 16 მაისს გაგზავნილი წერილით, ჩხენკელი ატყობინებდა საქართველოს დელეგაციას პარიზში სხვადასხვა წვრილმანებს, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში საქართველოს წარმომადგენელთა მუშაობაზე, იარაღის შეძენაზე და სხვ.

წერილიდან ვგებულობთ, რომ ვლადიმერ ახმეტელაშვილი, რომელიც დამოუკიდებლობის ბოლომდე გერმანიაში იყო ქართული მისიის ხელმძღვანელი, იმჟამად უარს ამბობდა ამ მოვალეობის დაკისრებაზე. მის ნაცვლად, იქ, დროებით, პარიზში საქართველოს საკითხის გადაწყვეტამდე, იაზონ ბაქრაძე დარჩენილა. საუბარი იყო იმაზე, რომ გერმანიაში იარაღის შეძენას არ ჰყოფნიდა ის 27 ათასი მარკა, რაც შეიძლებოდა ქართულ მხარეს ამ საქმისთვის დაეხარჯა.

წერილში დასმული საკითხებიდან საინტერესოა იტალიის პროტექტორატზე ჩხენკელის აზრი. ის წერს საზავო დელეგაციას პარიზში: „საჭიროა მიიღოთ ზომა, რომ იტალიის „აპეკუნობა" საქართველომ თავიდან აიცილოს. სამწუხაროა, რომ აქამდე ვერ მოხერხდა თქვენი შინაურული მოლაპარაკება და შეთანხმება ინგლისელებთან..." ჩხენკელი ითხოვდა მოლაპარაკებას ამერიკელებთანაც, რომლებიც უარს ამბობდნენ „მანდატორობაზე", საუბრობდა იმ გარანტიაზე, რომ საქართველოს მისცემოდა დამოუკიდებლად არსებობის საშუალება, მიიჩნევდა, რომ დამოუკიდებლობის ფაქტობრივი არსებობა და დამფუძნებელი კრების მოწვევა წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამ გზაზე. ამავე წერილში შიშობდა, რომ ქართველების ზურგს უკან არ გადაჭრილიყო სომხებსა და საქართველოს შორის არსებული სადავო ტერიტორიებისა და საზღვრების საკითხი. ურჩევდა დელეგაციას აქტიურ მოქმედებას, პრესაში წერილების ბეჭდვას.[1]

ამ დროს გამწვავებული იყო სამოქალაქო ომი რუსეთში, კოლჩაკი პეტროგრადისკენ მიიწევდა, ევროპის ქვეყნები მხარს უჭერდნენ მონარქისტულ ძალებს რუსეთში. საქართველოს დამოუკიდებლობას ეს ძალები საფრთხეს უქმნიდნენ, რადგან არ განიხილავდნენ კავკასიის ქვეყნების რუსეთისგან გამოყოფის შესაძლებლობას. 1919 წლის 19 მაისს პარიზის ქართული დელეგაციისადმი გაგზავნილ წერილში ჩხენკელი ახალ პოლიტიკურ რეალობას აანალიზებდა. მისი წერილებიდან ჩანს, რომ ამ ანალიზით ეხმარებოდა დელეგაციას კონფერენციის წინაშე იმ საკითხების წინ წამოწევაში, რაც ქართულ მიზანს წაადგებოდა. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს დელეგაციას ინგლისისთვის უნდა ეთხოვა საქართველოზე მანდატი, რაც გააძლიერებდა ჩვენს ქვეყანას და დაიცავდა მას გარეშე საფრთხეებისაგან.

„ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ორიოდე სიტყვა მოგწეროთ. ვგრძნობ, **რომ დაგვიდგა გადამწყვეტი და თანაც საბედისწერო მომენტი, — წერდა ჩხენკელი. — კოლჩაკის აჯანყება და მისი მოგზავნილების კონფერენციაზე დაშვება მხოლოდ ორიოდე დღის საკითხია, რომელიც ალბათ გამოქვეყნდება, როგორც კი პეტროგრადს აიღებენ. ანტანტის განზრახვა აშკარაა: რესტავრაცია ძველი რეჟიმისა რუსეთში, სხვაგვარ არცკი**

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51. ფ. 12;

შეიძლება დემოკრატიულ ძალების უძლურების გამო. მაშასადამე, ჩვენ მოგველის ძველი უღელი გაერთიანებულ რუსეთში. როგორ შეგვიძლია ამ საშინელებას დავაღწიოთ თავი? აშკარაა, საკუთარის ძალით ამას ვერ შევძლებთ. ერთის მხრით დენიკინი ზურგგამაგრებული ჩრდილოეთიდან, მეორეს მხრით საეჭვო მეზობლები, შიგნითაც არა ვართ მტკიცე და ფინანსურათაც გაკოტრებულათ ვართ. ამ პირობებში შეუძლებელია სხვის დაუხმარებლათ არსებობა. საქართველო, საუბედუროთ, ყველაფერში გამონაკლისს წარმოადგენს, ეხმარებიან ყველას, მხოლოდ მას არა. მე დიდი იმედი მქონდა, რომ ადგილობრივ ჩვენი მთავრობა შესძლებდა გამორკვეულ და მკვიდრ დამოკიდებულების შექმნას ინგლისელებთან, დააინტერესებდა მათ ჩვენით, მოიგებდა მათ გულს. უეჭველია, სანამ ინგლისელები ჩავიდოდნენ ჩვენში, მათ ქონდათ განზრახვა ხელი შეეწყოთ ჩვენთვის და მეზობლებისთვის დამოუკიდებლობის საქმეში, მხოლოდ ამით უნდა აიხსნებოდეს ლონდონში გადმოცემული ოფიციალური ნოტა.

თქვენ გეჭირვებათ, ჩემი აზრით, გარკვეული გეგმა და მტკიცე ნაბიჯები. ვშიშობ, რომ ბევრი დრო დაჰკარგეთ ცდაში, თან თქვენი მუდმივი მიმოსვლა უცხო ამხანაგებთან აღიზიანებდა ღვარძლიან მოხუცს (იგულისხმება ინგლისის პრემიერ-მინისტრი). უნდა დაისვას ნათლათ კითხვა: რა ემჯობინება, მანდატი თუ რუსეთის ქაოსში ჩავარდნა? მანდატი, რა თქმა უნდა! მე არ მეშინია იმისაც, თუგინდ ინგლისმა შეკვეცოს ჩვენი შინაური მმართველობა, ვინაიდან ამას მხოლოდ დროებითი ხასიათი ექნება და მანდატი კიდევ არ გვისპობს საშუალებას საერთაშორისო ნიადაგზე ვეცადოთ საქმის გამოსწორებას. დემოკრატიის გაძლიერება უეჭველია ინგლისში და სხვაგან, მაშ მოკავშირეთაც ვიშოვით. იმავე დროს ინგლისი ფეხზე დაგვაყენებს ეკონომიურათ. მე არა მჯერა და ვერც დავიჯერებ, რომ ინგლისს არ ჰქონდეს ინტერესი ჩვენს გამოყოფაში და დამოუკიდებლობაში, უამისოთ არცკი ჩამოვიდოდა ჩვენში, მისი აქტივობა ჩრდილოეთშიც მაჩვენებელია იმისა, რომ ის მოსთხოვს რუსეთის რეაქციულ მთავრობას გასამრჯელოს. მაგრამ დრო ისეთია, რომ მას არ შეუძლია აშკარა ანექსია გაუკეთოს რუსეთის ამათუიმ ნაწილს. საჭიროა თვით ერები მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას და მიმართავდენ მას დასახმარებლათ. ამ საპასუხისმგებლო მომენტში მე მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს, გთხოვოთ: ნუ დააყოვნებთ ერთ წუთსაც, ინახულეთ ინგლისის ხელმძღვანელნი და სთხოვეთ მათ იკისრონ ჩვენი მანდატორობა. იგივე უნდა ჰქნან თათრებმა და მთიელებმა, თუ არ უნდათ ხელიდან გამოეცალოთ ყველაფერი. ფორმა და ხასიათი თქვენი ნაბიჯებისა დამოკიდებულია მანდაურ პირობებზე, მე ვამბობ მხოლოდ, რომ რყევა და ყოყმანი შეუძლებელია, საჭიროა გეგმა და სისტემატიური მუშაობა. ნუ დაივიწყებთ, ინგლისს არცკი ეჭირვება ჯარები იყოლიოს ჩვენში, საჭიროა მხოლოდ მისი სახელი და ეკონომიურ-ტეხნიკურ-ფინანსური დახმარება. საჭიროა განუწყნარებელი ლაპარაკი პატარა პირებთან, ვინც ამუშავებს მასალას და მოხსენებებს აკეთებს. იტალიასთან ლაპარაკი სახიფათოა, თვითონ კაცის გაგზავნაც რომში, ორპირობას დაგვწამებენ. მეტი

ვერ დავწერე, წამომღები მოდის. გაზეთები და მანდატი გუშინ მივიღე.

აკ. ჩხენკელი."[1]

ბერნში მყოფი, სტატუსის გარეშე დარჩენილი ჩხენკელი, ისეთ მღელვარებას განიცდიდა პარიზის კონფერენციაზე საქართველოს საკითხის გაურკვევლობის გამო, რომ ამას ვერ მალავდა, როგორც კი იპოვიდა პარიზში წამსვლელ სანდო ადამიანს, ქართველსა თუ უცხოელს, ქართულ დელეგაციას წერილებს უგზავნიდა და თავის მოსაზრებებს დაჟინებით უმეორებდა. ის შიშობდა, დელეგაციის ზურგს უკან არ გადაეწყვიტათ ევროპის სახელმწიფოებს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ბედი, ურჩევდა დელეგაციას, ამ საკითხზე პლებისციტის ჩატარებასაც დათანხმებოდნენ.

ამ სულისკვეთებისაა 31 მაისს გაგზავნილი წერილი.

„ბერნი, 31. V. 1919 წელი.

საქართველოს დელეგაციას პარიზში.

ხელახლა მეძლევა შემთხვევა, რომ მოგწეროთ. ისეთ მოუსვენრობას ვგრძნობ, რომ წერას ვაყოლებ გულს! რუსეთის კითხვა წყდება და თქვენი კი არაფერი ისმის. გადაეცით თუ არა კიდევ ნოტა უმთავრეს დელეგაციას: საჭიროა უთუოთ ხმის ამაღლება, რომ ჩვენს უკან არ გადაწყვიტონ ჩვენი ბედი. ნოტა ძლიერ მტკიცეთ უნდა იქნეს შედგენილი, უნდა ითქვას კატეგორიულათ, რომ მხოლოდ იარაღით შეიძლება ჩვენი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გაუქმება, რომ მან უკვე გამოთქვა თავისი გადაჭრილი სურვილი დამფუძნებლის დადგენილების სახით, რომ ის მზადაა, თუ მოსთხოვენ, რომ პლებისციტით დაადასტუროს თავისი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი. საჭიროა, მე ვფიქრობ, საზოგადო მოსაზრებაც იმის შესახებ, თუ რამდენათ აუცილებელია რუსეთისათვის საქართველო: ეს უკანასკნელი არ ეღობება რუსეთის არც ეკონომიურ, არც პოლიტიკურ განვითარებას, მას აქვს საკუთარი გასავალი როგორც შავ, ისე კასპიის ზღვაზე. მეორეს მხრით, **მთელი ჩვენი მომავალი მჭიდროთ არის დაკავშირებული პირდაპირ მიმოსვლასთან დასავლეთ ევროპასთან. თუ ბარბაროსულ და ფეოდალურ დროს ვახერხებდით დამოუკიდებელ ცხოვრებას, ახლა მით უფრო მოვახერხებთ ერთა კავშირის ეპოქაში,** რომელიც, რაც უნდა არ გადავიდეს იმპერიალიზმი მილიტარიზმში, ჩქარა მომავალში უნდა დადგეს, ამას თხოულობს თვით ცხოვრება. ცალკე უნდა გაახსენოთ მათგან მოცემული წერილობითი დაპირება, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა ყოველ მიზეზს გარეშე მიაღწიოთ მათთან საიდუმლო მოლაპარაკებას და შეთანხმებას. შეიძლება უკეთესი ყოფილიყო ვინმე თქვენგანი მათ დედაქალაქში წასულიყო და იქ ემოქმედნა. საზოგადოთ, **თუ ამ მომენტში გაუბედაობა და რყევა გამოიჩინეთ, შეიძლება სამუდამოთ გაფუჭდეს საქმე. მე მიკვირს, რომ პარიზში სულ ვერაფერი მოახერხეთ. ნუთუ მთელს პარიზში არ არის ისეთი ცნობილი მწერალი, რომელსაც გამბედაობა შესწევდეს და თან ჩვენს სამართლიან საქმეს სიმპათიით შეხედოს? უნდა ეძი-**

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 51. ფ. 13;

ოთ, დაიხმაროთ სხვებიც. თქვენ შეგეძლოთ პარლამენტიც გამოგეყენებინათ, განა ალბერ თომას არ შეეძლო შეკითხვა შეეტანა დენიკინის შესახებ, რომელიც ემუქრება კავკასიის რესპუბლიკებს? თან არ შეეძლო მას ეთქვა რამე თავისუფალ პატარა ერების სასარგებლოთ? რატომ არ მოსთხოვეთ „ჰუმანიტეს", რომ გამოვიდეს ერთხელ მაინც? როცა კითხვა დიპლომატიურათ წყდება, საჭიროა ყოველი ზომა იხმაროთ, რომ რამე გავლენა იქონიოთ გადამწყვეტებზე. ჯერ თქვენ ჰაუზიც არ გინახავთ, არც ერთი დელეგაციის ხელმძღვანელი, ვაითუ მათ არც არაფერი იციან, არ მოახსენეს, ან ცუდათ მოახსენეს. მე მეშინია, თქვენი დუმილი უღონობად არ ჩაგითვალონ, ან კიდევ „სოციალისტურ ტაქტიკად", ვითომ თქვენ არ გსურთ „ბურჟუებთან" ლაპარაკი. ერთი სიტყვთ, გამონახეთ გზა და საშუალება, აცნობოთ ხმამაღლა ევროპას, რომ არსებობს თავისუფალი სახელმწიფო — საქართველო, რომელსაც სერიოზულად სურს დამოუკიდებელი დარჩეს. პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ ძალმომრეობა იხმარონ, თუ იციან ვითარება, თუ გვიცნობენ..."[1]

წერილიდან ჩანს ჩხენკელის უკმაყოფილება საქართველოს დელეგაციის პასიურობით, უმოქმედობით, ზოგჯერ გადაჭარბებული პარტიული ცნობიერებით.

ჩხენკელის საქმიანობა ყველაფერს მოიცავდა, მათ შორის ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგებას, საქართველოში ევროპის ქვეყნებიდან საჭირო საგნების შეტანის ორგანიზებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიიდან პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის წაღებას, ტყვეების დაბრუნებას საქართველოში. ამისთვის საჭირო იყო საქართველოს ხელისუფლებას დაექირავებინა საჭირო გემები, რაც ხშირად ძნელდებოდა.

1919 წლის 5 ივნისის მისი წერილი ამ საკითხებს სვამს პარიზის ქართული დელეგაციის წინაშე. წერილი ეხება ბერლინის ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარის — იაზონ ბაქრაძის საქმიანობის ანგარიშს, აქ წერია: „სამწუხაროა, რომ დელეგაციამ ვერ მოახერხა ტყვეებისათვის გემის დაკვეთა, რაც მისთვის უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო და ხაზინისათვის სახეირო". მანამდე უკვე ბერლინში წარმომადგენლად დანიშნული სუმბათაშვილიც მიმართავდა პარიზის დელეგაციას: „აუცილებლად საჭიროა დაუყონებლივ გამოგზავნოთ თქვენი დადგენილება თფილისის ტრამვაის ელექტრონის სადგურის და წყალსადენისათვის აუცილებელი საგნების ყიდვისა გერმანიაში". გერმანიიდან კომისიის წევრები უნდა გამგზავრებულიყვნენ საქართველოში, ვინც დარჩებოდა, სამსახურს თავს ანებებდა და ერთი თვის ჯამაგირს იღებდა საჩუქრად. სხვა ქართველები, სტუდენტებს გარდა, უნდა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და გზის ხარჯებს აუნაზღაურებდნენ. ბერლინის წარმომადგენლის ჯამაგირი 2000 მარკა იყო, სხვა ხარჯებიც ამდენივე.[2]

1919 წლის აგვისტოში ჩხენკელი უკვე ჟენევაში იყო და აქედან მიმართავდა საქართველოს დელეგაციას პარიზში. 7 აგვისტოს ის დელეგაცია

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51. ფ. 14;
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51. ფ. 15;

უკანასკნელ ამბებზე წერდა.

ჩემი აქედან წასვლა რამდენიმე დღით დაგვიანდა... ღია წერილები მივიღე. სიამოვნებით ვეგებები დელეგაციის განზრახვას ლონდონში მუშაობის გაგრძელების შესახებო. საუბარია ეკონომიკური მუშაობის საჭირო გააქტიურებაზე...ამ დღეებში ვნახე ვინმე გიორგი ჯაყელი, აქ ცხოვრობს დიდი ხანია. მისი ქალიშვილი ცოლად ყოლია ცნობილ ქირურგს (მან გაუკეთა კოწიას (საბახტარაშვილი, დ. ჭ.) მეუღლეს ოპერაცია, მისი დახმარების იმედი მაქვს — იქნებ შემახვედროს საჭირო ხალხსო. წერილი ნაუკითხავს „ტემპ"-ში ბათუმის შესახებ. ინგლისელები თავს ვერ ართმევენ საქმესო. ამის შესახებ ცნობები საგარეო საქმეთა მინისტრ — გრიგოლ ლორთქიფანიძისგანაც მიულია...[1]

ჩხენკელის წერილები თავს უყრის ყველა წარმომადგენლის სამიანობის შეფასებას, თუმცა, ეს წარმომადგენლები თავადაც უკავშირდებოდნენ პარიზის დელეგაციას ისევე, როგორც ჩხენკელს, მაგრამ ეს უკანასკნელი ყველა მიღებულ ცნობას აანალიზებდა და დელეგაციას სთავაზობდა საკუთარ თვალსაზრისს, აძლევდა მომავალი მუშაობის ორიენტირს. ჟენევიდან 1919 წლის 29 აგვისტოს გაგზავნილ წერილში, რომელსაც სუმბათაშვილს ატანდა, ის იუწყებოდა:

„ბ. სუმბათაშვილი მოგახსენებთ პირადათ და დაწვრილებით იმაზე, რაზედაც აქ ვიწერები. პირველი საკითხია რომში მისსიის გაგზავნა. საქართველოდან, როგორც ეტყობა, ტეხნიკური მიზეზით მისსია ვერ გამოაგზავნეს. იმავე დროს რომში უკმაყოფილონი არიან და გარკვევით გამოთქვამენ სურვილს ჩვენი წარმომადგენლის ნახვისა. ეს ამბავი ჩამოიტანა ბ. დეკანოზმა (რაფიელ ინგილო-ივანიცკი, დ. ჭ.). მისი სიტყვით, ბ. ტიტონის დეპეშაც კი მიუცია თფილისში, სადაც ეს სურვილი გამოუცხადებია. აგრეთვე ქ.ბ.-ნმა ყიფიანმა გამომიგზავნა მისალატის წერილის ასლი, სადაც ის გვირჩევს წარმომადგენლის ყოლას რომში. სხვა რომ არ იყოს, მარტო ის გარემოება, რომ „ხუთთა საბჭოში" იტალიის წარმომადგენელიც ურევია, საკმარისია, რომ ვისარგებლოთ ამ შემთხვევით და რომში მოქმედებით ვაიძულოთ ის დიპლომატიური დახმარება გაგვიწიოს. დელეგაციას თითქო კიდეც უფიქრია ამაზე და ამით აიხსნება ალბათ, რომ მან მანდატი გამომიგზავნა იქ წასასვლელათ. მაგრამ ეს მანდატი, სამწუხაროთ, ერთი თვის შემდეგ მივიღე ლუცერნში და ამიტომ შევთანხმდით კაკისთან, დელეგაციას ხელახლავ მოეწერა, თვლის თუ არა ის საჭიროთ დაგვიანებულ მანდატით სარგებლობას... თუ მე წავედი (რომში), მხოლოდ დროებითი ხასიათი უნდა ექნეს ამას და თან ოფიციოზური. ამიტომ მანდატიც შესაფერისია საჭირო, რასაც ბ.ნი ზურაბი შეიმუშავებს თანახმათ საერთაშორისო სამართლისა. წავალ რამდენიმე კვირით, მოვაწყობ მისსიას, ვიქონიებ მოლაპარაკებას და უკანვე დავბრუნდები. მისსიაში შეიძლება გამოვიყენო დეკანოზი, ყიფიანი[2], ჟორჟოლიანი[3] (რომელსაც ალბათ ჩამოუშვებენ შვეი-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51. ფ. 16-17;

[2] ყიფიანი — რუბენ ყიფიანი (1882-1965), პოეტი, პოლიტიკოსი, დაკრძალულია ლევილში.

[3] ჟორჟოლიანი — ბიქტორ ჟორჟოლიანი, სოციალ-დემოკრატი, მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში.

ცარიაში მაინც) და ასათიანი[1].

მაშასადამე, საჭიროა თქვენი გადაწყვეტილება ამ საგანზე. თუ პარიზიდან გაგზავნით ვინმეს, მე ვიტყოდი, თუ კაკი წავიდოდა რომში, ეს გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რასაკვირველია, დროებით. ამ შემთხვევაში აქაურებიდან ერთს ან ორს დამხმარედ გავუგზავნიდი. ველი საჩქაროთ პასუხს, აგრეთვე თქვენს ხაზს, რომელიც უნდა გატარდეს რომში, თუ წაველი.

ზევით მოვიხსენე ასათიანი. ის ჩამოვიდა ბუქარესტიდან, სადაც გაიგზავნა საქართველოს მთავრობის ბრძანებით კიევიდან. აქვე ვგზავნი მისი მოხსენების ასლს, საიდანაც გაიგებთ მისი მოქმედების ხასიათს. მე ვიზიარებ იმ აზრს, რომ საჭიროა განაგრძოს მან ბუქარესტში ყოფნა, ვინაიდან იქ ახლა ინასკვება ახალი კომბინაციები შესახებ უკრაინისა, პოლონეთისა და საზოგადოთ რუსეთისგან გამოყოფილ სახელმწიფოებისა. საჭიროა ინფორმაციები გვქონდეს იქიდან რეგულარული, რომ შეგვეძლოს თვალყურის დევნება. რუმინიას აქვს ჩვენთვის ეკონომიური მნიშვნელობაც და განსაკუთრებით, ვინაიდან მას აქვს თავისი საკუთარი გასასვლელი შავ ზღვაზე. ჩვენ შეგვიძლია ამ გზით, ინგლისელებისგან დამოუკიდებლათ პირდაპირი კავშირი ვიქონიოთ ჩვენს ქვეყანასთან, თან სააღებ-მიცემო გაცვლა-გამოცვლაც...[2]

ჩხენკელს 1919 წლის 25 აგვისტოს მისცეს უფლება რომში წასულიყო, რათა იქ დიპლომატიური მუშაობა გაეწია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პროპაგანდისათვის, გაეგო იტალიის მთავრობის თვალსაზრისი მასზე გადაცემული საქართველოს მანდატის ირგვლივ. 3 სექტემბერს ის წერდა საქართველოს დელეგაციას პარიზში:

„დღეს მომივიდა თქვენი უთარიღო წერილი შესახებ იტალიაში წასვლისა. დადგენილება 25.8 არის. ბ. სუმბათაშვილმა გადმოგცათ, იმედია, ჩემი წერილი ამ საკითხზე. ოფიციალურ წამომადგენლად მეც არ ვფიქრობ საჭიროთ წასვლას, მხოლოდ საჭიროა რაიმე ქაღალდი მაინც მქონდეს ოფიციოზურ ხასიათისა. მე ვიწყებ ყოველ შემთხვევისათვის მოქმედებას რომში წასვლის ნებართვის ასაღებათ. ბ. დეკანოზი[3] თან წამყვება, იქ დამხვდება ყიფიანის ქალიც. სანამ ნებართვას მივიღებდე, ველი თქვენგანაც ქაღალდს.

დღეს მომივიდა ახმეტელისაგან იქ დებული ქაღალდი ჩეხოსლოვაკიისა. ამას უთუოთ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, თქვენ გაქვთ საშუალება პირდაპირი მოლაპარაკება იქონიოთ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებთან პარიზში. ამას აქვს აგრეთვე პოლიტიკური მნიშვნელობაც. მართლაც, ავსტრიის მთავარი ინდუსტრია ჩეხოსლოვაკიაში დარჩა, მათ შეუ-

[1] ასათიანი — უნდა იგულისხმებოდეს არა ალექსანდრე ასათიანი (1889-1954), ეროვნულ-დემოკრატი, იურისტი, ჟურნალისტი, არამედ სოციალ-დემოკრატი სოსიპატრე ასათიანი (1872-1971), სოციალ-დემოკრატი, საქართველოს ელჩი ჯერ უკრაინასა და რუმინეთში, 1921-1933 წლებში კი პარიზის საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი, 1933-1947 წლებში „ქართული ოფისის" დირექტორი პარიზში. დაკრძალულია ლევილში.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51. ფ. 18;

[3] დეკანოზი, — იგულისხმება რაფიელ ივანიცკი (ინგილო).

ძლიათ ბევრი რამ მოგვაწოდონ, შაქარიც, რომელიც დიდათ გვეჭირვება თურმე. ერთი სიტყვით, თქვენმა ეკონომიურმა კომისიამ უნდა იკისროს ეს საქმე და უთუოთ ეხლავე გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები. ამასთანავე, მე მაქვს აზრათ, თუ დელეგაცია დამეთანხმება, კანდელაკი[4] პრაღაში გავგზავნო. მას შეუძლია იქიდან ყოველგვარი ცნობები მიაწოდოს დელეგაციას. ის დაკვირვებულია, პრაქტიკულიც და ცოდნაც შესწევს. საჭიროა დელეგაციამ გამოუგზავნოს მას აქ ქაღალდი, რომ ის მიემგზავრება პრაგაში, როგორც წევრი პარიზის ეკონომიური კომისიისა. მე ვფიქრობ, უნდა ჩაიწეროს ამ ქაღალდში ისიც, რომ ის დავალებულია ვენაშიც და ბუდაპეშტშიც იქონიოს დამოკიდებულება მთავრობებთან. კანდელაკი უკვე იყო მთავრობის მიერ დანიშნული ბერლინის ეკონ. კომისიის წევრად და ნაყოფიერათ მუშაობდა იქ. ველი ძალიან საჩქაროთ თქვენს პასუხს.

აგრეთვე ველი პასუხს სუმბათაშვილის ხელით გამოგზავნილ წერილზე. ასათიანი უცდის თქვენს დადგენილებას...

აკ. ჩხენკელი[5]

ჩხენკელის პიროვნული ხასიათი და მისი დიპლომატიური საქმიანობის თავისებურება კარგად ჩანს ჟენევიდან 1919 წლის 9 სექტემბერს პარიზის ქართულ დელეგაციასთან გაგზავნილი წერილიდან. ის არცერთ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, მათ შორის პირად ურთიერთობებს, რომ საქართველოს თემა არ მიეტანა ევროპელი პოლიტიკოსების, პრესისა თუ კულტურის მუშაკთა ყურამდე, არ ეცადა მათი ჩართვა საქმეში და საქართველოს სასიკეთო პოზიციისთვის მხარდაჭერა არ მოეპოვებინა. ის ხვდებოდა, რომ ევროპა გულგრილი იყო კავკასიის პატარა ქვეყნის ტკივილისადმი, საკუთარ ინტერესებს იცავდა და ამ შემთხვევაში ადამიანურ კერძო ურთიერთობებსაც შეიძლებოდა რაღაც სარგებლობა მოეტანა, ზეგავლენა მოეხდინა მთავრობის წევრებზე, პარიზის კონფერენციის ხელმძღვანელობაზე.

ჟენევა, 9. 9. 1919 წელი

საქართველოს დელეგაციას პარიზში

„4 ამ თვეს ვინახულე პირადათ ლორდ ბრაისი[6], რომელიც იმყოფება ამჟამათ სააგარაკოთ შვეიცარიაში, მთაზე. თან მქონდა წერილი ერთი აქაუ-

[4] კანდელაკი — კონსტანტინე კანდელაკი (1883-1958), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. მის სახელს უკავშირდება ქართული ფულის გამოშვება. დაკრძალულია ლევილში.

[5] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51. ფ. 20;

[6] ლორდ ბრაისი, — (1838-1922) ინგლისელი ისტორიკოსი და დიპლომატი, 1907-1913 წლებში დიდი ბრიტანეთის ელჩ აშშ-ში. მან 1876 წ. იმოგზაურა კავკასიაში, იყო თბილისში, სადაც ძირითადად სომხებს ხვდებოდა, მოიხიბლა სომხეთის ისტორიითა და კულტურით და სიკვდილამდე მხარს უჭერდა ამ ერს, რომელიც კავკასიაში წამყვან ერად მიაჩნდა. იყო ოლიეერ უორდროპის სამეცნიერო ხელ-ელი, ვინაც სცადა ის ქართველების ისტორიითა და კულტურით დაეინტერესებინა. ზემოთ მოტანილ ჩხენკელის ცნობას ასე აფასებს ისტორიკოსი ბექა კობახიძე: „ღრმად მოხუცებულ ბრაისს 1919 წ. სექტემბერში შეხვდა აკაკი ჩხენკელი და საქართველოსთვის სიტყვის შეწევნა სთხოვა. არ იცოდა რა ბრაისის საქართველოში მოგზაურობისა და მისი წიგნის შესახებ, ჩხენკელი გაკვირვებით წერდა ჟორდანიას, „ამ კაცმა ზედმიწევნით იცის ჩვენი გეოგრაფიაო", თუმცა, ლორდს საქართველოს გულისთვის თავი არ შეუწუხებია"...

რი მისი მეგობრისა, პროფ. ბორჟოსი. მიმიღო კარგათ და ვილაპარაკეთ დაწვრილებით. პირველი, რამაც მიიქცია ჩემი ყურადღება, იყო ის, რომ მან მკითხა, თუ რამდენათ ძლიერია ჩვენში ბოლშევიკური მოძრაობა. ვრცლად შემექმნა ასახსნელი, რომ ჩვენ ბოლშევიკები არ ვართ. აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ საქართველოდან ინგლისის მთავრობას მისდიოდა ყალბი ცნობები. ბრაისი დიდ ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ ამჟამად კავკასიაში გაგზავნილიაო ერთი „ჩემი მეგობარი", რომლის მოხსენებებზე დაემყარება მომავალში ინგლისის მთავრობაო. მე მივხდი, რა თქმა უნდა, რომ ის უორდროპზე ამბობდა და კიდეც გამოირკვა ეს ცოტა გვიან, როცა მე თვითონ ვახსენე ფრთხილათ ის. ბრაისს კარგათ ჰქონია შესწავლილი ჩვენი საკითხი, აგრეთვე მეზობლების. მან მოისურვა გაეგო, თუ რატომ ვერ ვურიგდებით სომხებს, ამბობდა ჩვენი მომავალი ამ ორ პატარა ქრისტიან ერთა თანხმობასთან არის დაკავშირებულიო. ეტყობოდა, ბევრი უმზგავსი აზრი ჰქონდა ყურში ჩაწვეთებული, განსაკუთრებით თათრებზე, რომლებთან მტრობა რაღაც ბუნებრივ რამედ აქვს მას წარმოდგენილი. მე ვრცლათ ავუხსენი მას საქმის ვითარება, ჩვენ ცდას თანხმობის მისაღწევათ, ხაზი გავუსვი ორ დებულებას: ა) ქართველებს არ შეუძლიათ სომხებთან მეგობრობა თათრებს დაუპირდაპირონ, მათ უნდათ ორივესთან მეგობრულათ იყვნენ; ბ) საზღვრების დავა სომხებთან ეხება ისეთ ტერიტორიას, რომელიც ნაწილია საქართველოსი და არასოდეს არ ყოფილა სომხეთის ნაწილი; მიუხედავათ ამისა, ჩვენ მზათა ვართ არბიტრაჟისა, რაზედაც სომხები არ თანხმდებიან. ეს არგუმენტი, რომ დავა მხოლოთ საქართველოს ტერიტორიას ეხება, თითქო არცკი სცოდნია ბრაისს, და ამიტომ მან შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. დელეგაციამ სახეში უნდა მიიღოს ეს თავის მოქმედების დროს. საინტერესოა კიდევ ის, რომ ბრაისს ჩვენი პრეტენზიები ლაზისტანზე სამართლიანათ მიაჩნია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ სომხებს ტრაპეზუნდით გასავალი მიეცათ. მასზე შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ მეგრული იგივე ლაზურია, რომ მე თვითონ ვლაპარაკობ ლაზურს, ე. ი. მეგრულს, გაიხსენა ძველი კოლხიდა...აფხაზებზეც დამისვა კითხვა: ვუამბე, რომ სოხუმის ოლქში მეგრელი სამურზაყანოელები სჭარბობენ, რომ აბხაზები არასოდეს არ იყვნენ პოლიტიკურათ მთიელებთან დაკავშირებული, რომ მათი მმართველნი იგივე ქართველები იყვნენ, რომ ორი მესამედი ქრისტიანები არიან, რომ დიდი ნაწილი აფხაზებისა გადასახლდენ მე-70-ე წლებში ოსმალეთში და სხ.

ჩემს შეკითხვაზე ბრაისმა თქვა, რომ მანდატის საკითხი აღძრულია მხოლოდ სომხების შესახებ, სხვებზე ჯერ არ თქმულა არაფერიო. რომ კავკასიონის ქედის გადმოღმა მხარენი, ე. ი. ამიერკავკასია უფრო შესაფერისია დამოუკიდებელი იქნესო და მათ გზა აზია და ევროპას შორის თავისუფალი უნდა დარჩესო, რომ ეს მხარენი, მიუხედავათ რუსეთის ბატონობისა, ეროვნულათ და კულტურულათ თავისებური დარჩნენო და სხ. ნათლად ეტყობოდა ბრაისის ლაპარაკს, რომ ინგლისელნი არ ფიქრობენ სრულიად

ამიერკავკასიის რუსეთთან გაერთიანებას, თუ ერები გამოიჩენენ საკმაო ნებისყოფას და თუ ისინი შექმნიან საფუძვლიან პოლიტიკურ კავშირს ერთმანეთთან.

რაც შეეხება მთიელებს, ისინი განწირულნი არიან უეჭველათ ინგლისელების მიერ, გარდა დაღესტნისა. შეიძლება ბრაისმა სპეციალურათ მკითხა კავკავზე, ეს ქალაქი ხომ დენიკინის ხელშიაო. თითქო ამაზე წინდაწინვე შეთანხმება მომხდარიყოს ინგლისელებსა და დენიკინს შორის. საინტერესო იყო აგრეთვე, რომ ბრაისი ყურადღებას აქცევდა, დარიალი და მამისონის უღელტეხილი ხომ თქვენს ხელშიაო და როცა დადებითი პასუხი მიიღო, მან სთქვა: მაშასადამე, თქვენ სრულიად ბუნებრივი საზღვრები გაქვთ რუსეთთანო. ბევრი ვილაპარაკეთ ინგლისელი გენერლების ქცევაზე ჩვენში, განსაკუთრებით ბათუმში და გაგრაში, მან კიდევ გაიმეორა, ახლა რომ ჰყავს ინგლისის მთავრობას თქვენში თავისი კაციო, „ცივილი", რომლის მოხსენებებს უცდის მთავრობა და მაშინ გამოირკვევა ყველაფერიო. მან მკითხა, ეუბნება თუ არა ყველა იმას, რასაც თქვენ ამბობთ, თქვენი დელეგაცია უმაღლეს საბჭოსო პარიზში და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რამდენათ საჭიროა ამ ნიადაგზე ენერგიული მუშაობა. ღამბაშიძე[1] კარგათ ახსოვს მას და ნდობით უყურებს, რამდენადაც შევატყვე. კაკიზე მკითხა, განა ის ქართველიაო. ბრაისი 80 წლის მოხუცია, ბევრი ავიწყდება ალბათ, მაგრამ შთაბეჭდილება ისეთი დასტოვა, რომ ის აქტიურ მონაწილეობას იღებს ამიერკავკასიის ბედ-იღბალში და ისეთი კილოთი ლაპარაკობს, თითქო მთავრობაც უწევს მას ანგარიშს. ის აპირებს შვეიცარიიდან გამგზავრებას ამ თვის მეორე ნახევარში, პარიზშიც იქნება გზად, მგონი. ვეცდები შევიტყო მისი მეგობრისაგან და თავის დროზე შეგატყობინებთ, — უნდა ნახოთ უთუოთ.

ბრაისი ამბობს, რომ ჩვენს კითხვას დასვამენ 3-4 კვირის შემდეგ, როცა ბოლგარებს და უნგრეთს მოისტუმრებენ. მე ვფიქრობ, ეს გადამწყვეტი მომენტი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. უთუოთ საჭიროა კაკის ინგლისში წასვლა დემოკრატიულ წრეებში სამუშაოთ და ამ გზით მთავრობაზე ზემოქმედება. ამას გარდა საჭიროა ერთი სხვის წასვლა, რომ სამინისტროსთან კავშირი იქონიოს. მე არ ვიცი, როგორ უყურებს დელეგაცია ბ. ჯაყელს, მას ვიცნობდი ახალგაზრდობაში: იყო ნიჭიერი და კარგი მოლაპარაკეც, აგრეთვე განვითარებული. შეიძლებოდა მისთვის რაიმე ოფიც. ტიტული მიგეცათ, არა წარმომადგენლისა (ღამბაშიძის გამოცვლა არ ივარგებს), მაგალითად, ეკონ. კომისიის წევრობა და სხ. კაკის უნდა დაევალოს, ჩემის აზრით, როგორც დელეგატს, უთუოთ შეიაროს სამინისტროში. მას გაჰყვებოდა ბ. ჯაყელი და ასე. ვიმეორებ, როცა უორდროპის მოხსენებები ჩავა ლონდონში, იქ უთუოთ უნდა იქნეს ვინმე, რომ შესაფერნი პირნი მისცეს სამინისტროს. მე ვფიქრობ, ბრაისიც დიდ დახმარებას გაგვიწევს, თუ იქ კაცი გვეყოლა. კაკის შეუძლია ოფიც. პირებიც ინახულოს, მას ყველანი კარგათ იცნობენ. მე არ ვახსენებ ბ. ბ. ავალიშვილს და სუმბათაშვილს,

[1] ღამბაშიძე — დავით დავითის ძე ღამბაშიძე, საქართველოს წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში.

რადგან ისინი ძალიან გართულნი ყოფილან ეკონომიური კომისიით. ჩეხოსლოვაკიის წინადადება ხომ მიიღე? თქვენი წერილები ყველა მივიღე, აგრეთვე მანდატი. ნუთუ დაიკარგა ივლისს გამოგზავნილი პაკეტი, მიაკითხოს ბ. თუმანიშვილმა,[1] ვინც გადასცა, პირდაპირ შემაძრწუნებელია...

აკ. ჩხენკელი"

2 ოქტომბერს ჟენევიდან გაგზავნილი წერილით, ჩხენკელი არგენტინის მიერ საქართველოს ცნობასა და მასთან ეკონომიკური კავშირების დამყარებაზე საუბრობს. ურჩევს დელეგაციას, ნახონ პარიზში არგენტინის ელჩი და ოფიციალური მადლობა გადაუხადონ.

„გიგზავნით ერთი ნოტის პირს, საიდანაც გაიგებთ, რომ არგენტინის მთავრობას უცვნია ფორმალურათ საქართველოს დამოუკიდებლობა. გარდა ამ ცნობის პრესაში გამოქვეყნებისა, მე ვფიქრობ, საჭიროა ჩვენმა დელეგაციამ ინახულოს არგენტინის ელჩი პარიზში და მადლობა გამოუცხადოს მის მთავრობას. მე ვთხოვე რომში, რომ უმავთულო დეპეშით გადაეცათ ეს ამბავი ჩვენი მთავრობისათვის. მაგრამ, ვინაიდან არ ვიცით გაიგზავნება თუ არა ის, საჭიროა დელეგაციამაც გაგზავნოს ინგლისის თუ საფრანგეთის საშვალებით. ჩვენ შეგვეძლო, ამის გარდა, გვესრგებლნა ამ შემთხვევით და ელჩი გაგვეგზავნა არგენტინაში, რომ მას შეძლებოდა იქედან შეერთებულ შტატებში წასულიყო სამოქმედოთ. გარდა ამისა, ეკონომიური დაახლოებაც არის საჭირო, განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ არგენტინის ულეველ პურით ჩვენც გვესარგებლნა. გთხოვთ მისწეროთ მთავრობას და თვითონაც იმსჯელოთ.

გუშინ ჩამოვედი ბერნიდან სრულიად მომზადებული ვიზებით და სხვებით რომში გასამგზავრებლათ და დამხვდა ყიფიანის ქალის წერილი, საიდანაც ვტყობილობ: იტალიის სამინისტროში უთქვამთ, რომ მოვიდა დეპეშა ტფილისიდან — საქართველოს მისსია ამ კვირას სტამბოლიდან რომში გაემგზავრებაო. თუ ეს გამართლდა, მაშინ მისსია დღეს, ხუთშაბათს უნდა ჩასულიყო რომში. მე ყოველ შემთხვევისათვის დეპეშით შევეკითხე რცხილაძეს,[2] აგრეთვე ვთხოვე ყიფიანის ქალს ეცნობებინა მისიის ჩამოსვლა. მაშასადამე, ჩემი რომში გამგზავრება ზედმეტია, ეს მით უფრო, რომ 10-15 დღეში იქ საეჭვოა პოლიტიკური კრიზისი განელდეს, შეიძლება უარესათ გამწვავდეს. მე ვუცდი დელეგაციის ინსტრუქციას. ჩემი აქამდე ნაუსვლელობის მიზეზი, როგორც კარლოს ვწერდი, ნებართვის დაგვიანება იყო.

---

[1] თუმანიშვილი — პავლე იოსების ძე თუმანიშვილი, კათოლიკე ქართველი, ერივნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლი, დედისგან — ზუბალაშვილების ბიზნესი ჰქონდა. საქართველოს ოკუპაციის დროს ბიზნესისა და დიპლომატიური მოლაპარაკებებისათვის იყო პარიზში, მისი მეუღლე, პოლონელი იადვიგა შიშკო შვილებით ჯერ იტალიაში, შემდეგ ვარშავაში წავიდა, სადაც ჩავიდა პავლე თუმანიშვილიც. პავლე თუმანიშვილი დიპლომატიურ მოლაპარაკებებში ეხმარებოდა საქართველოს მთავრობას. ოჯახი რამდენიმე წელს ვილნიუსშიც ცხოვრობდა. პ. თ. გარდაიცვალა 1935 წელს პოლონეთში. მისი ვაჟი — იეჟი (გიორგი) თუმანიშვილი პოლონეთის არმიაში მსახურობდა და მრავალი ჯილდო ჰქონდა მოპოვებული. საბოლოოდ ის და მისი ოჯახი აშშ-ში დაესახლა.

[2] რცხილაძე — გრიგოლ რცხილაძე, სოციალისტ-ფედერალისტი.

მე ვფიქრობდი ასათიანის რომში წაყვანას, მასაც მოუვიდა ნებართვა, მაგრამ ეს არ ხერხდება, ამიტომ, მე მომივიდა ერთი აზრი: ის პარიზში გაინვიოთ ჟორჟოლიანის მაგიერ. ჩემის შთაბეჭდილებით, მას შეუძლია იგივე როლი იკისროს, რასაც ჟორჟოლიანს აკისრებდით იმ უპირატესობით, შეიძლება, რომ ის თან იურისტია და აქვს უნარი თავის სპეციალურ სფეროში ნაყოფიერათ იმუშაკოს. შეიძლება დელეგაციამ არ გადაუხვიოს თავის ადრინდელ აზრს და საჭიროდ დაინახოს მისი სტამბოლში გაგზავნა დამხმარედ რცხილაძესთან. ამ შემთხვევაშიც დელეგაციამ უნდა მაცნობოს თავისი დადგენილება. ჟორჟოლიანი რომ პარიზში გაეშვათ, მაშინ, რა თქმა უნდა, ასათიანი აქ დარჩებოდა, ხოლო ორიეეს გაჩერება აქ უხერხულია, როცა სხვაგან ძალები გვეჭირვება.

მე მივწერე ბ. თუმანიშვილს და ახლაც ვიმეორებ ჩემს თხოვნას: 2000 ცალი ჩვენი რუქა გამომიგზავნეთ, აგრეთვე კაკის სიტყვა რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გთხოვთ გამომიგზავნოთ. დიდი ხანია არ მომსვლია გაზეთები, თუ მოგივიდათ, გთხოვთ ჩვენც გაგვიზიარეთ, ნაწილი მაინც.

აკ. ჩხენკელი[1]

1919 წლის 17 ოქტომბერს მან ორი სხვადასხვა შინაარსის წერილი გაუგზავნა დელეგაციას. ამ დღეს გაგზავნილი პირველი წერილი ზოგადი ხასიათის იყო. ის ყველა იმ საითხს ეხებოდა, რასაც საქართველოს წარმომადგენლები ევროპის ქვეყნებში აკეთებდნენ.

ჟენევა, 17.10. 1919 წელი

საქართველოს დელეგაციას პარიზში

გუშინ მივიღე საბახტარაშვილის[2] დეპეშა რომიდან, სადაც მატყობინებს უნდა ჩამოხვიდეთო,ვინაიდან არა ვარ კარგად, ამიტომ ვუპასუხე, რომ წავალ შემდეგ კვირაში, თუ მართლა აუცილებელია ჩემი ჩასვლა. ფული და ვიზა უკვე მაქვს და ადვილიცაა 1-2 კვირით ჩავიდე. თან მივწერე, თანახმად კარლოს დეპეშისა, ტყვეების შესახებ მიიღონ ზომები, ჩემის აზრით, თუ სხვა გზა არაა, ეს ასიოდე ტყვე ჩვენის ბარჯით გავისტუმროთ ტორონტოდან.

აქვე ვდებ პატარა ნაგლეჯს, სადაც აღნიშნულია ცნობა, თუ როდის გამოგზავნა აქაურმა საკონსულომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ასათიანის შუამდგომლობა. საჭიროა ვინმემ შეიაროს სამინისტროში საქმის დასაჩქარებლათ. სამხედრო წესები უკვე მოიხსნა და ალბათ გაადვილდებოდა ნებართვის მიღება. როგორც კი მისცემენ ვიზას, ასათიანი წამოვა.

კანდელაკის შესახებ ძალიან სამწუხაროა, რომ დელეგაცია არ იწერება თავის აზრს. თუ მას ეფიქრება, რომ ეს საქმე მის კომპეტენციაში არ შედის, ჩემსაშიდაც მით უფრო არ უნდა შედიოდეს. მეორეს მხრით კი კანდელაკი დღესაც სავაჭრო სამინისტროს მოსამსახურეთ ითვლება და, როგორც ასეთის, მისი შინ დაბრუნება 2000 ფრ. დაჯდება. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 53. ფ. 1;

[2] საბახტარაშვილი, — კონსტანტინე ბეჟუკის ძე (1884-1938), საქ. დემოკრატ. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბათუმის ქალაქის თავი 1916-1921წ. წ.

ამას ცოტა რომ დამატებოდა, თან 4000 მარკის შეღავათიანი დახურდავება და ასე გავისტუმრებდით ამერიკაში. ის ამჟამად ჩემს ანგარიშებს აწყობს ბულალტერიის წესზე და გასამგზავრებელი ბილეთიც ალბათ ნოემბერში მოუვა, რომელიც დაკვეთილი აქვს. კარგი მუშაკია, აქვს, როგორც ვფიქრობ, თავის სპეციალობის ინტერესი და უნარი შეიძლება ინფორმაციაც მოგვაწოდოს ამერიკიდან. ამიტომ განმეორებით ვითხოვ თქვენს დასტურს, გასტუმრება ჩემი თანხიდან მოხდება.

მე არ შემიძლია დავეთანხმო დელეგაციას მეორეხარისხოვან სახელმწიფოებში დიპლომატიური აგენტების ყოლის შესახებ. ჯერ ერთი, ბუქარესტი და სტოკჰოლმი ერთმანეთში არ არის ასარევი, ბუქარესტს დე-ფაქტო ჯერ არ უცვნია ჩვენი დამოუკიდებლობა, ასათიანი იქ იყო მთავრობის ბრძანებით, დროებით. და თუ მე მოვითხოვდი მისი იქ ყოფნის გაგრძელებას, სახეში მქონდა ინფორმაციული მუშაობა. სტოკჰოლმში წარმომადგენლობის ყოლა შედეგია ჩემი წინადადებისა, როგორც საგარეო მინისტრისა იმ დროს და შვეციის მთავრობის დადებითი პასუხისა, ასე იყო დანიის მთავრობის გაგებითაც. მაშასადამე, იმ ორ სახელმწიფოში ჩვენი წარმომადგენლობის გაუქმება შესაძლებელია, ოფიციალური ნაბიჯის გაკეთების შემდეგ, ისე უსიტყვოთ წარმომადგენლის წასვლა მიუტევებელი ცუღლუტობა იქნებოდა. მასაც ნუ დავივიწყებთ, ჭუმბაძე საგარეო მინისტრის გეგეჭკორის ტელეგრამით არის დანიშნული ნაცვლად მ. წერეთლისა. მე ვფიქრობ, ამ წუთში, როცა ნეიტრალურ სახელმწიფოებში ენერგიული მუშაობაა საჭირო ჩვენი ცნობის ნიადაგზე, მართლაც მიზანშეუწონელი იქნებოდა სკანდინავიაში ჩვენი წარმომადგენლობის გაუქმება. პირადათ ჭუმბაძეს არ ვეხები, შეიძლება სხვას მეტიც გაეკეთებინა, მაგრამ მარტო ფაქტი ჩვენთან საერთაშორისო დამოკიდებულებისა სკანდინავიის სახელმწიფოებისა და ჩვენი წარმომადგენლობის მათთან ყოფნისა ზედმიწევნით დადებითი მოვლენაა, რაიც არა მგონია არ ღირდეს იმდენად მაინც, რაც წარმომადგენელზე იხარჯება (თვეში 2000 ფრ.). ყოველ შემთხვევაში, თუ დელეგაცია მაინც თავის აზრზე რჩება, მას შეუძლია ნაბიჯებიც გადაგას მთავრობის სახელით...მე კი ამის უფლება არა მაქვს და არც ვიზამდი, კიდეც რომ მქონდეს...

საუბრობს ყველა ხერხის გამოყენების აუცილებლობაზე, რათა დაუახლოვდნენ სხვა სახელმწიფოთა გავლენიან პირებს, გამოიყენონ ისინი საქართველოს ცნობის საქმეში მათი სახელმწიფოების მხრიდან. წერს, რომ ახმეტელი იყო ჟენევაში რამდენიმე დღით, საქართველოზე იქ ბევრს ლაპარაკობენ, ბევრიც იწერება, გადაწყვიტეს, რომ ვინმე დახელოვნებული ჟურნალისტი დაექირავებინათ, რომელიც პრესის საქმეში დახმარებას გაუწევდა ქართულ დელეგაციას.

„გარდა ამისა, ვინაიდან საქონლის ფასი იწევს და კურსი კი ეცემა, გადავწყვიტეთ ნახევარი მილიონის კიდევ შევიძინოთ სამეურნეო იარაღები, მედიკამენტები, საქსოვი იარაღები და სხვა, რაიც სხვაგან არ იშოვება, ან უფრო ძვირი ჯდება“. ეკონომიკური ხასიათის ცნობებს გზავნიდა

საქართველოში, ეს ყველაფერი შეთანხმებული იყო სუმბათაშვილთან, ითხოვდა კომისიის აზრისა და საქართველოს ხელისუფლებიდან დასტურის მიწოდებას.[1]

აი, ასეთი ტევადია ჩხენკელის წერილები, მას არაფერი ავიწყდება, ყველაფერს სკურპულოზურად განიხილავს, წამოჭრის ბრობლემებს და აყენებს მათი გადაჭრის ვარიანტებს. თავადაც ხვდება ამას და ამბობს, იმედი მაქვს „ჩხირკედელაობად" არ ჩამეთვლებაო. ამავე დღეს გაგზავნილი მისი მეორე წერილიც ერთდროულად უამრავ პრობლემას წამოჭრიდა და ქართული დიპლომატიის ამდროინდელ თავისებურებას წარმოაჩენდა.[2]

აკაკი ჩხენკელი წერილებს აგზავნიდა საქართველოშიც, თანაპარტიელებსა და მთავრობის წევრებთან. მან რამდენიმე წერილი გამოუგზავნა დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ აქტიურ მოღვაწესა და იდეოლოგს — გრიგოლ ლორთქიფანიძეს. ეს წერილებიც მის პირად ფონდშია დაცული.

აკაკი ჩხენკელის წერილები გრიგოლ ლორთქიფანიძისადმი

გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881—1937) — გამოჩენილი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეა. მას 1918-1921 წლებში, სხვადასხვა დროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ეკავა სამხედრო და განათლების მინისტრისა და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს მოლაპარაკებას აწარმოებდა რევკომთან. 1921 წლის 18 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან გრიგოლ ლორთქიფანიძემ და რევკომის წარმომადგენელმა მამია ორახელაშვილმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, რომლის თანახმად ერთადერთ კანონიერ მთავრობად კვლავ, ვიდრე მას ქართველი ხალხი არ გადააყენებდა, რჩებოდა დემოკრატიული მთავრობა.

აღნიშნული მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, მენშევიკები ევროპაში წავიდნენ. მაგრამ სამხედრო მინისტრი მთავრობას ემიგრაციაში არ გაჰყვა, ბათუმში დარჩა და გენერალ მაზნიაშვილთან ერთად ბათუმი და აჭარა სამშობლოს შეუნარჩუნა, ხოლო შემდეგ ცოლ-შვილთან ერთად საკუთარ სოფელ ისრითს მიაშურა და გლეხურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. მალევე გრიგოლ ლორთქიფანიძე ადგილობრივმა რევკომმა საეჭვო პიროვნებად მიიჩნია და დააპატიმრა. ქუთაისიდან მეტეხის ციხეში გადაიყვანეს, შემდეგ სუზდალის საპატიმროში. სუზდალში პატიმრობისას მან დაწერა ესსე — „ფიქრები საქართველოზე", რომელიც მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ. 1925 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ საქართველოში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა, ამიტომ

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 51. ფ. 23-24;
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 53. ფ. 2-3;

კურსკში დასახლდა და პედაგოგიურ საქმიანობას მიჰყო ხელი.

1928 წელს ინდუსტრიალიზაციის წარმატებებით აღფრთოვანებულმა საქართველოს პარტიის ცეკამ, კონკრეტულად გრიგოლის რევოლუციამდელმა მეგობრებმა, მიხა კახიანმა და ლევან ღოღობერიძემ, ჩამოიყვანეს გრიგოლ ლორთქიფანიძე, იმ დაპირებით, რომ თუ გაიზიარებდა ბოლშევიკების პოლიტიკურ კურსს და ექნებოდა სურვილი, გაუკეთებდნენ რეაბილიტირებას და მოაწყობდნენ უნივერსიტეტში ლექტორად. გრიგოლს მოატარეს თითქმის მთელი საქართველო და სთხოვეს, გამოეთქვა თავისი შეხედულებანი სოციალიზმის მშენებლობის თაობაზე. გრიგოლ ლორთქიფანიძემ პირუთვნელად კარგიც აღნიშნა და მიუღებელზეც მიუთითა ცეკას. განსაკუთრებით მოითხოვა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმება, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზა. ბოლშევიკებმა და ყოფილმა მენშევიკმა საერთო ენა ვერ გამონახეს და გრიგოლი კვლავ დააბრუნეს გადასახლებაში.

გრიგოლ ლორთქიფანიძე 1937 ჩეკას ჯურღმულებში გარდაიცვალა.

დამოუკიდებობის წლებში მას საქმიანი და პირადი ურთიერთობა ჰქონდა აკაკი ჩხენკელთან. რამდენიმე წერილი, რომელიც ჩხენკელის პირად ფონდში ინახება, ქვეყნის ამდროინდელ მდგომარეობას, საგარეო და საშიანო პოლიტიკის ასპექტებს ეხება. ეს წერილები ჟენევაში და თბილისში მყოფ ჩხენკელს მიუწერია გრიგოლ ლორთქიფანიძისთვის, რომელიც, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო, ხშირად იმყოფებოდა საქართველოს ყველაზე აფეთქებასაშიშ რეგიონებში.

ჟენევა, 14/VII – 19

დიდათ პატივცემულო ბატონო გრიგორ.

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ რამდენიმე სიტყვა მოგაწვდინოთ. ამის მომტანი ქართველი მაჰმადიანი იზმაილ ლორთქიფანიძე, რომელიც 7 წელი გარეთ ყოფილა, ბრუნდება ოსმალეთში და პირადათ გინახულებთ.

თქვენგან არაფერი მსმენია, რასა იქთ, როგორაა ჩვენი საქმეები. მე იმედი მაქვს, თქვენ შეგეძლოთ, ვინაიდან სტამბოლში იმყოფებიან მოკავშირეთა სამხედრო სარდლები აღმოსავლეთისა, სამსახური გაგეწიათ ჩვენი საერთო საქმისათვის იმ მხრივ, რომ შეგეტანათ ჩვენსა და მოკავშირეთა დამოკიდებულებაში ადგილობრივ მეტი გაგება და თანხმობა. როგორც მოგეხსენებათ, მდგომარეობა ძლიერ გართულდა თფილისში, ლამის აშკარა მტრობით დათავდეს ჩვენი და ინგლისელების შეხვედრა. მე მაქვს მხოლოდ 5 ივნისის ცნობები, ინგლისელები უნდა წასულიყვნენ, იტალიელნი უნდა მოსულიყვნენ, ბათუმი თითქო რუსებისათვის მიეცეთ, დენიკინი უნდა გვემუქრებოდეს და სხ. და სხ. არ ვიცი, რა მდგომარეობაა ამ წუთში, იქნებ თქვენ მომაწვდინოთ რამე ცნობა.

საზოგადოთ ინფორმაციის საქმე ძალიან ცუდათაა დაყენებული. მთავრობას აქვს ძლიერი რადიო, შეუძლია აგრეთვე უკვე რეგულიარულათ მოსიარულე გემებით ისარგებლოს, თქვენც მანდა ხართ ცენტრში, სადაც წამსვლელ-წამომსვლელები ხშირია, – და მაინც ისევე მოწყვეტილათ ვგრ-

ძნობთ თავს, როგორც 7 თვის წინეთ. იქნებ მიიღოთ რამე ზომა, მოიფიქროთ მთელი გეგმა ინფორმაციის მოსაწყობათ, ამით ძლიერ დაგვავალებთ.

22–23 ივლისს ჰამბურგიდან უნდა გავიდეს ჩვენ მიერ დაქირავებული ორი გემი ტყვეებითა და საქონლით, მოემგზავრება ბ. ბაქრაძეც[1]. ბერნში დაარსდა სავაჭრო ქართველ-შვეიცარული სააქციო საზოგადოება, ძირითადი თანხა 2.000.000, ნახევარი შეაქვთ შეიცარლებს, ნახევარი ქართველებს, ამათ მაგიერ დროებით მთავრობის თანხიდან შევიტანე. აქაური მონაწილენი მწარმოებელნი არიან, საქონელი უკვე მზათა აქვთ და ამიტომ პირადული გამგზავრება საქონლისა აგვისტოში უნდა მოხდეს. საზოგადოებას ეწოდება „ივერია". შვეიცარიაში ხშირათ იწერება საქართველოზე, ასე რომ აქედან პარიზშიც წვდება ხმა. რაც შეეხება ინტერნაციონალს, ის მხარს გვაძლევს. 1-ლ აგვისტოსთვის დანიშნულია კონფერენცია ლუცერნში, რომლისათვის ვამზადებ ცალკე ფურცელს საქართველოდან მოსულ ცოტათი დაძველებულ მასალებიდან. პარიზიდან ამ უკანასკნელათ არაფერი მსმენია; მოსალოდნელია, რომ ჩქარა გადაწყდება ჩვენი საკითხი, იტალია უნდა აჩქარებდეს. რა შეთანხმებაშიც არ უნდა შევიდეთ იტალიასთან, ინგლისს არ უნდა ავეშალოთ, რადგან ჩვენი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა მხოლოდ მას შეუძლია, სანამ არ განხორციელებულა ერთა ნამდვილი კავშირი. იტალიაში ჯერ კიდევ არ ჩასულა ჩვენი მისსია, მე მინდოდა წასვლა, მაგრამ აბა რაზე უნდა მელაპარაკნა სახელმწიფო მოღვაწეებთან, როცა არ ვიცი მთავრობის მიზნები და განზრახვანი. როცა კონფერენცია დასრულდება, მე ვფიქრობ გამომგზავრებას სამშობლოში, ვინაიდან ჩემი მისსია ცოტათ თუ ბევრათ დასრულებულათ მიმაჩნია. გთხოვთ ეს ცნობები საჩქაროთ მიაწვდინოთ ჩვენს მთავრობას, აგრეთვე მომაწოდოთ უკანასკნელი დაწვრილებითი ცნობები. მიიღეთ მხურვალე სალამი, მარადის თქვ. პ. მც. აკ. ჩხენკელი".

გიგზავნით ვეშაპელის და წერეთლის წიგნაკებს.

თფილისი. 21. III. 20

დიდათ პატივცემულო ბატონო გრიგოლ.

ვსარგებლობ შემთხვევით და გწერთ ორიოდე სიტყვას. პარიზში მიმავალ სამხედრო მისსიას დავალებული აქვს, რამდენათ მე ვიცი, თქვენთან ერთად როგორც მილნის[2], ისე უმაღლეს კომისრის ადმირალის (გვარი არ მახსოვს) ნახვა. არ ვიცი გწერდნენ თუ არა აქედან, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, ბათუმის საკითხმა ლამის თან გადაგვიტანოს, დაგვავიწყოს ყველაფერი, ე. ი. ხიფათი ჩრდილოეთით, მეზობლებისგან, რაიც ჩვენს დაღუპვას მოასწავებს. კუკოლისი უკვე აშკარა ბრძოლას ეწევა ჩვენს წინააღმდეგ, არ ერიდება არავითარ საშუალებას, ბნელსა და გასვრილსაც კი. მისი აგენტები (ადერბეიჟანლები, თურქოფილები, დენიკინელები, თვით ბოლშევიკებიც) დაძრწიან სოფლიდან სოფელში და აქეზებენ ხალხს ჩვენს წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. ამ უკანასკნელად ისინი რაზმავენ ჩეტნი-

[1] ბაქრაძე — იაზონ თომას ძე ბაქრაძე (1869-1938), დამფუძნებელი კრების დეპუტატი, საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი გერმანიაში.
[2] მილნი — ინგლისელი გენერალი.

კებს, აგზავნიან ემისრებს ლაზისტანში, რომ იქიდანაც მოანყონ ჩეტნიკების თავდასხმა, ახერხებენ ყალბი წერილების ხალხში გავრცელებას, ვითომ სტამბოლიდან უბრძანებენ მას, ქართველები არ დაზოგოს, ვითომ ჩქარა მოაშველებს ოსმალეთი ჯარს და სხ. და სხ. (კარგი იქნებოდა, თუ მოსახერხებელია, მაჰმუდ ფაშამ ერთხელ კიდევ ამცნოს აჭარლებს და ქობულეთლებს, რომ ოსმალეთის იმედი არ იქონიონ). ჩვენ მტრები ხარჯვენ აუარებელ ფულს, ყრვნიან ხალხს; ბათუმში ხომ აუწერელი მდგომარეობაა: ერთის მხრით, სპეკულიანტების ვაკხანალია, მეორეს მხრით, ანარქიული ვულკანი... (არჩევნები, მართალია, ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა ბათუმში, მაგრამ კუკოლისი[1] არ ამტკიცებს მას).

თქვენ გეტყვიან, თუ ჯერ კიდევ არ იცით, მთავრობის უკანასკნელ ნაბიჯებს. ჯარმა გადალახა ქედები და შევიდა ზედა აჭარაში (ხულო), შავშეთში (სათლელი) და კლარჯეთში (არტანუჯი). იყო დიპლომატიური გამწვავება, მაგრამ ბოლოს შეურიგდა კუკოლისი იმ პირობით, რომ ჯარი მის საერთო სარდლობას დაუქვემდებარეს და უშუალო სარდალი ჩვენგნით ბათუმში გაგზავნეს თავის შტაბით. ახალციხე–ახალქალაქ–არტაანის რაზმის გაძლიერებას ეპირებიან, ვინაიდან უკანასკნელი ცნობით ოლთისიდან სერვერ ბეგი[2] თავდასხმას ლამობს, მას ჰყავს 800 ასკერი, 1000–მდე ჩეტნიკი, არტილერია, ტყვიამფრქვეველები და სხ. იმავე დროს სოჩის ხაზით უკვე საბჭოთა მთავრობაა, კავკავში დღეს თუ ხვალ იგივე იქნება, ბაქო ბოლშევიკურ გადატრიალების წინ სდგას, სომხები ემზადებიან ბორჩალოსა და ახალქალაქზე თავდასასხმელათ...

საჭიროა ნათლათ დაუსვათ კითხვები მანდაურ სარდალს და უმაღლეს კომისარს: რას ისახავს მიზნად ინგლისი საქართველოში და ამიერ-კავკასიაში? ფიქრობს თუ არა ის სერიოზულათ ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვას? თუ ფიქრობს, რად არ გვაძლევს იარაღს, რად გვიშხამავს სისხლს ბა-

---

[1] კუკ-კოლისი — ინგლისელი გენერალი, ბათუმის სამხედრო გუბერნატორი.

[2] სერვერ ბეგი — ოსმან სერვერ-ბეგ ათაბაგი, სერვერ-ბეი ათაბეკოვ-ქვაბლიანსკი (დ. 20 აგვისტო, 1886 – გ. 13 დეკემბერი, 1962), სამცხის ძველ მთავართა — გამაჰმადიანებულ ჯაყელთა შთამომავალი და მესხეთის მუსლიმთა პოლიტიკური და სამხედრო ლიდერი. დაიბადა ახალციხეში, გავლენიანი მიწათმფლობელისა და რუსეთის იმპერიის არმიის გენერლის ოჯახში, რომლის მამულშიც სტუმრობდა და გარდაიცვალა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის უმცროსი ძმა, დიდი მთავარი გიორგი. სერვერ-ბეგმა ევროპული განათლება მიიღო: გერმანიაში სამინათმოქმედო და საბადოების ინჟინერიას, პეტერბურგში კი — სამართალს დაეუფლა. საქართველოში მისი დაბრუნება პირველი მსოფლიო ომის წლებს დაემთხვა. 1918 წელს მან მესხეთის მუსლიმთა ეროვნული საბჭო ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა პან-თურქისტულ და სეპარატისტულ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავდა მესხეთის საქართველოსგან ჩამოშორებას და ე.წ. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) რესპუბლიკაში გაერთიანებას. გამოსვლებს თან სდევდა სისხლიანი შეტაკებები მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის. საბოლოოდ, 1919 წელს, საქართველოს არმიამ გენერალ გიორგი კვინიტაძის მეთაურობით გაანადგურა ამბოხებულთა რაზმები და ახალციხე და ართვინი საქართველოს შემოუმტკიცა. დამარცხებული სერვერ-ბეგი დედასთან და დებთან ერთად თურქეთში გაიქცა. საქართველოს საბჭოთა ოკუპაციისა და რუსეთ-თურქეთის 1921 წ. გარიგების შემდეგ ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი, მათ შორის ართვინი და არტაანი (არდაჰანი) თურქეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. სერვერ-ბეგი თურქეთის პარლამენტში აირჩიეს არდაჰანიდან. 1923 წელს, თურქეთში გვარების შემოღებასთან დაკავშირებით, მან ათაბეგის (Atabek) გვარი მიიღო. ამავე დროიდან იგი პოლიტიკას ჩამოშორდა და ინჟინრად მუშაობდა. დაიღუპა ავტოავარიაში, ქ. იზმირში.

თუმში? აღმოუჩენს თუ არა მისი ფლოტი დახმარებას ჩვენს ჯარს გაგრის ხაზზე? რად არ უნდა მას ბათუმის შესახებ პირდაპირ ჩვენ შეგვეთანხმოს? რად არ გვაწვდის სურსათს? რად ჰგონია მას, რომ ანარქია საქართველოში და თფილისში მისთვის ხელსაყრელია? რატომ ავიწყდება მას, რომ უსაქართველოთ ვერც ადერბეიჟანი და სომხეთი იარსებებენ? ერთი სიტყვით, რატომ არ ვხედავთ მისგან არავითარ მეგობრულ ნიშნებს, რატომ უყურებს ასე გულგრილათ ბოლშევიკების მოახლოებას?

ინგლისს, როგორც ეტყობა, მოლაპარაკება აქვს ბოლშევიკებთან, შესაძლოა გერმანელებსავით ისიც ზავს ეპირება მათთან ჩვენს ხარჯზე. მე არ ვფიქრობ, რომ ინგლისის წარმომადგენელნი გულახდილათ გვიმხელენ თავიანთ განზრახვებს, ეს არც საჭიროა. თავი და თავი ისაა, ჩვენ თვითონ გავითვალისწინოთ მათი პოლიტიკის დამღუპველი შედეგები არა მარტო ჩვენთვის. ჩვენ არ უნდა ვცდებოდეთ, როცა ვამბობთ, რომ ჩვენი და ინგლისის ინტერესები ერთმანეთს ეთანხმებიან, ერთმანეთზე გადახლართული არიან. ამიტომ ჩვენი ლოიალობა მათ მიმართ არის არა სიმპატიის საკითხი, არამედ ობიექტურ პირობებიდან ლოლიკურათ გამომდინარე. ჩვენ არა ვთხოვთ მათ ჯარს, არ ვთხოვთ მოწყალებას, გვინდა მხოლოდ მეგობრულათ მოგვეპყრან, გამოგვიგზავნონ იარაღი, სურსათი, მოგვცენ საშუალება მედგრათ შევებრძოლოთ ანარქიას როგორც გარედან, ისე შიგნით. ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდეს ინგლისს ბათუმის ნავთსადგურში, იქცეს იგი მის სამხედრო ბაზად, ჰქონდეს მას ეკონომიური შეღავათებიც და სხ., მაგრამ ყველა ამას არამც თუ არ უშლის ხელს მმართველობის ჩვენს ხელში გადმოსვლა ქალაქსა და ოლქში, არამედ მხოლოდ და მარტო ამ გზით შეიძლება როგორც მისი, ისე ჩვენი ინტერესების სავსებით დაყმაყოფილება. ნუ თუ ინგლისისათვის ხელსაყრელია, რომ მის გვერდით იბატონებენ ფრანგნი და იტალიელნი, განა უკეთესი არაა თვითონ მარტო იყოს, როგორც სამხედრო ძალა, ნავთსადგურზე, ჩვენ კი გადმოგვეცეს მმართველობა, ან უკეთ, შევიდეს ქალაქი და ოლქი საქართველოს ფარგლებში? განა წააგებს ინგლისი, ჩვენს ლოიალობაზე დაყრდნობილი? განა ჩვენ თვითონ არა ვართ დაინტერესებული გავხდეთ სააღებმიმცემო ხიდი ევროპასა და აზიას შორის? ვის იშოვის ინგლისი უკეთესს, განა მთელს აზიაში არის კიდევ ისეთი ერი, როგორც ქართველი, რომელიც მომწიფებულია პოლიტიკურათ, სურს ევროპიულათ იცხოვროს და მთელის არსებით დაინტერესებულია დიდ ბრიტანეთის გვერდით, მის პატარა მეგობრის სახით, შეასრულოს თავისი ისტორიული მისსია? თფილისი გეგემონია ამიერ–კავკასიისა, ის ერთგვარი სულიერი სიმაგრეა, რომლის დაყრდნობა ინგლისისათვის მეტათ სახეიროა. რაც უფრო ძლიერი ვართ ჩვენ პოლიტიკურათ და ეკონომიურათ, მით უფრო კარგია თვით ინგლისისათვის, ამით მის გავლენას დაექვემდებარება მთელი კავკასია, მე არ ვიტყვი უფრო შორ ქვეყნებზე. რატომ არ ესმის მას ეს გარემოება, რატომ უნდა ამიერკავკასია ბოლშევიკების სათელაოდ გახადოს? ერთი უნდა ახსოვდეს და კიდეც საჭიროა ეთქვას: ვინცობაა ეს პოლიტიკა (მე მას ვეძახი

თვით ინგლისის სასიცოცხლო ინტერესების ღალატს) გაგრძელდა, ვინცობაა, შემოგვესია ურდოები სამხრეთით, ვინცობაა ჩვენ გარიყული დავრჩით, საშინელ შურს ვიძიებთ, შეურიგდებით იმავ ბოლშევიკებს, ჩაუდგებით მათ სათავეში, ჩავბერავთ მათ ახალ სულს და მაშინ იხილავს ინგლისი, თუ რა შესძლებია ქართულ დემოკრატიას... მე ვამბობ არა ჩემ თავზე, ალბათ პირადათ ბოლომდის წინააღმდეგი ვიქნები ასეთ ნაბიჯებისა, ხოლო სასოწარკვეთილი და გამწარებული ჩვენი ხალხი ამას კი იქს უეჭველათ. მომენტი ერთობ საპასუხისმგებლოა... გთხოვთ იმოქმედოთ ენერგიულათ, მთელის ძალ–ღონით, ჩააგონეთ მაგ ხალხს ნამდვილი მათი ინტერესი, ნუ გვღუპავენ ჩვენ, ნუ ღალატობენ თვით ინგლისს. გწერთ კერძოთ, ვიცი მიხვდებით, რომ ეს ბუნებრივია ჩემის მხრით. სალამი და სურვილები. მარადის თქვენი აკ. ჩხენკელი.

მოკითხვა თქვენს მეუღლეს ჩვენგან, სოსოს[1] მადლობა მისი წერილისათვის. ა. ჩ.

ჩხენკელის პირადი მიმოწერაც კი, ხშირად რამდენიმე კაცის წასაკითხად იყო გამიზნული. ეს ორი წერილი, რომელშიც იგი მიანიშნებდა გრიგოლ ლორთქიფანიძეს, რომ მისი პირადი აზრი და განცდა იყო შიგ ჩადებული, ნათლად მეტყველებს, რა გამოუვალ და ურთულეს მდგომარეობაში იყვნენ ამ დროს ქართველი პოლიტიკოსები, რა გაურკვეველი ვთარება სუფევდა საქართველოს ირგვლივ, ყოველი მხრიდან მტრის მუქარა ისმოდა და დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროება სულ უფრო იზრდებოდა. ინგლისელების ორპირობა და გაუტანლობა ჩხენკელს ისე აღიზიანებდა, რომ მათ ბოლშევიკებითაც კი ემუქრებოდა, თუმცა, ამ მუქარას, როგორც თავადვე წერდა, არ ჰქონდა რეალურად აღსრულების პერსპექტივა.

1919 წლის მანძილზე ევროპული დიპლომატიის ცხოვრებაში აკაკი ჩხენკელის მონაწილეობა ნათლად მიუთითებს მისი პიროვნების ნიჭსა და შესაძლებლობებზე, მასზე, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და დიპლომატიური ცხოვრების კოორდინატორზე, მის კომპლექსურ მოღვაწეობაზე, ჩხენკელის დიდ პატრიოტიზმსა და ევროპული ორიენტაციისა თუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეისადმი ერთგულებაზე.

რა გააკეთა ინგლისის „გულის მოსაგებად" ქართულმა დიპლომატიამ 1919 წელს

აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა, თვალყურს ადევნებდა და მუდმივად ერთვებოდა ყველა იმ დიპლომატიურ ნაბიჯში, რასაც ევროპაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები დგამდნენ 1919 წელს საქართველოს აღდგენილი სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად, მისი მომავლისა და თავისუფლების იდეის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს დელეგაციამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე,

[1] სოსო, — იოსებ გოგოლაშვილი, მოღვაწეობდა სტამბოლის ქართულ სათვისტომოში. .

დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში წარგზავნილმა ქართველმა დიპლომატებმა მთელი რიგი სამუშაოები ჩაატარეს.

სამშობლოში გამომგზავრებამდე და „საქმეების ლიკვიდაციამდე" ჩხენკელის ხელმძღვანელობით ქართველმა დიპლომატებმა გულმოდგინედ იმუშავეს ინგლისის დიპლომატიურ წრეებთან.

აი, მოკლე ჩამონათვალი ინგლისში საქართველოს წარმომადგენლების (ზურაბ ავალიშვილი, კონსტანტინე გვარჯალაძე, დავით ღამბაშიძე) ჩატარებული საქმიანობისა 1919 წელს: 1. 1919 წლის 1 იანვარი: მათ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცეს მიმართვა და ის აუცილებელი მოთხოვნები, რაც ქართულ სახელმწიფოს და მის წარმომადგენლობას ჰქონდა (დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი, ევროპიდან საქართველოს ხელისუფლებასთან თავისუფალი დაკავშირების უზრუნველყოფა, თავისუფლად გამგზავრება პარიზში კონფერენციაზე დასასწრებად და უკან, ლონდონში შეუფერხებლად დაბრუნება); 1919 წლის 2 იანვარი: დელეგაცია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უხსნის იმ უპირატესობას, რასაც მას მისცემს საქართველოსთან პოლიტიკური კავშირი მცირე აზიასა და აღმოსავლეთში ბრიტანეთის ინტერესების განხორციელებაში; იმავე დღეს ის ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცემს მემორანდუმს პარიზის საზავო კონფერენციაზე იაპონიის დელეგაციისათვის გადასაცემად, მემორანდუმი გადაეცა იაპონიის ელჩს დიდ ბრიტანეთში; 9 იანვარს მემორანდუმი და მიმართვა გადაეცა იტალიის ელჩს ლონდონში; 21 იანვარს საქართველოს წარგზავნილები მიმართავენ პარიზის კონფერენციაზე ინგლისის დელეგაციის წევრებს, რათა მხარი დაუჭირონ კონფერენციაზე საქართველოს; 22 იანვარს გვარჯალაძე-ავალიშვილი-ღამბაშიძის ჯგუფი ვრცელი მიმართვით საქართველოს პრობლემებს უხსნის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს; 28 იანვარს ჯგუფის წევრები პარიზის სამშვიდობო კონფერენციის იტალიის დელეგაციას მიმართავენ; 30 იანვარს ქართველი ელჩები უფრო ვრცელ და დაწვრილებით ახსნა-განმარტებას აძლევენ კავკასიის პრობლემებზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს; 8 თებერვალს იგივე სამეული მიმართავს ა.შ.შ.-ს დელეგაციას პარიზის კონფერენციაზე და მას უხსნის საქართველოს ისტორიულ და თანამედროვე ვითარებას, ქართველი დიპლომატები აშშ-ს სთხოვენ მხარდაჭერას დამოუკიდებლობის აღიარების საქმეში; 10 თებერვალს პარიზში ჩამოსულ იაპონიის დელეგაციას მიმართავენ; 14 თებერვალს ყველაზე ვრცელი მოხსენება გადაეცა სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარეს, სადაც ყველა საკითხი — ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა, დეტალურად იყო ჩამოთვლილი. დიდი ადგილი ეთმობოდა ქვეყნის სამეურნეო მხარეს და სასარგებლო წიაღისეულით ევროპის დაინტერესებას; მემორანდუმს ახლდა ვრცელი ნარკვევი-აღწერა — „საქართველოს საზღვრები", ამ საზღვრებში ითხოვდა ქვეყანა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიის აღიარებას; 1919 წლის 29 აპრილს დამოუკიდებლო-

ბის აღიარებას ოფიციალურად ითხოვდა საქართველოს დამფუძნებელი კრება, თხოვნას ხელს მისი თავმჯდომარე — ნიკოლოზ ჩხეიძე აწერდა; 1919 წლის 21 მაისს ნიკოლოზ ჩხეიძემ ასევე დამფ. კრების სახელით მიმართვა წარუდგინა გაერთიანებული ერების ლიგას; 1919 წლის 17 ივნისს რუსეთის ყოფილი იმპერიის ფარგლებში წარმოქმნილმა თავისუფალმა რესპუბლიკებმა — აზერბაიჯანმა, ესტონეთმა, საქართველომ, ლატვამ, ჩრდილოეთ კავკასიამ, ბელორუსიამ და უკრაინამ მიმართეს კონფერენციას აღიარების თხოვნით; 1919 წლის 10 ივნისს განსაკუთრებული მემორანდუმი ქართულმა დელეგაციამ წარუდგინა ედუარდ ხოის, იმავდროულად ზურაბ ავალიშვილმა მიმართა და მემორანდუმი გაუგზავნა საქართველოს საკითხით დაინტერესებულ პროფესორ რ. ხ. ლორდს; 14 ივნისს საერთო მიმართვა წარედგინათ ამერიკის, ბრიტანეთის, იტალიისა და იაპონიის დელეგაციებს; 20 ივნისს განმეორებითი მიმართვა (საჭირო ხდებოდა კონფერენციაზე მომხდარი მოვლენების გამო) წარედგინათ კონფერენციის თავმჯდომარეს, და საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ბრიტანეთის და ამერიკის დელეგაციებს; 25 ივნისს დიდი ბრიტანეთის დელეგაციას; 28 ივნისს მიმართეს სახელდობრ იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც გამორჩეულად დიდი გავლენა ჰქონდათ კონფერენციის გადაწყვეტილებების მიღებაზე: კლემანსოს[1], ბალფურს[2], ტომპსონს[3], ლანსინგს[4], მოკინოს[5]; 3 ივლისს ქართულმა დელეგაციამ მიმართა ყუბანის რესპუბლიკის დელეგაციას; 7 ივლისს სოციალისტ ალბერტ ტომას[6] — მხარდაჭერისა და დახმარებისათვის; ტომამ ეს ნოტა გადასცა პიშონს[7] ყველა პატარა სახელმწიფოს სახელით 1919 წლის 28 ივლისს;[8]

---

[1] კლემანსო, — ჯორჯ ბენჟამენ კლემანსო (1841-1929), ფრანგი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ჟურნალისტი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი.

[2] ბალფური, — ლორდი არტურ ჯეიმს ბალფური (1848-1930), ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი, 1887-1891 წლებში ირლანდიის საქმეთა მინისტრი, ებრძოდა ირლანდიის დამოუკიდებლობის იდეას, რისთვისაც მას აკრიტიკებდნენ ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი პუბლიცისტურ ტექსტებში; სხვადასხვა დროს იყო ინგლისის ფინანსთა და საზღვაო მინისტრი, პრემიერ-მინისტრი — 1902-1905 წლებში. 1917 წელს მისი ხელ-ელობით შემუშავდა ე.წ. „ბალფურის დეკლარაცია", პალესტინაში ებრაელთა დასახლების შესახებ; მონაწილეობდა ვერსალის ხელშეკრულების შემუშავებაში; 1921-1922 წლებში ხელმძღვანელობდა ინგლისის დელეგაციას ვაშინგტონის კონფერენციაზე.

[3] ტომპსონი, — ინგლისელი პოლიტიკოსი.

[4] ლანსინგი, — ფრანგი სოციალისტი.

[5] მოკინო, — ფრანგი სოციალისტი.

[6] ალბერ ტომა (1878-1932), — ფრანგი სოციალისტი, საფრანგეთის მინისტრი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი. იყო საფრამგეთის ელჩის მოადგილე პეტროგრადში 1917 წელს. ამ დროს წარმოთქმული ირაკლი წერეთლის სიტყვები წიგნად გამოიცა, რომელსაც წინასიტყვაობა ალბერ ტომამ გაუკეთა. ეს მასალა დაიბეჭდა გაზეთ „ერთობაში, 1919 წლის 17 იუნისს.

[7] პიშონი, — სტეფან პიშონი (1857-1933), ფრანგი პოლიტ. მოღვაწე, საფრანგეთის მინისტრი ჩინეთის საკითხში 1897-1900წ.წ.; გენერალური რეზიდენტი ტუნისში 1901-1907წ.წ.; ჟორჟ კლემანსოს მმართველობის დროს მოღვაწეობდა საფრანგეთის მთავრობაში, როგორც მისი უახლოესი თანამოაზრე. იყო არისტიდ ბრიანის თანამშრომელი საგარეო საქმეთა სამინისტროში; ვერსალის კონფერენციის აქტიური მონაწილე.

[8] ამ პატარა სახელმწიფოებში რატომღაც არ მონაწილეობდა სომხეთი, თუმცა მისი საკითხი კონფერენციაზე აქტიურად იხილებოდა, 1919 წლის 19 ივლისს კლემანსოს სახელით საქა-

ასევე, უამრავი მიმართვა და მემორანდუმი გადაეცა როგორც კონფერენციის თავმჯდომარეს — კლემანსოს, ასევე მის მონაწილე სხვა ქვეყნების დელეგაციებს. ყველაფერი ეს იყო ქართველი პოლიტიკოსების დაუღალავი მუშაობის შედეგი. **ყველაზე კარგი ამ მუშაობაში ის იყო, რომ თუ საქართველოში, ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უარყოფითი ტენდენციით და არადემოკრატიული რაკურსით ჩანდა ერთპარტიული ინტერესები და მიდგომები, საზღვარგარეთ მომუშავე ქართველი პოლიტიკოსები სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ისინი პარტიულ და პირად ამბიციებს სრულიად გამორიცხავდნენ და მთელ ძალ-ღონეს ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობას ახმარდნენ.**

აკაკი ჩხენკელის წერილები ბერლინიდან და ბერნიდან — ლონდონში საქართველოს მთავრობის რწმუნებულის, დავით ღამბაშიძისადმი

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მთავარ მიზნად დაისახა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ. ამ ქვეყნებიდან პრიორიტეტი ჰქონდა ინგლისს, როგორც გამარჯვებული ანტანტის ქვეყნების ლიდერს. ამიტომ ინგლისში დიპლომატიურ და პოლიტიკურ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. საქართველოს წარმომადგენლად ლონდონში გაიგზავნა დავით ღამბაშიძე. მასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა არა მარტო ჩხენკელს, როგორც ევროპაში საქართველოს მთავარ დიპლომატს, არამედ ზურაბ ავალიშვილს, კონსტანტინე გვარჯალაძეს, მიხეილ სუმბათაშვილს, მიხაკო წერეთელს, ანდრია გუგუშვილს, კონსტანტინე საბახტარაშვილს და სხვებს.

საინტერესოა 1918 წელს ბერლინიდან და ბერნიდან ჩხენკელის მიერ ღამბაშიძესთან გაგზავნილი წერილები. მათში ჩანს ის მწვავე პოლიტიკური და დიპლომატიური ვითარება, რომლის დაძლევა ქართველ პოლიტიკოსებს ჭირდებოდათ. პირველ რიგში, ეს იყო ანტანტის გაღიზიანება საქართველოს კავშირის გამო გერმანიასთან. ინგლისის მმართველი წრეები ამის გამო ხშირად ღია აგრესიასაც კი გამოხატავდნენ იმ ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც მრავალი გაჭირვების მიუხედავად თავდადებით

რთველოს დელეგაციის მეთაურმა მიიღო გაფრთხილება მისი ქვეყნის მიერ სომხეთის ტვირთების დაბლოკვის გამო, რაზეც ჩხეიძემ გასცა პასუხი: საქართველოს ხელისუფლების ბრძანებით არასოდეს მომხდარა სომხური ტვირთების დაყოვნება, რომ საუკუნეების მანძილზე სომეხ ხალხს ქართული სახელმწიფო იფარებდა და ა.შ., თუმცა ეს დასმენა, თანაც საერთაშორისო კონფერენციის დონეზე საქართველოს ინტერესებისათვის ასე თავგადაკლულად მებრძოლ ქართველ პატრიოტებს ხელს უშლიდა დასახული მიზნის მიღწევაში. კონფერენციაზე ასევე მსჯელობის თემა გახდა სომეხ-აზერბაიჯანელთა შეტაკება, ყარსისა და ერევნის გუბერნიაში, ადგილი არ იყო დაკონკრეტებული, მაგრამ ნათქვამი იყო, რომ ისინი შერეულად ცხოვრობდნენ. ჩხეიძე კლემანსოს აცნობებდა მისი მთავრობისაგან მიღებულ განმარტებებს ამ საკითხის ირგვლივ და სთხოვდა კონფერენციას, გაეთვალისწინებინა ასეთი კონფლიქტური სიტუაციები, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენამდე და ვითარების სტაბილიზაციამდე არ გამოეყვანა იქიდან მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარები.

ცდილობდნენ დახმარებოდნენ საშინაო და საგარეო პრობლემებით დამძიმებულ თავიანთ ქვეყანას. ევროპის დიდი სახელმწიფოებისთვის რუსეთის ფაქტორი ძალზე საყურადღებო იყო, ისინი ერთიანი რუსეთის აღდგენის მომხრენი იყვნენ და იმ ახლად გამოცხადებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ადრე იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ, არ უჭერდნენ მხარს.

ზოგიერთი ქართველი დიპლომატი გამოუცდელი იყო ასე დიდ ასპარეზზე მოღვაწეობაში, უჭირდათ საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვა, ზოგსაც რუსეთის ფაქტორი თავად აეჭვებდა და საქართველოს სრული დამოუკიდებლობა ვერ წარმოედგინა, ზოგიერთი ევროპის გულგრილი დამოკიდებულების გამო ნიჰილიზმს შეეპყრო და ა. შ.

აკაკი ჩხენკელს, საქართველოს დამოუკიდებლობის მთავარ ავტორსა და ქართული სახელმწიფოებრიობის გულმხურვალე პატრიოტს, არ შეეძლო შერიგებოდა რაიმე კომპრომისს, არხეინობასა და ლოდინის პოლიტიკას და მთელი ენერგიის გაღებას, მეტ ინიციატივებსა და მოქმედებას ითხოვდა ახლადშექმნილი ქართული დიპლომატიური კორპუსის გამოუცდელი წევრებისაგან.

ერთ-ერთი ასეთი წევრი იყო დავით ღამბაშიძე, გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწის, ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორისა და აქტიური საზოგადო პიროვნების — დავით ღამბაშიძის მოსახელე შვილი. ძმები ღამბაშიძეები — ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე და საქართველოს პირველი ელჩი ინგლისში — დავითი, მთელი არსებით იყვნენ ჩაბმულნი საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების, ქართული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ბრძოლაში. 1918 წლის ბოლოს ბერლინიდან და ბერნიდან (შვეიცარია) აკაკი ჩხენკელის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილები გვიხატავს ამ დროის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სურათს, ნათლად გვაჩვენებს ამდროინდელ მამულიშვილთა თავდადებასა და ღვაწლს.

მოვიტანთ ამ წერილებს სრულად.

წერილი I

„28 XI, 1918.

საქართველოს მთავრობის რწმუნებულს

ბატონ დავით ღამბაშიძეს

ამასთანავე გიგზავნით თქვენი რწმუნების ქაღალდს ანტანტის მთავრობებთან, რომლის ძალით თქვენ გევალებათ გადადგათ დაუყონებლივ შესაფერი ნაბიჯები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმალურათ ცნობის უზრუნველსაყოფელათ. მე არ ვიცოდი აქამომდე თქვენი ადრესი, ამიტომ დამიგვიანდა მანდატის გამოგზავნა. ზურაბ ავალიშვილი უკვე გამოემგზავრა ნორვეგიით ინგლისისკენ, ჯერ არ ვიცი, მოაწია თუ არა მანდ. მას აქვს მანდატები თავისთვის და თქვენთვისაც. უკეთესია ამასთანავე გამოგზავნილი მანდატით ისარგებლოთ, ვინაიდან პირველ მანდატში, განსაკუთრებით ამერიკის მთავრობასთან, თვით ამერიკაში გამგზავრებაც გევალებოდათ, დღეს კი დაგვიანებულია ეს, ამერიკის პრეზიდენტი დელეგატებით ევროპაში მოემგზავრება.

გეგზავნებათ აგრეთვე მემუარი დამატებებით, რომელიც გადაეცა ამ თვეს ყველა მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოებს, ანტანტის ელჩებს — ბერნში და სტოკჰოლმში. ამაზე ადრე, სექტემბრის პირველ რიცხვებში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ზავზე ლაპარაკი, თვით ბულგარიის დამორჩილების ადრე, ზურაბ ავალიშვილმა გადასცა ქრისტიანიაში ინგლისის და საფრანგეთის ელჩებს, აგრეთვე სხვებსაც, ნოტა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, აგრეთვე მემუარიც საქართველოში მომხდარ ამბებზე. კიდევ უფრო ადრე ნოტიფიკაცია გაუკეთდა, ივნისში, ყველა ნეიტრალურ სახელმწიფოებს ჩვენს დამოუკიდებლობაზე. ფაქტიურათ ჩვენ ცნობილი ვართ და წარმომადგენლებიც გვყავს ბერლინში, ვენაში, სტამბოლში (ამჟამად იქ არ იმყოფება), სტოკჰოლმში, ბერნში, კოპენჰაგენში (ჯერ არ გაგვიგზავნია). ავალიშვილმა და გვაზავამ (უკანასკნელი ნარმომადგენლად იყო) ნოტა გადასცეს სტამბოლიდან ნეიტრალურ ელჩის ხელით ანტანტის წარმომადგენლებს ბულგარიაში ბათუმის შესახებ, რასაც უნდა მიეწეროს, დასაშვებია, განსაკუთრებული მუხლი ოსმალეთთან შეკრული დროებითი ზავის პირობებში მოთავსებული.

აღვნიშნავთ, რომ ჰოლანდიის გზით მიდის ინგლისში და საფრანგეთში, საითკენაც უფრო ადრე შესძლებს გასვლას, მესამე რწმუნებული, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. გვარჯალაძე.

დაწვრილებით საქართველოს ამბებს ესენი გაგაცნობენ პირადათ. მე კი დაბეჯითებით ვაცხადებ, როგორც საგარეო საქმეთა მმართველი (საქართველოში ამ დღეებში სხვა საგარეო მინისტრი დაინიშნება, ვინაიდან მე ევროპაში დავრჩი), რომ ჩვენი პოლიტიკა აქამომდე იყო და არის სრულათ ლოიალური ანტანტის მიმართ და მიუკერძოებელი საზოგადოთ. ეგრეთწოდებულ ორიენტაციის საკითხში გადაჭრით.

აგრეთვე ვარლამ ჩერქეზიშვილი[1] წასულია ფინლანდია-შვეციის გზით.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ერთადერთი ორიენტაცია საქართველოს დამოუკიდებლობა არის და იქნება. რომ ანტანტას, განსაკუთრებით ინგლისს, დიდი ინტერესი უნდა უჩნდეს საქართველო-ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაში. ჩემი აზრით, ცხადია ისიც, რომ ამიერკავკასიაში მცხოვრები

[1] ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925), — რევოლუცონერ-ანარქისტი, ეროვნული მოღვაწე. დაიბადა საგარეჯოს რაიონში, რევოლუციური მოღვაწეობისათვის რამდენჯერმე დააპატიმრეს, 1875 წ. გაიქცა გადასახლებიდან ევროპაში, შევიდა ანარქისტულ ორგანიზაციაში, გაეცნო მსოფლიოს ცნობილ ანარქისტებს: ჯეიმს გილიობს, ელისე რეკლიუს, პეტრე კროპოტკინს და სხვ. 1894 წლიდან მის წერილებს „ვაზიანის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“, ფარულად ჩამოდიოდა საქ-ში და მფარველობდა ევროპაში წასულ ქართველებს. მან გააცნო საქართველოს მარჯორი უორდროპი, 1903 წელს მისი დახმარებით გამოვიდა პარიზში სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთი „საქართველო“. 1904ნელს მონაწილეობდა ჟენევის კონფერენციაში, ხოლო 1907 წელს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადასცა მასალები საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძვლებზე. 1918 წელს, 72 წლის ვ. ჩ. ჩამოვიდა დამოუკიდებელ საქართველოში. ის, როგორც აკაკი ჩხენკელი იგონებდა, აღფრთოვანებული იყო ქვეყნის თავისუფლებით, რუსეთის აგრესიას იარაღით შეებრძოლა, მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდა კვლავ ემიგრაციაში გადახვეწილიყო. გარდაიცვალა ლონდონში და იქვე დაკრძალეს. ჰყავდა ფრანგი მეუღლე. ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაშრომები გამოსცა და მასზე დაწერა ისტორიკოსმა დიმიტრი შველიძემ.

ერნი სლავიანები არ არიან და ეკონომიკურათ უფრო დაინტერესებულნი არიან პირდაპირი დამოკიდებულება ქონდეთ დასავლეთ ევროპასთან. ჩვენს თათრებს, აგრეთვე მთიელ მაჰმადიანებს რუსეთთან არ უნდათ დარჩენა, ქართველებს დამოუკიდებლობა სწყურიათ და კიდეც შეიყვარეს ის. რაც შეეხებათ სომხებს, ეს უფრო რთული საკითხია. სანამ ცენტრალური სახელმწიფოები იმარჯვებდენ, მათ იმედი დაჰკარგეს ოსმალეთის სომხეთზე, ხოლო რუსეთის სომხეთს ისინი ისევ რუსეთის ფარგლებში არჩევდენ. დღეს კი ანტანტის გამარჯვებამ მთლათ შესცვალა სურათი და ოსმალეთის სომხეთი მათ უკვე „ჯიბეში" აქვთ. ამ შემთხვევაში სიმძიმის ცენტრს სომხები უთუოთ თავიანთ ძველ სამშობლოში გადაიტანენ და მას შეუერთებენ ალბათ რუსეთის სომხებსაც, რაიც მოხერხდება მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი სომხეთის დაარსებით. ეს გარემოება ჩვენთვისაც ძლიერ ხელსაყრელია, **ვინაიდან სომხები დატოვებენ რუსეთისაკენ ლტოლვას და მით გვერდში ამოგვიდგებიან დამოუკიდებლობის საქმეში.** მთავარი ფაქტორი მათი და აგრეთვე ჩვენი ლტოლვისა რუსეთის მფარველობის ქვეშ — ოსმალეთი — არ არსებობს დღეს, როგორც ოდესმე, ის არ წარმოადგენს საშიშროებას არავისთვის. და ამგვარათ, ობიექტური თვალსაზრისით სომხების, როგორც ჩვენი, ნაციონალური ინტერესი მოითხოვს სრულს დამოუკიდებლობას. არის ერთი განსაკუთრებული საკითხიც სომხებისათვის, ეს გასავალია შავ ზღვაზე. ამაში ქართველებმა არასგზით არ უნდა შეუშალონ სომხებს ხელი, პირიქით, მხარი უნდა დაუჭირონ მათ გასვლას ტრაპეზუნდის გზით, ხოლო ამ შემთხვევაში ქართველებმა უნდა მოვითხოვოთ მთელი მეგრულათ მოლაპარაკე ჭანეთი, რიზედან დაწყებული. მე მხოლოდ სქემატურათ მიგითითებთ ამ გზაზე, პრაქტიკულათ კი თქვენ თვითონ ნახავთ როგორ უნდა იმოქმედოთ. მე მგონი, თქვენ მეტი იცით სომხების პოლიტიკაზე ლონდონში, პარიზში და სხვაგან. საჭიროა დამოკიდებულებაში შეხვიდეთ მათთან და მოხერხებული ტაქტიკა აირჩიოთ.

ანტანტის სახელმწიფოებში ბევრს სიყალბეს ავრცელებენ ალბათ საქართველოს გერმანიასთან დამოკიდებულების შესახებ, შეიძლება ხელზეც დაიხვიონ ეს და მტრულათ შეხვდენ ჩვენს დამოუკიდებლობას, თქვენზეა და სხვა დელეგატებზე დამოკიდებული, როგორ სასტიკათ შეებრძოლებით ამ სიყალბეს. გერმანიასთან ჩვენ არა ვართ არაფრით შეკრული, ვამბობთ სრულიად აშკარად, რომ მან გადაგვარჩინა ოსმალეთის აოხრებისგან, ჩვენ რომ გერმანიისთვის არ მიგვემართა შველისათვის, საქართველოს სომხეთის ბედი მოელოდა და ისედაც ღარიბი ერი რამდენიმე ათეული წლით უკან იქნებოდა გადატყორცნილი. ამავე დროს ჩვენ ვცდილობდით ანტანტასთან გაგვება ძაფი, მაგრამ გზა არა გვქონდა. თან ისიც უნდა გაუწყოთ, რომ ჩვენ მივმართეთ ანტანტის წარმომადგენლებს თფილისში შველისათვის, მაგრამ მათ ვერაფერი დაგვპირდენ და თვითონაც კი წავიდნენ.

საქართველო თითით საჩვენებელია მთელს რუსეთში, მხოლოდ მან შესძლო დაეარსებინა საკუთარი ძალ-ღონით ნამდვილი სახელმწიფო,

ეძლია ბოლშევიზმი, შეენარჩუნებინა რევოლუციის მონაპოვარნი. თუ ერის თვითგამორკვევის უფლება, ერთა კავშირი ზღაპარი არაა, მაშინ არ არის არცერთი სახელმწიფო ყოფილ რუსეთში, რომელსაც მეტი უფლება შეიძლება ჰქონდეს ამ პრინციპებით სარგებლობაზე; თვით პოლონეთში და ფინლანდიაში მხოლოდ სხვისი დახმარებით დაიცვეს წესიერება და ისიც სახელმწიფო გადატრიალების გზით. ჩვენში კი იგივე ძალები განაგებენ სახელმწიფო საქმეებს, ვინც მარტიდან 1917 წ. მოძრაობის სათავეში იყვნენ. დაუშვებელია და წარმოუდგენელიც, რომ ანტანტამ ძალა იხმაროს ჩვენზე რუსეთის მთლიანობის სასარგებლოთ. გმართებთ დაუღალავი მუშაობა საზოგადოებრივი აზრის დასამუშავებლათ. გაუწყებთ ამასთან, რომ ამერიკის წარმომადგენელმა შვეიცარიაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენს საქმეში, გაგზავნა მთავრობასთან დაწერილებითი მოხსენება.

ჩემთვის დიდათ საინტერესოა ვიცოდე, თუ როგორი სულისკვეთებაა ლონდონში, რას ფიქრობენ ჩვენზე, რა გააკეთეთ თქვენ. მოიწერეთ დაჩქარებით. ადრესი ჯერჯერობით სტოკჰოლმშია, ბ. ბაბელის[1] სახელზე.

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მიაღწევთ კარგ შედეგებს, ეცადეთ გააბათ კავშირი საქართველოსთან პირდაპირ, მხოლოდ, რასაც საქართველოს აცნობებთ, ან გაცნობებენ თქვენ, უნდა გადმომცეთ ამავე ადრესით. საქართველოში მე შევთვალე, რომ თქვენ მანდატი გამოგიგზავნეთ, მაგრამ იმედი არა მაქვს, რომ მიაწევს, ამიტომ აცნობეთ თქვენც, რომ რამე გაუგებრობა არ გამოვიდეს.

სალამი

საგ. საქმ. მინისტრი აკ. ჩხენკელი

p.S. წავიკითხე, რომ ინგლისმა დე-ფაქტო ლიტვა იცნო, ნუთუ შესაძლებელია მან საქართველო არ იცნოს?"[2]

წერილი II

„16, XII. 1918

ბერნი

დიდათ პატივცემულო

ბატონო დავით,

მე გავუგზავნე მიხაკოს[3] თქვენდა გადმოგზავნილი მანდატი დაწერილი, არ ვიცი მიიღეთ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, პასუხი არ მომსვლია თქვენგან. აქ ჩამოსვლისას, 11 ამ თვეს, თუ არ ვცდები, სუმბათაშვილმა გამოგიგზავნათ დეპეშა, რომლითაც მე გთხოვდით საჩქაროთ მოგეწოდებიათ ცნობები ჩვენი საქმის ვითარებაზე ლონდონში. ავალიშვილი ავარიის შემდეგ ალბათ ჩამოვიდა მანდ, ის გიამბობთ დაწვრილებით ჩვენს ვითარებას, მას აქვს მანდატი თავისთვის და თქვენთვის (მიხაკოს სახელზე გამო-

[1] ბაბელი, — ფერდინანდ ავგუსტ ბაბელი (1840-1913), გერმანელი სოციალისტი, პოლიტიკოსი.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 88, ფურც. 1-3.

[3] მიხაკო — მიხაკო წერეთელი (1878-1965), —პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე, სხვადასხვა დროს იყო მარქსისტი, ანარქისტი, ნაციონალისტი. წერდა ფსევდონიმებით: „Baton"-ი, „მ. სანგალა", „ალაროდიელი", „ვრაცი".

გიგზავნეთ მეორეხელ), აგრეთვე კ. გვარჯალაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი, უნდა ჩამოვიდეს მანდ, თუ პარიზში არ შეუშვეს. აქედან მე ვაპირებდი პარიზში ჩასვლას, მაგრამ ჯერ არ ხერხდება, პირველად გავისტუმრებ სუმბატაშვილს, თუ ნება დართეს, და შემდეგ მე შევეცდები.

კლემანსოს დიქტატურა ძალიან გვიშლის ხელს...

საფრანგეთის აქაური მისია ძალიან იჭვიანობდა: ბოლოს მოლბა ცოტათი და ახლა თითქმის ნორმალური განწყობილება დამყარდა ჩვენს შორის. ხელზე იხვევენ ჩვენს დამოკიდებულებას გერმანიასთან და თუმცა დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ჩვენ სასირცხო არაფერი ჩაგვიდენია და არც გვეშინია დღის სინათლის. ახლა ვწერ მემუარს ჩვენ პოლიტიკურ და სამხედრო დამოკიდებულებაზე, მას დაემატება საბუთებიც. როცა დავამზადებ, გადავცემ ანტანტის წარმომადგენელთ, თქვენც მოგივათ თავის დროზე. ამასთანავე გიგზავნით სუმბათაშვილის გადაცემულ მემუარის ასლს. პირველათ მემუარი დამატებით თქვენც მოგივიდათ ალბათ. ისიც გადაცემულია როგორც მეომარ, ისე ნეიტრალურ სახელმწიფოებზე. სუმბათაშვილი ტაქტიკურის მოსაზრებით ხსნის თავის მემუარის ხასიათს: საჭირო იყო ანტანტის გულის მოგებაო. ჯერ ცადოს... ის ერთობ დაქვემდებარებია საფრანგეთის გავლენას, რომელიც რუსეთის აღდგენაშია დაინტერესებული. ჩემი მემუარი მას გადაუცია ამერიკისა და იაპონიის მისიებისათვის.

ყოველ შემთხვევაში თქვენ და ავალიშვილს გმართებთ სიმძიმის ცენტრი ისევ საქართველოს დამოუკიდებლობაზე გადმოიტანოთ... არ იქნას გადაფუჩეჩებული საქართველოს სრულიად დამოუკიდებლობის საკითხი. ქართველი ერის მმართველ წრეებს მტკიცეთ აქვთ დამოუკიდებლობის ალღო აღებული და არც შედრკებიან თავიანთი მიზნის განხორციელებაში. ისინი მოიწვევენ ჩქარა დამფუძნებელ კრებას და ის გამოთქვამს თავის სურვილს.

ჩვენ ვერ დავემყარებით სიმპატია-ანტიპატიას, უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისი დაინტერესებულია ყელამდე ჩვენს დამოუკიდებლობაში. ამიტომ თქვენი და ავალიშვილის როლი დიდია და საპასუხისმგებლო, გააათკეცეთ თქვენი ენერგია, რომ ინგლისის მმართველი წრეები დაინტერესოთ ჩვენი საქმით, რაიც იმავე დროს მათივე საქმეა. მე სრული იმედი მაქვს, ინგლისის მოკავშირენიც მხარს დაგვიჭერენ, თუ ლონდონში საქმე მოგვარდა.

ამის გარდა, ვინაიდან ჩვენ აქედან სამშობლოს მოწყვეტილი ვართ, უნდა იღონოთ ყველაფერი, რომ გაიყვანოთ თფილისის სამინისტროში ნებართვა მუდმივი კავშირის საქართველოსთან, რა თქმა უნდა, სამინისტროსვე საშუალებით. თქვენ ისედაც მიმხვდარი ხართ, იმედია, რამდენათ საჭიროა და აუცილებელი ეს კავშირი. ჩვენი მთავრობა გამალებით ელის ალბათ ცნობებს თქვენგან, მე მათ შევატყობინე, რომ თქვენ და ავალიშვილს გამოგეგზავნათ მთავრობის მანდატი. მე არ ვიცი, რა ხდება ახლა საქართველოში, ინგლისელების მოსვლის შემდეგ, იქნებ ისეთივე უხეშობით მოეპყრეს მათ საქართ. მთავრობას, როგორც აქაურმა პირებმა სუმბათაშვილს! საჭიროა ენერგიული ნაბიჯები, რომ ნორმალური განწყო-

ბილება დამყარდეს ჩვენ მათავრობასა და მისულებს შორის. აბუჩად აგდება და ძალადობა ამდენი ხნის დამოუკიდებელი ერის მიმართ ყოვლად შეუწყნარებელია. საჭიროა რაც შეიძლება საჩქაროთ აცნობოთ მთავრობას ამბები, გაამხნეოთ, არ, არ დათმოს არას გზით თავისი პოზიცია. საშიში არაფერი გვაქვს, განადგურება რუსეთისგან მოგველის, მაშ, საჭიროა ბოლომდის დავიცვათ ჩვენი პოზიცია, საზოგადო საერთაშორისო სამსჯავრომდე მივიტანოთ ჩვენი საკითხი. მისწერეთ ჩვენს მთავრობას, გამოგზავნოს განსაკუთრებული დელეგაცია კონფერენციისათვის. ეცადეთ მიაწოდოთ ფაბრიკატები, ხალხი ტიტველ-შიშველია.

ველი თქვენგან სრულიად დაუყონებლივ ამბავს, აუცილებლათ საჭიროა მუდმივი კავშირი ჩვენ შორის. მოიწერე შეიძლება თუ არა, თუ აქ არ მოხერხდა, ჩემი ლონდონში წამოსვლა იტალიით...

სალამი. აკ. ჩხენკელი"[1]

კონსტანტინე განსახურდიას სამი წერილი აკაკი ჩხენკელისადმი (1919 წელი)

დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, 1918 წლის ივნისში, სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, გაიგზავნა ევროპაში სასწავლებლად. მას უმაღლესი განათლება უკვე ჰქონდა მიღებული გერმანიაში და ამჟამად სურდა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვება, საამისოდ უნდა ჩაებარებინა გამოცდები, დაეწერა და ბერლინის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე დაეცვა ნაშრომი. მან დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი, პარალელურად საქართველოს განათლების სამინისტროს პირადი დავალებაც შეასრულა: განათლების რეფორმისთვის საჭირო ცნობები შეკრიბა გერმანიის სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების შესახებ. ეს ვრცელი გამოკვლევა გერმანიის უნივერსიტეტებსა და სკოლებზე დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".[2]

იმჟამად ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი, დაინტერესებული იყო ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციითაც. მას აღელვებდა ეს საკითხი იმდენად, რამდენადაც სომხური პროპაგანდა ქართული კულტურის ბევრ მოვლენას ითვისებდა და ევროპაში ყალბ ინფორმაციებს ავრცელებდა. გამსახურდიას სურდა ამ თემით ევროპელი მეცნიერებიც დაეინტერესებინა. კონსტანტინე გამსახურდიას ამ საკითხის მოსაგვარებლად საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, ამისთვის კი ყველაზე ღირსეულ თანამოაზრედ აკაკი ჩხენკელი მიაჩნდა. მისი სამი წერილი, რომელიც ბერლინიდან არის ჩხენკელთან გამოგზავნილი, სვამს აქტიურ პრობლემებს ქართული კულტურისა და სულიერების შემდგომი განვითარების, ევროპულ ქვეყნებში მისი ფართო პროპაგანდისა და ევროპეიზაციის კუთხით. მწერალი საქართველოს მთავრობის

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 88, ფურც. 4-5.

[2] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, №№ 231, 232, 233, 234; დოდო ჭუმბურიძე, განათლება 1918-192 წლებში", გამომცემლობა „ინტელექტი", გვ. 30-31, თბილისი, 2000.

წარმომადგენელს თხოვს აგრეთვე სესხის სახით ფინანსურ დახმარებას სადოქტორო დისერტაციის წიგნად გამოცემაში.

ეს წერილები საინტერესოა, რადგან ისინი აქამდე არ გამოქვეყნებულა, სათანადო კომენტარები მათზე არ გაკეთებულა, თანაც, მათი საშუალებით დიდ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრების ბევრ დღემდე უცნობ ფაქტს ვეცნობით.

წერილი I

„ბერლინი, 1919, 14, IV

საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას

ტფილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლის

კონსტანტინე განსახურდიას

თხოვნა:

1918 წლის ივნისს, ქართული გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, განათლების სამინისტრომ ნება დამრთო ერთი წლით წამოვსულიყავ ბერლინის უნივერსიტეტში ფილ. დოქტორის ეგზამენის ჩასაბარებლად. გარდა ამისა, სამინისტრომ მომანდო, გერმანიის საშუალო ტიპის სკოლაზე მოხსენება დამეწერა, რისთვისაც შესაფერ დახმარებას მპირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრო მიმოსვლის შეწყვეტის გამო მატერიალურად არ დამხმარებია, მოხსენება დავამზადე, ამავე წლის მაისის 15-ში დავიცავი ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის წინაშე ჩემ მიერ წარდგენილი დისერტაცია: საქართველოს მეფე ერეკლე II და სათანადო ეგზამენებიც დავიჭირე. ახლა გადავწყვიტე ამა წლის აგვისტოში ქართულ უნივერსიტეტს წარვუდგინო საჰაბილიტაციო შრომა პრივატ დოცენტის კათედრის მისაღებად. ამავე დროს, აგვისტოშივე უნდა განუცხადო განათლების სამინისტროს, რომ გიმნაზიის მასწავლებლობის თანამდებობაზე ხელს ვიღებ. როგორც მოგეხსენებათ, ასეთ შემთხვევაში, როცა მასწავლებელს სამსახურისათვის თავის დანებება უნდა, მან სათანადო დირექციას ეს უნდა აცნობოს სასწავლო წლის დასაწყისამდის. საქ. მთავრობის ბერლინელ წარმომადგენლისაგან გავიგე, რომ თქვენი ბრძანების თანახმად, მას ნება არა აქვს გერმანიაში დარჩენილი მოქალაქენი გააგზავნოს, ვიდრე მთავრობის მიერ დაქირავებული გემი წავა. რადგანაც გემი ჯერ ნაშოვნიც არ არის, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ საშუალებით მე კიდევ მინიმუმი სამი თვე უნდა ვიცადო აქ, ამიტომ ვთხოვ უმორჩილესად საქართველოს მთავრობის დელეგაციას, მომეცეს საშუალება სამშობლოში დაბრუნებისა, რასაც ჩემი სამსახური და ჩემი ოჯახური მდგომარეობა დაუყონებლივ მოითხოვს ჩემგან. იმედი მაქვს ამ თხოვნის პასუხს გადასცემთ ჩვენი მთავრობის ბერლინელ წარმომადგენელს ბატონ იაზონ ბაქრაძეს.

მიიღეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა

კონსტანტინე გამსახურდია

ბერლინის უნივერსიტეტის ფილ. დოქტორი და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრი“[1]

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 52, ფურც.36.

წერილი II

„1919 წელი, მაისის 23.

ღრმად პატივცემულო ბატონო აკაკი!

კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ ყველაფერ იმას, რაც მე მნადიან ამ წერილით მოგახსენოთ. ევროპაში მუშაობის დროს თქვენ თვითონ დარწმუნდით ალბად, რომ როგორც ჩვენზე უხნიერეს, ისე ჩვენ თანამედროვე თაობას თითქმის არაფერი გაუკეთებია ქართული კულტურის ევროპაში გავრცელებისა ან პოპულარიზაციისათვის. ჩვენი უახლოესი მეზობელი სომხის ერი ამ შემთხვევაში გაცილებით მეტს აკეთებს ევროპაში. როდესაც ამ ომის დროს მომხდარ ხოცვა-ჟლეტამ ოსმალეთში დიდად შეაშფოთა თვით გერმანიის საზოგადოებრივი აზრი, ცნობილმა პროფესორებმა და მეცნიერებმა ამოიღეს ხმა „ქრისტიან კულტურულ სომეხთა" დასაცავად. ამ მოკლე ხანში გამოვიდა პაულ როპსბახის რედაქციით ერთი მოზრდილი კრებული „Die Armenien". წიგნი შეიცავს მრავალ წერილსა და სურათებს სომხის ცხოვრებისა და მონუმენტალური კულტურის წრიდან. ამ კრებულშიაც, როგორც ყოველთვის, ჩვენ ან ჩვენს დედაქალაქს გამოჰკრეს კლანჭი სომხებმა, როგორც ჩვეულებრივად. მე ვაპირებ ერთ-ერთ აქაურ ჟურნალში რამდენიმე საკითხზე პასუხი გავცე სომხის კალმოსნებს, მაგრამ ეს არა კმარა.

მე წინადაც აზრად მქონდა გერმანელ მეცნიერთა და მკვლევართა თანამშრომლობით დიდი კრებული გამომეცა გერმანიაში, მაგრამ უსახსრობა მაჩერებდა. დღეს ასეთი კრებული რომ შვეიცარიაში გამოიცეს, ეს დიდი საქმე იქნება. ამ დღეებში მოლაპარაკება მქონდა ბერლინის უნივერსიტეტის ცნობილ ორიენტალისტ — ბ. პროფ. ედუარდ მაიერთან[1], რომელსაც, სხვათა შორის, დავეკითხე, ასეთი ქართული კრებული რომ გამოიცეს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას, იგი სიამოვნებით დამეთანხმა. გარდა მაიერისა, მე პირადად ვიცნობ დიდ ორიენტალისტს, ქართული ენის მცოდნეს ფრიც ჰომელს (მიუნხენში) (მან მთელი თეორია შეიმუშავა ქართველთა და ძველ ალაროდიელთა ნათესაობის შესახებ[2]). კარგად ვიცნობ აგრეთვე ლაიპციგის უნივ. პროფ. ქართული სახელმწიფო უფლების პროფესორს ფელიქს ჰოლდავს, რომელმაც ამ ორიოდე წლის წინად თავისი Zwei Grundsteine aus der Georgischen Lxauhs und Rechts geschichte დაწერა. ერთ დროს მიწერ-მოწერა მქონდა ვინიგსბერგელ პროფ. ბორკთან, რომელმაც 1914 წელს თავისი სიმპატი-

[1] ედუარდ მაიერი (1855-1930), — გერმანელი ისტორიკოსი, ცნობილი ორიენტალისტი (ეგვიპტოლოგი და ხეთოლოგი). დაიბადა ჰამბურგში, დაწერა „უძველესი ისტორია" 5 ტომად. მეცნიერებაში იყენებდა მოდერნიზმისა და ციკლურობის თეორიას. მამა მეცნიერი ჰყავდა და მისგან მიიღო ინტერესი როგორც ძველი ისტორიის შესწავლისა, ასევე მისგანვე შეისწავლა უძველესი ენები. დაამთავრა ბონის უნივერსიტეტი, მოღვაწეობდა როგორც ალმა-მატერ-ში (ბონის უნ-ში), ასევე ლაიფციგის, ჰარვარდის და ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტებში. გარდაიცვალა 75წლის ასაკში, ბერლინში.

[2] ალაროდიელები — XIX ს.-ს ზოგიერთ ევროპელ მეცნიერთა თვალსაზრისით, ძველი ურარტელები, რომლებიც ქართველურ ტომებთან იყვნენ ეთნიკური და ენობრივი ნათესაობით დაკავშირებულნი. ამაზე საუბრობს ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადში", ამავე თემაზე წერდნენ „იერია" და „დროება".

ური თეზისები „Das Georgische Volk“ ლაიპციგში გამოაქვეყნა. ამ საქმეში შეიძლება კაცმა დაიხმაროს მიუნხენის ეთნოგრაფიული მუზეუმის გამგე დირი, შემდეგ მკვლევარები: ჰუსსინცი, ბერლ. უნივ. პრივატ დოცენტი, ქართული ენის ლექტორი და საქართველოს დიდი მეგობარი დოქტორი რიჰარდ მეკელაინი. თუ თქვენ ამ იდეას სიმპატიით შეჰხვდებით, მე და დოქტორი მეკელაინი აქვე შევაგროვებდით ჩინებულ მასალას ქართული ისტორიის, ენათმეცნიერების, უფლების და ლიტერატურის შესახებ. მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში შევიძლებ, რომ დიდი მეცნიერი ედუარდ მაიერი დავითანხმო, რომ მან თავისი სახელი მოგვცეს და საპატიო რედაქტორად გამოვიდეს.

150-200 გვერდი წიგნი რომ გამოვაქვეყნოთ, ეს დიდი საქმე იქნება. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჯერ არ ვიცი, როგორ შეჰხედავთ თქვენ ამ საქმეს, ან შეუძლია თუ არა დელეგაციას ამ საქმისთვის თანხის გაღება. ჰონორარს რაც შეეხება, მე ვფიქრობ, ედუარდ მაიერის გარდა, სხვას არავის დასჭირდება ალბად ჰონორარი. თქვენ იცით, რა მნიშვნელობა აქვს ევროპის საზოგადოებრივ აზრს და მერწმუნეთ, პატარა ბროშურებით ევროპაში ვერას გავხდებით. რა თქმა უნდა, არც კაპიტალური შრომებია მიზანშეწონილი, მაგრამ ზემოთ მოხსენებული კრებული ჩვენ აქ დიდ სამსახურს გაგვიწევს. მართალი მოგახსენოთ, მე დიდი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე ამ ბარათის თქვენდამი მოწერა, რადგან გამოცდილებამ დამარწმუნა, სამწუხაროდ, რომ სრულიად გავჩუმდე სჯობია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ეგებ, ვინ იცის ეს წინადადება უნაყოფო გამოდგეს და საქმე გაკეთდეს მეთქი. ჩვენმა წარმომადგენლობამ რომ წიგნები დაუკვეთა, წინადადება მივეცი, ბ-ნ იაზონ ბაქრაძეს ჩემი გამოცდილებაც გამოეყენებია. 6 წელია, რაც გერმანიის წიგნების გამომცემლობას თვალს ვადევნებ, ძლიერ კარგად ვიცნობ ლაიპციგისა და ბერლინის წიგნების ბაზარს, ვიცი, რომელი თხზულების რომელი გამოცემაა გამოსადეგი, როგორ პირობებში, სად, რა გზით უნდა იშოვნოს კაცმა უნივერსიტეტისათვის ხელსაყრელი წიგნები და გამოცემები. მე მათი ჯილდო არ მინდოდა და ორდენი, მხოლოდ წინადადება მივეცი ისტორიაში და ფილოსოფიაში რას წარმოგიდგენთ, თუ მოგეწონათ კარგი, თუ არა და არც მაშინ ვითხოვდი რამეს. მე ვფიქრობდი, თუ ვიცოცხლე, ქართულ უნივერსიტეტში მომიხდება მუშაობა და ისეთ წიგნებს და გამოცემებს ვაყიდიებდი მთავრობას, რაც ყოველ უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს.[1]

დამეთანხმებით, დაქირავებულმა კომისიონერმა შეიძლება თვითონ არცკი იცოდეს, თუ რა წიგნებია, მაგალითად, ისტორიისთვის საჭირო, არც ტფილისიდან გამოგზავნილი სია გამოდგება, რადგან იქ ევროპის ერების ისტორიის სპეციალისტი არავინ არაა. თუ მომავალში ევროპის ისტორიის კათედრა გვექნა, ყოვლად შეუძლებელია მაგ. Monumenta German. Historika ქართული უნივერსიტეტის ბიბლოთეკაში არ იქნეს და პროფ. ისტორია ისწავლებოდეს. არის აგრეთვე ახალი, სულ ორი წლის განმავლობაში გამო-

[1] საუბარია იმ ფაქტზე, როდესაც 1919 წელს, დამფუძნებელი კრების განათლებისა და კულტურის საპარლამენტო ფრაქციამ გერმანიაში პარლამენტისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის შეუკვეთა სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა. სია შედგენილი იყო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ.

სული წყاროები, რომელიც ვიწრო სპეციალისტების წრეების ან სპეც. აკადემიების მიერაა გამოცემული. მე კარგად ვიცნობდი როგორც ჩემ მასწავლებლებს, ბერლინის აკადემიის წევრებს, რომელნიც იაფად, სულ იაფად შემაძენიებდენ აკადემიის გამოცემებს, უწყებებსა და სხვა. მაგრამ კაცმა ყური არ მათხოვა. მეორეჯერ თვითონ ბატონმა იაზონ ბაქრაძემ მირჩია თქვენთვის მომემართა ჩემი დისერტაციის დაბეჭდვის შესახებ. მე არ ვიტყვი არაფერს ჩემი დისერტაციის სიკეთეებზე, მაგრამ ეს პირველი მაგალითი იყო, რომ ევროპაში ქართულ ისტორიაზე დაიწერა. დისერტაციას ჰქვია — „საქართველოს მეფე ირაკლი მეორე". უნდა დამებეჭდა 200 ცალი და ფაკულტეტისათვის გადმომეცა, გერმანიისა და შვეიცარიის ინსტიტუტებსაც დაურიგდებოდა. ეს თხზულება 3 ორდინალური პროფესორის კრიტიკისა და რეკომენდაციის წყალობით მიიღეს და მე მგონია, აქ მარტო ჩემი ინტერესი კი არ იყო. თხზულება შეიცავს სურათს ქართული სამართლის, საქალაქო და სახელმწიფო წყობილებისა და აგრეთვე იმ ტრაქტატებს, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის შეიკრა 1658-დან 1898 წლამდის. როცა მივმართე ბატონ ბაქრაძეს, რომ გამეგო წარმომადგენლობის გადაწყვეტილება, ჩემი შუამდგომლობის შესახებ, ასეთი პასუხი მივიღე: „ჩვენ დავადგინეთ, მოგეცეს ეს თანხა იმ პირობით, თუ დეკანის წერილს წარმოადგენ, რომ დისერტაციას დაბეჭდვა უნდაო". აქვე გიგზავნით უნივერსიტეტის ფაკულტეტის სტატუტის ნაწილს. იხ. პარაგრაფი 1. რა თქმა უნდა, მე გამაოცა ასეთმა უნდობლობამ და ასეთმა ანალფაბეტურმა პასაუმა. ჩვეს დეკანს, რომელსაც 10 ათასი სტუდენტის საქმე ხელში აქვს, მე ვერ მივმართავდი უაზრო წინადადებით: ერთი ხელწერილი დამიწერეთ, რომ დისერტაციას დაბეჭდვა უნდა მეთქი. ამისათვის არსებობს სტატუტი, რომელზედაც ის მომითითებდა. რა თქმა უნდა, მე ბატონ იაზონის რჩევით, რაკი ერთხელ გავილანძღე თავი, მოგმართეთ და საელჩომ ასეთი პასუხი გამცა, ჩემ დეკანსაც, რომელსაც მე დიდად პატივს ვცემ, თავს არ გავალანძღიებდი. ამგვარად, სამწუხაროდ, მე ვერ ვისარგებლე მთავრობის დახმარებით, რომელიც სესხის სახით მინდოდა და არა საჩუქრად, რადგან ზემოხსენებული დადგენილება ერთგვარი ზრდილობიანი პასუხი იყო. მე არ შემიძლია ჩემი უკმაყოფილება დავმალო, მაგრამ გთხოვთ ამ თავიდანვე ამის შესახებ ნურაფერს გამოიძევთ. 18 წლიდან ჩემ ქვეყანასა და ქართველ ხალხს ვემსახურები, კალმით, საქმით თუ ხმლით, რითაც შემძლებია. შეიძლება მომავალმა აღიაროს, რომ ქართული მთავრობის წარმომადგენლისაგან ასეთი, სწორედ გითხრათ, უხამსი მოქცევა არ მერგებოდა, ისიც ისეთი კაცისაგან, რომელიც 10 წლის განმავლობაში კარგად მიცნობდა. ეს ყველაფერი გათავდა და თქვენი ჭირი წაულია. რაც შეეხება იმ კრებულს, თუ თქვენ ეს აზრი მიზანშეწონილად და საჭიროდ ჩათვალოთ, იმედია მომწერთ და მე აქედან გამოგიგზავნით ყოველივე მასალას. ჩემის მხრით და ჩემი მეგობრის ბ. დოქტორ მეკელაინის მხრით, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ მზად ვართ თვით კრებულის კორექტურაც უსასყიდლოთ ვიკისროთ. აგრეთვე მასალების შეგროვება და სხვა ყოველივე გარჯა, რომელიც ამ საქმისთვის

საჭირო იქნება. რაც შეეხება სურათებს, აქ გვაქვს მრავალი თხზულება (კინიგლიხე ბიბლიოტეკში), სადაც ქართული ტაძრების, ორნამენტების და ისტორიული პირების სურათებია მოთავსებული. ყოველი პროფესორის თხზულება იქნება ჩვეულებრივ საჟურნალო წერილის ოდენა, ასე რომ, წიგნს მოსაწყენი ხასიათი არ ექნება. თუ არ გინდათ შვეიცარიაში გამოაცემინოთ, აქ მოველაპარაკები რომელიმე ცნობილ გამომცემლობას და აქ დავაბეჭდიოთ. თუ საშუალებას მთავრობა გაიღებს, შინაარსის მხრით, მერწმუნეთ, ეს კრებული ისეთი იქნება, რომ არც საქართველოს და არც ქართულ მთავრობას მისი გამოქვეყნება არ შერცხვება. იმედია, ამ მოკლე ხანში მიპასუხებთ ამ საქმის გამო.

მიიღეთ ჩემი უმდაბლესი სალამი და პატივისცემა
თქვენი ერთგული კონია გამსახურდია."[1]

წერილი III

„ბერლინი, 1919, 15 VI

ბატონო აკაკი!

მე კარგად არ ვიცი ვის კომპეტენციაში შედის ქვემდებარე შუამდგომლობაში აღძრული საკითხის გადაწყვეტა, ამიტომ თხოვნაში დელეგაციას მივმართე, ვინძლო ეს მართლაც დელეგაციას ეხება, იმედი მაქვს თქვენ ზომებს მიიღებთ, რომ ეს ნაწერი დელეგაციას გადაეცეს. თხოვნაში აღნიშნულ მდგომარეობას შემდეგი მინდა დავსძინო. კარგად მოგეხსენებათ ხელმოკლე ქართველი მაშვრალის (?) მდგომარეობა. ჩემიც ასეთი იყო. ძლიერმა სურვილმა სწავლის დამთავრებისამ მთელი ოჯახი, მოხუცი დედა, ცოლი და 5 თვის გოგონა ღვთის ანაბარა დამატოვებინა. **ჯერ 1918 წლის იანვრიდან ივნისამდის ლაშქარში ვიყავ მოხალისედ, მაშინაც ვერ ვზრუნავდი სათანადოდ ჩემს კერძო ცხოვრებაზე, ივლისში გერმანიას წამოველ, არაადამიანური ჯაფა გადამწყდა, რათა რამენაირად მალე გამეთავებინა უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნებულ ვიყავ.** 15 მაისიდან ვუცდი გემს, აგერ რამდენიმე თვეა გემს ეძებენ და ჯერ არავითარი იმედია, ერთ ორ თვეში კიდეც რომ იშოვონ, თვეზე მეტი ტყვეეების მოგროვებასა და საქონლის ჩალაგებას მოუნდება. სამი თვის 3 ჯერ 700 მარკას რომ ცოტა რამ დაუმატონ, შეიძლება საგზაოდაც მეყოს. გარდა ამისა, უზომო შრომითა და ცუდი პირობების წყალობით სავსებით დასუსტებული ვარ, აქ ვალი მედება დღითი დღე, რადგან საშინელ სიძვირეში ეს დახმარება არას მშველის, თუ მასესხებენ გზის ფულს, ღმერთი რჯული, რაც უნდა გამიჭირდეს, როგორც ჩავალ, ვისესხებ სადმე იმ ფულს და გადავუხდი მთავრობას. ახლა ახალი სამსახურისა და ახალი თანამდებობისათვის ვემზადები და ყოველი თვე ძვირფასია ჩემთვის. **მე არ ვიცი, სხვა რალაა ჩემი სამსახური, თუ არადა სამსახური ქართული მთავრობისა და ქართველი ხალხისადმი, რომლისთვისაც მთელი ჩემი ცოდნა და უნარი დღემდის შემიკრებია.** ამ წერილს რომ ვწერდი, ჩემი კარგი ნაცნობი, აქაური პრივატ დოცენტი დოქტორი ნოიჰაუზი მეწვია... მას დიდძალი ნაცნობები ჰყავს კოპენჰაგენის

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 52, ფურც. 34-35.

პოლიტიკურ და კომერციულ წრეებში, მას მიუწერია ჩემს შესახებ ერთ კოპენჰაგენელ სააქციონერო სანაოსნო საზოგადოების დირექტორისათვის, ბ. ფრიზისთვის წერილი, რომელშიც იგი ეკითხებოდა დირექტორ ფრიზს, ვინძლო მე კოპენჰაგენით წავიდოდი, მომიხერხებდა თუ არა რომელიმე დანიურ გემში კაიუტის შოვნას. ფრიზი ატყობინებს მას, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს, რომ მე უახლოესი გემით გამაგზავნოს ბათუმს, სადაც ხსენებულ სააქციონერო საზოგადოებას ნავთის საწყობები ჰქონიათ. დოქტ. ნოიჰაუზი კარგად იცნობს გეორგ ბრანდესსა და იოჰანას იენსენს, იგი დარწმუნებულია, რომ ისინი რომ ინახულოს კაცმა, ორივე სიმპატიურ წერილებს დაწერენ კოპენჰაგენურ გაზეთ „პოლიტიკენში" საქართველოს შესახებ, რომლის მუდმივი თანამშრომლებიც არიან. თუ თქვენ მისწერთ იაზონს, მე ვფიქრობ ამ გზით ძლიერ იაფი დაჯდება მგზავრობა. თუ ცოტაოდენი დახმარება მომცა საელჩომ, მე წასვლას აუცილებლად მოვახერხებ, რაც არ უნდა გამიჭირდეს.

ველი თქვენგან პასუხს იაზონის საშუალებით.

მიიღეთ ჩემი უაღრესი პატივისცემა და სალამი

მარად თქვენი პატივისმცემელი კონსტანტინე გამსახურდია

P.S. იმედია ამ წერილში მდებარე მოწმობას განათლების სამინისტროსას, აგრეთვე, ბ. ი. ბაქრაძეს გადაუგზავნით ჩემ გადასაცემად.

კ.გ."[1]

კონსტანტინე გამსახურდია სამშობლოში მართლაც გამოემგზავრა ლტოლვილების გემით. მთავრობის და პირადად აკაკი ჩხენკელის დამსახურებაც იყო, რომ ის გემზე უბრალო მგზავრი კი არა, როგორც თანამშრომელი, ისე იმყოფებოდა და ამისთვის ხელფასიც ჰქონდა. ეს გემი იყო „კრისტიან ნებე", რომლის შოვნაშიც მწერალმა გარკვეული როლი ითამაშა თავისი ევროპელი ნაცნობ-მეგობრების დახმარებით. გემის გამომგზავრების ისტორიასა და ეკიპაჟის შემადგენლობას კარგად გადმოგვცემს ბერლინში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებულის — ვლადიმერ ახმეტელაშვილის პირადი წერილი-ანგარიში აკაკი ჩხენკელისადმი. გემის კაპიტანი და ადმინისტრაცია გერმანელები იყვნენ.

ვფიქრობ, ამ წერილებს, როგორც გამოუქვეყნებელსა და მკითხველისათვის უცნობ მასალას, გარკვეული მნიშვნელობა აქვს დიდი მწერლის ბიოგრაფიისათვის. მასში ბევრი საინტერესო დეტალია, რაც შეავსებს კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატიანეს.

საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის ეკონომიკური კავშირები ევროპასთან
იაზონ ბაქრაძის წერილები აკაკი ჩხენკელთან 1918-1920 წლებში

იაზონ თომას ძე ბაქრაძე (1869-1937), ეროვნული მიმართულების საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტი, იურისტი, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 52, ფურც. 38-39.

წარგზავნილი გერმანიაში, გიორგი ზდანოვიჩის ადვოკატი იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იაზონ ბაქრაძე სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად გაიგზავნა გერმანიაში. აკაკი ჩხენკელთან მიწერილი მისი საკმაოდ ვრცელი მოხსენებები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ სფეროში არსებულ ვითარებაზე, ევროპული ორიენტაციის საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ევროპის ქვეყნებთან მომავალი სამრეწველო-სავაჭრო კავშირების დამყარებაში, პირველ რიგში ეს ყველაზე ახლო პარტნიორ გერმანიის სახელმწიფოს ეხებოდა.

მიუხედავად ომისა და ამ ვითარებაში გერმანიის, როგორც ყველაზე აქტიურად მეომარი ქვეყნის რესურსების სრულად გაღებისა, ჩანს, რომ გერმანიის ეკონომიკა მაინც არ იყო სუსტი და ევროპის ბევრი ქვეყანა ცდილობდა მის ბაზარზე პროდუქციის შეძენას. ქართულმა დელეგციამ, რომელიც ამ მიზნით ჩავიდა ბერლინში, შეადგინა სპეციალური ეკონომიკური ურთიერთობის პროგრამა, რაც შესაძლებელს გახდიდა საქართველოში წარმოების აღორძინებას, შედარებით იაფი პროდუქციის შეტანას ქართულ ბაზარზე, მოსახლეობის დაკმაყოფილებას სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაწარმით. საქმე ეხებოდა არა მარტო გერმანიის, არამედ მისი მოკავშირე ავსტრია-უნგრეთის რესურსების გამოყენებასაც. თუ საჭირო გახდებოდა, საქართველო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს დაამყარებდა ე. წ. ნეიტრალურ ქვეყნებთანაც. ამის საილუსტრაციოდ სრულად მოვიტანთ იაზონ ბაქრაძის 1918 წლის 2 სექტემბერს გაგზავნილ მოხსენებით ბარათს აკაკი ჩხენკელისადმი (ამ დროს ა. ჩ. ბერლინში იმყოფებოდა, იაზონ ბაქრაძე კი — თბილისსა და ევროპას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით ინტერესდებოდა, როგორც ამ სფეროში, „კერძო ბიზნესში" ჩაბმული ადამიანი, ამასთან ეროვნული სულისკვეთების მქონე პოლიტიკოსი და გერმანოფილი):

„მის აღმატებულებას

ბატონ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

იაზონ ბაქრაძის მოხსენება

ქართველი ხალხი, როგორც თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, რადგან ჩვენში სულ აღარ მოიპოვება ფაბრიკა-ქარხნის ნაწარმოები და თუ კიდევ სადმე აქა-იქ დარჩენილა, ისე ძვირია, რომ ხალხის მყიდველი ძალა მას ვეღარ სწვდება. ეს იწვევს ადგილობრივი წარმოების, განსაკუთრებით ისეთი ნაწარმოების უზომოთ გაძვირებას, რომელიც მიუცილებელია ყველასათვის სიცოცხლის შესანარჩუნებლათ.

ასეთი მდგომარეობა ბადებს ხალხში, რომელიც მოკლებულია შორსმხედველობას, მიზეზთა ხლართის გარკვევის უნარს, მთავრობისა და ახალი წყობილების მიმართ უნდობლობას და აჩაღებს ჩვენში ანარქიას, რომელთანაც ბრძოლა მთავრობას უზომო ენერგიას ართმევს და აუარებელ ხარჯს მოითხოვს. შეიძლება დროებით კიდეც მოხერხდეს იარაღის საშუალებით ანარქიის განელება, მაგრამ ხანგრძლივი მშვიდობიანობის

დამყარებისათვის და შემოქმედებითი მუშაობის გაღრმავებისათვის მიუცილებლათ საჭიროა ხალხის დღევანდელი მდგომარეობის გაუმჯობესება სხვადასხვა ფინანსურ-ეკონომიური საშუალებით, უწინარეს ყოვლისა კი ფაბრიკა-ქარხნის ნაწარმოების იაფ ფასებში მიწოდებით. ეს თავის მხრით გამოიწვევს სანოვაგისა და სხვა ადგილობრივი ნაწარმოების გაიაფებას და მაშინ ხალხი თავისთავად იგრძნობს და მიხვდება, რომ დღევანდელი მთავრობა მართლა ზრუნავს მასზე, და ამგვარად თანდათან განმტკიცდება მასში მთავრობისა და ახალი წყობილებისადმი ნდობა და პატივისცემა.

ასეთი საჭირო საგნების შეტანა საქართველოში შეიძლება გერმანიიდან, ავსტრო-უნგრეთიდან. ჩვენის აზრით, ნეიტრალი სახელმწიფოებიდანაც გერმანიის მთავრობის ნებართვით.

დღევანდელი ომიანობის დროს, კიდე დიდხანს ზავის შემდეგაც აღებმიცემობისა და ტრანსპორტის ისეთი პირობები არ იქნება, რომ ძალიან საეჭვოთ მიგვაჩნია კერძო პირებმა და ფირმებმა მოახერხონ ყოველი დაბრკოლების გადალახვა: საქართველოში საჭირო საქონლის შეტანა კიდეც რომ მოახერხონ, საქართველოში დაიწყება ფასების აწევის ისეთი ვაკხანალია, რომ ხალხის დრტვინვა-დაუკმაყოფილებლობა კიდევ უფრო გაღვივდება-გაძლიერდება. ამას გარდა, ცოტა არ იყოს, შებღალავდა მთავრობის პრესტიჟს, რომელმაც ვითომ ვერ მოახერხა ის, რაც კერძო პირებმა მოახერხეს, ან არ მოინდომა ამისი მოხერხება. ამ მოსაზრებათა გამო საქართველოს მთავრობამ უნდა იდვას თავის თავზე საჭირო საქონლის შეძენა, საქართველოში შეტანა და მისი მიზანშეწონილათ ხალხში განაწილება.

რასაკვირველია, ამავე დროს არ უნდა იქნას ჩაქრობილი კერძო ინიციატივაც და კერძო პირებსა და ფირმებსაც უნდა ექნეს უფლება შეიძინონ და შეიტანონ საქართველოში საჭირო საქონელი, ხოლო საქართველოს მთავრობა უნდა უწევდეს მათ დახმარებას ყოველგვარი ცნობების მიწოდებით, ყიდვის გაადვილებით, ტრანსპორტის მოწყობით და ამასთანავე უნდა უწევდეს მათ სასტიკ კონტროლს, როგორც ყიდვის, ისე გაყიდვის დროს.

ამას გარდა, იმისათვის, რომ უცხოეთიდან რაიმე შევიტანოთ საქართველოში, საჭირო არის ჩვენი ნაწარმოების უცხოეთში გატანა, მისი ხელსაყრელ ფასებში გაყიდვისთვის კი საჭიროა, საქართველოს მთავრობამ და მისი საშუალებით კერძო ფირმებმაც ყოველთვის იცოდნენ სად, რომელი და რამდენი საქონელი სჭირდებათ, რა ფასებში შეიძლება გაყიდვა, ვინ არის საუკეთესო მყიდველი და სხვა.

ყველაფერი ეს ერთათ აღებული ისეთ მრავალმხრივსა და რთულ სამუშაოს წარმოადგენს, რომ მთავრობამ უნდა იყოლიოს ამისთვის ჯერჯერობით ბერლინში ან ჰამბურგში მუდმივი კომისია, რომლის უფლებამოვალეობანი და მთავრობასთან დამოკიდებულება დაახლოებით ასე წარმომიდგენია:

I. მიზანი კომისიის არის საქართველოში უცხოეთიდან საჭირო საქონლის შეზიდვა და საქართველოს ნაწარმოების უცხოეთში ხელსაყრელ

ფასებში გაყიდვის გაადვილება;

II. მოვალეობა — უფრო დაწვრილებით რომ გამოვხატოთ, უნდა მდგომარეობდეს შემდეგში:

1. შეისწავლოს გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის და ნეიტრალ სახელმწიფოების სამრეწველო მდგომარეობა და მათი ბაზარი, ე.ი.სულ მუდამ კურსში უნდა იყოს იმისა, თუ რა და რა საქონელი მოიპოვება ამა თუ იმ ქვეყანაში, ვის ხელშია იგი, რა ფასებში შეიძლება მათი შეძენა საქართველოში გასატანათ;

2. შეისწავლოს თუ სად და რომელი ნედლი მასალა სჭირდებათ, რა ფასებში შეიძლება მათი გაყიდვა;

3. შეისწავლოს ყოველი მხარე ტრანსპორტისა ხმელეთით და ზღვით საქართველოსაკენ და საქართველოდან უცხოეთისაკენ;

4. იქონიოს კავშირი საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან და საექსპორტო კომისიასთან, რომელიც საქართველოში უნდა დაარსდეს, მიაწოდოს მათ ყოველი საჭირო ცნობები და თვითონაც მიიღოს მათგან ყოველი ცნობა, რომელიც კი საჭირო არის იმპორტ-ექსპორტის საწარმოებლათ;

5. მიიღოს თავის თავზე საქართველოს მთავრობისათვის მისი მინდობილობით საქონლის ყიდვა უცხოეთში;

6. მიიღოს თავის თავზე საქონლის ყიდვა ქართველი კერძო იმპორტიორებისთვისაც, როცა ისინი მას ამას მიანდობენ; ამ საქონლის საქართველოში გაგზავნა;

7. კერძო ქართველ იმპორტიორებს გაუწიოს ყოველგვარი დახმარება, ხელმძღვანელობა, რომელნიც უცხოეთში საქონლის საყიდლათ მოვლენ და კომისიას დახმარებისთვის მიმართავენ;

8. ხელი შეუწყოს ყოველგვარი ცნობების მიწოდებით საქართველოს მთავრობას, კერძო მრეწველებს და საზოგადოებებს სხვადასხვა ქარხნების გახსნისათვის საქართველოში;

9. საზოგადოთ, შეასრულოს აღებ-მიცემობის შესახებ ყოველი მინდობილობა საქართველოს მთავრობისა და მთავრობის მიერ საქართველოში დაარსებულ საექსპორტო კომისიისა.

III. კომისიას და მის სახელმძღვანელო წესდებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, რაც მერე უნდა ეცნობოს გერმანიის მთავრობას;

IV. კომისიის წევრთა რიცხვი უნდა იქნეს ხუთიდან ათამდე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გაფართოვდება თუ შევიწროვდება მისი მუშაობა;

V. კომისიის წევრებს ნიშნავს საქართველოს მთავრობა ან მისი უმაღლესი წარმომადგენელი ბერლინში და მათსავე უფლებას შეადგენს მათი დათხოვა, თუ კომისიის წევრმა რამე დანაშაული ჩაიდინა ან უმოქმედობა გამოიჩინა;

VI. კომისია იწვევს დასახმარებლათ სხვადასხვა მცოდნე და გამოცდილ აგენტებს განურჩევლათ ეროვნებისა თვიური ჯამაგირით ან ერთდროული ჯილდოთი და შეუძლია იყოლიოს აგენტები აგრეთვე სხვა ქვეყნებშიაც;

VII.კომისიას აქვს საკუთარი ბიურო და ჰყავს ბიუროს მოსამსახურეები, რომელთა მიღება და დათხოვნა, ისე როგორც აგენტებისა, მის უფლებას შეადგენს;

VIII. კომისიის წევრთა შორის განაწილებულია მუშაობა, თითოეული მათგანი განაგებს ერთსა ან რამდენიმე დარგს სამუშაოსას და მინდობილ საქმის წარმოებაში პასუხისმგებელია კომისიის წინაშე, ხოლო პრინციპიალურათ საკითხების გადაწყვეტა და სახელმძღვანელო დადგენილებათა გამოტანა ეკუთვნის კომისიის წევრთა საერთო კრებას, რომელიც ხდება საჭიროებისამებრ, ხოლო არანაკლებ ერთისა, კვირაში. ყოველი წევრი ვალდებულია მორიგ კრებას წარუდგინოს ანგარიში იმისა, თუ რა გაკეთდა მის განყოფილებაში და რა მდგომარეობაშია მისდამი მინდობილი საქმე და მიიღოს მისგან საქმისათვის საჭირო სათანადო ინსტრუქცია;

IX. კომისიის სხდომის ოქმები იწერება ზონრიან წიგნში და მას ხელს ანერს ყველა დამსწრე წევრი და მდივანი;

X. ფულისა და საქონლის ანგარიშებს კომისია აწარმოებს მტკიცე საბუღალტრო წესით;

XI. კომისიის წევრთა ჯილდო, მოსამსახურეთა და აგენტების ჯამაგირი, ბინის ქირა, გათბობა-განათება, მისვლა-მოსვლისა და ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯები და სხვა მოულოდნელი ხარჯები იფარება იმ გადასახადით, რომელიც უნდა დაედვას უცხოეთიდან კომისიის დახმარებით საქართველოში შეტანილ საქონელს და რომელიც უნდა აართვას მთავრობამ საქონლის საქართველოს პორტში შეტანის დროს. ამ გადასახადის რაოდენობა, რომელიც მთავრობის მიერ კომისიას გადაეცემა, უნდა უდრიდეს: იმ საქონელზე, რომელსაც კომისია იყიდის და გაგზავნის მთავრობისათვის თუ კერძო მყიდველისათვის, 2, 1/2 %-ს, ხოლო იმ საქონელზე, რომელსაც იყიდიან და წაიღებენ კომისიის დახმარებით, მხოლოდ 1%-ს საქონლის ღირებულებისა;

XII. კომისია ემორჩილება საქართველოს მთავრობას და მის უმაღლეს წარმომადგენელს გერმანიაში, რომელიც მოვალეა მას კონტროლი გაუწიოს და ამისათვის მას უფლება აქვს მოსთხოვოს კომისიას ყოველგვარი ანგარიში მისი მოღვაწეობისა და მოახდინოს მისი საქმეების რევიზია, თუ გარემოება ამის საჭროებას დაანახვებს.

დაახლოებით ასე მაქვს წარმოდგენილი მომავალი კომისიის სახე და მისი მოღვაწეობის ხასიათი.

ასეთი მუდმივი კომისია უნდა დაამტკიცოს ცენტრალურმა მთავრობამ, რაც საკმაო დროს მოითხოვს. ხოლო ამგვარი ორგანიზაციის არსებობას კი უკვე კარზე მომდგარი საჭიროება დაჟინებით მოითხოვს. მთავრობას გამოგზავნილი აქვს საჭირო საქონლის სიები და თხოულობს დაუყონებლივ მის ყიდვას და გაგზავნას, ამას გარდა, კერძო ფირმების წარმომადგენელნი კარგა ხანია ბერლინში იმყოფებიან, მაგრამ ჯერ ამ მხრით არაფერი გაკეთებულა, რადგან არ არსებობს ისეთი მტკიცე ორგანიზაცია, რომელიც მარტო ამ საქმისათვის უნდა ზრუნავდეს. არის ვითომ კომისია,

მაგრამ შემადგენლობა მისი შემთხვევითი და ცვალებადია, მას არა აქვს საკუთარი ბინა, სადაც შეიძლებოდეს განუწყვეტელი მუშაობა, სხდომების მოწყობა, დაინტერესებულ პირთა მიღება, წინადადებათა და წერილობითი ცნობების შემოკრება, არა ყავს თავის განკარგულებაში მოსამსახურე პირნი, სპეციალისტი აგენტები, არა აქვს საჭირო თანხა ყველაფერ ამის მოსაწყობათ და სხვა ხარჯების დასაფარავათ და რამდენი ხანი სდგას ერთ ადილას და ვერ გადაუწყვეტია საით წავიდეს, რა აკეთოს, როგორ მოიგვაროს საქმე.

ამისათვის საჭიროთ მიმაჩნია მივაქციო თქვენი ყურადღება ამ სამწუხარო მდგომარეობას და იქნება თქვენ საჭიროთ და შესაძლებლათ დაინახოთ თქვენის უფლებით, სანამ ცენტრალი მთავრობა შექმნიდეს რამე მუდმივ ორგანიზაციას აქ, დააარსოთ დროებითი კომისია ოთხი-ხუთი კაცისაგან, რომელნიც მარტო ამ საქმეზე იმუშავებენ, სანამ მუდმივი ორგანიზაცია დამტკიცდებოდეს, აღჭურვოთ იგი ზემოთ აღნიშნული უფლებებით და მოვალეობებით, აცნობოთ ამის შესახებ გერმანიის სათანადო ცენტრალ დაწესებულებას, აცნობოთ აგრეთვე საქართველოს მთავრობას და მისცეთ კომისიას ავანსათ თვეში 14-16 ათასი მანეთი და ეს ხარჯი აინაზღაუროთ იმ გადასახადისაგან, რომელიც, ზემოთმოყვანილი პროექტით, უნდა აერთვას საქართველოში შეტანილ საქონელს.

ეს კომისია იმუშავებს მანამ, სანამ არ იქნება მომავალში ცენტრალ მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი ორგანიზაცია, რომელსაც კომისია გადასცემს ყველაფერს და დაიშლება.

იაზონ ბაქრაძე,

ბერლინი, 2 სექტემბერი, 1918".[1]

ამ ვრცელი წერილიდან ნათლად ჩანს როგორც თავად წერილის ავტორის სწორი და გათვლილი ეკონომიკური ხედვა, ასევე ადრესატის, აკაკი ჩხენკელის როლი არა მარტო პოლიტიკურ-დიპლომატიურ პროცესებში, არამედ თითქმის ყველა იმ პრობლემაში, რომელიც ახალგაზრდა და უამრავი საფრთხის ქვეშ მყოფი ქვეყნის ცხოვრებაში იქმნებოდა.

აკაკი ჩხენკელთან ურთიერთობა ადვილი იყო, ის საქმის ადამიანებს ადვილად ენდობოდა და მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა. ასეთივე თავისუფლება ჰქონდა იაზონ ბაქრაძესაც, როდესაც თავისი შეხედულების მიხედვით შეადგინა ეკონომიკური კომისია და ჩხენკელს გადაუგზავნა, რათა ეს სია გერმანიის მთავრობისათვის გადაეცა. კომისიაში შედიოდნენ: კომისიის თავმჯდომარე დოქტორი იაზონ ბაქრაძე, კომისიის წევრები: ინჟინერი მიხეილ ყაუხჩიშვილი, თავადი მიხეილ სუმბათაშვილი, დიპლომატი ინჟინერი ვაცლავ იანკოვსკი, დიპლომატი ინჟინერი გრიგოლ გაჩეჩილაძე, კომერსანტი მელიტონ გაჩეჩილაძე და დოქტორი ლევ ფონ ვიტტე.[2]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლისას იაზონ ბაქრაძის ჩხენკელისადმი მიწერილი წერილები

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 52, ფურც. 1-2.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 52, ფურც. 10.

საკმაოდ საინტერესო ცნობებს მიაწვდის მკვლევარს. აქ ჩანს როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის მდგომარეობა, ფასები, ევროპის ქვეყნებთან დამყარებული კავშირები, ქართველ ეკონომისტთა და კერძო ფირმების მფლობელთა საქმიანობის დეტალები. საუბარია თბილისის ტრამვაის მუშაობის გაგრძელებისათვის საჭირო ტრამვაის ნაწილების, ასანთის, ქაღალდის, ფეხსაცმლის და სხვა საგნების ყიდვის აუცილებლობაზე.[1]

ჩხენკელს იაზონ ბაქრაძისათვის მიუცია წინადადება, რათა შეექმნა გერმანიაში ქართული საზოგადოება, რომელიც საკუთარ გემს (ან გემებს) შეიძენდა და სავაჭრო საქმეებში გამოიყენებდა როგორც საქართველოში პროდუქციის გადასატანად, ასევე მოემსახურებოდა სხვა ქვეყნებს, ამ გემებს გააქირავებდნენ და საკმაო მოგებას მოიტანდა. ამის საჭიროება მას უკარნახა მსოფლიო ომში ევროპაში მოხვედრილი ქართველი ტყვეების სამშობლოში დაბრუნებისა და ნაყიდი სამრეწველო საქონლისათვის გემების შოვნის სიძნელემ, ამ გემების სიძვირემ.

„თქვენი პროექტი საზოგადოების დაარსებისა, — წერდა აკაკი ჩხენკელს იაზონ ბაქრაძე, — და საკუთარი გემის, ან გემების შეძენისა, ძლიერ მომწონს და ჩემის შეხედულებით, რაც ჩქარა გაკეთდება, უკეთესია, რადგან გემი, ჩემის აზრით, ერთი წლის განმავლობაში თავის თავს გამოისყიდის და იქნება ჩვენი სავაჭრო ფლოტის საძირკველათ. მართალია, აქაური ფულები დაცემულია და მძიმე პირობებში მოგვარდება მისი დახურდავება, მაგრამ იმდენათ ხელსაყრელათ მიმაჩნია ასეთი საზოგადოების დაარსება და საკუთარი გემების შეძენა, რომ წინდაწინვე გილოცავთ და გისურვებთ მის მალე განხორციელებას. რასაკვირველია, ბევრია დამოკიდებული იმაზედ, თუ როგორი პირობებით შეეკვრებით უცხოელებს, მაგრამ ამაში თქვენ უკვე აქაური გამოცდილება გაქვთ და დარწმუნებული ვარ, საქმეს კრგად დააგვირგვინებთ".[2]

ტყვეების საქართველოში დაბრუნება იმდენად ჭიანურდებოდა და ძნელდებოდა, რომ საფრთხე ექმნებოდა მათ ჯანმრთელობას, რადგან კვების საკითხი კრიზისში მყოფ ევროპაში ძნელი იყო, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობები, მათ შორის ბერლინის ეკონომიკური კომისია, ცდილობდა სურსათი მიეწოდებინა თანამემამულე ტყვე ჯარისკაცებისათვის, მიუწოდებიათ კიდეც 5 კვირის სამყოფი სურსათი[3].

იაზონ ბაქრაძის წერილებიდან ერთხელ კიდევ დასტურდება, თუ როგორი ყურადღებიანი იყო აკაკი ჩხენკელი ყველა იმ პრობლემისადმი, რაც ქართველების წინაშე იდგა, იმ ადამიანებისადმი, რომლებსაც დახმარება და გაგება ჭირდებოდა. მისი ურთიერთობა ადამიანებთან პირდაპირ ნიმუში იყო გაგებისა, მიმტევებლობისა, სიკეთისა და სიყვარულისა. ყველა, ვისაც გული ეტკინებოდა სამთავრობო პოლიტიკისა თუ ცალკეულ პოლიტიკოსთა ქცევების გამო, მასთან იქარვებდა ნაღველს, მას უმხელდა გულისტკივილს,

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 52, ფურც. 17.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 52, ფურც. 18.
[3] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 52, ფურც.26.

მას ეთათბირებოდა. „დღეს მომივიდა გაჩეჩილაძის[1] წერილი, — წერს ერთგან ბაქრაძე აკაკი ჩხენკელს, — რომელიც სხვათაშორის მწერს, სამინისტროში ვიყავი და დიდად აღელვებული იყვნენ და მითხრეს, რა უფლება ჰქონდა წარმომადგენელს ფულების გაცემისო (მას ვასესხე 3 ათასი მარკა, რომელიც უკვე შეიტანა ხაზინაში). ის დალოცვილები, პასპორტებს რომ აძლევენ ევროპაში წამოსასვლელად ყველას, ვისაც კი მოესურვება, რას ფიქრობენ, ნუთუ გერმანიის მთავრობა არის ვალდებული არჩინოს გაჭირვების დროს, თუ ჩვენ არ უნდა ვაძლიოთ ფული არც ელენტებს, არ უნდა ვაძლიოთ ფული დათეშიძეს, რომელსაც 5 შვილი ახვევია თავზე, კაჩკერს, რომელიც ქალაქის საქმეებზეა წამოსული, მეტრეველს, რომელიც თითქოს ტექნიკური საქმეებისათვის წამოვიდა და სხვ., როცა გზა შეკრულია, საშუალება არ არის ფულის მიღების, უნდა დაიხოცონ შიმშილით? ეს ადვილათ შესაძლებელია, მაგრამ მე დღეიდან არცერთ პფენინგს არ გავცემ, სანამ დელეგაცია არ დაადასტურებს და არ მიბრძანებს წინააღმდეგს. საზოგადოთ აქაური წარმომადგენლობა თითქოს ზედმეტი ბარგი იყოს და თითქოს ჩემი ხათრისათვის იყოს, არავინ ანგარიშს უნევს. არცერთ შეკითხვაზე არცერთი სამინისტროსაგან სიტყვა პასუხი არ მიმიღია, არცერთი ინსტრუქცია, არცერთი ცნობა და სხვა. ეს პირადათ თქვენ სრულებით არ გეხებათ. პირიქით, მე ძალიან მადლობელი ვარ ყოველგვარ ცნობებს რომ გვაწვდით, მაგრამ ცენტრალური მთავრობა და მისი ზოგიერთი წევრები კი ასე აბუჩათ გვიგდებს, თვითონ არავითარ ინსტრუქციას არ იძლევა და სხვებთან კი შეუფერებელ საყვედურს ამბობენ."[2]

მიუხედავად სურვილისა, ერთხანს იაზონ ბაქრაძე მაინც დარჩა გერმანიაში, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა. საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ის 1937 წელს დახვრიტა.

პარიზის კონფერენცია და აკაკი ჩხენკელი

1918 წლის შემოდგომაზე, ბერლინში მყოფი აკაკი ჩხენკელი დიპლომატიურ მუშაობას აჩაღებს ევროპის დიდ სახელმწიფოებთან. განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობას ქმნიდა გერმანიის დამარცხება და ანტანტის მეთაურ ქვეყანასთან — დიდ ბრიტანეთთან საქართველოს ურთიერთობის დალაგება, მითუმეტეს, დიდი ბრიტანეთის ჯარი მალე დაიკავებდა საქართველოს. მან მემორანდუმი გადასცა ინგლისის ელჩს შვეიცარიაში საკუთარი მთავრობისათვის გადასაცემად, სადაც ეწერა: „ჩემი მთავრობა დაიმედებულია, რომ დიდი ბრიტანიის მთავრობა თანაგრძნობით შეხვდება და იცნობს კიდეც საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს მით უფრო, რომ ქართველი ერის წამების შარავანდედით მოსილი წარსული მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა დიდი ბრიტანიის განათლებულ საზოგადოებაში. საქართველოს მთავრობა თხოვს დიდი ბრიტანიის მტავრობას მხარი დაუჭიროს მისი დელეგაციის დაშვებას საერთაშორისო კონფერენციაზე, რომ

[1] იგულისხმება გრიგოლ გაჩეჩილაძე, საქართველოს აგენტი ევროპაში სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 52, ფურც. 27-27ბ.

ამით მას საშუალება მიეცეს სათანადოდ დაიცვას ქართველი ერისა და სახელმწიფოს საარსებო ინტერესები".[1]

პარიზის სამშვიდობო კონფერენცია 1919 წლის იანვარში შეიკრიბა და თითქმის ორი წელი — 1920 წლის დეკემბრამდე მუშაობდა. აქ უნდა გარკვეულიყო მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ახალი რეალობა, დადგენილიყო ახალი მსოფლიო წესრიგი. პირველი მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული ოთხი იმპერიის ნიაღში წარმოიქმნენ ახალი ეროვნული სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო და კავკასიის ქვეყნები, რომელთა შორის სახელმწიფო საზღვრების დადგენა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული პრეტენზიების გამო, გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საერთაშორისო კონფერენციას უნდა დაედგინა ეს საზღვრები, გადაეწყვიტა ტერიტორიული დავები და, რაც მთავარია, უნდა ეცნო ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა, რუსეთის იმპერიისგან მათი გამოყოფის კანონიერება.

პარიზის კონფერენციაზე მიწვეული პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები მსჯელობდნენ კაცობრიობის ახლებურად მოწყობის, მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკის შედგენაზე. იმისათვის, რომ ამ რუკაზე საქართველოს სახელმწიფოც მოხვედრილიყო, ანუ უცხოეთის წამყვან ქვეყნებს საქართველოს სახელმწიფოებრიობა ოფიციალურად ეცნოთ და ეღიარებინათ, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ კონფერენციაზე გასაგზავნად სოლიდური დელეგაცია შეარჩია: პოლიტიკოსებით, დიპლომატებით, მეცნიერებითა და ექსპერტებით დაკომპლექტებულ დელეგაციას სათავეში ედგა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.

საქართველოს წარგზავნილთა სრული შემადგენლობით ევროპაში ჩასვლა ვერ მოხერხდა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის ნება მხოლოდ ნ. ჩხეიძეს, ი. წერეთელსა და ზ. ავალიშვილს დართეს. დელეგაციის სხვა წევრები კონსტანტინოპოლიდან უკან დაბრუნდნენ.

ქართული დელეგაცია პარიზში 1919 წლის მარტიდან მომდევნო წლის ბოლომდე იმყოფებოდა. დამოუკიდებლად საგარეო საქმეების მოწესრიგებისათვის ევროპაში რეპუბლიკის ელჩად გაგზავნილ აკაკი ჩხენკელთან ერთად, დროის ამ მონაკვეთში ეს დელეგაცია იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმთავრესი წარმომადგენელი საზღვარგარეთ.

გარდა პოლიტიკური საკითხებისა, დელეგაცია ეწეოდა საინფორმაციო და პროპაგანდისტულ მუშაობას, ასრულებდა საკონსულო მოვალეობებს, უფლება ჰქონდა ენარმოებინა ეკონომიკური საქმეები და სხვ.

1919 წლის 14 მარტს საქართველოს დელეგაციამ კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი საქართველოს წარსულისა და თანამედროვე რეალობის მოკლე აღწერით. მემორანდუმებსა და სხვა პოლიტიკურ გზავნილებს წერილობით ფრანგულ ენაზე სწორედ აკაკი ჩხენკელი ადგენდა. ის პარიზში არ იყო, მაგრამ შვეიცარიიდან მუდმივი მიმოწერა ჰქონდა

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 7, ფურცელი 16.

საქართველოს დელეგაციასთან. მემორანდუმში არგუმენტირებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აუცილებლობა. დოკუმენტით საქართველოს ხელისუფლება თხოვდა მოკავშირე სახელმწიფოებს, მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის არჩევანისთვის, ეცნოთ ქართველი ერი სხვა ერთა შორის და ეღიარებინათ მისი სუვერენიტეტი. მემორანდუმთან ერთად კონფერენციას გადაეცა ფრანგულ ენაზე შედგენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუკა, რომელზეც მკაფიოდ იყო მოხაზული საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. ორივე ეს დოკუმენტი რომ აკაკი ჩხენკელის შედგენილი იყო, ამას დავინახავთ ქვემოთმოტანილი მისი წერილებიდან, რომელიც დელეგაციას გაეგზავნა ბერნიდან და ჟენევიდან.

ქართული დელეგაცია საქართველოს აღიარებისათვის იყენებდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ჩვენებასაც. საქართველო, როგორც ცალკე სახელმწიფო, დასავლეთისთვის საინტერესო უნდა ყოფილიყო მისი ეკონომიკური რესურსებით (ტყე, მადნეული, წყლის ენერგია), ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებით, ასევე სტრატეგიულად ერთობ მნიშვნელოვანი, სატრანზიტო ფუნქციით. საქართველო შეიძლებოდა გამხდარიყო გზა "ღია ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობისათვის ევროპას, ცენტრალურ და წინა აზიას შორის."

მოკავშირე სახელმწიფოები საქართველოს პრობლემას საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილში განიხილავდნენ, ანგარიშს უწევდნენ რეგიონში რუსეთის რეალურ ინტერესებსა და ძალთა ბალანსს, აფიქრებდათ კავკასიის ქვეყნების არასტაბილური ვითარება, მათი შეუთანხმებლობა საზღვრების გამო და სხვ.

კონფერენციის წარმმართველი ქვეყნების — ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურები განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდნენ რუსეთის მიმართ, სადაც ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო სამოქალაქო ომის ხანძარი. რუსეთის საკითხი დიდწილად განსაზღვრავდა მთელი კავკასიის, მათ შორის საქართველოს მდგომარეობასაც. თუ რუსეთში მოკავშირე სახელმწიფოთა ფავორიტი ძალა (კოლჩაკი, მოხალისეთა არმია) გაიმარჯვებდა, მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა საეჭვო იყო. ეს საკითხი კონფერენციაზე პრაქტიკულად არც დასმულა, ვიდრე თეთრგვარდიული მოძრაობა უიმედოდ თავქვე არ დაეშვა.

იმ შემთხვევისათვის, თუ პარიზის კონფერენცია უარს იტყოდა საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებაზე, დელეგაციის ხელმძღვანელ ნ. ჩხეიძეს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასაგან მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია, მიეღოთ ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პირობით.

იმხანად სამხრეთ კავკასიაში ამგვარ როლში მოკავშირე სახელმწიფოთა სახელით დიდი ბრიტანეთი გამოდიოდა. მაგრამ 1919 წლის გაზაფხულიდან ბრიტანეთმა თავი ანება აქტიურ პოლიტიკას რეგიონში და აქედან

ჯარების გაყვანა გადაწყვიტა. ლოიდ ჯორჯმა საქართველოს მანდატი იტალიას შესთავაზა. იტალიის მთავრობა სერიოზულად მოეკიდა ამ საკითხს და დაიწყო ნიადაგის მოსინჯვა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას წინააღმდეგობა არ გამოუხატავს, რადგან ოფიციალურად გაცხადდა, რომ იტალია საქართველოს შინაურ ცხოვრებაში არ ჩაერეოდა. იტალიას უფრო ეკონომიკური მოტივი ამოძრავებდა. იგი დაინტერესებული იყო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით (განსაკუთრებით ქვანახშირით) და სახავდა კონცესიების ფორმით მათი ექსპლუატაციის სავარაუდო გეგმებს. 1919 წლის აპრილში თბილისში ჩამოვიდა იტალიის საგანგებო მისია პოლკოვნიკ მ. გაბბას მეთაურობით, რომელმაც ორლანდოს კაბინეტს საქართველოში საექსპედიცო კორპუსის გამოგზავნის აზრი უფრო განუმტკიცა. ასეთი შენაერთი კიდევაც მომზადდა, მაგრამ 1919 წლის ივნისში იტალიაში განხორციელებული სამთავრობო ცვლილების გამო, მისი გამოგზავნის საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა. ახალმა პრემიერმა ფ. ნიტტიმ მიიჩნია, რომ იტალიის ჯარების საქართველოში ყოფნა აუცილებლად გამოიწვევდა რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციას, რაც მისთვის მიუღებელი იყო. იტალიის მანდატი საქართველოზე არ შედგა.

ამავე პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებიც თვალნათლივ გამოიკვეთა. პრეზიდენტი ვ. ვილსონი მზად იყო, აეღო მანდატი სომხეთზე, რისთვისაც რეგიონში რამდენიმე მისია მოავლინა (მათ შორის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯედსონი, კაპიტანი ბ. მური, გენერალი ჯ. ჰარბორდი და სხვ.).

საქართველოს მმართველ ძალას სათანადოდ ვერ გაეცნობიერებინა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ძლიერი ფაქტორის — აშშ-ს როლი, ამიტომაც ამ ქვეყნის ადმინისტრაციასთან დაახლოების გზები ქართულ დიპლომატიას საფუძვლიანად არც მოუსინჯავს. თავის მხრივ, აშშ-ის ხელისუფლებაც უნდობლად უყურებდა საქართველოს სწრაფვას თავისუფლებისაკენ. მიუხედავად ამისა, ამერიკულ მისიებს გვერდი არ აუვლიათ საქართველოსთვის. ისინი გაეცნენ აქ შექმნილ მდგომარეობასაც და შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ სამხრეთ კავკასიისათვის, მისი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო ერთი საერთო მანდატი.

საქართველოში ამერიკის დახმარება სხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი, კერძოდ, ფინანსური თანადგომისა და დიპლომატიური მხარდაჭერის სახით. საქართველოს მთავრობას აშშ-სათვის საკუთარ ქვეყანაზე მანდატის დაწესება არ უთხოვია. "ჩვენ არა ვართ სამანდატო, საოპეკუნო ხალხი, ჩვენ ვართ ჩვენი თავის მანდატორი, ჩვენი ოპეკუნი, თავისი თავის ბატონი" — აცხადებდა ნოე ჟორდანია საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გამოსვლისას. იგი მანდატში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელყოფას ხედავდა, მაგრამ მოელოდა, რომ სომხეთის ამერიკის მფარველობაში შესვლა საქართველოსაც გარკვეულად წაადგებოდა. ეს

მოლოდინი ამაო გამოდგა, რადგან ვილსონის გეგმა თვით აშშ-ს სენატმა არ გაიზიარა და საბოლოოდ უარყო.

1920 წლის დამდეგს, როცა რუსეთის შიდა დაპირისპირებაში საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობა აშკარა გახდა, მოკავშირე სახელმწიფოებმა საჭიროდ მიიჩნიეს, ჩაეკეტათ ბოლშევიზმი საკუთრივ რუსეთის ფარგლებში და განაპირა ქვეყნები დაეცვათ მისი შეღწევისაგან. არსებითად ამ მოსაზრებით იყო განპირობებული ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობების გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტოდ აღიარების შესახებ 1920 წლის 11 იანვარს. მოკავშირეთა ამ გადაწყვეტილებას იმავე წლის თებერვალში იაპონია, ხოლო აგვისტოში ბელგია შეუერთდა. უფრო ადრე, 1919 წლის 15 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა არგენტინის ხელისუფლებამ.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების ძალით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ცნო რსფსრ-მ. რუსეთის ამ ნაბიჯმა გაზარდა საერთაშორისო ნდობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისადმი. უცხოეთის არაერთი ქვეყანა საქართველოს სუვერენიტეტის იურიდიულად აღიარების გზას დაადგა.

ერთადერთი დიდი სახელმწიფო, რომელიც ამის შემდეგაც თავს იკავებდა, ეცნო საქართველოს სახელმწიფოებრიობა, იყო ამერიკის შეერთებული შტატები. 1920 წლის 10 აგვისტოს გამოქვეყნდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის პასუხი იტალიის მთავრობის შეკითხვაზე, თუ როგორ აფასებს ამერიკის ხელისუფლება რუსეთ-პოლონეთის გამწვავებულ ურთიერთობას. კოლბის ნოტა პოლონეთის გარდა ეხებოდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ფარგლებში წარმოქმნილ სხვა პოლიტიკურ ერთეულებს, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსაც და აცხადებდა: აშშ არ იწონებს პარიზის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას ე. წ. რესპუბლიკების – საქართველოსა და აზერბაიჯანის ცნობის შესახებ. ამასთან, იზიარებდა რა რუსეთის მთლიანობის იდეას, აშშ-ის ადმინისტრაცია საერთოდ ეჭვქვეშ აყენებდა პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს ლტოლვის კანონიერებასაც და ცნობდა მხოლოდ ფინეთის, პოლონეთისა და სომხეთის თავისუფლებას.

აშშ-ის ამგვარი პოზიცია აბრკოლებდა ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარებას, მაგრამ დაუძლეველ წინააღმდეგობას აღარ წარმოადგენდა. პრეზიდენტი ვილსონი მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოზე ძველებურად ველარ ზემოქმედებდა, რადგან მის მთავრობას რწმუნების ვადა ეწურებოდა.

საქართველოს ხელისუფლებას არ შეუნელებია მუშაობა ქვეყნის სუვერენიტეტის განსამტკიცებლად შინ თუ გარეთ. 1920 წლის შემოდგომაზე ევროპაში გაემგზავრა საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი. იგი რომსა და პარიზში შეხვდა იტალიისა და საფრანგეთის მთავრობათა

მეთაურებს, ლონდონში საუბარი ჰქონდა ბრიტანელ კოლეგასთან და სხვ. ვიზიტი წარმატებული გამოდგა. მოკავშირე სახელმწიფოები საქართველოს თანადგომას აღუთქვამდნენ.

ყველა ამ პოლიტიკურ და დიპლომატიურ ბრძოლაში ჩაბმული იყო და გამორჩეული როლი ჰქონდა აკაკი ჩხენკელს.

აკაკი ჩხენკელი — საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი

1919 წლის მარტში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. სულ არჩეული იქნა 130 დეპუტატი.

პოლიტიკური თუ კლიმატური ვითარების გამო, არჩევნები ვერ ჩატარდა სოხუმის ოლქში, ახლციხე-ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში, ზემო სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში. იქ ეს პროცესი მოგვიანებით შედგა.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა შეეძლო 20 წლის ასაკის საქართველოს ყველა მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, ქონებრივი ცენზისა. არჩევნები საერთო პროპორციული სისტემით გაიმართა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ყველა პარტიამ, გარდა ბოლშევიკებისა. დამფუძნებელ კრებაში, სოციალ-დემოკრატებმა ხმის უმრავლესობა მოიპოვეს. მათ გარდა, კიდევ სამმა პარტიამ მოიპოვა მანდატები: სოციალისტ-ფედერალისტებმა — 8, ეროვნულ-დემოკრატებმა — 8 და სოციალისტ-რევოლუციონერებმა — 5. პარლამენტის დეპუტატად წარდგენილი 26 ქალი-კანდიდატიდან დეპუტატი გახდა 5 ქალი: ქრისტინე შარაშიძე (1887-1973), ელეონორა ტერ-პერგასოვა-მახვილაძე (1875-?), ანა (ოლღა) სოლოღაშვილი (1882-1937), ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე (1885-1937), მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879-1967). პარლამენტის თავმჯდომარე გახდა კარლო ჩხეიძე, რომელსაც ჰყავდა ორი მოადგილე: ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან) და სვიმონ მდივანი (სოციალისტ-ფედერალისტებიდან). ეს იყო პირველი ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები საქართველოში.

დამფუძნებელ კრებაში დეპუტატი გახდა აკაკი ჩხენკელი. იგი კრების დეპუტატად აირჩიეს თავისი პარტიიდან, თუმცა, ძირითადად საზღვარგარეთ უწევდა მუშაობა და აქტიურად ვერ მონაწილეობდა ქართული პარლამენტის მუშაობაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება საგარეო საქმეების მოგვარების პრობლემას თავისი კომისიის საშუალებით ცდილობდა. 1919 წელი განსაკუთრებით დაძაბული იყო ამ მიმართულებით. მთავრობა ცდილობდა როგორც დენიკინის ძალებთან და ბოლშევიკებთან საერთო ენის გამონახვას, ასევე ევროპისა და ამერიკის ჩართვას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების საქმეში. აკაკი ჩხენკელის პირად წერილებში საუბარია ამერიკაში გასაგზავნი პირების შერჩევაზე, იმ დიდ მნიშვნელობაზე, რაც ამერიკის თანადგომას შეეძლებოდა მოეტანა

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებაში.

საზღვარგარეთ მყოფი აკაკი ჩხენკელი, პატარა, უცნობი ქვეყნის უცნობი დიპლომატი, ყველა ზომას მიმართავდა საქართველოსთვის სტაბილურად განვითარების პირობების შესაქმნელად, ის ყველასთან საუბრობდა, საუბრობდა იმ თემებზეც, რომელიც არაპოპულარობას მოუტანდა საკუთარ ხალხში, მაგრამ მან იცოდა იმაზე მეტი, რაც მისმა სხვა კოლეგებმა იცოდნენ, ამიტომ დგამდა გაბედულ ნაბიჯებს. საქართველოს ცნობის საკითხი ბევრად იყო დამოკიდებული იმ დემოკრატიულ რეფორმების გატარებაზე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობდა, ადამიანის უფლებების დაცვაზე, ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მოწესრიგებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩხენკელის ურთიერთობა საზღვარგარეთის სომხურ წრეებთან, ასევე, დამოუკიდებელი სომხეთის დელეგაციასთან. თუ საქართველოში სომხეთის მიერ 1918 წლის დეკემბერში გაჩაღებული ომის გამო ნამდვილი ანტისომხური განწყობილება სუფევდა, ჩხენკელი ცდილობდა საკუთარი სიმპათია-ანტიპათია დაევიწყებინა და ნამდვილი დიპლომატის თვალით შეეხედა სომხური საკითხისათვის. მისი ასეთი ნაბიჯები ხშირად გაუგებარი რჩებოდა მისი მთავრობის ზოგიერთი წევრისთვისაც კი, რომელთა ემოციები არცთუ უსაფუძვლოდ იყო გამძაფრებული.

დამფუძებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძე 1919 წლის 18 ივნისს პარიზში კარლო ჩხეიძესთან მიწერილ ვრცელ წერილში დაწვრილებით აღწერდა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის მიერ დამოუკიდებლობის აქტის ერთხმად დადასტურების გამო გამოწვეულ საერთო-სახალხო ზეიმსა და აღტაცებას. იქვე იმ პრობლემებსაც ახმიანებდა, რომელსაც, მისი აზრით, მოღალატე სომხები უქმნიდნენ დამოუკიდებელ ქვეყანას. „ეხლა, 26 მაისის შემდეგ, თვით მტერიც იძულებული შეიქნა ეთქვა, რომ დამოუკიდებლობის საქმის გაძღოლა და დამკვიდრება თვით ხალხს, მთელს ერს აუღია ხელში და არც ისე ადვილი საქმეა მის წინააღმდეგ ბრძოლაო. მართალი გითხრა, ბევრი ჩვენგანისთვის პირდაპირ მოულოდნელი იყო ყველაფერი ის, რაც თვალით ვნახეთ, ყურით მოვისმინეთ და განვიცადეთ 26 მაისს თბილისში დამოუკიდებლობის წლის თავზე. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ზეიმი, ბუნებრივი, სულით და გულით აღმონახეთქი გრძნობა სიხარულისა და სადღესასწაულო სულიერ განწყობილებისა ჩვენ დედა ქალაქს არასოდეს უნახავს, უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში მაინც. დღესასწაულის სულისჩამდგმელი, რა თქმა უნდა, ჩვენი დემოკრატია იყო მუშების მეთაურობით. არანაკლები ამბით გადაიხადა 26 მაისის დღე პროვინციამ. ეს ორი ეპიზოდი — 12 მარტი და 26 მაისია, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავი ამ დროის განმავლობაში, რაც ჩვენი დელეგაცია უცხოეთში იმყოფება"...

„უმთავრესი და დაუძინებელი მტერი საქართველოს დამოუკიდებლობისა, ეს ღმერთისგანაც და კაცისგანაც დაწყევლილი დაშნაკცუთუნია, რომელმაც მოსწამლა ყველა და ყველაფერი საქართველოსა და მისი მეს-

ვეურების ლანძღვა-თრევით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველაფერი, რაც ცუდია ჩვენს საგარეო მდგომარეობაში, ეს ამ პარტიის ბრალია. ამ პარტიის მიერ მოსყიდული კაცები ყველა სჯულისა, ერისა და სახელმწიფოსი, ამ პარტიის აუარებელი ფულია, რომ მხოლოდ ერთ რამეზე აქვთ გაჩაღებული მუშაობა, — ჩასწიხლონ და გააბიაბრუონ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, საქართველოს ხალხის თვითგამორკვევისათვის მუშაობა და თავდადება, სახელი გაუტეხონ ყველაფერს, რაც დემოკრატიული საქართველოსთვის წმინდაა და საუკუნოთ დაგვანგრიონ. თვით შავი საფრთხე, ჩრდილოეთიდან რომ მოგვანვა დენიკინის სახით, ისიც კი არაა ჩვენთვის იმდენათ საშიში და მომაკვდინებელი, რამდენადაც ამ ხალხის მოქმედება. და თვით დენიკინი, განა მაგათ არ ეპყრობა მორალურად და ფიზიკურადაც? მარტო სოჭის ყრილობაზე დენიკინის მოხალისეებში სომეხი ხუთი ათასამდე იბრძვის ჩვენს წინააღნდეგ და ესენი ყველა დაშნაკელების მაუზერისტები არიან. ჩრდილოეთ კავკასიის დროებით დაცემის შემდეგ აუარებელი სომხის ახლგაზრდობა მიდის უფრო ხშირათ ინგლისელი ჯარისკაცის ფორმაში გადაცმული დენიკინის ჯარში ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისათვის, და რომ დენიკინისა და დაშნაკცაკანების მთავრობების პოლიტიკა და საქმიანობა ჩვენს წინააღმდეგ ერთი და იგივეა, ეს ნათლად დაინახა ჩვენმა დემოკრატიამ იქიდან, რომ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენთან და ადერბეიჯანთან ერთად გამოსვლაზე მათ უარი განაცხადეს და უკეთეს შემთხვევაში ნეიტრალიტეტს დავიცავთო — თქვეს. ამას დასძინე ისიც, რომ ყველაფერი, რაც ევროპის და ამერიკის პრესაში ჩვენს წინააღმდეგ იწერება, მეტადრე ინგლისურ გაზეთებში, ეს, თამამად შეიძლება ითქვას, ამ პარტიის აგენტების ნაკარნახევია და მისი ფულის ამუშავების შედეგი...“[1]

ამ ვრცელ წერილში ლომთათიძე გულისტკივილს გამოთქვამს აკაკი ჩხენკელის მიერ ევროპაში თითქოსდა სომხებთან გაფორმებული ხელშეკრულების გამო პლებისციტის შესახებ. ასეთი ხელშეკრულება ჩხენკელს არ დაუდევს, თუმცა ის ესაუბრებოდა სომეხთა წარმომადგენლებს სადავო საზღვრების შესახებ, რომელსაც სპეციალურად შედგენილი კომისია დაადგენდა. იმჯერად მთავარი ევროპის აღიარება იყო, საქართველოს წარდგენილი ჰქონდა თავისი მოთხოვნები საზღვრების საკითხშიც, მისი შეცვლის შესახებ არა ეს ორი ქვეყანა, არამედ უფრო ფართო კომისია იმსჯელებდა. პროგრამა მაქსიმუმი იყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისგან საქართველოს დამოუკიდებლად ცნობისა და რუსული აგრესიის აცილების საკითხი. იმ წერილებს კი, რაზედაც ლომთათიძე საუბრობდა, ჩხენკელი უფრო ზედმიწევნით იცნობდა და სწორედ ბრძოლის ეს ფორმაც ჩააგონებდა გაცილებით დახვეწილი ურთიერთობის ფორმების მოძებნას, ვიდრე ლანძღვა-გინება იყო.

დიპლომატია, საუბარი მოყვარესა და მტერთანაც აუცილებელი იყო. 1919 წლის 20 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დამფუძნებელ

[1] სცსსა, ფონდი 2115, აღნერა 1, საქმე 113, ფურც. 2-3.

კრებას წარუდგინა დეკრეტი 3 მილიონი მანეთის გამოყოფაზე ამერიკასა და ყუბანის ოლქში გასაგზავნი დელეგაციების ხარჯების გასაწევად.[1]

დამფუძნებელ კრებას მოდიოდა მტერთან ბრძოლისთვის მზადყოფნის გამომხატველი დეპეშები. დეპუტატები დადიოდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში და კითხულობდნენ ლექციებს ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო.

აკაკი ჩხენკელი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში მიმდინარე სამშვიდობო მოვლენებში. 1920 წლის 10 ივლისს, მისი ხელმძღვანელობით კომისიამ ვ. კალაძისა და სანაპირო ჯარების უფროსის — გენერალ ახმეტელაშვილის შემადგენლობით დაათვალიერა ხრამის ხიდი, აზერბაიჯანის საზღვარზე. აქ იდგა 40 კაცისგან შემდგარი რაზმი, რომელიც იცავდა საზღვარს. მათ იქით მხარეს იდგნენ ბოლშევიკები, რომლებიც ხშირად ცდილობდნენ მათთან დაკავშირებას, ჩხენკელმა ეს აუკრძალა ქართველ მებრძოლებს, საჭიროდ ჩათვალა მათთვის გადახურული სადგომის აშენება, რათა სიცხესა თუ ყინვაში ჯარისკაცები დაცულნი ყოფილიყვნენ. სანაპირო რაზმი შევსებული იყო საყარაულო ათასეულიდან, იყვნენ მობილიზაციით განვეულნიც. ჯარისკაცები იყვნენ ცუდად ჩაცმულები, არ ჰქონდათ გამოსაცვლელი ტანსაცმელი, 3 თვის მანძილზე არ მიულიათ საპონი, საჭმელი კარგად ჰქონდათ. ამ შემოწმების ოქმით[2] ირკვევა, რომ ცხოვრობდნენ კარვებში, 8 კაცი ერთად, პატარა მიწურში. კომისიამ საჭიროდ მიიჩნია აქ ერთი დიდი შენობის აგება ჯარისკაცებისათვის. ხშირად ხდებოდნენ ავად ციებით, რაიონში სულ ერთი ექიმი იყო, რომელიც ყველას ვერ წვდებოდა. რაზმს არ ჰყავდა ცხენები, რამდენიმე ცხენი სანოვაგის მოსატანადაც არ ჰყოფნიდათ. არ იყო ტელეფონი. ვერ უკავშირდებიან ორი ვერსით დაშორებულ მეორე რაზმს. ის სოფელ მულანლოში იყო. იქ მისვლამდე გაიარეს ხრამის ხიდი, შეხვდნენ ბოლშევიკებს, რომლებიც ხრამის სადარაჯოზე იდგნენ. ბოლშევიკები არ ასრულებდნენ საზავო პირობებს (ალბათ 7 მაისის ხელშეკრულებას გულისხმობს, დ.ჭ.), მათ ჯარი უნდა გაეყვანათ ნეიტრალური ზონიდან, მაგრამ მათი 80-კაციანი რაზმი იდგა სოფლ შიხილიში, ხრამის ხიდთან ახლოს. ორივე რაზმს მიესალმა აკაკი ჩხენკელი და უამბო ბათუმში საქართველოს ჯარის შესვლაზე. ჯარისკაცები უკმაყოფილო იყვნენ, რომ მათ აქ მოსვლამდე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ჩამოართვეს, ადგილზე მიიღებთო, აქ კი უარი უთხრეს - საწყობი არ გვაქვსო. ჯარისკაცებს აინტერესებდათ, ეხმარებოდა თუ არა ხელისუფლება მათ ოჯახებს. კომისიამ დაათვალიერა სასაზღვრო თხრილები და ნეიტრალური ზონა. ადგილობრივებმა უამბეს, რომ აზერბაიჯანში ბოლშევიკები პურს აგროვებდნენ, მოსახლეობას უტოვებდნენ სულზე ექვს გირვანქას თვეში, შესაძლო იყო ამ ტერიტორიიდანაც გაეტანათ კონტრაბანდულად პური, ამისთვის საჭრო იყო სასაზღვრო ჯარის რაოდენობის გაზრდა, სომხეთის საზღვრიდან მტკვრამდე მხოლოდ 180 ჯარისკაცი გვყავს, რაც ვერ დაიცავს საზღვარსო, — თქვა ჩხენკელმა. აქ ბანდების

[1] სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 238, ფ.4;
[2] სცსსა, ფონდი 1833, საქმე 1080, აღწერა 1.ფ.1-2.

წინააღმდეგ მზად არ ვართ, საჭიროა ცხენები, პროპაგანდისტის გამოგზავნა, რომ ბოლშევიკებმა გავლენა ვერ იქონიონ ჩვენს ჯარებზეო, როგორც ჩანს, ისინი ხშირად ესაუბრებიან მათო. გაფუჭებულია გზა და ხიდებიო. ნახეს გიურ-არხი, ნისქვილი, სალოღლში მუშები, რომლებიც თხრილების გასაკეთებლად იყვნენ დაქირავებულნი.

დოკუმენტიდან ჩანს ყველა ის პრობლემა, რომელმაც თებერვლის ომში გამოიწვია პროვოკაციები და ქართულ ჯარს გაუძნელა ბრძოლა. ეს იყო ფაქტიურად 1921 წლის 11 თებერვლის პრელუდია. მაშინ რომ დაეწყოთ საზღვრების გამაგრება და სასაზღვრო ჯარების სათანადო მობილიზება, აღარ იქნებოდა ის, რაც შემდეგ მოხდა. არადა, ეს ყველაფერი უკვე ერთი წლის უკან ჩანდა. აი, მაშინდელი კომისიის შეუსრულებელი დადგენილება.[1]

1920 წლის 2 მაისის ღამეს თავდასხმა მოხდა სამხედრო სკოლაზე, რომლის დირექტორი იყო გენერალი გიორგი კვინიტაძე. თავდმსხმელი ბოლშევიკები მოიგერიეს, შეიპყრეს და დაპატიმრეს.[2]

იმავდროულად პრეზიდიუმი მადლობას უცხადებდა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, მთავარსარდლ გენერალ კვინიტაძეს განეული თავდადებული ბრძოლისა და 2 მაისს წითელი ხიდიდან გადმოსული აზერბაიჯანის დამპყრობი მე-11 წითელი არმიის სასტიკი დამარცხებისა და უკუქცევისათვის.[3]

დამფუძნებელმა კრებამ, რომლის წევრი იყო აკაკი ჩხენკელი, მონოდებით მიმართა ქართველ ხალხს, დაეცვა სამშობლო და კარგად გაეაზრებინა შექმნილი სიტუაცია.[4]

1920 წლის 14-30 სექტემბერს საქართველოს ესტუმრა მთავრობის მიერ მოწვეული სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაცია. დელეგაცია შემდეგი წევრებისგან შედგებოდა: პიერ რენოდელი, ადრიენ მარკე, ა. ენგელსი (საფრანგეთი), რამზეი მაკდონალდი, თომას შოუ, ქ-ნი სნოუდენი (დიდი ბრიტანეთი), ემილ ვანდერველდი, კამილ ჰიუსმანი და ლუი დე ბრუკერი (ბელგია), კარლ და ლუიზა კაუცკები (გერმანია). სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს ესტუმრა, გაეცნო მთავრობის წევრებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიას შეხვდა, შეისწავლა სინდიკატებისა და აგრარული კოოპერატივების, მუნიციპალური სტრუქტურების მუშაობა. სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას სურდა ევროპის ქვეყნებს მათი საშუალებით გაეგოთ ის რეალური ვითარება, რაც საქართველოში იყო, მისი განსხვავება რუსული აგრესიული სოციალიზმისაგან. ქართველ დიპლომატებს, უპირველესად აკაკი ჩხენკელს, მათ შემდეგში ბევრჯერ გაუწიეს დახმარება თავიანთ ქვეყნებთან კავშირების დამყარებაში, საერთაშორისო პრობლემების მოგვარებაში.

კარლ და ლუიზა კაუცკები საქართველოში 1920 წლის სექტემბრი-

[1] სცსსა, ფონდი 1833, აღ. 1, საქმე 1080, ფ. 1-2.
[2] სცსსა. ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1135, ფ. 13.
[3] სცსსა. ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1135, ფ. 15.
[4] სცსსა. ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1135, ფ. 17.

დან 1921 წლის იანვრამდე დარჩნენ. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდში. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ კარლ კაუცკიმ დაწერა წიგნი — „საქართველო, გლეხური სოციალისტური რესპუბლიკა".

უამრავი პრობლემა, საგარეო თუ საშინაო, უკავშირდებოდა ჩხენკელის პიროვნებას. მის სახელზე დამფუძნებელ კრებაში უამრავი ადამიანის წერილი მოდიოდა, რომლებიც დახმარებას თხოვდნენ და რჩევას ეკითხებოდნენ. მის არქივში ბევრი ამგვარი წერილია დაცული. ამის მაგალითია ბათუმიდან გამოგზავნილი ეს წერილი:

„რესპუბლიკის ნავსადგურების მთავარ სამმართველოში მოსამსახურის გენერალ ალექსანდრე ლიონიძის თხოვნა.

როგორც ხმები დადის, ჩემი სიძე (ჩემი ერთადერთი ქალის ალექსანდრას ქმარი) გენერალი დმიტრიევი დახვრეტილია ამა წლის მაისში ქალაქ ბაქოში, სადაც ქმართან ერთად ცხოვრობდა თვითონ ჩემი ქალიც თავისი შვიდი წლის ვაჟით ევგენით. ეს ნახევარი წელიწადი აღარავითარი ცნობები აღარ მაქვს, ცოცხალი არიან თუ არა, ჩემი ქალი ალექსანდრა დმიტრიევისა და მისი პატარა ვაჟი ევგენი.

მუდმივი მწუხარება და ჯავრი ერთადერთი ღვიძლი არსების ამგვარად უნიშნოდ დაკარგვის გამო სამოდა ხუთი წლის მოხუცს დღე და ღამე მოსვენებას არ მაძლევს, რის გამო სრულიად საღი ადამიანი დაავადვმყოფდი გულის ტკივილით და თავის ბრუებით.

ყოველ მხრივ ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი გევედრები ძვირფასი სამშობლოს მინისტრს აღმომიჩინოს შემდეგი დახმარება: 1) გაუგზავნოთ და ჩააბაროთ ჩემს ქალს ამასთან დართული წერილი. 2) ჩემი წერილის პასუხად, რომელიც უნდა შემოვდესსაქარველოს დიპლომატიურ მისიაში, ბაქოში, გამომიგზავნეთ მე ბათუმში ნავსადგურების მთავარ სამმართველოში. 3) აღმოუჩინოთ დახმარება ჩემს ქალს, დაუბრკოლებლივ დაბრუნდეს ჩემთან (ბათუმშიანდა ქობულეთში) თავის ვაჟით და მოხუცებული ძიძით. ამასთან დავსძენ, რომ ამ ორი თვის განმავლობაში გაგზავნილი მაქვს უკვე რამდენიმე წერილი და ორი ათასი მანეთი სხვადასხვა პირების ხელით, მაგრამ არავითარი პასუხი არ მომსვლია, რაც მე დიდად მაღონებს და სასოწარკვეთილებაში მაგდებს. ამ თხოვნს სამინისტროში ჩაბარებას ვანდობ ნავსადგურთა უფროსს ინჟინერ ი. ქ. მამაცაშვილს.

ჩემი ქალის ადრესი ბაქოში: კოლუბიაკინის ქუჩა, 5, ბინა ხუროთმოძღვრისა სკიბინსკისა.

ალექსანდრე ლიონიძე

16 ოქტომბერი, 1920 წ.

ქ. ბათუმი."[1]

ყველა ამგვარ წერილზე ის აუცილებლად იღებდა სამთავრობო ზომებს.

1919-1920 დაძაბული წლები დიდ ენერგიას ითხოვდა მინისტრის, დეპუტატის, საზოგადო მოღვაწის — აკაკი ჩხენკელისაგან, 1920 წლის ბოლოს

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 21, ფურცელი 10.

ევროპაში ელჩად გაამწესეს. ის დროებით ჩამოცილდა სადეპუტატო საქმიანობას. სწორედ იმ დროს, როდესაც ის ამ ახალი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო. 1921 წლის მძიმე იანვარ-თებერვალში ის სამშობლოში არ იყო.

აკაკი ჩხენკელის დიპლომატიური ნაბიჯები საბჭოთა რუსეთის თავდასხმის პირველ თვეებში

საბჭოთა რუსეთის მიერ დაწყებული ომი საქართველოს მთავრობისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ამის შესახებ მას წინასწარ უტყუარი ინფორმაციები გააჩნდა. ევროპაში მყოფი ჩხენკელი, ასევე დიპლომატები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ცდილობდნენ ევროპისგან დახმარების სახით იარაღისა და ფულის მიღებას. მიუხედავად ინფორმაციის ქონისა, ქართველ პოლიტიკოსთა შორის გარკვეულობა არ იყო 11 თებერვალს დაწყებული სამხედრო კონფლიქტის შესახებ. 12 თებერვალს შედგენილ დოკუმენტში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი სომხეთთან შექმნილ ვითარებას ასე აღწერდა: „სომხეთმა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე მოგვთხოვა ბორჩალოს მაზრიდან ჩვენი ჯარების გამოყვანა. ჩვენ ამაზე პირდაპირ უარი არ გვითქვამს და წინადადება მივეცით ამის თაობაზედ მოლაპარაკება გაგვემართა. სომხეთის მთავრობა დაგვთანხმდა და მოველოდით მის წარმომადგენლებს მომავალ ქართულ-სომხურ კონფერენციაზე. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ბორჩალოს მაზრის საკითხს მშვიდობიანად მოვაგვარებდით, მაგრამ 11 თებერვალს ღამე სომხეთში მყოფი სამხედრო ნაწილები ბორჩალოს მაზრაში ბეზობდალით სოფელ შაგალისთან და შინიხთან რამდენიმე ალაგას მოულოდნელად თავს დაესხნენ ჩვენს სანაპირო რაზმებს. ამასთან ერთად ხსენებული მაზრის სომხურ და რუსულ სოფლებში მოხდა ჩვენ წინააღმდეგ აჯანყება. ჩვენი ცნობით ადგილობრივი თათრები ჩვენ მხარს გვიჭერენ. მთავრობამ მიიღო ყველა საჭირო ზომები...“

მინისტრის მოადგილე ფიქრობდა, რომ სომხებმა ეს აჯანყება მოაწყვეს განგებ, რადგან ძველ მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ქართული ჯარის იქ ყოფნის ვადა 13 თებერვალს იწურებოდა. არ ვიცით, რა პოზიციას დაიჭერს ოფიციალური რუსეთი, ან ანგორაო, — ამბობდა მინისტრის მოადგილე.[1]

ეს მაშინ, როდესაც მთელი ეს ავანტიურა რუსეთის ხელისუფლებისგან მოდიოდა, თურქეთის მთავრობა კი (სულთნის ოსმალეთიც და ანგორის მთავრობაც) ომში ჩარევასა და კავკასიაში საკუთარი ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფლებას გეგმავდა.

აქედან ჩანს, რომ არათუ სამხედრო თვალსაზრისით, ინფორმაციული და იდეოლოგიური მხრითაც დაწყებულ ომში საქართველო სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ამავე დროს, აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 484, ფურც. 1-2.

გაბრიელ ხუნდაძე, ჩვენი წარმომადგენელი ბაქოში, ხოლო რუსეთში საქართველოს პირველმა დიპლომატმა გერასიმე მახარაძემ უკრაინასთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება გადმოუგზავნა საკუთარ მთავრობას. თავად მახარაძემ დაწყებული კონფლიქტის გამო, ლენინთან შეხვედრა მოახერხა (13 თებერვალს) და მისგან მიიღო დაპირება რუსეთის ჩაურევლობის შესახებ ამ კონფლიქტში (ამის შემდეგ მახარაძე კრემლში ისე გამოკეტეს, რომ მან საქართველოს ფაქტობრივი დაპყრობაც კი ვერ გაიგო). საქართველოს ხელისუფლებას ატყუებდნენ და ისიც იტყუებდა თავს.

პარიზში მყოფმა ჩხენკელმა 19 მარტს საკუთარი მთავრობიდან ოფიციალური ცნობა მიიღო შექმნილ ვითარებაზე. მთავრობა აცნობებდა საკუთარ ელჩსა და დპლომატებს, რომ „შექმნილი მდგომარეობიდან თავის დახსნა მხოლოდ ანგორის რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლით შეიძლებოდა". ეს უნდა გაკეთებულიყო საფრანგეთის მთავრობის ჩარევით. ჩხენკელმა ამ საკითხზე პატარა თათბირი გამართა ზურაბ ავალიშვილსა და მიხეილ სუმბათაშვილთან. უნდა მომზადებულიყვნენ მეორე დღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში წარსადგენად და საჭირო სიტყვის სათქმელად. ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ოსმალეთს უარი უნდა ეთქვა საქართველოს ტერიტორიაზე და უნდა მიეღო 1914 წლის საზღვრები. მას უნდა აკრძალვოდა კავკასიაზე გაბატონების სურვილი. საუბარი იყო ასევე კავკასიის კონფედერაციაზე, რომელიც ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის დე-იურედ ცნობის შემდეგ შეიქმნებოდა, ერთა ლიგის საარბიტრაჟო კომისია მოახდენდა კავკსიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების გამიჯვნას. მანვე თქვა, რომ სომხებს ყარსი დარჩებოდათ, ჩვენ ტყუილად გვემდურიან ისინი, მათ მხარეს ვიჭერდთ ბერლინშიცო და დაიმონმა ზურაბ ავალიშვილი. უნდა დაგვეხმაროს ინგლისიც და აიძულონ „სათათრეთი" (ანუ თურქეთი), კავკასიას თავი დაანებოს, დატოვოს ბათუმი და მისი ოლქის დაკავებული ტერიტორიები, ეს უნდა მოვთხოვოთ ხვალ საგარეო სამინისტროსო.[1]

პარიზსა და ლონდონში მყოფ ჩხენკელს საქართველოდან კარგი ცნობები არ მიდიოდა, მაგრამ ის მთელი დამოუკიდებლობის მანძილზე იმდენად იყო დაძაბულ ვითარებას შეჩვეული, რომ ამ ცნობებს კატასტროფად არ აღიქვამდა. ამას მოწმობს 25. II-ის მისი წერილიც ევგენი გეგეჭკორისადმი, რომელიც იმ დღეებში (22-23. II.1921) სტამბულში იმყოფებოდა.

„პარიზი, 25.II. 21

მხოლოდ გუშინ მოვათავე აქაური საქმეები და ხვალ დილით მივდივარ ლონდონში. იყო ორი აუცილებელი საქმე: იარაღის გამოგზავნა დაუყონებლივ და საბოლოო აკრედიტაცია ჩემი. გუშინწინ კიდევ, სანამ შენ სტამბოლიდან გახვიდოდი, მე გამოგიგზავნე საჩქარო დეპეშა იარაღის შესახებ. აქვეა მასალა ამის შესახებ, საიდანაც გაიგებ, რომ გარეშე ჩვენი მოლაპარაკებისა მარგანეცზე იარაღის შეძენის შესახებ, აქაურმა მთავრობამ გაუშვა იარაღი სტამბოლიდან მთავრობის სახელზე სესხათ, სამი თვით.

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 484, ფურც.11.

პირობას შენ მიერ დაწყებული საქმისა დღეს-ხვალ შევკრავთ: იარაღის, ამუნიციის და ტანფეხსაცმელის შემოწმება უკვე დაწყებულია, ძალიან სამწუხაროა, რომ მიღების დროს გამოცდილი პირი (?) არ გვეყოლება. საჭიროა გამოიგზავნოს დაუყონებლივ. მილიერანთან გუშინ მოვათავე ვგზავნი მასალას როგორც ამაზე, ისე იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც მქონდა ბრიანთან და პერეტისთან.

ლონდონში დაგვიანებული არაა, ვინაიდან იქ ახლა შეუდგენ კავკასია-ოსმალეთის საზღვრებს. თავმჯდომარის დეპეშის მიღებისთანავე გავგზავნე დეპეშა-პროტესტი ანგორას მოქმედების წინააღმდეგ. თავი და თავი ისაა, რომ თითქოს მიღწეულია შეთანხმება ანგორასა და ანტანტას შორის, არის, მაშასადამე, ნიადაგი მუშაობისათვის. არ ვიცი, ინგლისი რას გვიპირებს, აქ თითქოს არ არიან კმაყოფილი, ვიზაც კი გამიძნელეს ავალიშვილისათვის, რომელსაც ვგზავნიდი სპეციალური მისიით, სანამ მე ჩავიდოდი. შეცდომა იყო, რომ იქ წარმომადგენლობა გაუქმებულია, აგრეთვე არ იყო განეული წინასწარი სამზადისი კონფერენციისათვის.

პარიზი დიდ ინტერესს იჩენს ჩვენი საქმეებისა, თუ ლონდონიც ამოუდგა მას, მაშინ შესაძლოა უფრო აქტიური დახმარება. მე ამ მხრივ მივიღებ ყოველ ზომას: ვილაპარაკებთ ერთათ და ცალ-ცალკე, მოვითხოვ მოსმენას, როცა კავკასიის საზღვრებს შეეხებიან, აგრეთვე იმასაც, რომ ანგორას პირობაში ჩაუწერონ ჩვენი ხელუხლებლობა.

ვწერ ამას და თან არ ვიცი, რა ამბავია მანდ. დეპეშები ბევრია სტამბოლიდან, ერთი მეორეზე უარესი, მე ვეყრდნობი მხოლოდ თავმჯდომარის დეპეშას 21 და 22 თებ. თარიღით, იყო აგრეთვე შენი დეპეშა სტამბოლიდან. ჯერ კიდევ არაა აქ ცხადი, მოსკოვი აშკარათ გვეომება თუ არა. დღეს სამინისტროში მიულიათ ცნობა იტალ. წყაროსი, თითქოს მთავრობა ქუთაისშია, თფილისში რევოლუც. კომიტეტი ... დავტოვეთ.

თავი და თავი ცნობებია ჩვენთვის.

საქ. წარმომადგ. საფრ. აკ. ჩხენკელი"[1]

ორი დღით ადრე, 23 თებერვალს, ჩხენკელი უფრო იმედიან წერილს წერდა საქართველოს წარმომადგენელს ბერლინში — ვლადიმერ ახმეტელაშვილს. „ომი მოვიგეთ, ვფიქრობ, და ბორჩალოს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება ჩვენდა სასარგებლოთ", — ირწმუნებოდა ჩხენკელი. ის აძლევდა ინსტრუქციას ქართველ დიპლომატს, რომ გერმანიის მთავრობისთვის რუსეთთან შუამდგომლობა ეთხოვა. **„მთელი შენი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, — წერდა იგი, — რომ ბერლინმა, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული, გავლენა მოახდინოს მოსკოვზე. ნუ გვერჩის. ეს მოლაპარაკება როგორც ბერლინში, ისე მოსკოვში, უნდა დარჩეს სრულიად საიდუმლოთ. თვით შენი ნაბიჯები საიდუმლოთ უნდა შეინახო, ამხანაგებსაც არ უნდა გაანდო. ჯერ უნდა შეიტყო, არსებობს თუ არა რამე ძაფი ბერლინსა და მოსკოვს შორის, სულ ერთია, ოფიციალური თუ არაოფიციალური, უნდა მიაგნო სათავეს, ვის უჭირავს ეს ძაფი და მერმე უნდა იმოქმედო. ჩვენთვის არაა სასარგებლო პარიზში ან სხვაგან იცოდენ, რომ ბერლინი**

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 484, ფურც. 7.

ცდილობს ჩვენთვის. უნდა დაუსურათხატო მანდ, რამდენად აუცილებელია და სასარგებლო გერმანიისათვის ჩვენი გზა, მას შემდეგ, რაც მესოპოტამიაში ფეხი აღმოაკვეთინეს. უნდა დააიმედო, რომ ბაქოსა და ერევნის განთავისუფლებაც დროის საკითხია. მაშასადამე, ბერლინს შეუძლია დაბეჯითებით ჩააგონოს მოსკოვს, ნუ მტრობს საქართველოს, რომელიც შესაძლოა კომერციული კარი გახდეს თვით ბაქოსთვის ევროპასთან.

ბოლშევიკების წარმომადგენლებთან კიდევ ცალკე იქონიე მსჯელობა. მომწერე ინფორმაცა."[1]

იმავე თარიღი (23. II, 1921) აქვს დასმული ვლადიმერ ახმეტელის საპასუხო წერილს ჩხენკელისადმი, საიდანაც ჩანს გერმანიის პოლიტიკურ წრეებში საქართველოს დამოუკიდებლობისადმი არსებული მხარდაჭერა. წერილი ჩხენკელმა 28 თებერვალს მიღო ლონდონში.

„აქ უკვე განმტკიცებულია ის აზრი, რომ ჩვენს წინააღმდეგ ომს აწარმოებს საბჭოთა რუსეთი", — წერდა ახმეტელი და ელჩს საკუთარ დიპლომატიურ ნაბიჯებზე ესაუბრებოდა.

„ოცდაორ თებერვალს, — წერდა ახმეტელი, — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ფორსტარდის" წევრებთან ერთად ვინახულე პრეზიდენტი ებერტი. ჩვენ მას მოვთხოვეთ, რომ იგი და გერმანიის მთავრობა დაუყონებლივ (რასაკვირველია საიდუმლო მიწერ-მოწერით) ჩარეულიყო საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ატეხილ ომის საქმეში და ამათ შესაფერი გავლენა მოეხდინათ მოსკოვზედ. ებერტი სრული თანაგრძნობით შეხვდა ამ საქმე და თავს იდო კაბინეტზე ემოქმედა. ჩვენ პრეზიდენტს სამი მუხლისგან შემდგარი მოთხოვნა ნავუყენეთ: 1) დაუყონებლივ იქნას გამოწვეული ბერლინში ბოლშევიკების წარმომადგენელი და მას წინადადება მიეცეს, რომ სასწრაფოთ აცნობოს მოსკოვის მთავრობას, რომ ომი შეაჩერონ; 2) ემცნოს რადიოთი მოსკოვში მყოფ გერმანიის წარმომადგენელს (ყავთ ასეთი წარმომადგენელი), რომ მან იქ იქონიოს გავლენა ლენინზე და ომი შეაწყვეტინოს; 3) ემცნოს აგრეთვე ულრიხ რაუშერს, რომ მან ყოველმხრით იმოქმედოს გერმანიის მთავრობის სახელით ომის შეჩერებისათვის.

25 თებერვალს შესდგა გერმანიის მთავრობის კაბინეტის სხდომა. კაბინეტს ებერტმა ჩვენი წინადადებები წაუყენა და უკანასკნელმაც ერთხმათ მიიღო."

ახმეტელს არწმუნებდნენ გერმანიაში მყოფი რუსი ემიგრანტებიც, რომ საქართველოს ამ კონფლიქტში საფრთხე არ ელოდა.[2]

ევროპაში მყოფ ჩხენკელს საქართველოში მომხდარ ამბებზე სხვებიც წერდნენ. კონსტანტინე საბახტარაშვილის წერილები მისთვის ალბათ მისწრება იყო იმ ინტერესის დასაკმაყოფილებლად, რაც მას ჰქონდა. ეს წერილები ბოლშევიკებისგან დაპყრობილი სამშობლოს ამბებს ატყობინებდა. საქართველო მთელი დამოუკიდებლობის წლებში იმდენად იყო შეჩვეული

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 484, ფურც.8.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 484, ფურც.15.

რუსი ბოლშევიკებისა თუ დენიკინელების თავდასხმებს, რომელსაც ბოლოს აუცილებლად იგერიებდნენ მამაცი ქართული ნაწილები, რომ ახლაც დროებითი ეგონათ ეს ბრძოლები. სამართლიანობის გამარჯებაში არც დაეჭვებულან, ჩხენკელიც, ალბათ, ჯერ კიდევ იმედიანად იყო.

16 მარტს, 1921 წელს სტამბოლიდან გაგზავნილი წერილით საბახტარაშვილი ატყობინებდა: „ძვირფასო აკაკი, მე ჩამოვედი კონსტანტინეპოლში 13 თებერვალს. ბათუმიდან გამოვედი 11 თებერვალს[1], მაშინ ჩვენი ჯარის ხაზი იყო შორაპანი-რიონი-ზუგდიდი. მას შემდეგ ცნობა არ მაქვს. ალბათ კიდევ დავიხევდით. თუმცა აპირებდნენ კიდევ რამდენიმე ადგილზე ბრძოლის მიცემას, თუკი აქამდე მივიდოდა საქმე. ვაპირებდით ციხისძირის პოზიციებზე, მაგრამ ამის წინააღმდეგი იყვნენ ქემალისტები, რომელთა ჯარი შემოვიდა ბათუმში 10 თებერვალს (?) საღამოს. შემოიყვანეს სულ ცოტა ჯარი თავდაპირველად. სურდათ ადილობრივი აჭარლების შეიარაღება და მათი ბაირაღით ჩოლოქის პირზე დაყენება. ქემალისტები სიტყვიერად გვპირდებოდნენ, რომ ბათუმის ოლქში დარჩება საქართველოს სუვერენობა, აგრეთვე ქართული ადმინისტრაცია, მხოლოდ მოითხოვდენ ქართული ჯარის გაყვანას ბათუმის ოლქიდან, რადგან ეს „cazus belli" იქნება ბოლშევიკებისთვისო. ჩვენთვის კი ეს მოთხოვნილება მიუღებელი იყო. რადგან ეს მოასწავებდა, უპირველეს ყოვლისა, ციხისძირის პოზიციებზე ბრძოლის მიცემაზე უარის თქმას. არ ვიცი, საქმე რით გათავდა ამ მხრივ.

საერთოდ, ქემალისტების სიტყვა სხვაა და საქმე სხვა.

დღეს მივიღე შენი დეპეშა ლიონიდან, რომელშიც მატყობინებ, რომ სამი ბეის სიტყვით ბათუმში ჩვენი უზენაესობა და მოხელენი რჩება. ეს მხოლოდ სიტყვაა, საქმით კი სხვას სჩადიან. უკანასკნელი ცნობით, ქემალისტებმა უკვე მოგვთხოვეს ბათუმის ოლქში რკინისგზის, ადმინისტრაციის და სასურსათო აპარატის გადაცემა. ამიტომ საჭიროა შენ ენერგიულად მოითხოვო ანტანტის ჩარევა ამ საკითხში და საქმის სასწრაფოდ გადაწყვეტა. ყველაზე უფრო ამ საკითხში საფრანგეთი და იტალია დაგვეხმარება. სათანადო დეპეშა მე შევალიესთან და გენერალ პელესთან შეთანხმებით გავუგზავნე საფრანგეთის მთავრობას. ბათუმის საკითხს ჩვენთვის ამჟამად უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ თუ მოგვეცა საშუალება ბათუმში დარჩენისა, ეს პირდაპირ ხსნა იქნება ჩვენთვის. ყოველი ცდა ჩვენი აქეთ უნდა იყოს მიმართული ამჟამად. შემდეგში სხვა უფრო დიდ საკითხებზე ვიზრუნებთ. ქემალისტებისათვის ჩვენ ხელი არაფერზე მოგვიწერია. მხოლოდ ჩვენ წინადადება მივეცით ბათუმის, ახალციხის და ახლქალაქის ოლქები მათ ჩვენ ჯარებთან ერთად დაეკავებიათ, სუვერენობა, ადმინისტრაცია და დროშა ჩვენი უნდა დარჩენილიყო. ესეთი ოდუს-ი უნდა ყოფილიყო დროებით, სანამ მთლად კავკასიის საკითხი არ გადაწყდებოდა. ანგორისა და საქართველოს მთავრობას უნდა ეზრუნა კავკასიის კონფედერაციის დაარსებისათვის, ამის პასუხად კი ქემალისტებმა პირდაპირ უპ-

[1] შენიშვნა: ეს მოვლენები ამ თარიღებში არ მომხდარა. ვფიქრობთ, წერილის ავტორი ძველ სტილს გულისხმობს, თუმცა საქართველოში ამ დროს ახალი სტილი მოქმედებდა!

ირობოდ დაიკავეს ბათუმის ოლქი. ახალქალაქის ოლქში ბოლშევიკებია. ახალციხეში კი ნახევრად ბოლშევიკები, ნახევრად ქემალისტები.

ჩემს დეპეშაზე საფრანგეთის მთავრობისგან მოველი პასუხს, თუ დღეს და ხვალ პასუხი არ მივიღე, მე და შევალიე შეიძლება დავბრუნდეთ ხვალ ბათუმში და შეიძლება ადგილობრივად მოვაგვაროთ საქმე. ამ მხრივ შევალიე თავის მთავრობისგან მოელის დირექტივებს.

როგორც დეპეშით გატყობინებდით, ჩვენი მთავრობა ბათუმშია და მოელის ბათუმის საკითხის გადაწყვეტას.

ჩვენი ჯარი თბილისთან გმირულად იბრძოდა, სამაგალითო ბრძოლები მისცა მტერს. შემდეგ, რასაკვირველია, დაიღალა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ბრძოლას. სულიერი განწყობილება, თავისთავად ცხადია, ცოტათი დაწეულია. ბრძოლა საბოლოოდ გათავებული არ არის. საჩქაროდ გწერ ამას, რადგან რამდენიმე წუთში ფოსტა გადის. უფრო ვრცლად შემდეგ. მოველი შენგან დეპეშებს.

შენი კოწია საბახტარაშვილი[1]

აქვე საინტერესოა 26 მარტს პოლონეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის — ვლადიმერ ბაქრაძის[2] მოხსენება აკაკი ჩხენკელისადმი ოსმალეთის ყოფილ სარდალ — ვეხიბ-ფაშასთან მისი მოლაპარაკების შესახებ.

16 მარტს, როდესაც საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ომი მიმდინარეობდა, ბერლინის წარმომადგენლობის მეთაურმა ვლ. ახმეტელმა თავისი ნაცნობი ვალტერ ბერნშტეინისაგნ მიიღო წინადადება, რომ მასთან სტუმრად მივიდოდა ვეხიბ-ფაშა, წვეოდა ისიც და ხელსაყრელი საუბარი გაემართა საქართველოს ირგვლივ მიმდინარე უმწვავეს პოლიტიკურ პროცესებზე. ახმატელმა მისი წასვლა რაღაც მოსაზრებით საჭიროდ არ ჩათვალა და მის ნაცვლად პოლონეთში საქართველოს წარმომადგენელი ვლ. ბაქრაძე გაუშვა. ბაქრაძემ ეს შეხვედრა დაწვრილებით აღუწერა ჩხენკელს. მოვიტანთ ნაწყვეტს მოხსენებითი ბარათიდან (ვეხიბ ფაშას და ბაქრაძეს ფრანგულად უსაუბრიათ, რაც იქ მყოფებს ვერ გაუგიათ): „დაიწყო მან იმით, რომ საქართველო ძლიერ უყვარს, რომ ის დიდ პატივს სცემს ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეებს, განსაკუთრებით დიდის ქებით მოიხსენია აკაკი ჩხენკელი: „მე მას კარგად ვიცნობ (გაიხსენა მასთან საუბარი), დიდი პატრიოტი, დიდი სახელმწიფოებრივი ნიჭის პატრონი, დიდი გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი მოღვაწე. დასამტიცებლათ სიყვარულისა საქართველოსადმი და პატვისცემისა აკ. ჩხენკელისადმი, მან გაიხსენა ის ბრძანება, რომელიც თთქოს მას გამოუცია, არ ნაეყვანათ ტყვედ ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები, ნაყვანილები კი სწრაფად გაენთავისუფლებინათ.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 98, ფურც. 1-2.

[2] ვლადიმერ ბაქრაძე პოლონეთის მისიაში მუშაობდა მრჩეველად, 1920 წლიდან. საარქივო დოკუმენტში მის მიერ აღწერილია ის ნაყოფიერი შრომა, რაც მან ერთი წლის მანძილზე გასწია. მისია იმ დროს გაუქმდა, როდესაც საქართველო დაიპყრეს ბ-მა და ის ვეღარ დაბრუნდა თბილისში, სადაც ოჯახი დარჩა. [სცსსა, 1864, აღწ. 2, საქმე 523, ფ.29].

თუმცა მე გადაწყვეტილი მქონდა ახმეტელაშვლთან მოლაპარაკების თანახმად, დავკმაყოფილებულიყავი მხოლოდ მსმენელის როლით, მაგრამ რადგანაც იგი უფრო წარსულზე ლაპარაკობდა და აწმყოს თითქმის გაურბოდა, მე მოვატრიალე ბაასი და დავაყენე საკითხი აწმყო და მომავალზე.

„რაც შეეხება ბათუმსა და ბათუმის ოლქს, — ღიმილით განაცხადა ვეხიბ-ფაშამ, — ეს საკითხი იმდენათ ნათელია, რომ ორი აზრი აქ დაუშვებელია და ლაპარაკიც კი ამაზე ზედმეტია: ბათუმი ჩვენ გვეკუთვნის ხელშეკრულების ძალით და მისი დაკავებით ჩვენ ვანხორციელებთ მხოლოდ ამ ხელშეკრულებას, რომელიც დაარღვია სამწუხაროდ ქართულმა მთავრობამ".

ეს იყო ნათქვამი ღიმილით, გახვეული კომპლიმენტებში საქართველოსა და მის მოღვაწეთა მიმართ, მაგრამ იმავე დროს ისეთი კატეგორიული კილოთი, სადაც ისმოდა დაუშვებლობა საწინააღმდეგო აზრისა.

საერთოთ მისი საუბრის აზრი იყო შემდეგი: საქართველომ, მიუხედავად მის მოღვაწეთა შორსმჭვრეტელობისა და გამჭრიახობისა, დაუშვა ზოგიერთი შეცდომები. მაგალითად: ჩვენ დაგვითმეს რკინისგზები, შემდეგ გადასცეს გერმანელებს. ჩხენკელს ვურჩიე — უომრათ ბათუმის დაცლა, არ ქნა. მე განვუცხადე ბატონ ჩხენკელს, რომ ჩემი წინადადება გამოწვეულია მეგობრული განწყობილებით საქართველოსადმი, რომ ბათუმის დაკავება ჩვენთვის არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს, ამის დასამტკიცებლათ, თუ ბათუმს ნებით არ დაცლით, მე დავიკავებ მას ისე, რომ ერთი ზარბაზანი არ გავარდება. ეს მართლაც ასე მოხდაო. ვეხიბ-ფაშამ ილაპარაკა კიდევ ღიმილით იმ „პატარა შეცდომებზე", რომლებიც ვითომდა დაუშვა საქართველოს მთავრობამ. ამ შეცდომების შედეგია, ვეხიბ-ფაშას აზრით, ის მდგომარეობა, რომელშიც ჩავარდა ეხლა საქართველო. ყოველ შემთხვევაში საქმის გამოსწორება კიდევ შეიძლება (მაშინ არ იყო მოსული ცნობა ბათუმის ჩვენ მიერ დატოვების). მე მივდივარ რამდენიმე დღის შემდეგ რომში, სადაც შევხვდები ჩვენს (ანგორის) დელეგაციას, ლონდონიდან ანგორაში მიმავალს. მე შემიძლია ნაგიყვანოთ თქვენ და შეგახვედროთ ჩვენს დელეგაციას, საქართველოსთვის, თქვა მან, არის ეხლა ერთადერთი გამოსავალი: თავის ნებით ხელი აიღოს ბათუმზე და ბათუმის ოლქზე და დაკმაყოფილდეს იმ ტერიტორიის ფარგლებით, რომელიც მას ეკუთვნის მის მიერ დადებულ ხელშეკრულების ძალით, მაშინ ჩვენ შორის მეგობრული კავშირი დამყარდება და ჩვენ დაგეხმარებით, თუ ჯერჯერობით აშკარათ არა, ფარულათ მაინც, ბოლშევიკებთან ბრძოლაში. ჩვენ ბოლშევიკები არა ვართ, ისინი მხოლოდ დროებითი მოკავშირენი არიან ჩვენი და ბოლომდის მათთან სიარული არ შედის, რა თქმა უნდა, ჩვენს გეგმაში..."[1]

ამგვარ უმძიმეს სიტყვიერ, სინფორმაციო და იდეოლოგიურ დაპირისპირებებს, უთანასწორო დიპლომატიურ და ნამდვილ ბრძოლებს უზარმაზარი ნებისყოფა, ნერვების სიმტკიცე და გაძლება უნდოდა. ეს ადამიანები, ვინ იცის რის ფასად უძლებდნენ და გადაჰქონდათ ეს ომი, ომი — სამშობლოს გადარჩენისთვის.

აკაკი ჩხენკელი უმძიმეს მდგომარეობაში იყო მის ერთგულ თანამებრ-

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 484, ფურც.51-52.

ძოლებთან ერთად, მან ხელისუფლება კი არა, სამშობლო დაკარგა, თბილისში დარჩა საკუთარი სახლ-კარი და ახლობელი ადამიანები. თანამებრძოლ კონსტანტინე გვარჯალაძისაგან ასეთ შინაარსის წერილი მიიღო, საიდანაც კარგად ჩანდა, **რა ხდებოდა თბილისში 1921 წელს...**

კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი პარიზში აკაკი ჩხენკელს

„ძმაო აკაკი!

ამ დღეებში აქ ჩამოვიდა ვიღაც ცხირტლაძე. ის თბილისიდგან მარტის შუა რიცხვებში წამოსულა. დგანებულა ჩვენი ბინის ქვეშ, სადაც მღვდლიევი იდგა. ჩვენს ბინაზე თებერვლის დამლევს მოსულა საცხოვრებლათ ფილიპე მახარაძე, ყოფილა იქ ორი დღე, მერმედ იქ მოსულა საცხოვრებლათ ვიღაც კომუნისტი, გვარი არ იცის. მე იქ დატოვებული მყავდა ერთი ნათესავი ქალი, ის მგონი გაუსტუმრებიათ. ზოგი ჩემი ბარგი მგონი ფილიპეს საღაც წაუღია. შენი ხიბაკიც თითქმის ყველა (გარდა ნოხებისა და ზოგი რამისა, რომელიც შენ წინ და საბედნიეროთ კოწიამ წაიღო) ჩვენ ბინაზე დარჩა. რა ბედი ეწია მათ, არ ვიცი. მე კი ყველაფერი იქ ჩავტოვე. ბაბულიას ერთი პიანინო ჰქონდა და ისიც წაუღიათ მგონი.

ის სახლი, სადაც ჩვენ ვიდექით და კაუცკი იდგა, უნდათ თურმე რომ რეკვიზიციით წაიღონ. სახლებს ბარგებით უშვებიან თურმე რეკვიზიციას. თუ მივიღე რამე ცნობები ჩვენი ბარგების შესახებ, შეგატყობინებთ.

შენი კ. გვარჯალაძე. 29. IV, სტამბოლი".[1]

მაშინ ვერცერთი ვერ წარმოიდგენდა იმას, რომ სამშობლოში ველარასოდეს ჩამოვიდოდნენ. ყველაფერი დროებითი ეგონათ და ბრძოლით გამოსასწორებელი. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა!..

აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობა ევროპის დიპლომატიურ სარბიელზე 1921-1923 წლებში

1923 წლის 30 აპრილს აკაკი ჩხენკელმა წარუდგინა მემუარი საქართველოს მთავრობას თავისი ორწლიანი დიპლომატიური მუშაობის შესახებ ევროპაში. მემუარს დართული ჰქონდა მოკლე მიმოხილვები ცალკეულ ქვეყნებთან ურთიერთობასა თუ სხვადასხვა თემაზე. მემუარში ის კონკრეტულად არ ეხებოდა მთავარ საკითხებს, მაგრამ ზოგადად დიპლომატიური მოღვაწეობის მთავარ მიმართულებებს იხილავდა[2].

მემუარიდან ჩანს ელჩის დიპლომატიური მოღვაწეობის ორგანიზაციული მოწყობა, მისი ეროვნული და პოლიტიკური მიზნები. საქართველოს ელჩობის მიზანი ასე იყო განსაზღვრული: „საქართველოს შელახული უფლებების აღდგენა, მისი განთავისუფლება რუსეთის უღლისაგან".

როგორც ვნახეთ, ჩხენკელი დიპლომატიურ მუშაობას ევროპაში ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის დროს ჩაუდგა სათავეში, როგორც საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი პარიზში. მასვე მიეცა რწმუნების ბარათები არა მარტო პარიზისათვის, არამედ ლონდონსა და რომისთვისაც. მასვე

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 523, ფ.22.

[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ.1.

ევალებოდა დიპლომატიური მუშაობის ხელმძღვანელობა ევროპის დანარჩენ ქვეყნებშიც.

ელჩი პარიზში ჩავიდა 1921 წლის 13 თებერვალს, როდესაც რუსეთის თავდასხმა საქართველოზე უკვე დაწყებული იყო. მან საფრანგეთის პრეზიდენტს რწმუნების ბარათი წარუდგინა 25 თებერვალს, სწორედ იმ დღეს, როდესაც საქართველოს დედაქალაქი რუსულმა ჯარმა დაიკავა და ქვეყნის ოკუპაცია თითქმის დაასრულა. მეორე დღესვე ჩხენკელი გაეშურა ლონდონში იმავე ცერემონიის შესასრულებლად, მაგრამ, ვინაიდან ოსმალეთ-საბერძნეთის კონფერენცია მიმდინარეობდა, 17 მარტამდე ვერ შესძლო საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ კერზონთან[1] შეხვედრა. შეხვედრაზე მან რწმუნების ასლი გადასცა კერზონს, დედანი უნდა გადაეცა ინგლისის მეფისთვის, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ დატოვა ქვეყანა, ამის გაკეთებას, როგორც თავად ჩხენკელი აღნიშნავდა, აზრი აღარ ჰქონდა.[2]

აპრილში ჩხენკელი ჩავიდა რომში, სადაც „ის ცოტა უკეთ მიიღეს". მას იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი სფორცა[3] და იტალიის მეფე შეხვდნენ და ამ აუდიენციების ოქმი, რომელიც ჩვენს წიგნშიც მოგვაქვს, ელჩმა თავისი ხელით შეადგინა. ევროპის ქვეყნებიდან, მხოლოდ პარიზში მოხერხდა წარმომადგენლობის სრულყოფილი აკრედიტაცია და მისი ჩარიცხვა საფრანგეთის დიპლომატიური კორპუსის ნამდვილ წევრად. ის პარიზში სარგებლობდა ყველა იმ უფლებითა და უპირატესობით, რითაც ზოგადად ასეთი საელჩოები სარგებლობენ. ლონდონსა და რომშიც გაიხსნა საელჩოები, მაგრამ შეკვეცილი უფლებებით. ბრიტანეთისა და იტალიის დიპლომატთა სიაში ქართველი ელჩები არ ირიცხებოდნენ.

ბერლინში პარიზზე ადრე გაიხსნა საქართველოს საელჩო, მაგრამ ვინაიდან რწმუნების ბარათი თავის დროზე არ გაიგზავნა თბილისიდან, მას განაგებდა ჯერ კიდევ 1919 წელს დანიშნული წარმომადგენელი ფორმალური აკრედიტაციის შეუსრულებლად.

სტამბოლში სრული წარმომადგენლობით არსებობდა დიპლომატიური კორპუსი, მაგრამ, ვინაიდან ჯერ თურქეთს ზავი არ ჰქონდა გაფორმებული, აქ დიპლომატიური კორპუსი ოფიციალურად არ არსებობდა.

[1] ლორდი კერზონი, — (1859-1925), — ჯორჯ ნათანიელ კერზონი, ბრიტანელი პოლიტიკოსი კონსერვატორთა პარტიიდან.

[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ.3.

[3] სფორცა, — გრაფი კარლო სფორცა, იტალიელი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე (1872-1952). დაიბადა ტოსკანაში მემკვიდრეობით წარჩინებულ. მილანის საპერცოგოს მმართველი გრაფების ოჯახში, დაამთავრა პიზის უნივერსიტეტი, გაიარა დიპლომატიური კარიერის ვრცელი გზა: 1896- კაიროში, 1897 —პარიზში, 1901-1905 წლებში — კონსტანტინეპოლსა და პეკინში, 1906-მადრიდში და ა.შ. 1920 წელს ჯიოლიტის კაბინეტში საგ. საქმეთა მინისტრად დაინიშნა, 1922 წელს სფორცა იტალიის ელჩი გახდა პარიზში, იყო ბენიტო მუსოლინის ოპოზიცია, რისთვისაც 1926 წლიდან დევნილობაში ცხერობდა მეუღლის სამშობლო — ბელგიაში. 1937 წელს იტალიელ მემარჯვენეთა ბელადის — კარლო როსსელის მოკვლის შემდეგ ის მოექცა მემარჯვენე ძალების სათავეში. 1943 წელს ფაშისტები დამარცხდნენ იტალიაში და სფორცა სამშობლოში დაბრუნდა, 1946 წელს გახდა რესპუბლიკური პარტიის წევრი, მოღვაწეობდა ივენო ბონომის მთავრობაში საგ, საქმეთა მინისტრის პოსტზე ((1947-1951). გარდაიცვალა 1952 წელს.

საქართველოს არაოფიციალური წარმომადგენლები ჰყავდა ჟენევაში, ერთა ლიგასა და ვარშავაში.

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მუშაობის განსაკუთრებულობა მდგომარეობდა იმაში, რომ მას არ შეეძლო სუვერენული ქვეყნის უფლებებისთვის ბრძოლა, მისი სხვა ქვეყნებთან დაახლოვებისთვის მუშაობა. ის უმეტესად ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის მიმართ საპროტესტო ნოტებსა და მემუარებს ადგენდა ევროპის ქვეყნებისადმი, იცავდა დაპყრობილი ქართველი ხალხის ინტერესებს, ამხელდა მტრის ვერაგულ თავდასხმას, ქვეყნის გაძარცვას, ანიოკებას, ქართველ მამულიშვილთა წინააღმდეგ ბოლშევიკთა სადამსჯელო ოპერაციებს. საელჩო ცდილობდა არცერთი ფაქტი არ გამოპარვოდა, ყველაფერი აღენუსხა და მიეწოდებინა ევროპის ქვეყნებისათვის. ეს ადვილი არ იყო, რადგან იმ უმძიმესი ტერორის დროს ჭირდა სამშობლოსთან კონტაქტების დამყარება. საელჩო საქართველოს საკითხს სვამდა უცხოური საელჩოების, მთავრობების, პარლამენტებისა თუ საერთაშორისო კონფერენციების წინაშე.

გარდა დიპლომატიური მუშაობისა, საელჩო და წარმომადგენლობები ეწეოდნენ სხვადასხვა საქმიანობას: აბინავებდნენ დაპატრონობდნენ ქართველ ლტოლვილებს, ზრუნავდნენ ევროპაში მყოფ ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდობაზე, ითვისებდნენ საკონსულოს როლსაც: საქართველოს მოქალაქეებს აძლევდნენ ვიზა-პასპორტებს, ეხმარებოდნენ მათ ადგილობრივი სამინისტროების საშუალებით სხვა ქვეყნებში გადასვლაში და სხვ.

ამდროინდელ საერთაშორისო ვითარებას აკაკი ჩხენკელი მთავრობისადმი წარდგენილ მემუარში ასე ნათლად ასახავდა: „საერთაშორისო პირობები არ იყო ხელსაყრელი ჩვენი მუშაობისათვის. იგი, პირიქით, თანდათან უარესდებოდა. უკანასკნელი დიდი ომის შედეგები იმდენად გამანადგურებელი შეიქნა ევროპის ეკონომიური ცხოვრებისათვის, რომ მისი აღდგენისათვის საჭიროა რამდენიმე ათული წელი. ხალხები და მმართველი წრეები ისე მოქანცა და არაქათი გამოაცალა განვლილმა ქარტეხილმა, რომ მათ არ ჰქონდათ არც შეძლება და არც სურვილი, რომ რამე რეალური დახმარება გაეწიათ. თვით დემოკრატიაც, მუშათა კლასი და მათი ორგანიზაციები იმდენად დაქსაქსული და დასუსტებული იყვნენ, რომ არც მათ შეეძლოთ რამე თვალსაჩინოს გაკეთება, თუმცა, თანაგრძნობა არ გვაკლდა მათი. უდიდესი დაბრკოლება საერთაშორისო დამოკიდებულებათა ნორმალურ კალაპოტში ჩასმისათვის იყო რეპარაციების კითხვა. ამ კითხვამ დაჩრდილა ყველა დანარჩენი, არამცთუ ქართული, არამედ გაცილებთ დიდი კითხვები. ის უკვე ჩადგა ისეთ სტადიაში (რური), რომ შიშობენ ომი ისევ არ განახლდეს. მან გათიშა გამარჯვებულნი, გააკოტრა დამარცხებულნი, და არ სჩანს, როგორ ან როდის გადაწყდება იგი.

სამი წლის ბატონობამ ერთგვარი ხელსაყრელი ატმოსფერა შექმნა რუსეთის ბოლშევიკებისათვის. რუსის ხალხს, ეტყობა, არ ძალუძს საშინელი რეჟიმის გადაგდება, საჭიროა ჩვენც შევურიდგეთ შექმნილ მდგომარეობას და გავაბათ დამოკიდებულება დღევანდელ ბატონებთანო,

— ამბობდენ ევროპიელები. 1921 და 1922 წლებში ბევრი ცდა გაკეთდა ამ მიმართულებით ევროპის სახელმწიფოებისაგან. ასეთ მდგომარეობაში მოსალოდნელი იყო, რომ ევროპის მმართველი წრეები ეცდებოდნენ თავიდან აეცდინათ ყოველგვარი გამწვავება მოსკოვის მთავრობასთან. ეს ასეც მოხდა, რისი ერთი შედეგიც იყო ის, რომ ისინი შეგნებულათ გვერდს უვლიდნენ ქართულ კითხვას.

გაცილებით უფრო დიდ ზიანს აყენებდა ჩვენს მუშაობას ის გარემოება, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხი ისევ ისე აწენილი რჩებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. თათბირები და კონფერნციები ბევრი ხდებოდა ზავის მიზნით, მაგრამ ომი და გაურკვეველი მდგომარეობა მაინც გრძელდებოდა. ყოველთვის, როცა საელჩონი და წარმომადგენლობანი სვამდენ ქართულ კითხვას, ისინი ღებულობდენ ერთსა და იმავე პასუხს: როგორ გნებავთ თქვენ კითხვაზე ვიფიქროთ, როცა ახლო აღმოსავლეთში ჯერ კიდევ არ ჩამოვარდნილა მშვიდობიანობა. ანგორა თავის მხრივ უფრო და უფრო მჭიდროთ უკავშირდებოდა მოსკოვს და მათი ერთი მეორისგან გათიშვა უფრო და უფრო საეჭვო ხდებოდა ევროპიელთა თვალში..."[1]

საქართველოს საელჩოს ურთიერთობა ყველაზე ინტენსიური იყო საფრანგეთთან. ელჩს, სრული რწმუნების გამო, საშუალება ჰქონდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან (რომელიც მთავრობის მეთაურიც იყო) მუდმივი კავშირი ჰქონოდა. ელჩი რამდენჯერმე დაუკავშირდა რესპუბლიკის პრეზიდენტსაც. მათ აცნობებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ასევე ამ ცნობებს პარიზის უცხოური საელჩოების საშუალებით გადასცემდა ევროპის ქვეყნებსაც. ჩხენკელის აზრით, საფრანგეთის პრეზიდენტის — მილიერანის რწმენა შეარყია „საქართველოს შედარებით ჩქარა დამარცხებამ".

1921 წლის თებერვალსა და მარტში, როდესაც დაიწყო საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან და გაიმართა ლონდონის კონფერენცია, საქართველოს გამარჯვების იმედები საფრანგეთის სახელისუფლო წრეებში ჯერ კიდევ იყო. მაშინდელი საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი არისტიდ ბრიანი[2] ახალ დიპლომატიურ ვექტორებს ამკვიდრებდა. ვინაიდან ინგლისის პრემიერი ლოიდ ჯორჯი არ ჩქარობდა ზავის შეკვრას ოსმალეთთან, ბრიანმა ამჯობინა დამოუკიდებლად მოლაპარაკება ანგორის პირველ დელეგატთან და მაშინდელ გარეშე საქმეთა მინისტრთან — ბექირ სამი ბეისთან[3]. ამ შემთხვევით ისარგებლა

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ.7-9.

[2] არისტიდ ბრიანი, — (1862-1932). ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე III რესპუბლიკის პერიოდში. რამდენჯერმე ეკავა საგარეო, შინაგან, სამხედრო, იუსტიციის და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, 1926 წელს მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის დარგში, გუსტავ შტრეზემანთან ერთად ლოკარნოს კონფერენციის ორგანიზებისა და ევროპის საზღვრების დადგენისათვის.

[3] ბექირ სამი ბეი, — ბექირ სამი ბეი (კუნდუხი), 1866-1932. თურქი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, თურქეთის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი 1920-1921 წლებში. დაიბადა ოსეთში, რუსი სამხედრო მოსამსახურის ოჯახში, მამამისი ხელმძღვანელობდა ჩრდილოკავკასიელთა გადასახლებას თურქეთში და ასე აღმოჩნდა მისი ოჯახი ამ ქვეყანაში. დაასრულა გალათასარაის სკოლა, შემდეგ პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა

ჩხენკელმა და სცადა გამოერკვია ოსმალეთის პოზიცია საქართველოს მიმართ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის თავზე აიღო საქართველოს საკითხის ჩართვა მის მოლაპარაკებაში ანგორის მთავრობასთან. ამ შეხვედრაზე ოსმალეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არც ბათუმსა და ბათუმის ოლქს, არც ართვინის მხარეს არ თვლიდა თავისი ქვეყნის ნაწილად, თურქეთი მხოლოდ არტაანზე აცხადებდა პრეტენზიას. მაგრამ ამ კუთხისთვისაც, თუ საჭირო გახდებოდა, გამოინახებოდა „ორივე მხარისთვის მისაღები რამე მოდუსი".

საფრანგეთის მთავრობამ საქართველოს მისცა ოსმალეთთან მორიგების იმედი და აკაკი ჩხენკელს მოსთხოვა წერილობით წარედგინა მისთვის ხელსაყრელი ეს „მოდუსი" არტაანის შესახებ. ჩხენკელმა შეადგინა წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფრანგულმა მხარემ, მისი აზრით 4 შეხვედრის დროს განიხილა. ასევე, ყურადღებით ეპყრობოდა ბრიანის კაბინეტი კავკასიის ქვეყნების „ოთხთა კავშირის" შეკვრას, მაგრამ, ბრიანის კაბინეტი 1922 წლის დასაწყისში შეიცვალა და ამ მიმართულებით მუშაობაც შეწყდა. ბრიანი ითხოვდა კანისა და გენუის ონფერენციებზე საქართველოს დელეგაციის დაშვებას, მაგრამ ლოიდ ჯორჯმა უარი თქვა და ეს „დაასაბუთა" იმით, რომ საქართველო აზიის ქვეყანაა. ბრიანის დაყოლიება მან შეძლო რეპარაციის საკითხში მათი ერთნაირი ინტერესების გამო.

რაც შეეხება პუანკარეს[1], ჩხენკელის აზრით, ის თავიდანვე მტრულად შეხვდა გენუის კონფერენციას და განსაკუთრებით მოსკოვის მიწვევას ამ კონფერენციაზე. „პუანკარემ ორჯერ განაცხადა პალატაში ჩვენი მეგობარი დეპუტატების შეკითხვაზე, რომ ის არ სცნობს რუსეთის ძალმომრეობას საქართველოზე და არ დაუშვებს, რომ უკანასკნელის სახელით მოსკოვის დელეგაციამ ილაპარაკოს გენუაში. გენუის კონფერენციის შემდეგ პუანკარემ პალატაში წაიკითხა ინსტრუქცია, რომელიც მას მიუცია საფრანგეთის დელეგაციისათვის და იქიდან სჩანდა სხვათა შორის, რომ ის აბარებდა თავის დელეგაციას, რომ არასგზით არ ეცნო მოსკოვის დელეგაცია საქართველოს წარმომადგენლათ"[2].

პუანკარემ მოითხოვა ლოზანის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის დაშვებაც, ამისთვის მიმართა ლონდონისა და რომის კაბინეტებს, მაგრამ ლორდ კერზონთან თანხმობას ვერ მიაღწია. კერზონი საქართველოს ემიგრირებული მთავრობის დაშვების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ მოითხოვდა მოსკოვის ფაქტობრივი მთავრობის დაშვებასაც და თავის ამ წინააღმდეგობრივ აზრს ასე ასაბუთებდა: ინგლისმა იცნო საქართველოს

სასწავლებელი. მუშაობდა რუსეთის საელჩოში, მეჯლისის წევრი, იყო სხვადასხვა დიპლომატიურ და პოლიტ. თანამდებობებზე.

[1] პუანკარე, — რაიმონ ნიკოლ ლანდრი პუანკარე (1860-1934). ფრანგი პოლიტიკოსი, III რესპუბლიკის დროს რამდენჯერმე ეკავა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. კონსერვატორული პარტიის წევრი. გამოირჩეოდა მძაფრი ანტიგერმანული განწყობით, პარიზის კონფერენციის დროს ითხოვდა რაინის ოკუპაციას, რაც შემდეგში პრემიერ-მინისტრის რანგში (1923) შეასრულა.

[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ. 13.

დამოუკიდებლობა, მაგრამ იურიდიულად არც ეროვნული და არც ბოლშევიკური მთავრობა არ უცვნია, ამიტომ ის ვერ დათანხმდებოდა მხოლოდ იმ მთავრობის მიწვევაზე, რომელიც ვერ აკონტროლებდა საკუთარ ტერიტორიას.

საქართველოს წარმომადგენლები ინგლისის ამ განცხადებას აპროტესტებდნენ, პუანკარემაც დაუმტკიცა კერზონს, რომ სხვებთან ერთად 1921 წლის იანვარში ინგლისმაც იცნო იურიდიულად საქართველოს ეროვნული მთავრობა. კერზონმაც აღიარა ბოლოს ეს, მაგრამ საქართველოს დაშვებას არც ლოზანაში და არც გენუაში მაინც არ დასთანხმდა.

ლოზანის კონფერენციის დროს ერთგვარი გარდატეხა მოხდა საფრანგეთის პოლიტიკაში რეპარაციის ნიადაგზე. პუანკარეს კაბინეტი ვერ შეთანხმდა ბონარ ლაუს კაბინეტთან და მოკავშირეების დაუკითხავად მოახდინა რურის ოკუპაცია. ამ ნაბიჯს მოჰყვა კონფერენციის შეწყვეტა ლოზანაში. ამ ფაქტმა ცვლილებები მოიტანა საფრანგეთ-რუსეთის დამოკიდებულებაშიც: ის უფრო ელასტიური გახდა. პუანკარეს კაბინეტი აშკარად ერიდებოდა მოსკოვთან ურთიერთობის დაძაბვას, საფრანგეთში გაჩნდა მოსკოვთან დაახლოების მომხრე ჯგუფი ერიოს მეთაურობით. ყველაფერმა ამან გაანელა საფრანგეთის მთავრობის ინტერესი საქართველოსადმი. მართალია, პუანკარე საჯაროდ კვლავ აცხადებდა, რომ მოსკოვთან არავითარ ურთიერთობას არ აპირებდა მანამ, სანამ ის საგარეო ვალებს არ გადაიხდიდა, საკუთრებას არ აღუდგენდა უცხოეთის მოქალაქეებს, მაგრამ მაიც გზავნიდა ეკონომიკურ მისიებს ამ ქვეყანაში და ომისშემდგომი პრობლემების გამო მასთან მდგომარეობას არ ძაბავდა.

რაც შეეხება საქართველოს ემიგრანტული მთავრობის **ურთიერთობას ინგლისთან 1921-1922 წლებში.**

ლოიდ ჯორჯის მთავრობამ ჯერ კიდევ 1920 წლის II ნახევარში დაიწყო მოლაპარაკება რუსეთის სავაჭრო-ეონომიკური წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან — კრასინთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. მართალია, ამ ხელშეკრულებას ხელი 1921 წლის 16 მარტს მოეწერა, მაგრამ ის ორი თვით ადრე უკვე მზად იყო. ამიტომ, ჩხენკელის აზრით, როდესაც რუსეთი საქართველოს დაესხა თავს, მას სრული იმედი ჰქონდა, რომ ინგლისი ხელს არ შეუშლიდა. როდესაც საქართველოს იურიდიულად ცნობის სკითხი დადგა, ლოიდ ჯორჯი იმიტომ კი არ წავიდა წინააღმდეგი, როგორც ამბობდა: ამით რუსეთი გაღიზიანდება და პატარა საქართველოს გაანადგურებსო, არამედ იმიტომ, რომ მას უკვე ჰქონდა ხელშეკრულების პროექტი, სადაც იყო ერთი მუხლი, რომელშიც ეწერა: ინგლისი არაა დაინტერესებული კავკასიით და მის საქმეებში არ ჩაერევაო.[1]

მაშინ ლოიდ ჯორჯმა[2] გადაათქმევინა ეს გადაწყვეტილება და ცნო

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ. 17.

[2] ლოიდ ჯორჯი (1863-1945), — დევიდ ლოიდ ჯორჯი, დუივოის პირველი გრაფი, გვინედის ვიკონტი, ბრიტანელი პოლიტიკოსი, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1916-1922 წლებში ლიბერალური პარტიიდან, უინსტონ ჩერჩილის ახლო მეგობარი. უელსური წარმოშობის ერთადერთი ბრიტანელი პრემიერი, ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის დელეგაციას გერმანიასთან მოლაპარაკების დროს, ხელი მოაწერა ვერსალის საზავო

საქართველო, მაგრამ ჩხენკელის ელჩად დანიშვისა და ლონდონში ამ რანგში პირველი ვიზიტის დროს ინგლისი საქართველოს საკითხს „ალმაცერად უყურებდა".

ჩხენკელი ლორდ კერზონთან პირველად 17 მარტს, რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების მეორე დღეს შევიდა. ჩხენკელმა იცოდა ინგლისელთა განწყობა, მათი ცრუ ინფორმაციები, რომ საქართველო უომრად ჩაბარდა რუსებს, რომ აქ ქართველი ბოლშევიკები მართავდნენ და არა რუსები და ა.შ.

კერზონმა საუბრისას ჯერ მხარდაჭერა (ცარიელი სიტყვებით) გამოუცხადა, შემდეგ საყვედურნარევი შენიშვნები მისცა: რატომ არ წავიდა საქართველოს მთავრობა სან-რემოში მეზობლების მიმართ ზოგიერთ დათმობაზე (საქმე ეხებოდა რკინიგზის გაყვანას სომხეთიდან ბათუმისაკენ), მაშინ კავკასიის ქვეყნების მდგომარეობას უფრო განამტკიცებდითო. კერზონმა დააიმედა და ახლო აღმოსავლეთის ზავის შემდეგ საქართველოს საკითხის დასმას დაჰპირდა. იქ ახლა ომია თურქებსა და ბერძნებს შორისო. ჩხენკელი არ ეჭვობდა, რომ ეს ომი იყო კრასინთან მოლაპარაკებების დაწყების მიზეზი, რადგან ინგლისს სურდა მოსკოვის მიმხრობა ანგორის წინააღმდეგ. ის იმეორებდა ლონდონში ხშირად გაგონილ ლოიდ ჯორჯის ფრაზას: „საფრანგეთის კოზირია ოსმალეთი, ჩემი კი — რუსეთი, ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებსო".

1922 წლის დიპლომატიურ ომს ევროპაში და რუსეთის ადგილს ამ ომში ასე ახასიათებდა აკაკი ჩხენკელი: „ლოიდ ჯორჯის რუსულმა პოლიტიკამ განსაკუთრებული ძლიერებით 1922 წელს იჩინა თავი. ეს იყო ხანა მოსკოვის დიპლომატიური გამოსვლისა საერთაშორისო ასპარეზზე: გენუა, ჰაგა და ბოლოს, ლოზანა — ეს სულ კრემლის დემაგოგთა საჯირითო მოედნად იქცა. ლოიდ ჯორჯი გაიძახოდა: სანამ რუსეთი გარიყულია ევროპიდან, უკანასკნელს არ ძალუძს მშვიდობიანი ცხოვრება. ის ეუბნებოდა ინგლისის უმუშევართ: რუსეთის ეკონომიკური აღდგენა გაუჩენს ბაზარს ინგლისის მრეწველობას და თქვენც ადგილში ჩადგებითო. ის არ ამბობდა, რა თქმა უნდა, რომ მისთვის ბაქო-გროზნოსაც ჰქონდა მნიშვნელობა, საითკენაც მოხერხებულად ეპატიჟებოდა მოსკოვი ინგლისის დიდ მენავთეებს". [1]

ინგლისის საგ. საქმეთა სამინისტროში გააუქმეს კავკასიის განყოფილება, შემდეგ საქართველოს საკითხი (მთელი კავკასიისაც) რუსეთის დეპარტამენტს მიანერეს, ასე რომ, ქართველი ელჩის მოქმედება თანდათან გართულდა. კერზონს თითქმის არაფერი ეკითხებოდა, ყველაფერს უკიდურესად რუსული ორიენტაციის ლოიდ ჯორჯი წყვეტდა, ერთხელ, მან, ჩხენკელის ცნობით, პალატაში ისიც კი თქვა: **არავინ იცის ოფიციალურად, მართლა აქვს თუ არა ადგილი საქართველოში რუსეთის ოკუპაციასო.**

ლოიდ ჯორჯმა გენუაში საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელ

ხელშეკრულებას, 1921 წელს მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, რასაც ირლანდიის თავისუფალი რესპუბლიკის შექმნა მოჰყვა. იყო გერმანია-ინგლისს შორის მშვიდობის მომხრე, 1922წელს გადადგა.

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღნერა 2, საქმე 719, ფ.20.

ბარტუს ჩიჩერინის დაშვებაც კი მოსთხოვა საქართველოს წარმომადგენლად. ჩხენკელი გენუიდან გამოგზავნილ თავის პირად წერილებში გულმოკლული იმეორებდა ლოიდ ჯორჯის მეუღლის სიტყვებს: „თქმა არ უნდა, საქართველოს საქმე სიმპათიურია, მაგრამ სამწუხაროდ, იგი უნდა შეენიროს ჩემი ქმრის უფრო დიდ და საკაცობრიო მიზნებსო". ქართველი ელჩის ირონიას იწვევდა ქალის ეს სიტყვები საკაცობრიო მიზნებზე, მაგრამ პატარა, დამარცხებული ქვეყნის დიპლომატს ურთიერთობის სხვა ბერკეტი აღარ ჰქონდა დარჩენილი.

ლოიდ ჯორჯის კაბინეტის დაცემამ ოდნავი იმედი ჩაუსახა მას, ეგონა, საქართველო ინგლისთან უფრო დაახლოვდებოდა, თუმცა ლორდი კერზონიც, რომელიც ლოიდ ჯორჯის გადადგომის შემდეგ საგარეო საქმეებს თავად წყვეტდა, არ იყო თავგადაკლული ქართველთა ეროვნული პრობლემების მიმართ.

იტალიამ საქართველოსთან დამოუკიდებლობის წლებშივე დაამყარა მჭიდრო ურთიერთობა. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ქართველ ემიგრანტთა ნაწილი იტალიაშიც მოხვდა. ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფის მიერ საქართველოს დედოფლად გამზადებული მარინე მაჩაბელი, რომელიც გერმანიის იმპერატორის — ვილჰელმ II-ის უმცროს ვაჟზე — იოაჰიმზე დაქორწინებით სათავეს დაუდებდა გერმანულ-ქართულ სამეფო დინასტიას საქართველოში, ომში გერმანიის დამარცხებისა და ამ გეგმის ჩაშლის შემდეგ ცოლად გაჰყვა იტალიის კონსულს — ფრანზონის[1]. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მან ცოლი და ქართველ თავადთა ოჯახების ნაწილი იტალიაში წაიყვანა. მან ქართველები ცოლისთვის აგებულ სასახლეში —„ვილა მარინა"—ში დააბინავა. ცოლის ნათესავებს შორის იყო ეროვნულ-დემოკრატი დავით ვაჩნაძე[2]. ცნობილია, ეროვნულ-დემოკრატიული ოპოზიციის დაპირისპირება მმართველ პარტიასთან. ეს დამოკიდებულება, სამწუხაროდ, ზოგჯერ უფრო მტრული იყო, ვიდრე

[1] ფრანზონი, — ფრანჩესკო რაფაელის ძე ფრანზონი, იტალიის პირველი კონსული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ცოლად შეირთო მარინა მაჩაბელი, ქართველი საზ. მოღვაწის — მიხეილ ეახტანგის ძე მაჩაბლის ასული.

[2] დავით ვაჩნაძე (1884-1962), — ეროვნულ-დემოკრატი, საზოგადო და სამხედრო მოღვაწე. დაიბადა სოფ. დიდ ლილოში. მიიღო სამხედრო განათლება. 1912 წ. რევაზ გაბაშვილთან ერთად დააარსა ყოველკვირეული ჟ. „კლდე". ბეჭდავდა „კახელისა" და „ეკალის" ფსევდონიმით. 1915 წელს დაუკავშირდა 1914 წელს ჟენევაში პეტრე სურგულაძის მიერ დაარსებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს". ეხმარებოდა გიორგი მაჩაბელს გერმანიიდან იარაღისა და ფულის შემოტანის ორგანიზებაში. 1917 წ. გახდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. თანამშრომლობდა ამავე წელს დაარსებულ გაზეთ„საქართველოში". დამოუკიდებელ საქ-ში იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, 1918 წ. დაინიშნა საქ-ს რესპ. რწმუნებულად გერმანიის სამხედრო მისიასთან, გასაბჭოების შემდეგ მონაწილეობდა იატაკქვეშა ანტისაბჭოთა მოძრაობაში, 1924 წელს გაემგზავრა თურქეთში აჯანყების ორგანიზებისათვის. 1924-1926 წ. წ.-ში მონაწილეობდა სტამბოლში შექმნილ „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტის მუშაობაში, 1927 წ.-დან ცხოვრობდა საფრანგეთში, არის 4 წიგნისა და 30-მდე სტატიის ავტორი. II მსოფლიო ომის დროს გერმაიის საგ. საქმეთა სამინისტროს აღ. საქმეთა კომისრის გრაფ შულენბურგის მიწვევით ჩავიდა ბერლინში მაგრამ შულენბურგის გეგმის ჩაშლის შემდეგ გადავიდა ავსტრიაში. ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთ გერმანიაში დასახლდა. გარდაიცვალა მიუნხენში.

კონსტრუქციულ-ოპოზიციური, ხშირად სახელმწიფოებრივ ინტერესებს რომ ლახავდა. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო გენუის კონფერენციის დროს თბილისიდან ინგლისისა და იტალიის მთავრობებისთვის საქართველოს ყოფილი ხელისუფლების შესახებ თბილისიდან იტალიელი კონსულის მიერ მიწოდებული ცნობები. ჩხენკელის აზრით, ეს ყოფილმა ელჩმა ფრანზონიმ გააკეთა. ამაზე ჩხენკელი წერდა: „ინგლისის და იტალიის დელეგაციებს საკუთარი ცნობები მოუვიდათ საქართველოდან, და ესენი უარყოფდნენ ან არავითარ მნიშვნელობას არ აწერდნენ სვანეთის მოძრაობას. განსაკუთრებით დაიმსახურა ამ მხრივ იტალიის კონსულმა თფილისში ფრანზონიმ, რომელმაც მოხსენება გამოუგზავნა თავის მთავრობას სტამბოლიდან ჩვენ წინააღმდეგ."[1]

დამოუკიდებლობის წლებშივე იტალიაში საქართველოს წარმომადგენელი იყო გიორგი მაჩაბელი.[2]

მაჩაბლის ინიციატივით, ხდებოდა პოლიტიკური შეხვედრები, იბმებოდა დიპლომატიური კავშირები. ამ ინიციატივის შედეგი იყო აკაკი ჩხენკელის რამდენიმე შეხვედრა მუსოლინისთან. ბოლოს ის 1929 წელს შეხვედრია იტალიელ პოლიტიკოსს. ამ შეხვედრების დაწვრილებითი მიზანი არ ვიცით, თუმცა, ზოგადად გასაგებია რაზე ესაუბრებოდა ქართველი დიპლომატი ამ დროს უკვე სახელგანთქმულ მუსოლინის. ჯერ კიდევ ამ შეხვედრებამდე, 1923 წელს ჩხენკელი წერდა: „მუსოლინის კაბინეტი სიტყვიერად დიდ „ლიბერალიზმს" იჩენდა მოსკოვის მიმართ და ამის მიხედვით — გულგრილობას ჩვენდამი, მაგრამ საამისო ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამს, — ასე რომ მისი პოზიციის გარკვევას ჯერ კიდევ ცდა დასჭირდება".[3]

მოგვიანებით, დუჩეს ურთიერთობა ქართველებთან უფრო გააქტიურდა. 1940 წელს, როდესაც ქართველი უფლისწული ირაკლი ბაგრატიონ-

---

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ.45.

[2] გიორგი მაჩაბელი (1885 — 1935), — ქიმიკოსი, გამომგონებელი, პოლიტიკოსი. შექსპირის მთარგმნელის ივანე მაჩაბლის უფროსი ძმის ვასილის და ნინო ვეზირიშვილის ვაჟი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და პარფიუმერი, "სუნამოების პრინცად" წოდებული. 1916 წელს გიორგი მაჩაბელი დაქორწინდა პოპულარულ, იტალიელ მსახიობ ნორინა ჯილიზე, რომლის სცენური ფსევდონიმია მარია კარმი. მარიამ სახელი მადონას როლის შესრულებისას გაითქვა, თავისი პირველი ქმრის, დრამატურგ მაქს რეინჰარტის პიესაში – "სასწაული". გიორგიმ ნორინას სიყვარული იტალიური ენის უმოკლეს ვადაში შესწავლით დაუმტკიცა. 1933 წელს ნორინა ჯილი და გიორგი მაჩაბელი ერთმანეთს დაცილდნენ. გიორგი მაჩაბელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდაუზოგავი მებრძოლი. პირველი მსოფლიო ომის დროს ბელგიაში იმყოფებოდა, ამის შემდეგ გერმანიაში გადავიდა, სადაც "საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი" დააარსა და კავშირი გააბა 1914 წ. შექმნილ ჟენევის "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან", რომლის ფილიალიც მან საქართველოში გახსნა. ის იყო გერმანული წყალქვეშა ნავებით იარაღის შემოტანის ინიციატორი. გიორგი მაჩაბელი მომხრე იყო გერმანელი პრინცის იოახიმის, კაიზერ ვილჰელმ II-ის უმცროსი ვაჟისა და რომელიმე ქართველი პრინცესას დაქორწინებით, გერმანული დინასტიით სათავეში ქართული მონარქიის აღდგენისა. კანდიდატიც შერჩეული ჰყავდა – საქრთველოს დამფუძნებელი კრების, ეროვნულ–დემოკრატ მიშო მაჩაბლის ასული მარინა. მაგრამ 1918 წ. 26 მაისს საქართველოს სახელმწიფო აღდგა როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა და გიორგი მაჩაბელი დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი იყო იტალიაში.

[3] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ.26.

მუხრანელი[1] იტალიელ გრაფინია მარია ანტუანეტა პასკუინიზე დაქორწინდა, მუსოლინი დაუახლოვდა იტალიაში გადასახლებულ ამ ოჯახს. გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის დაკრძალვაზე გადაღებული მუსოლინისა და ირაკლი ბაგრატიონის ფოტო გაზეთმა „კლდემ" გამოაქვეყნა.

იტალიის მთავრობამ ოკუპირებულ საქართველოში დატოვა კონსული თბილისში, რომელიც ცდილობდა ორი ქვეყნის ურთიერთობა ძველებურად გაეგრძელებინა. ის უმტკიცებდა იტალიის ხელისუფლებას, რომ ეკონომიური მუშაობა უფრო გაადვილებული იყო კომუნისტების მიერ და საქართველოში სრული სიწყნარე სუფევდა. აპრილში რომში ჩასული ჩხენკელი მაინც კარგად მიიღეს. იტალია უფრთხილდებოდა ეკონომიკურ კავშირებს, რაც ჩვენს ქვეყანასთან ჰქონდა. აკაკი ჩხენკელი ოფიციალურად საგარეო საქმეთა მინსტრმა ჯორჯიო სფორცამ და კერძო აუდიენციით იტალიის მეფე ვიქტორ ემანუილ III-მ[2] მიიღო. ჯიოლიტის კაბინეტის ფაქტას კაბინეტით შეცვლამ იტალია-საქართველოს ურთიერთობა უფრო დაამძიმა. ლოიდ ჯორჯის პრორუსული პოლიტიკა იტალიაზე დიდ გავლენას ახდენდა. ქართული დელეგაცია მაინც ყველაფერს აკეთებდა ამ ურთიერთობის გამოსასწორებლად.

გამორჩეული იყო **გერმანიასთან** საქართველოსა და ქართველი დიპლომატების ურთიერთობა. გერმანიაში საქართველოს თავისი ელჩი ჰყავდა, რომელსაც მუდმივი კავშირი ჰქონდა ბერლინში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რაიხსტაგის წევრებთან. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ საშინელი შთაბეჭდილება დატოვა მათზე, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები თანაუგრძნობდნენ ქართველ პოლიტიკოსებს. გერმანიამ, დამძიმებულმა I მსოფლიო ომის შედეგებით, თანდათან რუსეთისკენ დაიწყო მზერა. განსაკუთრებით მემარჯვენე ძალები აქტიურობდნენ. ამ მოძრაობას რაპალოს ხელშეკრულება მოჰყვა. ეს ხელშეკრულება გენუის კონფერენციის დროს დაიდო, რომელიც რაიხსტაგმა დაამტკიცა. „ამრიგად,

---

[1] ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი (1909-1977), — საზოგადო მოღვაწე, ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომდგენელი. დაიბადა თბილისში, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო 1921 წელს მშობლებთან ერთად წაეიდა ემიგრაციაში.უმაღლესი განათლება მიიღო გერმანიაში. 1930-იანი წლების შუახანებიდან ცხოვრობდა იტალიაში, დაქორწინდა იტალიელი გრაფის — ჰუგო პასკუინის ასულზე მარია ანტუანეტაზე, რომლისგანაც 1944წელს შეეძინა ვაჟი ხორხე (გარდ. 2008 წ.). ეს იყო მეორე ქორწინება, პირველად დაქორწინებული იყო მარია ბელიაევაზე. იტალიელ მეუღლესთან განშორების შემდეგ, 1944 წელს გადავიდა ესპანეთში და 1946 წელს იქორწინა ბურბონთა ოჯახის წევრზე, ინფანტა მარია-მერსედეს გავიერაზე. მათ ეყოლათ ქალ-ვაჟი: მარია (1947) და ბაგრატი (1949). მარიას გარდაცვალების შემდეგ, 1961 წელს იქორწინა (მეოთხედ) მარია პასკუალზე. ირაკლი ბაგრატიონმა 1939 წ. დააარსა ევროპაში ცნობილი „მაცხოვრის კვართის ორდენი", რომლის პირველი „გრანდ მასტერი" თავად იყო. ატარებდა „იერუსალიმის წმ. იოანეს ორდენის" რაინდის ტიტულს; 1942 წელს გერმანიაში ი. ბაგრატიონმა დააარსა „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი", რომლის მიზანი საბჭოთა სისტემიდან საქართველოს დახსნა და კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა იყო. გარდაიცვალა მადრიდში, ჩამოასვენეს საქართველოში და წინაპართა გვერდით, სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

[2] ვიქტორ ემანუილ III, — ვიტორიო ემანუილ III (1869-1947). იტალიის ბოლო მეფე 1900-1946 წლებში, პარალელურად იყო ეთიოპიის იმპერატორი — 1936-1943 წლებში, ალბანეთის მეფე — 1939-1945 წლებში.

— წერდა აკაკი ჩხენკელი, — 5 ნოემბერს, 1922 წელს, — ბერლინში დადეს მეორე ხელშეკრულება, რომელიც ავრცელებს რაპალოს ხელშეკრულებას რუსეთის „მოკავშირე რესპუბლიკებზე" და მათ შორის საქართველოზე, უკანასკნელის მაგიერ ხელს აწერს მოსკოვის ელჩი ბერლინში. ეს ხელშეკრულება არ უარყოფს ფორმალურათ საქართველოს დამოუკიდებლობას, პირიქით, მაგრამ მას უკან მიაქვს ეროვნული მთავრობის ცნობა და მისი საელჩოც ბერლინში თავისთავად უქმდება".[1]

საქართველოს ელჩი ბერლინში კანონიერად ვეღარ იმოქმედებდა, მის ადგილს რუსეთის ელჩი იჭერდა, თუმცა, საქართველოს წარმომადგენელი და აკაკი ჩხენკელი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ პოზიციები გერმანიაში როგორმე შეენარჩუნებინათ, ელჩი იმედოვნებდა, რომ გერმანია კავკასიაში თავის ინტერსებს ასე არ დათმობდა და არც საქართველოს მიატოვებდა ასე ადვილად. ამ იმედებს გამოხატავდა ჩხენკელი გერმანელ დიპლომატებთან შეხვედრისას.

გამორჩეული ურთიერთობა ქართულ დიპლომატიასა და პოლიტიკოსებს ოსმალეთთან ჰქონდათ, სადაც იყო პარიზის შემდეგ მეორე დიდი პოლიტიკური კომისია (თავ-რე ნოე ხომერიკი) და ემიგრაციული ჯგუფი. წარმომადგენლობა (ხელმძღვანელი კონსტანტინე გვარჯალაძე) იმყოფებოდა სტამბოლში, ხოლო ოსმალეთის ფაქტობრივი მთავრობა და ეროვნული კრება — ანგორაში (ანკარაში), რომელიც პოლიტიკურ ცენტრად იქცა. ოსმალეთი ომში დამარცხდა და გამარჯვებული ქვეყნები გაბატონდნენ მის სრუტეებსა და დედაქალაქზე. მათ სტამბოლში ჰყავდათ უმაღლესი კომისრები, რომლებიც ყველა საქმეს განაგებდნენ. ვინაიდან სტამბოლი უახლოესი გეოგრაფიული პუნქტია საქართველოსთან, საიდანაც შეიძლებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ამბების გაგება, უმაღლესი კომისრები ხდებოდნენ მათი მთავრობებისათვის უპირველესი წყარო საქართველოს ამბების გასაგებად. ამიტომ, საქ-ს წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ უმაღლეს კომისრებს მიეღოთ სრული და ობიექტური ინფორმაციები. ისინი აცნობდნენ მათ ახალ დოკუმენტებს, ასევე თავად აკაკი ჩხენკელის მიერ მიღებულ ცნობებს ევროპის მთავრობებთან შეხვედრებზე, რომელთა წარმომადგენლები იყვნენ ეს კომისრები. კომისრებს თავიანთი ინფორმატორებიც ჰყავდათ, ჰქონდათ საკუთარი მთავრობებისაგან ინსტრუქციებიც, განსაკუთრებით ეს ინგლისის კომისარზე ითქმის, რომელიც ლოიდ ჯორჯის კურსს ატარებდა.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში ჰქონდა პირადი შეხვედრები როგორც სულთნის, ასევე ანკარის ხელისუფლების წრეებთან, რომელთაც ევროპიდან დაბრუნებულებს სტამბოლის გზით გავლა უწევდათ. ისინი თავიანთ სიმპათიებს კავასიის ქვეყნებისადმი ზოგადი ფრაზებით გამოთქვამდნენ, მაგრამ ამის იქით არ მიდიოდნენ, რადგან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ რუსეთთან. ეს დამოკიდებულება გამოიხატა 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-ოსმალეთის მოსკ-

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ. 29-30.

ოვის ხელშეკრულებით, რომელიც შემდეგ დადასტურდა ყარსში, სადაც ამიერკავკასიის ე. წ. რესპუბლიკების დელეგატებიც მონაწილეობდნენ. ჩხენკელის თქმით, „მოსკოვმა ხელშეკრულების ძალით, დაუთმო რა ანგორას საქართველოს და სომხეთის ტერიტორიების ნაწილები, დაავალა მას მხოლოდ მის მიერ დაყენებული პირები ეცნო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მთავრობებად და არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე მათი მოწინააღმდეგე ორგანიზაციები. ანგორა პირნათლათ ასრულებდა ამ დავალებას და გაურბოდა ყოველგვარ დაახლოებას საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან. მას ჰყავდა თავისი წარმომადგენელი თფილისში, ხოლო თფილისს არ ჰყავდა ანგორაში, ალბათ, მოსკოვის ბრძანებით".[1]

ჩხენკელს სწამდა, რომ მალე შეიცვლებოდა ეს სიტუაცია და ანგორა-რუსეთის კავშირი გაწყდებოდა. ამის დადასტურებად მას ლოზანის კონფერენცია მიაჩნდა.

საქართველოს წარმომადგენლობა ჰქონდა შვეიცარიაში, ჯერ ბერნში, შემდეგ ჟენევაში, სადაც ერთა ლიგის მთავარი შტაბი იყო და იმართებოდა საერთაშორისო შეხვედრები. აქ სპეციალურად მუშაობდა ქართული დელეგაცია, მაგრამ ინდივიდუალურად მუდმივად იღებდა ლიგის მუშაობაში მონაწილეობას საქართველოს ელჩი. ვიცით, რომ 1920 წლის ბოლოს, საქართველოს უარი ეთქვა ლიგის წევრობაზე, მაგრამ ჩხენკელი მაინც განაგრძობდა ერთა ლიგის ტრიბუნის გამოყენებას ეროვნული პრობლემების დასაყენებლად. 1921 წლის ლიგის ყრილობაზე მან საქართველოს ეროვნული მთავრობის სახელით მოითხოვა მსჯავრი დაედოთ რუსეთისათვის საქართველოს წინააღმდეგ დანაშაულებრივი ქმედებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ყრილობას ეს საკითხი არ განუხილავს.

1922 წლის ყრილობაზე ჩხენკელმა კვლავ წარადგინა ახალი მემუარი, სადაც დაწვრილებით აღწერდა მოსკოვის ხელისუფლების ქმედებებს მის ქვეყანაში, „საოკუპაციო ძალების სიმხეცეს", ქართველი ხალხის ბრძოლას ძალმომრეობის წინააღმდეგ. ამჯერად, ყრილობამ იმსჯელა ამ საკითხზე, მიიღო დაგენილება, სადაც დაგმო რუსეთის პოლიტიკა საქართველოში. ამ დადგენილებას ხელს 50-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი აწერდა, რაც ჩხენკელის უშუალო და დაუცხრომელი მუშაობის შედეგი იყო.

დიდი პოლიტიკური და დიპლომატიური მუშაობა მიმდინარეობდა პოლონეთში, სადაც მრავალრიცხოვანი ქართული წარმომადგენლობა იყო. ჩხენკელს მუდმივი კავშირი ჰქონდა ვარშავის ემიგრაციასთან, ქართველ სამხედრო მეთაურებთან, რომლებიც პოლონეთის არმიაში მსახურობდნენ. პოლონეთში საქართველოს წარმომადგენელი დამოუკიდებლობის წლებშიც ჰყავდა, თუმცა, იურიდიულად საელჩო არ გახსნილა. მხოლოდ 1922 წლის ბოლოს დაფუძნდა პოლონეთის ქართული წარმომადგენლობა და სხვადასხვა ემიგრანტული ორგანიზაციები. საქართველოს მთავრობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა პოლონეთის ხელისუფლებისა და სამხედრო წრეების მიმართ ქართველებისთვის გაწეული დახმარების გამო.

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ.34-35.

საქართველოს ელჩი დიპლომატიური არხებით დაკავშირებული იყო იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით იურიდიულად იცნეს დამოუკიდებელი საქართველო. ესენი იყვნენ: საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, გერმანია, იაპონია, რუსეთი, ბელგია, პოლონეთი, რუმინეთი, არგენტინა, ავსტრია, ლუქსემბურგი, მექსიკა, პანამა, ჰაიტი, სიამი, ლიბერია და სხვ. ელჩი საჭიროების შემთხვევაში გზავნიდა სხვადასხვა ქვეყანაში თავის წარმომადგენელს. 1921 წლის შემოდგომაზე რამდენიმე თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გაიგზავნა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, რათა ზემოქმედება მოეხდინა ამ ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციაზე და შემოებრუნებინა ის საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სასარგებლოდ.

უცხოელებთან შეხვედრებისას თუ თანამემამულეებთან მიმოწერის დროს ჩხენკელი ხშირად აანალიზებდა შექმნილ საერთაშორისო ვითარებას. ეს ანალიზი არ ყოფილა ნაჩქარევი, ცალმხრივი, მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ის დინჯი, მსოფლიო პოლიტიკის ღრმა ანალიტიკოსია და დღესაც ყურადსაღებია ბევრი მისი შეფასება. მან კარგად იცოდა, რომ **„პოლიტიკა მათემატიკა არაა, აქსიომები არ არსებობს მისთვის“**,[1] მაგრამ დიპლომატიური სვლების ანალიზი და სამომავლო პროგნოზები თუ გათვლები აუცილებლობად მიაჩნდა. მისი აზრით, ქართველი ერი თავად უნდა მომზადებულიყო თავისუფლებისათვის საბრძოლველად, თუმცა, მანამდე მოკავშირეები და მეგობრები უნდა გაეჩინა. ის მარტო ომს ვერ მოიგებდა კომუნისტურ რუსეთთან. საქართველოს დამოუკიდებლობა თავად რუსეთისთვისაც სასარგებლო იქნებოდა, რადგან მეტად შესძლებდა კავკასიაში თავისი ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებასა და მშვიდობიან თანაარსებობას. იმათ, ვისაც ეჩქარებოდა დასახული მიზნის მიღწევა და მუდმივად აკრიტიკებდა ყოფილ ხელისუფლებას, ანდა შეიარაღებული ბრძოლისათვის ემზადებოდა და ამ გზით აპირებდა მიზნის მიღწევას, 1923 წლის მარტში პარიზში მცხოვრები აკაკი ჩხენკელი აფრთხილებდა: **„ერის კითხვა ერთი თვის და ერთი წლის კითხვა არ არის. ქართველმა ერმა უნდა გაიხსენოს სხვა ჩაგრულ და დღეს თავისუფალ ერთა ისტორია. მისი საკუთარი ისტორიაც ბევრ რამ საგულისხმიეროს ეუბნება მას, ამიტომ ის უნდა იყოს მზად ხანგრძლივ ბრძოლისთვისაც, თუ ამას მოითხოვს მდგომარეობა“**.[2]

1921 წელი — სამშობლოდან დევნილი ემიგრანტი დიპლომატის შეხვედრები ევროპელ კოლეგებთან

ემიგრანტი აკაკი ჩხენკელი, რომლის სტატუსი ამ დროს საქართველოს დემოკარატიული რესპუბლიკის ელჩის მოვალეობა იყო, განსაკუთრებულ როლს ევროპის ლიდერი ქვეყნის — ინგლისის პოზიციას ანიჭებდა საქართველოს მიმართ. მან შესძლო და შეხვდა ლორდ კერზონს 1921 წლის

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ.62.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 719, ფ. 62.

17 მარტს. შეხვედრა გაგრძელდა ნახევარი საათი, საუბარი წარმოებდა ფრანგულათ. ა. ჩხენკელი შეხვედრაზე მარტო იყო.

მოვიტანთ შეხვედრის ჩანაწერის ქართულ ვარიანტს:

ა. ჩხენკელი: მაქვს პატივი გადმოგცეთ რწმუნების წერილის ასლი. დიდი ხანია მსურდა თქვენი პირადი გაცნობა და დღეს ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მთავრობისგან დავალებული მაქვს ვითანამშრომლო თქვენს აღმატებულებასთან ჩემი ერის და დიდი ბრიტანეთის ერის მეგობრულ დამოკიდებულებათა განმსამტკიცებლად. ჩემი მდგომარეობა, უნდა გამოგიტყდეთ, იყო ძლიერ მძიმე, როცა ვხედავდი, რომ ჩვენი მოკავშირენი არ იყვნენ განწყობილი ჩემს მოსასმენად მაშინ, როდესაც ისინი ელაპარაკებოდნენ ანგორელებს, რომლებიც მოსკოვის ბოლშევიკებთან ერთად, ომის გამოუცხადებლად ვერაგულად დაგვესხნენ თავს.

ლორდ-კერზონი: – მე არ მესმის, რატომ უნდა ყოფილიყო თქვენი მდგომარეობა მძიმე, კონფერენციაზე ხომ ლაპარაკი გვქონდა არა საქართველოზე, არამედ ოსმალეთის და საბერძნეთის ურთიერთ დამოკიდებულებაზე.

ა. ჩხენკელი: – მე იმედი მაქვს მომავალში, როცა კონფერენია ისევ გაიხსნება, მეც ვიქნები მოსმენილი.

ლორდ-კერზონი: – ჰოო, მე არ ვიცი იქნება თუ არა კონფერენციის გაგრძელება, ყოველ შემთხვევაში, იყავით დარწმუნებული, რომ, როცა კითხვა დადგება ოსმალეთის საზღვრებზე კავკასიის მხრივ, ჩვენ მოგისმენთ.

ა. ჩხენკელი: მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ხალხის მდგომარეობა ძნელია, მას საქმე ჰქონდა მრავალრიცხოვან, შვიდჯერ მეტ მტერთან, თან მტერს ჰქონდა დაულეველი იარაღი და ამუნიცია, მაშინ როდესაც ჩვენს ჯარებს ორ კვირაში შემოაკლდათ იგი, მაგრამ ისინი განაგრძობენ სასტიკ წინააამდეგობას.

ლორდ-კერზონი: – დიახ, ქართველი ხალხის მდგომარეობა საშინლად ძნელია, ჩვენ ძლიერ ვწუხვართ ამის გამო; ჩვენ მუდამ თანავუგრძნობდით მას და ამიტომ იყო კიდეც ვიცანით ამას წინათ მისი დამოუკიდებლობა იურიდიულად.

ა. ჩხენკელი: – ქართველი ერი, მიუხედავად ამ უბედურებისა, სასოწარკვეთილებას არ მიეცემა, მას საზოგადოდ არ სჩვევია სასოწარკვეთილება, და ის გააგრძელებს ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მართალია, მე ეს-ეს არის წავიკითხე გაზეთებში დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების ტექსტი მოსკოვის მთავრობასთან, საიდანაც სჩანს, რომ თქვენი მთავრობა, სამწუხაროდ, აცხადებს თავის „désintéressement"-ს ჩვენდამი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი ხალხი და მთავრობა მაინც განაგრძობს იმედით შემოჰყურებდეს დიდ ბრიტანეთს, რომლის ინტერესები ასე ეთანხმება საქართველოს დამოუკიდებლობას. რუსეთის დღევანდელი მთავრობის მდგომარეობა არ შეიძლება ჩაითვალოს უზრუნველყოფილად, ჩვენ კარგად ვიცნობთ რუსეთს, გვიმოქმედნია იქ, გვაქვს გამოცდილება და ამიტომ ვფიქრობთ, რომ იქაური მდგომარეობა ცვალებადია და კიდევ

იქნება არა ერთი მოხერხებული შემთხვევა, რომლითაც ჩვენ და კავკასიის ხალხები ვისარგებლებთ ჩვენი მიზნის მისაღწევად და დიდ ბრიტანეთსაც ექნება შემთხვევა თავისი მძლავრი დახმარება გაგვიწიოს.

ლორდ-კერზონი: – ჩვენ ვეცადეთ ამიერკავკასიის ხალხების დაკავშირება შარშან სან-რემოში, გვინდოდა მოგვეხდინა შეთანხმება სამი რესპუბლიკისა, მაშინ სომხეთი და აზერბაიჯანიც თავისუფალნი იყვნენ და შეიძლებოდა ჩვენი დახმარებით თქვენი მდგომარეობის განმტკიცება. მაგრამ ეს კარგი შემთხვევა თქვენ ხელიდან გაუშვით, სწორედ საქართველოს დელეგაციამ არ ინება შეთანხმების საბოლოო მიღწევა.

ა. ჩხენკელი: – მე არ გახლდით მონაწილე სან–რემოს მოლაპარაკებისა, მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი, ჩვენი დელეგაცია ხელმძღვანელობდა ერთი მოტივით, რომ სომხეთთან შეთანხმებით ბათუმის ოლქის რკინის გზის შესახებ არ ჩამოეგდო უნდობლობა ქართველ მაჰმადიანებისა საქართველოს მთავრობის მიმართ.

ლორდ-კერზონი: – არა, იქ საიმისო არაფერი იყო, კითხვა ეხებოდა მხოლოდ სომხეთის რკინის გზას, რომელსაც უნდა გაევლო თქვენს ტერიტორიაზე. მე ვიმეორებ, თქვენ გაუშვით ძალიან მარჯვე შემთხვევა.

ა. ჩხენკელი: – შეიძლება, ჩვენ მოგვივიდა შეცდომა და ახალ სახელმწიფოს არ უნდა გაემტყუნოს ეს, მაგრამ, როგორც მე ვიცი, იგი უკვე გაასწორა ჩვენმა მთავრობამ, როცა მან მოაწერა ხელი პირობას თფილისში, რომ ის თანახმაა გაყვანილი იქმნას ბათუმის ოლქში სხვა ვინმესაგან რკინის გზა. ჩვენ არასდროს არ გავურბოდით შეთანხმებას ჩვენს მეზობლებთან, თვით ამიერკავკასიის კონფედერაციის იდეა ჩვენ, ქართველებს, გვეკუთვნის; ჩვენ დავაარსეთ პირველი კონფედერაცია, რომლის სათავეში მე თვითონ გახლდით[1], მაგრამ ბოლშევიკების მიერ ჩვენდამი ვერაგული ხელშეკრულების შემდეგ ბრესტ-ლიტოვსკში, ოსმალონი თავს დაგვესხენ და დაგვინგრიეს ჩვენი საერთო სახელმწიფო წყობილება. სწორეთ დღესაც იგივე მოსკოვი და ანგორა გვანგრევს; მე იმედი მაქვს ინგლისი დახმარებას გაგვიწევს ამ მდგომარეობაში.

ლორდ–კერზონი: – რუსეთის წინააღმდეგ დახმარებაზედ ვერაფერს გეტყვით, მხოლოდ ოსმალეთის მიმართ დახმარება ჯერ კიდევ არაა დაგვიანებული. ბრესტ–ლიტოვსკის ზავი ხომ გაუქმებულია და ანგორის დელეგატმა სამი-ბეიმ გვითხრა, რომ ოსმალეთი ხელს არ ახლებს საქართველოს ტერიტორიას.

ა. ჩხენკელი: – თურქებს არაფერი დაეჯერებათ, ჩვენ მარტო მათთან ვერ შევთანხმდებით, საჭიროა ანტანტას და განსაკუთრებით ინგლისის მონაწილეობა ამ საქმეში.

ლორდ-კერზონი: – არ ვიცი, შეიძლება სამი-ბეი არ იყო გულწრფელი, მაგრამ ძალიან კი გვარწმუნებდა.

ა. ჩხენკელი: – სამი-ბეის მე დიდი ხანია ვიცნობ, აქაც ველაპარაკე მას. ის შეიძლება გულწრფელი იყოს, თვით კავკასიელ პატრიოტსაც კი ეძახის ლამის თავს, მაგრამ საეჭვოა, რომ ანგორას ნაციონალური ყრილობის

[1] იგულისხმება ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა და ჩხენკელის მეთაურობა.

უმრავლესობა მისი აზრის იყოს; ყოველ შემთხვევაში, მე ნავიკითხე ერთი ნოტა ანგორას მთავრობისა ჩვენი მთავრობისადმი, რომელიც სიტყვა-სიტ-ყვით იმეორებს, რასაც ოსმალეთი ამბობდა 1918 წელს, რომ მათ სრულიად უსამართლოდ დაკარგეს ბათუმი, ყარსი, არდაღანი ბერლინის კონგრესის შემდეგ, რომ იქ მუსულმანები ცხოვრობენ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა უკვე დაუბრუნა მათ ეს ადგილები და სხვა.

ლორდ-კერზონი: – განაგრძეთ მოლაპარაკება ანგორის დელეგაცია-სთან, ვფიქრობ, საქმე მოგვარდება.

ა. ჩხენკელი: – მოგვარდება მაშინ, როცა ანტანტა და თქვენი მთავრობა დაგვეხმარება, მე სწორეთ ხვალ დილით მივდივარ პარიზში, რომ განვა-გრძო მოლაპარაკება სამი-ბეისთან.

ლორდ-კერზონი: – კარგს იზამთ, როცა დაბრუნდებით, კიდევ ვილაპა-რაკებთ ამ საგანზე.

ა. ჩხენკელი: – ყარსის, არტაანის და ბათუმის ოსმალოს მიერ დაკავება ნიშნავს მის მიერ ამიერკავკასიის დომინაციას, რასაც ქართველი ერი ვე-რასგზით ვერ შეურიგდება. და თუ ქართველი ერი წინააღმდეგი გამოვა, ვერას დროს ვერ შესდგება ამიერკავკასიის კონფედერაცია და თურქი არ-ასდროს არ იქნება დაცული ჩრდილოეთიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, ოსმა-ლეთს ნაკლებათ ჰყავს ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწენი, რომ შეიგნონ ეს უბრალო რამ: მე ვიცნობ მათ კიდევ ტრაპეზუნდის კონფერენციიდან.

ლორდ-კერზონი: – მართალია, სამი-ბეიმ აშკარად განაცხადა რომ საქართველო ქვაკუთხედია მომავალ კონფედერაციისო, საქართველოს უმისოთ შეუძლებელიცაა ოსმალეთის ჩრდილოეთიდან უზრუნველყოფაო.

ამით გათავდა ეს საყურადღებო საუბარი, ჩხენკელს ერთხელ კიდევ გაახსენა კერზონის მდივანმა ვანსიტარმა, რომ პარიზიდან დაბრუნებისას მისთვის მიემართა დეტალებზე მოსალაპარაკებლად.

საუბრის სტენოგრამას აქვს მინაწერი: „საუბრიდან შემთხვევით გამორჩა ორი ეპიზოდი:

1. შეხვედრისას ჩხენკელის მისალმების შემდეგ კერზონმა სთქვა: თქვენ პარიზშიც ხართ წარმომადგენელი, მგონი? ჩხენკელმა უპასუხა: დიახ, აგრეთვე რომშიც.

ლორდ-კერზონი: – იყავით თუ არა რომში?

ა. ჩხენკელი: – არა ჯერ არ გხლებივართ, ვაპირებ შემდეგ.

2. როცა ოსმალების მიერ თავდასხმაზე იყო ლაპარაკი, კერზონმა სთქ-ვა: როგორც გავიგე, საქართველოს მთავრობამ თვითონ მოიწვია ოსმალე-ბი ბათუმში.

ა. ჩხენკელი: – არა. მე მაცნობა მთავრობის თავმჯდომარემ, რომ ოს-მალები ჩვენს ნებადაურთველად შემოვიდენ ჯერ არტაანში და ართვინში და შემდეგ ბათუმში; ჩვენ, ვინაიდან რუსეთი გვებრძოდა, ყოველ მხრიდან, იძულებული ვიყავით უბრძოლველად დაგვეტოვებინა ხსენებული ადგ-ილები.

ლორდ-კერზონი: – ჩვენი ცნობები და სამი ბეის ნათქვამი ეთანხმება

ერთმანეთს იმაში, რომ საქართველოს მთავრობამ მოიწვია ოსმალები.

ა. ჩხენკელი: – მე ამ 2 დღის წინეთაც მივიღე სტამბოლიდან დეპეშა, დამადასტურებელი იმისა, რაც მოგახსენეთ. სამი-ბეიმ მეც მითხრა, რომ თითქოს ოსმალეთის ჯარი საქართველოს მთავრობის თანხმობით შემოსულიყოს ბათუმში და იქ თითქოს ოსმალოს სარდლობას დაეტოვებინოს საქართველოს უზენაესობა და მისი მოხელენი.[1]

ამ საუბრიდან ჩანს ინგლისელი დიპლომატის ზერელე მიდგომა საქართველოს ტრაგიკული ვითარებისადმი, გულგრილობა და უინტერესობა, ჩანს ჩხენკელის მძიმე მდგომარეობა მოლაპარაკების მაგიდასთან, „დიდ კაცთან პატარა კაცის" სიმართლის გაუვალობა...

1921 წლის სხვა შეხვედრები უცხოელ დიპლომატებთან და სწავლულებთან

1921 წლის 19.IV-დან 9. VI — მდე, აკაკი ჩხენკელი შეხვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების დელეგაციებს, ასევე, **აბელ შევალიესა[2] და პერეტი დე ლა როკას[3]**, 26 მაისის სადღესასწაულო შეკრებაზე შეხვდა საქართველოს მეგობარ ამერიკელ პროფესორებს. დოკუმენტებში დასახელებულია ევროპელი პოლიტიკოსები: პერონი, ბორჟო, ჟან მარტენი და სხვ.

9 ივნისს [1921 წ.] მოხდა აკაკი ჩხენკელისა და ზურაბ ავალიშვილის შეხვედრა შევალიესა და პერეტი დე ლა როკასთან იმ საკითხის გასარკვევად, თუ რას მოელოდნენ საფრანგეთისგან კავკასიელები, რომლებიც შეთანხმდნენ კონფედერაციულ გაერთიანებად ჩამოყალიბებაში. მათ მოითხოვეს პარიზში კომისიის შექმნა კავკასიის საკითხზე, სადაც კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად შევიდოდნენ საფრანგეთის საგარეო, სამხედრო და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლები. „ჩვენ ვრცლათ შევჩერდით იმაზე, თუ რამდენად საინტერესო უნდა იყოს საფრანგეთისათვის კავკასიის განთავისუფლება და მის ვაჭრობა-მრეწველობაში მონაწილეობის მიღება", შევალიეს თხოვეს, რომ მას წერილობით გადაეცა მეორე დღესვე თხოვნა საგარეო საქმეთა მინისტრისათვის, თუ საჭირო იქნებოდა იქ მიეღოთ საქართველოს ელჩი და პირადად მოესმინათ მისთვის.

შევალიემ შეასრულა დაპირება და პერეტიმ მეორე დღესვე მიიწვია აკაკი ჩხენკელი. ამჯერად ქართველი ელჩი მარტო წავიდა აუდიენციაზე, მან პერეტის უთხრა ის, რაც უკვე ნათქვამი ჰქონდა ბრიანისათვის კავკასიის რესუბლიკებზე, მათ ახალ გაერთიანებაზე. პერეტიმ კავკასიის გაერთიანებულ სახელმწიფოს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. მან თხოვა ჩხენკელს გადაეგზავნა მისთვის მიღებული დეკლარაციის ასლი, ჩხენკელიც დაპირდა, თუმცა ისიც უთხრა, რომ ამ კავშირის ინიციატორები ქართველები იყვნენ, ამგვარი შეთანხმება ბევრ შრომას უკავშირდებოდა, რადგან კავკასიის ხალხთა შორის ბევრი წინააღმდეგობა იყო. ხაზი გაუსვა

[1] სცსსა 1831, აღ.2, საქმე 97, ფ. 1-4.
[2] აბელ შევალიე, — კავკასიაში საფრანგეთის უმაღლესი კომისარი.
[3] პერეტი დე ლა როკა, — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1921 წელს.

იმასაც, რომ, გავრცელებული აზრით, საფრანგეთი ხელს არ აიღებდა კავკასიაზე, დააარწმუნებდა რუსეთს, როდესაც იქ ბოლშევიზმი დაეცემოდა, ამ დროს ჯერ კიდევ დიდი იყო ამის რწმენა, რომ რუსეთი კავკასიის გარეშეც ძლიერი იყო და კავკასიის ჩამოცილება სულაც არ ნიშნავდა მის დანაწილებას, საფრანგეთს უნდა დაერწმუნებინა რუსეთი, რომ პირიქით იყო, ევროპა დ საფრანგეთი მას კავკასიის გარეშეც მიიღებდა მოკავშირედ და მეგობრად.[1]

1921 წლის 21 მაისს აკაკი ჩხენკელმა ჟენევაში გამართა საუზმე დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად და მიიწვია საქართველოს მეგობრები, პროფესორები, რექტორები, რედაქტორები და სხვა ადამიანები. მათ შორის იყვნენ: ამერიკელი პროფესორი, ვუდრო ვილსონის მეგობარი — პერონი, ამერიკელი პასტორი, პროფ. მორიო, პროფ. ბორჟო. ისინი მიესალმენ კავკასიის გაერთიანებას, ურჩიეს შვეიცარიის მაგალითი აეღოთ და მეტი დაეთმოთ ერთმანეთისთვის, მაგრამ ისიც თქვეს, რომ ევროპა კრიზისს განიცდიდა და რუსეთის რევოლუცია, ქრისტიანობის სახელით რომ მოქმედებდა, გადაარჩენდა ქრისტიანობას და კაცობრიობას. ჩხენკელმა ახსნა, რომ ბოლშევიზმს ქრისტიანობასთან საერთო არაფერი ჰქონდა, თქვეს კავკასიის ლამაზი სადღეგრძელოები, ჟან მარტელმა გაიხსენა 1920 წლის 26 მაისს საქართველოში სტუმრობა, აბასთუმანი, სადაც ჩხენკელთან ერთად იყო, თხოვეს ელჩს საქართველოს კონსტიტუციის თარგმნა და მიწოდება მათთვის.[2]

საინტერესო შეხვედრები ჰქონდა აკაკი ჩხენკელს გერმანელ დიპლომატებთან — მიულერთან, ბარენბერგ-გოსლართან და შტამერთან, 1921 წლის მაის-ივნისში.

ევროპაში წასული საქართველოს კანონიერი მთავრობა და მისი ყველა წევრი შეურიგებლად იბრძოდა რუსული ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ და ევროპის ქვეყნებთან დიპლომატიურ გზებს ეძებდა ამ საკითხის საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით დასაყენებლად. ჩხენკელი ამ საქმის აქტიური ხელმძღვანელი და კოორდინატორი იყო. მას, როგორც ევროპაში საქართველოს ელჩს, კანონიერი ხელისუფლების რწმუნებულს, ჰქონდა უამრავი შეხვედრა ევროპელ ლიდერებთან, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მომავალი ბედის საკითხზე. მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო, საკუთარი პრობლემებითა და ინტერესებით დატვირთული ევროპის დიდი სახელმწიფოები ქართველ პოლიტიკოსთა მოთხოვნებს ნაკლებად ითვალისწინებდნენ, მას მხოლოდ მაშინ აქცევდნენ ყურადღებას, როდესაც ინტერესები ერთმანეთს ჰკვეთდნენ.

თუ რას ცდილობდა ქართული დიპლომატია, რა ურთულეს პირობებში იბრძოდა ქართული სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, კარგად ჩანს იმ შეხვედრებისა და დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველი მასალებ-

[1] სცსსა 1831, აღ.2, საქმე 280, ფ. 2;
[2] სცსსა 1831, აღ.2, საქმე 280, ფ. 3;

ის გაცნობისას, რაც 1921 წელსვე, ჩხენკელისა და მისი თანამებრძოლების მიერ განხორციელდა.

მივყვეთ მოვლენებს 1921 წლის მაისიდან, როდესაც ელჩმა ინახულა დამოუკიდებლობის წლებში ევროპაში ყველაზე ახლო პოლიტიკური მოკავშირის გერმანიის ელჩები ევროპის ქვეყნებში, რათა გაეცნო მათთვის საქართველოში შექმნილი ვითარება, ამასთანავე, მიეცა გერმანიის მთავრობისათვის წარსადგენი დირექტივები. ამ შეხვედრის დეტალებს თავად ჩხენკელი აზუსტებს საკუთარ ჩანაწერში. აი, ეს ჩანაწერიც (სტილი უცვლელია):

„19.V. ა. ჩხენკელმა ინახულა გერმანიის ელჩი რომში, რომელმაც დიდის მხურვალებით და პატივით მიიღო ის. გერმანიის ელჩს ფ. ბარენბერგ-გოსლარს არ ჰქონია მანდამაინც ნამდვილი წარმოდგენა საქართველოზე და კავკასიაზე საერთოთ, ჩხენკელმა გააცნო იქ შექმნილი მდგომარეობა. ჩხენკელის კითხვაზე მან მიუგო, რომ ბერლინი უშუალოთ აწარმოებს პოლიტიკას მახლობელ აღმოსავლეთთან და კავკასიასთან, რაზედაც ჩხენკელმა გამოთქვა აზრი, რამდენად უკეთესი იქნებოდა, რომ რომშიც გამოეჩინა საელჩოს მეტი აქტივობა, რადგან აქედან მიმოსვლა კავკასიასთან არსებობს და ანგორაც აქ აწარმოებს საქმეს ანტანტასთან.

შემდეგ ჩხენკელი შეეხო ლოიდ-ჯორჯის უკანასკნელ სიტყვას სილეზიის შესახებ და გამოთქვა აზრი, შესაძლოა ინგლისმა სცნოს ბოლოს საჭიროდ გერმანიის თანამშრომლობა რუსეთის საქმეებში და აქედან არაა მოსალოდნელი, რომ გერმანიის ტეხნიკა, ორგანიზაცია გამოყენებულ იქნას კავკასიაში. ჩხენკელი იმასაც კი დასძენდა, რომ ინგლისი იძულებული იქნება რამე კომპენსაცია მისცეს გერმანიას და უკანასკნელს, ვინაიდან მან დაჰკარგა ბაღდადის გზა და სხვ., შეუძლია მოითხოვოს თავისთვის ეკონომიური მუშაობა კავკასიაში, აგრეთვე ამ გზით ნედლი მასალის გამოზიდვა წინა აზიიდან.

ბარენბერგ გოსლარს ჭკუაში დაუჯდა ეს მოსაზრება და თქვა, რომ ის მიაქცევს ამ საკითხზე ბერლინის ყურადღებას.

საზოგადოთ ჩხენკელმა მოითხოვა მეტი აქტივობა გერმანიის მხრიდან, თუ მას უნდა კავკასიელების სიმპათია შეირჩინოს, მას ჰყავს თავისი ინტიმური მეგობრებიც ლონდონში, რომელთა დახმარებით შეუძლია მოსინჯოს ნიადაგი; ინგლისი, რომელიც დატვირთულია ამდენი საქმეებით, მიიღებს გერმანიის თანამშრომლობას კავკასიაში და ამ შემთხვევაში ის დაეხმარება კავკასიელებს შეკავშირდენ, გამაგრდნენ და თავი დააღწიონ რუსეთის უღელს. გერმანიის ელჩმა ხმის ამაღლებით წამოიძახა: ჩვენ არცა როდის არ ვყოფილვართ პასიური, აქტივობა ჩვენი სტიქია არის, იყავით დარწმუნებული, ჩვენ არ დავაკლებთ ცდას თქვენი საქმე გამოსწორდეს და ჩვენც სარგებლობა გვექნეს.

ბოლოს ბარენგბერგ-გოსლარმა აღუთქვა ჩხენკელს, რომ ის იქნება მჭიდრო დამოკიდებულებაში მის მოადგილესთან – მაჩაბელთან და რაც შეიძლება ხელს შეუწყობს მის მუშაობას რომში. მაჩაბელს ის წინათაც იც-

ნობდა, იცნობდა აგრეთვე საელჩოს სხვა წევრებს.

ა. ჩხენკელმა თხოვა გერმანიის ელჩს, გაეთვალისწინებია, რომ საქართველოს მთავრობას არ შეუძლია აშკარათ იმოქმედოს, რადგან ანტანტამ არ დასწამოს მას გერმანიის მიკერძება, მან ცოტა დასჯა არ განიცადა ამისათვის.[1]

27. V. 21. ბერნიდან 13 კილომეტრში, მიუსინგენში, სასტუმრო „ლომში" მოხდა შეხვედრა ა. ჩ.–სა და **გერმანიის ელჩს ბერნში ავგ. მიულერს**[2] შორის. მუსაიფმა სამ საათზე მეტი გასტანა (ერთად ივახშმეს), ეხებოდა ბევრ სხვა და სხვა საგნებს, აქ მოკლედ მოტანილია მათ შორის დიალოგი.

ჩხენკელი: მე ჩამოვედი ბერნში სპეციალური მიზნით – ეს იყო თქვენი ნახვა და ზოგიერთ საჭირბოროტო კითხვაზე მოლაპარაკება. ვიცი თქვენი წარსული, აგრეთვე ისიც, რომ თქვენს აზრს ანგარიშს უწევს თქვენი მთავრობა.

მიულერი: მეც ბევრი ვიცი თქვენს შესახებ, ამიტომ განსაკუთრებულ სიხარულს ვეძლევი, რომ მაქვს შემთხვევა პირადათ გელაპარაკოთ. მე თქვენს განკარგულებაში ვარ.

ჩხენკელი: მე არ მინდა შორიდან დავიწყო, თქვენ იცით ჩვენი ვითარება, ვიცი გაინტერესებთ იგი. რაუშერი, სანამ თფილისს წავიდოდა, თქვენ გესაუბრათ აქ. გერმანიას კარგი ატმოსფერო აქვს საქართველოში, კავკასიაში, მცირე აზიაში, – მინდა ვიცოდე, ფიქრობს თუ არა ის ახლა ჩვენს შესახებ, აქვს თუ არა რამე განზრახვები ჩვენს მიმართ.

მიულერი: მე ყოველთვის მაინტერესებდა კავკასია, მომივლია ბევრი ქვეყნები, ანატოლიაც, ჩემი ნატვრა იყო, როგორც ალპინისტის, მოვხვედროდი თქვენს მშვენიერ ქვეყანაშიც, მაგრამ ამაოდ. მართალი გითხრათ, მე ცოტას ვფიქრობდი ამ ჟამად კავკასიაზე, იმდენი თავსამტვრევი კითხვები გვაქვს უფრო ახლო, მაგრამ ახლა კი ისევ გამიცხოველდა საქართველოს საქმე და ამის მიზეზი თქვენთან შეხვედრა არის.

ჩხენკელი: მე აკი გითხარით, გერმანიას სიმპატიით უყურებს არა მარტო საქართველო, სხვა რესპუბლიკებიც კავკასიისა, ამიტომ საჭიროა მეტი ინტერესი და ყურადღება გამოიჩინოს მისმა მთავრობამ ჩვენს მიმართ. სიმპატია–ანტიპატიას თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მე მოგახსენებთ იმ მგლურ ინტერესებზე, რომელიც გერმანიას აქვს და უნდა ჰქონდეს კავკასიაში და მის იქითაც, ჩვენის გზით. იმავე დროს ჩვენ ვიცით, რომ თქვენ საშიში არა ხართ პოლიტიკურათ! ახლა მაინც. თქვენ შეგიძლიათ თქვენი ცოდნა, კაპიტალი, ტექნიკა მოახმაროთ კავკასიას, რაიც დიდათ მოსაგები იქნება თქვენთვისაც.

მიულერი: სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ როგორ და რა გზით? შეგვეძლება განა თქვენამდე მივწვდეთ? ანტანტა ხომ გადაგვეღობება წინ? ინგლისი?!

ჩხენკელი: დიახ, დაბრკოლებები ბევრია, განსაკუთრებით, სანამ ოსმალეთი ფორმალურათ ჯერ კიდევ ომშია ანტანტასთან. შემდეგაც სრუ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 101, ფ.11.

[2] ავგუსტ მიულერი, — გერმანელი დიპლომატი, გერმანიის ელჩი იტალიაში 1921-1922 წლებში.

ტეების კლიტე ალბათ ისევ ინგლისს ექნება კარგა ხანს. მეორე გზა, სანამ ბალკანეთის და ყოფილ ავსტრო-უნგრეთის საქმეები ასე ასვრილია, თითქმის გამოუსადეგარია. მაგრამ მე სახეში მაქვს არა იმდენათ თქვენი დაპირისპირება ანტანტასთან ჩვენს შესახებ, რაიც შესაძლოა საბედისწეროც კი გამოდგეს ჩვენთვის, – რამდენადაც თქვენი შეთანხმება ანტანტასთან (ჩვენს შესახებ). **ჩემი საქმე არაა, როგორც პატარა სახელმწიფოს წარმომადგენელის, დიდ სახელმწიფოზე ვილაპარაკო, მაგრამ თქვენთან, როგორც ამხანაგთან, შემიძლია უფრო თამამი ვიყო. გერმანიას, ჩემის აზრით, ახლო მომავალში არ ძალუძს სრულიად დამოუკიდებლათ იმუშაოს მის საზღვრების გარეთ; არ დაანებებენ მას გამარჯვებული სახელმწიფოები თავისუფალ მუშაობას თვით ეკონომიურათაც. ამიტომ საჭიროა, ჩემის ფიქრით, ის გაუამხანაგდეს ერთ ან ორ გამარჯვებულ სახელმწიფოს და მასთან ერთათ იმუშაოს ჩვენში.**

მიულერი: ეგ აზრი ძალიან საინტერესოა, ვინა გყავთ სახეში? რა არის თქვენი გეგმა?

ჩხენკელი: მე გეგმა არა მაქვს მზამზარეული, მინდა თქვენთან ერთათ ვითათბირო ამაზე. მე ვიცი, ინგლისში ტრიალებს ერთი აზრი: გერმანიის თანამშრომლობა რუსეთის აღსადგენათ. რუსეთი დანგრეულია არა მარტო როგორც ეკონომიური ორგანიზმი, არამედ როგორც სახელმწიფოც. საეჭვოა სხვა ძალა არსებობდეს, გარდა გერმანიისა, რომელსაც შეეძლოს რუსეთის აღდგენა. ინგლისში უკვე ამჩნევენ ამას და შესაძლოა შესაფერი დასკვნაც გააკეთონ, თუ თქვენც მეტ აქტივობას გამოიჩენთ. ინგლისს არ სურს, რა თქმა უნდა, ძლიერი რუსეთი, მისი ხელშეკრულებაც მასთან უფრო იმ მიზნითაა დადებული, რომ ბოლშევიკებმა შესძლონ უფრო საფუძვლიანათ დაამხონ იგი; მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც საჭირო გახდება ნორმალური მდგომარეობა გაჩნდეს იქ ინგლისის აპეკის ქვეშ და გერმანიის გამრჯელობის მეოხებით. ინგლისს არ სურს, ცხადია, კავკასია დაუბრუნდეს რუსეთს, მაგრამ იმავე დროს ის უხერხულათ თვლის და ან კიდევ არ სცალია, პირდაპირ აიღოს ხელში მისი საქმეები; ამიტომ, თუ გამოჩნდა სხვა ძალა, რომელიც ამას იკისრებს, ინგლისი ალბათ ისარგებლებს ამ თანამშრომლობით. თქვენ იცით, ინგლისს არ სურდა ჩვენი დანგრევა, მაგრამ არც შეეძლო ჩვენი დახმარება, მაგრამ, თუ გერმანიის დახმარებით კავკასიის ხალხები შეკავშირდებიან, დაირაზმებიან და გადაიგდებენ მოსკოვის უღელს, ინგლისი, მე ვფიქრობ, ძლიერ კმაყოფილი დარჩება. ჩვენ უკვე გვაქვს მოლაპარაკება მეზობლებთან და ძალიან ჩქარა საერთო დეკლარაციით გამოვალთ, **ერთგვარ პატარა ანტანტას შევადგენთ კავკასიისა (ხაზი ყველგან ჩვენია — დ. ჭ.)**, მაგრამ ჩვენ გვეჭირვება გერმანიის ორგანიზატორული დახმარება, მისი სპეციალისტები, რომ მართლა შევძლოთ მოვემზადოთ განმათავისულებელ მოქმედებისათვის. მეორეს მხრით, ინგლისმა, რომელმაც ყველაფერი წაგართვათ, განსაკუთრებით ბაღდადის გზა, შესაძლოა თვითონ იგრძნოს კომპენსაციის საჭიროება თქვენს მიმართ, სახელდობრ კავკასიაში, რომელიც თავის საზღაპრო

ბუნებრივ სიმდიდრით და როგორც წინა აზიისაკენ, თქვენ საშუალებას მოგცემთ მოზიდოთ თქვენთვის აუცილებელი ნედლი მასალა. ერთი სიტყვით, კავკასიის განთავისუფლება თქვენის დახმარებით სწორეთ შეეფერება ინგლისის პოლიტიკის ხასიათსაც: სხვისი ხელით წაბლის ღადარიდან ამოღება. მერმე თქვენ ეხლა საშიში არა ხართ მისთვის: სამხედრო ფლოტი წაგართვეს! რას იტყვით?

მიულერი: კომბინაცია სერიოზულია, სასარგებლოა მისი აწონ-დაწონვა, მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ჯერ ზოგადათ ვლაპარაკობთ, მეც მომდის თავში მეორე კომბინაციაც: საფრანგეთთან გაამხანაგება და პოლონეთის (რომლის არსებობის უნარი ჯერ გამოურკვეველია ჩემთვის) შეყვანა ამ საქმეში! გერმანია კონკურენტია ინგლისისა მსოფლიო ბაზარზე, არის წინააღმდეგობა ეკონომიური მათ შორის. ზავის საკითხში ინგლისი უფრო შეუბრალებელი მოპირდაპირე იყო ჩვენი, ვინემ საფრანგეთი, თუმცა უკანასკნელი უფრო მეტს ხმაურობდა. საფრანგეთი არა გრძნობს ჩვენს ეკონომიურ კონკურენციას, სამაგიეროთ ის გრძნობს ინგლისის გეგემონიას; თან მას არ სურს შრომა, უნდა გერმანია გაიხადოს სანოველ ფურად, როგორც რუსეთი ოდესმე, ჩვენც, რა გაეწყობა, თანახმა ვართ, ვიშრომებთ მისთვის და ჩვენთვის; ის იძულებული იქნება საწარმოო თანხა თვითონ მან გაგვიჩინოს, რომ ჩვენ იქიდან მისი ვალის გასასტუმრებელი საშუალებაც გავიჩინოთ. ჩვენ და საფრანგეთის ასპარეზი იქნება უმთავრესათ ყოფილ ავსტრო-უნგრ. ტერიტორია და ბალკანეთი, ინგლისსაც არაფერი ექნება ამის წინააღმდეგი.

ჩხენკელი: თქვენს კომბინაციაში თითქოს მიღებული არაა სახეში კავკასია, რომელიც ინგლისს აინტერესებს. თქვენი საფრანგეთთან გაამხანაგება სიმპატიურია ჩვენთვის, ამას სამხედრო მნიშვნელობა აქვს დღეს, მაგრამ მდგომარეობა თითქოს ხელს არ უწყობს ამას. ჯერ კიდევ დიდი ხანი გაივლის, სანამ ფრანგნი განთავისუფლდებიან უნდობლობისადმი თქვენდამი, მათ საგარეო პოლიტიკას აქვს თავისი ლოღიკაც: განა იმისათვის შექმნეს სამი ახალი სლავიან. სახელმწიფო (პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია, იუგო-სლავია) და მეოთხესაც იკავშირებენ (ბოლგარია), რომ გერმანიას გაუამხანაგდნენ? სანამ რუსეთი ფეხზე არა დგას, საფრანგეთი იქნება ტონის მიმცემი კონტინენტზე, შემდეგ კი რუსეთი შემოიკრებს ამ მოძმე სახელმწიფოებს და გაჩნდება პანსლავიზმის საფრთხე. საფრანგეთი, სანამ რუსეთში ბოლშევიზმია, კარგის თვალით უყურებს კავკასიას, შეიძლება კიდეც დაეხმაროს მას და ამით ჩვენც ვისარგებლებთ, მაგრამ საბოლოოთ იგი არ არის ჩვენთვის საიმედო, ვინაიდან, როგორც კი გამოიცვლება რეჟიმი რუსეთში, უკანასკნელს საჩუქრად შესთავაზებს ის კავკასიას. რუსეთის მომდურება საფრანგეთს არ ძალუძს თქვენი შიშით და ეს შიში მთლათ უსაფუძვლოც არ არის, ვინაიდან თქვენც მოისურვებთ ალბათ ზოგიერთ უსამართლობის გასწორებას აღმოსავლეთით (დანციგი, სილეზია), აგრეთვე ვალების შეკვეცას...

მიულერი: საფრანგეთს მართლა შიში აქვს ჩვენი, მაგრამ ჩვენ ვეცდებით

ეს შიში გავუქროთ მას, ჩვენ ვებრძვით რევანშის სულისკვეთებას; აგრეთვე ჩვენ დავაჯერებთ საფრანგეთს, რომ მეცადინეობა და სურვილი არ გვაკლია გადვიხადოთ მისი ვალი და, თუ მთლათ გადახდა ვერ შევძელით, ისიც შეურიგდება ამ აუცილებლობას. მაგრამ თქვენი მოსაზრებანიც საფუძვლიანია, მე გადაწყვეტით არ შემიძლია ვთქვა, რომ შესაძლოა საფრანგეთთან ერთათ მსვლელობა, ამ საქმეში მთავარ როლს თამაშობს ინგლისი, დამოკიდებულია როგორ მოექცევა ის საფრანგეთს. ინგლისს სურს ამოუვსებელი ორმო გათხაროს ჩვენსა და საფრანგეთს შორის, სილეზიის საკითხშიც ბევრს არ გამოველით მისგან, მიუხედავად ლ. ჯორჯის გამოსვლისა. რუსეთის ძველ ფარგლებში აღდგენა ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, არაა სასურველი. ერთი სიტყვით, კითხვა არც ისე მარტივია. თქვენი აზრი ჩვენი ვისმესთან შეთანხმების შესახებ მართალია, მაგრამ ვისთან?

ჩხენკელი:. მე ერთი კომბინაციაც მომდის თავში. გავიგე, რომ თქვენი სტინესი და ამერიკის მორგანი რაღაც მოლაპარაკებაში არიან ერთმანეთთან, უნდათ ერთათ გააჩაღონ საქმეები. ეს თითქოს მოასწავებს იმას, რომ თქვენი და ამერიკის თანამშრომლობა შესაძლოა და, ვინაიდან ამერიკას ცოტა აქვს ნავთი და თქვენ კი სულაც არა გაქვთ და ბევრი სხვა გაკლიათ, შესაძლოა ორივემ დაიწყოთ მუშაობა კავკასიაში. გახსოვთ, ინგლისი ცდილობდა ამერიკას აეღო სომხეთის მანდატი, მაგრამ ვერ დაითანხმა, ახლა, თუ კითხვა კავკასიაზე დაისვა, ვინ იცის, იქნებ ამერიკამ ჩასჭიდოს მას ხელი. ამით ინგლისი ერთგვარ კომპენსაციას მისცემს მას მესოპოტამიის ნავთის მაგიერათ. ამერიკა–გერმანიის მუშაობა ხელსაყრელია ჩვენთვის.

მიულერი: თუ ამერიკას დავუახლოვდით, საფრანგეთიც შემოვა პარტნიორად მაშინვე (ა. ჩ. აგრეთვე იტალიაც!), ჰო, იტალია ყოველ კომბინაციაში შევა! მე მქონდა შემთხვევა გავცნობოდი ამ დღეებში ფრიად საყურადღებო მოხსენებას, გერმანიის უდიდეს სამრეწველო ფირმებისთვის დაწერილს. და იქიდან სჩანს, რომ ამერიკა განიცდის საშინელ კრიზისს მრეწველობაში, ამიტომ ის ერთი წლის განმავლობაში, სულ უკანასკნელი, გამოუდეგარია სხვა ქვეყნებისთვის. ყოველ შემთხვევაში ყველა ამ კომბინაციებს შესწავლა უნდა, განჭვრეტა, ამას კიდეც შვრებიან რამდენათმე გერმანიაში.

ჩხენკელი: დიახ, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მუშაობთ ამ ნიადაგზე, მხოლოდ ჩვენ გვინდა, რომ გერმანიამ თავის მომავალ კომბინაციებში არ დაივიწყოს კავკასიაც. მე გულახდილად გეტყვით, რომ კავკასიაზე უფრო ხელსაყრელი ქვეყანა სხვა არ მეგულება თქვენი ეკონომიურ და ტექნიკურ საშუალებების გამოსაყენებლად. თავი და თავი ისაა, რომ თქვენ თვითონ გამოიჩინოთ ინიციატივა, მეტი აქტივობა ჩვენ მიმართ. კარგათ იცით, ჩვენ არ შეგვიძლია კრინტიც დავძრათ გერმანიის შესახებ ანატანტას ქვეყნებში – მაშინვე გერმანოფილობას დაგვწამებენ – და ისედაც ბევრი უსიამოვნება გვხდა წილად 1918 წ. ამბების გამო. თქვენა გყავთ, მე ვიცი, ინტიმური მეგობრები ინგლისშიც, ამერიკაშიც, საფრანგეთშიც, იტალია-

შიც, საჭიროა ამ მეგობრების საშუალებით შესინჯოთ ნიადაგი, დაიწყოთ მოლაპარაკება კავკასიის პერსპექტივების შესახებ, რა თქმა უნდა, ჩვენ დაუსახელებლათ. თქვენ, მე დარწმუნებული ვარ, შესძლებთ ჩქარა გამოარკვიოთ, ვისთან შეგეძლებათ მუშაობა და, როცა თქვენი პარტნიორი მოისურვებს ჩვენთან ლაპარაკს, ვეცდებით თქვენ სასარგებლოთ მოვატრიალოთ საქმე, კავკასიის ხალხები გენდობიან ისედაც.

მიულერი: სრული სიმართლეა, თქვენ არ შეგიძლიათ ჩვენზე ილაპარაკოთ ანტანტასთან, ეს ჩვენი საქმეა. დარწმუნებული ვართ თქვენს მეგობრობაშიც, ჩვენ ისიც ვიცით, რას მოასწავებს თქვენი დანიშვნა ელჩად ანტანტას ქვეყნებში! მე დიდ მნიშვნელობას ვანერ ჩვენს შეხვედრას აქ, მადლობელიც ვარ რომ, ასე მიაპყარით ჩემი ყურადღება თქვენს პრობლემას. მე ამ ორ-სამ კვირაში წავალ უთუოთ ბერლინში და სერიოზულათ დავსვამ თქვენს საკითხს, ვისთან ჯერ არს. ვფიქრობ, ბერლინი მას ანგარიშს გაუწევს და თქვენც იმედია, სასურველ პასუხს მოგცემთ. მე ვიზრუნებ თქვენთან კავშირზე, მოგაწვდით საჭირო ცნობებს.

ჩხენკელი: მე უკვე გითხარით, რომ ჩემი შვეიცარიაში ჩამოსვლა გამოწვეულია თქვენი ნახვის მიზნით. დრო არ იცდის, საჭიროა დაჩქარება. ბოლშევიკები არ ცხრებიან, ისინი, მგონი, ჩქარა საშიში იქნებიან საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის, შესაძლოა ეს გართულება კავკასიაში დაიწყოს და ეს გვავალებს მომზადებას. თქვენ შეგიძლიათ გავლენა მოახდინოთ ოსმალეთზე, რომ მან იკმაროს ამდენი სირეგვენე ჩვენს მიმართ, თორემ სამუდამოთ დაჰკარგავს იმასაც, რაც აბადია. აუცილებლათ საჭიროა, რომ გერმანია ხშირ-ხშირათ ახსენებდეს საქართველოს და კავკასიას თავის თავს. მაგ; განზრახვა იყო რეიხსტაგს მიეღო საპროტესტო დადგენილება ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაკავების წინააღმდეგ. აქ არის ეხლა ჩვენი წარმომადგენელი ბერლინში, მე მას მივცემ შესაფერ დერექტივებს ვისთან და როგორ უნდა იმოქმედოს.

მიულერი:. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ ვეცდებით, რაც შეგვიძლია. (მან ჩაიწერა მისამართები, გვარები, აგრეთვე მთავარი მუხლები, რაზედაც ელჩი ეუბნებოდა)[1].

დარბაზობა გერმანიის ელჩთან ლონდონში

ა. ჩხენკელი 23. VI. 21 იყო სადარბაზოდ გერმანიის ელჩთან ლონდონში, შტამერთან, დარბაზობამ გასტანა ერთი საათი და 10 წუთი.

დარბაზობის ჩანაწერი ეკუთვნის თავად აკაკი ჩხენკელს.

„აღმოჩნდა, რომ გერმანიის ელჩს შორეული წარმოდგენაც კი არ ჰქონებია კავკასიის საქმეებზე, არც ბერნის ელჩს (გერმანიისა) მიულერს მოუწერია არაფერი ჩემი მასთან მოლაპარაკებაზე. ჩხენკელს მოუხდა ხელახლავ მბობა ყველა იმისა თითქმის, რაც მიულერს უთხრა. ვინაიდან გერმ. ელჩი ჰამბურგელი ყოფილი კომერსანტია, ის დიდის ყურადღებით

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 101, ფ. 2-7.

და მოთმინებით ისმენდა. ჩხენკელმა გადასცა, ასლი კავკასიის კავშირისა, აგრეთვე ასლი იმ მემუარისა, რომელიც მან დასწერა რომში და გადაეცა იქაურ მთავრობას. ჩხენკელი უმტკიცებდა მას, რომ გერმანიის მხრივ დიდი შეცდომა, თითქმის დანაშაული იქნებოდა, მან რომ არ მიაქციოს სათანადო ყურადღება კავკასიას. უკანასკნელი საუკეთესო ადგილია გერმანიის ეკონომიურ მოქმედებისთვის, ის მისცემს მას აგრეთვე საშუალებას გამოზიდოს წინააზიიდან ნედლი მასალა და სხ. ვინაიდან გერმანია პოლიტიკურათ სუსტია დღეს-დღეობით, მას არ შეუძლია, — ამბობდა ჩხენკელი, — დამოუკიდებლად იმოქმედოს იქ, ამისათვის საჭიროა შეთანხმება ერთ-ერთ, თუ ყველასთან არა, მოკავშირე სახელმწიფოსთან, პირველ რიგში ინგლისთან. ამიტომ, ჩხენკელის აზრით, გერმან. ელჩის ფხიანობა ამ საქმეში სწორეთ ლონდონში დიდ შედეგებს გამოიწვევს მისი ქვეყნისათვის.

ჩხენკელს არ დაუმალავს ისიც, რომ გერმანია დაინტერესებულიცაა ახლო აღმოსავლეთის და რუსეთის საქმეების გართულებაში, ვინაიდან ეს ასუსტებს მის მოპირდაპირეთ, მაგრამ პასიურათ ყურება და ხსენებულ გართულებათა გადაჭარბებული შეფასება ავნებს მის საარსებო ინტერესებს. მოსკოვის და ანგორას ნაციონალისტებთან საქმის დაჭერა, მათზე დაყრდნობა ავნებს მას თვითონ. საჭიროა გერმანიამ ისარგებლოს იმ კარგი სახელით, რომელიც მას აქვს მოხვეჭილი ოსმალეთში და კავკასიაში და ეცადოს მათი ეკონომიურათ აღდგენასთან ერთათ თავის თავს მოუტანოს უდიდესი სარგებლობა. ერთად ერთი პირობა, რომელიც უნდა აღასრულოს გერმანიამ, არის ის, რომ მან არ გასწიროს კავკასიის დამოუკიდებლობა, არ გამოექომაგოს რუსეთის გაბატონებას იქ. ეს ავნებს მას პოლიტიკურათ, ვინაიდან ძლიერი რუსეთი ხელსაყრელი არ არის მისთვის, ხოლო სიმპატიას ოსმალეთისა და კავკასიის ხალხებისა სამუდამოთ დაჰკარგავს. გერმანიის ელჩი მხოლოდ ისმენდა, მხოლოდ კითხვებს სვამდა დრო-გამოშვებით და გამოთხოვებისას უთხრა ჩხენკელს: „თქვენ გამინათეთ ფრიად საყურადღებო საკითხი, მე მას შევისწავლი უთუოთ და იმედი მაქვს კიდევ გნახავთ ლაპარაკის განსაგრძობათ." ჩაინერა მისამართი, ტელეფონი.[1]

ჩვენ გერმანელ დიპლომატებთან ჩხენკელის ეს სამი შეხვედრა შევარჩიეთ, თანაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პირველივე თვეებში. ამ შეხვედრების შინაარსით შეიძლება დავასკვნათ: 1. ქართული დიპლომატია თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ღრმა ანალიზით ცდილობს იშოვოს ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის პარტნიორი, რომელიც დაეხმარება მომავალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ორგანიზებისათვის იმ ინტერესების სანაცვლოდ, რაც შეიძლება მისთვის კავკასიაში იყოს; 2. საქართველომ შეიძლება დააინტერესოს დიდი სახელმწიფოები გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით; 3. ქართველმა დიპლომატებმა ამ ეტაპზე, ევროპის დიდი სახელმწიფოების ყურადღების მისაქცევად, აუცილებლობად ჩათვალეს „კავკასიური ანტანტის", კონფედერაციის შექმნა, დაძლიეს შინაგანი წინააღმდეგობანი, მათ შორის სასაზღვრო დავები და ჩამოაყალიბეს ერთიანი კავკასიის გეგმა;

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 101, ფ.8.

4. წარმოდგენილი მასალიდან, განსაკუთრებით მიულერთან შეხვედრის სტენოგრამიდან, ჩანს ქართული დიპლომატიის მცდელობა, უჩვენოს გერმანელ დიპლომატს სხვადასხვა კომბინაცია, რაც საქართველოს ინტერესებშიც შედიოდა, ჩანს გერმანელი დიპლომატის არა მარტო დაინტერესება შეთავაზებული საკითხებით, არამედ გაკვირვებაც ქართველი დიპლომატის ნააზრევისა თუ ჭკვიანური ჩანაფიქრის გამო. ეს ასეა, თუმცა, ისტორიას როგორც ჩანს, თავისი დინების კალაპოტი აქვს და იშვიათად გაექცევა საკუთარ გზას, ისტორიიდან გაქცევას ვერც ადამიანები ახერხებენ, ამ შემთხვევაში კი, ინგლისი და ამერიკა იმდენად თანხვედრი აღმოჩნდა თავიანთი დინებითა და მიმართულებით, არც ქართველი ჩხენკელის ჭკვიანური სვლები და არც გერმანელი მიულერის მომავლის გეგმები ვერ შეცვლიდა მას. ამან განაპირობა ქართველი დიპლომატის მარადიული ემიგრანტობა და საშობლოზე გაუქარვებელი დარდი, გერმანელი მიულერის კი — ნაცისტურ-ტოტალიტარული იდეოლოგიის აღიარებამდე და ამით სავალალო დასასრულამდე მიყვანა.

1921 წლის შეხვედრები
იტალიელ დიპლომატებთან და სახელმწიფო მოღვაწეებთან

1921 წელი მტკივნეული, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ იმედიანი დრო იყო ქართული ემიგრაციისათვის. ყველა ფიქრობდა, რომ საქართველოში უსამართლოდ შემოჭრილი ოკუპანტის წინააღმდეგ მსოფლიო ხმას აღიმაღლებდა და ეროვნულ ხელისუფლებას სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცემოდა. აკაკი ჩხენკელიც, როგორც მისი სტატუსი (საქართველოს ელჩი ევროპაში) ითვალისწინებდა, მუხლჩაუხრელად ცდილობდა ევროპის ყველა ლიდერთან და დიპლომატთან შეხვედრას და მათ ინფორმირებას ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულზე: დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს დაპყრობაზე, საქართველოში გატარებულ მათ პოლიტიკაზე, ოპოზიციური პარტიების, განსხვავებული თვალსაზრის მქონე ადამიანების დევნაზე, ეკლესიის დისკრედიტაციასა და საეკლესიო პირების მიმართ სადამსჯელო პოლიტიკაზე და სხვ.

1921 წლის აპრილში ჩხენკელი, ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, შეხვდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ სფორცასა და იტალიის სხვა მაღალჩინოსნებს. ამ შეხვედრების შესახებ მან ოქმები თავად შეადგინა. მოვიტანთ გრაფ კარლო სფორცასთან აკაკი ჩხენკელის შეხვედრის ჩანაწერს.

„შეხვედრა გრაფ სფორცასთან

27 აპრილს 1921 წ. იტალიის საგარეო მინისტრმა მიიღო საქართველოს ელჩი ა. ჩხენკელი. ლაპარაკი გაგრძელდა 8 წუთი. ჩვეულებრივ ერთ-ერთ მისალმების შემდეგ:

ჩხენკელი: ყველაზედ წინ მე ვთვლი ჩემ სასიამოვნო მოვალეობათ გადმოგცეთ თქვენ ჩემი მთავრობისა და კერძოდ თავმჯდომარის სახელით

ულრმესი მადლობა ყველა იმ ძვირფასი სამსახურისათვის, რომელიც გაგვიწია თქვენმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბ. ჩერუტიმ და საზოგადოთ იტალიის მოქალაქეებმა ჩვენი უკანასკნელი გაჭირვების დროს.

სფორცა: ჩვენ მხოლოდ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, გმადლობთ დაფასებისათვის. უბედურება, რომელიც თქვენ გეწვიათ, ჰპოულობს ჩვენს გულში დიდ თანაგრძობას.

ჩხენკელი: მაქვს პატივი გადმოგცეთ ასლი რწმუნების ქაღალდისა. მე ცოტა არ იყოს დავიგვიანე აქ ჩამოსვლით, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, როცა სრულიათ დარწმუნებული ხარ მეგობარში, როგორიცაა იტალია ჩვენთვის, მაშინ არ ჩქარობ მიხვიდე მასთან და გააკეთო ყველა ის წარდგენები, რომელიც სამწუხაროდ, ხშირად გვჭირდება თქვენს მოკავშირე ქვეყნებში.

სფორცა: (ართმევს ჩხენკელს რწმუნების ქაღალდს და ღიმილით ამბობს): თქვენ არ სცდებით, როდესაც ჰფიქრობთ ასე იტალიის შესახებ. (შემდეგ ათვალიერებს რწმუნ. ქაღალდს და დასძენს:) თქვენ შეგიძლიანთ თქვენი თავი ჩასთვალოთ წესისამებრ აკრედიტე მისი უდიდებულესობის წინაშე.

ჩხენკელი: ჩვენ ეხლა ვიმყოფებით საორგანიზაციო მუშაობაში. უკვე ვაწყობთ მუდმივ კავშირს ჩვენს ხალხთან, რომ ვუხელმძღვანელოთ მას გაჭირვების დროს. ჩვენ ხალხს ბევრჯერ გამოუცდია მზგავსი გაჭირვება და იმედი გვაქვს, რომ იგი დააღწევს მას თავს, რა თქმა უნდა, მოკავშირეთა და განსაკუთრებით იტალიის დახმარებით.

სფორცა: დიახ, მართალია. მე ვსთქვი ერთხელ უმაღლეს საბჭოში, რომ ჩვენ მიერ საქართველოს იურიდიული ცნობა გამოიწვევს ბოლშევიკების მიერ საქართველოზე თავდასხმას.

ჩხენკელი: სნორეთ, ჩვენთვის აუცილებელი იყო იურიდიული ცნობა, ვინაიდგან ბოლშევიკები ისედაც დაგვესხმოდენ თავზედ, და ეხლა კი ჩვენს ხალხს აქვს დროშა საერთაშორისოთ ცნობილი, რომლის ქვეშ მას უფრო ადვილად შეუძლიან აწარმოვოს თავისი გამანთავისუფლებელი ბრძოლა.

სფორცა: თქვენ მართალი ხართ. იურიდიული ცნობა მართლა ხელს შეუწყობს თქვენს საქმეს.

ჩხენკელი: ჩვენ უკვე გადავდგით ნაბიჯები ჩვენი მეზობლების მიმართ, რომ შევქმნა კავკასიის არა სლავიანურ რესპუბლიკათა კავშირი და ვიმედოვნებთ, რომ ჩქარა მივაღწევთ მიზანს. როდესაც მოხდება ლონდონის კონფერენციის გაგრძელება (როგორც გავიგე, იგი მოხდება აქ რომში, რაც მეტად სასიამოვნოთ გვრჩება; ჩვენ იმედი გვაქვს, რომ წავრსდგებით მის წინაშე, როგორც ერთი მთლიანი წარმომადგენლობა კავკასიის ერთა.

სფორცა: ეს ჩინებული ნაბიჯია, საჭიროა მართლაც კავკასიის ერები ერთად გამოხვიდეთ და მაშინ მეტი შანსი გექნებათ თქვენს მისწრაფებებში.

ჩხენკელი: მე ვიცი იტალია და მისი მოკავშირენი ხშირად გვირჩევდნენ ამას კავკ. ერებს. მე არ მინდა ბოროტათ ვიხმარო თქვენი დრო, ვიცი მიემგზავრებით ლონდონში და ამიტომ ვიმედოვნებ უფრო ვრცელი ლაპა-

რაკი ჩვენ გვექნება თქვენი იქიდან დაბრუნებისას.

სფორცა. რასაკვირველია, არა ერთხელ შევხვდებით ერთმანეთს; თქვენ უნდა იგულოთ ეხლა თქვენი თავი, როგორც თქვენს სახლში.

ჩხენკელი: მადლობას მოგახსენებთ. მე ვიხმარ ყოველ ჩემ ძალ-ღონეს, რათა გავაძლიერო მჭიდრო და მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს და თქვენს ხალხთა შორის.

შეხვედრას ჰქონდა გულითადი ხასიათი. სფორცა ისე შეეგება ჩხენკელს, როგორც შეხვდებიან ვინმეს დიდი უბედურების განცდის შემდეგ.[1]

ეს ბოლო სიტყვები ჩხენკელის განცდის გამომხატველია და ცხადყოფს, თუ რა დღეში იყო საქართველოს ლტოლვილი ხელისუფლება ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო. შეხვედრის ჩანაწერიდან ჩანს: 1. იტალიელებმა დახმარების ხელი გაუწოდეს ქართველებს და მხარდაჭერა აღუთქვეს რუსეთის ბოლშევიკური სახელმწიფოს აგრესიის დროს, კერძოდ, იტალიის წარმომადგენელმა ჩერუტიმ გამოხატა მისი მთავრობის ნება; 2. სფორცამ დაუდასტურა თანხმობა იტალიაში აკრედიტებული ელჩის რწმუნებაზე; 3. სფორცამ აუხსნა მიზეზი, თუ რატომ იკავებდა თავს იტალია საქართველოს იურიდიულ ცნობაზე: მიზეზი იყო ბოლშევიკების აგრესიის შესაძლო გაძლიერება, ჩხენკელმა კი დაარწმუნა, რომ სწორედ მსოფლიოს ქვეყნებისგან იურიდიული ცნობა დაიცავდა საქართველოს ბოლშევიკური აგრესიისაგან; 4. ჩხენკელმა გამოთქვა იმედი, რომ ლონდონის კონფერენცია, რომლის გაგრძელება რომში იგეგმებოდა, კავკასიის ქვეყნების კავშირს სცნობდა და დაეხმარებოდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში; 5. სფორცამ მიიჩნია, რომ კავკასიის ერთიანი ბრძოლა უფრო შედეგიანი იქნებოდა.

მეორე შეხვედრა იყო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგთან — მარკიზ სოლუცისთან. ამ შეხვედრის ჩანაწერი ასეთია:

30. IV ელჩი ა. ჩხენკელი მიღებულ იქნა სოლუცის მიერ, დარბაზობამ გასტანა ათი წუთი.

ჩხენკელი: მე მქონდა შემთხვევა მენახა გრაფი სფორცა და გადამეცა მისთვის ჩემი მთავრობის სახელით მადლობა იტალიის და მისი მთავრობის მიმართ იმ დიდი სამსახურისათვის, რომელიც გაგვინიეს ჩვენ ჩვენი ეროვნული უბედურების დროს. ამასთანავე, მე მქონდა სიამოვნება მომესმინა გრ. სფორცასაგან თანაგრძნობა და სიმპატია და აგრეთვე ისიც, რომ იტალიის მთავრობა სთვლის ჩვენს მთავრობას ერთადერთ ლეგალურ მთავრობად და მეც მის წარმომადგენლად. მე შევადგინე ამ დედა-აზრის მოკლე ნოტა, რომელიც პატივი მაქვს გადმოგცეთ თქვენ და იმედი მაქვს წერილობით დამიდასტურებთ იმას, რაც სფორცამ სიტყვიერათ ინება ეთქვა.

სოლუცი: მადლობას გწირავთ იტალიიის მთავრობის მოქმედების ასე სწორათ დაფასებისთვის. თქვენს ნოტას გავეცნობით გრ. სფორცას დაბრუნებისას და, ვფიქრობ, არაფერი გადეღობება წინ, რომ თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნას. თქვენმა სამშობლომ დიდი უბედურება განი-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 21. საქმე 100, ფ.-2.

ცადა, მაგრამ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მდგომარეობა შეიცვლება მის სასარგებლოთ.

ჩხენკელი: ჩვენ ეჭვი არა გვაქვს ამაში. დღევანდელი ბატონები თფილისში მოკლებულ არიან ხალხის თანაგრძნობას, ეყრდნობიან გარეშე ძალას. ჩვენ ვთვლით მათ, რამდენადაც ისინი ქართველები არიან, მოღალატეებად, რომელთაც უმუხთლეს თავის ხალხს და შემოუსიეს მას გარეშე ძალა და მით მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა დიდ ხიფათში ჩააგდეს. ჩვენთვის დაუშვებელია, პირდაპირ დაუჯერებელი იქნებოდა, რომ იტალიამ და მისმა მოკავშირეებმა რამე ეკონომიური თუ პოლიტიკური დამოკიდებულება დაიჭიროს ამ დამნაშავეებთან. ეს არის არა სოციალური საკითხი ჩვენთვის, არამედ უაღრესათ ეროვნული და აქედან საერთაშორისო: მე ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ გარედან დაგვესხენ ვერაგულათ თავს, რომ შიგნით არავითარ აჯანყებას არ ჰქონია ალაგი. ჩვენ ვიბრძოლეთ სასტიკათ, **მაგრამ განა შეეძლო პატარა საქართველოს აეტანა დიდი რუსეთის თავდასხმა და მასთან ერთათ ოსმალეთისა, როცა მას იარალიც კი არ ჰქონდა საკმაო?!**

სოლუცი: მე გეთანხმებით, **ეს იყო უსწორო ომი.** იტალიის თანაგრძნობა თქვენს მხარეზეა, მას არა აქვს პოლიტიკურ გავლენის განზრახვები თქვენს მიმართ და, როგორც სხვა დროს, ისე აწიც დაგეხმარებათ რამდენათაც შეუძლია."[1]

ჩხენკელი მიიღო იტალიის საგარეო საქმთა მინისტრის კაბინეტის უფროსმა **როდდოლომაც.**

როდდოლო საქართველოს ელჩმა ინახულა 30 აპრილს. ჩხენკელისეული ჩანაწერით ეს შეხვედრა (დარბაზობა) ასეთი იყო: ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ გაიმართა დიალოგი:

„**ჩხენკელი:** მე ეს არის მოვდივარ მინისტრის ამხანაგისაგან, რომელსაც გადავეცი ნოტა ჩვენ შეხედულებაზედ ეგრეთ წოდებულ ახალ საქართველოს მთავრობაზედ. მე იმედი მაქვს მინისტრის დაბრუნებისთანავე მივიღებ პასუხს ამ ნოტაზედ.

როდდოლო: რასაკვირველია. თქვენ გქონიათ ლაპარაკი თვით მინისტრთან ამის შესახებ და მას უნდოდა მაშინვე მოეცა წერილობითი დადასტურება, რაც სიტყვით გამოგიცხადათ, მაგრამ ლონდონში წასვლის გამო ისე ცოტა დრო რჩებოდა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო მოესწრო ამ ქაღალდის გამოგზავნა.

ჩხენკელი: ეს ძალიან სასიამოვნო იქნებოდა. მე მინისტრს აგრეთვე გადავეცი ჩემი რწმუნების ქაღალდის ასლი, გადმოგცემთ აგრეთვე ამ დღეებში ჩვენი ლეგაციის წევრების სიას, რომ ყველა ფორმალური მხარეები შესრულებული იყოს.

როდდოლო: თვით დედანს რწმუნების ქაღალდისას თქვენ გადასცემთ მ. უ. მეფეს, როდესაც ამის გამო იქნება დანიშნული აუდიენცია. კარგი იქნება მიმართოთ ამის შესახებ მარკიზ კავრიანს – მეფის ცერემონმაისტ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 100, ფ.3.

ერს, რომელიც მოგცემთ ყველა ცნობებს შესახებ ფორმალურ მხარეებისა და ეტიკეტებისა.

ჩხენკელი: ძალიან კარგი. ბ-ნი მინისტრის დაბრუნების შემდეგ მე იმედი მაქვს მექნება მასთან მოლაპარაკება ყველა იმ საკითხებზედ, რომელიც გვაინტერესებს ჩვენ ორთავე სახელმწიფოებს და მე იმედი მაქვს თქვენც ენერგიულად მოეკიდებით ჩვენ საკითხს. ეხლა კი აღარ შეგაწუხებთ, ძალიან მესიამოვნა თქვენი გაცნობა.

როდდოლო: უდიდეს მადლობას გიძღვნით ნახვისათვის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ რომ ყოველ წუთს მზათა ვარ სამსახური გაგიწიოთ.

ამ დარბაზობას დაესწრო აგრეთვე გიორგი მაჩაბელი, — პირველი მდივანი და გამგე საქართველოს საელჩოსი რომში".

არც ამ შეხვედრით დაკმაყოფილებულა აკაკი ჩხენკელი, 1921 წლის 2 მაისს მან მოახერხა მოლაპარაკება იტალიის საგ. საქმ. სამინისტროს ევროპის პოლიტიკურ საქმეების დეპარტამენტის უფროსთან **ლაგოსთან**, რომელსაც ებარა სხვათა შორის აგრეთვე საქართველოს საკითხიც.

ყველა ამ შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო, იტალიას კანონიერად არ ჩაეთვალა საქართველოს ბოლშევიკური მთავრობა და ამ სტატუსით მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება (ჟორდანიას მთავრობა) ეღიარებინა. ლეგალური მთავრობა იმყოფებოდა დევნილობაში და ამ პერიოდში არავთარი ეკონომიკური ხელშეკრულებები, კონცესიები თუ სხვა რამ არ უნდა გაეფორმებინა საქართველოს არაკანონიერ ოკუპანტ ხელისუფლებას.

შეხვედრის დასრულებისთანავე, ამ შეხვედრის ოქმიც მანვე თავის ხელით შეადგინა[1].

„2 მაისს 1921. ბ–მა ელჩმა ა. ჩხენკელმა ინახულა **ბ-ნი ლაგო**. რომელსაც ჰქონდა განკარგულება მინისტრისაგან მოელაპარაკნა ელჩთან. ლაპარაკმა გასტანა ერთი საათი იგი ეხებოდა საქართველოს ძირითად საკითხებს. დედა აზრი ამ ლაპარაკისა დაახლოვებით შემდეგია:

ჩხენკელი: მე გადავეცი მარკიზ სოლუცოს – მინისტრის ამხანაგს 30/IV-ს ნოტა, რომლის შინაარსი თქვენ ალბათ იცით და რომელზედაც ველი თქვენგან დამაკმაყოფილებელ პასუხს.

ლაგო: მე ჯერ არ მინახავს ეს ნოტა, დღეს გავიგებ მის შინაარსს.

ჩხენკელი: ხსენებულ ნოტაში მე, ვითვალისწინებ რა საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, ვამბობ, რომ საქართველოს ლეგალურ მთავრობას დაუშვებლად მიაჩნია იტალიისა და მის მოკავშირეთა მთავრობების მიერ რაიმე ოფიციალური დამოკიდებულება იმ პირებთან, რომელნიც დღეს არიან თბილისში მოსკოვის წითელი ჯარის მეოხებით და თავის თავს მთავრობას ეძახიან. გრაფ სფორცამ მე უკვე მითხრა, რომ ის მთვლის მე კანონიერ წარმომადგენლად ჩემი ქვეყნისა და სწორეთ ამის დადასტურებას მოვითხოვდი მე ჩემს ნოტაში. ჩვენ არ შეგვიძლიან სავალდებულოთ ჩავთვალოთ ეკონომიური ხელშეკრულებანი, თუ კონცესიები, რომელნიც

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 21. საქმე 100, ფ.4.

დადებულ იქნებიან ეგრეთ წოდებულ თბილისის მთავრობის მიერ. მე დიდათ მაინტერესებს თქვენი აზრი ამ კითხვებზედ.

ლაგო: ჩვენ გვქონდა ოფიციალური დამოკიდებულება თქვენ მთავრობასთან, რომელიც იურიდიულად ვიცანით. ეს დამოკიდებულება დღესაც ძალაში რჩება. ჩვენ არ ვცნობთ თბილისის ბოლშევიკურ მთავრობას, როგორც საზოგადოთ არ ვცნობთ მოსკოვის მთავრობას. მაგრამ თქვენ კარგად იცით ჩვენი ხაზი რუსეთის მიმართ და აგრეთვე საქართველოს, სანამ ჩვენ მას იურიდიულად ვიცნობდით. გულახდილად მოგახსენებთ, რომ ჩვენ ხელს არ ვუშლით ჩვენს კომერსანტებს ჰქონდეთ აღებ–მიცემა რუსეთთან და კავკასიის რესპუბლიკებთან. ჩვენ კიდეც ვეხმარებით მათ, რამდენათაც ეს შესაძლებელია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვაძლევდეთ რაიმე გარანტიას ამ კერძო პირებს, რომელნიც, ისიც უნდა ითქვას, ვაჭრობენ ნაღდზედ. ჩვენი პოლიტიკა არის დაცდის პოლიტიკა, გვინდა ვნახოთ, რა გამოვა რუსეთსა და ევროპის აღებ-მიცემობითგან.

ჩხენკელი: როგორა ჰფიქრობთ, გამოვა რამე სერიოზული იმ ხელშეკრულებებიდან, რომელსაც ჰკრავენ ზოგიერთი სახელმწიფოები რუსეთთან?

ლაგო: სამინისტროს აზრი უკვე მოგახსენეთ, ჩვენ ვცდილობთ, რომ შეიქმნას ნორმალური აღებ-მიცემობა რუსეთთან, მაგრამ კერძო ჩემი აზრია, რომ ამ ცდიდან არაფერი გამოვა. (აქ ვრცლად შეჩერდა რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ პერსპექტივებზე, შეეხო იქ მოქმედ ზოგიერთ პირებსაც და დასკვნა პესიმისტური გამოიყვანა).

ჩხენკელი: რუსეთის ბოლშევიკები თვითონ აცხადებენ ეხლა, რომ მათი ცდა სოციალურ გარდაქმნისა უნაყოფო გამოვიდა; ისინი ლამობენ ეხლა წარმოების აღდგენას უცხო კაპიტალის დახმარებით; ამას უკვე იგნებენ ევროპის მუშებიც და მათი თანაგრძნობა ბოლშევიკებისადმი თანდათან ჰქრება. სამაგიეროთ შიში რუსეთის მილიტარისტულ ორგანიზაციისა თან და თან თვალსაჩინო გახდება და ევროპამ ამას ნებით თუ უნებლიედ ანგარიში უნდა გაუწიოს.

ლაგო: ჩვენ ეხლა სრულიად არ გვეშინიან ბოლშევიკების გავლენის ჩვენს მუშებზედ. საზოგადოთ საკვირველია ბოლშევიზმის ასე ხანგრძლივი ბატონობა რუსეთში, მაგრამ ეს უნდა მიეწეროს რუსის ხალხის შეუგნებლობას და ინერტობას. ბოლშევიზმი ერთ თვესაც ვერ იბატონებდა ევროპის რომელსამე სახელმწიფოში. სხვათა შორის, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ბოლშევიკების წარმომადგენლობის აქ ჩამოსვლა იყო გამოწვეული არა საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკით, მაგრამ ეხლა სრულიათ შეიცვალა მდგომარეობა და ჩვენს ბოლშევიკებს არავითარი გავლენა არ ექნებათ ჩვენ საგარეო პოლიტიკაზედ. მათი, წარმომადგენლობის აქ ყოფნა უნაყოფო გამოვიდა, ვინაიდგან აქ ამდენი ხანი არიან და ვერაფერი კომერციული საქმე ვერ დაუწყვიათ.

ჩხენკელი: ერთ საგანზედ მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. ფრან-

გულმა ბოლშევიკურ გაზეთებმა მოათავსეს მოსკოვიდან ცნობა, ვითომ იტალიის კონსულს მოეწეროს თბილისიდგან თავის მთავრობისათვის რომში, რომ აჯანყებულებს გადაეგდოთ მთავრობა და მდგომარეობა იქ იყოს დამაკმაყოფილებელი; აგრეთვე იმავე წყაროდგან არის ცნობები, ვითომ თბილისის ეგრედ წოდებული მთავრობა გზავნის ევროპაში თავის წარმომადგენლებს და ახლო მომავალში ისინი უნდა ჩამოვიდნენ რომში.

ლაგო: მიკვირს, საიდგან უნდა ჩავარდნოდა მოსკოვის სააგენტოს ხელში ჩვენი კონსულის მოხსენება. ჩვენს კონსულს არავითარი პოლიტიკური მისია არა აქვს დავალებული. ის იცავს მხოლოდ ჩვენს მოქალაქეებს. მან, მართალია, მოიწერა, რომ თბილისში მშვიდობაა, ექსცესებს არა ჰქონდა ადგილი, არც ჩვენ მოქალაქეებს სდევნიან, მაგრამ ყველა დანარჩენის შესახებ, რაც თქვენა ბძანეთ, მას არ მოუწერია და ეს არც იყო მის კომპეტენციაში. ჩვენი კონსული, რომელსაც ალბათ თქვენც იცნობთ, საკმაოდ დარბაისელი კაცია, რომ ასეთი სენსაციური ამბები არ გაავრცელოს. მე გთხოვთ უმორჩილესად მომცეთ კერძოთ თქვენ მიერ მიღებული ცნობები, რომ მექნეს საშუალება მივაგნო მათ წყაროებს.

ჩხენკელი: დიდის სიამოვნებით დღესვე გამოგიგზავნით კერძოთ და აგრეთვე სხვა მასალებს საქართველოს შესახებ. მე უკვე გავაცანი მინისტრს და მის ამხანაგს ჩვენი განზრახვანი კავკასიის რესპუბლიკების კავშირის აღდგენის შესახებ. სამმა წელმა, სამწუხაროდ, უნაყოფოთ ჩაიარა. ანტანტამ არ გაუწია კავკასიის ხალხებს შესაფერი დახმარება მათი განმტკიცება-შეკავშირებისათვის. იმავე დროს ოსმალეთმა ერთხელ უკვე დაანგრია ეს კავშირი 1918 წელს და ეხლაც მან ხელი შეუწყო ბოლშევიკების გაბატონებას მთელს კავკასიაში. ოსმალეთს სურს ერთგვარი დომინაცია კავკასიაში და ამას თითქოს მხარს უჭერს საფრანგეთის პრესის ერთი ნაწილი. ეგ არის ილუზია და ისიც ფრიად მავნე: კავკასია ან იქნება დამოუკიდებელი, ან ისევ რუსეთს დარჩება, მესამე გამოსავალი არ არსებობს. იტალიამ დიდი ხანია შეიგნო კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მნიშვნელობა მისი ეკონომიური წარმატებისათვის და ამიტომ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მისი მთავრობა ხელს შეუწყობს ჩვენს განთავისუფლებას და კავკასიის რესპუბლიკათა კავშირის აღდგენას.

ლაგო: ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ კავკასიის კონფედერაცია აუცილებელია. ჩვენ, რასაკვირველია, ხელს შეუწყობთ ამ იდეის განხორციელებას. რაც შეეხება ოსმალეთის პრეტენეზიებს კავკასიაში, უსაფუძვლოა; ჩქარა მომავალში ალბათ განახლდება მოლაპარაკება ოსმალეთთან და ჩვენ არ დავიზარებთ მივიღოთ ყოველი ზომა, რომ მან მეტი ლოიალობა გამოიჩინოს კავკასიის მიმართ. საძნელოა მხოლოდ სომხეთის საკითხის გადაჭრა.

ჩხენკელის გახსენებაზედ შესახებ მისი ნოტის პასუხებისა ლაგომ სთქვა: სფორცას ჩამოსვლას უნდა დაუცადოთ; მისი დაცდა დაგვჭირდება აგრეთვე მეფისადმი რწმუნების ქაღალდის გადაცემისთვისო.[1]

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 21. საქმე 100, ფ.5-7.

სულ მალე გაიმართა აკაკი ჩხენკელის კერძო აუდიენცია იტალიის მეფესთან — **ვიტორიო ემანუილ III-სთან**. როგორც შეხვედრისას გაირკვა, მეფე ნამყოფი იყო საქართველოში — თბილისსა და ბათუმში.

„20. V. 21 ა. ჩხენკელი მიღებულ იქნა იტალიის მეფის მიერ კერძო აუდიენციაზე, რომელიც გაგრძელდა 20 წუთი და ჰქონდა ერთობ უბრალო და თავისუფალი ხასიათი.

ელჩი: მე ძლიერ ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი წარვსდგე თქვენს უდიდებულესობის წინაშე. პირველ ყოვლისა, მე ვთვლი ჩემი მოვალეობად გადმოგცეთ გულწრფელი სალამი საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასაგან, რომელიც ეგზომ დავალებულად გრძნობს თავის თავს თქვენი უდიდებულესობის მთავრობის მიმართ ჩვენი ეროვნული უბედურების დროს.

მეფე: მე მადლობელი ვარ ამ საღამოსთვის. ვწუხვარ ძალიან, რომ ასეთი მწარე განცდა ეწვია თქვენს ქვეყანას.

ელჩი: დიახ, ჩვენი ქვეყანა დაკავებული აქვს წითელ ჯარებს, მაგრამ ჩვენ არ ვეძლევით სასოწარკვეთილებას. ჩვენს ხალხს არ სჩვევია სასოწარკვეთილება, პირიქით ის სამზადისშია ახალი ბრძოლებისთვის თავის სამშობლოს განსათავისუფლებლათ. ქართველი ხალხი და მისი კანონიერი მთავრობა დარწმუნებული არიან რომ თქ. უდ. მთავრობა არ მოისურვებენ დიპლომატიურ დამოკიდებულებას იმათთან, რომელთაც მოსკოვის ხიშტების მეოხებით მოიკალათენ თფილისში და თავისთავს მთავრობას უწოდებენ.

მეფე: გავიგე, რომ ეგ. წოდ. თფილისის მთავრობა არ ეწევა ხალხის შევიწროებას?

ელჩი: ასეთი შთაბეჭდილება ჰქონდათ უცხოელებს პირველათ, მაგრამ ჩემი ცნობებით თფილისში ბოლშევიკებმა უკვე მიყვენ ხელი თავის ექსპერიმენტებს და ეკონომიურათ ძირს უთხრიან საქართველოს, მათ უკვე დაიწყეს რეპრესიებიც, უკვე ათასზე მეტი პოლიტიკური მოღვაწე ციხეებში ზის...

მეფე: რამდენად ძლიერი არის ბოლშევიკური რეჟიმი თქვენში?

ელჩი: მისი ძალა მხედრობას ემყარება, ხალხში არა აქვს მას ფესვები. ჩვენში ადგილი არ ჰქონია სამოქალაქო ომს, ხალხმა გამოიყენა თავისუფლება დემოკრატიულ წესწყობილების შესაქმნელად.

მეფე: რამდენ ხანს იბატონებს კიდევ ბოლშევიზმი რუსეთში?

ელჩი: ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, მან უკვე მოსჭამა დრო სოციალურათ.

ერთად-ერთი დასაყრდნობი, რომელიც კიდევ დარჩენიათ ბოლშევიკებს, არის სამხედრო ძალა.

მეფე: მაშ გენერლებს ექნებათ იქ გავლენა?

ელჩი: ჯერ არა სჩანს ეს მანდამაინც, მომავალში კი შეიძლება.

მეფე: თქვენ ვინა ხართ ეროვნებით? რა საქმეს ეწეოდით წინეთ? რომელ ქალაქიდან ხართ?

ელჩი: ქართველი ვარ სოხუმიდან, ვიყავი პოლიტიკური მოღვაწე და დუმის დეპუტატი რუსეთში.

მეფე: საქართველოში მე ვყოფილვარ, ვიცი შავი ზღვის პირები, ვიყავი ბათუმში და თფილისში, ვინახულე ძველი მონასტერი გელათისა ქუთაისის ახლოს, აგრეთვე ძველი გორიც.

ელჩი: გამიგონია ბ. ჩერუტისაგან, თქვენი უდ. წარმომადგენელისაგან, თქვენთან თითქოს მოგზაურობდა ყოფილი მემკვიდრე ნიკოლოზ II და ბათუმში თითქოს ხეც კი დაერგოს თქ. უდიდ.-ს?

მეფე: არა ნიკოლოზი არ იყო ჩემთან, შეიძლება ხე მართლა დავრგე, არ მახსოვს, 30 წელი იქნება მას აქეთ. მე წავედი თფილისიდან სამარყანდში და ისევ ჩამოვბრუნდი. თქვენ, როგორც დუმის ყოფილ დეპუტატს, გეცოდინებათ ძველი რეჟიმის უკანასკნელი ნუთები; დუმისათვის რომ არ შეეშალათ ხელი, შეიძლება მას აეცილებინა რუსეთისათვის ეს უბედურება.

ელჩი: ვიცი, რა თქმა უნდა. ძველი მთავრობა რეტროგრადი იყო, არაფერი გაეგებოდა ან არ სურდა მიეცა შვება ხალხისათვის; შემდეგ ცნობილ რასპუტინის გამანადგურებელი გავლენა მეფის სახლობაზე... გილაპარაკნიათ მასთან?

ელჩი: არა, არ ვიცნობდი, მინახავს კი, თვალები ჰქონდა pénétrantes, დიდი გავლენა ჰქონდა დედოფალზე. ისე კი რასპუტინი ჩვეულებრივი „მუჟიკი" იყო.

მეფე: ცუდია, როცა ქალები პოლიტიკას ეწევიან, მზგავსი რამე სხვაგან შეუძლებელია, დაუჯერებელია ასეთი გავლენა უბრალო ბერისა. მე მაინც ვფიქრობ, რომ დუმას შეეძლო ეხსნა მდგომარეობა. ახლა კი არ ვიცი, რა მოელის რუსეთს.

ელჩი: მდგომარეობა გამოურკვეველია რუსეთში, ანარქია კიდევ გაგრძელდება ალბათ. საქართველოში 100.000 სალდათი დგას ბოლშევიკებისა, ამას სხვა მნიშვნელობაც აქვს უეჭველათ.

მეფე: რა მნიშვნელობა? ბოლშევიკების სამხედრო ერთეულები მცირერიცხოვანი არიან.

ელჩი: მართალია, თქ. უდ., მაგრამ ერთად აღებული ეს ერთეულები საკმაო ძალას წარმოადგენენ საერთაშორისო ზავის დასარღვევათ. როცა ოსმალეთი შეურიგდება ანტანტას, მოსკოვი გაილაშქრებს მის წინააღმდეგ და მაშინ ცხადი იქნება ყველასათვის მისი იმპერიალისტ. ტენდენციები. მაშინ კავკასიის კითხვაც დაისმის საერთაშორისოთ.

მეფე: მერმე თქვენ რას ფიქრობთ? რას ფიქრობენ სხვა კავკასიელი ხალხები?

ელჩი: ჩვენ უკვე გადაწყვეტილი გვაქვს ბრძოლა თავისუფლებისათვის, თუ ანტანტა დაგვეხმარება. ჩვენ უკვე ვქმნით ჩვენს კონფედერაციას...

მეფე: სად ჰქმნით, აქ თუ კავკასიაში? ან უკეთ – გაქვთ თუ არა მუშაობა ადგილობრივ? რამდენი ხალხია? თქვენი დედა-ქალაქია თფილისი, სხვების?

ელჩი: აკი მოგახსენეთ, თქ. უდ., ჩვენ ვმუშაობთ პირველ ყოვლისა ადგ-

ილობრივ, ხალხი ირაზმება ჩვენი ხელმძღვანელობით და უცდის ჩვენს პაროლს. ოთხი ხალხი ვართ: ქართველები, სომხები – ერევანი, აზერბეიჯანლები – ბაქო და მთიელნი – კავკავი. ჩვენ საკმაოთ გამოცდილი ვართ რუსეთის საქმეებში, რომ გაბედვით ვთქვათ: რუსეთი, რომელიც ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის ქარცეცხლშია, არა ერთ შემთხვევას მოგვცემს თავი ვიხსნათ მისგან. და ევროპაც იძულებული იქნება ნებით თუ უნებლიეთ დახმარება გაგვინიოს, ვინაიდან ბოლშევიკური მილიტარიზმი უკვე საერთაშორისო საფრთხეს წარმოადგენს.

მეფე: როგორია სპარსეთში მდგომარეობა? აქვს თუ არა იქ შანსები ბოლშევიზმს?

ელჩი: როგორც თქ. უდ. მოეხსენება, ბოლშევიკები და ინგლისელები სტოვებენ სპარსეთს. უკანასკნელმა უკვე იგემა, რა არის ბოლშევიზმი, და განიკურნა კიდეც მისგან. ასევეა კავკასიაშიც. დიდი შეცდომაა, როცა ფიქრობენ, რომ ბოლშევიკებთან ეკონომიურ დამოკიდებულებიდან რამე გამოვა, მათ არ ძალუძთ გაასწორონ მათ მიერ დანგრეული, აღადგინონ ნორმალური მდგომარეობა. მე იმედი მაქვს, რომ თქ. უდ. მთავრობა კელავაც იმუშავებს ჩვენს სასარგებლოთ, ეს სასარგებლოა ყველაზე წინ თქვენი დიდი ხალხისათვის. კავკასია თავის საზღაპრო ბუნებრივ სიმდიდრით და როგორც უახლოესი გზა აზიისაკენ, დიდ ინტერესს წარმოადგენს."[1]

საკუთარი ხელით ჩაუწერია აკაკი ჩხენკელს 1921 წლის სხვა შეხვედრებიც, რომ არ დავიწყებოდა და ინფორმაცია შენახულიყო. როგორც სხვა შეხვედრებზე, აქაც ჩხენკელს უცდია იტალიის დაინტერესება საქართველოს პრობლემებით, თუმცა, იტალიას ეს ინტერესი აღარ ჰქონდა. დოკუმენტი მოგვაქვს უცვლელად.

„21. V. 21. ელჩი **ა. ჩ.** იყო საგარეო სამინისტროში და ნახა **ბ. ბ. როდოლო** და **ვალენტინი**, უკანასკნელი განაგებს, კავკასიის საქმეებს. **ა. ჩ.** გამოთქვა მწუხარება, რომ ვერ ნახა ერთხელ კიდევ სფორცა, რომელთანაც უნდოდა ბაასი მის და ვოროვსკის ინტერვიუს შესახებ. ვალენტინმა განაცხადა, რომ იტალიის განზრახვა, იქონიოს მოსკოვთან ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც ინგლისს აქვს მასთან, დიდი ხნის საქმეა, ხელშეკრულების პროექტიც დიდი ხანია დაწერილია, მგზავსი რუს-ინგლისურისა, მაგრამ ჯერ არაა ხელმონერილიო. ის სკეპტიკურათ უყურებს მთელ ამ საქმეს, მაგრამ სხვაგვარი პოლიტიკა იტალიისათვის ჯერ არ არსებობსო.

როცა **ა. ჩ.** შეეკითხა მას, რა გავლენა ექნება ამ პოლიტიკას კავკასიის და საქართველოს საქმეებზეო, მან განაცხადა, — არავითარიო, ე. ი. იტალია არ ცნობს მოსკოვის მთავრობას პოლიტიკურათ, მაშასადამე, ის მას ვერ იცნობს კავკასიაშიცო. როცა ა. ჩ. მიუთითა, რომ სფორცას ინტერვიუში ლაპარაკია „შავი ზღვის ბასეინის მინერალების კონცერნებზეო", მან ვერაფერი სთქვა, მხოლოდ, როცა ა. ჩ. თქვა, შეიძლება ამ ფრაზაში იგულისხმება დონი და სხ., ის მოეჭიდა ამ ხავსს!

ა. ჩ. გამოთქვა კმაყოფილება მეფის მიერ კარგათ მიღების შესახებ,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 21. საქმე 100, ფ. 8-10.

რაზედაც ვალენტინიმ ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ ამიერიდან ა. ჩ. კანონიერი წარმომადგენელია საქართველოისა, რომლის მიმართ იტალია განაგრძობს იმავე ლოიალურ პოლიტიკასო. მან აღუთქვა ა. ჩ., რომ ბ. თავმჯდ. ჟორდანია შესაფერისათ იქნება მიღებული რომში, ერთხელ კიდევ აღნიშნა მისი ჩამოუსვლელობა (საყვედური) გაკვრით. ეტყობა, იტალიას შემცდარი ცნობები მოსდის მისი კონსულისაგან თილისიდან: ბოლშევიკები ადგილობრივ გვარდიას აწყობენ და შემდეგ ჯარებს უკან გაიყვანენო! რეპრესიებზე აქ არაფერი იციან ჯერ."[1]

რამდენიმე დღეში ჩხენკელი მილანში შეხვდა იტალიელ სენატორებს. აქაც მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემა წამოიჭრა.

„23.V.21 ელჩმა ა. ჩ.-მა დაჰყო მილანში და საფუძვლიანათ ელაპარაკა **სენატორ კონტის და შემდეგ ტურატოს**. (უკანასკნელ დღემდე რომში არ ჩამოსულა არც ერთი ცნობილი სოციალისტი, ტყვარჩელის კონცესიის ჯგუფიც არ იყო იქ, იყო მხოლოდ დელ-პროპორტო, რომელიც მეორეჯერ ნახა და აღმოჩნდა, რომ ის საგარეო სამინისტროში მონაწილეობას იღებდა რუსეთთან ხელშეკრულების დადების საქმეში, ის სახეიროდ თვლის ასეთ ნაბიჯს, ვინაიდან რუსეთის მომავალი მთავრობა ისე სუსტი იქნება, რომ დაადასტურებს ჩვენ მიერ შეძენილ უფლებებსო (კონცესიები და სხ.), მაგრამ ეს საქართველოს არ ეხებაო). ელჩმა გააცნო კონტის იტალიის სამინისტროს რყევა და გაურკვევლობა რუსეთისა და კავკასიის მიმართ, გააფრთხილა, რომ იტალია სამუდამოთ დაჰკარგავს კავკასიელების სიმპათიას, თუ მათი სიმდიდრეთა შესახებ მოსკოეთან დაიჭერს საქმეს. კონტი არ იზიარებს სფორცას ინტერვიუს დედა-აზრს, არ გამოელის არასფერს რუსეთთან ვაჭრობისაგან ამ დროებით, ის კატეგორიულათ უარყოფდა რაიმე ხელშეკრულების შესაძლებლობას კავკასიის შესახებ ბოლშევიკებთან. აღუთქვა ელჩს, რომ მიიღებს ზომებს ამნაირ გეგმების ჩასაშლელათ, თუ არსებობენ მართლა ისინი.

ტურატოს ძალიან შორეული წარმოდგენა ჰქონია კავკასიაზე და საქართველოზე. არა მაქვს დრო, რომ მასალას გავეცნოვო, მხოლოდ ქალბატონი კულიშერი მაცნობს დრო-გამოშვებით მის შინაარსსო. მასალა მართლა იქვე იდვა საწერ მაგიდაზე. ელჩმა გააცნო გარემოება დაწვრილებით. კულიშერის ქალიც იქ იყო და მხურვალეთ იცავდა საქართველოს, მხოლოდ ამბობდა იტალიის გზა-დაბნეულ სოციალისტური პარტიისაგან არაფერი გამოვაო. ტურატიმ დასძინა, რომ, სანამ ეს დირექცია (ც. კ.) გვყავს, პარტია ვერას გიშველითო. რაც შეეხება რუსეთთან ხელშეკრულებას, ტურატო მხარს უჭერდა მას, მაგრამ ეჭვობდა გამოვიდოდა აქედან რამე თუ არა. ა. ჩ. თეზისს, რომ რუსეთთან ხელშეკრულებაში არ უნდა იქნეს ჩატანილი კავკასიის ხალხებისთვის საზიანო მუხლები, ის დაეთანხმა. მან დაარწმუნა ტურატო, რომ კავკასიელებთან საქმის დაჭერა მათი კანონიერი წარმომადგენელების საშუალებით გაცილებით უფრო რეალური და სადღეისო საქმეა, ვინემ რუსეთის ბოლშევიკებთან დროს და-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 21. საქმე 100, ფ.11.

კარგვა. ტურატომ აღუთქვა ა.ჩ.-ს, რომ ის მეტის ყურადღებით მოეკიდება ჩვენს საქმეს და მუდმივი დამოკიდებულებაში იქნება საქართველოს დელეგაციასთან. მუსაიფის დასაწყისში იყვნენ ორი იტალიელი ამხანაგი, ერთი მათგანი იყო ჩაბმული ბოლშევიკებისთვის საქონლის შეძენის საქმეში!"[1]

დიპლომატიური ურთიერთობა ვაშინგტონთან

1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ბევრი ქართველი ემიგრანტი წავიდა საცხოვრებლად ამერიკაში. ეკონომიკურმა კრიზისმა და იაპონიის მიერ ჩინეთის დაპყრობამ აიძულა ევროპასა და მანჯურიაში მცხოვრები ქართველები გადასახლებულიყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქებში, კანადაში, მექსიკასა და არგენტინაში.

აშშ ნაკლებად ერეოდა ევროპულ საქმეებში და არც ერთა ლიგის წევრი იყო (თუმცა ეს ორგანიზაცია აშშ-ს პრეზიდენტის — ვილსონის ინიციატივით შეიქმნა), მაგრამ მას რუსეთის დანაწილებისა და მისგან გამოყოფილი პატარა ქვეყნების დამოუკიდებლობისადმი უარყოფითი პოზიცია ჰქონდა. ეს კარგად იცოდნენ ქართველმა პოლიტიკოსებმა და ცდილობდნენ ამ დიდი პერსპექტივების მქონე ქვეყნის პოლიტიკურ ელიტასთან დაკავშირებას, მათი შეხედულებების შემობრუნებას საქართველოს სასარგებლოდ.

1921 წლის შემოდგომაზე აშშ-ი, ვაშინგტონში, საქართველოს წარმომადგენელი ილია გოლდმანი გაიგზავნა. მასთან ერთად, მთავრობის დავალებით, გარკვეული პროპაგანდა-აგიტაციის მიზნით, აშშ-ში ზურაბ ავალიშვილიც გაემგზავრა.

ჰარდინგის მთავრობას რუსეთის მიმართ პოზიცია ოდნავ შეცვლილი ჰქონდა, ის მზად იყო ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა ელიარებინა, ხოლო საქართველოს მაშინ ცნობდა, თუკი ის რუსეთის ბატონობისაგან თავად გათავისუფლდებოდა.

აკაკი ჩხენკელი 1923 წელს ასე აღწერდა აშშ-საქართველოს დამოკიდებულებას: „1921 წლის შემოდგომას რამდენიმე თვით გაიგზავნა ეროვნული მთავრობის წარმომადგენელი ვაშინგტონში. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უარყოფითი პოზიცია რუსეთისგან გამოყოფილ ზოგიერთი ერების მიმართ ცნობილია კიდევ პრეზიდენტ ვილსონის დროიდან. მისმა გარეშე საქმეთა მინისტრმა კოლბიმ წერილობით განაცხადა იტალიის შეკითხვაზე, რომ ის არ თანაუგრძნობს რუსეთის „დანაწილებას" და ამიტომ, პოლონეთისა და ფინლანდიის გარდა, ის არ იცნობს სხვა გამოყოფილ სახელმწიფოებს. ჩვენმა დელეგატმა ინახულა ვაშინგტონის საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე პასუხისმგებელი პირი და გამოარკვია, რომ ჰარდინგის მთავრობას შეუცვლია რამდენათმე მისი წინამოადგილის პოლიტიკა რუსეთის მიმართ. მას განუცხადეს, რომ ამერიკა არ არის ახლა ისე მტრულათ განწყობილი რუსეთიდან გამოყოფილ ერების დამოუკიდებლობისადმი და ის უკვე ფიქრობს ბალტიის რესპუბ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 21. საქმე 100, ფ.12.

ლიკების ცნობას. რაც შეეხება საქართველოს, მათ განუცხადეს ჩვენს დელეგატს, ჩვენ მზად ვართ ვიცნოთ იგი, როცა რუსეთის ოკუპაციისაგან განთავისუფლდებაო. ჩვენმა დელეგატმა გაიგო აგრეთვე, რომ ამერიკის მმართველ წრეებს აინტერესებთ ეკონომიური მუშაობა საზოგადოთ კავკასიაში და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო სპეციალურათ სწავლობს ამ კითხვას. მას გაუგზავნია სხვათა შორის თავისი აგენტი კავკასიაში პირობების შესასწავლათ. მაგრამ თვით სამინისტროს მეთაურს ჰუვერს განუცხადებია პირადათ, რომ ამ ნაბიჯით ისინი არ ჰფიქრობენ სულაც მოსკოვის მთავრობასთან საქმის დაჭერას."[1]

ამერიკის პოლიტიკურ წრეებში კავკასიასა და საქართველოს შესახებ არსებულ განწყობებს კარგად აჩვენებს ზურაბ ავალიშვილის მიერ ნუიორკიდან და ვაშინგტონიდან ჩხენკელისთვის გამოგზავნლი წერილები. ამ დროს ვაშინგტონში ტარდებოდა კონფერენცია (დაიწყო 1922 წლის 6 დეკემბერს), სადაც ჩასული იყვნენ ბალტიის ქვეყნების დელეგატები, ჩიტის რესპუბლიკის წამომადგენლებიც კი, ყველას სურდა აღიარების საკითხში ამერიკის მხარდაჭერა, საქართველოს წარმომადგენელიც ცდილობდა ინტერვიუების გამოქვეყნებას, ხვდებოდა კონფერენციის მონაწილეთ, ჩენდლერთან ერთად შეადგინა მემუარი კონფერენციისთვის გადასაცემად. ავალიშვილი ერთ-ერთ წერილში, ამერიკელი სენატორის იმავე თვალსაზრისს გვაცნობს, რაზეც ზემოთ ჩხენკელი წერდა. საქართველოს ამერიკა იცნობს, თუ გათავისუფლდება რუსეთის ბატონობისგანო. „ისე კი ჩვენთვის ცხადია ისტორიული და ნაციონალური საძირკველი საქართველოს დამოუკიდებლობისაო".[2]

ავალიშვილი შეხვდა ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებსაც და მათგან მიიღო გარანტია, რომ რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის ცნობაზე ვაშინგტონში ლაპარაკი არ იქნებოდა.

24 დეკემბერს ავალიშვილი მიიღო აშშ-ს ვაჭრობის მინისტრმა ჰუვერმა, რომელმაც უთხრა: „ერთი რწმუნებული გაგზავნილია საქართველოში (ეს იყო ჰაროლდ ბარტონი, — დ. ჭ.), რომ იქაური პირობები შეისწავლოს, თუ მისი მოხსენებიდან აღმოჩნდება, რომ საქართველოშიც იგივე მდგომარეობაა, როგორც ვოლგის ველზე, მაშინ საქართველოც მიიღებს თავის წილ დახმარებას". ამერიკული დახმარების ორგანიზაცია ბოლშევიკური ტერორით დაზარალებულ ხალხებს ეხმარებოდა შიმშილისა და სოციალური კატასტროფისგან დაცვაში. კანონი რუსეთის დაზარებული მოსახლეობის დახმარების შესახებ 17 დეკემბერს მიიღეს.[3]

არც საქართველო და არც სხვა კავკასიის ქვეყანა ამ პროექტში გათვალისწინებული არ ყოფილა, თუმცა ქართველი და სომეხი წარმომადგენლის მოთხოვნაზე, ამერიკელებმა უპასუხეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ეს ფაქტი არ გამორიცხავდა ამ ქვეყნების დახმარებასაც. რაც შეეხება

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა2, საქმე 719, ფ.41.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა2, საქმე 494, ფ. 12.
[3] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა2, საქმე 494, ფ.19.

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სურვილს, სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებები დაედო ამერიკასთან, შავი ქვისა და ნავთობის მიყიდვის შესახებ, ამერიკელებმა ამაზე უარი განაცხადეს.

მალე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წარმომადგენლად აშშ-ში მცხოვრები ქართველი, მორგანების ბანკის ფინანსისტი ვასილ დუმბაძე დანიშნა.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ამერიკაში, მორგანთა ბანკის ფინანსისტი და ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვასილ დუმბაძე 1882 წ. დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში. მამა – სოფლის მღვდელი და ცნობილი მგალობელი დავით დუმბაძე იყო. ოჯახში ორი ვაჟის გარდა ცხრა ქალიშვილი იზრდებოდა. ვასო დუმბაძის ბიძა, იმპერატორის ამალის წევრი, გენერალ-მაიორი ივანე დუმბაძე, იალტის ქალაქის თავი იყო. ის უსაზღვრო ძალაუფლებით სარგებლობდა ყირიმში, რომელსაც „დუმბაზიასაც" უწოდებდნენ.

1897 წელს ვასო დუმბაძემ დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო გიმნაზია, 1901 წ. თბილისის გიმნაზია და სწავლა ლაიფციგის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე განაგრძო. სტუდენტობისას ლაიფციგის ეთნოგრაფიულ მუზეუმში საინტერესო რეფერატი წაიკითხა სამოას ეთნოგრაფიაზე. მუშაობდა ორ დისერტაციაზე: „ქართველები – ეთნოგრაფიული მიმოხილვა" და „ნავთის ინდუსტრია კავკასიაში და მისი ამერიკის ნავთთან შედარება". დიპლომი, 1906 წელს, ბაქოს ნავთობსარეწებზე დაიცვა, თუმცა, სამეცნიერო საქმიანობა აღარ გაუგრძელებია. მალე სამშობლოში დაბრუნდა და კავკასიის მეფისნაცვლის — ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მამულების მმართველი გახდა. მას ეკუთვნის მნიშვნელოვანი საინჟინრო პროექტები, იყო წარმატებული კომერსანტი და ფინანსისტი, ასევე, მორგანთა რუსეთ-ამერიკის ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვორონცოვ-დაშკოვთან და ამერიკაში რუსეთის ელჩ ბახმეტევთან ერთად. ყურადღება მიიქცია პატრიოტული საქმეებითაც. I მსოფლიო ომის დროს იყო ნიკო დადიანის მიერ შექმნილი ქართველ დაჭრილ ჯარისკაცთა საზოგადოების გამგეობის წევრი. საზოგადოება 20 ათასამდე დაჭრილს სურსათით, ტანსაცმლით, ქართული წიგნებით, გაჭირვებულთა ოჯახებს კი – ფულით დაეხმარა. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პეტროგრადში ქართული ეკლესიის დაფუძნებაშიც. ომის წინ აქტიურად თანამშრომლობდა გიორგი მაჩაბელთან, გიორგი შარვაშიძესა და სხვებთან ილია ჭავჭავაძის დაწყებული საქმის დასაგვირგვინებლად – რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის მისაღწევად.

1914 წ. რუსეთის სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის ბიოგრაფიის („Генерал-адъютант Владимир Александрович Сухомлинов") გამოცემის, მასთან და მის ცოლთან დაახლოების შემდეგ სამხედრო შეკვეთებმა ვასო დუმბაძისკენ იწყო დენა.

I მსოფლიო ომის დასაწყისში ის რუსეთის სამხედრო სამინისტროს მომარაგების სამსახურს ედგა სათავეში და კავკასიის ფრონტს ტყვია-

წამლით ამარაგებდა (ატარებდა გენერლის წოდებას და სუხომლინოვის ნდობით აღჭურვილი პირი იყო). მან მოაგვარა სუხომლინოვისათვის მორგანთა ბანკის საშუალებით ამერიკაში 150 ავტომანქანის შეძენა და მიიღო ამერიკაში 15 მილიონი ოქროს მანეთის ყუმბარების დამზადების შეკვეთა (საქმიდან 2 მილიონი ერგო). ამ პერიოდში დაუკავშირდა ვასო დუმბაძეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრი გიორგი მაჩაბელი და ფარულ გეგმაში ჩაითრია, რომელიც გერმანიის დაზვერვასთან მჭიდრო თანამშრომლობით ომში რუსეთის არმიის დამარცხების ხელშეწყობას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ითვალისწინებდა.

გიორგი მაჩაბელმა და ვასო დუმბაძემ შეიმუშავეს გეგმა: ამერიკის ნაცვლად ჭურვები გერმანიაში დაამზადებინეს და სხვა კალიბრის – გათვალისწინებულზე ერთი მილიმეტრით დიდი, რომლებიც რუსულ ქვემეხებს არ მოერგო. ამან კარპატებამდე მისული რუსეთის არმიის კატასტროფული უკანდახევა და აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის წარმატება გამოიწვია. იმავდროულად იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ვასო დუმბაძეს, როგორც გერმანიის მმართველ წრეებთან დაახლოებულ პირს, დაავალა ნიადაგის მოსინჯვა სეპარატისტულ ზავზე მოსალაპარაკებლად. გერმანიიდან რუსეთში დუმბაძის დაბრუნება ჭურვების სკანდალს დაემთხვა. ის საიდუმლო დოკუმენტების გერმანელებისათვის გადაცემის ბრალდებით დააპატიმრეს. სკანდალს შეეწირა სამხედრო მინისტრის კარიერაც. ვასო დუმბაძეს სიკვდილი მიუსაჯეს, რომელიც ნიკოლიოზ II-მ კატორღით შეუცვალა. ამ საქმის გამო გახდა იგი მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილი კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპი.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ის თავდებით გამოიხსნა გიორგი მაჩაბლის ძმამ, ილომ და თავის თეატრ „ბი-ბა-ბოსთან" ერთად კიევში წაიყვანა, კიევიდან დუმბაძე ჯერ ოდესაში, შემდეგ სტამბოლში, იქიდან ევროპაში გაემგზავრა.

1918-1921 წლებში ვასილ დუმბაძე აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ეროვნული გვარდიის სტრუქტურაში არსებულ სამხედრო დაზვერვასთან და კონტრდაზვერვასთან. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, სხვა მრავალ ქართველთან ერთად, ემიგრაციაში აღმოჩნდა. 1924 წ. ამერიკაში ჩავიდა. 1925 წ. ნიუ-იორკში გამოსცა წიგნი „კავკასიის რესპუბლიკები: პატარა დემოკრატიები, რომლებიც მსოფლიომ დაივიწყა", სადაც აღწერა კავკასიის რესპუბლიკების ისტორია და მათი მდგომარეობა. პარიზში მყოფმა საქართველოს ემიგრირებულმა მთავრობამ ის ამერიკაში თავის წარმომადგენლად დანიშნა. ვასო დუმბაძე ენერგიულად შეუდგა საქართველოს ოკუპაციის საკითხის გახმაურებას, რადგან ამერიკა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებულ ქვეყნად თვლიდა. დუმბაძის თაოსნობით და სენატორ ჰენრი ვილსონის თავმჯდომარეობით დაარსდა „ამერიკული საზოგადოება კავკასიისათვის". იურისტთა კომისიამ დაადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის უფლება და ევროპაში გახიზნული მთავრობის კანონიერება.

1926 წლის მარტ-აპრილში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობით პალატასა და სენატში განიხილეს საქართველოს დიპ-ლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის საკითხი. კონგრესმა ამ სხდომათა ოქმებით, 22 დამატებით და 17 ფოტოთი სახელმწიფო ხარჯით საქართველოზე 361 გვერდიანი წიგნი გამოსცა. საქართველოს საკითხი მეორედ 1929 წლის აპრილში დაისვა. დუმბაძე საქართველოს წარმომადგენლად დამტკიცდა. იმავე წელს დიპლომატ ლეონ ვილსონის თავმჯდომარეობით შეიქმნა „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი", რასაც შედეგად ამერიკის კონგრესში საქართველოს საკითხის რამდენჯერმე განხილვა მოჰყვა.

1933 წელს საქართველოს მთავრობის ლეგაციის გაუქმების შემდეგაც ვასო დუმბაძე ცდილობდა საქართველოს საკითხით ამერიკის ხელისუფლების დაინტერესებას, მაგრამ ევროპაში მწიფდებოდა დიდი ომი და შტატების ადმინისტრაციას საქართველოსთვის აღარ ეცალა. ვასო დუმბაძე კი დიდხანს ასრულებდა საქართველოს არაოფიციალური და არააკრედიტირებული ელჩის როლს ამერიკაში. 1931 წელს დაარსდა ნიუ–იორკის სათვისტომო, რომლის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი ვასო დუმბაძე იყო. ის აქტიურად მონაწილეობდა სათვისტომის საქმიანობაში, ფინანსურადაც ხშირად ეხმარებოდა, ოთხგზის იყო მისი თავმჯდომარე. ქართველთა შესაკავშირებლად ხშირად აწყობდა თავყრილობებსა და ნადიმებს. 1938 წელს მისი ინიციატივით აისლიპში შეიძინეს სათვისტომოს სახლი. ვასომ ეს სახლი თავისი ხარჯით გაარემონტა, გააწყო ავეჯით, გააშენა ბაღ-ბოსტანი.

ვასო დუმბაძეს ამერიკაში საკუთარი საქმე არ წამოუწყია, მაგრამ როგორც მორგანების ბანკის წამყვანი ფინანსისტი – მდიდარი იყო და ცოლადაც უმდიდრესი ქალი შეირთო. მისი მეუღლე დღეში 8-მილიონიანი ტირაჟით გამომავალი გაზეთის „Chicago Tribune"-ს მეწილე იყო. საკუთარი მდგომარეობის, ცოლისა და გაზეთის წყალობით ის ყველა უწყებაში ადვილად ახერხებდა შეღწევასა და ქართველების დახმარებას.

საბჭოთა საქართველოს მთავრობამ ვასო დუმბაძის მამა საკუთარ სახლში დახვრიტა და დუმბაძეს დაუნდობლად ლანძღავდა. 1926 წ. აპრილში გაზეთმა „მუშამ" მას მიუძღვნა წერილი სათაურით „აფერისტი ვასილ დუმბაძე".

გადმოცემის თანახმად, 1943 წელს, როცა ვასილ დუმბაძე გარდაიცვალა, საქართველოში მისი დის სახელზე ანდერძი მოვიდა, რომელშიც დუმბაძის მემკვიდრეობაზე – 27 მილიონ დოლარზე იყო საუბარი. არსებობდა თუ არა ეს თანხა ,ან სად გაქრა ის, დანამდვილებით არავინ იცის.

ამერიკაში ვასილ დუმბაძის მდიდრულად მორთული სახლის ფოიეში ორი დიდი სურათი ეკიდა – ჩიხტიკოპში გამოწყობილი დედის და მღვდლის სამოსიანი მამის...

ვასო დუმბაძეს მემკვიდრე არ დარჩენია. დასაფლავებულია ნიუ-იორკში.[1]

ამ უკანასკნელმა დიდი ღვაწლი გასწია ამერიკის პოლიტიკაში საქართველოს საკითხის გააქტიურების, ქართველი ლტოლვილების დახ-

[1] რუსუდან დაუშვილი, ვასილ დუმბაძე, მორგანთა ბანკის ფინანსისტი, ისტორიანი, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი, 9, გვ. 34-39, თბილისი, 2011.

მარების საქმეში. საფრანგეთში ქართული ლეგაციის გაუქმების შემდეგაც (1933) ის საქართველოს არაფორმალურ, არააკრედიტებულ ელჩად სიკვდილამდე (1943) დარჩა.

თავად აკაკი ჩხენკელს მიაჩნდა, რომ უფრო უნდა გააქტიურებულიყო ქართველების მოღვაწეობა ამერიკელ პოლიტიკოსებთან, მათი ყურადღების მიქცევა და დახმარების მიღების მიღწევა. განსაკუთრებით ამერიკის პოლიტიკას ის ჩაულრმავდა II მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მისი ერთადერთი ვაჟი შეერთებულ შტატებში გადასახლდა. მისი ინტერესები ამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისადმი კარგად ჩანს დიპლომატის ბოლო ჩანაწერებში (1951-1958).

აკაკი ჩხენკელის ურთიერთობა კონსტანტინოპოლის პოლიტიკურ კომისიასთან. 1921-1923 წლები

ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის და ძალდატანებითი ანექსიის შემდეგ, 1921 წლის 17 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ბათუმის პორტიდან უცხოეთის გემებით (იტალიური „კირალი", ფრანგული „ვესტა" და „მარია") საზღვარგარეთ გახიზნულიყო. პოლიტიკური ემიგრაცია ჯერ კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც ისინი ქართულმა კათოლიკურმა მონასტერმა შეიფარა. 1921 წელს კონსტანტინოპოლში, ფრანგულ-ინგლისურ-ამერიკული საოკუპაციო სამხედრო შენაერთები იყვნენ დისლოცირებულნი. ოსმალეთის ხელისუფლების სათავეში ჯერ კიდევ სულთანი იყო. როგორც საოკუპაციო, ისე სულთნის ხელისუფლებამ, საქართველოდან დევნილებს თავშესაფარი მისცა. იმავდროულად, ქართული კათოლიკური მონასტრის მეშვეობით, მოხერხდა კავშირის დამყარება ვატიკანთან, რომელიც დაინტერესებული იყო საქართველოში მიმდინარე მოვლენებით. საქართველოს მთავრობამ ვატიკანთან უშუალო კონტაქტი ქართული კათოლიკური მონასტრის მღვდელმსახურთა – პიო ბალაძის და ბერ შალვა ვარდიძის ხელშეწყობით დაამყარა, იტალიაში თავისი წარმომადგენლის კონსტანტინე საბახტარაშვილის მეშვეობით.

კონსტანტინოპოლში დაიწყო გაზეთების: „დამოუკიდებელი საქართველო"-სა „ბრძოლა"-ს ბეჭდვა და საქართველოში შეგზავნა. 1921 წლის ბოლოს და 1922 წლის დასაწყისში, საქართველოს დევნილი მთავრობის ძირითადი ბირთვი კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთში გაემგზავრა, ხოლო ემიგრანტთა ნაწილი ოსმალეთში დარჩა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, პარიზში შეიქმნა საპროპაგანდო-საგიტაციო ცენტრალური პოლიტიკური კომისია, რომლის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი იყო, ხოლო წევრები: სიმონ მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე), ირაკლი წერეთელი, კონსტანტინე საბახტარაშვილი და ვლადიმერ ვოიტინსკი[1].

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 610, ფურცელი 2-4.

აღნიშნული კომისიის დანიშნულება და მიზანი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, ევროპის ყველა ქვეყანაში აგიტაციაპროპაგანდის წარმოება იყო.

პარალელურად, პოლიტიკური კომისია, ნოე ხომერიკის ხელმძღვანელობით, კონსტანტინოპოლშიც შეიქმნა, რომლის მიზანი იყო დაკავშირებოდა საქართველოში მყოფ ყველა პოლიტიკურ პარტიას და ჯგუფს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდა და ქვეყანაში რუსეთის გავლენის განმტკიცებას ებრძოდა. მოლაპარაკებებს უცხოეთის სახელმწიფოთა მთავრობებთან, ევროპის ქვეყნებში, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი – აკაკი ჩხენკელი აწარმოებდა. მას უშუალო კავშირი ჰქონდა, ევროპაში მყოფ ყველა ქართულ ლეგაციასთან (ლონდონი, ბერლინი, რომი, კონსტანტინოპოლი და სხვა). აღნიშნული ლეგაციის მეთაურები, თითოეულ ნაბიჯს ა. ჩხენკელთან ათანხმებდნენ.

აკაკი ჩხენკელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ემიგრაციის კოორდინირებულ მუშაობას საერთაშორისო დიპლომატიურ არენაზე. ამისთვის საჭირო იყო, უპირველესად, ემიგრაციის ძირითად ცენტრებს ჰქონოდა მჭიდრო საინფორმაცო კონტაქტები. 1921 წლის 26 აპრილის წერილით რომიდან სტამბოლში საქართველოს წარმომადგენელს კ. გვარჯალაძეს ელჩი წერდა ემიგრირებული ხელისუფლების სტრუქტურის შესახებ. მისი აზრით, პარიზში მოქმედ ქართულ ლეგაციასთან უნდა ჰქონოდა კავშირი უცხო ქვეყნებში მომუშავე საქართველოს ყველა წარმომადგენელს. პარიზში ახლად შემდგარი პოლიტიკური კომისია პირდაპირ კავშირში იქნებოდა სტამბოლის ამავე სახელწოდების კომისიასთან, ხოლო კომისიები და ლეგაცია მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან, განსაკუთრებით კომისიების თავმჯდომარენი და ლეგაციის მეთაურნი. „შენს შტატს, სანამ სხვა რამ არ დადგენილა, — წერდა ჩხენკელი, — შეადგენს სტამბოლის საკონსულო. მაშასადამე, შენი ოფისი იქ უნდა იყოს. ჯამაგირების საკითხი დროებით ღიად რჩება, სანამ კ. კანდელაკი პარიზში არ ჩამოვა და არ შეადგენს ერთგვარ სმეტას, რომელიც დადასტურებული იქნება დამფუძნებელი კრების მიერ."

ჩხენკელი აფრთხილებდა გვარჯალაძეს, რომ მისი პოსტი იყო ძალიან საპასუხისმგებლო, რადგან სწორედ სტამბოლში რჩებოდნენ ანტანტის წარმომადგენლები, რომელთა ინფორმაციებს ეყრდნობოდნენ ევროპის სახელმწიფოები ახლო აღმოსავლეთის საკითხში. საჭირო იყო მუდმივი კონტაქტი ჰქონოდა მათთან, ვისაც საქართველოსა და ზოგადად კავკასიის საქმეები ჰქონდა მინდობილი. გვარჯალაძეს აფრთხილებდა, რომ თვითნებურად არცერთი ნაბიჯი არ გადაედგა, სანამ მისგან ან მთავრობის თავმჯდომარისგან არ ექნებოდა სათანადო ინსტრუქცია.[1]

პოლიტიკურ კომისიათა ძირითადი მიზანი — რუსეთი იმპერიის ნგრევის შემდეგ ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ ბოლშევიკური რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მსოფლიოსთვის ჩვენება იყო.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 1,

თავის მხრივ, რუსეთის მთავრობა ცდილობდა, საერთაშორისო საზოგადოებისთვის საკუთარი პოლიტიკის სისწორე დაემტკიცებინა და საქართველოს დაპყრობა მსოფლიო საზოგადოების თვალში წარმოეჩინა, როგორც საქართველოში მომხდარი შინაური გადატრიალება. ამასთანავე, რუსეთის მთავრობა მიისწრაფვოდა, რათა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან, ბოლშევიკური ხელისუფლების ფაქტობრივი ცნობა დროულად მომხდარიყო. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყველა ქართველს ერთიანობისკენ მოუწოდებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში ყველა პოლიტიკური ძალა, გარდა ბოლშევიკებისა, ერთიანი აღმოჩნდა.

ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები, უცხოეთიდან, ადევნებდნენ თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ამ მხრივ, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა კონსტანტინოპოლში მყოფი მისია, რომელიც პარიზში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, უშუალოდ აწვდიდა ცნობებს საქართველოში არსებულ სიტუაციაზე. საზღვარგარეთ, საქართველოს ემიგრაციულ მთავრობას მუშაობა რთულ პირობებში უხდებოდა.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობა ცდილობდა, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, საკუთარი სიმართლე მიეწვდინა. 1922 წლის 6- დან 13 იანვრამდე, ქალაქ **კანში** (საფრანგეთი) ევროპის ქვეყნების მონაწილეობით, კონფერენცია მიმდინარეობდა, რომლის თავმჯდომარე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არისტიდ ბრიანი[1] იყო.

კონფერენციის გახსნის დღეს, საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, ანტანტის უმაღლეს საბჭოს წარუდგინა ნოტა, რომელსაც ხელს აწერდა ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია. მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ არსებობდა მჭიდრო კავშირი რუსეთის პოლიტიკურ საკითხსა და საქართველოს საკითხს შორის, რომლის ტერიტორია ოკუპირებული იყო წითელი არმიის მიერ. ნოტაში ხაზგასმით იყო აღნიშნული: „საქართველოს დაკავების შემდეგ, ბოლშევიკების მიერ დაყენებული „საბჭოთა საქართველოს მთავრობა", ნამდვილად წარმოადგენს მხოლოდ სამხედრო ოკუპაციის მთავრობას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართველ ხალხთან და ემყარება მხოლოდ რუსეთის საბჭოთა ჯარების ხიშტებს. მან გააუქმა ერის წარმომადგენლობითი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობანი და მართავს ქვეყანას ტერორის და „ჩეკების" (იგულისხმება საგანგებო კომისია — ჩეკა) საშუალებით, ფართედ აწარმოებენ ტერორს, ატუსაღებენ ყველა კლასის და პარტიის წარმომადგენლებს, ათასობით მოქალაქეს აცხადებენ საშიშ პირებად და უცხოეთში ასახლებენ; საზოგადოებრივი პროტესტის ყოველ გამოხატულებას, პოლიტიკურ

[1] არისტიდ ბრიანი (1862-1932 წწ.) — საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე, ფრანგი დიპლომატი, რომელიც 11-ჯერ იყო საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და 26-ჯერ მინისტრი. ა. ბრიანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის, საერთაშორისო ურთიერთობებში. 1921 წლის 16 იანვრიდან — 1922 წლის 11 იანვრამდე; 1925 წლის 28 ნოემბრიდან — 1926 წლის 17 ივლისამდე; 1926 წლის 23 ივლისიდან - 1932 წლის 12 იანვრამდე, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

გაფიცვებს, თუ ხალხის აჯანყებებს საშინელი ძალმომრეობით ახშობენ"[1].

თავის მხრივ, ევროპაში საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა აკაკი ჩხენკელმა, კანის კონფერენციის ეკონომიკურ კომისიას წარუდგინა სპეციალური ნოტა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო საქართველოს, როგორც პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკური დამოუკიდებლობის აღდგენის პირობები"[2].

აკაკი ჩხენკელი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მომავალ გენუის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ყველა იმ საკითხების განხილვისას, რომელიც უშუალოდ კავკასიის ეკონომიკურ ინტერესებს შეეხებოდა, საქართველოსა და კავკასიის სხვა რესპუბლიკების კანონიერი წარმომადგენლები მიეწვიათ. მისი აზრით, ევროპის ეკონომიკური აღდგენის საკითხის განხილვის დროს საქართველოს საკითხი რუსეთისგან განცალკევებულად უნდა დასმულიყო. აკაკი ჩხენკელი იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს ეროვნული მთავრობის თხოვნა გათვალისწინებული იქნებოდა კონფერენციის ეკონომიკური კომისიის მიერ, ამასთან, იგი ევროპელ პოლიტიკოსებს მიუთითებდა, რომ საქართველოს და საერთოდ მთელ კავკასიას, საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრეების და მოხერხებული სატრანზიტო პირობების გამო, მომავალში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო ევროპის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

კანის კონფერენციის ევროპულმა თათბირმა მიიღო **რეზოლუცია:** „გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო პირობების შესახებ", რომლის VI მუხლის თანახმად: „ეს სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ხელი აიღონ თავიანთი მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული ნაბიჯების გადადგმაზე"[3].

რუსეთში არსებული ეკონომიკური პირობები ჰქონდა მხედველობაში საქართველოს ელჩს აკაკი ჩხენკელს, როდესაც მან ქალაქ კანში, კონფერენციის ეკონომიკურ კომისიას მიმართა. იგი, ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან, ბოლშევიკური რეჟიმისგან, საქართველოს გასათავისუფლებლად დახმარებას მოითხოვდა, რათა მსგავსი ეკონომიკური კრიზისი საქართველოშიც არ განმეორებულიყო. სამწუხაროდ, მაშინდელი მსოფლიო უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა რუსული აგრესია, რადგან თვით ევროპა მოიცვა, როგორც ეკონომიკურმა, ასევე, პოლიტიკურმა კრიზისმა[4].

ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, ბოლშევიკური მთავრობა, უკან არ იხევდა და ძალით გასაბჭოებულ საქართველოში, თავის საოკუ-

---

[1] საქართველოს საკითხი კანის კონფერენციაზე, გაზეთი „თავისუფალი საქართველო", 15, გვ. 8, 15 იანვარი, პარიზი, 1922.

[2] საქართველოს საკითხი კანის კონფერენციაზე, გაზეთი „თავისუფალი საქართველო", 15, გვ. 9, 15 იანვარი, პარიზი, 1922.

[3] გაზეთი „თავისუფალი საქართველო", 8, გვ.16, 15 სექტემბერი, პარიზი, 1921.

[4] ლელა სარალიძე, „პოლიტიკური ემიგრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლაში", წიგნში — დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII—XXI საუკუნეებში (საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის მიხედვით), გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2016, გვ. 208-227.

პაციო რეჟიმს აძლიერებდა. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ძალით დამხობის შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა ქართველი ბოლშევიკების აქტიური მხარდაჭერით, ქვეყანაში ქართველი ხალხისთვის მიუღებელი პოლიტიკური რეჟიმი დაამყარა. 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველო დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა, ფორმალურად ქართული მთავრობით სათავეში. საბჭოთა საქართველო, როგორც იურიდიული სტატუსის მქონე ქვეყანა, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ცენტრალური კომიტეტის კონტროლის მეშვეობით გამოდიოდა. 1921 წლის 20 მაისს, საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის განკარგულებით გამოიცა დეკრეტი 36, რომლის ძალით გაუქმებულად გამოცხადდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამფეროვანი ეროვნული დროშა და მის ნაცვლად კომუნისტური წითელი დროშა შემოიღეს[1].

საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის პირველ წელს საქართველოში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) წარმოადგენდა, რომელიც კავკასიის ბიუროს მიერ იყო შექმნილი.

1921 წლის დეკემბერში, რსფსრ მრეწველობის სახალხო კომისარს ლეონიდ კრასინს[2], ინგლისის მთავრობამ ნება დართო, ოქსფორდის უნივერსიტეტში წაეკითხა მოხსენება, რომელიც რუსეთის ეკონომიკურ დახმარებას შეეხებოდა. კრასინი თავის გამოსვლაში ამტკიცებდა, რომ ევროპამ აუცილებლად უნდა მისცეს რუსეთს სესხი, ვინაიდან მას რუსეთის ხალხის მიერ შექმნილი მთავრობა უდგას სათავეში და თუ ეს არ მოხდებოდა, მისი აზრით, კერძო ხასიათის დახმარება დამშეულ რუსეთს ვერ უშველიდა. ოქსფორდის უნივერსიტეტში, კრასინის გამოსვლას გამოეხმაურა პარიზში გამომავალი გაზეთი „Le Temps" („დრო"). გაზეთში დაბეჭდილი წერილი, ადასტურებდა საქართველოს ეროვნული მთავრობის მტკიცებას, რომ რუსეთში ბატონობდა ხალხისთვის თავსმოხვეული ხელისუფლება.[3].

რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა ცდილობდა, თავისი ნაცადი დიპლომატიური ხრიკებით, ერთმანეთის წინააღმდეგ წაექეზებინა ევროპის სახელმწიფოები. საფრანგეთს, რომელიც მაშინ რუსეთის მკაცრი კრიტიკით გამოდიოდა, რუსეთის მიმართ ორჭოფული პოზიცია ეკავა. თავის მხრივ, რუსეთი ცდილობდა დაეყოლიებინა საფრანგეთის ხელისუფლება, რისთვისაც მას ჰპირდებოდა ვალების ცნობას, ძველი მეგობრობის განახლებას, კავკასიის და სპარსეთის ნავთის საბადოებში წილის მიღებას და ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვაზე დროებით გაჩუმებას. რუსე-

---

[1] ჟურნალი „მოამბე", 20, 19 ნოემბერი, 1921.

[2] ლეონიდ ბორისის ძე კრასინი (1870-1926 წწ.) — საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, რსფსრ ვაჭრობის და მრეწველობის სახალხო კომისარი (1918 წლის ნოემბერი-1920 წლის ივნისი); რსფსრ საგზაო და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარი (1919 წლის მარტი-1920 წლის დეკემბერი); რსფსრ მრეწველობის სახალხო კომისარი (1920 წლის ივნისი-1923 წლის ივლისი). იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი მაუზოლეუმის აგების და იქ ლენინის ნეშთის განთავსების. 1926 წლის 24 ნოემბერს, გარდაიცვალა ლონდონში, სადაც სსრკ-ის სრულიფლებიანი წარმომადგენელი იყო.

[3] გაზეთი „თავისუფალი საქართველო", № 14, 20 დეკემბერი, პარიზი, 1921.

თის ხელისუფლება, წინააღმდეგობის შემთხვევაში, საფრანგეთს ემუქრებოდა ვერსალის ზავის გადასინჯვით, ასევე, გერმანიასთან ერთად მის წინააღმდეგ გაბედული ნაბიჯების გადადგმით. რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკას ასეთ შეფასებას აძლევდა ემიგრაციული გაზეთი „თავისუფალი საქართველო“: „...მთავარი ის არის, რომ სნორედ ის, რასაც მოსკოვის კომისრები სთავაზობენ ევროპის ხელისუფალთ პრობლემატურია, ხოლო რასაც ემუქრებიან უფრო მოსალოდნელი. ამით კი ცხადია მეგობრობა არ შეიძინება“[1].

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ყველა საერთაშორისო ტრიბუნას იყენებდა, რათა საქართველოში არსებული რეალური სიტუაცია მსოფლიო საზოგადოებისთვის გაეცნო.

დიდი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ძალისხმევა გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც **ქალაქ გენუაში** (იტალია), 1922 წელს (10 აპრილი - 19 მაისი) შედგა[2].

კონფერენციაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა 34 სახელმწიფოს წარმომადგენელი, მიიწვიეს საბჭოთა რუსეთიც. ამერიკის მთავრობამ მასში მონანილეობაზე უარი განაცხადა, მაგრამ იქ თავისი მეთვალყურე გაგზავნა[3].

თვით ევროპის სახელმწიფოების ლიდერები, გენუაში გაემგზავრნენ, განსაკუთრებული და ერთიმეორის საწინააღმდეგო მიზნებით: ინგლისის მთავრობას, რუსეთში საკუთარი ინტერესები ჰქონდა. ინგლისის მმართველი წრეები მიისწრაფვოდნენ გავლენა მოეხდინათ რუსეთის ნავთზე, რომელიც მსოფლიოში ბატონობის უძლიერეს იარაღად მიაჩნდათ. თავის მხრივ, საფრანგეთის ხელისუფლება ცდილობდა საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია პირველ რიგში გერმანია და ბოლშევიკური რუსეთი, რათა თავიდან აეცილებინა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა. **საბჭოთა რუსეთი** გენუის კონფერენციაზე მიემგზავრებოდა საკუთარი ხელისუფლების იურიდიული ცნობის მისაღწევად, ასევე, წამყვანი სახელმწიფოებისგან სესხის მისაღებად, რომელიც საბჭოთა ძალაუფლების შენარჩუნების და გახანგრძლივების ერთადერთი საშუალება იყო. თავის მხრივ, გერმანიის მთავრობა გენუაში აპირებდა ვერსალის ხელშეკრულების მძიმე ტვირთის მოხსნას. შედარებით პატარა სახელმწიფოები ამა თუ იმ დიდ სახელმწიფოს ეკედლებოდნენ. პოლონეთი უფრო საფრანგეთისკენ იხრებოდა. იტალია კი ინგლისის მხარეზე იყო.

გენუის კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, **პარიზიდან არაოფიციალური დელეგაცია** ნარგზავნა. მასში შედიოდნენ: აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი, სიმონ მდივანი, გრიგოლ

---

[1] „გენუის კონფერენციის წინ“, გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, №17, გვ. 6, 20 თებერვალი, პარიზი, 1922.

[2] Р.С.Ф.С.Р. Генуэзская конференция Стенографический отчет материалы и документы выпуск I-ый Москва, 1922.

[3] ნ. ნანიტაშვილი, „ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია“, ნაწ. I, $52, საერთაშორისო ურთიერთობა ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის შექმნის შემდეგ (1921-1939 წწ), გვ. 449, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1987.

ვეშაპელი და ზურაბ ავალიშვილი[1].

საქართველოს ეროვნული მთავრობის დელეგაცია იმედს იტოვებდა, რომ ევროპის მმართველი წრეები შეეცდებოდნენ გენუის კონფერენციაზე საქართველოს საკითხი დაესვათ.

1922 წლის იანვარში, ანტანტის პოლიტიკა საბჭოთა რუსეთთან მიმართებაში რუსეთის ეკონომიკური აღდგენისკენ იყო მიმართული, რაც დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ხელისუფალთა ინტერესების წინააღმდეგობას იწვევდა. ფრანგების დიდ ნაწილს ინვესტიციები ჰქონდა რუსეთში და თუ ბოლშევიკები უარს იტყოდნენ მეფის რუსეთის ვალების გადახდაზე, ეს სერიოზული დარტყმა იქნებოდა მათ ფინანსურ მდგომარეობაზე. ამან ხელი შეუწყო წინააღმდეგობის ჯგუფის ფორმირებას, რომელიც ანტიბოლშევიკურ პოლიტიკას ახორციელებდა.

ბოლშევიკები საგონებელში ჩავარდნენ. მათ სურდათ, რომ გენუის კონფერენციის ტრიბუნიდან, საბჭოთა რუსეთთან ერთად, საბჭოთა საქართველოს სახელითაც ელაპარაკათ. იმ დროს, საქართველოში, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, გამოსვლები არ წყდებოდა. ბოლშევიკები საჭიროდ თვლიდნენ, ევროპის საზოგადოებრივი აზრი დაერწმუნებიათ, რომ თითქოს ქართველი ხალხი მათ უჭერდა მხარს. გენუის კონფერენციაზე საქართველოს საკითხის წამონევას გამოხმაურება მოჰყვა საფრანგეთის პოლიტიკური წრეების მხრიდან. საფრანგეთის რადიკალური პარტიის გაზეთი „Ere Nouvelle" („ახალი ერა") წერდა: „საბჭოთა მთავრობა თავს დაესხა საქართველოს, დაიპყრო იგი, გააუქმა საყოველთაო არჩევნები და შემოიღო საბჭოთა რეჟიმი. მოსკოვმა საქართველოში შექმნა ეგრეთწოდებული მთავრობა და მით ფეხქვეშ გათელა ქართველი ხალხის უფლება. ამიტომ გენუის კონფერენცია ვალდებული იქნება შეასრულოს **კანის რეზოლუციის მეექვსე მუხლი და მოსთხოვოს ბოლშევიკებს საქართველოდან ჯარის გაყვანა**, თუ ასე არ მოიქცა იგი, მაშინ მოხდება დაკანონება ისეთი მდგომარეობის, რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგება ამ მუხლს. თავისთავად ცხადია, აგრეთვე ისიც, რომ გენუის კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლად ვერ იქნება დაშვებული ხელოვნურად შექმნილი „საქართველოს მთავრობის" დელეგატი, რომელიც მოსკოვს სურს მოიყვანოს. საფრანგეთი, როგორც ტრადიციულად დამცველი დემოკრატიული პრინციპებისა, არ მისცემს არავის დემოკრატიის ჩახშობის ნებას[2].

ქართველი პოლიტიკოსებისთვის, საერთაშორისო ფორუმს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რისთვისაც ისინი საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. გენუის კონფერენციის წინ, ისინი მსოფლიო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, გერმანიის, ინგლისის, ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის სოციალისტურმა გაზეთებმა დაბეჭდეს საქართველოს სო-

[1] ალექსანდრე მანველიშვილი, „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა", სან- ფრანცისკო, გვ. 352-352, 1984.

[2] „საფრანგეთის რადიკალები საქართველოს დამოუკიდებლობას იცავენ", გაზეთი „თავისუფალი საქართველო", № 17, გვ. 12, 20 თებერვალი, 1922.

ციალ-დემოკრატიული პარტიის მონოდება, რომელიც საბჭოთა არჩევნებს ეხებოდა. საქართველოს საკითხს წერილებს უძღვნიდნენ და აღნიშნავდნენ, თუ რას წარმოადგენდა საერთოდ ბოლშევიკური საბჭოთა არჩევნები, სადაც ელემენტარული წესი არ იყო დაცული. ფრანგულმა გაზეთმა: „სოციალისტური ცხოვრება", დაბეჭდა სტატია სათაურით: „ბოლშევიკების ახალი დანაშაული საქართველოში".

თავის მხრივ, არც ბოლშევიკების აგენტები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. ისინი შეეცადნენ, საქართველოს შესახებ ევროპაში გამოქვეყნებული ყველა ნამდვილი ცნობა გაებათილებინათ. ინგლისის სოციალისტური გაზეთში: „Forward" („მეწინავე") 21 და 28 იანვრის და 4 თებერვლის (1922 წ.) ნომრებში მოთავსებული იყო წერილები, რომელთა ავტორები რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის დამცველთა როლში გამოდიოდნენ.

საქართველოს დაპყრობით აღშფოთებული ევროპის მუშათა წრეების და საზოგადოებრივი აზრის დასაშოშმინებლად და ყველას თვალის ასახვევად, თითქოს საქართველოს კიდევ შერჩენოდა რაიმე თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ბოლშევიკებმა **გენუის** კონფერენციაზე წარსაგზავნ საბჭოთა კავშირის დელეგაციაში, ერთი ქართველი წევრი – **ბუდუ მდივანი**[1] შეიყვანეს. მათი ნამდვილი მიზანი იყო, გენუის კონფერენციაზე ეროვნული მთავრობის წარმომადგენელი არ ყოფილიყო დაშვებული და საქართველოს სახელით, რუსეთის წარმომადგენელს ელაპარაკა[2].

აკაკი ჩხენკელი, ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „საქართველოს ეროვნული მთავრობის მცდელობა იქითკენ იყო მიმართული, რათა გენუის კონფერენციაზე არ დაეშვათ, საქართველოს სახელით, როგორც რუსეთის დელეგაცია, ისე მისი უსახელო „დამატება" ბუდუ მდივანი. ეს უკანასკნელი არა იმისთვის ჩამოვიდა გენუაში, რომ დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ იმისთვის, რომ დაედასტურებინა საქვეყნოდ საქართველოს რუსეთის პროვინციად ქცევა. ბუდუ მდივანს და მის ამხანაგებს, არავინ არაფერს ეკითხებოდა გენუაში, კავკასიის სიმდიდრე და ავლა-დიდება გამოჰქონდათ ბაზარზე კრასინს, ლიტვინოვს და სხვებს"[3].

გენუის კონფერენცია 10 აპრილს გაიხსნა. კონფერენციის გახსნის პირველივე სხდომაზე, რომელსაც იტალიის მინისტრი ლ. ფაქტა თავმჯდომარეობდა, თავი იჩინა წინააღმდეგობამ. ინგლისის წარმომადგენლის, ლოიდ ჯორჯის ლამაზი და პოეტური სიტყვის შემდეგ, მშვიდობიანობის, საერთო თანხმობის და კეთილდღეობის შესახებ, საფრანგეთის დელეგაციის სახელით, ლუი ბარტუმ განაცხადა, რომ ის მზად იყო ეთანამშრომლა

[1] ბუდუ გურგენის ძე მდივანი (1877-1937 წწ.) —საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, რევოლუციური კომიტეტის (რევკომი) თავმჯდომარე 1921 წლის მაის-ივლისში, 1924 წელს სსრკ-ის სავაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში. 1931-1936 წლებში, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი. 1936 წელს, დააპატიმრეს, როგორც ტროცკისტულ-მავნებლური ცენტრის მონაწილე. ბ. მდივანი, 1937 წლის 10 ივლისს, დახვრიტეს.

[2] გოგი ცხოვრებაძე, „გენუის კონფერენცია და საქართველოს საკითხი, ქართული დიპლომატია", №3, თბილისი, 1996.

[3] საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 64, ფურცელი 11.

და ხელი შეეწყო კონფერენციის ნაყოფიერი მუშაობისთვის ერთი აუცილებელი პირობის დაცვით: მან გადაჭრით მოითხოვა არ გადაეხვიათ კანის კონფერენციის დადგენილებისაგან და იქ მიღებული გადაწყვეტილებები სადავოდ არ გაეხადათ. ეს შეეხებოდა ვალების ცნობას, ხელშეკრულებათა ხელუხლებლად დატოვებას და მეზობელი სახელმწიფოების მიმართ აგრესიულ მოქმედებაზე უარის თქმას.

საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა, რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ვ. ჩიჩერინმა[1] თავის გამოსვლაში, პირველ დღესვე ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა, როდესაც უფრო დემაგოგიის მიზნით, ვიდრე რეალური მოქმედებისთვის, კონფერენციაზე პირდაპირ განიარაღების საკითხი წამოაყენა. მან განაცხადა: „აზრად გვაქვს, კონფერენციაზე შევიტანოთ წინადადება, შეიარაღების საერთო შემცირების შესახებ და ხელი შევუწყოთ ყოველივე ზომას, რომელიც მილიტარიზმის სიმძიმეს შეამსუბუქებს"[2].

აღნიშნული განცხადებით, მას სურდა ევროპის საზოგადოებრივ აზრზე გავლენა მოეხდინა. ამავე დროს, გ. ჩიჩერინი შეეცადა საფრანგეთის დელეგაციის მეთაურის, რომელიც აშკარად ამხელდა მოსკოვის საოკუპაციო რეჟიმს, უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებას. სინამდვილეში, თავადაც კარგად იცოდა, რომ განიარაღების შემთხვევაში, წითელი არმიის გარეშე, მოსკოვის კომისრები საკუთარი ხალხის რისხვასაც ვერ გადაურჩებოდნენ. გ. ჩიჩერინის განცხადებაზე ლ. ბარტუმ სასტიკი პროტესტი განაცხადა, რადგან მისი აზრით, დღის წესრიგში არ იდგა განიარაღების საკითხი და არც შეიძლებოდა მასზე საუბარი. კამათში ჩაერთო ინგლისის პრემიერ-მინისტრი — ლოიდ ჯორჯი, რომელიც თავიდანვე გენუის კონფერენციის მოწვევის ინიციატორი იყო. მან ნახევრად დამცინავი, ნახევრად მფარველობითი კილოთი მიმართა ჩიჩერინს და მას ზომიერების დაცვისკენ მოუწოდა. ლ. ჯორჯმა რუსეთის დელეგაციის მეთაურს უთხრა: „კონფერენცია იმ გემს გავს, რომელსაც მძიმე ღელვაში უხდება მოგზაურობა. თქვენ ერთი მგზავრთაგანი ხართ და ნუ წამოაყენებთ ისეთ საკითხებს, რომელიც მის „ავარიას" გამოიწვევს, თორემ თქვენს პერსონასაც დაღუპვის საშიშროება მოელის... შესაძლებლობა მოგვეცით გაგიცნოთ, ჯერ როგორი მგზავრი ბრძანდებით"[3].

გენუის კონფერენციაზე, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირება. ლოიდ ჯორჯი, რომელიც დაინტერესებული იყო კონფერენციის მუშაობის შედეგიანობით, ხოლო საფრანგეთი აშკარა ბრძოლას უცხადებდა რუსეთის პოზიციას, შეეცადა ღიად დაპირისპირებოდა საფრანგეთს. ფრანგი დელეგატის სეიდუს მიერ კომისიის დატოვების შემდეგ, ლოიდ ჯორჯი პირდაპირ იმუქრებოდა. „ინგლისის დემოკრატიას ზავი სურს და რომელი ჰორიზონტიდანაც უნდა მოდიოდეს ზავის

[1] ჩიჩერინი — გიორგი (იური) ვასილის ძე ჩიჩერინი (1872-1936), საბჭოთა რუსეთის მეორე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლევ ტროცკის შემდეგ.

[2] საქართველოს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში, გაზეთი „თავისუფალი საქართველო", №20, გვ. 6, 15 აპრილი, პარიზი, 1922.

[3] საქართველოს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში, გაზეთი „თავისუფალი საქართველო", №20, გვ. 7, 15 აპრილი, პარიზი, 1922

წინადადება, ჩვენ იმას მივემხრობით"[1] - განაცხადა მან. ლოიდ ჯორჯი, საფრანგეთის მთავრობას იარაღის ჟღარუნში სდებდა ბრალს, რამაც საფრანგეთის პოლიტიკური წრეების აღშფოთება გამოიწვია. ლოიდ ჯორჯის მოკავშირეთა საზიანო, ორმაგი პოლიტიკა მკაცრად გააკრიტიკა რაიმონ პუანკარემ, ასევე მილიერანმა, რომელიც იმ დროს მაროკოში იმყოფებოდა. საფრანგეთის პოლიტიკურ განცხადებებს ფართოდ გამოეხმაურა მაშინდელი ინგლისური პრესა, რომელიც აშკარად იცავდა საფრანგეთის პოზიციას და აკრიტიკებდა ლოიდ ჯორჯის პოლიტიკას.

გენუის კონფერენციის მუშაობის პერიოდში, **16 აპრილს, ქ. რაპალოში** ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ამ ფაქტმა აღაშფოთა თვით გერმანიის პოლიტიკური წრეები. იმავე 1922 წლის ზაფხულში მოკლეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ, რომელმაც ხელი მოაწერა რაპალოს ხელშეკრულებას. იგი საბჭოთა რესპუბლიკასთან ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენის მომხრე იყო[2].

რაპალოს ხელშეკრულება, გენუის კონფერენციის დელეგატებისთვის მეხის გავარდნას ნიშნავდა. კომისიების მუშაობა შეჩერდა. ხელშეკრულებამ განსაკუთრებით საფრანგეთის ხელისუფლება აღაშფოთა. რაც შეეხება ლოიდ ჯორჯს, თავდაპირველად, მან აღშფოთება გამოთქვა ხელშეკრულების გამო, ხოლო როცა საფრანგეთის დელეგაციამ კატეგორიულად მოითხოვა მისი გაუქმება, ინგლისის დელეგაციამ, პოზიციები შეარბილა და გერმანიას მოსთხოვა ან რაპალოს ხელშეკრულების პირობების გაუქმება, ან რუსეთის კომისიიდან გასვლა. რუსეთის დელეგაცია, როგორც უპასუხისმგებლო წარმომადგენლობა, სასჯელს გადაურჩა. რაც შეეხება გერმანიას, მან რაპალოს ხელშეკრულებით მიაღწია ძველი, ომისდროინდელი ვალების გაუქმებას და რუსეთის ეკონომიკურ აღდგენაზე მიიღო უფლება. ამის შემდეგ, გერმანიის წარმომადგენლებისთვის კომისიაში ყოფნა დიდ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. ლოიდ ჯორჯის წყალობით, გერმანიის დელეგაციის მიმართ სასჯელმა უფრო მორალური ხასიათი შეიძინა. ევროპის ქვეყნების მესვეურებმა, უფლება დაიტოვეს რაპალოს ხელშეკრულებაზე უარი ეთქვათ, რადგან იგი ვერსალის ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებოდა. გენუის კონფერენციაზე დაიბადა ერთგვარი ეჭვიც იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისი თავის მოკავშირე საფრანგეთს გვერდზე განუდგა. აღსანიშნავია, რომ რაპალოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ლოიდ ჯორჯი, წინასწარ მოეთათბირა, როგორც გერმანელებს, ასევე რუსებს. ცხადია, ლოიდ ჯორჯს ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის გაბატონება არ სურდა. მან ეს აზრი საფრანგეთის პრესისთვის მიცემულ განცხადებაში გააჟღერა, სადაც აღიარა, რომ „დასაშვებად არ მიაჩნდა ვინმეს ჰეგემონობა ევროპაში, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა მშვიდობიანობის იდეას და რომ ინგლისი მოწოდებული იყო, ერთა შორის, მშვიდობი-

[1] საქართველოს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში, გაზეთი „თავისუფალი საქართველო", №20, გვ. 7, 15 აპრილი, პარიზი, 1922

[2] История новейшего времени стран Европы и Америки 1918-1945б, под редакцией Е. Ф. Языкова, стр. 77, изд. «Высшая школа", Москва, 1989.

ანობისთვის საჭირო თანამშრომლობა დაეცვა"[1].

გერმანიამ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში პირველმავე უღალატა მას, რუსეთთან რაპალოს ხელშეკრულების გაფორმებით. აღნიშნული ხელშეკრულების ავტორმა მალცანმა განაცხადა, რომ ჩიჩერინს ჯიბეში ედო საქართველოს მანდატი. მისი აზრით, საკმარისი იყო გერმანიას რუსეთთან გაეცვალა დიპლომატიური ნოტები და ფაქტობრივად, საქართველო რუსეთის ფედერაციაში აღმოჩნდებოდა, რაც გერმანიას საშუალებას მისცემდა მომავალში თბილისში, ელჩის სანაცვლოდ გენერალური კონსული გაეგზავნა. რაპალოს ინციდენტის გამო, გენუის კონფერენციამ შემდგომი მუშაობა გერმანიის დელეგაციის გარეშე განაახლა.

ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა რუსეთის ბატონობას. პირველმა აჯანყებამ იფეთქა სვანეთში[2].

ბოლშევიკებმა, რომლებიც გენუის კონფერენციის გახსნამდე, ცდილობდნენ აჯანყების ლიკვიდაციას, ეს ვერ მოახერხეს. რუსეთის ვერაგი პოლიტიკა გააკრიტიკა თავის მემორანდუმში საქართველოს კათალიკოსმა ამბროსიმ, რომელიც მან გენუის კონფერენციას გაუგზავნა[3].

1922 წლის 5 მაისს, პატრიარქის წერილის ტექსტი იტალიურ გაზეთ - „Kafara"-ში დაიბეჭდა[4].

1922 წლის 20 სექტემბერს, ერთა ლიგის ყრილობამ საქართველოს საკითხი განიხილა. ყრილობაზე კამათი გაიმართა. ბელგიის წარმომადგენელმა დე ბრუკერმა, როგორც მომხსენებელმა, მტკიცედ დაიცვა საქართველოს უფლებები. საქართველოს მხარს უჭერდა პოლონეთის, ინგლისის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების მეთაურები. წარმოადგინეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც ერთხმად მიიღეს, შვეიცარიის წარმომადგენლის ჯუზეპე მოტას მცირე შესწორებით. რეზოლუცია 1922 წლის 22 სექტემბერს ერთა ლიგის ყრილობამ მიიღო. მასში აღნიშნულია: **„ერთა ლიგის ყრილობა აღელვებულია იმ საშინელი მდგომარეობით, რომელშიც იმყოფება დღეს საქართველო, თავდასხმის საშუალებით დაპყრობილი უცხო ძალისაგან, მის მცხოვრებთა ნების წინააღმდეგ, — მოუწოდებს ერთა ლიგის საბჭოს ყურადღებით ადევნოს თვალ-ყური ამ კუთხის საქმეთა მიმდინარეობას და პირველსავე შემთხვევაში, როცა ხელსაყრელი პირობები დადგება სათანადო ღონისძიება მიიღოს, რომ თანახმად საერთაშორისო ნორმებისა, ხელი შეუწყოს ამ ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობის აღდგენას."**[5]

1922 წლის 20 ნოემბრიდან 1923 წლის 24 ივლისამდე (შესვენება იყო 1923

[1] საქართველოს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში, გაზეთი „თავისუფალი საქართველო", 20, გვ. 7, 15 აპრილი, პარიზი, 1922

[2] ალექსანდრე მანველიშვილი, „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა", გვ. 357-358, სან ფრანცისკო, 1984.

[3] საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 631, ფურცელი 8-10.

[4] საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 600, აღწერა 2, საქმე 12, ფურცელი 39.

[5] ალექსანდრე მანველიშვილი, „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა", გვ. 362, სან ფრანცისკო, 1984.

წლის 4 თებერვლიდან 22 აპრილამდე), შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში საერთაშორისო კონფერენცია მოიწვიეს. კონფერენციის მიზანი იყო ახლოაღმოსავლეთში მდგომარეობის მოსწესრიგება, რომელიც ითვალისწინებდა მოლაპარაკებებს სევრის ხელშეკრულების[1] შეცვლასთან დაკავშირებით, რომელსაც ოსმალეთის ახალი ხელისუფლება, მუსტაფა ქემალის მეთაურობით, არ ცნობდა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, იაპონიის, ოსმალეთის, საბჭოთა რუსეთის, ბულგარეთის დელეგაციები. კონფერენციაზე აშშ-ის დელეგაცია დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდა. რუსეთის დელეგაციის მეთაური გიორგი ჩიჩერინი იყო. კონფერენციაზე განიხილეს შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის საკითხი. საბჭოთა დელეგაციამ მხარი დაუჭირა, ოსმალეთის ეროვნულ ინტერესებს და ომისა და მშვიდობიანობის დროს, სამხედრო ხომალდებისთვის, სრუტეების ჩაკეტვა, ხოლო სავაჭრო გემებისთვის ნაოსნობის სრული თავისუფლება მოითხოვა. ინგლისის დელეგაცია სრუტეებში ყველა ქვეყნის არა მარტო სავაჭრო, არამედ სამხედრო გემების თავისუფალ მიმოსვლას, ასევე, შავი ზღვის სრუტეების დემილიტარიზაციას და მათზე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას უჭერდა მხარს.

ქ. ლოზანის საერთაშორისო კონფერენციაზე საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა რაიმონ პუანკარემ წინადადებით მიმართა ინგლისისა და იტალიის მმართველებს, რათა მიეწვიათ **საქართველოს ეროვნული მთავრობის დელეგაცია**, თუმცა მან ვერ მიიღო მოკავშირეთა თანხმობა. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზონი არ იყო საქართველოს მინვევის წინააღმდეგი, მაგრამ მოითხოვდა ასევე ფაქტიურ, ე. ი. მოსკოვის მთავრობის დაშვებასაც. რ. პუანკარემ ინგლისის წარმომადგენელს დაუსაბუთა, რომ ინგლისმა სხვა მოკავშირეებთან ერთად იცნო, როგორც საქართველო, ისე მისი ეროვნული მთავრობა. ამის შემდეგ, კერზონი იძულებული გახდა ელიარებინა თავისი შეცდომა, თუმცა ლოზანის კონფერენციაზე საქართველოს მონვევის საკითხში ის მაინც ურყევი დარჩა. რადგან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, გადაწყდა კონფერენციაზე არ მოეწვიათ არც ეროვნული და არც რუსეთის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მთავრობა. კონფერენციაზე გამოიკვეთა ოსმალეთის სურვილი დაახ-

[1] სევრის ხელშეკრულება პირველი მსოფლიო ომის შედეგების გასაფორმებლად, 1920 წლის 10 აგვისტოს, სევრში (პარიზის მახლობლად), ოსმალეთის იმპერიასა და ანტანტის ქვეყნებს შორის, დაიდო. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა, ოსმალეთის სულთნის წარმომადგენლებმა, ფაქტობრივად ყოველგვარ ძალაუფლებას მოკლებულებმა, ანტანტის ქვეყნებთან საზავო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. მანამადე 1919 წლის 28 ივნისს, ვერსალში, ხელშეკრულება დაიდი პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიასთან, რომლითაც გერმანიის ეკონომიკური პრივილეგიები ანულირებული იქნა. სევრის საზავო ხელშეკრულებით, ოსმალეთს ჩამოერთვა სირია, ლიბანი, პალესტინა და მესოპოტამია, რომლებიც ერთა ლიგის მანდატებით მიიღეს ინგლისმა (პალესტინა და მესოპოტამია) და საფრანგეთმა (სირია და ლიბანი). ოსმალეთი უარს ამბობდა თავის სამფლობელოებზე არაბეთის ნახევარკუნძულზე და იქ წარმოქმნილ ჰიჯაზის სამეფოს ცნობდა. ასევე, დაკარგა მან ბევრი სხვა პრივილეგია. სულთნის ხელისუფლებამ სევრის ხელშეკრულება დაადასტურა, მაგრამ ოსმალეთის ახალმა პატრონმა მუსტაფა ქემალმა იგი კატეგორიულად უარყო.

ლოვებოდა ინგლისს. ოსმალეთის დელეგატმა ისმეთ ფაშამ უარი თქვა რუსეთის პოზიციების მხარდაჭერაზე, რის გამოც **რუსეთმა არამც თუ ვერ მოიპოვა ახალი პოზიციები ლოზანაში, არამედ ძველიც კი დაკარგა.** კონფერენციის ძალით, შავი ზღვა გადაიქცა საერთაშორისო ზღვად, სადაც შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოებისათვის უზრუნველყოფილი იყო როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო გემების მიმოსვლა. საქართველოს ეროვნული მთავრობის მიერ წარგზავნილი არაოფიციალური დელეგაციის ძალისხმევით, საქართველო შეტანილი იქნა კონფერენციის ოქმებში. გარდა ამისა, კონფერენციამ **სრუტეების კონვენციის XII მუხლში საქართველოს დაუტოვა ადგილი.** აღნიშნულ მუხლში საუბარი იყო საერთაშორისო კომისიაზე, რომელსაც ევალებოდა თვალ-ყურის დევნება სრუტეების საკითხში ახალი წესების შესრულებაზე.[1] იმავე მუხლის III აბზაცში, რომელსაც მეტსახელად „ქართველების აბზაცს" უწოდებდნენ, აღნიშნული იყო, რომ შავი ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოებს — საქართველოს და უკრაინას, რომელთაც ოფიციალურად მონაწილეობა არ მიუღიათ ლოზანის კონფერენციაში, უფლება ჰქონდათ საკუთარი წარმომადგენელი გაეგზავნათ სრუტეების საკითხის შემსწავლელ საერთაშორისო კომისიაში. **ლოზანის კონვენციამ განსაზღვრა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ადგილი სრუტეების კონვენციაში, რაც ემიგრაციული მთავრობის ძალისხმევის შედეგიც იყო.**

ყველა ამ საერთაშორისო ფორუმსა და მათ შედეგებზე საუბრობდა აკაკი ჩხენკელი ქართველი დიპლომატებისა და პოლიტიკოსებისადმი გაგზავნილ წერილებში. მასაც სინტერესო გზავნილები მიდიოდა თანამებრძოლებისაგან. აქედან გამოვყოფ სტამბოლში მყოფი ვალიკო ჯუღელის ლოზანაში გაგზავნილ წერილს აკაკისადმი, რომელიც გამოირჩევა ოპტიმიზმით, ბრძოლის წყურვილითა და გამარჯვების რწმენით, იმ ანტირუსული მუხტით, რაც ქართველ პატრიოტებს რუსულმა იმპერიულმა პოლიტიკამ გაუჩინა.

„ამ უხეშმა ოკუპაციამ და წარმოუდგენელმა მონობამ ისე შეაბრუნებია ქართველ ხალხს ზურგი, — წერდა ჯუღელი, — რომ მე მგონია არასოდეს არ იზამს იგი პირს რუსეთისაკენ. საუკუნოთ გაწყდა საკითხი რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებისა. აი, ასეთია ჩემო აკაკი აქ მდგომარეობა და სულისკვეთება. რასაკვირველია, აქ ხალხს არასოდეს არ მოუვა აზრათ ბოლშევიკებთან მოლაპარაკების და შეთანხმების გამართვა. ჩვენი ხალხი ერთხელ და სამუდამოთ განიკურნა რუსეთის ფეტიშიზმიდან და ეხლა ბორბლის უკან შეტრიალებას ვერავინ შესძლებს. **ჩემ თავზე ვხედავ, რომ მეც განვიკურნე ამ მძიმე ავადმყოფობისაგან. ქართველი ხალხი მეტად მტკიცედ არის, ევროპისაკენ იყურება და თავისი იმედი აქვს. ამიტომ, შენ მანდ უნდა ილაპარაკო, როგორც ხალხის ნამდვილმა წარმომადგენელმა, რომელსაც ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგი აქვს."**[2]

[1] აკაკი ჩხენკელი (ანჩინი), სრუტეების კონვენცია და საქართველო, „საქართველოს მოამბე", №1., გვ. 3-5, 1 ოქტომბერი, პარიზი, 1923.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 439, ფ. 3.

ასეთი წერილები და ცნობები ჩხენკელს უფრო დიდ ენერგიასა და გამარჯვების მეტ რწმენას უნერგავდა. თავის მხრივ, ისიც დაუღალავად წერდა თანამებრძოლებს იმ დიპლომატიური ომის ცალკეულ ფრონტებზე მომხდარი ამბებისას, რომელშიც საქართველო იყო ჩაბმული.

ჩხენკელი ინფორმაციებს უგზავნიდა სტამბოლის ემიგრაციის ყველა წევრის გასაცნობად კონსტანტინე გვარჯალაძეს, აღწერდა თავისი და სხვა პოლიტიკოსების ყველა შეხვედრის, საერთაშორისო კონფერენციების მუშაობის დეტალებს, გამოთქვამდა საკუთარ შეხედულებებს, აკეთებდა მოვლენების ანალიზს. .

1921 წლის 3 ივნისს რომში გაწეული მუშაობის შესახებ ის უხსნიდა გვარჯალაძეს, რომ ინახულა იტალიის მეფე, პოლიტიკოსები, საქართველოს მისიას რომში სათავეში გიორგი მაჩაბელი ჩაუდგა, აცნობდა ლეგაციის ახალ მისმართს, რათა მიმოწერა ეწარმოებინათ მასთან, უხსნიდა იტალიის ახალ პოლიტიკას: „რაც შეეხება იტალიის ახალ განზრახვებს რუსეთის მიმართ, მთავრობას სურს შეკრას მზგავსი ინგლის-რუსეთის პირობისა, თუმცა არ სწამს მისი ნაყოფიერი შედეგი. პოლიტიკურათ არ სცნობენ მოსკოვის მთავრობას და საქართველოს შესახებ არ სურთ მასთან ლაპარაკი, სცნობენ მხოლოდ მის კანონიერ (ჩვენს) მთავრობას, ასეთია მათი Longage.."

რაც შეეხებოდა მეზობლებს და მათთან სასაზღვრო თუ სხვა დავებს, ამის შესახებ წერდა: „მეზობლებთან მოლაპარაკება კარგად დამთავრდა, ანი თუ არ გვიშარეს! მიენდო ოთხივე რესპუბლიკის წარმომადგენელთ (ჩხენკელი, ტოპჩიბაშევი, აგარონიანი[1], ჩერმოევი[2]), რომელნიც წარმოადგენენ საბჭოს 4 რესპუბლიკისა, სათანადო დეკლარაციის შედგენა (ამალამ ვარჩევთ პროექტს). **საფუძვლებია: დამოუკიდებელ რესპუბლიკათა კავში-**

---

[1] აგარონიანი, — ავეტიკ არაქელის ძე აგარონიანი (1866-1948), სომეხი პოლიტიკოსი და ლიტერატორი, დაშნაკცუტიუნის პარტიის წევრი. დაიბადა იგდირში (ახლა თურქეთი), დაასრულა ეჩმიაძინის სასულიერო სემინარია, მუშაობდა პედაგოგად, 1898 წლიდან სწავლობდა ლოზანისა და სორბონის უნივერსიტეტებში, 1902-1905 წლებში იყო თბილისში სომხური გაზეთის —„მურჩ"-ის რედაქტორი, 1907-1909 წლებში თბილისის ნერსესიანის სკოლის დირექტორი, 1909წ. დააპატიმრეს „დაშნაკცუტუნის საქმის" გამო, 1911 წ. გათავისუფლდა და წავიდა ემიგრაციაში, სადაც დაპყო 1916 წ.-მდე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა და გახდა სომხეთის ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელი, რომელმაც 1918 წლის 28 მაისს გამოაცხადა სომხეთის დამოუკიდებლობა. 1919-1920 წ. წ.-ში იყო სომხეთის პარლამენტის თავ-რე. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა საფრანგეთში. მონაწილეობდა პარიზის კონფერენციაში (იყო სომხეთის დელეგაციის მეთაური), ხელი მოაწერა სევრის ხელშეკრულებას, ესწრებოდა 1921 წლის ლონდონის და და 1922-23 წლების ლოზანის კონფერენციებს. დაკრძალულია მარსელში. 1926 წელს აგარონიანი წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.

[2] ჩერმოევი, — ტაპა არცუს ძე (1882-1936), ჩრდილო კავკასიელი პოლიტიკოსი, ნავთობმრეწველი, რუსი გენერლის —არცუ ჩერმოევის შვილი. დაიბადა გროზნოში. მიიღო სამხედრო განათლება, მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო ერთ-ერთი შემქმნელი „ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის", გახდა ამ რესპუბლიკის მეთაური. ქართველ ემიგრანტებთან ერთად მოღვაწეობდა პარიზში კავკასიის კონფედერაციის შესაქმნელად. მისი ძმა ოსმანი იყო პარიზის მასონთა „ოქროს ლოჟის" წევრი, მან ძმაც გააწევრიანა მასონთა ლოჟაში. 1927 წელს ტაპა ჩერმოევმა კავკასიელთათვის თავად ჩამოაყალიბა მასონთა ლოჟა — „პრომეთე" (იარსება 1930 წ.-მდე). დაკრძალულია პარიზში.

რი და არა კონფედერაცია. დავა ურთიერთშორის გადაიჭრება სავალდებულო არბიტრაჟით. სამხედრო და საბაჟო კავშირი, შეთანხმებული საგარეო პოლიტიკა, სამხრეთი საზღვრები 1914 წლისა, სომხებზე ცალკე აბზაცი, რომ კავშირი დაინტერესებულია მათი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებაში ოსმალეთის სომხეთში (ისე არ შვრებიან). იმედია, დეკლარაციის ასლს გამოვგზავნი ამ დღეებში. ეს არ არის კიდევ ხელშეკრულება. სომხები შიშობენ, რომ ეს მათ ავნებთ, მაგრამ მაინც დიდი ნაბიჯია, მათ უმისოთ დოკუმენტი დაკარგავდა მნიშვნელობას ნახევრათ მაინც".

უხსნიდა მას არისტიდ ბრიანთან შეხვედრის შედეგს: ბრიანი დაგვპირდა, რომ ოსმალეთის ნაციონალისტებს მალე აზრზე მოიყვანდნენ, უკვე იგზავნებოდა ძალები, ამუნიცია და სხვ. ეს საუბარი საიდუმლოდ უნდა ინახებოდეს, გარდა ახლობელი პირებისა არავის უნდა ვუთხრათ... კონიუნქტურა ევროპაში იცვლება ჩვენდა სასარგებლოთ. უკვე ამჩნევენ მოსკოვ-ანგორის საშიშროებას ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიანობისათვის... „უკვე რწმუნდებიან, რომ თავისუფლება კავკასიისა ერთ-ერთი ძირითადი გარანტია არის ახლო აღმოსავლეთის დასამშვიდებლათ". „თქვენი და ხომერიკის წერილები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე, თითქოს თქვენ ჩქარობთ ოსმალებთან შეთანხმებას. თუ ჩემი შთაბეჭდილება მართალია, მე არ გეთანხმებით ამაში. ოსმალებთან პირდაპირი მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვა, ისინი ყურით უნდა მივათრიოთ ევროპის მთავრობებთან და იქ მოვაწერინოთ ხელი ჩენს პირობებზე, სხვა გზა არ არის და არც შეიძლება იყოს. ასე იყო 1918 წელსაც. მე მხოლოდ ბერლინის საშუალებით ველაპარაკებოდი მათ..."

აქვე ურჩევდა, რომ ზღვით ეწარმოებინათ შეხვედრები და მოლაპარაკებები საქართველოსთან და არა ოსმალეთის საშუალებით. „ერთი, ისინი სანდონი არ არიან, გიმუხთლებენ უთუოთ; მეორეც, გაცილებით უფრო სახეიროა ჩვენთვის ჯერჯერობით, სანამ ოსმალეთთან საქმე არ მოწესრიგებულა, ზღვით დავიჭიროთ კავშირი სამშობლოსთან...თუ უმაღლესი კომისრები უბრძანებენ კაპიტნებს, ისინი მოაწყობენ ამ საქმეს. ყოველი გემით გაიგზავნ-გამოიგზავნება წერილი, თვით პასუხისმგებელ პირსაც შეუძლია ჩავიდეს ბათუმში, ფოთში, არ ამოვიდეს სულაც გემიდან და საჭირო პირი ნახოს გემში პირადად, საიდუმლოდ. ეს გაცილებით უფრო ნაყოფიერია, ნაკლებიც დაჯდება."

ჩხენკელი ატყობინებდა გვარჯალაძეს, რომ სიმონ მდივანი კონსტანტინოპოლიდან საბახტარაშვილთან ერთად გაემგზავრა ჟენევაში ერთა ლიგის ნაციონალურ საზოგადოებათა კონფერენციაზე დასასწრებად. იქ ნახავდა ოსმალეთის წარმომადგენელს ჯამი-ბეის და ქართველების მუშაობის გასაადვილებლად ესაუბრებოდა, მე ის ვნახეო, ასევე სტამბოლის ელჩიც - ოსმან ნისიმ ფაშა ვინახულე და ვესაუბრე, მასზე გარკვეული შთაბეჭდილებაც მოვახდინეო. თქვენც უნდა ელაპარაკოთ მათ, მაგრამ წინდაწინვე უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ არ ვენდობით მათ ნათქვამსო.

ჩხენკელი მოუწოდებდა, აღმდგარიყო კავშირი საქართველოს სხვა ორ-

განიზაციებთან, მათ ჰქონოდათ ინტერპარტიული საიდუმლო ორგანიზაციები, ასევე პოლიტიკური კომისია, მსგავსად პარიზისა და სტამბოლისა. მისი აზრით, დრო იყო დაყრდნობოდნენ მათ ინფორმაციას, პოლიტიკური მოვლენების ხელმძღვანელობაც მათი საშუალებით მომხდარიყო. კერძო პირების ცნობები, მისი თქმით, არ იყო მთლად სანდო. **„გამოცდილებით ვიცი ქართველი უცხოეთში დიდი ფანტაზიორია, თან უნდა ასიამოვნოს გავლენიან პირებს, ვინც სამშობლოს გარეთაა. აქ მთავრობები უმაღლესი კომისრების მოხსენებებს ეყრდნობიან. დაუღალავი მუშაობა გმართებთ მათზე ზეგავლენის მოსახდენად, მათ მოსახიბლავად“**, — არწმუნებდა გვარჯალაძეს. „მე ვიტყოდი, **ყოველ დილას უნდა ეკითხებოდეთ თქვენს თავს, რა ახალი ნაბიჯი უნდა გადადგათ, რომ მიაღწიოთ მიზანს.** საჭიროა, მეზობლების ხელმძღვანელობაც თქვენ ჩაიგდოთ ხელში, გაიგოთ, რას ეჩურჩულებიან თათრები და მთიელნი ოსმალებს ყურში, ჩააგონოთ მათ, რომ განზე ხტომას, როგორც წინეთ, ჩვენ მათ არ ვაპატიებთ.“ აგებინებდა გვარჯალაძეს, რომ იუნკრების საკითხზე ბევრს მუშაობდა, მათზე მინისტრ ბარტუს და ლტოლვილებზე ჩენდლერს ესაუბრებოდა.

ჩხენკელს აუცილებლად მიაჩნდა ოფიცერთა კონტიგენტის შენარჩუნება: ზოგი მანდ დატოვეთ ახლადშექნილ შტაბში, ზოგი შესაძლოა რომში, პარიზში, ლონდონსა და ბერლინში ვიყოლიოთ, უნდა დაენიშნოთ მინიმუმი მაინც საცხოვრებლადო. შვეიცარიაში უნდა გაიგზავნოს 2-3 პირი იქაური სისტემის შესასწავლად ჯუღელთან ერთადო. „პარიზში, ლონდონსა და რომში საჭიროა იარაღისმცოდნენი, როგორც გენერალი ქუთათელაძეა, რომ როცა დრო დადგება, ჩავიბაროთ კარგი და არა „ბრაკი“ იარაღი და ამუნიცია. თულაევი და სიამაშვილი შეიძლება გერმანიაში გაიგზავნონ, უკანასკნელმა იცის ცოტა გერმანული. ძალიან ყოჩაღი და ერთგული ოფიცერია“.[1]

ჩხენკელმა გვარჯალაძეს სულ 64 წერილი მისწერა, რომლებიც სრულად შემოგვინახა მისმა პირადმა არქივმა[2].

„მე გწერთ სადაც რომ არ ვიყო და ყოველთვის, როცა ამას მოითხოვს საქმე“ — წერდა ის ლონდონდან 1921 წლის 19 ივნისს. და მართლაც, სულ წერდა, მოქმედებდა, იბრძოდა, ფიქრობდა და ბჭობდა. თუ გავითვალისწინებთ იმ სიძნელეებს, რაც ამ წერილების დაწერასა და გაგზავნას ახლდა, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ქართველ დიპლომატს თავისუფალი წუთიც არ ჰქონდა. ის ვერც ოჯახისთვის იცლიდა და ვერც საკუთარი თავისთვის, ყველაფერი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლასა და გამარჯვების იმედის რწმენის განმტკიცებას ეწირებოდა, ეს იმედი ზოგჯერ უკაცრიელ ველზე დანთებული კოცონივით მინავლდებოდა, მაგრამ მისი დიდი შინაგანი ენთუზიაზმი და ენერგია ისევ ააბრიალებდა. საკუთარ მოვალეობად მარტო ის კი არ მიაჩნდა, რომ ამ რწმენით ებრძოლა, არამედ სხვებიც უნდა აენთო საბრძოლველად იმ უთანასწორო ომში, რომელიც დამარცხებული და მტრისგან დაპყრობილი, მეგობრებისა და

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ.2-5.
[2] ამ წერილებს წიგნს თან ვურთავთ.

გულშემატკივრების გარეშე დარჩენილი ქვეყნის შვილებისთვის ურთულესი ომი იყო.

წერილებში საუბრობდა ქვეყნის (რომელიც უნდა დაებრუნებინათ ბოლშევიკი დამპყრობლებისაგან) მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე, ევროპის ქვეყნებში საქონლის რეალიზაციაზე და სხვ. წერდა, რომ კანდელაკს (ყოფილ ფინანსთა მინისტრს), წერეთელს და ჯაყელს ელოდნენ პარიზში. აქ გადაწყდებოდა შავი ქვის საკითხი, რომელსაც ბოლშევიკები ითხოვდნენ, რათა გაეყიდათ და ეყიდათ სურსათი. ჩხენკელი ეჭვობდა: ვთქვათ გავაყიდინეთ, იქნებ სურსათი კი არა იარაღი იყიდონო. თუ ნამდვილად გვეცოდინება, რომ ხალხს სურსათი მიუვა, მაშინ უნდა დავეთანხმოთ, ისე კი მეპატრონეებმა უნდა გასცენ პასუხი. მთავრობა მეპატრონე არ არის, ის იბრალებს ამას. ინგლისის სასამართლოს პირველი ნაწილი ბ-მა[1] მოიგეს, მათ შეუძლიათ ინგლისში გაყიდონ მოპარული და სხვისთვის წართმეული საქონელი და მეპატრონე ხელს ვერ ახლებს მას. საქმე ჯერ საბოლოო ინსტანციამდე არ მისულა. არის კიდევ ფორმალური საკითხი: ვრცელდება თუ არა ინგლის-რუსეთის ხელშეკრულება საქართველოზე? საჭიროა კანდელაკი და მრეწველები აქეთ ჩამოვიდენ, საჭიროა საარსებო საშუალებები გამოვძებნოთო. აი, როგორი დილემის წინაშე იდგნენ ემიგრაციული მთავრობის წევრები: საქართველოში ხალხი შიმშილით იხოცებოდა, მათ არ ჰქონდათ მორალური უფლება ჩაეშალათ ბოლშევიკური მარიონეტული მთავრობის სურვილი — გაეყიდა მადანი და ეს ხალხი დაეპურებინა. არადა, თუ ერთხელ მიიღებდნენ ამის უფლებას, ბოლშევიკები აღარ დათმობდნენ. ეს 1921-1922 წლები იყო და ემიგრაციაში ჯერ კიდევ დიდი იყო ხელისუფლებაში დაბრუნების რწმენა.

წერდა ლონდონზე, სადაც თავად ჩავიდა, ატყობინებდა სტამბოლის კომისიას, — კერზონი პარიზშია, ლოიდ ჯორჯი აქ არ დამხვდაო, „ანგორის საკითხი მოსკოვის საკითხად იქცა. ხიფათს ქემალ-ფაშაში არ ხედავენ იმდენად, რამდენადაც ლენინის ძლიერ მარჯვე ინტრიგებში, ეხლა ანგორა მოსკოვის ტყვეა, ეს კი მოასწავებს რუსეთის ხიფათს ახლო აღმოსავეთში და ამ პირობებში ინგლისი უნდა დაუბრუნდეს თავის ტრადიციულ პოლიტიკას — „ავადმყოფი კაცის გამოქომაგებას", რომ რუსეთის ხახისგან იხსნას იგი. თითქოს ყირიმის ომის კონიუნქტურა დგება, საფრანგეთი და ინგლისი შეთანხმდებიან, იმედია, დაეცდებიან რუსეთისა და ოსმალეთის ერთმანეთისგან გათიშვას. შუა კი სძევს კავკასია და მისი ხალხთა კავშირი. თავმჯდომარე აქ არის ახლა (ინგლისში), დილით წავიდა ბრაიტონში ჰიუსმანთან ერთად, სადაც მუშათა პარტიის კონგრესი იხსნება. თუ რეზოლუცია მივაღებინეთ, მთავრობაზე შთაბეჭდილებას მოახდენსო.[2]

ასეთი იყო აკაკი ჩხენკელის მაშინდელი დიპლომატური გათვლები.

1922 წლის მაისიდან გენუის კონფერენციის მიმდინარეობაში ჩართული აკაკი ჩხენკელი თავის თითოეულ დიპლომატიურ სვლასა და მოსაზრებას უზიარებდა თამამებრძოლებს. ზოგიერთს ჩუმად გასათვალისწინებლად

[1] ბ-მა — ბოლშევიკებმა

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ.6-7.

უამბობდა, ზოგს სახელმძღვანელოდ მომავალი მუშაობისათვის.

20. V. 1922 -ის წერილში აკაკი ჩხენკელი გულისტკივილით ატყობინებდა სტამბოლის პოლიტიკურ კომისიას ინგლისის პრორუსულ მისწრაფებებზე და მის ანგარებით დამოკიდებულებაზე საქართველოს საკითხისადმი. „ლოიდ ჯორჯი მზადაა ჩაგვასრჩოს რუსეთის ფარგლებში, წერდა იგი, — ის ამას არ მალავდა თითქმის „Pacte non-agresion"-ის განხილვის დროს. მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო დღევანდელი „Status quo" ძალაში დარჩეს. რუსეთის ბოლშევიკებთან მას იმიტომ სურს შეთანხმება, რომ კავკასია იმათ ხელშია, ისე კი ზედაც არ შეხედავდა. უეჭველია, ნავთის კომბინაციებზე განაგრძობენ მოლაპარაკებას, იტალიელნი, მგონი, უკვე გადაიბირეს, ფრანგებსაც უპირებენ თავის ძალის მიცემას. მდგომარეობა დიდად სახიფათოა, მაგრამ შიში მაინც ნაადრევია. რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა ჯერ კიდევ ბევრს გაუწბილებს იმედებს. ჩვენ სხვანაირად დაგვჭირდება კითხვს დასმა. ლოიდ ჯორჯიც ბევრხანს ვერ იბოგინებს."[1]

საქართველოდან ახლად ემიგრირებული მთავრობის წარმომადგენელი კონსტანტინე საბახტარაშვილი 1921 წლის 9 მაისს პარიზიდან რომში ატყობინებდა აკაკი ჩხენკელს სტამბოლში პოლიტიკური კომისიისათვის (თავ-რე ნოე ხომერიკი) ფულის გაგზავნის აუცილებლობას. უფულოდ ვერ ხერხდება მუშაობის გაბმა საქართველოსთანო. ის საინტერსოდ მიიჩნევდა ხომერიკის გაგზავნილ ინფორმაციას, რომელიც მიუცია 17 აპრილს საქართველოდან გასულ ვინმე სხირტლაძეს. ხომერიკის ეს ინფორმაცია საბახტარაშვილმა დაურიგა საქართველოს ყველა წარმომადგენლობას ევროპაში. „საერთო შთაბეჭდილება ისეთია, წერდა ის, რომ საქმე არც ისე ცუდად არის, საჭიროა მხოლოდ სიმტკიცე და მეტი ენერგია" .

ჩხენკელს გაუგზავნია მისთვის 20 ათასი ფრანკის ჩეკი ხომერიკის ორგანიზაციისთვის.[2]

კარგად იცოდა პოლიტიკა და დიპლომატია და ისიც, რომ ეს აკლდა ქართულ რეალურ პოლიტიკას. ის აყვედრიდა ერთ წერილში სტამბოლში მომუშავე პოლიტიკოსს, რატომ არ იცი თურქული ენა, მე ყველას სავალდებულოდ გავუხდიდი ესწავლა ის ენა, სადაც მუშაობსო. გოზალიშვილს მიებარე და გასწავლითო. ლაპარაკობდა იმ დიდ სამუშაოზე, რაც თურქეთში ევალებოდათ ქართველ დიპლომატებს.[3]

1921 წლის სექტემბრის წერილიდან ირკვევა, რომ სტამბოლში იარაღის რაღაც რაოდენობა ინახებოდა. ეს არ იყო სერიოზული არც რაოდენობრივი, არც ხარისხობრივი ნიშნით, მაგრამ მაინც რაღაცას ნიშნავდა და თითქმის უფასოდ იყო მოპოვებული. ჯარის მეთაურებისა და სამხედროების ბედს ჩხენკელი განსაკუთრებით მოიკითხავდა და ურჩევდა გვარჯალაძესა და ნოე ხომერიკს, სტამბოლიდან ისინი ევროპის ისეთ ქვეყნებში გაეგზავნა, სადაც პროფესიონალიზმსაც აიმაღლებდნენ და მატერიალურადაც ნორმალურად იქნებოდნენ. ამჯერად ის გენერალ ქუ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ.51..
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2 საქმე 427, ფ. 1-
[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2 საქმე 393, ფ. 2-3.

თათელაძეზე[1] აძლევდა რჩევას და მის ბერლინში გაგზავნას ითხოვდა. ჩხენკელის აზრით, ეს გამოცდილი გენერალი საჭირო იქნებოდა მომავალი ქართული ჯარისათვის.

წერილებიდან ჩხენკელის დაკვირვებული პოლიტიკური ხედვა და ჰუმანურობაც ჩანს. მაშინ, როდესაც მისი ზოგიერთი თანაპარტიელი კვლავ პარტიულ და კლასობრივ ინტერესს იცავდა, მას მხოლოდ ადამიანური სიკეთე და გულისხმიერება ამოძრავებდა. მას განსაკუთრებით აღელვებდა პარტიული და კლასობრივი ნიშნით მისი პარტიის წევრებისგან ხალხის ათვალწუნება. თითქოს დევნილობაშიც მმართველი სადავეები ჰქონოდათ, ისე მბრძანებლურად იქცეოდნენ.

კავკასიის ხალხთა კავშირის (კონფედერაციის) შექმნაში არსებულ წინააღმდეგობებზეა საუბარი ჩხენკელის ბევრ წერილში. ირკვევა, რომ მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლები და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები სომხებთან ერთ კავშირში ყოფნას გაურბოდნენ. აკაკი ჩხენკელი პოლიტიკურად მიუღებელ პოზიციად თვლიდა ამგვარ განწყობას და იმით ასაბუთებდა, რომ ბარიერები, რაც კავკასიის ხალხებს შორის იყო, ძალიან პატარა დაბრკოლებას წარმოადგენდა რუსული ბოლშევიკური აგრესიის ფონზე; ბოლშევიკური რუსეთის დაპყრობილი ხალხები მტერს გაერთიანებული ძალებით თუ დაამარცხებდნენ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შექმნიდნენ, თორემ ცალ-ცალკე ისინი განწირულნი იყვნენ. **ამიტომ, ამ ეტაპზე, ქართველი პოლიტიკოსი კონფედერაციის, ან დამოუკიდებელ სახელწიფოთა კავშირის შექმნის იდეას ემხრობოდა.**

მრავალ მიმდინარე საკითხთან ერთად, ჩხენკელი ვერ ფარავდა წუხილს იმ რეალური მდგომარეობის გამო, რომელშიც ევროპის დიპლომატიურ არენაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხებული პოლიტიკოსები მოქმედებდნენ. **„საჭიროა მუდამ ფუსფუსებდე, მოაჩვენო თავი რეალურ ფაქტორად, მაგრამ აქ პირობები არაა, სამწუხაროთ, ხელსაყრელი; როცა მიწაზე გაშხლართული ხარ, არ არსებობ ფაქტიურათ, არ გიწევენ ანგარიშს, სახიფათოა ბაქიაობა რომ შეგატყონ და უმთავრესი რაცაა – არც სცალიათ შენთვის“.** დიდი სახელმწიფოები მხოლოდ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდნენ, საქართველოსნაირ

[1] გენერალი ქუთათელაძე, — კირილე პეტრეს ძე ქუთათელაძე (1861-1929), ქართველი სამხედრო მოღვაწე, დაიბადა ხონში, სასულიერო პირის ოჯახში.დაასრულა ვორონეჟის სამხედრო გიმნაზია, განათლების მიღება გააგრძელა ჯერ მიხეილის საარტილერიო სასწავლებელში, შემდეგ პეტერბურგის მიხეილის საარტილერიო აკადემიაში. გაიარა სამხედრო კარიერის ყველა საფეხური: პოდპორუჩიკი (1881), პორუჩიკი (1884), შტაბს კაპიტანი (1886), კაპიტანი (1893), პოდპოლკოვნიკი (1898), პოლკოვნიკი (1904), გენერალ-მაიორი (1910), გენერალ-ლეიტენანტი (1916). მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომებში. 1918 წლიდა კ. ქ. საქართველოს სამხედრო სამსახურში შევიდა. ის იყო გენერალ-მაიორის ჩინით სამხედრო საბჭოს წევრი, საქართველოს სამხედრო სამინისტროს საარტილერიო სექციის უფროსი (რაც არსენალის უფროსობასაც გულისხმობდა), ბათუმის ციხის კომენდანტი. 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში, ჯერ თურქეთში იყო, შემდეგ პოლონეთში გაემგზავრა. 1926 წელს გახდა პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი. ორ ქართველ სამხედრო პირთან (ივანე ყაზბეგი და ზაქარია ბაქრაძე) ის იყო სამი ქვეყნის (რუსეთი, საქართველო, პოლონეთი) გენერალი. დაკრძალულია ქალაქ ვარშავაში.

პატარა ქვეყანას კი თავი როგორ უნდა გადაერჩინა, ამაზე ქართველი დიპლომატები ამაოდ იჭყლეტდნენ ტვინს და ბევრ შემთხვევაში სიმწრით აღიარებდნენ ე. წ. მოკავშირეების გულგრილობას. აკაკი ჩხენკელი, რომელმაც ყველაზე კარგად იცოდა ეს პროცესი, იმედს მაინც არ კარგავდა, სამშობლოს „აღდგომას"ელოდა.

ევროპელ პოლიტიკოსებთან თავის შეხვედრებზე მეგობრებს უხსნიდა, რომ ბევრ რამეს დიპლომატიური მოხერხებით ნიღბავდა, აღიზიანებდა, რომ ევროპელები კავკასიას რუსეთის ნაწილად მიიჩნევდნენ. იმედოვნებდა, ბოლშევიკური რუსეთის დასასრული მალე დადგებოდა. „ჩვენ მას არ ვუთხარით, რომ ამერიკაში მისსიას ვგზავნით კავშირის სახელით, უკეთესია იქ გამოეცხადებიათ საფრანგეთის და სხვების დელეგაციებს. ჩვენგნით ვგზავნით ზ. ავალიშვილს. მოსკოვის უკანასკნელმა ნაჩოქებამ წესრიგში დასვა რუსეთის საკითხი... მთელი ჩვენი ცდა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ კავკასია ჩამოშორებულად ჩათვალონ რუსეთისგან. ვფიქრობ, ბოლშევიკური რუსეთი უფრო ადვილათ დაიშლება, ვინემ მეფის რუსეთი, გვმართებს სიფხიზლე. **ეს ზამთარი უკანასკნელი უნდა იყოს ბოლშევიკებისთვის,** — წერდა ერთ წერილში, თუმცა, ბოლშევიკები 70 წელი დარჩნენ საქართველოში და არც ევროპას გამოუჩენია დიდი თანაგრძნობა ტოტალიტარულ უღელში შებმული ქართველი ხალხისადმი. არც იყო ბევრი რამ მოსალოდნელი, რადგან ყველა ხალხი მაინც საკუთარი ბრძოლითა და მისწრაფებით მიდის თავისი მომავლისაკენ.

ვინაიდან ევროპაში მყოფი ქართული ემიგრაციისათვის კონსტანტინოპოლს ჰქონდა სამშობლოსთან დამაკავშირებელი შეუცვლელი ფუნქცია, ამ ქალაქში მოხვედრილი და საცხოვრებლად (დროებით მაინც) დარჩენილი ემიგრანტების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ აქ ჩადიოდნენ ყოფილი მთავრობსა და პარლამენტის წევრები, რათა ამ მუშაობისა და საქართველოს მოსახლეობასთან კავშირისთვის მეტად აქტიური სახე მიეცათ. ერთ-ერთი მათგანი ის კონსტანტინე გვარჯალაძე იყო, რომელთანაც ჩხენკელს მეგობრობაც აკავშირებდა, იდეური თანამოაზრეობაც. სწორედ ჩხენკელის სურვილითაც, 1921–24 წლებში კონსტანტინე გვარჯალაძე იყო სტამბოლში საქართველოს მთავრობის რწმუნებული და სათვისტომოს ხელმძღვანელი. გვარჯალაძესთან, თუ საჭირო იყო, კამათიც მოსდიოდა და განსხვავებული თვალსაზრისის მტკიცებასაც თავისუფლად ახერხებდა. გვარჯალაძე აქტიური პოლიტიკოსი იყო, არა მარტო სტამბოლის ქართულ წარმომადგენლობაში მუშაობისას, არამედ 1920–30–იან წლებში ის მონაწილეობას იღებდა სოციალისტური ინტერნაციონალის მუშაობაში, როგორც ქართული სექციების წარმომადგენელი მონაწილეობდა ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების, ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგისა და მშვიდობის საერთაშორისო ბიუროს საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებში. გარდა ქართული და რუსული ენებისა, თავისუფლად ფლობდა ინგლისურ და ფრანგულ ენებს, რაც ხელს უწყობდა წარმატე-

ბით გამოსულიყო სხვადასხვა შეკრებებზე და უცხო საზოგადოებისთვის გაეცნო საქართველოს წარსული და აწმყო, მოეწოდებინა, მხარი დაეჭირათ ქართველი ერის მოთხოვნებისთვის. 1935-1940 წლებში იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს, „ბრძოლის ხმის" მთავარი რედაქტორი. ემიგრაციაში ეწეოდა აქტიურ დიპლომატიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

სტამბოლში მოღვაწეობისას მან უამრავი წერილი მიიღო აკაკი ჩხენკელისაგან. წერილები, გარდა პარიზისა, გამოგზავნილია იმ საერთაშორისო კონფერენციებიდანაც, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდა ჩხენკელი — გენუიდან, ლონდონიდან, რომიდან, სანტა-ბარბარადან, ლოზანადან და სხვ.

ამ წერილებში წამოჭრილი პრობლემები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ პერიოდის საქართველოს ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე, საერთაშორისო კონფერენციების მსვლელობის ნიუანსებზე, 20-იანი წლების დასაწყისის მსოფლიო პოლიტიკის მთავარ ასპექტებზე, იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია დაიწეროს არა მარტო მსოფლიოს, არამედ საქართველოს უახლესი ისტორიაც. გარდა ამისა, ამ წერილებიდან აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობის მთავარი ასპექტები, საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მისი დაუღალავი მოღვაწეობა იკვეთება.

თითოეული წერილი არის ქართული დიპლომატიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ფურცელი. ამიტომ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ ორი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსის მიმოწერა წიგნში სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოვიტანოთ — ქართველ მამულიშვილთა რა უზარმაზარი ენერგია იხარჯებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ქართველი ხალხის ევროპული, დემოკრატიული და ნათელი მომავლის შესაქმნელად მკითხველი თავად დაინახავს.

აკაკი ჩხენკელის მიმოწერა გენუის კონფერენციის შესახებ ნოე რამიშვილთან, ზურაბ ავალიშვილთან, ევგენი გეგეჭკორთან და სხვ.

პარიზის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე ნოე რამიშვილმა გენუაში საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე ჩხენკელს გადაუგზავნა ბრანტინგის დეპეშა, რომელშიც იგი შექმნილი მდგომარეობის გამო (სვანეთის აჯანყება და სხვ.) მხარდაჭერას უცხადებდა. რამიშვილი წერდა, რომ ლეგაციაში იმედი გაუჩნდათ და საქართველოს პრობლემები რეზონანსული გახდებოდა. ბრანტინგისათვის ყორდანიას მიუწვდია ცნობები სვანეთის მოვლენებზე და მასაც ყორდანიასთვის გაუგზავნია ის დეპეშა, რომელზეც რამიშვილი წერდა ჩხენკელს. ამასთან, იგი სთავაზობდა ირაკლი წერეთლის გაგზავნას, რომელსაც შეეძლო ალბერ ტომა და მუშათა სხვა მეთაურები მიემხრო და მათი დახმარებით ქართველებს ზეგავლენა

მოეხდინათ ინგლისელებზე — კონფერენციაზე საქართველოს საკითხის დაყენებაში. „წერეთელი უარზეა, მაგრამ თუ თქვენ მოწერთ, დათანხმდებაო", — თან სვანეთის მოვლენებზე საქართველოდან დეპეშებს უგზავნიდა [1922 წელი].[1]

საინტერესო დეტალებს მოიცავს აკაკი ჩხენკელის 20-27 მარტის წერილები ზურაბ ავალიშვილისადმი — გენუის კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენელთა დაშვების შესახებ.

„20.III.1922.

დიდათ პატივცემულო ბატონო ზურაბ!

დღეს დილით ვნახე რამდენიმე წუთით ბ-ნი შანტერი. კონკრეტული არაფერი მითხრა, ვითომ იმ მიზეზით, რომ ჯერ ახალი იყო თანამდებობაზედ, შენიშნა მხოლოდ ის, რომ ის იცნობს ჩვენს საქმეებს ჟენევიდან და მოწადინებულია შეძლებისდაგვარად დაგვეხმაროს. მე გადავეცი მას ორი ქაღალდი: 1) ახლო აღმოსავლეთის და 2) გენუის შესახებ და განვუმარტე სიტყვიერათ განსაკუთრებით პირველი კითხვა, თან ვთხოვე მოესმინათ ჩვენი წარმომადგენელი 3 მინისტრის კონფერენციაზე. ოსმალეთის საკითხის მოუწესრიგებლობა, ვამტკიცებდი მე, მძიმე ლოდად აწევს ქართველ ერს, რომელსაც ერთმევა საშუალება უფრო ენერგიულათ აწარმოოს თავისი ბრძოლა ჩრდილო ოკუპანტების წინააღმდეგ. საჭიროა ამიტომ სამხრეთით მაინც უზრუნველყოფილი ვიქნეთ და აღდგენილი იქნას 1914 წლის საზღვრები..

რაც შეეხება გენუას, ამაზე არ დამცალდა ბევრი რამის თქმა. ვინაიდან ბევრი ხალხი უცდიდა, ვთქვით მხოლოდ, რომ ჩვენ კვლავ ვრიცხავთ ჩვენი დაშვების კითხვას დაკავშირებით უკანაკნელათ დაბადებული აზრისა, რომ გენუაში ექნებათ უთუოთ მსჯელობა კავკასიის ე. წ. ეკონომიკურ აღდგენაზე, და ჩვენ მოვითხოვთ ამიტომ დაშვებას და მოსმენას. დამპირდა, დაკვირვებით წავიკითხავ ნოტებსო.

შემდეგ ვიყავი ვალენტინოსთან, რომელსაც ჩვენი საქმეები აბარია და საათზე მეტი ვიბაასეთ, ან უკეთ — ვიკამათეთ. მან გამაკვირვა თავისი განცხადებით, თითქოს რუსეთისა და საქართველოს მდგომარეობა ერთი და იგივე იყოს და ისინი უკვე ფედერატიულ კავშირში იყვნენ. მას თითქოს არ ესმის, რომ ბოლშევიკების ბატონობას რუსეთში შინაური ხასიათი აქვს, მაშინ, როდესაც ჩვენში გარეშე ძალამ მოგვახვია იგი თავზე. მან არ დამალა თავისი სკეპტიციზმი ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი, რაიც მოასწავებს იმას, რომ ის პირადათ ჩვენს სასარგებლოთ არ მუშაობს. მან თქვა ისიც, რომ ფრაზონისაგან ცუდ ცნობებს ღებულობს სამინისტრო, უცხოელებს არ შეუძლიათ საქართველოში მუშაობაო, იტალია-კავკასიის ბანკისთვის სეკვესტრი გაუკეთებიათო და სხვ. იცოდა აგრეთვე უკანასკნელი მოძრაობის შესახებ, მაგრამ ბოლშევიკებმა ჩააქრესო და დიდ რეპრესიებს ეწევიანო."

თხოვს, ნახოს პერეტი, გაიგოს, უშვებენ თუ არა ქართველებს გენუაში...[2]

[1] სცსსა 1831, აღწერა 2, საქმე 425, ფ. 3-4;
[2] სცსსა 1831, აღწ. 2.საქმე 56, ფ. 1.

აკაკი ჩხენკელი იგივე პრობლემებს სვამს ავალიშვილისადმი გაგზავნილ მეორე წერილშიც:

„27. III.1922.

დ.პ.ტ-ო ბატონო ზურაბ.

თქვენი წერილი მივიღე, სამწუხაროა, რომ პერეტი არ გინახავთ. ნიკოლაძის წყარო მეც ვიცი..., მაგრამ იტალია არასდროს არ დააყენებს ფორმალურათ ჩვენი მონვევის საკითხს, სანამ წინასწარ არ გაიგებს პარიზის აზრს, და ამ შემთხვევაში შეეკითხებიან არა იმათ, ვისთანაც ნიკოლაძეს საქმე აქვს, არამედ პერეტის ან პუანკარეს. ამიტომ პერეტის მიერ ერთხელ კიდევ დადასტურება იმისა, რაც მე მითხრა, საჭირო იყო.

მე მეშინია არ გვიმტყუნოს. მაგალითად, გუშინ ვიყავი მთავრობის თავმჯდომარესთან ფაქტასთან და მან მითხრა, ახლავე მივცემ დეპეშას შანტერსო. მართალია, არ უთქვამს გარკვევით, რომ ამ კითხვას მისწერდა, მაგრამ მე ხომ სწორედ მასზე ველაპარაკებოდი. ამიტომ უთუოთ ნახეთ პერეტი.

ფაქტამ არაჩვეულებრივ კარგათ მიმიღო. ზოგადი ფრაზებით სრული დახმარება აღმითქვა. მაგრამ ჩემი შთაბეჭდილებით ეს მხოლოდ უმნიშვნელო ქათინაურები იყო. თვითონაც განაცხადა, რომ შანტერის უმისოთ არაფერი შეუძლია. და როცა მე ვუპასუხე, შანტერის იმედი გვაქვს-მეთქი, ამის შემდეგ ის განსაკუთრებით უხვი გახდა კარგ დაპირებებში. მე მას გადავეცი იტალიურ ენაზე დაწერილი მოკლე მემუარი, რისთვისაც მადლობა მითხრა და აღმითქვა გულდასმით წაკითხვა. არ იცის ჩვენი კითხვა უეჭველათ და არც ისეთი გავლენიანი პირია, მიუხედავად თანამდებობისა. არ ვიცი, ნახეთ თუ არა თქვენ შანტერი, თანახმათ ჩენი პირადი დაბარებისა.

მე ვნახე აგრეთვე პალატის საგარეო კომისიის თითქმის ყველა წევრები, მათ შორის თავმჯდომარე და მისი ამხანაგი. ყველამ დამპირდა, აგრეთვე სოც. წევრებმა დახმარება, მითხრეს, შანტერის დაბრუნებისას კითხვას დასვამენ კომისიაში და სხვ. საერთოთ მე არა მგონია მაინც, რომ ისინი კატეგორიულათ მოთხოვენ მთავრობას ჩვენი მონვევის შესახებ წინადადების მიცემას პარიზის და ლონდონის კონფერენციებზე...

არ მალავენ, რომ მათთვის ძნელია ისეთი კითხვის დასმა, რომელიც მოსკოვისთვის მიუღებელი იქნებაო. მე იძულებული შევიქენი დამეყენებინა პირობითი ფორმულა, ე.ი. თუ გამოირკვა ექსპერტების მუშაობიდან და თვით წინასწარი პროგრამიდან, რომ ილაპარაკებენ კავკასიაზე, მაშინ მიიწვიონ ჩვენი წარმომადგენელი. ველაპარაკე ამ საგანზე კონფერენციის გენერალურ სეკრეტარს რომანო ავეცანასაც. ყოფილა ვაშინგტონში. მექნება შეხვედრა ამ კვირაში მრწველობისა და პრესის წარმომადგენლებთან ცალ-ცალკე... ნამოვალ კვირის ბოლოს, კიდევ მოვიწერო, იქნება, მანამდის.

თქვენ არ მწერთ, რა გააკეთეთ ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის ირგვლივ, ნახეთ თუ არა ისინი, ვისზედაც გვქონდა ლაპარაკი, რა გაიგეთ. სომხებთან დაკავშირებით ალბათ შეეხენ გაკვრით მაინც ჩვენს საკითხს.

მზადაა მასალები გენუისთვის? ველი პასუხს.

აკაკი ჩხენკელი.

მთელი საღამო ველაპარაკე ექსპერტს სკარპას, რომელიც მოხსენებას წერს მთავრობისთვის რუსეთის საკითხზე." [1]

1922 წლის 22 აპრილს გენუაში მყოფმა აკაკი ჩხენკელმა იტალიურ გაზეთ „ტემპს"-ის გენუის კორესპონდენტებს მისცა ინტერვიუ საქართველოს შესახებ, რომელიც ვლადიმირ ვოიტინსკიმ[2] გადმოუგზავნა მას და დაცულია ჩხენკელის პირად ფონდში.[3]

საინტერესოა ჩხენკელის ვრცელი მიმოხილვა — „საქართველოს საკითხი გენუის კონფერენციაზე", სადაც დიპლომატი ნათელს ჰფენს იმ პრობლემებს, რატომაც უთხრეს უარი საქართველოს დელეგაციას კონფერენციაში მონაწილეობაზე.

ჩხენკელი აკრიტიკებდა რუსეთის დელეგაციის პრეტენზიას საქართველოს წარმომადგენლობაზე. მისი თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა გააპროტესტა კონფერენციაში საქართველოს მონაწილეობა, განაცხადა, რომ როგორც რუსეთის მოკავშირე რესპუბლიკა, მოწვეული იქნებიან ამიერკავკასიის „პრემიერები": მდივანი, ნარიმანოვი და ბეგზადიანიო. ისინი დამატებით დელეგატებად იყვნენ მოხსენებულნი ჩიჩერინის, როკოსოვსკის, ლიტვინოვის და იოფეს შემდეგო. ისინი საბოლოოდ ამოშალეს სიიდან, ამიტომ იყო საჭირო საქართველოს დელეგაციის დაშვება, რადგან ბუდუ მდივანი იყო რუსეთის დელეგაციის უსახელო დამატებაო.

ჩხენკელი აღწერს კონფერენციის ყველა დეტალს, ინგლისის წარმომადგენლის — სესილ ჰარტსის[4] განცხადებას, რომ მას არ უცვნია საქართველო და რუსეთში შემავალი სხვა რესპუბლიკები, რაზეც შეეკამათნენ ფრანგი ბარერი, ბელგიელი ჟასპარი და იტალიელი ჩელეზია, — სხდომის თავ-რე. ჰარტსმა ლოიდ ჯორჯის დავალება შეასრულაო. არადა, ჩვენ გვაქვს საბუთი, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ საქართელო

[1] სცსსა 1831, აღწ. 2. საქმე 56, ფ. 2.

[2] ვლადიმირ ვოიტინსკი, — ვლადიმირ საველის ძე ვოიტინსკი (1885-1960), რუსი პოლიტიკოსი. დაიბადა მოსკოვში, მათემატიკოსების ოჯახში. დამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ი, გატაცებული იყო მარქსიზმით. ბავშვობიდან აინტერესებდა მათემატიკის, ვაჭრობის, ეკონომიკური პროცესების საკითხები, ახალგაზრდამ დაწერა წიგნი ბაზარსა და სავაჭრო ფასწარმოქმნის თემაზე, რომელიც 1906 წ. დაიბეჭდა. 1905 წ.-დან გახდა ბოლშევიკური პარტიის წევრი, ღებულობდა მონაწილეობას რევოლუციურ გამოსვლებში, იყო რუსეთის II დუმის დეპუტატი, ბოლშევიკური საქმიანობისათვის გადაასახლეს სიბირსკში, სადაც დაუახლოვდა მენშევიკებს, განსაკუთრებით მოიხიბლა ირაკლი წერეთლს პიროვნებით, რომლის თანამებრძოლიც გახდა. რუსეთში მენშევიკების მთავრობის ჩამოგდების შემდეგ, მან დატოვა ქვეყანა და ირაკლი წერეთელს საქ-ში გამოჰყვა. იყო თბილისში გამომავალი მენშევიკების რუსული ორგანოს, გაზეთ „ბორბას" რედაქტორი. 1921 წლიდან წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა გერმანიაში და იქაურ ქართულ ნარმომადგენლობასთან თანამშრომლობდა. გერმანიის ხელისუფლებაში ჰიტლერის მისვლის შემდეგ დატოვა გერმანია და ჯერ შვეიცარიაში გადავიდა, შემდეგ კი, 1934 წელს აშშ-ში წავიდა. ცხოვრების ბოლოს მარქსიზმი მთლიანად უარყო.

[3] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 59, ფ. 1-2.

[4] სესილი ჰარტსი, — ლოიდ ჯორჯის წარმომადგენელი გენუაში.

იურიდიულად იცნო 1921 წლის 27 იანვარსო.

ჩხენკელი საუბრობდა რუსეთის პრობლემის განხილვაზე გენუასა და ჰააგაში, საინტერესოა ამ ვრცელი ხელნაწერის დასკვნა: **„ქართველ ხალხს ბევრი ყავს მეგობრები, თუმცა მტრებიც არ აკლია მას. უდიდესი მისი მეგობარი არის თვით ობიექტური პირობები, რომელიც შეუძლებლად ხდის რუსეთისთვის ძველ ფარგლებში აღდგენას. ამას ევროპის ბევრი მთავრობები და მმართველი პარტიები ხედავენ, მათ შორის არიან ისეთნიც, ვინც შეგნებულათ ისახავს სწორეთ ამ მიზანს, ე. ი. განაპირა ქვეყნების სამუდამო ჩამოცილებას რუსეთისაგან. უნდა ითქვას აშკარათ, რომ რუსეთის ეგრეთ წოდებული აღდგენა არსებითად მის კოლონიად ქცევას მოასწავებს მთლიანათ ან ნაწილ-ნაწილ. უნიადაგო ოცნებაა თითქოს, კრემლის დიქტატორებს შეეძლოთ ამ განაჩენის თავიდან აცდენა. ევროპაც და ამერიკაც მიხვდებიან ადრე თუ გვიან, რომ ერთადერთი გონიერი და სწორი გზა არის კავკასიის რესპუბლიკათა, პირველყოვლისა საქართველოს პოლიტიკური აღდგენა. ამას მით უფრო ადრე და ადვილათ შეიგნებენ ისინი, რაც უფრო ფხიზელი, მამაცი და გაუტეხელი დარჩება ქართველი ერი“.**[1]

საინტერესოა ევგენი გეგეჭკორის ამავე პერიოდის წერილები, სადაც კარგად ჩანს თუ რა თავდაუზოგავად მუშაობდა საქართველოს მთავრობის ყველა წევრი, როგორ ცდილობდნენ ქართველი ემიგრანტი პოლიტიკოსები ევროპის სახელმწიფოებთან სიმართლის მიტანას, რუსული აგრესიის მხილებას, სწამდათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, მათგან დახმარების მიღების და ყველაფერს აკეთებდნენ ამ რწმენის რეალიზებისათვის. ისინი ხვდებოდნენ ევროპის მაშინდელ ცნობილ ადამიანებს, პოლიტიკოსებს, რომლებიც პირველად ეცნობოდნენ საქართველოსა და მის პრობლემებს, ზოგჯერ აოცებდათ უცნობი პატარა ქვეყნის პოლიტიკოსთა აზროვნება, ცოდნა და თავდაუზოგავი სწრაფვა დემოკრატიისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობისაკენ. ქართველებს განსაკუთრებით ფრანგი სახელმწიფო მოღვაწეების, ევროპელი სოციალისტების დახმარების იმედი ჰქონდათ. მათი საშუალებით ცდილობდნენ საერთო ევროპული პოლიტიკის ორბიტაში მოქცევას. ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდა გენუის კონფერენციის წინ, როდესაც ქართული ემიგრაცია შეეცადა ამ საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილი ყოფილიყო საქართველოს კანონიერი მთავრობის დელეგაცია და საბჭოთა კავშირის დელეგაციას არ ესაუბრა საქართველოს სახელით.

საქართველოს მთავრობის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის — ევგენი გეგეჭკორის წერილი აკაკი ჩხენკელისადმი პარიზიდან გენუაში, 1922 წლის 2 მაისს:

„აკაკი, გუშინ ველაპარაკე პერეტის. დღეს წერილს ვუგზავნი პუანკარეს და ვსთხოვ აუდიენციას, ამავე დროს ვეცდები ვინახულო პალატების საგარეო კომისიების თავმჯდომარეები და გავლენიანი წევრები. ამ მხრივ რისი გაკეთებაც კი შეიძლება, გავაკეთებთ. თუმცა, რა გამოვა ამ ჩვენი

[1] სცსსა, ფონდი 1831, საქმე64, აღწერა 2, ფ. 1-9.

ცდიდან, ამის თავიდანვე თქმა, რასაკვირველია, ძნელია. პერეტისთან ჩვენი დაწვრილებითი საუბრის შინაარსს ასათიანი გადმოგცემს, მე კი მინდა აღვნიშნო, რომ ბარტუს ცნობებში, რომელსაც იგი მთავრობას აწვდიდა, ჩვენზე დღემდინ არაფერი არ ყოფილა ნათქვამი. ამაში მაინც და მაინც ბევრი რამ გასაკვირველი არ არის, თუ მივიღებთ მხედველობაში საერთო მდგომარეობას. აქაც, რამდენათაც პერეტის პასუხებიდან სჩანს, მთავრობას კონკრეტულად არ აქვს წარმოდგენილი, თუ რა სახით შეიძლება ჩვენი საკითხის ჩაქსოვა გენუის კონფერენციის მუშაობაში. მე შევეცადე ეს გზები აღმენიშნა (მემორანდუმი და პაკტი..), მაგრამ ვერ მივიღე ამ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელი განმარტებანი. პერეტი დაგვპირდა მხოლოდ, რომ ის ბარტუს, და თუ ის აქეთ წამოვიდა (რაც უკვე ფაქტია დღეს) მის მოადგილეს ტელეგრამით თხოვს თქვენთან მჭიდრო კავშირი დაიჭიროს და ყოველი თქვენი მოთხოვნით მიგიღოს. რაც შენ მოიწერე კანცელარიის მოხელეებზე, ისიც გადავეცი. იყო ერთი საკითხი, რომელზედაც სერიოზულად მინდოდა მოვლაპარეკებოდი მას, ეს იმ მდგომარეობაზე, რომელიც იქმნება ეხლა საერთოდ რაპალოს შემდეგ, მაგრამ მან პუანკარეზე მიმითითა და თუ ამ უკანასკნელმა აუდიენცია დამინიშნა, მინდა მას სავსებით და გარკვევით დავუსვა კითხვა და ვსთხოვო პასუხი. მე არ ვიცი, თქვენ რას ფიქრობთ ამაზე, მაგრამ მე კი პირადათ დავრწმუნდი, რომ გენუამ ის ფარული მამოძრავებელი პრუჟინები, რომლებიც დღემდინ ძლიერ არეულ-დარეულად უსისტემოდ მოქმედებდნენ, დღეს თითქოს ერთნაირ კალაპოტში დგებიან. ხდება მონინააღმდეგე ძალთა აშკარა დარაზმვა. შესაძლოა ახლო მომავალში თვალსაჩინო მომენტებს ადგილი არ ექნეს, მაგრამ სხვადასხვა ძალთა მობილიზაციის პროცესი, რომ უფრო აშკარად და სიჩქარით ინარმოებს, ეს უეჭველია.

შენი შენიშვნა რუსეთის პოზიციის შესახებ სწორედ რომ მართალია და ამიტომ ვფიქრობ, რომ იქაც და აქაც ანი ეს უნდა გახდეს ჩვენი მუშაობის მთავარ ღერძათ. თუ პუანკარესთან მექნა შეხვედრა (იმედი მაქვს, რომ ეს საშვალება მომეცემა), ამ მხრივ ნიადაგს მოვშინჯავ და შედეგებს გაცნობებთ. დღეს გავიგეთ კრასინზე შელისთან შეთანხმების ამბავი. ვნახოთ, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს აქ. ინგლისში კი, დროებით მაინც, ეს ლ. ჯორჯის პოზიციას, მე მგონია გაამაგრებს და ჩვენს მდგომარეობას, ისედაც ძლიერ უიმედოს, კიდევ უფრო წაბილწავს. ამნაირად, დღესდღეობით ეტყობა მხოლოდ საფრანგეთზე მოგვიხდება დაყრდნობა, თუ, რაც მე სრულებით არ მწამს, ისიც არ გაყვა ინგლისის გზას. ბარტუ პარასკევამდე უნდა დარჩეს აქ. ჩვენც ვეცდებით შესაფერი დირეკტივა მას ჩვენს შესახებ მიეცეს. მდივანს რომ წერილები ქონდა, იმ ხალხთან ურთიერთობას ერიდეთ. ყოვლად დაუშვებელია ეხლა რაიმე ეჭვის დაბადება. ცნობად გატყობინებ, რომ აქ იციან, რომ ჩვენს მეზობლებს შეხვედრა აქვთ ორი ძმების საშუალებით. ჩვენ ორ ძმებსაც თვალყურს ადევნებენ. გამარჯვებით იყავით. სალამი შვილს.

ევგენი გეგეჭკორი."

წერილის ბოლოს არის დაშიფრული აზრი „ორი ძმის“ შესახებ, რასაც ალბათ მიუხვდებოდა ადრესატი (იგულისხმება სიმონ და ბუდუ მდივანი).

წერილი 1922 წლის 2 მაისითაა დათარიღებული.[1]

5 მაისი, 1922 წელი, ევგენი გეგეჭკორის წერილი აკაკი ჩხენკელს პარიზიდან გენუაში.

„აკაკი,

ეს ეს არის მოგვივიდა პუანკარეს პასუხი. აუდიენცია დაგვინიშნა მხოლოდ 10 მაისისათვის. საუბედუროდ კიდევ ხუთი დღე გვჭირდება ვუცადოთ, სანამ მას ვნახავდე და გადავცემდე ყოველივე იმას, რაზედაც შენ იწერები და რაც პირადათ მე მიმაჩნია აუცილებლივ მას უთხრათ. დუმერგს და ლეიგს ვთხოვე რანდევუ, ხვალ ან ზეგ იმედი მაქვს ორივეს ვინახულებ. სამწუხაროდ ჰერიო აქ არ არის, შევალი მხოლოდ ხვალ იქნება პარიზში. სხვა ჩვენი მეგობრებიც აქეთ-იქით არიან გაფანტულნი და ეს მუშაობას გვიძნელებს. ჩიჩერინის იმ სახით გამოსვლა, როგორითაც მან გააკეთა, ჩვენთვის ძლიერ ხელსაყრელია. უნდა ვეცადოთ მხოლოდ ეს შემთხვეა სავსებით გამოვიყენოთ. ჩიჩერინის ნოტაში დასახელებულ სახელმწიფოთა პასუხებში უნდა ეცადოთ, რომ იქნეს მოხსენებული, რომ არავითარ ანალოგიას არ აქვს ადგილი ჩვენ მდგომარეობასა და მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებს შორის. საერთოდ ეხლანდელი მოძრაობა ჩვენში უნდა გავხადოთ სააგიტაციო საგნად. ვხედავ, ის უფრო იქცევს ყურადღებას, ვიდრე სხვა რამ. დიუსელდორფში კვირას არის დანიშნული ცხრის კომისიის სხდომა. საჭირო იყო მეტად, რომ ირაკლი[2] იქ ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერ ხერხდება. ამიტომ იქ კარლო მიემგზავრება. ჩვენ აქედან კონფერენციას არ მივმართავთ. ეს თავისთავად იგულისხმებოდა, ტყუილად შეგშინებიათ, რომ ტელეგრამას გზავნი. ოთხშაბათ საღამოს გამოვაგზავნი ცნობას პუანკარესთან საუბრის შესახებ. ცნობათ გატყობინებთ, რომ **ჩქინი მაინძელეფი დიდი მარაგენას აკეთენა. ეტყვებუ სერიოზულო ფიქრენა საშიშროებაში შესახებ.** გამარჯვებით იყავი.

ევგენი გეგეჭკორი“[3].

მართალია, „დაშიფრა“ სათქმელი მეგრულით, მაგრამ იმდენად ნათელი იყო მისი აზრი მომავალ საშიშროებაზე, რომელსაც მასპინძლები ამზადებდნენ, რომ თუ ვინმე ნახავდა წერილს, ამის გაგება არ გაუჭირდებოდა.

11 მაისს გაგზავნილ წერილში გეგეჭკორი ჩხენკელს პუანკარესთან შეხვედრის შედეგს აცნობდა და სხვა პოლიტიკურ ამბებზეც ესაუბრებოდა. დეტალების გაცნობას ცალკე შედგენილი ანგარიშით ჰპირდებოდა, რომელსაც გენუაში გადაუგზავნიდნენ. „პუანკარემ გულდასმით მომისმინა და თვითონაც ბევრი გველაპარაკა, — წერდა გეგეჭკორი. — სულ აუდიენციამ 35 წუთი გასტანა. ზედმეტად მიმაჩნია იმის გადმოცემა დაწერილებით, თუ მე რა ვუთხარი მას, რადგანაც შენ თვით იცი რას ვეტყოდი. საინტერესოა მისი ნათქვამი.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღრ.2, საქმე63, ფ1.
[2] საუბარია ირაკლი წერეთელზე.
[3] სცსსა ფ. 1831, აღ.2, საქმე 63, ფ. 2.

თავდაპირველად მან გვამცნო, რომ გენუიდან 8 მაისის დეპეშით მიიღო ცნობა, თითქოს ინგლისის დელეგაციას მიუცია წინადადება ფრანგებისათვის დაეშვათ კონფერენციაზე საბჭოთა დელეგატი; რომ მან, პუანკარემ, კატეგორიული უარი შეუთვალა ამაზე და ამ პოზიციაზე აპირებს იგი დარჩენას. Pacta non agression-ში ჩვენი შეტანის შესახებ იგი ჩვენს აზრს არ იზიარებს. მას ჰგონია, რომ ეს ჩვენთვის მავნებელი და სარისკოა, ვინაიდან თუ ერთხელ დავშორდით ამათუ იმ სახით კანის გადაწყვეტილებას, შემდეგ ობიექტურად ძნელი იქნება შეჩერება და შეიძლება შევტოპოთ ისეთ მორევში, საიდანაც ამოძრომა შეუძლებელი გახდებაო. ჩვენ განმარტებაზე, რომ ან რუსეთის საზღვრების აღნიშვნის დროს, ან სხვა მომენტში, შეუძლებელი იქნება სრულიად არ შეეხონ ამიერკავკასიას — საზოგადოთ და კერძოთ საქართველოს, ანდა რუსეთის საზღვრების არაღნიშვნა და ისე კი მისი მოხსენიება, სწორედ ეს არის საშიშარი და მიუღებელი ჩვენთვის-თქვა, ამაზე მან იგივე გაიმეორა, რაც წინეთ შენ გითხრა: ამაზე არ ილაპარაკებენო. მე კვლავ განუმეორე, რომ ჩვენზე უკვე ლაპარაკობენ კომისიაში, რომ ნავთზედაც არ ეგონათ თუ იქნებოდა ლაპარაკი, მაგრამ სწორედ იგი, რაშიდაც ჩვენ წინათაც ვიყავით დარწმუნებული, შეიქნა ღერძი მთელი კონფერენციისა, მან ამაზე მითხრა სიტყვა-სიტყვით შემდეგი: ამ წამში მე ორმაგად ვარ დარწმუნებული, რომ ისე თქვენი კითხვის დაყენება, როგორც თქვენ ფიქრობთ, მეტად სახიფათოა თვით თქვენთვის. ყოველ შემთხვევაში, მე კიდევ შევისწავლი ამ საკითხს და თუ დავრწმუნდი, რომ იგი შესაძლებელია, ასეთ ხაზს ავიღებთ. იტალიელების დემარშებზე უთხარი, მისთვის ეს ახალი ამბავი იყო, რასაკვირველია. მეც ისე განვუმარტე, როგორც დამახასიათებელი მომენტი, რომ თვით ბოლშევიკები ვერ გრძნობენ თავიანთ თავს უზრუნველყოფილად ჩვენში და თუ ენერგიულად მოვუჭირეთ ხელი, შესაძლოა საქართველოდან ჯარები გააყვანიო-თქვა. მითხრა, დელეგაციას შევუთვლი მოსინჯონ ამ მხრივ ნიადაგიო და გამოარკვიონ რამდენად სერიოზულია ეს გარემოებაო. კარგად მიეწყო, რომ ეს ცნობა მისი ნახვის წინა დღეს მოგვივიდა. ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა ეს მისთვის არ გვეცნობებია. თქვენც კარგი გადაწყვეტილება მიგიღიათ ფრანგებს ეს არ დაუმალოთ. შესაძლოა პუანკარემ დაპირება არ შეასრულოს, აქედან არ აცნობოს ეს დელეგაციას, ამიტომ თქვენ იქ უნდა უთხრათ მაგათ. ჩემი მისი ნახვის მთავარი საგანი იყო, გამომერკვია, თუ დადგა ისეთი მომენტი, როცა საფრანგეთი აშკარად ხატავს საით არის ახლა რუსეთი და თუ ის, საფრანგეთი, ახდენს თავის ძალების მობილიზაციას. ამიტომაც მეც სწორედ იმით დავიწყე, რომ გადავეცი მოკლე ანგარიში იმისა, თუ რა გაკეთდა საქართველოში ამ ხნის განმავლობაში. ერთი კია, რომ მან გულდასმით გასინჯა სქემა ჩვენი სამხედრო ფარული ორგანიზაციებისა, შეამეკითხა დეტალებზე და ეტყობოდა ამით ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ოსმალეთის ხელის შემშლელ მოღვაწეობაზე თითქმის დაპირებაც მოგვცა, რომ ის ამას მხედველობაში მიიღებს და როცა საშუალება ექნება ამაზე იქონიებს მოლაპარაკებას. ისე კი მთავარ საკითხზე გადაჭრილი პასუხი არ მოუცია და ეს არც იყო მოსალოდნელი. ჩვენი საერთო მდგომარეობა ახლა ასეთიაო. ჩვენ ომი არ გვინდა, ვხედავთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეები ემზადებიან. თუ ბუკებმა

(ბოლშევიკებმა, - დ. ჭ.) აიღეს აშკარა აგრესიული ხაზი, ჩვენ, რასაკვირველია, მხარს დავუჭერთ იმას, ვიზედაც ისინი იერიშს მიიტანებენო. ამ შემთხვევისათვის, რასაკვირველია, საქართველო ანგარიშში გვყავს და მისმა მთავრობამ მუშაობა უნდა განაგრძოს და აშკარაა იარაღით და სხვა, რითაც საჭიროა, დახმარებას მიიღებსო. იქობამდის კი იქონიეთ ჩემდამი ნდობა, რომ არ დავუშვებ არავითარ კომპრომეტაციას თქვენი საერთაშორისო უფლებისაო.

შენ ხშირად იწერები ფრანგების დელეგაციაზე საყვედურებს. პერეტის მე ეს გადავეცი. მინდოდა პუანკარესათვის სეიდუს წერილი მეჩვენებინა, მაგრამ ბოლოს საუბრის დროს ისეთი ატმოსფერა შეიქნა, რომ გადავწყვიტე ასეთი დაბეზღებით არ მიმემართა (მით უმეტეს, იმის მეშინოდა, კიდევ უფრო არ გაემწვავებია თქვენსა და იმათ შორის ურთიერთობა) და ამიტომ ვთხოვე მხოლოდ, რომ მათი დელეგაცია აქტიურად მოკიდებოდა ჩვენ საქმეს გენუაში. ერთხელ კიდევ დამარწმუნა ამაში და ამით გათავდა საუბარი. საერთოდ, პირადათ მე, იმითი დავრჩი კმაყოფილი, რომ პუანკარე უფრო დიდ ინტერესს იჩენს ჩვენდამი, ვიდრე მისი დელეგაცია გენუაში. ეს უკანასკნელი გარემოება ძლიერ სამწუხაროა, მაგრამ მაინც, თუ პუანკარე არ გვატყუებს, სახიფათო მომენტის დროს გენუაში, მე მგონია, ის ინიციატივას გამოიჩენს. ეხლა შენ უნდა ინახულო ბარტუ. შეგიძლია მას მისწერო, რომ სამინისტროში დაპირებული არიან, რომ ის შენ გნახავს და უნდა მოელაპარაკო იტალიელების წინადადებაზე. საქართველოდან მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ ბ-კები მოელიან გენუაში საქართველოს ევაკუაციის საკითხის დასმას, რომ თითქოს ისინი ამისათვის ქეც მზად არიან. შესაძლოა მოსკოვში თავდაპირველად აჭარბებდნენ გენუის მათზე ზეგავლენას, თვით არ იცოდნენ, როგორ დატრიალდებოდა იქ საქმეები. ვიმეორებ, ყოველივე ეს, შესაძლოა, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ისე ვკრათ ხელი ამ შესაძლებლობას. შენ მართალი ხარ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თვალ ახვეულად გადავვარდეთ სადმე, მაგრამ თუ ერთი პირობა თავიდანვე დაცული იქნება ჩვენ მიერ (ევაკუაცია ჯარების), კომპრომეტაცია არ მოგველის. ყოველ შემთხვევაში ფარული მორგანიზაციის... დარჩა ოსმალეთის ხელის შემშლელი მოღვაწეობა.ხვალ მთავრობა იქონიებს თავის სხდომაზე ამაზე მსჯელობას და თავის გადაწყვეტილებას გაცნობებს. მე კი მხოლოდ ჩემ კერძო აზრს გწერ. Templ-ის მოწინავის შენიშვნას ალბათ გაეცანით. ეს დელეგაციაზედაც მოახდენდა შთაბეჭდილებას. ვფიქრობ, ესეც შეგიწყობს ხელს, მათთან ურთიერთობის გამოსწორებას. თქვენი ნოტები მივიღეთ. Non agression-ზე ძლიერ კოხტაა, მეორე კი, ჩემის აზრით, იმ მხრივ კოჭლობს, რომ თვით დოკუმენტები არ არის აღნიშნული. შესაძლოა, თქვენ ეს დოკუმენტები არ გქონდათ, თუმცა თქვენ მოიწერეთ, რომ ყველა დოკუმენტები გვაქვსო. ან შესაძლოა, ფორმის მხრით არ იყო მიზანშეწონილი დოკუმენტების თვით ნოტაში მოხსენიება? ჯერჯერობით ეს არის, ხვალ მთავრობის წერილი გამოგეგზავნება.

გამარჯვებით იყავით, სალამი ე. გეგეჭკორი.[1]

[1] სცსსა ფ. 1831, აღ.2, საქმე 63, ფ. 3-6.

საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, მეზობელი რესპუბლიკების წარმომადგენელ ემიგრანტ პოლიტიკოსებთან ურთიერთობის დამყარება, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელ პირობად მიიჩნია.

1921 წლის 19 აპრილს საქართველოს ელჩის — ჩხენკელის კაბინეტში გაიმართა თათბირი რომელსაც დაესწრენ საქართველოს მხრივ, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი და კონსტანტინე საბახტარაშვილი, აზერბაიჯანის მხრივ ა. თოფჩიბაშევი და მთიელების წარმომადგენელი ჩერმოევი. თათბირმა განიხილა საკითხი ოთხ რესპუბლიკას შორის კავშირის გაფორმების (კონფედერაციის შექმნის) შესახებ. დაადგინეს: ოთხი რესპუბლიკა — საქართველო, სომხეთი, აზებაიჯანი და მთიელთა რესპუბლიკა მომავალში იქნებოდა სახელმწიფოთა კავშირი — კონფედერაცია.

კონფედერაციას საფუძვლად დაედებოდა: საბაჟო კავშირი, სამხედრო კავშირი თავდაცვის მიზნით და ერთიანი საგარეო პოლიტიკა.

ოთხივე რესპუბლიკა დაუშვებლად თვლიდა რუსეთის ან ოსმალეთის ბატონობას, ან კიდევ რაიმე განსაკუთრებულ უფლებებს კავკასიაში, მათი აზრით, არსებობდა „ერთადერთი ორიენტაცია — თავის თავზე — სხვა ორიენტაცია წინდანინვე უარყოფილია".

ძალაში რჩებოდა 1914 წლის რუსეთ-ოსმალეთის საზღვრები.

აღინიშნა, რომ ოთხივე რესპუბლიკა ვალდებული იყო, თავისივე კეთილდღეობისათვის, მიეღო ზომები, რათა სომხეთს მისცემოდა ოსმალეთის მხრიდან ტერიტორიის მინიმუმი.

ამით დასრულდა თათბირი. მისი გაგრძელება დაინიშნა აზერბაიჯანის დელეგაციის ბინაზე, სადაც აკაკი ჩხენკელმა აიღო თავის თავზე წარედგინა წერილობით უკვე მიღებული დებულებები.[1]

1921 წლის 8 მაისს, პარიზში, კავკასიელი ემიგრანტების ახალი თათბირი შედგა. მათ ბოლშევიკური რეჟიმის დამხობის და საერთო კავკასიური ბლოკის შექმნის გზები დასახეს. როგორც სხდომის ოქმიდან ჩანს, კრებას თავმჯდომარეობდა აზერბაიჯანის წარმომადგენელი ალი მარდან თოფჩიბაშევი[2].

---

[1] სცსსა 1831, აღ. 2, საქმე 280, ფ. 1;

[2] ალი მარდან თოფჩიბაშევი (1862-1934), — აზერბაიჯანელი პოლიტიკოსი, დაიბადა და გაიზარდა თბილისში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა პეტერბურგის უნ-ის იურიდიულ ფაკ-ზე გააგრძელა. უნივერსიტეტი დაასრულა 1884 წ. 1894 წელს საცხოვრებლად ბაქოში გადავიდა და დაქორწინდა ცნობილი აზერბაიჯანელი სწავლულის — ჰასან ბეგ ზარდაბის ქალიშვილზე. ახალმა კავშირებმა მასში ახალი ინტერესები და მისწრაფებები გააჩინა: მან დაიწყო ბრძოლა ისლამური სამყაროს გარდაქმნის, თურქული ენის უფლებების აღდგენისა და სხვა პრობლემების გადასაწყვეტად. იყო რუსეთის I სათათბიროს წევრი, რუსეთში გამართული მუსულმანთა რამდენიმე ყრილობის მონაწილე, მხარს უჭერდა მუსულმანური ქვეყნების, კერძოდ, აზერბაიჯანის ევროპეიზაციას. 1898 წელს გახდა ბაქოში გამომავალი გაზეთის — „კასპიის" რედაქტორი. გახსნა მაპმადიანი გოგონებისთვის სკოლა ბაქოში და იყო მისი მზრუნველი. რუსეთის სათათბიროს ტრიუნიდან და გაზეთის პუბლიკაციებით მხარს უჭერდა ფართო ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას, ემხრობოდა რუსეთის ფედერაციულ მოწყობას. 1918 წელს მან წამოაყენა კავკასიის ფედერაციული მოწყობის იდეა შვეიცარული კანტონების მაგალითზე. იდეას მხარდამჭერები ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც ჰყავდა. ამის რეალური განხორციელების ცდას ამიერკავკასიის

სხდომას ესწრებოდნენ, აზერბაიჯანის მხრიდან: ა. ისლამოვი, დ. გაჯიბეკოვი, მ. მაგერამოვი; სომხეთის მხრიდან: ა. აგარონიანი, ა. ხატისოვი, ნ. ბეკზადიანი; საქართველოს წარმოადგენდნენ ემიგრაციაში მყოფი: ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, კ. საბახტარაშვილი, მ. სუმბათაშვილი, ჩრდილოეთ კავკასიას — ა. ჩერმოევი. კრების მდივანი ა. ათამალიბეკოვი იყო. ემიგრანტმა პოლიტიკოსებმა დაადასტურეს, რომ შეკრების მთავარი აზრი კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისთვის ერთობლივი მუშაობის წარმართვა იყო. ასევე, ხაზი გაუსვეს, რომ ეს იდეა ახალი არაა და თავის დროზე, ამ მიმართულებით არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, შედეგი ვერ მიიღეს. ა. ჩერმოევმა კრებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ კავკასიის გაერთიანების იდეის მხარდასაჭერად, ისინი 2-3-ჯერ უკვე შეხვდნენ საფრანგეთის გამოჩენილ წარმომადგენლებს. ერთ-ერთ ამ შეხვედრას გენერალი ვეიგამი ესწრებოდა. საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან, კავკასიის კავშირისადმი, მორალური მხარდაჭერის სურვილი გამოიკვეთა, თუმცა არ იყო გამორიცხული, ასევე, მატერიალური დახმარებაც მიეღოთ.

ა. ჩერმოევმა დააყენა საკითხი, სანამ კავკასიის კონფედერაცია შეიქმნებოდა, უნდა გადაწყვეტილიყო სომხეთ-ოსმალეთის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, ა. ჩერმოევი ესაუბრა ოსმალეთის წარმომადგენელს - ბექირ სამი ბეის, რომელმაც დაადასტურა, რომ მათ კავკასიურ სომხეთზე არავითარი პრეტენზია არ ჰქონდათ. როდესაც მან დაუსვა კითხვა თურქეთელ სომხებზე, პასუხად მიიღო, რომ ეს საკითხი ხელსაყრელად გადაწყდებოდა, კავკასიის კონფედერაციის შექმნის პირობებში. თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ ქართველი ემიგრანტები: ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი. ისინი აუცილებლად მიიჩნევდნენ კავკასიის როლის წარმოჩენას მსოფლიო საზოგადოების წინაშე.

ცნობილი ქართველი ეროვნულ-დემოკრატი დავით ვაჩნაძე, კავკასიის ერთიანობის აუცილებლობასთან დაკავშირებით წერდა: „კავკასიის რესპუბლიკების მარცხი ნაყოფია იმ დიდი ისტორიული შეცდომისა, რომ კავკასიის ერებს შინაგანი და საგარეო ერთობა არ ჰქონდათ. ჯერ კიდევ ათეული წლების წინათ, ვიდრე კავკასიის ერებს დღევანდელი ბრძოლის ხანა დაუდგებოდათ რუსეთის წინააღმდეგ, ზოგიერთი შორსმჭვრეტელი მოღვაწე კავკასიისა, წინასწარ გრძნობდა ამ ერთობის აუცილებლობას და ცდილობდნენ მთლიანი კავკასიის ფრონტის შექმნას...უსხეულო და უსულო ჩონჩხში სიცოცხლე ვერ დაისადგურებს, აქამდე წარმოებული სისტემა შეთანხმებისა და პერმანენტული მორიგებებისა, უნდა ითქვას, მხოლოდ თავის მოტყუებაა, რომელიც მხოლოდ მესამეს ახარებდა. ეს ნაცადი გზა არ ვარგა. არის მეორე გზა — გზა ხსნისა, განთავისუფლებისა და აღორძინებისა, დღევანდელი ვითარების მიერ დასახული გზა კავკასიის ერთა სახელმწიფოთა კავშირისა, რომელსაც კავკასიის კონფედერაცია ეწოდება"[1].

სეიმი წარმოადგენდა. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ კავკასიის კონფედერაციის იდეას კვლავ იცავდა. მისი ავტორობით შედგა 10-პუნქტიანი დეკლარაცია.

[1] დავით ვაჩნაძე, კავკასიის კონფედერაცია, ჟურნალი „სამშობლო", 2, გვ. 2-7, პარიზი, 1929.

1921 წლის 10 ივნისს კავკასიელმა ემიგრანტებმა, ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, საკავშირო დეკლარაციას მოაწერეს ხელი. დაარსდა მუდმივი ორგანო — კავშირის საბჭო, რომელშიც კავკასიის ქვეყნების დელეგაციის მეთაურები შევიდნენ, საქართველოს წარმოადგენდა ევროპის ქვეყნებში მისი ელჩი აკაკი ჩხენკელი. მსგავსი ორგანიზაციები დაარსდა ლონდონსა და სტამბოლში.

ალი მარდან ბეკ თოფჩიბაშევის ინიციატივით პარიზში აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობაში რამდენჯერმე განიხილეს აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაციის შექმნის იდეა. სამშვიდობო კონფერენციაზე 4 კავკასიური ქვეყნის დელეგაციების კრედოს პროგრამულ გამოხატულებად იქცა დეკლარაციად წოდებული დოკუმენტი (Declaration des représentants des republiques d' Arménie, d'Azerbaïdjan, du Caucase du Nord et de Géorgie. Paris, uuin, 1921).

1921 წლის 10 ივნისს პარიზში გამოქვეყნებული 10 პუნქტისგან შემდგარი დეკლარაცია შედგენილი იყო ა. მ.თოფჩიბაშევის მიერ, რა თქმა უნდა, ქართველი პოლიტიკოსების მონაწილეობით.

კავკასიის ოთხი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა განაცხადეს კავკასიელთა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ და ეს დეკლარაცია იყო ამის საჯარო და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გამოხატულება.

დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის და ჩრდილო კავკასიის წარმომდგენლებს სურთ კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობის, მათი დემოკრატიული რეჟიმის და ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნება, ისინი დაინტერესებული არიან რესპუბლიკებს შორის არსებული საკამათო საკითხების მათი მჭიდრო სოლიდარობის საფუძველზე გადაწყვეტაში. რომ ამ წარმომადგენლების აზრით, ევროპასა და აზიას შორის მდებარე კავკასიის ყელის და მასზე გამავალი შავი და ხმელთაშუა ზღვების შუა და წინა აზიასთან დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო გზის თავისუფლება ყველა ხალხისთვის სასარგებლოდ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს კავკასიური რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობის და მათ შორის კავშირის დამყარების პირობებში.

დეკლარაცია ამბობდა, რომ ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და კავკასიის, როგორც დასავლეთის და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი რგოლის სტრატეგიული როლის გათვალისწინებით, აუცილებელია მისი ხალხების მჭიდრო გაერთიანება.

დეკლარაცია აცხადებდა, რომ რესპუბლიკებს შორის, სამწუხაროდ, არსებული და მომავალი კონფლიქტების გადასაწყვეტად ეს რესპუბლიკები, უპირველეს ყოვლისა, თანხმდებიან — მიმართონ სავალდებულო არბიტრაჟს.

ამ ამოცანის განსახორციელებლად რესპუბლიკებმა დადეს პირობა, რომ თავს შეიკავებენ ისეთი მოქმედებებისგან, საერთაშორისო ხასიათის შეთანხმებებისგან და ვალდებულებებისგან, რომლებიც შეიძლება საზი-

ანო იყოს როგორც მთელი კავშირისთვის, ისე მისი ცალკეული ნევრებისთვის და ხელს შეუწყობენ სამოკავშირეო ხელშეკრულებებით დაკავშირებული კავკასიური სახელმწიფოების ერთობის და თანხმობის დამყარებას საგარეო პოლიტიკის სფეროში.

კავკასიის რესპუბლიკებმა განაცხადეს, რომ ისინი ქმნიან სამხედროთავდაცვით კავშირს, ერთიან საბაჟო კავშირს და ერთიან ტრანზიტულ სისტემას საერთაშორისო ვაჭრობისთვის.

დოკუმენტში ასახულია საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები: კონფედერაციაში შემავალი რესპუბლიკები ითხოვდნენ მათი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას და სრული დამოუკიდებლობის საფუძველზე მეგობრულ და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას რუსეთთან, თურქეთთან და ირანთან.

გათვალისწინებული იყო გეგმაზომიერი მუშაობა უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო და სამრეწველო კავშირების განსამტკიცებლად და უცხოურ კაპიტალთან თანამრომლობა კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა ასათვისებლად, თუ იქნებოდა ევროპულ სახელმწიფოთა მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა.

დეკლარაციაში ხაზგასმული იყო, რომ რუსეთის და თურქეთის შეიარაღებული ძალების მიერ 1919,1920,1921 წლებში ამ რესპუბლიკათა ტერიტორიების დაკავება იყო მათი უფლებების აშკარა დარღვევა და შემდგომი ძვრების წყარო, და რომ უნდა გამოყენებული ყოფილიყო დიპლომატიური ზემოქმედების ყველა საშუალება ამ უკანონო ოკუპაციის მდგომარეობის საჩქაროდ შესაწყვეტად.

დაბოლოს, ნათქვამი იყო, რომ უკანონო იყო და აღიარებული არ იქნებოდა მეზობელ სახელმწიფოთა ყველა ხელშეკრულება და შეთანხმება, რომლებიც ეხებოდა ამ სახელმწიფოთა ტერიტორიების დათმობას და მეზობელი სახელმწიფოების მიერ კონცესიების და პრივილეგიების მინიჭებას სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და მთის რესპუბლიკაში იმ მთავრობებისთვის, ჯგუფებისა თუ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობოდნენ ამ რესპუბლიკების ხალხთა თავისუფლად გამოხატულ ნებას.

შემდეგ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლები შეხვდნენ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე არისტიდ ბრიანს, რომელმაც განთავისუფლებული ტერიტორიების მინისტრ ა. ლუშერს დაავალა კავკასიელი ემიგრანტებისთვის დახმარების განევა.

1921 წლის 7 მოემბერს გამართულ შეხვედრაზე ა. ლუშერმა განაცხადა, რომ შეხვედრის შედეგების შესაბამისად მოამზადებს მინისტრთა საბჭოს მოხსენებას....

ამის შემდეგ, 9 ნოემბერს სომხური დელეგაციის ოფისში ჩატარდა 4 კავკასიური რესპუბლიკის წარმომადგენელთა საბჭოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ა.ხატისიანი, მას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის მხრიდან ა.მ. თოფჩიბაშევი, სომხეთის მხრიდან პაპაძიანი, ბაგრამიანი, საქართველოს მხრიდან ა. ჩხენკელი, ზ. ავალიშვილი, კ. კანდელაკი, ჩრდი-

ლო კავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო ჩერმოევი.

თათბირის მონაწილეებმა მოილაპარაკეს შემდგომი ერთობლივი მუშაობის შესახებ. შეიქმნა სამხედრო, ფინანსურ-ეკონომიკური, ნავთობსამრეწველო და გზების კომისიები, რომელთაც უნდა მოემზადებინათ მასალები საერთო მოხსენებისთვის. ამ მოხსენებას უნდა განესაზღვრა 4 კავკასიური რესპუბლიკისთვის გასაწევი დახმარება.

საერთო ხელმძღვანელობა დააკისრეს კანდელაკს. სამხედრო კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ ყორღანოვი, აღაბეკოვი, მდივანი, ხოკონდოკოვი, ფინანსურ-ეკონომიკურში — ბერბერიანი, მაგერამოვი, ელიგულაშვილი და ჯაბაგი, ნავთობსამრეწველოში — ბეკზადიანი, სელიმხანოვი, ელიგულაშვილი და ჯაბაგი, გზების კომისიაში — ტერ-მიქელიანი, ვექილოვი, ზუბალაშვილი, გაიდაროვი.

კანდელაკს დაავალეს მუშაობის საერთო გეგმის შემუშავება.

საერთო კომისიამ მოამზადა ანგარიში და გაუგზავნა ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ბრიანს.

1922 წლის 11 აგვისტოს საპასუხო წერილში ა. ბრიანმა აღნიშნა, რომ კავკასიურმა რესპუბლიკებმა თვითონ უნდა მიმართონ ფრანგულ ფინანსურ წრეებს, რომლებსაც შემდეგ შეეძლებათ მათთვის დახმარების გაწევა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ბანკებთან და კერძო მრეწველებთან ერთად ეკონომიკის განვითარების მეთოდების და გზების შემუშავება.

ალი მარდან ბეკ თოფჩიბაშევმა სცადა მოლაპარაკება რუსულ თეთრ მოძრაობასთანაც, მაგრამ დაიწყო უთანხმოებები. თოფჩიბაშევმა არ გაიზიარა სომეხთა მკვეთრად გამოხატული ანტითურქული განწყობა, „თეთრმა რუსებმა" კი, კავკასიელებს უმადურობა დააბრალეს. მაკლაკოვმა თქვა, რომ რუსეთი ხვალ ისევ დადგება ფეხზეო და გავიდა დარბაზიდან.

თოფჩიბაშევმა იმედი არ დაკარგა და 1922 წლის 9 თებერვალს სომეხთა დელეგაციის რეზიდენციაში ჩატარდა მორიგი თათბირი, რომელსაც უძღვებოდა ა.ხატისიანი.

ბ. სავინკოვმა[1] თავის გამოსვლაში ილაპარაკა თავისი ორგანიზაციის

[1] სავინკოვი, — ბორის ვიქტორის ძე სავინკოვი (1879-1925) რუსი ესერების ლიდერი, ტერორისტი, მოხალისეთა არმიის, იგივე „თეთრი მოძრაობის" აქტიური მონაწილე, ცნობილი მწერალი, ჟურნალისტი და საზ. მოღვაწეა, ძალზე საინტერესო ბიოგრაფიით. დაიბადა ხარკოვში, დაამთავრა ვარშავის გიმნაზია, შევიდა პეტერბურგის უნ-ში, საიდანაც რევოლუციონერობისთვის გარიცხეს. წავიდა გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად, 1897 წელს ვარშავაში დააპატიმრეს ტერორისტობისთვის, 1898 წელს შევიდა სოც-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, დაქორწინდა მწერალ გლებ უსპენსკის ქალიშვილზე, იბეჭდებოდა რევოლუციურ პრესაში, 1901 წელს აგიტატორი იყო პეტერბურგის „მუშათა განთავიუფლებისათვის ბრძოლის კავშირში", გადაასახლეს ვოლოგდაში, გაიქცა გადასახლებიდან და 900-იანი წლები ემიგრაციაში გაატარა. I მსოფლიო ომის დროს პარიზში იყო სამხედრო კორესპონდენტი, 1917 წელს დაბრუნდა რუსეთში და კერენსკის მთავრობაში მოღვაწეობდა. კერენსკის მარცხის შემდეგ შეუერთდა "თეთრების მოძრაობას", 1918 წ. მოსკოვში შექმნა „სამშობლოს დაცვისა და თავისუფლების კავშირი", ბოლშევიკების წინააღმდეგ შეურიგებლად იბრძოდა. იყო მასონთა ლოჟების — „ძმობა". „ხალხთა ძმობა", „თება"-ს წევრი. პარიზის ლოჟის მოსამზადებელი გან-ის წევრადაც ითვლებოდა. მოხალისეთა მხარდაჭერის სათხოვნელად პირადად რამდენჯერმე შეხვდა პილსუდსკის, ჩერჩილს, მუსოლინის. 1921 წ.-ს ლონდონში ცხოვრობდა, 1922-23 წლებში საფრანგეთსა და იტალიაში. 1924 წ. არალეგალურად ჩამოვ-

საქმიანობაზე და მიზნებზე — მომავალ არაბოლშევიკურ რუსეთში კერძო საკუთრების, დამფუძნებელ კრებაში დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით მართვის ფორმის შერჩევაზე.

მან თქვა, რომ კომუნიზმი და საბჭოთა ხელისუფლება ეხლა განიცდიან კრიტიკულ მომენტს და მათი პოლიტიკური ჩავარდნა ძალიან ახლოა.

სავინკოვის ორგანიზაციას ძალიან კარგი ურთიერთობები ჰქონდა უკრაინის ყოფილ მთავრობასთან, დონის რაზმებთან, თეთრ რუსებთან. მან მოუწოდა ყველას გაერთიანებისკენ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ....

მაგრამ თეთრი ემიგრაციის წარმომადგენლებს გამარჯვების შემთხვევაში სურდათ თავისი ხელისუფლების დამყარება საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე, რომელშიც შედიოდა კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიებიც და შეთანხმება და გაერთიანება ვერ შედგა.

ამასობაში ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ კავკასიაში მომხდარი აჯანყებები ამხნევებდა 4 რესპუბლიკის წარმომადგენლებს და უბიძგებდნენ მათ უფრო გადამჭრელი მოქმედებებისკენ.

1924 წლის 23 სექტემბერს საქართველოში უკანასკნელ აჯანყებებთან დაკავშირებით კავკასიური რესპუბლიკების 4 მთავრობის წარმომადგენლები გამოვიდნენ დასავლეთ ევროპის საზოგადოების წინაშე კავკასიის რესპუბლიკათა ეროვნული მთავრობების დეკლარაციით (Declaration des Représentants des Gouvernements Nationaux des Républiques du Caucase. Paris, 23 septembre 1924).

ამ დეკლარაციაში მათ განაცხადეს: „ჩვენ მუდამ გვესმოდა და გვესმის კავკასიის ხალხების მჭიდრო და ძმური კავშირის აუცილებლობა. ეს გაგება ბუნებრივია, თუ კი ანგარიშს გავუწევთ ამ ხალხების შემადგენლობის საუკუნოვან კავშირებს. ჩვენი ხალხები არავითარ შემთხვევაში არ შეწყვეტენ ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის. ეს მოვლენები დღის წესრიგში აყენებენ კავკასიის 4 რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური ერთობის, მათი კულტურული და ეკონომიკური კეთილდღეობის ერთადერთი საფუძვლის შექმნას." ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს ა. მ. თოფჩიბაშევმა, ა.ხატისიანმა, ა. პაპაძიანმა, ჩერმოევმა. ი. გაიდარმა, ნ. რამიშვილმა, ა. ჩხენკელმა.

რა თქმა უნდა, იყო კამათი და დაპირისპირებები და პირველობისთვის ბრძოლაც, მაგრამ გაერთიანებისათვის ბრძოლა მაინც გრძელდებოდა.

1928 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი კავკასიის ორგანო, ჟურნალი „პრომეთე".

ის იყო რუსეთიდან არარუსი ემიგრანტების პოლიტიკური ტრიბუნა. ის აერთიანებდა ყველა წარმოშობით არარუს ემიგრანტს.

იდა სსრკ-ში, სადაც დაიჭირეს, მიუსაჯეს ჯერ დახვრეტა, შემდეგ 10 წლით გადასახლება. 1925 წელს თავი მოიკლა, მეორე ვერსიით (სოლჟენიცინის აზრით), მოკლეს უშიშროების მუშაკებმა. კავკასიის კონფედერაციის საკითხებზე თათბირებს ის 1921-1922წლებში ესწრებოდა, რაზეც ლაპარაკია ჩვენ მიერ მოტანილ ტექსტში. სავინკოვის ორგანიზაციაში იგულისხმება ვარშავაში მის მიერ შექმნილი „რუსული პოლიტიკური კავშირი".

ჟურნალს პოლიტიკურად და მორალურად მხარს უჭერდნენ ვარშავის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და მისი ორგანო „აღმოსავლეთი“, ჟენევაში — გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევის“ მთავარი რედაქტორი ჟან მარტენი, შვეიცარიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჯუზეპპე მოტტა.

სწორედ ჯუზეპპე მოტტას ინიციატივით მიიღეს რეზოლუცია ერთა ლიგაში საქართველოს მიღების შესახებ 1922 წ. მოტტა ასევე იყო 1934 წელს საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღების წინააღმდეგი.

კავკასიის კონფედერაციას და ამ საკითხზე არსებულ უთანხმოებას ეხება აკაკი ჩხენკელის საგაზეთო მეთაური წერილი — „კავკასიის სადარაჯოზედ“.

„იმ დროს, როცა მტრის ბანაკში თავს რეტი ესხმით და არ იციან საითკენ გასნიონ — მარჯვნით თუ მარცხნივ, როცა ევროპა-ამერიკაში აშკარათ იკაფავს გზას სულ ახალი წინასწარ შემუშავებული მიდგომა საბჭოთა საკითხისადმი; როცა ანტიბოლშევიკური რუსული წრეები უცხოეთში პატრიოტულ აღტყინებას განიცდიან ამის გამო „ქვეყნის დამცველი“ ბოლშევიკების მიმართ, ჩვენი ვალია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ჩვენს საერთო მეზობლებს — კავკასიას და მის როლს მოახლოებული დიდი გარდატეხვის დროს“, — წერს ჩხენკელი.

„ჩვენ არაერთხელ გვსმენია უცხოელი მეგობრებისაგან ერთი პარადოქსი: კავკასიის სიმდიდრენი ერთსა და იმავე დროს ბედნიერებაცაა და უბედურებაც კავკასიელთათვის! ბედნიერება იმ მხრივ, რომ არის ნამდვილი მატერიალური ბაზა დამოუკიდებელი არსებობისათვის, უბედურება იმ მხრივ, რომ ეს სიმდიდრენი თავი მიზეზია მოსკოვის იმპერიალიზმისა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ საბჭოთა მთავრობას თავის მოლაპარაკებებში უცხოეთთან მხოლოდ კავკასიის სიმდიდრენი გამოაქვს, როგორც მთავარი მიმზიდველი ობიექტი, ჩვენთვის აშკარაა, საიდან წარმოსდგება ეს „ბედი-უბედობა“.

მაგრამ არის მეორე მხარეც, არანაკლებ საგულისხმიერო: თუ კავკასიის სიმდიდრენი იზიდავენ ევროპა-ამერიკას, თუ წინეთ და ეხლაც გააქვთ იქ ამ სიმდიდრეთა ზოგიერთი მთავარი ნაწარმოები, ეს მოასწავებს იმ საანბანო ჭეშმარიტებას, რომ კავკასია შედის მსოფლიო ეკონომიაში, როგორც მისი ორგანიული ნაწილი.

ამას დაუმატეთ კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა ორ კონტინენტშიც, მისი მნიშვნელობა ტრანზიტისა და მშვიდობიანობისათვის, აგრეთვე ისიც, რომ კავკასიის ერები კიდევ გუშინ თავისუფალნი იყვნენ, საქართველოს კი არ დაუკარგავს დღემდე თავისი იურიდიული მდგომარეობა, — და თქვენ მიხვდებით, რომ კავკასიის საკითხი იმავე დროს საერთაშორისო საკითხია უაღრესათ.

თქმულიდან ნათლათ გამოსჭვივის კავკასიის ფარგლებში მოქცეული ერების მძიმე პასუხისმგებლობა თავიანთ თავის და მომავალ თაობათა წინაშე. არ უნდა იქნეს ერთ წუთში დავიწყებული, რომ თუ მოსკოვს მოუხდა გართულება შინ ან გარეთ, — და ეს, რასაკვირველია, თვით მისი

ვერაგული პოლიტიკის წყალობით, — კავკასიის საკითხი თავისთავად ამოტივტივდება ზედაპირზედ. და მაშინ, თუ კავკასიის ერები და მათი ხელმძღვანელნი არ იქნენ სათანადოდ დარაზმულნი, ე. ი, თუ მათ ვერ აჩვენეს დიდ სახელმწიფოთა სამსჯავროს ერთი სახე, ერთი ნებისყოფა, ერთი ფრონტი, — სრულიად აშკარაა, რომ ჩვენ იგივე მოგვივა, რაც მოგვივიდა 1918-1921 წლებში! ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს ეს, ზედმეტია ახსნა-განმარტება.. ნუ მივეცემით ოცნებას, არ არის სრულიად გამორიცხული, რომ დავსდგეთ ფაქტის წინაშე, მათ ჩვენს ზურგსუკან გადაწყვიტონ ჩვენი ბედ-იღბალი და ამაში კი თავი დამნაშავენი ჩვენ თვითონ ვიქნებით..

ევროპაში გავრცელებულია ყალბი აზრი და გამავრცელებელი კი მოსკოვია, ვითომ კავკასიის ერთა დაცემის მთავარი მიზეზი მის ერთა მტრობა იყო და მომავალშიც ვერ გამოიჩენენ ისინი ერთი მოქმედების უნარსაო. სამაგიეროთო, — ლაქლაქებენ იმავე მოსკოვის აგენტები, — გასაბჭოებამ, იგულისხმეთ — რუსეთის გაბატონებამ, ერთის დაკვრით მოსპო ეს მტრობა და ნაცვლად ამისა ძმობა-ერთობა გაამეფა ერთა შორისო. ჩვენ ვიცით ამ ყბედობის ფასი, სასაფლაოს სიჩუმე მტარვალებს „კაცთა შორის სათნოებად" გამოაქვთ. არას დროს არ ყოფილა, პირიქით, იმდენი ღვარძლი და უნდობლობა დათესილი კავკასიის ერთა შორის, როგორიც სწორეთ გასაბჭოების შემდეგ! ჩვენ დაგვჭირდება დიდი ენერგია მომავალში, რომ ამ ნათესმა დამღუპველი ნაყოფი არ გამოიღოს. მაგრამ ჩვენ ვამყარებთ იმედებს თვით კავკასიის არეზე, რომ გამოიჩენენ გადამწყვეტ მომენტში საღ პოლიტიკურ ყნოსვას და საზრიანობას, რათა მტერი არ გაახარონ.

ჩვენი ახლო წარსულიდან არ ამოიშლება ის დიდი ფაქტი, რომ ჩვენ პირველად ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ და მეორე დღესვე მთიელთა წინადადება მივიღეთ მათი კავკასიის ფარგლებში შემოსვლის შესახებ, რასაც დადებითად შეხვდა მაშინდელი მთავრობა. მაგრამ არ დასცალდა ახალ სახელმწიფოს ოდნავ მაინც მომაგრება, რომ მოგვიხდა საგარეო გართულება, გამოწვეული ლენინის „პოხაბნი ზავით". ამ გართულებამ და არა სხვა რამემ გაგვყარა დროებით კავკასიის ერები, ეს დღეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს. ამიტომ, სასაცილოა, როცა ქვეყნის ორგულნი მოსკოვის ყმები გაიძახიან, თითქოს ჩვენ მათგან გვესესხნოს კავკასიის კონფედერაციის იდეა. რა შექმნეს მათ? „ამიერკავკასიის ფედერაცია", რომლის საჭე უშუალოთ კრემლის ხელშია, ხოლო ცალკე ერები მოკლებული არიან მთელი რეჟიმის უბრალო საერობო უფლებასაც. რაც შეეხება მთას, იგი მიაკრეს რუსეთს და დაანაწილეს ცალკე ერთეულებად, რომ უფრო ადვილად იბატონონ ყველაზე. ამას ეძახიან ისინი „ერთა თვითგამორკვევას, დამოუკიდებლობას, რესპუბლიკას, ფედერაციას"!..

არაერთხელ გვითქვამს, მოსკოვი იძულებულია ამ მაღალფარდოვანი უშინაარსო სიტყვებით დაფაროს თავისი სიტიტვლე, იმდენად ძლიერია ერთა მისწრაფება თავისუფლებისადმი. კავკასიის ერნი ამ მხრივ არავითარ იჭვს არ ბადებენ, ისინი განაგრძნობენ შეუოვარ ბრძოლას მოსკოვის ბრჭყალებიდან თავის დასაღწევად.

მაგრამ ჩვენ ლაპარაკი გვაქვს მათ ერთსულოვან მოქმედებაზე, როგორც შინ, ისე გარეთ, იმავე მიზნის მისაღწევათ. **მწარე გამოცდილება წარსულში გაკვეთილია მომავლისათვის. ჩვენ შეგნებულათ უნდა ვეცადოთ, რომ ყოველივე, რაც გვთიშავს, უკან წავსწიოთ, ხოლო რაც გვაერთებს, წინ წამოვსწიოთ.** ჩვენ სულ არ გვაკვირვებს, რომ ვდავობთ, მაგალითად, საზღვრების გამო, — განა რომელ სახელმწიფოს არ ჰქონია ეს დავა! თავი და თავი ისაა, რომ ჩვენ უკვე გამოენახეთ ისეთი შემარიგებელი ფორმულა, როგორიცაა **სავალდებულო არბიტრაჟი.** ფორმულა, აღიარებული ერთა ლიგის მიერ, როგორც უებარი მეთოდი ყოველი დავის მშვიდობიანად გადასაჭრელად. გარდა ამისა, პრინციპი კონფედერაციისა, რომელიც ჩვენ საფუძვლად დავუდევით ჩვენს მომავალ სახელმწიფოებრივ თანამშრომლობას, განა თავისთავათ არ გულისხმობს ამ დავის სიმწვავის ერთბაშათ გაქრობას? საბაჟო ერთობა, მიმოსვლისა და ტრანზიტის სრული თავისუფლება, საერთო თავდაცვა და დიპლომატია განა იმავეს არ გულისხმობს? დასასრულ, დემოკრატიული ფორმა მართვა-გამგეობისა, როგორც მთელი კონფედერაციისა, ისე ცალკე რესპუბლიკებისა, განა წინ არ გადაეღობება ერთი ერის უმართლო მოქცევას მეორე ერისადმი?

თავისთავად ცხადია, ჩვენ გვმართებს, საერთო კონფედერაციული ორგანოების შექმნის დროს, დიდი სიფრთხილე და თანდათანობა, თუ გვინდა, რომ არ გაგვიცრუვდეს მათზე დამყარებული იმედები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის მფლობელობის წინ კავკასიის ერები ცალ-ცალკე განაგებდნენ ავად თუ კარგად, საუკუნეთა განმავლობაში, თავიანთ სვებედს. ამიტომ, მათი ისტორია, თავგადასავალი, განცდანი, ტრადიციები ერთი და იგივე არაა. საჭიროა, მაშასადამე, დრო, პრაქტიკა, გამოცდილება, რომ ცალკე რესპუბლიკებმა ნებაყოფლობით დაუთმონ კონფედერაციულ ორგანოებს თავის უზენაესობის თუგინდ უმნიშვნელო ნაწილი.

საქმის ინტერესი მოითხოვს, არ დავერიდოთ იმის თქმასაც, რომ კავკასიის ერთა ორიენტაცია თვით კავკასიაზე ცოტათი მოიკოჭლებდა წარსულში და შეიძლება ეხლაც არაა გამქრალი მთლათ ეს ნაკლი. მკითხველი მიმხვდარია, რაზეა აქ ლაპარაკი. მაშინ, როდესაც ქრისტიანები კავკასიისა ჩრდილოეთს მისჩერებოდნენ, მაჰმადიანები სამხრეთისკენ იბრუნებდნენ პირს. ეს იყო წარსულში და ერთგვარი ისტორიული გამართლებაც კი ჰქონდა მას. დღეს სულ სხვაა: განვლილმა საშინელმა ათმა წელმა ჩვენ უკვე დაგვანახვა, ერთის მხრით, რომ ბოლშევიზმი პირმშო შვილია რუსის ხალხის სტიქიისა, რომელთანაც არავითარი საერთო არა აქვთ არარუსებს, განსაკუთრებით კავკასიელთ. მეორე მხრით, ქალიფატის გაუქმება სტამბოლში და ანგორის წმინდა ნაციონალისტური პოლიტიკა უკვე მჭერმეტყველურათ უჩვენებს კავკასიის მაჰმადიანებს, რომ ნამდვილი თანამედროვე ბაზა სახელმწიფოებრიობისა არის ეროვნება და არა სარწმუნოება.

მართალია, აზებაიჯანელები ამბობენ, რომ ისინი თურქნი არიან რასით, მაგრამ რასა სხვაა და ეროვნება კიდევ სხვა. ეროვნება კულტურული ცნებაა, ნაყოფი თანამედროვე რთული ცხოვრებისა, და ამით აზერბაიჯანელები დი-

დათ განირჩევიან თურქებისაგან არა მარტო მთელი მათი წარსულით, რომელიც უფრო სპარსეთთან იყო გადაბმული, უმრავლესობა შიიტებია, — არამედ დიალექტითაც. რაც შეეხება მთიელებს, ესენი ხომ, ცოტა გამოკლებით, წმინდა კავკასიური რასა არიან, ასე რომ არ განსხვავდებიან ქართველებისგან ტიპით, ხშირათ ადათებით, ტემპერამენტით. დაგვრჩა **სომხები**, რომელთაც საშინელი უბედურება დაატყდათ თავს დიდი ომის დროს დ მის შემდეგ, — ამიტომ, კიდევ ბევრია მათ მოღვაწეთა შორის, ვინც რუსეთისგან ელის ხსნას. ეს ტენდენცია ასახსნელია, თუმცა არაბუნებრივი: მათ და რუსებს შორის სამი კავკასიელი ერი ბატონობს, არას ვამბობთ უკრაინაზე! — როგორ გნებავთ ამ ერებს გადააბიჯოთ ფეხი და მოსკოვს მისცეთ ხელი? სომხის დღევანდელი რესპუბლიკის მშრომელი მასა ინსტიქტურათ გრძნობს ამ შეუსაბამობას და სწორედ ამიტომ გამოვიდა ის ასე გამართული 1921 წელს და გამოვა მომავალშიც დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენათ.

ჩვენ არას ვიტყვით ქართველებზე, ისინი ისედაც საკმაოთ არიან გარკვეულნი.

ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ ფრიად საგულისხმო ფაქტს: მაშინ, როდესაც ქრისტიანი ქართველები და სომხები ესაზღვრებიან მაჰმადიან ოსმალეთს, მაჰმადიანი აზერბაიჯანლები და მთიელნი ზედ ეკვრიან ქრისტიან ძველ რუსეთს. დაუშვით ერთ წუთს, რომ ეს ყოფილიყო წინაუკმო, რას მივიღებდით? ცხადია, ისინი მთლად გაილესებოდნენ რუსებთან ან თურქებთან, მათი ეროვნული სახეობის არაფერი დარჩებოდა. ჩვენ ხომ არ დაგვიწყნია, რომ სარწმუნოება ძველ დროში სახელმწიფოს შემკვრელი დულაბი იყო!

ერთი სიტყვით, რა მხრითაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, თქვენ მიხვალთ ერთ დასკვნამდე: კავკასია და მისი ოთხი მთავარი ერი ერთმანეთს ეკუთვნიან, მათი გათიშვა არაბუნებრივია და ვერ გამართლდება ვერავითარი თვალსაზრისით. გეოგრაფიულათ ერთი მთლიანი ნაკვეთი, ხიდად გადებული აზიასა და ევროპას შორის, დემოგრაფიულათ ტოლ ერთა მიერ დასახლებული, ეკონომიურათ განუყოფელი, პოლიტიკურათ მომწიფებული — კავკასია მოწოდებულია ითამაშოს ფრიად საპატიო როლი საერთაშორისო ასპარეზზედ.. ერთი პირობით: თუ მისი ხელმძღვანელნი შესძლებენ ამ მოწოდების სიმაღლეზედ დგომას.

კავკასიამ დიდი ხნია მოიპოვა ადგილი მსოფლიო ეკონომიაში, მან უნდა მოიპოვოს ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაშიც. მაშ, აქეთკენ, კავკასიის სადარაჯოზედ![1]

როგორც დავინახეთ, ჩხენკელი კავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის პრობლემას მრავალი ასპექტით ხსნის. რეალურად, კავკასიის გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ, მრავალი ობიექტური თუ სუბექტური მიზეზის გამო, ვერ მოხერხდებოდა. მისი განხორციელება ისტორიულად შესაძლებელი, მაგრამ უძნელესი პროცესია და მაშინდელი ქართველი პოლიტიკოსების სწრაფვაც, ამ გზით მოეხერხებინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ილუზიად დარჩა.

---

[1] 1831, აღ. 2, საქმე 229, 4 გვერდი, ხელნაწერი სტატია, 1931 წლით დათარიღებული.

ქართველი ხალხი ტოტალიტარულ საბჭოთა რეჟიმს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით დაუპირისპირდა. ანტიბოლშევიკური გამოსვლები, საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა 1921 წელსვე დაიწყო. პირველი გამოსვლები სვანეთში მოხდა და 1922 წელსაც გაგრძელდა. ცნობები სვანეთის მოვლენებზე სისტემატიურად იგზავნებოდა ევროპაში, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის პარიზის ოფისში, აქედან კი ეს ცნობები მიეწოდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, პოლიტიკოსებს, ევროპულ პრესას.

1921-1924 წლები, როდესაც საქართველოში მიმდინარეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ და ეროვნულ ძალთა მობილიზება ხდებოდა, პოლიტიკურად რთული წლები იყო რუსეთის ბოლშევიკური სახელმწიფოსთვისაც. ევროპის დიდი სახელმწიფოები დავობდნენ იმაზე, თუ რა პოზიცია უნდა ჰქონოდათ ბოლშევიკური რუსეთისა და იმ პატარა ქვეყნებისადმი, რომლებიც იმპერიის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლები გახდნენ, ხოლო ბოლშევიკთა მიერ ხელახალი დაპყრობის შემდეგაც გამოხატავდნენ პრეტენზიას — მიეღოთ ცივილიზებული სამყაროს მხარდაჭერა დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ევროპის დიდი სახელმწიფოებიდან ამ ქვეყნებისადმი თავიდანვე კრიტიკულად იყო განწყობილი დიდი ბრიტანეთი, ასევე მერყევი პოზიცია ჰქონდათ სხვა ქვეყნებს. ქართველი პოლიტიკოსები იყენებდნენ ყველა დიპლომატიურ საშუალებას, რათა საქართველოს სასარგებლოდ განეწყოთ ევროპა, თუმცა, ომისშემდგომი დაძაბული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მათ ყველა ცდას გარკვეულად ხელს უშლიდა.

საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების ლტოლვილი მთავრობა მანამდე, სანამ საქართველოში დაბანაკებული საოკუპაციო ჯარი არ გადავიდა სადამსჯელო ოპერაციებზე და ბოლშევიკურმა მთავრობამ ანტიქართული ღონისძიებების გატარება არ დაიწყო, გეგმავდა მხოლოდ მშვიდობიან ღონისძიებებს, კერძოდ, ხელისუფლების შეცვლას მშვიდობიანი გზით, არჩევნების საშუალებით.

1921 წლის ზაფხულში მიღებულ რეზოლუციაში — „მიმდინარე მომენტი და სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა" — მე-3 პუნქტი პირდაპირ აფრთხილებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს, რომ არ გამოეყენებინათ შეთქმულებითი მეთოდები და გადაჭრით მოუწოდებდა „თავის თანამგრძნობთ და მთელ ხალხს", თავი შეეკავებინათ შეიარაღებული გამოსვლებისაგან.[1]

ეს გადაწყვეტილება ვერ განხორციელდა, ძალადობრივმა რეჟიმმა ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა.

სვანეთის ამბებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ როგორც ემიგრაციაში მყოფი ქართველი, ასევე საბჭოთა რუსეთის პოლიტიკოსები. სვანეთის

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 609, ფ. 43.

აჯანყება ორი წელი გრძელდებოდა. ამას მოპყვა დამკომის შექმნა და აჯანყებისათვის მზადება.

მრავალპარტიულობის გამო, დამკომს ზოგჯერ „პარიტეტული კომიტეტის" სახელითაც მოიხსენიებენ. დამკომის მუშაობა ეფუძნებოდა ხელშეკრულებას, რომელზეც ორგანიზაციაში შემავალი ყველა პარტია აწერდა ხელს. კომიტეტი უშუალო კავშირში იყო ემიგრაციაში მყოფ საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრებთან. 1922-1924 წლებში დამოუკიდებლობის კომიტეტი აქტიურ იატაკქვეშა ბრძოლას წარმართავდა საბჭოთა ოკუპაციისა და ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ანტისაბჭოთა პარტიების ამ ბლოკმა საკუთარ თავზე აიღო საქართველოში საერთო-სახალხო აჯანყების ორგანიზება. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეები იყვნენ: გოგიტა ფაღავა[1], შემდეგში ნიკოლოზ ქარცივაძე, ბოლოს კონსტანტინე ანდრონიკაშვილი[2].

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომის) შექმნამდე ცოტა ხნით ადრე, 1922 წლის მარტში, შეიქმნა „სამხედრო ცენტრი". პოლკოვნიკ ივანე ნარიკელაძის ბინაში გოგიტა ფაღავას ინიციატივით გაიმართა სხდომა. მას სამხედრო სპეციალისტები ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელიშვილი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი და გიორგი ხიმშიაშვილი ესწრებოდნენ. **სხდომაზე პირველად დაისვა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ.** „სამხედრო ცენტრს" უშუალო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლებისთვის. ცენტრის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: გოგიტა ფაღავა, ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელიშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე აფხაზი, ალექსანდრე მაჭავარიანი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე, ნიკოლოზ ზანდუკელი და სხვები. პირველ ეტაპზე სამხედრო ცენტრის დანიშნულება საქართველოს ყველა კუთხეში მსგავსი პატარ-პატარა ცენტრების შექმნა იყო, რომელიც ერთიანი სამხედრო ცენტრისგან გაკონტროლდებოდა. სამხედრო ცენტრს საერთო-სახალხო აჯანყების ორგანიზება უნდა მოეხდინა. გათვალისწინებული იყო არამარტო საქართველოს ყველა კუთხის, არამედ კავკასიის ქვეყნების ჩართვა ანტისაბჭოთა აჯანყებაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ჩაებნენ ეროვნულ-განმათა-

---

[1] გოგიტა ფაღავა, — გიორგი (გოგიტა)ალექსანდრეს ძე ფაღავა, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი თავ.-რე, დამფუძნებელი კრების წევრი, ეროვნული გვარდიის შტაბის მდივანი (საპ. თავ.-რე — ნოე ჟორდანია, თავ.-რე — ვალიკო ჯუღელი). გოგიტა ფაღავამ გადმოსცა საქართველოში ტელეგრაფით პეტროგრადიდან კარლო ჩხეიძის ცნობილი დეპეშა — „მთავრობაძე გარდაიცვალა, გთხოვთ შეატყობინოთ ნათესავებსა და ახლობლებს". დააპატიმრეს 1923 წელს, 1924-ში დახვრიტა „ჩეკამ".

[2] კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, — საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი და 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ვისუფლებელ მოძრაობაში. ქართველმა ემიგრანტებმა: კარლო ჩხეიძემ, გრიგოლ ვეშაპელმა, რევაზ გაბაშვილმა და სხვებმა, უცხოეთიდან აქტიური მუშაობა გააჩაღეს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერი იყო ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ის ბათუმში იმყოფებოდა, არ წავიდა ემიგრაციაში და თბილისში დაბრუნდა. ჩოლოყაშვილი ხედავდა, რა მძიმე საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს ბოლშევიკებმა საქართველოში, როგორ შეურაცხყვეს ქართველი ხალხის თავისუფლება. 1922 წლის დასაწყისში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა პარტიზანული ბრძოლები დაიწყო რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. 1922 წლის თებერვალში, **კახეთში,** ალვანის ტყეში, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი თანამებრძოლები შეიფიცნენ. შეფიცულთა შორის იყვნენ: ალექსანდრე სულხანიშვილი, ქაქუცას ძმა სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ლელო ჩიქოვანი, ალექსანდრე კარგარეთელი, დიმიტრი ჭინჭარაული, მიხა ხელაშვილი, გოლა პავლიაშვილი, ალექსანდრე ცხვედაძე, მიხეილ ლაშქარაშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი და სხვები. 1922 წლის დამლევს ქაქუცა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, კერძოდ, იასონ ჯავახიშვილს, ნიკოლოზ ქარცივაძეს და გენერალ კონსტანტინე აფხაზს დაუკავშირდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, **1922 წელს ხევსურეთში აჯანყება** დაიწყო.

მიუხედავად კარგად შემუშავებული სამხედრო გეგმისა, გადამწყვეტ ბრძოლაში ქაქუცას რაზმმა ვერ შეძლო რუსულ ჯართან გამკლავება. პარტიზანები ალყაში მოექცნენ. ხევსურეთის აჯანყება დამარცხდა. საბჭოთა ხელისუფლება ქაქუცას პარტიზანული რაზმების წევრებისა და აჯანყებულ ხევსურთა მიმართ დაუნდობელი და სასტიკი სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას შეუდგა. სერგო ორჯონიკიძის ინიციატივით, ხევსურეთის სიღრმეში მსხვილი სამხედრო შენაერთები შეიგზავნა, რომელთაც აჯანყების უმოკლეს ხანში ჩახშობა და ხევსურთა დასჯა დაევალა. სერგო ორჯონიკიძე ბოლშევიკების იდეური მოწინააღმდეგეებისა და „საშიში კლასობრივი მტრების" ლიკვიდაციას ისახავდა მიზნად. ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა ხელისუფალთა მარცხით დამთავრდა. ალყაში მოქცეული ჩოლოყაშვილი გაუჩინარდა. ქაქუცას რაზმისათვის გზის გახსნის მიზეზით, ფშავის მილიციის უფროსი, ლევან რაზიკაშვილი (ვაჟა ფშაველას ვაჟი) დააპატიმრეს. მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: კ. მაყაშვილმა, პ. იაშვილმა, ა. აბაშელმა, შ. დადიანმა და პ. ინგოროყვამ, სერგო ორჯონიკიძეს ლევან რაზიკაშვილის შეწყალება თხოვეს. ორჯონიკიძის პასუხი ასეთი იყო: ვაჟას შვილი კი არა, თვით ვაჟა რომ იყოს ცოცხალი, იმასაც დავხვრეტდიო. განაჩენი 1923 წლის 16 თებერვალს აღასრულეს. ლევან რაზიკაშვილი მაშინ 35 წლის იყო.

ხევსურეთის აჯანყების დამარცხებამ, ქართველი ხალხი მაინც ვერ გატეხა. დაიწყო მზადება ახალი აჯანყებისათვის. საგანგებო კომიტეტი („ჩეკა")

დიდხანს ეძებდა აჯანყების ხელმძღვანელებს.

1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს და საგანგებო კომისიის 1923 წლის 19 მაისის კოლეგიის სხდომის გადაწყვეტილებით დახვრიტეს სამხედრო ცენტრის 15 წევრი: 1. გენერალი კონსტანტინე (კოტე) აფხაზი; 2. გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი; 3. გენერალი ვარდენ წულუკიძე; 4. პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი; 5. პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი; 6. პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი; 7. პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი; 8. ლეიტენანტი ლევან (ლელო) კლიმიაშვილი; 9. როტმისტრი სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი; 10. პოლკოვნიკი დიმიტრი ჩრდილელი; 11. როტმისტრი ფარნაოზ ყარალაშვილი; 12. იასონ კერესელიძე (გენერალ ლეო კერესელიძის უმცროსი ძმა); 13. სიმონ ჭიაბრიშვილი; 14. ივანე ქუთათელაძე; 15. ნიკოლოზ ზანდუკელი.

ხევსურეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ანტისამთავრობო გამოსვლები არ შეწყვეტილა. დაიწყო საყოველთაო აჯანყების მომზადება, რომელსაც ძირითადად „პარიტეტული კომიტეტი" და ემიგრაციიდან დაბრუნებული ნოე ხომერკის მიერ რეორგანიზებული „სამხედრო კომისია" ხელმძღვანელობდა. 1923 წლის აპრილში ჩატარდა საიდუმლო სამხედრო ყრილობა, სადაც შემუშავდა მომავალი აჯანყების გეგმა. ყრილობაზე წაიკითხეს და მიიღეს ფიცის ტექსტი. ორგანიზატორებს საოკუპაციო რეჟიმის დასამხობად საჭიროდ მიაჩნდათ აჯანყებისთვის საერთო-კავკასიური მასშტაბის მიცემა. ერთიანი კავკასიური აჯანყების ორგანიზების მიზნით, მოლაპარაკებას ჩეჩნებთან ივანე ყარანგოზაშვილი აწარმოებდა. აღნიშნული კავშირით შეშფოთდა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლება. საერთო-კავკასიური აჯანყების იდეა მისთვის კატასტროფას უდრიდა.

1923 წლის ნოემბერში საგანგებო კომისიამ („ჩეკა") ნოე ხომერიკი დააპატიმრა. მისი ადგილი გოგიტა ფალავამ დაიკავა. „სამხედრო კომისიამ" ცალკეულ მაზრებში შექმნა ქვეკომისიები, მთელი საქართველო სამოქმედო რაიონებად დაყო, რომელსაც სათავეში სარდლები ჩაუყენა. აჯანყების დაწყების დროდ „პარიტეტულმა კომიტეტმა" 1924 წლის თებერვალი განსაზღვრა. დადგენილ დროს აჯანყება ვერ მოეწყო „სამხედრო კომისიის" წევრთა დაპატიმრების გამო. დაპატიმრებულთა ადგილები შეავსეს ემიგრაციიდან ჩამოსულმა ვალიკო ჯუღელმა, ბენია ჩხიკვიშვილმა, ვიქტორ ცენტერაძემ და ვლასა მგელაძემ.

1924 წლის ივლისის შუა რიცხვებში „პარიტეტული კომიტეტის" გაფართოებულ კრებაზე აჯანყების დღედ 1924 წლის 17 აგვისტო დასახელდა. აჯანყების მთავარსარდლად გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე დაინიშნა. მან საბრძოლო რაზმების მზადყოფნაზე ანგარიში ჩაიბარა და საკმარისად მიიჩნია არსებული სამხედრო ძალები. გეგმის მიხედვით, პირველად თბილისი უნდა აჯანყებულიყო. ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით, თბილისიდან 20 კილომეტრში, სოფელ ნახშირგორასთან დაბანაკდა. ამ დროს ვაზიანში რუსული არტილერია იყო თავმოყრილი. საჭირო გახდა მათი შეიარაღების ხელში ჩაგდება, რაც პოლკოვნიკ ი. ცაგურიას რაზმს უნდა

გაეკეთებინა, რათა რუსებისათვის ჩამორთმეული ზარბაზნებით თბილისს ნავთლულის მხრიდან მიდგომოდნენ. აჯანყების დაწყება უნდა ეცნობებინათ ჩრდილო კავკასიელებისთვის. ბოლშევიკების აგენტურამ ყველაფერი გააკეთა აჯანყების ჩასაშლელად. 7 აგვისტოს „ჩეკამ" ვალიკო ჯუღელი დააპატიმრა და აიძულა იგი დამოუკიდებლობის კომიტეტისთვის (იგივე „პარიტეტული კომიტეტი") წინადადება მიეცა აჯანყების შეჩერებაზე. კომიტეტმა არ მოისმინა ჯუღელის რჩევა.

აჯანყებამდე ერთი კვირით ადრე, დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ამბოხებულთა გენერალური შტაბის წარმომადგენლები შიო-მღვიმის მონასტერში შეიკრიბნენ. აჯანყების პრაქტიკული მომზადება დაევალა დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ სამხედრო კომისიას. კომისიის მიერ შედგენილი გეგმით, აჯანყება ყოველ ქალაქსა და მაზრაში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო. ადგილებზე ხელისუფლების აღების შემდეგ, თბილისზე საერთო შეტევა მოხდებოდა. მნიშვნელოვანი როლი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის რაზმს ენიჭებოდა.

აჯანყების შესახებ ინფორმაცია ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა. საქართველოს რევკომის ბრძანებით სამხედრო წვრთნაზე მყოფი ჯარი სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა, ქალაქში საგანგებო წესები გამოცხადდა. ოდნავ საეჭვო პირებს იჭერდნენ და ციხეში სვამდნენ. ბოლშევიკებმა რეპრესიები გაატარეს სავარაუდო აჯანყების მეორე ცენტრში — ბათუმში. ამის გამო აჯანყება 29 აგვისტოსთვის გადაიდო.

გაურკვეველი მიზეზების გამო, აჯანყება ჭიათურაში ერთი დღით ადრე, 28 აგვისტოს დაიწყო. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად არია შეთქმულთა გეგმები და ხელისუფლებას აჯანყების ჩახშობა გაუადვილა. ჭიათურაში გამოსვლის შესახებ ინფორმაცია „პარიტეტულ კომიტეტს" და აჯანყების ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ. ჭიათურაში საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებამ ჯავშსნოსანი მატარებლით დამსჯელი რაზმები გაგზავნა. ბოლშევიკებმა განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს სადგურ ყვირილასთან. ზესტაფონიდან 3-4 კილომეტრის მოშორებით საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა საჩხერეში, ჭიათურაში, შორაპანში და ახლომდებარე სოფლებში დაპატიმრებული ეჭვმიტანილების ვაგონები ჩამოიყვანეს. არგვეთის ხიდთან, რკინიგზის სიახლოვეს, ორმოები წინასწარ იყო გათხრილი. ზესტაფონიდან გასული მატარებელი არგვეთის ხიდთან გაჩერდა. პირველი ვაგონიდან გადმოიყვანეს დაპატიმრებულები, გაამწკრივეს ორმოს გასწვრივ და უკლებლივ ყველა ჩაცხრილეს. სასიკვდილოდ განწირულმა მომდევნო ნაწილმა, უარი თქვა ვაგონებიდან ჩამოსვლაზე. ქუთაისის ჩეკას მეთაურმა ი. ტალახაძემ ყველა მათგანის ვაგონებში ჩაცხრილვა ბრძანა, რაც მაშინვე აღასრულეს. განაჩენის აღსრულების შემდეგ, ვაგონების კარები გააღეს და დახოცილები ორმოში გადაყარეს. თხრილი საკმარისი არ აღმოჩნდა და ჩეკისტებს ზემოდან უამრავი მიწის დაყრა მოუწიათ, რათა გვამები მთლიანად დაეფარათ. სულ არგვეთის ხიდთან 96 ადამიანი დახვრიტეს. მოგვიანებით, მათ რიცხვს სხ-

ვებიც დაემატნენ. შორაპნის მაზრაში დახვრეტილთა რაოდენობამ 171-ს მიაღწია.

ჭიათურის გამოსვლამ დაძაბა ვითარება მთელ საქართველოში. თბილისში საგანგებო წესები გამოცხადდა და ქალაქის ყველა სტრატეგიული პოზიცია გაძლიერდა.

აჯანყება 29 აგვისტოს მაინც დაიწყო. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის რაზმმა გეგმის მიხედვით თბილისის დაცვის გარღვევა და მისი აღება ვერ შეძლო. მან უკან დაიხია და მანგლისს შეუტია. ჩოლოყაშვილის მცირერიცხოვანმა რაზმმა მანგლისი აიღო, თუმცა იქ გამაგრება ვერ შეძლო, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გადავიდა და დუშეთი დაიკავა. ხელისუფლებამ რამდენიმე დღეში აჯანყების კერები მოსპო. 4 სექტემბერს შიომღვიმის ტყეში დააპატიმრეს დამოუკიდებლობის კომიტეტის („პარიტეტული კომიტეტი") წევრები: კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი. ფაქტობრივად, აჯანყება დამარცხდა. მიუხედავად ამისა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი თანამებრძოლები პარტიზანულ ბრძოლას მაინც აგრძელებდნენ. მათ არაერთი დამარცხება აგემეს რუსული ბოლშევიკური ჯარის ნაწილებს. აჯანყების ბევრი მონაწილე თუ ეჭვმიტანილი, საოკუპაციო ხელისუფლების მითითებით, ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე დახვრიტეს.

უმკაცრესი რეპრესიები განხორციელდა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში. სენაკში 500-ზე მეტი კაცი დასაჯეს სიკვდილით. აჯანყებულები გურიასა და სამეგრელოშიც დამარცხდნენ. სვანეთში თავმოყრილმა აჯანყებულებმა ამაოდ სცადეს ქუთაისის აღება. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა დუშეთი დაიკავა, თუმცა წინსვლა ველარ შეძლო, მან თბილისზე იერიშის მიტანა, მხოლოდ მის განკარგულებაში მყოფი ძალებით ვერ გაბედა. ქაქუცა იძულებული გახდა თავის შეფიცულებთან ერთად საზღვარგარეთ წასულიყო.

1924 წლის აჯანყება წარმოადგენდა ქართველი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის კანონზომიერ შედეგს. აჯანყებამ, რომელსაც მრავალი გმირის სიცოცხლე შეეწირა, ნათლად აჩვენა, რომ ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას. დამარცხების მიუხედავად, 1924 წლის აჯანყებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიაში. იგი სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის მაგალითი გახდა მომავალი თაობებისათვის.

მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, საბჭოთა ხელისუფლება ღელავდა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო. ქართველი დიპლომატები ევროპაში ამხელდნენ მის სადამსჯელო პოლიტიკას საქართველოში, ხელს უშლიდნენ იმაში, რომ ეღიარებინა ევროპას, გაება რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები. განსაკუთრებით ამ დროს საბჭოთა რუსეთს ინგლისური კრედიტის მიღება სწადდა, ხელშეკრულება გაფორმებული იყო, მაგრამ რატიფიკაციას ლონდონი აჭიანურებდა. ამის გამო ცდილობდა საქართველოს ოპოზიციურ ძალებთან მიეგზავნა თავისი შუამდგომლები, მსტოვრები, რომლებიც დაალაგებინებდნენ ურთიერთობას. როგორც ვიცით, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ისე დატოვა

საქართველო, რომ ხელი არ მოუწერა რუსეთის ოკუპანტ ბოლშევიკურ მთავრობას აღიარებაზე.

ამის გამო გაიგზავნა 1924 წლის ივნისში ჯერ ბერლინში, ვლადიმერ ახმეტელაშვილთან შესახვედრად და ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად სტალინის ცოლისძმა ალექსანდრე სვანიძე[1].

საინტერსოა 1924 წლის 18 ივლისს გაგზავნილი ნოე ჟორდანიას წერილი აკაკი ჩხენკელისადმი.

ნოე ჟორდანიას წერილი აკაკი ჩხენკელს:

„აკაკი, შენი წერილი 10 ივლისის თარიღით მივიღე. საყურადღებოა ის, რაც სუმბათაშვილს მოუწერია. ბოლდვინი როგორ შეთხზავდა ამ ამბავს. რაღაც მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს ჩვენს შესახებ. — უეჭველათ მიმაჩნია მას შემდეგ, რაც ახმეტელმა ამ დღეებში მაცნობა. ის მწერს — ბერლინში ჩამოვიდა სვანიძე მოსკოვიდან. ყოფილი კომისარი ჩვენში, სტალინის ცოლისძმა. მას ორჯერ უნახავს ახმეტელი და მისთვის გადაუცია საიდუმლოთ შემდეგი: სტალინთან ლაპარაკისაგან მტკიცედ მოითხოვს ამასო. მისივე სიტყვით, სესხის საკითხი მათთვის არსებობის საკითხია და მისი მიღებისათვის ყველაფერზე წავლენო. დღეს საქართველოს საკითხში ისეთ შეურიგებლობას არ იჩენენ, როგორც წინეთ, ოღონდ თუ მას მაკდონალდი, მეორე ინტერნაციონალი ან სხვა დიდი ძალა წამოაყენებს, თვითონ საქართველოს წარმომადგენელნიც ლაპარაკს არ დაიწყებენ... აქ

[1] ალექსანდრე სვანიძე, — ლექსანდრე „ალიოშა" სვიმონის ძე სვანიძე (დ. 1886 — გ. 20 აგვისტო, 1941) — ქართველი საბჭოთა ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, იოსებ სტალინისპირადი მეგობარი და მისი პირველი მეუღლის კატო სვანიძის ძმა. 1901 წლიდან გაწევრიანდა რსდმპ-ში. 1903 წლიდან ეწეოდა არალეგალურ რევოლუციურ მოძრაობას ამიერკავკასიაში, სადაც გაიცნო რევოლუციონერი იოსებ ჯუღაშვილი და 1905 წელს დროებით საცხოვრებლად მიიყვანა ტიფლისში, თავის დების სახლში, სადაც ქალიშვილებს მადამ ჰერვის სახელობის მოდების ატელიე ჰქონდათ გახსნილი. სწორედ ამ პერიოდში გაიცნო სტალინმა მომავალი მეუღლე კატო, რომელზეც 1907 წელს დაქორწინდა. რამდენიმე წელი ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც მოისმინა იენის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიისფაკულტეტის კურსი, შეისწავლა გერმანული და ინგლისური ენები. 1916 წელს დაბრუნდა და 1919 წლამდე დაჰყო ტფილისში. 1920-1921 წლებში იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დასავლეთის განყოფილების უფროსის მოადგილე, 1921-1924 წლებში ეკავა ამიერკავკასიის სფსრ განათლების და ფინანსთა სახალხო კომისრის თანამდებობა, იმავდროულად ეკავა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობა. მონაწილეობას იღებდა ყარსის კონფერენციაში, სადაც 1921 წლის 13 ოქტომბერს, ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის, რომლის მიხედვითაც თურქეთმა დათმო ბათუმი და გიუმრი, ხოლო სანაცვლოდ საბჭოთა კავშირმა ართვინი, არტაანი, ყარსი და ილდირი. 1924-1935 წლებში მუშაობდა სსრკ სავაჭრო წარმომადგენლად გერმანიაში, ამავე დროს სსრკ საგარეო ვაჭრობის ბანკის სამმართველოს თავმჯდომარე. 1935 წლიდან იყო სსრკ სახელმწიფო ბანკის სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე. თანამედროვეების გადმოცემით ამ პერიოდში ის იყო სტალინთან ყველაზე დაახლოებული პიროვნება. პოლიტიკური კარიერის პარალელურად აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში: სწავლობდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიას; აქტიურად იყო დაკავებული ალაროდიული ენების შესწავლით; ასურეთის და ურარტუს უძველეს წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ნარკვევი მაშინდელი პერიოდის ამიერკავკასიაზე; რუსულ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი"; დააარსა ჟურნალი „Вестник древней истории", რომლის პირველი რედაქტორი თავადვე იყო. 1937 წელს ალიოშა სვანიძე დააკავეს, 1941 წლის 20 აგვისტოს დახვრიტეს ბერიას უშუალო ბრძანებით.

საყურადღებოა ის, რომ სტალინის ცნობით და იმათ დასტურითაც მოხდა სვანიძის მისვლა ახმეტელთან და ასეთი ცნობის მიცემა. ეს გავს არაოფიციალურათ შემოთვლას. რა მიზნით? ან თავის საქმეს იკეთებენ ჩვენთან მომავლისათვის, ან გვაფრთხილებენ და გზას გვიჩვენებენ, ანდა ეს საკითხი ყელზე ადგიათ და სურთ იქიდან წმინდათ გამოვიდნენ. სვანიძის აზრით, დღევანდელი მმართველები არა-რუსებია, არ სურთ ველიკორუსული პოლიტიკა აწარმოვონ, მარა ეშინიათ გავლენის დაკარგვის და საჭიროებენ მაგარ მოპირდაპირეს დამ.ბ-ის (დამოუკიდებლობის?) საკითხში ველიკოროსების წინაშე თავის გასამართლებლათო.

ერთი ცხადია, მაკდონალდზე არ დაიწყებდნენ ლაპარაკს მოსკოვში, რომ მართლა ამ საგანზე სადმე ლაპარაკი არ იყოს. ეს სვანიძის მოტანილი ამბავი და მაკდონალდის ნათქვამი — თქვენი საქმე არც ისე ცუდათ არისო, — ერთმანეთს ეთანხმება. სამწუხაროთ ჩვენ კი არ ვართ საქმის კურსში. შეიძლება მივიღოთ რაიმე ზომა გასაგებათ? რადგან ბოლდვინი-შვილი ამოურჩევია თვით მაკდონალდს შუაკაცათ — შეიძლება მისი საშუალებით რამე გავიგოთ! ყოველ შემთხვევაში ბადე გადავისროლოთ იმით, რომ ეს სვანიძის ცნობა ვამცნოთ მაკდონალდს იგივე ბოლდვინის საშუალებით. მისწერე შენ, ან სუმბათოვს აცნობე მისთვის გადასაცემათ დაახლოებით ასეთი ვერსია: მოსკოვიდან ჩამოვიდა ამ დღეებში ერთი ცნობილი ბოლშევიკი და ჩვენს წარმომადგენელს ახმეტელს საიდუმლოთ გადასცა პირადათ, რომ მოსკოვი თანახმაა საქართველოს საკითხში დათმონ, თუ ამას მაკდონალდი მაგრათ მოითხოვს! ეს ცნობა მაკდონალდს გაამხნევებს და ეგება კიდევ რამე შემოთვალოს. სვანიძეს ნუ დაასახელებთ, თვარა რომ გახმაურდეს, მასაც ავნებს და ჩვენც. ირაკლი არ მიდის პარიჟში, შენ ინახულე ბლუმი[1] და გამოკითხე ჩვენი საქმის. ჩემ მაგივრადაც გამოკითხე. მე სადღაც წავიკითხე, რომ ხოშტარიას[2] სპარსეთის კონცესია ინგლისელებში

---

[1] ბლუმი, — ლეონ ბლუმი (1872-1949), ფრანგი სოციოლოგი, პოლიტიკოსი და მოაზროვნე. ცნობილია გამონათქვამებით: „ომი არის პოლიტიკის უკანასკნელი და ენერგიული საშუალება"; „კრიტიკულ მომენტში ადამიანმა 'შესაძლოა სიცოცხლე იხსნას მხოლოდ მისივე გარისკვით".

[2] ხოშტარია, — აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია (დ. 1873, — გ. 1932) — ქართველი ფინანსისტი, მრეწველი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი. დაამთავრა პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში ბაქოში ჩამოაყალიბა მსხვილი სამრეწველო კომპანია და სავაჭრო ოპერაციებს წარმართავდა სამხრეთ კავკასიასა და ირანში. მის მფლობელობაში იყო ორი დიდი კომერციული ორგანიზაცია: სანაეთობე ამხანაგობა „რუპენტო" და თურქულ-სპარსული „ხოშტარიას ბანკი", ასევე მექანიკური ქარხანა, საპნის ქარხანა, სამინათმოქმედო იარაღების ფაბრიკა და სხვა საწარმოები თბილისში. 1918 წ. ხოშტარიამ თბილისელთა თხოვნით საჯარო აუქციონზე შეიძინა მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, დავით სარაჯიშვილის სახლი, რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წასვლის წინ სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად ქართველ ხალხს საჩუქრად დაუტოვა. ამ სახლში შემდგომში განთავსდა მწერალთა სახლი. ხოშტარია აქტიურ საქველმოქმედო და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. 1907 წ. თბილისში ახლადშექმნილ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ბაქოდან 8 ათასი მანეთი გამოუგზავნა. 1920 წელს მანვე შეიძინა საზღვარგარეთ 4 სამხედრო გემი და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გადასცა საჩუქრად. აფინანსებდა ქართველ სტუდენტებს საზღვარგარეთ. აკაკი ხოშტარია დაკრძალულია პარიზის პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. მისი მეუღლე, მინადორა ხოშტარია (1881—1924) დაკრძალულია თეირანის

შეიყიდა და მოსკოვთან აწარმოებენ მოლაპარაკებას კავკასიის გზით ამ კონცესიების ექსპლოატაცია მოახდინონო. თუ ეს მართალია, საქართველოს საკითხიც აქ იქნება მიკერებული. საჭიროა ამ ამბის კარგათ გაგება.

ჰერიო ალბათ ლონდონის შემდეგ გადაწყვეტს საქართველოს საკითხს. როგორც ჩამოვა, მაშინვე ინახულე, მისი მდივანიც.

საქართველოდან თუ რამე ცნობაა — გამაგებიეთ. ჟორესის[1] ნეშტის გადატანა თუ მოხდება პანთეონში — საჭიროა ჩვენმა კოლონიამ და ს.დ. ჯგუფმა მონაწილეობა მიიღონ პროცესიაში თავის დროშებით.

იყავ გამარჯვებული.

შენი ნ. ჟორდანია.[2]"

მომდევნო წერილში ნოე ჟორდანია საუბრობდა, რომ სოციალ-დემოკრატი ბენია ჩხიკვიშვილი, თუმცა მას არ ეთანხმებოდა მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად და დაგეგმილ აგვისტოს აჯანყებაში ჩასართავად მაინც წავიდა საქართველოში. ის საბჭოთა უშიშროების ორგანოს მუშაკებმა საზღვართანვე დააკავეს, წაართვეს აჯანყების ორგანიზატორებთან გამოგზავნილი ჟორდანიას სარეკომენდაციო წერილი. მასში ბევრი ინფორმაცია იყო ისეთი, რაც ბოლშევიკებმა გამოიყენეს და საქართველოს ყოფილი ხელისუფლება პროვოკაციასა და ხალხის მოტყუებაში დაადანაშაულეს.

წერილი დაიბეჭდა საბჭოთა პრესაში, ხალხს აჩვენეს, რომ საქართველოს ყოფილი მთავრობა მეზობლების მიმართაც უსამართლო იყო: ლანძღავდა მუსავატს და ბოლშევიკური რუსეთის ამიერკავკასიაში შემოყვანის საქმეში დებდა ბრალს. აზერბაიჯანელები საკმაოდ კარგი პარტნიორები იყვნენ ემიგრაციაშიც, რაც ჩხენკელს აფიქრებინებდა, რომ ამ წერილის ავტორობაზე ჟორდანიას უარი რომ ეთქვა, აჯობებდა. ჟორდანიამ ეს არ ქნა, წერილის ავთენტურობა აღიარა და დაიცვა თავისი პოზიცია.

აქვე ვიტყვით, რომ **აკაკი ჩხენკელი აჯანყების წინააღმდეგი იყო. მას ეს აჯანყება წინასწარ დასამარცხებლად, განწირულ ომად მიაჩნდა, რომელსაც იმ დროის ქართველი პატრიოტები ამაოდ შეაკლავდნენ თავს და რუსეთის დიდ სახელმწიფო-სამხედრო მანქანას ვერას დააკლებდნენ.**

წერილში საუბარია სხვა მოვლენებზეც, მაგრამ ძირითადი აგვისტოს მოვლენებია.

20. VII, 1924 წელი (წერილს 22 აწერია წითელი ფანქრით, ალბათ ჩხენკელმა ამ დღეს მიიღო).

„აკაკი. გუშინწინ წერილი გამოგიგზავნე. გუშინ შენი წერილი მივიღე 18

დულაბის მართლმადიდებლურ რუსულ სასაფლაოზე. მისი აკლდამა, რომელიც აკაკი ხოშტარიამ ააგებინა, ქართული სასულიერო ხუროთმოძღვრების ერთადერთი ნიმუშია ირანის ტერიტორიაზე.

[1] ჟორესი, — ჟან ჟორესი (1859-1914), ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ლიდერი.

[2] სცსსა 1831, აღწერა2, საქმე 232, ფურცელი 1-3.

ივლისის. ბენიამ[1] ჩემი არ დაიჯერა. მაინც წავიდა. თავისი თავიც დაიღუპა და ჩემი წერილიც ჩააგდო. თქვენ ტყუილათ შეწუხებულხართ, ისეთი არაფერი დამიწერია, რომ საჯაროდ თქმა არ შეიძლებოდეს. მეზობლებზე რამდენიმეთ გადავკრავ სრულიათ საბუთიანათ. შეურაცხმყოფელი აქ არაფერია. მაშ ის მერჩია ც.კ-სთვის, რომ რაც მათ უთხრან, მათ ეს ჭეშმარიტებათ მიიღონ. მე ვსწერ, რომ საქართველო მარტო ვერ გამოვა, გამოვა სხვებთან და ესეც მაშინ, როცა პირველათ ისინი (გაუგებარია ამის შემდეგ წინადადება — დ. ჭ.). ჯერ თქვენ გამოდით, მერე ჩვენო, — არ არის მისაღები (წერილის პირი აქ არ მაქვს). საინტერესოა ბატონებმა რა ადგილები დაბეჭდეს, შეიძლება კიდევაც გადაამახინჯეს. თქვენი წინადადება, რომ უარი ვთქვათ, არ მოგვიწერიაო, მიუღებელია. რაც მიწერილია, მიწერილია. ჩემს წერილზე მე უარს არ ვამბობ. ეს არ არის ჩემი ჩვეულება. შინაურ მიწერ-მოწერაშიც თუ არ ვართ თავისუფალი, თუ ერთმანეთსაც მართალს ვერ ვეტყვით, მაშინ რა საჭიროა რამე ორგანიზაცია და პასუხისმგებლობა. დიპლომატია არ არის თავზე ხელის მოსმა, დაყვავების პოლიტიკის წარმოება. თუ დღეს მუსავატს არ მოსწონს მისი ისტორიის გახსენება, მისი ორგზის ღალატი, ეს მისი საქმეა. მაგრამ ისტორიას ხომ ვერ ნაშლის და ვერც ჩვენ დავიფარებთ თავზე ხელებს. მათ ბაქოს კარები არ გაეღოთ — ჩვენ ახლა იქ ვიქნებოდით. სომხებს ამის მზგავსი ღალატი ჩვენთან არ

[1] ბენია, — ბენიამინ ჩხიკვიშვილი (1881-1924), ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, ეკავა სხვადასხვა მაღალი თანამდებობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს. დაიბადა 1881 წელს, გურიაში, ჩოხატაურის რაიონში (საყვავიის ტყე). დაამთავრა ჩოხატაურის ერთკლასიანი სასწავლებელი. სწავლობდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, მაგრამ არ დაუსრულებია. აქტიურად იყო ჩართული მეოცე საუკუნის დასაწყისის სოციალურ-დემოკრატიულ მოძრაობაში. 1901-1903 წლებში გამოდოდა თბილისისა და ბათუმის რევოლუციურ შეკრება -მანიფესტაციებში, 1904 წელს სოციალ-დემოკრატთა თბილისის კომიტეტში შედიოდა და ნოე ხომერიკთან და არჩილ ჯაფარიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა ქართლის სოფლებში რევოლუციურ პროპაგანდას. 1905 წელს იყო გურიაში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ნესტორ კალანდარიშვილთან ერთად უძღვებოდა ნასაკირალის ბრძოლას. გურიის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ იყო მისი მმართველი. ჰქონდა დიდი გავლენა ხალხში. მის განკარგულებაში იყო საგანგებო მატარებელი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ბათუმიდან და სამტრედიიდან აგზავნინდნენ გურიაში. დადიოდა დაცვით, ფლობდა ორატორულ ნიჭს. მისი თაოსნობით 1905 წელს დაშლილ იქნა ოზურგეთის საქალაქო საბჭო და მოწვეულ იქნა „გურიის დროებითი პარლამენტი", რომლის თავმჯდომარის არჩევნებში ჩხიკვიშვილმა 970 ხმიდან მიიღო 958 ხმა. მას უწოდებდნენ გურიის პრეზიდენტს და გურიის მეფესაც. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ჩხიკვიშვილი გურიიდან გაიქცა. ოდესაში მასთან ერთად გაასამართლეს აჯანყების ხელმძღვანელები: ნესტორ ერქომაიშვილი, გიორგი მამულაიშვილი, ანტონ ლომჯარია, მოსე ტუღუში, სიმონ ტოტოჩავა, სერგო სურგულაძე, პარმენ თოთიბაძე, სიმონ ღლონტი, კარლო ლომაძე და სხვები. ბენია ჩხიკვიშვილს ოთხი წელი კატორღა მიესაჯა. მოგვიანებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ეკავა თბილისის ქალაქის თავის თანამდებობა (1919-20 წლებში). 1919-1921 წლებში იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების ნევრი. 1920 წელს იყო ქუთაისის, შემდეგ კი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი, ამ თანამდებობაზე დარჩა მთავრობის ემიგრაციაში წასვლამდე. 1924 წლის მაისში ჩხიკვიშვილი დაბრუნდა საქართველოში, რათა მონაწილეობა მიეღო 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. ის 25 ივლისს დააპატიმრეს აჯანყების სხვა მეთაურებთან ერთად. დააპატიმრეს და დახვრიტეს რუსეთის ტერიტორიაზე. 1919 წელს შევსებულ ანკეტაში ასახელებს ოჯახის ნევრებს: ცოლს, 5 და 3 წლის ასაკის შვილებს, დედას, დას და ძმას.

ჩაუდენიათ, არც შეეძლოთ ჩაედინათ. აი, ამ დიდ ფაქტს ვახსენებ მე ც. კ.-ს და ვურჩევ ფრთხილათ იყვენ მათთან და რომ ჩემი ეჭვი მართალი გამოდგა, იქიდან სჩანს, რომ მათ მერე მოინერეს აზერბეიჯანში პროვოკაციების ქსელში კინაღამ გავეხვიეთო. თქვენ ნამეტან მნიშვნელობას აძლევთ პარიჟის მეზობელთ. მათ ძალა და გავლენა არა აქვთ არც კავკასიაში, არც სხვაგან. ეს საკმაოდ გამორკვეული ფაქტია. პირადი თავაზიანობისათვის პოლიტიკას ვერ გავამრუდებთ.

რაც შეეხება თუმანიშვილს, მე იმ აზრის ვარ ახლაც, რაც წინეთ ვიყავი. ჩვენს წარმომადგენლათ ვერ დავნიშნავ, რატომ? გარანტია არ გვაქვს, რომ კრიტიკის დროს თავის ნაცნობ რუსის მონარხისტებთან ისევ კავშირს არ გააბამს და ჩვენს ნდობას თავის საქმეების მოსაგვარებლათ არ გამოიყენებს. პოლონეთს ალბათ ალმაცერად უყურებთ, როცა ასეთ კანდიდატებს ასახელებთ. რასაკვირველია, ყურულიშვილიც[1] მიუღებელია. ის მხოლოთ პროპაგანდისტად უნდა გამოიყენოთ, წერა იცის და ლაპარაკი პოლონურათ. პოლონეთში მცხოვრებთა შორის მე მხოლოდ ზაქარიაძე მიმაჩნია სანდოთ., რომელიც ჩვენ დავალებებს შეასრულებს. ყოველ შემთხვევაში სირცხვილს არ გვაჭმევს. სალაყაიას ნებართვის მოხდა უჩემოდ არც კი ვიცოდი. ვინ გამოინვია არ ვიცი. თუ ყველამ ასე დაამტკიცა თავისი პოსტი, არავითარი საქმე არ გაკეთდება. მე მირჩევნია წარმომადგენელი არ გვყავდეს პოლონეთში, ვინემ ისეთი, რომელსაც ვერ ვენდობი სავსებით. რენოდელის წერილი კარგათ დაწერილია, არა მგონია ამის შემდეგ ერიომ ჩვენ დაგვივიწყოს. „კომუნისტი"არ მიმიღია, გამომიგზავნე.

იყავი გამარჯვებით. ნ. ჟორდანია[2]

24, VII, 1924 წელს, ნოე ჟორდანია ჩხენკელთან გაგზავნილ წერილში ისევ ახსენებდა სვანიძეს.

„„რაც სათქმელი ჰქონდა სვანიძეს, ყველაფერი ნათქვამი აქვს. ისიც იცის, რომ ახმეტელი ჩვენ გვაცნობებდა, ჩემი დასკვნა ამ ცნობიდან ასეთია: თუ არ ავჩქარდებით და მომენტებს ხელიდან არ გავუშვებთ — საქმეს მოვიგებთ. საჭიროა მხოლოდ რომელიმე გავლენიანი წრეები დავაინტერესოთ ჩვენი საქმით. ბ. ბ. ფულისათვის, ე. ი. მათი ბატონობის გახანგრძლივებისათვის ბევრ რამეს დათმობენ. თუ მაკდონალდმა[3] ვერაფერი მისცა და იქ, მოსკოვში მართლა ეშინიათ ინგლისის, შეიძლება საფრანგეთში გააწყონ რამე. მაგრამ ასეთი დიდი კამპანიისათვის ერიო არ გამოდგება. მხოლოდ ბრიანს შეუძლია ასეთი ფართო და გამსვლელი პოლიტიკა აწარმოვოს. ინგლისში სავაჭრო ხელშეკრულება შეუკრავთ. შიგ არაფერი არ არის, როგორც სჩანს არც ინგლისისათვის, არც ამ ბ.-სათვის. აქ ალბათ მსხვილ დიდი კომბინაციაზეა ლაპარაკი და ეს უნდა გავიგოთ რამენაირათ. მივიღე „კომუნისტი". ჩემს წერილს იყენებენ რეპრესიებისათვის, ეს

[1] ყურულიშვილი (1894-1925), — სერგო ყურულიშვილი, ჟურნალისტი, ქართული ემიგრაციის მოღვაწე პოლონეთში, ქართული სათვისტომოს თავ-რე.
[2] სცსსა 1831, აღწერა 2, საქმე 422, ფურცელი 4-6.
[3] მაკდონალდი, — ჯეიმს რამზეი მაკდონალდი (1866-1937), დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი 1924 და 1929-1931 წლებში.

ყველაზე უფრო სამწუხაროა. ამის შესახებ მე ვსწერ ნოეს. ძალიან აჩქარებულათ მოხდა იმ ხალხის გაგზავნა და იმდენი ფულის დახარჯვა. მაზნიაშვილის წერილი გადავეცი კოწიას მთავრობისათვის. მე რომ მწერს აქ, იქ მთავრობა ვერ მიაგნო? ადრესი მე გამოვგზავნე შენ და მთავრობისათვის.

ნ. ჟორდანია"[1]

23 ივლისს ჟორდანიას ჩხენკელთან გაგზავნილ წერილში საუბარია აკაკი ჩხენკელის ჟენევაში წასვლაზე, ავალებს იქ სოციალისტებთან მოლაპარაკებებს, რუსეთს მოეთხოვოს პასუხი მაშინაც, თუ ის შემოვა ლიგაშიო. პოლ ბონკურის (ფრანგი სოციალისტის) ნახვასაც ავალებს პარიზში. ჟორდანიას აზრით, პალატაში სოციალისტებს „მაღალი ტონი ჰქონდათ აღებული რუსეთის წინააღმდეგ". **„მათ, პირველყოვლისა, უნდა ჩააგონოთ, რომ მოსკოვი მოტეხილია, ერთი მაგარი დაძახება და იარაღს დააყრევინებსო"**, — ირწმუნებოდა ჟორდანია, ურჩევდა ჩხენკელს რუსული და ევროპული პრესის კარგად გაცნობას.[2]

მოსკოვი რომ „მოტეხილი" არ იყო და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მიმართ არც რაიმე დათმობაზე წამსვლელი, კარგად გამოჩნდა 1924 წლის აგვისტოს მოვლენების დროს.

სვანეთის, ხევსურეთისა და სხვა მოვლენებმა კარგად აჩვენეს, რომ ევროპა ამ რთულ ვითარებაში ქართველი ხალხის ინტერესებს დეკლარაციულად თუ დაიცავდა, თორემ რეალურად, პრაქტიკული დახმარების გაწევას არ აპირებდა. ეს აფიქრებინებდა ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილს, რომ სასურველ შედეგს ეს გამოსვლა ვერ მოიტანდა: საკუთარი ძალით ქართველი ხალხი ვერ დაამარცხებდა რუსულ საოკუპაციო ჯარს, ქართველი ხალხის გაერთიანებაც ვერ მოხდებოდა, რადგან ეს ადვილი საქმე არ იყო.

1923 წელს საქართველოს ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ წინათ მმართველი პარტია — სოციალ-დემოკრატებისა დაშალა, ასეთივე ბედი ეწია სოციალისტ-ფედერალისტებსაც. ამ პარტიებს დევნიდნენ და საშინელ იარლიყებს აკერებდნენ, მაგ. „სამშობლოს მოღალატეების პარტიას". დაშინებული იყო ხალხის დიდი ნაწილი. ამ მდგომარეობაში აჯანყების გამარჯვება ილუზია იყო. აკაკი ჩხენკელი ყველაზე კარგად იყო ინფორმირებული ევროპელ პოლიტიკოსთა დამოკიდებულებაზე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისადმი, ამიტომ ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა მოვლენების მაშინდელ განვითარებას, მის ინფორმირებას მსოფლიოში, თანაც ისე, როგორც, მისი აზრით, ეს ხდებოდა: გადაჭარბებულად, მოვლენათა ჰიპერბოლიზებით. ამაში, ასევე მისი რწმენით, დიდი წვლილი ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს მიუძღოდა. ასეთად ის თვლიდა კონსტანტინე გვარჯალაძეს, რომელიც გასაბჭოებიდან ოსმალეთში იმყოფებოდა და ხელმძღვანელობდა სტამბოლის ქართულ წარმომადგენლობას.

სტამბოლის ქართული წარმომადგენლობა ფაქტობრივად საქართველოში 1921-1924 წლებში მიმდინარე განმათავისუფლებელ მოძრაო-

[1] სცსსა 1831, აღწერა 2, საქმე 422. ფ. 7.
[2] სცსსა 1831, აღწერა2, საქმე 422. ფ. 11-13.

ბას აკავშირებდა პარიზის და ევროპის სხვა ემიგრანტულ წრეებთან. აქ ჩამოვიდნენ ნოე ხომერიკი[1], ვალიკო ჯუღელი, ბიქტორ ცენტერაძე და სხვები აჯანყების დასახმარებლად. ნოე ხომერიკი 1922 წლის დასაწყისში ჩავიდა სტამბულში და პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე გახდა. ის ატყობინებდა თავისი წერილებით პარიზში აკაკი ჩხენკელსა და ევგენი გეგეჭკორს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, არწმუნებდა მათ, „საქართველოს ხალხი მაგრათ არისო".[2]

1923 წლის ნოემბერში საგანგებო კომისიამ („ჩეკა") ნოე ხომერიკი დააპატიმრა. ბათუმში აიყვანეს გოგიტა ფაღავა, გიორგი წინამძღვრიშვილი, გოგიტა ფაღავას შემცველელი ლ. ბელთაძე, ნ. კახიანი, ამას მოჰყვა ბენია ჩხიკვიშვილის, ვალიკო ჯუღელის და სხვა ლიდერების დაპატიმრება.

აჯანყებულები მაინც არ იხევდნენ უკან. მათ ევროპიდან ქართული ემიგრაციისა და მათი მეგობრების დახმარების იმედი რომ ჰქონდათ, ესეც კარგად ჩანს იმ წერილიდან, რომელსაც ერთმანეთის მიმართ გაბრაზებული აკაკი ჩხენკელი და კონსტანტინე გვარჯალაძე წერდნენ.

კონსტანტინე გვარჯალაძე (1884-1969) იყო ცნობილი სოციალ-დემოკრატი, შეიძლება ითქვას, გამორჩეულად პროევროპული, ამ პარტიაში. განათლება მიღებული ჰქონდა შვეიცარიაში. იდეურად ახლოს იდგა და მეგობრობდა სოციალისტ-ფედერალისტებთან. 1917 წლის ნოემბერში გვარჯალაძე საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი გახდა.[3]

1919-1921 წლებში იყო დამფუძნებელი კრების დეპუტატი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (ამხანაგი), 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში, ჯერ ლონდონში ცხოვრობდა, შემდეგ პარიზში. აჯანყების დროს მუშაობდა სტამბოლის ქართულ წარმომადგენლობაში.

ქვემოთ მოტანილი წერილიდან ჩანს, როგორი აზრთა სხვადასხვაობა იყო ქართულ ემიგრაციაში საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, განსაკუთრებით კი, 1924 წლის აჯანყებაზე.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის — კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი სტამბოლიდან პარიზში აკაკი ჩხენკელისადმი აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების შესახებ:

„საქართველოს წარმომადგენელს პარიზში.

დიდი ხანია მივიღე თქვენი წერილი (15, XI, 24). დღემდე ვერ გიპასუხეთ.

---

[1] ნოე ხომერიკი, — სოციალ-დემოკრატი, საქ. დემოკრატიულ მთავრობაში მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, დამფუძნებელი კრების წევრი. 1903-1906 წლებში აქტიურად მონაწილეობდა გურიის გლეხთა სოციალ მოძრაობასა და გურიის რესპუბლიკის გამოცხადებაში. 1908 წლიდან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მისი თაოსნობით, 1919 წლის 31 იანვარს, დამფუძნებელმა კრებამ მიიღო აგრარული რეფორმის ჩატარების გადაწყვეტილება. რეფორმა გულისხმობდა მინის ჩამორთმევას მსხვილი მემამულეებისთვის და გადანაწილებას გლეხობაზე. სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა მდინარეები, ტყეები და საძოვრები. 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში და შემდეგ აჯანყების ორგანიზებისათვის ფარულად დაბრუნდა 1922 წელს. იყო პარიტეტული კომიტეტის წევრი. დაპატიმრებული იქნა „ჩეკას" მიერ 1923 წლის ნოემბერში. დახვრიტეს 1924 წელს.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 111, ფ.2.

[3] სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 72, ფ.1-2.

არ მქონდა მოცალება. ისედაც თქვენი წერილი საქმეს არ შეეხებოდა, ის უფრო პირადული ხასიათისა იყო და ამიტომ მასზე პასუხის გაცემა არც ისე საშური იყო. თან ვერ გავიგე კარგათ, რათ დაგჭირდათ თქვენ ჩვენი კერძო მიწერ-მოწერის გადმოტანა ოფიციალური წერილების ფურცლებზე. არ მგონია, რომ ეს მიზანშეწონილი იყოს. მაგრამ რომ მართლაც ბოლო მოეღოს ასეთი წერილების წერას, საჭიროთ მიმაჩნია მოგცეთ ზოგიერთი კონტრ-განმარტებანი. თქვენ ალბათ გეხსომებათ, რომ ჩემი 11 სექტემბრის წერილი თქვენდამი იყო პასუხი თქვენი 5 სექტემბრის წერილისა ჟენევიდან. 2 სექტემბერს საზღვრიდგან, პუნქტში მყოფ ჩვენი კაცისაგან მივიღეთ დეპეშა: „საქართველო და აზერბაიჯანი ხუთი დღეა რაც აჯანყებულია, საქართველოს ნახევარი ტერიტორია აჯანყებულთა ხელშია. სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ბევრია დაჭრილი და დახოცილი. ბრძოლაა ბათომის ქუჩებში, რკინისგზის და ტელეგრაფის მუშაობა შეწყვეტილია". კიდევ ამის წინეთ, 31 აგვისტოს, საზღვრიდგან მივიღე მოკლე დეპეშა: „29 ამ თვეს დაიწყო აჯანყება საქართველოში და აზერბაიჯანში". 31 აგვისტოსვე მთელ ევროპაში ყველგან „როსტის" საშუალებით გავრცელდა ცნობა, რომ საქართველოს ერთ პატარა ქალაქში — ჭიათურაში მენშევიკების ბანდებმა მოაწყვეს ავანტიურა, მაგრამ რამდენიმე საათში ყველაფერი ჩავაქრეთო. მაგრამ იმავე დეპეშიდან ნათლად სჩანდა, რომ ბოლშევიკები რაღაცას მალავდნენ და მდგომარეობა სერიოზული იყო. ცხადი იყო აგრეთვე, რომ ბოლშევიკებს მიღებული ქონდათ ყოველნაირი ზომა, რომ საქართველოდან არავითარი ცნობა არ გამოსულიყო ევროპისკენ და ჩვენი ერის მოძრაობა კი მათ სისხლში ჩაეხშოთ. რამდენად შესაძლებელი იყო ჩვენს პირობებში მომუშავეთათვის, ჩვენ აქ შევამოწმეთ 2 სექტემბრის დეპეშა, ჩვენზე მეტი ცნობა აქ არავის ქონდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თურქულ პრესას, ევროპის და ამერიკის კორესპონდენტების გაზვიადებულ ცნობებს. სტამბოლში მომუშავე პოლიტიკურ მოღვაწეთა თათბირმა დაადგინა, სენსაციებს არ ავყოლოდით და მიგვეწოდებინა ჩვენებისათვის ევროპაში და აგრეთვე ამერიკისა და ევროპის პრესისათვის ის ცნობები, რომელნიც ჩვენს საზღვრიდან მოგვდიოდა. ჩვენ ვიყავით დაინტერესებული მხარე და როცა ყველას თავდაჭერილათ მოვაჩვენებდით თავს, გაცილებით მეტ ნდობას მოვიპოვებდით მათ თვალში. ასეც მოხდა. საინფორმაციოთ ყველა ჩვენთან მოდიოდა და ყველას ჩვენი განსაკუთრებული ნდობა ჰქონდა. მომენტის სრული შეგნებით იყო, რომ 2 სექტემბრის დეპეშა გამოგეგზავნათ თქვენ ჟენევაში. ჟენევაში ამ დროს იყო ნაციათა ლიგის სხდომა. იქ იყვნენ **ზოგი ჩემი კარგი პირადი ნაცნობები, როგორც მაკდონალდი, დებრუკერი და ბრანტინგი.** აქ გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ეს პირებიც მიიღებდნენ ჩვენში მომხდარ ამბებზე ცნობას პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან. ამის შემდეგ მე მათაც გავუგზავნე იგივე დეპეშა. როგორ შეხვდით თქვენ ჩვენ დეპეშას? 5 სექტემბრის თქვენ წერილში მწერდით: „თქვენ დეპეშაში მოყვანილი ცნობები ერთობ გაბედულათ მოგვეჩვენა: ნახევარი საქართველო თავისუფალია და სხვ. მე არ ვიცი, რა წყაროს ემყარებოდი შენ.

დიდი შეცდომა იყო დებრიუკერისათვის დეპეშის გამოგზავნა, ჯერ ჩვენთვისაც არ უნდა გამოგეგზავნა მსგავსი, თუ წყარო სრულათ სანდო არ იყო. დებრიუკერმა პირდაპირ განაცხადა, არ მჯერაო, ვისაც ვაჩვენე, იმათაც არ დაიჯერესო, ქართველებმა ასე იციანო". ამაზე მე თქვენ შემდეგი გიპასუხეთ: თავი და თავი ის არის, რომ შენ ცნობას არ დაუჯერე. წყაროს ჩვენება დეპეშით არ შეიძლებოდა, ეს არც იყო საჭირო, შენ უნდა გცოდნოდა, რომ მე გადამეტება და ფანტაზიები არ მიყვარს და ისეთ ცნობებს და ისეთ წყაროდან მოგაწოდებდი, რაც საჭირო და აუცილებელი იყო. როდის ნახე შენ, რომ კაცმა ომის დროს აბსოლუტურად სწორი ცნობები მოითხოვოს? ჩვენთვის არ უნდა გამოგეგზავნა ეს ცნობა, თუ წყარო სრულათ სანდო არ იყოო. საკვირველი რამ არის! ვიმეორებ, აბსოლუტურათ სანდო წყარო ომის დროს არ არსებობს! რამდენადაც კი შეიძლებოდა ჩვენ პირობებში მომუშავეთათვის, ეს ცნობა სარწმუნო წყაროდან იყო. დებრიუკერს რატომ გაუგზავნეო. მიტომ რომ ჩვენში დიდი ამბები ხდება და მე მინდოდა, რომ დებრიუკერს, მაკდონალდს და სხვებს პირდაპირ სტამბოლიდან ქონებოდათ ეს ცნობები, მეტ გავლენას მოახდენდა მათზე. შენ თვითონ არ გჯერა მომხდარი ამბები ჩვენში და რათ გიკვირს, თუ ასე ნაკლებად სჯერათ ის დებრიუკერს და სხვებს. **იმის მაგივრათ, რომ მთელს ქვეყანას მიახტეთ და იყვიროთ, ასეთ ამბებს აქვს ადგილი ჩვენში და დაარწმუნოთ ყველანი, თქვენ გეშინიათ ამ ამბებზე ლაპარაკი.** ამ დროს კი ბოლშევიკებმა ცრუ და გაიძვერა დოკუმენტებით ევროპის გაზეთები გაავსეს. ვთქვათ, თუ გინდა, ჩვენს ხელში ნახევარი საქართველო არ ყოფილიყო, განა უსათუოთ ხელში მეტრით უნდა ზომო, ჩვენ გვიკავია მეტი ტერიტორია თუ ბოლშევიკებს? ეხლა საკმაო დროა გასული, რომ ასე თუ ისე ერთნაირი შეფასება მოხდეს. ფაქტია ის, რომ ჩვენი ცნობები, თუმცა ყოველი მხრივ არ იყო სწორი, ეს, როგორც ზემოთ ვამბობდი, შეუძლებელიც იყო, სხვების გაბერილ-გაზვიადებულ ცნობებთან შედარებით, სინამდვილესთან უფრო ახლოს იყო. ფაქტია ისიც, **სტამბოლში მოღვაწე პოლიტიკურ მოღვაწეთ რომ თქვენი ფსიხოლოგია ჰქონებოდათ და ჩვენში მომხდარი ამბებისადმი თქვენებრ უნდობლობა გამოეჩინათ, მაშინ ჩვენ ევროპას ორ-სამ ცნობასაც კი ვერ მივაწვდიდით.** ამის შედეგი იქნებოდა ის, რომ ჩვენი მთავრობა ვერ გააკეთებდა იმის მეათედსაც კი, რისი გაკეთებაც მან შესძლო. 5 სექტემბრის წერილში თქვენ იმ აზრს გამოთქვამდით, რომ ამ უკანასკნელ დროისკენ ჩვენ ტაქტიკას თქვენ ვითომ კარგად არ იცნობდით, ვილაცეები თქვენს ზურგს უკან რაღაცეებს აკეთებდნენ, ამაში ვითომ მეც ვერიე და დაასკვნიდით, რომ ამ გზით ქვეყნის შველა არ შეიძლებაო. ამაზე მე თქვენ 11 სექტემბერს გიპასუხეთ: „რაც შეეხება იმას, რომ თქვენს ზურგს უკან კეთდებოდა რაღაცეები და შენც ერიე ამაშიო, ამაზე ლაპარაკის დრო არ არის ეხლა, გაცილებით უფრო სერიოზული საქმეები გვაქვს გასაკეთებელი, ვიდრე ამაების ჩხრეკას გამოვუდგეთ და სტრატეგიულ უკანდახევებს შევეცადოთ. ოღონდ აქედანვე და ეხლავე ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ შენი ასეთი ჩემდამი დაუმსახურებელი გამოლაშქრების წინააღმდეგ. თავის დროზე შენ მიიღებ

შესაფერ პასუხს!" თქვენი 15 ნოემბრის წერილში კი ჩემდა განსაცვიფრებლად შემდეგს მწერთ: „ჩემი კერძო წერილი ჟენევიდან უასლო იყო, ამიტომ ვერ გავიხსენებ მის სიტყა-სიტყვით შინაარსს, ერთი კი გადაჭრით შეიძლება ითქვას: თქვენ ცდებით, როცა იწერებით, რომ „უკანასკნელ ამბების მიზეზად სხვებთან ერთად მეც მასახელებდით". მიზეზად თქვენ არ დამისახელებიხართ, ეს ხომ მეტი ტვირთი იქნებოდა თქვენთვის.."! უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემ თავზე არასდროს დიდი წარმოდგენის არ ვყოფილვარ და არასდროს არ განმიცხადებია პრეტენზიები, რომ უთუოთ დიდი ტვირთი უნდა ვატარო-თქო. საკმარისი და თავმოსაბეზრებელია ისიც, რომ ასეთი გადაჭარბებული წარმოდგენა თავის თავზე და ამოდენა პრეტენზიები სხვებს აქვს. შემდეგ თქვენ ამბობთ თქვენ წერილში: „საზოგადოთ უფრო პასუხისმგებლებსაც არ ვასახელებდი მე ამ ამბების მიზეზათ". ესე იგი თქვენ არც მე და არც სხვებს არ ასახელებდით ამ ამბების მიზეზათ. 5 სექტემბრის წერილში კი თქვენ შემდეგს მწერთ: „მე არ ვეხები ჩვენს ტაქტიკას ამ უკანასკნელათ, არ ვიცი იგი ხეირიანათ, ჩვენს ზურგსუკან კეთდებოდა რალაცეები, შენც ერიე ამაში სამწუხაროთ... მაგრამ ეს ერთობ მძიმე ჭრილობაა, არ ვახლებ ხელს. ერთი კია, ასე ქვეყნის შველა არ შეიძლება!" ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცეები თქვენს ზურგს უკან მუშაობდნენ, უკანასკნელ დროის ჩვენს ტაქტიკასაც არ გაცნობდნენ, ამ ვიღაცეებში, თქვენდა სამწუხაროდ, მეც ვერიე, როგორც ამას თქვენ ამბობთ და თქვენის აზრით კი, ასე ქვეყნის შველა არ შეიძლება. როგორც თქვენ ძლიერ კარგად მოგეხსენებათ, „ჩვენს ტაქტიკას" ჩვენში ყოველთვის თქვენზე და განსაკუთრებით ჩემზე უფრო პასუხისმგებელნი აწარმოებდნენ. და თუ ეს ასეა, მაშინ ვერ ამიხსნია, რათ დაგჭირდათ თქვენ 5 სექტემბრის წერილში მოგეწერათ ერთი, ხოლო 15 ნოემბრის წერილში უკან დაგეხიათ და ის, რასაც 5 სექტ. წერილში (ეს წერილი მე მეხება სხვათაშორის) იწერებოდით, უარგეყოთ. „თქვენ მე უმეტეს შემთხვევაში არ მწერდით თქვენს მუშაობაზე და მოქმედებაზე", — იწერებით თქვენ. ეს არ არის მართალი. მთავრობას აქ, უცხოეთში არ ქონდა საათანადოთ კარგად მოწყობილი აპარატი. ამავე დროს საელჩო კი არსებობდა პარიზში საკმაო პერსონალით, ამიტომ, ტეხნიკურათ რომ საქმე გაადვილებულიყო, მე, როგორც ბერლინში, ვარშავაში თუ სხვაგან მყოფ მთავრობის წარმომადგენლებს, გვქონდა მთავრობასთან კავშირი თქვენი შემწეობით, ჩვენ დიპლომატიურ ნაბიჯებზე თქვენთვის უნდა მოგვეწერა, თქვენ მერმედ ამას მთავრობას მოახსენებდით და მისგან ჩვენდა გადმოსაგზავნათ შესაფერ ინსტრუქციებს მაცნობებდით. ამ სამი წლინახევრის განმავლობაში თვითეულ ჩემს დიპლომატიურ ნაბიჯზე მთავრობისათვის მოსახსენებლათ თქვენ გწერდით და თქვენ ამიტომ ყველაფერი იცოდით. მაგრამ, გარდა დიპლომატიური მუშაობისა, მე მქონდა მთავრობისაგან მინდობილი აგრეთვე წმინდა პოლიტიკური ხასიათის დავალება — **საქართველოსთან კავშირი**. ამის შესახებ კი მე პირდაპირ მთავრობასა და მის თავმჯდომარესთან მქონდა მიწერ-მოწერა. ეს თქვენ პირდაპირ არ შეგეხებოდათ და ამიტომ არ გწერდით ამის შესახებ, თქვენ კი ყველაფრის გაგება მთავრობისა-

გან შეგეძლოთ. „ზურგს უკან" სამოქმედო მე არაფერი მქონდა და არც გახლავართ ამას ჩვეული. „მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი წერილი სხვადასხვა დროს სწვდებოდა სამშობლოს, განსაკუთრებით გაფრთხილებანი ილუზიის წინააღმდეგ", — განაგრძობთ თქვენ. თქვენ ამ სამი წლის განმავლობაში ორი თუ სამი კორესპონდენცია გამოგზავნეთ საქართველოსთვის. თქვენ იცით, რომ ეს თქვენი კორესპონდენციები ყველა დაიბეჭდა იქაურ გაზეთებში. თქვენ მწერდით აგრეთვე წერილებს, სადაც მაწვდიდით ინფორმაციებს თქვენი დიპლომატიური მუშაობის შესახებ. ასეთ ინფორმაციებს ვიღებდი მე ბერლინის და ვარშავის ჩვენი წარმომადგენლებისგანაც. საჭირო ცნობებს ყველა ამ წერილებიდან ჩვენ აქ ვკრებდით და საქართველოს ვანოდებდით. ჩემთან ინფორმაციის საქმეზე მუშაობდა **დამფუძნებელი კრების წევრი დ. შარაშიძე**[1] და მანაც იცის ყველაფერი. რაც შეეხება საქართველოში გადასაგზავნ სხვადასხვა სახის გაფრთხილებებს და ინსტრუქციებს, ეს არ შეადგენდა არც თქვენ და არც ჩემს, თუ რომელიმე სხვა წარმომადგენლის კომპეტენციას. ეს იყო მთავრობის საქმე და ასეთ რამეებს ის გზავნიდა საქართველოში. „მე ვშიშობდი, ვაითუ სტამბოლიდან არ მიაწვდინეთ სრულიათ კატეგორიული გაფრთხილება, რომ იმედი დახმარებისა გარედან არ იყო. ჩვენი ხალხი არ გამოვიდოდა მარტო, თუ ასეთი იმედი არ ჰქონდა!!" — ამბობთ თქვენ თქვენს 15 ნოემბრის წერილში. ესე იგი თქვენ გინდათ სთქვათ, რომ სტამბოლიდან იყო მიწოდებული ცნობა, რომ გარედან იქნება დახმარება და მიტომ გამოვიდა მარტო ჩვენი ხალხიო. ვიმეორებ, რომ მე არ მქონია ჩვეულებათ თქვენი, მეტადრე ჩემი პირადი აზრები მეგზავნა ინსტრუქციებათ საქართველოში. ოფიციალურ სახელმძღვანელო აზ-

[1] დ. შარაშიძე, — სოციალ-დემოკრატი, დამფ. კრების წევრი, პოლიტიკური მოღვაწე, ემიგრანტი (1886-1935). დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში. მშობლები, გიგო შარაშიძე და ნინო ქიქოძე, სახალხო პედაგოგები იყვნენ. ასწავლიდნენ ბახვის სკოლაში, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსს აუგია (ნინო ქიქოძე გაბრიელ ეპისკოპოსის ძმისწული გახლდათ). მათი ოთხი შვილიდან ყველაზე უმცროსი, დავითი, თავდაპირველად სოფლის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ ქუთაისში და ბოლოს ოდესის რეალურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა. ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 წლის სტუდენტური გამოსვლების შემდეგ დააპატიმრეს. რამდენიმე თვეში გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ დაუყოვნებლივ დატოვებდა იმპერიის საზღვრებს. გაემგზავრა შვეიცარიაში, სადაც ჟენევის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება. სამშობლოში დაბრუნებულს კვლავ არ მისცეს აქ ცხოვრების უფლება და იძულებული გახდა უცხოეთში გადახვენილიყო. მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. დავით შარაშიძე რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატთა რუსულ ენაზე გამომავალ გაზეთ „ბორბას".საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. 1925 წლამდე სტამბოლში ცხოვრობდა, შემდეგ კი საფრანგეთში დასახლდა. დავით შარაშიძე იყო სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალების „ბრძოლის" და „ბრძოლის ხმის" რედაქტორი, ასევე, პარიზში გამომავალი ინტერპარტიული ორგანოს „დამოუკიდებელი საქართველოს" თანარედაქტორი. მისი პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა საზღვარგარეთულ ჟურნალ-გაზეთებში. მას ეკუთვნის ანრი ბარბიუსის საპასუხოდ ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული მოზრდილი ნაშრომი სათაურით „საბჭოები და საქართველო", რომელსაც თან ახლავს კ. კაუცკის ვრცელი წინასიტყვაობა. დავით შარაშიძეს ჰყავდა ფრანგი მეუღლე, ელენე. მათი ვაჟი გიორგი (გოგი) შარაშიძე ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი გახდა და პარიზის უნივერსიტეტში ასწავლიდა. დავითის უფროსი ძმა, შალვა შარაშიძე ცნობილი პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე იყო (წერდა „თაგუნას" ფსევდონიმით). მათი და, ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე ასევე ცნობილი მეცნიერი-ისტორიკოსი გახლდათ. 1919 წელს იგი საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრად იქნა არჩეული სოციალ–დემოკრატიული პარტიიდან. დავით შარაშიძე 1935 წლის 5 ნოემბერს პარიზში გარდაიცვალა. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

რათ საქართველოში მიდიოდა მხოლოდ მთავრობის აზრი. ხოლო მთავრობის აზრათ არასოდეს არ ყოფილა ჩვენი ხალხის ილუზიებით კვება და უთანასწორო ბრძოლაში მისი მარტოთ ჩაბმა. ყველაფერი, რაც აქედან თუ პარიზიდან იწერებოდა სქართველოში, ჩვენ აქ გვენახება. მთელი არქივი აქ არის. ყველა წერილები, საქართველოდან მოსული და საქართველოში გაგზავნილი, გაიშიფრებოდა, თუ დაიშიფრებოდა ყოველთვის ხოლმე **დამფუძნებელი კრების წევრის — ვასო წულაძის**[1] **მიერ, რომელსაც ეხმარებოდა დ. შარაშიძე. ყველა ჩვენს საქმეში ახლოს არის ჩახედული ასევე დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი — სიმონ მდივანი**[2]. ჩვენ აქ სრულიად კოლეგიალურათ ვმუშაობდით და „ზურგს უკან სამოქმედო" არაფერი გვქონდა. თქვენი 15 ნოემბრის წერილი ახდენს შემდეგ შთაბეჭდილებას: თქვენ ცდილობთ ოფიციალურ წერილში ფიქსაცია უყოთ იმ შეხედულებას, რომ თქვენ ვითომ ყველას ყველაფერში აფრთხილებდით, ილუზიების წინააღმდეგი იყავით, ჩვენ ხალხს ამაზე სწერდით, მაგრამ ვერ

---

[1] ვასო წულაძე, — ცნონილი სოციალ-დემოკრატი, რევოლუცონერი, ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი (1890-1969). დაკრძალულია ლევლში.

[2] სიმონ მდივანი, — 1876-1937, სოციალისტ-ფედერალისტი, ცნობილი ბოლშევიკის — ბუდუ მდუვნის ძმა. სვიმონ გურგენის ძე მდივანი დაიბადა 1876 ნლის 20 ოქტომბერს, ხონში. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. უმაღლესი განათლება მიიღო ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.. სწავლის დამთავრებიდან პირველ ხანებში ოდესაში დარჩა და ქალაქის თვითმმართველობაში მსახურობდა, როგორც ქიმიკოსი. 1905 ნლის საერთო სახალხო მოძრაობის დროს სვიმონ მდივანი ოდესიდან სამშობლოში დაბრუნდა, სოციალისტ–ფედერალისტური პარტიის რიგებში ჩადგა და ენერგიულად ჩაება რევოლუციურ პროცესებში. იგი მონაწილეობას იღებდა ისეთ სახიფათო საქმეებში, როგორიც იყო უცხოეთიდან იარაღის ფარულად მიღება და მებრძოლთა რაზმების შექმნა.1905 ნლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ სვიმონ მდივანი ბათუმში დასახლდა, სადაც აირჩიეს „საურთიერთობო ნდობის საზოგადოების" ქართული ბანკის დირექტორად., რედაქტორობდა ადგილობრივ ყოველდღიურ გაზეთს, იყო ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ხმოსანი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და ბათუმის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე. 1917 ნლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ თბილისში დაბრუნდა. ამავე ნლის ნოემბერში აირჩიეს „ეროვნული საბჭოს" ნევრად, ხოლო 1918 ნელს ქართული პარლამენტის ნევრად. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სვიმონ მდივანი დაინიშნა პირველ ელჩად სომხეთის რესპუბლიკაში. 1919 ნლის 12 მარტს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე იგი სოციალისტ–ფედერალისტების კვოტით თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. 1921 ნლის დასაწყისში მთავრობამ იგი წარგზავნა ელჩად თურქეთში. მას ისტორიული დავალება ჰქონდა – ქემალის მთავრობისთვის უნდა მიეტანა საქართველოსგან ცნობის ფირმანი. ანკარაში მასთან ერთად საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობაში იყვნენ: გენერალი ალ. ერისთავი – სამხედრო მრჩეველი; არისტო ჭუმბაძე –საქმეთა მწარმოებელი; მელიტონ (ოსმან-ბეი) ქარცივაძე; ზია-ბეი აბაშიძე – ატაშე; ოფიცრები საგანგებო დავალებისთვის – ემხვარი და ლეიტენანტი დიმიტრი შალიკაშვილი. 1921 ნლის თებერვალში სვიმონ მდივანი იძულებული გახდა ანკარიდან ჯერ სტამბულს, ხოლო შემდეგ მთავრობასთან ერთად საფრანგეთში ნასულიყო ემიგრაციაში. იმ დროს როცა სვიმონი თურქეთში საქართველოს წარმოადგენდა, მისი ძმა – ბოლშევიკი ბუდუ მდივანი – საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი იყო. სვიმონ მდივანი ჩხენკელთან ერთად ოკუპირებული სამშობლოს ინტერესებს იცავდა გენუის 1922 ნლის კონფერენციაზე. მონაწილეობდა „კავკასიის კონფედერაციის პაქტის" შედგენაში და ეწეოდა მის პოპულარიზაციას. იგი იდგა „პრომეთეისტული" მოძრაობის სათავეებთან, იყო კავკასიის ერთიანობის აპოლოგეტი და იმ დროს მოქმედი თითქმის ყველა ანტიბოლშევიკური გაერთიანების ნევრი (ვარშავის „პრომეთეს კლუბი", „კავკასიის კონფედერაციის საბჭო", „ხუთთა მეგობრობის კომიტეტი").გარდაიცვალა 1937 ნლის 13 დეკემბერს, საფრანგეთში, ქალაქ სოშოში. დაკრძალეს ლევილში. დარჩა მეუღლე – ნელი (ელენე) ნაკაშიძე და შვილები: ირინე, ელისაბედი, ელენე და ნინო.

მიაწვდინეთ თქვენი ხმა, რადგან ამაში ხელს გიშლიდნენ. მისწერეს კი წინააღმდეგი და ჩვენი ხალხი საბრძოლველათ მარტო გამოიყვანეს. „თქვენს ზურგს" უკან ვილაცეები ვითომ რაღაცეებს აკეთებდნენ, თქვენ კი არაფერში ბრალი არ გიდევსთ. არ მგონია, რომ ვინმეს ამან ასიამოვნოს, ან საზოგადოებრივი ინტერესების მხრივ ასეთი რამ მიზანშეწონილი იყოს.

მე გწერდით თქვენ ჩემ კერძო წერილში, რომ თქვენმა წერილმა გამოიწვია საერთო უკმაყოფილება და აღშფოთება იმ ვიწრო წრეში, რომელიც ჩემს ირგვლივ მუშაობს აქ-თქო. თქვენ მიპასუხებთ, რომ მე თავიდან ბოლომდე ვცდები. მე კიდევ ერთხელ გიმეორებთ თქვენ, რომ თქვენმა 5 სექტემბრის წერილმა ყველაზე მეტათ არასასიამოვნოთ იმოქმედა. რაც შეეხება თქვენი 15 ნოემბრის წერილს, მან კი ყველაზე უაღრესათ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა.

არ იყო სასურველი, რომ ჩვენი კერძო მიწერ-მოწერა ოფიციალური წერილების ფურცლებზე გადმოტანილიყო. მაგრამ თქვენ ეს ინებეთ. მე ძლიერ ვსწუხვარ, რომ იძულებული გავხდი თქვენთვის მეპასუხნა.

კ. გვარჯალაძე[1]

როგორც ვხედავთ, წერილის ტონი დაძაბულია. ამის ძირითადი მიზეზიც იკვეთება. გვარჯალაძე „მთავრობის" მხარდაჭერაზე მიუთითებს, თითქოს, მასთან შეთანხმებულ მოქმედებაზე მიანიშნებს, ჩხენკელს საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი გულგრილობაში ადანაშაულებს. ორივეს არგუმენტი ჩვენთვის გასაგებია, თუმცა, ვინ იყო ეს „მთავრობა", რატომ არ მოიაზრებოდა მასში ჩხენკელი — გაუგებარი (გვარჯალაძისთვის „მთავრობა", ძირითადად, ნოე ჟორდანია იყო).

რა თქმა უნდა, საქართველოში მიმდინარე აჯანყების ხელოვნური გაზვიადება მიუღებელი იყო და საქმისთვის დამაზიანებელი. ზოგადად, 1924 წლის აჯანყების უარყოფითად შეფასება, არ მიმაჩნია სწორად. თავისთავად, ჩხენკელის დამოკიდებულება გასაგებია და ნაწილობრივ მისაღებიც, მაგრამ არც ის ადამიანები ტყუიან (მათ შორის ჟორდანიაც არის), ვინც ამართლებს აჯანყებას და მას დიდ მორალურ ფაქტორად თვლის. წინასწარ დასამარცხებლად განწირულ ომებში საქართველო მთელი ისტორიის მანძილზე შედიოდა, ხან მარცხდებოდა, ხან იმარჯვებდა. ეს მისი ეროვნული ბედისწერის ნიშანიც გახდა, რადგან მუდმივად გიგანტურ იმპერიებთან ბრძოლაში იცავდა საკუთარ იდენტობას, ეთნოკულტურულ ფასეულობებს. უთანასწორო ბრძოლის წინ კი წინასწარ გამარჯვებას ვერავინ ივარაუდებს და ვერც იზეიმებს. აკაკი ჩხენკელი რეალისტი პოლიტიკოსი იყო.

მიუხედავად ყველაფრისა, მას არც აჯანყების დამარცხების შემდეგ შეუწყვეტია ქართველი ხალხისთვის ფულის, იარაღისა თუ მორალური მხარდაჭერის მოპოვების ძიება ევროპის ქვეყნებში. ამას მისი იმდროინდელი მიმოწერა მოწმობს.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 125, ფურც. 1-7.

აკაკი ჩხენკელი
ემიგრაციაში ქართველ-სომეხთა დამოკიდებულების შესახებ

აკაკი ჩხენკელის საპასუხო წერილი — „სომხები და ჩვენ", ეხება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სომხეთის ყოფილი ელჩის — ჯამალიანის[1] მიერ გაზეთ „დნი"-ში გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიც საქართველოს უძველესი ტერიტორიები — ბორჩალო და ჯავახეთი სომხურ მაზრებად იყო გამოცხადებული.

„დნი" იყო კერენსკის ყოველკვირეული გაზეთი. გამოდიოდა პარიზში, ემიგრანტულ ნრეში. 4 გვერდიანი წერილი დაწერილია 20-იან წლებში, ზუსტი თარიღი არ აქვს.

„სომხეთის ყოფილი ელჩის, ბ-ნ ჯამალიანის გამოლაშქრება კერენსკის „დნი"-ში ჩვენს წინააღმდეგ, იძულებულს გვხდის ამ თემაზეც შევაჩეროთ თქვენი ყურადღება. გარნა იგი უამისოდაც ზედმიწევნით საყურადღებოა და მტკივნეულიც. და თუ მაინც არ ვეხებოდით მას, ეს იმიტომ, რომ ერთსა და იმავე მწარე ხვედრის ქვეშ ჩვენ თითქოს მოწოდებული ვიყავით მთელის არსებით მოგვეგერიებია საერთო მტერი, ხოლო შინაური უთანხმოება მეგობრულათ და მეზობლურათ ამოგვეწურა ამისათვის ხელსაყრელ დროს.

ჩვენ თითქოს კიდეც ჩავუყარეთ საფუძველი ასეთ მეგობრულ-მეზობლურ შეთანხმებას, როცა 10 ივნისს, ე. ი. ჩვენი უბედურების მეორე დღესვე, ხელი მოვაწერეთ კავკასიის ოთხი ერის სახელით ერთს დოკუმენტს, ოფიციალურათ გადაცემულს ყველა სახელმწიფოზე, რომლის ძალით საზღვრებზე დავა ჩვენს შორის გადაეცემა სავალდებულო არბიტრაჟს. უფრო გონიერი და პრაქტიკული საშუალება თითქოს არცკი არსებობს. რამდენს არ სწერენ, რამდენს არ ქადაგებენ ჩვენს დროში მეცნიერნი და პოლიტიკოსნი, სწორედ ამ მეთოდის სასარგებლოთ ყოველთვის საერთაშორისო დავის გადასაჭრელად, და მაინც ვერას გამხდარან!.. თვით ერთა ლიგაც ხომ დიდ ჭაპანწყვეტაშია, რომ არბიტრაჟი საყოველთაოსავალდებულო გახადოს ომისა და ზავის კითხვაში.

გამოდის, ბატონი ჯამალიანი უკმაყოფილოა ხსენებული დოკუმენტით, მას იგი ფარატინა ქაღალდად წარმოუდგენია, ან კიდევ სრულიად არარსებულად, თორემ აბა, რა საკადრისია საზღვრების დავაზე სწერო და ეს უმნიშვნელოვანესი გარემოება სულაც კი არ ახსენო! ბ. ჯამალიანი სწორეთ ასე იქცევა. მეტსაც ვიტყვით. იმ დროს, როცა რუსის სოციალისტები და არასოციალისტები ცოტას გამოკლებით, თავს გვესხმიან ქართველებს მარტო იმიტომ, რომ საყოველთაოდ მიღებული პრინციპიდან ლოგიკური

[1] ჯამალიანი, — არშაკ ჯამალიანი (1820-1940), სომეხი დიპლომატი, დაშნაკცუტუნის პარტიის წევრი, დაასრულა ეჩმიაძინის სემინარია და გერმანიაში გაემგზავრა სწავლის მისაღებად. იქ ჩამოაყალიბა „ევროპაში სომეხ სტუდენტთა კავშირი" და დაარსა ამ ორგანიზაციის ორგანო, 1909 წელს დაბრუნდა კავკასიაში, თბილისში დასახლდა, ასწავლიდა ნერსესიანის სომხურ სასწავლებელში, გამოსცემდა სომხურ გაზეთს — „არაჩს". I მსოფლიო ომის დროს აგროვებდა სომეხ მოხალისეებს, იყო სომეხთა ეროვნული საბჭოს წევრი 1917 წლიდან, 1918 წლიდან ამიერკავკასიის სეიმის წევრი, მონაწილეობდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში, 1919-1920 წლებში ასრულებდა საქართველოში სომხეთის ელჩის მოვალეობას. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლის ბოლოს წავიდა ემიგრაციაში.

დასკვნა გამოგვყავს, და ვიცავთ დღევანდელ უმსგავსო სსრკ-ში ძალათ ჩამწყვდეულ არარუს ერთა თავისუფლებას, მაშასადამე სომხებისაც, ბ.-ნ ჯამალიანს სხვა საქმე ვერ უშოვნია, გარდა იმისა, რომ უკნიდან თავს დაგვეცეს.

რაშია საქმე? რას გამოუყვანია ბ.-ნი ჯამალიანი წონასწორობიდან? ნოე ჟორდანიას წიგნაკს — „ჩვენი უთანხმოებანი". მერმე, რაა აქ მისთვის მიუღებელი? არაფერი! ბ.ნი ჯამალიანი თვითონ ამბობს, რომ იზიარებს წიგნაკში გატარებულ აზრებს, მხოლოდ მას დასაშვებად მიუჩნევია, რომ მხოლოდ ეს გარემოება გამოეყენებინა ავტორზე შესატევათ სულ სხვა კითხვის გამო. თქვენ იცავთ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, — ეუბნება ბატონი ჯამალიანი ნ. ჟორდანიას, — მაგრამ ხართ თუ არა მზათ ეს პრინციპი გაავრცელოთ სომხის ორ მაზრაზე — ბორჩალოსა და ჯავახეთზეო. ჩვენ არ ვიცით და ბ.ნი ჯამალიანიც არ ამბობს, როდის გამხდარან ეს მხარენი „სომხის ორ მაზრად". თქვენ ნუ მოელით მისგან იმის ახსნასაც, რა პირობებში მოხდა სომხების ჩასახლება ჯავახეთში, ან კიდევ, როდის შეადგენდა სომხობა უმრავლესობას ბორჩალოში. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით და ბ.-ნმა ჯამალიანმა შეიძლება კიდევ უკეთ, ქართველი მაჰმადიანების ნამდვილი ტრაგედია ძველი რუსეთის მფლობელობის დროს. მთელი ეს ხალხი, თითქმის უკლებლივ, ცარიზმის სატრაპებმა, მათ შორის ერთი წარჩინებული სომეხიც კი ერია, აყარეს და ოსმალეთში გადარეკეს, ხოლო მათი მიწა-წყალი იმავე ოსმალეთიდან ლტოლვილ სომხებს დაურიგეს. აი, საიდან შესდგა სომხების უმრავლესობა ჯავახეთში, ხოლო ბორჩალოში დღესაც ხომ უმცირესობას შეადგენენ ისინი".

ჩხენკელი წერდა იმ ისტორიულ თავისებურებაზე, რომლის მიხედვით საქართველო უძველესი დროიდან იყო ლტოლვილ სომეხთა თავშესაფარი. მე-11 საუკუნიდან, როდესაც სომხეთმა დამოუკიდებლობა დაკარგა, მას უჭირდა გარეშე მტრებთან გამკლავება, ამიტომ ხშირად იყო მტერთა სათარეშო ადგილი და აყრილი მოსახლეობაც ჩვენკენ გამორბოდა, ამით ხსნიდა ჩხენკელი მათ სიმრავლეს საქართველოში. მიაჩნდა, რომ ისტორიულად ისინი თანაბარ უფლებებში ცხოვრობდნენ, არ იჩაგრებოდნენ, ამასთან, კარგად ეგუებოდნენ ქართულ ადათ-წესებს, ტრადიციებს, რაც XX ს.-ში შეიცვალა. „დადგა XX საუკუნე და მათი მეთაურნი ჩვენს ტრადიციულ სტუმართმოყვარეობას ამგვარად გვიფასებენ, რომ მასპინძლები კარში უნდა გაბრძანდნენ, სტუმრები კი კერას უნდა დაეპატრონონ". ერთა თვითგამორკვევა მთლიან ერზე ითქმის და არა მის ნატეხზეო, რადგან მეზობლად მისი სახელმწიფოა, ტერიტორია მიიერთოს და წაიღოს რომელიმე ერის ამგვარმა ნატეხმა, წარმოუდგენელიაო.

„ბორჩალო და ჯავახეთი საქართველოს ისტორიული ნაწილია არა მარტო ისტორიულ-გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ეს მოსახლეობა თბილისზეა მიბმული და არა გუმბრზეო... აბა, გააგონეთ ბორჩალოელ სომეხს, რომ კავშირი უნდა გაწყვიტოს თფილისთან და მის მაგიერ გუმბრს შეუერთდეს, ეს იქნებოდა მთელი

მისი მეურნეობის დამხობა, სხვა არაფერი".

ჩხენკელი სომეხთა პრეტენზიებს რუსულ პოლიტიკას აბრალებდა და წერდა: „ახლა ვიკითხოთ, რა დარჩათ თვით ამ ბორჩალოდან ქართველებს? მაგ. ალავერდი? იქნება ესეც სომხების მამა-პაპეულია. ამრიგად, წითელმა მოსკოვმა, როგორც წინათ შავმა პეტერბურგმა, უხვათ გასცა საქართველოს ტერიტორია, არ დარჩენილა მეზობელი, რომ წილი არ რგებოდეს. ჩვენ გვაგონდება ბაგრატიონების სახელმწიფო ღერბზე წარწერილი დავითნის სიტყვები: „განიყვეს სამოსელი ჩვენი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი", და ეს ხდება იმ დროს, როცა თვით ჩვენი არამზადა კომუნისტები გაიძახიან, რომ 300 ათას ქართველს სახნავ-სათესი არ გააჩნიაო.

ჩხენკელი უთანაგრძნობს საშინელ ისტორიულ პირობებში მოხვედრილ სომხებს, თუმცა, არც ქართველების უფლებების დაჩაგვრას უწონებს სომეხ პოლიტიკოსებს. ის წერს: „უნდა აღვნიშნოთ ერთი თანდაყოლილი ზნე, რომელიც დასჩემებიათ ჩვენს მიმართ, ჯერ კიდევ თავისუფლების პირველი გარიჟრაჟების უმალ, სანამ ოსმალო მოიწევდა, მათი დელეგატები მუქარით მოითხოვდნენ ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრების ცნობას, ხოლო როცა ამ ცნობის თანახმათ ოსმალო ყარსში შევიდა, სომხის მეთაურნი ქართველებს სწამებდნენ „გამცემლობას". როცა დამოუკიდებლობის გამოცხადების უმალ ქართველები იძულებულნი შეიქმნენ მოლაპარაკება გაემართათ გერმანელებთან, სომხის მეთაურნი ქვეყნიერებას აყრუებდნენ ქართველების „ღალატზე"და იმვე დროს მათი ორი დელეგატი ქართველებს გვერდში უდგნენ სწორედ ამ მოლაპარაკებაში. მაგრამ იყო ერთი დელეგატიც, გაცილებით ადრე მოვლენილი იმავე გერმანელებთან, და იცით ვინ? დღევანდელი ჩვენი განმკილველი ბ.ნი ჯამალიანი!. თქვენ გახსოვთ ინგლისის ჯარების პირველი ფრაზა თფილისის ქუჩებში: „ჯორჯია ფინიშდ" (საქართველო გათავდა!), — ეს გახლდათ, დიდ ნაწილათ სომხების აგიტაციის ნაყოფი ჩვენს წინააღმდეგ, უცხოეთში.

ჩვენ გვინდა სხვა მაგალითებიც მოვიყვანოთ. არ შეეჩერდებით სომხის ვაჭარ-მრეწველთა როლზე უცხოეთში, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დალალობა გაუწიონ მოსკოვის მტარვალებს კავკასიის სიმდიდრეთა უცხოელთა ხელში გადასასველელათ; არც იმაზე, რომ საქართველოს როგორც ეკონომიურ, ისე ჩეკის ორგანოებში, სომხები სჭარბობენ..

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია სომხის ზოგიერთ მეთაურთა ტაქტიკა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მეზობლის ქექვა-კილვა უცხოელთა წინაშე დღესაც მათ საკუთარი საქმის გამარჯვებად მიაჩნიათ. ბ.-ნი ჯამალიანი, ერთი მხრით, გვეუბნება, რომ ქართველებსა და სომხებს ორიათასი წელია ხმალი არ მოულერებიათ ერთმანეთისთვისო, ხოლო მეორე მხრით, ერევა კამათში ჩვენსა და რუსებს შორის, აშკარათ უკანასკნელთა პოზიციის გასამაგრებლათ!

ბ.-ნი ჯამალიანი ომსაც კი ახსენებს ქართველ-სომეხთა შორის, დეკემბერს, 1918 წელს, და გონიერათ სდუმს, ვინ დაიწყო იგი! ჩვენ ვახსენებთ მეორე ომსაც რუსებთან სომხეთის გზით, და ამას იმ მიზნით, რომ აღვნიშ-

ნოთ ერთი ნათელი მხარე ამ ბნელი საქმისა. მაშინ, როდესაც სომხის ბევრი პატრიოტი ჩვენზე მოსეულ რუსის ჯარში ერია, მათ ზურგს უკან სტიქიურათ აჯანყდა სომხის ხალხი და ლამობდა კიდეც ჩვენთან შეერთებას იმავე რუსის უღლის გადასაგდებათ! ეს იყო უდიდესი ისტორიული ფაქტი, და მას ვერ დაივიწყებს ქართველი ერი, ამ ფაქტმა მას დაავიწყა, უნდა დაავიწყოს, ყველა ის დიდი და პატარა წყენანი, რომელიც მას განუცდია, ან კიდევ განიცდის სომხის მეთაურებისაგან, და ისიც უმეტესად თფილისელებისაგან.

მაგრამ სომხის ერის გმირული გამოსვლა, თებერვალს, 1921 წელს, გადამწყვეტი გაკვეთილია იმავე დროს სომხის მეთაურებისათვის: მასიურმა ინსტიტუტმა სძლია მათ სპეკულაციას გარეშე ძალებზე, გულმა გული იცნო და ორივე ძმა-ერმა ხელი ხელს მისცა უკეთესი მომავლის გამოსაჭედათ.

როცა ჩვენ ვკითხულობთ იმავე „დნი"-ში სისხლით დაწერილ „გოდებას საბჭოთა სომხეთიდან" და იქვე ვხვდებით ისეთ ადგილებს, როგორიცაა: „გლეხობა მზადაა პირველ დაძახებაზევე წამოიჭრას შელახული უფლებების აღსადგენათ, მასში თავისუფალი მამულის იდეალი უფრო პოპულარულია დღეს, ვინემ დამოუკიდებლობის დროს.."— ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ უცხოეთში მომუშავე სომხის მოღვაწენი ალღოს აუღებენ ამ გოდებას და ამ მისწრაფებას. საზღვრებზე „გოდება" ამ დროს, განა მოკვეთილი თავის თმაზე ტირილს არ ნააგავს?

დავა მეზობლებს შორის არახალია, ძველია. განა ცოტაა, თუგინდ ამ დალოცვილ ევროპაში ერები, რომელნიც ვერ მორიგებულან საზღვრების გამო, და აბა, დაასახელეთ, რამდენია მათ შორის ისეთები, ვინც თანახმაა, დავა სავალდებულო არბიტრაჟს გადასცეს?! ჭეშმარიტათ, კავკასიის ერებს, ვისაც ამ კულტურულ მეთოდზედ უწერიათ ხელი, არ შერცხვებათ არც ბურჟუაზიულ და არც სოციალისტურ ევროპის წინაშე. და სწორეთ ამიტომ, ქართველები, ისე როგორც სომხები, აზერბაიჯანელები, მთიელები ხელი ხელს გაყრილნი უნდა იბრძოდნენ, შინ და გარეთ, როგორც საკუთარ, ისე საერთო კერის — კავკასიის განსათავისუფლებლათ[1].

უამრავ შეხვედრებზე ევროპელი ლიდერები, რომელთაც სომეხ ემიგრანტთაგან ჰქონდათ გარკვეული ინფორმაციები, ხშირად საყვედურობდნენ აკაკი ჩხენკელს სომხებთან ტერიტორიული პრეტენზიების მოუგვარებლობას, საქართველოს მიერ დამოუკიდელობის წლებში სომხურ ტერიტორიებზე პრეტენზიებს, რასაც ქართველი დიპლომატი ყოველთვის დასაბუთებულად და დამაჯერებლად პასუხობდა.

აკაკი ჩხენკელი და საბჭოთა საქართველოში ეკლესიის საკითხი; ჩხენკელისა და რაფიელ ივანიცკის (ინგილოს) მიმოწერა

ცნობილია, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში. იმ დღიდანვე,

[1] სცსსა, 1831, აღწერა2, საქმე 225, ფ. 1-4;

როდესაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოკუპაცია და ანექსია განხორციელდა, დაიწყო პატრიოტი ქართველი სასულიერო მამების დევნა, ეკლესიების დანგრევა და ძარცვა, მორწმუნე მრევლის რეპრესიები. საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს აქტიურად აპროტესტებდა ემიგრაციაში მყოფი დევნილი ხელისუფლება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრი, ევროპაში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი რაფიელ ივანიცკი-ინგილო. მან რუსი ბოლშევიკების მიერ ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილ დანაშაულობათა გამო რადენჯერმე მიმართა რომის პაპსა და ერთა ლიგის ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს — მოტას.

რაფიელ ინგილო (1886-1966) კახში დაიბადა. მისი პაპა, ახალგაზრდა ინგილო, რომლის ნამდვილი გვარიც უცნობია, შამილს გამოქცევია და თბილისში ჩამოსულა. მიხეილ ვორონცოვის ერთ-ერთ მოხელეს მოსწონებია ჭაბუკი, უშვილებია და საკუთარი გვარი ივანიცკი მიუცია. რაფიელის მამა კახში ცხოვრობდა. რაფიელი ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ თბილისის გიმნაზიაში, უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა და სწავლა პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა[1].

თბილისში დაბრუნების შემდეგ შექმნა ოჯახი, შევიდა 1917 წელს შექმნილ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, გახდა გაზეთ „საქართველოს" აქტიური თანამშრომელი და თითქმის ერთი წლის მანძილზე, ფაქტობრივად, რედაქტორიც.

რაფიელ ინგილო არჩეული იყო საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წევრად და მდივნად, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. არჩეული იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად[2].

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რაფიელ ინგილო დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. აქედან, როგორც ის 1923 წლის 25 ოქტომბერს აკაკი ჩხენკელისადმი მიწერილ წერილში წერდა, 13 თვის პატიმრობის შემდეგ, „ეტაპით გაგზავნეს ლატვიის საზღვრამდე", შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა. თბილისში დარჩა მისი ოჯახი, მას ცოლად ჰყავდა ბარბარე ილიას ასული ხარაშვილი, მასთან 4 შვილი შეეძინა: ლეონიდე, დიმიტრი, ირაკლი და რუსუდან ივანიცკები. ივანიცკი სამუდამოდ მონყვეტილი აღმოჩნდა ყველაზე ძვირფასს — ოჯახსა და სამშობლოს.

საზღვარგარეთ რაფიელ ივანიცკი საქართველოს ინტერესებს იცავდა, პოპულარიზაციას უწევდა ქართულ ლიტერატურას, ისტორიასა და კულტურას. მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა, რაც დაცულია სხვადასხვა საარქივო ფონდებში, მისი სულიერი შემოქმედება ნათელი დასტურია იმისა, რომ ეს ადამიანი ყველაზე რთულ პირობებშიც კი ახერხებდა ეღვანა სამშობლოს საკეთილდღეოდ, ეკეთებინა საქმეები, რითაც საქართველოს

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 305, ფურც. 3.
[2] დოდო ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები, თბილისი, 2008, გვ.: 177-208.

უფრო მეტად გააცნობდა კულტურულ ევროპას.

ბერლინში ჩასული რაფიელ ივანიცკი-ინგილო დაუკავშირდა აქაურ ქართველ ემიგრანტებს, პარიზში მყოფ საქართველოს მთავრობის წევრებს, განსაკუთრებით ევროპაში ქართული დიპლომატიის მეთაურს აკაკი ჩხენკელს დაუახლოვდა.

პირველივე წერილში თხოვდა ივანიცკი ჩხენკელს, რომ მიეცა რაიმე სტატუსი, რითაც შეძლებდა თავისი მიზნების განხორციელებას, — იბრძოლებდა საქართველოს ეკლესიის ინტერესების დასაცავად. ინგილო ურჩევდა დემოკრატიული მთავრობის პირველ დიპლომატს საპროტესტო ნოტის შედგენას: „ეკლესიას ჩვენ უნდა გამოვესარჩლოთ, მოვალენი ვართ მის გადასარჩენად მივმართოთ ყოველს, ჩვენს განკარგულებაში არსებულს საშუალებას, თუნდაც იმიტომ, რომ ქართველი ხალხი დავიხსნათ იმ მორალური განადგურებისაგან, რომლის სიღრმემდე მას ასე გაშმაგებულად მიაქანებს სინოდის გარეცხილი „ხელისუფლება". თქვენი საპროტესტო ნოტა უდავოდ მნიშვნელოვანია ამ მხრივ... ასეთი ჭეშმარიტად განცდის ჟამი ჩვენს ეკლესიას, ჩემის აზრით, ბარბაროსების შემოსევების ჟამსაც არ დასტყდომია და, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ ახლანდელი მტერი გაცილებით უფრო ძლიერია, უფრო ურცხვი და მრისხანე, რომ ის წინასწარ გაანგარიშებით ჰრყვნის საზოგადოებას, აღვივებს შეუგნებელ ბრბოში ქვენა ინსტიქტებს და სხვა, — წინააღმდეგობაც მისდა შესაბამისად უნდა იქნეს გაწეული და ზომებიც, სადაც ჯერ არის მიღებული, ენერგიული და დროული!"[1]

გერმანიაში ჩასული ინგილო წერილებს უგზავნიდა ნოე რამიშვილსა და აკაკი ჩხენკელს, მათგან საპასუხო წერილების და საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლად ევროპის ქვეყნებსა და ვატიკანში დანიშვნის შემდეგ, დიდხანს ელოდა ფინანსურ უზრუნველყოფას, რათა ეწარმოებინა მოლაპარაკებები საქართველოს ეკლესიის იმდროინდელ მდგომარეობაზე მიუნხენში მყოფ კარდინალ პაჩელისთან, ასევე ელოდა ინსტრუქციას საქართველოს ემიგრანტული მთავრობისაგან მის მომავალ საქმიანობაზე.[2]

რომში წასვლას ინგილოს აბედინებდა ცნობილი ეროვნულ-დემოკრატისა და საზოგადო მოღვაწის — გიორგი მაჩაბლის დახმარების იმედი. მაჩაბელი, რომელმაც 1916 წელს იქორწინა იტალიელ მსახიობ — ნორინა ჯილზე, ჯერ ამერიკაში არ იყო გადასახლებული და იმჟამად იტალიაში იმყოფებოდა. ის ბევრ ქართველს ეხმარებოდა, ინგილოს კი ყველაზე მეტად ჭირდებოდა დახმარება. 1923 წლის 27 ნოემბრის წერილიდან ირკვევა, რომ ის მშიერია და ჩაუცმელი, ერთი ხელი ტანისამოსით არის ჩასული ევროპაში და გამოსაცვლელის ყიდვის ფული არა აქვს. პარიზში ქართულ ლეგაციას თხოვს ფულის სესხებას, ბერლინშიც ცდილობს გამოძებნოს ვინმე ქართველი ან საქართველოს მხარდამჭერი ორგანიზაცია, ვინც იტალიამდე სამგზავრო ფულს მისცემს, მაგრამ ვერ ახერხებს.

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც. 1.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც. 2.

3 დეკემბერს ის განმეორებით წერდა პარიზში საქართველოს საელჩოს პირველ მდივანს — სოსიპატრე ასათიანს, რომ რომში ვერ წავიდოდა, რადგან არც სამგზავრო ფული ჰქონდა, არც იქ ცხოვრების მყარი გარანტია. გიორგი მაჩაბლის რამდენიმე ხნის წინათ მიღებული დაპირება კი ბუნდოვნად ეჩვენებოდა.

ამავე წერილში ატყობინებდა დევნილ ხელისუფლებას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას დაპატიმრების ამბავს. რაფიელ ივანიცკის თბილისში დარჩენილი მეგობრები, სასულიერო წრეების წარმომადგენლები მუდმივად აწვდიდნენ ინფორმაციებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. ამ ინფორმაციებს კი ის პარიზში მყოფ საქართველოს ხელისუფლებას აწვდიდა. ხელისუფლებას თავისი ინფორმატორები ჰყავდა, მაგრამ ხდებოდა შეჯერება და სრულყოფა მიღებული ცნობებისა. ერთი ასეთი ცნობა იყო ის დაპატიმრებები, რაც ქართულ ეკლესიაში განახორციელა „ჩეკამ" გენუის მემორანდუმის გამო. „ამასთანავე გატყობინებთ მთავრობისათვის გარდასაცემად, რომ თანახმად ტფილისიდან ჩემს სახელზე მოსულ ყოვლად სარწმუნო ცნობისა, მისი უწმინდესობა კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი[1] საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გა-

[1] კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი 1861-1927, — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1921-1927 წწ-ში. 1885 წ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1887-1896 წწ. მღვდლად იყო სოჭში, შემდეგ სოხუმში. იყო აგრეთვე სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი და ქართული ენის მასწავლებელი. ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ და შოვინისტურ პოლიტიკას აფხაზეთში. გამოდიოდა პრესაში შავრაზმელი გოლუბცოვისა და ეპისკოპოს არსენის (იზოტოვი) წინააღმდეგ, რომლების აფხაზებს ქართველების სიძულვილს უნერგავდნენ და დევნიდნენ ქართულ ენას. 1897 ამბროსი ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა. 1900 წელს ბერად აღიკეეცა. აკადემია დაასრულა 1901 წელს. 1901 დაინიშნა ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად. 1904 გადაიყვანეს თბილისში სინოდური კანტორის ნევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად. რუსეთის პირველი რევოლუციის დროს ამბროსი იბრძოდა ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) აღდგენისათვის, რის გამოც 1905 რუსეთში გადაასახლეს. 1908 ახალი ბრალდება წაუყენეს, თითქოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მიეღოს მონაწილეობა. 1910 გაამართლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. საქართველოში ის მხოლოდ 1917 აგვისტოში ჩამოვიდა. კენჭს იყრიდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ ადგილობრივ კრებაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, თუმცა მალევე მოხსნა თავისი კანდიდატურა. 1917 წლის 17 სექტემბერს არქიმანდრიტი ამბროსი აიყვანეს მიტროპოლიტის ხარისხში და იყო ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ აფხაზეთისა და სოხუმის მიტროპოლიტი. 1921 წლის მესამე საეკლესიო კრებაზე არჩეულ იქნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, ხოლო ინთრონიზაცია 1921 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობა დღეს მოხდა. ამბროსი იკვლევდა ქართულ ისტორიულ ძეგლებს. პეტერბურგის „უნყებებში" და ქართულ პერიოდულ პრესაში „ამბერი"-ს ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და საეკლესიო წარსულის და მიმდინარე ვითარების შესახებ; საყურადღებოა მისი „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალებში „განთიადი" და „ცხოვრება" (1915-1917). აღმოაჩინა „მოქცევაი ქართლისაის" ჭელიშური ვარიანტი, რომლის შესახებ მოხსენება ნაიკითხა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე. იგი არჩეული იყო ამ საზოგადოების საპატიო წევრად. აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის საკითხში ამბროსი მხარს უჭერდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ბოლშევიკური რუსეთის მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, 1921 წლიდან, აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავი-

დაყვანილი არის ციხეში და განიცდის შიმშილს", — წერდა ივანიცკი 1923 წლის 27 ნოემბერს[1].

რომის პაპთან საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის სტატუსით რაფიელ ინგილოს ვიზიტს ხელს უწყობდა იტალიაში მყოფი ეროვნულ-დემოკრატი და პარლამენტის ყოფილი წევრი გიორგი გვაზავაც. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა კარგად ჩანს 1924 წლის 10 იანვარს აკაკი ჩხენკელისგან მიღებული წერილის პასუხში, სადაც ვკითხულობთ: „ერთ-ერთ წინა წერილში მე გწერდით, რომ მიუნხენში მყოფ ნუმციუსის კარდინალ პაჩელლისაგან აქაურს ჩვენს საელჩოს შეკითხვა მოუვიდა ჩემი მატერიალური მდგომარეობის შესახებ და ელჩმა დროზე შესაფერისი ცნობები მიაწოდა, მაგრამ ამის შემდგომ აღარაფერი ისმის, ხოლო ჩემი მდგომარეობა ისეთი არის, ბატონო აკაკი, რომ უკეთუ ახლო მომავალში არაფერი გამოირკვა, იძულებული შევიქმნები მივეკედლო სტამბოლის სავანის ქართველ კათოლიკე-ბერებს".

ამავე წერილში საუბარია ისევ კათალიკოს ამბროსის პატიმრობაზე და ინგილო ამ ცნობის ევროპაში გავრცელებას ითხოვს ირაკლი წერეთლისგან. „უმორჩილესად გთხოვთ, — წერს ის აკაკი ჩხენკელს, — გადასცეთ ბატონ ირაკლი წერეთელს, რომ ტფილისიდან დამატებით მიღებულ ყოვლად სარწმუნო ცნობის მიხედვით მისი უწმინდესობა ამჟამადაც მეტეხის ციხეში იმყოფება. ეს ცნობა არის 27 დეკემბრისა. სამღვდელოება ფარულად ანვდის დახმარებას, ხოლო ეგზავნება მისი საკუთარი ქალის ხელით. ბ-ნ წერეთელს შეუძლიან სრულიად თამამად განაცხადოს ეს ამბავი და ამაში სრულს პასუხისმგებლობას ვიღებ ჩემს თავზე. ამ დღეებში მეც, ჩემის სახ-

---

სუფლებელ მოძრაობაში. 1922 წლის 7 თებერვალს მან თავისი ცნობილი მიმართვა გაუგზავნა გენუის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას. იგი მოითხოვდა საქართველოს შელახული, კანონიერი უფლებების აღდგენას. ამ მიმართვამ, რომელიც ითარგმნა და გამოქვეყნდა რამდენიმე ენაზე, ფართო გამოხმაურება ჰპოვა. „... 1) დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან; 2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ, მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშავოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებასა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება. სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულვებელყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან"-ო, აღნიშნავდა სრულიად საქართველოს სულიერი წინამძღოლი თავის მიმართვაში. 1922 წელსვე ამბროსი დაპატიმრებულ იქნა ე. წ. „ჩეკა"-ს მიერ და 1924 წლის დამლევამდე იმყოფებოდა მეტეხის ციხეში. მას ეკუთვნის პატიმრობის დროს წარმოთქმული ცნობილი სიტყვები: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალებო!" კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის პირადი არქივი, რომელიც მის ქადაგებებს, მიმოწერასა და შემოქმედებით საქმიანობას ასახავს, დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში. ამბროსი განისვენებს თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში. ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ იგი შერაცხულია წმინდანად. 2013 წელს 26 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც.4.

ელით, ვუგზავნი სათანადო მოხსენებას კენტერბერის მთავარეპისკოპოზს საქართველოს ეკლესიის დევნის გამო. ამ მოხსენების ასლს გაახლებთ თქვენ. მეტისმეტად ვწუხვარ, რომ ჩემი პირადული ყოვლად დაქვეითებული მდგომარეობა არ მაძლევს საშუალებას წესიერად და დროზე ავმოქმედდე და აღვასრულო ის დიდი მოვალეობა, რომელიც ჩვენმა წამებულმა ეკლესიამ მომანდო".

ამავე წერილში არის სხვა საყურადღებო ცნობაც: „ბატონი ლ. ჯაფარიძე მთხოვს გადმოგცეთ მისი სალამი და გაცნობოთ, რომ მასალები ბ. ხომერიკის დაჭერის შესახებ მან ჩვენი ლეგაციის სახელზე პარიზში გადმოგზავნა"[1].

ეს ფაქტი ეხება 1924 წლის ანტირუსული აჯანყების ორგანიზებისათვის პარიზიდან სპეციალურად ჩამოსული მიწათმოქმედების ყოფილი მინისტრის — ნოე ხომერიკის დაპატიმრებას საქართველოს „ჩეკას" მიერ. მასთან ერთად დააპატიმრეს იმავე მიზნით ჩამოსული ქართული ემიგრაციის წევრები — ეროვნული გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი და ცნობილი სოციალ-დემოკრატი მოღვაწე — ბენია ჩხიკვიშვილი. აგვისტოს აჯანყებამდე ისინი დახვრიტეს.

აქვე მოვიტანთ რაფიელ ინგილოს მიერ კენტერბერის მთავარეპისკოპოზისადმი გაგზავნილ მიმართვას, სადაც ასახულია ის საშინელი მდგომარეობა, რაშიც საოკუპაციო რუსულმა ხელისუფლებამ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ჩააგდო.

„მის ყოვლად უსამღვდელოესობას, კენტერბერის მთავარეპისკოპოსს

თქვენო მაღალო ყოვლად უსამღვდელოესობავ!

გასული წლის 1 ოქტომბრის თარიღით საქართველოს მინისტრმა ბატონმა აკაკი ჩხენკელმა თქვენს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას წარმოუგზავნა ნოტა, რომელშიდაც აწერილი არის უმაგალითო სასტიკი დევნა საქართველოს ეკლესიისა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ. უნდა მოგახსენოთ, რომ მკრთალი სიტყვები ოდნავადაც კი ვერ გამოჰხატავენ იმ გულისშემზარავ მდგომარეობას, რომელშიაც ასე უსამართლოდ შთაგდებულია უძველესი ავტოკეფალური ეკლესია! საქართველოს ოკუპანტები ყოველგვარ ზომებს მიმართავენ, რათა მართალი ამბავი ამათი მოქმედებისა უკიდურესად შეწუხებულ ქვეყანაში არ მოეფინოს კულტურულ სახელმწიფოებს, გარნა ჩვენა გვაქვს ხელთა უტყუარი ცნობები და საბუთები, რომელნიც სავსებით ადასტურებენ საქართველოს ეკლესიისა და მის მსახურთა დარბევას. უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების ცდა იქით არის მიმართული, რომ სინამდვილე საქართველოში შექმნილი ვითარებისა არ შეიტყონ ინგლისში, რადგანაც მათ უწყიან, რომ დიდი ბრიტანეთი საქართველოს და მისი ეკლესიის შევიწროებას არ მისცემს თავის სანქციას, ხოლო ამავე გარემოებას ამ ჟამად მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებული ევროპის ყველა სახელმწიფოების მიერ საბჭოთა რუსეთის მოსალოდნელი ცნობისა გამო.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც.5.

რუსეთის აგენტებმა შეურაცხყვეს ქართველი ხალხის სარწმუნოება, სახელმწიფო აპარატი ეკლესიას სდევნის და კანონის გარეშე აყენებს. მსგავს მოვლენას მონგოლთა და სხვა ველურთა ურდოების შემოსევის ჟამს არ ჰქონია ადგილი ჩვენში. ხალხის მთელი ნაძირალი ელემენტები ამუშავებულია, რათა მათის დახმარებით უფრო გაადვილდეს სარწმუნოების შეურაცხყოფა. მთავრობამ 1500 ეკლესია საქართველოში გაუქმებულად გამოაცხადა და ღვთისმსახურების ადგილნი დაუთმო ნაძირალებს გასართობ კლუბებად, დუქნებად, საგიმნასტიკო ზალებად და ებრვე სხვა. ესევე ნაძირალები მთავრობის ნებართვით და წახალისებით წირვა-ლოცვის დროს შესცვივდებიან საყდრებში და შეურაცხყოფას აყენებენ ეკლესიის მსახურთ და მლოცველებსაც. სამხედრო უდიდესი ტაძარი ქალაქ ტფილისში წმინდა გიორგის სახელობისა და კათალიკოზის კარის ეკლესია საოკუპაციო ხელისუფლებამ გადასცა ეგრეთ წოდებულ „კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირს" საკლუბოდ. ღირსშესანიშნავი და უძველესი ბოდბის დედათა მონასტერი, სადაც ასვენია ქართველთა განმანათლებელის წმინდა ნინოს ნეშტი, მთავრობამ დაკეტა, ხოლო შიგ მოათავსა პარტიული ორგანიზაციები. ასეთივე ბედი ეწვია ცნობილ მოწამეთის მონასტერს, სადაც ასვენიან სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავდადებულნი ძმანი წმინდა დავით და კონსტანტინე. ამ მონასტერში კომუნისტური მთავრობის მიერ წახალისებულმა უგნურმა ბრბომ ჩაიდინა შემაძრწუნებელი საქციელი. განსასვენებლიდან ამოყარეს ხსენებულ წმინდა ძმათა ნეშტნი და სამასხარო პროცესიით ატარეს ქალაქ ქუთაისის ქუჩებში. ტერორით დაშინებული ხალხი ტირილსა და უზომო გლოვას მისცემია. სახელგანთქმული და უდიდესი გელათის მონასტერიც, სადაც 1921 წელს შესდგა საქართველოს ეკლესიის მესამე ადგილობრივი კრება, რომელმაც ტახტზე აღიყვანა ამჟამინდელი ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი, არ დაინდეს კომუნისტებმა. ისიც დაკეტეს, ბერები განდევნეს, ხოლო მონასტერში მოათავსეს სრულებით შეუფერებელი დაწესებულება. საქართველოს ეკლესიას საოკუპაციო ხელისუფლებამ ჩამოართვა მთელი უძრავი და მოძრავი ქონება, ყველა შენობები როგორც დაწესებულებათა, აგრეთვე სასკოლო. მთელს საქართველოში დღეს არ მოიძებნება არცერთი სკოლა, სადაც ღმერთზე და სარწმუნოებრივ მორალზე ხმის ამოღება შეიძლებოდეს. კომუნისტებმა დაშალეს საქართველოს ეკლესიის მთელი აპარატი, მათ აკრძალეს ეკლესიის ცენტრალ დაწესებულებათა მუშაობა და ჩამოართვეს ყველა შენობები მთელის მოწყობილობით. კომუნისტებმა განდევნეს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი მისი სასახლიდან, რომელიც გადასცეს ზემოხსენებულ პარტიულ ახალგაზრდებს, ხოლო მის უწმინდესობას მრავალი თვის შინაური დატუსაღება შეუცვალეს ციხით და გადაიყვანეს გასული წლის ნოემბრიდან „ჩეკის" საპყრობილე მეტეხში. ამავე ციხეში თითქმის მთელმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც განუკითხავად იტანჯება ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი. მათთან ერთად ციხეში იმყოფებიან უმაღლესი საკათალიკოზო საბ-

ჭოს წევრები და წარჩინებული საეკლესიო მოღვაწენი.

თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ! ჩვენ გვსმენია თუ რა დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს თქვენს ავტორიტეტულ ხმას ინგლისში, გვსმენია ის დიდი თანაგრძნობა და სიყვარულიც, რომელსაც თქვენ იჩენთ საქართველოს მრავალტანჯული ეკლესიის მიმართ და ვსასოებთ, რომ თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის ბრძნული მოქმედებისა და ქრისტიანული მამობრივი მზრუნველობის წყალობით ამ ეკლესიას კვლავ დაუბრუნდება უსამართლოდ მისგან წარტაცებული ღირსება და უფლება-მოსილება. ვარ რა ღრმად დარწმუნებული, რომ თქვენ ამოიღებთ ავტორიტეტულ ხმას უძველეს საქრისტიანო ეკლესიის დათრგუნვის წინააღმდეგ, ნება მიბოძეთ კრძალვით გამოვითხოვო თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის კურთხევა.

საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წევრი, სრულიად საქართველოს საკათალიკოზო-საპატრიარქო ეკლესიის წარმომადგენელი ევროპაში რაფიელ ივანიცკი-ინგილო.

7 თებერვალი, 1924 წელი[1].

1924 წლის 10 მარტს რაფიელ ინგილომ ფრანგულ ენაზე მიმართა რომის პაპს. მიმართვის გაგზავნის შეფერხებას მიანერდა საფოსტო ხარჯების არქონას. ამ დროისათვის მას მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხაც გადაეგზავნა კონსტანტინე კანდელაკისაგან.

1924 წლის 27 მარტს რუსულენოვან გაზეთ „რულ"-ში გამოქვეყნდა ვრცელი სტატია კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის პროცესის შესახებ. მასში უწმინდესთან დაკავშირებული ყველა მომენტია აღწერილი. ავტორი „ქიჩი-ხანის" ფსევდონიმით იმ ფრთიან სიტყვებსაც გადმოსცემს, რაც, მისი თქმით, საქართველოში ძალიან პოპულარული გახდა და ყველა იმეორებდა. ეს იყო უწმინდესის მიერ ე. წ. „ჩეკას" უფროსის დაკითხვისას, მის მუქარაზე ნათქვამი სიტყვები: „სული ჩემი ეკუთვნის უფალს, გული ჩემი — ჩემს სამშობლოს, ჩემს მძორს კი რაც გინდათ, ის უყავით".

წერილში ნათქვამი იყო, რომ კათოლიკოსის წამების საბაბად გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მისი მიმართვა იქცა. ეს მიმართვა ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციად, საერთაშორისო ინტერვენციის გამოწვევად მიიჩნიეს. ავტორი მის ბიოგრაფიასაც აცნობდა მკითხველს და აღნიშნავდა, რომ ამ ადამიანში საბედნიეროდ იყო შეზავებული მეცნიერის, მკაცრი ბერის, ლიტერატორისა და პრაქტიკული საეკლესიო მოღვაწის თვისებები"[2].

რაფიელ ინგილო წერილებს ათავსებდა სხვადასხვა ევროპულ პრესაში, კითხულობდა მოხსენებებს საქართველოს კათალიკოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მანვე აკაკი ჩხენკელისადმი მიწერილ წერილში გამოთქვა სურვილი, რომ მეორანდუმის შედგენა თავის თავზე აეღო. თუ ნებას მომცემთ, პრესაში განვაცხადებ, რომ „საკათალიკოსო საბჭოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მემორანდუმის შედგენაში და ტექსტის

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც. 6-7.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც. 9-10.

დამუშავება კათალიკოზის ბრძანებით მე მივიღეო", — წერდა ინგილო. ამით, ყოფილი მთავრობის მხარდაჭერით, ის ცდილობდა საქართველოში მიმდინარე რეპრესიები აერიდებინა საეკლესიო პირებისათვის[1].

მან ამ წინადადებაზე უარი მიიღო, რადგან ეს გაართულებდა ისედაც ძნელ პირობებში საერთაშორისო ასპარეზზე მებრძოლი საქართველოს დევნილი ხელისუფლების მდგომარეობას"[2].

საქართველოს მთავრობის წევრები ინგილოს სთხოვდნენ ინფორმაციებს არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ სასულიერო პირებზეც. ის ცნობებს ყოველთვის მუყაითად აგროვებდა და აწვდიდა მათ. ერთი ასეთი დავალება იყო ამერიკაში მცხოვრები დეკანოზის — იოსებ კაპანაძის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. მისი 1924 წლის 2 მაისის პასუხით ჩხენკელისადმი, დეკანოზი კაპანაძე ყოფილა ამერიკული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი კრების თავმჯდომარე. ამ ეკლესიის მეთაურად ითვლებოდა ნაეგზარქოსალი პლატონი. ეკლესია თავს ავტოკეფალურად აცხადებდა"[3] .

დეკანოზი კაპანაძე იყო საოკუპაციო ხელისუფლებისაგან მსჯავრდებული. მას კათალიკოს ამბროსისა და სხვა ოთხ სასულიერო პირთან ერთად (კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე, ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძე, მარკოზ პავლეს ძე ტყემალაძე, იოსებ დიმიტრის ძე მირიანაშვილი) 1924 წლის 19 მარტს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოუტანა 9-წლიანი განაჩენი „სასტიკი იზოლაციითა და მთელი ქონების ჩამორთმევით", თუმცა განაჩენში აღინიშნა, რომ ის გაქცეული იყო[4].

დეკანოზი კაპანაძე ემიგრაციას ამერიკაში ფინანსების მოსაძიებლად და საქართველოს ეკლესიისთვის დახმარების გასაწევად ჭირდებოდა. ივანიცკი, რომელიც ამ დროს პირდაპირ შიმშილობდა და ხშირად ავადმყოფობდა, ჩხენკელს ურჩევდა საზღვარგარეთ შეძლებული ქართველების მოძიებას და მათთვისაც დახმარების თხოვნას. „აქედან მცირე ნაწილი შეიძლება მეც მომხმარდეს, თანახმად მაცხოვრის მცნებისა: „რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა" [მათე, X, III].

იმავე დროს (924 წლის 31 მაისს), ბერლინიდან ვლადიმერ ახმეტელაშვილი სპეციალურად წერდა აკაკი ჩხენკელს. „ივანიცკი-ინგილოს მდგომარეობა მეტად ძნელი და აუტანელია, — იტყობინებოდა ახმეტელაშვილი. — პირდაპირ დაიმშა, თავის ნამდვილი მნიშვნელობით. ახლა სხვა გზა არ დარჩენია, კონსტანტინეპოლში უნდა წავიდეს, იქ ქართველ ბერებთან შეაფაროს თავი, თქვენ დაპირებულხართ, მთავრობის გადაწყვეტილების მიხედვით, საგზაო ფულის მიცემას. თუ რაიმე შესაძლებლობა არის, უნდა მოუხერხოთ. სირცხვილი იქნება ამის ცუდ მდგომარეობაში ჩაყენება. მე ამ ერთი კვირის წინათ მივწერე ნუნციუს პაჩელის, რომ რომში სადმე მონასტერში მოეთავსებიათ. დღეს ვწერ რაიმე დახმარება აღმოუჩინოს მის განკარგულებაში არსებული

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც. 12.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც. 13.
[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც. 14.
[4] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც. 11.

თანხიდან. იმედია, ჩვენს ამ ერთიან მეორე თხოვნას დააკმაყოფილებს. მანამდის კი, არ ვიცი, რით გაიტანს თავს"[1].

როგორც ივანიცკის მომდევნო წერილიდან ჩანს, ნუნციუს პაჩელის მისთვის ერთდროული დახმარება — 500 ლირა მიუცია. მიხაკო წერეთლის მითითებით, მან დროებით გადაიფიქრა რომში წასვლა და ბერლინში დარჩა.

ბერლინის ქართული კოლონია ცდილობდა მის წევრებს დახმარებოდა, მაგრამ ქართველებს აქაც უჭირდათ. ინგილო ამ კოლონიის შესახებ 1924 წლის 18 ივნისს ჩხენკელს ასეთ ინფორმაციას უგზავნიდა: „გუშინ შედგა ბერლინის კოლონიის საერთო კრება გამგეობის ასარჩევად, ერთხმად მე დამასახელეს თავმჯდომარის თანამდებობაზე, ხოლო გულდაწყვეტით უარი ვთქვი ჩემი ასეთი მდგომარეობისა გამო, როდესაც ჰაზრებიც ველარ შემიკრებია. ნევრად კი შევედი გამგეობაში, რომლის თავმჯდომარედ აღირჩიეს გ. კერესელიძე. საზოგადოთ, უნდა შეგატყობინოთ, რომ ბერლინის კოლონიაში დავიწყებული გვაქვს პარტიული კინკლაობა და ვცხოვრობთ შეთანხმებულად, ვითარცა განუყრელი ერთი ქართული ოჯახი. პირადად ჩემი კანდიდატურა წამოყენებული იქნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ (ის ხომ ეროვნულ-დემოკრატი იყო — დ. ჭ.)[2].

ამავე პერიოდში (1924 წლის მაისის ბოლოს) მან საპროტესტო წერილით მიმართა ერთა ლიგას. საქართველოში მიმდინარე ანტირუსული გამოსვლები, რაც 1921 წლიდან მიმდინარეობდა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სასტიკად ჩახშობა და პოლიტიკური რეპრესიები იყო ივანიცკის მიმართვების მთავარი თემა. ის შექმნილ ვითარებაში დახმარებას ითხოვდა ევროპის სახელმწიფოებისაგან, რომის პაპისაგან და გამოთქვამდა პროტესტს ბოლშევიკური რუსეთის სადამსჯელო პოლიტიკისადმი.

„მის აღმატებულებას, ერთა ლიგის მეხუთე სესიის თავმჯდომარეს მოტტას. ჟენევა

გაუგონარის სისასტიკით აქრობენ რუსეთის საოკუპაციო ძალები აჯანყებას საქართველოში, რუსეთიდან გადასროლილია ყველა ჯურის იარაღის მხედრობა და „ჩეკის" საგანგებო რაზმები ცნობილი კომუნისტ-ჯალათების მეთაურობით, რომელნიც სისხლის ზღვაში აცურავებენ უკიდურესად შეწუხებულს ქვეყანას. ვერაგი მტერი არავის ინდობს, ხოლო განსაკუთრებულის დაუნდობლობით ის ეპყრობა ქართველ სამღვდელოებას. განათლებული კაცობრიობის თვალწინ აღმართული არის სასაკლაო, რომელზედაც მსხვერპლად იწირებიან ქრისტეს საკურთხევლის მსახურნი. ამ დღეებში, ქალაქ ქუთაისის დაპყრობის დროს, ეშმაკის მონათა მიერ მოკლული იქმნა რანგით მეორე სასულიერო პირი საქართველოში, იმერეთის მიტროპოლიტი ნაზარი, იმისდა მიუხედავად, რომ მძიმე სნეულებისა გამო, შთავარდნილ იყო ლოგინად.

ორნახევარი წლის მანძილზე ბარბაროსები ანგრევენ და ჰსპობენ ერთს უძველეს ეკლესიათაგანს ქვეყანაში! ამ სევდისა და ცრემლის ჟამს

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც. 18.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც. 19.

ქართველი ხალხი გამუდმებით შეჰლაღადებდა ევროპის სახელმწიფოებს და მიუთითებდა თავზე დამტყდარ უბედურებაზე, გარნა ხმა მისი შთებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი, ის შეეცადა საკუთარის ღონისძიებით უკუეგდო მონობის მძიმე უღელი, საკუთარის სისხლის ნთხევით ყველასათვის ცხადეყო ზრახვანი თვისნი".

მცირე დამატებით, იმავე შინაარსის იყო რომის პაპისადმი მიმართული ივანიცკის მოწოდება. „...ეს შემაძრწუნებელი ამბავი მე ვაცნობე ერთა ლიგას, — წერდა იგი, — გარნა ჩემს მოვალეობას შესრულებულად ვერ ჩავთვლიდი, რომ თქვენი უწმინდესობისთვისაც არ მომემართა უმდაბლესად...

უწმინდესო! ვაღიარებ თქვენს წინაშე, რომ საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ამისთანა ბოროტი, შეუბრალებელი და ცინიკური მტერი არ უხილავს: უხსოვარ წარსულში აზიის ფანატიკოს მპყრობელთა მიერაც კი პატივცემული ყოფილა საქართველოს ეკლესია! სად ვპოვოთ შველა? ვინ უნდა იხსნას საქართველოს მრავალტანჯული ეკლესია? საქართველოს ეკლესიის ისტორიის ფურცლებზე ბრწყინვალე ასოებით აღბეჭდილი არის რომის პაპთა მფარველობა და შეწევნა ჟამსა გაჭირვებისასა და დღესაც მორწმუნე ქართველი ხალხი თქვენი უწმინდესობისაგან მოელის საქართველოს ეკლესიის გადარჩენას. და ვსასოებ, თქვენი უწმინდესობა შეჰრისხავს მტარვალებს, „რამეთუ იყვნენ საქმენი მათნი ბოროტ".

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი — რაფიელ ივანიცკი-ინგილო[1].

1924 წლის 23 დეკემბრიდან რაფიელ ივანიცკი ავსტრიაში, წმინდა გაბრიელის სახელობის კათოლიკურ მონასტერში გადავიდა საცხოვრებლად. ის სარგებლობდა რომის აღმოსავლეთის კონგრეგაციის დახმარებით. მონასტერში იყო სემინარია, სადაც ვატიკანის ხარჯით ქართველი ჭაბუკებიც სწავლობდნენ, ისინი იქ სტამბოლის ეკლესიიდან შიო ბათმანიშვილს ჰყავდა ჩაყვანილი. ბათმანიშვილი ყოველ დღე ქართულად წირავდა, ქართული ტიპიკონით. მონასტერს ჰქონდა მრავალი გამოცემა, სადაც ივანიცკიც ათავსებდა საქართველოს ეკლესიის წარსულსა და თანამედროეობაზე წერილებს. მას ერთი წერილი 1924 წლის აჯანყებაზე ბერლინის გაზეთ — Germania"- შიც გამოუქვეყნებია სათაურით —„Das Georgische Problem". ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა წმინდა გაბრიელის მონასტრიდან გაგზავნილი მისი წერილიც — „საქართველოს ეკლესიის ადგილობრივი კრებანი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ".

მოგვიანებით, რომში, იტალიურ ენაზე რაფიელ ივანიცკი-ინგილომ გამოსცა წიგნი საქართველოსა და რუსთაველზე, სადაც შევიდა „ვეფხისტყაოსნის" მისეული შემოკლებული თარგმანი. წიგნი მხატვრულად გააფორმა რომის ოპერის თეატრის ქართველმა მხატვარმა-დეკორატორმა გიორგი აბაშიძემ. 1943 წელს დაავადმყოფებული ინგილო პარიზში გადავიდა საცხოვრებლად, მღვდლად ეკურთხა და აქედან მადრიდში წავიდა, სადაც

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 304, ფურც.20.

წმინდა ანდრია მოციქულის ეკლესიის წინამძღვარი გახდა. წირავდა ქართულ, ბერძნულ და რუსულ ენებზე. საზღვარგარეთ ის თანამშრომლობდა ქართულ პრესასა და რადიო "თავისუფლებაში". მისი მოღვაწეობის ისტორია და ცხოვრების დეტალები სავსეა უამრავი ტკივილითა და სნრაფვით, — დახმარებოდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ჩარჩენილ სამშობლოს. რაფიელ ინგილო 1966 წელს გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

აკაკი ჩხენკელი და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაცია პოლონეთში

XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ემიგრაციის დიდმა ნაწილმა, უმეტესად ქართველმა სამხედროებმა და მათმა ოჯახებმა, პოლონეთს შეაფარეს თავი. პოლონეთში ქართველები ადრეც, საქართველოს ოკუპაციამდეც ცხოვრობდნენ. კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებს აქ ვალერიან სიდამონ-ერისთავი ხელმძღვანელობდა. მან სერგო ყურულიშვილთან და კაპიტან ალექსანდრე გოძიაშვილთან ერთად „თვითგადარჩენის კომიტეტი" დააარსა, რომელიც რესპუბლიკის დაცემამდე არსებობდა.[1]

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სტამბოლიდან ვარშავაში ჩავიდა ემიგრანტების დიდი ტალღა. ათენში წასული იუნკრებიც იქ წავიდნენ და 5 იუნკრის გარდა, რომლებიც პარიზში ცხოვრობდნენ, ყველამ პოლონეთში მოიყარა თავი. აქ მათ გენერალი პილსუდსკი[2] დაეხმარათ, მისცა სამუშაო და თავშესაფარი. სამხედრო სკოლაში ჩაირიცხა 46 იუნკერი, რომლებმაც სასწავლებლის დასრულების შემდეგ ოფიცრის ჩინი მიიღეს და პოლონეთის სხვადასხვა სამხედრო შენაერთში მოეწყვნენ. ოფიცრებს საცხოვრებელი ბინები და მაღალანაზღაურებადი სამსახური ჰქონდათ. პოლონეთში დასახლდნენ ქართველი გენერლები: ალექსანდრე ზაქარიაძე, ივანე ყაზბეგი, ზაქარია ბაქრაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, ალექსანდრე კონიაშვილი, კირილე ქუთათელაძე; პოლკოვნიკები: პლატონ მიქელაძე, ნიკოლოზ ვაჩნაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, რომან გველესიანი, ალექსანდრე ბაგრატიონი, ვლადიმერ სიდამონ-ერისთავი, კონსტანტინე კიკვიძე, ვალერიან თევზაძე; მაიორები: დიმიტრი შალიკაშვილი, დავით და ბიძინა ქუთათელაძეები, ლადო სიამაშვილი, კონსტანტინე ტურიაშვილი, ალექსანდრე ყიფიანი, გიორგი ფავლენიშვილი, არტემ არონიშიძე, ალექსანდრე კოზიაშვილი, ალექსანდრე ალავიძე, დავით მაჭავარიანი; კაპიტნები: დავით ვაჩნაძე, ვასილ ინჯია, ლევან კვალიაშვილი, მიხეილ კანდელაკი, ზენონ მამალაძე, მიხეილ რუსიშვილი, დავით კლიმიაშილი, ივანე ქავთარაძე, დავით ჭყონია. როგორც ქართული ემიგრაციის ისტორიის მკვლევარი

[1] რუსუდან დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბილისი, 2007, გვ.22.

[2] გენერალი პილსუდსკი, — იოზეფ პისლუდსკი (1867-1935), პოლონეთის სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. პოლონეთის რესპუბლიკის პირველი მეთაური 1918-1922 წლებში, პოლონეთის არმიის დამაარსებელი, პოლონეთის პრემიერ-მინისტრი 1926-1928 და 1930 წლებში. 1926-1935 წლებში პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალ-ინსპექტორი და პოლონეთის სამხედრო მინისტრი, არმიის მარშალი.

რუსუდან დაუშვილი აღნიშნავს, 30-იანი წლების ბოლოს პოლონეთში დაახლოებით 200 ქართველი ცხოვრობდა. უმეტესობა ვარშავაში, მცირე ჯგუფები და ერთეულები სხვადასხვა პატარა დაბებსა და ქალაქებში. აქ იყო „საქართველოს მეგობართა საზოგადოება", „საქართველოს დამხმარე კომიტეტის" პოლონეთის განყოფილება, ახალგაზრდული კავშირი და სხვა საზოგადოებები.

ვარშავის ქართული სათვისტომო საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდნენ: ს. მდივანი, ი. სალაყაია, როსტომ ყაზბეგი, ალექსანდრე გოძიაშვილი.

პოლონეთის სამხედრო ემიგრაციის შესახებ უამრავი მასალაა დაცული ჟურნალ „მხედარში" გამოქვეყნებულ სტატიებსა და მოგონებებში, ნიკოლოზ მათიკაშვილის ნაწერებში.[1]

მათიკაშვილის მოგონებებში ვკითულობთ: „მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოზე ფიქრი არ შეგვიწყვეტია. იუნკრებმა შევქმენით „იუნკერთა კავშირი", დავაარსეთ ჟურნალი „მხედარი" და 1939 წლამდის 15 ნომრის გამოცემა მოვასწარით. „მხედარი" გამოდიოდა ჩვენი სახსრებით, პარიზში. აქ ამ საქმეს ჰპატრონობდა ყოფილი იუნკერი დოლიკა ვაჩნაძე.

წელიწადში ერთხელ ვმართავდით „იუნკერთა კავშირის" კრებას, რომელზედაც გამგეობა აბარებდა ანგარიშს განვლილი წლის მუშაობის შესახებ. კრება ირჩევდა ახალ გამგეობას და ისახავდა ახალ მიზნებს.

განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდნენ და ყველა ახალი გამგეობის წევრები იყვნენ: ვანო ლალუაშვილი, დავით ლაღიძე, ნიკოლოზ მათიკაშვილი. მათ ზურგს უმაგრებდნენ და ყოველმხრივ მუშაობაში ეხმარებოდნენ იუნკრები: მახარაძე, მიხეილ კვალიაშვილი, ფარნაოზ ნაცვლიშვილი, ვიქტორ ლომიძე, პატიკო თაყაიშვილი და სხვანი.

პოლონეთში ცხოვრებისას არც ერთი დღე არ გასულა, რომ საქართველოზე არ გვეფიქროს. გვაინტერესებდა მისი ბედი ბოლშევიკების ხელში, ცნობა კი, ადვილი მისაწვდენი არ იყო. პოლონეთს ბოლშევიკურ რუსეთთან კავშირი სრულიად გაწყვეტილი ჰქონდა, არავითარი გაზეთი, წიგნი იქიდან არ მოდიოდა. ცნობებს ვღებულობდით საფრანგეთში მყოფ ემიგრანტებიდან. ვიცოდით ქართველი ხალხის აჯანყების შესახებ; ქაქუცასა და შეფიცულთა მოქმედებაზე, ოფიცერთა დიდი ჯგუფის დახვრეტაზე. ყველაფერ ამას დიდათ მტკივნეულათ განვიცდიდით. ომის დამთავრების შემდეგ ბოლშევიკები პოლონეთს დაეპატრონნენ და ვითომც პოლონელთა კეთილისმყოფელებმა სახელმწიფოს ბოლშევიკური მშენებლობა დაიწყეს. ასე იყო სამხედრო დარგშიც. თუმცა ჯარს სათავეში ედგა პოლონელი სამხედრო მინისტრი, ფაქტიურათ რუსი გენერლები და რუსული შტაბი ხელმძღვანელობდა. პოლონეთის ჯარში ნამსახური ქართველი აფიცრები დაატუსაღეს. მაიორი მამალაძე კატინში დახვრიტეს, კაპ. რატიშვილი ტყვეთა ბანაკში მოკლეს. ყოფილი იუნკრები იაშვილი, კვალიაშვილი და

[1] ნიკოლოზ მათიკაშვილი (1900-1993), იუნკრები და სხვები, გამომცემელი ლაშა ბაქრაძე, შემდგენელ-რედაქტორი ლალი ცომაია, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახემწიფო მუზეუმი, თბილისი 2016.

ციბაძე ციმბირში გადაასახლეს. გრიგორ იაშვილი იქ დაიღუპა, კვალიაშვილმა და ციბაძემ ათ-ათი წელინადი გადასახლებაში გაატარეს. იქიდან დაბრუნებულებმა, ჯანმრთელობა დაკარგულებმა დიდი ხანი ვეღარ იცოცხლეს. მე დატუსაღებას გადავურჩი პოლონელი ოფიცრების დახმარებით, რომლებიც ჩემი ნაცნობები გამოდგნენ და რუსულ შტაბს ჩემი გამოყენება შესთავაზეს. მიმინვიეს შტაბში და ქვეითი ჯართა წვრთნის დარგში დამასაქმეს."

„ნიკოლოზ მათიკაშვილის ერთტომეული, მასში გაერთიანებული საკუთრივ მათიკაშვილის თუ მის მიერ თარგმნილი ტექსტები — სტატიები, მიმოწერა დამემუარები — მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს პირველი რესპუბლიკის აღსასრულის და ქართული ემიგრაციის პოლონური ისტორიის შესასწავლად. ამ გამოცემაში თავმოყრილია მასალა, რომლის ნაწილი სულაც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში და, ამდენად, ამ ახალი ცნობების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ქართველი ერის უახლესი ისტორიის არაერთი ფაქტისა თუ მოვლენის დაზუსტება და ახლებურად გააზრება", წერს წიგნის შესავალში მკვლევარი პაატა ნაცვლიშვილი[1].

20-იან წლებში პოლონეთ-რუსეთის დამოკიდებულებასა და პოლონეთის პოლიტიკურ წრეებთან ქართული ემიგრაციის კავშირს კარგად ასახავს იოსებ სალაყაიას[2], ალექსანდრე ჩხეიძის[3] და პოლონეთის სამხე-

[1] პაატა ნაცვლიშვილი, უკანასკნელი იუნკერი, წიგნში — ნიკოლოზ მათიკაშვილი, იუნკრები და სხვები, გამომცემელი ლაშა ბაქრაძე, შემდგენელ-რედაქტორი ლალი ცომაია, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახემწიფო მუზეუმი, თბილისი 2016, გვ. 13.

[2] იოსებ სალაყაია (1881-1940), — სოციალ-დემოკრატი, ვარშავის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე.

[3] ალექსანდრე ჩხეიძე (1873 —1941), — ქართველი გენერალი. სამხედრო განათლება მიიღო თბილისის კადეტთა სასწავლებელში. 1892-1893 წლებში სწავლობდა მოსკოვში, ალექსანდროვის მესამე სამხედრო სასწავლებელში. პორუჩიკის ჩინით დაინიშნა რუსეთის იმპერიის სამეგრელოს მე-16 ქვეით პოლკში. 1894 წლის 13 აპრილს დაინიშნა პოლკის დაზვერვის უფროსად. 1897 წლის 5 მარტს პოლკის შეიარაღების უფროსი. 1908-1909 წლებში შტაბის კაპიტანი და თბილისის იუნკერთა სასწავლებლის უმცროსი ოფიცერი. 1915-1917 წლებში პოლკოვნიკის ჩინით იბრძოდა თბილისის მე-15-ე ქვეით პოლკში ჩრდილო-დასავლეთ ფრონტზე. მასწავლებლად იყო მივლინებული თბილისის სამხედრო სასწავლებლის პრაპორშიკთა სკოლაში. 1917 წლის ნოემბრიდან მსახურობდა ამიერკავკასიის ფედერაციის არმიის ქართულ კორპუსში. ნაცვალთა (უნტერ ოფიცერთა) კურსების დამაარსებელი და მეთაური. 1918 წელს დაინიშნა ქართული სამხედრო სკოლის უფროსის თანაშემწედ. 1919 წელს ისლამისტების აჯანყების გამო სკოლის ოფიცრები გაიწვიეს ახალციხის ფრონტზე, ჩხეიძე ხდება ბორჯომის და შემდეგ ახალციხე-ანყურის ხაზის მეთაური. 1919 წელს სამხედრო სკოლის უფროსად ინიშნება გენერალი გიორგი კვინიტაძე, ხოლო მის თანაშემწედ ჩხეიძე, რომელიც მართალია დაინუნა მთავრობის კომისიამ, მაგრამ კვინიტაძის დაჟინებული მოთხოვნით შეინარჩუნა პოსტი. 1920 წლის 3 მაისს აქტიურად მონაწილეობდა ბოლშევიკების თავდასხმის მოგერიებაში სამხედრო სკოლაზე, 1920 წელს ალექსანდრე ჩხეიძე დაინიშნა რუსეთის წითელი არმიის შემოჭრილ დანაყოფებთან საბრძოლველად შექმნილ „სადახლოს საარმიო ჯგუფი"-ს უფროსად. 1920 წელს სამხედრო სკოლის დანაყოფებმა ჩხეიძის მეთაურობით ალყაში მოაქციეს კომუნისტების აგიტაციის გამო აჯანყებული, ლაგოდეხში მდგარი მე-6 ათასეულის ცალკეული დანაყოფები. 1921 წელს სკოლის პირადი შემადგენლობა (120 იუნკერი და 350 კაცი ნაცვალი, არტილერისტი და კავალერია) სკოლის უფროს ალექსანდრე ჩხეიძის მეთაურობით რუსთაველის პროსპექტის გავლით დაიძრა კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებით რუსეთის წითელ არმიასთან საბრძოლველად. 1921 წლიდან ემიგრაციაშია, ცხოვრობდა თურქეთში, ქალაქ სტამბოლში. 1922 წელს გადავიდა

დრო ემიგრაციის სხვა წევრების პირადი წერილები აკაკი ჩხენკელისადმი. წერილებში ასევე ასახულია იმდროინდელი პოლონეთის საგარეო-პოლიტიკური ვითარება.

„4 აგვისტო, 1923 წელი, ქალაქი ვარშავა.

პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის — იოსებ სალაყაიას წერილი პარიზში აკაკი ჩხენკელს

„თქვენი მოწერილობა მივიღე. რუსეთ-პოლონეთის კონფერენცია საკონსულო ხელშეკრულების დადების შესახებ ჯერაც არ დაწყებულა, ძნელია იმისი თქმა, თუ რა მიზეზით. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საგარეო მინისტრს საგარეო პოლიტიკაში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს სიკორსკის[1] მთავრობის გადადგომის შემდეგ. ახალმა მთავრობამ ბევრი ტკივილები განიცადა. ასე მაგ.: 1) დამოკიდებულება ბალტიის სახელმწიფოებთან ცოტათი თუ ბევრათ გამწვავდა (როგორც მოგეხსენებათ, ბალტიის სახელმწიფოების კონფერენციას პოლონეთის საგ. საქმეთა მინისტრი ბ. სეიდა[2] არ დაესწრო). 2) ჩეხოსლოვაკიასთანაც დამოკიდებულება უარესია, ვინემ ოდესმე იყო; 3) განსაკუთრებით კი გდანსკის საკითხში დამარცხებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თუ უკანასკნელ დრომდე ხშირად ლაპარაკობდენ ბ. სეიდას გადადგომას, ახლა ამაზე დაჟინებით ლაპარაკობენ. ბ. ვიტოსმა რამოდენიმე პიროვნებას მიმართა, ხოლო რამდენადაც ვიცი, ყველამ უარი განაცხადა, ასე, რომ ჯერ კანდიდატის ძებნის პროცესში არიან. აქვე მინდა დავუმატო, რომ ახლახან დანიშნული ფინანსთა მინისტრი ნავ-

---

პოლონეთში. 1922- 1923 წლებში ასწავლიდა პოლკის მეთაურთა კურსებზე პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში. სამხედრო სკოლაში კურირებდა ქართველ ოფიცრებს. 1927-1931 წლებში პოზნანის მე-14 ქვეითი დივიზიის მეთაური. კონტრაქტის დასრულებამდე (31.08.1931) იმყოფებოდა მე-7-ე კორპუსის შტაბის განკარგულებაში. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ ლვოვში. 1939 წელს წითელი არმიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის დროს დააპატიმრა ნკვდ-მ როგორც „ხალხის მტერი". იმყოფებოდა ლვოვის ციხეში. 1940 წელს გადაიყვანეს კიევის ციხეში და წაუყენეს შემდეგი ბრალდება: „საქართველოს არმიაში სამსახური, წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა, ვარშავის ქართული კომიტეტის წევრობა და პოლონეთის არმიაში სამსახური". ამაეე წლის 16 დეკემბერს გადაიყვანეს მოსკოვში. სავარაუდოდ, დახვრიტეს 1941 წლის ზამთარში კატინში.

[1] სიკორსკი, — ვლადისლავ სიკორსკი (1881-1943), პოლონელი პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწე. განათლება მიიღო ლვოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, უპირისპირდებოდა გენერალ პილსუდსკის, ემხრობოდა პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენას ავსტრია-უნგრეთის ეგიდით, რასაც გამორიცხავდა პილსუდსკი. მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთთან ომში, ებრძოდა ბოლშევიზმს. 1921 წ. პოლონეთის არმიის მთავარსარდლის პოსტზე შეცვალა პილსუდსკი, რამდენჯერმე ეკავა მაღალი სამხედრო პოსტი, 1926 წ. წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში, შეისწავლა სამხედრო საქმე (არ ჰქონდა სამხ. განათლება), 1938-ში დაბრუნდა პოლონეთში. მალე ომი დაიწყო და პოლონეთი დამარცხდა. სიკორსკი სტალინისა და ჩერჩილ-რუზველტის მხარეს აღმოჩნდა, თუმცა, კატინის შემდეგ მან კატეგორიულად მოითხოვა გამოძიება სტალინისა და ჩერჩილისაგან. 1943 წ.4 ივლისს გიბრალტარის თავზე მისი თვითმფრინავი აფეთქდა, სადაც სიკორსკის ქალიშვილი სოფია და შტაბის უფროსი თადეუშ კლიმეტიკიც ისხდნენ, გადარჩა მხოლოდ ინგლისელი პილოტი, რომელსაც მაშველი ჟილეტი ეცვა, რაც სხვა დროს, გადმოცემით, არ ჩაუცვამს. გრიგორი დუგლასი და გერმანელი ისტორიკოსი ალფრედ შიცკელი მიიჩევენ, რომ სიკორსკი ჩერჩილის ბრძანებითა და რუზველტის თანხმობით მოკლეს.

[2] სეიდა, — პოლონეთის საგ. საქმეთა მინისტრი.

იდა. მისი კანდიდატიც ჯერ ვერ მოუძებნიათ, რადგან პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას ვერავინ ბედავს. ამ გართულებული მდგომარეობის წყალობით უნდა აიხსნებოდეს კონფერენციის დაგვიანებაც. მოხდება თუ არა კონფერენცია და რა გზას დაადგებიან, ჯერ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში ყველა ზომები მიღებულია, დაპირებებიც არსებობს, რომ ჩვენი შუამდგომლობანი უყურადღებოდ არ დარჩება. მაგრამ აქვე უნდა დავსძინო (და ამაზე წინეთაც მოგახსენებდით) მოსალოდნელია ყოველგვარი სიურპრიზი. რასაკვირველია, ძლიერ კარგი იქნებოდა ვინმე გავლენიანი პიროვნების ჩამოსვლა. საერთო ხაზი ისეთია აღებული, რომ თუ ცვლილება არ მოხდა, ბოლოს და ბოლოს მაინც საზიანო იქნება ჩვენთვის, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ. ყველა მოელის რაღაც გარდატეხას, თუმცა ალბათ შექმნილი მდგომარეობა ორიოდე თვეს გასტანს, რადგან სწორედ დღეს პარლამენტი იხურება. თქვენ მწერთ, რათა გამომეყენებია ფრანგები. მიზანშეწონილათ არ ჰხედავენ და მეც ასე ვფიქრობ, რადგან პოლონელები მეტად თავმოყვარე ხალხია და სხვისი ჩარევა სწყინთ.

გვაქვს ზოგიერთი დაბრკოლებანი ოფიცრების საკითხშიც. ოფიცერთა უმრავლესობამ სკოლა დაამთავრა, ნაწილებში უნდა გააგზავნონ, საკითხი ცოტა გვიანდება და ეს ჩვენებში შიშს იწვევს. მე რამდენიმეჯერ ვიყავი შტაბში, ახლა გადაჭრით მითხრეს: პრინციპიალურათ მათი საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილიო. გუშინწინ ზაქარიაძეც[1] დავიბარე (ის

[1] ზაქარიაძე, — ალექსანდრე ზაქარიაძე 1884 წ. 15 თებერვალს დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ ქვედა სიმონეთში. მამა – ყარამან მაქსიმეს ძე ზაქარიაძე საშუალო შეძლების მქონე ე. წ. თავისუფალი საკელესიო გლეხი იყო, დედა – ბარბალე ნიკოლოზის ასული ბასილაძე. ალექსანდრე ზაქარიაძემ 1900 წელს დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. 1901 წ. შევიდა თბილისის ოფიცერთა სკოლაში, რომელიც 1903 წ. დაამთავრა იუნკერის წოდებით და ერთი წლით 79-ე ქვეით რაზმში გაანაწილეს. სამხედრო ნათლობა რუსეთ–იაპონიის ომში მიიღო, 1905 წ. 25 თებერვალს თავში მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. გამოჩენილი თავდადებისათვის დააჯილდოვეს წმ. ანას IV ხარისხის ორდენით მამაცობისათვის. 1905 წ. ოქტომბერში ალექსანდრე ზაქარიაძე პეტერბურგში მიავლინეს ახალწვეულთა აღსაზრდელად, თუმცა ცოტა ხანში თბილისში გადმოიყვანეს კურინსკის 79-ე პოლკში. 1907 წ. პორუჩიკის წოდებაზე წარადგინეს.1909 წ. სექტემბერში ალექსანდრე ზაქარიაძე ჩაირიცხა პეტერბურგის საიმპერატორო სამხედრო აკადემიაში, რომელიც 1911 წ. შტაბსკაპიტნის ჩინით დაამთავრა. 1909 წელსვე დაქორწინდა იტალიური წარმოშობის თბილისელ მარია ლონგოზე, რომელთანაც ორი ვაჟი ვალერიანე (ავტოინჟინერი) და გიორგი (იური) (ელექტროინჟინერი) შეეძინა. 1914 წლიდან ალექსანდრე ზაქარიაძე კაპიტანია და კავკასიაში მე-3 კაზაკთა დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებს. იგი I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე იყო. 1915 წ. ზანოსცას რაიონში ბრძოლისას მხარში დაიჭრა. 1915 წ. ოქტომბერში უკვე 27-ე კორპუსის შტაბის ოფიცერია პოდპოლკოვნიკის წოდებით, დეკემბერში კი პოლკოვნიკი. 1917 წლის იანვრიდან ლიტვაშია, ჯერ როგორც ლიტვის მე-2 მსროლელთა ბრიგადის შტაბის უფროსი, მერე ლიტვის ზენიგალსკის მე-5 რაზმის დროებითი ხელმძღვანელი და ლიტვის შტაბის უფროსის მოადგილე. 1917 წელს ქ. რიგის როდენპოისკულის რაიონში ნარმატებული ბრძოლებისათვის წმ. გიორგის მე–4 ხარისხის დაფნით შემკული ორდენი მიანიჭეს. 1917 წ. 27 ოქტომბერს რიგაში სამსახურის დროს ალექსანდრე ზაქარიაძემ თბილისიდან დეპეშა მიიღო საქართველოში დაბრუნების წინადადებით. 22 ნოემბერს ის უკვე თბილისში იყო. დაინიშნა ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის შტაბის უფროსად. 1918 წელს იგი სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობს, არის ქართული კორპუსის შტაბის უფროსი, საველე არმიის შტაბის უფროსი, სანაინის ფრონტის ხელმძღვანელი, საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე.
1919 წ. 1 აგვისტოს ალექსანდრე ზაქარიაძე დაინიშნა საქართველოს გენერალური შტაბის უფროსად, მიანიჭეს ქართული არმიის გენერლის წოდება.1921 წ. რუსეთის მიერ საქართ-

ვილნოს ახლო მსახურობს), მასაც ასეთივე პასუხი მისცეს. ვიმედოვნებ, ყოველივე მოგვარდება!

საერთოდ უნდა დავსძინო, რომ მე მდგომარეობას უფრო პესიმისტურად ვუყურებდი, ჩვენი პოლონელი მეგობრები კი მეტად შორსაც მიდიოდნენ, მაგრამ ჯერ ჯერობით, საბედნიეროდ, ყველა პოზიციები შევინარჩუნეთ.

კლუბის დაარსებისათვის მუშაობის წარმოების შესახებ მოგახსენებდით: ჩვენ გვინდოდა პოლონეთ-კავკასიის კლუბის დაარსება, პირველ სხდომაზე ამაზე დავიყოლიე ყველა დამსწრენი, ახლა, როგორც ჩანს, ისევ იცვლება აზრი პოლონელებში. მათ უნდათ ამ კლუბს უფრო ფართე ხასიათი მისცენ. ყოველ შემთხვევაში სათათრეთიც შეიყვანონ. მაგრამ ზოგი უფრო შორს მიდის, აქ ჩინეთი და იაპონიაც უნდათ მოათავსონ. წუხელ ამ საკითხის გამო სხდომა გვქონდა, ჩვენც ვთმობთ, რადგან დამოკიდებულნი ვართ, ხოლო თუ კლუბს მეტად ფართე ხასიათი მიეცა, ჩემის აზრით არაფერი გამოვა. რაც უნდა იყოს, განდგომის გზა არ გამოვა, მით უმეტეს, პოლონელებს ყველაზე მეტი იმედი სწორედ ჩვენზე აქვთ. კორვინ-პავლოვსკიზე რა მოგახსენოთ, ცოტა ახირებული ტიპია, მას კარლო საკმაოთ იცნობს. კარლოს პატივისცემით, თორემ ერთ საღამოს მას უნდა განვშორებოდი. მართალია, ხშირათ მეხმარება, ენერგიული პიროვნებაცაა, მაგრამ წარმოუდგენელი პრეტენზიებით და ზოგჯერ დაწყობილ საქმეს აბნევს. ყოველივეს ვურიგდები, რადგან პირადი პატივისცემა აქვს გაწერილი ქართველებისადმი და ემიგრანტებისთვის ეს ბევრ რამეს ნიშნავს.

მე მხოლოდ ხუთი დღით ვიყავი სოფელში წასული, რომ ცოტა დამესვენებია. ეს კომიტეტის წევრებმა არ იცოდნენ, რადგან ყველანი სოფელში ცხოვრობენ და კვირაში ერთხელ ან ორჯერ ჩამოდიან. გაფრთხილებული არვინ მყავდა. ყოველ შემთხვევაში კომიტეტის წევრების მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯები ჩემი არყოფნის დროს, ჩემის აზრით, მხოლოდ მიზანშეწონილი იყო. წინასწარაც გვქონდა მთელი რიგი სხდომებისა იმის შესახებ, თუ როგორ მოვქცეულიყავით, თუ მოლაპარაკება დაიწყებოდა რუსებთან. ჩემი არყოფნის დროს კომიტეტის ზოგ წევრებს, განსაკუთრებით პ. თუმანიშვილს და ყაზბეგს მართლაც ბევრი სამუშაო გაუწევიათ, მე თუ სო-

---

ველოს ოკუპაციის შემდეგ, ალექსანდრე ზაქარიაძე ეროვნულ მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. თავდაპირველად სტამბოლში ჩავიდა. 1922 წ. პოლინეთის მთავრობისა და მარშალ პილსუდსკის ინიციატივით გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე დაახლოებით სამას ქართველ სამხედრო ემიგრანტთან ერთად პოლონეთში მიიწვიეს. იქ ჩასულმა გენერალმა პოლონური შეისწავლა. 1923 წ. 1 იანვარს იგი პოლონეთის არმიაში ბრიგადის გენერლად მიიღეს. 1927 წ. 1 მაისს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე ალექსანდრე ზაქარიაძეს მიანიჭეს დივიზიის გენერლობა. 1939 წ. სექტემბერში პოლონეთში შეჭრილი გერმანიის არმიის სარდლობამ ალექსანდრე ზაქარიაძე „პოლონეთის დამცველ უკანასკნელ რაინდად" გამოაცხადა. II მსოფლიო ომის შემდეგ, 1945-48 წლებში ალექსანდრე ზაქარიაძე იმყოფებოდა გერმანიაში, ინგლისელების საოკუპაციო ზონაში, ყოფილ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში – „ვილაბადესენსა" და „პეკელსჰაიმში". საბოლოოდ დასახლდა საფრანგეთში, ქართველთა მამულში – ლევილი. იყო პარიზის ქართული სათვისტომოს წევრი. გარდაიცვალა 1957 წ. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე. ალექსანდრე ზაქარიძემ დატოვა მოგონებები „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – 1917-1921 წწ", რომელიც იაშვიათი და ძვირფასი პირველწყაროა აღნიშნული პერიოდის შესასწავლად.

ფლად წავედი, დაიმედებული ვიყავი, რომ კონფერენციის საკითხი არც ასე უცბათ დაისმებოდა. თითქმის ყველა მთავარ საკითხებზე მოგახსენეთ. თუ რაიმე ახალი შემოიჭრა ჩვენს საკითხში, აუცილებლათ მოგახსენებთ.

ი. სალაყაია."[1]

„7 აგვისტო, 1923 წელი, ქალაქი ვარშავა.

ბ. აკაკი ჩხენკელს

დღეს ვინახულე რამოდენიმე პიროვნება. პროფესორი სტუდნიცკიც სხვათა შორის (პრ. სტუდნიცკი მემარჯვენე თეორეტიკოსია, ის ლიდერია მემარჯვენეთა იმ ფრთისა, რომელიც რუსეთის საკითხში შეურიგებლობას იჭერს, მას კარლოც იცნობს). სტუდნიცკისთვის ნათხოვი მქონდა, რათა მინ. თავმჯ. ვიტასს მოლაპარაკებოდა (მათ შორის კარგი დამოკიდებულება არსებობს). ბ. სტუდნიცკის გადაუცია ბ. ვიტასისათვის დაწვრილებითი მოხსენება ჩვენი საკითხის შესახებ, უნახავს დემბსკიც (დემბსკი ვიტასის პარტიის ლიდერია), მისთვისაც გადაუცია ასლი მოხსენებისა. ბატონ დომბსკთანაც ჰქონია ხანგრძლივი მოლაპარაკება. პროფესორის შთაბეჭდილება ისეთია, რომ საგარეო სამინისტრო ვერ გადადგამს ჩვენს საწინააღმდეგო ნაბიჯს. კიდევაც რომ ეს მოხდეს, პარლამენტი წინ აღუდგება (აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პროფესორი სტუდნიცკი საუკეთესო ჩვენი მეგობარია). ვინახულე სხვებიც. ყველა მხარდაჭერას გვპირდება. რამდენიმე სტატიაც დაიბეჭდა, კიდევ დაიბეჭდება. სტუდნიცკიც დამპირდა ვრცელი წერილის მოთავსებას, მასალა მივაწოდე (ამონაჭრებს ამ ორ დღეში გაახლებთ). ველი თქვენგან ვრცელ დირექტივებს. გთხოვთ მოსწერეთ წერილები ან თქვენ, ან კ. ჩხეიძემ, ან ი. წერეთელმა, ან ნ. რამიშვილმა, შემდეგ პირებს: ბარლიცკის, პერლსა და ნედზრალკოვსკის (ეს ს. დ. პარტიის ლიდერია). განსაკუთრებული გავლენა აქვს საგარეო კომისიაში პერლს (რაბოტნიკის რედაქტორია), მაგრამ ცოტა ზანტი კაცია და თქვენი წერილი გამოაფხიზლებს. სამწუხაროთ, ესენი აქ არ იმყოფებიან, მაგრამ ამ მოკლე ხანში იქნებიან. მანამდე ვიმედოვნებ თქვენი წერილიც მოვა. წერილების მოწერა მირჩიეს პოლონელმა მეგობრებმა. ასეც არის. ხვალ ან ზეგ გამაცნობენ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელს, რომელმაც კონფერენციაში მონაწილეობა უნდა მიიღოს. საკითხზე, თუ როდის შედგება კონფერენცია, ვერაფერი გავიგე, დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში გავგზავნე ბ. ღოლევკო (ცნობილი მწერალია და ჩვენი მეგბარი), მაგრამ ვერაფერი გაიგო. სამწუხაროთ, უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელენი, თითქმის ყველანი, ხელშეკრულების დადებას თანაუგრძნობენ. აქ პირადი მოტივები თამაშობენ გადამჭრელ როლს, ვინემ სახელმწიფოებრივი მოსაზრებანი. ყველა ადგილს ელის. ამისთვის საუკეთესო გზათ მიმაჩნია მათზე პოლონელების საშუალებითვე ვიმოქმედო. ბ. პაველ თუმანიშვილი თავის საქმეების გამო წასულია, ამ დღეებში დაბრუნდება და დავიხმარებ. ვფიქრობ, კონფერენცია არც ასე ადრე მოხდება. ყოველ შემთხვევაში ყველა ზომები მიღებულია და მომა-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 119, ფ. 2-6.

ვალშიც იქნება მიღებული. რომელიმე გავლენიანი პიროვნების ჩამოსვლა მეტად კარგი იქნებოდა. არა ერთხელ მომიხსენებია, რომ ყოველთვის მოსალოდნელია მოულოდნელი სიურპრიზები. ამის შესახებ ველი თქვენს მოწერილობას.

ი. სალაყაია."[1]

„9 აგვისტო, 1923 წელი, ქალაქი ვარშავა.

ბ. აკაკი ჩხენკელს

მივიღე დოკუმენტი (მემორანდუმი). უკვე გადავათარგმნიე. ხვალ დაიბეჭდება რამოდენიმე ეგზემპლარი და გადაეცემა ცნობილ მოღვაწეებს. დღეს მე და პ. თუმანიშვილმა (ჩამოვიდა) სხვათა შორის ვინახულეთ ფილიპოვიჩი (ფინლანდიის ელჩი). მას დიდხანს ვესაუბრე ჩვენი საკითხის გამო. ხვალაც მაქვს მასთან შეხვედრა. ძლიერ არ მოსწონს, რომ ასეთ ნაბიჯს დგამს საგარეო სამინისტრო. დაგვპირდა დახმარებას. ის მხოლოდ ორიოდე დღით არის ჩამოსული. გუშინ ვინახულე რამოდენიმე პიროვნება, სხვათა შორის ბ. ღუსარსკი (მთავრობის მრჩეველი, მას კარლოც კარგათ იცნობს). ჩემთან ბ. ყაზბეგიც იყო. მას ძლიერ აკვირვებს, რომ ასე მოულოდნელად ისმება საკითხი კონსულარული ხელშეკრულების დადების შესახებ. ბ. ღუსარსკი დიდი მეგობარია ბ. სტრასბურგსკის (საგ. საქმეთა მინისტრის ამხანაგი, ის იქნება თავმჯდომარე კონფერენციაზე). ეს უკანასკნელი ახლა აქ არ არის, როგორც ჩამოვა, მაშინვე ექნება მოლაპარაკება. ფაქტიური ხელმძღვანელი კონფერენციის პოლონეთის მხრივ იქნება ბ. პელცი, რომელიც უკიდურესი რუსოფილია და დიდი გავლენა აქვს საგ. საქმეთა სამინისტროში, თვით სეიდაზედაც. როგორც მოგახსენებდით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელენი თითქმის ყველანი დაინტერესებულნი არიან ხელშეკრულების დადებით. აქ ნამდვილად მეგობარი არ გვყავს, თუ რა აზრი ტრიალებს სამინისტროში, ამას ვგებულობთ ერთი პოლიტიკური მოღვაწის წყალობით. მირჩიეს ბ. ლემბოჯი (?) ვნახო (ახლა ლიდერია ვიტასის პარტიის და საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე). მე ვიმედოვნებ, ხვალ შევძლებთ. პოლიტიკური მოღვაწენი თითქმის ყველა წასულია აქედან (რადგან სეიმი დათხოვნილია), ორიოდე პიროვნების ნახვა თუ შეიძლება. ჩვენი კომიტეტი ფიქრობს, თუ ვინიცობაა ეს საკითხი გატარდა კონფერენციაზე, ზომები უნდა მივიღოთ — სეიმმა რატიფიკაცია არ უყოს. ვინც ვინახულეთ, ყველა დახმარებას გვპირდება, თუმცა მეტად საშიშია საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს არ გაატაროს. ზოგიერთის აზრით, სწორეთ მთავრობა სეიმის დათხოვნით ისარგებლებს, რომ ხელშეკრულება დადოსო. ცდას არ ვაკლებ არც მე და არც კომიტეტის წევრები: პ. თუმანიშვილი ახლა თითქმის განუწყვეტლივ ჩემთან ერთად მუშაობს. ვიმეორებ, ვინმეს ჩამოსვლა მეტად სასარგებლო იქნება. რაც გაკეთდება, ყოველივეს ყოველ 2-3 დღეში მოგახსენებთ.

ახლა ოფიცრებზე. დღეს შტაბშიც ვიყავი. დღეს ჩამოვიდა ბრძანება ოფიცრების შტაბში განაწილების შესახებ. როგრც ხედავთ, ეს საქმე კარ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 119, ფ. 7-9.

გად მოგვარდა საბედნიეროდ. გადმომცეს, რომ მეტად კმაყოფილნი არიან ჩვენი მხედრები.

ამ მოკლე ხანში რამოდენიმე იუნკერი ათავებს სკოლას და ოფიცრობა უნდა მიიღოს. მე მთავრობის სახელით შუამდგომლობა აღვძარი მათი ოფიცრებად ჩარიცხვის შესახებ. იმედი მაქვს, აქაც მოგვარდება.

რამდენიმე დღის შემდეგ სადილი გვინდა გავუმართოთ იმ მეგობრებს, რომელნიც ჩვენთვის მუშაობენ (იმ ფულით, რომელსაც თქვენ აგზავნით). ჩვენ აქამდე არ გვქონდა შეძლება მათთვის პატივი გვეცა.

ი. სალაყაია."[1]

„11 აგვისტო, 1923 წელი, ქალაქი ვარშავა.

ბ. აკაკი ჩხენკელს

მე და პ. თუმანიშვილი სადილათ ბ. ფილიპოვიჩთან (ფინლანდიის ელჩი) ვიყავით. გააკეთებს ყოველივეს, რაც მისგან შესაძლებელი იქნება. სამწუხაროთ მხოლოდ ორიოდე დღე რჩება. ვიყავი შტაბში (ჩემთან ერთად პ. თუმანიშვილი და ბ. გურსკი, ყოფილი კონსული ნორვეგიის ჩვენში, პოლონელია და კარგად იცნობს ჩვენს საკითხს). ვრცლად გავაცანი ჩვენი საკითხი და ვთხოვე, რათა შტაბი თავის მხრივ ჩაერიოს ჩვენს საკითხში. ბ. გურსკიმ პოლონელების თვალსაზრისი გადასცა ჩვენი საკითხის გამო. დაგვპირდენ, რაც მათ შესაძლებლობაშია გააკეთონ. შტაბი ხომ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევს, მიუხედავათ იმისა, რომ თითქმის აბსოლუტურათ შეიცვალა მისი შემადგენლობა. ისევ ვიყავით საგარეო სამინისტროში, გადავეცი მთავრობის აზრი. ლაპარაკობენ, ისეთი რამ არ იქნება შეტანილი ხელშეკრულებაში, რაც თქვენ ოდნავაც ზიანს მოგიტანდესო. მაგრამ თავისთავად ცხადია, ეს უფრო სიტყვებია, რადგან რიგის ხელშეკრულების გავრცელება უკვე ზიანის მოტანას ნიშნავს. როგორც მოგახსენეთ ფაქტიური ხელმძღვანელი იქნება პელცი. (შეიძლება იცნობთ, პეტერბურგში მსახურობდა და რუსეთის საქმეს აკეთებდა და არა პოლონეთის). სწორედ ეს გარემოება ყველას გვაშინებს. მართალია ავალაპარაკეთ ყველა ნრეები (ამას ყველგან თვით პოლონელები გვეუბნებიან), მაგრამ მაინც შიში დიდი გვაქვს, რადგან დანამდვილებით ვიცით, რომ საგარეო სამინისტრო, მიუხედავად იმ უხერხულობისა, რომელსაც გრძნობს, მაინც ლაპარაკობს, სხვა გზა არ გვაქვს, თუ რუსეთთან კავშირი არ დავიკავეთო. ხვალ-ზეგ ერთი დოკუმენტიც მექნება ხელში, სწორეთ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის დროს ყოფილა ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია (პოლონეთის, ფინლანდიის, ესტონიის და სხვ.). ამ კონფერენციაზე გამოუტანიათ პროტესტი დაპყრობის გამო და ისიც, რომ ამ დაპყრობას არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდებიან. ამ საბუთს გამოვიყენებთ, როგორც გვექნება, თქვენც გადმოგიგზავნით.

ბატონო აკაკი, რადგან მდგომარეობა მაინც ძლიერ სერიოზულია, მე, როგორც ადგილობრივი ნარმომადგენელი, და კომიტეტის დავალებითაც, გთხოვთ ან თქვენ ან ე. გეგეჭკორი ჩამოვიდეს. თქვენი გავლენა სულ სხ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნ. 2, საქმე 119, ფ. 10-11.

ვაა. ასეთია აზრი თვით პოლონელების, რადგან უკანასკნელ ხანებში დიდი როლი ითამაშეთ როგორც თქვენ, ისე გეგეჭკორმა და ბევრი პირადი მეგობრებიც გყავთ. ეს ჩვენი და ჩვენი მეგობრების დაჟინებითი თხოვნაა. **არ დავივიწყოთ, რომ პოლონეთი ჩვენზე არანაკლებ 200 მილიონ მარკისა ხარჯავს თვეში (ჩვენს მხედრებზე) და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ შიში არ არის, რომ ვინმე ქუჩაში დარჩეს, მაგრამ სანამ ეს მდგომარეობა არ შეიცვლება, ყველაფერს უნდა მოველოდეთ.**

გუშინ საღამოს ერთი შეხვედრა ჰქონდათ ბოლშევიკებთან, არ ითქმის, რომ კარგი შთაბეჭდილება იყოს, მე მოვითხოვე, რომ მოლაპარაკების კურსში დაგვაყენონ, ამას დაგვპირდენ. მემორანდუმი მრავლად დაიბეჭდა და სადაც საჭიროა ვაძლევთ. სამწუხარო ის არის, რომ დეპუტატები აქ არ არიან, მაგრამ ვინც არის, ყველანი წარმოუდგენელი სიმპათიით გვეპყრობიან, კიდევ ერთხელ გთხოვთ, ან თქვენ, ან ევგენი ჩამოვიდეს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ საკმაოდ დიდი ხანია, რაც ინფორმაციები არ მოდის (კ. გვარჯალაძე მწერს, რომ მეტად ძნელდება ინფორმაციების მიღება), ამას თავისი უარყოფითი მხარე აქვს. გაახლებთ ამონაჭერს ერთი გაზეთიდან და ამასთანავე, რეზიუმეს იმ მოხსენებისას, რომელსაც თვით პოლონელები (ჩვენი მეგობრები) უკეთებენ აქაურ მოღვაწეებს, სხვასაც გაახლებთ. გაზეთებში კიდევ დაიბეჭდება.

ი. სალაყაია."[1]

„13 აგვისტო, 1923 წელი, ქალაქი ვარშავა.

ბ. აკაკი ჩხენკელს

დღეს კვირაა და ვერავის ნახვა ვერ მოვახერხე. სოფლად არის ყველა წასული. უკანასკნელად მემარჯვენეები დიდ აგიტაციას ეწევიან საფრანგეთ-პოლონეთ-რუსეთის კავშირზე. რუსულ გაზეთში სხვათა შორს მოყვანილია ზოგიერთი ადგილები ოფიციოზურ გაზეთ „რეჩ პოსპოლიტიდან" და გაზეთიდან ამონაჭერს გიგზავნით. გთხოვთ მიიღოთ პარიზში ყოველივე ზომები. ველი ვინმეს ჩამოსვლას. როგორც გწერდით, ბოლშევიკებთან მხოლოდ ერთი წინასწარი შეხვედრა ჰქონდათ. არ ვიცი როდის იქნება კონფერენცია, შესაძლოა მალეც დაიწყოს. ხვალიდან ისევ შევუდგები მუშაობას. ზეგ დაპატიჟებული გვყავს 7-8 აქაური პოლონელი მოღვაწე, გვინდა უფრო დავაინტერესოთ. მოგწერთ ყოველივე ცნობას.

ი. სალაყაია."[2]

„18 აგვისტო, 1923 წელი, ქალაქი ვარშავა.

ბ. აკაკი ჩხენკელს

ახალი თითქმის არაფერია. მუშაობას ვაგრძელებთ. საზოგადოება ავალაპარაკეთ. კონფერენციის ჯერ არა ისმის რა, თუმცა შესაძლებელია ყოველ დღე დაიწყოს. თუ სექტემბრამდე არ დაიწყო, დიდი ბედნიერება იქნება, რადგან ამ დროისათვის დეპუტატები ჩამოვლენ და მათი გამოყენება შეიძლება. როგორც მოგახსენებდით ძლიერ კარგი იქნება ჩამოსვლა. საშიშროება დიდია. გიგზავნით გაზეთიდან ამონაჭერს, გავლენიანი

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 119, ფ. 12-13.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 119, ფ. 14.

პიროვნების წერილია, თუმცა გვარის დასახელება არ შემიძლიან. გიგზავნით იმ მოხსენებათაც, რომელიც აქაურ წრეებში იქნა წაკითხული ჩვენი პოლონელი მეგობრების მიერ.

ერთი სამწუხარო მოვლენა ისაა, რომ კოლონიაში უთანხმოებები თანდათან იჩენს თავს. პოლიტიკური წრეები არსდება, რასაც, ჩემის აზრით, მეტად მავნებელი ხასიათი ექნება საბოლოოთ. მე პირადად გავურბივარ ყოველივე პარტიულ მუშაობას, რადგან ეს თავიდანვე განხეთქილებას დაჰბადებდა და მეორეს მხრივ, ჩემი თავი წარმოდგენილი მაქვს როგორც სახელმწიფო მოღვაწე და არა პარტიული მომუშავე, სანამ, რასაკვირველია ერთგვარი სახელმწიფოებრივი დავალება მაქვს დაკისრებული. რამდენიმე ხნით რომ ჩამოხვიდოდეთ, ჩვენს წრეებზეც იქონიებთ გავლენას.

ი. სალაყაია."[1]

„31 აგვისტო, 1923 წელი, ქალაქი ვარშავა.

ბ. აკაკი ჩხენკელს

მივიღე თქვენი მიწერილობა. ბ. ზამაისკი ჩამოვიდა, მხოლოდ რამოდენიმე საათი დარჩა და ნახვა ვერ მოვახერხე. თავის მამულში გაემგზავრა. დღეს წერილი მივსწერე და ვსთხოვ დრო და ადგილი დამინიშნოს მოსალაპარაკებლად. ვიმედოვნებ ამ დღეებში ვნახო საფრანგეთის წარმომადგენელი, დამპირდენ. აქვე გაახლებთ ამონაჭერს „Речь....Посполит "-დან (ოფიციალური ორგანოა). ამ სტატიის დაბეჭდვას დიდ მნიშვნელობას ვაძლევ, ეს ორგანო მთავრობის ორგანოა და რუსეთთან შეთანხმების მომხრე. დაგვპირდენ კიდევ მთელი რიგის სტატიების მოთავსება. ყოველ დღე ვნახულობ ვინმეს. პოლიტიკურ მოღვაწეებიდან (პარლამენტის წევრებიდან) ჯერ არავინ ჩამოსულა, რადგან სეიმი ოქტომბრამდე არ გაიხსნებაო. გუშინ წერილი მივიღე ფინლანდიიდან ფილიპოვიჩიდან, მწერს, რაც შემიძლიან აქედან დაგეხმარებითო. ის წასვლის დღეს არ მინახავს და ახლა მატყობინებს, მეტი გაკეთდა, ვინემ მე თვითონ მოველოდიო. ვფიქრობ, კონფერენცია ჯერ არ დაიწყება. მუშაობას განვაგრძობ, თუ რამე ახალი იქნა, მაშინვე მოგახსენებთ.

ერთი რამ კიდევ უნდა მოგახსენოთ. დღეს დამოკიდებულება სათათრეთსა და პოლონეთს შორის მეტად კარგია. საზოგადოებრივი აზრი დიდის აღტაცებით მიესალმა ხელშეკრულების დადებას. შესაძლოა ბ-ნო აკაკი თუ კარგი დამოკიდებულება არსებობს სათათრეთის წარმომადგენელთან, მას მოელაპარაკოთ ჩვენი საკითხის შესახებ. პოლონელები ყოველ მათ სიტყვას დიდათ აფასებენ. ამ დღეებში კ. გვარჯალაძეს მივსწერე თუ როგორია ჩვენი დამოკიდებულება სტამბოლში და თუ შეიძლება რამეს გაკეთება იქიდან.

როგორც მოგახსენებდით კლუბს ვაარსებთ. კვირაში ერთხელ სხდომები გვაქვს. კლუბში შედიოდეს იქნება კავკასია, სათათრეთი, თურქესტანი და სხ. როგორც ხედავთ მეტად გაფართოვებული ხასიათი ექნება. მაგრამ პოლონელების ნაწილი ამას ითხოვდა და ჩვედნც დავთმეთ. თუმცა ჯერ

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 119, ფ. 15.

საორგანიზაციო მუშაობას მარტო ჩვენ და პოლონელები ვაწარმოებთ. ცოტათი თუ ბევრათ მაინც კლუბის გამოყენებას შევძლებთ მომავალში.

სალაყაია."[1]

„15 სექტემბერი, 1923 წელი, ქალაქი ვარშავა.

ბ. აკაკი ჩხენკელს

ასათიანი იწერება უკანასკნელ წერილში ბ. დუდუჩავას შესახებ, რომ ეს უკანასკნელი მიღებულ იქნას სამხედრო სკოლაში. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხის აღძვრაც შეუძლებელია. ჩვენი აფიცრების საკითხმა კიდევ ერთხელ განიცადა კრიზისი. ახლა გადაწყვეტილია შემდეგნაირად. აფიცრები შკოლებში იქნებიან მივლინებული. გენერლების საკითხი კი ცოტა ხნით ვითომდა მოგვარებულია. მათ ეძლეოდეთ იქნება ჯამაგირი შესაძლოა რამოდენიმე თვე. (რამდენ ხანს ეს არ ვიცით), არც ერთ შკოლაში არ იქნებიან ჩარიცხულნი და არც ნაწილებში გაგზავნილი. ეს არის მაქსიმალური, რისი მიღწევა შევძელით მე და ზაქარიაძემ (ზაქარიაძე ამისთვის სპეციალურათ ერთი კვირით გამოვიხმე ვილნოდან). ვინმეს მიღებაზე ზედმეტია ლაპარაკიც კი. რამე ცვლილებები თუ მოხდა, შევეცდები დუდუჩავას შესახებ. ახლა კი მოგახსენებთ, სამწუხაროთ, ვერც აღვძრავ შეამდგომლობას.

კომიტეტის მდგომარეობაზე უნდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვით მაინც. კომიტეტი უკიდურეს კრიზისს განიცდის. არსაიდან დახმარება. მე ნაცნობიც არ გამაჩნია, რომ ვალი არ მქონდეს აღებული. ყოველდღიურ ხარჯებს ვერ აუდივართ. უკანასკნელად იძულებული შევიქენი პორტსიგარი დამეგირავებინა, რომ კომიტეტის ბინის ქირა გადამეხადა. მდივანი, რომელიც მუშაობდა, სხვაგან ადგილი იშოვა და წავიდა, რადგან თვით რამოდენიმე საათის მუშაობაში დღიურათ, უკანასკნელი გადამწერიც კი მილიონებს ითხოვს თვიურად. არც ერთმა კომიტეტის წევრებიდან არ იცის, რომ თვითვე ვაწარმოოთ ყოველი მუშაობა, ისე კი ერთი პიროვნებაც ვერ დაგვიქირავებია. ყოველ დღე ჩემს თვალწინ კომიტეტის მუშაობის ლიკვიდაციის საკითხი დგას. მეორეს მხრივ ვიცი ეს რას ნიშნავს. ბ. პ. თუმანიშვილი, რომელიც როცა დრო გააჩნია არას ჰზოგავს და მეხმარება, თვით წარმოუდგენელ მდგომარეობაშია. უნდა მოგახსენოთ გულახდილად, მე გამოსავალს ვერ ვხედავ, ვერც სხვა კომიტეტის წევრები ხედავენ. თუ ადრე აქ ცვლილებები მოხდა, მდგომარეობაც შეიცვლება, მანამ კი არ ვიცით რა ვქნათ. იანვარ-თებერვალში გვინდა საღამო გავმართოთ (ერთად-ერთი ჩვენი იმედი). მანამ კი როგორ მოვიქცეთ? ყოველმა ჩემმა მიმართვამ ამ სამინისტროსადმი უნაყოფოდ ჩაიარა. ისეთი მდგომარეობაა, ვერც მოვთხოვთ. აგვისტო-სექტემბრის 1/3 ჯამაგირისა მოსამსახურე-მუშებისათვის ვერ მიუცია. ამავ დროს სწარმოებს ყოველგან შტატების შემცირება.

პირადათ ჩემზე ვერ შეგანუხებთ. მეტად მადლობელი ვიქნები, თუ განკარგულებას მოახდენთ, რომ სექტემბრის ჯამაგირი გამომეგზავნოს

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 119, ფ. 16-17.

და ოქტომბრისაც. ოთახში თვიურად სამი მილიონი უნდა ვაძლიო, ე.ი. ჩემი ჯამაგირის ნახევარზე მეტი.

აქვე გაახლებთ ამონაჭრებს გაზეთებიდან ჩვენი საკითხის შესახებ.

სალაყაია."[1]

„4.X, 1923 წელი, ქალაქი ვარშავა.

ბ. აკაკი ჩხენკელს

აფიცრების საკითხი ისევ წამოიჭრა მას შემდეგ, რაც უკანასკნელი მოხსენება გაგიკეთეთ. ორი კვირა აბსოლიუტურათ არ ვიცოდი თუ რა ბედი ეწეოდათ მათ. მთელი რიგი კონფერენციებისა გაიმართა საგარეო სამინისტროსა და შტაბს შორის ოფიცრების შესახებ. ყველაფრის მოწერას ვერ ვახერხებ. ახლა საბედნიეროთ ყოველივე მოგვარდა. აფიცრებს ჩააბარეს ბრძანებები და უკვე გაემგზავრნენ სხვა და სხვა ადგილებში.

მწვავეთ დგას საკითხი 15 სექტემბერს დამთავრებულ იუნკრების (7კაცი) აფიცრობის შესახებ. ბრძანება დღესაც არაა. იმართება კონფერენციები საგარეო საქმეთა სამინისტროს და სამხედრო სამინისტროს შორის მათ შესახებ. ჯერ რამეს თქმა შეუძლებელია. ვიღებ ყველა ზომებს, რათა არ დაბრკოლდნენ. შედეგს მოგახსენებთ. უკანასკნელ ხანებში მთელ მუშაობას აფიცრების შესახებ ვანარმოებ და სხვა რამეზე მოცალეობა აღარ მაქვს.

უნდა მოგახსენოთ, რომ აფიცრების და იუნკერების საკითხის შეჩერებამ მთელი რიგი მითქმა მოთქმისა გამოიწვია. იმასაც კი ლაპარაკობდენ, რომ ჩვენ მთავრობას არ სურსო, რომ ჩვენ პოლონეთის სკოლებში ვიყოთო და სხ. დღითი დღე ერთი სამწუხარო მოვლენა ემჩნევა ემიგრაციას, ის თანდათან ძირს ეშვება. ვშიშობ ვინმესი დაფარული ხელი არ მუშაობდეს. ხშირად ბევრი რამე მესმის, მაგრამ შემოწმება მეტად ძნელია. პოლიტიკურ მდგომარეობაზე ბევრ რამეს ვერ მოგახსენებთ. კრიზისი თანდათან იზრდება. დამოკიდებულება მთავრობასა და ოპოზიციას შორის დღითი დღე მწვავდება. განსაკუთრებით დიდი ოპოზიციაა სამხედრო ელემენტებში. უკანასკნელ დღეებში რამოდენიმე გამოჩენილი სამხედრო პირი დაითხოვეს. ოპოზიციის დაჟინებითი მოთხოვნით, გადაწყდა 9 ოქტომბრისთვის სეიმის მოწვევა. ოპოზიციის ერთი ლიდერი მეუბნებოდა გუშინ, რამდენათაც მკაცრათ ვანარმოებთ ბრძოლას, მით მეტ ჟინიანობას იჩენს მთავრობაო, და ეს კი უფსკრულისკენ მიგვაქანებსო.

გაზეთებში უკანასკნელ დღეებში არის ცნობები, ვითომ რუსეთი დიდძალ ჯარს აგროვებდეს პოლონეთის საზღვრებზე. რუსეთი ამ ცნობებს არ უარყოფს.

ამ დღეებში კიდევ გამოგიგზავნით მოხსენებას.

ი. სალაყაია."[2]

ეს წერილები ნათლად აჩვენებენ პოლონეთში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ ვითარებას, ასევე, პოლონეთის ქართულ სამხედრო ემიგრაციაში

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 119, ფ. 18.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 119, ფ. 20.

არსებულ მდგომარეობას, პოლონეთის ხელისუფლების ლოიალურ დამოკიდებულებას ქართველი სამხედროებისადმი.

პოლონეთის სამხედრო კოლონიაში იმყოფებოდა ჯავშნოსანი მატარებლის ცნობილი მემანქანე ვალოდია გოგუაძე[1], რომელმაც ვერაფერი სამუშაო მიიღო, ვერც ფინანსური დახმარება გაუწია პოლონეთის ქართულმა წარმომადგენლობამ. გოგუაძემ გადაწყვიტა პარიზში წასვლა და ლევილის ქართულ მამულში საცხოვრებლად დამკვიდრება. ის ამის თაობაზე წერილებს უგზავნიდა კარლო ჩხეიძეს და ევედრებოდა ამ საქმეში დახმარებას.

„მე აქ პოლონეთში ვერ ვიშოვნე სამსახური და იძულებული ვარ სარჩენი გავხდე აქაური კომიტეტის და მთავრობისა. გთხოვთ გადამიყვანოთ საფრანგეთში და მომცეთ ან საერთოთ ან ჩემთვის მამუშაოთ ჩვენ პატარა მამულში. მე ჩემი შრომით შევინახავ ჩემ თავს და ამით მთავრობა განთავისუფლდება ჩემი დახმარების საკითხიდგან. მუშაობა შემიძლია მამულში დაუღალავი. ჩემი მეუღლე მსურველია შეისწავლოს მაქ საფრანგეთში განვითარებული მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის თესლის მომზადება. ეს დარგი საქართველოსთვის საჭიროა და როდესაც მაქ გადმოვალთ, ვეცდებით, რომ ჩემი მეუღლე იქ მოვათავსოთ, რომელმაც მომავალში უნდა უპა-

[1] ვალოდია გოგუაძე, — (1881-1954), სოციალ-დემოკრატი რევოლუციონერი. ვალოდია გოგუაძე დაიბადა გურიაში ღარიბი, მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში. 1900 წელს გაიწვიეს რუსეთის არმიაში. მსახურობდა ოდესაში, მანჯურიაში 1901-02 წლებში. 1903 წლიდან მუშაობდა ბაქოს რკინიგზაზე. ბაქოში გოგუაძე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. 1904 წელს გაწევრიანდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციურ გამოსვლებში ბაქოში, შემდეგ — გურიაში, მთავრობის მიერ კანონგარეშედ იყო გამოცხადებული და მკვლელებიც ჰყავდა მიჩენილი, მაგრამ გოგუაძე ყოველთვის ახერხებდა დასხლტომოდა მტერს, თუმცა მრავალჯერ დაიჭრა ბრძოლებში. ის ფაქტობრივ მფარველად მოევლინა გურიის მოსახლეობას, რომელიც აკლებული ჰყავდა მოთარეშე ბანდებს. 1917 წლის რევოლუციის დროს მონაწილეობდა თბილისის „წითელი გვარდიის" (შემდეგში საქართველოს სახალხო გვარდია) შექმნაში. გოგუაძემ ჩამოაყალიბა ჯავშნოსანი მატარებლის რაზმი 80-მდე კაცის შემადგენლობით, რომელიც მთელ საქართველოში მოძრაობდა წესრიგის აღასადგენად, 1917 წლის 11-12 დეკემბერს გვარდიასთან ერთად აიღო თბილისის არსენალი, რომლითაც დაიწყო ქართული შეიარაღებული ძალის ფორმირება. ჯავშნოსანი მატარებლის მეშვეობით მოხერხდა პირველი მსოფლიო ომის ფრონტიდან მობრუნებული რუსეთის 200 ათასიანი ჯარის ეშელონებით თბილისისთვის არიდება და აზერბაიჯანში გადაყვანა. განსაკუთრებული გმირობა გოგუაძის რაზმმა გამოიჩინა 1918 წლის იანვარ-მარტში აჭარასა და გურიაში შეჭრილი ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ. 1918 წ. 13 აპრილს ამიერკავკასიის საოლქო დელეგატების სხდომაზე ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის და ევგენი გეგეჭკორის ნარდგინებით გოგუაძე ეროვნულ გმირად აღიარეს და რევოლუციის პირველი გმირის წოდება მიანიჭეს. გოგუაძე ჯავშნოსანი მატარებელით მონაწილეობდა მთელ რიგ სამხედრო ოპერაციებში, მათ შორის სამხედრო ნაწილების ამბოხების ჩახშობაში ქუთაისსა და თელავში (1918 წ. თებ.), ბორჩალოს მაზრაში (1918 წ. ივნ.), სომხეთთან ომში (1918 წ. დეკ.), საბჭოთა რუსეთთან ბრძოლებში (1921 წლის თებ.). ამ უკანასკნელი ომის დროს მძიმედ დაჭრილი გოგუაძე მეგობრებმა სტამბოლში ნაიყვანეს, სადაც ის ფრანგულ ჰოსპიტალში მკურნალობდა. სტამბოლში მას მეუღლემ ჩააკითხა. 1923 წელს ისინი ემიგრაციაში წავიდნენ და თავი ლევილის მამულს შეაფარეს. გოგუაძემ ემიგრაციაში დაწერა ვრცელი „მოგონებები", თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარების საფრანგეთში შესვლისას ავტორმა ხელნაწერები ცეცხლს მისცა. გოგუაძის „მოგონებების" ფრაგმენტები, რომელიც ძირითადად 1890-1919 წწ. პერიოდს ასახავს, გადაარჩინა და 1963 წ. პარიზში ქართულად გამოსცა მისმა მეუღლემ. გარდაიცვალა იქვე. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ტრონოს ჩემს ოჯახში დარჩენილ 15 მცირეწლოვან უპატრონოთ დაცვენილ ბავშვებს. ჩემი მეუღლე არის კურსისტკა მედიკური ფაკულტეტიდგან, ის მედიკურ დარგს ანი ვეღარ შეისწავლის შექმნილი პირობების გამო. გთხოვთ შეგვისრულოთ ჩემი თხოვნა და ჩვენც გავამართლებთ სამაგიერო სიკეთით.

დასკვნა

1) თანხმობა, რომ მაქ მე მომცემთ სამუშევარს საერთოს ან ჩემთვის რომ ჩემი თავი მე ვირჩინო ჩემი შრომით.

2) თუ თქვენ გაგიჭირდებათ მეაბრეშუმეთა საზოგადოებაში, მე თვითონ ვიმეცადინებ, რომ ჩემი მეუღლე მივაღებინო.

თუ თანახმა იქნებით,საჭიროა მაქაური ვიზის გამოგზავნა, ვლადიმირ საბას ძე გოგუაძის და ივლიტა ანტონის ასულ გოგუაძის სახელზე. ეს ჩემი თხოვნა არის ჩემთვის საბედისწერო საკითხი და იმედია უყურადღებოთ არ დატოვებთ.

მთხოვნელი ვლადიმერ გოგუაძე

28 აპრილი, 1923 ნელი."[1]

მომდევნო წერილში კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩენდა გოგუაძე თავის მდგომარეობას.

„თქვენგან საპასუხო წერილი ვერ მივიღე, ვიცი ძალიან დაკავებული ხართ, მაგრამ „ეს ჩემთვის ყოფანა-არყოფნის საკითხია. აქ სამსახური ვერ ვიშოვე, სალაყაია ვერ მეხმარება მატერიალურათ და მაქედანაც (პარიზიდან) დახმარებას ვერაფერს ვღებულობ. ჯერჯერობით განწირული ვარ ყოველი მხრიდან. მომბეზრდა ყოველდღე იმაზე ლაპარაკი, რომ პურის ფასი არ მაქვს, მინდა რომ ჩემი თავი ჩემი შრომით ვირჩინო. ამისთვის კიდევ გთხოვთ მაქ შეაგნებინოთ ყველას, რომ სარჩენი არ ვიქნები და ჩემით ვიშრომებ. თუ იმას ფიქრობთ, ვალოდია რომ აქ მოვიყვანოთ სხვებიც შეგვაწუხებენო, არავინ, აქ ყველა უკვე ეწყობიან ალაგზე, მე არ მღებულობენ, რადგანაც დაზიანებული ვარ ჭრილობებით. სალაყაიასთან ვიყავი, გამოირკვა, რომ ვიზის ნებრთვის განკარგულება ან ვიზა საფრანგეთის მთავრობამ უნდა გამოუგზავნოს თავის წარმომადგენლობას პოლონეთში, რომ მე და ჩემი მეუღლე გამოგვიშვან. ეს როგორ უნდა გაკეთდეს ყველამ იცის მაქ. სრული იმედი მაქვს, რომ უყურადღებოთ არ დამტოვებთ. წასავალ-წამოსავალი ვალიკო ჯუღელს დაავალეთ, ის შრომას ჩემთვის არ დაზოგავს... ნუ დამიგვიანდება, უმუშევრათ ვიყანგები და სული და გული მიღონდება.

მარადის თქვენი მოიმედე ვალოდია გოგუაძე

აქ მშვიდობა არის, იოსები კარგათ მუშაობს."[2]

გოგუაძეს დაეხმარნენ და გადაიყვანეს ლევილში საცხოვრებლად.[3]

საქართველოს დიპლ. წარმომადგენელი ვარშავაში — იოსებ სალაყაია 1924-1925 ნლებში კვლავ პოლონეთის ემიგრაციის მდგომარეობაზე წერ-

[1] სცსსა, ფონდი 2115, საქმე 105. ფ. 1-2.
[2] სცსსა, ფონდი 2115, საქმე 105. ფ. 3.
[3] სცსსა, ფონდი 2115, საქმე 105. ფ. 5.

და აკაკი ჩხენკელს. ამავე პერიოდს ეკუთვნის ქართველი ოფიცრების — ი. სალაყაიას, ქ. ჩოლოყაშვილის, ალ. ზაქარიაძის და პ. ჭავჭავაძის მიმართვა ვარშავიდან აკ. ჩხენკელისადმი, საქართველოს გასანთავისუფლებლად მორალურ და მებრძოლ ძალთა შეკავშირების შესახებ. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საქართველოდან საზღვარგარეთ წასული ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჯერ პოლონეთში ჩავიდა და იქაურ სამხედრო ემიგრაციას შეუერთდა, საბოლოოდ კი საფრანგეთში გადავიდა.

„9. 04, 24, სალაყაია ჩხენკელს.

საქართველოს ელჩს საფრანგეთში ბატონ ჩხენკელს

ერთ კვირაზე მეტია, რაც აქ ვიმყოფები, და თუ დღემდე ვერ შევძელი მოხსენების გამოგზავნა თქვენთვის, აიხსნება იმით, რომ ჩვენ აქ მდგომარეობას საკმაოთ გავცნობოდით და მხოლოდ მას შემდეგ გამეკეთებინა მოხსენება. მდგომარეობის გაცნობა კი დღემდე ვერ შევძელი. დავიწყებ ოფიცრების საკითხებიდან. თუ როგორ დგას ეს საკითხი დღეს. როგორც მოგეხსენებათ დიდ ნაწილი ოფოცრებისა კონტრაქტით მიღებულნი არიან ან იქნებიან მიღებულნი (ასეთია დაპირება), რჩება 13 მაღალი ხარისხის ოფიცერი (გენერლები და პოლკოვნიკები). მათი საკითხი მეტად მწვავედ სდგას. ერთის მხრივ, არსებობს სურვილი მათი მიღებისა სამსახურში მეორეს მხრივ კანონი ამის უფლებას არ აძლევს. ამასთანავე ინტერნაციონალურ მდგომარეობას დიდ ანგარიშს უწევენ და აქვე უნდა დავუმატო ფინანსური მხარეც, რაც საქმეს აბრკოლებს. აი ის, რაც განმიცხადა იმ მაღალმა მოხელემ, რომელსაც ეს საქმე აქვს ხელში, რომელიც (აქვე შევნიშნავ, ჩვენი დიდი მეგობარიცაა) საქმეს მსვლელობას არ აძლევს, რადგან გამოსავალს ვერ ხედავს. მე ჩვენი საერთო მოსაზრებები მოვახსენე, რასაც ის სრულიად იზიარებს, მაგრამ ჯერ... (გაუგებარია, მოხეულია) მხრივ არაფრის გაკეთება არ შეიძლება. უქმეების შემდეგ ვფიქრობ პოლიტიკური მოღვაწეების ამ საქმეში დაინტერესებას. ყოველ შემთხვევაში ყველაფერი იქნება გაკეთებული ჩემი მხრივ, რომ საქმე მოგვარდეს. ვნახოთ. ახლა გადავალ ახალი ჯგუფის მიღების საკითხზე. თქვენ გახსოვთ ის რეზოლუცია, რომელიც შუამდგომლობაზე იყო დადებული, რეზოლუცია, რომლის შემდეგ დიდი იმედი უნდა გვქონოდა ახალი ჯგუფის მიღების მიღების შესახებ. სინამდვილე სულ სხვას გველაპარაკება. იყო იმედი მოსაზღვრე ადგილებში მათი ჩარიცხვის. ეს აბსოლუტურათ შეუძლებელია, (ასეთი იყო განცხადება), მე მაინც ვითხოვდი როგორმე მოგვარებას. ჯერ არავითარი იმედი არ მოუციათ. თუმცა იმასაც მელაპარაკებიან, რომ ჩვენის მხრით არავითარ ცდას არ დავაკლებთო და მთხოვეს განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროზე ვიმოქმედოთ, რაც ხდება. ექვსი აფიცრის შესახებ, რომლის შესახებ მწერდით და მელაპარაკებოდით, თუმცა სურვილი არსებობს, მაგრამ არაფრის თქმა არ შეგვიძლიანო. სამინისტროს სურვილზე ვილაპარაკე, მაგრამ შტაბი საკითხს მეტად სერიოზულად უყურებს. ამ დღეებში ზოგიერთი პირები უნდა ვინახულო და მაშინ მოგახსენებთ.

ახლა ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ კოლონიაში სულისკვეთებაზე და კომიტეტის მუშაობაზე. აქაური მდგომარეობა ბევრათ წააგავს პარიზის მდგომარეობას. სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნო, რომ დღეს აქ მდგომარეობა უფრო უარესია, ვინემ პარიზში, როცა პირველად ჩამოვედი, რასაც რასაკვირველია (მოხეულია) არ მოველოდი. სანამ ყურულაშვილი ცოცხალი იყო, მას საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია შეუქმნია, რომელიც დიდ კონფლიქტშია კომიტეტთან დღესაც. არის მეორე ჯგუფიც, რომელიც მეტად ცუდ განწყობილებაშია კომიტეტთან. აქ შექმნილა პატარა ჯგუფი აფიცერთაგან ალბათ პარიზის გავლენით და ბ. ასათიანის მუშაობით, ესეც უნდა აღვნიშნო როგორც მეტად მაზარალებელი ჩვენი საქმისათვის. შესაძლებელია თუ არა უთანხმოებების აღმოფხვრა, რასაკვირველია, ძნელი სათქმელია. მე პირველ დღიდანვე მეტად ლოიალური პოზიცია დავიჭირე და ვფიქრობ ამ რიგათ რამეს მივაღწიო. მივაღწევ თუ არა, არ ვიცი. მე ყველაზე უფრო ვშიშობ, რომ შინაური ჭირი გარეთ არ იქნეს გატანილი, რაც უთუოდ გვავნებს. შესაძლოა კომიტეტი მეტი ლოიალური ყოფილიყო, ბევრი რამ არ იქნებოდა. მერწმუნეთ, რომ იქ, სადაც ჯოხზე და რევოლვერებზეა ლაპარაკი კომიტეტის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, იქ საქმე ვერ არის კარგად. პარტიულ ჯგუფებზე რომ იყოს ლაპარაკი, მაშინ რასაკვირველია, ბევრი რამ გასაგები იქნებოდა, მაგრამ ეს ასე როდია. თქვენ მოგეხსენებათ, რომ არჩევნები აქ არ მომხდარა კომიტეტის. მთავარი მიზეზი ყოფილა შიში, რომ ხელმძღვანელს გააშავებდენ. თვით კომიტეტის მუშაობაზე მე არ მაქვს უფლება რამე მოგწეროთ, სანამ პ. თუნმანიშვილი ავათ არის და სანამ მასთან არ მექნება ლაპარაკი იმ საკითხებზე და იმ ნაბიჯებზე, რომელთა შესახებ მე კომიტეტის წევრებიდან მაქვს ცნობები. ერთი ეჭვს გარეშეა, რომ პ. თუმანიშვილი გამხდარა იარაღი ბ. გურსკის და ბევრი ისეთი ნაბიჯები უნდა იყოს გადადგმული, რომელიც უარყოფით დაღს დაასვამს ჩვენს აქაურ საქმეს. მეტად ვსწუხვარ, რომ ეს ასეა. მთელი ჩემი არსებით შევეცდები კონფლიქტებს თავი ავარიდო და რის გასწორებაც შესაძლებელია, გავასწორო მშვიდობიანი გზით. და თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ მე დირექტივებს გთხოვთ როგორც თქვენ, ისე მთავრობას.

ი. სალაყაია."[1]

სამხედრო წრეებში შექმნილი დაპირისპირების გამო ემიგრაციის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა მიეღო საიდუმლო დადგენილება, რითაც შეაჩერებდა ჯარის ნაწილებში მომუშავე სამხედროთა პოლიტიზირებას, სამხედრო პირთა იდეოლოგიურ კონფრონტაციას.

„ცირკულარულად
ფრ. საიდუმლოდ
24/VII 25 ნ., ვარშავა

გიგზავნით-რა უსასტიკეს სახელმძღვანელოდ ამონაწერს მთავრობის და დამოუკიდებლობის კომიტეტის დელეგაციის დადგენილებიდან, გთხოვთ დაუყოვნებლივ გვაცნობოთ თქვენი პირადი დამოკიდებულება ამ

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 345, ფ.2.

დადგენილებისადმი შემდეგი მისამართით: Warshava, Granuzna 7. m.5 Zacharyadze

დადგენილებიდან ამონაწერი

გამოეცხადოს ყველა ჩვენ ოფიცრებს მთავრობის და დამოუკიდებელი კომიტეტის დელეგაციის სახელით, რომ თუ ვინმე იმათგანი შედის რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაში ან რაიმე პოლიტიკურ მუშაობას ეწევა, ახლავე თავი გაანებონ ყოველგვარ ასეთ მოქმედებას, მათ კარგათ იციან, რომ სამხედრო პირები ყოველგვარ პოლიტიკის გარეთ უნდა იდგენ; მათ მოქმედებას პოლონეთის მთავრობა ყურადღებას აქცევს; ისინი ჩვენი თხოვნით არიან ჩარიცხულნი სწავლისათვის თუ სამსახურში; ამიტომ ვაფრთხილებთ და შემდეგისთვის თუ საქმე გაიფუჭეს, მთავრობა და დელეგაცია ყოველგვარ პასუხისმგებლობას თავიდან იხსნის.

განვდით ოფიციალურ ინფორმაციას: 1) მთავრობა და დამოუკიდებელი კომიტეტის დელეგაცია არიან უზენაესი ორგანო ქართველი ერისა; დელეგაციაში შედიან თითო წარმომადგენელი ყველა პოლიტიკური პარტიების საქართველოსი, რომელთაც აქვთ რწმუნება და ინსტრუქციები უშუალოდ საქართველოდან.

2) არავითარი ახალი ჯგუფი პარიზში არ დაარსებულა; ყველა პარტიები მთავრობასთან ერთად განაგრძობენ მუშაობას; მართალია გამოვიდა გაზეთი „სამშობლოსათვის", მაგრამ ეს არ არის ორგანო რომელიმე პარტიის ან ჯგუფის, არამედ გამოცემულია ორი კაცის — სპ. კედიასი და ალ. ასათიანის მიერ. არც ერთ პარტიას არ მოუწონებია მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი.

ქართული კომიტეტის თავმჯდომარე პოლონეთში.

კომიტეტის წევრი."[1]

ქვემოთ მოტანილი წერილები, რომელიც ი. სალაყაიამ 1925-1928 წლებში გაუგზავნა პარიზში მყოფ აკაკი ჩხენკელს, დაწვრილებით გვაცნობს პოლონეთში მცხოვრები ქართველი სამხედროების მდგომარეობას, ემიგრანტულ წრეებში მიმდინარე მოვლენებს. მათში კარგად ჩანს ქართველი ემიგრანტების არა მარტო გასაჭირი, არამედ შეუთანხმებლობა, პარტიული და პირადი კონფლიქტები, ერთიანი მოქმედების უქონლობა. საერთო ენის გამონახვისა და, თუ გნებავთ, უცხო ქვეყანაში თავის გადარჩენისათვის გაერთიანების სურვილი, სამწუხაროდ, მათში არ არის.

„31/VIII 1925 წ.

ქ. ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში

თქვენი მოწერილობა 15/VII 25 თარიღით მივიღე. რადგან თქვენი წერილის მიღებამდე მთავრობის თავმჯდომარის წერილი მქონდა მიღებული, მე ბ. კ. კანდელაკის სახელზე გადავაგზავნე თარგმანი იმ წერილის, რომელიც მთავრობის საწინააღმდეგოთ იყო „კურიერ ვარშავსკ"-ში, აგრეთვე პასუხიც, რომელიც „გლოს ვსხოდუ"-ში იყო მოთავსებული. ვიმედოვნებ, თქვენ ამ წერ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2 საქმე 348, ფ. 3

ილებს გაეცანით. ყველა აფიცრებს დაეგზავნა ის დადგენილება, რომელიც მთავრობის დელეგაციის მიერ იყო გამოტანილი. ზედ დაურთე ზოგიერთი განმარტებანი, რომელიც თქვენი უკანასკნელი წერილიდან ამოვიღე. ერთ ცალს, აფიცერთადმი დაგზავნილი დოკუმენტისას აქვე გაახლებთ.

ამ ერთი კვირის წინათ კომიტეტის სხდომაზე დადგენილ იქნა არჩეულ იქნას კომიტეტის თავმჯდომარე. თავმჯდომარედ მე ვიქენი არჩეული. ბ-ნ თუმანიშვილმა თავის კანდიდატობაზე უარი განაცხადა. დამოკიდებულება ბ. თუმანიშვილსა და კომიტეტს შორის ჯერ არ არის ამოწურული. მთელი რიგი სხდომებისაა დანიშნული ამ დამოკიდებულების გამოსარკვევად და როცა საკითხი გამოირკვევა, მოგახსენებთ.

აქვე კომიტეტი თქვენს სახელზე გზავნის ქაღალდს, რომელშიდაც გთხოვთ, რათა პარიზიდან იქნეს ზეგავლენა მოხდენილი პრაღის კოლონიაზე. ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს პრაღაში შექმნილ ვითარებას, რომელიც არა ერთი დღეა გრძელდება.

გენ. სერედა ტეოდოროვსკისადმი თქვენ მიერ გადმოგზავნილი მადლობის ქაღალდი, მხოლოდ გუშინ გადავეცი, რადგან სამსახურის გამო ვარშავაში არ იმყოფებოდა. მის აღტაცებას და მადლობას საზღვარი არ ჰქონდა. საპასუხო მადლობის წერილს მისგან ამ დღეებში მიიღებთ.

მე თუ წერილის გამოგზავნა დამაგვიანდა, აიხსნება იმით, რომ ბრონხიტი დამემართა, რამოდენიმე დღე ვიწექი, ახლაც კი გლახათ ვგრძნობ თავს, მაგრამ საავათმყოფოთ არ მცალიან. მოკლე ხანში უფრო ვრცელ მოხსენებას გაგიკეთებთ.

სალაყაია."[1]

„12. IX. 25 9/IX 1925

ქ. ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში ბ. აკაკი ჩხენკელს

აქ ჩამოვიდნენ პოლ. ჩოლოყაშვილი და გენ. ჭავჭავაძე. მე და გენ. ზაქარიაძეს მათთან რამოდენიმეჯერ შეხვედრა გვქონდა. რამოდენათაც შეგვეძლო პატივი ვეცით. მათი გადმოცემით ჩამოვიდენ აფიცერთა მოსარიგებლათ (მართლაც აფიცერთა ერთმანეთშორის დამოკიდებულება არა სასურველია) და მეორეს მხრივ ხელი შეუწყონ პარიზში მყოფ აფიცერთა მიღებას სამსახურში. ორივე მიზანი სასარგებლო და სასიამოვნოა. აფიცერთა შერიგება მართლაც მოახდინეს, მაგრამ მათმა შემდეგში მუშაობამ ხელახლა გამოიწვია აფიცერთა შორის უთანხმოება. რაც შეეხება ახალ აფიცერთა მიღების საკითხს, ეს რასაკვირველია არა ადვილი საქმეა. დიდი ხანია გვპირდებიან, მაგრამ მე ნაკლები იმედი მაქვს აქედან რამე გამოვიდეს, მით უმეტეს, ჯერაც არ არის გადაწყვეტილი საკითხი აქ მყოფ პოლკოვნიკებსა და ღენერლების შესახებ, რომელნიც სამსახურში არ იმყოფებიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი ჯამაგირს ღებულობენ. შესაძლოა აქტუალურ საკითხად გადაიქცეს ახალ აფიცერთა მიღების საკითხი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძველები ასე თუ ისე მოეწყობიან.

[1] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 348. ფ. 1-2..

როგორც მოგახსენეთ ორ ზემო აღნიშნულ მიზნით ჩამოვიდენ ჩოლოყაშვილი და ჭავჭავაძე, მათივე გადმოცემით, მხოლოდ შემდეგში გამოირკვა, რომ ისინი ჩამოვიდენ იმ პირთა დაჟინებული მოთხოვნით, რომელთა ლოიალობა მეტად საეჭვოა და სულ სხვა მიზნით. აქ გადაუწყვეტიათ აფიცერთა კონფერენციის მოწყობა და ამისთვის ტელეგრამით გამოუხმიათ პროვინციაში მყოფი ზოგიერთი აფიცრები, რაც არც მე და არც გენ. ზაქარიაძემ არ იცოდა. ათიოდე დღის წინეთ სამი აფიცერი ჩავიდა. შედგა კონფერენცია, რომელსაც 11 აფიცერი დაესწრო. პირველ დღეს რეზოლუციის პროექტი შეუდგენიათ, მაგრამ არ მიუღიათ (ამ პროექტს აქვე გაახლებთ). მეორე დღეს კონფერენციას გენ. ზაქარიაძეც დაესწრო ჩემთან შეთანხმებით, გაახლებთ „იმ რეზოლუციას", რომელიც მიუღიათ.

მე რადგან არა ოფიციალურად გავიგე, რომ კონფერენცია ხდებოდა, ვინახულე ჩოლოყაშვილი და ჭავჭავაძე და გავაფრთხილე, რომ ყოველი ნაბიჯი, რომელიც იქნება გადადგმული, უნდა იცოდეს აქაურ ოფიციალურ ორგანოებმა, რადგან ჩვენი აქაური ოფიცრები იმყოფებიან სულ სხვა პირობებში, ვინემ პარიზის ოფიცრები. მათაც დამპირდენ, რომ ამას შეასრულებენ. მათ კიდევაც დაპირება შეუსრულებიათ და რეზოლუცია შტატებისათვის წარმოუდგენიათ.

ჩემთვის, როგორც მთავრობის წარმომადგენლისათვის, რეზოლუცია მიუღებელია, რადგან არ ვიცი რა მიზნისთვის უნდათ საერთოდ რეზოლუციის გამოყენება. ის აფიცრები, რომლებიც პოლონეთის ჯარში იმყოფებიან, პოლონეთის განკარგულებაში უნდა იქნენ იმ დრომდე, სანამ საქართველოს კანონიერი მთავრობა მათ არ გამოითხოვს. მე ჩემი აზრი გავაცანი როგორც საგ. სამ. ისე შტაბს. საგ. სამ. ამ საკითხის შესახებ რამოდენიმეჯერ კონფერენცია იყო. სამინისტროს აზრი შემდეგი გახლავთ: ა) ის წინააღმდეგია ყოველგვარი რეზოლუციის გამოტანის და მასზე ხელის მოწერის აქაურ აფიცრების მიერ, რადგან ასეთი რეზოლუცია შესაძლოა სხვათა შორის ხელში ჩაუვარდეს ბოლშევიკებს. ბ) საგ. სამ. ვერ გაუგია, თუ როგორ ხდება ის, რომ პოლონეთში სამუშაოთ ჩამოდიან და კავშირს არა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთან იჭერენ და მის საშუალებით ამა თუ იმ ნაბიჯებს დგამენ, არამედ ისეთ პირებთან იკავებენ კავშირს, რომელნიც მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ. მთხოვეს ოფიციალურად ვაცნობო მთავრობას შემდეგი, თუ მომავალშიც განმეორდა იქიდან ვინმესი ჩამოსვლა არა მთავრობის მანდატით, პოლონეთის მთავრობა იძულებული იქნება არც ერთი ქართველი არ შემოუშვას. დიდ შეღავათებს ვიძლევით და თქვენს საქმეს დღითი დღე რევენო. ეს გახლავთ საგ. სამ. აზრი. შტაბში ორი აზრი ტრიალებს. ერთისთვის სრულიად მიუღებელია, რაიმე რეზოლუციის გამოტანა და მასზე აფიცრების მიერ ხელის მოწერა, ზოგს კი მიაჩნია, რომ რადგან რეზოლუციას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, ასეთი რეზოლუციის მიღება აფიცრებს შეუძლიათ.

როგორც გადმომცეს, გუშინ წინ ბ-ნი ჩოლოყაშვილი და მაიორი ერისთავი პროვინციაში წასულან, სადაც 80% აფიცრებისა იმყოფება, რომ ხელი მოაწერონ რეზოლუციას. ამის შესახებ არც მე და არც ზაქარიაძემ

არაფერი ვიცოდით. საერთოდ უნდა ვაღიარო, რომ ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც ეჭვს გარეშეა ზიანს გვაყენებს. პოლონეთი დღეს დიდ ეკონომიურ-ფინანსურ კრიზისს განიცდის. ამას წინეთ ზლატი (22 აგვისტოს) 30% -ით დაეცა, შემდეგ ეს გამოსწორდა, მაგრამ მაინც 9%-ით დაცემულია. ამას მოჰყვა მთელი რიგი შედეგები: სიძვირე მატულობს, რამოდენიმე ბანკმა კრახი განიცადა, რადგან კრედიტებს არ აძლევენ, და სხ. 3 სექტემბერს აქ პარტიის ლიდერთა კრება იყო და მთავრობის შეცვლის საკითხი დასვეს. 15 ამ თვემდე ეს საკითხი გადიდო, მაგრამ მთავრობის კრიზისი ფაქტიურად არსებობს. ჩვენ არ ვიცით კრიზისის შედეგი როგორი იქნება, ყოველ შემთხვევაში, არა უკეთესი, ვინემ დღეს, და ამ დროს არა სასურველ მომენტების შეტანა, რასაკვირველია კიდევ უფრო გვავნებს.

დამატებით ორი რამ უნდა მოგახსენოთ: 1) გენ. ჭავჭავაძემ და პოლკ. ჩოლოყაშვილმა (რომელნიც ჩვენთან შეხვედრის დროს დიდ ლოიალობას იჩენენ და მეტად თავაზიანნი არიან), სხვათა შორის გადმომცეს, რომ სამხედრო კავშირი დამტკიცებულია, როგორც ჩვენი მთავრობის მიერ, ისე საფრანგეთის; არ ვიცი რამდენად ეს სიმართლეს შეეფერება, მე ამის საბუთი ჯერ არ მაქვს. 2) ის პირები, რომელნიც გურსკის მეთაურობით ამ ორ პიროვნებას ახვევია, ყოველივეს ქუჩაზე იტანენ, და ბევრი რამ ასეთი ენვეთება აქაურ საზოგადოებას ყურში, რაც დაუშვებელია, მაგრამ ამის აღმოფხვრაში სრულიად უძლური ვარ.

ი. სალაყაია."[1]

„16/X 1925, ქ. ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში ბ-ნ ა. ჩხენკელს

დღევანდელ პოლიტიკურ მუშაობამ საზღვარ-გარეთ და განსაკუთრებით პოლონეთში, სადაც განსაკუთრებით ვგრძნობთ მთლიანობის აუცილებლობას, გვიკარნახა, რათა მოგაწოდოთ შემდეგი მიმართვა:

ქართველი ერის ხსოვნიდან არ აღმოფხვრილა და არც აღმოიფხვრება ის უბედურება, რომელიც ჩვენს სამშობლოს დაატყდა ერთი წლის წინეთ. გაღებული მსხვერპლით ერმა დაამტკიცა დიდი ნებისყოფა დამოუკიდებლობისადმი. იდეა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა გახდა მისთვის ეროვნულ მრწამსად.

ბრძოლა თავისუფლებისათვის უნდა გაგრძელდეს მთელი ერის ენერგიით, იმ აუცილებლობით, რომ წარსული შეცდომანი განმეორებული არ იქნეს. პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი წრენი — ყველამ უნდა გაიღოს მსხვერპლი განთავისუფლების საქმეში; მთელი გონება, ნებისყოფა და გამოცდანი ამას უნდა შეეწიროს.

გაერთიანება ყველა მორალურ და მებრძოლ ძალთა მისი მთლიანობის პოლიტიკაში, მოითხოვს შექმნას ისეთი ორგანოსი, რომლის მოქმედება სრულად ეფარდებოდეს აღნიშნულ მთავარ მიზანს.

ასეთი ორგანიზაცია ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს როგორც საერთო ორგანოს შექმნა მთავრობასთან. ერთად — პოლიტიკურ პარტიათა და სამხედრო წარმომადგენლებისაგან.

[1] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 348. ფ. 4-7.

ასეთი მთლიანი ორგანიზაცია აუცილებლად შეიქმნება, ყველასათვის ავტორიტეტული, მოისპობა უთანხმოებანი, შექმნილ იქნება ერთი მთლიანი ხელმძღვანელობა და მზადება ბრძოლისთვის.

გთხოვთ ეს ჩვენი მონოდება აცნობოთ როგორც მთავრობას, ისე პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს და თქვენი ავტორიტეტული გავლენით შეეცადოთ ხელი შეუწყოთ ამ გაერთიანების განხორციელებას.

ი. სალაყაია

ქ. ჩოლოყაშვილი

ა. ზაქარიაძე

სპ. ჭავჭავაძე

გრ. ალშიბაია."[1]

„17/X 1925, ქ. ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში ბ. ა. ჩხენკელს

ამ უკანასკნელ ხანებში აქ რამოდენიმეჯერ მქონდა შეხვედრა პოლკ. ჩოლოყაშვილთან, გენ. ჭავჭავაძესთან[2] და ბ. ალშიბაიასთან[3] (ეს უკანასკნელი პოლონეთში გადმოსახლდა). ყველასი ჩვენი აზრი იყო ცალცალკე გამოსვლები არ ყოფილიყო; არა ერთხელ მომიხსენებია თუ აქ ატმოსფერა არსებობს, ვცდილობთ ეს ატმოსფერა გავფანტოთ. რასაკვირველია, ძნელია იმის თქმა, თუ რას მივაღწევთ, ყოველ შემთხვევაში პირადათ მე ყოველივეს ვიღონებ რომ რამე შედეგი მოყვეს. ამასვე მპირდებიან ბბ. ჩოლოყაშვილი და ჭავჭავაძე. ჩვენ შევადგინეთ მომართვა, რომელსაც თქვენს სახელზე ვაგზავნი. ჩვენ ვითხოვთ, რათა როგორმე გაერთიანებას მივაღწიოთ. ამ მთლიან მუშაობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთში, აქ კი ყველა იმას შესჩერებია, თუ რას იტყვის პარიზი. გაერთიანების საკითხს კი ეტყობა მეტად დიდი დაბრკოლებები ეღობება ნინ. სამწუხაროთ მეტად დაშორებული ვარ თქვენს მუშაობას და კონკრეტულად არაფერი ვიცი თუ როგორ მიდის შეთანხმების საკითხი. მე ძლიერ მადლობელი ვიქნები თუ ამაზე დაწვრილებით შემატყობინებთ.

ახლა გთხოვთ ერთ კონკრეტულ საკითხზე პასუხს. როგორც ვიცით თქვენს მიერ, თუ არ ვცდებით, ბ. პავლე თუმანიშვილი იყო დანიშნული წითელი ჯვრის თავმჯდომარეთ. კომიტეტის წევრებს და ბ. პავლე თუმანიშვილსაც აინტერესებს შემდეგი: პ. თუმანიშვილი იყო დანიშნული პერსონალურად თუ როგორც კომიტეტის თავმჯდომარე. ძლიერ გთხოვთ

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 348. ფ. 8..

[2] სპირიდონ ჭავჭავაძე (1878-1952), რუსეთის არმიის ოფიცერი, დამოუკიდებელი საქართველოს გენერალი. მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში. დამარცხების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში პოლონეთში. 1947 წელს დაბრუნდა საქართველოში, 1951 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. შემდგომი ბედი უცნობია. მას არ შეხებია 1954 წლის ამნისტია.

[3] გრიგოლ ალშიბაია (1881-1957), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი აზერბაიჯანში 1918-1919 წლებში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა პოლონეთში. მისი ქალიშვილი — რუსუდანი (1919-2006) ცოლად პყავდა ცნობილ ემიგრანტს — გიევი გაბლიანს, მეორე ქალიშვილი კი — დ. ჩხატარაშვილს, გრიგოლ ალშიბაიას ვაჟი იყო — მიხეილი, რომელიც გერმანიაში, ქართულ სამხედრო ნაწილში მოღვაწეობდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ალშიბაიას შთამომავლობა გერმანიის დამარცხების შემდეგ აშშ-ში გადასახლდა.

ამაზე მიპასუხოთ. თქვენ მწერდით, პ. თუმანიშვილზე რომ კომიტეტში ამუშავეთო და ნუ მოიშორებთო, რასაკვირველია, ბ. თუმანიშვილი მუშაობს და კომიტეტს არც აქვს უფლება ვინმესი მუშაობიდან დათხოვისა, ეს კოლონიის კომპეტენციას შეადგენს, კოლონიის საზოგადო კრება კი ერთხელ ხდება წელიწადში. მიუხედავად უთანხმოებისა, მე არას დროს არ მიფიქრია, რომ პ. ბ. გრაბსკის მთავრობა გადადგა, თუმცა მისთვის უთანხმოებანი მინიმუმადე მივიყვანო.

ორიოდე სიტყვა კირილეზე[1], ის ამ დღეებში აქედან ტორუნში გადაყავენ რადგან მეტად ნერვიულია (ორი საუკეთესო საავათმყოფო გამოიცვალა), და უნდა თავის ნათესავებთან ახლო იყოს. შესაძლოა ეს უკეთესიც იქნეს.

მხოლოდ ერთი რამესი კი ძლიერ მეშინიან. სამხედრო ბიუჯეტი აქ ერთი მესამედით შეამცირეს. სამი გენერალი, რომელთაც 60 წელი შეუსრულდათ, შესაძლოა სრულიად ქუჩაზე დარჩეს. აღვძარით შუამდგომლობა, რათა ქვეშევრდომებად ჩასთვალონ, შესაძლოა მაშინ პატარა პენსია მისცენ, თუმცა ძლიერ ცოტა იმედი გვაქვს. მე და გენერალი[2] ძლიერ ვცდილობთ, რომ რამეს მივაღწიოთ, არ ვიცი რა გამოვა. თქვენი იოსები.

გთხოვთ, წერილის მიღება დამიდასტუროთ."[3]

„2. XI. 25, ქ. ვარშავა.

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში ბ-ნ ა. ჩხენკელს

როგორც ტელეგრამებიდან გაიგებდით ბ. გრაბსკის მთავრობა გადადგა, თუმცა მისთვის სეიმს უნდობლობა არ გამოუცხადებია და სეიმში უმრავლესობა ჰყავდა. მის მიერ წარდგენილი სეიმში რამოდენიმე პროექტიც ეჭვს გარეშეა უმრავლესობის მიერ მიღებული იქნებოდა ზოგიერთი შესწორებებით. მთავარი პროექტები იყო 1) სესხის და 2) ეკონომიური გაჯანსაღების. მას მხარს უჭერდა ორი დიდი ფრაქცია ნაციონალურ დემოკრატიული და სოც. დემოკრატიული, თუმცა მოსალოდნელი იყო ყოველდღე გრაბსკის მთავრობის გადადგომა, ასეთი იყო პოლიტიკურ პირთა აზრი, მაგრამ ახლა ეს მოხდა სრულიად მოულოდნელად. თუ მართალია, მასთან მისულან რამოდენიმე ფინანსისტები და განუცხადებიათ, რომ სანამ ბ. გრაბსკი იქნება მთავრობის თავმჯდომარე, მანამ ევროპელები ან ამერიკა სესხს არ მოგვცემსო (ვითომ გრაბსკისთან მისულ ფინანსისტებს ეს განუცხადებიათ ამერიკელ თუ სხვა ფინანსისტთა დავალებით). ბ. გრაბსკის გადადგომის პირველი დღიდან სცდილობენ პარლამენტალურ მთავრობის შედგენას. ფართე კოალიციურ საფუძველზე მთავრობის შედგენა ვერ მოხერხდა. დღეს ბ. სკშინსკის მიანდვეს პარლამენტალური მთავრობის შედგენა. როგორც მოგეხსენებათ სკშინსკი თვითონ პარლამენტის წევრი არაა. იმედია რომ სალამომდე შეადგენს. ძნელი სათქმელია, რადგან ატმოსფერა მეტისმეტად გაღვივებულია. სამწუხაროთ ყველაფრის მოწერა არ შემიძლიან, თუ დავიჯერებთ, გადატრიალებასაც მოელოდენ.

ახლა მინდა მეტად არა სასიამოვნო რამ მოგახსენოთ. გუშინ შტაბიდან

---

[1] შესაძლოა, იგულისხმებოდეს კირილე ნინიძე.
[2] გენერალი — იგულისხმება გენ. ზაქარიაძე.
[3] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 348. ფ. 9-10.

ოფიციალურად გვაცნობეს, რომ გენერალურ შტაბის უფროსმა რეზოლუცია გამოიტანა იმ:უმაღლეს ოფიცრებზე, რომლებიც დაკანტრაქტებულნი არ არიან. ამ რეზოლუციით დაახლოებით ~~თექვსმეტი~~ უმაღლესი ჩვენი ოფიცერი განთავისუფლებულნი არიან პოლონეთის ჯარიდან პირველ იანვრიდან. ამ დღიდან ყველა ეს ოფიცრები ქუჩაზე რჩება. მოტივი რეზოლუციისა ის არის, რომ თვით ამცირებენ თავიანთ ჯარს და მეორეს მხრივ ეკონომიური კრიზისი. გენ. შტაბი გვთხოვს, რათა დაუყოვნებლივ ეს გადაწყვეტილება შევატყობინოთ ყველა დაინტერესებულ აფიცრებს. დაუყოვნებლივ შევკრიბეთ ვარშავაში მყოფნი და გამოუცხადოთ შტაბის გადაწყვეტილება, ვინც ვარშავაში არ იმყოფება წერილობით შევატყობინოთ. ადვილად წარმოიდგენთ მდგომარეობას. მთხოვეს, რათა მივიღო ყოველი ზომები. თუ კიდევ რამე შველა არის ჩვენსას არ დავაკლებთ, მაგრამ რა მოგახსენოთ. სიაში მოხვდა ზაქარიაძიდან დაწყებული ყველა თითქმის მაღალი აფიცერი. ერთი რამ სათხოვარიც მაქვს, გთხოვთ პ. თუმანიშვილს გამოუგზავნოთ მანდატი წითელი ჯვრის წარმომადგენლობისა, როგორც აქ ვარჩიეთ, არ არის საჭირო, რომ იყოს აღნიშნული, თუმანიშვილი რომ კომიტეტის წევრია ან თავმჯდომარის ამხანაგი (ასეთი იყო აზრი კომიტეტის წევრების და პ. თუმანიშვილის).

ი. სალაყაია."[1]

„4/XII, ქ. ვარშავა.

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში

სხ. აფიცერთა მდგომარეობა, რომელთა შესახებ მოგახსენებდით უკანასკნელად, ჯერ გამოურკვეველია. საგარეო სამ. დამპირდა ოფიციალური ქაღალდი გაუგზავნოს სამხედრო მინისტრს, რათა ქართველი ოფიცრები დატოვებული იქნან პოლიტიკური მოსაზრებით. გარდა ამისა, მივმართე პარტიების ლიდერებს, რათა დახმარება გაეწიათ ამ საკითხში. მათაც დამპირდენ და ზოგიერთი ნაბიჯიც იქნა გადადგმული. მოლაპარაკების დროს ჩემთან ერთად გენ. ჭავჭავაძეც იყო. არა ოფიციალურადაც ამ საკითხში ბევრი გვეხმარება. უცდით საგ. საქ. მინისტრის ჩამოსვლას, მაშინ საბოლოოთ ყოველივე გამოირკვევა და მოგახსენებთ.

ი. სალაყაია."[2]

„15/XII. 25, ქ. ვარშავა.

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში

აფიცრების საკითხი დგას შემდეგნაირად: ამ დღეებში ბ. სკშინსკი და ორ დიდი პარტიათა ლიდერი მოელაპარაკა გენ. ჟელიგოვსკის (სამხ. მინ.) და სთხოვეს რათა გენ. შტაბის უფროსის (გენ. შტაბის უფროსი გადადგა. მდგომარეობა ისეთია, რომ ყველა მაღალ პოსტებზე ინიშნება პიკის მომხრენი. თავის თავად ცხადია, თუ რას ნიშნავს ეს ჩვენთვის) რეზოლუცია აფიცერთა დათხოვის შესახებ გაებათილებინა. გუშინდელი ოფიციალური განცხადება გენ. ჟელიგოვსკის არის შემდეგი: არავითარ შემთხ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 348. ფ. 11-12..
[2] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 348. ფ. 13.

ვევაში აფიცრები ქუჩაზე არ დარჩებიან, მოელისთ მხოლოდ ჯამაგირების შემცირება, როგორც საერთოდ ყველას ეს მეტად და მეტად დამაკმაყოფილებელი პასუხია, ჯერ-ჯერობით მაინც. გენ. ჟელიგოვსკი თვით მეტად კარგათ უყურებს ჩვენს საკითხს, ვიმედოვნებ საკითხი საკმაო კარგათ მოგვარდება, თუმცა პრაქტიკულად მოგვარებას არა ცოტა ხანი სჭირდება. ცოტაოდენი სიმშვიდე დამყარდა აფიცრობაში, როცა გენ. ჟელიგოვსკის სიტყვები გადავეცი.

თქვენ მწერთ კონტრაქტით აყვანილი აფიცრების შესახებ, ხომ მათაც არ მოელის განთავისუფლებაო. ხმები ასეთი უსათუოდ არის, მაგრამ ეს დაკავშირებული იქნება იმასთან, თუ იქნება გადაწყვეტილი ჯარის შემცირება. იმ ცნობებით, რომელიც მე მაქვს, თუ მოხდა შემცირება, უწინარეს ყოვლისა კონტრაქტით აყვანილებს და ავადმყოფებს დაითხოვენ. შემცირება თუ მოხდება, არავინ უწყის ჯერ-ჯერობით მაინც. შესაძლოა მოკლე ხანში ეს საკითხი აქტუალურ საკითხად გადაიქცეს და მაშინ მოგახსენებთ. ახლა ისევ აქაურ მდგომარეობაზე მინდა ცოტა რამ მოგწეროთ. ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა თითქმის კატასტროფულია. ზლოტის კურსი დღითი დღე ეცემა, სიძვირემ ამ თვის პირველი კვირის განმავლობაში 13%-ით გაიზარდა. უმუშევრობა მატულობს. ფინანსთა მინისტრმა სამი დღის წინათ პირველად სეიმს ფინანსური ექსპოზე გაუკეთა. ქვეყნის ისეთი სურათი დახატა, რომ ყველა განურჩევლად მიმდინარეობისა საგონებელში ჩააგდო. ამ ექსპოზეს ბირჟამ იმავ დღეს ზლოტის 30-40%-ით კურსის დაცემით უპასუხა. ყველა დარგში ხარჯთა შემცირება, აი, ერთად ერთი ხსნა, მინისტრის სიტყვით. სესხის იმედი, მისი სიტყვით, ჯერ მაინც არ არსებობს. ამ მდგომარეობას დაუმატოთ ისიც, რომ დიდძალი ბოროტმოქმედებაა. გუშინ, მაგ. ყოფილი ფინანსთა მინისტრი ლინდე დაატუსაღეს. ეს ხომ ათასში ერთია. ალბათ დიდი დრო გაივლის, სანამ ცოტაოდნავ მაინც მდგომარეობა გამოსწორდება. სურვილი კი დიდი აქვთ დღევანდელ მეთაურებს. სხვა საკითხებზე შევეცდები ამ დღეებში კიდევ მოგწეროთ. შეთანხმების ასლი მომივიდა. შეთანხმებას ბევრი აღტაცებით შეხვდა, მაგრამ არა ყველა. ეს სამსახურია. არის ისეთები, რომელთაც არ უნდათ შეთანხმება, ძალით ხომ ვერ შეითანხმებ. ალბათ ასეთები არა მარტო პოლონეთშია.

ი. სალაყაია."[1]

იოსებ სალაყაიას წერილში, რომელიც პარიზში საქართველოს ემიგრაციული მთავრობის მდივანს — ჭიჭიკო ასათიანს მისწერა, არის ცნობები პოლონეთის იმჟამინდელ მდგომარეობაზე, კონფლიქტური დამოკიდეულების გარდა, ისიც ჩანს, თუ როგორ ინტერესდებოდნენ ერთმანეთის ცხოვრებით ევროპაში გაფანტულად მცხოვრები ქართველები, როგრ ცდილობდნენ ერთმანეთისთვის გაჭირვებაში ხელის გაწვდენას.

„აქაური მდგომარეობა საკმაოდ აწეწილია, — წერს ი. სალაყაია, — პოლონეთი, ვფიქრობ, მეტ კრიზისს განიცდის, ვინემ საფრანგეთი. იქ სხვა

[1] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 348. ფ. 14-15.

რომ არა იყოს რა, სიძვირე და უმუშევართა არმია არ არის. აქ კი, ჩემო კარგო, არავინ უწყის ხვალინდელი დღე რას მოიტანს. გუშინ სალამოს გრაბსკის მთავრობა გადადგა. სეიმი მეტად აუხირდა. ვინ უწყის, თუ მომავალი მთავრობა არსებულ კრიზისს გადალახავს. ეს კრიზისი ჩემს მუშაობასაც საკმაოთ აფერხებს. ეს ადვილად გასაგებია."... მეგობრულად კითხულობს მის ამბებს, ეკითხება პანსიონატზე, მელიტონი და ნინა, მკერავ ქალთა საზოგადოება რას შვრება, როლანი როგორ სწავლობს, გრიშა ურატაძისა და ანტონ ჟორჟოლიანის ამბები მაინტერესებს, თუ მოეწყვენ სამსახურში, ნიკო ელიავა თუ მუშაობს, მომწერე ხოლმე ჩვენებზე, რით ცხოვრობენ ამ უბადრუკ დროშიო.

რომ მეკითხები ტრიფონ ივანეს ძე გიორგობიანზე, აქ არასოდეს ყოფილა და არავინ იცნობს, სამხარაძე წავიდა პარიზში, ლიგამ გაგზავნა სამუშაოზე, დაიკარგა და სამუშაოდან გაქცეული სად არის, არავინ იცის. სანამ არ გვეტყვით მის მისამართსო, მის ადგილზე არავის ნიშნავენ, მოძებნო იქნებ და შემატყობინოო. ერთი სათხოვარიც: საქართველოდან სტამბოლში ამ დღეებში ჩამოვა ვლადიმერ თევზაძე, ის ძმაა ვარშავაში მყოფი მაიორი თევზაძის, აპირებს სწავლის გაგრძელებას ლიეჟის უნივერსიტეტში, ჯერ პარიზში ჩამოვა, იქნებ ვიზა მოუხერხო, ძლიერ გთხოვ ამასო. ხომ ხედავ, საქმეებს გვერდი მაინც ვერ ავუარეო.[1]

საინტერესოა ნოე ჟორდანიას წერილი ჩხენკელისადმი, სადაც თხოვს ოფიცერ დ. შალიკაშვილის პოლონეთის არმიაში ჩარიცხვის საკითხის გარკვევას, წერს, რომ მასთან ამავე საკითხზე მივიდნენ ვაჩნაძე და გაბაშვილი. ვიცი, რომ ქართველებზე გამონაკლისი ვერ იქნება, თუ რაიმე შეიცვალა პოლონეთის არმიაში და მოახერხებ მის დახმარებას, კარგი იქნება, ულუკმაპუროდ რომ არ დარჩესო. იქვეა თავად შალიკაშვილის განცხადება ჩხენკელისადმი.[2]

პოლონეთის სამხედრო ემიგრაციაზე ასევე საინტერესო ცნობებს შეიცავს ვარშავაში საქართველოს საელჩოს მდივნის — პავლე თუმანოვის (თუმანიშვილის) წერილი აკაკი ჩხენკელისადმი, სადაც საუბარია საელჩოს საქმიანობაზე, პოლონეთის მთავრობის დამოკიდებულებაზე ქართველ ლტოლვილთა მიმართ და სხვ. წერილი 1924 წლის 30 მაისითაა დათარიღებული.

ქართველ ოფიცერთა შორის ჯარის პოლიტიზირების გამო დემოკრატიული რესპუბლიკის დროსვე დაწყებული უთანხმოების, ამ უსიამოვნო (და დანაშაულებრივი) ფაქტის უცხოეთში გაგრძელება არც პოლონელებს მოსწონდათ. ისინი საქართველოს სცემდნენ პატივს და პარტიული ჯგუფების კინკლაობა არ აინტერესებდათ. ამის დასტური იყო პოლონელი სოციალისტის — გ. გოლოვკოს წერილი აკაკი ჩხენკელისადმი პოლონეთში ქართველ ოფიცერთა შორის არსებულ უთანხმოებაზე (ახლავს აკაკი ჩხენკელის მინაწერი: კითხვა ეხება პოლონეთის ორიენტაციის შეცვლას რუსე-

[1] სცსსა 1831, აღნერა2, საქმე 345, ფ.8-9.
[2] სცსსა 1831, საქმე 355, 9. II 1931 წელი, ფ1-2

თის სასარგებლოთ ინგლის-საგფრანგეთის შეთანხმების შემდეგ დადებული „პაქტის" შესახებ). ამ კითხვაზე გოლოვკოს ჰქონდა შეხვედრაც ჩხენკელთან, თოფჩიბაშევთან და ბამატთან. გოლოვკოს წერილში ნახსენებია კედია და რამიშვილი.[1]

სალაყაია თხოვს ჩხენკელს დროებით განთავისუფლებას სამუშაოდან, რათა ჩავიდეს პარიზში და მთავრობას მოახსენოს პოლონეთის ქართულ კოლონიაში შექმნილ მდგომარეობაზე. მის ნაცვლად ტოვებს პავლე თუმანიშვილს.[2]

სალაყაია 1925 წლის 3 ივნისს წერდა ჩხენკელს: მოხსენება გამოგიგზავნეთ, რომ აქურ ამბებს გასცნობოდითო, ესაუბრებოდა კულტურულ ღონისძიებაზე, რომელიც ვარშავაში გამართეს ქართველებმა.[3]

„საღამოს გამართვაში დიდი მონაწილეობა მიიღო წითელი ჯვრის წარმონადგენელმა და გენერალ სერედას ოჯახობამ. გენერალი სერედა გახლავთ სამხედრო აკადემიის უფროსი და ჩვენი დიდი მეგობარი. ის მუდმივ გვიწევდა დიდ დახმარებას. მე მეტად მადლობელი ვიქნები, თუ მას მადლობის წერილს გამოუგზავნით ჩვენდამი ასეთი ყურადღებისათვის. გთხოვთ წერილი ჩემს სახელზე გამოაგზავნოთ, რომ პირადათ მას გადავსცე. რაც უფრო დაუგვიანებლად გამოაგზავნით, მით უკეთესი. აქვე გიგზავნით მის სადარბაზო ბარათს. თუმცა საღამოს ანგარიში ჯერ არ არის წარმოდგენილი, მაგრამ წმინდა შემოსავალი დაახლოებით 2000 ფრ. უნდა უდრიდეს.

საღამოს გამართვის მეორე დღეს, ე. ი. 1 ივნისს გადავიხადეთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 7 წლისთავი. მიუხედავად დიდი სიცხეებისა, დაესწრო დიდძალი ხალხი, იყო საკონცერტო განყოფილება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვარშავის საუკეთესო არტისტებმა, რასაკვირველია, გასამრჯელო არ აუღიათ. დღესასწაულმა იმდენათ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ ყოველმხრივ აღტაცებული მადლობა მესმოდა. დღესასწაულის მონყობა დაგვიჯდა დაახლოებით 1200 ფრანკი. ვფიქრობთ საღამოდან შემოსული ფულით ეს ხარჯი დავფაროთ და რაც დარჩება, დახმარება გავუწიოთ ახალგაზრდა მოსწავლეებს, რომელნიც მეტად გლახა მდგომარეობაში იმყოფებიან.

ი. სალაყაია."[4]

სალაყაიას მომდევნო წერილი თითქმის ერთი წლის ინტერვალით არის გაგზვნილი აკაკი ჩხენკელთან.

„15/XI 26, ქ. ვარშავა.

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში

მე დიდათ ბოდიშს ვიხდი რომ ამდენი ხნის განმავლობაში მოხსენება არ გამომიგზავნია. ბევრი რამ არ მქონდა მოსაწერი და ამისთვის გაჩუმებული ვიყავი. ახლა მინდა მოგახსენოთ შემდეგი: თქვენ გაიგებდით, რომ იანიკოვსკი დაინიშნა რომის პაპის წარმომადგენლობის მრჩევლად. ეს

[1] სცსსა 1831, აღწერა2, საქმე 350, ფ. 1-2, თარიღი: 14. 07, 1925 წელი.
[2] სცსსა 1831, აღწერა2, საქმე 345, ფ. 6.
[3] სცსსა 1831, აღწერა2, საქმე 345, ფ. 7.
[4] სცსსა 1831, აღწერა2, საქმე 345, ფ. 7.

ჩვენთვის დიდი დანაკლისია, მასე მხურვალედ ჩვენს საკითხს ვეჭვობ თუ ვინმე ეკიდებოდა. ორ თვეში ის გაემგზავრება და ეჭვს გარეშეა ჩვენს წარმომადგენელს მუშაობაში ძლიერ დაეხმარება. ბ. კნოლიც რომში დაინიშნა. ვიმედოვნებ ისიც ხელს შეუწყობს ჩვენს წარმომადგენელს მუშაობაში. ძლიერ გთხოვთ, თუ ჩვენი წარმომადგენელი იქ არის, მას მისწეროთ რომ ორივეს გაეცნოს. ამ დღეებში აქ იყო ლოსი (მრჩეველი ინგლისში), ვინახულე. დამპირდა, რომ ჩვენებს რითაც შეუძლიან დახმარებას გაუწევს. ამასთანავე მას სურს ახლო გაეცნოს „ლაბორ პარტის" ხელმძღვანელებს, რადგან, მისი აზრით, ესენი სათავეში მოექცევიან. გვარჯალაძეს შეუძლიან, როგორც თვითონაც სთქვა, დაახლოვება მოახდინოს. გთხოვთ ძლიერ, გვარჯალაძეს ამის შესახებ მისწეროთ. ლონდონშივე დაინიშნა პირველ მდივნად ვშელაკი_ის ჩვენს საკითხს იცნობს, გთხოვთ სუმბათაშვილს და გვარჯალაძეს ამის შესახებ მისწეროთ. საერთოდ აქ საგარეო უწყება ჩვენი მეგობრებიდან დაიცალა, სულ ახალი პირები მოევლინა, რომელთა შესახებ ჩვენს საკითხში ბევრი რამ არ ითქმის. მემორანდუმი, რომელიც გამომიგზავნეთ, გადაითარგმნა და ბროშურად დაიბეჭდა გასავრცელებლად. გარდა ამისა, შევისყიდეთ გოძიაშვილის წიგნაკი (მან წიგნაკი გამოუშვა საქართველოზე) და დიდძალი გავავრცელეთ. დამოკიდებულებები, რომლის შესახებ მწერთ, მაქვს ზოგიერთთან ან პირდაპირ, ან სხვების საშუალებით (თუმცა, უნდა გაგიტყდეთ, დამოკიდებულების ქონება ჩვენს პირობებში არც ასე ადვილი საქმეა). ჩვენი საკითხი საკმაო შორეული მომავლის საკითხად მიაჩნიათ. ისე აქვსთ წარმოდგენილი, რომ სოვდეპია ევოლუციის გზას დაადგება და ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ამ ვეება სახელმწიფოსთან სურთ რაც შეიძლება ადრე რაიმე სავაჭრო დამოკიდებულება. ძნელად იჯერებენ იმას, რომ შეუძლებელია სოვდეპიის სტაბილიზაცია (უფრო ვფიქრობ, მათი სურვილია სოვდეპიამ კიდევ წლები იბოგინოს, სანამ თავის მდგომარეობას არ გამოასწორებენ). ჩვენ ცოტათი დაგვეხმარა ამერიკის ახმაურება ჩვენი საკითხის ირგვლივ. აქ პირველად არავის არც სჯეროდა. მე ძლიერ მადლობელი ვიქნები, თუ ორიოდე ეგზემპლიარს კიდევ გამოაგზავნიებთ, ძლიერ აინტერესებთ.

აქაურ ჩვენს შინაურ ცხოვრებაზე ბევრს ვერას მოგახსენებთ. აქედან ვისტუმრებთ ლტოლვილებს საფრანგეთში, რადგან უმუშევრობა დიდია და ჩვენებს ხომ ადგილზე მოწყობა არც შეუძლიათ. უმუშევრების რჩენა მეტად გვიძნელდება, რადგან ძლიერ და ძლიერ ძნელია თვით ცოტა თანხების შოვნაც. თავიც მეტად მოვაბეზრეთ და ეს იყო მთავარი, თუ რისთვის ვისტუმრებთ აქედან ლტოლვილებს. სულაძე, რომლის შესახებ მწერდით, ცოტა არ იყოს სამუშაოს გაურბის, ისე კი ურიგო ყმაწვილი არ უნდა იყოს. აქ დარჩა ცოლი და შვილი, მეტად უმწეო მდგომარეობაში და გვაქვს თუ არ გვაქვს, უნდა მარჩინოთო. სამწუხაროთ, არავინ იკითხება იმას, რა შეძლების პატრონები ვართ.

მხურვალე სალამი ი. სალაყაია.[1]

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 348. ფ. 16-18.

„7. 03.1927 წელი.

ვარშავის ქართველთა კოლონიის კომიტეტის წევრის იოსებ ჩეჩელაშვილის წერილი აკაკი ჩხენკელისადმი კოლონიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ჩეჩელაშვილი წერს, რომ ერთი თვეა, რაც ვარშავაში ჩამოვიდა, დაიწყო კომიტეტის წევრად მუშაობა, საქმე მაქვს და ცოტა ჯამაგირის ფულიც რომ ვიარსებოო, უფრო კარგი იქნებოდა ოფიცრად რომ მოვწყობილიყავი, „მაგრამ ჩვენმა ოფიცრებმა აქ ისე წაახდინეს საქმე, რომ ამაზე ფიქრი სრულიად მეტია. აქაურმა ოფიცრებმა ორი კაცის მეთაურობით კავშირი შეკრეს და ბოლშევიკური მეთოდების ხმარებას შეუდგნენ. სხვათა შორის ფიქრობენ პარიზიდან მეორე მუსოლინის გამოწერას, აქაური უფროსი მათ არ მოსწონთ, ამბობენ, რომ ის სოციალისტიაო. სწორედ პირველ ხანაში ამას ბოლშევიკები შეებოდნენ, რაზედაც დიდი ხანია ხელი აიღეს". საუბრობს სალაყაიასა და ზაქარიაძეზე, რომლებიც დამთმობები და მიმტევებლები აღმოჩნდნენ, მიაჩნია, რომ მკაცრი ზომები იყო საჭირო.

ვიცი, რომ მოხსენებითი ბარათი მიიღეთ კოლონიიდან და ოფიცრებიდან სალაყაიაზე, „მოგახსენებთ, რომ ჩვენმა წარმომადგენელმა დიდი სიმპატია მოიპოვა აქ, პოლონელები და ჩვენი კოლონია დიდ პატივსა სცემენ. ჩვენ რომ ამისთანა ხალხი გვყავდეს, როგორც სალაყაია, ბედნიერი ვიქნებოდით, მაგრამ ამაოდ. ჩოლოყაშვილის საქმემ ძალიან დაგვაინტერესა და გვაქვს იმედი გვაცნობებთ".

უგზავნის ალექსანდრე ზაქარიაძის მოკითხვას.

ქართული სალამი

იოსებ ჩეჩელაშვილი, ქ. ვარშავა."[1]

აკაკი ჩხენკელი ყველა ემიგრანტს ეხმარებოდა სამუშაოზე მოწყობასა თუ სხვა ცხოვრებისეული პრობლემის მოგვარებაში. განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება სხვა ადამიანებისადმი. მას არ ჰქონია პარტიული თუ რელიგიური ინტერესები, ყველა ქართველს ეხმარებოდა, ვისაც ეს სჭირდებოდა. ზოგჯერ, უამრავი საქმის გამო, უგვიანდებოდა ვიღაცის მდგომარეობის გაგება, რასაც აუციებლად გამოასწორებდა ხოლმე. ჩხენკელს უყვარდა ნიჭიერი, სწავლული თანამემამულენი, რომელთა შორის მიხაკო წერეთელს გამორჩეულად სცემდა პატივს. ამის მაგალითად გამოდგება ერთი შემთხვევა: აკაკი ჩხენკელს ივანე ქავთარაძისთვის უთხოვია პოლონეთში მიხაკო წერეთლისთვის შესაფერი სამუშაოს შოვნა, ვერ მოვახერხე, უქმეების გამოო, — ქავთარაძე ბოდიშს უხდიდა. ქვემოთ მოტანილი წერილიდან ჩანს, რომ ქავთარაძეც ისევე ზრუნავდა ცნობილ თანამემამულეზე, როგორც ჩხენკელი.

„23, I, 1928 წელი.

ივანე ქავთარაძის წერილი ვარშავიდან პროფესორ მიხაკო წერეთლის ვარშავაში საცხოვრებლად ჩამოსვლისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

„ბ-ნო მინისტრო. ვისთანაც არ ვიყავი და არ ვთხოვე ბ-ნი მიხაკო წერეთლის შესახებ, სუყველანმა ესე მითხრეს, რომ ბ-ნი პროფესორი აქ უნდა

[1] სცსსა 1831, საქმე 351, ფ 1-2;

ჩამოვიდეს და რაიმე კონკრეტული ლაპარაკის დაწყება შემდეგ შეიძლებაო. და ყოველივე ასეთი წინდაწინ ლაპარაკი ნიშნავს მარტო ჰაერში ლაპარაკს და არაფერი არ გამოვაო. უნდა ჩამოვიდეს, აქ ხალხი გაიცნოს და ამის შემდეგ მოხდება საუბარი მის სამსახურზეო. ბინას აქაური კოლონია მისცემს, სანამ მუშაობას დაიწყებდეს, ხელფასამდე მატერიალურად დაეხმარება ოფიცრობა, რომლებიც პატივს სცემენო. „აქაური კოლონია დახმარებას უწევს ვიღაც რუსებს და უმეტესათ საქართველოს მტრებს და ნუთუ ბატონი მეცნიერი წერეთლის შენახვა, რომელმაც ქართველოლოგიისათვის თავი დასდო და მთელი თავისი პირადი ცხოვრება მას შესწირა ავათ თუ კარგათ, ადგილობრივ კომიტეტმა, ოფიცრობამ ეს კაცი არ უნდა შეინახოს?! უპირველეს ყოვლისა, ყოველმა ქართველმა (მეტადრე უცხოეთში) ხელი უნდა გაუწყოს და შეაძლებინოს და გვარიანი დახმარება გაუწიოს ყველა ქართველს, განურჩევლათ მისი თვალსაზრისისა და მიდრეკილებისა. **ყოველგვარი პარტია და პიროვნება იმდენად არის კარგი ერისათვის, რამდენად ეს პარტია ანდა პიროვნება ამ ერის საქმეს წინ უძღვება, ანუ ერი შესდგება პარტიებისა და პიროვნებებისაგან და არა პარტია ან პიროვნება ერისაგან.**“ ჩვენ, აქედან გამომდინარე, წერეთელს ყოველგვარი დახმარება უნდა გავუწიოთ. მით უმეტეს, დღეს აქ არავინ გვყავს, ვისაც საქართველოზე ცნობების წერა შეეძლოს. სანამ ყურულაშვილი იყო ცოცხალი, მანამდე კიდევ შეხვდებოდით აქაურ პრესაში ჩვენზე ცნობებს. ამაზე ვესაუბრე ბატონ იოსებ სალაყაიას, მან წინააღმდეგობა გამოხატა, იმის გამო, რომ წერეთელი გერმანიაში მუშაობდა, არის გერმანოფილი და ეს პოლონელებს არ მოეწონებათო, „რადგან წერეთელი არის უპირველესად ქართველი და საქართველოს განთავისუფლებას თუ ცდილობდა გერმანიის დახმარებით, ამაში პოლონელებს არ შეუძლიათ რაიმე წინააღმდეგობა იქონიონ, ვინაიდან ასეთ დიპლომატიურ მეთოდებს ყველა ერი იყენებს. წერეთლისნაირი კაცი ჩვენთვის აქ საჭიროა, ჩამოვიდეს, სანამ უნივერსიტეტში მოეწყობა დავეხმარებით, ის ჩვენს სამშობლო საქმეს აქ გამოადგებაო, — ირწმუნებოდა ქავთარაძე.

ჩხენკელს იგი მოახსენებდა ვარშავის ამბებსაც. 14 იანვარს აქ ჩატარდა ქართული საღამო, დიდძალი ხალხი დაესწრო, შემოსავალიც კარგი იყოო.[1]

იოსებ სალაყაიას ინფორმაცია, ქართველ სამხედროებში გაჩენილი უთანხმოებისა და ოპოზიციური შეხედულებების შესახებ დასტურდება გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის წერილებით, რომლებიც პოლონეთის ქ. პოზნანიდან აკაკი ჩხენკელს გაეგზავნა. აქ არის ცნობები პოლონეთში ქართველ ოფიცერთა შორის მომხდარ განხეთქილებაზე, უამრავ დეტალზე, რაც ქართულ ემიგრაციულ ცხოვრებას ახლდა. აქ პირდაპირ ჩანს სამხედროებში არსებული პარტიული დაპირისპირება, რაც ალექსანდრე ჩხეიძისა და გენერალ ზაქარიაძის[2] პირადი კონფლიქტით გამოვლინდა.

[1] სცსსა ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 383, ფ. 1-3.

[2] დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო შტაბის უფროსმა გენერალმა ალექსანდრე ზაქარიაძემ (1884–1957) თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა. საინტერესოა მისი მოგონებები „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომელიც

„12. II. 1929 წელი.

„დიდათ პატივცემულო ბატონო მინისტრო

გიგზავნით ამ წერილში ასლს წერილისა, რომლითაც მივმართე ბ. გენერალ ზაქარიაძეს. ის წერილი აგიხსნით რაშია საქმე. მოგახსენებთ, ბ-ნო მინისტრო, რომ მე, როგორც ქართველს, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო და ხალხის სახელი, არ შემიძლია, რომ ჩუმათ ვიყო, მაგას მოითხოვს ჩემი პატიოსნება. თვით პოლკ. კანდელაკს ანდა გენ. ზაქარიაძეს მე არ შევეხები, მოგახსენებთ, რომ აქ ისეთი მდგომარეობა არსდება, ისეთი ატმოსფერო ჩამოგვანვა, რომლისას, პირახდილათ მოგახსენოთ, მე მეშინია, რომ არ მოხდეს რამე ჩვენი სახელის შესარცხვენი. მაგ საკითხს დიდი ყურადღება სჭირია და დამშვიდებით გამორკვევა. ის ზომა, რომელსაც მოითხოვენ გენ. ზაქარიაძე და ბ-ნი სალაყაია, თუ ეს მართალია, ვერ მიაღწევს მიზანს და კიდევაც შეცდომა არის. მე გთხოვთ ბატონო მინისტრო, ჩვენი სამშობლოს სასარგებლოთ, მიაქციოთ ყურადღება ჩემს მოხსენებას. მე ვხედავ აქ ერთ გამოსავალს: გამორკვევა აქ ადგილზე, არა მარტო უკანასკნელი ფაქტისა, არამედ მთელი იმ მიზეზებისა, რომლებიც იწვევენ არასასურველ მოვლენებს. ამისთვის საჭიროა თქვენი აქ ჩამობრძანება. მე მივმართე გენ. ზაქარიძეს და აი, ეხლა ველი პასუხს. მე ჩემი უბედურების შემდეგ გატეხილი კაცი ვარ, მაგრამ ვხედავ, რომ გლახა გზაზე მივდივართ და ეს მაიძულებს შეგაწუხოთ თქვენ.

დიდის პატივისცემით

ა.ჩხეიძე."

საინტერესოა 10. II. 1929 წელს გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის ჩხენკელისადმი გაგზავნილი წერილი.

წერილი ვრცელია, გწერთ არა როგორც გენერალი და უფროსი, არამედ როგორც ხანშიშესული ქართველი ადამიანი მეორე ქართველსო. წესით, იმდენი უბედურება გადავიტანე, განზე უნდა ვიყო და ვისვენებდე, მაგრამ იძულებული ვარ, ისეთი რამეები ხდება, მეც ჩავერიო საქმეში, რადგან ყველაფერმა ამან შესაძლოა ჩვენს საერთო საქმესა და ქვეყანას ავნოსო.

მიუნხენში მცხოვრებმა კარლო ინასარიძემ 1990 წელს გურამ შარაძეს გადასცა. მან ეს ნაშრომი ჯერ 1992 წელს ჟურნალ „მხედარის" პუბლიკაციას დაურთო (შარაძე 1992), შემდეგ კი — 2003 წელს თავისი ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის IV ტომში სრულად გამოაქვეყნა (შარაძე 2003:164-316). ნაშრომი ძალზე საინტერესოა და გააჩნია მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულება, რადგან მემუარისტი აღნერილი მოვლენების მონაწილე და თვითმხილველია. ავტორი ლიბერალურად მოაზროვნე, ეროვნული იდეალებისა და დემოკრატიული პრინციპების ერთგული ადამიანია. მემუარებში განხილულია საქართველო-რუსეთის, საქართველოსა და ევროპული სამყაროს ურთიერთობის ასპექტები. მრავალი პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული პრობლემა, რაც დღესაც აქტუალურად დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე, მას ობიექტურად, სწორი კონცეპტებით აქვს შეფასებული. ჩხეიძისა და ზაქარიაძის კონფლიქტი საინტერესოა, ისინი სხვადასხვაგვარად უყურებდნენ ბევრ მოვლენას, ჰქონდათ პარტიული და პიროვნული დაპირისპირებაც, ეს ბუნებრივია, რადგან ჩხეიძის წერილები, სადაც 1921 ნლის რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს მარცხს მთავრობას აბრალებდა, მუდამ აკრიტიკებდა ხელისუფლებას, რომლის ნაწილიც იყო გენერალი ზაქარიაძე, მათ შორის უკმაყოფილებას გააჩენდა. დღევანდელი გადასახედიდან, მათი კონფლიქტი ვერაფერს აკლებს ამ ორი მამულიშვილის ავტორიტეტს.

ის საუბრობს, რომ გენერალ ზაქარიაძისა და პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის — იოსებ სალაყაიას მიერ პოლონელ ოფიცერთა სიიდან ამოურიცხავთ პოლკოვნიკი კანდელაკი. ამის შესახებ მათ უცნობებიათ პარიზში საქართველოს მთავრობისათვის. ამ ამბავს უსამართლობად მიიჩნევს ჩხეიძე და წერს: „ნებას მივცემ ჩემს თავს და შეგეკითხებით, — თქვენ ხომ კარგათ იცით, რომ პოლკოვნიკი კანდელაკი გამოჩენილი ოფიცერია, იცით, როგორ აფასებენ პოლონელები მას და აი, ამისთანა ოფიცერს თქვენ აგდებთ ქუჩაში, ნუთუ ეს სასარგებლო იქნება ჩვენი სამშობლოსათვის?". წერილი ვრცელია, ავტორი ბოდიშს იხდის თავისი ქართულისათვის, ითხოვს საქმის სამართლიანად გარჩევას და ქართველი ოფიცრების უფლებების დაცვას, პირდება მას, რომ თუ საჭირო გახდება, თავად ჩამოვალ მანდ და დაგეხმარებითო, თუ არადა, ეს ამბები ცუდი შედეგებით დასრულდებაო. ამ წერილის ასლს ვიტოვებ, რადგან საქმე ძალიან სერიოზულად მიმაჩნიაო.

მომდევნო პერიოდში, პარიზიდან საქართველოს მთავრობის ჩარევით, საქმე შეჩერებულა, კანდელაკი დაუტოვებიათ პოლონეთის არმიის ქართველ ოფიცრებში, მაგრამ გენ.ზაქარიაძესა და სალაყაიას კვლავ დაუყენებიათ ეს საკითხი, მთავრობის დადგენილებას ეწინააღმდეგებიან მისი აქაური წარმომადგენლები, და ეს მთავრობას სახელს უტეხს. ესენი, ვისაც ზაქარიაძე და ნოე რამიშვილი ებრძვიან, (რადგან ზაქარიაძე რამიშვილის მითითებით მოქმედებსო), ჩემი სკოლის აღზრდილები არიან, ტაბახმელის სერებზე ცოტა დამსახურება არა აქვთ და მათ უსამართლოდ დევნიანო. ჩხეიძის აზრით, მიზეზი ამ ოფიცრების დევნისა იყო მათი მხარდაჭერა და სიმპათია გენერალ კვინიტაძისადმი. „ვინც არ მიაყრის ქვას და არ შეაფურთხებს გენერალ კვინიტაძეს, მაშ, ისიც რუსეთის მონარხისტი ყოფილა? " — კითხულობს ის და ურჩევს აკაკი ჩხენკელს აქტიურად ჩაერიოს ამ საქმეში, დაუბრუნოს ქართველ გმირ ოფიცრებს მათი კუთვნილი ადგილი, იბრძოლოს, რომ მათ, სამსახურიდან წასვლის შემდეგ, მისცენ პოლონელთა არმიაში დაწესებული პენსია. მისი რჩევა ჩხენკელისადმი ასეთი იყო: „საუკეთესო ზომა იქნებოდა, რომ გენერალი ზაქარიაძე ყოფილიყო როგორც ატაშე პოლონეთის მთავრობასთან, ჩვენ კი გვყოლოდა დანიშნული ჩვენს უფროსად ვინმე პოლონელი გენერალი ან პოლკოვნიკი, გარწმუნებთ, რომ ყველაფერი მოწესრიგდებოდა და აღარ იქნებოდა ნიადაგი უსიამოვნებისათვის. პოლონელი დაამყარებდა მტკიცე წესრიგს... ვიცი, რომ ძალიან ძნელია, მაგრამ საუკეთესო იქნებოდა თქვენი აქ ჩამოსვლა და აქ გამორკვევა საქმისა. მე გული მტკივა იმიტომ, რომ მეშინია არა მოხდეს რა ჩვენი შესარცხვენი".

ალ. ჩხეიძე."[1]

ამავე წერილში გენ. ჩხეიძე მადლობას უხდიდა ჩხენკელს გულთბილი და საქმიანი წერილისათვის.

იმას, რაზედაც ალექსანდრე ჩხეიძე ასე ედავებოდა სალაყაიას, ზაქარ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 353, ფ. 2-3

იაძესა და რამიშვილს, ადვილად ვერც ჩხენკელი მოაგვარებდა, პოლონეთს თავად უჭირდა საკუთარი ჯარისკაცების შენახვა, ქართველ მეომრებს ის, სამშობლოს წინაშე თუნდაც უსაზღვრო დამსახურებისათვის, სიკვდილამდე ვერ უპატრონებდა. ყოველ შემთხვევაში, იმ დროინდელი პოლონეთის პოლიტიკური და სოციალური მოვლენები ამ იმედს არ აჩენდა.

გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის წერილი ქ. პოზნანიდან აკაკი ჩხენკელისადმი:

„18, IX. 1929 წელი.

დიდათ პატივცემულო ბატონო მინისტრო!

დავბრუნდი მანიოვრებიდან და აქ, პოზნანში, მივიღე ცნობები და კიდევაც ვნახე ზოგი ჩვენი ოფიცრები ვარშავიდან ჩამოსულნი. მათ მიამბეს რა ხდება და რა მდგომარეობა შეიქნა ვარშავაში. ეხლა, ბ-ნო მინისტრო, თქვენც დარწმუნდით და მთავრობაც, რომ ცნობები, რომელიც გადმოგცათ ჩემმა ცოლმა და მეც მოგწერეთ, საღი სიმართლე გამოვიდა. ჩვენ დიდი ხანია გვქონდა ცნობები, რომ გენ. ზაქარიაძე მოქმედებს აქ ბ-ნ რამიშვილის ინსტრუქციებით, მთავრობის დაუკითხავათ, მაგრამ თქვენთან წერილში მე არ შევეხე მაგ საკითხს, რადგან არ მინდოდა მომეხდინა თქვენზე შთაბეჭდილება, თითქოს მე ინტრიგას ვეწევი ბ-ნ რამიშვილის მიმართ. ბ-ნო მინისტრო, ისეთი აღელვება და აღშფოთება შესდგა ოფიცრებს შუა, ისეთი ლაპარაკი და სხვადასხვა წინადადებები ისმის, რომ რითი გათავდება, ღმერთმა იცის. გენ. ზაქარიაძეს წამოუდგა ეხლა წინ მარტო ის ოფიცრები კი არა, რომლებსაც ოპოზიციას უწოდებდა, არამედ სუყველა უფროსი ოფიცრები: ახალგაზრდებს არ ვრევთ ამ საქმეში. გამოირკვა ვარშავაში, ალბათ ჩვენი მთავრობის მიერ ზომების მიღების შემდეგ, ჩვენი საკითხი არის შეჩერებული. არის ლაპარაკი ეხლა მარტო გენერლებზე. პოლონელებმაც გაიგეს სინამდვილე და იციან ეხლა, როგორ და ვისი ინიციატივით მოხდა ეგ სკანდალი, რომ წარმომადგენელმა, მთავრობის სახელით, შეიყვანა შეცდომაში პოლონეთის შტაბი. შტაბი დარწმუნებული იყო, რომ ასრულებს ჩვენი მთავრობის სურვილს, გაიგეს ისიც, რომ გენ. ზაქარიაძე ჩვენ — ოფიცრებს გვარწმუნებდა, და მოგვწერა კიდევაც, რომ დათხოვნა ხდება შტაბის სურვილით და ნებით. წარმოიდგინეთ, ბ-ნო მინისტრო, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს დიპლომატური სკანდალი — უკვე ეხედავთ მაგას, — ძლიერ გამოჩენილ პირებს და დიდ სამხედრო ადგილებზე მყოფთ და თვით მარშალის დაახლოვებულებს გაელოთ პირები და გვაძლევენ საოცარ ცნობებს და გამოსთქვამენ გაოცებას გენ. ზაქარიაძის მიმართ, თუ როგორ ჩაიდინა მაგისთანა არატაქტიური მოქმედება და შტაბი ჩააყენა გლახა მდგომარეობაში. მარშალს ჰქონდა მოხსენებული, როგორც თხოვნა ჩვენი მთავრობისა — ეს ხუმრობა არ გახლავთ. აი, რა უთხრა თვით გენერალ ზაქარიაძეს ერთმა: „მე ძლიერ კარგათ ვიცი მთელი საქმე და საერთო მდგომარეობა და მოგახსენებთ, რომ (ძნელი გადმოსათარგმნია პოლონური ენიდან ქართულ ენაზე) [წერია რუსული სიტყვები ქართულად დ. ჭ.] დაუშვებელია, რომ თქვენ ჩვენი ხალხის ფულით ეწეოდეთ პარტიულ პირად ანგარიშსწორებას ოფიცრებთან — ეს უნდა გაიგოთ“.

ეხლა გადმომცეს ცნობა, რომ გენ. ზაქარიაძეს უთხოვია შტაბში, ვარშავიდან გადაყვანა სუყველა უფროს ოფიცრებისა, ვინც მის წინააღმდეგ არი. ეს ბ-ნო მინისტრო, უკვე იყო უკანასკნელი წვეთი და ოფიცრები მოთმინებიდან გამოვიდნენ. ამ დღეებში თქვენ, მინისტრები, მიიღებთ თხოვნას, რომელსაც ხელს აწერს ყველა უფროსი ოფიცერი, გარდა ერთი-ორისა, რომელსაც ოფიცრობამ დიდი ხანია ზურგი აქცია და მიხვდებით რა ხდება აქ და რა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში არიან ოფიცრები. ... მეც ვიზიარებ მათ გულისტკივილს და შეურაცხყოფას და რასაკვირველია, ამისთანა წუთებში არ ჩამოვრჩი ჩემს ამხანაგებს და მეც მივეცი ჩემი გვარი. მოგახსენებთ, რომ ძლიერ და ძლიერ გლახათ არის საქმე, აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფათ ოფიცრები დააწყნაროთ, თორემ მოხდება რაიმე ძლიერ დასანანი მოვლენა, რომელიც ჩვენც დაგვღუპავს და ჩვენ საქმესაც პოლონელების თვალში. არ მაქვს ჩვეულება — გავბერო საქმე — უფრო ნაკლებსაც გწერთ.

გავიგეთ, რომ ბ-ნი გეგეჭკორი აპირებს აქ ჩამოსვლას ამ საქმის გასარჩევათ. ძლიერ კარგი ზომა გახლავთ, მაგრამ რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოხდეს. აქ ერთი გამოსავალი გახლავს: ან ჩვენ უნდა ვიყოთ გამოყრილი, ან გენ. ზაქარიაძე უნდა იყოს მოშორებული ჩვენ ჯგუფს. არ მინდა მოგწეროთ სუყველა ის, რაც გვესმის პოლონელებისაგან... გთხოვთ, რომ ბ-ნ გეგეჭკორის ჩამოსვლამდე მიიღოთ ზომები, რომ ოფიცრების გადაყვანა იყოს შეჩერებული, თორემ მეშინია, რომ საქმე უფრო გამწვავდება და რამე მოხდება. უნდა მოგახსენოთ, რომ მთავრობის მიერ პოლკ. კანდელაკის საქმის შეჩერებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ოფიცრობაზე. ახლაც გვაქვს იმედი, რომ მთავრობა მოისმენს ჩვენს თხოვნას და ერთი კაცის გულისათვის არ დაგვღუპავს მთელ ჯგუფს. **გენერალი ზაქარიაძე აქ ეწევა მუშაობას, როგორც ჩვეულებრივ პარტიის კაცი და მთავრობის სახელით, მის დაუკითხავათ, ასწორებს პირადულ ანგარიშებს ოფიცრებთან, რაც, ჩემის აზრით, არის მთავრობის და ჩვენი ხალხის სახელის დამცირება. ამისთანა ფაქტი ეგ ერთი არ არის. თქვენ, ბატონო, შეიძლება გაიხსენოთ 23 წელში თავისი ინიციატივით გვიპირებდა ჩვენ 4 გენერალს გამოყრას და თქვენი დახმარებით იყო შეჩერებული მაშინ საქმე.**

თუ შესაძლებლათ იცნობთ, გთხოვთ შემატყობინოთ, როდის ჩამოვა ბ-ნი გეგეჭკორი და იმ რიცხვში მეც ჩამოვალ ვარშავაში.

დიდის პატივისცემით

ალ. ჩხეიძე."[1]

ამრიგად, აკაკი ჩხენკელისადმი პოლონეთის სამხედრო ემიგრაციის წევრების მიერ გაგზავნილი წერილებით კარგად ჩანს რა მდგომარეობა იყო ქართველ ემგრანტთა წრეებში, როგორ გრძელდებოდა საზღვარგარეთ წასულ მამულიშვილთა შორის საქართველოში დაწყებული პოლიტიკური წინააღმდეგობანი, როგორი იყო მათი ურთიერთ ბრალდებები, რაც საბოლოოდ აზიანებდა ისედაც დაზიანებულ ქართულ საქმეს. ჩხენკელი მათ შორის შემრიგებლურ ფუნქციას და შუამავლის როლს ასრულებდა.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნ. 2, საქმე 353, ფ. 5.

გენერალ ლეო კერესელიძის[1] წერილები ნიციდან აკაკი ჩხენკელისადმი, 1929 წელი

აკაკი ჩხენკელთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა გენერალ ლეო კერესელიძეს. 1929 წლის 1 აპრილს გაგზავნილი წერილით კერესელიძე სურვილს გამოთქვამდა რომელიმე ქალაქში შეხვედროდა მას და მოელაპარაკათ სამხედრო თემაზე. დანვრილებით რაზე იქნებოდა საუბარი, წერილიდან არ ჩანს. „საჭიროა ამ საქმეში მთელი გეგმის შეტანა, შეთანხმება მოქმედებაში და ისე დაწყობა საქმისა, ამას კი რამდენიმე დღე დასჭირდება", — წერდა გენერალი. კერესელიძე ეჭვობდა, რომ ამისთვის საჭირო თანხას მთავრობა ვერ გამოძებნიდა. წერილიდან ჩანს, რომ საქმე იარაღსა და მომავალი ბრძოლისთვის სამზადისს ეხებოდა.[2]

კერესელიძის წერილები თითქმის დაშიფრულია. ამის ნიმუშად 1929 წლის 5 აპრილის წერილი გამოდგება:

„დიდად პატივსაცემო ბატონო აკაკი

ეს საქმე დავიწყეთ 1927 წლის ზაფხულში. Delecra-ვი პირველ ივნისში გავგზავნეთ ჟენევაში, სადაც ინახულა თავსი მეგობარი ილეკიმუდ. ეს უკანასკნელი წავიდა თავის სატახტო ქალაქში, სადაც ელაპარაკა ჩვენს საქმეზე თავის უმაღლეს უფროსს და გარეშე საქ. სამ. დაბრუნდა იქიდან ისევ ჟენევაში ივლისში და იქ ხელმეორეთ გავგზავნეთ D. პასუხი: „ჯერ ეს საკითხი მომწიფებული არ არის და საჭიროა გადაიდოს". ორი თვის შემდეგ გვაცნობეს, რომ საჭირო იყო შვეიცარიაში გაგვეგზავნა ერთი ქართველი Go... მოსალაპარაკებლათ. საუბედუროთ დროზე ვერ გამგზავნეს და მხოლოდ ოქტომბერში წაველ. Go ველარ ვნახე, დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში. ვინახულე მისი სანდო პირი. მან მითხრა, რომ საჭიროა გვყავდეს მუდამ ერთი პირი მათ ქვეყანაში, რომელიც იმუშავებს „ოფიციოზურად" და კერძო გზებით, საჭირო წრეებში. ხოლო ეს მთავრობამ ვერ მოახერხა და საქმე შეჩერდა ამ სტადიაში. მივიღებ თუარა თქვენს მისამართს, მაშინვე გამოგიგზავნით „ჩემს შესახებ", ე. ი. ჩემ „Curriculum vitae"-ს და „თეთრი გიორგის" უკანასკნელ ნომრებსაც.

დამერწმუნეთ, ბატონო აკაკი, დიდათ მესიამოვნა თქვენთან შეხვედრა და მუსაიფი, **რადგან ვიცი, რომ თქვენ სამშობლოსთვის გულწრფელად და გარეშე პარტიული სულისკვეთებისა, შეგტკივათ გული.**

ნახვამდის. ჩემი ცოლი გითელით დიდ სალამს და ჩემი გოგო მადლობას ტკბილეულისათვის, რომელთაც დღესაც გემრიელად სწუწნის.

---

[1] ლეო მათეს ძე კერესელიძე (1885-1944). სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი; ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გენერალი. საქართველოდან წასვლის შემდეგ ლეო კერესელიძე ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც ჩამოაყალიბა მემარჯვენე-ნაციონალისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგი" (1924), რომლის მთავარი მდივანი თვითონვე იყო. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1942 წ. მონაწილეობა მიიღო ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის შექმნაში. იგი 1944 წელს იმსხვერპლა ნაღმის ნამსხვრევმა. ჰყავდა ორი ძმა — გიორგი (1885-1960) და იასონი(? -1923). იასონი 1923 წლის მაისში სხვა სამხედროებთან ერთად დახვრიტეს.

[2] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 415, ფურც. 1.1ბ.

მარად თქვენი პატივისმცემელი ლეო კერესელიძე".[1]

როგორც ჩანს, შეხვედრა ჩხენკელსა და ლეო კერესელიძეს შორის ნიცაში მომხდარა. კერესელიძე მანამდეც ეპატიჟებოდა მას ნიცაში, სურდა რამდენიმე დღით ჩასულიყო, მისი აზრით, საქმესთან ერთად ჩხენკელი დაისვენებდა კიდეც, თუმცა, რაც მოხდა, კერესელიძის მომდევნო წერილში ჩანს.

„ თქვენი ბარათი მივიღე, — წერდა კერესელიძე ჩხენკელს 21 აპრილს, 1929 წელს. — **სწორეთ გითხრათ პირზე მწუხარების ღიმილი მომივიდა. თქვენ გეგონათ პატარას დაისვენებდით და პოლიტიკურ ჯოჯოხეთს რამდენიმე დღით მაინც მოშორდებოდით და ამის მაგიერ მანდ უარესი შრომა დაგატყდათ თავზე. სჩანს, ქართველი პოლიტიკური მოღვაწის ბედი ასეთი ყოფილა და მეტადრე თქვენ, როგორც ელჩს, უმთავრესი სიმძიმე გაწევთ**".[2]

ამავე წერილში კვლავ მინიშნებითაა საუბარი ვიღაც ქალზე, რომელიც მასთან (კერესელიძესთან) უნდა ჩასულიყო მოსალაპარაკებლად, შედეგებს გაცნობებთო, — პირდებოდა ჩხენკელს. აქვე, კერესელიძე აცნობს ჩხენკელს ვლასა მგელაძის[3] გაჭირვებას, მის ავადმყოფობას, თხოვს დახ-

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 415, ფურც. 2, 2b.

[2] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 415, ფურც. 3.

[3] ვლასა მგელაძე (1872-1943), სოციალ-დემოკრატი, რევოლუციონერი, დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა სოფელ ზომლეთში, გურიაში, დაამთავრა აკეთის სკოლა, მუშაობა დაიწყო თბილისში, ჯერ ხელაძის, შემდეგ „ივერიის" სტამბაში. დაარსებისთანავე გახდა „მესამე დასის" წევრი და თანდათან პროფესიონალ რევოლუციონერად ჩამოყალიბდა. მალე კარლო ჩხეიძესთან ერთად პოლიტიკური დავალებით გაემგზავრა ბათუმში ადგილობრივი ორგანიზაციების მოსაწყობად, 1902 წელს იჯდა მეტეხის ციხეში. ილიას დასაფლავების დღეს, 1907 წლის 9 სექტემბერს მუშების სახელით დასამახსოვრებელი სიტყვით გამოეთხოვა მას. 1908 წელს ევროპაშია – ჯერ ეენაში, ხოლო შემდეგ ციურიხში. ურთიერთობა ჰქონდა პ. აქსელროდთან და გიორგი პლეხანოვთან. მონაწილეობა მიიღო სპარსეთის 1908 წლის რევოლუციაში და უშიშარი მებრძოლის სახელიც მოიხვეჭა. 1910 წელს კვლავ ჩავიდა თეირანში, დაესწრო მეჯლისის გახსნას და ირანის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც მეჯლისზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს სიტყვა „რუსკოე სლოვოში" გამოქვეყნდა და ევროპაშიც გავრცელდა. 1910 წლის მეორე ნახევრიდან კვლავ ევროპაში იყო და როგორც სოციალ–დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი ეწეოდა რევოლუციურ საქმიანობას, კითხულობდა მოხსენებებს სპარსეთის რევოლუციაზე სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის მაქსიმ გორკის მიწვევით კაპრიზე, სადაც გაიცნო ლენინი. 1911 წელს ვლასა მგელაძე საქართველოში ჩამოვიდა ნოე ჟორდანიასთან შესახვედრად, მაგრამ ჟანდარმერიას ჩაუვარდა ხელთ. იჯდა ბათუმისა და მეტეხის ციხეებში. 1913 წელს ეტაპით გაგზავნეს ციმბირში, მაგრამ მალე გამოიქცა და ჯერ პეტერბურგში ჩავიდა საიდუმლოდ, შემდეგ ბაქოში, აქედან კი ქუთაისის გავლით გურიაში ამოჰყო თავი. მოინახულა მოხუცი დედა და კვლავ პეტერბურგის გზას დაადგა. აქ იშოვა პასპორტი და ებშტეინის სახელით გერმანიაში გაემგზავრა. შემდგომ წლებში კვლავ აქტიურად მოღვაწეობდა სოციალ–დემოკრატთა ემიგრანტულ წრეებში, იყო რუსეთის სოციალ–დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი. 1918-1921 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის კომისარი, ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი. ვლასა მგელაძემ შესანისნავი სიტყვა წარმოთქვა 1918 წლის 26 იანვარს, თბილისის უნივერსიტეტის გახსნის დღეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წელს ვლასა მგელაძე ემიგრაციაში წავიდა – ჯერ ბერლინში, შემდეგ პარიზში. აქ იგი შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი ნაწარმოებები – პოემა „სამშობლო", ლექსი „ცხრათვალა მზე", „გოდება" (ნაწყვეტი დღიურიდან) – გამოქვეყნებულია ჟურნალ „კაკასიონში". 1934 წელს, პარიზში, დავით ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა ვლასა მგელაძის წიგნი „26 მაისი". მასში აღწერილია ყველა ის დიდი

მარებას, რათა მგელაძეს შესძლებოდა მოგონებების დაწერა.

ვინ იყო გენერალი ლეო კერესელიძე და რას საქმიანობდა იგი 1929 წლამდე, კარგად ჩანს თავად გენერლის მიერ შედგენილი ნამსახურობის ნუსხიდან, ე.წ. „Currikulum vitae"-დან, რომელიც მან აკაკი ჩხენკელს გაუგზავნა იმავე 1929 წლის 21 აპრილს. მოვიტანთ ამ დოკუმენტის ტექსტს, სადაც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დეტალები.

ლეო კერესელიძის „Curriculum vitae" (შედგენილი მისივე ხელით, 1929 წელს და გაგზავნილი აკაკი ჩხენკელისადმი, ინახება ჩხენკელის პირად ფონდში)

1. პოლიტიკური მოღვაწეობა დავიწყე 1900 წლიდან, როდესაც ჯერ 16 წლისა ვიყავ, ამ წელს დავაარსე თბილისში „საქართველოს დამოუკიდებლობის წრე", რომელშიც შედიოდნენ ახალგაზრდობა, მათ შორის: ვ. ქართველიშვილი, ნ. მაღალაშვილი, გ. კერესელიძე, შ. ამირეჯიბი და სხვები. ჩვენი ორგანო იყო ჟელატინზე დაბეჭდილი გაზეთი: „ახალგაზრდა საქართველო".

2. 1904 წელს წავედი ჟენევაში საინჟინრო სასწავლებელში. აზრათ მქონდა ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევსულიყავი ევროპის რომელიმე სამხედრო სასწავლებელში. ამ დროიდანვე გულმოდგინედ ვსწავლობდი სამხედრო მეცნიერებას თეორიულად.

3. 1905 წელს დავიწყე თანამშრომლობა სოც-ფედერალისტებთან. ვთანამშრომლობდი ჯერ პირადათ გ. დეკანოზიშვილთან, პარიზში, რომელიც ძალიან მენდობოდა და იარაღის გადაზიდვის საკითში ძალიან დიდი როლი მაკისრა: ამსტერდამში მე დაუდე იარაღი გემს, მე შევადგინე მეზღვაურთა დასი და სტამბოლში იარაღის გაშვების საქმე ოსმალოს მთავრობასთან მე მოვახერხე;

4. 1905-1906 წლებში ვიღებდი მონაწილეობას რევოლუციაში, საქართველოში. ვიყავი ფედერალისტების მებრძოლ კომიტეტის წევრათ და ფედერალისტების მებრძოლი რაზმები მე შევადგინე. 1906 წელს, მაისში, ამ კომიტეტის ბრძანებით, დავეცი დუშეთის ხაზინას, საიდანაც 315 000 მანეთი გამოვიტანე, რომლის ნაწილი მოიპარა ს. გედევანიშვილმა (25, 000მ.) და 75, 000 მან. მოიპარა ა. ჯაბადარმა. დანარჩენი ფედერალისტებმა პარტიულ საქმეებზე დახარჯეს;

6. 1906 წ. გაზაფხულზე უკვე ემიგრანტის სახით დავსახლდი ჟენევაში. 1907 წელს შეველ იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1910 წელს დავამთავრე და მაშინვე გადაველ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა, მოყოლებული 1887 წლიდან 1918 წლის 26 მაისამდე (დიმიტი ყიფიანის მკველელობა; ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან თბილისს; კრწანისის ველის პანაშვიდი; მუშების ამოძრავება და სხვადასხვა პარტიების დაარსება; ილიას მკველობა; აკაკი წერეთლის იუბილე და სხვა), რომლებმაც გამოინვიეს ქართული ეროვნული და სოციალური მოძრაობის გაძლიერება და დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ნიადაგი შეამზადეს. 1936 წელს პარიზში გამოვიდა ვლასა მგელაძის მოგონებების პირველი ნიგნი, რომელშიც შესულია 1921-24 წლების ამბები. 1972-74 წლებში გამოიცა მეორე და მესამე წიგნები. ვლასა მგელაძე გარდაიცვალა 1943 წელს პარიზში. დაკრძალულია ლევეილის ქართულ სასაფლაოზე.

და ისიც 1912 წელს გავათავე. 1913 წელს დავინიშნე ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პრივატ დოცენტათ, დავწერე თხზულებანი (ჩამოთვლილია ფრანგულად დაწერილი 5 შრომა). დავწერე 4 მოხსენება სამხედრო საკითხებზე, რომელიც წარვუდგინე შვეიცარიის სამხედრო შტაბს, ვთანამშრომლობდი ოთხ შვეიცარულ გაზეთში. ჩემი სამხედრო მოხსენებები უმეტესად შეეხებოდნენ ჩემს მიერ შექმნილ თეორიას, რომელიც ეხლა საფრანგეთის სამხედრო რეორგანიზაციით გამართლდა და რომელიც მე 12 წლის წინათ ვიწინასწარმეტყველე (ჩემი თხზულებების შესახებ იხილე— „La Revue Militare Svissa"). სამხედრო მეცნიერებას განუწყვეტლივ ვსწავლობდი თეორიულად და პრაქტიკულად, 5 ზაფხულის განმავლობაში ვესწრებოდი შვეიცარიის სამხედრო სკოლის კურსებს, როგორც თავისუფალი მსმენელი, გარდა მაგისა, დავესწარი 4 დიდ მანიოვრს.

7. 1912 წელს პ. სურგულაძის ხელმძღვანელობით ჟენევაში დაარსდა ქართველ სეპარატისტთა წრე, რომელშიც შედიოდნენ: გ. კერესელიძე, ნ. მაღალაშვილი, ვ. ციცქიშვილი, მ. იშხნელი, მე და სხვანი. ვბეჭდავდით გაზეთ „თავისუფალ საქართველოს";

8. 1914 წელს ჟენევის უნივერსიტეტის პროფ. პ. მორიამ წინადადება მომცა „სამოქალაქო უფლების თეორიის" (ამ თხზულებაზე ვმუშაობდი მაშინ) დაბეჭდვის შემდეგ, რომელიც 1916 წელს უნდა დამთავრებულიყო, წავსულიყავ ბრაზილიაში სან-პაულოს უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორად. მორიას ჰქონდა დამოკიდებულება ამ უნივერსიტეტთან. დიდმა ომმა ხელი შემიშალა ამ მიზანში.

9. 1914 წლის აგვისტოს „სეპარატ. კომიტეტმა" დამავალა წასელა სტამბოლში და იქ ხელშეკრულების დადება ოსმალეთის მთავრობასთან. დაუყონებლივ გავემგზავრე ოსმალეთში, სადაც ოსმალეთის მთავრობასა და გერმანიის საელჩოს დაუდე ხელშეკრულება;

10. ოსმალეთ-რუსეთის ომის დაწყებიდან დავინიშნე კაპიტნის ხარისხით 400 მოხალისე ლაზის და ერთი ასეული ოსმალოს რეგულარულ ჯარის უფროსათ. ომის გამოცხადების დღესვე შეუტიე საქართველოს საზღვრებს და ათი დღის განმავლობაში დავიჭირე მურღული, ბორჩხა და მარადიდი, ვიდრე აჭარისწყლამდინ. ამის გამო წარდგენილ ვიყავი ოსმალოს ნახევარმთვარის ორდენზე და გერმანულ რკინის ჯვარზე. ამ ბრძოლებში წამოვიყვანე 600 რუსი ტყვეთ, 8 ზარბაზანი, 14 ტყ. მფრქვეველი, 400 ცხენი და სხვა ბევრი დავლა;

11. 1915 წ. შესდგა ქართული ლეგიონი, როგორც რეგულარული ჯარი, რომლის სარდლათ დავინიშნე მე, მაიორის ხარისხით. თუ რა ღირსებისა იყო ჩემი მოქმედება როგრც გამწვრთნელისა, ეგრეთვე ბრძოლის ველზე ტაქტიკურ უნარისა, ამაზე ცნობები შეიძლება ეკითხოს ავნი ფაშა ლორთქიფანიძეს, რომელიც იყო ჩემი პირდაპირი უფროსი და რომელიც ახლა მარსელში ცხოვრობს;

12. 1916 წელს გაგზავნილ ვიყავ სპარსეთ-ირაკის ფრონტზე, სადაც ვკა-

მანდობდი თურქის ცხენოსან პოლკს და 750 ცხენოსან მოხალისე ქურთს. აქ რევანდუზის და სარაქბულაკის ბრძოლებში ვისახელე თავი, რაზეც დაჯილდოებული ვიყავ ოსმალეთის უმაღლესი ორდენით და ერთი წლის განავლობაში ორი ხარისხით: ჯერ პოდპოლკოვნიკის დ მერე პოლკოვნიკის;

13. 1918, სექტემბერში, შვეიცარიიდან, სადაც ავადმყოფობის გამო ცოტახნით შვებულებაში ვიყავ, დავბრუნდი ბერლინში. იქ, **ბატონმა ა. ჩხენკელმა მთხოვა მეკისრნა საქართველოს წარმომადგენლობა შვეიცარიაში,** რაზედაც ვერ დავთანხმდი, რადგან მინდოდა ჩემი ცოდნა და გამოცდილება საქართველოს ჯარისთვის მომეხმარებინა;

14. 1918 წლის ნოემბერში ჩაველ საქართველოში და მთავრობის სურვილით ვიკისრე ისევ ლეგიონის უფროსობა. მალე დაიწყო სომხეთთან ომი. ამ ომში 700 კაცით მივიღე მონაწილეობა და ავიღე ქალაქი შულავერი (ეხლა ბევრი ჩემულობს შულავერის აღებას, მაგრამ ფაქტია ის, რომ თვით მეექვსე (კახეთის) მედგარი პოლკიც კი უკუქცეულიყო შულავერთან, რომელიც ლეგიონმა ორი საათის განმავლობაში იერიშით აიღო);

15. სომხეთის ომიდან დაბრუნების სამი დღის შემდეგ, გამგზავნეს ახალციხის აჯანყებულთა წინააღმდეგ, სადაც ვიბრძოლე ვალესთან და უდესთან. ამ ბრძოლების შემდეგ მთავარსარდლის ბ. მაყაშვილის მიერ წარდგენილ ვიყავ ბატონ ნ. ჟორდანიასთან, როგორც საუკეთესო მებრძოლი, რის დასაჯილდოვებლად დანიშნული ვიყავ ახალციხის კომენდანტათ. მივიღე მონაწილეობა მთელი ახალციხის აჯანყების ბრძოლებში, ხოლო თებერვალში, აწყურთან, სოფ. კოპაძეში დავიჭერ ორთავე ფეხში და სამი თვე ლოგინათ ჩავარდი;

16. 1919 წ. გაზაფხულზე გაგზავნილ ვიყავი ცხინვალში ჯაველი ოსების აჯანყების ჩასაქრობათ. მისვლისთანავე ვცან, რომ ქვეყნის ნამდვილი მტრები იყვნენ არა ოსები, არამედ ჩვენი ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელიც იყო ყაჩაღი და ავაზაკთა დასრულებული ტიპის ორგანიზაცია. ამიტომ ოსების აჯანყების ჩაქრობა ჯერ ადმინისტრაციის ალაგმვით დავიწყე (გრძელია ამაზე ლაპარაკი, თუმცა მეტად სანტერესო);

17. იმავე 1919 წ. ზაფხულს გაგზავნილ ვიყავი ჩემის ჯარით ოზურგეთში, საიდანაც მაშინ ბათუმის „დემონსტრაციას" ვაპირებდით;

18. 1919 წლის აგვისტოს ოზურგეთიდან გაგზავნილ ვიყავ ჩეჩნეთ-დაღესტანს, სადაც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის და ქართული მთავრობის მიერ დანიშნული ვიყავ, ღენერლის ხარისხით, ჯარების მთავარსარდლათ. ჩეჩნეთ-დაღესტანში თითქმის 9 თვეს ვებრძოლე დენიკინის ჯარს, რომლიდანაც გავწმინდე ვაკე ჩეჩნეთი, დავიჭირე შალი, შატიი, ურუს-მანტენი, ბელგატოი, გუდერმესი და სხვა ბევრი ალაგები. წამოვიყვანე ტყვეთ: პირველი, მეორე და მესამე მსროლელთა პოლკები და ყარა-ნოგაის ცხენოსანთა გუსარის პოლკი, გარდა მაგისა, სასტიკათ დავამარცხე დენიკინის ჯარები აზერბაიჯანის საზღვარზე, მდინარე იალამაზე, ხოლო ვერ ავიღე გროზნი, დერბენტი და პეტროვსკი, რადგან ამაში მიშლიდა ხელს მტრის მძლავრი არტილერია, — ჯავშ-

ნოსანი მატარებლები, ფლოტი, ინგლისელების მიერ მონყობილი ავიაცია და სხვა.

19. 1920 წ.ზაფხულში საფრანგეთის სამხედრო მისიისა და ჩვენი მთავრობის თანხმობით გაგზავნილი ვიყავ პოლონეთში, რათა პოლონეთისათვის მიგვეცა 300-400 ქართველი ოფიცერი. არც ჩვენი მთავრობისათვის, არც ფრანგების მისიისთვის და არც პოლონეთის წარმომადგენლისთვის ამ მოგზაურობისათვის არცერთი გროში არ გამომირთმევია, თუმცა დიდის სიამოვნებით შემომაძლიეს. ამას დამიმოწმებს პოლონეთის წარმომადგენელი თბილისში — ბელაბრიუსკი;

20. 1920 წლის ნოემბერში ქალაქ ჟენევაში ე. გეგეჭკორმა მაცნობა, რომ მოსალოდნელი იყო საქართველოსა და რუსეთს შორის ომი. თუმცა, მე ამ დროს უკვე მონყობილი ვიყავ შვეიცარიის სამთო არტილერიაში, რის შესწავლა მსურდა იმ მიზნით, რომ საქართველოში ეს საჭირო დარგი მომეწყო, მაინც მაშინვე გავემგზავრე სამშობლოსაკენ;

21. საქართველოში ჩასვლისთანავე მთავრობას წინადადება მივეცი, საჩქაროთ გავეგზავნეთ ჩეჩნეთში, საიდანაც შემეძლო 4000 ცხენოსანი გადმომეყვანა. რუსების წინააღმდეგ საჭირო და აუცილებელი იყო ცხენოსანი ჯარი. ჩვენ რომ ბრძოლის ველზე 1000 ცხენოსანი გვყოლოდა, ერთ კვირაში რუსის ჯარს სასტიკათ დავამარცხებდით. მთავრობა დამთანხმდა, მაგრამ საქმე გააჭიანურა და მხოლოდ მაშინ მიმართეს, როცა თბილისზე უკვე 7 ვერსით მოგვადგენ მტრები და ჩვენი მეორე ბრიგადა ტყვეთ წაიყვანეს. ჩემი პლანის განხორციელება უკვე გვიანღა იყო. მაშინ მთავრობამ დამავალა, ორი დღის განმავლობაში, თბილისში შემედგინა 300 ცხენოსანი. მე მოვახსენე მთავრობას ამისი შეუძლებლობა. მაგრამ რამიშვილმა მაინც დაიჯინა და მე დავპირდი შეცდას. ხოლო ამ შეცდამ უნაყოფოთ ჩაიარა, რადგან არათუ ცხენები, არამედ თბილისში ათ უნაგირზე მეტი ვერ ვიშოვნე. ამასობაში თბილისი აიღეს და მე გულმოკლული და აღშფოთებული მით, რომ ესეთი დაუდევრობით ჩემი პლანი ჩაშალა მთავრობამ, გავეშურე ბათუმში, სადაც მსურდა ჩემი ძველი ლეგიონერები შემეგროვებინა და უკვე ჩემი ინიციატივით მემოქმედა. აჭარაში მდგომარეობა გართულებული დამხვდა, იქ უკვე ქემალის აგენტები თარეშობდნენ და თურქის ჯარი აპირებდა ბათუმის ოკუპაციას. ამ მიზეზით ვერც ლეგიონი შევაგროვე. მაშინ გადავწყვიტე ქლუხორის უღელტეხილით ყარაჩაიში გადასვლა და იქ დროებით გამაგრება და გაზაფხულზე პარტიზანულათ მოქმედების დაწყება. თან მიმყავდა 400 ყარაჩაელი, იმ დროს ბათუმში მებრძოლნი. გასამგზავრებლათ მზათ ვიყავ, რომ რამიშვილმა დამატუსაღა და ციხეში მიკრა თავი. ეს დატუსაღება იყო უკანონო შემდეგი მიზეზებით:

1. სამხედრო კაცის დატუსაღება შეიძლება მხოლოდ სამხედრო ავტორიტეტის გადაწყვეტილებით.

2. ოფიცრის დატუსაღება შეუძლიან მხოლოდ კომენდანტს, მე კი დამატუსაღებინეს პაჭულიასა და მის პოლიციელებს.

3.არავითარი ბრალდება არ წარმომიდგინეს.

4. არც ერთხელ არ დამკითხეს.

5. დამამწყვდიეს არა სამხედრო საპყრობილეში, არამედ სამოქალაქოში, ბანდიტებთან და ბოლშევიკებთან ერთათ.

გამოშვებული ვიყავ ციხიდან მთავრობის ბათომიდან წასვლის წინა დღეს. მე არ გავიქეცი და დავრჩი ბათომში, რათა გამეყო ბედი ჩემი ოფიცრებისა. მე მიმაჩნდა და მიმაჩნია ლაჩრათ ის ღენერალი, რომელიც თავის ოფიცრებთან ერთათ არ გაიყოფს საფრთხეს და გაქცევით თავის საკუთარ თავს უშველის. როცა შემოვიდნენ ბოლშევიკები და მეც და ჩემი ოფიცრებიც ერთანაირ პირობებში ჩავარდით, მაშინ მე ორი-სამი კვირის შემდეგ გამოვიქეცი."[1]

ლეო კერესელიძის ეს ვრცელი ბიოგრაფია ზედმეტად არ მომიტანია. ეს დოკუმენტი და მასში გადმოცემული ამბავი მოწმობს:

1. აკაკი ჩხენკელი პატივს სცემდა და გვერდით იყენებდა მისი მთავრობისაგან შერისხულ პირებსაც კი, თუ ისინი პროფესიონალები და სამშობლოს მოყვარული ადამიანები იყვნენ;

2. ის აზრი, ხშირად ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსი მეცნიერებისგან რომ გაისმის, თითქოს გერმანიის მხარეს მებრძოლი ქართველები მოღალატეებად უნდა შეირაცხონ, არასამართლიანია. ლეო კერესელიძე, რომელიც ორივე ომის დროს გერმანიის მხარეს იდგა ერთადერთი მიზნით: საქართველოს ხსნის სურვილით, ამის მაგალითია. სხვა საკითხია, რამდენად მიიღწეოდა ეს მიზანი ამ პოზიციით. სსრკ-ს სამშობლოდ და მამულად აღიქვამდნენ ის ქართველები, რომლებმაც თავი გასწირეს მერე მსოფლიო ომში, თუმცა, იმის მტკიცება, რომ სსრკ-ს მხარეზე დგომა უფრო პატრიოტული და „სამამულო" საქმე იყო, ალბათ უარგუმენტოა. განა მეორე მსოფლიო ომის ამგვარი გმირების შვილიშვილები და შვილთაშვილები არ ჩახოცა რუსულმა ჯარმა 1989 წლის 9 აპრილს, 90-იან წლებში აფხაზეთში და 2008-ში ცხინვალში? ორივე მხარეს მებრძოლებს უყვარდათ საქართველო, ორივე მხარეს გმირები იყვნენ, „ორივენი საბრალო საქართველოს შვილები იყვნენ";

3. ისტორიული წარსულის შეფასებისას ყველა კონკრეტული ფაქტი კომპლექსურად და ობიექტურად უნდა გაიაზრებოდეს და ნაჩქარევი დასკვნები არ უნდა გამოვიტანოთ. ჩვენ მოსამართლეებად ვერ ვივარგებთ იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც უამრავი ჭრილობა მიიღეს სამშობლოს დასაცავად, ისე, როგორც ეს მიიღო ბერლინში 1944 წელს ნაღმის აფეთქებით დაღუპულმა, საქართველოსთვის მრავალბრძოლაგამოვლილმა და მასზე უზომოდ შეყვარებულმა ქართველმა კაცმა — ლეო კერესელიძემ.

[1] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 415, ფურც.4-8.

„...არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს ბოლშევიკებსა და ემიგრაციას შორის... უეჭველია, ყველა ისინი იმყოფებიან გამქრალი იმპერიის გიპნოზის ქვეშ, ვერ წარმოუდგენიათ რუსეთი უჩვენოთ. უნდა ნახოთ, როგორის გულწრფელობით და აღელვებით გვედავებიან ისინი დამოუკიდებლობის კითხვაში... გეგონებათ, ჩვენ ვაწყენინეთ ამით ცასა და დედამიწას, ვითომ გვინდა წავართვათ რუსებს მათი მინა-წყალი...“

აკაკი ჩხენკელი.

რუსეთის შოვინისტურ-იმპერიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი ახალგაზრდობიდან აკრიტიკებდა. მართალია, მას მაშინ ჯერ კიდევ სწამდა „რუსული დემოკრატიის“, მაგრამ საბოლოოდ ეს რწმენა მთლიანად დაეკარგა და საქართველოს მომავალი ერთმნიშვნელოვნად ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახს დაუკავშირა. აქაც არ ყოფილა ბოლომდე იმედიანი, კარგად ხედავდა პრობლემებს, მაგრამ ეს გზა წინაპრებისა და მომავალი თაობების გზად ესახებოდა. პარალელურად, ბოლშევიკურ-ტოტალიტარულ მმართველობასა და სსრკს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ყველა ასპექტს, მის ლიდერებს დაუნდობლად აკრიტიკებდა.

1929 წელს სტალინს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა, საბჭოთა კავშირში, მის პრესასა და ტრიბუნებზე ეს თარიღი დიდი და ყალბი ოვაციებით აღინიშნა. ამ დიდ და ყალბ ზეიმში ერთგარი დისონანსი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორი წევრის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ორი იდეოლოგის — აკაკი ჩხენკელისა და გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილებმა. ამ ადამიანებმა სსრკს ბელადს პირდაპირ მიუთითეს იმ ნაკლზე, რაც ჰქონდა მას, როგორც მმართველს და ქვეყანას, რომლის სათავეშიც ის იდგა.

ერთს კურსკის საბჭოთა ციხის ჯურღმულში მყოფი გრიგოლ ლორთქიფანიძე აწერდა ხელს, მეორეს ემიგრანტი პატრიოტი აკაკი ჩხენკელი, რომელსაც, რა თქმა უნდა, მეტი პირდაპირობა და სიმწვავე შეეძლო შეეტანა თავის სტრიქონებში.

ზოგადად, სტალინის ფენომენის შესწავლა-გააზრება 20-იანი წლების ბოლოდან უკვე დაიწყო. ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ამგვარი ტიპის ნაშრომები უფრო 30-იანი წლების ბოლოს გაჩნდა, მაგრამ 20-იანი წლების ბოლოდან მწერლები და პოლიტიკოსები, არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპელებიც, უკვე კონცეპტუალურად ცდილობენ ტოტალურ-ბოლშევიკური იდეოლოგიისა და ამ იდეოლოგიის მთავარი ავტორის — სტალინის ფენომენის შესწავლას. გრიგოლ ლრთქიფანიძე და აკაკი ჩხენკელი პირველნი შეეხენ ამ მძიმე თემას და წარმატებითაც მოახერხეს მისი გააზრება.

გრიგოლ ლორთქიფანიძე:

„დღეს თქვენ ტრიუმფატორი ხართ, — რომის ტრიუმფებში მონაწილეობდა საგანგებო მონა, რომელიც დიდ გამარჯვებულს შეახსენებდა მის ცალკეულ შეცდომებს და ბედის ცვალებადობას. შუა საუკუნეების რუს მეფეებს კრიტიკოსებად სალოსები ჰყავდათ.

არ ვდგავარ რა ტრიუმფატორის უავგუსტოესი ეტლის ძარის უკანა სატერფალზე და არც კარის სალოსი გახლავართ, რასაკვირველია, ასეთი იმუნიტეტის ქონას არ ვვარაუდობ, მაგრამ მაინც მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ შევიტანო ერთგვარი დისონანსი (სულერთია, მას მაინც არავინ გაიგონებს) იმ ხოტბა-დიდების ქოროში, რომელიც გარს გახვევიათ თქვენი ნახევარი საუკუნის დღეს...

საუკეთესო საიუბილეო მისალმებასთან ერთად, ვისურვებდი, რომ თქვენ და თქვენი თანამებრძოლები საბოლოოდ არ დაგატყვევოთ ძველრუსული კრემლის ისტორიულმა აჩრდილებმა და რომ მოსკოვის დიდმპყრობელობამ მეტად ვერ შეძლოს ინტერნაციონალიზმის დიადი იდეის მენამულ ტოგაში გახვევა.“[1]

უფრო ვრცლად აანალიზებდა საკითხს აკაკი ჩხენკელი, ის ევროპელ პუბლიცისტთა ნააზრევსაც იყენებდა და საკუთარი თვალსაზრისის უკიდურესი ფორმით გამოხატვასაც არ ერიდებოდა:

„ინგლისის ცნობილი პუბლიცისტის უიკჰამ სტილის ჟურნალში მოთავსებულია წერილი სათაურით: „სტალინი-ჯუღაშვილი, კაცი საიდუმლოებით მოცული“, ავტორი, ვინმე ლიი (ინგლ. სოციალისტი — დ. ჭ.) აღწერს სტალინის აწმყოს და წარსულს, ახასიათებს მას როგორც ტლანქს, ფანატიკოს, ბრმა ტაქტიკოსს, მდარე მწერალს და ორატორს, გულჩახვეულს, უმეგობროს და თან, როგორც გულითადს, გაბედულს, უანგაროს და ასკვნის, სტალინის ტიპის ხალხი ჩვეულებრივ ტრაღიკულათ ათავებენო.

ჩვენთვის არახალია ეს ტიპი, შეგვეძლო ბევრი რამის დამატება ჩვენი „სასიქადულო მამულიშვილის“ უფრო დასრულებულათ წარმოსადგენათ, მაგრამ ეს არ შედის ჩვენს თემაში და გვინდა მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ სტალინის პიროვნება ამ უკანასკნელათ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყველგან. გამოდის ამრიგად, რომ ის ისტორიულ პიროვნებად იქცევა და ამას ძალაუნებურად უნდა შეეგუონ მისი მტრებიც“, — წერდა ჩხენკელი და ვრცლად განიხილავდა სტალინის ფენომენის შექმნასა და მისი, როგორც ისტორიული პიროვნების ადამიანურ და პოლიტიკურ თვისებებს.

„მართლაც, ექვსი წელიწადია, რაც ლენინის სიკვდილის შემდეგ, სტალინი გზას იკაფავს საკუთარი დიქტატურისკენ და ბოლოს კიდეც აღწევს მას. მან სასტიკათ დაამარცხა ხშირად მასზე უფრო დაჯილდოებულნი ნიჭით და ცოდნით მეტოქენი. საკმარისია ამისთვის დავასახელოთ ზინოვიევი, კამენევი, ტროცკი, რადეკი, რაკოვსკი, რომ სხვა მეტი მტკიცება არ დაგვჭირდეს. უკანასკნელათ მან კიდევ მოხსნა ყველა პოსტებიდან ბუხარინი და ტომსკი, და თვით რიკოვის ბედიც ბენვზე ჰკიდია.

დარჩა, მაშასადამე, მარტო სტალინი ლენინის ახლო თანამშრომლე-

[1] დოდო ჭუმბურიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, გამომცემლობა „არტლაინსი“, თბ. 2012,

ბიდან, დასაწყისში ყველაზე უმცროსი და უჩინარი, ხოლო დღეს ერთადერთი მბრძანებელი ხმელეთის მეექვსედის!"

ჩხენკელი საუბრობდა ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე, იმაზე, რომ ერთადერთი ბატონი გახდა ბოლშევიკების პარტია, რომელმაც კომუნისტური დაირქვა და გაბატონდა.

„თუ პიროვნებაზე შეიძლებოდა მაშინ ლაპარაკი, — წერდა ჩხენკელი, — ეს იყო მხოლოდ ლენინი და ის კი ცდილობდა თავისი აზრების და გეგმების პარტიის ყრილობებზედ და ცეკაში გატარებას. როცა ლენინი მოკვდა, ერთხანს ლაპარაკობდნენ „სამეულზე" ცეკაში (ზინოვიევ-კამენევ-ტროცკი), მარამ ის ჩქარა შესცვალა პოლიტბიურომ, რომელიც გეპეუსთან ერთად ყველაზე ცნობილი გახდა უცხოეთშიც.

ჩვენ არ გვჭირდება იმის აღწერა, რომ ერთი მეორეზე განდევნა ყოფილნი ბუმბერაზნი პოლიტბიუროდან მისმა მთავარმა მდივანმა სტალინმა, აღსანიშნავია მხოლოდ, რომ უკანასკნელნი მსხვერპლნი, ბუხარინი და ტროცკი, მიუხედავად ყველა პოსტებიდან მოხსნისა, ისევ პოლიტბიუროში რჩებიან წევრებად. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ პოლიტბიურომაც დაჰკარგა ადრინდელი მნიშვნელობა და ყველაფერი მის გარეთ სწყდება სტალინის მიერ. უკანასკნელს ჰყავს, რა თქმა უნდა, თავისი ნაზირ-ვეზირნი: მოლოტოვი, კაგანოვიჩი და მათგვარნი, რომელთა როლი ბალი-აღას ძახილია.

სტალინის ძალა იმაშია, რომ მან შესძლო პარტიის აპარატის ხელში ჩაჭერა და ეხლა მას არ აშინებს ყრილობები და პლენუმები, სადაც სულერთია, რამდენიც არ უნდა აკრიტიკოთ მისი მოქმედება, დიდი უმრავლესობა, შიშით, მთელი შემადგენლობა დელეგატებისა მას აძლევს ხმას. საინტერესოა, უკანასკნელ ყრილობა-პლენუმზედ სტალინს თითქმის არ ულაპარაკნია, ხოლო დაგენილებები მის მიერ იყო ნაკარნახევი. ის მართლა „საიდუმლოებით მოცულ" პიროვნებად ხდება.

სტალინის დიქტატურა ვრცელდება სახელმწიფო ორგანოებზე, ისე როგორც პარტიულზე. ერთი ხანი ფეხს იკიდებდა ილუზია, ვითომ პოლიტბიუროს და მთავრობის ე.წ. მეტოქეობიდან რამე კარგი გამოდნებოდა ხალხისათვის, მაგრამ სტალინმა ერთის ხელის დაკვრით გააქარწყლა იგი. ის არ დასჯერდა, რომ უკანასკნელი მისი „მეტოქე" — რიკოვი, მარჯვნით გადახრისათვის, რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს. მან ცინიკურად აიძულა გამოსულიყო მომხსენებლად და აქედან დამცველად მისთვის მიუღებელ ხუთნლიან პლანისა. ამიტომ არ გვიკვირს, რომ მდაბალი და უბადრუკი რიკოვი დატოვებული იქნა კავშირის მთავრობის თავმჯდომარედ!

ამ რიგად, საბჭოთა კავშირმა განვლო ორი ტიპის დიქტატურა: კოლექტიური (პარტა) და კოლეგიალური (პოლიტბიურო) და ეხლა მესამე და უკანასკნელ ეტაპზე გადავიდა: ერთი პირის დიქტატურა (სტალინი) ეგონათ, მესამე ტიპი ბონაპარტს დაბადებდა და მის მაგიერ კი სტალინი გამოახტუნა!! სარდლის მაგიერ — პროფესიული რევოლუციონერი, მხედრის მაგიერ — ცივილი.

მართალია, საფრანგეთის რევოლუციამაც შვა ასეთი დიქტატორი რობესპიერის სახით, მაგრამ ის თვითონვე გახდა თავის ტერორის მსხვერპლი, ტერმიდორის დღეებში. მოელის თუ არა ეს ხვედრი სტალინსაც?ან კიდევ, იკისრებს თუ არა ის ბონაპარტის ისტორიულ მისიას?

რაში მდგომარეობდა ეს მისია? იმაში, რომ ტერორისა და ათასგვარი თვითნებობით განაწამებ ხალხს ბონაპარტმა დაუმყარა წესრიგი და შეუქმნა ნორმალური პირობები მშვიდობიანი შრომისათვის; მანვე გამოსცა ცნობილი დიდი კოდექსი, რომლითაც დააკანონა ხალხის მიერ მოპოვებული უფლებები ეკონომიკურ და მოქალაქობრივ სფეროში და ამით მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ახალ ბურჟუაზიულ წყობილებას.

პირველი შეხედვით, თითქო სტალინსაც შეეძლო იგივე ექნა. რუსის ემიგრაციის ერთი ნაწილი ჩასჩიჩინებს მას: დაეშვი ნელ-ნელა ტორმაზით დემოკრატიისკენო. მაგრამ ჩვენ ამ უტოპიაზედ როდი ვლაპარაკობთ, არამედ ეკონომიურ დათმობებზე, ხოლო პოლიტიკურათ მას შეეძლო, როგორც ბონაპარტს, კიდევ ებატონა ერთ ხანს. უცხოეთში კიდევ ჰგონიათ ზოგიერთებს, რომ სტალინი სწორეთ ასე მოიქცევა და იმედს მის „ზიგ-ზაგზედ"ამყარებენ: დაამარცხა მემარცხენენი და მათივე პროგრამა გაატარაო; ეხლა მემარჯვენენი დაამარცხა. მაშ, ჯერი მათ პროგრამაზედ მიდგაო.

ფუჭი იმედია! სტალინს სხვაგვარ ესმის თავისი მისია, ესაა „ოქტომბრის მონაპოვართა" დაკანონება, ე. ი. სოციალისტური წყობილების განხორციელება. ამ მიზანს ემსახურება ეხლახან დაკანონებული ხუთწლიანი პლანიც, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ინდივიდუალურ მეურნეობას სოფლად.

ამოცანა ათჯერ უფრო ძნელია, ვიდრე ბონაპარტმა დაისახა, ხოლო ამსრულებელი ასჯერ უფრო ბრიყვი!

მართლაც, ბონაპარტი დროზე მიხვდა, რომ თუ დაასვენებდა დაქანცულ ხალხს, ის ზურგს შეაქცევდა პოლიტიკურ ბრძოლას და არ შეეცილებოდა მის ბატონობას. რას შვრება სტალინი? ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს ხალხს! ის მიმართავს სისტემატიურ პროვოკაციას, ე. წოდებულ „კლასთა ბრძოლის გამწვავებას" გლეხთა შორის; სოვხოზებისა და კოლხოზების ხელოვნურად გამრავლებით ის ცდილობს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას.

ნუთუ არ ესმის სტალინს, რომ ასეთი ძალათ-მაცხონობა კისერს მოუგრეხს მას? გაიხსენეთ გლეხობის საბოტაჟი, რომელიც უფრო და უფრო მკაცრ ხასიათს იღებს; კომუნისტთა სისტემატიური ხოცვა; შემდეგ სანოვაგის სიმცირე, ადგილ-ადგილ ნამდვილი შიმშილი, ჩერვონეცის დაცემა, უმუშევრობა..... როგორი ცუდი აზრისაც არ ვიყოთ სტალინზე, არ გვგონია ის არ ხედავდეს, როგორ ნელ-ნელა, მაგრამ შეუმცდარათ უახლოვდება უფსკრულს.

მაშ, რაშია საქმე? იმაში, რომ მას უკვე არ ძალუძს ფეხის მობრუნება. არ არის გამორიცხული, რომ ის კიდევ გააკეთებს „ზიგ-ზაგს", მაგრამ ამას არ

ექნება პრინციპული ხასიათი, პოლიტიკა არსებითად იგივე დარჩება, ხალხის წინააღმდეგ მიმართული. ლიი ამბობს, სტალინი მეგობრებს მოკლებულიაო, ჩვენ ვიტყოდით, ის ეჯავრებათ კიდეც და ნეტარებითაც აკუწავდნენ, მაგრამ... მაინც მხარს უჭერენ! რატომ? იმიტომ, რომ თუ ის დამარცხდა, უადგილოთ დარჩებიან ათასნი და ათიათასები, ვინც დღეს კალიასავით მოდებიან საბჭოთა დაწესებულებებს, მრეწველობას, კოოპერაციას, აღებ-მიცემობას, მთელ სახელმწიფო მეურნეობას, ღრღნიან ასორმოცდაათი მილიონი ხალხის სარჩო-საბადებელს. ხომ ხშირათ გვესმის „იქიდან", რომ საბჭოთა მოქალაქის ერთადერთი საზრუნავი გამოკვება და ჩაცმა-დახურვა გახდაო. რაც შეეხება საბჭოთა ურიცხვ მსახურთ, ისინი დაზღვეულნი არიან ასეთი გაჭირვებისაგან. გამოყოფილია მათგან მთელი კასტა მცონარეთა, იერარქიით მაღლა მდგომნი — ახალი არისტოკრატია. განა დასაშვებია, რომ მათ ნებით დასთმონ ადგილი, მდგომარეობა, პატივი? არასოდეს. პირიქით, სტალინს სწორეთ მაშინ მოელის, და გაცილებით უფრო ადრეც, „გახურებული შანთი", თუ მან გადაუხვია „სოციალისტურ" გზას.

ამ ორცეცხლ შუა სტალინი ირჩევს ისეთს, რომელიც უფრო დაშორებულათ ეჩვენება მას. წყარო იგივე მრავალტანჯული რუსის ხალხია. „ნიჩევო", — აი რაზედ ემყარება ის ბოლოს და ბოლოს. რუსის ხალხი ამტანია, თუ რომანოვების თვითმპყრობელობა სამასი წელი ზიდა მან, რატომ ჩუმი ბატონობა არ უნდა ზიდოს, თუგინდ სამი წელიო, ეზმანება მას და... მეორე გვერდზე ბრუნდება ტკბილ სიზმარში გახვეული დიქტატორი.

სტალინს არ დაუჯერეს, როცა მან განაცხადა „სამსახურიდან გასვლა". არც იყო დასაჯერებელი. ხელისუფლება ტკბილია, როგორც სიცოცხლე, ერთი დღე მეტი, ერთი დღე ნაკლები, გადამწყვეტია. რატომ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სტალინი გამონაკლისია საერთო წესიდან? მით უფრო, რომ ის არაა დაჯილდოებული არც ჭკუით, არც დიდი გამჭრიახობით.

ლიი ასკვნის, სტალინი ტრაგიკულათ გაათავებსო. ვინ იცის, იქნებ კომიკურათ გაათავოს! რუსეთმა ამის ბევრი მაგალითი მოგვცა, გავიხსენოთ, სხვა ბოლშევიკურმა ლიდერებმა როგორ გაათავეს. დიდი ხნის ცდა არ დაგვჭირდება, დავინახავთ.[1]

ბოლშევიკური რუსეთის სკითხს ეძღვნება აკაკი ჩხენკელის საგაზეთო მეთაური წერილი **„ჩვენი პერსპექტივები"**, მასში საუბარია ჩაგრული ერების განთავისუფლების პროცესის შესახებ. წერილი 1932 წელს დაინერა.

სტატიაში საუბარია 20-იან წლებში დაწყებულ ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, მათ გათავისუფლებაზე უცხოელთა ჩაგვრისაგან, სახელმწიფოებად ჩამოყალიბებაზე. ჩხენკელი ამბობს, რომ ეს პროცესი დასრულდა, თუ რამე დარჩა გასაკეთებელი, — ესაა საზღვრების დადგენის საკითხი და ასევე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის პრობლემა.

ის საუბრობს არა მარტო ევროპაში განვითარებულ ამ პროცესზე, არამედ აზიაზეც. ამბობს, რომ იქაც შეიქმნა ბევრი ახალი თავისუფალი ქვეყანა, ოსმალეთი განთავისუფლდა კაპიტულაციებისაგან და რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. განახლების გზას დადგა სპარსეთი დ ასე შემდეგ. წერილში

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 227, ფურც. 1-4.

კარგად ჩანს მისი პოლიტიკური ცოდნა, მოვლენების ობიექტურად შეფასებისა და ყველა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის უნარი, ამ მოვლენების მიღმა არსებული რეალობის ცოდნა.

მსოფლიო პოლიტიკის განხილვის შემდეგ ჩხენკელი გადადის რუსეთში გავითარებული მოვლენების ანალიზზე.

„თავის თავათ ცხადია, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიაც ვერ გადაურჩებოდა ამ მძლავრ განმათავისუფლებელ ტალღას. დიდ ომში სასტიკმა დამარცხებამ მას ჩაულენა გვერდი ჩრდილო-დასავლეთით და ჯერ კიდევ პეტრე დიდის მიერ დაწყებული ანექსიები დიდ ნაწილათ ისტორიას ჩაბარდა. ჩვენ ვხედავთ ახლად აღდგენილ დიდ პოლონეთს, ლიტვას და ფინლანდიას ერთის მხრით, და პირველათ დაარსებულ თავისუფალ ლატვიას და ესტონიას, მეორეს მხრით. ვერ მოხვდა ამ რჩეულთა რიგში დიდი უკრაინა, მდიდარი წარსულით და უტყუარი მომავლით. მაგრამ, რაც ყველაზე საყურადღებოა, ესაა ის, რომ მოწყვეტილი ე. წ. „ფანჯარას დასავლეთით“, — ბალტიის ზღვას, ველიკოროსია ახერხებს კავკასიის შენარჩუნებას, იმ კავკასიის, რომელიც არ იყო მისთვის ისე აუცილებელი, როგორც ცენტრისგან სამიათას ვერსტით დაშორებული სრულიად განსხვავებული ორგანიზმი“. ჩხენკელის თქმით, ევროპამ დააფასა კავკასიის რესპუბლიკები, საქართველოს საკითხი ერთა ლიგაში ბალტიის რესპუბლიკებზე წინ იდგა, საქართველომ პირველმა მიიღო რუსეთისგან გამოყოფილ დიდ და პატარა რესპუბლიკებს შორის საკუთარი კონსტიტუცია.

ჩხენკელი კავკასიის ხელახალ დაპყრობას რუსეთის მიერ და ევროპისგან მის მიტოვებას ასე ხსნის: „მოსკოვმა ლახვარი ჩასცა კავკასიის რესპუბლიკებს. ჩვენ ვიცით, როგორ დაგვატყდა თავს ეს უბედურება. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამის მთავარი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ჩვენ შორს დავრჩით გეოგრაფიულათ იმ საერთაშორისო ასპარეზიდან, სადაც თვითეული ერის ბედი და უბედობა წყდებოდა. ჩვენ, ერთხელ კიდევ, ბიზანტიის დაცემის შემდეგ, ვინვნიეთ ევროპისგან ძალად ჩამოხლეჩვის საბედისწერო შედეგი. ჩაკეტილნი შავ ზღვაში, ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, სათანადო როლი გვეთამაშნა ევროპის თათბირში. ამას ხელს უშლიდა, უწინარეს ყოვლისა, ის გარემოებაც, რომ ჩვენსა და ევროპას შორის მდებარე ოსმალეთი, თვითონაც ჩაბმული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ჩვენი მტრის მხარეზე აღმოჩნდა“.

ჩხენკელი აანალიზებდა მომავალს და პროგნოზსაც აკეთებდა, რომ სამხრეთის საზღვრებზე რუსეთს მომავალში იგივე დაემართებოდა, რაც ჩრდილოეთით დაემართა.

ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს, და ზოგადად კავკასიის დაბრუნებას ევროპულ ოჯახში.

„დღიდან დაარსებისა ჩვენმა რესპუბლიკებმა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ნიმუშები ევროპიდან აიღეს და მთელის ძალ-ღონით ცდილობდენ ერთა ლიგაში შესვლას. **თუ წინეთ ბევრისთვის უცნობი იყო, დღეს ხომ ყველამ ვიცით, რომ განათლებულ კაცობრიობასთან უშუალო დამოკ-**

იდებულება დიდ მომავალს უმზადებს კავკასიის ერებს ნივთიერი და გონებრივი აღორძინებისათვის. ევროპის გონებრივი საუნჯის რუსეთის მიერ ნაცოხნის კიდევ გადაცოხვნა ზარალს უფრო მოგვიტანს, ვინემ მოგებას. ჩვენ განზე ვტოვებთ ბოლშევიკების გამანადგურებელ გავლენას ჩვენ კულტურულ განვითარებაზე"...

ჩხენკელი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ დროებითი „მეგობრობა" ოსმალეთსა და რუსეთს შორის მალე დაინგრეოდა, რუსეთი, ბალტიის ზღვას მონყვეტილი, ხმელთაშუა ზღვისკენ სწრაფვას გაგრძელებდა და ოსმალეთს შეეჯახებოდა. საამისოდ ლოზანის კონფერენციის გადაწყვეტილება მოჰქონდა, სადაც განიხილეს სრუტეების საკითხი. ჩიჩერინი გააფთრებით ემხრობოდა სრუტეების თურქეთისთვის გადაცემას, თურქეთის წარმომადგენელმა ისმეთ-ფაშამ კი ლორდი კერზონის მხარე დაიჭირა და სრუტეების ინტერნაციონალიზაციას მისცა ხმა. „ეს აქტი განუზომელი მნიშვნელობის არის იმავე დროს ჩვენთვის, — წერდა ჩხენკელი, — რადგან ჩაინგრა მე-15 საუკუნიდან ამართული კედელი და კავკასიას გზა გაეხსნა ევროპისაკენ. არც კონფერენციის ავტორებს დაუმალავთ ეს, ვინაიდან მათ ადგილი დაუტოვეს საქართველოს და უკრაინას აღმასრულებელ ორგანოში, მსგავსად შავი ზღვის სხვა სახელმწიფოებისა".

კავკასიის თავისუფლებისათვის ჩხენკელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა უკრაინის თავისუფლებას, მასთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიმჭიდროვეს. ის გადაჭრით ამბობდა, რომ „რუსეთი მტერია საქართველოს და კავკასიელი ერების თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, ეს მაშინ, როდესაც ერთადერთი ფორმა ერის ნორმალური განვითარებისათვის არის სახელმწიფო, ნამდვილი ბაზა შემოქმედებისა და წინსვლისა, კავკასიის და უკრაინის ერებიც ამ სრულიად ბუნებრივ და აუცილებელ ფორმაში ჩამოსხმას ლამობენ, სხვანაირათ შეუძლებელია, სანამ ისინი ერობენ".

ის განიხილავდა საბჭოთა კავშირში შექმნილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას, იმ სადამსჯელო ღონისძიებებს, რომელიც ხვრეტდა, ანამებდა, აპატიმრებდა და ციმბირისკენ გზავნიდა უამრავ ადამიანს, მათ შორის თავად ბოლშევიკ ხელმძღვანელებსაც. იქმნებოდა ობიექტური პირობები ჩაგრული საბჭოთა ხალხების განსათავისუფლებლად. ჩხენკელი წერდა: **„ობიექტური ხელსაყრელი გარემოებანი ერთია, სუბიექტური მომენტი — მეორე. თავისუფლება ციდან ჩამოვარდნილი მანანა არ არის, ის თვითონ უნდა გამოგლიჯო მტერს ხელიდან, ამისათვის უნდა ემზადო, გაიმსჭვალო ურყევი ნებით, არ დაერიდო მსხვერპლს.. ერთი სიტყვით, უნდა იბრძოლო. ერი, რომელიც თავისუფლებისათვის არ იბრძვის, არცაა ღირსი ამ სახელის ტარების".**[1]

საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაციის გატარებასა და ეკონომიკური კრიზისის თემას ეძღვნება აკაკი ჩხენკელის წერილი **„სეპარატიზმი, — აი, მტერი"**, სტატია-ხელნაწერი, 4 გვერდზე.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 231, ფურცელი 1-4.

საუბარია თბილისიდან საკუთარი ინფორმატორის მიერ ემიგრაციისთვის მიწოდებულ ცნობაზე, რომ თბილისში უახლოეს დღეებში მოელოდნენ რეჟიმის დაცემას. ჩხენკელი ამას უკავშირებდა იმ უჩინარ ძაფებს, რაც თითქოს გაბმული იყო ქართველ პატრიოტებს შორის სამშობლოსა და ემიგრაციაში. მისი აზრით, თბილისი საბჭოთა კავშირში თავისუფლების მაჯისცემით გამორჩეული ქალაქი იყო. ის ასევე აღნიშნავდა ხარკოვში მიმდინარე სასამართლო პროცესს „უკრაინის განმათავისუფლებელი კავშირის 34 ინტელიგენტი წევრის წინააღმდეგ, ასევე მსგავს მოვლენას ტაშკენტში, მაგრამ თბილისის თავისუფლების მუხტს მაინც გამოარჩევდა. მისი აზრით, თუმცა თავად რუსეთშიც იყო გარკვეული წინააღმდეგობა, მაგრამ სტალინის 2 მარტის კანონს კოლექტივიზაციის შესახებ ყველაზე მეტად არარუსი ერები ვერ შეეგუებოდნენ, რადგან ისინი კერძო მესაკუთრენი იყვნენ და ქონების წართმევა-განიავებას ვერ აიტანდნენ. მართალია, სტალინი რაღაც შეღავათებს იმ ეტაპზე აძლევდა კულაკებს, საშინაო ბაზრებზე მათ პროდუქტის გატანა შეეძლოთ, მაგრამ ჩხენკელი ამ უკანდახევას ნეპის პოლიტიკისაკენ რეჟიმის კრახად თვლიდა. „მაგრამ ავიწყდებათ, რომ 1930 წელი უბრალო განმეორება არაა 1921 წლის. რაც მაშინ შეიძლებოდა, დღეს არ შეიძლება. კოლხოზებში შერეკილი გლეხები უკან გამორბიან, იბრუნებენ ძალათ წართმეულ საქონელს, იარაღს, სახლებს. მაგრამ, ვინაიდან ბევრი წართმეულიდნ გაფუჭებულია, ან სრულიად მოსპობილი, ისინი მოითხოვენ სამაგიეროს. ბრძოლა ამ ნიადაგზე საშიშრად მწვავდება. ექპროპრიატორი კომუნისტები ადგილს ვერ პოულობენ, რომ თავი დააღწიონ ხალხის რისხვას. გაკოტრებულ დემაგოგებს თავიანთ პარტიაშიც გაუტყდათ სახელი, ხალხზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი!

ამრიგათ, საბჭოთა კავშირი უკვე შესულია დიდი კრიზისის ხანაში, დათმობები ეხლა ვერ უშველის ხელისუფლებას, ყველა ვადები გასულია. ის უძლურია იხსნას ხალხი შიმშილისა და ბევრი სხვა უბედურებისაგან. დარჩა ისევ ტერორი, სისხლი, რომელიც საშინელ ბოლოს უქადის კრემლის მედროვეთ“[1].

ჩხენკელი ამ ამბების კარგად მცოდნე რუსულ ემიგრაციას აკრიტიკებს, რომლებიც რაღაც წვრილმანებზე დავობდნენ, მაგრამ მათი მიზანი, შეფარული სურვილი რუსეთის იმპერიულ საზღვრებში დარჩენა იყო. „რატომ მათი შიში, კანკალი? რევოლუცია,— მოგიგებენ ისინი ერთხმათ, — სამოქალაქო ომში გადავარდნაა, ხოლო ეს ბუნებრივი აუცილებლობით დაარღვევს და დაანაწილებს საბჭოთა კავშირსო. მაშასადამე, ტყუილა გვგონია, რომ რუსის ემიგრანტებს არა აქვთ არაფერი საერთო. მიუხედავად მათი შინაური ბრძოლისა, ყველა ისინი თითქოს ეროვნულათ, პატრიოტულათ არიან განწყობილნი. ერთი ამას აშკარათ ამბობს, მეორე — ქარაგმულათ, მესამე სულაც კი სდუმს, თუმცა გულში ამაზე ფიქრობს. მერე რა, — იტყვის მკითხველი, განა ეროვნული გრძნობა დასაძრახია, განა ჩვენ

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 234, ფ.2;

თვითონ ეს გრძნობა არ გვამოქმედებს? არა, რასაკვირველია. **ის, რაც რუსებს ამოძრავებს, არის იმპერიალიზმი, ბატონობა სხვა ერებზე. ჩვენ კი მივისწრაფვით არა ბატონობისაკენ, არამედ თავის თავის განთავისუფლებისაკენ...**

არის, მაშასადამე, ორი შეურიგებელი პოლიტიკა და ტაქტიკა: რუსული და არარუსული, მათი ერთმანეთში არევა მით უფრო მიუტევებელი და მავნე იქნებოდა, რაც უფრო ვუახლოვდებით გადამჭრელ ყოფნა-არყოფნის ჟამს. ჩვენი მიზანია ეროვნული განთავისუფლება, რუსებისა კი — დღევანდელი პოლიტიკური საზღვრების შენარჩუნება."

რუსული ემიგრაცია სეპარატიზმს მტრად მიიჩნევდა, არარუსი კი — ბრძოლის საშუალებად და საბოლოო მიზნად. რუსეთი ახლა სოცალურ-ეკონომიკურ ჩიხშია, ამიტომ ჩვენ უნდა დავირაზმოთ, სეპარატიზმი ბრძოლაში დავამარცხოთო. ჩვენი ამოცანაა დარაზმული გამოსვლა, სტიქიის ძლევა, დროის შერჩევა, ბორკილების დამსხვრევა. სეპარატიზმი, — აი, მტერი, სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ არარუსის ერის, არამედ გადალმელი და გადმოლმელი რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ"!, — ასეთი იყო ემიგრანტი ქართველი პოლიტიკოსის სურვილი და მონოდება საკუთარი ხალხისადმი.[1]

რას წერდა აკაკი ჩხენკელი საბჭოთა კავშირის მეათე წლისთავზე

ჩხენკელმა ამ „დიად თარიღთან" დაკავშირებით დაწერა სტატია — **„საბჭოთა კავშირის მეათე წლისთავი"**. აქაც, თავისი ჩვეული პუბლიცისტური დამაჯერებლობით აკრიტიკებდა საბჭოთა პრესას, სადაც აღტაცების გამომხატველი წერილები დაიბეჭდა, განსაკუთრებით სტალინის სიტყვას — საბჭოთა კავშირში, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საბოლოოდ გადაიჭრა ეროვნული საკითხიო.

აკრიტიკებდა ამიერკავკასიის ფედერაციას, ჩვენ გვაბრალებენ, თითქოს ჩვენგან აიღეს ეს ფორმაო და ამას მოსკოვის თვალთმაქცობას ეძახდა, მისი შეთხზულია საბჭოთა კონსტიტუციაც, როგროც ეროვნული კომისრისო.

„ეს ის დრო იყო, — წერდა ჩხენკელი, — როცა ლენინი და მისი ამალა ჯერ კიდევ ერიდებოდნენ ერის უფლებათა აშკარა შელახვას, ანგარიშს უწევდნენ უცხოელთა აზრს და მორცხვად ხელს აფარებდნენ წითელი ჯარების განაპირა ერებზე შესევას და გაბატონებას. გაიხსენეთ, როგორ ირყეოდა ლენინი საქართველოს შესახებ, წინააღმდეგიც კი იყო მისი დაპყრობისა ასე ნაადრევათ, — ხელშეკრულების დადებიდან ათი თვეც კი არ გასულიყო — და ამისთვის დასჭირდათ სტალინს და ორჯონიკიძეს გლეხთა აჯანყების მოგონება ბორჩალოში, ან კიდევ ქართველების მიერ წითელი ჯარის მოწვევა!

ყველა ეს დოკუმენტურად დამტკიცდა ცოტა ხნის შემდეგ. დამტკიცდა

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 234, ფ. 4.

ისიც, რომ ამიერკავკასიის ფედერაციაც მოსკოვის საქმე იყო, ქართველი ბოლშევიკები ებრძოდნენ მას, კავშირში უშუალოთ შესვლას მოითხოვდნენ და თვით ლენინს იწვევდნენ მსაჯულად. შედეგიც ვიცით: საქართველოს მთავრობა და ცეკა დაფერთხეს, ურჩნი განდევნეს და მათ მაგიერ სხვები დანიშნეს.

ეს კომედია-ფარსი ბოლშევიკებმა დასავლეთშიც გაითამაშეს. 1922 წელს, ლოზანის კონფერენციის დასაწყისში, მათი დელეგატი ჩიჩერინი მოითხოვდა — საქართველო და უკრაინა დმოუკიდებლ სახელმწიფოებად ჩარიცხეთო, ხოლო, 1923 წლს, კონფერენციის ბოლოს, მისი ლექსიკიდან ამოვარდა ეს ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო და ეხლა მხოლოდ კავშირის სახელით ლაპარაკობდა. მართალია, დასავლეთი ვერ გააცურეს ამ უშნო ფარსით, საქართველოს სახელით არ ალაპარაკეს ჩიჩერინი და მისი ყმა ბუდუ, არც რუსეთის მაგიერ კავშირი ჩააწერინეს, მაგრამ.. როგორ გამოიცვალა მას შემდეგ სურათი, როგორ გაშიშვლდენ!

დიახ, ერის უფლებაზე ახლა ხსენებაც კი არ არის, ვინ ჩივის ხსენებას, როცა თვით სიცოცხლეც კი ძაფზე ჰკიდია! სასტიკი ცენტრალიზაცია მმართველობის, მეურნეობის ყოველი დარგის, მაგრამ ეს ცოტაა, ვინ ზის ცენტრში, ვინ განაგებს, ვინ ბატონობს? არა პარლამენტი, რა თქმა უნდა, არა მთავრობა, მის წინაშე პასუხისმგებელი, არამედ დიქტატორი. სახელით არსებობენ საბჭოების ყრილობა, აღმასრულებელი კომიტეტი, თვით ეროვნებათა საბჭოც, საქმით არამცთუ ესენი, პოლიტბიუროც არაფერია გეპეუსთან შედარებით და სტალინიც დიქტატორია იმდენათ, რამდენათ ის ამ ჯოჯოხეთური ორგანიზაციის ქურუმია."

ჩხენკელი საუბრობდა საბჭოთა პასპორტზე, რომლის შემომტანი გეპეუ[1] იყო, რომლის ძალითაც ყველა ადამიანის აღრიცხვა-დასჯა შეეძლებოდათ არა მარტო საკუთარი, არამედ წინაპართა დანაშაულისთვის ბრალდების გამო. „ეროვნული, თუ გინდ ინდივიდუალური თავისებურების შენარჩუნება მეტ ბარგად არის ჩათვლილი. იმავე დროს მოსკოვი, შიმშილისგან ალყაშემორტყმული, სარგებლობს ახალ პასპორტს იმისთვის, რომ გარეკოს დიდი ცენტრებიდან მეტი ხალხი. ასეა, როცა ხომალდი იძირება, მეტ ბარგს ზღვაში გადაყრიან ხოლმე.

რუსეთის შეუსაბამობა ყოველთვის იმაში გამოიხატებოდა, რომ, ერთის მხრით, ხალხი მონობასა და სიბნელეში იმყოფებოდა, ხოლო, მეორეს მხრით, გაბატონებული ბიუროკრატია, გადმოჰქონდა რა მას უცხოეთიდან ტექნიკური საშუალებები და ადმინისტრატიული წესები, იყენებდა მათ ხალხის კიდევ უფრო მაგრათ შესაბოჭად. ამით აიხსნება ის უცნაური მოვლენაც, რომ ბოლშევიკური ბიუროკრატია, წინანდელზე უფრო უხეში და რეგვენი, „გიგანტებს" აშენებს, მაშინ, როდესაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია. სტალინის ბაქიობა ევროპა-ამერიკის გასნრებაზე სისულელეა, მაგრამ ერთში მართალია: გეპეუ თავის ტექნიკით და ბარბაროსული პრაქტიკით ძალიან შორს სტოვებს სხვა ქვეყნებს.

[1] გეპეუ — აბრევიატურა საბჭოთა დანესებულებისა — Государственное Политичесское Управление.

მაშასადამე, დასმულია კითხვა არა ეროვნული თავისუფლების, არამედ ეროვნული არსებობის. სტალინი არცკი მალავს, რომ „ერი თავისთავად მიზანი არ არის", „სოციალიზმის" განხორციელება ერთა გაქრობით, ერთმანეთში გათქვეფით უნდა დამთავრდესო. და ამით ხსნის ის, რომ საბჭოთა კავშირს ტერიტორიული საზღვრები არა აქვს, რათა ახლად გასაბჭოებულ ერებს შეეძლოთ შიგ შესვლაო.

ამის შემდეგ, მოდით და დაუჯერეთ მოსკოვიტებს, რომ მათ გადაჭრეს ეროვნული კითხვა!

თუ გნებავთ, გადასჭრეს, მაგრამ წინაუკმო, რომ ერნი მთლად აღგავონ დედამიწის ზურგიდან! რასაკვიირველია, რუსის ერის სადღეგრძელოთ, რადგან გათქვეფა ფაქტიურად რუსის ერში უნდა მოხდეს, „ლენინის ენა", რომელზედაც დაიწერა მათი სახარება, — აი, რა უნდა გაბატონდეს სხვა ენებზე! რაც შეეხება გონებრივ საზრდოს, მწერლობას, პოეზიას, თვით მეცნიერებას, — ესენი უნდა ჰპოვებდნენ თავის გამართლებას ბოლშევიკურ დოგმებში, ემსახურებოდნენ ხელისუფლებას, მის სისხლიან პოლიტიკას.

აქედან აშკარაა, რა დიდი ხიფათის წინაშე სდგანან არარუსის ერნი. მტერი ლამობს, ეკონომიკურ განადგურებასთან ერთად, სულიერათ გადააშენოს ისინი, გადააგვაროს. ბოლშევიზმი მოასწავებს ბატონობას სულზე და ხორცზე, ის არ კმარობს მარტო გარეგნულ მორჩილებას, ბრძანების ასრულებას, უნდა გახდე ახალი სარწმუნოების აქტიური მიმდევარი, მისი გამტარებელი ცეცხლითა და მახვილით.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი როგორ პირობებში იზრდება ახალი თაობა, როგორ იწამლება. დაბადებული ოკუპაციის შემდეგ, მოკლებული ეროვნულ სკოლას, თვით ოჯახის გავლენას, ის მოწყვეტილია ახლო წარსულსაც, არ იცის, რა ხდება კავშირის გადაღმა, ჰგონია ქვეყანა ასე გაჩენილა და ითვისებს ერისთვის დამღუპველ ზნესა და ჩვეულებას.

განსაცდელი დიდია, საჭიროა გაბედულად შევხედოთ მას თვალში, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ერის ზალა და თვითშენახვის უნარი კიდევ უფრო დიდია".

აკრიტიკებდა იმ სიყალბეს, რომ კავშირიდან გასვლის უფლება ეძლეოდათ ერებს, აღნიშნავდა სიტყვასა და საქმეს შორის არსებულ დიდ მანძილს, იმედს გამოთქვამდა, რომ კავკასიელი ერები არ შეეგუებოდნენ მონობას და ოდესმე დაამსხვრევდნენ ამ იუკანონო საბჭოთა რეჟიმს.[1]

სტატიის დანერის თარიღი, როგორც ვთქვით, 1932 წელია.

აკაკი ჩხენკელის წერილი — „ბოლშევიზმი და ერები"

„კუტუზოვმა დასწვა მოსკოვი, ნაპოლეონის შესვლის წინ 1812 წ. და ეს მას დიდ გმირობად ჩაუთვალეს. შეიძლება ეს ასედაც იყოს სამხედრო თვალსაზრისით: მტრის მოღლა. თუმცა, ამავე ნაპოლეონმა მასზე ადრე ბერლინზე გაიარა და, მიუხედავად ამისა, დედაქალაქის დაწვა არავის მოსვლია თავში.

[1] სცსსა 1831, აღნ. 2, საქმე 232, ფურცელი 1-3.

არის სხვა მოვლენებიც, უფრო გასაოცარი, თუ გნებავთ, აუხსნელი. დადგა 1917 წელი. გაიმარჯვა რევოლუციამ, ყველგან სიხარული, აღტაცება, გეგონებოდათ, მოპოვებული თავისუფლება ახალ სულს ჩაბერავდა ხალხს, აამაღლებდა, განამტკიცებდა მას შინ და ფრონტზედ. ყოველ შემთხვევაში, ამას გვასწავლიდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია, გახსოვთ, სასწაულებს ახდენდა კონვენტის ლოზუნგი: „სამშობლო განსაცდელშია!"

რა გვესმის ამის მაგიერ? მტრის დაპლომბილ ვაგონით ჩამოყვანილ ლენინ-ზინოვიევის ლოზუნგი: „დაძმობილდით მტერთან!"

დაუვიწყარია ერთი დრამატული სხდომა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი პეტროგრადის სახალხო სახლის ვეებვა დარბაზში. დასმულია სიკვდილით დასჯის შემოღება ქვეყნის მოღალატეთათვის. მას იცავს მჭერმეტყველურათ და გააფთრებით ირაკლი წერეთელი. უყრიან კენჭს, წერეთელი კენტად რჩება, ყველა დანარჩენი, ათასამდე ხელი, წინააღმდეგია!

რას უწოდებთ ამას თქვენ? გესმით თქვენ ეს? ცხადია, ლენინი და ზინოვიევი აქ არაფერ შუაშია. განა ცოტაა შტერი, გადარეული! თავი და თავი ისაა, რომ მოღალატეთა ლოზუნგმა აიყოლია ხალხი. საფრანგეთსაც ჰყავდა თავისი ერვე, რომელიც უფრო პოპულარული იყო პარიზის მუშათა უბნებში, ვინემ ჟორესი. მერე რა? დაპკრა განსაცდელის ჟამმა და ვის გაახსენდა ერვე! უკანასკნელიც გაპატრიოტდა, თუმცა შოვინისტური გადახრით!

გვახსოვს ერთი ფრაზაც, რომელსაც კერენსკი წამოიძახებდა ხოლმე თებერვლის რევოლუციის ხანაში: „მონათა ჯანყი!" ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსის ხალხმა განვლო მონობის ხანა, ვიმედოვნებთ, მე-17 და მე-18 საუკუნეების ჯანყები წარსულს ეკუთვნის, — მაგრამ კითხვაა: შესდგა თუ არა მან, რუსის ხალხმა, ფეხი მოქალაქობრივ ხანაში? არა, და მხოლოდ ამაშია პრობლემის მთელი ძარღვი.

მოქალაქე ისაა, ვინც სცნობს სახელმწიფოს და მზათაა მისთვის თავი გასწიროს. ჩვენს დროში სახელმწიფო ხშირათ ერის სინონიმია. ფრანგულ ენაზე, მაგ., სახელმწიფო და ერი ერთი და იგივეა. სახელმწიფო ერში ჰპოვებს თავის დასრულებას, და ერიც, სახელმწიფოში თავის განვითარებას.

გამოიჩინეს რუსებმა, ან უკეთ ველიკორუსებმა ეს მოქალაქობრივი სიმწიფე? ვერა, ვერ გამოიჩინეს! მათ მოინდომეს, მართალია, სოციალიზმის განხორციელება, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამ იდეის განხორციელება მხოლოდ მოქალაქეთ შეუძლიათ. არ იფიქროთ, ვითომ ჩვენ გვაკვირვებდეს ნგრევის პროცესი რევოლუციის დროს: იგი გარდაუვალიც იყო ძველი რეჟიმის მოსასპობათ, მინების მშრომელთა ხელში გადასავლელათ. მაგრამ რასაც ბოლშევიზმი ამ ცხრა წლის განმავლობაში დაუსჯელათ სჩადიან, განსაკუთრებით ეკონომიურ სფეროში, აღემატება ყოველგვარ შესაძლებლობას ცოტათ თუ ბევრათ დაწინაურებულ ქვეყანაში.

ჩვენ არ გვავიწყდება ისიც, რომ ბოლშევიზმის მიმდევარი ხალხი ბევრი არ არის რუსის ხალხში; გლეხობას იგი ეჯავრება როგორც ჟამი, მუშების

დიდი უმრავლესობა მასში მხოლოდ მჩაგვრელსა და მყვლეფავს ხედავს, ინტელიგენციაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. და აი ეს არის სწორედ გასაოცარი და აუხსნელი, როგორ ითმენს ამდენი ხანი ამ რეჟიმს ხალხი! ბავარიასა და უნგრეთშიც გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, მერე რამდენი ხანი იბოგინა მან იქ? მხოლოდ კვირეები, ერთი თვეც კი ვერა. ჩვენ ვიცით, რას წარმოადგენდა გერმანია დამარცხების მეორე დღეს, ასე გეგიონებოდათ, საცაა უფსკრულში გადაეშვებაო, და, მიუხედავად ამისა, ხალხი თვითონ, თავის მკერდით ეძგერა მის თავზე მოვლენილ საშინელ ხიფათს და სძლია იგი. დამახასიათებელია, ბელადი ამ საშინელ მომენტში სოციალ-დემოკრატიამ მისცა გერმანიას: ნორკე.

დიახ, რუსის ხალხმა ვერ მოინელა რევოლუცია, ამისთვის ის მოუმზადებელი გამოდგა მოქალაქობრივათ, პოლიტიკურათ. ბოლშევიზმი ისეთი ფენომენია, რომელიც, ერთის მხრით, თითქოს დასავლეთმა წარმოშვა, მეორეს მხრით, მარტო ველიკოროსიის ნიადაგს ეგუება იგი. რატომ? ამის პასუხს თავად რუსების ნაწერებში იპოვით: ვეება, განუზომელი ტერიტორია და მასზე შორი-შორს გაფანტული მოსახლეობა, ცარიზმი, ხალხის სიბნელე, დიდი ომი და სხვა და სხვა. ჩვენ არაფერი გვაქვს ამ ახსნის წინააღმდეგ, მზადა ვართ დავეთანხმოთ კიდეც, მაგრამ ეს გარემოება არ გვანთავისუფლებს მოვალეობისაგან ვაღიაროთ ის, რასაც ვხედავთ: რუსის ხალხის უსაზღვრო პასივობას. ბოლშევიზმმა დაურღვია მას მეურნეობა, აღებ-მიცემობა, საკუთრება, ოჯახი, სკოლა, სარწმუნოება — არ ვამბობთ პოლიტიკურ უფლებებზე — და რას ვხედავთ? ის ითმენს და ამ მოთმინებასაც ბოლო არ უჩანს! უნებლიეთ გვაგონდება ტოლსტოის მცნება: „ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებას".

ჩვენ ვალდებული ვართ მეორე რამეც ვაღიაროთ: არარუსი ერები, რომელთა რიცხვი ბევრი იყო ყოფილ იმპერიაში და ეხლაც ცოტა არ დარჩა, საუბედუროდ, ეგრეთ წოდებულ კავშირში, გაცილებით უფრო მომზადებულნი აღმოჩნდნენ. ბოლშევიზმს არ გაუმარჯვნია არცერთ ამ ერში, პირიქით, მეტმა ნაწილმა მათ შორის რევოლუცია იმისთვის გამოიყენა, რომ დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო დაეარსებინა. მართალია, ზოგნი მათ შორის ისევ გმინავენ მოსკოვის ქუსლებ ქვეშ და, მაშასადამე ბოლშევიზმი გარედან მოახვიეს მათ თავზე, მაგრამ სრულიად წარმოუდგენელი და დაუჯერებელია ამ რეჟიმის მათ ტერიტორიაზედ არსებობა შინაური ძალლ-ღონით, ან, რაც იგივეა, გარედან დაუხმარებლათ.

არარუს ერთა ტრადიციაც სწორედ ამაში მდგომარეობს! ჩვენ არ ვამბობთ ჩვეულებრივ ეროვნულ ანტაგონიზმზე, შოვინიზმზე, ეგ არ არის შექმნილი მდგომარეობის მთავარი მომენტი. რუსის ერს და მის განუზომელ ეთნოგრაფიულ ტერიტორიას არ ემუქრებიან არარუსი ერები. ისიც ცხადია, რომ რუსის ერი განთავისუფლდება ამა თუ იმ გზით, ადრე თუ გვიან, ბოლშევიზმის მტარვალობისგან და მისი მომავალიც უზრუნველყოფილია. სიმრავლეც ხელს უწყობს მას: მიუხედავად ამდენი ხოცვა-ჟლეტისა, შიმშილისგან დაღუპულ მილიონებისა, მისი რაოდენობა უკლები რჩება და

კარგი მოსავლის წელში მატულობს კიდეც.

სულ სხვაა არარუს ერთა მდგომარეობა. აიღეთ მაგალითისთვის კავკასიის პატარა ერები. რუსის ხალხმა მარტო ერთი წლის შიმშილის დროს მეტი დაჰკარგა, ამბობენ, ორჯერ მეტიცო, ვინემ თვითეულ ამ პატარა ერის მთელი შემადგენლობა! ამას დაუმატეთ ნაციონალისტური დევნა, გარდა სოციალურისა, რომელსაც ეს ერები განიცდიან. არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ მოსკოვის ჯალათნი სისტემატურათ, წინასწარი მოფიქრებით სპობენ ყველაზე ვარგის და საღ ელემენტებს ამ ერებში. ეროვნული კულტურის დაქვეითება, ოჯახის წაბილწვა, ახალთაობის გარყვნა კიდევ სხვაა. ხდება ჩვენს თვალწინ გადაგვარების პროცესი.

როგორც ხედავთ, არარუს ერთა განთავისუფლება მოსკოვის უღლისაგან სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია: მათ ბუნებრივ და სამართლიან მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი ზედ ერთვის ახალი მომენტი — ეს არის თავის დაღწევა ბოლშევიზმის გამანადგურებელი შედეგებისგან. უნდა ვაღიაროთ გულწრფელათ: ჩვენ არ ვიცნობდით საკმაოთ რუსის ხალხს, რისი ატანა შესძლებია მას, რა ზომამდის აღწევს მისი მოთმინება. შეიძლება ეს კარგი თვისებაც იყოს ბოლოს და ბოლოს, — აკი ვახსენეთ „მტრის მოღლა"! — მაგრამ არარუს ერებს აკლიათ ეს თვისება, აი, რა უნდა დავიმახსოვროთ! და თუ აკლიათ, ეს იმას მოასნავებს, რომ ისინი ზედ გადაჰყვებიან მოვლენილ ჭირს, თუ დროზე არ უშველენ თავს.

თავისუფალნი რუსნი და არარუსნი, ერთხელ თავ-თავის სახელმწიფოებრივ ფარგლებში ჩამსხდარნი, დამერწმუნებით, გაცილებით უკეთეს და ნორმალურ დამოკიდებულებაში იქნებიან ერთმანეთთან. ჩვენ სულაც არ მიგვაჩნია ზღაპრად ის დღე, როცა „კავშირში" ჩაჭედილ რუს და არარუს ერთა წარმომადგენელნი მეგობრულ ხელს გაუწვდიან ერთმანეთს ერთა ლიგაში, და სხვა ერებთან ერთად ემსახურებიან საკაცობრიო იდეალებს.

საფრანგეთი-გერმანია-პოლონეთი, განუწყვეტელი ხაზი ატლანტიკიდან ბალტიის ზღვამდე, დასახლებული 140 მილიონი სულით, უძლიერესნი როგორც სამხედრო, ისე ტეხნიკური და ინტელექტუალური ძალებით, — უკვე ისეთი დიდი ფაქტორია, რომ მას უნდა გაუწიოს ანგარიში მთელმა მსოფლიომ. მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსეთმაც. რა ზეგავლენა ექნება ევროპის სტაბილიზაციას და მისი პოლიტიკის ახალ ორიენტაციას რუსეთზე და იქ დასახლებულ ერებზე, ეს უკვე დამოუკიდებელი თემაა და ამაზე სხვა დროს უნდა შევჩერდეთ.[1]

ჩხენკელი 1920 წლის მაისში დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ გასაბჭოებული აზერბაიჯანიდან რუსული ბოლშევიკური ჯარის შემოსვლას, რომელშიდაც აზერბაიჯანელი ბოლშევიკებიც შედიოდნენ, საქართველო-აზერბაიჯანის ომს უწოდებს. ის წერს: „საქართველოს დაპყრობით ბოლშევიკებს უნდოდათ რუსეთის მეფეთა მიერ ნაანდერძევი მთლიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენა. ომი საქართველოს სასარგებლოდ დამთავრდა"[2].

[1] სცსსა 1831, აღნ. 2, საქმე 213, 1-4.
[2] სცსსა 1831, აღნ. 2, საქმე 239, ფ, 3.

ამავე დოკუმენტში ის საუბრობს საბჭოების დიდ როლზე, რომელიც ერთადერთი ხელისუფლების მატარებელი იყო რევოლუციის დროს და მომდევნო ხანაში, რომლიდანაც ხელისუფლება უმტკივნეულოდ გადაეცა დროებით მთავრობას და ეროვნულ საბჭოს. საუბრობს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალპარტიულ და მრავალეთნიკურ შემადგენლობაზე; საუბრობს აგრარულ რეფორმაზე: „1917 წლის 1 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა და 1918 წლის 20 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა გამოსცეს დეკრეტები მიწის მსხვილ კერძო საკუთრების კონფისკაციისა. საქართველოს დამფუძნებელი კრება და მთავრობა შეუდგა ამ დეკრეტების რეალიზაციას. აგრარულ ფონდში გადავიდა უსასყიდლოთ სახაზინო, საეკლესიო, საუფლისწულო და მსხვილ კერძო მესაკუთრეთა მამულები. აგრარულ ფონდში გადასულ მიწათა ერთი ნაწილი გლეხებს გადაეცა უმნიშვნელო სასყიდლით კერძო საკუთრების ნიადაგზე, მეორე ნაწილი კი, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, დარჩა სახელმწიფოს ხელში. მიწის მესაკუთრეების ხელში დატოვებული იქნა იმდენი, რამდენის დამუშავებას თვით შესძლებდნენ".[1]

გლეხებისთვის მიწის შესყიდვას ის ამართლებდა იმ ხარჯებით, რაც გათვალისწინებული იყო რეფორმირების, მელიორაციის, კოლონიზაციის ხარჯებით [იქვე, ფანქრით მინაწერი ამ ხელნაწერ დოკუმენტზე].

ბოლშევიკური ტოტალიტარიზმი ამხილა აკაკი ჩხენკელმა 1927 წელს დაწერილ სტატიაში — „სადღეისო ამოცანა".[2]

ის იმედს გამოთქვამდა, რომ საბჭოთა კავშირს საშინაო თუ საგარეო მდგომარეობა დაანგრევდა და რუსეთში დემოკრატიული წყობილება დამყარდებოდა. ქართულ ემიგრაციაში ამის დიდი იმედი ჰქონდათ, ცოტა გადაჭარბებულიც და ცოტათი გულუბრყვილოც. გასაკვირიც არაა, მათ ხომ სამშობლოში დაბრუნებისა და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის სურვილი და იმედი აცოცხლებდათ!..

მიუხედავად ამისა, წერილის ავტორი ცდილობს მოვლენების ღრმად გაანალიზებას, მკითხველისთვის იმ სურათის შექმნას, რაც მაშინდელი საბჭოთა რუსეთისთვის იყო დამახასიათებელი. მისი ანალიზი მეტწილად ობიექტურია და სავსებით განსხვავდება იმისგან, რასაც საბჭოთა იდეოლოგია ქადაგებდა, ატყუებდა საკუთარ ხალხს, არწმუნებდა არარსებულში. ეს ობიექტური კრიტიკა იმდენად საშიში იყო საბჭოთა მამებისათვის, რომ ისინი ხვრეტდნენ, აპატიმრებდნენ ყველას, ვინც ოდნავ ეჭვს გამოხატავდა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისადმი, სჯიდნენ ქართველ ემიგრანტთა საქართველოში დარჩენილ ახლობლებს, სამშობლომდე არ უშვებდნენ მათ მართალ სიტყვას.

წერილში — „სადღეისო ამოცანა" კარგად ჩანს ქართველ ემიგრანტთა იმედები, პოლიტიკური გათვლები და მათი ინფორმაციები საქართველოსა და მთლიანად საბჭოეთში მიმდინარე მოვლენებზე. მოვიტანთ ამ წერილის ფრაგმენტებსა და მთავარ აქცენტებს გამოვყოფთ ჩხენკელის თვალს-

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 239, ფ. 4.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 219, ფურც. 1-4.

აზრისიდან. სტატია სრულად დაიბეჭდა მეთაურ წერილად ემიგრანტულ გაზეთში — „თავისუფალი საქართველო".

„დღე ისე არ გავა, რომ თავისუფლების განთიადი არ გადავაბათ იმ წუთთან, როცა საბჭოებს დაუდგებათ საშინაო ან საგარეო გართულება, ან კიდევ ორივე ერთათ. ჩვენს ანგარიშში იმდენად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ მოლოდინს, რომ მეტი არ იქნება. ცოტა ახლო გავსინჯოთ ორივე შესაძლებლობა. დავიწყოთ პირველიდან.

საშინაო გართულებაში ჩვენ ვგულისხმობთ რევოლუციას, საბჭოთა რეჟიმის ძალით დანგრევას. ეს მით უფრო ყურადსაღებია ჩვენთვის, რომ ამ ათი წლის წინ სწორეთ რომანოვების რეჟიმის დამხობამ მოგვიტანა ეროვნული თავისუფლება. გონივრულათ სარგებლობა იმ წუთით, როცა გაბატონებულ ერში რევოლუციური სტიქია მძვინვარებს, არის უაღრესათ პრაქტიკული ამოცანა ჩაგრულ ერის მოქმედ ძალებისათვის.

რევოლუცია მოასწავებს ხალხის ფართე მასების განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმას, მის გაერთიანებულ, ერთდროულ გამოსვლას რეჟიმის შეარაღებული ძალების მოსაშლელათ ან კიდევ ფიზიკურათ დასაძლევათ. როგორია ამ მხრივ საქმე რუსეთში? არის თუ არა მოსალოდნელი რუსის ფართო მასების — მუშების, გლეხების — ისეთი მთლიანი გამოსვლა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი 1917 წელს? გადაჭრილი პასუხის სიძნელე ამ კითხვაზე თავისთავად ცხადია, თუმცა რუსის ემიგრანტული წრეები, აგრეთვე კორესპონდენციები და დაკვირვებანი რუსეთიდან დაბეჯითებით უპასუხებენ: არა, არაა მოსალოდნელიო.

მართლაცდა, ამ ათი წლის განმავლობაში, ისე საფუძვლიანათ გაანადგურეს ბოლშევიკებმა პარტიები, თავისუფალი სინდიკატები და კოოპერაციები, საქალაქო და საერობო ორგანიზაციები, რომ რუსის ხალხმა თითქმის მთლათ დაკარგა საშუალება და უნარიც შეკავშირებისა, პოლიტიკური თუ სხვა მიზნით. რეჟიმმა მიაღწია იმ საფეხურს, როცა ხალხი წარმოადგენს ტომთა უბრალო გროვას, მოკლებულია საზოგადოებრივობას, სული ამოცლილი აქვს. ყველაფერი, რაც კი არსებობს: ისპოლკომები, სავნარკომები და ათასი სხვა ორგანოები, არიან მხოლოდ ავტომატები, რომლებსაც თავის ნებაზე ატრიალებს კომპარტია.

მაგრამ კომპარტიაშიც ვერ არის საქმე რიგიანათ; ის მთლათ აპარატჩიკების, ან უკეთ — მოხელეთა ხელშია და ეს ხროვა დიდი და პატარა ბიუროკრატებისა უსიტყვოთ ემორჩილება პოლიტბიუროს, და აქ კი — „ერი არს ღმერთი და.. სტალინი მისი წინასწარმეტყველი"!

კომპარტიის და სახელმწიფოს როლები შეიცვალა: თუ წინეთ პირველი პყრობდა მეორეს, ახლა წინაუკმო, მეორე პყრობს პირველს. თვითონ სტალინი კომპარტიიდანაა, რა თქმა უნდა, მისი მთავარი მდივანია, მაგრამ ის ეყრდნობა სახელმწიფო აპარატს პარტიის მოსათოკათ, მასზე საბატონებლათ. რამდენად ძლიერია შედარებით სახელმწიფო აპარატი პარტიაზე, ეს იქიდანაც კარგად სჩანს, თუ როგორის სიადვილით შემუსრა მან ოპოზიცია. მართლდება შოთას სიტყვები: „შიში შეიქმს სიყვარულსა". ყველაფერი

შიშზედაა დამყარებული: დისციპლინა, პირმოთნეობა, ლენინიზმი".

სტალინი, ჩხენკელის აზრით, თავს დიქტატორად არ აცხადებდა იმ შიშით, რაც მას ნეპმანების ე, წ. რევოლუციის დროს გაუჩნდა, ასევე იმ რეალურად უკმაყოფილო ხალხის მასების გამო, რომელთა რიცხვი ქვეყანაში დიდი იყო. „მთელი ხალხი უპირისპირდება რეჟიმს, — წერდა ჩხენკელი, — არ არის ახლა რუსეთში ისეთი ფენა გლეხთა თუ მუშათა, ვაჭარ-მრეწველთა თუ ინტელიგენტთა, რომელთაც ზიზღსა და გაბოროტებას არ გვრიდეს არსებული წესწყობილება... ისე მწვავეა ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი, და თვით კრემლის სტუმრები ისე დაბნეულნი არიან, რომ საკმარისია პირველი დაკვრა და ამას მოჰყვება ვეება შენობის თავქვე დაშვება". ეს პირველი დაკვრა უნდა მოჰყოლოდა საგარეო ვითარების გართულებას, ომს, რასაც რუსული სამხედრო მრეწველობა ვერ მოიგებდა, რუსული ჯარი მამაცურად მხოლოდ საკუთარ ხალხთან იბრძოდა, სხვას ვერ გაუმკლავდებოდა, ომში მარცხი კი უდავოდ გამოიწვევდა ხალხის რევოლუციურ აზვირთებას.

„ვინ უნდა გახდეს მომხდომი? მეზობლები, დიდი სახელმწიფოები? — კითხვას სვამდა ჩხენკელი და თავადვე პასუხობდა: საეჭვოა. ამ სტაბილიზაციის ხანაში ევროპა შეგნებულად გაურბის ომს. ხალხი ყველგან მშვიდობიანობას მოითხოვს და მთავრობებიც ძალაუნებურათ მის უზრუნველყოფას ცდილობენ. მართალია, ზოგიერთი მთავრობის პოლიტიკა და განსაკუთრებით მოსკოვის პროვოკაციები ამის გარანტიას არ იძლევა სავსებით, მაგრამ ჩვენ ხომ მეტ ან ნაკლებ შესაძლებლობებზე გვაქვს ბაასი და ვამბობთ, რომ ომი ნაკლებ მოსალოდნელია. მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მეორე სახის ომი უკვე სწარმოებს, წელიწადზე მეტია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისმა გასწყვიტა ნორმალური დამოკიდებულება საბჭოებთან. როცა რეჟიმის მძიმე კრიზისზე ვლაპარაკობთ, ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასში ამ გარემოებასაც უდევს თავისი დიდი წილი. მოსკოვმა ვერ შეიშნო კულტურული მოპყრობა, პირიქით, მან კიდევ უფრო გააძლიერა თავისი დამრღვევი მუშაობა უცხოეთში. ამას მოჰყვა, როგორც ვთქვით, ახალი სახის ომი, რასაც მოსკოვი „ბლოკადას" ეძახის, თუმცა თვითონ მან შემოირტყა იგი თავისი ველური „სოციალიზმით".

მაშასადამე, საბჭოთა რეჟიმის „მშვიდობიანი" ლიკვიდაცია დღის წესრიგშია ევროპასა და ამერიკაში. რაც დრო გავა, მით უფრო მწვავეთ იგრძნობს მოსკოვი ეკონომიურ-ფინანსურ მუხრუჭს გარედან, მით უფრო ნაკლები შანსი დაურჩება მას „გმირული სიკვდილისათვის" (ამ სიტყვებს ჩხენკელი ამავე წერილში მიაწერს სტალინს: მზად ვარ გმირული სიკვდილისთვისო, და იქვე შენიშნავს — „კობა და გმირობა?"—დ. ჭ.).

როგორ მოხდება ეს სიკვდილი? ზევით მოყვანილი მოკლე ანალიზიდან თითქოს ირკვევა, რომ ნგრევა დაიწყება ზევიდან, საბჭოთა იერარქიის მწვერვალიდან, სადაც წამოსკუპულან თითო-ოროლა პირი, აღჭურვილნი უზენაესი და განუკითხავი ძალაუფლებით. ტყუილად არ გავრცელდა ხმა

ამასწინათ: სტალინი-ზინოვიევი-კამენევის ტრიუმვირატი სდგებაო. ეს იქნებოდა სასონარკვეთილების უკანასკნელი ცდა რეჟიმის სახსნელათ.

მაგრამ უფრო მოსალოდნელია სწორეთ მეორე ცდა, ამ შემთხვევაში რეჟიმის დასანგრევათ. ჩვენ ვამბობთ სახელმწიფო გადატრიალებაზე, ანუ რასაც ფრანგები coup d'Etat-ს ეძახიან. სრულიად გამოუსავალი მდგომარეობა, რასაც ქმნის ულმობელი კრიზისი და მისი აუცილებელი თანამგზავრი — საბჭოთა ორგანოების უკიდურესი გახრწნა — უთუოთ ბადებს ზოგიერთ მმართველ თავში აზრს, თუ ასეთი რამ კიდევ ჩაანათებს იქ, რომ საჭიროა და გარდაუვალი კვანძის ბონაპარტისტულათ გაკვეთა. რას ნიშნავს ეს? სამხედრო დიქტატურას, რომელიც დალეწს ბოლშევიკების მიერ შეხანხლულ უმსგავსო რეჟიმს: აღადგენს კერძო საკუთრებას, გლეხს მიწას დაუმტკიცებს, გააუქმებს ვნეშტორგს, ვნუტრტორგს, მოახდენს დენაციონალიზაციას სამრეწველო დარგებისა, შექმნის უფლებრივ გარანტიებს უცხო კაპიტალის მოსაზიდათ და სხ. და სხ.

სიფრთხილე მოითხოვს უფრო შორს არ შევტოპოთ მოწოლილი დიდი ამბების კონკრეტიზაციაში. რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, — ეს ის არის, რომ წინასწარ განვსჭვრიტოთ, თუ როგორ მოხდება ეს გადატრიალება, მშვიდობიანთ თუ ხელჩართული ბრძოლით, ხალხის მონაწილეობით თუ მის გარეშე. ან კიდევ უფრო გარკვევით, შექნეს თუ არა ბოლშევიკებმა ისეთი მკვიდრი სახელმწიფო მექანიზმი, მისი ჯარით, პოლიციით და სხვა მოკაზმულობით, რომელიც უმტკივნეულოთ აიტანს გადატრიალებას?

საკმარისია დაისვას ეს კითხვები, რომ მყისვე ენაზე მოგვადგეს გადაჭრილი „არა"! ბოლშევიზმი და მკვიდრი რამ, სამარადისო, ორი ისეთი ცნებაა, რომელიც სრულიად არ ეგუება ერთმანეთს. ერთადერთი მკვიდრი, რაც მან გააკეთა, ეს იყო მემამულეთა მიწების გლეხებზე დარიგება, მაგრამ ესეც არ დაუმტკიცა მათ კერძო საკუთრებად და ეხლა მთლად ჩამორთმევითაც კი ემუქრება „კოლხოზებისა" და „სოვხოზების" სახით!"

ჩხენკელი წერილის დასასრულს საუბრობდა იმ ამბებზე, რაც ევროპაში რუსეთიდან მიდიოდა, ეს იყო ცნობები უკმაყოფილებაზე, გლეხებისა და მუშების მოსალოდნელ აჯანყებაზე, „ყაზარმებშიც კი ჯანყის სული ტრიალებსო", იმედს გამოთქვამდა, რომ რევოლუცია მაინც გარდუვალი იყო და რუსეთში შემავალი დამონებული ერებიც განთავისუფლდებოდნენ რუს ხალხთან ერთად. მაშინ ვერც ის და ვერც სხვა პოლიტიკოსი ევროპაში ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს რეჟიმი კიდევ ექვსი ათეული წელი გასძლებდა და ბევრ სისხლს, უბედურებას, ადამიანების დატერორებას, სულიერად დამონება-დაბეჩავებას გააგრძელებდა. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი გადასახედიდან მისი მსჯელობა გულუბრყვილოდაც კი შეიძლება მოჩანდეს, მაინც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა საბჭოთა რეჟიმის მისეულ კრიტიკულ ანალიზს, მოვლენების კატასტროფულად დასრულების გარდუვალობის მისეულ ხედვას, რაც, უბრალოდ, დროში გაიწელა და საბოლოოდ მაინც მოხდა. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქართველი სოციალისტი კერძო საკუთრების

აღდგენაში, უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მათი უფლებების გარანტირებულ დაცვაში, ეკონომიკის კაპიტალისტური განვითარების ფორმებში ხედავდა ქვეყნის წინსვლის და პროგრესული განვითარების გზას. აქედან ჩანს, თუ რა დიდი განსხვავება იყო და არის ბოლშევიკური და ქართველი, ე,წ. „მენშევიკი" მოღვაწეების სოციალიზმში, რომ ეს უკანასკნელი იყო პროგრესული იდეოლოგია, ევროპული სოციალიზმის ნაწილი.

მოსკოვი და ჩვენ[1]

ჩხენკელის წერილი — „მოსკოვის საგარეო პოლიტიკა"- (1917-1921) და (1922-26 წლებში)- ავტოგრაფი, 1927 წელსაა დაწერილი, ინახება მის პირად ფონდში.

ჩხენკელის თქმით, მოსკოვის საგარეო პოლიტიკა შეიძლება გაიყოს ორ ხანად: რომანტიული და შერეული. პირველის სათავე სამხედრო კომუნიზმია (1917-1921), მეორის — ნეპი (1922-1926).

„საყოველთაო ნგრევისა და გლეჯის დროს, როცა მებრძოლი ბოლშევიზმი მთელი ხალხის სახელმწიფო ულუფაზე (პაიოკზე) გადაყვანას დახარბდა, გარეთ მას მარტო მსოფლიო რევოლუცია ეზმანებოდა. ამისდა მიხედვით მოსკოვი სწყვეტს დიპლომატიურ დამოკიდებულებას უცხო სახელმწიფოებთან, ერთის დაკვრით აბათილებს მათთან დადებულ ხელშეკრულებათ და ვალებს, აქვეყნებს საიდუმლო დიპლომატიურ მინერ-მოწერას.

მართალია, ამავე დროს მოსკოვი ყლაპავს ერთი მეორეზე უმწარეს აბებს ვილჰელმის ღენერლების ხელიდან: რუსეთს ჩამოშორდა ფინლანდია, მთელი ბალტიკა, პოლონეთი, უკრაინა, კავკასია, მაგრამ ყველა ეს ხომ უბრალო მოჩვენება იყო, რომელიც იმწამსვე უნდა გამქრალიყო, როგორც კი დაიყივლებდა დასავლეთში ნითელი მამალი.

პირველ ორ-სამ წელიწადს ასე გეგონებოდათ, მოსკოვის პროგნოზი სწორი იყო. დიდი ომი დამთავრდა, იფეთქა რევოლუციამ, დამარცხებულ ქვეყნებში, ბავარიასა და უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, ბერლინში, ჰამბურგში და სხვაგან ბარიკადებზე იბრძვიან. მოსკოვის საგარეო კომისარიატი ამ დროს მხოლოდ სახელით არსებობს, საქმით კი გზავნის ცეცხლის წამკიდებელთ ყველგან, სადაც კი ადვილათ ასანთები მასალა ეგულება.

პასუხად გამარჯვებული სახელმწიფოები სამხედრო ინტერვენციას აწყობენ, მაგრამ ბოლშევიზმი სძლევს მეფის ღენერლებს და იბრუნებს ჯერ უკრაინას, შემდეგ კავკასიას.

ეს დრო „გმირულ ხანად" ითვლება ბოლშევიზმის მატიანეში. მოსკოვი უკუაგდებს საიდუმლო დიპლომატიას, ის დეკრეტებით, პროკლამაციებით და უმავთულო „ვსემ, ვსემ, ვსემ"-ით ელაპარაკება, ბურჟუაზიულ მთავრობათა ზედან, მსოფლიო პროლეტარიატს და მოუწოდებს აჯანყებისაკენ.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 2/7 ფურცელი 1-4.

მაგრამ ცენტრალურმა ევროპამ სძლია რევოლუციურ სტიქიას, ერთმა ის პოლიტიკურ, მეორემ ეროვნულ თავისუფლების მოსაპოებლათ გამოიყენა, ხოლო სადაც საბჭოთა ხელისუფლება იგემეს, იქ გაიმარჯვა გაშიშვლებულმა რეაქციამ. თვით რუსეთშიც სამხედრო კომუნიზმმა მოსჭამა დრო, დაგროვილი სიმდიდრე დატაცებულია, ბურჟუაზია — მოსპობილი, იწყება გლეხთა მოძრაობა რეკვიზიცია-ეგზეკუციის წინააღმდეგ, კრონშტადტის აჯანყება.

ბოლშევიზმი გადადის ნეპის ხანაში. მოსკოვი იკაზმება, ფერ-უმარილს იცხებს გამურულ სახეზე, ეძებს „საერთო ენას" ბურჟუაზიულ ქვეყნებთან. ამისდა მიხედვით, ჩიჩერინი და მისი ამალა ფრაკებს იზმანებებენ, გამოდიან დიპლომატის როლში, მაგრამ რადგან თვითონ მეტათ რეგვენი არიან ამ დარგში, იწვეევენ დახოცვისაგან გადარჩენილ ძველ მოხელეთ და აღადგენენ მეფეთა საგარეო პოლიტიკას ახალ ჰანგებზე.

ეს იყო ერთგვარი დათმობა — ლენინმა მას „პერედიშკა" უწოდა, — შექმნილ უმწეო მდგომარეობით გამოწვეული. ერთის მხრით, მოსკოვი საჭიროებს უცხო კაპიტალისტების დახმარებას, მეორეს მხრივ ის ვერ ეთხოვება თავის ოცნებას პირქვე დაამხოს კაპიტალიზმი. ის ახდენს შრომის განაწილებას: დიპლომატიას ანდობს საგარეო კომისარიატს, ხოლო რევოლუციის მოწყობას — კომინტერნს, და ორივეს კი ხელმძღვანელობს პოლიტბიურო. მას აქეთ მოსკოვი გამოიყურება ორი სახით: ერთია მომღიმარი, თავაზიანი, უწყინარი; მეორე — ბანჯგვლიანი, დაუნდობელი, ვერაგი. არასდროს დიპლომატიას არ მიუღწევია ცინიზმისა და მატყუარობის იმ ხარისხამდე, რომელზედაც იგი აიყვანეს კრემლის ჯიელებმა.

უნდა ითქვას, პირობები ერთობ ხელსაყრელი იყო ამისათვის ირგვლივ. ხუთი წლის დიდმა ომმა საშინელ მდგომარეობაში დასტოვა დიდი და პატარა სახელმწიფოები. ყველგან გაღარიბება, წარმოებისა და ვაჭრობის დეზორგანიზაცია, უზომო დავალიანება, უმუშევრობა, პირწავარდნილი სპეკულაცია. ამასზედ დაურთეთ მონამლული ატმოსფერა, რომელშიდაც უხდებოდათ ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენა გამარჯვებულ და დამარცხებულ ქვეყნებს, სხვა არა იყოს რა, დახოცილთა და დასახიჩრებულთა მილიონებმა ძნელად ამოსავსები ორმო გასთხარეს მათ შორის,

ასეთ პირობებში, რა გასაკვირია, რომ მოსკოვი ცდილობს დაუპირისპიროს ერთი ერი მეორე ერს, ერთი კლასი მეორე კლასს; ის შედის დიპლომატიურ დამოკიდებულებაში სხვა და სხვა სახელმწიფოებთან და იმავე დროს ინახავს კომუნისტურ პარტიებს უკანასკნელთა დასანგრევათ; დიპლომატიური ექსტერიტორიალობა და კურიერები იმიტომ არსებობენ, რომ ფული და რევოლუციური ლიტერატურა ზიდონ და დაარიგონ; თვით ელჩები სტატისტებად არიან ქცეული, რომ მათ ზურგს უკან ჯოჯოხეთის მანქანები ამზადონ ჩეკისტებმა.

საბჭოთა მთავრობა იცნო მეტმა წილმა სახელმწიფოებისა. ერთმა იმიტომ, რომ ბოლშევიზმის გახანგრძლივებით დაეუძლურებია რუსეთი; მეორე ფიქრობდა მეზობელზე შთაბეჭდილების მოხდენას; მესამე ფართე

ასპარეზს უხსნიდა თავის სპეკულიანტებს რუსეთში; მეოთხე ბაძავდა პირველ ოთხს და ასე ბოლომდე. გადამწყვეტი ყველა ამ შემთხვევაში მაინც ის იყო, რომ რეჟიმი არსებობდა წლები და ხმელეთის მეექვსედი მთლათ უყურადღებოთ ვერ დარჩებოდა. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა ერთხელ: ჩვენ არ ვთაკილობთ კაც-ჭამიებთან ვაჭრობას, მაშ რად უნდა ვერიდოთ ბოლშევიკებთან დამოკიდებულებასო.

მოსკოვს კიდევ თავისი ანგარიშები ჰქონდა. მსოფლიო რევოლუციისა, მას ადარდებდა განადგურებულ მეურნეობის აღდგენა, ამისათვის სესხის მიღება, კონცესიების გაცემა. რამდენათ გაიქარვა მან ეს დარდი, უკვე ვიცით. უცხოეთი არ იძლევა სესხს, სანამ ძველი ფულები წაშლილია დეკრეტით; ის ვერ ჩადებს თანხებს რუსეთის წარმოებაში, სანამ სათანადო გარანტიები არ არსებობს. არის, რა თქმა უნდა, გამოსავალიც: სპეკულანტები, ადვილათ გამდიდრების მოტრფიალენი, ვაჭრობენ რუსეთთან ნაღდზე, იღებენ ზოგ კონცესიებს ვირის ფასად, მაგრამ ეს ვერ შველის საქმეს, ამით ფონს ვერ გავა ვეება სახელმწიფო.

მოსკოვი ვერას გახდა გუშინდელ მტრების შუღლის მის სასასრგებლოდ გამოყენებაშიც. ყველაზე დამახასიათებელია ამ მხრივ გერმანიის ევროპისაგან გამოთიშვის და მათან მჭიდრო კავშირის მისწრაფება იყო. რა ხერხს არ მიმართავდა ამისათვის მოსკოვი, რამდენი ქათინაურები, რამდენი მუქარა, არ ერიდებოდა იუნკრებთან ბლოკსაც, დემოკრატიის წინააღმდეგ. ამაოთ, გერმანიამ დასავლეთისკენ იბრუნა პირი. რაპალოსა და ბერლინის ხელშეკრულებანი მან გამოიყენა იმისათვის, რომ უფრო ძვირათ გაეყიდა თავისი ლოიალობა დასავლეთის მიმართ.

ასევე მოუვიდა მოსკოვს ოსმალეთთან. უკანასკნელი იყენებდა რუსეთს, რუსეთის „მეგობრობას“ ინგლისთან დავის დროს, ომის შემდეგ. ყველა მუხლებში მორიგდენ ისინი ლოზანაში, დარჩა მხოლოდ მოსულის კითხვა და ეხლა ესეც მოწესრიგებულია. ოსმალეთს აგონდება, რომ მან ლოზანაში დაპირება გააკეთა ერთა ლიგაში შევალო და ალბათ კიდევ შეასრულებს მას, მიუხედავათ მოსკოვის უკიდურესი წინააღმდეგობისა.

ჩვენ მივადექით მოსკოვის მუშაობას აზიაში, სადაც ის რევანშის აღებას ფიქრობს ევროპაზე, განსაკუთრებით ინგლისზე. ის სდებს მეგობრობა-ნეიტრალობის ხელშეკრულებას ოსმალეთთან, სპარსეთთან, ავღანისტანთან; ლამობს ინდოეთისა და ჩინეთის „განთავისუფლებას“! ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ წითელ იმპერიალიზმის ამ ჭაპან-წყვეტას, ბრძოლის მოგება ამ ხაზზეც უიმედოა.

დავასკვნათ. იურიდიულმა ცნობამ ვერ უშველა მოსკოვს. ამ აქტმა, პირიქით, საშუალება მისცა უცხოეთს მეთვალყურენი გაეჩინა მოსკოვში და ახლო გაეცნო მისი ორმაგი ბუჰხალტერია. ევროპის ფართე მასებიც, ეგრ. წოდ. მუშათა დელეგაციებისა, თვალებს ახელენ. გარკვეული არიან შინაც. სოფელი აწვება ქალაქს, კერძო საკუთრება — სახელმწიფო მეურნეობას, ცხოველი პრაქტიკა — გახუნებულ თეორიას. ეგრ. წოდ. ოპოზიცია უკანასკნელი ამოსუნთქვა იყო პირველყოფილ რომანტიზმისა, ის დამარცხდა

და სხვაგვარ არც შეიძლებოდა — ისტორია არ მეორდება.

ევროპაში მაგრდება რწმენა, განსაკუთრებით ლოკარნოს ძალაში შესვლის შემდეგ, რომ ფუჭია და მავნე სეპარატიული შეთანხმება მოსკოვთან და პირიქით, აუცილებელია კოლექტიური გამოსვლა დაწინაურებულ ქვეყნებისა წინასწარ შემუშავებულ ერთნაირი მოთხოვნებით მოსკოვის წინაშე.

მოსკოვი შედის დიდი გარდატეხვის ხანაში, რომელიც მესამე იქნება რიცხვით. შესძლებს თუ არა სტალინის ჯგუფი გაარღვიოს ზღუდეები, ამართული ცხოვრებასა და მას შორის? შესცვლის თუ არა ის დღევანდელ ტლანქ და ორპირ საგარეო პოლიტიკას საყოველთაოთ მიღებულზე? კომპარტიის მე-15-ე კონფერენცია თითქოს ამის იმედს არ იძლევა. სტალინის ჯგუფი ისე ადვილათ ვერ გადააბიჯებს აპარატჩიკებს, რომელნიც წურბელებივით სწუწნიან იმპერიის დაავადებულ სხეულს.

მაშ რა დარჩენია მას? მარცხნივ დაიხიოს, კისერს მოიგრეხს — ცხოვრება მასზე ძლიერია; მარჯვნივ გაექანოს, იგივე მოელის — „საბრძანებელ სიმაღლენი" ჩაინგრევიან! სწორედ ამ მოჯადოებულმა წრემ შექმნა ოპოზიცია. მასზე გამარჯვებამ კიდევ უფრო შეკუმშა მართული წრე, კოლეგიალური დიქტატურა ეროვნულ სახეს იღებს, სტალინი „მუჟიკების დიქტატორის" სახელს იხვეჭს უცხოეთში, უკვე უვრცელდება ხმები, რომ ის დათმობებს გააკეთებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. სტალინი ბონაპარტის როლში!

კრემლის მედროვენი, უეჭველია, არ დასთმობენ რევოლუციურ ფრაზეოლოგიას, მათი კომინტერნი უზინოვიევოთაც ბევრს იტრაბახებს, მაგრამ ისინი მართლაც გახდებიან იძულებული ქედი მოიხარონ უცხოეთის წინაშე. როგორც შედეგი, კიდევ უფრო გამწვავდება წინააღმდეგობა კომუნიზმის შინაარსსა და პოლიტიკურ ფორმას შორის, სახელმწიფო მეურნეობასა და კომუნისტურ ტირანიას შორის.

ცხადია, ვინ გაიმარჯვებს. ტირანები ნებით არ დასთმობენ ძალაუფლებას, ხიშტზე წამოსკუპულნი, ხიშტზევე წამოენცობიან. ეს დროც არაა შორს.

რუსები და ჩვენ[1]

წერილი ეხება რუსი ემიგრანტი პოლიტიკოსების შეხედულებებს საბჭოთა კავშირში შემავალ ერებზე. დაწერილია 1927 წელს, რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვების 10 წლის თავზე.

„თუმცა არა ერთხელ მოტყუებულან წინასწარმეტყველებაში, ამ ათი წლის განმავლობაში, ბოლშევიზმის ხანგრძლივობაზე ან უკეთ მის აღსასრულზე, ეს არ უშლის ხელს მთელის სიმწვავით წამოიჭრას იგივე კითხვა დღეს. რუსის ემიგრაცია ევროპაში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს, ბუნებრივათ, მისდამი. მის წარმოდგენაში ბოლშევიზმი ერთგვარი რკინის

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 218, ფურც. 1-4.

პერანგია, რომელიც ისევე გადაეძრობა რუსეთის ხალხს, როგორც გადაეცვათ ერთ უბედურ დღეს, და ყველაფერი პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნდება. ერთი და განუყოფელი რუსეთი, დედამიწის მეექვსედზედ გადაჭიმული, და ზედ მორჭმული დამპყრობელი რუსის ერი!

ჩვენ არ ვამბობთ, რა თქმა უნდა, რომ რუსის პოლიტიკურ პარტიებს არავითარი პოლიტიკური ევოლუცია არ განეცადოთ მათი ერის ტრადიციულ ხანაში. მათ თითქოს იგრძნეს უცხოეთში, რა მწარეა სამშობლოს დაკარგვა, ერკვევიან ასე თუ ისე ნაციონალურ პრობლემაში, ადარებენ რუსეთის იმპერიას სხვა სახელმწიფოებს. და აკეთებენ ზოგიერთ დასკვნებსაც. ეს მით უფრო, რომ ბოლშევიკებმა ყური გამოუჭედეს ქვეყნიერებას, რომ ნამდვილ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას სწორეთ ისინი ანიჭებენ ერებს, წაშალეს თვით სიტყვა „რუსეთი" და უმცირეს ეთნოგრაფიულ ერთეულსაც კი საკუთარი „ხელისუფლება" შეუქმნეს. ევროპაში, სადაც თითოეულ იურიდიულ ტერმინს თავისი აზრი და შინაარსი აქვს, ბევრმა, უცოდინარობით თუ სხვა მოტივით, ის დასკვნა გამოიყვანა, რომ რუსეთი ფედერატიულ ან კიდევ საკავშირო სახელმწიფოდ იქცაო.

მაშასადამე, მეტის-მეტ არაპოპულარულათ და არაკეთილხმოვნათ უნდა ჩასმენოდა საშუალ ევროპიელს ყურში ძველი რუსეთის ტლანქი სიტყვა და ჟესტი. ამიტომ თვით მემარჯვენე რუსებიც, მონარქისტები, დიდ სიბეჯითეს იჩენენ დაარწმუნონ ყველა იმაში, რომ არარუსთა ენა, სარწმუნოება, ზნე-ჩვეულება დიდ პატივში იქნება აღდგენილ რუსეთში. ზოგნი კულტურულ ავტონომიასაც არ იშურებენ! ჩვენ ერთი პროგრესიც კი შევამჩნიეთ მათ შარშან გაზაფხულს, როცა „ზარუბეჟნი" ყრილობაზედ რეზოლუცია მიიღეს საქართველოზე, განსხვავებული სომხეთზეც, რომლის ძალითაც ისინი მზათ არიან იცნონ ამ ერთა დამოუკიდებლობა, როგორც შედეგი მეგობრული მოლაპარაკებისა და ურთიერთ ინტერესების უზრუნველყოფისა.

უფრო პრინციპიალურათ უდგებიან საკითხს რესპუბლიკანელნი (ძველი კადეტები, ნაწილათ პროგრესისტები და მემარჯვენე ესერები), რომელნიც ეგრ. წოდ. დემოკრატიულ გაერთიანებაში იყრიან თავს. სულ პირველათ ერის თვითგამორკვევის პრინციპს აყენებდნენ ისინი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გადამჭრელი ინსტანცია სრულად რუსეთის დამფუძნებელი კრება იქნებაო. ე.ი. თვითონ კი არ არკვევს თავის სვე-ბედს, არამედ რუსეთის დამფუძნებელი კრება, სადაც ნაგულისხმევია, რუსი დემოკრატები შეადგენენ დიდ უმრავლესობას!

ამ ჟამად დამფუძნებელი კრება მოდაში არაა, იგი, რაც უნდა იყოს, შორეულ პერსპექტივას ეკუთვნის, საჭიროა უფრო კონკრეტული ფორმულა. ასეთად გამოცხადებულია ფედერაცია ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებით. ლიდერი დემოკრატიული გაერთიანებისა მილიუკოვი არ ზოგავს სიტყვას და კალამს, რომ ეს მეცნიერულათ დაასაბუთოს.

იმავე ფედერაციას, მეტი უფლებებით თვითეულ ერისთვის, ემხრობიან რუსეთის სოციალ-დემოკრატები და მემარცხენე ესერები. ქართველების

მიმართ ესენი, უნდა ითქვას, გამონაკლისს აკეთებენ და იცავენ ჩვენს დამოუკიდებლობას მთელ ინტერნაციონალთან ერთათ. და ეს მათ დასაშვებათ მიაჩნიათ მანამ, სანამ რუსეთში ბოლშევიზმი მძვინვარებს, ხოლო შემდეგ, როცა იქ დემოკრატია დამკვიდრდება, მათ იმედი აქვთ, რომ ქართველები შევლენ... საერთო ფედერაციაში!

ამრიგათ, არ არის არც ერთი პოლიტიკური მიმართულება ემიგრაციაში, რომელიც მზათ იყოს დათმოს ამა თუ იმ ერის დღევანდელ „კავშირიდან" გამოყოფა. გამონაკლისი უკვე დავასახელეთ, მაგრამ ეს ხომ საერთო წესს ამტკიცებს. და ეს წესი კი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მიმდინარეობანი აშკარათ და უფრო ხშირათ გულში მადლობას უძღვნიან ბოლშევიკებს, რომ მათ ხელახლა „შეკრიბეს" რუსეთი. ამის გარდა, თუ ისინი ასე თუ ისე ურიგდებიან პოლონეთის და ფინეთის განცალკევებას, ბალტიის სამი რესპუბლიკის მიმართ იმასვე ფიქრობენ, რასაც ქართველებზე: "თავისი ნებით შემოგვიერთდებიანო"!

ცხადია, მაშასადამე, რომ „ერთი და განუყოფელი რუსეთი", იქნება მონარქისტული, რესპუბლიკური, ცენტრალისტური თუ ფედერატიული, შეადგენს მთელი რუსის ემიგრაციის ოცნებას. ამ მხრივ არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს ბოლშევიკებსა და ემიგრაციას შორის. ამით აიხსნება ისიც, რომ საერთაშორისო პრაქტიკულ პოლიტიკაში ეს ორი, თითქოს ერთმანეთზე გადაკიდებული, ბანაკი ხშირათ ზურგს უმაგრებენ ერთმანეთს. ეჭვი შეგვაქვს მილიუკოვის ლოლიკაში ამიტომ, როცა ის სოლიდარობას უცხადებს წინდაწინ ბოლშევიკებს იმ შემთხვევაში, თუ მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთსა და მაგ. ინგლისს შორის, და მთელის არსებით გამოვა არარუს ერთა წინააღმდეგ „კავშირის" ფარგლებში. ჩვენ არ დაგვიწყნია მისი გალაშქრება აჯანყებულ საქართველოს წინააღმდეგ, 1924 წ., როცა დაისვა კითხვა მისი გამოყოფის შესაძლებლობაზე.

ვეკითხებით თავს, რამდენად სავალდებულოა რუსებისათვის ასეთი პოზიცია, განურჩევლად მიმართულებისა. ნუთუ უბრალო სამართლიანობის გრძნობა და გონიერება ვერ პოულობს მათში გამოძახილს? ჩვენ გვესმის მემარჯვენეთა ნაციონალიზმი და მემარცხენეთა პაციფიზმი, მაგრამ არ გვესმის უკანასკნელთა მტრობა არა რუს ერთა მისწრაფებებისადმი. უეჭველია, ყველა ისინი იმყოფებიან გამქრალ იმპერიის გიპნოზის ქვეშ, ვერ წარმოუდგენიათ რუსეთი უჩვენოთ. უნდა ნახოთ, როგორის გულწრფელობით და აღელვებით გვედავებიან ისინი თავისუფლების, დამოუკიდებლობის კითხვაში. გეგონებათ, ჩვენ ვაწყენინეთ ამით ცასა და დედამიწას, ვითომ გვინდა წავართვათ რუსებს მათი მიწა-წყალი, ხალხის სიმდიდრე!

და სწორედ ამიტომ წესწყობილების კითხვა, სახელმწიფოს ესა თუ ის ფორმა მთლათ მიიჩქმალება, როცა ჯერი ერთა განთავისუფლებაზე მიდგება. ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ ეგრ. წოდ. დემოკრატები მილიუკოვის ტიპის — მის მარჯვნივ ხომ გახედვაც არ ღირს — პირველ-

სავე ქარიშხლის ამოსვლაზე ზღვის ტალღებს გაატანენ რესპუბლიკას, დემოკრატიას, ფედერაციას... ოღონდ აღსდგეს ძველი იმპერია.

ერთი ცუდი საქმე სჭირთ მხოლოდ ამ გადაცმულ იმპერიალისტებს: ისინი აქ არიან უცხოეთში და ნიადაგი გამოცლილი აქვთ ფეხთ სამშობლოში. ისინი ოცნებობენ მომავალზე, ხოლო იგი წარსულის პრიზმით ეხატებათ მათ. ბოლშევიკებს ერთი სამსახური მაინც მიუძღვით: მათ საფუძვლიანათ დალეწეს წარსული და მის ნანგრევებზედ ახალი ვერ ააშენეს.

სტაბილიზაცია და ბოლშევიზმი ორი სხვა და სხვა ცნებაა, ერთი მეორის უარმყოფელი. რუსეთი დღესაც რეზოლუციების ხანაში იმყოფება, როგორც ოქტომბრის დღეებში, მოუსვენრობა, სიკვდილის ცელი, ყოველ კუთხიდან ომი, სამოქალაქო ომი, კონტრ-რევოლუცია... ერთი სიტყვით „პერმანენტული" რევოლუცია!

დიახ, რუსეთი ის არ არის, რაც იყო, და არც შეიძლება იქნეს მომავალში. ამას უშლის, უწინარეს ყოვლისა, არარუს ერთა გაბედული გამოსვლა ისტორიულ ასპარეზზედ, მათი როლი საერთაშორისო კონცერტში. მილიუკოვი და ძმანი ძლიერ ჩამორჩენ დროს, მიუხედავათ მათი ენციკლოპედიზმისა.

ჩვენ, ქართველები, სულაც არა ვართ დაინტერესებული ყველა რუსები ერთ გოდორში მოვაქციოთ. მართალია, როგორც დავინახეთ, ისინი არ არიან ჩვენი დამოუკიდებლობის მომხრე, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ისინი ყველა ერთი და იმავეს საშუალებით და მეთოდით გვებრძვიან. ჩვენთვის ხელსაყრელიცაა, რომ ისინი ერთმანეთსაც ებრძვიან შიგნით სოციალ-პოლიტიკურათ. ჩვენ შეგვიძლია იმავე ხაზზედ ვიდგეთ ერთიან ბოლშევიზმთან ბრძოლაში, მეორე, გამოვიყენოთ დამოუკიდებლობის იდეის დაცვაში ევროპის დემოკრატიის წინაშე, მესამე, იძულებული გავხადოთ თუნდაც სიტყვიერი დათმობები გააკეთოს ჩვენს მიმართ საზოგადო აზრის გავლენით... და ასე ბოლომდის.

ჩვენ არ ვართ შოვინისტები, არც რუსოფობები. ვნებათაღელვას არ უნდა დავუქვემდებაროთ ჩვენი მიზნები, მისწრაფებანი. ჩვენ არ ვედავებით რუსებს მათ სამფლობელოში, გვსურს მათთან კეთილგანწყობილება, მაგრამ ჩვენს სახლში ჩვენი თავი ჩვენ უნდა „გვეყუდნეს". როგორც არ გვსურს ბოლშევიკების თარეში, ისე არ გვსურს რუსი მონარქისტების, რესპუბლიკანელების, სოციალისტების ძალათ-მაცხონობა ჩვენს ტერიტორიაზედ.

აკაკი ჩხენკელი და აღმოსავლეთ ციმბირის ქართული კოლონია

XX საუკუნის 10-იან წლებში შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში რამდენიმე ათასი ქართველი ცხოვრობდა. ამ ქართველების შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს მოხსენება წარუდგინა იქაურ მცხოვრებთა რწმუნებით საქართველოში ჩამოსულმა დელეგატებმა — ერმილე ხავთასმა და ემელი-

ანე ნოდიამ[1].

ამ ქართველებს ცარიზმის დროს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სამშობლოსთან, მაგრამ იმპერიის დაშლის შემდეგ ეს კავშირი მოისპო. ისინი მოწყდნენ საქართველოს, აქედან ან ცრუ ინფორმაციებს იღებდნენ, ან სულ ვერაფერს იტყობდნენ სამშობლოში მომხდარ მოვლენებზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მათ გადაწყვიტეს შეექმნათ ძლიერი ცენტრი ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ თანამემამულეებისაგან და დაკავშირებოდნენ დამოუკიდებელ საქართველოს. მათ სურდათ წვლილი შეეტანათ მის ეკონომიკურ გაძლიერებაში, სავაჭრო ქსელი გაებათ მასა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის, საქართველო დაეკავშირებინათ იაპონიის ბაზართან. ქართველ ემიგრანტთა მთავარი ცენტრი ქ. ხარბინი იყო.

ქ. ხარბინი რუსეთმა ააგო აღმოსავლეთ რკინიგზის მშენებლ□ბისას. ხარბინში, ჩინელებს გარდა, ცხოვრობდნენ რუსები, უკრაინელები, პოლონელები, სომხები, თათრები, ებრაელები. ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ მრავალრიცხოვანი ქართველები. ესენი იყვნენ 1898 წ. რუსეთის რკინიგზის მომსახურე ადამიანები, 1905წ. რევოლუციის შემდეგ გადასახლებულნი, შემდეგ მათ დაემატათ 1921 წელს ქვეყნიდან წასულები. შექმნილი იყო ქართული კოლონია თავისი წესრიგით. ხარბინის ქართველთა კოლონია ერთ-ერთი ძლიერი გაერთიანება იყო მთელს ქართულ ემიგრაციაში.

ხარბინში მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრების ნიკოლოზ წულუკიძისა და ივლიანე ხაინდრავას მიერ 1908 წელს შეიქმნა „ქართველთა ნაციონალური საზოგადოება", რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ივლიანე ხაინდრავა (გარდაიცვალა 1938 წ.).

1918 წელს ხარბინში ჩატარებულმა კონფერენციამ, რომელსაც 50 დელეგატი დაესწრო, აირჩია ორი დელეგატი საქართველოში გამოსაგზავნად. რუსეთში არსებული სამოქალაქო ომისა და ბოლშევიკური ტერორის გამო, დელეგატებს დიდი შემოვლითი გზის გავლამ მოუწიათ. ისინი იაპონია, შანხაი, სინგაპურის, ჰონკონგი-კონსტანტინოპოლის გზით ჩამოვიდნენ საქართველოში. ერთი მათგანი მთავრობის დავალებით უკანვე გაიგზავნა. ამ დროს შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები 6 ათასი ქართველიდან უმეტესობა ვაჭარ-მრეწველები იყვნენ. ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათ ეროვნულ-კულტურულ და ეკონომიკურ ნიადაგზე.

ციმბირის ქალაქებში მცხოვრებ ქართველებს ჰქონდათ ურთიერთდამხმარე საზოგადოებები, მათ საქმიანობას მეთვალყურეობდა ქართველთა მთავარი ორგანო — ცენტრალური ბიურო ხარბინში. ბიუროს ჰყავდა თავისი პრეზიდენტი, მოსამსახურეთა შტატი — მწერლებიდან დაწყებული, რწმუნებული ვექილებით დამთავრებული. უზრუნველყოფილი იყო საკამაო თანხით, რომელიც ერთდროულად იყო შეგროვილი მთელი ქართველობისაგან. გარდა ამისა, არსებობდა სანევრო გადასახდი. სათანადო მთავრობებიდან ნება ჰქონდათ გაემართათ საღამო-წვეულებე-

[1] დოდო ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XXსაუკუნის დასაწყისში; 1918-1921 წლები, გამომცემლობა „მემატიანე", თბილისი, 2003, გვ. 266.

ბი ალეგრით (ბალი), სადაც ქართველები არაფერს იშურებდნენ და დიდი თანხები გროვდებოდა, შემოსავლებს იძლეოდნენ დაწესებულებები.

ქართველები აქ მისდევდნენ მეთევზეობას, ჰქონდათ საკუთარი თევზის საჭერები ნიკოლაევში, ამურზე, სახალინსა და სხვაგან, ღირებულება თთოეული საწარმოსი, ჯერ კიდევ 1918 წლამდე მილიონს უდრიდა. მსხვილი თევზის მრეწველებად ითვლებოდნენ ღლონტები, აბაშიძე, ხაინდრავა, ნაცვლიშვილი, კაპანაძე, თოიძე, ალექსი ხავთასი ძმებით და სხვ. ხაბაროვსკში წერეთელს ჰქონდა საუკეთესო ქვით ნაგები დიდი თეატრის საკუთარი შენობა.

ქ. ხარბინში ორჯონიკიძესა და მის ამხანაგობას ჰქონდა ელექტროთეატრი საკუთარი შენობით და მოწყობილობით. ხარბინში ლუდისა და ლიმონათის ქარხნები ჰქონდათ ბარბაქაძესა და ფირჩხაიას. დიდი მაღაზიები ჰქონდათ და ამერიკა-ჩინეთიდან პირდაპირ იღებდნენ საქონელს, რომელსაც ბითუმად ჰყიდდნენ, ღლონტს, ურუშაძესა და სხვებს. მათ სპეციალური აგენტები ჰყავდათ იაპონიასა და ამერიკაში საქონლის შესაძენად. იქაურ ქართველთა სათვისტომოს ცნობით, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის მთელი ბიუჯეტი ქართველების ხელში იყო ხარბინში იგი ეკუთვნოდა აბაშიძეს, ჯალანტურში — ფირჩხაძეს, პოგრანიჩნაიაში — ღლონტს, ვლადივოსტოკში ჯაყელს, ნიკოლაევში ჩხატარაიშვილს, მანჯურიასა და ციმბირის მაგისტრალებზე ქართველები ფლობდნენ მთავარ ბუფეტებს. ხარბინსა და ვლადივოსტოკში სახლები ჰქონდათ ხაინდრავას, აბაშიძეს, ფირჩხაიას, რობაქიძეს, კაპანაძეს, ღლონტს, მახარაძეს და თითქმის ყველა ქართველ ვაჭარ-მრეწველს. ქართველებს შეძენილი სახლები ჰქონდათ ჩიტაში, ბლაგოვეშჩენსკში, ნიკოლაევსკში და სხვაგან. ხარბინში ფეხსაცმლის სახელოსნოები ჰქონდათ კობახიძეს, ჯაფარიძეს, გოთუას და სხვ. ქართველებს შორის ბევრი საბუღალტრო კურსებს მქონე, მეღვინე, მეპურე, სასტუმროების მფლობელი იყო.

ვლადივოსტოკსა და ხარბინში ჰქონდათ სპეციალურად აგებული ბიბლიოთეკები, თეატრის და კინოს შენობები, დარბაზები საერთო შეკრებებისათვის. ყველაზე დიდი სავაჭრო სახლი ბლაგოვეშჩენსკში ჰქონდათ ძმებ ქერქაძეებს, რომლებიც ბოლშევიკებმა მოკლეს, შემდეგ ეს ქალაქი იაპონელებმა დაიკავეს და მოკლული ძმების დიდი ქონება არავინ იცის ვის ჩაუვარდა ხელში.

აი, ამ ძალისა და შეძლების მქონე ქართული დიასპორები შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში სთავაზობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩინური საქონლის შემოტანას, იაპონიიდან გემების იაფად შეძენას, საქართველოდან ღვინის, კონიაკის, თამბაქოს, ნიგვზის, თხილის, გამხმარი ხილის, ყველისა და სხვა პროდუქტების გატანას აღმოსავლეთის ბაზარზე. საქართველოს ხელისუფლება უნდა დახმარებოდა თანამემამულეებს იდენტობის შენარჩუნებაში, გაეგზავნათ იქაური ბავშვებისათვის ქართული წიგნები, პიესები და სხვ. „ერთი მთავარი საკითხთაგანია, — ამბობდნენ ისინი, — დაცვა იმ ადამიანების როგორც პოლიტიკურ-ეროვნუ-

ლი უფლებებისა, ასევე მათი პირადი და საზოგადოებრივი ქონებისა, ეს საკითხი ყველაზე მწვავე საკითხია, რადგან იქ ურთულესი პირობებია".[1]

სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ამ გეგმის განხორციელება არ დასცალდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ხარბინისა და მანჯურიის ქართველობა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ერთგულნი დარჩნენ, საქართველოს ლეგაციას პარიზში ეხმარებოდნენ ფულით, ცდილობდნენ მიეღოთ მათგან ინფორმაციები საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებზე, თავად ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, თხოვდნენ ჟორდანიას ხელისუფლებას — გაეგზავნათ ხარბინის საზოგადოებისათვის ევროპაში გამომავალი ქართული პრესა და წიგნები.

ხარბინიდან ქართველები გზავნიდნენ იაპონურ პრესას, სადაც ბოლშევიკური რუსეთის მძაფრი კრიტიკა იბეჭდებოდა. ხარბინელი ქართველები იმედოვნებდნენ, რომ იაპონია მოახერხებდა ბოლშევიკური რუსეთის იმედების დასამარებას ისევე, როგორც ეს 1905 წელში შესძლო[2].

1931 წელს ხარბინი იაპონიამ დაიკავა, ქართველთა ნაწილი ქ. შანხაიში გადავიდა.

აი, რას მოგვითხრობს 1932 წელს ხარბინის ქართველთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეების ივლიანე ხაინდრავასა და ექიმ ნიკიფორე ჯიშკარიანის მოხსენებები აკაკი ჩხენკელისადმი მანჯურიაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენათა ფონზე ქართველთა კოლონიის მდგომარეობის შესახებ:

18 იანვარს ივლიანე ხაინდრავა აკაკი ჩხენკელთან გაგზავნილ წერილში წერს, რომ ხარბინელ ქართველებში არის ერთი პიროვნება, ილიკო სამსონის ძე მიქელაძე, რომელიც ბოლშევიკების მხარესაა და არც მალავს ამას. ინტენსიური მუშაობა ბოლშევიკებთან მან 1929 წლიდან დაიწყო, როდესაც ჩინელებსა და ბ.-ს შორის მოხდა განხეთქილებაო. ადგილობრივ გაზეთში — „ხარბინსკოე ვრემია"—ში გამოქვეყნდა მისი მოღვაწეობის შესახებ, რის შემდეგაც აქ აღარ დაედგომებოდა და კიდეც წავიდა რუსეთში ვლადივოსტოკითო. იქ მას შეხვდნენ დიდი პატივისცემით, როგორც გამოჩენილ მოღვაწეს, შეიძლება ევროპაში გაგზავნონ, რომელიმე მაღალ თანამდებობაზეო. თქვენ ვინაიდან არ იცნობთ, შესაძლოა სათანადო სიფრთხილე არ გამოიჩინოთ მის მიმართ, ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლით, გაცნობოთ მის შესახებ საიდუმლოდ. თუ საჭიროდ ჩათვლით, სხვა ქართული ორგანიზაციებიც გააფრთხილეთ ამის შესახებო.[3]

მეორე წერილს, რომელიც დაწერილია ექიმ ჯიშკარიანის ხელით, ხელს აწერენ ჯიშკარიანი და ივლიანე ხაინდრავა. ეს 7 გვერდიანი ვრცელი წერილი წარმოადგენს აღმოსავლეთში, რუსეთ-ჩინეთსა და იაპონიას შორის არსებული დაპირისპირების, პოლიტიკურ ვითარებათა სწრაფი ცვლილებების, ქართული კოლონიის მდგომარეობის და სხვა პოლიტიკურ მოვლე-

[1] სცსსა, ფონდი 1864, საქმე 59, ფ.18-22.
[2] სცსსა, ფონდი 1864, საქმე 416, ფ. 2.
[3] სცსსა, 1831, აღ.2, საქმე 285, ფ. 1-2.

ნათა საკმაოდ დეტალურ აღწერას.

ჩანს, რომ ქართული კოლონიის ხელმძღვანელობა საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფლების და თავად სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეის ერთგული, ბოლშევიზმის წინააღმდეგ დაპირისპირებული რჩებოდა ბოლომდე, რასაც ბევრი ქართველი შეეწირა კიდეც. მათ ურთულეს პირობებში უხდებოდათ ცხოვრება იმ პოლიტიკური რეალობის და ცვლილებების გამო, რაც აქ ხდებოდა, XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში.

აი, რას გადმოგვცემს ეს წერილი:

1920 წელს ხარბინში ჩავიდა საქართველოს მთავრობის რწმუნებული როსტომაშვილი. მას იქ დაუარსებია დროებითი საკონსულო, დროებითი მანამდე, სანამ საქართველოს მთავრობა არ დაამტკიცებდა. ამ საკონსულოს გავლენის სფეროში შედიოდა ციმბირი, რუსეთის შორეული აღმოსავლეთი და ჩინეთი, ყველა ქართული კოლონია, რომლებიც ამ ტერიტორიაზე არსებობდა.

ვინაიდან საქართველო არ უცვნია ჩინეთს, იურიდიულ ძალას ქართული საკონსულო მოკლებული იყო, თუმცა, როგორც წერილის ავტორები წერდნენ, ქალაქი ხარბინი და რკინიგზის გასწვრივ ადგილები, სადაც უმთავრესად ცხოვრობდნენ ქართველები, რუსეთის ხელისუფლების საკუთრებაში იყო.

მალე ჩინელებმა რუსეთს წაართვეს როგორც ტერიტორიალური, ასევე საკონცესიო უფლებები რკინიგზაზე, ქართულ საკონსულოს დაუტოვეს არაოფიციალურად მუშაობის ნება. ეს მხოლოდ ჩინეთის ხელისუფლების ნებართვით მოხდა. აქ ამ დროს მუშაობდნენ სხვა ქვეყნების საკონსულოებიც: იაპონიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და სხვ., რომლებიც, მიუხედავად არაოფიციალურობისა, ცნობდნენ საქართველოს საკონსულოს და ჰქონდათ მასთან საქმიანი ურთიერთობა.

ქართველები ეროვნული პასპორტებით გადაადგილდებოდნენ, სადაც მოისურვებდნენ. თუკი საჭირო გახდებოდა ჩინეთის საკონსულო კორპუსი დაუყონებლივ გასცემდა მათზე ვიზებსა და პასპორტებს. ქართველები და საქართველოს საკონსულო იმდენად პატივცემული იყო უცხოელ საკონსულოებს შორის, რომ ქართველი კონსული თუმანიშვილი იყო ქალაქ ვლადივოსტოკში არჩეული კონსულთა კორპუსის უხუცესად.

1932 წელს, ამ წერილის დაწერის დროს, ქალაქ ხარბინში იყო შემდეგი საკონსულოები: ია;პონიის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იტალიის, ბელგიის, პოლონეთის, პორტუგალიის, ჰოლანდიის, გერმანიის, საბჭოთა რუსეთის, ლატვა-ლიტვა-ესტონეთის.

პოლონეთის საკონსულო 1931 წლამდე როგორც წარმომადგენლობა, ისე მუშაობდა, რადგან ჩინეთს აქამდე არ უცვნია პოლონეთი, მაგრამ 1932 წლიდან პოლონეთმა ტრაქტატული დამოკიდებულება დაამყარა ჩინეთთან და ახლა საკონსულო ოფიციალურად მუშაობსო.

ბალტიისპირა ქვეყნები ჩინეთს არ ჰყავდა აღიარებული, ამიტომ მათი

საკონსულოებიც არაოფიციალურად მუშაობდნენ ხარბინში, ჩინეთის ხელისუფლება მათ ეროვნულ პასპორტებს არ სცნობდა, მათ ჰქონდათ სპეციალური ემიგრანტული პასპორტები, თავიანთი ეროვნებისა და მოქალაქეობის აღნიშვნით.

1924 წლიდან, როდესაც ჩინეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის მოხდა შეთანხმება, დაიდო საკონცესიო ხელშეკრულება რკინიგზაზე, ხარბინში დაარსდა საბჭოთა რუსეთის საკონსულო, მან თავი საჯაროდ სსრკ—ში შემავალი რესპუბლიკების წარმომადგენლად გამოაცხადა და ქართველებმა (დროებით) დახურეს თავიანთი საკონსულო. მალე გამკაცრდა პირობები, ემიგრანტების და უცხოელების წინააღმდეგ, ქართველებსაც ჩინურმა ხელისუფლებამ მისცა ემიგრანტული პასპორტები, მასში ჩაუწერა „რუსის ემიგრანტები".

რუსებსა და ჩინელებს შორის ბევრი წინააღმდეგობა იყო, რუსულმა მოურიდებელმა კომუნისტურმა პროპაგანდამ, ამ ტერიტორიებზე პრეტენზიებმა გაიმარჯვა: საბჭოთა რუსეთმა სრული უფლებები აღიდგინა რკინიგზაზე, მისი სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა. თანასწორობა რკინიგზის ფლობისა ჩინელებსა და რუსებს შორის მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, ცხოვრებაში კი — გაქრა. „საბჭოთა ხელისუფლების ჩაგონებით ჩინელი მოხელეები და ჩინური ადმინისტრაცია ამხედრდნენ ემიგრანტების წინააღმდეგ და მათ მეთაურებს რუსეთში გაგზავნას ემუქრებოდნენ. ერთი სიტყვით,საბჭოთა მოღვაწეობამ მანჯურიაში მიიღო ფრიად სახიფათო ხასიათი".

მალე მოხდა მოულოდნელი ცვლილებები: საბჭოთა რუსეთის მანჯურიაში ბატონობას ბოლო მოუღო იაპონიის გამოჩენამ, მის მიერ მდგომარეობის თავის სასარგებლოდ მობრუნებამ. აქ შეიქმნა მანჯურიისა და მონგოლეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც იაპონიის გავლენის ქვეშ მოექცნენ და არა რუსეთისა. რუსეთმა დაკარგა იმედი მანჯურიის გასაბჭოების, ამ უზარმაზარი ბაზრის დაპატრონების, რაც რუსულ საბჭოთა პროდუქციას გაასაღებდა, უმდიდრესი ტყეებისა და სხვა ნედლეულის ფლობისა..

ჯიშკარიანისა და ხაინდრავას აზრით, ამ ნიადაგზე შეეჯახნენ ერთმანეთს რუსეთი და იაპონია მანჯურიაში. იაპონიას არ სურდა დაკმაყოფილება მანჯურიის ბუფერული სახელმწიფოს შექმნით. მათი აზრით, ეს ქვეყანა ძლიერი იყო სამხედრო თვალსაზრისით, რადგან მსოფლიო ომში არ მონაწილეობდა, იყო მთლიანი ქვეყანა, ის მარჯვე დროს დაიკავებდა მანჯურიას, სახალინის კუნძულსა და მთელი პრიმორიის მხარესაც.

მანჯურიის სახელმწიფოს გამოცხადებამ შეაშინა აქ რუსი მენარმენი და ემიგრანტები, დაიწყეს ყველაფრის გატანა, მათ შორის ორთქლმავლების, პურის მარაგის და სხვა ქონების, ყველაფერი ქურდულად გაჰქონდათ, სანამ აკრძალვის კანონი გამოვიდოდა მანჯურიიდან რკინისგზით ქონების გატანაზე, ყველაფერი მოასწრეს.

პრიმორიედან იტყობინებიანო, რომ იქ რუსეთიდან დიდძალი ჯარი

და სამხედრო მარაგი, ჰაეროპლანები მოდისო, აქედან კი რუსეთში გააქვთ თურმე ყველაფერი, რაც ძვირფასია პრიმორიეშიო. ჯარის მოსათავსებლად ცლიან სკოლებსა და დაწესებულებებს. ისინი, ვისაც საბჭოთა ხელისუფლება უიმედო ელემენტებად თვლის, იგზავნებიან რუსეთში და გზაში ხვრეტენო. მანჯურიაშიც აფრთხილებენ თავისთვის საიმედოებს, მზად იყვნენ რუსეთში გასაგზავნადო. ძველი სამხედრო ნაწილები დახმარებას უწევენ წითლებს, ესენი არიან, ვინც იაპონიასთან იბრძოდნენო.

წერილის ავტორები წერენ, რომ მანჯურიის ახალ სახელმწიფოში სხვა ეროვნებებს და უცხოელებს ფართო უფლებები მისცეს, ჩვენც ვისარგებლეთ ამით და ჩვენი ეროვნული გაერთიანების ახალი წესდება წარვადგინეთ მთავრობაში დასამტკიცებლადო. აგრეთვე მოვინდომეთ საკონსულოს ხელახალი გახსნა, რისთვისაც უცხოეთის სხვა წარმომადგენლებმა გვირჩიეს, რომ მიგვემართა პარიზში იაპონიის საელჩოსთვის, რადგან მანჯურია იაპონიის ქვეშევრდომი ქვეყანაა. „ვფიქრობთ, რომ შესაძლებელი იქნება საკონსულოს ან უკანასკნელ შემთხვევაში წარმომადგებნლობის გახსნა ეროვნული პასპორტების გაცემის უფლებით ქ. ხარბინშიო. ხარბინში ქართველები შედარებით ბევრნი ვართ, აქ იმყოფება საზოგადოების გამგეობაც და საკონსულოს გახსნა უფრო იაფი დაგვიჯდებაო. თუ ეს არ მოხეხდება იმის გამო, რომ ჩინეთს არ ვუცვნივართ, მაშინ შესაძლებელია ავირჩიოთ სხვა ქალაქი: ჩანჩუნი, რომელიც მანჯურიის ცენტრშია და საკონცესიო უფლებით იაპონიას ეკუთვნისო. ეს ქალაქი გამოცხადდა სატახტო ქალაქად. შესაძლოა იაპონიამ, რომელსაც ნაცნობი ვყავართ, დაგვრთოს ნება აქ ჩვენი საკონსულოს გახსნის. სამაგიეროდ, იქ ჩვენი ცოტა მოქალაქე ცხოვრობს, სულ 7-8 და გაგვიჭირდება საკონსულოს შენახვა.

დაახლოებით 40 წელია მანჯურიაში დასახლება დაიწყეს ქართველებმა. ისინი აქ ხსნიან სავაჭრო-დაწესებულებებს, იძენენ ქონებას, მონაწილეობენ მანჯურიის კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებაში, საბჭოთა სისტემამ აქ შეაფერხა ქართველების წინსვლა, მაგრამ ახალი სახელმწიფოს შექმნის პირობებში მათ არათუ ძველი მდგომარეობის აღდგენა, არამედ მისი გადიდებაც შეუძლიათ.

წერილით ატყობინებდნენ, რა საზოგადოებრივი საკუთრება ჰქონდა ხარბინის ქართველობას: ერთსართულიანი 120 ოთხკუთხედი სახლი, მიწა 750 ოთხკუთხედი ქალაქის ცენტრში, ქართული სკოლა, ბიბლიოთეკა, ვზრდით ღარიბ მოწაფეებსა და ობლებს, ვეხმარებით ღარიბ წევრებს, ვზრუნავთ ქართველ ლტოლვილებზე, რომლებიც ბლომად გამორბიან აქ პრიმორიიდან, გვაქვს მჭიდრო კავშირი უკრაინელებსა და პოლონელებთან, რომლებიც აქ ათასობით არიან. იკითხება ლექციები ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაზე, პოლონელების კლუბში, მათივე თხოვნით. გადაწყვეტილი აქვთ გადაიხადონ ჩვენი ეროვნული დღესასწაული — 26 მაისი. აქ სულ 350 სული ქართველი ცხოვრობს.

უგზავნიდნენ ჯიშკარიანის საბუთებს, ახლით შესაცვლელად, კონსულის ან წარმომადგენლის სახელით, ითხოვდნენ მის გადაგზავნას იაპონი-

ის ან პოლონეთის საკონსულოში, სადაც გადასცემდნენ ქართველებს.

უსურვებდნენ ჯანმრთელობას და წარმატებებს საქართველოს მთავრობას პარიზში საყვარელი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენად წარმოებული ბრძოლის ნაყოფიერად დასამთავრებლად.

წერილს ხელს აწერდნენ: ექიმი ნ. ჯიშკარიანი და ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე ივლიანე ხაინდრავა.[1]

29. VI, 1932 წელს იგივენი წერდნენ აკაკი ჩხენკელს. აქედან ირკვევა რომ ჩხენკელს ზომები სასწრაფოდ მიუღია, გაუგზავნია დოკუმენტი საკონსულოს გახსნის შესახებ, პასპორტები, მაგრამ შეიძლება გარეშე მიზეზებმა შეგვიშალოს ხელი გახსნაში, ამიტომ პასპორტებს მაინც გადავცემთო.

წესდება გადავეცით დასამტკიცებლად, პასუხი აქამდე არ გვაქვს, სრული ეროვნული წარმომადგენლობის დაარსების გარანტია ნაკლებდ ჩანს. ეს მქონდა მხედველობაში, როდესაც საერთო კრებაზე საზოგადოების გამგეობა ავირჩიეთ და მისი ხელმძღვანელობა ვიკისრეო, — წერდა ჯიშკარიანი.

წერილში ინფორმაციაა 26 მაისის დღესასწაულზე, რომელმაც ერთხელ კიდევ დაანახვა უცხოელებს ჩვენი ერთგულება თავისუფლების იდეისადმი, ესწრებოდნენ პოლონელთა სრული შემადგენლობა, ამერიკის, ბელგიის, უკრაინის, კავკასიის ერების წარმომადგენლები და საკონსულოების თანამშრომლებიო. დარბაზის შუაგულში ყვავილები, ეროვნულ გმირთა სურათები იყო. წარმოდგენილი იქნა პიესა „დედა და შვილი" რუსულ ენაზე, ასევე ქართული პოეზიის ნიმუშები რუსულად თარგმნილი, სიმღერები და ცეკვები, ბანკეტიც მოვაწყვეთ მიუხედავად გაჭირვებისა, რადგან პოლონელებისგან მრავალჯერ ვიყავით მიწვეულნი. რუსულ გაზეთებშიც იქნა ცნობები განთავსებული 26 მაისსა და ჩვენს დღესასწაულზეო.

წერილის ავტორი აღწერდა ხარბინსა და შორეულ აღმოსავლეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, არაფერი შეცვლილა, საბჭოთა პოზიციები დასუსტდა, ისინი აწყობენ ზოგჯერ დივერსიებს, მაგრამ დროზე აღიკვეთება ხოლმე ადგილობრივი ხელისუფლების მიერო.

წერილს აქვს მინაწერი: პოლონეთის კონსული ბატონი ბალინსკი, რომელიც ქართველთა კარგი მეგობარია, მოდის ევროპაში და ვთხოვ თქვენ გინახულოს პარიზშიო. გაესაუბრეთ აქაურ ამბებზე, დიდხანს იყო აქ და ბევრი რამ იცის. ახლა საგარეო საქმეთა სამინისტროში ახალი თანამდებობა მიიღოო.[2]

7 X . 1932, ივლიანე ხაინდრავას წერილი აკაკი ჩხენკელს.

ხაინდრავა მადლობას უხდის ყურადღებისათვის, უზიარებს 26 მაისის დღესასწაულის შთაბეჭდილებებს, ჩამოუთვლის აზერბაიჯანის, სომხების, უკრაინელებისა და პოლონელების წარმომადგენლების სტუმრობას, ასევე; აქაურ კონსულთა კორპუსის თავ-რე ამერიკის გენერალური კონსული გვეწვიაო. პოლონეთის, ლიტვის, ბელგიის, ესტონეთის, კონსულები, ყველა მივიწვიე ოფიციალური მხარის შემდეგ სუფრაზე, გავუმასპინ-

[1] სცსსა, 1831, აღ.2, საქმე 285, ფურცელი 3-6, 6 აპრილი, 1932 წელი.
[2] სცსსა, 1831, აღ.2, საქმე 285, ფურცელი 8-9.

ძლდით ქართველურად, რაც ყველას ესიამოვნა. აქ შვილებს ნამდვილი სამშობლოს მოყვარულ ქართველებად ვზრდით, წყალი იმღვრევა ხარბინში, აქედან ბევრი რუსეთში მიდის, ავადმყოფობის გამო მე დავტოვე საზ-ის თავმჯდომარეობა და ის ექიმ ნ. ჯიშკარიანს გადავაბარეო (7 ენკენისთვესო), მიუხედავად ამისა, ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემს ხალხს და სამშობლოს დასჭირდებაო. გამორჩეულად აქებს პოლონეთის საკონსულოს, ასევე უკრაინელებს. საუბრობს ქალაქ ხარბინსა და მთელ ჩინეთში წყალდიდობაზე, რამაც დიდად დააზარალა ქართველებიც, გაჩნდა ხოლერა და სხვ. ამიტომ დამაგვიანდა მომეწერაო, ხარბინი, კიტაის ქუჩა, 124 — ასეთი იყო მისი მისამართი. შენი ერთგული მონა ივლიანე ხაინდრავა გწერსო.[1]

შორეული აღმოსავლეთის ქართული ემიგრაციის შესახებაა ასევე ჯიშკარიანის წერილი აკაკი ჩხენკელისადმი, მასში არის ნფრმაციები 26 მაისის დღესასწაულის, ქართველი ემიგრანტების დახმარებასა და სხვა საკითხებზე. 2. X, 1933 წელი.

„მივიღე თუ არა თქვენგან წარმომადგენლობის საბუთები, დაუყონებლივ ვინახულე ხარბინში იაპონიის წარმომადგენელი სუგისარა, და მოლაპარაკება გავმართე მასთან. გამომართვა საბუთები, საქართველოს პოლ. მდგომარეობაზე მასალები და ყველაფერი გადაგზავნა მთავრობაში ჩანჩუნში ანუ ძველ სინძიანში. ჩვენზე დიდი წინააღმდეგობა მომხდარა: იოხაბის, იაპონიის მინისტრს, ვრცელი მოხსენება გაუკეთებია საქართველოს თაობაზე და თქვენ წერილობით მომართვასაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მათზე, მივიღე ოფიციალური ცნობა, რომ იაპონია საქართველოს დღემდე სცნობს დამოუკიდებლათ. ფორმალურათ ახალი სახელმწიფო მანჯურია ჯერ არავის უცვნია და თავადაც ვერავის იცნობს, ადგილობრივი პასპორტებიც საჭიროა ჩვენს პასპოტრტთან ერთადო. ჩვენს ქართულ პასპორტებს უცხოელებიც სცნობენ და მისვლა მოსვლას გვრთავენ. ბევრმა წერილობით მომილოცა ჩვენი წარმომადგენლობის განახლება. გვპირდებიან, მალე ოფიციალურადაც გიცნობთო, თუ ეს ჩვეულებრივი აღმოსავლური დაპირება არაა. იაპონელები ქართველებს დიდ ყურადღებას გვაქცევენ, თავიანთ დღესასწაულებზე გვიწვევენ, არ გვრევენ რუსებში, სხვა რუსეთის ემიგრანტებთან შედარებით. საგანგებოდ შექმნეს აქაურ გაზეთში სპეცგვერდი „სამხრეთ კავკასიის გვერდი", სადაც ჩვენზე ცნობებს ათავსებენ. აქაურებთან ურთერთობას გვიადვილებს „დამოუკიდებელი საქართველო" (მიდიოდათ პარიზიდან), ვიბეჭდებით „ხარბინსკოე ვრემია"-ში, 5 ათას მანეთამდე შემოსავალი აქვს ჩვენს საზოგადო სახლს, რითაც უკვე ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია აქაც და დახმარება გავუწიოთ ჩვენს თანამემაულეებს პარიზში.

27 იანვარს ვიდღესასწაულეთ ჩვენი ცნობა, დიდი ფული შემოვიდა 1260 დოლარი დაგვიგროვდა, 70 კაციანი ახალგაზრდების ჯგუფი შედგა, რომელიც შეუდგა ნაციონალურ-კულტურულ გათვითცნობიერებას.

26 მაისი ვიდღესასწაულეთ.

18 ივნისის გამგეობის კრებაზე კვლავ აგვირჩიეს: მე — გამგეობის თავ-

[1] სცსსა, 1831, აღ.2, საქმე 285, ფურცელი 10.

რედ. ინჟინერი მაჩოშვილი თავ-რის ამხანაგად, გენშტაბის ყოფილი პოლკ-ოვნიკი კ. მახვილაძე, მ. ღლონტი, ბ. რობაქიძე წევრებად.

ექიმი ნ. ჯიშკარიანი[1].

საქართველოს ემიგრაციული მთავრობა და პირადად აკაკი ჩხენკელი მუდმივად იყო მსოფლიოს ყველა კუთხეში მყოფ ქართველ ემიგრანტ-ებსა და ქართულ დიასპორებთან კავშირში, ეხმარებოდა მათ ევროპული სტრუქტურებისა თუ სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატური წრეების საშუ-ალებით. აღმოსავლეთ ციმბირსა და ჩინეთში მცხოვრებ ქართველებთან-აც, ამ საკმაოდ დიდ ქართულ დიასპორასთან, მას ბოლომდე კავშირი არ გაუწყვეტია...

აკაკი ჩხენკელი და კარლო ჩხეიძე

აკაკი ჩხენკელს, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ გამორჩეულ ლიდერს, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა თა-ვისი პარტიისა და მთავრობის ასევე გამოჩენილ ლიდერთან — კარლო ჩხ-ეიძესთან.

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926) — საქართველოს დემოკრა-ტიული რესპუბლიკის პარლამენტისა და დამუძნებებელი კრების წევრი, მისი თავმჯდომარე იყო. დაიბადა 1864 წლის 9 აპრილს, შორაპნის მაზრის სოფელ ფუთში. ადრეული ასაკიდანვე გაიტაცა კარლ მარქსის იდეებმა და მისი თეორიის კარგი ცოდნისათვის თანამოაზრე ამხანაგებმა კარლო შეარქვეს. კარლო ჩხეიძემ დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო უკრაინაში. 1887 წელს იგი გარიცხეს ნო-ვოროსიისკის უნივერსიტეტიდან, რის შემდეგაც შევიდა ხარკოვის ვეტ-ინსტიტუტში თავისუფალი მსმენელის რანგში, საიდანაც, 1888 წელს გა-რიცხეს რევოლუციური იდეების გამო. 1892 წელს კარლო ჩხეიძე პოლიტი-კურ ასპარეზზე გამოდის და ნოე ჟორდანიასთან, სილიბისტრო ჯიბლაძ-ესა და ეგნატე ნინოშვილთან ერთად აყალიბებს სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს, ე. წ. „მესამე დასს“.[2]

შემდგომში ეს ჯგუფი გადაიქცა მძლავრ პარტიულ ორგანიზაციად, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის — რს-დმპ-ს შემადგენელი ნაწილი გახდა, რომლის ლიდერები იყვნენ ლენინი, პლეხანოვი, მარტოვი და სხვები. 1907-1912 და 1912-1917 წლებში კარლო ჩხეიძე იყო მე-3 და მე-4 სახელმწიფო სათათბიროების დეპუტატი თბი-ლისის გუბერნიიდან, სადაც იგი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციასაც თავმჯდომარეობდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან ოქტომბრის რევოლუციამდე პერიოდში კარლო ჩხეიძე პეტერბურგის, ხოლო შემდეგ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენ-ტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს თავმჯდომარეობდა. ამ პერიოდში

[1] სცსსა, ფონდი 1831, საქმე 292, ფ. 1-2.

[2] ისიდორე რამიშვილი, მოგონებები, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012.

საბჭო იყო ამიერკავკასიის დროებითი მმართველი ორგანო. 1918 წლის აპრილში კარლო ჩხეიძე გახდა ახლადარჩეული საკანონმდებლო ორგანოს, ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, ხოლო ამავე წლის 26 მაისიდან — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, კარლო ჩხეიძე ეროვნული საბჭოს, ანუ პარლამენტის თავმჯდომარედ დარჩა, რომლის მოვალეობის შესრულებასაც 1920 წლის მინურულს, პარიზის საზავო კონფერენციიდან დაბრუნების შემდეგ შეუდგა. ჩხეიძე, კაკი წერეთელთან და ბიქტორ თევზაიასთან ერთად, ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის, წარმოადგენდა მემარცხენე, ყველაზე არანაციონალისტურ ფრთას, რუსული მენშევიზმის ნაყოფს, თუმცა, რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მან შეძლო ეროვნულ ინტერესთა შესაბამის სიმაღლეზე დადგომა. თუნდაც მისი ასეთი აზროვნების გამო, ჩხენკელი (წიგნში მოვიტანეთ თევზაიასადმი ჩხენკელის უარყოფითი დამოკიდებულება მისი პრორუსული აზრების გამო) ვერ იქნებოდა ჩხეიძის აზრების ბოლომდე გამზიარებელი, თუმცა, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის ბრძოლაში ისინი სრულიად იდენტური განწყობის იყვნენ მას შემდეგაც, რაც ემიგრაციაში წასვლა მოუხდათ.

1918 წლის ბოლოს ჩხეიძე დაინიშნა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გასაგზავნი ქართული დელეგაციის თავმჯდომარედ. ის ხელმძღვანელობდა ქართულ დელეგაციას ლონდონისა და სან-რემოს კონფერენციებზეც. ამ დროს თბილისი ხშირად მოწყვეტილი იყო ევროპასთან კავშირს და სწორედ ჩხეიძე, მთელ დელეგაციასთან ერთად, უწევდა კოორდინაციას საქართველოს ევროპულ მისიებს. 1919 წლის იანვრიდან 1920 წლის სექტემბრამდე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ის ევროპაში მყოფი, კიდევ ერთი, არაფორმალური საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. თუმცა, მის გადაწყვეტილებებს არასდროს ჰქონია იმპერატიული ხასიათი და ის უფრო მედიატორის ფუნქციებს ასრულებდა კოლეგიალური დებატების დროს. ჩხენკელთან შედარებით, მას არ უყვარდა რისკი, 1920 წელს, სან-რემოს კონფერენციაზე, როდესაც მასზე იყო დამოკიდებული სომხეთთან შეთანხმების გაფორმება, ბათუმის გავლით გამავალი სომხური რკინიგზისთვის ექსტერიტორიალური უფლების მინიჭების ხარჯზე, მან საკუთარ თავზე ვერ აიღო ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ერთი მხრივ, საქართველომ დაკარგა მეზობელთან შეთანხმების მიღწევის შანსი, რისთვისაც ჩხეიძე „სულელად" მოიხსენია შუამავალმა ბრიტანეთის საგარეო სამინისტროდან - რობერტ ვანსიტარტმა, ამით შეიარაღების მიღებასაც შეეშალა ხელი, ხოლო მეორე მხრივ, ჩხეიძის პოზიციაც გასაგები იყო, რომ ის ვერ ივაჭრებდა საქართველოს ტერიტორიებით. თავად ფრანგული კარგად ესმოდა, თუმცა ვერ ლაპარაკობდა. შესაბამისად, ლოიდ ჯორჯთან, კლემანსოსთან, ნიტისთან და მსოფლიოს სხვა ლიდერებთან ის ხელმძღვანელობდა დელეგაციას, მაგრამ უშუალოდ საუბარი მის ნაცვლად ირაკლი წერეთელს და ზურაბ ავალიშვილს მიჰყავდათ.

1920 წლის ბოლოს ის დაბრუნდა საქართველოში და ჩაიბარა საქართვე-

ლოს პირველი არჩეული პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი. საზღვარგარეთ ემიგრაციაში მან გააგრძელა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტური პარტიები აქტიურად იწვევდნენ კარლო ჩხეიძეს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივის ფონდში დაცულია მასალები 1921 წლის დანიის სოციალ-დემოკრატიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კოპენჰაგენის სოციალისტურ კონფერენციაზე და ბერლინში „ამსტერდამის პროფესიონალური ინტერნაციონალის" კონფერენციაზე კარლო ჩხეიძის მონაწილეობის შესახებ; ინტერვიუები ფინურ, დანიურ და გერმანულ ჟურნალ-გაზეთების კორესპოდენტებთან; ჩანაწერები ევროპის სოციალისტური პარტიებისა და II ინტერნაციონალის მოღვაწეებთან: ველსთან, მიულერთან, ლობესთან, ებერტთან და სხვა წევრებთან გამართული შეხვედრების შესახებ; ამავე ფონდში ინახება 1924 წლის 31 მაისს ჟენევის უნივერსტეტში გამართულ მიტინგზე კარლო ჩხეიძის მიერ წარმოთქმული სიტყვის ტექსტი (ფრანგულ ენაზე).

კარლო ჩხეიძის ფონდის ემიგრანტული პერიოდის მასალებში ასახულია მისი შეხედულებები სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, საქართველოს ბედსა თუ უბედობაზე, რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყნების თვითგამორკვევასა და გათავისუფლებაზე. ამ მხრივ საყურადღებოა მისი შრომები: „მარქსიზმი და ლენინიზმი", „ბოლშევიზმის დახასიათება", „ხუთი წელია ბოლშევიკები აბედნიერებენ საქართველოს", სხვადასხვა სტატიები, სადაც კარლო ჩხეიძე ეხმაურებოდა საქართველოში 1924 წელს მომხდარ აჯანყებას, ბოლშევიკების რუსიფიკატორულ პოლიტიკას, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას და სხვ.[1]

ემიგრაციაში მყოფი კარლო ჩხეიძე პარიზთან ახლოს მდებარე სოფელ ლევილში, ქართველთა მამულში მეუღლესა და უმცროს ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. იგი დიდ დახმარებას უწევდა საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, შეძლებისდაგვარად ზრუნავდა საქართველოში მოშიმშილე მოსახლეობისთვის დახმარების გასაწევად, მისი ინიციატივით ჟენევაში დაარსდა საქართველოს დახმარების საერთაშორისო კომიტეტი, რომელსაც შვეიცარიელი ჟან მარტინი ხელმძღვანელობდა.

1924-1925 წლებიდან კარლო ჩხეიძის, ისევე, როგორც ლევილში მყოფი ქართველების მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, რაც ნათლად ჩანს ამ პერიოდში ნოე ჟორდანიასა და აკაკი ჩხენკელისთვის გაგზავნილი მისი წერილებიდან. შიმშილი, უსახსრობა და უიმედობა კარლო ჩხეიძეს ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას ანიჭებდა, უკმაყოფილო იყო საბინაო პირობებითაც. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა კარლო ჩხეიძემ 1926 წლის 9 ივნისს თავი მოიკლა. სიკვდილამდე ქაღალდზე ერთი ფრაზა დაწერა: „ჩემს სიკვდილში ბრალი არავის დასდვათ". უგონო მდგომარეობაში მყოფი, საავადმყოფოში 4 დღეს აცოცხლეს, რის შემდეგაც გარდაიცვალა.

[1] სცსსა, ფონდი 2115. აღწერა 1;

კარლო ჩხეიძე პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე დაკრძალეს. არქივში ინახება მის დაკრძალვაზე დამსწრე საზოგადოების მიერ სამგლოვიარო წიგნში გაკეთებული ხელმოწერები, უშუალოდ დაკრძალვის ამსახველი 11 ფოტოსურათი და საქმე პერ-ლაშეზის სასაფლაოზე კარლო ჩხეიძის საფლავის კეთილმოწყობის შესახებ. კარლო ჩხეიძის მოღვაწეობის დოკუმენტური მასალა, მისი პირადი არქივის გარდა, დაცულია საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს და იმდროინდელ მოღვაწეთა პირად ფონდებში.

ქვემოთ მოგვაქვს აკაკი ჩხენკელის წერილები კარლო ჩხეიძისადმი (12 წერილი), რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული სახელმწიფო საისტორიო არქივის კარლო ჩხეიძის ფონდში (ფონდი 2115).

წერილების დაწერის თარიღია: 18. 12. 1919, 03.2 – 1925

„18.12.19, რომი.

ძვირფასო კარლო,

მე კიდევ რომში ვარ, გავალ ტრანტოდან 27 ამ თვეს. შენგან ჯერ არაფერს ვხედავ, ვფიქრობდი გამოგზავნიდი რამეს მთავრობის გადასაცემათ. დღეს მივიღე კონიასაგან[1] წერილი: დაუწყიათ მუშაობა, უნახავთ ბონარ ლოუ და სხ. ნამდვილათ შევცდით, რომ უფრო ადრე არ დავიწყეთ ლონდონში მუშაობა. ღამბაშიძე ალბათ კიდევ მანდ არის, საჭიროა საჩქაროთ წავიდეს ლონდონში და იქიდან კი კიდევ უფრო ადრე, რადგან ამერიკაში წასვლა არაა დასაყოვნებელი. მეშინია, არ ჩარჩეს ლონდონში, შენ უნდა მოთხოვო მას სრულიად კატეგორიულად არ ჩარჩეს იქ. ბ. ხოშტარია მიდის ლონდონში არა მარტო თავის საქმიზა, არამედ მთავრობის დავალებითაც. სატრანსპორტო საზოგადოება, რომელშიც მთავრობაც ურევია, მოწოდებულია იყიდოს გემები და სხ., ხოლო ამ საზოგადოების სათავეში ბ. ხოშტარია სდგას. მას მიჰყვება თან ამხ. ხოფერია, რომელიც მთავრობისგან არის დანიშნული, როგორც „კონტროლი". ბ. ხოშტარიას კერძო საქმეებიც იმდენათ არის ჩვენთვის საინტერესო, რამდენათ მისი ფინანსიური და სხვა დამოკიდებულება ინგლისთან ხელს შეუწყობს უკანასკნელის დაინტერესებას ჩვენი დამოუკიდებლობით.

ვინაიდან ბ. ხოშტარიამ ენა არ იცის, ამიტომ მან დასვა საკითხი ბ. სუმბათოვის დროებით ლონდონში წასვლის შესახებ, რომ მას დახმარება გაუწიოს. მე ვფიქრობ, ჩვენც დაინტერესებული ვართ, რომ მთავრობის მინდობილობა პირნათლათ იქნას შესრულებული და ამიტომ სრულიად შესაფერია თუ სუმბათოვიც ხელს შეუწყობს მათ. ჯერ ასე ერთი თვე ის უნდა დარჩეს ბერნში, რადგან ახლა იქ რიგზე დგას ჩვენი ცნობის საკითხი. მაგრამ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მას შეეძლება წავიდეს ლონდონში რამდენიმე ხნით. ის შეგატყობინებს შენ თავის დროზე ამის შესახებ, ჩამოივლის ალბათ პარიზშიც, და შენც, მე ვფიქრობ, არ გექნება არაფერი წინააღმდეგი ამისა. რა თქმა უნდა, მას უნდა დაეკისროს რესპუბლიკის ინტერესების დაცვა. დიდი მოკითხვა ჩვენგან თქვენ ორივეს. თუ მოიწერ-

[1] კონია — კონსტანტინე გვარჯალაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი.

ები, კიდევ მომისწრებს.

შენი აკ. ჩხ. გაკოცებ.

წერილის არშიაზე არის მინაწერი: „სუმბათაშვილის ლ-ში წასვლის შესახებ საიდუმლოთ გწერ პირადათ შენ".[1]

„თფილისი. 21. III. 20

ძვირფასო კარლო,

სალამი, მოკითხვა და სურვილები ჩვენგან შენ, ოჯახობას, დელეგატებს, ჭიჭიკოს[2]. უკანასკნელისაგან მომივიდა ორი წერილი: კერძო და ოფიციალური. ოფიციალურში იდვა ასლები სახალხო ბანკის წერილებისა ბერნიდან. ამასთავე ვუგზავნი ბანკს დასტურს, რომ 3.000.000 სწორეთ შენი სახელზეა გადმოსული, მიკვირს საეჭვოთ რად მიუჩნევია ეს, გარკვევით ვწერდი. ფული ფაქტიურათ გერმანულ ბანკში (Deutsche Bank), გადმოწერილია მხოლოდ სახალხო ბანკის სახელზე (მინდოდა უზრუნველმეყო ნეიტრალურ სახელმწიფოს ბანკით, ვინცობაა გერმანიაში ხელი დაედოთ თანხაზე), მაგრამ განკარგულება ფულზე მარტო შენ გეკუთვნის, როგორც ნინეთ გეკუთვნოდა. ცოტას ვაგებთ, რა თქმა უნდა, ამით, გერმანული ბანკი უშუალოთ მეტ სარგებელს იძლეოდა. მიმდინარე ანგარიშით 1% ცოტაა, მე მეტს ვიღებდი, თან ბერნის ბანკს გასამრჯელო მიაქვს ოპერაციებისათვის, მაგრამ ეს არაფერია მანდამაინც, ვინაიდან შენ 1-დან 3 თვემდე დასდებ და სარგებელსაც ჩვეულებრივს მიიღებ, ე. ი. 3%. ისე კი სახალხო ბანკი მეტათ სანდო დაწესებულებაა, არ მოგატყუებს, ის დაიტოვებს თავისთვის მარტო სამი თვით; დანარჩენს კი, რასაც გერმანული ბანკი აძლევს, შენს თანხას მიამატებს. თუ ვინცობაა გერმანიაში ნორმალური პირობები დადგა, შენ შეგიძლია მისწერო ბერნის ბანკს ისევ შენს სახელზე გადაწეროს მთელი თანხა ბერლინში, გერმანულ ბანკში, რომელ??? ანგარიშს ??ია ყოველ მხრივ, მაშინ სარგებელიც უკლებლივ მოგეცემა თუ მართალი გამოდგა ცნობა, რომ ებერტი – ბაუერი ისევ დაუბრუნდა ქვეყნის მართვა-გამგეობას, გერმანიის პრესტიჟი უთუოთ აიწევს, მოკავშირენიც უფრო ლმობიერათ მეპყრობიან, განსაკუთრებით ბოლშევიკების შიშით...??? ასწევს მარკის კურსსაც, სხვათა შორის, ყოველ შემთხვევაში, ფრანკთან შედარებით.

აქედან უთუოთ გწერენ. ჩვენი მდგომარეობა არაა ბრწყინვალე: სასურსათო კრიზისი, ბოლშევიკების ჩვენ საზღვრებზე მოსვლა, კავკავი და სოჩა უკვე ანარქიის ალშია, ჯერ არც კი ჩამოსულა ბოლშევიკების ჯარი, რომელიც მოსვლისას ალბათ შემოტევის გუნებაზე დადგება; ამ წუთს უცდის ქემალ-ფაშა ერზერუმში, მისი ურდოები და ასკერები უკვე დაიძრენ ოლთისიდან სომხებისა და ჩვენ წინააღმდეგ, ადერბეიჟანლები ჩვეულებრივ ხელს უწყობენ; ბაქო ბოლშევიკურ გადატრიალების წინ სდგას. ერთი სიტყვით, მდგომარეობა ძალზე რთულია. ინგლისი კი ყურებს არ იბერტყს, არავითარი დახმარება, არც ერთი მისხალი ხორბალი, არც ერთი პატრონა. ვინ სჩივის მარტო ამას რომ სჯერდებოდეს, მისი სარდლობა

[1] სცსსა, 2115, აღნ. 1, საქმე 127, ფურც. 1.

[2] ჭიჭიკო — სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი.

ბათუმში და ოლქში სისაძაგლეს სისაძაგლეზე სჩადის, ამხედრებს ხალხს ჩვენს წინააღმდეგ, ჩეტნიკების რაზმსაც კი აწყობს, დენიკინლები, თურქოფილები, ბოლშევიკები, ადერბეიჟანლები – ყველა აგენტებია, ხარჯავს აურებელ ფულს... ერთი სიტყვით სისხლს გვიშრობს, გვიკარგავს მოთმინებას, შლის ჩვენს ძალას და სიმტკიცეს ჩრდილოეთის მიმართ. სინამდვილეში მართლაც ასეა, ვინაიდან მხოლოდ ჩვენს მოსისხლე მტერს და ბოლშევიკებთან შეთქმულს შეუძლია ასე მოგვექცეს ჩვენ. სულ ბოლოს ჩვენებმაც გაიღვიძეს, გადადგენ ზოგიერთი საჭირო ნაბიჯები, მათ შორის უმნიშვნელოვანესია: ახალციხე-არტაანის ხაზით ბათუმის ოლქში შევიდა ჩვენი ჯარი, რომელმაც დაიჭირა ზედა აჭარა (ხულო), შავშეთი (სათლული) და კლარჯეთი (არტანუჯი). რაიმე კონფლიქტი არ მოგვარდა, ბოლოში დავთანხმდით ჩვენი ჯარი ოლქში ბათუმის გენერალ-გუბერნატორისათვის კუკოლისისათვის დაგვექვემდებარებია. დაწვრილებით სამხედრო მისსიაში გეტყვიან. საჭიროა ამ მისსიას სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოთ. საზღვრების შესახებ ის გაგაცნობთ ჩვენს განზრახვებს, ახალს მანდამაინც არაფერს გეტყვიან, ზურაბმაც კარგათ იცის ეს საკითხი, მხოლოდ სამხედრო ექსპერტების და ცნობილ გენერლების წარდგენა როგორც ლონდონში, ისე პარიზში კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს. საჭიროა მხოლოდ წინდაწინ მტკიცე გეგმის შედგენა, ტეხნიკურათ კითხვების წინასწარი დამუშავება, რომ მოუმზადებლობა არ დაგეტყოთ.

მე წავიკითხე თქვენ მიერ გამოგზავნილი ოქმები, ბევრი რამ იყო საგულისხმო მასში, ცოტა იმედებიც ჩაუნერგა მან ჩვენებს მოკავშირეთა შესახებ და სხ. მე, მართალი გითხრა, რამდენათმე გავილაშკრე ??? (არ იკითხება, უნდა იყოს „თქვენ") წინააღმდეგ და აი რატომ: 1) შეცდომა იყო დიდი, რომ ლონდონში გვიან დავიწყეთ მუშაობა, თვით ოქმების ცნობები ამტკიცებს, რომ ჩვენ იქ ბევრი რამის მიღწევა შეგვეძლო ჩვენი ამხანაგების დახმარებით. 2) კაკი საშობაოთ, ლონდონში მყოფობის დროს, კიდევ დენიკინის საშიშროებაზე ჩივის, მაშინ როდესაც ჟენევაში ვიცოდი მე, რომ დენიკინის ფრონტი დაშლისა და გახრწნის პროცესში იმყოფებოდა, რაღაც პატარა გემის გატაცებას შავ ზღვაზე გზა-კვალი არ უნდა აებნია ჩვენთვის. 3) პარიზში, როცა გეკითხებოდენ კლემანსო, კერზონი და სხვები, რამდენი ჯარი გყავთ, რა იარაღი გაკლიათ, შეგიძლიათ ომი თუ არა, სულაც არ იყო საჭირო ასეთი „скромность" გამოგეჩინათ: არ ვიცით, ექსპერტები არა ვართ, თქვენს პასუხებს სულაც არ ეტყობა წინასწარი მომზადება. ბოლოს გაბედეთ გეთქვათ უფრო გარკვევით, მაგრამ შთაბეჭდილება ვერ დატოვეთ უეჭველათ სერიოზული. კაკი იმასაც ამბობს თავდასხმითი ომისათვის ვერ გამოვდგებითო, თითქო წესრიგში ეს კითხვა დგას, თითქო მოკავშირეებმა თვითონვე არ დასტოვეს რუსეთში შეიარაღებულ ჩარევის გზა, თითქო ბალტიის მხარეში ისინი არ ადგებიან ზავის გზას. მართალია, ეს თქვენი მოუმზადებლობა აქაურების ბრალიცაა, ექსპერტები არ გამოგიგზავნეს დროზე, მაგრამ ეს არაა გამართლება მოსკოვში რუსთა თვალში, თვითონ თქვენ უნდა შეგედგინათ გეგმა და მტკიცეთ მოგეთხოვათ დაუყოვნებლივ იარაღის მოცემა. მერმე თვით საფრანგეთმა და ინგლისე-

ლებმა არ იცოდნენ ქართველ მხედრობის ღვაწლი ამ ომში, თითქოს მათი წარმომადგენელნი ცოტა იყვნენ ჩვენს ფრონტებზე და თავიანთი თვალით არ ხედვიდენ მის გმირობას, რამდენი ულაპარაკნიათ ამის შესახებ სახელმწ. დუმის სამხედრო-საზღვაო კომისიაში! ერთათ ერთი, რასაც თქვენ მტკიცეთ მოითხოვდით და რაც აუცილებელი იყო, ესაა სურსათი.

მაგრამ ყველაზე უფრო მე მაშფოთებდა ის გარემოება, რომ თქვენ, როგორც ოქმებიდან ჩანს, არაფერი გაგიკეთებიათ საზღვრების შესახებ. ამბობთ გადმოგეცით მემუარი და ყველაფერი იქ წერიაო. მე არა ერთხელ გაწყენინეთ კიდევ ჟენევიდან, რომ საზღვრების საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მეთქი, ვთხოულობდი ამ საკითხზე განსაკუთრებულ მუშაობას, როგორც უმაღლეს საბჭოს ირგვლივ, ისე პარიზის და ლონდონის საგარეო სამინისტროებში. გეუბნებოდით მაშინაც, რომ მოსალოდნელია უმაღლესი საბჭო ჩვენს ზურგს უკან გადაწყვეტს ამ კითხვას მეთქი. და სწორეთ ასე მოხდა! მე ვშიშობ, თქვენ არც კი დაგიძვრიათ კრინტი და ბათუმის საკითხი კი გადაჭრეს! აღმაშფოთებელია არა იმდენათ ის, რომ ბათუმს ხელიდან გვაცლიან, არამედ ის, რომ დელეგაციას არც კი უმუშავნია ამის შესახებ წინასწარ. შეიძლება ვცდები, დიდათ მწადია, რომ ვცდებოდე, მაგრამ ვაი რომ იჭვები მიპყრობს და მოსვენებას არ მაძლევს. მე ვშიშობ იმასაც, რომ ამ შემთხვევაში სომხებმა გვაჯობეს, ისინი მუშაობდნენ უჩინარათ, სისტემატიურათ. ახლა ვშიშობ ბორჩალოსა და ახალქალაქის საკითხიც თქვენს ზურგს უკან არ გადაწყდეს. და გადაწყდება უთუოთ, თუ თქვენ არ გამოიღეთ ხელი. ვინაიდან, როგორც ეტყობა, სომხებს არ უმართლდებათ წადილი ოსმალეთის სომხეთის მისაკუთრებაზე, არც საკუთარ გასავალზე შავი ზღვით, ბათუმ-ყარსის რკინის გზა უსაშიშრესი გეგმაა ჩვენი მომავლისთვის, ამიტომ გვაცლიან ხელიდან ბათუმს, თითქო ჩვენ მტერი და არა მოკავშირე ვიყავით ამ ომში, ამით ეთხრება ძირი ჩვენს დამოუკიდებლობას სამხრეთ–დასავლეთით. მაგრამ ჩვენ ცოცხლათ არ დავნებდებით ბათუმის და ოლქის საკითხში, ეს კი უნდა იცოდეთ.

კარლო! მე გთხოვ გამიგო, ნუ მიიღებ პირადულათ რასაც გწერ, ნურც იმას იფიქრებ, რომ მე აქ რაღაც კამპანიას ვეწევი თქვენს წინააღმდეგ, გავაკეთე რაღაც შენიშვნები მთავრობის ერთ-ერთ საიდუმლო სხდომაზე ოქმების შესახებ და ამით გათავდა. მე ვიცი, ამაში ბრალი უძევს აგრეთვე საგარეო სამინისტროს, თვით მთავრობას. პირველი არც კი ცდილობს ყველა ძაფები დაიგროვოს თავის ხელში, გაძლიოთ სისტემატიური ცნობები, დირექტივები, ერთი სიტყვით წარმართოს აქტიური პოლიტიკა; მეორე მხოლოდ მაშინ აყაყანდება, როცა ცეცხლი ეკიდება, არა აქვს ერთი მტკიცე და მეთოდური პოლიტიკა, არტაან-ბათუმის ხაზი ათასჯერ შეეძლო მას დაეჭირა, არავითარი წარმოდგენა არ ქონდა ამ ხაზზე, არ იცოდა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა იქ წყდება. საზოგადოთ ჩვენი მთავრობა მარტო ნერვებით მუშაობს, დამშვიდებული, შორსმჭვრეტი, წინასწარ გათვალისწინებული საქმიანობა არაა და არა. ამიტომაა მუდამ სიურპრიზების წინ ვსდგევართ, მაშინ როდესაც სასიურპრიზო არაფერია, თუ დაკვირვებით

და последовательно მუშაობ.

მე არ მინდა შენ ყალბი წარმოდგენა მიიღო ჩემი ხაზის შესახებ. მე, როგორც წინეთ, ახლაც მტკიცე მომხრე ვარ ინგლისთან შეთანხმებით მუშაობისა. მე ღრმათა ვარ დარწმუნებული, რომ, ჩვენი და ინგლისის ინტერესები ერთმანეთს ეთანხმება, მხოლოდ არ ვხედავ, რომ ჩვენ მიგვეღოს ენერგიული ზომები გაგვექარწყლებია მისი მმართველი წრეების იჭვები ჩვენს მიმართ. საჭიროა აეხსნას მას, რომ ჩვენ ყელამდე გვაინტერესებს, მთელი ჩვენი მომავალი დაკავშირებულია იმაზე, გავხდებით ჩვენ თუ არა გზა და ხიდად ევროპასა და აზიის შორის. მაშასადამე, რამდენათაც ინგლისია პარალელურათ დაინტერესებული ამ ჩვენი გეოგრაფიულ მდგომარეობით, საჭიროა მან სავსებით დარწმუნდეს ჩვენს ლოიალობაში. ეს პატარა ერი, რომელიც ერთათ ერთი ევროპიული ერია მთელს აზიაში, განსაკუთრებით კავკასიაში და მცირე აზიაში, დიდ სამსახურს გაუწევს ინგლისს. ის ბუნებრივი გეგემონია კავკასიაში, შეუძლია შეაკავშიროს ხალხები, შექმნას ნორმალური სახელმწიფო, მოაწყოს თავდაცვა და დარაჯად იდგეს ამ გზაზე. მე არ ვფიქრობ ინგლისს სწადდეს, რომ ბათუმში მას ვინმე მონაწილე ყავდეს, არც ჩვენ ვართ ისე დიდი და ინტრიგის მოყვარული, რომ ინგლის-საფრანგეთ-იტალიის მეტოქეობით ვისარგებლოთ. მე ღრმათა მწამს, რომ უპირველესათ თვით ინგლისი არის დაინტერესებული ბათუმი და ოლქი საქართველოს შემოუერთდეს. აუწერელი ანარქია, შიმშილი და სპეკულაცია სუფევს ახლა იქ, ვერ უვლის ინგლისი, ძალები არა ყავს და დენიკინელებს და მგზავს არამზადებს უგდებს ხელში კუთხის მართვაგამგეობას. ზოგჯერ უნდობლათ გვეპყრობა, და სწორეთ ჩვენ შევსძლებთ მარტო ნორმალური წესი დავამკვიდროთ იქ. ჩვენ მზათა ვართ, დაინტერესებულიც, რომ ბათუმის ნავთსადგური იყოს ინგლისის სამხედრო ბაზა, მზათა ვართ სავაჭრო ხელშეკრულებით საუკეთესო პირობები დაუდოთ მას მის აღებ-მიცემობის უზრუნველსაყოფელათ, მზათა ვართ მეზობლების ინტერესებიც უზრუნველ ვყოთ, მაგრამ ამისათვის საჭიროა დააფასოს ჩვენი ლოიალობა, ჩვენი კულტურული როლი ინგლისმა. ამ ნიადაგზე მუშაობას უნდა მოანდომოთ უდიდესი დრო ლონდონში. ერთხელ თუ გვინამა ინგლისმა, დაიჯერეთ ყველაფერი რიგზე მოეწყობა. საზღვრები, იარაღი, სურსათი ... აი, რაზე უნდა იზრუნოთ დაუყოვნებლივ

აკ. ჩხენკელი.[1]

ბერნის შესახებ ცოტა მივაწერე და წავშალე, აქ მინდა პატარა რამ შევნიშნო. იქ ჩვენმა წარმომადგენლობამ ვერ გაიყვანა ცნობა, დაბრკოლებანიც იყვნენ ალბათ, მაგრამ თვითონ მიხეილიც[2] ვერ გამოდგა „ძლიერი". ჩემი კერძო აზრით, მიხეილი შეგიძლიათ მანდ და ლონდონში ამუშაოთ, ეკონომიურ საკითხებში გამოადგება კოწიას უეჭველათ, იმიტომ, რომ დიდი ხარჯები თავიდან ავიცილოთ, ნუ დააბრუნებ მიხეილს ბერნში. მე გწერდი რომიდან და აქაც ისე გადავეცი ნოეს, რომ შენ უნდა უხელმძღვანელო ბერნს და სხ., ამიტომ ასეთი საკითხები შენ თვითონ შეგიძლია

[1] სცსსა, 2115, აღწ. 1, საქმე 127, ფურც. 3-6.
[2] მიხეილი — იგულისხმება მიხეილ სუმბათაშვილი.

გადაწყვიტო. მეორეს მხრით, ბერნში და ჟენევაში პოლიტიკურ მუშაობას პრესსაში და საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, უნდა მიექცეს ყურადღება პრეს–ბიუროს ბერნში და ჩვენ მიერ დაარსებულ ლიგას ჟენევაში. ორივე ამ საქმისთვის საკმარისია შავიშვილი და ჟორჟოლიანი. მეორეს შენც იცნობ, პირველს დიდათ ვაფასებ მე, როგორც ენერგიულს, ამიტომ მიხეილის მაგიერობას კარგათ გასწევს. შავიშვილის მრჩევლად ითვლება წარმომადგენლობაში, მდივანიც როგორც იცი, გურჯიძე. მიხეილმა, როგორც მე თვითონ დავუბარე, თავისი კრედიტი (ერთი წლის ბიუჯეტი დავუტოვე) შავიშვილს უნდა გადასცეს. ჟორჟოლიანისთვის მხოლოდ 6–თვის დავუტოვე, მაგრამ საერთო ბიუჯეტიდან გადარჩება მისთვისაც, მე ვფიქრობ, თორემ და პარიზმა უნდა იკისროს.

დამავიწყდა მომეწერა, მე კერძოთ ვნახულობ უორდროპს, უკანასკნელათ ავუხსენი მთელი ის გაუგებრობანი, რომელნიც არსებობენ ჩვენსა და ინგლისს შორის და დავუმტკიცე აუცილებელი საჭიროება მათი სულ ჩქარა ლიკვიდაციისა. მან სრულიად დამეთანხმა, დამპირდა ნაბიჯების გადადგმას და სხ.

საუბედუროთ, თვით ჩვენებს აკლიათ სისტემა და მეთოდი, აპილპილდებიან, როცა რომელიმე კითხვა წამოიჭრება, ისე კი არ ამზადებენ თავიდან კითხვებს...“[1]

„თფილისი. 11. IV. 20

ქრისტე აღსდგა, კარლო!

თუმცა შენგან ჩვეულებრივ არ მომდის წერილი, ვერ ვითმენ, რომ არ მოგწერო, არ ვიცი, რომელხელ. ჩვენი მდგომარეობა, როგორც ბ. ნიკო გეტყვის, არ არის სანატრელი. ჩრდილოეთიდან ბოლშევიკები გვიახლოვდებიან, ტუაფსე აიღეს უკვე, სოჩა–ადლერში კი მომწყვდეულია 30–35 ათასი მოხალისე ვილაც მხეცის შკუროს მეთაურობით და საცაა მოადგება ჩვენს საზღვარს და შეიძლება შეეცადოს მისი იარაღით გადალახვა. ჩვენ კი იარაღს ავყრით, იმედია, როგორც ავყარეთ კავკავიდან დარიალით ჩამოსულებს 8-9 ათას მოხალისეს. ადერბეიჟანი და სომხეთი ნამდვილ ომს ეწევიან ყარაბახ-ზანგეზურ-ყაზახში, ჟლეტენ ერთმანეთს რაც ძალა და ღონე აქვთ, ამასობაში ბაქო ბოლშია. გადატრიალების წინ სდგას, ერივანიც მუსტაფა ქიამილ ფაშის შემოსევას უცდის აზრუმიდან, და ეს ხომ პირდაპირ კავშირშია ბოლშევიკებთან. ბათუმში იგივე ბოლშევიკური მუშაობა გაცხოველებულია ამზადებენ შეიარაღებულ გამოსვლებს, 3.000 ათასი კაცი უნდა ყავდეთ, მათ ეკედლებიან დენიკინლები, ადერბეიჟანის და ოსმალეთის აგენტები, იხარჯება მილიონები. ყოველ ამას თითქო ვერ ამჩნევს საოკუპაციო ძალა. ერთი ცხადია: ყველა ეს ამბები უნდა შედიოდეს მოკავშირეთა მაკიაველურ ანგარიშში. სომეხ-თათართა ურთიერთი ჟლეტა, ანარქია ბაქოში და ბათუმში, თუ შესაძლოა, თფილისშიც, მჭერმეტყველის საბუთია, იტყვიან მოკავშირენი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოუმწიფებლობისა, მაშასადამე, საჭიროა მათთვის მანდატი! ბაქო-ბათუმი

[1] სცსსა, 2115, აღწ. 1, საქმე 127, ფურც. 5.

ინგლისს, სომხეთი საფრანგეთს... ამ სირთულეს დაუმატე სურსათისა და იარაღის, აგრეთვე ჯარის ტანისამოს-ფეხსაცმელის უქონლობა. მოკავშირენი თითსაც არ ანძრევენ.

პირდაპირ წარმოუდგენელია ამათი საქციელი, რას ფიქრობენ, რითი ხელმძღვანელობენ? სხვაფრივ თითქმის შეუძლებელია ფიქრი, უნდა ჯერ წაგვაქციონ და შემდეგ ზეზე წამოგვაყენონ, როგორც მათი ყურმოჭრილი მონა. ჭეშმარიტათ დროა კატეგორიულათ დაუყენოთ კითხვა, ფიქრობენ სერიოზულათ დაგვეხმარონ თუ არა? თქვენ არ გმართებთ ყოყმანი, თავაზიანობაც კი, მომენტი ერთობ საპასუხისმგებლოა, ჩვენ ვსდგევართ უფსკრულის წინ. ნუ დაივიწყებ, ჩვენი ხალხი ვერ დაიცავს თავს, თუ მას მოკავშირენი, განსაკუთრებით ინგლისი ზურგს უკან არ ეგულება. დღეს კი ისე იქცევა სწორეთ ეს ინგლისი ბათუმში და სხვაგან, რომ მან შეიძლება გადაუჭარბებლათ ითქვას, 50% თვითდაცვის ძალა ნაართვა ჩვენს ხალხს. დანაშაულია პირდაპირ ხალხის ასე აღელვება ასეთ მომენტში. ხომ იცი ბოლშევიკების ჩამოსვლა მოასწავებს რუსების საშინელი შურისძიებას ჩვენზე, სასოწარკვეთილი ხალხი შეიძლება კიდეც მიეკედლოს მათ, რომ თავი გადაირჩინოს, და მაშინ არ კითხულობენ მანდ, რა გამოვა აქედან? მთელი კავკასია და მახლობელი აზია სწორეთ მაშინ ჩამოვარდება უდიდეს ხიფათში!

ბათუმის საქმე ჯერ ჩვენ მოვიგეთ: შევხვდით ოლქში და მიუხედავათ მუქარისა არ გამოვედით, ახლა ბათუმში გვყავს ჩვენი ჯარების შტაბი, იქიდან სურსათსაც ვაწვდით ჯარს. ეს ნაბიჯი გვაიძულა ინგლისელების მიერ ოლქის უპატრონოთ მიგდებამ და ოსმალეთის მუქარამ. მე ვფიქრობ, ამის შემდეგ პარიზ-ლონდონშიც შეისმენენ, რომ ჩვენ სულაც არ ვხუმრობთ, იმედი გვაქვს გადასინჯავენ ამ საკითხს ჩვენს სასარგებლოთ.

აქ კი ახლა კონფერენციაა სამ რესპუბლიკის. ადერბეიჟანის დელეგაციამ განაცხადა: მე მონდობილი მაქვს კონფერენციაზე მოლაპარაკება, ხოლო ულეტის საკითხი ჩვენს მანდატში არა სწერიაო! ეს თავ-გამხმარებიც ჩვენს მოტყუებას ლამობენ.

ოჰანჯანიანი ეხლა საგარეო მინისტრია და ის მეთაურობს სომხეთის დელეგაციას. ის კრინტსაც არა სძრავს საზღვრების გამიჯვნაზე, აქედან ჩვენ ვასკვნით, რომ სომხებს იმედი პარიზ-ლონდონზეც აქვთ. ამიტომ ყოველი ღონე უნდა იხმაროთ, რომ არ ჩამოგვთალონ ახალქალაქ-ბორჩალო, არ მიისაკუთრონ არტაან-ოლთისი. ოდიშელიძე მოგახსენებთ საზღვრების საკითხზე, მის აზრს ჩვენ უნაკლოთ ვიზიარებთ. თუ ვერაფერს გახდით, დიდათ სახიფათოა ჩვენთვის. ჩვენ უნდა გვეჭიროს ოლთისის კარი, ვინაიდან დიდ ჯარს ვერ ვიყოლიებთ, რომ ფართე ფრონტზე გაუმკლავდეთ არზრუმის ძალებს.

არ უნდა დავივიწყოთ მორალური მხარე. ომის წინ ბათუმ-არტაანი-ოლთისი საქართველოში იყო, ომის შემდეგ მოკავშირენი გვაცლიან მათ ხელიდან! ჩვენი სისხლი, ამდენი მსხვერპლი?! მიჰქარავენ ისინი, როცა გულუბრყვილოთ კითხულობენ, ვიბრძოდით თუ არა მხარ და მხარ მოკავ-

შირეებთან, გვყავდა თუ არა ოფიცრები და სალდათები. მათ მშვენივრათ იციან ეს, განა არ ყავდათ წარმომადგენელნი ყველა ფრონტებზე? განა არ იხსენიებდნენ ისინი ქებით ჩვენს ოფიცრებს და სალდათებს? განა არ ვხედავდით მათ სახელმწ. დუმის სამხედრო-საზღვაო კომისიაში? რას მიჰქარავენ???

მე უდიდეს იმედს ვამყარებ თქვენს მუშაობაზე. საჭიროა მხოლოდ არ მოუსმინოთ, სულ მუდამ ეჩიჩინოთ. საჭიროა ინგლისს შეაგნებინოთ ჩვენი და მისი ინტერესების იგივეობა, ჩვენ უნდა ვეცადოთ მასთან შეთანხმებას, ბათუმზეც მზათა ვართ შეუთანხმდეთ, მსხვერპლსაც გავიღებთ ნავთსადგურში, თვით ოლქშიც, ოღონდ სამოქალაქო მართველობა და სუვერენობა ჩვენი უნდა იქნეს. ქალაქის არჩევნებში ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვება მკვეთრი იარაღია თქვენს ხელში. ჯერეც არ იწვევენ საბჭოს! თვითნებობენ.

ბ. ნიკო საუკეთესო „აგიტატორია", მას ბადალი არა ჰყავს, უნდა ამუშაოთ. კოწიას მიაქვს ჩემი წერილი, მეორე – ბერნს. ყურადღება მიაქციეთ. საზოგადოთ შენ გადაწყვიტე ეს კითხვები.

მოკითხვა ჩვენგან ყველას. შ. აკ. ჩხენკელი."[1]

„Paris, le 4. IV 1924

კარლო.

სხვა გზა არ იყო, უნდა გამომეგზავნა ამხ. არავიაშვილი ლევილში. აუცილებელია მისი მანდ მოწყობა დროებით მაინც, სანამ საქმე გამოირკვეოდეს. ჩვენ აქ ვხარჯეთ რამდენიც შეგვეძლო და ეხლა არ ძალგვიძს. მას მივეცი დღეს უკანასკნელი ასი ფრანკი და რამდენსამე დღეს ეყოფა პურისთვის. არავიაშვილის შესახებ ჩვენ აქ ლაპარაკი გვქონდა ბიუროში, შემდეგ კერძოთ გუშინ კოწია და მიშასთან და ბოლოს მითხრეს გამომეგზავნა, რადგან თვითონაც ხედავდენ, რომ სხვა გზა არ იყო. შენ იცი, ის გამოგზავნილი იყო საქართველოდან, უკან დაბრუნება არ შეუძლია, თან მუშაობაც არ შეუძლია.

შ. აკ. ჩხენკელი."[2]

„პარიზი, 4. IV 1924

კარლო,

შენი წერილი მივიღე, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შავიშვილისაგანაც მივიღე წერილი, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. მე ვწერ შავიშვილს დღესვე, რასაც შენ მწერ. მხოლოდ არ ვიცი, რა გამოვა აქედან! შენი უარი, მე ვატყობ, ძალიან ცუდათ იმოქმედებს ჩვენს მეგობრებზე ჟენევაში, დასაწყისშივე გული წაუხდებათ მათ. შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ათ ამ თვემდის გადაგედო წასვლა, ასე რომ შავიშვილის „რეცეპტიონს" დარჩებოდა უყურადღებოთ, სამაგიეროთ თვით მიტინგზე დაესწრებოდი. მე ვწერ მას ამ სახით და ისიც შეურიგდება, თუ მთავარს დაესწრები. მანამდის ალექსანდრა ივანოვნაც გამოკეთდებოდა და შენც შეიძლებდი გამგზავრებას. სხვა გამოსავალი არ არის, როგორც ვხედავ. შ. აკაკი."[3]

---

[1] სცსსა, 2115, აღწ. 1, საქმე 127, ფურც. 6-7
[2] სცსსა, 2115, აღწ. 1, საქმე 127, ფურც. 8.
[3] სცსსა, 2115, აღწ. 1, საქმე 127, ფურც. 9.

„25. IV. 24. პარიზი

კარლო,

ამასთანავე გიგზავნი პირს იმ წერილისას, რომელსაც მაროს ვუგზავნი დღესვე. იმედი გვაქვს, გვიპასუხებს და მოვიქცევით, როგორც საჭიროა. ჩვენ ვფიქრობდით თვით ნოე რამიშვილისთვის გაგვეგზავნა ეს წერილი, მაგრამ ჯერ დავუცდით, რას გვეტყვის მარო.

შავიშვილი ჯერ არ მობრუნებულა ბრიუსელიდან, მაგრამ, უეჭველია, ჩქარა დაგვიწყებენ წერას მიტინგის შესახებ ჟენევაში. იმედია, შენ ფიქრობ ამაზე და თავის დროზე შესძლებ გამგზავრებას.

მარადის... აკ. ჩხენკელი.“[1]

„პარიზი. 2. VI. 24

კარლო,

შენი წერილი, აგრეთვე სიტყვა მივიღე. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შენ დათანხმდი პრაგაში წასვლას. სხვებიც იმ აზრის არიან, რომ შენზე უკეთეს ვერავის გავგზავნიდით იქ. ფულს, პრაგიდან გამოგზავნილს, 480 ფრ. გადმოგიგზავნით იქ, სადაც შენ მოიწერები. კოწიამ თქვა, წერილიდან სჩანს, რომ კარლო არ დაიცდის ჟენევაში და ასე ემჯობინებაო. გაზეთები ბევრი წავიკითხე შენი ჟენევაში მუშაობის შესახებ. ასეთი მხურვალე გამოხმაურება არც ერთ ქვეყანაში არ გვქონია და შენ მართალი ხარ, როცა ხარიტონს დიდ დამსახურებად უთვლი ამას.

რაც შეეხება პრაგას, შენ იცი დაახლოებით საქმის ვითარება. მიწერ-მოწერას იქაც წაიკითხავ, ასე რომ აქედან მისი გამოგზავნა არ დავინახეთ საჭიროდ. მდგომარეობა, ჩვენის აზრით, არ უნდა იყოს ამ დროებით ისე მნვავე. შენთვის ადვილია დააჯერო ხალხი, რომ ორგანიზაციული თუ პოლიტიკური ერთათ ყოფნა კიდევ არ ნიშნავს, რომ პირადათაც უთუოთ მეგობრები უნდა იყონ. მაშასადამე, პირადულ განხეთქილებას და ბრძოლას ბოლო უნდა მოეღოს. თავი და თავია, ჯერ ჩვენს ორგანიზაციაში უნდა მოხდეს მთლიანობის აღდგენა, შემდეგ თვით საერთო კომიტეტში უნდა გაიყვანონ შეთანხმებული სია. შენ თუ არ დაგიჯერეს, არავის დაუჯერებენ, იცოდე. დამიჯერე, კარლო, ისეთს არაფერს შეგთავაზებდი, რასაც მე თვით არ ვიქდი, ე. ი. რომ მქონოდა საშუალება, დიდის სიამოვნებით წავიდოდი პრაგაში, ტიროლსაც მეორეხელ გავივლიდი... მე შევჩერებულვარ ინსბრუკში, შესანიშნავი რამაა. ბენეშს უთუოთ ინახულებ, ისიც დიდის სიამოვნებით მიგიღებს, თუ ეცოდინება წინდაწინ შენი ვინაობა. საჭიროა ამიტომ უთხრან წინდაწინ, შეიძლება გვარით ვერ მიხვდეს, თუმცა ერთ დროს შენი გვარი ყველას ენაზე ეკერა. ხუმრობა როდია, ბენეში ითავმჯდომარეობს მომავალ სესიაზე ხალხთა ლიგის საბჭოში. ჩვენი ცდა სწორეთ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ საბჭომ ამოიღოს ერთხელ მაინც ხმა, ეხლა იქნებოდა ეს განსაკუთრებით დროული. აი, ამ ნიადაგზეა, საჭირო მუშაობა.

[1] სცსსა, 2115, აღნ. 1, საქმე 127, ფურც. 10.

ბენეში ინახულა, როგორც იცი, კაკიმ ლონდონში ამ ზამთარს, დახმარებაც გაუწია მას, მგონი, საჭირო იქნება მადლობაც გამოუცხადო. მან იცის, მაგ., რომ მაკდონალდის ცნობილი „რეზერვი" სპეციალურათ საქართველოსთვის იყო გაკეთებული, თუმცა არ დაასახელეს უკანასკნელი. მეორეს მხრით, ბენეშმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ აქ მეტი იმედი გვაქვს, გეპირდებიან კიდეც, რომ საქართველოს დაასახელებენ და იტყვიან, რომ მისი სტატუტი უცვლელათ რჩება. კაკის დიდი იმედი აქვს, ყოველ შემთხვევაში. ის დილით მიდის ვენაში და დაბრუნდება 8-9 ამ თვეს. ჩვენ განვაგრძობთ ხალხის ნახვას.

გარდა ამისა, ერთი პატარა სათხოვარი. იცი, აქ გვყავს ერთი ავათმყოფი მუშა კოკაია, საქართველოდან გადმოსახლებული, საჭიროა მისთვის ხანგრძლივი ექიმობა. აქაურმა ჩვენმა ორგანიზაციამ მისწერა პრაგის ს. დ. ორგანიზაციას, სახელდობრ არსენიძემ, რათა პრაგაშიც დაებეგრათ თავი ამხანაგებს თვიურათ, როგორც აქ, და ნახევარი ხარჯი მათ ეკისრნათ. თვეში საჭირო იქნება 400–500 ფრ., მაშასადამე საჭიროა პრაგის ამხანაგებმა გაიღონ 200–250 ფრ. თვეში. სხვაგვარ შეუძლებელი გახდა, ქუჩაში ვერ დავაგდებთ. თუ მოხერხდება და საერთო კომიტეტი შესძლებს პერიოდულ დახმარებას, ან მოახერხებს დაენიშნოს კოკაიას, როგორც სხვებს, სტიპენდია, კიდევ უკეთესია. ის ინტელიგენტი მუშაა, უეჭველათ შესძლებს სწავლას, როცა მოკეთდება.

არავიაშვილის შესახებ გახსენება არ გინდა. მას უგზავნიან პრაგიდან, მაგრამ არ ვიცი რამდენს და რა სახით. საჭიროა განუგრძონ თვიური დახმარება, თორემ აუტანელია მისი მდგომარეობა. მე მივნერე ოფიციალურათ საერთო კომიტეტს ივანიცკის შესახებ, იცი, დეპუტატია და საკათალიკოზო საბჭოს წევრი, მშივრობს ბერლინში და ჩვენ სახსარი არ გაგვაჩნია. მიპასუხონ მაინც.

არზაყან ემუხვარი მწერდა, რომ აპირებს პარიზში ჩამოსვლას, მე მას ვუპასუხე: მიმართოს ფრანგ. კონსულს პრაგაში და გვაცნობოს დატა, როცა კონსული შეეკითხება პარიზს, ჩვენ ზომებს მივიღებთ.

მარადის... აკ. ჩხენკელი

P.S. მაკრინე გთხოვს, იქნება მისი ძმის წული სიმონ თურქია მოიკითხო პრაგაში, კარგი ბიჭია, უნივერსიტ. დამთავრებული, მსახურებდა სოხუმში, ცოლი ავათ ყავს. მისთვის ნუგეში იქნება შენი შეხვედრა ჩვენის თხოვნით. ა. ჩ."[1]

„პარიზი. 3. II. 25.

კარლო,

ერთხელ კიდეც გითხარი, რომ აქაურ კოლონიის გამგეობამ მოიწვია დუმის უკ. კომ. დელეგაცია ერთი კითხვის განსახილველათ: გაკეთდეს თუ არა კოლონიაში მოხსენება ჩვენში მომხდარ ამბების შესახებ და, თუ მოხდეს, რა სახით. წინადადება თქვენი მოწვევისა მე შევიტანე, როცა დავინახე, რომ ფიქრობენ ასეთ მოხსენების მოწყობას. წუხელის იყო ამაზე მსჯელობა და მე გადავადებინე, რადგან, გარდა გობეჩიასა, არავინ მოვი-

[1] სცსსა, 2115, აღნ. 1, საქმე 127, ფურც. 11-12.

და. ეხლა დანიშნულია ამ შაბათს ნაშუადღევის 3 საათზე. აუცილებელია მისვლა როგორც შენი, ისე სამსონის."[1]

„პარიზი. 21. II. 24.

კარლო,

შენი წერილები წავიკითხეთ ევგენიმ და მე. შავიშვილისგან არაფერი მაქვს, გარდა იმისა, რაც გითხარით ბიუროში: მიტინგი იქნება 9 აპრილსო, ოთხი ცნობილი ორატორი გამოვლენ, და მეხუთე უთუოთ ქართველი უნდა იქნესო. დღეს მივიღე ჟან მარტენისაგან ოფიციალური წერილი კომიტეტის დაარსების შესახებ, ამბობს აგრეთვე მიტინგს ვაწყობთ „დაახლოებით 10 აპრილისთვისო", მაგრამ ორატორებზე არაფერს ამბობს. მე კრინტი არ დამიძრავს, როგორც მაშინ გითხარით. შენ შესახებ: აკაკის ვწერ ბიუროს დადგენილებას გაემგზავროს ჟენევაში, შავიშვილს ვწერ გაუგზავნოს კაკის უფრო ვრცელი ცნობები მიტინგის შესახებ. ასე რომ ჯერ არაფერს ვეუბნები განზრახვით, რომ კაკი წავიდეს. მაგრამ სწორეთ კაკისგან მივიღე ეს არის წერილი ერთ კვირაში პარიზში ვიქნებიო. მაშასადამე, აქ ვნახავთ ამ საქმეს.

გთხოვ, ჩემო კარლო, გადასცე კოწიას და მიშას, რომ, თუ ჯერ არ გაუგზავნიათ მასალები ბერლინში, ნუ გაგზავნიან, ასე მთხოვს კაკი. გათავება კი უნდა დააჩქარონ. სალამი ა. ივ.-ს.

მარადი. აკ. ჩხენკელი."[2]

„პარიზი. 24. V

კარლო,

შენს ღიაზე ვერ გიპასუხე, როცა ხარიტონის ღია მივიღე. ისიც იმასვე მწერს, რაც შენი წერილიდან უკვე მე თვითონ დავასკვენი – რომ შენ ძალიან კარგათ ხარ და ყოჩაღათ მუშაობ. ეს ძალიან მახარებს, მაგრამ მინდა თან ვისარგებლო შემთხვევით და მოგმართოთ ერთი თხოვნით: იქნებ შეიძლო პრაგაში წასვლა?! მე ეს არ მითქვამს არავისთვის, მე მოგმართავ ჩემი ინიციატივით, და ეცოდინებათ სხვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენ თანახმა გახდები. პირდაპირ აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. კაკი იყო დღეს ჩემთან და კატეგორიულათ განაცხადა არ წავალო. ბევრი ვედავე, ამაოთ. ისიც მართალია, რომ მას გაცილებით ნაკლებ შეეძლო რამის მიღწევა იქ, ვინემ შენ. ველი შენს პასუხს კიდევ შენი მანდ ყოფნის დროს.

ხარიტონი მწერს თქვენი ბაასის შესახებ ალბერ თომასთან. გადავცემ ჩვენებს. აქამდისინ ყველა დეპუტატები პროვინციაში იყვნენ, არავინ გვინახავს თითქმის. დღეს ჩამოვიდა რენოდელი და კაკი მასთან არის დღეს საუზმედ, ფიქრობს მასთან ერთათ შეიმუშავოს მოქმედების გეგმა. იმედს არ ვკარგავთ.

გუშინ საღამოს გვქონდა საზეიმო სხდომა, დაგვესწრენ მეზობლების დელეგაციები და შევალიე. მივესალმეთ ერთმანეთს ფრანგულათ, შემდეგ ილაპარაკენ ჩვენებმა და მიღებულ რეზოლუციას ვგზავნით საქართველოში იქ გავრცელებულ ხმების გასაქარწყლებლათ, თითქოს პარიზის ქართ. ემიგრაცია გაიხრწნა. ერთ ასლს ვუგზავნით ხარიტონს, გამოიყენებს. –

[1] სცსსა, 2115, აღწ. 1, საქმე 127, ფურც. 13.
[2] სცსსა, 2115, აღწ. 1, საქმე 127, ფურც. 14.

ველი შენს პასუხს, პრაგა შესანიშნავი ქალაქია, უარს ნუ იტყვი.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 11. V. 24.

მხოლოდ ეხლა გავიგე კაკისაგან, რომ შენ და ხარიტონი მაშინვე გამგზავრებულხართ პრაგისაკენ და, მაშასადამე, ჩემს წერილს ალბათ ვერ მიუსწრია ჟენევაში. ვჩქარობ სულ მოკლეთ განვიმეორო უმთავრესი მაინც: 1) მუშა კოკაიას, გადმოსახლებულის, ამბავი შენ კარგათ იცი. მთლათ აქაურ ს. დ. ორგანიზაციას დააწვა კისერზე მისი რჩენა, რაიც არა ნაკლებ 500 ფრ. დაჯდება თვეში. მთავრობას არავითარი სახსარი არა აქვს, რაც ჰქონდა, დახარჯა. არის ორი გამოსავალი: ან მანდაურმა საერთო კომიტეტმა იკისროს მისი პერიოდული დახმარება, ან მანდაურმა ს. დ. ორგანიზაციამ ნახევარში უნდა შემოუდგეს აქაურ ორგანიზაციას. აუცილებელია ეს. 2) არავიაშვილზე გახსენება არ გინდა. მას აქვს მუქთა ბინა, მაგრამ რა ჭამოს, რა სვას? პრაგიდან უგზავნიდენ მას რაღაცას, არ ვიცი კარგათ. საჭიროა გამოარკვიო ეს კითხვა და თხოვო კომიტეტს უგზავნოს ყოველ თვიურათ. სირცხვილია, სხვა რომ არ იყოს, გამოგზავნილია საქართველოდან „დელეგატად". 3) საერთო კომიტეტი არ მატყობინებს, რა მსვლელობა მისცა ჩემს მიმართვას ივანიცკის თაობაზე. ეს კაცი შიმშილით უნდა მოკვდეს ბერლინში. უშველონ უთუოთ. ოფიც. წარმომადგენელია ჩვენი ეკლესიის ევროპაში. – აი ყველა ამის შესახებ ნამეტანს გთხოვთ დაფაცურდე და გარკვეული პასუხები ჩამოგვიტანო. იცი, აქ ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით იმაზე, ვინც პრაგაში გაემგზავრებოდა, ვერ გითხრეს, რადგან არ იცოდენ წახვიდოდი თუ არა.

იყავით კარგათ. სალამი ყველას

აკ.ჩხენკელი."[2]

კარლო ჩხეიძის წერილი ჟენევიდან აკაკი ჩხენკელისადმი პრაღაში მის გამგზავრებასთან დაკავშირებით, 1924 წლის 31 მაისი.

„აკაკი, მივიღე შენი ღია წერილი. რატომ დამიგვიანდა პასუხი, შემდეგიდან გაიგებ. მე აქ ამხანად, როგორც იყო, ავათ თუ კარგათ, ხარიტონის დახმარებით, საქმეს მოვრჩი. ახლა უნდა წამოვიდე უკანვე ან უნდა წავიდე პრაგაში. ერთი შეხედვით აქ ბევრი გადასაწყვეტი არაფერია, საქმე მოითხოვს წასვლას და მორჩა, მაგრამ ეს ასე არ არი. შენ მითხარი როცა მოვდიოდი: წადი, ცადე, თუ გამოვა რამე, ხომ კარგი, არადა ტიროლის მთებს ნახავო, პრაღა კარგი ქალაქია, დაათვალიერებ და სხვა. ეს, რასაკვირველია, ჩინებული რამ არი. კვიცსაც გავხედნი, მამიდასაც ვნახავო, ნათქვამია. რასაკვირველია, მარტო ამისთვის წასვლაც საჭიროა პრაგაში, რომ იქაური ჩვენი წრეების საქმე მოწესრიგდეს, მაგრამ ჩემ იქ ჩასვლას სხვა მხარეც აქვს, და მართლაც ასეთ მომენტში მე ჩავალ პრაგაში, ვინახულებ ჩვენებს, ვეტყვი ჩემსას, მოვისმენ იმათსას, შემდეგ შეიძლება ვინახულო, ვთქვათ, ბენეში, უთხრა მადლობა, ცოტა პრესაში ვთქვა რამე და მშვიდობით.! ახლა მითხარი, თუ ხათრი გაქვს, ეს იქნება საკმაო ჩემის მხრით დღეს ჩეხოსლო-

[1] სცსსა, 2115, აღნ. 1, საქმე 127, ფურც. 16

[2] სცსსა, 2115, აღნ. 1, საქმე 127, ფურც. 15.

ვაკიაში? ან კიდევ უკეთესი: ქართველების მორიგება 4 უკან დაბრუნება? ასეთი ჩემი ჩასვლა ჩვენი საკითხისათვის იქნება პირდაპირ მავნებელი: ჩამოვიდა ჩხეიძე, ჩეერია ქართველების აყალ-მაყალში და მორჩა! საქართველო კი, საქართველოს საკითხი ამ მომენტში, პასუხი იმის, რაც მილიუკოვმა ოლაპარაკა და სხვა და სხვა? აქვს თუ არა ამის შესახებ აზრი ამ ყმანვილს, თუ ჩვენ იმითაც სრული კმაყოფილი ვართ, რომ ჩეხოსლოვაკია დღეს ლუკმას გვაძლევს და სხვა და სხვა? ან არის თუ არა ამჟამათ ხელსაყრელი მომენტი, რომ ჩვენ ვსთქვათ იქ ხმამაღლა ის, რაც საჭიროა, გვაქვს თუ არა ამის შეძლება, მოაწყობენ თუ არა იქ ჩვნს შესაფერ, ვსთქვათ, კრებას? აი, ის საკითხები და მრავალი სხვა, რომელნიც დგას ახლა ჩემ წინაშე. ასე რომ ტიროლის მთები და პრაღის ნაშთები მე ვერ დამეხმარება და თუ მე მინიმუმს ვერ მივიღებ ჩემი იქ ჩასვლიდან, ათასჯერ სჯობია მე იქ სულ არ წავიდე, თუ, რასაკვირველია, მე მეტი მომეთხოვება, ვინემ სხვას. მაგრამ შეიძლება აქ, ჟენევაში, რაღაც განდიდების მანია გადამეყარა და ძაან დიდ მნიშვნელობას ვაძლევ ჩემი პერსონის ევროპაში მოგზაურობას? ასეა თუ ისე, მე სრულიად თანახმა არა ვარ იმ ინსტრუქციის, რომელიც მე მაქვს მად მიღებული. ვიმეორებ, თავისთავად დიდმნიშვნელოვანი და საჭიროა, რომ ჩვენთვის იქაური მდგომარეობა მოწესრიგდეს, მაგრამ რომ ამის მეტი არაფერი გაკეთდეს, ან ვერ შევიძლოთ სხვა რამის გაკეთება ჩვენი საკითხისთვის, ეს იქნება პირდაპირ მავნებელი. ამიტომაც მე დიდ ყოყმანში ვარ იმის შესახებ, თუ რა სჯობია: წასვლა თუ წაუსვლელობა? ყოველ შემთხვევაში მე მივდივარ, მაგრამ არვარ დარწმუნებული, რომ იქ ამხანად გაკეთდება მინიმუმი რამ მაინც! და თუ ეს ასე მოხდა, რასაკვირველია, ამას ვერაფრით ავანაზღაურებ.

ასე და ამა პირსა ზედა.

შენი კ. ჩხეიძე."[1]

კარლო ჩხეიძე პირად საკითხებშიც კი დახმარებას ჩხენკელს თხოვდა. წერილებიდან ჩანს, რომ პირად თემებზეც, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩხენკელი მეტად გაბედული, პრაგმატული, სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილების მიმღები ადამიანი იყო. დიპლომატიურ, ფინანსურ თუ სახელმწიფოებრივ საკითხებს ის აწესრიგებდა, ხვდებოდა პოლიტიკოსებს, აძლევდა დავალებებს ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს, ერეოდა სხვადასხვა ემიგრანტულ ჯგუფებში წამოჭრილ კამათში, პარტიულ დაპირისპირებებში, რაც ასე ხშირი იყო და დიდ ზიანსაც აყენებდა უცხოეთში გადახვეწილ პოლიტიკურ თუ სამხედრო ემიგრაციას. მისი განსჯა სამართლიანი და ზეპარტიული იყო, გადაწყვეტილება დამაჯერებელი და ყველა ჯგუფისთვის მისაღები. ხშირად იდგა საშიშროება, გადახრილიყო რომელიმე ჯგუფისკენ, კონფინდენციალურ მიმოწერებს აყოლოდა და ემიგრანტული ბირთვი დაიშლებოდა, სახელმწიფოებრივი და დამოუკიდებლობის იდეა გაცამტვერდებოდა. მისი მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობიდან კარგად ჩანს, რომ გულიც ტკენია, არც დათანხმებია ვილაცის მოსაზრებებს საქვეყნო თუ ცხოვრებისეულ საკითხებზე, მაგრამ

[1] სცსსა, ფონდი 2115, საქმე 86, ფ. 1.

აუტანია, არ უთქვამს, საქმით გამოუხატავს თავისი ნამდვილი პოზიცია, ამით კი მთავარი არსი ქართული საქმისა, მთავარი დვრიტა შეუნარჩუნებია. ისეთი ენერგიის ადამიანი, როგორიც თავად იყო, მის გვერდით არ მდგარა. მიდიოდა ყველგან, სადაც სხვა უნდა წასულიყო, აკეთებდა სხვის საქმესაც, ოღონდ რაიმე გაკეთებულიყო, ესაუბრებოდა ყველას საქართველოზე და ცდილობდა ყველა შეებრუნებინა მისკენ.

ენერგიული კარლო ჩხეიძის იმედი ჰქონდა დამოუკიდებლობის წლებში. ევროპაში ბალღმაც კი იცის წერეთელი და ჩხეიძეო, ბევრ წერილში წერდა. 1918-1920 წლებში თავის გვერდით ჩხეიძეს განსაკუთრებით ითხოვდა.

ხედავდა სამწუხარო ამბავს, როგორ დამარცხდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა და ჩხეიძის ნიჰილიზმიც გაღრმავდა, ის ფაქტობრივად ავად იყო სულ, 1923-24 წლებში, სოციალისტურ კონგრესებზე გამოდიოდა თუ უნივერსიტეტებში, ის სიმტკიცე, რაც ადრე რევოლუციონერ, ანდა რუსეთის დუმის დეპუტატ ჩხეიძეს ჰქონდა, გამოეცალა. ჩხენკელი ჩხეიძეს თხოვდა ჟენევაში წასვლას, ის კი საპასუხოდ წერდა:

„აკაკი, ეს არის მივიღე შენი ოთხი ამა თვის წერილი. პასუხს გაძლევ მწოლარე. გუშინ კიდევ ფეხზე ვიყავი, რათგან ავადმყოფი მყავდა (ცოლი ყავდა ავად), ახლა ავადმყოფი იძულებულია მე მადგეს თავზე კომპრესორებით და ბანკებით. ისეთ ყოფაში ვარ, როგორც ფილტვების ანთების წინეთ პეტროგრადში. ამ ყოფაში ჩემი წასვლა საიქიოში უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ჟენევაში.

კარლო ჩხეიძე."[1]

(1924წ. 6 აპრილი, ლევილიდან).

კარლო ჩხეიძის გარდაცვალებაზე აკაკი ჩხენკელი ვლადიმერ ახმეტელს წერდა (19 VI-ს, 1926 წელს):

„არ გიკვირთ, რომ ვერ გიპასუხეთ? დიდი უბედურება დაგვატყდა თავზე. კარლო დაგვეღუპა ტრაგიკულათ. გულმოსაკლავია ის, რომ ვერავინ ვერ მივუხვდით, თვითონ კი სიტყვას არ სძრავდა ჩვეულებრივ. რა პასუხი გავცეთ ჩვენს ქვეყანას, ამხანაგებს, უცხოელებს! იყო წუთი, როცა დარწმუნებული ვიყავით მის ხსნაში. პირველ სამდღეს სიცხე არ ჰქონდა. ოპერაციამ ჩინებულათ ჩაიარა. მეოთხე დღეს აიწია ტემპერატურა და მეხუთე დღეს კი გაგვეპარა. არც წუხილი, არც შფოთვა, თითქოს მიიძინაო. გვყავს დროებით დასვენებული, ვფიქრობთ დაწვას, რომ ფერფლი ჩავიტანოთ შინ. გასვენება დიდებული იყო, სიკვდილითაც დიდად არგო ჩვენ საქმეს. დაწვრილებით „ბრძოლაში". მარადის აკაკი ჩხენკელი."[2]

ამგვარი ტრაგიკული ამბები ისედაც სულშეძრულ ქართულ ემიგრაციას ძირეულად აშფოთებდა და სიცოცხლეს უწამლავდა. 1927 წლის 21 ნოემბერს ჩხენკელი იგივე ახმეტელს გულმოკლული წერდა: „ ევგენი გეგეჭკორს მოუკვდა ერთადერთი ვაჟი, 16 წლის, ხვალ ვასაფლავებთ".[3]

---

[1] სცსსა, ფონდი 2115, საქმე 86, ფ. 14.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2 საქმე 388, ფ. 7.
[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 388, ფ. 20.

აკაკი ჩხენკელის წერილები ვლადიმერ ახმეტელთან

ვლადიმერ გიორგის ძე ახმეტელაშვილი (1875-1942) სოციალ-დემოკრატი, დამოუკიდებელი საქართველოს საგანგებო და სრულუფებიანი ელჩი იყო გერმანიაში. ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი (ახმეტელაშვილი) 1875 წლის 10 მარტს დაიბადა სოფელ ანაგაში დეკანოზ გიორგი ახმეტელაშვილის მდიდარ და სტუმართმოყვარე ოჯახში. დაწყებითი განათლება თელავის სასულიერო სკოლაში მიიღო. 1892–1898 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. 1899 წლამდე თბილისში კერძო მასწავლებლობას ეწეოდა. 1899 წლის ზამთრის სემესტრში გერმანიაში ჩავიდა და ქ. ლაიფციგში ორი წელი დაჰყო „უმაღლეს სავაჭრო სკოლაში". 1901-1904 წლებში ლაიფციგისა და ჰალეს უნივერსიტეტებში ეუფლებოდა ეკონომიკის საფუძველებს. 1904 წელს ვლადიმერ ახმეტელმა ჰალეს უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს საშინაო ვაჭრობა", რომელიც იმავე წელს ქ. ჰალეში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა. სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნებული ვლადიმერ ახმეტელი, გარდა თავისი სპეციალობისა, საკმაოდ ცნობილი გახდა სამწერლო და ჟურნალისტური მოღვაწეობით. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „შვარცის" ფსევდონიმით ვრცელ სტატიებს აქვეყნებდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და მუშათა მოძრაობის შესახებ.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველო მრავალმა სახელმწიფომ ცნო, მაგრამ საელჩოების გახსნა მარტო გერმანიამ და იტალიამ მოასწრო. გერმანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვლადიმერ ახმეტელი დაინიშნა, რომელიც თავისი იდეურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობით სოციალ-დემოკრატი იყო და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც თავისი შემადგენლობით სოციალ-დემოკრატიული გახლდათ.

ბერლინში „ბრუკენ ალეეზე" მდებარე საქართველოს საელჩო სულ მალე, ვლადიმერ ახმეტელის წყალობით, ქართული კულტურის ცერნტრი გახდა. საელჩოში გამართულ ქართულ საღამოებს, სხდომებს, მოხსენებებს სხვადასხვა დარგში გერმანელები და უცხოელები ესწრებოდნენ. ეს დიდად უწყობდა ხელს ქართული კულტურის პროპაგანდას. ნიკო მარის შესახებ გამართული საღამო ერთ-ერთი ასეთი გახმაურებული ღონისძიება იყო, ერთი საღამო გაიმართა ქართველი ქალის კულტზე საქართველოს ისტორიასა და მწერლობაში, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში".

ახმეტელი საქართველოს მთავრობას, განსაკუთრებით კი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ევროპაში — აკაკი ჩხენკელს მუდმივად აწვდიდა ცნობებს გერმანიიდან, წერდა ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებზე გერმანია-საქართველოს შორის. ჩხენკელი მას უბრუნებდა არაჩვეულებრივად ზუსტ, დაწვრილებით გეგმებს, პასუხებს თუ წინადადებებს ამ სფეროში გასაკეთებელი საქმეებისას. საარქივო საქმეში, სადაც 235 ერთეული დოკუმენტია, ბევრი ამ ურთიერთობის ამსახველია.[1]

---

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180.

მათში ჩანს, რომ ახმეტელი ხვდებოდა არა მარტო გერმანიის, არამედ შვეიცის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის და სხვა ქვეყნების ფინანსურ-ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლებს. ის ყიდულობდა და იწერდა სხვადასხვა სფეროში ახალი მიღწევების ამსახველ წიგნებს და უგზავნიდა პარლამენტის საბიბლოთეკო საქმის კომისიის თავ-რეს ექვთიმე თაყაიშვილს.[1]

ვლ. ახმეტელაშვილი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დარჩა ბერლინში და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში ამ ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა გამოყენებას ცდილობდა.

1922 წლის 5 ნოემბერს დადებული რაპალოს ხელშეკრულებით გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა, ამიტომ გერმანიაში საქართველოს საელჩო გაუქმდა. ამის მიუხედავად ლადო ახმეტელმა საქართველოს უფლებების დასაცავად ბრძოლა მაინც განაგრძო. 1922 წელს ბერლინში დაარსდა ქართველთა სათვისტომო, რომლის წევრიც იყო ყოფილი ელჩი და თავისი კავშირებით დიდ დახმარებას უწევდა ოფიციალური წარმომადგენლობის გარეშე დარჩენილ ქართველებს და ახმაურებდა საქართველოს ოკუპაციის საკითხს.

1923 წლის 21-25 მაისს სოციალ-დემოკრატთა დელეგაციასთან ერთად ლადო ახმეტელი ესწრებოდა მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის ჰამბურგის კონგრესს. კონგრესმა მიიღო დელეგაციის რეზოლუცია და საქართველოდან ჯარების გაყვანა მოითხოვა.

ვლადიმერ ახმეტელი ზრუნავდა როგორც ქართველ ემიგრანტებზე, ასევე გასაბჭოებულ საქართველოში დარჩენილ პატრიოტებზე. დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა არაერთი პატრიოტი დააპატიმრეს და ციხეებში გამოამწყვდიეს. მეტეხის ციხეში დატუსაღებული 62 პოლიტიკური პატიმარი რუსეთში გადაასახლეს, სადაც მათ დახვრეტა ელოდათ. როგორც კი ეს ვლადიმერ ახმეტელმა შეიტყო, ბერლინში მყოფი დიპლომატიური კორპუსის დახმარებით მთელი მსოფლიო ფეხზე დააყენა და საბჭოთა ხელისუფლება აიძულა, ქართველი პოლიტპატიმრებისათვის, რომლებიც უკვე რუსეთში იყვნენ გადაგზავნილნი, გერმანიაში წასვლის უფლება მიეცათ.

1929-33 წლებში გერმანიაში ქართველთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა, ამიტომ 1938 წლის ბოლოს გერმანიის ხელისუფლებამ მათთვის ალექსანდრე აფხაზის ხელმძღვანელობით „ქართული სათათბირო" დააარსა, რომელიც შემდეგ „კავკასიის სამმართველოდ" გადააკეთეს და სათავეში ვლადიმერ ახმეტელი ჩაუყენეს.

ვლადიმერ ახმეტელი მონაწილეობდა ბერლინის სათვისტომოს კულტურულ ცხოვრებაშიც. 1937 წელს ბერლინელი ქართველების მიერ გადახდილ ილია ჭავჭავაძის 100 წლის იუბილეზე გრიგოლ დიასამიძესთან ერთად მოგონებებით გამოვიდა. თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესასთან. ემიგრაციაში ვლადიმერ ახმეტელი ოჯახს არ მოჰკიდებია, მთელი სიყვარული ლტოლვილ ბავშვებსა და ახალგაზრდებზე გადაჰქონდა. მეგობრობდა თამარ და აკაკი პაპავების ოჯახთან. 1942 წლის

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180, ფურც.206.

12 აგვისტოს, 67 წლის ასაკში, ვლადიმერ ახმეტელი მოულოდნელად გარდაიცვალა ბერლინის ერთი პატარა ბაღის სკამზე... დაკრძალეს ბერლინის ერთ-ერთ სასაფლაოზე.

ვლადიმერ ახმეტელთან აკაკი ჩხენკელის ურთიერთობა ასახულია იმ მრავალფეროვან წერილებსა და დეპეშებში, რომელიც ევროპაში საქართველოს ელჩმა გერმანიაში მთავრობის რწმუნებულს გაუგზავნა.

ჩხენკელის პირად საარქივო ფონდში ვლადიმერ ახმეტელთან დაკავშირებული რამდენიმე საქმე, ესენია: საქმე 96, სადაც მოთავსებულია ვლ. ახმეტელის წერილი ბერლინიდან აკ. ჩხენკელისადმი, გერმანიის სოცდემოკრატიული პარტიის პრეზიდენტ ფრიდრიხ ებერტის მცდელობაზე საბჭოთა რუსეთის მიერ გამართული ომის შეწყვეტის მისაღწევად, წერილი 1921 წლის 26 თებერვლითაა დათარიღებული; საქმე 183, სადაც ჩხენკელის მიერ ახმეტელთან ბერნიდან და ჟენევიდან 1919 წლის იანვარ-მარტში გაგზავნილი წერილებია დაცული; საქმე 263, სადაც კიტა ჩხენკელისა და ვლადიმერ ახმეტელის წერილებია გერმანიაში ქართული წარმომადგენლობის შესახებ. ამ წერილებიდან ირკვევა, რომ ამ დროს (1933) ქართულ ემიგრაციაში იყო ჟორდანიას საწინააღმდეგო განწყობილება და ემიგრაციის საერთო სურვილით მის ადგილზე სხვა ვინმეს (ერთი ჯგუფის თვალსაზრისით, აკაკი ჩხენკელის) დანიშვნა; საქმე 327, — ახმეტელის წერილები ჩხენკელთან, ნოე ჟორდანიასა და დავით შარაშიძისადმი გაგზავნილი წერილების პირები ნოე ჟორდანიასთან წარმოქმნილი უთანხმოების გამო; საქმე 328 — გრიგოლ დიასამიძისა და ქარველთა საზოგადოების კოლექტიური წერილი ბერლინიდან ვლადიმერ ახმეტელის მოღვაწეობის შესახებ; საქმე 380- გერმანიის ქართველთა საზ.-ის თავ-რის დავით საღირაშვილის მიმართვა აკაკი ჩხენკელისადმი ვლადიმერ ახმეტელისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ; აკაკი ჩხენკელის მიერ 1926-1928 წლებში ახმეტელთან გაგზავნილი 23 წერილი; საქმე 396 — თავად ახმეტელის მიერ, 1919-1930 წლებში, ბერლინიდან, ჩხენკელთან გაგზავნილი 67 წერილი. ეს ურთიერთობა ასახულია ასევე ჩხენკელის არქივში დაცულ სხვა პირების მიმოწერაში. ეს საქმეები და მათში დაცული მრავალრიცხოვანი დოკუმენტები ცალკე შესწავლასა და გამოცემას იმსახურებს. ამიტომ, ამ ვრცელ თემას, ამჯერად მომავლისთვის გადავდებთ. ამ თავში კი, მხოლოდ რამდენიმე საარქივო დოკუმენტს შევეხებით.

I მსოფლიო ომის დამავრების შემდეგ ჩხენკელისა და ახმეტელის ურთიერთობა, ძირითადად, გერმანიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში მყოფი ქართველი ტყვეების სამშობლოში დაბრუნებას ეხებოდა. ამ საკითხის შესახებ ნათელ წარმოდგენას ქმნის ნანყვეტი გერმანიაში საქართველოს მისიის უფროსის — ვლადიმერ ახმეტელის წერილიდან აკაკი ჩხენკელისადმი 1919 წლის 9 აგვისტოს:

„ეს ჩვენი გემი — „კრისტიან ნებე" პირველი გემია, რომელიც გერმანიიდან საქონლითა და ტყვეებით დატვირთული შავ ზღვაზე გავიდა.

მთლათ გავისტუმრეთ 1716 სამხედრო ტყვე, აქედან 32 სომხეთის

რესპუბლიკის მოქალაქენი არიან, დანარჩენები კი ჩვენები. სომხეთის რესპუბლიკის ტყვეები იმ მისაზრებით გავგზავნეთ, რომ უკანასკნელები თავიანთ ტყვეებს ამ თვის ბოლოს თუ ენკენისთვის შუა რიცხვებში გზავნიან და თუ სადმე ჩვენი ტყვეები გამოგვრჩნენ, იმათ გავაყოლებთ. სომხის წარმომადგენელს ამის შესახებ პატიოსანი სიტყვა ჩამოვართვით.

გერმანიის სამხედრო სამინისტროს ოფიციალური ცნობით, სხვადასხვა ლაგერებში 2200 ქრთველი ტყვე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ცნობა სწორი არ გამოდგა. ჩვენ ყველა ზომები მივიღეთ, რომ არცერთი ტყვე არ გამოგვრჩენოდა. სამხედრო სამინისტროს რკინისგზის მუშაკები ტყვეების მოგროვებაში ენერგიულათ გვეხმარებოდნენ, თუ სადმე ლაგერი არსებობდა, ანდა ოფიციალურ სიაზე იყო ოდესმე აღნიშნული, ყველგან დეპეშები იგზავნებოდა. დეპეშები იგზავნებოდა აგრეთვე მთავრობიდან. მიუხედავად ამისა, როგორც გითხარით, ჰამბურგში 1716 კაცზე მეტმა ვერ მოიყარა თავი. აქედან ათასსამოცამდის წმინდა ქართველია. სამხედრო საავადმყოფოებში დაგვრჩა 15-20 კაცი, რომელთა გაგზავნა შეუძლებელი იყო. ერთი ათ კაცამდე ისე დარჩა, ზოგმა ცოლი შეირთო და ზოგიც ისე მოეწყო. ყოფილ ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოდან ასკურავას მეთაურობით სულ 11 კაცი ჩამოვიდა, ჩეხოსლოვაკეთის მთავრობაც კი დავიხმარეთ, მაგრამ მეტის მოგროვება ვერ მოვახერხეთ. ასკურავას ცნობით, ყოფილ ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოში 80-მდე ქართველი ტყვე უნდა იყოს, მაგრამ ისე ყოფილან გაბნეულები, რომ მათი მოგროვება ერთობ შეუძლებელი საქმე იყო. ერთი რამ არის სანუგეშებელი: ყველა ამათგანს პატარა სახსარი ჰქონიათ და თვითონ აპირებენ რუმინიის გზით უკან დაბრუნებას.

გემზე ტყვეების უფროსად ოფიციალურად ბ. ერ. ბერშტეინი დაინიშნა. ოფიციალური პირის დანიშვნას თვით ანტანტის წარმომადგენლები თხოულობდნენ და ჩვენ ეს პოლიტიკურათ მიზანშენონილათ დავინახეთ. ოფიციალური პირის გარდა სამხედრო ტყვეებმა აირჩიეს 150 კაცზე ერთი წარმომადგენელი, — რიცხვით შვიდი კაცი. ტყვეთა შვიდ წარმომადგენელს დაემატა ჩვენ მიერ ცივილპერსონებიდან დასახელებული ექვსი კაცი. ცივილებიდან და ტყვეებიდან არჩეულმა წარმომადგენლებმა შეადგინეს ერთი კომისია ანუ საბჭო, როგორც თვითონ უწოდებენ. ეს საბჭო განაგებს გემზე საოჯახო, ჰიგიენურ და ადმინისტრაციულ საქმეებს, საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს ბ. კონსტანტინე გამსახურდია. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ იძულებული გავხდით კომისიის წევრებს, ცივილ პერსონებს ერთდროულათ დავუნიშნეთ სასყიდელი 1200 მარკა, ხოლო ტყვეებისწარმომადგენლებს 200 მარკა. ცივილ-პერსონების წარმომადგენლებს სასყიდელის გარდა, ეძლევათ ფოთამდე უსასყიდლო სასმელ-საჭმელი და მუქთი სამგზავრო ბილეთი. სასყიდელი დაენიშნათ აგრეთვე ტყვეებიდან დანიშნულ ფერშლებს, სანიტრებს და მზარეულს, დღეში 3-4 მარკამდის. სასყიდელი აქ ზოგ გაჭირვებულ წევრებს მივეცით. დიდი ნაწილი ჩვენ მიერ დანიშნულ სასყიდელს საქართველოში ჩვენი მთავრობიდან მიიღებს.

სასყიდელი ანუ ჯამაგირი დაენიშნა ექიმს თავისი ფერშლით, 13000 მარკა. ექიმი და ფერშალი გერმანელები არიან და სასყიდელი ეძლევათ აქედან ფოთამდი და ფოთიდან გერმანიამდის. ეს არის ამათი წასვლა-მოსვლის ჯამაგირი და ხარჯი. ჯამაგირიანია აგრეთვე რადიოზე მომუშავე გერმანელი, რომელსაც თვიურად 400 მარკა ეძლევა, ვიდე ფოთიდან უკან არ გამობრუნდება. იმედი გვაქვს, რომ ამავე გემით მოასწრებს უკან გერმანიაში დაბრუნებას.

ერთდროული სასყიდელი მივეცით, — 1500 მარკა ერთ სამხედრო კაპიტანს, რომელმაც 11 დღის განმავლობაში ტყვეების ჩასხდომა-დალაგებაში, მათ შორის საწოლ-ადგილების განაწილებაში თავგანწირულათ იმუშავა. ამავე კაპიტანმა შეიმუშავა ვრცელი გეგმა ტყვეთა შორის სასმელ-საჭმელის განაწილების, წესრიგის დაცვის შესახებ და ეს გეგმა ინსტრუქციათ ტყვეთა კომისიას გადაეცა. კიდევ სხვა კერძო ხარჯების გაწევაც დაგვჭირდა. უსასყიდლოთ საქმის გაკეთება არ ხერხდება, მითუმეტეს, რომ ყველაფერი სწრაფად და თავის დროს უნდა მოსწრებოდა.

პირველ აგვისტოს გემი გასამგზავრებლათ მზათ იყო. საღამოს ექვს საათზე ტყვეთა ლაგერს მიადგა და ტყვეთა ბარგის დალაგება დაიწყო. 2 აგვისტოს დილის ექვსი საათიდან დაიწყო ტყვეების ჩასხმა და ჩაბარგება. ტყვეების წასხმა-დალაგება მწყობრათ, სრული სიმშვიდით და ნირშეუცვლელად მოხდა. ამას ხელმძღვანელობდა გერმანიის ზემოთ დასახელებული კაპიტანი, გვარათ — კრონი. მთელი ტყვეები 4 კამანდათ იყო განაწილებული. თვითეულ კომანდას თავისი ათის და ოცის თავები ყავდათ. თვითეულ ტყვეს თავისი ადგილის ნომერი ჰქონდა გულზე მიკრული და სხვა და სხვა. ქუჩიდან კომანდებით მოდიოდნენ გემში ჩასაჯდომათ. დილის 9 საათზე ყველა მწყობრათ ჩასხდა და თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს. ავათმყოფები (ვინც პატარა შეუძლოთ იყო) მოთავსდნენ მათთვის სპეციალურათ მოწყობილ საავადმყოფო განყოფილებაში. ავათმყოფებისათვის გადაყოფილია 40 კაცის ადგილი.

დილის ექვსი საათიდან, გემის მახლობლათ მოტორიან ნავზე ისხდნენ გერმანიის სამხედრო ჯარისკაცები მუზიკით და ტყვეების გასართობათ სხვადასხვა ჰიმნებს უკრავდნენ. როცა ყველა ტყვეები დალაგდენ, 9 საათზე მოუწოდეთ საწოლებიდან მაღლა ბაქანზე ამოსულიყვნენ, ყველა სწრაფათ ზემოთ ამოვიდენ, ყველასთვის ზემოთ საკმარისი და თავისუფალი ალაგი იყო. დაიწყო მისალმების სიტყვების თქმა. ჩვენს გარდა ილაპარაკეს გერმანიის წარმომადგენლებმა, რომელშიაც ხაზგასმულათ აღნიშნეს ჩვენსა და მათ შორის მეგობრული განწყობილება და ბოლოს უსურვეს დამოუკიდებელ საქართველოში მშვიდობით დაბრუნება.

სიტყვა წარმოთქვა ტყვეთა წარმომადგენელმა და დაწვრილებით აღნიშნა საელჩოს და ჩვენი მთავრობის დაუცხრომელი მუშაობა ტყვეთა გამომგგზავრების საქმეში. საერთოდ, სიტყვები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე და 1716 საერთო გრიალით წარმატებას უსურვებდა საქართველოს ხალხსა და მთავრობას.

მისალმების შემდეგ გემის კაპიტანმა აუშვა ბაირაღი და გემიც დაიძრა. ამ დროს, ნიშნად სამხედრო სალამისა, ოცდაათმა გერმანიის ჯარისკაცმა, რომლებიც გემის მახლობლათ მწობრად იყვნენ დალაგებულნი, სალიუტები მისცეს. შემდეგ ჩავსხედით „კორს უნდ ამეს" ჩვენთვის საგანგებოთ მომზადებულ მოტორიან ნავში და ათის ვერსის მანძილზე გავაცილეთ გემი. ჩვენთან ერთად გააცილეს თავ-თავიანთი ნავებით ნაცნობმა და უცნობმა გერმანელებმა. გააცილა სხვათაშორის ბენეტის ოჯახობამ. გულის ამაჩუყებელ სურათს წარმოადგენდა მთელი ეს მოგზაურობა. ელბის ორთავ ნაპირებიდან, სახლებიდან თუ სახელოსნო-ფაბრიკებიდან, დიდი თუ პატარა გადმომდაგარიყო და სალამის ნიშნად ხელსახოცებს უქნევდნენ გემზე მდგომ ჩვენს ტყვეებს. ზოგიერთები ნაპირებიდან სიტყვებსაც კი ეუბნებოდენ. მესმოდა მხოლოდ საქართველო და ტყვეებისადმი სალამი. სპეციალურად იყვნენ მოსული ფოტოგრაფიული სურათების გადამღებები და გემსა და ტყვეებს ყველა მომენტში იღებდნენ. აქვე გაახლებთ სურათებს.

ჩვენი ტყვეების ვაშას ძახილი არემარეს ახმაურებდადა ყველას აღფრთოვანების გრძნობებს იწვევდა. ასე გრძელდებოდა ათი ვერსის მანძილზე მხიარული ხმაურობა და შემდეგში დავშორდით ერთმანეთს თვალცრემლიანი.

სამხედრო ტყვეებმა საკმარისი ფული დაგვიტოვეს. წინდაწინვე დავამზადეთ საკვიტანციო წიგნაკები, ვიცოდით რომ ტყვეებს ცოტაოდენი თავიანთი ნაოფლი შემონახული ექნებოდათ და ამას აქ დაგვიტოვებდენ. ვინც რამდენი შემოიტანა, მისდამიხედვით ჩემი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული კვიტანციები მივეცით, რომელსაც საქართველოს წარუდგენენ და იქ ჩვენებურ ფულს შესაფერი კურსით მიიღებენ. სულ დაგვიტოვეს 73,715 მარკა, თითქმის სამოცდათოთხმეტათასამდის...

გერმანიის საგარეო და სამხედრო სამინისტროს მადლობის ნოტა გაუგზავნეთ, ორთავე უწყებამ ტყვეების გაგზავნის საქმეში დიდი სამსახური გაგვიწიეს და სამართლიანათ უღრმესი მადლობის ღირსნი არიან. ჩვენ შორის რაც დრო გადის, მეგობრული განწყობილება უფრო მეტათ მტკიცდება.

მადლობის ნოტა გაუგზავნეთ აგრეთვე ინტერალაურტეს კომისიას, რომლებმაც არანაკლები სამსახური გაგვიწიეს ტყვეების და საქონლის გაგზავნის საქმეში.

თქვენი მუდამ პატივისმცემელი

ვლადიმერ ახმეტელი.[1]

შენიშვნა: გემისა და ტყვეების ფოტოები, გზაში დაკარგულა და ახმეტელი ხელახალ გაგზავნას პირდებოდა."[2]

1919 წლის 19 აგვისტოს წერილი ვლადიმერ ახმეტელისა ბერლინიდან პარიზში, შეიცავს ცნობას ამავე გემის მოგზაურობის შესახებ.

„ინგლისიდან მოგვივიდა ღია ბარათი, რომელშიდაც იწერებოდნენ, რომ ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა ტყვეებისათვის რამდენიმე

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180, ფურც. 131-136.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180, ფურც. 145.

ასი საცვალი მოგვცესო, შეგვპირდენ აგრეთვე გიბრალტარში სახოცების მოცემასო. გუშინ ალჟირიდან დეპეშა მოგვივიდა, რადიოთი გამოგზავნილი, 16 აგვისტოს ალჟირი გავიარეთ და პირდაპირ მივდივართ კონსტანტინეპოლში. იმასაც გვატყობინებენ, რომ გიბრალტარში მიულიათ საჭირო სანოვაგე. ძალიან კარგათ უმგზავრიათ და ყველანი მშვიდობიანად არიან. იმედია, 25 აგვისტოს ფოთში იქნებიან. სამხედრო ტყვეებს ვაგროვებთ და მინდენში ვგზავნით, — სომხების ლაგერში, საიდანაც ამ თვის გასულს საქართველოში წავლენ".[1]

სომხების მიერ დაქირავებული გემი — „კონსტანტინე" 1919 წლის 16 დეკემბერს გამოვიდა ჰამბურგიდან, წამოიყვანა დარჩენილი ტყვეები, ქართველი ტყვეების მეთვალყურედ გ. კერესელიძე გაიგზავნა. გემს წაყვა ასევე ყაუხჩიშვილი, წაიღეს ბერლინში შეძენილი წიგნები. "[2]

სინამდვილეში, გერმანია ამ დროს დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესებს არც იცავდა და ვერც დაიცავდა. ის ამას სიტყვით აღიარებდა, ქართველებთან საუბარში. ომში დამარცხებული გერმანელები საკუთარ ინტერესებს იცავდნენ და სხვა ქვეყნების პრობლემები მათთვის სასხვათაშორისო იყო. ამის შესახებ აკაკი ჩხენკელს ვლ. ახმეტელი 1919 წლის აგვისტოს ბოლოს წერდა ბერლინიდან. მისი აზრით, გერმანულ პრესაში ქვეყნდებოდა წერილები, სადაც რუსული ორიენტაცია ჩანდა. გერმანელები დენიკინთანაც თანამშრომლობდნენ და ბოლშევიკებთანაც. ამავე დროს, გერმანულ „ფორშე ცეიტუნგ"-ში გამოქვეყნდა წერილი კაკი (ირაკლი) წერეთელზე, სადაც, ახმეტელის თქმით: „მისი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ მოღვაწეობა თითქოს გამასხარებულიც კი იყო". ერიკ ბერშტეინის ძმამ დამირეკა და ისე იყო გაბრაზებული, რედაქციაში მისვლა და რედაქტორის გალანძღვაც კი გადაწყვიტაო.

ბერშტეინის მიმართვაზე რედაქტორს და თანამშრომლებს „უხეში წერილისთვის" ბოდიში მოუხდიათ და უთქვამთ: „სამწუხაროდ შემთხვევით გაგვეპარა წერილი და გადაეცით საქართველოს წარმომადგენელს, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლები მათ განკარგულებაში იქნება, საპასუხო წერილი დასწერონო"[3]

ახმეტელი ჩხენკელს ატყობინებდა დეტალებს რა იწერებოდა და ითქმოდა გერმანიაში საქართველოზე, ქართველ პოლიტიკოსებზე, მათ შორის კაკი წერეთელზეც.

„გერმანიის გაზეთებში ჩენს შესახებ სხვადასხვა ცნობებს ათავსებენ. განსაკუთრებით პროვინციულ პრესაში. ჩვენმა მუშაობამ გასჭრა, ბიულეტენებით სარგებლობენ. გიგზავნით ზოგიერთ ამონაჭრებს... საზოგადოდ, ჩვენ გერმანელებს არ ვავიწყდებით და როცა კი საშუალება მიეცემათ სიმპათიურათ გვიგონებენ. ჩვეულებრივად, ძალიან კარგად გვიგონებენ საქართველოდან ჩამოსული გერმანელები, რომლებიც ესესის ჯარში მსახურობდენ. ესენი გაზეთებში ხშირად სწერენ ჩვენს შესახებ. აქვე არ შემი-

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180, ფურც. 138.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180, ფურც. 204.
[3] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180, ფურც. 140-141.

ძლია არ მოვიყვანო ედ. ბერნშტეინის გატაცება კაკი წერეთლითა და ჩვენი ხალხით. კაკი წერეთლით გატაცებულია. მითხრა: ასეთი დიდი პოლიტიკოსები ჩვენ, გერმანიას უნდა გვყავდესო. მეტად მოსწონებია მისი სეიმში წარმოთქმული სიტყვები. აღტაცებულია კაკის ლუცერნში რუსულად წარმოთქმული სიტყვით, განსაკუთრებით კი მისი მოსწრებული შენიშვნით, რომელიც მას ლონგესთვის მიუძახებია დიდი სახელმწიფოების დაარსების შესახებ. ეს ამბავი ბერნშტეინმა ბერლინის ერთ-ერთ სახალხო კრებაზე გაიხსენა. წერეთლის სახელის გაგებაზე კრების დიდი უმრავლესობა ვაშას ძახილით შეხვდა, რაც ძალიან ესიამოვნა. კრება რომ გათავდა, ბერნშტეინს ჩვეულებრივ ხალხი შემოეხვია. მიუბრუნდა ერთ ჯგუფს და უთხრა: აი, ასეთი შეგნებული და გაგებული სოციალ-დემოკრატები უნდა იყოს, როგორც არიან ქართველებიო. მე რომ ჩემი მოხსენება თფილისში წამეკითხა, დარწმუნებული ვარ იქ გულდასმით მომისმენდენ და კამათიც გაცილებით სერიოზული იქნებოდაო. ბერშტეინი დიპლომატიური და ხალხთა კავშირის შესახებ ჟურნალის გამოცემას აპირებს და გვპირდება, საქართველოს შესახებ ბევრ რამეს დაგწერო, ხშირად ვნახულობ ხოლმე საგარეო საქმეთა მინისტრ ჰერმან მიულერსაც"...[1]

ჩხენკელს ახმეტელი წერდა ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებზე გერმანია-საქართველოს შორის. ჩხენკელი მას უბრუნებდა არაჩვეულებრივად ზუსტ, დაწვრილებით გეგმებს, პასუხებს თუ წინადადებებს ამ სფეროში გასაკეთებელი საქმეებისას. მოცემულ საარქივო საქმეშიც, სადაც 235 ერთეული დოკუმენტია, ბევრი ამ ურთიერთობის ამსახველია.[2] მათში ჩანს, რომ ახმეტელი ხვდებოდა არა მარტო გერმანიის, არამედ შვეიცის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის და სხვა ქვეყნების ფინანსურ-ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლებს.

ახმეტელი წერილს უგზავნიდა ექვთიმე თაყაიშვილს, 1919 წლის 12 დეკემბერს. ექვთიმე თაყაიშვილს ახლად დაარსებული პარლამენტის ბიბლიოთკისათვის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებსა და მხატვრული ლიტერატურის დარგში ახალი წიგნების შეძენა სურდა. სასურველი ლიტერატურის სია გაუგზავნია გერმანიაში ვიღაც სტრანგისთვის. მას სია ვილჰელმ ბლუიტერის გამომცემლობისთვის შეუკვეთავს, სასწრაფოდ მიყიდეთ და როტერდამში გამომიგზავნეთო, აქედან 3 იანვარს გემი გადისო. ვილჰელმ შლუიცერი ჰალედან, სადაც ეს გამომცემლობა იყო, ჩასულა საქართველოს წარმოამდგენლობაში ბერლინში და ახმეტელისთვის აუხსნია, რომ ამ წიგნების დიდი ნაწილი არ იშოვება, უკვე გაყიდულია, ნაწილს კი იშოვიდა, თუ წარმომადგენლობა ფულს წინასწარ გადაიხდიდა. ახმეტელაშვილის აზრით, მან დაიტოვა სია, იყიდდა წიგნებს, როგორც და რამდენსაც შესძლებდა და გამოგზავნიდა საქართველოში. წიგნები გერმანიაში ძვირია, არც იბეჭდება ახლა, რადგან კრიზისია. სტრანგი ვერაფერს იყიდის, ჩვენ ვიცნობთ სხვადასხვა გამომცემლობებს და ისე შევიძენთო,

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180, ფურც. 154.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180.

— წერდა ახმეტელი.[1]

ახმეტელს უთარგნმნია კაუცკის ნაშრომი და გაუგზავნია აკ. ჩხენკელისათვის ბერნში.[2]

მას ვახშამი გაუმართავს გერმანიის პოლიტიკური წრეებიდან ნაცნობებისათვის, 2000 მარკა დაუხარჯავს, ვერ მოვიდა მიულერი ცოლის ავადმყოფობის გამო, ბერნშტეინი ავად თავად გამხდარა, მაგრამ მისი ცოლი და შვილი მოვიდნენო.[3]

სხვა საარქივო საქმეში არის წერილები, სადაც საუბარია „ყალბი ჩერვონეცების" საქმეზე, რომელშიც გაზეთების გამო, საქართველოს მთავრობაც აღმოჩნდა ბრალდებული. ეს გერმანიის საქართველოს წარმომადგენლობას უკავშირდებოდა. საქმე გახმაურდა. სანამ ეს მოხდებოდა, შალვა ქარუმიძეს უსესხებია ახმეტელისთვის 700 მარკა და ხელწერილი ჩამოურთმევია. საქმეში ქარუმიძე იყო გარეული. მიუხედავად ხმაურისა, ხმები არ გამართლდა ქართველების მონაწილეობის შესახებო, წერდა ვლადიმერ ახმეტელი ჩხენკელს. 1928 წელს ვლ. ახმეტელი პარიზში გადაიყვანეს.[4]

1938 წლის ბოლოს გერმანიის ხელისუფლებამ ქართული ემიგრაციისთვის ალექსანდრე აფხაზის ხელმძღვანელობით „ქართული სათათბირო" დაარსა, რომელიც შემდეგ „კავკასიის სამმართველოდ" გადააკეთეს და სათავეში ვლადიმერ ახმეტელი ჩაუყენეს. ცნობილია ჰიტლერის ხელისუფლებასთან ჩხენკელის უარყოფითი დამოკიდებულება. ურთულესი იქნებოდა ბერლინში მცხოვრები ლადო ახმეტელისთვის 1941-1942 წლები. ის კიდეც გარდაიცვალა 1942 წლის 12 აგვისტოს, მოულოდნელად, ბერლინში.

აკაკი ჩხენკელის წერილები ევგენი გეგეჭკორთან

აკაკი ჩხენკელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ევგენი გეგეჭკორმა შეცვალა. ჩხენკელი საქართველოს ელჩად დაინიშნა ევროპაში და მისი მოღვაწეობა ფართოდ დაუკავშირდა გეგეჭკორის მუშაობას, რადგან ეს უკანასკნელი ყველა ცნობასა და ახალ ინფორმაციას მხოლოდ ჩხენკელის საშუალებით ღებულობდა.

ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი (1881, მარტვილი — 5 ივნისი, 1954, პარიზი) — სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი. 1907-1912 წლებში იყო III სახელმწიფო სათათბიროს წევრი ქუთაისის გუბერნიიდან. ს-დ ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი.

1902 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1906 წელს. 1903 წლიდან ევგენი გეგეჭკორი გაწევრიანდა რსდმპ-ში. 1903-1904 წლებში იგი აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ მოძრაო-

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180, ფურც. 206.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180, ფურც. 222.
[3] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180, ფურც. 224.
[4] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 388, ფ. 29.

ბაში. ევგენი გეგეჭკორი არჩეული იყო მე-3 მოწვევის სახელმწიფო დუმის ქუთაისის გუბერნიის დეპუტატად და სისტემატიურად თანამშრომლობდა ლეგალურ სოციალ-დემოკრატიულ გამომცემლობებთან. იყო სდ ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პერიოდში ევგენი გეგეჭკორი დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის დროებითი მთავრობის კომისრად. აგრეთვე, იყო ამიერკავკასიის მენშევიკ-ესერთა პირველი მოწვევის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე.

1917 წლის 28 ნოემბრიდან იყო ამიერკავკასიის კომისარიატის (სეიმი) პირველი თავმჯდომარე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იგი აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1918 წლის 2 ივნისს გეგეჭკორი დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო 1919 წლის 12 მარტის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, გეგეჭკორმა დაიკავა ჯერ საგარეო საქმეთა, ხოლო შემდეგ — 1921 წელს — იუსტიციის მინისტრის პოსტი. 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ევგენი გეგეჭკორმა მენშევიკურ მთავრობასთან ერთად დატოვა საქართველო. ჰყავდა შვილი, სოსიკო, რომელიც გარდაიცვალა 16 წლის ასაკში, პარიზში.

გეგეჭკორისა და აკაკი ჩხენკელის ურთიერთობას ასახავს ჩხენკელის პირად ფონდში (1831) დაცული შემდეგი საქმეები: საქმე 29, — ჩხენკელის დეპეშები ტრაპიზონიდან თურქეთის ჯარების საქართველოს ტერიტორიაზე მსვლელობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძებების შესახებ; საქმე 63, — გეგეჭკორის წერილები პარიზიდან გენუაში ჩხენკელისადმი გაგზავნილი (1922 წ.); გეგეჭკორის წერილები ჩხენკელთან გაგზავნილი ლოზანაში (1922-1923); საქმე 402, — ევგ. გეგეჭკორის კერძო წერილი კონსტანტინეპოლიდან ბერლინში გაგზავნილი 1918 წლის ივნისში და სხვ.

ჩხენკელი-გეგეჭკორის ურთიერთობა ასახულია სხვა საარქივო ფონდებსა და იქ დაცულ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.

წერილები ძირითადად 1918 წლიდან 50-იან წლებამდე საქართველოს დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხებოდა.

ერთ წერილში აკაკი ჩხენკელი ევგენი გეგეჭკორს წერდა, რომ პირველი შეხვედრისთანავე ჰერმან მიულერმა მას უთხრა, რომ გერმანია ამ წუთსვე გაღიარებთ თქვენ როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მაგრამ ეს არც თქვენ გარგებთ და არც ჩვენო. ახმეტელმაც დაუდასტურა, მისი აზრით, გერმანიის აღიარება ანტანტის აღიარებას დააბრკოლებდა და გაუფუჭებდა საქართველოს მის ქვეყნებთან ურთიერთობას. ამავე წერილში ვკითხულობთ: „ამ ერთი თვის წინათ კაუცკისთან მქონდა საუბარი, მან გაკვირვებით მითხრა: ნუთუ გერმანიის მთავრობას აქამდის არ ულიარებია თქვენი დამოუკიდებლობაო. ჩვენ ვუთხარით, გერმანიისგან ჩვენი ფორმალური ცნობა დღევანდელ პირობებში ზიანს მოგვაყენებს და ამიტომ სასურველად არ მიგვაჩნია გერმანიის მთავრობის ასეთი ნაბიჯის გადადგმა. მიუხედავად ჩვენი ასეთი პასუხისა, აქაურმა საელჩომ მაინც იქონია ამ კითხვის შესახებ მსჯელობა და მივიდა იმ დასკვნამდის, რათა

საჭიროა ახლავე დაიწყოს გერმანიაში მუშაობა, რომ მათ იცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა. ჩვენი ასეთი დამოკიდებულება დასაბუთებული ვამცნეთ პარიზის დელეგაციას და ვთხოულობდით იმათგან დასტურს. პარიზის დელეგაციას ჰქონია მსჯელობა ჩვენს წინადადებაზე და უარყოფითად გვიპასუხეს. მათ დღევანდელ პირობებში გერმანიის მიერ ჩვენი აღიარება საზიანოთ დაინახეს და ოფიციალურათ შეგვატყობინეს, ასეთი ნაბიჯი არ გადაგვედგა".[1]

ევგენი გეგეჭკორი პარიზში მიმდინარე დიპლომატიურ მოვლენებს წერილებით აცნობდა სხვადასხვა კონფერენციაზე მყოფ აკაკი ჩხენკელს.

ევგენი გეგეჭკორი და ილამაზ დადეშქელანი წერდნენ წერილებს აკაკი ჩხენკელს კანასა და გენუაში მიმდინარე კონფერენციების შესახებ, 1921-1922 წლებში.[2]

გეგეჭკორი 1922 წლის 5 იანვარს ჩხენკელს რომში ჩასვლის ამბავს ატყობინებდა. ბონომიმ და დელა ტორეტამ მომისმინეს, ჩემს მემუარსაც გაეცნენ, მაგრამ ჯარის გაყვანის შესახებ ჩვენი მოთხოვნა მეტისმეტად ფანტასტიურად ეჩვენებათ. დელა ტორეტას აზრით, გადამწყვეტი ხმა რუსეთის საკითხში ინგლისს ექნება და ეს რასაკვირველია ასეა. კანში რას მოვახერხებ არ ვიცი. მივიღებ ყოველ ზომას ლოიდ ჯორჯი ვინახულო. იმედი ამისა ცოტა მაქვს, მაგრამ ცდას არ დავაკლებ. თუ დადეშქელიანი აქ არის, ამის შესახებ ნოეს რომიდან გავუგზავნე დეპეშა, და თუ დროზე მომისწრო, შეიძლება ჯერ(?) არ ვინახულო. ბონი და საგ. საქ. მინისტრი დამპირდნენ, რომ რუსეთის საკითხი ჩვენგან გამოყოფილი იქნება. თუ ამნაირად წავიდა საქმე, ამას შესაძლოა გარანტიების საკითხიც მოყვეს. ეკითხება ჩხენკელს, რა გამოვიდა ბრიანთან შეხვედრისაგან. ვეცდები ბონარ ლოუსა და ჩერჩილის ნახვასაც. შესაძლოა მათ უფრო ადვილად მიიღონ მოწყალება და მნახონ.

მეორე წერილშიც, 9 იანვარს წერს, რომ ალბათ კანშიც ეს ისტორია გაგრძელდებაო. გერმანელები ჩამოდიან და რეპარაციის საკითხი იქნება მთავარიო. არც ანგორის და არც რუსეთის საკითხს ალბათ არც შეეხებიან, ასეთი ცნობები ვრცელდებაო. წერს, რომ ახლოს აღარ ეკარებიან, ისე დაშინებულები არიან, საქართველოსთვის მხარდაჭერას ვერ ბედავენო. გენუისთვის უნდა მოვემზადოთ, ძლიერი მემუარი შეადგინე გენუისთვისო.[3]

გეგეჭკორი ითხოვდა რეგისტრაციაში გატარებულიყო ყველა დოკუმენტი, შედგენილიყო საინვენტარო წიგნი, ლეგაციაში მომუშავე ფრანგი მდივანი ბაბე ამას გააკეთებსო. ყურადღების გარეშე არაფერს ტოვებდა.[4]

„რას ნიშნავს თავმჯდომარის მძიმეთ ავადმყოფობა, განა ექიმები ამბობენ ამას? ასეთი რამ ავათმყოფობა მას არ ჰქონია, რა მიზეზით არის გამონვეული? აქცევენ თუ არა ჩვენები სათანადო ყურადღებას? იქნება ჰაერის გამოცვლა არის საჭირო" — წერდა პირველ მდივანს ს. ასათიანს

[1] სცსსა, 1864, აღწ. 2, საქმე 180, ფ. 197-201.
[2] სცსსა 1864, აღწ. 2, საქმე 496, ფ. 7-8.
[3] სცსსა 1864, აღწ. 2, საქმე 496, ფ. 9.
[4] სცსსა 1864, აღწ. 2, საქმე 496, ფ.20.

27 VI, 1923 ნ-ს[1].

მოვიტანთ პარიზიდან ლოზანაში 1922-23 წლებში გაგზავნილ გეგეჭკორის ორ წერილს ჩხენკელისადმი. (სულ გაგზავნა 11 წერილი)

18 დეკემბერი, 1922 წელი.

აკაკი, მინდა ორიოდე სიტყვით გაცნობო, თუ როგორი მიმდინარეობა მიიღო ნიკოლაძის მიერ წამოწყებულმა ისტორიამ. შაბათს არაჩვეულებრივ სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ გაგვაცნო საქმის ვითარება. მისი გადმოცემით, მისთვის მიუმართავს ნიკოლაძეს წინადადებით, რომ იგი ჩამოაგდებდა მორიგებას ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის. რადგანაც, თუ ასეთი რამ მოხერხდებოდა, ეს ჩვენთვის არასოდეს არ ყოფილა სადავოო, მეც დავთანხმდი, რომ მას (ნიკოლაძეს) გადაეცა შესაფერი ნაბიჯებიო. მე პირობებზე საერთოდ არ მილაპარაკია, მხოლოდ ჯარის გაყვანა აუცილებელი პირობა იყო ჩვენი შეთანხმების, ეს კი მას თავიდანვე ვამცნეო. შეუძლებელია ნიკოლაძეს ამისთვის თავიდანვე ყურადღება არ მიექცია, ან ვერ გაეგო, რადგან ის დაჟინებით მიმტკიცებდა, რომ ამაზე ბოლშევიკები წამოვლენ, ისეც დაეხოცებათ ჯარი შიმშილითო. რა სახით გადასცა ჩემთან საუბარი ნიკოლაძემ სხვებს, მე ეს არ ვიცი და არც არის ჩემთვის საინტერესოვო. ჩვენ ახლა გვაქვს საქმე ბოლშევიკების თანხმობასთან, რომ ისინი (ასეთი ამბავი ჩამოუტანია რეხზამერს ბიიონის გადმოცემით) მზად არიან გველაპარაკონ და ჩვენც შეგვიძლია ახლა წარვადგინოთ ჩვენი ბაზაო. აქვე მან (მთავრობის თავმჯდომარემ) წერილობით (ჩვენთვის არა გადასაცემათ) წარმოადგინა პირობები, რომელიც მას მიაჩნია ჩვენთვის მისაღებათ. ამაზე საერთოდ არაფერს არ გწერ, რადგანაც მოკლე წერილში მისი გადმოცემა ძნელია და ამასთან საუკეთესო იქნებოდა ამაზე შენი აქ ჩამოსელის შემდეგ ვილაპარაკოთ. ერთად გადავსწყვიტოთ, რომ ხვალ რეხზამერს მთავრობის სახელით გადასცემენ, რომ ჩვენ მორიგების წინააღმდეგი არა ვართ, თუ რუსის ჯარი იქნება გაყვანილი საქართველოდან.

როგორც მოსალოდნელი იყო, რეხზამერს ეს შეუძლებლათ დაუნახავს და ამით საქმე თითქოს თავდება. რომ ზიანს ბევრს მოგვიტანს ასეთნაირად საქმის დაწყება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, ეს უდავოა. მაგრამ მთელი ამ ისტორიის სასწრაფო ლიკვიდაცია იყო საჭირო და ამას მე მგონია უკვე მივაღწიეთ. ესეც არის, შენი განცხადება 16-ში მივიღე. ფრანგების განცხადება ძლიერ დამაიმედებელია, თუ დაპირება შეასრულენ. მართლაც, შენი მოსმენის საკითხის დასმას შეუძლია ზიანი მოგვიტანოს, თუ მივიღებთ მხედველობაში კერზონის პოზიციას. მაგრამ ვაითუ ესეც არ მოითხოვეს ფრანგებმა და დასასრულს ჩვენი სახელით რუსებმა ხელიც მოაწერიონ. ეს არის საშიში და ბარერის ნახვის დროს ამაზე უნდა გააფრთხილო.

ევგენი გეგეჭკორი"[2].

ემიგრაციაში მყოფ საქართველოს ხელისუფლებაში ჟორდანიასთან მძიმე დამოკიდებულება ბევრს ჰქონდა, განსაკუთრებით 20-იანი წლების

[1] სცსსა 1864, აღწ. 2, საქმე 496, ფ.24.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე68, ფურც. 6.

ბოლოდან, მათ შორის მისდამი კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი ევგენი გეგეჭკორი და აკაკი ჩხენკელიც. ეს ჩანს მათი წერილებიდან.

წერილში, რომელსაც გეგეჭკორი აკაკის უგზავნიდა, ჩანს, რომ ჟორდანია ზოგჯერ ერთპიროვნულად ცდილობდა გადაეწყვიტა საქმეები, არ გაეცნო ყველა მთავრობის წევრისთვის ის პოლიტიკური ინფორმაციები და მიღებული წერილები, რომელთა გაცნობა აუცილებელი იყო მათი საქმიანობის სწორად წასამართავად. უკმაყოფილო თანამებრძოლთა აზრით, ჟორდანიას სურდა ესარგებლა თანამდებობით, რასაც სიმბოლური სახე ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად ხელფასები, ბინები და ცხოვრების პირობები ყველას ჭირდებოდა. ჟორდანია კი, მისი თანაპარტიელებისა და თანამებრძოლების აზრით, საუკეთესოს ითხოვდა. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით 1924 წლის მოვლენების შემდეგ დაიძაბა, თუმცა, მანამდეც არ ყოფილა უზადო. ურთიერთობაში გაჩენილ ბზარს კარგად მიანიშნებს ევგენი გეგეჭკორის ქვემოთ მოტანილი წერილი ჩხენკელისადმი.

„10. I.1923 წელი.

აკაკი,

ნ. ჟ. წერილი შენდამი მომართული ჩემთვის ახალ რამეს არ წარმოადგენს. მასში მხოლოდ უფრო აშკარათ სჩანს ის მიზნები, რომელიც მას დიდი ხნიდან აქვს დასახული. ეჭვს გარეშეა, მას აზრად აქვს ჩაშალოს არსებული აპარატი, მოიშოროს თავიდან მისთვის არასასურველი პირები და დარჩეს მარტო. ახმეტელთან მისი დამოკიდებულება, გვარჯალაძესთან პირდაპირი მიწერ-მოწერა, საქართველოდან მოსული წერილების და ინფორმაციების ჯიბით ტარება, ყოველივე ეს რგოლებია იმ წესის, ან უფრო მართლად რომ ვსთქვათ, იმ უწესობის სახელმწიფოებრივ საქმეებში, რომელსაც იგი, სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს, სახელმწიფოებრივ მეთოდს უწოდებს მუშაობაში. უკანასკნელი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა, პირდაპირ აღმაშფოთებელია. სამი წერილია ნ. ხ.[1] მიღებული და ზოგიერთი ჩვენთაგანი (მე ორს გავეცანი სრულიად შემთხვევით) არცერთს ახლოს არ გაკარებია. უკანასკნელი წერილი მისი, როგორც გადმომცეს, ფრიად საინტერესოა და ის კი ჯიბით ატარებს. დარწმუნებული ვარ, მისმა ოჯახობამ ეს იცის. შესაძლოა შინაარსსაც დაწვრილებით იცნობდეს და ამავე დროს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე და გარ. საქ. მინისტრი კი განზეა, თითქოს მათ ეს სრულებით არ ეხება. მე ეს კითხვა მინდა დავაყენო და არ მოვერიდები არავითარ სკანდალს, რომ ასეთ რამეს ბოლო მოეღოს. მაგრამ რა უნდა გავაკეთო ასეთ დაჩიავებულ ხალხში. ბოლოსდაბოლოს შენ იცი, თუ რითია ყველა დაშინებული. ყველაზე მყვირალა მათ შორის ყველაზე ნაკლებ სანდოა, რადგანაც ჯამაგირის მოსპობას ერიდება. შენ ჩემზედაც საყვედურს იწერები, თუმცა ამის საბუთი არა გაქვს. დაიჯერე, რომ თუ ჩვენს შორის (ჩემდა ნ. ჟ.-ს შორის) ხიდი საბოლოოდ ჩატყდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მე არ შევურიგდი იმ დამღუპველ წესს, რომელიც მან ჩვენს საერთო მუშაობაში გაამეფა. უამისოდ ის ძლიერ სიამოვნებით თანხმდე-

[1] ნ. ხ. — ნოე ხომერიკი, იმჟამად კონსტანტინეპოლის ქართული ემიგრაციის პოლიტიკური კომისიის ხემძღვანელი.

ბოდა ჩემს პარიზში დარჩენაზე და სხვა.

როგორც შენ მას წერ, თანამდებობაზე და თავმოყვარეობაზე რომ იყოს საქმე, რასაკვირველია, აქ სადავო არა გვექნებოდა, მაგრამ ქვეყანა იღუპება, ჩვენ საქმეს შეიძლება საერთოდ დაეკარგოს საერთაშორისო ბაზა და აქ მსხვერპლი გვჭირდება. ამას ის კარგათ გრძნობს და ამით სარგებლობს. წარმოიდგინე, შენ გწერს, რომ ყველაფერი ჩემს ხელში უნდა იყოსო და ამავე დროს იწყებს ღრიტინს თავის ჯამაგირზე თავისებურად, ეშმაკურად, ჯამაგირი უნდა მოვიკლოთ და რადგანაც ეს მე არ მეყოფა, გერმანიაში უნდა გადავსახლდეო. ძველი ისტორიაა, როგორც გახსოვს. თუ იქ გადასახლებას აპირებს, აბა როგორ უნდა აეტოკრატულად აწარმოვოს საქმეები? დასკვნებს შენ თვითონ გააკეთებ. მე არც ის მგონია, რომ ის ასე შორს ფიქრობდეს, როგორც შენ მწერ. რასაკვირველია, ის შეეცდება შეინარჩუნოს საქართველოში თავისი სახელი, მაგრამ თავდაპირველად რაც მას აინტერესებს, ესაა, რომ აქ იყოს საჭიროდ მონყობილი და უზრუნველყოფილი. გული მიკვდება, მე რომ ამას ვლაპარაკობ, რადგანაც მაგი მე ერთ დროს მართლაც მიყვარდა და პატივს ვსცემდი, მაგრამ ჩემთვის ახლა აშკარაა, რომ მაგი უფრო მეტს ფიქრობს ეხლა თავისი მოხუცი დედის იქიდან გამოყვანაზე, ვიდრე სამშობლოს დახსნაზე. ეს ჩემი კერძო აზრი მარტო არ არის, ამას ეხლა ყველა ხედავს, ყველა გრძნობს, მაგრამ რა საშუალებით შეგვიძლია ავნიოთ ჩვენ ეს მოშლილი ხალხი ჩვენს წინ აღმართული ისტორიული ამოცანების სიმაღლეზე? ამას თან ერთვის ის შიშიც, რომ მან არ ისარგებლოს შემთხვევით და არ გადგეს განზე. ეს ხომ დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს საქმეს! ჩვენი მთავარი უბდურება იმაშია, რომ ჩვენ საქართველოზე ერთიანად ვართ მონყვეტილი, თორემ შეგვეძლო თანდათანობით ნიადაგი შეგვემზადებია, ადგილობრივ გაგვეცნო ჩვენები აქაურ ვითარებას, და თუ ის ასეთ რამეს ჩაიდენდა, ამას უფრო ნაკლები ზიანი შეეძლო საქართველოსთვის მიეყენებია. მაგრამ სტამბოლში ისეთი ხალხი ზის, რომ ჩვენ არა ვართ უზრუნველყოფილი, რომ ჩვენი ხმა საქართველომდე მიაღწევს. აქაა სწორედ სიმძიმის ცენტრი. ამაზე ვიფიქროთ ჩვენ ორივემ, ეგებ რაიმე საშუალება გამოვძებნოთ. **სხვისი, გარდა შენისა, მე იმედი არ მაქვს**, რატომ, ამაზე ზევით გწერ... ნერილებს თუ მას გამოუგზავნი, აწი იმათაც სხვების ბედი ეწევა. საინტერესოა ამ მხრივ, რომ შენი უკანასკნელი წერილი ჩემამდე არ მოსულა".[1]

აკაკი ჩხენკელი და გიორგი მაჩაბელი

ჩვენ გარკვეულად ვისაუბრეთ საქართველო-იტალიის ურთიერთობაზე დამოუკიდებლობისა და ასევე, 20-30-იან წლებში. ამ ურთიერთობის დეტალები კარგადაა ასახული აკაკი ჩხენკელისა და იტალიაში საქართველოს წარომადგენლის — გიორგი მაჩაბლის მიმოწერაში. ეს ვრცელი მიმოწერა, რომელიც ჩხენკელის პირად ფონდსა და სხვა საარქივო ფონდებ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 68, ფურც.8-9.

სა თუ ეპისტოლურ და პუბლიცისტურ ტექსტებშია დაცული, ცალკე წიგნად გამოცემას იმსახურებს. ამდენად, ამ მასალის სრულად მოტანა ჩვენს გამოკვლევაში შეუძლებელია.

მიმოწერის ნაწილი გამოაქვეყნა მკვლევარმა რუსუდან კობახიძემ.[1] ეს ეხება ჩხენკელისა და მაჩაბლის 1921 წლის წერილებს (მხოლოდ ერთი წერილია დათარიღებული 1922 წლით). მკვლევარი სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს წერილები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ორი ქართველი დიპლომატის პროფესიულ საქმიანობაზე, მათი საშუალებით იხატება „გიორგი მაჩაბლისა და აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური და პიროვნული პორტრეტები". ჩვენ იმ წერილებს შევეხებით, რომლებიც აქამდე არ გამოქვეყნებულა და საინტერესო ინფორმაციებს შეიცავს.

„რომი, 8 იანვარი, 1920

ძვირფასო ბატონო აკაკი

იმედი მაქვს დაბრუნდით საქართველოში მშვიდობიანად და სიამოვნებით. ნეტავ როგორ დაგხვდათ მანდაურობა და რა შთაბეჭდილება მიიღეთ ყველა მანდ ნანახიდან და გაგონილიდან. **თქვენს შთაბეჭდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს, თქვენ შეგიძლიათ უფრო ობიექტურად შეხედოთ საგნებს, მოვლენებს და დააფასოთ ყველაფერი, როგორც მათ შეეფერება. ერთ ორიოდე სიტყვას რომ მომწერდეთ ამაზე, დიდი, დიდი მადლობელი ვიქნებოდი თქვენი.**

ჩვენი მდგომარეობა ერთის მხრივ თითქოს უკეთდება ამ დენიკინის დამარცხებით, მაგრამ მეორეს მხრივ ბოლშევიკები რომ მოგვადგებიან, არც ის არის მეტად სასიამოვნო. ბაქოდან შეუძლიათ დაიწყონ შემოტევა. არ ვიცი, პურისა რა ჰქნეს მანდ. აქ ძალიან ძნელად მიდის მოლაპარაკება, მგონი „ნაფრის საზოგადოება"აღარ კისრულობს მოგვიტანოს პური ამერიკიდან, როგორც ამას ამ რამდენიმე ხნის წინათ გვპირდებოდა. არ ვიცი როგორ და რანაირად ვუშველო ჩვენს თავს. ამას წინათ სანდო წყაროებიდან გავიგე, რომ რუმინელებს ჰქონიათ პური. ძალიან კარგი მოსავალი ჰქონიათ წრეულს და დიდძალი ჭირნახულიც მოუყვანიათ სხვა და სხვა უცხოელებისათვის. იქნება აქედან მოვახერხო რამე მოვაწყო მათთან. მე კონიას მივეც წინადადება, დავიწყეთ მათთან მოლაპარაკება და თუ საჭირო იქნება, აქედან ვინმე ჩვენგანი წავიდეს რუმინიაში სპეციალურად ამ საქმის მოსაწყობად. რაც შეეხება ტყვარჩელის საქმეს, მოლაპარაკება ჯერ არ გაგვინახლებია, ველით მათ პარიზიდან დაბრუნებას. რაც შეხება თქვენს წამღებს, სულყველგან დეპეშები გავგზავნეთ, სადაც კი საჭირო იყო... მივიღეთ პასუხი, რომ ვითომც იტალიაში მოუსპიათ ბარგის ჩქარი მატარებლების მიმოსვლა და ამის გამო დაიგვიანა ტარანტოში ჩასვლა. ეხლა სამინისტროს საშუალებით გვინდა განკარგულება მოვახდევინოთ მოძებნონ ეს ჩვენი ვაგონი და რაც შეიძლება ჩქარა ტარანტოში გაგზავნონ. ხვალ ლორთქიფანიძე[2] წავა სამინისტროში. ძალიან ვწუხვარ, რომ ზეგის (10) გემით ვერ ვგზავნი წამღებს, მაგრამ მომავალი გემით (24-ში) მე

[1] რ. კობახიძე, გიორგი მაჩაბლის წერილები აკაკი ჩხენკელს; მასალები ქართული დიპლომატიის ისტორიის კვლევისათვის, ჟურნალი„ქართული ემიგრაცია", 2014, გვ.61-71.

[2] ივანე ლორთქიფანიძე — საქართველოს I რესპუბლიკის გზათა მინისტრი.

დარწმუნებული ვარ, შეგვეძლება გამოვგზავნოთ. ასე რომ, იანვრის ბოლო რიცხვებში მანდ

(ბათუმში) იქნება. როგორც ტარანტოში მოვილაპარაკეთ, ისე მოვაწყობთ ყველაფერს, თვითეულ ყუთს გავსინჯავ, თუ რამე იქნება გატეხილი ან წამხდარი, შევასწორებ და ვეცდები ვიშოვო ვინმე გემზედ, რომელსაც ჩავაბარებ მათ ყურის გდებას. თითქმის ყოველთვის არის ვინმე ჩვენებიდან ან ჩვენი ნაცნობებიდან ვინმე. თქვენგან გადმოცემული 1000 ლირა გადავეც კოწიას ხარჯებისთვის ამ საქმეზედ, ჩვენ ვენის ხარჯებს მომავალი ფოსტით გამოგიგზავნით, ჯერ მზად არ მაქვს. ჩვენ ორთავესაგან თქვენ და მაკრინეს მრავალი გულწრფელი სალამი

და ყოველი სიკეთის სურვილი.

თქვენი მარად ერთგული გიორგი მაჩაბელი.

ამ წერილს საჩქაროდ გწერ, რომ ამ გემით მოგისწრო. მე სულ ველოდი, რომ იქნება ბარგმა ჩამოუსწროს მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა."[1]

გიორგი მაჩაბლის მეორე წერილი საბჭოთა ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის პერიოდს ეხება. საზღვარგარეთ მყოფმა წერილის ავტორმა და არც მისმა ადრესატმა არ იცოდნენ რეალური ვითარება, მაჩაბელი ცდილობს ჩხენკელს გააგებინოს იმ დეპეშების შინაარსი, რაც მან მიიღო სხვადასხვა წყაროებიდან და გამოიტანოს დასკვნა სამშობლოში არსებული მდგომარეობის შესახებ. მაჩაბელი წერს, რომ ხალხი უკმაყოფილო იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობით, რომელმაც თითქოს ხალხის ქონება საზღვარგარეთ გაიტანა.

„22.III, 1921

თქვენი წერილი 12 ამ თვისა ლონდონიდან ფლორენციაში მივიღე შაბათს, 9-ს ამ თვეს და მეორე დღესვე რომში გამოვემგზავრე — შემესრულებინა ყველა ის დავალებანი, რასაც თქვენ იწერებით.

გუშინ, 21 მარტს გავგზავნე ბ-ნი აფხაზი საგარეო სამინისტროში დავალებით, ეთხოვნა ჩემს მგივრად, დაენიშნა მინისტრს სფორცას ჩემთვის აუდიენცია. თვით მინისტრი სენატში ყოფილიყო და მისმა მდივანმა მიიღო ეს თხოვნა და დაგვპირდა შეეტყობინებინა დღე და საათი აუდიენციისა. რაწამს ვინახულებ და ყველაფერზედ (რაზედაც მწერთ) მოველაპარაკები, მაშინათვე გაცნობებთ შედეგებს ჩვენი ბაასისას დაწვრილებით.

ეხლა მინდა შეგატყობინოთ ყველაფერი ის, რაც გავიგეთ როგორც სამინისტროსაგან, ისე აქაური გაზეთებიდან:

სამინისტროდან: ჩვენი მთავრობა ისევ ბათუმში იმყოფება, აწარმოებს მოლაპარაკებას თბილისის ახალ საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმების გამო და უსვამს შემდეგ პირობებს:

1. მისცეს თბილისის მთავრობამ ჩვენს მთავრობას დრო მშვიდობიანათ მოახდინოს დემობილიზაცია და დაითხოვოს ჯარისკაცები სახლში;

2. სრული ამნისტია და ხელუხლებლობა ჩვენი აფიცრებისა;

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც. 3-4.

3. საბჭო(თა) ჯარებმა უნდა განდევნონ თურქები ბათუმი-არდაგანართვინიდან და თვითონ დაიკავონ ეს ალაგები.

რასაკვირველია, როდესაც არ ვიცით რა ნიადაგზედ ხდება მოლაპარაკებები ჩვენი და თბილისის ბატონებს შორის, და გარდა ამისა, თუ გვყავს კიდევ რაიმე ძალა, რომელსაც უნდა უკანასკნელებმა გაუწიონ ანგარიში, ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ მოლაპარაკებებს. მე-3 პირობა, ზემოთ მოყვანილი ბევრნაირათ შეიძლება ვიმსჯელოთ და ჩემს აზრს, რომლის გამოთქმაც საჭირო არ არის, თქვენც მიმიხვდებით. დღევანდელ დილის გაზეთებში სხვადასხვა, ერთი მეორეს საწინააღმდეო დეპეშებია მოყვანილი. ერთი გაზეთით (Tempo)თითქოს ბათუმი დაეცალოთ ოსმალებს და საბჭოთა ჯარებს დაეკავებინოთ (მაშინ ჩვენი მთავრობა ხომ ბათუმიდან უნდა წამოსულიყო, თუ რაიმე შეთანხმება არ მოხდა). ამის საწინააღმდეგო დეპეშაა 21-დან სტამბოლიდან მეორე გაზეთში (Italii): „გუშინ მოხდა შეტაკება საქართველოსა და ოსმალების ჯარებს შორის, რადგანაც ოსმალებმა გამოაქვეყნეს განცხადება (პარლამენტის), რომლითაც ბათუმი ოსმალეთის საკუთრებათ ხდებოდა. დიდი ბრძოლების შემდეგ ქუჩებში, რომელიც მთელი დღე გაგრძელდა, ქართველებმა გაყარეს ოსმალები. არტილერიის ცეცხლმა ძალიან დააზარალა ქალაქი. საქართველოს ჯარი უტევს ოსმალეთის ჯარს მე-60 ვერსტზე ბათუმიდან.

მესამე დეპეშა, რომელიც ცოტა გაუგებარია, ამბობს (იმავე რიცხვის სტამბოლიდან): ბათუმი ოსმალებმა დაცალეს, სადაც ერთი ნაწილი ქართველი ცხენოსანი ჯარისა შევიდა. ოსმალებმა გადასცეს მათ ბოლშევიკების დაკავებულნი პირნი, რომელიც დაიჭირა ძველმა საქართველოს მთავრობამ."

ამ სამი დეპეშიდან ერთი რამ ცხადია, ოსმალებმა ბათუმი დაცალეს, ვინ აიღო ბათუმი და მოხდა თუ არა მართლა შეტაკება, ეს ნათლად არ არის ჩვენთვს.

სამინისტროში გვითხრეს აგრეთვე (ჩერუტის ამბით), რომ ჩვენს ხალხში იზრდება უკმაყოფილება ჩვენი მთავრობისადმი, ვითომდა საქართველოს ქონების გატანის გამო, რომელიც წაეღოთ ბათუმიდან გემით. აი, რაც მაქვს დღეს სათქმელი და ხვალ, ან ზეგ შეგატყობინებთ, რასაც გავიგებთ და სფორცასთან აუდიენციის შედეგს.

პატივისცემით გიორგი მაჩაბელი

საქართველოს პოლიტიკური საქმეების მწარმოებელი იტალიაში."[1]

„1 აპრილი, 1921 წელი

საქართველოს სრულუფლებიან მინისტრს პარიზში

დიდათ პატივცემულო ბატონო მინისტრო!

გუშინ იყო ჩემთან ყოფილი იტალიის მინისტრი საქართველოში ბ-ნი ჩერუტი, მასთან ერთად უნდა ჩამოსულიყო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ჟორდანია, მაგრამ სწორედ წამოსვლის წინ გამხდარიყო ავად და იძულებული იყო დარჩენილიყო სტამბოლში. ბ-ნ ჩერუტის სიტყვით ბ-ნი ჟორდანია დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში აქ უნდა ჩამოვიდეს.

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც. 5-6.

რაც ბ-ნმა ჩერუტიმ გადმომცა, ე. ი. ბოლოს ჩვენში მომხდარ ამბები, ამაზედ ზედმეტია ლაპარაკი, მით უმეტესად, რომ ბ-ნი ევგენი გეგეჭკორი თვითონ იქნება ეხლა მანდ და უფრო დაწვრილებით გადმოგცემდათ ყველაფერს. მე ლაპარაკის დროს შევატყვე, რომ მას უცნაურად მიაჩნდა ჩვენი დამკიდებულება ქემალისტებთან, ერთ დღეს მათთან შეთანხმება და მეორე დღეს ბოლშევიკების მათზე მისევა. საინტერესო იყო ისიც, რომ მას ენახა ნასვლის წინ შეინმანი, რომელსაც ეკითხნა, თუ ბატონი გეგეჭკორი ჩამოვიდაო და როდესაც გაეგო უკანასკნელის ჩამოსვლა, ეთქვა: სამწუხაროდ, დაიგვიანაო, მასთან შევთანხმდებითო და ბ-ნ საბახტარაშვილთან კი შეუძლებელი იყო ლაპარაკიო.

ბათუმის შესახებ ბ-ნი ჩერუტი იმ აზრისაა, რომ იგი უნდა, რასაკვირველია, ეკუთვნოდეს საქართველოს. თქვენ ალბათ იცით, რომ ართვინისა და არდაჰანის ოლქები უჭირავთ ჩერუტის სიტყვით ქემალისტებს. დღეს 2 საათზედ მაქვს მოლაპარაკება ბექირ სამი ბეისთან, რომელიც მხოლოდ გუშინწინ ჩამოვიდა და 6 საათზედ სამინისტროში, სადაც უკვე მქონდა ყველა საკითხზე ლაპარაკი, თანახმად თქვენი ინსტრუქციისა.

გერმანელებთანაც მქონდა ლაპარაკი. თითქმის გადაჭრით შემიძლია თქმა, რომ ჯერჯერობით არავითარი გამორკვეული გეგმა არ არსებობს მათ (გერმანია, იტალია, რუსეთი, ოსმალეთი!) ერთი ერთმანეთთან დამოკიდებულებაში. ჩერუტის სიტყვით, ბ-ნი რაუშერი დაბრუნებულა თბილისში თავის მთავრობის დავალებით.

ამ წერილთან ერთად ბ-ნი აფხაზი გიგზავნით თავიანთ ხარჯებს, ანგარიში გასწორებულია 1 მარტამდის და ამ რიცხვიდან ვანგარიშობთ ახალ თქვენგან დამტკიცებულ ბიუჯეტს". (წერილში საუბარია ფულად ანგარიშზე, რომ აფხაზს დააკლდა ფული, რომელიც არ იცის, როგორ მოპარეს თუ დაკარგა, რომ ეს იცის ჯაყელმაც, ითხოვს დიპლომატიურ პასპორტებს აფხაზისთვის (აქვს ძველი, როგორც საბახტარაშვილის ადიუტანტსო), მისი ცოლისა და მისთვის[1].

ჩხენკელს გაუგზანია დეპეშა მაჩაბლისთვის, რადგან ჟორდანია პარიზში ჩავიდა და მალე ვერ ესტუმრებოდა იტალიას, სადაც მისი აუდიენცია იყო დაგეგმილი იტალიის მთავრობის თავმჯდომარესთან.

„1921 წელი 8 აპრილი, პარიზიდან რომში გიორგი მაჩაბელს.

გიორგი, შენი დაუზღვეველი წერილი მივიღე. საგარეოში უნდა თქვა შემდეგი: თავმჯდომარე სტამბოლიდან, გამხდარა ავათ გზაში, გახდომია ავათ პატარა ქალიშვილიც და გადაუწყვეტია პარიზში მოესტუმრებია ეს ორი ავადმყოფობა. ჯერ არ გამოდის გარეთ, არც ოფიციალური მიღება ჰქონია და არც მიდის ვინმესთან, ამ ორ-სამ დღეში მიდის სოფლად გამოსაკეთებლად, მას ახსოვს და არ დავიწყნია, რომ უნდა ჩავიდეს რომში, გადასცეს მთავრობას დიდი მადლობა და თან საქმიანი ლაპარაკი იქონიოს. დრო არ ვიცით, დამოკიდებულია, როდის გამოკეთდება". საუბარია ნოეზე (ჟორდანია).[2]

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც.7-8.
[2] სცსსა 1864, აღწ. 2, საქმე 609, ფ. 1.

„რომი, 2 აპრილი, 1921.

ძვირფასო აკაკი,

დღეს მქონდა მოლაპარაკება ბექირ სამი ბეისთან. მან მითხრა, რომ მანდაც ჰქონია მას საუბარი, როგორც თქვენთან, ისე აზერბაიჯანის და მთიულეთის დელეგაციებთან. მაგათ(თურქებს) ეხლა ძლიერ გაუჭირდათ, ბერძნები ერთის მხრივ, ბოლშევიკების შიში მეორეს მხრივ. აკაკი, რომ გეყურებინა, როგორ ავაკანკალე. ისედაც უჭირდა ლაპარაკი და ჩემი სიტყვების შემდეგ ხომ მთლად ჩაუვარდა ენა. ავუწერე, თუ ეხლა როგორი ჯერი დადგა მათ მთავრობაზედ, თუ სრული ყურმოჭრილი მონები არ გახდენ მოსკოვისა, გამონახავენ რუსები ვისმე თურქს — ბოლშევიკს და გადაუბრუნებენ მათ მთავრობას. ამაზედ მიპასუხა, ბოლშევიკები ჩვენ არა გვყავსო. მე ვუთხარი, არც ჩვენ გვყავდა-მეთქი. ასევე დაგემართებათ თქვენ მეთქი, მთელი თქვენი ანატოლიის თურქები, რომელნიც დაიღალენ ბრძოლებით, პურ-მარილით მიიღებენ ბოლშევიკებს და კონსტანტინოპოლის გზას უჩვენებენ მეთქი. აი, ვნახოთ, თუ ასე არ მოხდეს მეთქი, თუ თქვენ ეხლავე არ გამოცვალეთ ძირიანათ თქვენი პოლიტიკა მეთქი. ერთის სიტყვით, ამ მიმართულებით გონზე რომ მოვიყვანე და ბათუმზედ დავუსვი საკითხი, არამცთუ ბათუმზე, არ ვიცი კიდევ რაზედ, უარს იტყოდა, ისე უმნიშვნელოდ მიაჩნდა ეს საკითხი იმ უბედურ მდგომარეობასთან, რომელიც მე მას ავუწერე და უნინასწარ-ვუთქვი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეხლა შეიძლება თურქებთან ლაპარაკი, შეიძლება გამოვაკეთოთ მდგომარეობა, მაგრამ საჭიროა რომელიმე დიდი სახელმწიფო იყოს შუამდგომელი და გარანტიის თავის თავზედ ამღები. იტალია მზად არის, ამაზედ დღეს მქონდა ლაპარაკი სამინისტროში, სამის ლაპარაკის შემდეგ. იქაც ავუხსენი, თუ რა დიდი საფრთხე მოელის მთელ ევროპას, თუ ბოლშევიზმმა სტამბოლამდის მიაღწია და სხვა. აქ ენა არ ჩავარდნიათ, მაგრამ ვატყობ, რომ დახმარება უნდათ გაგვიწიონ. მარტო იტალია, რასაკვირველია, არ კმარა, მაგრამ სხვა სახელმწიფოსთან ერთად (ინგლისი, ან საფრანგეთი, ან ორთავენი) იტალიაც არის საჭირო შიგ იყვეს, რადგან ქემალისტებს ძალიან გრძნობიერი დამოკიდებულება აქვთ ამათთან. თქვენი ჩამოსვლის შესახებ მითხრა, რომ დიდის სიამოვნებით მივიღებთო, ეხლა თქვენზედ არის დამოკიდებული ჩამოსვლაო. საჩქაროთ უნდა მოხვიდეთ, თუნდა რამდენიმე დღით და იქნებ ბექირ სამი ბეისაც მოუსწროთ.

კარგი იქნება იქით კვირას შუა დღეებში მოხვიდეთ და თან ბატონი ნოე ჩამოიყვანოთ. მისი ჩამოსვლა მეტად საჭიროა. ძალიან უხერხულად მოუვიდა, ჩერუტის დაჰპირდა, მალე ჩამოვალო. ჩერუტის სულ ყველაფერი დაემზადებინა ნეაპოლში, პრეფექტიც უნდა დახვედროდა, ორი ავტომობილი დამზადებული სორენტოში წასვლისათვის და სხვ. დღეს ჩერუტიმ გამომიცხადა (ეგეც ვნახე სამინისტროში), **ორთავენი (გეგეჭკორი და ნოე[1]) პარიზში წავიდნენო, როდესაც ჩვენ ბ-ნ ნოეს აქ ველოდითო. ამ საქციელმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება იქონია ჩვენს მთავრობაზედო, თითქმის მთელი ევაკუაცია, რაც არ იყო ადვილი, ჩვენ მოვანყეთო, ჩვენ გამოვიყვანეთ მთავრობაო, როდესაც**

[1] ნოე — ნოე ჟორდანია

თითქმის შეუძლებელი იყო, გადავარჩინეთ რამდენიმე უსიამოვნო მოვლენებისგანო და პარიზში კი მიდიანო. ერთი სიტყვით, ასეთი გავხდი, რომ არ ვიცოდი, რა მექნა, მაგრამ გაცინვით ვუპასუხე: ისინი პარიზში კი არ წავიდნენ, ბ-ნ ჩხენკელთან წავიდნენ მეთქი. თქვენ კარგათ იცით მეთქი, რომ ჩხენკელი აწარმოებს ჩვენს პოლიტიკას მთელს ევროპაში და ამიტომ, ის რომ აქ ყოფილიყო, ორთავენი აქ ჩამოვიდოდნენ მეთქი, ან ათინაში, იქ რომ უცაბედათ ყოფილიყო ამ დროს მეთქი. და გარწმუნებთ, აქ პარიზი არაფერ შუაშია მეთქი. და რომ ბ-ნი ჩხენკელი ჯერ არ მოსულა მეთქი, ესეც ცოტა თქვენი ბრალია მეთქი, აქამდე სფორცამ რომ ვერ მოიცალა პირადად მომელაპარაკა მასთან ჩვენ საკითხებზედ მეთქი და იმის პირიდანაც გამეგო, რომ ის მზადაა, რომ ბ-ნი ჩხენკელი, როგორც სრულუფლებიანი მინისტრი მიიღოს მეთქი. ამ ლაპარაკის შედეგი იყო, რომ მიმიღო სფორცას თანაშემწემ და იმანაც მითხრა, რომ დიდის სიამოვნებით მიგიღებენ. ასე რომ, ბატონმა ნოემ აუცილებლად უნდა გაასწოროს თავისი შეცდომა და თქვენთან ერთად საჩქაროთ ჩამოვიდეს და იტალიის მთავრობას მადლობა გადასცეს მათი მოქმედებისათვის. ამისთანა საქციელები დასაშვები არ არის. **გუშინდელ ჩემ წერილს მიიღებდი, აკაკი, კიდევ გიმეორებ, მოღალატეები გვირევია საქმეში. გაფრთხილდი, ნურავის ნუ უზიარებ შენს გეგმებს და მოქმედებებს. გააფრთხილე აგრეთვე ბ-ნი ევგენი და ნოე[1], მეტადრე პირველი. თქვენს მეტმა არავინ იცოდეს, რას ჰფიქრობთ, რას აკეთებთ. მერე გვიან იქნება. მალე დაინახავთ, რომ მართალი ვარ, მაგრამ ახლავე თუ არ დამიჯერეთ, მერე გვიან იქნება.**

ამ წერილს გზაში გწერ, ფლორენციაში მივდივარ რამდენინმე საათით. ჩემი ცოლი რომში უნდა წამოვიყვანო. ხვალ მაინც კვირაა და ორშაბათს ისევ დავბრუნდები.

ძმურის სალამით თქვენი

გიორგი მაჩაბელი."

(დამატება-მინაწერში წერს კავკასიის ერთა გაერთიანების სარგებლიანობაზე, მეტად დაგვიჭერენ მხარსო, თუმცა, ჩემზე კრგად შენ გესმის ეს საკითხიო).[2]

1921 წლის 21 მაისს ჩხენკელი გიორგი მაჩაბელს უგზავნის ღია ბარათს, სადაც წერს, რომ ბერნიდან პარიზში ჩამოვიდა. კმაყოფილი იყო შეხვედრით, საქართველოს საკითხს დიდი ყურადღება მიექცა, მოლაპარაკება მეზობლებთან მთავრდება და ჩქარა დეკლარაციით გამოვალთ, დავრჩები აქ ერთ კვირამდე, შემდეგ წავალ ლონდონშიო. ეკითხება, როგორ ჩაატარეს დამოუკიდებლობის დღე, მე მქონდა წვეულება ჟენევაში, 10 სტუმარი დაესწრო: პროფესორები, რედაქტორები და სხვა, აქაც ყოფილა წვეულება, გმართებთ ენერგიული მუშაობაო.[3]

საყვედურიც იცოდა, რადგან უპასუხისმგებლობასა და სიზარმაცეს ვერ იტანდა.

პარიზიდან, 10. VI. 21 წელს გიორგი მაჩაბლისადმი გაგზავნილ ღია ბა-

---

[1] ნოე — იგულისხმება ნოე რამიშვილი.

[2] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც.9-10.

[3] სცსსა 1864, აღწ. 2, საქმე 609, ფურც 4.

რათში ესყვედურება, მემუარი ხომ არ დაკარგეთ, მე ასლი არ წამომიღია, მინდოდა აქაც გადამეცა, ზეგ ლონდონში მივდივარ და იქაც მჭირდება. ველი დაუყონებლივ ახსნას. ევგენი ხვალ რომში მოდის, თავ-რე ჯერ ბრიუსელში, მერე ლონდონში წავა, დაბრუნებისას ჩამოვა რომში. სომხებმა მითხრეს, რომ რომში გადაგიხდია წვეულება 26 მაისის და სომხები არ მიგიპატიჟებია. ასე არ ვარგა. მეზობლებთან უკვე შევთანხმდით, მალე გამოვაქვეყნებთ დოკუმენტს. იცოდე, ასე წაყრუებაც არ ვარგაო.[1]

„6. I. 1922

დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი,

დღეს უკვე 6 იანვარია და თქვენგან არაფერი პასუხი არ მომსვლია ჩემს წერილზედ, 2 იანვარს გამოგზავნილზედ შესახებ მემორანდუმისა. ძალიან გვიანდება და ვშიშობ სრულად დაგვიანებული არ გამოდგეს მისი გაგზავნა. მეტად საჭირო იქნებოდა კი მისი გაგზავნა იტალიელებისათვის. ბ-ნმა მიხეილმა[2] გადმომცა შემეტყობინებინა ჩვენი რომის ლეგაციის მისამართი. აფხაზს უნდა გაეგზავნა ყველა ლეგაციებისათვის დაბეჭდილი ბარათები მისამართით. ბოდიშს ვიხდი, რომ ცოტა დაგიგვიანეთ შეტყობინება. დამავიწყდა. ვინ ინახულა ბნმა ევგენიმ რომში და მარტოა ეხლა კანში თუ არის ვინმე მასთან ერთად? კარგი იქნებოდა ჰყოლოდა თან ვინმე, როგორც მაგალითად, ბ-ნი მიხეილი.

ველი თქვენს პასუხს.

ამასთან ერთად გიგზავნით ერთ ცალს მოკლე მემორანდუმისას, რომელიც გავუგზავნე (სრულიათ, როგორც კერძო წერილი) ჩემს მეგობარს ჰორნეს, რომ ამ აზრით ელაპარაკოს თავის გავლენიან ნაცნობებს და პირებს კანში. ეს მემორანდუმი დავწერე გერმანულად და ჩემს მასწავლებელთან ერთად გადავთარგმნეთ ინგლისურად. ესეც იმავე შინაარსითაა დაახლოებით შედგენილი, როგორც იტალიელებისათვის, მხოლოდ რასაკვირველია მითითებულია ინგლისელების ინტერესებზედ.

უდიდეს საჭიროებას წარმოადგენს, როგორც გწერდით უკვე ამაზედ, პატარა წიგნაკი ინგლისურ ენაზედ, რუქები, სადაც უმთავრესად უნდა იყოს გატარებული ის აზრი, თუ რა დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს საქართველოს და კავკასიის დამოუკიდებლობა ინგლისისათვის.

უკანასკნელთ ძალიან ეშინიათ, რომ კავკასიის საკითხმა არ გამოიწვიოს ომი მათ და რუსეთს შორის. ეს აზრიც უნდა გავუქარწყლოთ მათ. უნდა ჩავაგონოთ, რომ რუსეთი დიდხანს იქნება კიდევ დასუსტებული და ამ დროის განმავლობაში კი რომელიმე დიდი სახელმწიფოს დახმარებით ჩვენ შეგვიძლიან ისე გავამაგროთ კავკასია, ეს ბუნებრივი სიმაგრე, რომ რუსეთისთვის შეუძლებელი იქნება მისი აღება და დამორჩილება. ბევრი ამისთანა საკითხებია, რომლებიც სრულებით არა აქვთ ინგლისელებს გამორკვეული და ამიტომ საჭიროა ჩქარა დაიწეროს და გამოიცეს ეს წიგნაკი. მიხაკო წერეთელი რომ აქ ყოფილიყო, 2-3 დღეში დავაწერინებდი ამ წიგნაკს. არ ვიცი, თვითონ იკისრებს ამის დაწერას თუ არა, საჭიროა კი

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც. 11.

[2] მიხეილ სიუმბათაშვილი.

ახსნა, რა საკითხებს უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება. თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, შეეკითხები მას ბერლინში. ეკონომიკური საკითხებისათვის ბ-ნი ნიკოც დაგვეხმარებოდა. იქნებ ბერლინში კიდევ ჰქონდეთ რუქებიც, სადაც განმარტებული იყო ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობა და ასე მოკლე ხანში შეიძლებოდა ამ ბროშურის დამზადება.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი და ახალი წლის გულწრფელი საუკეთესო სურვილები ჩვენგან თქვენ და ქალბატონმა მაკრინემ.

თქვენი გიორგი მაჩაბელი."[1]

„3. I. 1922

დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი,

გუშინ გამოგიგზავნეთ მემორანდუმის ასლი, რომელიც მინდა გავუგზავნო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს აქაური საელჩოს საშუალებით პირდაპირ კანში. თქვენი პასუხის მიღებისთანავე, რომელიც იმედი მაქვს დიდხანს არ დაიგვიანებს, დაუყონებლივ გადავსცემ გასაგზავნად. განა კარგი არ ქნებოდა თქვენის მხრიდანაც გაგეგზავნათ ყველა კონფერენციის წევრისთვის მოკლე მემორანდუმი ჩვენი საკითხის შესახებ? განსაკურებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ **ჩვენ, მთავრობის და ეხლანდელ გაბატონებულთ შორის არის დიდი განსხვავება და ნამეტნავად ძირითად საკითხში — საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. ჩვენი მთავრობა, გარდა იმისა, რომ იგი არის არჩეული მთელი ერის მიერ და ამიტომ გამომხატველია მისი სურვილისა, იგი არის მებრძოლი სრული დამოუკიდებლობისათვის ამ ქვეყნისა იმ დროს, როდესაც ეხლანდელი ვაუბატონები არიან უბრალო აგენტები მოსკოვისა. დათარეშობენ მხოლოდ რუსის ჯარის დახმარებით და რუსეთთან შეერთების მომხრე არიან.** ნათლად უნდა დაინახონ ევროპის სახელმწიფოებმა, ნამეტნავად ინგლისმა, ეს განსხვავება, თორემ აქ თურმე ამბობენ: ჩემთვის განა სულერთი არ არის, საქართველოში მენშევიკები იქნებიან თუ ბოლშევიკები, მათ შორის დიდი განსხვავება არ არისო. ამათი წარმომადგენელი ჩვენში ამგვარ მოხსენებებს აწვდიდა (თუ ეხლაც აწვდის?)თავიანთ მთავრობას და ჩვენს წარსულს წარმომადგენლობას ბევრი არ უზრუნვია, ეს აზრი გაექარწყლებინა. პირიქით, ცეცხლს თურმე ნავთს ზედ ასხავდა. აქ დიდი პროპაგანდის გაწევა არის საჭირო. ამ მხრივ ჩვენი მანდაური ინფორმაციული ბიურო თითქმის არაფერს არ აკეთებს. არ გვაქვს ინგლისურ ენაზე (გარდა ღამბაშიძის წიგნაკისა) არცერთი ბროშურა, საიდანაც შეეძლოთ ინგლისელებს წარმოდგენა ჰქონოდათ ჩვენს ქვეყანაზე. არ არის რუქები, საიდანაც შეგვეძლო ადვილად დაგვენახვებინა თუ რა დიდებული გეოგრაფიული ალაგი უჭირავს ჩვენ ქვეყანას. ამისთანა რუქები გვქონდა თავის დროზე ბერლინში, ახსნით და აწერილობით. იბეჭდება სქელ-სქელი წიგნები ორიოდ პირთათვის და უსაჭიროესისათვის კი არაფერი ყურადღება არ არის მიქცეული. მინდოდა ეხლა ზოგიერთ მნიშვნელოვან პირთათვის დამერიგებინა რაიმე ლიტერატურა და ჩვენს ლეგაციაში სრულიად ვერაფერი ვერა ვნახე გამოსაყენებელი. მარტო ორიოდე ფრანგული, სრულიად

[1] სცსსა 1831, აღნ. 2, საქმე 418, ფურც. 12.

უმნიშვნელო ბროშურები. საჭიროა ამ საკითხს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. უნდა დაიბეჭდოს პატარა წიგნაკი ინგლისურ ენაზედ, სადაც მოკლედ უნდა იყოს მოყვანილი საქართველოს აწერილობა და უმთავრესი ნაწილი კი დათმობილი საქართველოს და საერთოდ კავკასიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. რამდენიმე რუქა უნდა განმარტავდეს ამ აზრს. ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება ჩქარა, ვიდრე რუსეთის და ჩვენი საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდეს. კაუცკის ბროშურით პროპაგანდას ვერ გავწევთ. ამ დღეებში წავიდა კანში ერთი ჩემი ინგლისელი მეგობარი — ჰორნი, ნათესავი ჰორნისა, რომელიც ინგლისის ეკონომიური მისიის თავმჯდომარეა. მას დავავალე ყველასთვის ელაპარაკნა (დიდი ნაცნობობა ჰყავს) ჩვენს საკითხზე და მივეც პატარა მემორანდუმისავით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს საკითხს ინგლისისათვის. სამწუხაროდ, რუქები და სათანადო წიგნაკები არ მქონდა თან გამეტანებინა გასავრცელებლად.

თითქმის ყველა გავლენიანი პირნი წასულნი არიან კანში. დღეს ვან სიტურატიც კანში მიდის. იქ რომ ვინმე გვყავდეს ეხლა დამხმარებელი, ბევრი რამ შეეძლო გაეკეთებია ჩვენთის. ბ-ნ ევგენისგან რა ამბები გაქვთ? ინახულა ვინმე და გადასცა რამე მემორანდუმი თუ არა?

რაც შეეხება ჩემს დაბრუნებას რომში, გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს ძნელ მდგომარეობაში და კიდევ ერთი კვირა სულ ბევრი-ბევრი ათი დღე მომაცდევინოთ აქ. ყველაზედ ბევრს მე თვითონ ვიტანჯები, რომ იძულებული ვარ აქ გავჩერდე. შვიდ ამ თვეს ექიმი უნდა დაბრუნდეს ლონდონში და მას რომ მოველაპარაკები ერთად (ჩემს ცოლთან) დავბრუნდები იტალიაში. რომში აფხაზს დავავალე საქმეებისთვის ყური ეგდო და ჩემს ჩამოსვლამდის ეწარმოებინა. მის გასამრჯელოს ჩემი ჯამაგირიდან მივცემ, ასე რომ ლეგაციას ის არ დატოვებს ჩემს მისვლამდის.

გაზეთებში წაიკითხავდით იტალიისა და რუსეთის ხელშეკრულების უმთავრესი მუხლების შინაარსს. ამასწინათ გაზეთებმა დაწერეს, რომ ეს ხელშეკრულება ძალაში შედის აგრეთვე კავკასიის რესპუბლიკებისათვის. როგორც აქაურ საელჩოში გადმომცეს, ვოროვსკის გადაეცა ეს გადაწყვეტილება დელლა ტორეტასათვის, და მას გამოეცხადებინა საგარეო საქმეთა კომისიისათვის პარლამენტში. საინტერესოა თუ რა პოზიციას დაიჭერს იტალიის მთავრობა ჩვენს მიმართ ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ. არ ვიცი თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

გაიგებდით აგრეთვე იტალიის დისკონტო ბანკის სიძნელეში ჩავარდნას. გქონდათ კიდევ ფული შიგ თუ არა? იტალიის ფინანსური მდგომარეობა დღითი დღე ძნელდება და რუსებთან ხელშეკრულება მათ ვერ უშველის. დღეს მათ ელჩთან ვიყავ კიდევ. არაფერი წარმოდგენა არა აქვს, ბევრი ველაპარაკე. ვეცადე ამეხსნა მისთვისაც, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს იტალიისათვის. ვუთხარ მემორანდუმის შინაარსი, მთხოვა ერთი ცალი მისთვისაც მიმეცა. მისი გაგზავნის დროს მისწერენ თავისითაც დელა ტორეტას ამის შესახებ. ჩემი მეგობარი — ტალიანი ძალიან ცდილობს, ეგ რომ აქ გადმოეყვანათ და რომში დარჩენილიყო, ჩემთვის

დიდი დამხმარე კაცი იქნებოდა.

ამ დღეებში ნიკოლაძეს შევახვედრებ ერთ მეტად მნიშვნელოვან პირთან, რომელიც დგას სათავეში სხვადასხვა რკინისგზებისა, როგორც ინგლისში, ისე კოლონიებში. ჩვენი საკითხით ძალიან დაინტერესდა, მხოლოდ სთქვა: საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ახლო მომავალში ამის გამო რუსეთთან ომი არ მოგვიხდესო. მითხრა კიდევ, რომ 15-ში აქ ჩამოვა მეტად გავლენიანი პირი (სახელი არ უთქვამს), რომელსაც, თუ მოინდომა, შეუძლიან თქვენი ქვეყნის ბედ-იღბალში გადამჭრელი როლი ითამაშოსო. გავაცნობ მას აგრეთვე სუმბათაშვილს, შესაძლებელია გამოგვადგეს. მის გვარს შემდეგ წერილში შეგატყობინებთ, სადღაც დავდე მისი მისამართი. ჩიკ-ია და დიდი ალაგი უჭირავს. გთხოვთ შემატყობინოთ, თუ ახალი ამბები გაქვთ საყურადღებო.

ღრმა პატივისცემით

გიორგი მაჩაბელი."[1]

„4. II. 1922

საქართველოს სრულუფლებიან ელჩს პარიზში

დიდად პატივცემულო

ბატონო აკაკი,

გენუაში დიდი მზადებაა კონფერენციისათვის. ასწორებენ ქუჩებს, გაჰყავთ ტელეგრაფ-ტელეფონები, ამზადებენ ადგილებს, სადაც კონფერენციის წევრები დადგებიან. გენუის მახლობელ საავარაკო ალაგებს სადგურებთან ექნება მუდმივი მიმოსვლა ელექტრონის რკინისგზის საშუალებით და სხვ.

როგორც გავიგე, უმეტესი ნაწილი წევრებისა განლაგებულნი იქნებიან გენუის ამ ახლო მყოფ ლამაზ ადგილებში და ერთი მათგანი არის ნერვი, საიდანაც გწერთ ამ წერილს. მშვენიერი ალაგია. ჩქარი მატარებლით 15 წუთი გენუიდან (ომნიბუს-მატარებლით ნახევარ საათზე ნაკლები). სასტუმროც არ არის ურიგო. როგორც დამარწმუნა ამისმა დირექტრმა, ლოიდ ჯორჯისთვისაც ამ სასტუმროს მახლობლად ამზადებენ ვილას. თვით სასტუმროში იდგებიან ზოგიერთი დელეგაციები, აქ დავუკვეთე 4 კაცისთვის ალაგები კონფერენციის დასაწყისისათვის. დღეში ღირს ოთახი მთელი პანსიონით 50-60 ლირამდის. ეს ძვირი არ არის. ვილებიც დავათვალიერე, მაგრამ შესაფერი ვერა ვნახე რა. ასე რომ ალაგები გვექნება და ძალიან კარგ პირობებში: ახლო გენუიდან, ერთ საუკეთესო სასტუმროში, სადაც სხვა დელეგაციებიც იქნებიან და არც ძვირია. ჩემი ცოლიც აქ დავაყენე და თვალ-ყური ეჭირება, რომ ჩვენი ოთახები დროზედ იყვნენ მზად. მე დღეს რომში ვბრუნდები. როგორც გაიგებდით, ბონომის სამინისტრო დაეცა. დაეცა ისე უფეროდ, უმნიშვნელოდ, როგორიც თვით სამინისტრო იყო. მემარცხენე დემოკრატებმა უარი გამოუთქვეს დახმარებაში. გაზეთები სხვადასხვა მიმართულებისა ყველაფერს აბრალებენ ამ სამინისტროს: მემარჯვენეებს, ვითომ იგი ეარშიყებოდა სოციალისტებს, უკანასკნელნი, რომ იგი მხარს უჭერდა ფაშისტებს;

[1] სცსსა 1831, აღნ. 2, საქმე 418, ფურც. 13-14.

კორიერა დელლა სერა ამტყუნებს, რომ სამინისტრომ ვერა საკითხი ვერ გადაწყვიტა. კანშიც ვერ დაიცვა იტალიის ინტერესები და მუდმივ შუამდგომლობის როლიდან (საფრანგეთ-ინგლისს შორის) ვერ გამოვიდა, რომ თავისი საკუთარი აზრი არ ჰქონდა და ბევრი სხვა. ვინ იქნება ბონომის მოადგილე, ძნელია ითქვას. ნიტისთვის ჯერ ადრეა. ჯიოლიტი ისევ ძველი სიმღერა იქნება. ალბათ დე ნიკოლა, ახლანდელი პარლამენტის თავმჯდომარე და მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა არავინ ჰყავთ ხეირიანი. მისი სამინისტროც იქნება დროებითი. ასახელებენ აგრეთვე ჯიოლიტი-ორლანდოს კომბინაციას, სოციალისტებ-კათოლიკების ბლოკიც მოსალოდნელია, თუ სოციალისტებმა დაარღვიეს მათი მილანის დადგენილება. ბონომის იმასაც აბრალებენ, რომ კათოლიკებს დიდ მნიშვნელობას აძლევდა და რომ პაპი არ მომკვდარიყო, ასე მალე არ დაეცემოდა, რომ პაპის სიკვდილმა ბონომის სამინისტროსაც მოუსპო ცხოვრება. რასაკვირველია, ეს გადაჭარბებაა ანტიკლერიკალების მხრივ, თუმცა კათოლიკებს მნიშვნელოვანი პორტფელები ეკავათ.

ამ წერილთან ერთად გიგზავნით ჩიჩერინის დეპეშას ბონომისთან, სრულ ტექსტს, შესახებ რუსეთის დელეგატების დასახელებისა. აქ საქართველოს და დანარჩენ რესპუბლიკებს ჩიჩერინი უწოდებს „ალეატებს" (მოკავშირეს) და მათი წარმომადგენლები კი არიან წევრები ცენტრალურ მთელი რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტისა და არჩეულნი ამ უკანასკნელ კომიტეტის მხრივ. სადაური მოკავშირენი და სადაური სუვერენული სახელმწიფოები არიან? ალბათ, ბოლშევიკური ლოღიკით.

ალბერტ თომა რომში იმყოფება. გაზეთების სიტყვით იგი მოლაპარაკებია ლოიდ ჯორჯის და პუანკარეს თანამშრომლობის შესახებ გენუის კონფერენციისა და ჟენევის საერთაშორისო ბიუროს მუშაობაში. ორთავეს მიუციათ თავიანთი დასტური და ეხლა მას სურდა მოლაპარაკებოდა ბონომის ამის შესახებ და სურდა შეემუშავებინა გეგმა თანამშრომლობისა და სამინისტროს დაცემამ ხელი შეუშალა დაემთავრებინა ეს მუშაობა. ალბათ დაუცდის ახალი სამინისტროს შედგენას. მე, სამწუხაროდ, არ ვიცნობ მას, მაგრამ თქვენ ყველანი მგონი კარგ განწყობილებაში ხართ მასთან და მას შეუძლია გავლენა იქონიოს ლოიდ ჯორჯზედ. რომიდან მოგწერთ იქაურ ამბებს უფრო დაწვრილებით.

ღრმა პატივისცემით გიორგი მაჩაბელი."[1]

იტალიის პოლიტიკური ამბები და საქართველო-იტალიის ურთიერთობს დეტალები კარგად ჩანს გიორგი მაჩაბლის სხვა წერილებშიც. იტალიაში კრიზისი იყო ყველა სფეროში, ქართველი დიპლომატები ცდილობდნენ ევროპელ და იტალიელ პოლიტიკოსებთან მიეღწიათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მხარდაჭერას.

„13. II. 1922

საქართველოს სრულუფლებიან ელჩს პარიზში

დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი,

პოლიტიკური კრიზისი, გამოწვეული ბონომის სამინისტროს გა-

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც. 15-16.

დადგომით დღემდის გამორკვეული არ არის. როგორც გაზეთებიდგან შეიტყობდით, ვერც დე-ნიკოლამ (პარლამენტის თავმჯდომარემ) და ვერც უწინდელმა მთავრობის თავმჯდომარე ორლანდომ სამინისტროს შედგენა ვერ მოახერხეს. ჯიოლიტიმაც უარი სთქვა თავი რომ არ შეერცხვინა და ნიტი არ სთვლის ჯერ თავს ამისთვის მზად. როგორც უთქვამს რამდენიმე თვე კიდევ გაივლის, ვიდრე დადგება მისთვის ხელსაყრელი დრო. ასე რომ, არავინ გამოჩნდა, რომელსაც შეეძლო სამინისტროს შედგენა. ქვეყანა უმთავრობოდ რჩებოდა, ამ მდგომარეობამ თავი იჩინა ზოგიერთ პროვინციის ქალაქებში, სადაც ხელახლა დაიწყო ფაშისტ-კომუნისტების შეტაკებანი. მეფემ უკან წაიღო თავისი დასტური ბონომის გადადგომაზედ, ისე მოახერხეს, თითქოს მას საბოლოოდ ჯერ არ მიეღოს გადაწყვეტილება, აგრეთვე დე-ნიკოლას და ორლანდოს მინვევას მისცეს ოფიციალური ხასიათი და ასე ამგვარად, ხუთშაბათს, 16 თებერვალს, ბონომი წარუდგება პარლამენტს, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. როგორც იცით, ის გადადგა, ვიდრე პარლამენტში კენჭის ყრამდის მივიდოდა საქმე, ასე რომ, პარლამენტს ჯერ არ გამოუცხადებია თავისი უნდობლობა. თურმე ამ ხრიკის უკან მეორე ხრიკი მარხია ბონომის პორტფელში. მას აქვს დეკრეტი მეფისაგან, რომ თუ პარლამენტი მას ნდობას არ გამოუცხადებს, პარლამენტი დაშლილი იყვეს. ეს დეკრეტიც ფიქტიურია, რომ აიძულოს პარლამენტი ნდობის გამოცხადებაზედ. აქ ყოველ პარლამენტის წევრს საშინლად ეშინიან პარლამენტის დაშლისა, გამოწვეული ეჭვით, რომ იგი ხელმეორედ იქნება ამორჩეული. დაჰკანკალებს თავის ალაგს და ამიტომ შესაძლებელია ბონომიმ უმრავლესობა მიიღოს. მეორე მხრივ, მთავრობაც იმავე შიშის მდგომარეობაშია და ძნელი წარმოსადგენია, რომ ასე მოკლე ხანში გაბედოს ორჯერ დათხოვნა პარლამენტისა. ასე რომ, შესაძლებელია რომ უმცირესობაც მიიღოს მთავრობამ, მან (ბონომიმ) გაბედოს თავის თავზედ აიღოს ეს დიდი პასუხისმგებლობა. ერთის სიტყვით, იტალია განიცდის საშიშ პოლიტიკურ კრიზისს, რომელიც მას არ ახსოვს მისი დაარსებიდან (1870), ბონომის სამინისტროც რომ დარჩეს, ზოგიერთი მინისტრები მაინც გამოიცვლებიან და მათ შორის იქნება ალბათ დელა-ტორეტაც, როგორც ეს ჩანს პრესის უმადურობისაგან. ჩვენთვის ეს ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ ვინ იცის თუ მისი მემკვიდრე უკეთესი არ გამოდგება. ასახელებენ დე-მარტინოს, იტალიის ელჩს ლონდონში, პირველად გაიგო საქართველოზედ, როგორც ეს შევატყვე მისი მოცემული კითხვებიდან ჩვენს ქვეყანაზედ და ჩვენს მდგომარეობაზედ. ეხლანდელზე უარესი მაინც არ იქნება, ისე ძალიან აქებენ მის ჭკუას და წინდახედულობას. ამ რამდენიმე დღეში გამოირკვევა აქაური მდგომარეობა.

ამ რამდენიმე დღის წინათ 5 საათი მაინც ველაპარაკე ჩვენს საკითხზედ ბოჯიანო-პიკოს, რომელიც იყო მოსკოვში გაგზავნილი იტალიის მთავრობის წარმომადგენლად და რომელიც დაბრუნდა იქიდან ერთ თვეზე მეტია. იგი იქნება აგრეთვე გენუაში იტალიის დელეგაციის წევრად. წასვლის წინათ მას მე დიდხანს ველაპარაკე (ჩემი კარგი მეგობარია), რასაც თავის

დროზე თქვენც გატყობინებდით. მოსკოვის კომუნისტების სათვალეებით ჩამოსულა, მთლად მათ უჭერს მხარს. ვერაფერი არგუმენტები ვერ მოქმედებენ, თქვენთვისაც (ქართველებისათვის) საუკეთესო გამოსავალია რუსეთის ფედერაციაში დარჩეთო. ან სულელია, თუმცა ეს არ შეიძლება ითქვას მასზედ, ან ბოლშევიკებმა მასაც გამოატანეს პლატინის ქვაბი საჩუქრად. ხუთი საათის ბაასის შემდეგ რომ ვერაფერს გავხდი, ვუთხარ: კარგათ რომ არ გიცნობდეთ მეთქი მეგონებოდა ბოლშევიკებმა მოგისყიდათ მეთქი, გუშინ ხელმეორედ შემხვდა და გაკვრით მითხრა: ბოლშევიკებს ჯარის გაყვანას საქართველოდან ნუ მოსთხოვთ, მათ სჭირიათ იქ ჯარებიო და არც გაიყვანენო, მოსთხოვეთ თქვენი დამოუკიდებლობის და რუსეთთან დამოკიდებულების ჩამოყალიბება საერთაშორისო კონფერენციაზედო. ამაზედ მე ვუპასუხე, რომ რუსეთს ჯარები სჭირდება საქართველოში ალბათ იმიტომ, რომ მათი ვაჭრების საქონელს რეკვიზიცია მოუხდინონ. მართლაც, ამ მოკლე ხანში ორი დიდი რეკვიზიცია მოუხდენიათ: ერთი ბანკა დი სკონტოსი და მეორე ბანკა დი რომისა. ახია მათზედ, იტალიელების მეტი თურმე არავინ ვაჭრობს იქ.

დოქტორ რაუშერის ჩამოსვლა. ამ რამდენიმე დღის წინათ ჩამოვიდა თბილისიდან რაუშერი და შაბათ საღამოს გაემგზავრა უკვე ბერლინში. მეტად საინტერესო ამბები ჩამოიტანა იმ მხრივ, რომ ჩვენი ინფორმაცია საქართველოს მდგომარეობაზედ სრულიად მტკიცდება. ხალხი, ყველა კლასები და პარტიები საშინელი წინააღმდეგები არიან მათი ბატონობისა. ამ უკმაყოფილებას ბოლშევიკები არავითარ ანგარიშს არ უწევენ, პირიქით, თავიანთი ქცევით, როგორც კერძოთ, ისე პოლიტიკურად უფრო აძლიერებენ ამ უკმაყოფილებას. კავკასიის ფედერაცია კი არ შეჰქმნეს, რუსეთის პროვინციად გახადეს კავკასიის რესპუბლიკებიო. თვითონაც საშინელი უკმაყოფილოა თბილისის ბატონებისა, საშინლად გალანძღა ბუდუ მდივანი, უსაძაგლესი პიროვნებაა და ბევრი რამ დაუმატა მის შესახებ. სვანიძე არაფერიაო, სრულიად არას არ წარმოადგენს და არც არაფერი ძალა აქვსო, მეტადრე მისი ცოლის შერთვის შემდეგო (რუს-ებრაელი!!), რომელსაც მთლად ხელში უჭირავსო. რაუშერი, თუმცა დიდი ამბით მიუღიათ მისი ბათუმიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში, მაგრამ იგი არ ყოფილა იურიდიულად წარმომადგენელი ბოლშევიკების წინაშე. ბოლშევიკებს ვერ გაუბედნიათ თურმე მოეთხოვათ მისიის რწმუნების ქაღალდი და თავისით მას არც უფიქრია ეს სიამოვნება მიეყენებია მათთვის. მართალია, მანაც დაადასტურა, რომ იტალიელები ვაჭრობენ ჩვენში, მაგრამ მხოლოდ წვრილი სპეკულანტები (უწინდელი ოფიცრები), რადგან არცერთ სერიოზული ვაჭარი ან ფირმა იქ საქონელს არ გაგზავნის, რაკი სამაგიეროს ვერას აიღებსო. ეს წვრილი სპეკულიანტები კი, საქონელში თუ მიიღეს ბონები, ყიდულობენ ბრილიანტებს ან ხალიჩებს (ესეც კი ილევაო) და ასე ორ გროშს შოულობენ.

სრულიად დარწმუნებულია, რომ ბოლშევიკებთან არაფრის გაკეთება არ შეიძლება და რომ ქვეყანა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად

მოსპესო. მე მინდოდა მომეხერხებინა ინტერვიუ რომელიმე საგულისხმო გაზეთის რედაქტორთან, რომ რაუშერს ეამბნა მისთვის ყველაფერი, მაგრამ სიფრთხილისაგან მისი ცოლ-შვილის, რომელიც თბილისში დარჩა დროებით, არაფერი არ დამართონ რა, ვერ გაბედა. წარმოიდგინეთ, ბოლშევიკებს არ მიეცათ ნება წაეღო მთელი ბარგი, მოსთხოვეს ბარგის გასინჯვა, არ დასთანხმდა, ამიტომ თავისი ცოლი და ბარგი დასტოვა თბილისში და თვითონ წამოვიდა მოახსენოს თავის მთავრობას თბილისელების საქციელი. მგონი ინიშნება ელჩად საბერძნეთში. თუ მართლა იმისთანა კმაყოფილია ბოლშევიკების რეჟიმით, როგორც მისი მოხსენებებიდან კაცმა შეიძლება ამოიკითხოს. საშინლად გაუკვირდა ფრანძონის ეს საქციელი: თურმე იქ სულ საწინააღმდეგოს ლაპარაკობს, აქ დარჩენა შეუძლებელიაო, არაფერი ბოლშევიკებთან არ კეთდებაო და სხვა. მე ამით ვისარგებლე და გადავეცი სამინისტროში. იმასაც გავუსვი ხაზი, თუ როგორ თავაზიანად (?) ექცევიან ბოლშევიკები იტალიელ ვაჭრებს. იმისთანა შთაბეჭდილება მივიღე, რომ ფრანძონი მალე იქნება გამოწვეული. არ მოვეშვები, ვიდრე ამას სისრულეში არ მოვიყვან. ბოლშევიკები თურმე მას თავს ეელებიან, შიშის გამო არ შეწყვიტონ იტალიელებმა გემების მიმოსვლა. ასე რომ, ნათლად ჩანს, რომ იგი თამაშობს ორმაგ პოლიტიკას. რაუშერის მოხსენება ბერლინში ჩვენ დიდ სარგებლობას მოგვიტანს, მე მას აქ გავუმასპინძლდი, სადგურამდეც გავაცილე, მე ვიყავ მარტო, ძალიან ეამა. თქვენ ყველასთან მოკითხვა დამაბარა.

ანგარიშებს ხვალ გამოგიგზავნით, აგრეთვე ჩემი ბაასის შინაარსს სხვა პატარა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, რომელთაც გადავეცი ნოტები. მათგან დავიწყე, რადგან გენუის კონფერენცია ალბათ გადაიდება და დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან სჯობია კონფერენციის წინ მისვლა, რომ ჩვენი ნათქვამი არ დაავიწყდეთ.

ამნაირად, ხვალ გავაგრძელებ ამ წერილს.

ღრმა პატივისცემით თქვენი გიორგი მაჩაბელი."[1]

„3. III. 1922

საქართველოს სრულუფლებიან ელჩს პარიზში

დიდად პატივცემულო

ბატონო ელჩო,

ანგარიშის წერილი დაწერილი მქონდა, რომ მივიღე თქვენი წერილი 28 თებერვლიდან ბ-ნ პუანკარესთან აუდიენციის ანგარიშთან ერთად და ეჩქარობ გიპასუხოთ ზოგიერთ კითხვებზედ.

ნოტები მართალია გადავეცი, მაგრამ ფინლანდიის მინისტრისაგან (ელჩისაგან) მაინც შემდეგი პასუხი მივიღე, რომლის ასლს ამ წერილთან ერთად გიგზავნით. დიდი სახელმწიფოების ელჩებს ხაზგასმით გადავცემ ნოტების ასლებს.

დღეს დილით ჩამოვიდა აქ ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი შანცერი. იქით კვირის დასაწყისში უსათუოდ ვინახულებ მას და გადავცემ

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც. 17-19.

ყველა თქვენგან დაბარებულ ნოტებს და დაწვრილებით მოველაპარაკები. აგრეთვე თქვენზედაც ვეტყვი, რომ პარიზში იმყოფებით და მისი მანდ ჩამოსვლისას ინახულებთ. დაახლოებით 10 ამ თვეს წამოვა მანდეთკენ, როგორც მითხრეს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების კონფერენციაზედ. ასე რომ, ემჯობინება თქვენ მანდ მოუცადოთ, მანდ ინახულოთ და დაბრუნებისას იმავე მატარებლით მასთან ერთად წამოხვიდეთ. ამით გექნებათ შემთხვევა გზაშიც გამოელაპარაკოთ. კონფერენცია ხომ 4-5 დღეს მეტს არ გასტანს. შანცერს აქებენ, ვნახოთ ჩვენთვის რა სარგებლობას მოგვიტანს. ოთახები კონფერენციისათვის დაკვეთილია. ამას წინათ მქონდა საუბარი „იტალიის ინტერესების დამცველი ლიგის"ერთ წევრთან. დიდი ორგანიზციაა და მათ გამოუშვეს მიმართვა (თითქმის ყველა გაზეთშია დაბეჭდილი), სადაც აფრთხილებენ იტალიის ყველა ვაჭარ-მრეწველებს არ იქონიონ დამოკიდებულება საქართველოსთან დღევანდელ პირობებში. ამას დიდი ნიშვნელობა აქვს, მითუმეტეს ახლა, გენუის კონფერენციის წინ. ამ ლიგასთან კავშირს არ შევწყვეტ. დღევანდელ გაზეთებში მოთავსებულია ბერლინიდან დეპეშა, მოსკოვში ყოფილა სხდომა ყველა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლების მთელი რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, სადაც ამ რესპუბლიკების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, თეთრი რუსეთი და სხვა) წარმომადგენლებს გადაუციათ მთელი თავისი უფლებანი რუს დელეგატებისათვის გენუის კონფერენციაზე. ამით სჩანს (თუ მართალია), რომ მხოლოდ რუსები იქნებიან გენუაში აღჭურვილნი დანარჩენ რესუბლიკების უფლებებითაც. როგორ ისპობა ნელ-ნელა მათი დამოუკიდებლობა!

ამ წერილთან ერთად გიგზავნი ვოიტინსკი-სვანიძის ინტერვიუს, რომელიც იყო დაბეჭდილი ერთ რუსულ თბილისურ გაზეთში. მეტათ საინტერესოა. საჭიროა ფართო გამოყენება ამ დოკუმენტის. უსათუოდ წაიკითხეთ. აქაური სამინისტრო გუშინ კინაღამ ისევ ისე არ გაჰქრა, ერთმა მინისტრმა მოითხოვა თავისი უკან წასვლა, სხვა დანიშნეს. დანარჩენი მომავალ წერილში.

ღრმა პატივისცემით თქვენი გიორგი მაჩაბელი."[1]

„4. IV. 1922

საქართველოს სრულუფლებიან ელჩს პარიზში

დიდად პატივცემულო

ბატონო აკაკი,

საჩქაროდ ორი სიტყვა. დღეს დილით იყო ლაპარაკი პარლამენტის კომისიაში (საგ. საქ.) შანცერთან. დაესვათ საკითხი ჩვენს შესახებ, თუ რატომ არ ვართ მიწვეული. შანცერს ეპასუხნა, რომ ჯერ ეს ერთი აზიაში ვიმყოფებით და მეორეც, რომ საქართველო დაკავებულია ბოლშევიკებისგან. ჩვენი საკითხი ამიტომ არ იქნება დასმული გენუაშიო. ეს მე მიამბო დი ჩეზარომ (კომისიის თავმჯდომარის ამხანაგმა). სოციალისტები დღეს ვერ ვნახე, რომ უფრო დაწვრილებით გამეგო ბაასის შინაარსი, თუ რატომ არ

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც.21.

დაუსვეს შანცერს საკითხი, თუ ჩვენზეც მოვა უნებლიედ ლაპარაკი გენუაში, მაშინ ის რას ფიქრობს, ვის უნდა ელაპარაკონ ჩვენი ქვეყნის შესახებ. გავგზავნე ბოდრერი ვასსალოსთან (კომისიის მდივანთან), რომ მანაც გაიგოს წვრილმანები დღევანდელი მსჯელობისა. ხვალ ვეცდები ველაპარაკო მოდილიანის ან ტრევერს და მაშინათვე შეგატყობინებთ. ხუთშაბათს (6-ში) საღამოს მე და ბოდრერი გენუაში მივდივართ, დეპეშაც გავაგზავნეთ სან-მარგარიტაში ოთახების შესახებ. ჩვენი მტრები რაპალოში ჩვენს მეზობლად იქნებიან.

ღრმა პატივისცემით გიორგი მაჩაბელი."[1]

„9. IV. 1922

საქართველოს სრულუფლებიან ელჩს პარიზში

დიდად პატივცემულო

ბატონო აკაკი,

გუშინ მივიღე თქვენი დეპეშა ვიზების შესახებ. მაშინვე მივიღე ყველა ზომები. დღეს დილით მე და ბოდრერი ხელმეორედ გავემგზავრეთ გენუაში, ველაპარაკე შანცერის ერთ-ერთ სეკრეტარს, რომელმაც დამაიმედა, მაგრამ დანამდვილებით არა მითხრა რა. მაშინ კატეგორიული პასუხი მოვითხოვე, ან ჰო მითხარით, ან არა მეთქი, დამპირდენ დაეჩქარებინათ ამ საკითხის გამორკვევა. ბოდრერის ვუთხარ მეორედ მოსულიყო და მე გამოგიგზავნეთ პირველი დეპეშა, სადაც გადაწყვეტილად ვერას გატყობინებდით, მაგრამ გთხოვდით თქვენ მაინც საჩქაროდ ჩამოსულიყავით, ვიდრე დანარჩენები ვიზას მიიღებდენ.

ფოსტიდან ხელმეორედ დავბრუნდი სასახლეში (სადაც კონფერენცია იქნება) და ბოდრერიმ შემატყობინა, რომ დეპეშა ვიზების ნებართვის გამოგზავნილია. ისიც კი ეთქვათ მისთვის, რომ გუშინვე გავგზავნეთო. არ ვიცი, რამდენად მართალია, თუ გუშინვე გაგზავნეს, რატომ მე არა მითხრა რა, სამინისტროს მდივანმა. შესაძლებელია საშინელ აურ-ზაურში დაავიწყდათ ვიზის გამოგზავნა გუშინვე. ერთი სიტყვით, როგორც ბოდრერიმ დამარწმუნა, ვიზები გამოგზავნილია, რაც მეორე დეპეშით გაცნობეთ.

ბოლშევიკების დელეგაციაში არიან ბუდუ მდივანი, ნარიმანოვი და ბეგზადიანი. თითქმის ყველა გაზეთშია ჩიჩერინის განცხადება, რომ მათი დელეგაცია არა მარტო რუსეთს წარმოადგენს, არამედ მათ მოკავშირეებს, უკრაინას, საქართველოს და სხვა. დღეს დილით შემხვდა გენუაში ბერლინის „ფორიშე ცაიტუნგის" ერთ-ერთი რედაქტორი პროფ. შტეინი, რომელმაც მითხრა, რომ ჩიჩერინს განუცხადებია მისთვის პირადათ, რომ არამც და არამც არ დავუშვებ საქართველოს საკითხში ჩაერიონ ანტანტის სახელმწიფოებიო. აქაც ულაპარაკნია კერძო სხვა და სხვა პირთან ამ საკითხზე. ეს გავიგე ბოდრერის საშუალებით, რომელიც საუკეთესო მეგობარია მარკიზ დენობილის...

სრულიათ შემთხვევით დავბრუნდი გენუიდან ბოლშევიკების დელეგაციასთან ერთად. ჩიჩერინი (ცილინდრით) ებაასებოდა ჟურნალისტებს.

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც. 26.

ბოდრერიც შევიდა იმავე ვაგონში და სიტყვა-სიტყვით გადმომცა იმათი ნალაპარაკევი. დაამოწმა ყველა ზევით ნათქვამი ჩვენს შესახებაც. დიდი მუშაობაა საჭირო. გუშინ ველაპარაკე ფინლანდიისა და ესტონიის დელეგატებს. მათაც ეშინიათ გულახდილად და კატეგორიულად გამოსვლა. არ ვიცი, ვინ აიღებს ინიციატივას ჩვენი საკითხის დასაყენებლად და დასაცავად. იტალიელები მთლად ინგლისის ტაქტიკას ადგიან. მინდა ვინახულო სხვა დელეგაციებიც და კერძოთ ველაპარაკო, თუმცა არ ვიცი ჩვენთვის ხვალ ეცლება ვინმეს თუ არა, რაკი ხვალ იხსნება კონფერენცია.

სასტუმრო ოთახები ყველასთვის დამზადებულია. პანსიონი ღირს 90 ლირა, აგრეთვე აზერბაიჯანის დელეგაციისთვის ორი ოთახი დამზადებულია, თუ არ ჩამოვლენ, უნდა შემატყობინოთ, რომ ტყუილად ფული არ ვიხადოთ. ყველა დელეგატებს აქვთ მუქთა ბილეთი რკინისგზით სიარულისა, ჩვენ არ მოგვცემენ. ასე რომ, ბევრი წვრილმანი ხარჯი მოგველის. მარტო რკინისგზა აქ (გენუაში) ჯდება 30 ლირამდის. საჩქაროდ ვგზავნი ამ წერილს, რომ კიდევ მოგისწროს.

ღრმა პატივისცემით გიორგი მაჩაბელი."[1]

„27. VI. 1922

საქართველოს სრულუფლებიან ელჩს პარიზში

დიდად პატივცემულო

ბატონო ელჩო,

მივიღე თქვენი წერილი მთავრობის ახალი გადაწყვეტილების შესახებ აქაური წარმომადგენლობის საკითხზედ. **მე მზათა ვარ ვემსახურო ჩემს სამშობლოს არამცთუ რაიმე მატერიალურ ჯილდოთი, არამედ სრულიად უსასყიდლოთაც, თუკი მექნება ამის საშუალება. როგორც იცით, ჩვენ არაფერს არ ვზოგავდით ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, თუკი რითმე შეგვეძლო რაიმე სამსახური გაგვეწია.** დღეს ჩვენი პირად კერძო მდგომარეობა მეტად შეიცვალა და ჯერჯერობით გადაწყვეტით ვერაფერს ვერ გეტყვით. გენუიდან როგორც იცით მილანოში წავედი ჩვენი საქმეების გამოსარკვევად და მოსაწყობად. ორ კვირაზე მეტიც მომიხდა იქ დარჩენა, რომ როგორმე დამებოლოვებინა, ფლორენციაშიც ვეცადე, მაგრამ აქამდის ყველაფერი ისევ გამოურკვეველია. თუ მოახერხეთ, მთლად ლიკვიდაცია მოვუხდინოთ ჩვენ საქმეებს, მაშინ რომში დავრჩებით და გავაგრძელებთ ჩვენს მუშაობას. მაგრამ თუ იძულებული გავხდით ფლორენციაში ვიცხოვროთ, ამ შემთხვევაში არ ვიცი, თუ რა გადაწყვეტილებას მივიღებთ...

ამ ბოლო დროს იტალიაში დიდ ინტერესს იჩენენ ახლო აღმოსავლეთის საკითხებისადმი. პარლამენტში ჩვენზე ილაპარაკეს (მართალია ცოტა) პოპულარების დეპუტატმა მატეი ტენტილმა და ფაშისტთა ნაციონალისტმა დაიალამ. როდესაც ტრევესმა მოსკოვის ბოლშვიკების პოლიტიკას მშვიდობიანი უწოდა, ფაშისტებმა შეჰყვირეს: „საქართველო, საქართველოო ". ამას წინათ ჩვენს დელეგაციაში გვეწვია თავისით ერთი

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც. 27.

მნიშვნელოვანი გაზეთის თანამშრომელი და მოზრდილი წერილი დაწერა, მეტად საყურადღებო (საუბრობს იტალიის ლეგაციის შენარჩუნების აუცილებლობაზე)."[1]

გიორგი მაჩაბლის მომდევნო წერილი გრიფით „საიდუმლო", ნიშნავდა არა წერილისთვის ამ მნიშვნელობის კანონით მინიჭებას, არამედ იმას, რომ მასში გამოთქმული აზრები ჩხენკელს საიდუმლოდ უნდა განეხილა, არ ეჩვენებინა წერილი სხვებისთვის, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე.

აი, ეს წერილი:

„28. VI. 1922.

ბატონო ელჩო,

თქვენი დეპეშა რომ მივიღე ოსის შესახებ, იგი მილანოში იყო წასული. გუშინწინ ჩამოვიდა და გუშინ ვინახულე. ორი საათი ვილაპარაკეთ. რჩება აქ ორ კვირაში და მერე ანგორაში აპირებს დაბრუნებას. როგორც თვითონ დამარწმუნა, ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელია შეთანხმება ანგორის მთავრობასთან იმ პირობებში, რაც დღეს სუფევს. ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში რამდენიმე პირი, რომლებიც ყურმოჭრილი მონები არიანო მათი. ერთადერთი გამოსავალია ვიმოქმედოთ იმავე იარაღით, როგორც ბოლშევიკები, ე. ი. მოვისყიდოთ ყველა გავლენიანი პირები. ჩვენ ეს რასაკვირველია არ შეგვიძლია. უნდა როგორმე დავითანხმოთ ჩვენი მეგობრული მთავრობა. ოსი კისრულობს თავის თავზედ ამ აზრის განხორციელებას, თუკი ის მთავრობა გადასდებს ამისთვის სათანადო თანხას. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რაუფ-ბეი ამ ოსის თანამოაზრე და დიდი გავლენიანი პირია, (ეროვნული საბჭოს თავ-რის ამხანაგი). ოსი დარწმუნებულია, რომ **მაგ მთავრობის დახმარებით იგი შეძლებს ანგორის პოლიტიკის შეცვლას.** მოელაპარაკეთ მანდ. ამ კაცს კარგად იცნობენ და ნდობითაც უნდა მოეპყრნენ. დიდ სარგებლობას მოიტანს. საჭიროა კი საჩქაროთ გადაწყდეს ეს საკითხი, მისწერონ აქაურ ელჩს და მისცენ ინსტრუქციები. მე მას ვინახულებ. დაარწმუნეთ მეგობრული მთავრობა, რომ ეს შესძლებს ამ მისიის შესრულებას. ხომ იციან, ოსმალეთში საქმეები როგორ კეთდება. ჩვენ შეგვიძლია კიდევ დიდი როლი ვითამაშოთ (როგორც ჟენევაში). ერთის სიტყვით ბევრს აღარ ვილაპარაკებ. თქვენ გესმით ყველაფერი. ჩქარი მოქმედებაა საჭირო. კონკრეტული პასუხი კი უნდა მიიღოთ და მაცნობოთ. ოსი ელის თქვენს პასუხს. **ენვერი თურმე ძალიან მაგრად არის თურქესტანში, მაგრამ შველა სჭირია. თუ საჭირო იქნება და ჩვენი აზრი სისრულეში მოვიყვანეთ, მასაც დავეხმარებით ბოლშევიკებთან ბრძოლაში.** თუ მანდ ფართოდ და ღრმად მოჰკიდეს ხელი ამ საკითხს, დიდი შედეგები მოჰყვება. დანარჩენი თქვენ თვითონ განმარტეთ.

ველი თქვენს პასუხს.

ღრმა პატივისცემით გიორგი მაჩაბელი."[2]

---

[1] სცსსა 1831, აღნ. 2, საქმე 418, ფურც. 30-31.

[2] სცსსა 1831, აღნ. 2, საქმე 418, ფურც. 32.

აკაკი ჩხენკელი გიორგი მაჩაბლის ბევრ წინადადებას ღებულობდა, ითვალისწინებდა მის რჩევებს, რადგან დარწმუნებული იყო მათი სამართლიანობასა და ქვეყნისთვის სარგებლიანობაში. ერთ წერილში მაჩაბელი წერდა წარმოშობით უკრაინელ ცოლ-ქმარზე, შებედევებზე, რომლებიც გენუაში ეხმარებოდნენ ქართველებს პრესის საშუალებით სასურველი ინფორმაციის გავრცელებაში. აკაკი ჩხენკელს მაჩაბლის ეს წერილი გადაუცია ფინანსთა ყოფილ მინისტრ კანდელაკისათვის (რომელიც ემიგრაციული მთავრობის ფინანსებს განაგებდა) და თხოვდა მას გარკვეული თანხა გამოეყო შებედევისთვის, რათა თავის წიგნში შეეტანა საქართველოზე ერთი თავი.[1]

გიორგი მაჩაბელი გაბედული პიროვნებაც იყო და ცოტა ექსტრავაგანტურიც, რაც თავისთავად ცუდი როდია, პირიქით, სწორედ ასეთი თვისებებით გამორჩეული პოლიტიკოსები ცვლიან ხოლმე ისტორიას, ახდენენ გადატრიალებებს, ამათუ იმ ქვეყნის ბედს სასიკეთოდ შემოატრიალებენ. მაგრამ არც ამგვარ თვისებებს შეეძლო მაშინ რაიმე სიკეთე მოეტანა საქართველოს ბედის გადაწყვეტაში ორი მიზეზით: პირველი ის, რომ ამ დროის მსოფლიოს დიდი ქვეყნების პოლიტიკური მიზნები სრულებით არ მოდიოდა ქართველი პატრიოტების მიზნებთან თანხვედრაში, უამისოდ კი ქართული სახელმწიფოს ბედი ვერ გადაწყდებოდა; მეორე: აკაკი ჩხენკელი მართლა არ ყოფილა ისეთი დიპლომატი, რომელიც თავისი არაორდინალური გამოხდომებითა და განცხადებებით შეცვლიდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებებს. ამის გამო, მაჩაბლის საიდუმლო შეთავაზებები ბოლშევიკური მეთოდების გაზიარების თაობაზე მან ვერ მიიღო, რის გამოც „რისხვაც" დაიმსახურა ეროვნულ-დემოკრატი პოლიტიკოსისაგან. ზოგადად, ცნობილია ამ პარტიის წევრთა დამოკიდებულება მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებისადმი, მათი იდეოლოგიების შეუთავსებლობა, ის, რომ მუდმივად ესხმოდნენ თავს ერთმანეთს და საქართველოს უბედურებაში ერთიმეორეს ადანაშაულებდნენ. მაგრამ ჩვენ ვთქვით, რომ ჩხენკელი განსხვავდებოდა თანაპარტიელებისგან, ის ყველას პატივს სცემდა და სამამულო საქმეში ნიჭისა და სამშობლოს სიყვარულის ნიშნით გვერდით იყენებდა. მიუხედავად ამისა, რომ ესეც ყველამ იცოდა, მაინც ბევრჯერ გაულანძღავთ, მისთვისაც ბევრჯერ უსაყვედურიათ, რადგან ისიც იმ მთავრობის ნაწილი იყო, ვისაც არაეროვნულობასა და უმოქმედობაში სდებდნენ ბრალს.

გიორგი მაჩაბელსა და აკაკი ჩხენკელს შორის ლოზანისა და გენუის კონფერენციების შემდეგ ურთიერთობა დაიძაბა. როგორც ჩანს, ამ კონფერენციებისაგან მაჩაბელი მეტს მოელოდა, და როდესაც ეს შედეგი არ დადგა, ისევ ყოფილ მთავრობაზე განაწყენდა. სამიზნე ჩხენკელი აღმოჩნდა, რომელიც, როგორც იტალიაში საქართველოს წარმომადგენლისაგან, ბევრს მოითხოვდა მისგან. მაჩაბელს არ შეეძლო ეს სკურპულოზური მოთხოვნები მუდმივად დაეკმაყოფილებინა თუნდაც ოჯახური მდგომარე-

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც. 33.

ობის გამო (მისი ბალერინა მეუღლე ხშირად იყო მიწვეული სხვადასხვა ქალაქებში კონცერტებზე), თანაც საბრძოლო მოტივაციაც განელებოდა საერთაშორისო კონფერენციებზე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის კრახის გამო.. მართალია შემდეგში გიორგი მაჩაბელი მხოლოდ იმას ამტკიცებდა, არ მილანძღიხართო, მაგრამ სულ კი იმეორებდა: „რას იზავ, როდესაც საფუძველში ჩვენს საქმეს აქვს წამხდარი ფესვიო". ამ ფესვში რასაც გულისხმობდა, ცხადი იყო: სოციალ-დემოკრატიას. დანარჩენი ყველა პარტია, თუგინდ ისინიც, რომელთაც ჩხენკელი ენდობოდა და დიპლომატებად ნიშნავდა, წამდაუწუმ იმეორებდნენ: მენშევიკები იგივე ბოლშევიკები არიანო. ასე რომ ფიქრობდა მაჩაბელიც, ჩანს იქიდან, რომ იქვე, სადაც „წამხდარ ფესვზე" საუბრობდა, მოტანილი იყო 1919 წლის 8 სექტემბერს დაწერილი კათალიკოს ლეონიდის წერილი, სადაც მღვდელმთავარი მთავრობას აკრიტიკებდა. „მაშინ ბოლშევიკები ჯერ კიდევ შორს იყვნენო", — წერდა მაჩაბელი და ჩხენკელს იმაზე მიუთითებდა, რომ ჩვენი ეკლესიის მდგომარეობა ახლა კი არ უნდა გაინტერესებდეთ, მთავრობაში ყოფნისას უნდა მიგეხედათო.[1]

როგორც ჩანს, ის გაუღიზიანებია მის ადილზე რაფიელ ივანიცკის დანიშვნას და საქართველოს ეკლესიის ბოლშევიკებისგან შევიწროების პროპაგანდას ევროპაში. პირადად ივანიცკის ის პატივს სცემდა, მაგრამ მისი ახალი სტატუსი ყოფილი მთავრობის სიყალბედ ეჩვენებოდა.

თუ ქვემოთ მომაქვს გიორგი მაჩაბლის წერილიდან ადგილი, სადაც ის პირდაპირ ადანაშაულებს ჩხენკელს გენუისა და ლოზანის კონფერენციებზე უმოქმედობასა და უპრინციპობაში, ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, ჩვენ უკრიტიკოდ მივიღოთ ყველაფერი, რაც აქ წერია, დროის ამ დისტანციიდან ობიექტურად არ შევაფასოთ იმდროინდელი მოვლენები და თვალსაზრისები... ამ წერილიდან ცხადია: 1. ჩხენკელი და მაჩაბელი სხვადასხვა სტრატეგიისა და ტაქტიკის მქონე დიპლომატები იყვნენ, მათი პოლიტიკური ტემპერამენტიც სრულიად განსხვავებული იყო; 2. სრუტეების საკითხი, რომელზედაც მაჩაბელი საუბრობს, არ ყოფილა უმნიშვნელო გადაწყვეტილება ქართული სახელმწიფოსთვის და მას დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა; 3 იმ სიტყვებით, რითაც მაჩაბელი მიმართავს, ჩხენკელი არამც და არამც არ მცირდება, პირიქით, ნათლად იკვეთება მისი პიროვნული ხასიათი და პოლიტიკოსის თვისებები; 4. წერილით ძალიან კარგად ჩანს გიორგი მაჩაბლის პატრიოტული სულისკვეთება, რომანტიკული თავგანწირვა და სამშობლოს უკიდეგანო სიყვარული, რისთვისაც ის მზადაა თავიც გასწიროს.

„28. IX, 1923.

მწერთ, რომ „გაწყდა ჩვენს შორის ძაფი ამდენი ხანია, რაც არანორმალურია". ძაფი კი არ გაწყდა, მაგრამ პირველ, ლოზანის კონფერენციის შემდეგ, მე დავრწმუნდი, რომ ჩვენ სხვადასხვა აზრსა და გზას ვადგივართ და თქვენში ვერ ვნახე ის მებრძოლი ჩვენი ერისა, რომელსაც მე წარმოვ-

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც. 91-92.

იდგენდი თქვენს პიროვნებაში. ვერ გამოიჩინეთ სიმამაცე და ვერ დამეხმარეთ სისრულეში მომეყვანა აქტი, რომელიც მთელს დედამიწის გასაგებად დარჩებოდა, რომ არის ერი, მებრძოლი თავის დამოუკიდებლობისა, თავგანწირული, გმირული. თავის დღეში მე ამ ამბავს არ დავივიწყებ და ვერც გაპატიებთ. თქვენ არ მენდვეთ მე, გეგონათ, თქვენც გაგრევდით ამ საქმეში და ამისა შეგეშინდათ. არ იყავით დარწმუნებული, რომ ისე მოვაგვარებდი ყველაფერს, რომ მხოლოდ მე ვიქნებოდი პასუხისმგებელი ყველაფერში. თქვენ სრუტეების შენიშვნა ანაცვალეთ ნამდვილ მებრძოლურ აქტს, რომელსაც ათასჯერ მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე თქვენგან ასე გადიდებულ შენიშვნას სრუტეების შეთანხმებაში. მე გწერდით, პარიზშიც გითხარით და ეხლაც გიმეორებთ, რომ არავითარი გაუგებრობა არ იყოს, თუ რა არის მიზეზი ჩემი თქვენდამი უკმაყოფილებისა. **გავუშვით საუკეთესო დრო ჩვენი სისხლ-აღებისა, გადახდისა.** იქნებ თქვენ ჩემზედ კულტურული ბრძანდებით და მე ჯერ კიდევ ისე ჩამორჩენილ ინსტიქტებისა და ეს გაუგებრობა იმიტომ მოხდა. ამას კი გეტყვით, **რომ ვერ მოვისვენებ, ვიდრე ჩემის ხელით არ დავკლავ რამდენიმე ჩვენს მტერს"...**[1]

ჩხენკელისათვის წერილში გამოთქმული საყვედური მძიმე იყო. მაჩაბელი სთავაზობდა ქართველ დიპლომატს, თუ საჭირო გახდებოდა (და ამის საჭიროება, მისი აზრით — იყო), საქართველოს მხარდასაჭერად ფულით მოესყიდათ უცხოელები. ეს ჩხენკელმა არ გააკეთა. დიპლომატისთვის ასეთი გზა მიუღებელი იყო, რაც გაუგებარი აღმოჩნდა გიორგი მაჩაბლისთვის. მისი წერილი იმედგაცრუებული და დამარცხებული, თუმცა, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცის სულიერ მდგომარეობას გამოხატავდა.

დიპლომატ არისტო ჭუმბაძის მიმოწერა ჩხენკელთან, 1919 წელი

„უკულმართია ეტლი ჩვენი ისტორიისა"
არისტო ჭუმბაძე

სკანდინავიაში საქართველოს დიპლომატიური წარმოადგენლის — არისტო ჭუმბაძის წერილები სტოლჰოლმიდან არის გამოგზავნილი აკაკი ჩხენკელისადმი. მათში სკანდინავიის ქვეყნების მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაში მხარდაჭერის მოპოვებისა და მათთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებაზეა საუბარი, ეს წერილები დაწერილია 1919 წლის თებერვლიდან ნოემბრამდე.

არისტო ჭუმბაძე დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე იყო. ისევე, როგორც ბევრმა დამოუკიდებელი საქართველოსთვის მებრძოლმა, სამწუხაროდ, მანაც უღალატა თავის იდეას, დაბრუნდა გასაბჭოებულ საქართველოში და სიკვდილამდე მას ემსახურა. ის იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მწერლობისადმი მისი არცთუ აქტიური

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 418, ფურც. 83.

ინტერესი ქვემოთ მოტანილ, აკაკი ჩხენკელისადმი მოწერილ წერილებშიც სჩანს. თუმცა, საბჭოთა პერიოდში მისმა თარგმანებმა („მადამ ბოვარი", „სალამბო" და სხვ.) ქართული ლიტერატურის განვითარებაში გარკვეული როლი ითამაშეს. ჭუმბაძის წერილებიდან იკითხება მისი უკმაყოფილება ემიგრაციული მთავრობის წევრთა მიმართ. ის ეჭვიანობდა, რომ სათანადოდ არ აფასებდნენ, როგორც მთავრობის წევრს. აქედანაც უნდა ვივარაუდოთ ჭუმბაძის ადვილი გადასვლა ბოლშევიკების ბანაკში.

ჭუმბაძის მოკლე ბიოგრაფია ასეთია: არისტო მაქსიმეს ძე ჭუმბაძე , დაიბადა 1886 წლის 1 სექტემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთში.

1901 წელს ჩაირიცხა და 1905 წელს დაასრულა პარიზის სორბონის უნივერსიტეტი. იმავე წელს სამშობლოში დაბრუნდა და ქუთაისში დააარსა გაზეთი „კოლხიდა", რომლის რედაქტორ-გამომცემელი თვითონ იყო. 1914 წელს რედაქტორობს გაზეთ „სახალხო ფურცელს". ანტიიმპერიული სულისკვეთებისათვის, რაც მის პუბლიცისტურ ნაწერებსადა ჟურნალისტურ მოღვაწეობაში იკვეთებოდა, ის რამდენჯერმე დააპატიმრეს. ასეთი დევნის გამო, მან ევროპაში წასვლა არჩია და სორბონის უნივერსიტეტში დაიწყო სადისერტაციო თემაზე მუშაობა. ფილოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვებისათვის მან აირჩია თემა — „გუსტავ ფლობერის ცხოვრება და შემოქმედება". დაწყებულმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა დასახული მიზნის განხორციელებაში, თუმცა შემდეგში ქართველმა მკითხველმა სწორედ არისტო ჭუმბაძის დამსახურებთ მიიღო ფლობერის „მადამ ბოვარის" ქართული თარგამანი.); ნათარგმნი აქვს აგრეთვე: ა. ფადეევის „განადგურება", ლ. ტოლსტოის — „ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე", სალტიკოვ-შჩედრინის „პომპადურები", ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი", მაქსიმ გორკის მოთხრობები.

1915 წელს საფრანგეთის ელჩმა იაპონიაში, ჟიუსენარიმ მას შესთავაზა თანამშრომლობა და იაპონიის საფრანგეთის საელჩოში წაიყვანა სამუშაოდ. იაპონიის გარდა, მუშაობდა ალჟირშიც.

1919 წელს ის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებში, მუშაობდა დიპლომატად თურქეთში.

გასაბჭოებულ საქართველოში დაბრუნებული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თანამდებობებზე. 1922-1924 წლებში წითელი ჯვრის საზოგადოების უცხოეთის განყოფილების თავმჯდომარედ; 1925-1926 წლებში სახკინმრეწვში სასცენო განყოფილების გამგე; 1933-1935 წლებში საქართველოს ცაკის საერთო განყოფილების გამგე; 1936-1949 წლებში მუშაობდა სტილისტად საქართველოს პრესის სააგენტოში და გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში. ამ ჩამონათვალის შეთავსება ცოტა რთულია იმ ეროვნულ სულისკვეთებასთან, რაც აკაკი ჩხენკელისადმი მინერილ მის წერილებში ჩანს. ამ „ფერისცვალებამაც" გადაარჩინა არისტო ჭუმბაძე ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესიებს და სამშობლოში მშვიდად სიკვდილის საშუალება მისცა.

არისტო ჭუმბაძე 1971 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მოვიტანთ აკაკი ჩხენკელთან გაგზავნილ მის რამდენიმე წერილს.

„სტოკჰოლმი, 1919 წლის 10 თებერვალი

დიდათ პატივცემულო ბატონო აკაკი,

თქვენი ბარათი, მიხეილის (მიხაკო წერეთელი) სახელზე დაწერილი, მივიღე. მე ცხრამეტი იანვრიდან სტოკჰოლმში ვარ, როგორც ჩემი დეპეშიდანაც ალბათ მოგეხსენებათ. წამოსვლისას დანიის მთავრობას შესაფერისი ქაღალდი გავუგზავნე. ვსწერდი: რადგან წერეთელი ავადაა და საქართველოდან კი ახალი კაცის გამოგზავნა მისვლა-მოსვლის გაჭირვებით მეტად ძნელია, ამიტომ მე ვინიშნები სკანდინავიის სამივე მთავრობის წინაშე საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლად-მეთქი. პირადათ ვინახულე საგარეო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, კამერგერი ცალე და სიტყვიერადაც ავუხსენი საქმის ვითარება. ერთი სიტყვით, ის საჩოთირო საკითხი თვინიერად გადაწყდა. სტოკჰოლმში ვინახულე ნეიტრალურ სახელმწიფოთა ყველა ელჩი, რომელთაც იგივე გამიმეორეს, რაც წერეთლისთვის წინად ეთქვათ. მინდოდა ამერიკის ელჩთან მისვლა, მაგრამ წერეთლის რჩევით მოვიცადე, სანამ პარიზიდან ან ლონდონიდან ცნობა რამე მოვიდოდეს, რომ იმის მიხედვით დაველაპარაკო თუ საჭირო იქნება.

პარიზიდან კი არავითარი ცნობა არა მაქვს. საკვირველია, რომ არც ღამბაშიძე არ მცემს ხმას. ორი დეპეშა გავუგზავნე საინფორმაციო ხასიათისა და ჯერ პასუხი არ მიმიღია. მართალია, მოუხერხებელია სრული ცნობების იქიდან გზავნა, უწყინარი შინაარსის დეპეშიდანაც ამოიკითხავს ადამიანი მას, რაც უბირისათვის თვალში საცემი არ არის. იქნებ თქვენ მაინც შეგვატყობინოთ, რა მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყნის საკითხი. აქაურ საგარეო საქმეთა სამინისტროში ხშირად დავდივარ ცნობების გულისთვის, მაგრამ მათაც არ იციან რა საგულისხმიერო.

აქაური ბიუროს შესახებ იწერებით. დღესდღეობით ბიუროს გამართვა არაა საჭირო, რადგან არც იმდენი მიწერ-მოწერა გვაქვს, შეიძლება უიმისოდაც დავრჩეთ. მხოლოდ წერეთლის აქ ყოფნა კი საჭიროა, თუ რასაკვირველია, წარმომადგენლობაც დარჩება ჯერჯერობით აქვე. თვით წერეთლის აზრით, მისი სტოკჰოლმში გაჩერება როდია საჭირო, მაგრამ, ხომ იცით, როგორი „იმპრესიონისტია" ბ. მიხეილი! ამჟამად მაინც მეტად გულგატეხილია. აპრილამდე, როგორც ალბათ თვითონაც მოგწერდათ, მას უკვე აქვს სარჩო, ხოლო აპრილიდან კი დასჭირდება.

ცხოვრების პირობები აქაური გეცოდინებათ. სიძვირე ბინისა და სანოვაგისა დიდია. ბ. იაზონიც პირადი გამოცდილებით დარწმუნდა (ბაქრაძე — ავტ.), რომ იმ თანხით, რაც მან მისაგზლა ბერლინიდან წამოსვლისას, შეუძლებელია აქ დარჩენა. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა კოპენჰაგენიდან ჩემ მიერ თქვენდამი გამოგზავნილი დაზღვეული წერილი. იქ დაწვრილებით გწერდით ხარჯის შესახებ. რასაკვირველია, დანიის ცხოვრების პირობები მეტად იოლია აქაურს რომ შევადაროთ. მაგრამ, მგონია 2000 კრონით შეეძლება წარმომადგენელს აქ უგემური ცხოვრება. არ ვიცი, ძველი ანგარიში ვის ჩავაბარო, თქვენ თუ ბ. ბაქრაძეს?

ეკონომიური კომისიის წევრები ისევ აქ არიან. ყაუხჩიშვილი ქრისტიანიას წავიდა. ამ დღეებში დაბრუნდება. შეიძლება საქმის გაკეთება აქ, მაგრამ უტრანსპორტობა აფერხებს. ვერცერთი სანაოსნო საზოგადოება ვერ ბედავს საქონლის წაღებას ინგლისის ნებადაურთველად, ხოლო იგი კი საჭირო [ლესეპასეს] არ იძლევა, სანამ დარდანელ- ბოსფორის საკითხი არ გადაწყდება სამშვიდობო კონფერენციაზე.

თქვენც გაგიჩაღებიათ მანდ მუშაობა. ღმერთმა კაი ჰქნას! გისურვებთ მხნეობასა და კარგად ყოფნას.

მარად თქვენი არისტო ჭუმბაძე."[1]

„სტოკჰოლმი, 1919 წლის 15 მარტი

დიდათ პატივცემულო ბატონო აკაკი,

წერილი დამიგვიანდა. ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ მინდოდა ანტანტის ელჩები მენახა, რათა მათი აზრიც გადმომეცა თქვენთვის. ამჟამად, რა თქმა უნდა, აქაურ ელჩთა მოქმედებას იმდენი მნიშვნელობა აღარ აქვს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: „მამიდასაც ვნახავ, კვიცსაც გავხედნიო". ყველა ვინახულე. ინგლისისა, ამერიკისა, იტალიის და იაპონიის ელჩებმა კარგად მიმიღეს, მოისმინეს ჩვენი საკითხის დღევანდელი ვითარება და დასტურით მითხრეს, რომ თქვენის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება მხოლოდ დროის საქმეაო, ადრე თუ გვიან თქვენ თავისუფალი იქნებითო. განსაკუთრებულის ინტერესით მომეპყრო იტალიის ელჩი, თითქმის ორი საათის განმავლობაში ვსაუბრობდით და გამოთხოვებისას მითხრა: მე დღესვე დაწვრილებით დეპეშას გავუგზავნი ბატონ სონინოს და ვსთხოვ თქვენი დელეგაცია დაიახლოვოსო. მეტად ნაწყენია, რომ სომხეთის მანდატი ამერიკას ჩააბარეს, რადგან პირველად სომხებს თურმე იტალიისთვის უთხოვნიათ მფარველობა. „ესაო, ჩვეულებრივ სომხური ქამანდია, „რას დავკარგავ"-ის ანგარიშზე გებული, ხომ იცითო", ღიმილით მითხრა ბ. დ. ორსინიმ. „ჩვენზე უკეთ, აბა, სომხებს ვინ იცნობს—მეთქი", — ვუპასუხე. მეტად გულითადად გავშორდით ერთმანეთს. თანაც წინადადება მომცა: (აგრეთვე ამერიკის ელჩმა) თუ რამ დაგჭირდეთ თქვენს დელეგაციასთან, მიწერ-მოწერა ან მისვლა-მოსვლა, მომმართეთო. საფრანგეთის ელჩთან კინაღამ „სკანდალი" მომივიდა. წინდაინვე შევეკითხე მდივანს და მანაც დრო დამინიშნა. დანიშნულ დროზე მივედი, რასაკვირველია. ვიცადე ნახევარ საათს, ერთ საათს, ორს; შევეკითხე კვლავ მდივანს: იქნებ დღეს დრო არ აქვს და შემდეგ მოვალ-მეთქი. ცოტა ხანს კიდევ მოითმინეო. ვიცადე კიდევ, მაგრამ როდესაც ჩემზე გვიან მოსული „ვილაცაები" მიიღო, მაშინ კი აივსო მოთმინების ფიალა და გვარიანად „შევუკურთხე". წამოსვლა დავაპირე თუ არა, გამომადევნა მდივანი, მობრძანდესო. შევედი. მისალმებისთანავე დაიწყო ბოდვა: თქვენაო, თავიდანვე გულში გქონდათ რუსეთის დამხობა და სწორედ იმ დროს, როცა ყველაზე უფრო საჭირო იყო (რევოლუციის და ომის დროსო) თავისუფალი რუსეთისთვის ლოიალობა, განზე გადექით და ამით განახლებული რუსეთიც დაანგრიეთო. ვინ ჩვენა-მეთქი, შევეკითხე. თქვენაო, ყველაო, ვინც ეხლა თავისი საკუთარი სახელმ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 90. ფ. 1-2

წიფო აახუხულავაო. ვინც რუსეთის ისტორიას იცნობს ამ ასი წლის განმავლობაში და ვისთვისაც რუსეთის მოძრაობა და რევოლუციის ისტორია უცნობი არ არის, ქართველებისა და მათი პოლიტიკური ზნეობის წინააღმდეგ ერთ სიტყვასაც ვერ იპოვის საუგოდ-მეთქი. „ჰო, ვიცი, ვიცი, ჩხეიძისა და კომპანიის მოქმედება-მოღვაწეობა ფრონტის „გამაგრების" საკითხშიო, სარკასტული ღიმილით მომახალა. „გარდა ამისა, სახელმწიფოს და მის დამოუკიდებლობას რომ თხოულობთ, გაქვთ კი ამის უნარი და შეძლებაო"? ახლა კი უკვე ცხადი იყო ჩემთვის, რომ ამ კაცმა მხოლოდ გასაკილავად მიმიღო. თავი შევიკავე, ავუხსენი, თუ რა გავაკეთეთ იმ ჯოჯოხეთურს პირობებში, როგორსაც წარმოადგენდა დანგრეული ფრონტი და ბოლშევიკური საშინელება. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ასე დავსძინე: „შესაძლებელია ბევრი ევროპული არათუ სახელმწიფო, არამედ ტომიც კი არ არსებობდა ქვეყანაზე, როდესაც ქართველებს მტკიცე სახელმწიფოებრიობა ჰქონდათ, ხოლო დღევანდელის ქართველების წესიერსა და თავისუფალს (პოლიტიკურად და სოციალურად) ცხოვრებას პირველხარისხოვანი დემოკრატიული ქვეყნებიც კი შეეხარბებიან-მეთქი. ერთი სიტყვით, ისეთი ვიღაც ყოფილა, რომ „არც თავისა გაეგება, არც ტანისა". ვფიქრობ, რომ ცოტა მაგრად არ დავხვედროდი, პირდაპირ და ქუჩურად გინებას დაიწყებდა...

აქაური პრესა და საზოგადოება მეტად დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნით. „ავტონბლადეტსა" და „სოციალ-დემოკრატენში" რამოდენიმე წერილი დაიბეჭდა. ზოგი ჩვენი დაწერილი და ზოგიც შვედებისა. დიდი გაზეთების კორესპონდენტებიც იყვნენ საინტერვიუოდ ჩემთან. ვმუშაობთ, რაც კი მოხერხდება. მხოლოდ ესაა, რომ პარიზიდან ცნობების უქონლობა გვაწუხებს.

ამასთანავე გიგზავნით პეტროგრადიდან (ჩვენი საკონსულოსგან) მიღებულს ცნობას ჩვენსა და სომხებს შორის ატეხილი ომის შესახებ. ცნობა გადმოცემულია საქართველოდან კიევს, ხოლო იქიდან პეტროგრადს. აქ მოვიდა ფინლანდიიდან ჩვენი დროებითი დელეგატის ღენ. შალიკოვ-კატკოვის გამოგზავნილი კაცი ჯავრიშვილი და მან გადმომცა ეს ცნობა. შალიკოვი პეტროგრადში მყოფს ჩვენს საკონსულოს დაუნიშნავს ფინლანდიაში დროებით კომისარ-დელეგატად, რადგან იქ თურმე ამჟამად დიდძალი ქართველობაა გამოხიზნული პეტროგრადიდან და გაჭირვებაში არიან. ირწმუნებიან, შალიკოვი სანდო კაცია, უყვარს ქართველობა და თან მდიდარიცაა.

მარად თქვენი პატივისმცემელი
არისტო ჭუმბაძე."[1]

„1919 წელი, 6 მაისი, ქ. სტოკჰოლმი, Hotel Regina

დიდათ პატივცემულო ბ. აკაკი!

წრფელ სალამს გიძღვნით. მივიღე თქვენი წერილი ბაზელიდან 22 აპრილის თარიღით გამოგზავნილი. როგორც თქვენ იწერებოდით, ყველა ამის შესახებ მოვისაზრეთ, ავსწონ-დავსწონეთ და მართლაც იმ დასკვნამდე

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 90. ფ. 3

მივედით, რომ საჭიროა ლოდინი. თუმცა, ის პირობები, რომელთა შესახებ მე გწერდით და რომელნიც. ალბად, ბ. ბაქრაძემაც შეგატყობინათ, ეხლა მეტად შეიცვალა, როგორც საქონლის ღირებულობისა, ისე ფრახტის მხრით. ე. ი. გაიაფდა. რაკი ჯერჯერობით აქ საქმის დაწყება აღარ ხერხდებოდა, ბ. ახმეტელაშვილი ისევ ბერლინს დაბრუნდა და, ალბად, თვით უფრო დაწვრილებით და ვრცლად შეგატყობინებსთ ყველაფერს.

ძლიერ მიკვირს თუ რა მოუვიდა თქვენს ჩემდამი მოწერილ ბარათებს! არ იფიქროთ, რომ არ მომიწერია. თვით ბ. წერეთელი მოწმეა, რომ ყოველ ორ კვირაში გწერდით ხოლმე წერილ-ანგარიშებს. მაგრამ, რადგან წერილები წარმომადგენლობის კონვერტებით იგზავნებოდა, შესაძლებელია იმიტომ დაიკარგა, ე. ი. აღარ გადმოგცეს. თუმცა, შიგ საიმისო არა ეწერა რა, რომ გამოსდგომოდა რადმე მას, ვინც მათი დაჭერა ინება.

კოპენჰაგენიდან აქ მოსვლისთანავე ვინახულე თითქმის ყველა სახელმწიფოს აქაური ელჩი, ზოგი ცალკე მე (მაგალითად ალიანსის ელჩები), ზოგიც (ცოტად თუ ბევრად ჩვენი მოკეთეები) მიხეილთან[1] ერთად და ველაპარაკე ჩვენი ქვეყნის საკითხის შესახებ. ყველამ (გარდა საფრანგეთის ელჩისა) იმედი გამოსთქვა, რომ დამოუკიდებლობას დაიმკვიდრებთო და თან დაპირებაც, რაც შეგვეძლება დაგეხმარებითო. გარდა ოფიციალური ნაბიჯებისა, აქაურს საზოგადოებასა და პრესაშიც ვმუშაობდით და დღესაც ამასვე განვაგრძობთ. ბევრი წერილი დაიბეჭდა აქაურს გაზეთებში, ზოგი ჩვენი და ზოგიც შვედებისა, აგრეთვე ჩემი ინტერვიუები. ერთი სიტყვით, არც აქ და არც დანიაში ყოფნის დროს, მუშაობა და ცდა არ დაგვიკლია. ზოგი აქაური ელჩი, რომელიც მე ვინახულე, მაგ., ინგლისისა, ამერიკისა და იტალიისა, თავიანთ სახელმწიფოების საზაეო დელეგაციების წევრებად დაინიშნენ და, თუ მათი დაპირება გულწრფელი იყო, უეჭველია, დაგვეხმარებიან კიდეც რასმე. თუმცა სურვილი და თუ გინდა აღთქმა-პირობაც დღევანდელ პირობებში ეგრერიგად არ ფასობს, რადგან ყველაფერი სასწორ-საწონზეა დამოკიდებული — როგორი ან ვისი ინტერესიც გადასწონის, მართალიცა და სამართლიანიც ის დარჩება. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ —„ცდა ბედის მონახევრეაო". არ ვფიქრობ, რომ დღეს-დღეობის ისეთს „Quantité négligeable"-ს[2] წარმოადგენდეს საქართველო, რომ ვისიმე ყურით სათრევი გავხდეთ. ჩვენი საკითხის სიმართლე და მძლეობა ისაა, რომ ჩვენ უკვე დამოუკიდებელნი ვართ, როგორც ერთი მთლიანი ეროვნული ორგანიზმი, სახელმწიფოებრიობის დამახასიათებელ ყოველი ატრიბუტით. დიახ, და ამიტომ, არც აგრე ადვილი მოსახერხებელია ყველა ამის ერთის დაკვრით აბრუნდის ქმნა! რასაკვირველია, დაინტერესებული სახელმწიფოები, და უპირატესად კი ინგლისი, შეეცდებიან, რომ ლომის წილი თვით დაიდონ, თუ დამოუკიდებლობა გვიბოძეს, მაგრამ რას იზამთ, პატარა ერის ბედი მუდამ ასეთი სხვისი საძიძაო ყოფილა და ასეთივე იქნება კიდევ დიდხანს!

არ ვიცი, თქვენ როგორს გუნებაზედ ხართ ჩვენების ნახვის შემდეგ!

[1] მიხეილი — მიხაკო წერეთელი.

[2] Quantité négligeable — ფრ. — უმნიშვნელო რამე.

ვინძლო გული გაგვიკეთოთ (განსაკუთრებით მიხაკოს) კარგის ამბებით! ველით თქვენგან ცნობებს პარიზის ამბებისას."

წერილის დასასრულს არისტო ჭუმბაძე ჩხენკელს ვრცელ ფინანსურ ანგარიშს უდგენს.[1]

არისტო ჭუმბაძის მომდევნო წერილი ჩხენკელისადმი 1919 წლის 24 მაისითაა დათარიღებული და ვრცელი პოლიტიკური ანგარიშია ევროპაში საქართველოს დიპლომატიური ნარმომადგენლობის მეთაურის — საქართველოს ელჩის მიმართ. წერილს თან ახლავს ასევე ჭუმბაძის ვრცელი ანგარიში მისი მოღვაწეობის შესახებ. ამ დოკუმენტებიდან კარგად ჩანს ამდროინდელი ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და სავაჭრო-ფინანსური ვითარება. დეტალურად ჩნდება ასევე ევროპის დამოკიდებულება კავკასიის ქვეყნებისადმი, რუსეთის საკითხის აქტუალობა, ქართველი პოლიტიკოსების ბრძოლა დამოუკიდებლობის აღიარებისათვის და სხვ.

„დიდათ პატივცემულო ბატონო აკაკი! — წერდა ჭუმბაძე. — გულწრფელ სალამს გიძღვნით და გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის სასიხარულოდ და სასახელოდ. თქვენი ბარათი 4 მაისის თარიღით მივიღე, რითაც ჩემს გულს ოდნავ ეფონა. თუ პიშონის ეგ აზრი წრფელია და არა ჩვეულებრივი დიპლომატიური „რა მენაღვლება" — მაშინ ჩვენი საკითხი თითქმის საკეთილოდ ყოფილა შედედებული; ვამბობ „თითქმის", რადგან, თუ ასეთ პოლიტიკურ კონიუნქტურის დროს, როდესაც რუსეთის საკითხმა თითქმის პირველი ჯერი ირგუნა ყურადღებისა, როდესაც ევროპასა და თვით რუსეთშიაც უკვე ამჩნევენ მოსულიერებულ რუსეთის აჩრდილს, თუ ასეთ დროს პიშონმა ასეთი აზრის გამოთქმა გაჰბედა, მგონი უუდიდესი და მართუძნელესი დაბრკოლება ჩვენი სამართლიანი საქმისა, უკვე ძლეულია. არა მგონია, რომ ანტანტის დანარჩენმა ბურჯებმა რაიმე საბუთი ან მოსაზრება იპოვონ ჩვენი ქვეყნის კვლავ დასამონებლად. ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩვენი უკულმართი ბედი თუ ეტლი სამარად-ჟამოდ წაღმა მსვლელობდეს! ამის უდიდესსა და უნეტარესს ჩემი არსება ვერას ისურვებს...

სავაჭრო კომისიის წევრები 22 ამ თვეს უკვე ბერლინს გაემგზავრნენ. ძღიერ ,კარგი ,ქმენით, რომ საქონლის ყიდვა შეეაჩერეთ: გარდა იმ ჭეშმარიტი მოსაზრებისა, რომელსაც თქვენ მიუთითეთ, რისკი მართლაც თვალსაჩინო იყო, თან საქონელი და ფრახტი დღითი-დღე იაფდება. თუმცა, აქაური ფირმები და საზოგადოებანი თითქმის პირს ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ, მაგრამ რა გაეწყობა — სამერმისოდ მაინც ლარი გაიტანს, როგორც ძველი ქართველები იტყოდნენ ხოლმე ასეთი შემთხვევისათვის.

კარგი გინებებიათ, რომ აქაური ხარჯის გაძღოლა ბერლინის წარმომადგენლობისათვის დაგიკისრებიათ, უფრო დასამხარია. მხოლოდ ერთი პატარა უხერხულობაც რომ შესწორდებოდეს, კიდევ უკეთესი იქნება: რა უშავს, მაგალითად, რომ განსაზღვრული თანხა შვეციის წარმომადგენლობის სახელზე იქნეს აქ შენახული? საქმე ისაა, რომ ვინ იცის ახლო მომა-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე90. ფურც. 6-7

ვალში რა მდგომარეობა შეიქნეს გერმანიაში თუ ზავის პირობებს ხელი არ მოაწერეს. გარდა ამისა, ცოტა უხერხულიცაა პირადად ჩემთვის: აქ წარმომადგენლობა გვაქვს და ბერლინიდან კი ყოველივეს ჩეკი ან დეპეშა იგზავნება, როცა ფული აქაურს ბანკში ძევს. ყოველ შემთხვევაში, მგონია, ემჯობინებოდა, რომ მცირე რაიმე თანხა იქნეს აქაურ წარმომადგენლობის სახელზე.

ამასთანავე, გიგზავნით ჩემი მოქმედების ანგარიშს, დიდათ ვწუხვარ, რომ პირველმა ჩემმა მოხსენებამ თქვენამდე ვერ მოაღწია. წარმომიდგენია, თქვენი გაკვირვება, როდესაც ჩემგან არავითარი ცნობა არ მოგდიოდათ: ეს კაცი წავიდა და კვალიც კი დაჰკარგაო! სირცხვილი „კულტურულ" ევროპას ასეთი უცნაური ქურდობისათვის".

ამგვარივე შინაარსის მოხსენება ბ. საგარეო საქმეთა მინისტრსაც გავუგზავნე საქართველოში დანიის შიკრიკის ხელით, რომელიც მაისის პირველ დღეებში გაემგზავრა ტფილისს.

მიხეილმა სიამით მოგიკითხათ.

მარად თქვენი პატივისმცემელი არისტო ჭუმბაძე.[1]

ამავე დღეს ჩხენკელისათვის გაგზავნილ საერთო ანგარიშში კარგად ჩანს დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატიური კავშირები სკანდინავიის ქვეყნებთან, ის დეტალები, რასაც ჩვენი დიპლომატები გამორჩეულად თვლიდნენ და ევროპის სახელმწიფოებს აცნობდნენ საქართველოში შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღიარების მიზნით.

არისტო ჭუმბაძის მიერ შედგენილი ანგარიში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობის მოქმედების შესახებ სკანდინავიის ქვეყნებში, 1919 წელი, 24 მაისი.

„თანახმად საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბ. ა. ჩხენკელის განკარგულებისა, 1918 წლის 15 დეკემბერს გავემგზავრე ბერლინიდან კოპენჰაგენს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი დანიის სამეფო მთავრობის წინაშე.[2]

მისვლისთანავე ვინახულე დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი (თვით მინისტრი იმჟამად დანიაში არ იმყოფებოდა), გავაცანი ჩვენი ქვეყნის აწინდელი პოლიტიკური მდგომარეობა და ვსთხოვე შესაფერი დახმარება. გულდასმით მომისმინა, დაწერილებით გამომკითხა ჩვენი ქვეყნის შინაურ ძალთა განწყობილების ვითარება და მეტად გაკვირვებული დარჩა, როდესაც გაიგო, რომ პაწაწა ქვეყნის დემოკრატიამ ასე სასიქადულოდ დაიმკვიდრა ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლება რუსეთის საერთო ორომტრიალის დროს. გაიხსენა აგრეთვე ბ. ა. ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი მემორანდუმი და ჩემს თხოვნაზე დახმარების

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 90. ფურც. 8-9.

[2] შენიშვნა: 1918 წლის დეკემბერში ჩხენკელი აღარ იყო საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ამ თანამდებობაზე ევგენი გეგეჭკორი დაინიშნა, ჩხენკელი კი საქართველოს ელჩი გახდა ევროპაში. როგორც ჩანს, ამას ფორმალობად მიიჩნევდნენ საქართველოს წარმომადგენლები ევროპაში და ჯერ კიდევ საგარეო უწყების მეთაურად ჩხენკელს მიიჩნევდნენ.

შესახებ შემდეგი მითხრა: მოგეხსენებათ, რომ დანია პატარა სახელმწიფოა, გეცოდინებათ აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ საკუთარი საჭირბოროტო საკითხი გვაქვს საზავო კონფერენციაზე გადასაწყვეტი — შლეზვიგი[1] — ამიტომ, ჩვენ ვერ შევსძლებთ კონვეციაზე თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხის აღძვრას, ხოლო თუ იგი (ჩვენი საკითხი) აღძრულ იქნა, დანიის წარმომადგენლები მხარს დაუჭერენ მას, რადგან, დარწმუნებული იყავით, დანიას არ აქვს არავითარი ინტერესი, არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური, თქვენი დამოუკიდებლობა არა სცნასო. თან იქვე გამაცნო სახელმწიფო საბჭოს პირველი დეპარტამენტის თავმჯდომარე, კამერჰერი ბ. ცალე და იგი დამისახა, ასე ვსთქვათ, ინტერმედიერად ჩვენი კითხვისათვის. ბ. ცალესთან რამდენჯერმე მქონდა საუბარი, რომლის დროსაც დაწვრილებით გავაცანი მას საქართველოს ყოფა-მდგომარეობა წარსულსა და აწმყოში., თანვე გადავეცი ყველა ის მასალა (სხვადასხვა დროს დაწერილი მემორანდუმები, რუკა და ჩვენი ქვეყნის აღწერილობა), რომელიც იმჟამად ხელთ მქონდა. ამ საუბრების დროს გამოირკვა, რომ დანიის (და განა მარტო დანიისა!) ოფიციალურს წრეებს ჩვენი ქვეყანა უპირატესად ეკონომიურის მხრით აინტერესებს, რაც ადვილი გასაგებია.

რაკი ოფიციალურს წრეებში ასე გულღიად მიეგებნენ ჩვენს სამართლიან საკითხს, საჭირო იყო პრესისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წრეების ამოძრავებაც. ამ საქმეში დიდი სამსახური გაგვინია დანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და პარტიულ ორგანოს „Social-Demokraten"-ის ხელმძღვანელმა, დეპუტატმა **ბ. ბროგბერგმა**. ამ ორგანოში დაიბეჭდა სოც-დმოკრატიული პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ ინტერნაციონალისთვის წარდგენილი მემორანდუმი, იქვე დაიბეჭდა ჩემი ვრცელი ინტერვიუ და წერილიც საქართველოს აწინდელ სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

მივმართე აგრეთვე დანიის ერთ-ერთს გავლენიან გაზეთის — „National-Tidende"-ს რედაქციას, რომელმაც თვალსაჩინო დახმარება გაგვიწია: დაბეჭდა წერილები ჩვენი ქვეყნის შესახებ და ერთმა მისმა წევრთაგანმა, ცნობილმა ჟურნალისტმა **იენსენმა** ჩემ მიერ დაწერილი რეფერატი გადასთარგმნა და საჯაროდ წაიკითხა ჟურნალისტთა საზოგადოებაში.

რაკი საზოგადოებამ გაიგო ჩვენი ქვეყნის არსებობა, მრავალი სავაჭრო თუ საფინანსო საზოგადოების წარმომადგენელი მთხოვდა ცნობას და დახმარებას საქართველოსთან ურთიერთობის გასაბმელად, იმჟამად მეტად ძნელი იყო ამგვარი რამის მოწყობა, მაგრამ ეხლა, როგორც კოპენჰაგენიდან მატყობინებენ, უკვე გამგზავრებულა ჩვენი ქვეყნისაკენ დანიის გემი სხვადასხვაგვარი საქონლით.

ვინახულე კოპენჰაგენში მყოფი ნეიტრალურ სახელმწიფოთა ყველა ელჩები, რომელთაც უკლებლივ აღმითქვეს დახმარება თავიანთი მთავრობების წინაშე. არ მოხერხდა მხოლოდ ანტანტის ელჩთა ნახვა, რადგან,

[1] შლეზვიგი, — ისტორიული ოლქი ჩრილოეთ ევროპაში, ყოფილი საპერცოგო. I მსოფლიო ომის შემდეგ გახდა სადავო ტერიტორია, 1920 წლიდან გაიყო დანია-გერმანიას შორის, მიენიჭა თავისუფალი ეკონომიკური ზონის სტატუსი. იგივე სამხრეთ იუტლანდია.

როგორც გავიგე, თურმე არ მიმიღებდნენ და ამიტომ, ძალად მაცხოვნეობას მიუსვლელობა ვამჯობინე. დანიაშივე ყოფნის დროს მივმართე იქაურს წითელ ჯვარს, რათა დახმარება გაეწია გერმანიაში მყოფ ჩვენი სამხედრო ტყვეებისთვის, რომელნიც იმ დროს მეტად ცუდს ყოფაში იყვნენ, რაზედაც პასუხად დასტური მივიღე. ასეთივე შუამდგომლობა აღვძარი შვეციისა და ნორვეგიის წითელ ჯვართა წინაშეც. რამდენიმე სამხედრო ტყვეობაში მყოფი ქართველი დანიაშიც იმყოფება; სხვადასხვა ადგილს იყვნენ გაბნეულნი, ერთად შევყარე და მოვათავსე ქ. რიბეში, ზოგს მათგანს სამუშევარიც უშოვნეს.

ასეთ დონეზე იდგა დანიაში ჩვენი მოქმედება, როდესაც ბ. ა. ჩხენკელისაგან მივიღე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც მეცნობა, შვეციას ჩემი დანიშვნა ნაცვლად ბ. მ. წერეთლისა. 1919 წლის 20 იანვარს უკვე სტოკჰოლმში ვიყავი. დანიის საგარეო საქმეთა მინისტრს შესაფერი ქაღალდი გავუგზავნე (რადგან პირადად მან დრო ვერ იშოვა წამოსვლისას ჩემს მისაღებად), სადაც განვმარტე სტოკჰოლმს ჩემი გადანაცვლების საჭიროება, ისე რომ სხვა რიგათ არ მიეღოთ ჩემი წასვლა და იქ წარმომადგენლობის ყოლის უფლება არ დაგვკარგვოდა.

შვეციაში ჩვენი საკითხისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო ბ. მიხეილ წერეთლის მუშაობით. საჭირო იყო მხოლოდ მისი განგრძობა. დაუყონებლივ ვინახულე ჯერ ნეიტრალურ სახელმწიფოთა ელჩები, შემდეგ კი ალიანსისა. ყველგან ჯეროვნად და გულდასმით მისმენდნენ. საერთო იყო მათი აზრი ჩვენი საკითხის შესახებ: თქვენი საკითხი სამართლიანია! ანტანტა, რომელიც ერთა თავისუფლებისათვის ებრძოდა ცენტრალურ სახელმწიფოთა უჯიათობას, არ ისურვებს კვალად თქვენს დამონებასო. განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით მოეკიდა ჩვენს საკითხს იტალიის chargé d'affaires **ბ. ალესსანდრო მარიანი.** რამდენჯერმე ვინახულეთ ერთმანეთი და აღმითქვა: განსაკუთრებულს შუამდგომლობას გავუგზავნი თქვენი საკითხის შესახებ **ბ. სონინოსო. უკულმართია ეტლი ჩვენის ისტორიისა!** დღეს ხომ იტალია ჩვენზე არანაკლებ უსიამო ყოფაშია!..

შვეციის პრესა და საზოგადოება იმთავითვე სიმპათიით ეპყრობოდა ჩვენს საკითხს. მრავალი წერილი დაიბეჭდა აქაურს ჟურნალ-გაზეთებში ჩვენი ქვეყნის შესახებ, ზოგი ჩვენი, ზოგიც შვედებისა. განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან ეკონომიურ-სამრეწველო და ფინანსიური წრეები.

ასე რომ, სკანდინავიის ქვეყნებმა დღეს უკვე იციან ვინცა და რაცა ვართ, სიმპატიით ეპყრობიან ჩვენს აღორძინებას და სცდილობენ შეძლებისგვარად მხარი მისცენ ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას.

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია მოვიხსენიო ფინლანდიაში ქართველთა მდგომარეობა. იანვრის დამდეგს, პეტროგრადში მყოფი საქართველოს კონსული ბ. ჩერქეზიშვილი მატყობინებდა, რომ საჭიროა ფინლანდიას სპეციალური პირის გაგზავნა იქაურ ქართველ ტყვეებისა და რუსეთიდან გახიზნულთა დასახმარებლად, მაგრამ რადგან პეტროგრადიდან დანიშნულ პირს ფინლანდიის მთავრობა უნდობლად უცქერის, ამიტომ გთხოვთ

სტოკჰოლმიდან დანიშნოთ ეს პირიო და თან წინადადებას იძლეოდა დამენიშნა ბ. ილამაზ დადეშქელიანი.[1] სანამ მე პასუხის გაცემას მოვასწრებდი, ჰელსინგფორსიდან მოვიდა საგანგებო კაცი, კაპიტანი ჯავრიშვილი, რომელმაც მაცნობა, რომ ფინლანდიაში უკვე მივიდა საქართველოს წარმომადგენელი, ღენერალი შალიკოვ-კატკოვიო. ეს შალიკოვ-კატკოვი ბ.-ნ ჩერქეზიშვილს გაუგზავნია დროებით, ხოლო ამჟამად თვით შალიკოვი მატყობინებს, რომ საჭიროა აქ მუდმივი წარმომადგენლის დანიშვნაო. კატკოვს მე არ ვიცნობ. ამბობენ, გულწრფელად ქართველობსო. ნაშვილები ჰყოლია რომელიღაც გენერალ შალიკოვს. გთხოვთ ამის შესახებ განკარგულებას.

არისტო ჭუმბაძე

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი სკანდინავიაში."[2]

11 ივლისს ჩხენკელისადმი გაგზავნილ წერილში, ჭუმბაძე ისევ სტოკჰოლმისა და ქართული წარმომადგენლობის საქმიანობას იტყობინებოდა, წუხდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება ევროპის ქვეყნების მიერ ასე ჭიანურდებოდა. წერილში ჩანს მისი თანამშრომლის — მიხეილ წერეთლის იმჟამინდელი მდგომარეობა, რუსეთის ბოლშევიკური და მონარქისტული ძალებისადმი ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულება და სხვ.

მოვიტანთ მთლიანად წერილს.

„11, VII, 1919. სტოკჰოლმი, სასტუმრო რეგინა

დიდათ პატივცემულო

ბ. აკაკი!

გულწრფელ სალამს გიძღვნით და გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს მარადწამებული სამშობლოს სასარგებლოდ და სასიქადულოდ. ამ ერთი კვირის წინათ გამოგიგზავნეთ ღია ბარათი ბერნის ადრესით, რომლითაც აქაურს მდგომარეობას გატყობინებდით. ალბათ, მას შემდეგ მიიღებთ. მიხეილმა მიღალატა: აქ ყოფნას ბერლინი ამჯობინა და გაემგზავრა კიდეც ივნისის 17-ს გერმანიაში. თუმცა მე უკმაყოფილო ვიყავი მისი ამგვარი გარდაწყვეტილებისა, მაგრამ ბოლოს მეც კვერი დავუკარი, რადგან, მართლაც, აქ ამჟამად იმდენი არა იყო რა საკეთებელი, რამდენადაც თავის პირად საქმეს მოსცდებოდა; გარდა ამისა, მატერიალური მდგომარეობაც არ უნყობდა ხელს აქ საცხოვრებლად.

მივიღე თქვენ მიერ და ბიუროსაგან გამოგზავნილი ბროშურა-ბიულეტენები. მეტად ძვირფასი ცნობებია, როგორც პირადად ჩემთვის, ასევე აქაური პრესა-საზოგადოებისათვის; მაშინვე დავურიგე ნაცნობებსა და ჟურნალ-გაზეთებს. კარგი იქნება, რომ კვლავაც მომანვდიდეთ რეგულარულად.

არ იქნა, არაფერი ეშველა ჩვენი საკითხის საკეთილოდ დაგვირგვინებას? **მე პირადათ არავითარი ეჭვი არა მაქვს, რომ ჩვენ დამოუკიდებელნი**

[1] ილამაზ დადეშქელიანი, — ილამაზ ოთარის ძე დადეშქელიანი (1896-1967), ქართველი ემიგრანტი, დაკრძალულია საფრანგეთში, ბატენიოლის სასაფლაოზე.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 90. ფურც. 10-11.

ვიქნებით, მაგრამ ეს გამოურკვეველობისა და ბურუსიანობის ხანაა მეტად ძნელი გადასატანი. ვფიქრობ, რომ კიდევ კარგა ხანს მოგვიხდება ლოდინი, რადგან ანტანტა, როგორც ჩანს, არ აპირებს, არა თუ ჩვენი საკითხის გადაწყვეტას, არამედ მის აღძვრასაც კი; ამასვე გვიმოწმებს კოლჩაკისადმი მათი განწყობილება და აღებული პოლიტიკური გეზი. ანტანტის ამ ცნობილ დეკლარაციის აზრი ისაა, რომ უნდა ვუცადოთ მეორეთ მოსვლას, ე. ი.სანამ რუსეთში მოქალაქობრივი წესი აღდგებოდეს და სანამ დამფუძნებელი კრება რუსეთის დემოკრატიისა ინებებდეს მოწყალების გაღებას. ეს კიდევ სხვა საკითხია, ინებებს თუ არა ის ჯერ კიდევ არდაბადებული რუსის დემოკრატია ამგვარი მოწყალების ბოძებას! ხოლო რუსეთში კი ჯერ-ჯერობით როდი სჩანს ძალთა განწყობილების საგრძნობელი ცვლილება. ბოლშევიკები არათუ თავს იცავენ, ამ უკანასკნელ ხანებში შეტევასაც კი აწარმოებენ ჩინებულად: აქაური გაზეთები (აგრეთვე ფინლანდიის რუსული გაზეთებიც) ამ ერთი თვის წინად ქვეყანას აყრუებდნენ: 5-6 დღის შემდეგ პეტროგრადი დაემხობაო. მაგრამ სამაგიეროდ ამისა, ბოლშევიკებმა იმდენი შესძლეს, რომ ჩრდილოეთ რუსეთის კორპუსი კაპორიკს იქით ფეხს ველარა სძრავს, ოლონეცის მხრიდან ფინი-მოხალისენი მთლად გარეკეს, ხოლო კოლჩაკი ისე მძიმედ დაამარცხეს, რომ მისი ჯარის მარჯვენა ფრთა აგერ მესამე კვირაა განუწყვეტლად უკან იხევს უწესრიგოდ. პეტროგრადი ისეა გამაგრებული თურმე, რომ ძველი რეჟიმის დროსაც კი არ ყოფილა სამხედრო თვალსაზრისით. ყველა ეს ცნობა პირადად რამდენჯერმე მომისმენია რუსეთიდან აქ მოსულ პირთა — როგორც ცივილთა, ისე სამხედროთაგან. ასე რომ, ბოლშევიკების „განადგურებამდე" ჯერ კიდევ შორსაა. ამასვე გრძნობს ანტანტაც და (აქაურ პრესისთვის ეს უკვე ფაქტია) იმიტომაც მიმართა მოსკოვს წინადადებით: შეწყვეტა ომისა და აღიარება ყველა იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც დღეს არსებობენ რუსეთის სივრცეზე (ბოლშევიკური თუ არაბოლშევიკური) იმ საზღვრებში, რომელზედაც დღეს მეომართა ჯარები სდგანან. ამბობენ, ამის წინააღმდეგი მხოლოდ დენიკინიაო. კოლჩაკი ვითომ იზიარებს ამ წინადადებას. ჰოდა, ამგვარი „გაუჭრელი" მდგომარეობა როდია ჩვენთვის სახეირო იმ დროს, როცა შინ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის განამაწიაა. ამგვარი მდგომარეობა მერყეობასა და ენერგიის დაცარვას უწყობს ხელს. მეტად გამახარა თქვენმა სიტყვებმა: საქართველო მაგრად არისო. ღმერთმა ჰქნას! მაგაშია ბოლოს და ბოლოს ჩვენი ხსნა. თუმცა, ბერლინის „გოლოს როსიიში" ამოვიკითხე ამ ერთი კვირის წინად, თითქოს ჩვენსა და სომხებს შორის კვლავ ომი ამტყდარა და თითქოს სომხებს მთელი ახალციხის მაზრა დაუჭერიათ. ნუთუ ეს მართალია? იქნებ იცოდეთ რამე? ნუ თუ შარშანდელმა ამბებმა მათ კიდევ ვერ ასწავლეს ჭკუა!

თავმდაბალი სალამი ქ.-ნ მაკრინეს.

მარად თქვენი პატივისმცემელი არისტო ჭუმბაძე."[1]

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 90. ფურც. 12-13.

1919 წლის 1 სექტემბრის წერილში, რომელსაც ჭუმბაძე კვლავ სტოკ-ჰოლმიდან უგზავნის ჩხენკელს, ჩანს ის გულგატეხილობა, რაც ევროპის სახელმწიფოების მხრიდან გამოხატულმა არცნობის პოლიტიკამ გამოიწვია ქართველ პოლიტიკოსებში. ჩხენკელი ამხნევებდა მათ და აიძულებდა ფარ-ხმალი არ დაეყარათ. „დიდი ხანია თქვენი გამამხნევებელი ხმა აღარ მსმენია, — წერდა ჭუმბაძე, — ვინძლო ავად არ ბრძანდებოდეთ! ამ ორი თუ სამი კვირის წინად წერილი მოგწერეთ, ალბად არ მიგიღიათ, რადგან, ვიცი, პასუხს არ დაიშურებდით.

ჩემი საფიქრალი და სავალალო, როგორც ყოველი ნამდვილი მამულიშვილისა, მხოლოდ ჩვენი ჯვარცმული სამშობლოის საერთაშორისო მდგომარეობაა, ვამბობ, საერთაშორისო, რადგან, როგორიც უნდა იყოს მისი შინაური ყოფა და გარემოება, იგი შესძლებს ყოველგვარი გაჭირვების თავის ართმევას, ამას ამოწმებს ჩვენი სასახელო დემოკრატიის მტკიცე და უნარიანი შემოქმედებითი მუშაობა. ბევრი დღესაც შეჰნატრის ამ დემოკრატიას, ზოგი გულლწრფელად, ზოგიც ღვარძლიანი შურით, ხოლო სასიხარულო და საამაყო მართლაც ბევრი რამ გვაქვს, რომ... რომ ჩამოგვეხსნებოდნენ „ძალადმაცხოვნენი" ჩრდილოეთისა თუ დასავლეთისა. მაგრამ ჩვენი უბედურებაც სწორედ ესაა, (ისტორიულადაც ასე იყო მარად), რომ სხვა ერთა შორის საჩინო ვართ, როგორც პოლიტიკურისა, ისე ეკონომიურისა, სოციალურისა და, თუ გნებავთ, ეთნიურის მხრით. ჩვენ რომ, მაგალითად, ისეთი დონისა და ზომის ერი ვიყოთ, როგორიც ჩვენი მეზობელი ერები არიან, მაშინ უფრო ადვილად გადაწყდებოდა ჩვენი საკითხი. ამას თავის ქებად ან განდიდებად ნუ მიიღებთ, სასაცილოა თეორია ამათუ იმ ერის რჩეულობისა, გინდ მესსიანობისა. არა, რასაც ვამბობ, ეს ჩვენი ქვეყნის სინამდვილეა, არ ვიცი, საბედნიერო თუ საბედისწერო. ყველას ხომ ჩვენზე უჭირავს თვალი, როგორც კარგს „საკბილოზე", საქმესაც ეს ართულებს. ვერ წარმოიდგენთ, რაგვარად აიღეს თავი ყველგან, განსაკუთრებით კი სკანდინავიაში, რუსეთის „მთლიანობისა და განუყოფელობის" მოტრფიალეთ. დღითი-დღე იკრებენ ძალას და უკვე აშკარად, უნიღბოდ აცხადებენ თავიანთ უნიადაგო პრეტენზიებს. აქაური პრესისა და დემოკრატიისათვის საიდუმლო აღარაა, რომ მომავალი რუსეთი, თუ შესძლეს მისი აღდგენა, უაღრესად რეაქციონური იქნება. ამ რამდენიმე ხნის წინად აქ მომხდარმა სკანდალმა (არდაშევისა, ლევიცკისა და მკვლელობამ „ცარიზმის" მომხრეთა მიერ) ბევრი საინტერესო გამოამჟღავნა. მეფობის აღდგენის ორგანიზაციები თურმე ევროპის ყველა სახელმწიფოში არსებობს, ცოტად თუ ბევრად აქტიურნი. მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ ამ ორგანიზაციების ძირი და ფესვი კოლჩაკ-დენიკინ-იუდენიჩები არიან რუსეთში, ხოლო „პარიზის პოლიტიკური რუსული სოვეშჩანიე" და ბურცევის კომპანია ევროპაში აქაური სკანდალის ბელადს, ვინმე ხადჟიტლაძეს (აქაური რუსობა ამტკიცებს, ქართველი ხანჯალაძეაო) პირდაპირი მინერ-მოწერა ჰქონია იუდენიჩთან და ფულსაც მისგან იღებდა თავისი

მონარქიული ორგანიზაციისათვის. დიახ, თავი წამოიღეს, ფხაკურობენ, ჰყვირიან, იმუქრებიან. გაუდისთ და კიდევაც გაუვათ... ჩვენი საკითხის კრიზისი სწორედ ეხლა იწყება.

რა გესმით პარიზიდან? რასა შვრებიან ჩვენები? ნუთუ ნახევარი წლის განმავლობაში ასე მუნჯადა სურთ იყოლიონ იგინი ქვეყნიერების დღევანდელმა ბატონებმა, რომ **შემდეგ ისევ რუსის მხეცს მიგვცენ სისხლიან პირში?** თქვენ ხშირი მიწერ-მოწერა გაქვთ, ალბად, პარიზთან და გეცოდინებათ საქმის წვრილმანი...

ნუ დაიზარებთ, შემატყობინოთ.

მარად თქვენი პატივისმცემელი ა. ჭუმბაძე."[1]

1919 წლის 23 სექტემბრის წერილი არისტო ჭუმბაძეს ისევ სტოკჰოლმიდან, სასტუმრო „რეგინადან" აქვს მიწერილი აკაკი ჩხენკელისადმი. წერილიდან ჩანს, რომ ქართველი დიპლომატი სკანდინავიის ქვეყნებში კვლავ საქართველოს პროპაგანდით არის დაკავებული, ცდილობს პატრიოტული სულისკვეთება აქციოს პოლიტიკურ მოტივაციად, იმოქმედოს ევროპის ქვეყნებზე, მაგრამ შედეგი ამისა არ ჩანდა. სამწუხაროდ, ეს ქვეყნები ევროპის დიდ პოლიტიკას მაშინ ვერ ქმნიდნენ, ყველფერს ანტანტის სახელმწიფოები წყვეტდნენ, ქართველ დიპლომატებს ყველა თავაზიანად იღებდა, მაგრამ ვერაფერს უკეთებდა. მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თუ იბმებოდა და ისიც მოლაპარაკებების დონეზე, პრაქტიკულად ამ საქმესაც რეალური ხასიათი ვერ ეძლეოდა. ამ წერილებში ბევრი ამდროინდელი საგარეო თუ საშინაო ვითარების წვრილმანი მომენტები იმალება, ამიტომ, ამ წერილსაც სრულად მოვიტანთ.

„23. IX. 1919.

სტოკჰოლმი, სასტუმრო „რეგინა"

დიდათ პატივცემულო ბ. აკაკი!

მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი და წრფელი სურვილი თქვენი კარგათ ყოფნისა. მივიღე თქვენი წერილი, სადაც საყვედურს გამოსთქვამთ, თითქოს დამვიწყნოდეთ. ირწმუნეთ, რომ, თუ ჩემს უკანასკნელ წერილს დააგვიანდა, ამის მიზეზი დავიწყებას კი არა, ჩემს დაუკვირვებლობას მიეწერება, რადგან 2 აგვისტოს თქვენთვის გამოგზავნილი ბარათი ორი დღის წინად უკანვე დამიბრუნდა ადრესის უხეიროდ აღნიშვნისა გამო. ვწუხვარ ამ უნებლიე მარცხს.

რაიცა შეეხება ჩემს აქ მოქმედებას, უნდა მოგახსენოთ, რომ იმთავითვე მუშაობა უპირატესად პროპაგანდით გამოიხატებოდა და იმავე ხასიათისაა იგი დღესაც: როცა საბაბი და შემთხვევა მეძლევა, ვნახულობ მთავრობის პირებსა და სხვადასხვა სახელმწიფოთა ელჩებს, ვავრცელებ პრესასა და საზოგადოებაში პარიზიდან, ბერნიდან და თქვენგან გამოგზავნილ ლიტერატურას როგორც აქ, ისე დანმარკსა, ნორვეგიასა და ფინლანდიაში, ვაწვდი სავაჭრო-სამრეწველო დეპარტამენტს და კომერციულ წრეებს

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 90. ფურც. 14-15.

ცნობებს ჩვენი ქვეყნის შესახებ და სხვა.

საზოგადოთ, ჩვენდამი ინტერესი აქაურ საზოგადოებაში, ცოტა არ იყოს, განელდა ამ ბოლო დროს. ამის მიზეზი, ერთის მხრით, ჩვენი „ეკონომიური კომისიის" მოქმედებაა, რომელმაც ნახევარი წლის განმავლობაში მთელი სკანდინავია შესძრა თავისი ფართო პროგრამითა და პროექტებით, ზოგიერთებთან ხელშეკრულება-პირობის დადებამდეც კი მივიდა საქმე და ბოლოს ამ ვაი-უშველებელიდან ხელშესახები აღარა დარჩა-რა — გარდა საზოგადოების გაბიაბრუებისა. რასაკვირველია, „ეკონომიური კომისიის" დანიშნულებას სრულიადაც არ შეადგენდა მყიდველ-გამყიდველის როლის თამაში, მაგრამ ასეთი ბოდიში როდი ამცირებს იმ ზიანის მნიშვნელობას, რომელიც კომისიის მცდარმა ნაბიჯმა გამოიღო, რადგან ის წრეები, რომელთანაც მათ დამოკიდებულება ჰქონდათ, სწორედ ასეთის აზრის იყვნენ, რომ კომისია სავაჭროდ იყო აქ მოსული. ხშირად დამჭირდა ამის შესახებ განმარტების მიცემა სხვადასხვა ფირმისათვის, ვარწმუნებ, რომ ის კომისია ნეიტრალ სახელმწიფოთა ეკონომიური პირობებისა და ბაზრის შესასწავლად იყო გამოგზავნილი და უპირატესაად პერფექციულ-ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა და არა ვაჭრული...

მეორე მიზეზი გახლავთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობის გამოურკვევლობა. თუ იმთავითვე ეს ქვეყნები ისე გულმხურვალედ მოგვეგებნენ, მათ, რასაკვირველია, ეკონომიური ინტერესი ამოძრავებდათ. როცა იანვარში პირველად ვინახულე შვეციის საგარეო ს.მინისტრი, ბაასის დასრულების შემდგომ, მან ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის უფროსის მისამართი მომცა და მითხრა: როცა მას მოელაპარაკებით, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ურთიერთობა უფრო განმტკიცდებაო. ხოლო დეპარტამენტის უფროსის პირველივე სიტყვები ასეთი იყო: ვიცი, მდიდარია თქვენი ქვეყანა, რის მოცემა შეგიძლიათ ამჟამად, რომ ჩვენგან სამაგიეროდ საჭირო საქონელი მიიღოთო. მაშინ ბლოკადის გამო მდგომარეობა ისეთი იყო, რომ შეუძლებელი გახდა ჩვენ ქვეყანასთან დამოკიდებულების გაბმა. დღეს მთელი შვეცია ყელამდეა ოქროთი სავსე და ომის სპეკულაციით გასუქებული კაპიტალი სამოქმედო ასპარეზს ეძებს, მაგრამ ვერც ისეთი რისკის გაწევას ჰბედავს, რომ ჩვენს ქვეყანას მიმართოს. ამას წინად, ერთი აქაური ელექტრონული დიდი ფირმის „ასეას" დირექტორთაგანი მეუბნებოდა: ძალიან კარგად ვიცი, რომ ქართველი ხალხი წესრიგისა და თავისუფლების მოყვარულია, ისიც ვიცი, რომ იქაური ნიადაგი მხოლოდ მხნე მრეწველს ელის, რათა უნაყოფოდ მდებარე განძი ერის სიმდიდრედ აქციოს, მაგრამ, ვსთქვათ, ხვალ რომ „დემოკრატ" დენიკინის ძალაუფლება გეწვიოსთ, ვინ არის თავდები, რომ ჩემ მიერ განეულ შრომასა და ჩაყრილ კაპიტალს იწამებს და მე კინნისკვრით არ გამომაგდებს იქიდანო. ასეთი აზრი მარტო მისი კერძო შეხედულება კი არაა, საზოგადოდ ტიპიურია აქაურ მრეწველისათვის. მე, რასაკვირველია, ვარწმუნე, რომ

შესაძლებელია კიდევ იცადოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხმა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დღეის შემდეგ იქ რუსის ჭაჭანება არ იქნება, დემოკრატიული იყოს იგი, გინდ რეაქციონური-მეთქი. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ვაჭარი თავის საკუთარ ალაბსა და ჩოთქზე ზომავს ყველაფერს და ალბად, ჩემი მტკიცება მისთვის მხოლოდ სასურველობას ნიშნავდა...

მარტო და მხოლოდ ჩვენი „თეთრი ნახშირის" საკონცესიო გარანტიით შეიძლებოდა აქ მილიონების სესხად აღება, რომ... რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა ასე სავალალო არ იყოს. **ამას წინად პიშონის მიერ განცხადებამ „კავკასიის რესპუბლიკებისა" და საფრანგეთის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ, მთლად გაუტეხა გული აქაურს ჩვენს მეგობრებს. პიშონის სიტყვით, საქართველო დე-ფაქტოდაც კი არაა ცნობილი საფრანგეთის მიერ!**

ხოლო ჩვენი და, საზოგადოდ, რუსეთის დუხჭირობისაგან განთავისუფლებული ერების მტრები თავს მაღლა იღებენ და ყოველნაირის საშუალებით ცდილობენ წარსულის მობრუნებას. ამას წინად გწერდით, რომ აქ აღმოაჩინეს მონარქისტ-ავანტიურისტთა ორგანიზაცია, რომელსაც რამდენიმე პოლიტიკური მკვლელობა ჩაუდენია. დღეს მათ (რიცხვით 16) შვეციის სასამართლო ასამართლებს, სადაც ირკვევა, რომ ასეთი ორგანიზაციები როგორც სკანდინავიის ქვეყნებში და ბალტიის მხარეში, ისე გერმანიაშიც ყოფილა. ამ უკანასკნელ ორგანიზაციასთან კავშირი უნდა ჰქონდეს გაზ. „Поисывъ-"-ს[1], რომელიც ბერლინში გამოდის. მართალია, მისი კომპანია თურმე ცარცვა-გლეჯასაც არ თაკილობდა, მაგრამ ისიც მართალია, რომ რომ მას ღენ. იუდენიჩთან ჰქონია ხშირი მიწერ-მოწერა. რამდენადაც მაგრდება პრესტიჟი ღენერლების დიქტატურისა, იმდენად ნელში იმართებიან ძველი რეჟიმის მოტრფიალენი. სამი დღის წინად შევხვდი ერთ რუს ექიმს, გვარად სალაზკინს, რომელიც ქალაქ მინსკიდან მოსულა ამ ქალაქის პოლონელების მიერ აღების შემდეგ. მან მიამბო, რომ დენიკინის მიერ „განთავისუფლებულ" ადგილებში ისეთივე განწყობილებაა, როგორც მეფობის დროსაო: გუბერნიაში — გუბერნატორი, მაზრაში — მაზრის უფროსი და ისპრავნიკი, ხოლო „ვოლოსტში" სტარშინა და სტრაჟნიკი ძველებურის მათრახითა და „ოკრიკით" ამყარებს „დემოკრატიულ" რეჟიმს. საგულისხმო უფრო ის არისო, სთქვა მან, — რომ „დობროვოლცების საქმე" (ასე ეძახიან თურმე რუსეთში სამხრეთის მხარეს) გამგესა და მპყრობელს, ცნობილ კრივოშკინს განგებისად ადმინისტრატორებად ძველი რეჟიმის მოხელეთა შორის ისეთი პირები აურჩევია, რომელნიც ყველაზე უფრო სასტიკი და ხალხის სისხლის მსმელნი იყენენო. ძველებურად დათარეშობენ სოფლებში ეს ბატონები და აშინებენ ხალხს, რომელნიც ისევ ბოლშევიკების დაბრუნებას ევედრებიან ღმერთსაო. ასეთივე, თუ უარესი არა, მდგომარეობაა ციმბირშიო, სადაც თურმე რევოლუციის თავისუფლებათა ნასახიც კი აღარ დარჩა: ცენზურა, მუშათა ორგანიზაციების აკრძალვა და

[1] გაზეთის სახელწოდება ხელნაწერში გაურკვეველად წერია.

ადმინისტრაციული თვითნებობაა მთელი შინაარსი „აღდგენილი რუსეთისა". დენიკინ-კოლჩაკის აგენტები, — დაუმატა მან, — ევროპაში თურმე დემოკრატიულ ჰანგზე მღერიან, იქ კი, რუსეთში, უკვე აღსდგა ძველი რეჟიმი... საგულისხმოა, რომ ეს ექიმი სალაზკინი არც ბოლშევიკია და არც არავითარი სოციალისტი, მთელი თავისი სიყმაწვილე და ძალ-ღონე ერობის სამსახურში დაულევია სოფლის ექიმად და სწორედ ამიტომ აქვს მის მოწმობას განსაკუთრებული ინტერესი. ეგრეთწოდებული „რუსეთის დემოკრატია" დღეს აღარსადა სჩანს თურმე, ბურთი და მოედანი ბოლშევიკებსა და დენიკინელებს დარჩათ. მხოლოდ აქ, ევროპაში, გაუგია სალაზკინს, რომ კიდევ ლაპარაკობენ რუსეთის დემოკრატიასა და მის მომავალზე, — მწარედ იცინოდა ამის გამო.

Rendent ამისა: ორი კვირის წინად ქ. რეველში მოხდა ბალტიის მხარის რუსი სოციალისტების (სოც.რევოლუციონერები და მენშევიკები) შეერთებული ყრილობა, რომელმაც ერთხმად გამოუცხადა უნდობლობა და ბრძოლა ლიანოზოვის მთავრობას. რასაკვირველია, მათს გადაწყვეტილებას არავითარი თვალსაჩინო შედეგი არ მოჰყვება, რადგან რუსის დემოკრატია ყოველთვის უსახსრო და ძვალ-რბილი იყო და ასეთივეა დღეს განსაკუთრებით. გაიგებდით, რომ ბალტიის მხარის სახელმწიფოებმა საზავო მოლაპარაკება გამართეს მოსკოვთან მოკავშირეების თანხმობით. დღეს გაზეთში ცნობაა, ესტონიამ უკვე შეკრა ზავიო, მაგრამ დასტური არაა ჯერ ამისი. რა იცით ჩვენი საქმის? სამი დღის წინად გავაგზავნე პარიზს ვრცელი მოხსენება. გისურვებთ კარგად ყოფნას.

მარად თქვენი პატ-ელი ა. ჭუმბაძე."[1]

„13. X. 1919 წელი

სტოკჰოლმი

Hotel Regina

დიდათ პატივცემულო

ბ-ნო აკაკი!

წრფელი სალამი და საუკეთესო სურვილი თქვენი კარგად ყოფნისა.

მივიღე თქვენი წერილი. არგენტინის მიერ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების ცნობა ადრევე ბერლინდან მივიღე. მაშინვე დავუგზავნე სკანდინავიის პრესას ეს ამბავი და თან წერილიც სააგიტაციო შინაარსის. თან აქაურს ჩვენს მეგობრებს ვსთხოვე, რათა გამოეხმაურონ თავიანთის მხრით. ვინახულე შვეციის საგრეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც ადრევე წერილობით ვაცნობე არგენტინის აქტი (აგრეთვე დანიასა და ნორვეგიას). საუბრის დროს ვაგრძნობინე, რომ შვეციისგანაც ამგვარსავე აქტს ველოდებით. ცოტა უხერხულობა დაეტყო (საზოგადოდ ჰელერი მეტად ფრთხილი დიპლომატია), ცხადი და გადაჭრილი ვერაფერი მითხრა, ეგაო, დამოკიდებულია არა მარტო ჩვენს სურვილზეო, თან გაკვირვება გამოსთქვა, რომ ანტანტისაგან ფაქტიურადაც კი არა ვართ ცნობილი. აქიდან ისე უნდა დამესკვნა, რომ ანტანტის რიდი აქვს და გამორკვეულიც იმიტომ ვერა მითხრა რა.

[1] სცსსა, ფონდი 1831, ანაწერი 2, საქმე 90, ფურც. 16-17.

ხოლო ვფიქრობ, რომ თუ ოფიციალურად წერილობით მივმართავთ, მაშინ იძულებული იქნება „ჰო“ ან „არა“ გვითხრას. არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია მთავრობის სახელით ასეთი ნაბიჯის გადადგმა, როცა ასეთი საკითხი ჩვენი საზავო დელეგაციის კომპეტენციას შეადგენს ევროპაში. თუ თქვენი დასტური იქნება, მაშინ მე ოფიციალურად მივმართავ სკანდინავიის ყველა სახელმწიფოს და პირადადაც ვინახულებ მინისტრებს.

ნორვეგიის მიერ ლიტვის დამოუკიდებლობის აღიარება დე-ფაქტო არის, ისე, როგორც ჩვენი იყო, და არა ოფიციალური. ბალტიის მხარის სახელმწიფოებთან აქ მუდმივი ურთიერთობა მაქვს. ამ ბოლო დროს მეტად გართულდა იმ მხრის საქმე გერმანელთა ჯარის უსაქციელო მოქმედებით. გეცოდინებათ, რომ მიტავის რაიონში რუს მონარქისტთა ახალი მთავრობა შესდგა, რომელსაც სათავეში უდგანან ვინმე „კნიაზ ავალოვი“, პოლკ. ბერმონტი და პალემ-ვოლკონსკი. პალემი ძველი რეჟიმის სენატორია, ხოლო ვოლკონსკი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგად ნამყოფი. მთელი ამ ავანტიურის სულის ჩამდგმელად „რუსის ხალხის კავშირის“ თავმჯდომარის ამხანაგად ნამყოფი, სენატორი ა. რიმსკი-კორსაკოვი ითვლება. ამ „მთავრობამ“ 4 ოქტომბერს ბალტიის მხარე რუსეთის პროვინციად გამოაცხადა და პოლკ. ბერმონტი ღენ.-გუბერნატორად დანიშნა. რუს-გერმანელთა შეერთებული ჯარი რიგის აღებას ლამობს, რათა ამრიგათ ზურგით მოექცეს ესტონიის ჯარს. რიგა-მიტავას შუა ეს ერთი კვირაა სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. როგორც ბალტიის მხარის სახელმწიფოების წარმომადგენლები მარწმუნებენ, ეს ავანტიურა რეაქციონერთა სრული დამარცხებით გათავდება, მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ ეს ვაჟბატონები არავითარ საშუალებას არ თაკილობენ თავიანთი შავი განზრახვის მისაღწევად. და აჰა, თვით „დემოკრატი“ დენიკინიც, რომელიც ცეცხლითა და მახვილით შეესია უკრაინას, უკრაინის აქაურმა წარმომადგენელმა, ბ. ლოსსკიმ გუშინ ტელეფონით გადმომცა, რომ უკარაინასა და დენიკინს შორის 29 სექტემბრიდან ომია ოფიციალურად გამოცხადებული, რაკი მშვიდობიანად დავის გადაჭრამ არავითარი ნაყოფი არ მოიტანაო. ასე შავად იბურება პოლიტიკური ჰორიზონტი, სადაც ელვასავით კრთის რუს დიქტატორ-ღენერალთა სისხლიანი მახვილი... ღმერთო, აშორე ჩვენს ქვეყანას მათი უდიერი და ვერაგი ზრახვანი!

მარად თქვენი ღრმა პატივისმცემელი ა. ჭუმბაძე.“[1]

„13. XI. 1919 წელი

სტოკჰოლმი

Hotel Regina

დიდათ პატივცემულო

ბ-ნო აკაკი!

პასუხი დამიგვიანდა, რადგან ავადმყოფობამ ხელი შემიშალა მენახა სკანდინავიის სახელმწიფოთა მინისტრები. გუშინ კვლავ ვინახულე შვეცი-

[1] სცსსა, ფონდი 1831, ანაწერი 2, საქმე 90, ფურც. 18-19.

ის საგარეო საქმეთა მინისტრი, გავაცანი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, ავუხსენი თუ რამდენად აბრკოლებს საქართველოს ეკონომიურსა და ფინანსიურს აღორძინებას ის გარემოება, რომ დღემდე არა ვართ ოფიციალურად ცნობილი, როგორც სუვერენული სახელმწიფო და ვსთხოვე, რათა შვეიცას გადაედგა ამ მხრით პირველი ნაბიჯი ევროპაში, რასაც, გარდა პოლიტიკური მნიშვნელობისა, თვალსაჩინო ეკონომიური შედეგიც მოჰყვება-მეთქი. მისი პასუხიდან ეს დასკვნა გამოვიტანე: მაშინ, როცა ჩვენ ამ საკითხში მისი პოლიტიკური მხარე უფრო გვაინტერესებს ამჟამად, იგი მის ეკონომიურ მხარეს აქცევს უპირატეს ყურადღებას და ჰფიქრობს, რომ დღეს არსებული ჩვენ შორის ურთიერთობა მაინცდამაინც არ უნდა უშლიდეს ხელს ამ დამოკიდებულების განვითარებას.

მთელი მისი პასუხი სწორედ ამ ეკონომიურ-ფინანსურ ურთიერთობას უტრიალებდა გარშემო. მაგ.: რა და რა საქონელი გვაქვს ამჟამად შვეციისათვის გამოსადეგი? სესხი ავიღეთ სადმე თუ არა? კონცესიები ვის მივეცით და როგორი? დიდმა სახელმწიფოებმა რა სახის დახმარება მოგვცეს და სხვა. შემდეგ მოიხმო სავაჭრო დეპარტამენტის უფროსი (სავაჭრო სამინისტრო არ არსებობს) და მასთან ერთად დაწვრილებით გამომკითხა ამ საკითხის ყოველივე კნინი. მაგრამ როდესაც მე შევეცადე პოლიტიკური მხარისთვისაც მიმექცია მისი ყურადღება, მან ფამილარულად მხარზე ხელი დამადო და ღიმილით მითხრა: ნუ ავჩქარდებით, ჩვენ პირველნი ვიყავით, როცა ფაქტიურად გაღიარეთ, იმედი მაქვს, იურიდიულად ცნობის დროსაც პირველნი ჩვენ ვიქნებით ევროპაშიო. შემდეგ განაგრძო: წინადადებას შევიტან მინისტრთა კაბინეტში, რათა ტფილისს გაიგზავნოს ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი და სავაჭრო მისიაო.

ასეთი პასუხის შემდეგ, უნდა მოგახსენოთ, უხერხულად ვსცანი დაჟინება: არა, — მაინცა და მაინც ოფიციალურად გვაღიარეთ-თქო, მით უმეტეს, რომ საუბრის დასასრულ მკითხა: რად წავიდა აქედან თქვენი ეკონომიური მისსიაო. ამის პასუხად მე მხოლოდ ის გარემოება მოვიმიზეზე, რომ იმ დროს ბლოკადის მიზეზითა და საერთო პოლიტიკური სიტუაციის გამოურკვევლობის გამო, მხოლოდ თქვენი ქვეყნის ბაზრის შესწავლა შეიძლებოდა, რაც მან კარგად შეასრულა და უკანვე, სამშობლოში დაბრუნდა-მეთქი.

მგონი, დალჰაი-ლამის იერის ნახვა უფრო ადვილია, ვიდრე ბ. ბრანტინგისა; ორი კვირაა დავსდევ და ვერ იქნა მისი სადმე ნახვა. ნუ თუ ასე ძალუმად მოუცლელია! უკანასკნელად დღეს დავურეკე და მომავალი კვირა აღმითქვა, რა დღეს კი არ ვიცი, თვით მე შეგატყობინებო.

როგორც კი ცოტა მოვჯობინდები, ჩამოვივლი დანიასა და ნორვეგიას, თუმცა, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, დიდი იმედი არა მაქვს სკანდინავიისა, რადგან, ჯერ ერთი — მეტად მონური მიმყოლნი არიან ანტანტის პოლიტიკისა, მით უმეტეს, ამჟამად, რაკი დავალებულნი არიან მისგან, მეორეს მხრით კი — ყველაფერს ოქროთი და ალაბით ზომავენ.

პროპაგანდას, რაც შემიძლია, არ ვანელებ: ორი აქაური გავლენიანი გაზეთი: Dagens Nuheter და Aftonbladet რეგულარულად ბეჭდავენ ხოლმე ჩემს წერილებს, რომელსაც ვათარგმნინებ.

კარგი გიქნიათ, რომ ტრაქტატი გამოგიციათ. საჭიროა აგრეთვე გამოიცეს ისეთი წიგნი ან კრებული, რომელიც შეიცავდეს კონსპექტიურად ჩვენი ქვეყნისა და ცხოვრების ყოველ მხარეს: ისტორიას, ლიტერატურას, გეოგრაფიას, ეკონომიურსა და ბუნებრივი სიმდიდრის, აგრეთვე მიმოსვლისა და ნავთსადგურების აღწერილობას. მე პირდაპირ უხერხულ მდგომარეობაში ვარ: მთხოვენ სხვადასხვა მასალასა თუ ცნობას ისეთს, რომელსაც მხოლოდ ტფილისში თუ იშოვის კაცი. მაგ., ერთ-ერთი წრფელი მეგობართაგანი ჩვენი ქვეყნისა და პირადად თქვენი და ბ. კარლოს თაყვანისმცემელი (დუმის დეპუტატობიდან გიცნობთ) ახალგაზრდა ჟურნალისტი ბრუსეისი აპირებდა სრული მოხსენების წაკითხვას ჩვენი სამშობლოს შესახებ აქაურს სოციოლოგიურ-ისტორიულ საზოგადოებაში, მაგრამ მასალის უქონლობამ ხელი ააღებინა ამ კეთილ განზრახვაზე. ამ მხრით გაცილებით გვჯობიან თუნდ, მაგ. ლიტველები და უკრაინელები. აი, ჩემს წინ ძევს მშვენიერი გამოცემა: La Lituanie, passe - present- avonir. Edition Atlaz, Genese, რომელიც მშვენიერ სახელმძღვანელოს წარმოადგენს ევროპის საზოგადოებისათვის. ჩვენს ბიულეტენებს — პარიზისა და ლონდონის — ის ნაკლი აქვთ, რომ მეტად მჭლესა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს შეიცავენ. ისევ ლონდონისა სჯობიან. ამას წინად კიდეე მწერალთა საზოგადოების კრება იყო, რომელზედაც მიწვეული ვიყავი სტუმრად (ზაფხულზე ერთი ჩემი მოთხრობათაგანი დაიბეჭდა ამ საზოგადოების ორგანოში და, ალბად, იმიტომ გამიხსენეს) და იქვე მთხოვა კრების თავმჯდომარემ: მოგვაწოდეთ სტატიები ქართული ლიტერატურის შესახებო. ხელთ რომ არავითარი მასალა მქონდა, გავიხსენე ქუთაისის სემინარიის კურსი და განსვენებულ მ. ჩოგოვაძის „ზეპირი" ლექციები, რომელსაც მაშინ არაფრად ვაგდებდი, მაგრამ რომელთაც აქ, ამ პოლუსზე, კარგი სამსახური გამიწიეს. ვფიქრობ, რომ მანდ, ან პარიზში კი მოიპოვება იმდენი მასალა, რომ აი, ასეთი კრებული დაიბეჭდოს, როგორიც ლიტვისაა, რომლის ავტორიც, სხვათაშორის, შვეიცარიელია.

გიკითხათ და მოგიკითხათ კაპიტანმა როზენმა, რომელიც წარმომადგენელია იმ საექსპორტო ფირმისა, ამასწინათ რომ დეპეშა გამოგიგზავნეთ. ფუძიანი ფირმაა, სურს შეჰქმნას საგანგებო, ქართული სანაოსნო გეზი (ligne), რადგან სავაჭროცა და სანაოსნო ფირმაცაა ერთსა და იმავე დროს. ამჟამად კი, აპირებს ჩვენში გემის გაგზავნას შემდეგი საქონლით: სხვადასხვა სახის ქაღალდი, ასანთი, ელექტროს არმატურა, ნავთითა და ელექტროთი მმოძრავი, სამეურნეო იარაღები და სატანისამოსე ქსოვილები და სხვა. ჩვენებური საქონლის გაცვლით: თამბაქო, მატყლი, აბრეშუმი და ტყავეულობა. მაგრამ რაკი მე არ ვიცი, ამჟამად მოიპოვება ასეთი საქონელი ჩვენში თუ არა, და თუ მოიპოვება, ვისგან შეიძლება მიღება — მთავრობისა თუ კერძო პირებისაგან, ან იქნება ჩვენიდან საქონლის

გატანის უფლება რომელიმე სახელმწიფოს უკვე აქვს მონოპოლიად და მაშასადამე აქაურები ვერაფერს მიიღებენ. ან კიდევ, შესაძლებელია ჩვენიდან წამოღებულ საქონელს გზაში უყონ კონფისკაცია. ყველა ეს საკითხი აინტერესებს არა მარტო ამ საზოგადოებას, არამედ ბევრს სხვებსაც, რომელთაც ტალახი ამიყენეს კარზე და მე კი უმნეო ვარ ჯეროვანი პასუხი გავსცე ცნობების უქონლობის გამო. მივსწერე პარიზსა და ლონდონს, მაგრამ მათგან პასუხს ვერ ველირსე. მხოლოდ თქვენთან შემიძლია პირადად ჩივილი, პატივცემულო ბატონო აკაკი: მე მათთვის თითქოს არცკი ვარსებობ (როგორც პიროვნება კი არა, თავმოყვარეობას ჯანი გავარდეს!), როგორც მთავრობის წარმომადგენელი. პირდაპირ მრცხვენია მთავრობის პირებთან და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან მისვლა, რადგან იმ „მყვირალა" პროპაგანდას, რომელსაც თითქმის ერთი წელიწადია აქ ვეწევით, „სახრავი" არაფერი მოჰყვა, ჩვენის მოუმზადებლობით თუ დაუდევრობა-უგულისყურობით. რამდენი ღირსეული სავაჭრო თუ სანაოსნო საზოგადოება გააგულძვირა აქ ჩვენი საეკონომიო კომისიის უხეირო მოქმედებამ! და ამჟამადაც ამას უნდა ველოდეთ, რადგან კაცი სულიერი, თქვენს გარდა, ხმას არა მცემს. რომ როგორმე მე დავითათბირო ეს დაინტერესებული ხალხი, ხან მიმოსვლის სიძნელეს ვიმიზეზებ და ხან რას! მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ხომ საიქიოდანაც კი შეიძლებოდა დაბრუნება!...[1]

ქართული ემიგრაცია ევროპული სახელმწიფოების საერთაშორისო პოლიტიკაში 20-30-იან წლებში და აკაკი ჩხენკელი

ევროპულ პოლიტიკაში ყველაზე თვალსაჩინო ცვლილებები გერმანიაში ხდებოდა. 1925 წელს ე. წ. „ლუდის პუტჩში" მონაწილეობისათვის ბევრი ლიდერი დააპატიმრეს, მათ შორის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერი — ჰიტლერი. ჰინდენბურგი, რომელმაც შემდგომში ხელი შეუწყო ციხიდან გამოსული ჰიტლერის დანინაურებას, იმჟამად აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა და, ბუნებრივად, ქართველი პოლიტიკოსი ემიგრანტები მასთან დაახლოებას გეგმავდნენ. ამასთანავე, ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ გერმანია-სსრკ-ს ურთიერთობას, სხვადასხვა პირებისა და პარტიების კავშირს ბოლშევიკებთან. ყველაფერ ამას ეხვდებით ჩხენკელისადმი გერმანიიდან გაგზავნილ ემიგრანტთა ეპისტოლეებში. ამ წერილებიდან საინტერესო ჩანს 1925 წლის 4 მაისს გიორგი კერესელიძის[2] მიერ ნარვიდან გაგზავნილი წერილი აკაკი ჩხენკელისადმი გერმანიაში პოლიტიკური მუშაობის გააქტიურების აუცილე-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 90, ფ. 20-24.

[2] გიორგი კერესელიძე (1885-1960), — პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი. პეტრე სურგულაძესთან ერთად ჟენევაში დააარსა „ქართველ სეპარატისტთა ჯგუფი", რომლის ორგანო იყო ჟურნალი „თავისუფალი საქართველო" (1913-1914). 1916-1918 წლებში რედაქტორობდა „ქართულ გაზეთს", 1921 წლიდან პოლიტიკურ ემიგრაციაში წავიდა. იყო გენერალ ლეო (ტყუპისცალი) და 1923 წელს დახვრეტილ იასონ კერესელიძის ძმა.

ბლობაზე. წერილში ნახსენებია ის გერმანელი პოლიტიკოსები, რომელთაც ქართველი პოლიტიკოსები და სამხედროები კარგად იცნობდნენ დამოუკიდებლობის დროიდან.

„დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი, — თამარი, ჩემი მეუღლე მწერს, რომ ლადო ახმეტელი ყოფილა მასთან და წაუკითხავს წერილი, რომელშიც ჩვენი მთავრობა გამოსთქვამს სურვილს, მიხაკო წერეთელი, ტიტე მარგველაშვილი[1], რაჟდენ დათაშიძე[2] და მე შეუდგეთ გერმანიაში მუშაობას.

თუ კარგად იცით, ბატონო აკაკი, თუ რა აღტაცებით ვიმუშავებთ ჩვენ ყოველთვის და ყველგან, როდესაც და სადაც ჩვენ შეგვიძლიან ჩვენ ქვეყანას დავეხმაროთ.

რომ ნაყოფიერი იყოს გერმანიაში ჩვენი მუშაობა, საჭიროა შემდეგი: 1) გვქონდეს მინდობილობები მთავრობისაგან. უამისოთ მუშაობა მეტად ძნელი იქნება. 2) შეუძლებელი არის მუშაობა დათაშიძესთან. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას დიდი ხანია ქართული საქმეები არ აინტერესებს, მეორე იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბერლინში ყველა ამბობს: დათაშიძე ბოლშევიკების აგენტებთან კარგათ არისო, მან არ მოისურვა გაჰფანტოს ეს ხმები და მესამე, იმიტომ, რომ ჩემის რწმენით ის ყოველთვის პირად ინტერესს ამჯობინებს სხვა ინტერესებს და ამიტომ ყოველ წუთში მოსალოდნელი არის წაგვიხდინოს უკვე გაკეთებული საქმე. მოკლეთ, ჩვენთვის ძნელია და შეუძლებელიც კი, მასთან მუშაობა.

მუშაობა გერმანიაში კი საჭირო არის. მე, ბატონო აკაკი, ამის შესახებ გწერდით ამ 2 წლის წინათ. მე მაშინვე ვხედავდი, რომ მომავალი ეკუთვნის მემარჯვენეებს. ჰინდენბურგის გამარჯვება არ ნიშნავს ჯერ კიდევ მემარჯვენეების გამარჯვებას, მაგრამ მარტო ის ფაქტი, რომ მისი კანდიდატურა წამოყენებული იყო მარტო მემარჯვენეების მიერ, მათ ხელს შეუწყობს.

მუშაობა გერმანიაში საჭირო არის მარტო იმიტომ, რომ, ჩემის რწმენით გერმანია დიდ როლს ითამაშებს ევროპის შერიგების საქმეში და

---

[1] ტიტე მარგველაშვილი — 1891-1946 ეროვნულ-დემოკრატი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე — საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წავიდა გერმანიაში. იქ ქართულ სათვისტომოს ხელმძღვანელობდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა; კითხულობდა ლექციებს ბერლინის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განხრით. ტიტე მარგველაშვილის მეუღლე — გვარად ხეჩინაშვილი — ადრე გარდაიცვალა, მან 1931 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. დარჩა მცირენლოვანი შვილები — ქალ-ვაჟი; 1946 წელს ტიტე მარგველაშვილი 18 ნლის ვაჟთან ერთად მიიწვიეს სამშობლოდან ჩამოსული ქართველების გასაცნობად, ცნობილ ფილოსოფოსთან — შალვა ნუცუბიძესთან შეხვედრისას იგი დააპატიმრეს, ტიტე მარგველაშვილი 8 თვის ტყვეობის შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს. 1946 ნლის 17 ოქტომბერს ტ. მარგველაშვილი დახვრიტეს, მისმა ვაჟმა კი ნელინადნახევარი საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკ "ზაქსენჰაუზენში" გაატარა, რის შემდეგაც ის საქართველოში გადაასახლეს. თბილისში ტიტე მარგველაშვილის ვაჟი — გივი მარგველაშვილი თავს მასწავლებლობით ირჩენდა. ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში განაგრძო, მეცნიერ-თანამშრომლად. გივი მარგველაშვილის წიგნების უმეტესობა თბილისში ცხოვრების დროს, გერმანულ ენაზე დაიწერა. მათი გამოცემა მხოლოდ მოგვიანებით, უკვე გერმანიაში მოხერხდა.

[2] რაჟდენ დათეშიძე, — ქართველი მრეწველი, რომელიც ემიგრაციაში წავიდა.

რუსეთის წინააღმდეგ საერთო გზის გამონახვაში.

მიუხედავად საშინელი პროპაგანდისა ჰინდენბურგის[1] წინააღმდეგ, ჰინდენბურგი დიდი პიროვნება არის. მე ვგონებ, გერმანიაში ყველაზე საღად ეგ უყურებს საკითხს. მიუმატეთ იგი, რომ ის დიდი ნებისყოფის ადამიანი არის, დიდ ბუნებოვანიცაა. აშკარაა, ის სხვებზედ უკეთ გამონახავს გზებს ევროპის გაჯანმრთელებისას. აქამდის ევროპა იმის შიშში იყო, რომ გერმანიის რეაქცია უმზადებს საშინელებას ევროპას. ეხლა ნახავენ, რომ პირიქით, ჰინდენბურგი ეძებს შერიგებას. ჰინდენბურგი, ჩემის რწმენით, შებორკავს აღვირაშვებულ რეაქციონერებს, არ მისცემს მათ საშუალებას თავისუფალი თარეშისას და ამით მოიპოვებს საერთო ნდობას. ეს კი ითამაშებს გადამწყვეტ როლს, ყოველ შემთხვევაში, რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ საჭირო არის მუშაობა. თუ ჩვენი მთავრობა საჭიროდ დაინახავს, რომ ჩვენ დავიწყოთ მუშაობა, ჩვენ მზათ ვართ დავემორჩილოთ, ხოლო გთხოვთ ზემოთ მოყვანილი ორი პირობა შეგვისრულოთ.

მე მალე დავბრუნდები გერმანიაში, გზაზედ შევეცდები ვინახულო გენერალი კრესი.

თუმც ლუნდენდორფს[2] გავლენა არა აქვს არავითარი, ხოლო თუ ისიც მიუნხენშია, მასაც ვნახავ, ყოველ შემთხვევაში ვიზიტს გავუკეთებ და ვნახავ, რას ფიქრობს.

პასუხი მაცნობეთ ბერლინში (წერს მისამართს გერმანულად)

დიდი მოკითხვა ქალბატონ ჩხენკელისას. თქვენი ერთგული გიორგი კერესელიძე."[3]

XX საუკუნის 30-იანი წლები ევროპის ქვეყნებში დიდი ეკონომიკური დეპრესიითა და პოლიტიკური ცვლილებებთ აღინიშნა, 1933 წელს პარიზის ლეგაციის გაუქმების შემდეგ ქართველ ემიგრანტებს და მანამდე არსებულ წარმომადგენლობებს ყოველმხრივ გაუჭირდათ არსებობა. ევროპის დიდ ქალაქებში არსებობდა სხვადასხვა ქართული საზოგადოებები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ახალ რეალობას მორგებოდნენ და საქართველოს ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ საინფორმაციო-კულტურული მუშაობა ეწრმოებინათ. განსაკუთრებით ძნელი იყო გერმანიაში არსებული ქართული საზოგადოების პრობლემები.

1933 წლიდან გერმანიის პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებამ — ჰიტლერის მოსვლამ ხელისუფლებაში და სრულიად ახალი პოლიტიკური რეალობის წარმოქმნამ, ერთგვარად შეაშინა ქართველი ემიგრანტები და

---

[1] ჰინდენბურგი — პაულ ფონ ჰინდენბურგი (1847—1937), გერმანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, I მსოფლიო ომის მხედართმთავარი, გერმანიის ისტორიაში საერთო-სახალხო არჩევნებით მოსული პირველი სახელმწიფოს მეთაური.

[2] ლუდენდორფი — ერიხ ფრიდრიხ ვილჰელმ ლუდენდორფი (1865-1937), გერმანიის ინფანტერიის გენერალი, „ტოტალური ომის"კონცეფციის ავტორი, I მსოფლიო ომის დასაწყისიდან ჰინდენბურგის შტაბის უფროსი; 1916 წლის აგვისტოდან ხელმძღვანელობდა გერმანიის არმიის ყველა ოპერაციას, მონაწილეობდა საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების გაფორმებისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის გამოქვეყნებაში, მასთან პირადი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ პოლიტიკოსებსა და სამხედროებს.

[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 414, ფ. 1.-3.

აიძულა ისინი გერმანიისადმი უფრო ფრთხილი პოლიტიკა დაეჭირათ, არაფერი კრიტიკული არ დაეწერათ და არ ეთქვათ. ამის დასტურია გერმანიაში ქართველ მოქალაქეთა საზოგადოების თავ-რის — გრიგოლ დიასამიძის[1] წერილი აკაკი ჩხენკელისადმი. ის ეხებოდა გაზეთ „ბრძოლის ხმაში" გამოქვეყნებულ სტატიას გერმანიაზე, სადაც საქართველო-გერმანიის დამოკიდებულება კრიტიკულად იყო შეფასებული. დიასამიძე წერდა, რომ ამგვარი რამ გაართულებდა ვითარებას და შესაძლოა მეტად არასასურველი შედეგები მოიტანოსო, ამიტომ სთავაზობდა ჩხენკელს ცნობების მიწოდებას და დაშვებული შეცდომის გამოსწორებას. „ჩვენ მოვალენი ვართ ღირსეულად და პატივისცემით მოვექცეთ იმ ქვეყანას, რომელმაც აქამდე მხოლოდ მარტო მეგობრობა გვიჩვენა, რაც არაერთხელ აღუნიშავს ჩვენს ოფიციალურ ორგანოებს. არ უნდა დავივიწყოთ მეტადრე ის, რომ რევოლუციის დასაწყისში მან გაგვიმაგრა კვლავ ფეხზე წამომდგარი ჩვენი ძველი სახელმწიფოებრიობა".[2]

1930-იანი წლების ევროპის პოლიტიკური ვითარება და ქართული ემიგრაციის მდგომარეობა კარგად ჩანს ანდრია გუგუშვილის პირად წერილებში, რომელიც 1933-1939 წლებშია დაწერილი ლონდონში და პარიზში აკაკი ჩხენკელისთვისაა გაგზავნილი.

ანდრია გუგუშვილის წერილები აკაკი ჩხენკელისადმი

ამ წერილებში მოტანილია ძალზე პირადი განცდები და თვალსაზრისები, რომელთა გაცნობა და კრიტიკული შეფასება (მიღება ან უარყოფა) ჩვენთვის ისევე პირადი საქმეა, როგორც ამ ადამიანებისთვის მათი საკუთარი აზრების გამოთქმა იყო. ვფიქრობ, „არა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს", სახარებისეული ეს სენტენცია ამ ეპისტოლეებსაც ეხება, ის ოდესმე მაინც გაცხადდება და დაე, ყველა ადამიანმა თავისი ცოდნის, პოლიტიკური თუ სულიერ-კულტურული გემოვნებით მიიღოს მათში გამოთქმული აზრები და შეფასებები, ან არ მიიღოს. ამ გადასახედიდან ვბეჭდავთ ზოგიერთ იმ წერილს, სადაც აკაკი ჩხენკელს თანაპარტიელები უზიარებენ თავიანთ უარყოფით თვლსაზრისს ზოგჯერ ისეთ აღიარებულსა და ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეულ ადამიანებზე, რომელთა კრიტიკა თითოეულ ჩვენგანს დღეს შესაძლოა უსიამოდ ესმოდეს. ამის ნიმუშია ისტორიკოსი ემიგრანტის, საქართველოს ბედით უზომოდ შეძრული ადამიანის, ლონდონის ქართული წარმომადგენლობის თანამშრომლის — ანდრია გუგუშვილის[3] რამდენიმე წერილი ჩხენკელისადმი.

[1] გრიგოლ დიასამიძე — (1870-1960) საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ჟურნალისტი. 1911-1915 წლებში გაზეთ „თემის" რედაქტორ-გამომცემელი, 1921 წლიდან ემიგრანტი.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 410, ფ. 1.

[3] ანდრია გუგუშვილი — ანდრია (ანდრო) იულონის ძე გუგუშვილი (1895-1970) — ქართველი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე; ძირითადად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლონდონში. დაიბადა ზუგდიდში. დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია და გეოლოგიის შესასწავლად გერმანიაში გაემგზავრა. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჯერ ნიდერლანდებში, შემდეგ კი დიდ ბრიტანეთში გადავიდა და

ამ წერილებში საუბარია ემიგრაციაში არსებულ ბევრ პრობლემაზე, უწინარესად კი, ლონდონის ქართული წარმომადგენლობის არასაკმაო მუშაობაზე. გუგუშვილი დაუფარავად ამხელს ადრინდელ წარმომადგენლობის ხელმძღვანელ დავით ღამბაშიძესა და იმჟამინდელ უფროსს — მიხეილ სუმბათაშვილს, მიაჩნია, რომ ისინი ვერ გაუძღვენ საქმეს, ვერ იმუშავეს სათანადოდ, რათა საქართველოს საკითხი უფრო მკვეთრად წარმოეჩინათ ინგლისის მთავრობის წინაშე. მეტიც, ზოგჯერ ისინი ღალატობდნენ კიდეც ქვეყანას, როდესაც საქართველოს ყოფილ მთავრობას ბოლშევიკურს უწოდებდნენ, აბრალებდნენ მას რუსეთთან ლოიალობას, ამტკიცებდნენ, რომ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის განსხვავება არ იყო. ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის იმიჯზე, იმ პოლიტიკაზე, რასაც ქართველი დიპლომატები ემსახურებოდნენ.

წერილი I

„25. III, 1933

დიდათ პატივცემულო ბატონო აკაკი

ჩემი ნათქვამი ასრულდა: ალენი[1] ჩამოვიდა გასული კვირის ოთხშაბათს და დაბრუნდა ავსტრიაში ამ კვირის ხუთშაბათს. ე. ი. დარჩა აქ სწორედ ერთი კვირა. ჩოკაევი[2] კი ჩამოვიდა ხუთშაბათს, ალენის აქიდან წასვლის დღის საღამოს.

თქვენმა წერილმა დროზე მომისწრო, რამაც არასასიამოვნო ლაპარაკი აგვაცდინა. პასუხი დროზე არ მოგეცით იმიტომ, რომ დრო არ მქონდა.

ლონდონში დასახლდა. 1918-1921 წწ. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მდივანი ლონდონში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იყო საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელი ლონდონში; მონაწილეობდა „საქართველოს დამხმარე კომიტეტის" (თავმჯდომარე: სერ ს. ე. მორისი) მუშაობაში. დახმარებას უწევდა საქართველოთი დაინტერესებულ ბრიტანელ მეცნიერებს, განსაკუთრებით უილიამ ალენს, რომლის მიერ 30-იან წლებში დაარსებული „საქართველოს საისტორიო საზოგადოებისა" და ჟურნალ „Georgica"-ს მდივანი იყო. ამავე ჟურნალში აქვეყნებდა სტატიებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ („ქართული ანბანი", „საქართველოს ეთნოგრაფიული და ისტორიული დაყოფა", „საქართველოს მეფეთა ქრონოლოგიურ-გენეალოგიური შტო" და სხვ.). გარდაიცვალა 1970 წელს, ლონდონში; დაკრძალულია ე. ალენის საგვარეულო აკლდამაში.

[1] ალენი — უილიამ ედუარდ დეივიდ ალენი (1901-1973), ბრიტანელი ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, საქართველოს მეგობარი, რომელიც ისე დაუახლოვდა გუგუშვილს, რომ საკუთარ საგვარეულო აკლდამაშიც დაკრძალა.

[2] ჩოკაევი— მუსტაფა ჩოკაევი (შოკაი) (1890-1941), გამოჩენილი მუსულმანი საზოგადო მოღვაწე, რუსეთის სახელმწიფო დუმის მუსულმანთა ფრაქციის თავ-რე; დაიბადა ყაზახეთში, მამით ყივჩაღური დიდებული საგვარეულოდან, დედით ყაზახი, ბუხარის ხანთა შთამომავალი. დაამთავრა ტაშკენტის რუსული გიმნაზია კერენსკისთან ერთად, შემდეგ კი პეტერბურგის უნივერსიტეტი. 1916 წელს ყაზანში შექმნა ორგანიზაცია „თურქესტანის ერთობა", იბრძოდა მუსულმანთა განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის, რისთვისაც იდევნებოდა. 1919-1920 წლებში მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად საქართველოში ჩამოვიდა, 1921 წელს წავიდა ქართველებთან ერთად ემიგრაციაში, დასახლდა პარიზში, კითხულობდა ლექციებს ევროპის ქვეყნებში. ზემოთ მოტანილი წერილიდანაც ჩანს, როგორ მფარველობდნენ მას საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები. გერმანელების შესვლისას პარიზში ჩოკაევი დაიჭირეს და ბერლინში გაგზავნეს. მასზე გამოითქვა ეჭვები, რომ ნაცისტებმა თავის სამსახურში ჩააყენეს. გარდაიცვალა 1941 წელს ტიფით.

სამწუხაროა, რომ ავათ გამხდარხართ, იმედი მაქვს, ახლა კარგათ ბრძანდებით. თუ რამე მოულოდნელი არ მოხდა, ალენი არ დაბრუნდება მაისის დამლევამდის.

დამავიწყდა მეთქვა თქვენთვის, რომ კოროსტოვეცთან შევსნყვიტე კავშირი, მიღალატა. მასალები მივაწოდე, რომელთანაც ჩემი სახელი არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, არც ჩემი ეროვნება. მან პატიოსანი სიტყვა მომცა მიხეილის[1] წინაშე, მიხეილის თანდასწრებით. მე არ მინდოდა სულ მიმეცა რამე, მაგრამ მიხეილმაც იქონია გავლენა. წერილობითი საბუთებიც მაქვს კოროსტოვეცისაგან. მაგრამ მან თავისი მუჟიკობა გამოიჩინა: სტატია გამომიჭიმა „გამოჩენილი ქართველი დიპლომატი"-ს წარწერით და ჩემი ინიციალებით. მკაცრი საყვედურის წერილი მივსწერე და ვუთხარი, ჩემს განცვიფრებას და გაოცებას სუმბათოვიც გაიზიარებს-მეთქი. მას ეს წერილი სუმბათოვისთვის უჩვენებია, შედეგი: წერილი დამიბრუნა შენიშვნით, რომ სუმბათოვთან ქონია საუბარი ჩემი წერილის შესახებ. სუმბათოვს, როგორც ვატყობ, მაინცდამაინც გადაჭრილი პოზიცია არ აუღია და მე დავრჩი მოტყუებული და გალანძღული!! მიხეილი არც ღვინოა და არც წყალი და სულელი ვიყავი, რომ მისგან კოლეგიალურათ ზურგის გამაგრებას მოველოდი. თუმცა, ეს ინციდენტი მიხეილის მოტყუებაც იყო, მაგრამ მიხეილი მას მაინც არ ამტყუნებს 100 %-ით. მიხეილმა იგი აკრიტიკა თურმე მხოლოდ იმიტომ, რომ მან თავისი პატიოსანი სიტყვა არ დაიკავა! კოროსტოვეცმა დაინახა რა სუსტი ვარიანტი, უარი განაცხადა ბოდიშის მოხდაზე. ესეც სუმბათოვის თანამშრომლობა! სუმბათოვმა ჩამითრია და სუმბათოვმა დაანგრია ტაქტიკური პოზიცია. მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი ბრალია. ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ მიხეილი კაპეიკათ არ ღირს პოლიტიკური მუშაობისათვის, და თუ მასთან მაინც პოლიტიკურ კავშირს ვიჭერ, ბრალი მე უნდა მედებოდეს.

მეორე მაგალითი მიხეილის უტაქტობისა და უუნარობისა: გასულ კვირას დავპატიჟეთ აქ მიხეილი. სხვათაშორის იყო ოლივერ ბოლდვინი (ახალგაზრდა). როგორც გეცოდინებათ, ოლივერი დიდი არმენოფილია, ჩვენი თანაგრძნობა სულ არა აქვს. სომხეთის დალუპვას ჩვენ გვაწერს. თან უზრდელიცაა, მიხეილს დღის განმავლობაში ორ-სამჯერ სიტყვიერი სილა აგემა. მიხეილი ხომ უხერხემლოა, ვერ შეუტია, მჭრელი სიტყვაობა ვერ გამოიჩინა. გალახული რომ დარჩა, მე შევეშველე და ზრდილობიანათ, მაგრამ მედგრათა და მკაცრათ შევუტიე ოლივერს და გამარჯვება მე და მიხეილს დაგვრჩა. მერმე საღამოს, სადილის დროს, ჩამოვარდა ლაპარაკი კავკასიის მომავალზე. ოლივერი აკრიტიკებს ჩვენს საქციელს წარსულსა და აწმყოში, სუმბათოვი კვერს უკრავს!! ოლივერი ამბობს, არ შეგიძლიათ დამოუკიდებლათ არსებობაო, მიხეილი ეთანხმება. მე ავენთე და შევუტიე ოლივერს, მისი დებულებანი გავუქარწყლე. ამ დროს მიტევს სუმბათოვი და ამბობს: რასაკვირველია, საქართველოს არ შეუძლია არსებობაო!!. ღმერთმა მიშველა, თავი შემაკავებია, თორემ რაც გულში გამიელვა, ის

[1] მიხეილი — მიხეილ სუმბათაშვილი (1885-1954), ლონდონში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

რომ ამესრულებია, საშინლათ შევრცხვებოდით, თავს გავილანძღავდით. ყველაფერი კომედიად გადაიქცა. ოლივერი გახარებული, რომ ხედავს მაგალითს თავის არგუმენტაციისა, თუ რატომ ვერ იარსებებს კავკასია დამოუკიდებლათ, მიახტება ხან მიხეილს ჭიქა ღვინოთი და ხან მე, სიტყვით: აჰა, დალიეთ კიდევ ერთი ჭიქა და უკეთესათ იკამათებთო. ალენი კი იჯდა გაჩუმებული, ხან მე გადმომხედავდა და ხან მიხეილს მისტერიული ღიმილით.

საღამო უსკანდალოთ გათავდა, თითქოს არავითარი კამათი არ ყოფილიყო. მაგრამ ჩემთვის ეს მაინც დიდი სკანდალი დარჩა. ოლივერი ატყობდა, რომ მე მაინც აღელვებული დავრჩი და ირონიულათ მამშვიდებდა: სუმბათოვი პრინციაო, თქვენი უფროსიაო, მაშასადამე, მას მეტი ჭკუა უნდა ჰქონდეს და უნდა დაუჯეროო!

ამ ირონიამ მე უფრო ამაღელვა. მაგრამ რას ვიზამდი, რა უნდა მექნა? მოვითმინე, თავი შევიკავე. ეს ირონია მიხეილის დამამცირებელი იყო და არა ჩემი, **მაგრამ მე მიხეილზე ახლა სრულებითაც არ ვფიქრობდი როგორც მიხეილზე, არამედ როგორც წარმომადგენელზე, როგორც თქვენს წარმომადგენელზე, ბატონო აკაკი, როგორც საქართველოს სახელით მოლაპარაკეზე, და სწორეთ ამიტომაც იყო, რომ ამ ინციდენტმა გული დამიკოდა, ჩამიკლა. მოხარული ვიყავი შემთხვევით, რომ ბაასი ჩამოვარდა ოლივერთან, შემთხვევა მომეცა ამეხსნა მისთვის კავკასიის საკითხის მდგომარეობა, მეცადა გადამერწმუნებია იგი, მეჩვენებია მისთვის სწორი, მართალი მდგომარეობა... და ამდროს გამოდის ეგრეთწოდებული ჩემი უფროსი, საქართველოს წარმომადგენელი და აცხადებს, ჩემს დასამარცხებლათ — საქართველო ვერ იარსებებს დამოუკიდებლათო! „O tempora, o mores"! საბრალო საქართველო!**

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის საღამო.

თითქოს ამ ინციდენტმა გამაგებია სტალინის ტერორის შინაარსი, მიზანი და დანიშნულება. მართალია სტალინი: შინაურ მტერთ სხვანაირათ ვერ მოექცევი. სამწუხაროა, რომ სტალინი გადაგვარებულია, სამწუხაროა, რომ სტალინი ბედისწერამ არ ჩააყენა ეროვნულ კალაპოტში, იგი მალე გასწმენდდა საქართველოს სულკუზიანი შვილებისაგან.

საქართველოს ისტორიული უბედურება ყოველთვის მისი სულკუზიანი შვილების წყალობით იქმნებოდა. მხოლოდ ერთხელ მოერია საქართველო ამ სულკუზიან შვილთ: მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში და მათი ამოხოცვით დაარსდა დიადი საქართველო. დავით აღმაშენებლის ტერორი უფრო საშინელი იყო, ვიდრე სტალინისა[1].

მე ბევრი წიგნი წავიკითხე ბოლშევიკების რევოლუციაზე და მართვაგამგეობაზე, რუსულიცა და უცხოურიც და ყველა აღიარებს, რომ ტერორი სტალინის შემოღებულია, ლენინი თურმე წინააღმდეგი ყოფილა სტალინის, მოსვლიათ დიდი კამათი რამდენიმეჯერ, ლენინს არ ნდომებია ტერორი, და

[1] ეს ტექსტი 1933 წელს დაიწერა, ჯერ სტალინის ტერორს ფრთები არ გაშლოდა, თორემ მისი მასშტაბი აღმაშენებლისას კი არა, მსოფლიოს ბევრი დიქტატორის ნამოქმედარს რომ გადააჭარბებდა, ხსენებული წერილის ავტორი ამას კარგად დაინახავდა.

ისე გამოდის, თითქოს უკანასკნელი კამათის დროს ლენინი ისე აღელვებულა, რომ ამას გამოუწვევია უკანასკნელი დამბლის დაცემა, რომელმაც მოკლა იგი. ლენინს მაშინ, ცოტა ხნით მობრუნების დროს, დაუწერია შხამიანი ტირადა სტალინის წინააღმდეგ, რომელსაც უნდა გადაეყენებინა სტალინი; მაგრამ გონებია რა ლენინს, რომ მოკვდებოდა მალე, უთქვამს, მისი სიკვდილის შემდეგ წაეკითხათ ყრილობაზე. ლენინმა მაინც იცოცხლა 11 თვე, რის განმავლობაში სტალინს ისე გაუმაგრებია თავის მდგომარეობა, რომ მისი გადაყენება შეუძლო გამხდარა. ლენინის ამ უკანასკნელი ნაბიჯიდან გამომდინარეობს სტალინ-ტროცკის შეტაკება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ და შესანარჩუნებლათ ჩვენ გვჭირდება სტალინის კალიბრის ადამიანი [ხაზი ყველგან ჩვენია, დ. ჭ.]...

ჩვენ ბევრი შინაური მტერი გვყავს, ყველაზე უფრო საშიშარნი მათში არიან არა ბოლშევიკები, არა რუს-თურქები, რომელთა პოზიციას ვიცნობთ და არც მალავენ თავიანთ მტრობას, არამედ ისინი, ვინც დამოუკიდებლობის ბანაკში იმყოფებიან, თავი თანამოაზრეთ მოაქვთ, მაგრამ გულში დამოუკიდებლობა არა სწამთ და ზურგში სიტყვით თუ საქმით ნიადაგს გვაცლიან.

მიხეილმა თუ ჩემს წინაშე გაბედა ასე უსირცხვილოთ უცხოელებთან კამათის დროს საქართველოს პოლიტიკური უნარის უარყოფა, წარმოდგენილი მაქვს, თუ როგორი „დამცველი"იქნება იგი სხვა წრეებში, თუკი მართლა არის რამე წრეში..."

ასეთი იყო ანდრია გუგუშვილის თვალსაზრისი ლონდონში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელზე — მიხეილ სუმბათაშვილზე. რა თქმა უნდა, ეს გაბრაზებული კაცის აზრებია, თუმცა, ნიჰილიზმი და უიმედობა მომავლისადმი თანდათან მკვიდრად იდგამდა ფეხს ქართულ ემიგრაციაში. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა. რეალურად, საქართველოს დამოუკიდებლობასა და ნათელ მომავალს ყველა ქართველი ნატრობდა, თუმცა, ყველას ერთნაირად არ ესახებოდა ეს მომავალი. .

წერილში საუბარია მუსტაფა ჩოკაევზე, რომელიც ლონდონში საკუთარ ქვეყანასა და მის პოლიტიკურ მიზნებზე ლექციებს ფრანგულ ენაზე კითხულობდა. გუგუშვილი სთხოვდა ჩხენკელს, მასაც მოემზადებინა ლექცია საქართველოს შესახებ და ლონდონში ფრანგულ ენაზე წაეკითხა.[1]

ამ წერილს ჩხენკელი აუღელვებია და მიხეილ სუმბათაშვილი დაუცავს, უთხოვია გუგუშვილისთვის, რომ ამ საკითხზე მეტი არ ელაპარაკა. მომდევნო წერილში გუგუშვილი ამის გამო გულგატეხილი წერდა ჩხენკელს: „მთელი ინციდენტი, რასაკვირველია, დარჩება ჩვენ შორის, მაგრამ გავკადნიერდები და შეგეკითხებით:—

1. შველის ეს დამალვა ჩვენს მიზანს?
2. შველის ეს დამალვა თვით მიხეილს?
3. გშველით ეს თქვენ თვითონ?

საზოგადოთ, მალავენ ისეთ რამეს, რომელიც სხვებმა არ იციან;

4. ვითომ ასეთია მიხეილის მდგომარეობა?

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 408, ფ. 1-5.

გავსინჯოთ: —

ა) ბ.ევგენი გეგეჭკორს თავიდანვე არ ჰქონია მიხეილზე კარგი აზრი, იგი ამას ხედავდა პარიზში თქვენს ჩამობრძანებამდის. ამიტომაც იყო, რომ მან იგი დაითხოვა;

ბ) შვეიცარიაში რომ ვიყავი 1922, ვნახე ბ. შავიშვილი და მისი აზრი მიხეილის პოლიტიკურ უუნარობაზე ჩემს აზრზე უარესი იყო;

გ) ბ. კონია კანდელაკმა, რომლის მისიის წევრი იყო მიხეილიც, მალე შეამჩნია მიხეილის უუნარობა;

დ) ბ. გოგიჩაიშვილი, სახელმწფო კონტროლიორი, ხშრათ უკმაყოფილო იყო მიხეილის საქციელით და ერთხელ, მგონია, წაიჩხუბნენ კიდევაც, კარგათ არ მახსოვს მართლა გაუწყრა პირდაპირ მიხეილს თუ არა, მაგრამ მახსოვს კარგათ მისი განყრომა მიხეილის დაუსწრებლათ.

ე) ჩამოთვლა რომ შევამოკლო, ვახსენებ უკანასკნელათ ბ. კ. გვარჯალაძეს, მან ამხედრება დაიწყო მიხეილის წინააღმდეგ მას შემდეგ, როდესაც ინგლისელებისაგან გაიგონა გლახა აზრი მიხეილის პატრიოტობაზე".[1]

ამის შემდეგ, წერილში გუგუშვილი საუბრობს მისი ურთიერთობის გაფუჭებაზე როგორც სუმბათაშვილთან, ასევე გვარჯალაძესთან, ასახელებს მიზეზებს: სუმბათაშვილს ჩამოშორებია იმის გამო, რომ სულ აკრიტიკებდა საქართველოს ყოფილ მთავრობას, ამბობდა, რომ მენშევიკებმა დაღუპეს ქვეყანაო, გვარჯალაძეს კი სოციალისტებთან გადამეტებული კავშირის გამო განყრომია. „კონია სავსებით ჩაეფლო ორ კაპიკიან სოციალისტებში და ბოლოს და ბოლოს მე ამის დანუნება დავუწყე. ამის შედეგი ის იყო, რომ იერიშის მოტანა მან ჩემზედაც დაიწყო: გემახსოვრებათ მისი წერილი ალენის შესახებ ბ. ჟორდანიასადმი მიმართული. ამის შემდეგ მე ორივეს ჩამოვშორდი, კონიასაც და მიხეილსაც, და იმ დროიდან იწყება ჩემი მჭიდრო დაკავშირება ალენთან მეცნიერული მუშაობის მიზნით. თუ სხვა არა, ჩემმა ამ ნაბიჯმა ის ნაყოფი მაინც გამოიტანა, რომ ახლა გვაქვს ინგლისურ ენაზე მოზორბო წიგნი ქართველი ერის ისტორიაზე, რომელსაც, მართალია, ნაკლი ბევრი აქვს, მაგრამ უთანაბრო შრომაა უცხო ენაზე".[2]

ანდრია გუგუშვილი მართლაც კარგი მეცნიერიც იქნებოდა, სამშობლოსა და ნორმალურ პირობებში რომ დასცლოდა მუშაობა, ამის დასტურია ალენთან მისი მუშაობა და ის სამეცნიერო შედეგები, რაც ამ ურთიერთობას მოჰყვა. რაც შეეხება მის ეროვნულ შეგნებასა და მოღვაწეობის სტილს, ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ ადამიანის ყოფის ერთადერთი მიზანი — საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების ასრულება, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა და სამშობლოში დაბრუნება იყო. ის იმდენად პრინციპული ყოფილა თავის შეხედულებებში, აკაკი ჩხენკელსაც კი აკრიტიკებდა მისი შემრიგებლური პოზიციისათვის. „თუ მიხეილის მფარველობას თქვენ აგრძელებთ რამე შინაური პოლიტიკის მოსაზრებით, — გავბედავ და გეტყვით, რომ ასეთი ნაბიჯი თქვენ დაბრკოლების მეტს არაფერს მოგიტანთ... ლოიალობა პიროვნებისადმი პიროვნებისათვის მე მესმის კერძო ცხოვრებაში, მაგრამ ეროვნულ-სახელმ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 408, ფურცელი 6-7.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 408, ფურცელი 7.

წიფოებრივ მუშაობაში პიროვნებას პატივს ვცემ იმდენათ, რამდენათაც იგი თავგამოდებულია ამ მუშაობისათვის. ჩვენს ეროვნულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გვჭირდება რწმენით აღსავსე თანამებრძოლნი, უდრეკნი და არა მერყევნი. არ ვიზიარებ თქვენს აზრს მიხეილის როლზე მომავალშიც... არც თქვენი შიშობა მომწონს, მართალი გითხრათ. ეს ნამდვილი ქართული თვისებაა, ბევრმა ჩვენმა მეფემ ნააგო შინაური თუ გარეშე ომი ამ „შიშობის" წყალობით", — წერდა ანდრია გუგუშვილი. მას მოჰქონდა ისტორიული მაგალითები, სადაც ერეკლე II-ს გამოყოფდა: შიშმა დაანგრევინა აწყობილი და ძლიერი სამეფოო. უახლოესი წარსულიდან მოჰქონდა ევგენი გეგეჭკორის მაგალითი: დავით ღამბაშიძეს ვერ შეეხო, იმდენად ეშინოდათ საქმის გაფუჭების, რომ „დავითი ადღეგრძელეს აქ ერთი წელინადი, რომლის განმავლობაში ის ძირს უთხრიდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, ყველგან ხმამაღლა ამბობდა, მენშევიკები ბოლშევიკები არიანო; ეს შხამი, რომლის მოსხმა მან ღრმათ მოახერხა, დღესაც არ გამშრალა. მე ვებრძოდი დავითს, მან მენშევიკათ მომნათლა, აქიდან მომდინარეობს ხმა, რომ მე დღესაც ბევრს მენშევიკი ვგონივარ. **მე ვემსახურებოდი დამოუკიდებლობის იდეას და არა რომელიმე პარტიას. დღესაც ამ აზრისა ვარ, ვარ და ვიქნები ყველასთან, პარტიაა თუ ადამიანი, ვინც კი ამ დამოუკიდებლობას ემსახურება, ვინც ამას არ ემსახურება, უნდა გაჩუმდეს, გაყვეს თავის კერძო საქმეს".**

მიხეილ სუმბათაშვილს მეუღლესთან ერთად კერძო საქმეც დაუწყია ლონდონში, ბერიძესთან ერთად, დუქანიც უყიდია და დიდი ავტომობილიც შეუძენია, სულ ჩამოშორებია დიპლომატიურ საქმიანობას, რაც ლონდონში გადაყვანილ კონსტანტინე გვარჯალაძეს არ მოსწონებია.

ანდრია გუგუშვილის წერილები, რომელიც 1933-1939 წლებს მოიცავს, აჩვენებს ქართველების დიპლომატიური მოღვაწეობის დეტალებს ინგლისში, მათ მიერ კიდევ ერთხელ გაერთიანებული კავკასიის შექმნის ცდას, რითაც დაინტერესდებოდნენ ევროპული ქვეყნები, განსაკუთრებით ისინი ნავთობის საკითხს ნამოსწევდნენ, რასაც ევროპელები კავკასიიდან უფრო ადვილად შეისყიდდნენ, ვიდრე ბოლშევიკური რუსეთისგან. გუგუშვილი საქართველოს წარმომადგენელი გახდა, თუმცა მისი თანამდებობა არც ფინანსდებოდა და არც რაიმე ოფიციალურ სტატუსს ატარებდა. მეორე მსოფლიო ომი კარს მომდგარიყო და საქართველოსთვის ახლა სულ აღარავის ეცალა.

განხეთქილება „ქართულად" ემიგრაციულ წრეებში და აკაკი ჩხენკელის პოზიცია

საქართველოს პოლიტიკურ-პარტიული ორგანიზაციები იდეურ თუ ჩვეულებრივ კამათს ემიგრაციაშიც არ წყვეტდნენ. აკაკი ჩხენკელი ყველა მათგანისთვის, ვინც კამათობდა მთავრობასთან თუ ერთმანეთში, იყო ერთგვარი არბიტრი, შემრიგებელი, საქმის შუამავალ-მომწესრიგებელი. მისი არქივი ბევრ წერილს ინახავს, რომელთა ავტორები უმხელენ მას სა-

კუთარ გულისტკივილს ყველაფერზე, ჯერათ მისი გულწრფელი აზრისა, დარიგებას ითხოვენ მისგან და სხვა. არის უაღრესად ყოფითი ამბებიც, რაც მის ადამიანურ და მეგობრულ ავტორიტეტზე მიუთითებს.

განხეთქილება განსაკუთრებული სიმწვავით ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის არსებობდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სამხედრო ემიგრაციაში, სადაც ურთიერთბრალდებები დამოუკიდებლობის პერიოდის სამხედრო საკითხებზე არ თავდებოდა. რუსეთთან მარცხს გარკვეული წრეები სამხედრო დარგში ხელისუფლების არასწორ პოლიტიკას და იმ სამხედრო ხელმძღვანელებს აბრალებდნენ, რომელთაც ვერ უზრუნველყვეს ქვეყნის საკმარისი თავდაცვისუნარიანობა, შეიარაღება და მისი ეფექტურად გამოყენება.

ამ ტიპის მოვლენები განვიხილეთ პოლონურ ემიგრაციაში. ასეთივე ამბები ხდებოდა პრაღის ქართულ ემიგრაციაში, ბერლინის ქართულ საზოგადოებაში, ლონდონის და კონსტანტინოპოლის წარმომადგენლობაში და სხვ.

მიუხედავად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შიგნით არსებული დაპირისპირებისა ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი ამ პარტიის კონფლიქტისა ყოფილ მმართველ პარტიასთან, ჩხენკელი ყველასთან გაწონასწორებული ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა, ამასთან, ითვალისწინებდა ბევრ რჩევას, თუკი მასში დაინახავდა სიმართლისა და სამართლიანობის მარცვალს. თუმცა, ის არც კრიტიკასა და მხილებას ერიდებოდა არათუ სხვა პარტიის წარმომადგენლების მიმართ, არამედ იმ თანაპარტიელთა მიმართაც, რომლებიც არასწორად, ანტისახელმწიფოებრივად და არაეროვნულად აზროვნებდნენ. ამას მოწმობს მისი წერილები ნოე ჟორდანიასთან, ნოე რამიშვილთან, ევგენი გეგეჭკორთან, ირაკლი წერეთელთან, ზურაბ ავალიშვილთან და სხვებთან. უდავოდ, მისი სამართლიანობა იყო მთავარი, რისთვისაც მას წერდნენ, ურჩევდნენ, უმხელდნენ სხვადასხვა ამბებზე...

დაპირისპირებათა კიდევ ერთმა ტალღამ 1924 წელს გადაიარა, აგვისტოს აჯანყების ჩავარდნის შემდეგ არ ჩერდებოდა ბრალდებების ტალღა: ზოგი აჯანყების მხარდაჭერის, ზოგი არდაჭერის, ზოგი მოვლენათა ჰიპერბოლიზებისა თუ სხვათა გამო იყვნენ შერისხულები თანამოქალაქეთა მიერ. ისედაც უამრავ პრობლემაში ჩაძირული ქართველობა უცხოეთშიც არ ისვენებდა და განხეთქილების ვაშლი თანამოძმეთა შორის მუდმივად დაგორავდა.

როდესაც ჩათავდა 1924-25 წელი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში რეპრესირებული იქნა და გადასროლილი იატაკქვეშეთში, ემიგრაციის წრეები მაინც ვერ ისვენებდნენ. მათი პრესა დუღდა, ერთმანეთის შუღლი და მტრობა არ წყდებოდა, ადრე გულმხურვალე პატრიოტები და მედასავლეთენი, ზოგი გამაოგნებლად გადაეშვა რუსული ბოლშევიზმის მხარეს (გრიგოლ ვეშაპელი), ზოგიც საქართველოს ყველა უბედურებას მთავრობის ყოფილ წევრებს აბრალებდა. ამ მხრივ საინტერესოა ტიტე მარგველაშვილის 1926 წლის 3 აპრილს ბერლინიდან

პარიზში აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილი წერილი.

წერილის ავტორი ჩხენკელს ისეთ დიპლომატიურ წვრილმანებზე აძლევს რჩევებს, რაც საქართველოს ამ ცნობილი და გამოცდილი დიპლომატისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარგველაშვილი ამას ამართლებს იმით, რომ ამით შესაძლო იყო ფსიქოლოგიურად სტიმული მიეცა ელჩისთვის — უფრო დაეჩქარებინა მის მიერ ზოგიერთი საკითხის სწრაფად დაყენება. ამ დროს საქართველოს ემიგრირებული ხელისუფლების კავშირს ამერიკის შეერთებულ შტატებთან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიეცა. მარგველაშვილის აზრით, გააქტიურებული ბოლშევიკური რუსეთის შეჩერება მხოლოდ აშშ-ს შეეძლო.

„მარტო ერთა ლიგის ცნობილ რეზოლუციას ვერ დავენდობით, — წერდა მარგველაშვილი ჩხენკელს. — საჭიროა გამუდმებული ახალ-ახალი ნაბიჯების გადადგმა და შეტევის პათოსით მუშაობა, რომ რასმე მივაღწიოთ და გეგმები ჩავუშალოთ მტრებს. დიპლომატიური პოლიტიკური ინიციატივა არ უნდა დავკარგოთ, არ უნდა გავუშვათ ხელიდან. ეს მთავარია. ამასთანავე გთხოვთ მაცნობოთ ამერიკის შეერთებული შტატების ამბავი და ბორაპის პოზიცია. საჭიროდ მიმაჩნია, რომ დაუყონებლივ მოელაპარაკოთ მაქვე ამერიკის ელჩს თქვენ პირადათ, და გააგზავნოთ გამოცდილი იურისტი ვაშინგტონში, თუ მას კიდევ შეუძლია მიუსწროს რეზოლუციის გამოტანას. ჩვენი ბედი ეხლა წყდება. შეიძლება სხვა გავლენიანი წრეებიცაა მაქ ამერიკის სფეროებიდან. მათი ნახვაც საჭირო იქნებოდა. ერთი სიტყვით, დაუყონებლივ მოქმედებაა საჭირო. ბოდიშს გიხდით, რომ ყველა ამაებს გახსენებთ, ალბათ თქვენ ყველაფერი გათვალისწინებული გაქვთ, მაგრამ იმედია გაიგებთ ჩემს ფსიხოლოგიურ სტიმულებს"...

მარგველაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეროვნულ-დემოკრატებთან, განსაკუთრებით სპირდონ კედიასთან კარგი ურთიერთობის დამყარების აუცილებლობას. ის სწორად აზროვნებდა, ამასთანავე ძალზე ემოციური და მგრძნობიარე ადამიანი იყო, განსაკუთრებით კი მძიმედ განიცადა ვეშაპელის ინციდენტი.[1] ლაპარაკობდა „საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაზე, რომლის წევრადაც ის მოითხოვდა სპირდონ კედიას გაგზავნას გიორგი გვაზავასთან ერთად.[2]

სად უნდა გაგზავნილიყო ეს დელეგაცია, წერილში არ ჩანს (ალბათ აშშ-ში, რადგან წერილში ამ ქვეყანასთან კავშირზეა საუბარი).

შიდაპარტიულ კამათს ეხებოდა 1928 წელს პრაღიდან მიხეილ უბირიასა და სერგო გოცაძის გაგზავნილი წერილები. მიხეილ უბირია, რომელიც სოხუმიდან იყო და პირველ ემიგრანტთა ნაკადში მოხვდა, პრაღაში მყოფ ქართველ ჯარისკაცებსა და ოფიცრების მდგომარეობაზე, მათ შორის არსებულ დაპირისპირებაზე საუბრობდა, ეს ეხებოდა ოფიცერ ორჯონიკიძის

[1] გრიგოლ ვეშაპელი (1891-1926), ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და დამფუძნებელი კრების წევრი. 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ გადავიდა პრორუსულ პოზიციაზე, გამოსცა საკუთარი გაზეთი „ახალი საქართველო" და დაიწყო თავისი იდეის პროპაგანდა. ამისთვის ის ერთ-ერთმა ემიგრანტმა 1926 წელს მოკლა.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 265, ფ. 1.

საკითხს. წერილი 8 გვერდისაგან შედგებოდა და მოიცავდა უამრავ წვრილმანს, რაც, როგორც ჩანს, უნდა განეხილა ჩხენკელს. ის მთელი ქართული ემიგრაციის საქმის კურსში იყო.[1]

ასეთივე დაპირისპირებაზე იყო საუბარი პრაღიდან 1928 წლის 1 ივლისს გაგზავნილ სერგო გოცაძის წერილშიც. ეს წერილიც ვრცელია და ეხება იმ დაპირისპირებულ ჯგუფს, რომელთა შორის იგივე ქართველები იყვნენ. ავტორი ლაპარაკობს უკანონო დაფინანსებაზე, რასაც ეს ადამიანები ღებულობდნენ როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე პრაღის ხელისუფლებისაგან. ჯგუფის წევრებს „აიოლას" ჯგუფად მოიხსენიებს, ასახელებს მის მონაწილე ქართულ გვარებს, აზუსტებს ბრძოლის დეტალებს და ასკვნის: „არაფერი საერთო ჩვენსა და აიოლას ჯგუფს შორის არ არსებობს. უფრო მეტი, ძნელია ჩემთვის ამის თქმა, მაგრამ მაინც ვიტყვი, არავინ იმათზე მეტი მტერი ჩვენ პირადათ აქ პრაღაში არა გვყავს, ჩვენი კარგათ ყოფნა მათი შავი დღეა, ჩვენი შიმშილი, გაჭირვება, სიკვდილი — მათი ლხინი და ზეიმია..." არ შეიძლებოდა ასეთი სტრიქონები გულგრილად წაეკითხა აკაკი ჩხენკელს, არ შეეძლო ასეთ ამბებში არ ჩარეულიყო. აკი წერილის ავტორიც წერდა: „ამ წერილს არავითარი განსაკუთრებული დანიშნულება არა აქვს, არც არავის ვუჩივი მე ამით, მხოლოდ მინდოდა ზოგიერთი აქ მომხდარი ამბების თქვენთვის, როგორც დიდი პატრიოტისთვის და მასთან ცენტრში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგისთვის შეტყობინება, რომ გქონდეთ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ჯოჯოხეთურ პირობებში უხდება ქართველების ერთ ნაწილს აქ მუშაობა..."[2]

ემიგრანტების ჩამოტყუების ცდა და ჩხენკელის რეაქცია საბჭოთა მთავრობის 1946 წლის 14 ივნისის „უკაზთან" დაკავშირებით

1946 წლის 17 ნოემბერს აკაკი ჩხენკელმა პარიზის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კრებაზე გამოხატა თავისი დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობის 1946 წლის 14 ივნისის „უკაზთან" დაკავშირებით. მანვე კრებას წარუდგინა მის მიერ შემუშავებული დებულებები.

საბჭოთა მთავრობის ბრძანებით, 1946 წლის 1 ნოემბრამდე ემიგრაციაში მყოფ საბჭოთა მოქალაქეებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ საბჭოთა პასპორტის აღება და სამშობლოში დაბრუნება. ეს ეხებოდა საფრანგეთში, ბულგარეთსა და იუგოსლავიაში მცხოვრებ ემიგრანტებს.

აკაკი ჩხენკელმა ამ გადაწყვეტილებას იმთავითვე ეჭვის თვალით შეხედა, მან მიიჩნია, რომ ხელისუფლება ემიგრანტთა წრეებში შუღლისა და განხეთქილების ჩამოგდების საფუძველს თავად დებულებაში დებდა. მას არ ჯეროდა, რომ საბჭოთა მთავრობა შურს არ იძიებდა ყოფილ პოლიტიკურ ოპონენტებზე, რაც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს. ისინი, ვინც დაუჯერეს ამ კანონს და სამშობლოს დაუბრუნდნენ, სულ მალე ციმბირის ბანაკებში აღმოჩნდნენ.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 266, ფ. 1-4;
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 266, ფ. 5-6.

ჩხენკელი წერდა, რომ ბევრი ქართველი მოქალაქის ემიგრაციაში წასვლა 1921 წელს რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის შედეგი იყო. იმავე წელს გამოცემულმა საბჭოთა რუსეთის დეკრეტმა მოქალაქეობა ჩამოართვა საქართველოდან ემიგრაციაში წასულებს. თუ ემიგრანტები ამჟამად დაემორჩილებოდნენ ახალ „უკაზს", აიღებდნენ საბჭოთა პასპორტებს და საბჭოთა კავშირში წამოვიდოდნენ, მაშინ ეს იქნებოდა საბჭოთა რეჟიმის ცნობის, მის წინაშე ქედის მოხრის, რუსულ ოკუპაციასთან შერიგების ტოლფასი. მიუხედავად ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულებისა, ჩხენკელი ამბობდა, რომ ემიგრანტებს ვერ დაუშლიდა საბჭოთა პასპორტის აღებას და სამშობლოში გამგზავრებას, თუმცა მათი გაფრთხილება აუცილებლობად მიაჩნდა.[1]

ამავე დოკუმენტში ჩხენკელი გვაძლევს 1946 წლისათვის იმ პოლიტიკურ ემიგრანტთა რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც იყო ევროპისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში: საფრანგეთში — 1500 სული; გერმანიაში — 500; იტალიაში — 300; ინგლისში —100; ბელგიაში — 70; საბერძნეთში— 35; ესპანეთში — 50; თურქეთში —20; ირანში (თეირანში 100) — 300; მანჯურიაში (ხარბინი) 5000 სული. ასევე, მისი თქმით, ემიგრანტები გაფანტულად იყვნენ სკანდინავიის ქვეყნებში, შანხაიში და სხვაგან.[2]

ეს ოფიციალური მონაცემები იყო. რეალურად კი, ამ დროს საზღვარგარეთ მეტი ქართველი ცხოვრობდა.

აკაკი ჩხენკელის ცხოვრების ბოლო წლები

„დრო ისე მირბის, როგორ გინდა მიუსწრო!.."

აკაკი ჩხენკელი

II მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა ახალმა პოლტიკურმა რეალობამ მძიმედ იმოქმედა ქართველი ემიგრანტების იმ ნაწილზე, რომლებიც მთელი ემიგრაციული ცხოვრების მანძილზე ებრძოდნენ რუსულ პოლიტიკას, იღვწოდნენ ევროპის თვალში ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის სამხილებლად, დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. მათ საბოლოოდ დაკარგეს ამის იმედი.

აკაკი ჩხენკელი არ მიმხრობია იმ ემიგრანტულ ტალღას, რომელთაც კვლავ გერმანიის დახმარებით სურდათ ეროვნული მიზნების მიღწევა, ჩხენკელმა ვერ მიიღო ნაცისტური გერმანიის პოლიტიკა და, პირიქით, იმდენად შიშით იყო განმსჭვალული ჰიტლერის რეჟიმისადმი, რომ ომის დაწყებისთანავე საკუთარი დღიურები და ჩანაწერებიც კი გაანადგურა (მეულლეს დააწვევინა). ამას თავად იხსენებს სიცოცხლის ბოლოს შედგენილ დღიურში: **„ერთი მაინც მომივიდა და ამას ვერ მივუტევებ ჩემს თავს: ივნისს, 1940 წელს, თხებივით გავრბოდით პარიზიდან, როცა თვით ფრანგები მილიონობით გარბოდნენ ჩრდილოეთიდან სამხრეთით, დამფრთხალნი, ჯარების უკან თუ წინ, ერთი ჩემი რვეული, გვარიან სქელი,**

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 261, ფ. 1.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 261, ფურც 2.

1933-1940 წ. წ. ჩანერილი, მაკას[1] მივეცი, დაეწვა, რადგან ბევრი რამე იყო იქ ჰიტლერიანების დამგმობი".[2]

1951 წლიდან დაუწყია მას ახალი ჩანაწერების გაკეთება სპეციალურ დიდ რვეულში, სადაც თამამად აყალიბებს თავის შეხედულებებს მთელ მსოფლიოში, საფრანგეთსა თუ საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებზე.

ამ ჩანაწერში ჩხენკელი აღარ არის ოპტიმისტი, ის ევროპელ სოციალისტებსაც არ ინდობს და კრიტიკის ქარცეცხლში ხვევს. საფრანგეთის განადგურებას ომში ის მოღალატე საფრანგეთის მთავრობის დანაშაულად თვლიდა, მაგრამ არც სოციალისტების დანაშაულს ივიწყებდა: „ამაში სოციალისტებს პატარა პასუხისმგებლობა როდი მიუძღვით, — წერდა იგი, — ისინი თანაბარ მტრებად აცხადებენ კომუნისტებს და დეგოლისტებს, ბრიყვნი".

„ჩანაწერებში" ჩხენკელი არ ინდობს ძველ ემიგრაციას, საბჭოთა სისტემით განდევნილ ადამიანებს: „ძველი ემიგრაცია უთავო გამოდგა, ერთიმეორეს დაერივნენ იმის მაგიერ, რომ საერთო ძალით ერთგვარი თანაგრძნობა და დახმარება მოიპოონ თავიანთი ქვეყნებისათვის. ქართველებიც არ ჩამორჩნენ სხვებს.."[3]

ქართველი დიპლომატი აკრიტიკებს პარიზის ქართულ ემიგრაციულ წრეებს, მათ დაფანტულ და უსაგნო მუშაობას. აქებს ამერიკის ემიგრაციას. „ერთადერთი დადებითი მუშაობა, თითქოს ნიუ იორკში სწარმოებს, — წერს იგი, — თუმცა ბევრი არაფერი ვიცი უშუალოდ. ზურაბ ჩქოტუა, რომელსაც არ ვიცნობ, ყოჩაღი გამოდგა, შევიდა გავლენიან წრეებში, ქართულ-ამერიკული ლიგაც დააარსა, მაგრამ საუბედუროდ ავადაა, ორჯერ ოპერაცია გაუკეთეს."

ჩხენკელი არ იწონებს საფრანგეთის ქართული სათვისტომოს უფროსის, პირადად მისი კანდიდატისა და მისგან დადებითად შეფასებული ქართველი მოღვაწის — ლევან ზურაბიშვილის[4] გადაყენებას. თუმცა, იმასაც წერს, რომ ახალმა თავმჯდომარემ 26 მაისიც აღნიშნა და კარლო ჩხეიძისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნის დღეებიც. ჩხენკელი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს კარგი საერთაშორისო მიმომხილველის თვალით აფასებს: პარიზის 2000 წლისთავს, 4 ივლისს ამერიკის დღესასწაულს — ინგლისის ბატონობისგან განთავისუფლების 175 წელს, კორეის ომის ამბებს, ვითარებას ჩინეთსა და მოსკოვში და სხვ.

1951 წლის 5 აგვისტოს ჩანაწერში დიდ სულიერ დეპრესიაზე საუბრობს,

---

1 მაკა — მაკრინე თურქია, აკაკი ჩხენკელის მეუღლე.

2 სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 243, ფ. 1.

3 სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 243, ფ. 1b.

4 ლევან ზურაბიშვილი, — ზურაბიშვილი ლევან ივანეს ძე (1906-1975), ინჟინერი, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე 14 წლის მანძილზე. ივანე ზურაბიშვილისა და ნინო ნიკოლაძის (1873-1959 წ.წ.) უმცროსი ვაჟიშვილი, არჩილ ზურაბიშვილის ძმა. 1921 წლიდან ოჯახთან ერთად ემიგრაციაშია. დაამთავრა სენტ-ბარბის კოლეჯი და სამთამადნო-საინჟინრო ინსტიტუტი. იყო საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრი, შემდეგ „თავისუფალ ქართველთა კავშირი"-ს დამფუძნებელი. ზურაბიშვილი დაკრძალულია ლევილში. მისი მეუღლე იყო ზეინაბ კედია, შვილები სალომე და ოთარ ზურაბიშვილები.

უძილობას, მუდმივ ღელვასა და ცუდის მოლოდინს უჩივის, ეშინია, ისე არ მოკვდეს, რუსეთის დამარცხებას ვერ მოესწროს, იმედს გამოთქვამს: პარტნიორებში ყველაფერი დალაგებული არ უნდა იყოსო, — სსრკ-სა და მსოფლიო ომში მის ყოფილ მოკავშირეებს გულისხმობს.

დრო წავიდა და ბევრი რამ შეიცვალა, ხშირად ისეც ხდებოდა, რომ არც ახსენებდნენ მის სახელსა და როლს ზოგიერთ სამამულო საქმეში, მაგალითად, უნივერსიტეტის დაარსებაში, რაზეც ჩხენკელს გული წყდებოდა. ამაზე მიუთითებს მისი ჩანაწერი: 1951 წლის 19 აგვისტოს ჩხენკელი დღიურში იხსენებდა იმ დღეებში გარდაცვლილ ვახტანგ ღამბაშიძეს,[1] კეთილად ახასიათებდა მის ამაგს როგორც მეუღლის — მაკრინე თურქიას მორჩენაში, ასევე იხსენებდა ტრაპიზონ-ბათუმის კონფერენციის დროს მის მიერ გაწეულ თარჯიმნობას თურქებთან, რადგან მაშინ გერმანული და ცოტა ინგლისური ცოდნია, თურქებს კი მხოლოდ ფრანგულ ენაზე შეეძლოთ საუბარი და ვახტანგი მითარგმნიდაო. სულ მალე ჩხენკელმა საუცხოოდ ისწავლა ფრანგული ენა, ისე, რომ ლორდ კერზონს ფრანგულად ესაუბრა მარტო, ოფიციალური შეხვედრისას, 1921 წელს. რაც შეეხება უნივერსიტეტის ამბავს, ამაზე წერდა: „ვახტანგმა კარგი წერილი მიუძღვნა „ბედი ქართლისაში" ჩვენი უნივერსიტეტის პირველ რექტორს მელიქიშვილს, ბევრჯერ ახსენა ივანე ჯავახიშვილის სახელი, მე არც ერთხელ, თვით უნივერსიტეტის გამხსნელი ეროვნული საბჭოს სახელით! მაკრინე და მე ხშირად ვიცინით, როცა ვიგონებთ ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვას უნივერსიტეტის ათი წლის თავზე: „ბატონი აკაკიც იყოვო". მაშინ ის პროფესორიც არ იყო. არც ვიცნობდი. ეგ არაფერი. იქნებ ისე მოვკვდე, ვერაფერი დავწერო..."[2]

აქვე, ამ სპეციალური დღიურის გარდა, აკაკი ჩხენკელს წარსულ მოვლენებზე რამდენიმე ჩანაწერი გაუკეთებია. 1952 წელს დაწერილი პუბლიცისტური ესსე —„პირველი და ოცდაექვსი მაისი" (ავტოგრაფი) წარსულის რემინისცენციებითა და მწარე, ზოგჯერ იუმორით შეზავებული მოგონებებითაა აღბეჭდილი.[3]

„პირველი მაისი. ვზივარ და მწარე ფიქრები მტყორცნის შორს, შორს, სანკტ-პეტერბურგს, რომელიც ჯერ პეტროგრადიც არაა და ლენინგრადზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

მაშ როდის? 1952-1914 — სრული ოცდათვრამეტი წელიწადი! რამდენი დაიბადა მას აქეთ, რამდენი დავაჟკაცდა, დაცოლშვილდა, რამდენი შეენირა სამშობლოს ან კიდევ დაიღუპა მტრისგან..

დილაადრიან მთელი ჩვენი ფრაქვია IV სახელმწიფო დუმისა, წინასწარ შემუშავებული გეგმით, სხვადასხვა გზით მივეშურებით პეტერბურგის ირგვლივ მდებარე დიდ ქარხნებისაკენ.

---

[1] ვახტანგ ღამბაშიძე — (1872-1951), ექიმი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ცემის საბავშვო სანატორიუმის დამაარსებელი, პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე, გატაცებული იყო ფოტოხელოვნებით.

[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 243, ფ. 3ხ.

[3] სცსსა 1831, აღ.2, საქმე 244.

და იქ გვხვდება აუარებელი მუშა ხალხი, თავის ნებით გამოსული, ან შიდ ქარხანაში, ზოგან წითელი დროშებით, როგორც კი დაგვინახავენ, ეს აბობოქრებული მასა მყისვე სმენად იქცევა.

მაშ, ჯერი ჩვენზეა, დეპუტატებზე; ვჭერმეტყველებთ ვისაც როგორ შეგვიძლია, მხოლოდ ერთი პირობით: არ წამოგვცდეს ისეთი სიტყვა, ისეთი ფრაზა, რომელსაც ულვაშებზე დაიხვევენ თვითმპყრობელობის უჩინარი ცერბერები.

კარლო ჩხეიძეს ხომ პასუხისგებაში აძლევენ დუმის ტრიბუნიდან მონარქიის ნაცვლად რესპუბლიკის წარმოთქმისათვის.

მაგრამ იყო გამონაკლისიც: დეპუტატი მალინოვსკი არავის ერიდება: ესხმის თავზე „მაგარი სიტყვებით" ყველას და ყველაფერს.. გავკრავთ მხარზე, ფეხებზეც, ვაფრთხილებთ, ნურას უკაცრავად, თითქოს ჩვენც გვაქვზებს, მივბაძოთ მას!

დაბრუნებისას მთელი ნევის პროსპექტი გამოვიარეთ, წინ დეპუტატები რჩეული ამალითა და წითელი დროშით, უკან მუშები უდროშოთ. გვიმზერს გაოცებული სატახტო ქალაქის „ბომონდი". კარლო კი ხუმრობს: მაშ, მაშ, როგორ გგონიათ, ფუთის აზნაური!

ვუბრუნდები დეპუტატ მალინოვსკის. ის აღმოჩნდა პოლიციის დეპარტამენტის აგენტი. კარგად მახსოვს, დუმის თავმჯდომარე, დიდი ახმახი როძიანკო გამომედევნა ეკატერინეს დარბაზში და ყურში ჩამჩურჩულებს ამ ამბავს.

როგორ, პროვოკატორი? — გვიკიჟინებს ლენინი კრაკოვიდან. მოსკოვის მუშების მიერ არჩეული, წმინდა ნყლის ბოლშევიკი და თქვენ კი პროვოკატორად ნათლავთ? თქვენ თვითონ ბრძანდებით პროვოკატორიც და არამზადებიც! — გვიტევს გააფთრებული ლენინი.

მოდი და დაუმტკიცე მას, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართ, როძიანკომ გააძევა ის დუმიდან და იქ ხომ ყველამ იცოდა.

მალინოვსკი მართლა მოსკოვის კურიიდან იყო არჩეული და მისი პირველი გამოსვლა დუმაში თვით ლენინის მიერ დაწერილი სიტყვის წაკითხვაში მდგომარეობდა აგრარულ საკითხზე. რამდენი დავიდარაბა დაგვჭირდა ამისათვის, რადგან რეგლამენტით სიტყვის კითხვა არ შეიძლებოდა ტრიბუნიდან. შეეხე ამ ამბავს მარტო იმიტომ, რომ სწორედ მაშინ ჩატყდა საბოლოოდ ხიდი „ბოლშევიკებსა" და „მენშევიკებს" შორის (ვსვამ ფრჩხილებში, რადგან ჩვენ არ გამოვდიოდით ამ სახელწოდებით).

შემდეგ. იმავე დიდი ომის მსვლელობაში, დანარჩენი 5 დეპუტატი ბოლშევიკი გაასამართლეს და კატორლა მიუსაჯეს.

1919 წლის დასაწყისს, ზამთარში პირველად ბერნში იკრიბება სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელიც დაიშალა ომის მეოხებით, და აქაც ყველა სექციები როდია წარმოდგენილი, მაგ. გერმანიის სოციალ-დემოკრატია.

განა ასეთივე მდგომარეობაში არაა დღესაც ინტერნაციონალი მეორე დიდი ომის შემდეგ? მიზეზი მაშინაც და ეხლაც იგივე არ არის — სახელმწიფოთა და ერთა დავა?

ბერნში მე მომენდო დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-

დემოკრატიული პარტიის ინტერნაციონალში დაშვებისათვის ზრუნვა და ამისათვის ცალკე მემორანდუმიც გამომიგზავნეს.

მივმართე ინტერნაციონალის მთავარ მდივანს კამილ ჰიუსმანს, რომელსაც კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ ცარიზმის დროინდელი ემიგრანტი. ჰიუსმანსი მეუბნება, თუ რუსეთის ეს-დეკებმა და ეს-ერებმა არ დაგიჭირეს მხარი, თქვენს პარტიას არ დაუშვებენო.

რა ჯანი იყო. დავფათურდით მე და ხარიტონ შავიშვილი. უკანასკნელს ბერნში შევხვდი პირველად.

აქ მე შევჩერდები მხოლოდ აქსელროდთან პირისპირ მუსაიფზე. — როგორ, თქვენ გინდათ გამოეყოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას? — წამოიძახა მან და თვალებში ცრემლი მოადგა...

მე ვამშვიდებ მას და ვეუბნები: ინტერნაციონალში ხომ ერთად ვიქნებით, ერთად ვიბრძოლებთ საერთო მიზნისათვის, თავისუფალ ერს აქ თავისი სექცია უნდა ჰყავდეს მეთქი და სხვ.

საინტერესოა, ძველ რუსეთში თვითეულ ერს თავისი ს.დ.პარტია ჰყავდა, თვით უტერიტორიო ებრაელებმაც თავისი „ბუნდი" დააარსეს, ქართველებს კი ამისთვის არ უზრუნიათ, სანამ დამოუკიდებლობა არ გამოაცხადეს, იყვნენ მართალია სოციალისტ-ფედერალისტები... [სამ წერტილს სვამს და აღარ აგრძელებს].

აქსელროდი მოლბა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, გადამეხვია გულჩვილი მოხუცი და დამპირდა, ესერებს მე მოგიმხრობთო. მაშ, საქმე გაჩარხული იყო, სამდივნოს დახურულ სხდომაზე დაადგინეს, წარგვადგინონ ინტერნაციონალის საერთო კრებაზე,

მონაწილეობდნენ, სხვათა შორის დიდი ბრიტანეთის მომავალი პრემიერი რამზეი მაკდონალდი, წითელი ჰალსტუხით, აგრეთვე ქ-ბ სნოუდენი, და ჩვენი მეგობარი ბრანტინგი თავმჯდომარეობდა.

რა გაახსენდა აქსელროდს — იკითხავთ? თქვენ დამეხმარეთ მარტოვის და პლეხანოვის შერიგებაშიო. მეუბნება ის გაკვირვებულს, და მახსენებს ის ბრიუსელში შეხვედრას ზაფხულს პირველი დიდი ომის ერთი თვის წინ.

მართლაც, ინტერნაციონალის მთავარ სამდივნოს, ვანდერველდეს თავმჯდომარეობით მაშინ მოეწვია ს.დ. ცნობილი ლიდერები, როგორიცაა ვიქტორ ადლერი, როზა ლუქსემბურგი, ტროლისტრა და სხვ., რათა რუსეთის ბოლშევიკები და მენშევიკები შეერიგებინათ. კარლომ მაცნობა დეპეშით ეს ამბავი ფრაცეს-ბადენს, ჩეხიაში, სადაც ტალახის აბანოს ვიღებდი, და მთხოვა ფრაქციის სახელით დავსწრებოდი ბრიუსელის წამოწყებას.

გავემგზავრე მაშინვე, ვიზა-ნებართვა ვის მოუვიდოდა თავში, ყველგან კარები ღია იყო დასავლეთ ევროპაში.

მოვხვდი, მართლაც მენშევიკების ვიწრო ჯგუფში და თვით პლეხანოვის წინადადებით, როგორც დეპუტატი, თავმჯდომარედ ამირჩიეს. იყვნენ, გარდა დასახელებულთა, დანი და ტროცკი.

მახსოვს, ნოე ჟორდანიამ ტრია გამომიგზავნა იტალიიდან. დაინახა მან თუ არა პატარა ტანის როზა ლუქსემბურგი, აიტატა, და ამის შემდეგ, როგორც კი

გამოჩნდებოდა ტრია, შველივით გარბოდა დამსწრეთა მხიარული სიცილით.

ბრიუსელის ცდა უშედეგოდ დამთავრდა და ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ თვითონ ლენინი არ დაესწრო, თუმცა იქვე ცხოვრობდა ახლო, და მის მაგივრობას ასრულებდა ერთი ახალგაზრდა ქალი ბოლშევიკური დელეგაციის სათავეში (გვარი არ მახსოვს).

თუმცა, დიდი დემაგოგი ლენინი, ჩემის აზრით, მოერიდა ბრიუსელის „სინედრიონს".

ახლახან მე შევეკითხე კამილ ჰოისმანს, თუ შეიძლებოდა ამ მასალის გაცნობა-მეთქი, და მან მიპასუხა, რომ საოკუპაციო ძალამ წაიღო და არც ვიცი, გადარჩა თუ არაო.

რაღა გავაგრძელო, ომი დაიწყო, ჟორესი მოკლეს და ახლა მეც პეტროგრადისკენ გავეშურე ბერლინით, სადაც დამატუსაღეს და ფეხით მრავალ ხალხთან ერთად ოცზე მეტი კილომეტრი გამარბენიეს დერბენცის სამხედრო ბანაკამდე...

მაგრამ მე ხომ ამით არ ვფიქრობდი დამთავრებას, ოცდაექვსი მაისი საცაა მოვა და კალამიც სნორეთ ამიტომ ავიღე!

მწარე ფიქრები, სევდა არ მასვენებს, რა ამბავია ჩვენს ქვეყანაში, რას ფიქრობს ერი, რას შვრება მისი შვილები ამ ემიგრაციაში.

და არ მინდა სიტყვა გავაგრძელო, წარმოიდგინეთ მხოლოდ ერთი წუთით, რომ ერს ესმის, ხედავს, რას შვრება მისი ემიგრაცია აქ თუ სხვაგან, ევრიოპასა თუ ამერიკაში, ყველა ქვეყნებში.

ერთმანეთს ვჭამთ, ჩვენებურათ რომ ვსთქვათ... მეშინია, ერი არ მოგვიწონებს.

არ ვეხები თვით საგანს უთანხმოებისა, ვინ არის მართალი, ვინ მტყუანი, ეს არაა თავი და თავი.

თავი და თავი ისაა, რაც სამშობლომ დაგვაბარა, რისთვის გადმოვხვეწილვართ. აზრთა სხვადასხვაობაო, იტყვიან. დიახ, არის და ასედაც უნდა იყოს. განა სასურველია, ყველას ერთი თავი გვებას? არა და არა! მაშ, რა გვიშლის თანამშრომლობას, ერთმანეთის გატანას?

ჩვენ ხომ იმით მოგავაქვს თავი, რომ გვქონდა საკუთარი დაწერილი კონსტიტუცია, გვყავდა პარტიებიც, მსგავსად ევროპისა. ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, მაგრამ საერთო მიზანი — ერის კეთილდრეობა არ გვავიწყდებოდა.

ვინაიდან უცხოეთში ყოფნა გაგვიგრძელდა, გაჩნდნენ ახალი დაჯგუფებანიც, რომელთა მუშაობის ნორმალურ განვითარებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ეს ევალება ძველ და მის მომდევარ საშუალო თაობას.

რამდენია უცხოეთში დაბადებული ორთავე სქესის ახალგაზრდობა, რამდენი სწავლობს, ვარჯიშობს, ექცევა თუ არა მათ ჯეროვანი ყურადღება?არა, სამწუხაროდ.

ოცდაექვსი მაისი ის თარიღია, რომელმაც გონს უნდა მოგვიყვანოს. ამას გვავალებს ჩენი ერი, რომელიც ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობს და იმედს მაინც არ კარგავს.

ერთ-ერთი მისი იმედი ისიცაა, რომ უცხოეთში მყოფნი ღირსეულად

შევრჩებით ჩვენს მოწოდებას,

ანჩინ [სულ 7 ჩამოჭრილი ფურცელი].

საინტერესო არის 1953 წლის 25 იანვრის ჩანაწერი, სადაც ნოე ჟორდანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ამბებზეა საუბარი. მთლიანად მოვიტანთ ჩხენკელის ამ ჩანაწერს: „ჩვენი მოხუცი ნ. ჟ. მოულოდნელად გარდაიცვალა 11 ამ თვეს დილის 3 საათზე, მხოლოდ შუაღამიდან წუხილის შემდეგ. დავასაფლავეთ მისი ანდერძის თანახმად 15 ამ თვეს იქვე, ვანვში[1], უსიტყვოდ და უყვავილოთ, სწორეთ მისი დაბადების დღეს. ხოლო 18-ს მისი ქვრივის მიწვევით დავესწარით პარტ. ხალხი 40-მდე და სუფრაზე მჯდართ მან გვიამბო ზოგი რამ ნ. ჟ. უკანასკნელ თვეებში ნათქმი-ნაფიქრიდან. ელოდა სიკვდილსო, უკითხავს სასაფლაოზე ფასი, ვანვი მიუჩნევია თავის დროებით სამარხად, მხოლოდ კუბო მუხის უნდა იქნესო, რომ სამშობლოში უვნებლად ჩავიდესო. ცოტა მიწაც კი ჰქონებია იქიდან. ჩაატანეს. რაც მქონდა, ვუტოვებ ჩემს ცოლს, მის შემდეგ შვილს რედიკსო[2]. ჩემს მაგიერობას ვუანდერძებ ევგენი გეგეჭკორსო (არ დასწრებია, შეუძლოდ იყო). ვერ გავიგე, ანდერძიდან ამოიკითხა ქვრივმა თუ არა: ჩემი ოთახი ლევილში მუზეუმად იქცესო, რატომ მაშინ თვითონ არ ინება ლევილში დაკრძალვა?! რიგით და წესით უკეთესი იქნებოდა ანდერძი წაეკითხათ, გამოექვეყნებიათ. შეიძლება აწი მოხდეს ეს. დასაფლავებას საკმაო ხალხი დაესწრო, მეზობლები, უკრაინელები, ბელორუსები, ფრანგებიც... ბევრი წერილი და დეპეშა მოვიდა სხვადასხვა ქვეყნებიდან, ყველა ეს ცალკე დაიბეჭდება მისი სურათებით. ჩვენ კი განზრახვა გვქონდა სწორედ 18 ამ თვეს გადაგვეხადა მისი დღეობა, ჟურნალის საგანგებო ნომერი უნდა გამოსულიყო, მეც მივეცი წერილი, როგორც გამონაკლისი, თუმცა პარტიულში არ ვწერ ამ უცხოეთში. ნოეს კი უპარტორგანოდ არ წარმოედგინა არსებობა! მე მას ვუსაყვედურებდი ხშირად საზღვარგარეთ ბიუროს სხდომაზე და ის კი არ მპასუხობდა... ამ მხრივ ის „ბოლშევიკი" იყო: „ჩვენი დროშა" პირველ რიგზე და „მებრძოლი საქართველო" მეორეზე. არ მოგაგონებთ „Правда-Известиа"-ს? პარტორგანიზაციას უნდა ჰქონოდა თავისი ორგანო, ცხადია, ნოესაც შეეძლო იქ ეწერა, — ესეც ცხადია, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტს შეფეროდა საერთო ეროვნულ ორგანოში ეთანამშრომლა უმთავრესად. ეს მიდრეკილება ნოეს დადებითი მხარე იყო სამშობლოში, თვითონვე დასწერა ბოლო ხანში: ჩვენ არ ვიყავით და არ ვართ მენშევიკებიო, რაც მართალია. რევოლუციურ ბოლშევიზმს დაუპირდაპირა ეროვნული რევოლუცია, უამისოდ სამ წელს კი არა, სამ თვესაც ვერ იარსებებდა ქვეყანა."[3]

დღიურის გვერდზე არის მინაწერი ჟორდანიას ანდერძის შესახებ, ის ს.დ.კრებაზე წაუკითხავს ლევან ფაღავას[4], აკაკი ჩხენკელი შენიშნავს, რომ იქ არც ვანვზე იყო რაიმე ნათქვამი და არც ევგენიზეო.

ნოე ჟორდანიას ამავე 1953 წლის სხვა ჩანაწერიც ეხება. ჩხენკელი აკრი-

[1] ვანვი, პატარა დაბა პარიზთან, სადაც ჟორდანიები ცხოვრობდნენ.

[2] რედიკი — რეჯებ ჟორდანია (დაიბ. 1920 წ.), ნოე ჟორდანიას ვაჟი.

[3] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 243, ფ. 12ხ.

[4] ლევან ფაღავა (1907-1998)— ნოე ჟორდანიას ქალიშვილის —ასმათ ჟორდანიას მეუღლე, ცნობილი პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ორგანოს — ჟურნალ „ჩვენი დროშის" რედაქტორი, ცნობილი ბალერინას — ეთერ ფაღავას მამა.

ტიკებს ნოე ჟორდანიას მოგონებებს, კერძოდ, რუსეთთან ომსა და მთავრობის მიერ ქვეყნის დატოვებას. ამას თუ წაიკითხავენ, სასაცილოდ გავხდებით ჩვენც და საქართველოც, რადგან ჩვენს გამოსვლებსა თუ წერილებში სულ იმას ვამბობდით, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში ხუთი კვირა ვებრძოდით რუსებს, ამ მოგონებებიდან კი ეს არ ჩანსო. ჩხენკელს რეალური ისტორიის ამგვარი დამახინჯება ერისა და ქვეყნის საწინააღმდეგოდ მიაჩნია.[1]

უძნელესი იყო ასაკში შესული უსამშობლო პატრიოტისთვის ყოფილ თანამებრძოლთა გარდაცვალება. ახლა მხოლოდ ისინი აკავშირებდნენ სამუდამოდ დაკარგულ საქართველოს, მის ჩვევებსა და ოჯახურ ტრადიციებს, მშობლიურ ენასა და ისტორიას. არადა, პოეტისა არ იყოს, — „თითო-თითოდ მოვაკლდებით სიცოცხლეს და თითო-თითოდ მივეთვლებით სიკვდილს". 1954 წლის 16 სექტემბრის დღიური ამ სათითაოდ წასულ ადამიანებს ეძღვნება, მათ, რომლებიც ამა წლის შემოდგომის პირველივე თვეში გამოაკლდნენ ქართულ ემიგრაციას. ადრინდელ დღიურებშიც არცერთი წასული არ დაჰვიწყნია, ყველას იხსენებდა და თითქმის ყველა მათგანს კარგად ახასიათებდა, შენდობას უთვლიდა და სიბრალულით იგონებდა. ახლაც ასე იყო: „დიდი ხანია ხელი არ მიხლია ამ დღიურისთვის, — წერს აკაკი ჩხენკელი. — ახლაც ავიღე არა საერთაშორისო ამბების ჩასაწერად, თუმცა მათი მნიშვნელობა დიდია, არამედ ჩვენს მიცვალებულებს მინდა ორიოდე სიტყვა ვუძღვნა.

ივნისის დამწყებს ევგენი გეგეჭკორი მივაბარეთ ლევილის მიწას. არა გვყავს ახოვანი, მჭევრმეტყველი, თავმჯდომარედ დაბადებული ევგენი! და როგორ მოულოდნელად გაგვეპარა, ახლაც ვერ მოვსულვართ გონს! თვითონ კი ლაპარაკობდა ხშირად, გული არ მივარგაო, მე კი ერთხელ ისიც მივუგე, რომ ის აზვიადებს, ეჩვენება და სხ. წინ დღესაც ასე მოგვეგება მე და კოწია კ-ს[2] თავისას: ერთი ჩვენგანი რომ გარდაიცვალოს, ორნი დავრჩებით, როგორ მოიქცევიანო. ჩვენ გავიცინეთ და კოწიამ დაიწყო თავის მოხსენების კითხვა მიუნხენისათვის. მას ეგ არაერთხელ გაეცნო ჩემთვის ნაწილ-ნაწილ თავისას, მე ყურის გდების მაგიერ ევგენის ვაკვირდებოდი... მართალია, ის იქანცებოდა, არ ასვენებდნენ, მნახველნი მოდიოდენ, ტელეფონიც სხვაა. განსაკუთრებით ამერიკ. კომიტეტთან დავიდარაბა ღლიდა, მიწერ-მოწერა, არა-რუს დელეგატებთან მუშაობა... მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მისი სიკვდილისათვის. წარმოიდგინეთ, მისი მეუღლისაგან გავიგეთ ნამდვილი მიზეზი გარდაცვლისა: მართლა გულის ანგინა ყოფილა მიზეზი! უკრძალავდა მეუღლეს გაემხილა! გვცოდნოდა, ჩავერევოდით! სადმე მოვათავსებდით, თუგინდ უფულოთაც, — აი, სილარიბე...

მეორე დღეს ვალოდია გოგუაძე[3] გაგვეპარა, ჩვენი გმირი მეომარი, ნი-

---

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 243, ფ. 15ხ.

[2] კოწია კ. — უნდა იყოს კონსტანტინე კანდელაკი.

[3] ვალოდია გოგუაძე _ სოციალ-დემოკრატი, ჯავშნოსანი 80-კაციანი მატარებლის ხელმძღვანელი, განსაკუთრებული გმირობა გოგუაძის რაზმმა გამოიჩინა 1918 წლის იანვარ-მარტში აჭარასა და გურიაში შეჭრილი ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ. 1918 წ. აპრილში მან ჩაქვში დაიხსნა ალყაში მოქცეული პოლკოვნიკ ყარალაშვილის ჯარი. 1918 წ. 13 აპრილს ამიერკავკასიის საოლქო დელეგატების სხდომაზე ნოე ჟორდანიას, ირაკლი ნერეთლის და ევგენი

ჭიერი; ავადმყოფობდა, მართალია, მაგრამ ლექსების წერას არ ეშვებოდა, ბევრი უთქვამს ჩემთვის, ერთი კიდეც დამპირდა, ნ.ჟ. შესახებ დაწერილი შინ, მაგრამ არ გადმომცა. მიზეზი — ემდუროდა. მისმა მეუღლემ, ნამეტიამ[1], თავი გასწირა მისთვის, უვლიდა სრულიად არაჩვეულებრივად, როგორც პატარა ბავშვს... როგორ გამოიცვალა, დადნა ეს დევი ქალი.

მესამე მიცვალებული ეს ჩემი თანამშრომელი მიხეილ სუმბათაშვილია[2], გუშინ შესრულდა ორმოცი. ესეც გულით ყოფილა სნეული, თვითონ არ იცოდა, არც მისმა მეგობარმა სოფიკო უშაკოვმა. გარდაიცვალა ბერხტენ გადენში, სადაც ის და სოფიკო გაფრინდნენ. მიუნხენში დასწვეს მისი ფერფლი, ლონდონს გაიგზავნება მისი ცოლის ფერფლთან შესანახად. დიდ ოპერაციას გადაურჩა გაზაფხულზე, მოკეთდა, გამაგრდა, არავინ ელოდა ასეთ ბოლოს. პატიოსანი, მამულის ერთგული, რაინდი, დიდხანს ვერ შევურიგდები მის ასე უეცრად გაქრობას... (აქ მახსენდება მასთან მინაწერი ანდრია გუგუშვილის წერილები და მიხეილ სუმბათაშვილის შეფასებები, აქაც ჩანს, რა გასხვავებული კრიტერიუმები ჰქონდა ჩხენკელს მამულშვლობის დასადგენად და რატომ არ მიიღო მაშინ გუგუშვილისეული კრიტიკა სუმბათაშვილისადმი — დ. ჭ.).

მეოთხე ვალოდია სულაქველიძე,[3] აქვე არპაჟონში გარდაიცვალა. ვერც კი ვნახე ცოცხალი, სასაფლაოზეც ვერ დავესწარი, ავად ვიყავი. არაჩვეულებრივი ადმინისტრატორი, ბევრი ქება გამიგია აბხაზეთში, ქუთაისში და არ ვიცი კიდევ სად, თავისუფლების დროს! ხნოვანებით ყველა ესენი ჩემზე უმცროსნი იყვნენ...

გეგეჭკორის წარდგინებით გოგუაძე ეროვნულ გმირად აღიარეს და რევოლუციის პირველი გმირის წოდება მიანიჭეს. გოგუაძე ჯავშნოსანი მატარებელით მონაწილეობდა მთელ რიგ სამხედრო ოპერაციებში, უკანასკნელი ომის დროს მძიმედ დაჭრილი გოგუაძე მეგობრებმა სტამბულში წაიყვანეს, სადაც ის ფრანგულ ჰოსპიტალში მკურნალობდა. აქ მეუღლემ ჩააკითხა. 1923 წელს ისინი პარიზში ჩავიდნენ და თავი ლევილის მამულს შეაფარეს. გოგუაძემ ემიგრაციაში დაწერა ერცელი „მოგონებები", თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარების საფრანგეთში შესვლისას ავტორმა ხელნაწერები ცეცხლს მისცა. გოგუაძის „მოგონებების" ფრაგმენტები, რომელიც ძირითადად 1890-1919 წწ. პერიოდს ასახავს, გადაარჩინა და 1963 წ. პარიზში ქართულად გამოსცა მისმა მეუღლემ. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

[1] ნამეტია ბერძენიშვილი (1891-1988) მშობლების მეცხრე შვილი იყო. 1919 წელს, მაშინ თბილისის უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტი ცოლად გაჰყვა ვალოდია გოგუაძეს და მასთან ერთად იბრძოდა ჯავშნოსანზე. „მე ჯავშნოსანზე მყავდა ახალი მეომარი – ჩემი მეუღლე. ჩემ ძმას და ნათესავებს დავავალე: ბრძოლის დროს ჩემს ცოლთან ახლოს ყოფილიყვნენ და თუ საქმე ცუდად წავიდოდა, მოეკლათ კიდეც, რათა ოსმალებს ტყვედ არ ჩავარდნოდა", წერდა გოგუაძე. ნამეტია ბერძენიშვილის ინიციატივით შეგროვებული იქნა თანხა, რომლითაც შეიძინეს მინა და მოენყო ლევილის ქართული სასაფლაო. მანამდე პარიზში და მის ახლომახლო მცხოვრები ქართველებიც სულ სხვადასხვა ადგილას საფლავდებოდნენ. ადგილობრივმა კომუნამ ემიგრანტ ქართველებს ლევილს გარეთ მცხოვრებ ქართველების დასაფლავების ნებაც დართო. ამის გამო ნამეტიას „ლევილის დედა" შეარქვეს. 1970-იანი წლების დამდეგს საფრანგეთში ქართული სათვისტომოს გამგეობამ, პირველად სათვისტომოს ისტორიაში, ნამეტიას საპატიო წევრის წოდება მიანიჭა.

[2] მიხეილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილი (1885-1954), ბორჩალოს მაზრის ყოფილი წინამძღოლი, ემიგრანტი, საქართველოს წარმომადგენელი შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში.

[3] ვალოდია სულაქველიძე, — სოციალ-დემოკრატი, რევოლუციონერი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში.

ამერიკაში გარდაიცვალა ირაკლი ორბელიანი[1], შვილი ელისაბედისა[2], რომელიც დამოუკიდებლობის დროს სცემდა ფრანგულად თბილისში თავისუფალ გაზეთს. ირაკლი უკანასკნელად რადიოთი ელაპარაკებოდა ნიუ-იორკიდან საბჭოთა კავშირის მოქალაქეთ, მათ შორის ქართველებს, რეჟიმის წინააღმდეგ".[3]

გაუხარდა თუ არა ბერიას დაპატიმრების ამბავი, რომელიც მას სტამბოლიდან სანდრო მენაღარიშვილმა[4] 1953 წლის 25 აგვისტოს აცნობა, ძნელი სათქმელია. ის უკვე დაღლილი იყო საბჭოთა სახელმწიფოს კრახის მოლოდინით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედით, ქართული საზოგადოების ბრძოლისუნარიანობაზე ამაო წარმოდგენით. მაინც გაუგზავნია თურქეთში მენაღარიშვილისთვის წერილი, გადაუმოწმებია საქართველოდან მიღებული ცნობა, ბერიას გამო ხალხი გამოვიდაო. „თქვენი ინფორმაცია, საქართველოში ბერიას გაპალაჩების გამო გამოსვლები დაიწყოო, არ არის მართალი, — წერდა მენაღარიშვილი. — მართალია, მხოლოდ საქართველოში იჭერენ და ხსნიან ბერიას ბევრ მომხრეებს, კომუნისტებიდან. ერთხელ კიდევ ირკვევა, რომ ბერიას და მის მსგავსებს საბჭოთა კავშირში და არც საქართველოში ნამდვილი მეგობარი არც ჰყოლიათ და არც ჰყავთ. აბა დიქტატორს სად ჰყოლია მეგობარი, რომ ბერიას ყოლოდა! იქ ბატონობს მარტო **სერვილიზმი და მლიქვნელობა**. პირველივე ცნობა ბერიას შესახებ მე გავუგზავნე ევგენის 13, VII-ს. ეს ცნობა მიღებული იყო თბილისიდან სრულიად მოულოდნელი გზით და არაფერს ამბობდა რაიმე „გამოსვლებზე" ან აღელვებაზე, პირიქით ბერიას მეგობრები იჩქაროდნენ მისგან „გამიჯვნას" ხალხი გულგრილად შეხვდა „ბერიას უბედურებას". ქართველი ხალხი უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ემიგრაციაში ზოგიერთს ეგონაო. მენაღარაშვილი წერდა ვ. ბაქრაძეზე[5], რომელ-

[1] ირაკლი ორბელიანი (1901-1954), ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანისა და მამუკა ივენეს ძე ორბელიანის ვაჟი, მუსიკოსი, ცნობილი პიანისტი., ქართული სათვისტომოს დამაარსებელი აშშ-ში. საქართველოს გასაბჭოების დროს ის საზღვარგარეთ ტურნეში იმყოფებოდა და სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. მართაედა კონცერტებს ევროპასა და ამერიკაში. 1941 წელს სანფრანცისკოში დაქორწინდა მერი ლი მაკნაიტზე, 1945 წელს მეუღლეს ისე გაშორდა, შვილი არ ჰყოლიათ. მუშაობდა რადიო „ამერიკის ხმის"ქართულ რედაქციაში, ბოლოს კი „საბჭოთა კაეშირის სექციაში". 1954 წელს გარდაიცვალა ლეიკემიით, დაკრძალულია ნიუ-იორკში.

[2] ელისაბედ ორბელიანი —(1870-1942), ერეკლე ბაგრატიონისა და თამარ ჭავჭავაძის ასული, ცნობილი მთარგმნელი, ფრანგული ენის პირეელი ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1882 წელს ირაკლი ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლე ორ მცირენლოვან გოგონასთან ერთად (12 წლის ელისაბედი და 10-ის ეკატერინე) საზღვარგარეთ გაემგზავრა. ცხოვრობდნენ შვეიცარიაში, იტალიასა და საფრანგეთში. ისინი სამშობლოში 1895 წელს დაბრუნდნენ. ეკატერინემ იმავე წელს იქორწინა ივანე რატიშვილზე, ელისაბედმა კი 1898 წელს მამუკა ივანეს ძე ორბელიანზე. შეეძინათ ორი ვაჟი — თამაზი და ერეკლე. რამდენიმე ენის მცოდნე თამაზი ინგლისელებთან მუშაობდა და ის უგზოუკვლოდ გაქრა, ერეკლე კი აშშ-ში ცხოვრობდა და შთამომავლობაც არ დარჩენია.

[3] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 243, ფ.19.

[4] სანდრო (სარდიონ) მენაღარიშვილი (1895-1960) — სოციალ-დემოკრატი, ნოე რამიშვილის ახლო მეგობარი. მასთან ერთად მყოფი რამიშვილი მოკლა 1930 წელს ბოლშევიკებისგან მოსყიდულმა ქართველმა ემიგრანტმა ჭანუყვაძემ.

[5] ვ. ბაქრაძე — ვალერიან ბაქრაძე, კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი აქტივისტი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 50-იან წლებში.

მაც რუსეთის უმაღლეს საბჭოში ქართველი ხალხის სახელით წარმოთქვა სიტყვაო. ქართველ ხალხს საერთო არაფერი აქვთ მის ჯალათებთან, ბერია-სტალინი მათთვის ისეთივე მტრები არიან, როგორიც მოლოტოვ-მალენკოვიო".[1]

ვერც დრომ და ვერც შექმნილმა მსოფლიო პოლიტიკურმა რეალობამ ვერ დაავიწყა სტალინის მიერ ჩადენილი ვერაგობა დამოუკიდებელი საქართველოსადმი. მისი აღზევების ხანაშიც კი დაუნდობლად აკრიტიკებდა საბჭოთა ბელადს, გარდაცვალების შემდეგ კი, მითუმეტეს...

1955 წლის მარტში ვაშინგტონში გამოქვეყნებულმა იალტის კონფერენციის ოქმებმაც მას რუზველტისა და ჩერჩილის მიმართ პროტესტის გრძნობა გაუძლიერა, რომლებიც სტალინს ასე მოწიწებით ესაუბრებოდნენ. ჩხენკელი სამართლიანად აკრიტიკებს ინგლის-საფრანგეთის ლიდერებს, რომ მათ არ იციან საბჭოეთი ისე კარგად, როგორც სტალინმა იცის მათი ქვეყნები და მათი პოლიტიკური ზრახვებიო. აკრიტიკებს მათ უსაზღვრო დათმობების გამო და საჭოთა კავშირის ასე გაძლიერებისათვის. „სტალინს რუზველტი და ხშირად ჩერჩილიც უწოდებენ „Uncle jo" (ძია ჯო) და ისიც იფერებს! გაგიკვირდება, ეს ვერაგი დესპოტი როგორი თავაზიანია სიტყვა-პასუხში. ეს ხელს არ უშლის, რა თქმა უნდა, გერმანიის სრული დაშლა მოითხოვოს: პრუსია ცალკე სანახევროდ, პოლონეთი თავის ლუკმად, ბავარია და სხ. ცალკე, რური საერთაშორო მისი მთავარი მონაწილეობით და სხ. ბერლინის ბედიც გადაჭრილია, ვინ ჩაუსწრებს, აი, რა აინტერესებს რუზველტს და ეს სწორეთ ამართლებს იმას, რაც ჩაიდინეს ამერიკელებმა: მათ შეეძლოთ არა მარტო ბერლინში და ჩეხოსლოვაკიაში „ჩაესწროთ". ჩერჩილი ბევრს სწერდა პოლონეთის ბედზე, ოქმებში არა სჩანს ეს. ერთი სიტყვით, მიანებეს „სატელიტები", რუმინიას ახსენებენ ერთ ადგილას, უნგრეთსაც, მაგრამ მათი ბედი მტარვალს ჩაბარდა უსიტყვოდ. რასაკვირველია, ზავზედაც ლაპარაკობენ, ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა კონფერენციებზე, სათითაოთ თითქოს ყველამ, მაგრამ გადამწყვეტნი „მარტო დიდებია", — ამას იცავს სტალინი. საფრანგეთის მონაწილეობა დიდებთან მას არ უნდა, არ უომნიათო, და მისი პარტია ხომ სწორედ ამას უქადაგებდა აქაურ კომუნისტურ პარტიას!

საინტერესოა როგორ ჩარიეს საბჭოთა კავშირი იაპონიასთან ომში. სტალინი აცხადებს, მე არა ვარ იაპონიასთან ომში და ახლა რად უნდა ვეომოო, მაგრამ ეს ვაჭრობას ნიშნავს, რას მისცემენ! მართლაც, სამხრეთ სახალინსა და კურილიის კუნძულებს დაჰპირდენ. და იმავე დროს, თითქმის მეორე დღეს დაეცა იაპონია, როცა ბომბები მიახალეს ჰიროშიმასა და ნაგასაკს. არ შეიძლება რუზველტს არ სცოდნოდა ეს დაბომბვა, მაგრამ მაინც აჩუქა..."[2]

საბჭოთა კავშირის დანგრევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი II მსოფლიო ომის შემდეგმა მსოფლიოს გადანაწილების პროცესმა და დედამიწის თთქმის ერთ მეხუთედზე საბჭოეთის გაბატონებამ ჩაუკლა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაწყებულმა პოლიტიკურმა

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2 საქმე 420, ფ. 1-2.
[2] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 243, ფ. 20.ხ.

პროცესებმა იქნებ ისევ აუნთო იმედის ნაპერწკალი, მაგრამ ბრძოლა აღარ შეეძლო, არც ასპარეზი აღარ ჰქონდა და არც საამისო ასაკი. თუმცა, მის ბოლო ნაწერებში მაინც გაკრთება იმედი იმაზე, რომ იქნებ თავად შიგნიდან დაიშალოს ქვეყანა, „ერთმანეთი არ დაინდონ“ იმ პოლიტიკურმა ლიდერებმა, რომლებიც საბჭოეთის სათავეში დგანანო. აი, რას წერდა ჩხენკელი სკკპ XX ყრილობის შესახებ, რომელმაც დაგმო სტალინის პიროვნების კულტი და ქვეყნის ცხოვრებაში ერთგვარი „ოტეპლენიეს“ ხანა მოიტანა.

„19.II-ს გაიხსნა საბჭოთა კომპარტიის მე-20 კონგრესი (ჩხენკელი ყრილობას კონგრესად მოიხსენიებს). პირველი მდივნის 7-საათიანმა სიტყვამ ორი სხდომა მოინდომა. ხრუშჩევი დაუსრულებლად იწუნებს ჩვენი ქვეყნის მოღალატის სტალინის დიქტატურას და მის მაგიერ კოლექტიურ დიქტატურას არჩევს, იცავს მშვიდობიან თანაარსებობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან, იმასაც კი უშვებს, შეძლება კაპიტ. ქვეყნებში სოციალიზმმა გაიმარჯვოსო. მიქოიანი, — სტალინის ლაქია, ახლა უკვე აშკარად ესხმის თავის ბატონს თავზე. მისი ესა თუ ის ნაწერები დიდი შეცდომა იყოვო. ასეა სხვებიც: კაგანოვიჩ-მალენკოვი. ბულგანინმა დიდი დრო მოანდომა მეექვსე 5-წლედის ჩატარებას, ასე რომ, 1960 წელს კომუნიზმი განხორციელდებაო. სოციალიზმი ხომ დღესაც ხელში აქვთ, ამის საეჭვოდ გამოცხადებისათვის მოლოტოვი რაღმე აწამეს, ის მოლოტოვი, რომელიც თითქმის ერთი გადაურჩა ლენინის გვარდიას. მაშ. კონგრესი ისევ იწყებს ლოცვას მარქსიზმ-ლენინიზმის წინაშე, არ იციან რა უყონ მარშალ სტალინის ძეგლს ლენინის ძეგლის გვერდით! ერთი საყურადღებოა: ბულგანინის ხარბი თვალები ხრუშჩევის უკან, რომელიც ესალმება უკრაინელ ქალს: **არა, საეჭვოა ამ ბატონებმა ერთმანეთი დაინდონ!...**“[1]

მიუხედავად ამ იმედის გამონათებისა, აკაკი ჩხენკელმა კარგად იცოდა, რომ ყველაფერი ამაო იყო, როდესაც ქართული ემიგრაციის შიგნით ერთიანობა არ არსებობდა. მსოფლიო პოლიტიკას როდესაც აანალიზებდა (და ეს იმდენად კარგად აქვს გაკეთებული 1951-1958 წლებში, რომ ამ დროის მსოფლიო ისტორიის სპეციალისტებს უეჭველად დიდ დახმარებას გაუწევს!), მას მაინც საკუთარი ქვეყნის ბედი აინტერესებდა იმ დიდი პოლიტიკის ფონზე. და რა უნდა ყოფილიყო ეს იმ მცირე ჩანაწერის მიხედვით, 1958 წლის 12 თებერვალს რომ გაუკეთებია: „რეზო გაბაშვილი და დათა ვაჩნაძე ილაშქრებენ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. მიზეზი თითქოს გრ. ურატაძის[2] წიგნი იყოს. და ეს მაშინ, როცა ვცდილობთ ყველა პატრიოტული პარტიების გაერთიანებას!“[3]

დიახ, აკაკი ჩხენკელი გამაერთიანებელი ადამიანი იყო, ის უმიზეზოდ არასდროს შედიოდა მძაფრ პოლემიკაში, და თუ შევიდოდა, იქიდანაც ისევე მშვიდობიანად, საქმიანად აღწევდა თავს, რომ მტრად არავინ უხდებოდა, თავადაც ყველას მოყვარე და კეთილისმყოფელი იყო და მის მიმა-

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 243, ფ. 22ხ.
[2] გრ. ურატაძე — (1878-1959) — სოციალ-დემოკრატი, პუბლიცისტი, სახელმწიფო მოღვაწე, გააფორმა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში, დაკრძალულია ლევილში.
[3] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 243, ფ. 26ხ.

რთაც სხვები ასეთივე განწყობას იჩენდნენ.

იმავე დროს ეროვნული საქმის კეთება სწყუროდა, არ ავიწყდებოდა ის მთავარი, რაც მომავალი საქართველოსთვის იყო საჭირო. ერთი ასეთი ქონება იყო ქართული არქივი, დამოუკიდებელი საქართველოს დროინდელი დოკუმენტები, 21 ყუთი, რომელიც 1944 წლის 1 აგვისტოს პარიზის აღმოსავლური ენების ინსტიტუტს მიაბარეს და 1955 წლის იანვარში, პარიზში მომხდარმა წყალდიდობამ დააზიანა. დაზიანებული დოკუმენტები გასაშრობად და გადასარჩევად გადატანილი იქნა ლევილში, სადაც ისევ მოხდა სრული კატალოგიზაცია და შესანახავად ჩაბარდა საფრანგეთის ეროვნულ არქივს.

1958 წლის 22 მარტს საფრანგეთის ეროვნული არქივების დირექტორთან შარლ ბრებანთან საფრანგეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა აკაკი ჩხენკელმა და საფრანგეთის საქართველოს საელჩოს ყოფილმა პირველმა მდივანმა სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანმა (1876-1971) საქართველოს არქივის შესანახად დადეს 7 პუნქტიანი ხელშეკრულება. შეიქმნა არქივის შემნახველი ქართული კომისია, რომელსაც ფაქტობრივად ჩხენკელი ხელმძღვანელობდა.[1]

ჩხენკელის დღიურის ბოლო ჩანაწერი 1958 წლის 10 ნოემბრით თარიღდება. აქ მთელი მისი სულისკვეთება ჩანს, სიბერე და სიკვდილის სიახლოვეც იგრძნობა და აკაკი ჩხენკელის კუბოს კარამდე მისული ოცნებაც სამშობლოსათვის მებრძოლ ეროვნულ ძალთა გაერთიანებასა და გამარჯვებაზე.

„2 და 9 ნოემბერს მოხდა პოზიცია-ოპოზიციის გაერთიანება, ერთი ს. დ. ორგანიზაციის დაარსება და მისი პრეზიდიუმის არჩევა.

პირველ სხდომას არ დავსწრებივარ, არ დამიძახეს, მეორეს სულ ბოლომდის არ დავსწრებივარ, მაგრამ შედეგი ცხადია: ერთხელაც არ უხსენებიათ კავკასია. თითქოს თურქეთი და ირანი არცკი არსებობენ(!), ემყარებიან სამართლიან საქართველოს იურიდიულად ცნობას, მის კეთილგანწყობილებას რუს მემარცხენე პარტიებთან, ისე, როგორც არარუს ჩაგრულ ერებთან, მაგრამ კავკასიის ხსენებას გაურბიან! და ეს მაშინ, როცა მიუნხენში გამოდის ამერიკელების „Caucasian Review", აგრეთვე ეგ პერიოდული გამოდის, როგორც ამბობენ, თურქულათაც სტამბოლში... როგორც წინეთ, ახლაც გურულები მიუძღვიან საქმეს. ერთი იმერელი, რომელმაც ძალიან შეუწყო ხელი აქ პარტიულ გაერთიანებას, რაჟდენ არსენიძე[2], გურულებსაც უსწრებს წინ: მას მხოლოდ თურქეთი ეზმანება, როგორც მთავარი მტერი ჩვენი ქვეყნისა.

რაღა სხვებს უნდა ვუსაყვედურო, როცა მე თვითონ უმოქმედოდ შევყურებ სხვებს, არ ვერევი, არ ვიბრძვი! სიბერე მერევა, არც ვარ კარგად და

---

[1] გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, გამომცემლობა „მერანი", 1991, გვ. 328-329.

[2] რაჟდენ არსენიძე — (მიშა), (1880-1965), სოციალ-დემოკრატი პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, იურისტი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი (1919), 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ასეთ პირობებში ფუჭია თავის მტვრევა"[1].

იმედსაც გამოთქვამდა, რომ ერთ საჯარო ლექციას მაინც წაიკითხავდა, სადაც მისთვის საინტერესო პოლიტიკურ თემებს შეეხებოდა. იმედი არ გაუმართლდა. ამ დღიურის დაწერიდან ორი თვეზე ნაკლებ დროში, 1959 წლის 5 იანვარს აკაკი ჩხენკელი გარდაიცვალა. მისი ბოლო ნავსაყუდარი ლევილი გახდა, სამშობლოდან დევნილი ქართველების სამუდამო განსასვენებელი.

აკაკი ჩხენკელის შთამომავლები

აკაკი ჩხენკელს ერთადერთი ვაჟი — ალექსი ჰყავდა.

უცხოური ლეგიონის ბატალიონის მეთაური, მამაცი ოფიცერი, ვიცე-პოლკოვნიკი ალექსი ჩხენკელი 1905 წელს, საქართველოში დაიბადა, 1921 წლიდან კი მშობლებთან ერთად ემიგრაციაში წასვლამ მოუწია. შევიდა სენსირის სამხედრო სასწავლებელში, სადაც საუკეთესო კურსანტის სახელი დაიმსახურა. ეს სასწავლებელი აკომპლექტებდა საფრანგეთის „უცხოეთის ლეგიონს", სადაც ალექსი ჩხენკელიც გაწევრიანდა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ ლეგიონერი ალექსი ჩხენკელი მიავლინეს ჯერ ალჟირში, შემდეგ — საიდში, შემდეგ კი გადაიყვანეს შორეულ აღმოსავლეთში. I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჩხენკელების ოჯახის მდგომარეობა რთული იყო. ისინი ანტიგერმანული სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულნი და ოჯახის ერთადერთი მემკვიდრეც 1939-40 წლების საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს მეტად სახიფათო საიდუმლო მისიას ასრულებდა ნორვეგიაში, საიდანაც კვლავ ჩრდილოეთ აფრიკაში დაბრუნდა. მონაწილეობდა ნარვიკის ცნობილ სამხედრო-საზღვაო ექსპედიციაში. სხვა პატრიოტებთან ერთად, ვერც ალექსი ჩხენკელი შეურიგდა საფრანგეთის ოკუპაციას და შეუერთდა 1943 წელს ალჟირში გენერალ დე გოლის მიერ ჩამოყალიბებულ „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს". მასთან ერთად ამ ორგანიზაციის საქმიანობაში ჩაებნენ უცხოეთის ლეგიონში განევრიანებული სხვა ქართველებიც. 1941 წელს ალჟირიდან პარიზში დაბრუნებულ ალექსი ჩხენკელს კონფლიქტი მოუვიდა საფრანგეთის არმიის იმ ლეგიტიმისტ ოფიცრებთან, რომლებიც არ შეუერთდნენ დე გოლს, დატოვა პარიზი და გადავიდა მაროკოში, შემდეგ ტანჟერში, შემდეგ კი, გიბრალტარის გავლით ლონდონში ჩავიდა. აქ „თავისუფალი საფრანგეთის სამხედრო ძალების" შეამადგენლობაში შევიდა.[2]

1942 წელს ალექსი ჩხენკელი მონაწილეობდა ბრძოლებში, თავი ისახელა ეგვიპტესა და ლიბიაში გერმანელი გენერლის — რომელის საექსპედიციო კორპუსის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ის, როგორც მოკავშირე, ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში გაგზავნეს. 1943 წლის ზაფხულში მონაწილეობდა სადესანტო ოპერაციებში კორსიკასა და

[1] სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 243, ფ. 28.
[2] რუსუდან დაუშვილი, ქართული ემიგრაცია ამერიკაში, თბილისი, 2014, გვ. 173-174.

იტალიაში. იყო ერითრეის, ლიბიის, ჩრდილოეთ აფრიკის, იტალიის კამპანიების მონაწილე, უცხოეთის ლეგიონის საპატიო ორდენის, სამხედრო ჯვრის, ამერიკის „გრინ სტარის", დიდი ბრიტანეთის „მილიტარი კრინისა" და სხვა მრავალი ჯილდოს მფლობელი, მონაწილეობდა საფრანგეთის განმათავისუფლებელ ბრძოლებში და მეთაურობდა მე-5 დივიზიონს. სწორედ ამ დროს მიეწიჭა ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო ჩინი.

1945 წელს ალექსი ჩხენკელი საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს განკარგულებით გადაიყვანეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1946 წელს დაინიშნა მოკავშირეთა წარმომადგენლად კუბაზე, შემდეგ იუგოსლავიაში და ბოლოს, — გერმანიაში. სამუშაო ადგილის მუდმივი ცვლილების მიუხედავად, მისი ოჯახი 1946-1952 წლებში პარიზში ცხოვრობდა, 1952 წლიდან კი ნიუ-იორკში გადავიდა. აქ უკვე ფართოდ გაშალა მუშაობა ქართული ემიგრაციის დასახმარებლად, აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1952 წლიდანვე მოღვაწეობდა ამერიკული რადიოს — „თავისუფლების ხმის" რედაქციის ქართულ განყოფილებაში. 1953 წელს შეყვანილი იქნა „ბოლშევიზმისაგან გათავისუფლების ამერიკულ კომიტეტში" ნიკო ნაკაშიძესთან ერთად. 1959 წლის იანვარში აშშ-ში დაარსდა „ანტიკომუნისტური ინტერნაციონალი", რომელშიც მსოფლიოს მრავალი ერის წარმომადგენელი შევიდა, მათ შორის, ქართველებს ალექსი ჩხენკელი წარმოადგენდა.

ალექსი ჩხენკელი იყო 1953 წელს ამერიკაში დაარსებული პირველი ბეჭდური ქართული ჟურნალის „თავისუფალი საქართველოს ხმის" - სარედაქციო კოლეგიის წევრი. აქ ხშირად აქვეყნებდა სტატიებს საქართველოსა და კავკასიის ისტორიის საკითხებზე, ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაზე. ის იყო გაერთიანებული კავკასიის ორგანიზაციების თავმჯდომარე, 1966 წლის 22 მაისს ამ საზოგადებაში კავკასიის ხალხების ათასწლოვან ისტორიაზე გააკეთა მოხსენება. ხელმძღვანელობდა ქართულ კულტურულ წრეს ნიუ-იორკში, ამავე წრეში წაიკითხა მოხსენება —„ეროვნული მთავრობის მოღვაწეობა უცხოეთში".

ალექსი ჩხენკელი ეროვნულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას ერთგულებდა, მისი პოლიტიკური აზროვნება უკვე მთლიანად დაშორებული იყო მამისა და მისი თაობის ქართველ სოციალისტთა იდეოლოგიისაგან, თუმცა, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთგულების იდეა მას მათგან ჰქონდა მემკვიდრეობით მიღებული და შეთვისებულ-განმტკიცებული.

ალექსი ჩხენკელი 1985 წელს, პარიზში გარდაიცვალა. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე. დარჩა მეუღლე — ქეთევან ვაჩნაძე და შვილები — გივი და თამარ ჩხენკელები.

„მითხარ შენდობა... და ჩემს მხარესა,
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა,
სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე,
ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე."
ეპიტაფია ლევილში[1]

აკაკი ჩხენკელის წერილებში ჩანს არა მარტო ერთი კაცისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალები, ამ დროინდელი საქართველოს ავ-კარგი, არამედ მთლიანად ბედი ჩვენი ქვეყნისა, იმ ავი ღრუბლების მოუსვენარი მოძრაობა, ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე კავკასიონის თავზე მუდმივად რომ ტრიალებდა და პატარა ერის შვილთა სულისკვეთებას კი არ ჰკლავდა და ახშობდა, არამედ თვითგადარჩენისთვის ბრძოლის იმპულსებს უძლიერებდა. საქართველოში ცხოვრება და, მითუმეტეს, პოლიტიკური მოღვაწეობა არასდროს იყო ადვილი და ჩვეულებრივი. ეს ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავდა და გადარჩენისთვის ნიჭი, მოხერხება, მოთმინება, უშიშრობა, შეტევა თუ უკანდახევა ერთად იყო საჭირო. ჩხენკელისა და საქართველოს I რესპუბლიკის ზოგიერთი პოლიტიკოსისთვისაც ეს თვისებები არ ყოფილა უცხო. მიუხედავად მათი ტრაგიკული ბედისა, მუდამ სამშობლოზე მეოცნებეებს, უცხოეთის ტყვეობაში რომ ჩარჩნენ საუკუნეთა მანძილზე მსგავსი ბედის მქონე წინაპრებივით, სამშობლოში ხშირად ვერ უგებდნენ. **მათ ზოგჯერ დღესაც უწოდებენ „მენშევიკებს", სოციალისტებს (დამნაშავეთა კონტექსტით), ბოლშევიკების მსგავსებს.** არადა: 1. როგორც ჩხენკელი წერდა, IV სახელმწიფო სათათბიროშიც კი, ქართველი სოციალ-დემოკრატები თავს „მენშევიკებს" აღარ უწოდებდნენ; 2. 1917 წლიდან ეს პარტია იყო ქართული „სოციალ-დემოკრატიული პარტია", საქართველოში უმრავლესობაში მყოფი და ლიდერი პოლიტიკურ პარტიათა შორის; 3. სოციალისტობა მამულიშვილობას არ გამორიცხავს, ამას მოწმობს ამ იდეოლოგიის მიმდევართა მოღვაწეობაც; 3. სიკვდილამდე საქმით თუ სიტყვით ბოლშევიზმს ებრძოდნენ, ბოლშევიკებიც მათთან დაპირისპირებას ძირისძირამდე ჩაჰყვნენ, რაც გამორიცხავს ქართველ სოციალისტ-დემოკრატთა ბოლშევიკობას. ამდენად, კრიტიკა ზერელეა და დაუსაბუთებელი.

აკაკი ჩხენკელის პიროვნება და საზოგადო მოღვაწეობაც ბევრი თანამედროვისთვის იყო კრიტიკის საგანი. ემიგრაციაში, როდესაც ქართველ პატრიოტებს სამშობლოში დაბრუნებისა და სამართლიანობის გამარჯვების იმედი საბოლოოდ გადაეწურათ, ზოგიერთებმა ყველა უბედურების სათავედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი პარტია და მისი ლიდერები გამოაცხადეს. მიუხედავად ამ ხელისუფლებაში დაკავებული მნიშვნელოვანი პოზიციისა, ჩხენკელს ეს კრიტიკა ყველაზე ნაკლებად ერგო. გარდა ამისა, მემუარისტების თვალსაზრისი ყოველთვის სანდო არაა. მემუარული ლიტერატურა, მითუმეტეს განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიების მიმდევართა მიერ შექმნილი, ტენდენციურობას,

[1] წარწერა ემიგრანტ კოკი (ნიკოლოზ) ნიკოლოზის ძე დადიანის(1879-1939) საფლავზე

დაუსაბუთებელ ბრალდებებსა და ხშირად აშკარა ცილისწამებას ვერ აღწევს თავს. ამგვარი ლიტერატურა ინტერესით იკითხება, მაგრამ მისი სანდოობის ხარისხი მცირეა. სამართლიანი იქნება კრიტიკულად შევხედოთ მემუარისტთა ყველა აზრს, გავითვალისწინოთ ეპოქა და ქვეყანა, სადაც პიროვნება მოქმედებს, ან მოვლენა ხდება, პიროვნების შეფასებისას მთავარი, ამოსავალი დებულება უნდა იყოს ის, რა მოუტანა ან რის მოტანა სურდა რომელიმე მოვლენასა თუ ადამიანს ჩვენი ქვეყნისთვის, სახელმწიფოებრიობისთვის, ამ მთავარი და უმთავრესი ღირებულებისთვის. აქ აკაკი ჩხენკელი ყველა გამოცდას პირნათლად აბარებს და ეპოქის გმირთა გალერეაში საპატიო ადგილს იჭერს.

ამ დროს, საოცარი გულისტკივილის განცდა ჩნდება, როდესაც ინტერნეტსივრცე ქვემოთ მოტანილის მსგავს მასალას აწვდის მომხმარებელს. ამგვარ რაიმეს ყურადღებასაც არ მივაქცევდით, ქართველი ინტელიგენციის წრეებში მსგავსი შეხედულებების გამოთქმას ხშირად რომ არ ვაწყდებოდეთ. სამწუხაროდ, ესეც ჩვენი ისტორიული წარსულის ცოდნის ხარისხის, საერთო განათლების პრობლემაა. აი, ეს მასალა:

„ეროვნული ინტერესების „დამცველი"

საისტორიო მატიანეები იტყობინებიან, რომ 1918 წლის 14 მარტს გაიმართა ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია ოსმალეთის იმპერიასა და ტრანსკავკასიის (ამიერკავკასიის სეიმის) დელეგაციას შორის. ტრანსკავკასიის დელეგაციის მეთაური აკაკი ჩხენკელი დათანხმდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შედეგებს და მოუწოდა მთავრობის წევრებს და სახელმწიფო ორგანოებს მიეღოთ და დათანხმებოდნენ ამ პოზიციას.

საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის, საანგარიშო მონაცემებით, რესპექტაბელური მოღვაწის საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური განსჯის სურათი იხატება, რომ არა რევაზ გაბაშვილის მცირედი მოგონება, რომელიც ეხება ბატონი ჩხენკელის ნინასამგზავრო სამზადისს:

„...სრულებით შემთხვევით რომ შევედი „ეროვნულ საბჭოში", ასეთი სურათი დამხვდა: კედელზე ჩამოკიდებულ რუკასთან იდგა ბ-ნი აკაკი ჩხენკელი (მეორე დღეს ტრაპიზონში მიდიოდა) და კიდევ რამდენიმე ქართველი. არ ვიცი, „დელეგატი", თუ არა; სტუდენტის ქუდიანი პავლე ინგოროყვა, ჯოხით ხელში უჩვენებდა და უხსნიდა საქართველოს ნაწილების საზღვრებს. მე სწორედ მაშინ შევესწარი, როცა შემოხაზა ჯოხის წვერით ერთი ფართობი და მიუბრუნდა მსმენელთ: „ეს გახლავთ კახეთი!"

–ქე დიდი ქვეყანა ყოფილა! – შესძახა გაკვირვებით ბატონმა აკაკიმ.

და, აი, ასეთი დელეგაციის ასეთი მეთაური მიდიოდა ტრაპიზონში, საქართველოს ინტერესების დასაცავად... და კავკასიისაც" – დასძენს ავტორი დანანებით.

თუ რას მოიმოქმედებდა საქართველოს „დესპანი" ტრაპიზონში, წინასწარ იყო ცნობილი და ზემოთ უკვე ვიხილეთ, ხოლო სურათის სისრულისათვის მოგახსენებთ, რომ ეს ჩხენკელი შემდგომში გახლდათ ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან საქმეთა მინისტრი – 1917-1918 წლებში; 1918 წლის აპრილში იყო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბ-

ლიკის მთავრობის მეთაური, ხოლო 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი!"

სამწუხაროა, რომ თანამედროვე ავტორი ისევე ტენდენციურია, როგორც მისგან მოხმობილი მოგონების დამწერი — ეროვნულ-დემოკრატი, პატრიოტი მოღვაწე, ზოგჯერ მაქსიმალისტიც თავის შეხედულებებსა და მოღვაწეობაში, — რევაზ გაბაშვილი. სტატიაში მოტანილ რამდენიმე საკითხს შევეხები:

1. „საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის, საანგარიშო მონაცემებით, რესპექტაბელური მოღვაწის საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური განსჯის სურათი იხატება, რომ არა რევაზ გაბაშვილის მცირედი მოგონება"...

საქმეში ჩახედულისათვის ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე აკაკი ჩხენკელის დიპლომატიური საქმიანობა ნამდვილად ხატავს ამ სფეროში „რესპექტაბელურ მოღვაწეს" და ამ რეალობის შეცვლა რევაზ გაბაშვილის მოგონებას არ შეუძლია. ის მხოლოდ სტატუსის ავტორივით „საქმეში ჩაუხედავ" კაცს ჰგავს და ასეთივეს თუ გამოადგება იმ რაღაცის დასამტკიცებლად, რაც სინამდვილეში არ ყოფილა;

2. ჩვენი წიგნიც კი, სადაც ჩხენკელის მოღვაწეობის უამრავი ფაქტია გამოტოვებული, ნათლად დაანახებს მკითხველს, რომ მის მიმართ, ბრჭყალებში ჩასმული და ირონიაგარეული აზრით მოწოდებული ფრაზა — „ეროვნული ინტერესების „დამცველი", არათუ უადგილოა, არამედ მეტიც: წინაპრის ღვაწლისა და ამაგის დაუფასებლობის, უმადურობისა და თანამედროვეთა არასწორად ინფორმირების დანაშაულებრივი ფაქტიც;

3. აკაკი ჩხენკელი ყოველთვის იყენებდა და თავის საქმიანობაში ემყარებოდა ქართველი სწავლულების ცოდნასა და რეკომენდაციებს. ამან განაპირობა თუნდაც ივანე ჯავახიშვილის მიერ მისი შეყვანა თბილისის უნივერსიტეტის საორგანიზაციო ჯგუფში. საქართველოს თნამედროვე საზღვრების დადგენისას ქართველ ისტორიკოსთა ცოდნის გამოყენება ბუნებრივიც იყო და აუცილებელიც, რასაც ჩხენკელი აკეთებდა.

ეს შეხვედრა, რაზედაც გაბაშვილის მოგონებაშია საუბარი, ნამდვილად იქნებოდა, უბრალოდ, ჰიპერბოლიზებულია და დრამატიზებული სიტუაცია: პავლე ინგოროყვა დიპლომატს საქართველოს უძველეს საზღვრებს აცნობდა, გაკვირვებაც შეიძლებოდა გამოეხატა ჩხენკელს, მაგრამ ეს უკავშირდება არა მის უვიცობასა და გაუნათლებლობას, არამედ პროფესიულ მხარეს, ინგოროყვამ რაც იცოდა საქართველოს ისტორიულ საზღვრებზე, ის ჩხენკელს რომ არ ცოდნოდა, რა გასაკვირია. გაკვირვებაც შეეძლო გამოეხატა, ოღონდ არა ამ ფორმით: „ქე დიდი ყოფილა"... სამეგრელოში გაზრდილი ქვემო იმერელისგან ამ ფორმის გამოყენება, თუნდაც მისი მრავალრიცხოვანი პირადი წერილების მიხედვით, საეჭვოა. ჩხენკელის საერთო განათლება კი, მისი ეროვნული ცნობიერება არაფრით არ შეიძლება დადგეს ეჭვქვეშ. მას შესაძლოა არ ცოდნოდა კახეთის სამეფოს ძველი საზღვრები, მაგრამ ე. წ. სამაჰმადიანო საქართველო რომ ზეპირად იცოდა, ცხადია. მრავალჯერ ფეხით ჰქონდა მოვლილი ყარსის, არტაანისა

და ზემო აჭარის სოფლები, რადგან რუსეთის დუმაში დეპუტატი სწორედ ამ მხარიდან იყო.

4. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაზე დათანხმება ან უარი, ეს ოსმალეთის იმპერიულ დელეგაციასთან მოლაპარაკებების სამკვდრო-სასიცოცხლო თემა იყო და არა ჩხენკელის პირადი თემა. ოსმალეთი არ თმობდა სამი საუკუნის წინათ დაპყრობილ ტერიტორიებს. კავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს აზერბაიჯანული ნაწილი მხარს მას უჭერდა, სომხური არა, მაგრამ არც არაფერი შეეძლო უკვე ოსმალეთისგან თითქმის ოკუპირებულს, საქართველოში კი ოსმალეთის ინტერვენცია-ოკუპაცია დაწყებული იყო და აგრესორი მარტო ბრესტ-ლიტოვსკით მინიჭებულ ტერიტორიებს აღარ ჯერდებოდა, რეალურად დაკავებულ ქართულ მიწებსაც ითხოვდა. დამსახურება ქართველი დიპლომატისა, რომელსაც, სხვათა შორის „დელეგტებად" გაბაშვილის თანაპარტიელებიც ახლდა, იყო ის, რომ მან შეძლო საქართველო მომენტალურად ეხსნა ოსმალოთა აგრესიისაგან, სრული დაღუპვისგან, შეძლო გარანტიების მიღება გერმანელთაგან, რომ ამ ტერიტორიებს რუსეთისგან მისი დახმარებით ისევ დაიბრუნებდა, რაც კიდეც მოხდა: 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულება ოსმალეთ-საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის აგვისტოშივე ჩასწორდა და გერმანია-რუსეთის შეთანხმებით, ეს ტერიტორიები (ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები) საქართველოს დაუბრუნდა. ასე რომ, ამაოდ ცდილობს გაბაშვილიც და მისი თანამედროვე მხრდამჭერიც ჩხენკელის ღალატში დადანაშაულებას.

5. სტატიის ბოლოს ჩხენკელის თანამდებობების ჩამოთვლა მიზნად ისახავს — აჩვენოს დღევანდელ მკითხველს, რა გამყიდველი და უვიცი ხალხი იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სათავეში. არ გამოდის. ეს ადამიანი, — სასულიერო წინაპრების შთამომავალი, ღირსეულ ოჯახში დაბადებული, საქართველოში საუკეთესო პედაგოგების აღზრდილი, ევროპის გამორჩეულ უნივერსიტეტებში მიღებული ცოდნით, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გამოცდილებით ისეთ დიდ საკანონმდებლო ორგანოში, როგორიც რუსეთის სახელმწიფო დუმა იყო, ნამდვილად თავდადებით ემსახურებოდა სამშობლოს, ბოლომდე უერთგულა მისი დამოუკიდებლობის იდეას, მუდმივად იბრძოდაა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

ისტორიას ცალკეული შტრიხები კი არა — ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად, ჰუმანიზმისა და სიკეთის გადასარჩენად, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მუდმივი ბრძოლის ერთი მთლიანი სურათი ქმნის. საქართველოს ისტორიის ამ საერთო სურათში XX საუკუნის გამოჩენილი დიპლომატის, პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და მამულიშვილის — აკაკი ჩხენკელის პორტრეტი შთამბეჭდავად იხატება.

აკაკი ჩხენკელის მიმოწერა

აკაკი ჩხენკელის წერილები კონსტანტინოპოლში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან — კონსტანტინე გვარჯალაძესთან (1921-1924)

„პარიზი. 20. IX. 21

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

წავიკითხე ნ. ხომერიკის მეორე წერილი – პირველზე ვუპასუხე და თქვენც წაიკითხავდით – შესახებ ქართველ-თათარ-მთიელთა მუშაობისა, სხ. შ., გამოსვლების მიზნით. გუშინ მქონდა კერძო თათბირი ტობჩიბაშევ-ხასმამედოვ-ჩერმოევთან და ამ დასკვნაზე დავდექით, რომ უხერხულია, არალოიალური და მავნე სომხების გარიყვა. თქვენ იზიარებთ, რამდენადაც ვიცი, იმ აზრს, რომ საჭიროა, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, სომხები ვიყოლიოთ ჩვენს კავშირში. გარდა იმისა, რომ უკმაყოფილო და არალოიალური სომხობა მეტათ სახიფათოა კავკასიის დანარჩენ ხალხებისთვის, მათი ჩვენთან ყოლა მეტათ სახეიროა ფაქტიურათ ევროპა-ამერიკაში. რა სისულელეებსაც უნდა სჩადიოდენ ისინი, რაც არ უნდა იწევდენ ისინი განზე, ჩვენ ვალდებული ვართ ვითმინოთ და კავშირიდან არ გავუშვათ ისინი. მარტო ის ფაქტი, რომ მომავალ ოსმალო-ბერძნის ზავში სომხის საკითხი უნდა იქნეს ჩატანილი, ერთგვარი ხელჩასაჭდომია ჩვენთვის. მართალია, საიდუმლო საქმიანობაში საფრთხილოა სომხების ჩარევა – ისინი არ თანაუგრძნობენ გამოსვლებს რუსების წინააღმდეგ... და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ განცალკევებული მუშაობა ჩვენი მაჰმადიანებთან არ დაიმალება და ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს სომხების მეგობრებზე, რომელნიც ასე ბევრია ევროპა-ამერიკაში. მეორეს მხრით, რას გულისხმობთ გამოსვლებში? ეს კითხვა, თუ ის პირდაპირ გავიგეთ, ძლიერ საპასუხისმგებლოა. რას ნიშნავს რუსეთს ვერ დავუცდითო? შეიძლება არც ბერძენ-ოსმალოს ზავის დაცდას თვლით საჭიროდ? საზოგადოთ, მე არ დამაკმაყოფილა ასეთი ფრაზების სხარტათ და უმოტივოთ წამოსროლამ. ჩემი აზრი იცით თქვენ: სამზადისი, მაგრამ მოხერხებულ მომენტის ცდა. ეს მომენტია: ან აფეთქება შიგნით რუსეთში, ან ზავი ოსმალოსა ანტანტასთან, რომლის შემდეგ ოსმალო იძულებული იქნება იზრუნოს რუსეთისაგან უზრუნველყოფისათვის. არის კიდევ ასეთი ხასიათის გამოსვლა: ხელის შეშლა, რომ ბოლშევიკებმა არ გაიტანონ საზღვარ-გარეთ ქვეყნის სიმდიდრე. მაგრამ ჩემი მიზანი არ იყო ამაზე ბაასი, გამოვსთქვამ მხოლოდ დიდ რეზერვს გამოსვლებისადმი, თუ იგი არ არის შეფარდებული მომენტთან. – ტოპჩიბაშევს ჰქონდა ხელში ვრცელი წერილი რუსტამბეკოვისა[1] და რაფიევის[2], ისინი სწერდენ ქართ.-თათრ.-მთიელ. ბიუროზე და თანხას თხოულობდენ. ჩვენი აზრი უკვე არის ზევით: საჭიროა 4-წევრიანი ბიურო.

[1] რუსტამბეკოვი, — ჰუსეინ ალი ბეგ რუსტამბეკოვი (1878-1920), აზერბაიჯანელი პოლიტიკოსი.

[2] რაფიევი — აზერბაიჯანელი ემიგრანტი პოლიტიკოსი.

რაც შეეხება თანხას, ჩვენ გვექნება ამაზე მსჯელობა საერთო თათბირზე, როცა სომხები ჩამოვლენ ჟენევიდან. ჩვენმა მთავრობამ უკვე მიიღო წინადადება ფონდის შესახებ, მაგრამ საბოლოოთ კავშირში უნდა გადაწყდეს, საჭიროა დაცდა, მაშასადამე. ჩერმოევმა კიდევ განიმეორა, რომ ის ნიშნავს კანტემიროვს[1], ხოლო ბიუროსათვის ის ცალიკოვზე[2] ფიქრობს. თათრებმაც ჩქარა დაენიშნავთ წარმომადგენელსო. სომხებს მოვთხოვთ, როცა ჩამოვლენ, დანიშნონ წარმომადგენელი, ან ვინც არის, იმას მისცენ გარკვეული და დადებითი ინსტრუქციები. – იცით, ფრანკლ. ბუიონი[3] ისევ წავიდა ანგორაში, ფრანგები თითქოს იარაღს გზავნიან... ახლოვდება გადამწყვეტი მომენტი ზავისათვის...

აკ. ჩხენკელი"[4]

„პარიზი. 10. X. 21

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

თქვენ მატყობინებთ, რომ არსებობს ერთგვარი სამხედრო კომისია, რომელიც სპეციალისტებთან ერთათ ამუშავებს სამხედრო კითხვებს. კარგი იქნებოდა ამ კომისიის მუშაობის შედეგი ჩვენც გვეცნობოდეს პერიოდულათ. თანხა მზვერაობისათვის ძნელი გადასადებია, მაგრამ შეიძლება ამაზე დათანხმდეს მთავრობა, თუ დასაბუთებული მოხსენება მოუვა მას კომისიისაგან. მე უკვე მივიღე ზომები მასალების საშოვნელათ, ზოგიერთი კიდეც მივიღე და გიგზავნით გენ. ზაქარიაძისათვის. მე ვძრავ აქ ახლა საკითხს, რათა აქედან მიეწეროს საფრანგეთის ჰოკომისარიატს სტამბოლში მიანდონ ერთ ან ორ სპეციალიტს მუდმივ კავშირში იყვნენ ჩვენს სამხედრო პირებთან და ამუშავებდენ მათთან ერთათ ყველა საინტერესო კითხვებს. შესაძლოა აქედან არც კი მისწერონ, მაგრამ თქვენთვის არ უნდა იყოს, მიუხედავათ ამისა, ძნელი საკუთარის თაოსნობით მიაღწიოთ ამას. მე დარწმუნებული ვარ, თუ თქვენ გადასცემთ გენ. პელეს ერთგვარ მემუარს, სადაც მესამე პირის სახელით დასაბუთებული იქნება ჩვენი განზრახვანი და შესაძლებლობანი, აგრეთვე მთელი კავკასიის, ყაზახების, – ის უთუოთ მოისურვებს მიანდოს მის ხელქვეითებს ითანამშრომლონ ჩვენთან. მერმე, თუ მუშაობა ნაყოფიერი გამოდგება, ის თვითონ სწერდეს იქნება თავის უფროსებს პარიზში და ამით დამზადდება ნიადაგი იარაღით და ინსტრუქტორებით დახმარებისა, როგორც კი ამისათვის დადგება შესაფერისი მომენტი. ეს მეთოდი უკეთესია, თქვენთან უფრო პრაქტ. მუშაობაა, თან იქ უფრო ესმით ჩვენი კითხვა, მეტი დროც აქვთ ამისათვის.

თქვენ მართალი ხართ: საჭიროა მუდამ ფუსფუსებდე, მოაჩვენო თავი რეალურ ფაქტორად, მაგრამ აქ პირობები არაა, სამწუხაროთ, ხელსაყრელი. როცა მიწაზე გაშხლართული ხარ, არ არსებობ ფაქტიურათ, არ გიწევენ ანგარიშს, სახიფათოა ბაქიაობა რომ შეგატყონ და უმთავრესი რაცაა

[1] განტემიროვი, — ჩეჩენი მოღვაწე, მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელი.

[2] ახმედ ცალიკოვი (1882-1928), ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის პოლიტ. მოღვაწე, წარმოშობით ოსი ეროვნების.

[3] ფრანკლინ ბუიონი — ფრანგი პოლიტიკოსი, დიპლომატი.

[4] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 3.

– არა სცალიათ შენთვის. მაგ., ვიზა–პასპორტების შესახებ რამდენი ხანია აღვძარი კითხვა, ჯერ არაფერი გამივიდა; არც მთლათ ოფიც. მინდა დავაყენო კითხვა, რომ უარი არ მომახალონ, ჩვენს მდგომარეობაში საჭიროა მოთმინება, ნელებზე სიარული, ხან კიდეც უნდა წაიყრუო, უსიამოვნო თუ რამე გესმის. მით უფრო საფრთხილოა დიდი კითხვებზე მოქმედება. ჩვენებს ჰგონიათ, თუ მიხვალ და ეტყვი, რამდენათ ხელსაყრელია მათთვის ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი აღდგენა და სხ., ისინი მაშინვე ხელს ჩასჭიდებენ ჩვენს საქმეს. რა თქმა უნდა, ამა თუ იმ დაბრკოლებამ არ უნდა შეგვაშინოს, ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნებიან შეგვითანხმდენ, დაგვეხმარონ. საფრანგეთის მთავრობას მართლაც სურს, რომ ეკონომიურმა წრეებმა დაიწყონ ჩვენთან მოლაპარაკება, მაგრამ ესენი მერყეობენ, ვერ ბედავენ. ინგლისში კონიუნქტურა საგრძნობლათ იცვლება ჩვენდა სახეიროთ, იქ თითქოს გრძნობენ საფრანგეთთან შეთანხმებას როგორც რუსეთის, ისე მცირე აზიის მიმართ. მართალი გითხრათ, მე მაფიქრებს ის მოუთმენლობა, რომელსაც შეუპყრია ჩვენი პარტიები ადგილობრივ (ხალხი მეტის ამტანია, გარწმუნებთ), თორემ დრო უთუოთ დადგება ჩვენი აღდგომისა.

რაც შეეხება დიპლომატიის ამუშავებას ყოფილ რუსეთის განაპირა და დამოუკიდებელ ქვეყნებთან (ნ. რამ. 26 მოხსენება სტამბ. დაბრუნებისას) შეთანხმების მისაღწევათ, ეს ადვილი სათქმელია, ხოლო სინამდვილეში ძნელი. პოლონეთი, ლატვია და სხ. მოერიდებიან სამხედრო კავშირს, რადგან რუსეთი ისედაც აწერს მათ ათასგვარ ცოდვას, ჩვენც ხომ ასე მოვიქცეოდით მათ ადგილზე! მაქსიმუმი, რისი მიღწევა შეიძლება, ეს დაახლოება-მიმოსვლა მათთან, რომ, თუ ვინიცობაა დადგა მათთვის რუსეთის ხიფათი, შეუთანხმონ მათი ნაბიჯები ჩვენსას. ამისათვის საჭიროა წარმომადგენელი გვყავდეს ერთი მაინც ყველა ამ ქვეყნებში, რაიც ჯერ კიდევ ვერ შევასრულეთ. ყაზახებთან, რომელნიც ჩვენს ტანკში იწვიან, შესაძლებელია შეთანხმება, მაგრამ სტამბოლში. მე აქ ვხვდები ხარლამოვს[1] და მისნერს თავისიანებს სტამბოლში. საფრთხილო კია ამათთან კავშირი, სლავიანებთან ერთი ფრონტი სხვა შთაბეჭდილებას ახდენს ევროპაში, ქართველები ძველებურათ რუსეთის შიგნით იბრძვიანო!

ყველაზე უფრო მწვავეა ჩვენთვის ჩვენ მეზობლებთან ერთათ მუშაობის კითხვა. მოეწყობა ეს, ან როგორ მოეწყობა – ესაა თავი და თავი. ნ. რ.-მა ჩამოიტანა ერთგვარი გეგმა მხოლოდ სამი ერის მუშაობის შესახებ, სომხები გამორიცხულია. ეს შეუძლებელია, მავნე, ამაზე უკვე გწერდით. ეს მით უფრო, რომ ის პროგრამა, რაც დაუსახავს თათბირს ხომერიკის თავმჯდომარეობით, არაფერს არალეგალურს არ წარმოადგენს თავის თავათ. დასასრულ, თუ ისეთი რამ დარჩა, რომელსაც ვერ გაანდობ ამა თუ იმ პირს, ეს შეიძლება მოგვარდეს იმ პირთან, რომელსაც ენდობი. ამ დღეებში ჩვენ გავარჩევთ ფონდის კითხვას კავშირის კერძო ორგანოსათვის, აქედანვე

[1] ხარლამოვი, — ვასილ აკიმის ძე ხარლამოვი (1875-1957) თეთრგვარდიელთა მოძრაობის აქტიური მონაწილე, კადეტი.

უნდა იცოდეთ, რომ დიდ ფონდს ვერ გადავდებთ, შევჩერდებით ალბათ 100.000 ფრ., მაგრამ არა ერთი თვით! საზოგადოთ ვერ ხერხდება ამ ჩვენ მეზობლებთან ისეთი ნაყოფიერი და ჩქარი მუშაობა, როგორიც სასურველია, მაგრამ აბა რა უნდა ვქნათ, უნდა ვიმეცადინოთ. აზერბეიჯანი ისევ ხასმამედოვს გზავნის სტამბოლში, მთა კანტემირს ანდობს, მე აბა რა უნდა ვქნა. ბოლოს და ბოლოს ნუ გაუმტყუნებთ მათ სამხრეთით ყურებას, თუ ზოგიერთი ჩვენები და მთელი სომხობა ჩრდილოეთით იყურება! მეც ცოტა მიკვირს, რატომ გონიათ ორ ნოეს[1] – არა ჟ. – რომ მთა და აზერბეიჯ. შეინახავენ საიდუმლოს.

მაგრამ ყველაზე უფრო საკვალალო ისაა, რომ ჩვენი პარტია ვერც ადგილობრივ და ვერც უცხოეთში ვერა სდგას მომენტის სიმაღლეზე. ის, რაც ნ. რ. ჩამოიტანა, უფრო გამთიშავია, ვინემ შემაერთებელი სხვა პარტიებთან. განვაგრძობთ ბატონობის პოლიტიკას, როგორიც სამშობლოს დაცემის წინ იყო. მთელი ხალხი მოითხოვს ერთ ეროვნულ ფრონტს, ჩვენი პარტია მოწოდებული იყო შეექმნა იგი, და მას შეეძლო იგი, მაგრამ არ სჩადის ამას. უბრალო გერმანიის მაგალითიც არ შველის საქმეს, სადაც ს. დ. ქვეყნის სახსნელათ არ ერიდება კოალიციას თვით უტინერებთან. გამოდის: თუ ჩვენ არ ვბატონობთ, დამოუკიდებლობაც არ გვინდა! ბატონობა არ აგვცდება, უეჭველია, მაგრამ ერი ირღვევა, საუბედუროთ.

აკ. ჩხენკელი

გთხოვთ გადასცეთ ვალიკოს[2], რომ მე მისგან არც ერთხელ არ მიმილია წერილი, თორემ პასუხის გაუცემლობა ჩემს ჩვეულებაში არაა.

ა. ჩხ."[3]

„პარიზი. 2. XI. 21

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

ამასთანავე გიგზავნით რამდენსამე ასლს და დავსძენ განმარტებას თვითეულ მათგანს:

1) მემუარი, რომელიც გადაეცა მარშალ ფოშს[4] გეგეჭკორის მიერ მისგან გამოგზავნილ პასუხების საშუალებით. თქვენ დაინახავთ იქიდან, რომ ჩვენ დავსვით ორი კითხვა: 1) სამხედრო კითხვების შესწავლა დღეისთვის სამშობლოს განთავისუფლების მიზნით. რა გვეჭიერება, რამდენი, კოორდინაცია კავკასიელ ხალხების ძალთა, გეგმები და სხ. 2) სამხ. კითხვების შესწავლა მერმისისთვის ჩვენი და მეზობლების ჯარების მოსაწყობათ. გეგმები, ინსტრუქტორები და სხ. შეგვპირდენ დიდის ყურადღებით შესწავლას, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მარშალს ძალიან აინტერესებს, პირადათ, ჩვენი კითხვები, და დასძინეს ვიყოლიოთ აქ ჩვენი მაღალი ოფიცერი, ვისთანაც ისინი შესძლებენ კითხვების შესწავლას და დამუშავებას. სწორეთ ამაზე ჰქონდა დღეს მთავრობას მსჯელობა და დაადგინა გამოი-

[1] იგულისხმება ნოე ხომერიკი და ნოე რამიშვილი.
[2] ვალიკო, — ვალიკო ჯუღელი.
[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 22-23.
[4] მარშალი ფოში, — ფერდინანდ ფოში (1851, ტარბი — 1929, პარიზი) — ფრანგი სამხედრო მოღვაწე, საფრანგეთის მარშალი პირველ მსოფლიო ომში.

წვიოს აქ გენ. მდივანი, რომელმაც იცის ფრანგ. ენა და კავშირის გაბმა ეხერხება. გთხოვთ აცნობოთ ეს მას, ფინ. მინისტრი ცალკე მოიწერება მისი გამომგზავრების შესახებ, ვიზა კი ჰქონდა მას, თუ ვადა არ გაუვიდა. იგივე ფინ. მინისტრი მოგწერთ, რომ გენ. კვინიტაძეს მიეცა ნება, თანახმათ მისი თხოვნისა, წამოვიდეს საფრანგეთში საცხოვრებლათ. უნდა იშუამდგომლოს მან ვიზა და დეპეშით გვაცნობოს ჩვენ, რომ აქ ნება დართონ. არაა მიზანშეწონილი გახმიანდეს მდივნის[1] წამოსვლის მიზანი, შეიძლება დაასახელოთ მისი კერძო საქმეები და ასეთი აქვს კიდეც, მგონი. მოკავშირეებმა არ იციან ამ ნაბიჯების შესახებ. არაა ჯერ საჭირო.

აქვე დავსძენ, რომ ძალიან გაგვაოცა თქვენი სამხედრო კომისიის საქციელმა: სამხედრო პირების არ დაშვება. სჩანს, ვიმეორებთ თფილისის პრაქტიკას, როცა პოლიტიკოსები ვწყვეტთ სამხედრო კითხვებს. უთუოთ გაასწორონ ეს შეცდომა, წარსულის ძიებას მოვასწრებთ, თავი და თავია აწმყო და მომავალზე ვიზრუნოთ. მე გწერდით და ახლაც დაბეჯითებით გთხოვთ ნამდვილი პრაქტიკული მუშაობა დააწყებინოთ სამხედრო კომისიას, შიდ უნდა იყვნენ ზაქარიაძე და სხვები, ვისაც საჭიროთ დაინახავთ. აქაური მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, თუ ის ორგანულათ დაუკავშირდება სტამბოლის მუშაობას. იცით კარგათ, აქაური სამინისტრო მუდმივ კავშირშია ჰო–კომისართან მანდ. მაშასადამე, მასთან ან მის მიერ დანიშნულ პირთან უნდა შეახვედროთ ხშირათ, მაგ., გენ. ზაქარიაძე, უნდა დასვათ პრაქტიკულათ კითხვები, არაა საჭირო დაუმალოთ მას აქ გადადგმული ნაბიჯები და სხ. თან ცნობები და მასალები გენ. მდივანს გენ. ზაქარიაძემ უნდა მიაწოდოს, თავის თავათ ცხადია. მე გამოგიგზავნეთ აგრეთვე სანიმუშოთ სომხების მიერ მიღებული რელაცია ბოლშევიკების ძალების შესახებ კავკასიაში, სწორეთ ასეთი რამ უნდა იგზავნებოდეს ჩვენი სამხედრო პირებისაგან დრო გამოშვებით, ნამეტანი საჭიროა თქვენი სამართლიანი შენიშვნა, რომ საჭიროა ვიფუთფუთოთ, სწორეთ მაშინ იქცევა საქმედ, თუ ჩვენ გვაქვს საშუალება მივაწოდოთ მასალა აქ და ლონდონში, რომ სთქვან ჩვენდა საქმიანი ვართ. მე არ ვფიქრობ, შეუძლებელი იყოს ცნობების შოვა ჩვენში და მანდ, საჭიროა მეცადინეობა.

2) ედ-მემუარი და ბრიანთან დარბაზობის ანგარიში. პირველათ კავშირის წარმომადგენლებმა ვინახულეთ პერეტი დე ლა როკა და ვრცლად ვებაასეთ, მან გვთხოვა წერილობით გადაგვეცა ბრიანის საჩვენებლათ და შეხვედრის მოსაწყობათ. შედეგი იყო ედ–მემუარი. იქ დაინახავთ, სხ. შ., ჩვენს მოთხოვნას, ბრიანს ვეხსენებიეთ თავის სიტყვაში პალატის წინაშე, მან კიდეც აღგვითქვა, მაგრამ ვერ შეასრულა ორი მიზეზით: 1) მისი მდგომარეობა საკმაოთ კრიტიკული იყო, რაღმე დასცეს და ამიტომ ახალ კითხვებს ერიდებოდა. თუ არა ვირტის ისევ დაბრუნება და ვაშინგტონის კონფერენცია, დაეცემოდა. ხუმრობა როდია, მან წიხლი კრა კლემანსოს ბლოკს, გამარჯვებულს 16. XI. 9, და გადიხარა მარცხნით ზავისა (გერმანიასთან konsiliason) და რესპუბლიკის დამცველებისკენ. 2) ელოდა, რომ კო-

[1] საუბარია სიმონ მდივანზე.

მუნისტები გაილაშქრებდენ საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ამას ის დაუპირისპირებდა მოსკოვის იმპერიალიზმს ჩვენს მიმართ. მაგრამ კაშენმა[1] და სხვა ნაცარქექიებმა ეს ვერ გაბედეს. ბრიანთან შეხვედრას ძლიერ მხურვალე და მეგობრული ხასიათი ქონდა, ბევრი გამოტოვებულია ანგარიშიდან, მაგრამ არსებითი უკვე არის. ჩვენ მას არ უთხარით, რომ ამერიკაში მისსიას ვგზავნით კავშირის სახელით, უკეთესია იქ გამოეცხადებიათ საფრანგეთის და სხვების დელეგაციებს. ჩვენგნით ვგზავნით ზ. ავალიშვილს. მოსკოვის უკანასკნელმა ნაჩოქებამ წესრიგში დასვა რუსეთის საკითხი. ბრიანთან ყოფნის დროს არ ვიცოდით ეს. მთელი ჩვენი ცდა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ კავკასია ჩამოშორებულად ჩათვალონ რუსეთისგან. ვფიქრობ, ბოლშევიკური რუსეთი უფრო ადვილათ დაიშლება, ვინემ მეფის რუსეთი, გვმართებს სიფხიზლე. **ეს ზამთარი უკანასკნელი უნდა იყოს ბოლშევიკებისთვის.**

3) უსახელოთ ჩამოწერილი კითხვები, რომელიც გადავეცი ბექირ სამი ბეის. ის მიდის ხვალ რომში და იქიდან ანგორაში. იცით კარგათ, რომ ანგორაში ჯერ კიდევ მოსკოვთან კავშირის მომხრენი ბატონობენ, ბექირი კი ევროპასთან შეთანხმების და კავკასიის აღდგენის გულწრფელი მომხრეა. თუმცა საბოლოოთ არ ითქმის, მაგრამ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ბექირი ისევ მოიხვეჭს გავლენას ანგორაში, ის შეგვპირდა გამოარკვიოს ყველა ჩვენი კითხვები და გვაცნობოს. შეიძლება ამას მოყვეს მოლაპარაკებაც, ვნახავთ, ერთი სიტყვით. საბოლოო შეთანხმება თურქებთან ანტანტას, სახელდობრ, საფრანგეთის დახმარებით უნდა მოხდეს. ბრიანმა აღგვითქვა ეს, ფრანაკლინ ბუიონი ისევ მიდის ოსმალეთში, მას ვნახავთ, რა თქმა უნდა, ავადაა ამ დღეებში.

გუნრასის(?) ჩამოსვლით ვისარგებლეთ, რა თქმა უნდა. ინახულა გეგეჭკორმა, კარგათ მიიღო და ბევრი ქათინაურებიც გასცვალეს, მაგრამ ნაყოფი, სამწუხაროთ, არ შეიძლებოდა საგრძნობი გამოსულიყო აქედან. მათი მდგომარეობა ძალიან უიმედოდ სჩანს, რა თქმა უნდა, ჩვენს შესახებ კრინტსაც ვერ დასძრავენ. თქვენ განაგრძეთ მეგობრული განწყობილება მათ ელჩთან, ნუ შეამჩნევიებთ ოსმალოთ და მეზობლებს, ათინაში თქვენი წასვლა ახლა მავნებელიც კი იქნებოდა.

ნოე ხომერიკის წერილი ნამაკითხეს ვარშავაში მუშაობის შესახებ. ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა და ანგარიშიც გამოგეგზავნებათ, როგორც კი დამზადდება. იყო კომისია ევგენის თავმჯდომარეობით და მის მიერ შემუშავებული ზოგადი გეგმა უკვე მივიღეთ, თან დავადასტურეთ 100.000 ფრ. გადადება ამ თავითვე. მაგრამ სომხებმა განაცხადეს, სანამ ც. კ.-გან არ მოგვივა დასტური, ჩვენ არ შეგვიძლია საბოლოო პასუხის გაცემაო. ამ რიგათ, დადგენილება ძალაში შევა, როცა სტამბოლიდან დაშნაკ. ც. კ. დასტური მოვა. შეიხულ ისლამოვი[2] ეხლა მანდ არის და გეტყოდათ. ძალიან კარგია, რომ დაშნაკი ც. კ.-თან კავშირი გაგიბამთ, მხოლოდ მეორე უკიდურესობაში

[1] კაშენი, — კაშენი მარსელ - (1869-1958 წ.წ.), საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ - ერთი დამაარსებელი, ანტიფაშისტური მოძრაობის მონაწილე.

[2] შეიხულ ისლამოვი, — შეიხულ ისლამ-ზადე, აზერბაიჯანელი ემიგრანტი პოლიტიკოსი.

არ ჩავარდეთ. რა თქმა უნდა, ბევრია ისეთი რამ, რომელიც ცალკე უნდა უთხრა როგორც სომხებს, ისე მაჰმადიანებს, მაგრამ ლოიალობა გვმართებს ორთავეს მიმართ უდიდესი. არ განვიმეოროთ 1918 წ. შეცდომები.

იმავე წერილიდან ამოვიკითხე, რომ დაშნაკელები ჩვენს ოპოზიციას მიეკედლებოდა, ახლა სცდილობთ გამოთიშვას. ამის მაგიერ რომ ცდილობდენ ოპოზიციის ჩვენთან შეთანხმებას, უკეთესი იქნებოდა. არაფერი კეთდება ამ მხრივ, როგორც ვატყობ, და ეს ძალიან მავნეა. აქ მომესმა ხმა სტამბოლიდან. **აკაკი განაციონალისტდაო.** – მე არას დროს არ მიცვლია ფერი, მგონი, რაც ს. დ. ვარ, მუდამ ვმუშაობდი ერთა შეთანხმების ნიადაგზე, წინააღმდეგიც ვიყავი ზოგი ნაციონალისტ. ექსცესების ჩვენი სახელმწიფ. პრაქტიკიდან, მაგრამ **იმას ვერავინ დამიმტკიცებს, რომ ქართველ ერში არ შეიძლება პოლიტ. მთლიანობის განხორციელება, თუ ამას ს. დ. მოინდომებს. არ სურთ, ბატონო, ეს, აი რაშია საქმე. პირდაპირ დაუშვებელია, რომ მთელი ჩვენი მოქმედება შინა პარტიულ ჩარჩოებშია,** ხაზინის ფულიც თითქოს პარტიისთვის იხარჯებოდეს, შთაბეჭდილება ისეთია. რა თქმა უნდა, უმეტესათ პარტიის წევრებია მომქმედი და ციხეშიც, მაგრამ განა აქაც ისე არაა, მაგრამ ელფერი მაინც ეროვნული აქვს. **აიღეთ გაზეთი, განა ის პარტიული არაა, რატომ არ შეიძლებოდა სხვებსაც მიეღოთ მონაწილეობა? რატომ არ მიმართვენ მანდ, აქ, ბერლინში სხვა პარტიების მწერლებს? ეს, ასე ვთქვათ, არაა ჩვენი უწყების საქმე, მაგრამ მაინც საჭიროა აღინიშნოს, რომ თქვენ იცოდეთ, რომ მე თქვენთან ვარ, როცა იცავთ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ხაზს.** ისიც უნდა დავსძინო, რომ ორგანიზაციების და ინფორმაციის საქმეები ვერაა რიგიანათ ჩვენში დაყენებული. მართლა და ამა თუ იმ პირის ზეპირათ ნაამბობის გადმოცემა არაა დიდათ სასარგებლო, მერმე ხომ იცით, როგორი გადაჭარბება გვჩვევია. თავი და თავი ისაა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხენი გადაბმული იყვნენ ორგანიზაციულად და მათი პასუხისმგებელ პირების მოხსენებები მოგვდიოდეს. სავალალო კიდევ ისაა, რომ ჩვენი ამხანაგები აქედან მიღებულ ცნობებს არც კი აწვდიან სხვა პარტიების ხალხს, ძველებური კარჩაკეტილობა! ავიწყდებათ, რომ სახელმწიფო გვქონდა, რომ მისი სახელით და ფონდით ვმუშაობთ.

ლას!

აკ. ჩხენკელი."[1]

***

„საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში[2].

დღეს გამოგიგზავნეთ ვრცელი წერილი მასალებითურთ. მას შემდეგ გავიგე ს. წერეთლისგან, რომ საფრანგეთმა კომერციული აგენტი გაგზავნა საქართველოშიო. მაშინვე მოვახდინე სამინისტროში ძიება და აღმოჩნდა შემდეგი: გენ. პელეს მოუმართავს აქ, რომ საფრანგეთის რამდენიმე მოქალაქე, საქართველოში, თხოულობენ მათი ინტერესების დამცველის

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 24-26.

[2] შენიშვნა: წერილს თარიღი არ ახლავს, თუმცა, დასაწყისშივე ნათქვამია, რომ ის იმავე დღესაა გაგზავნილი, როდესაც წერილთან ერთად მასალები გადაეგზავნა კონსტანტინეპოლის კომისიას, ეს კი 1921 წლის 2 ნოემბერს მოხდა.

დანიშვნასო, საქმე ეხებოდა უფრო ვაჭრებს, რომელთაც საქონელი მიაქვთ ბათუმში. აქედან უპასუხნიათ: ჩვენ ვიცნობთ ერთად ერთ მთავრობას – ძველს, ამიტომ აგენტის გაგზავნა შეუძლებელიაო, თან ურჩევიათ, თვით იქ მყოფმა მოქალაქეებმა აირჩიონ თავიანთ შორის ერთი პირი დამცველადო, რასაც მხოლოდ კერძო ხასიათი ექნებაო. პელეს ვერ გაუგია, თუ არ უნებებია გაეგო ასეთი ნათელი დირექტივა, – მაინც სტამბოლიდან გაუგზავნია კომერც. აგენტი. შეგეპირდენ მივწერთ ამის შესახებ პელესა თუ სილ. წერეთელმა იცოდა, ალბათ თქვენც გეცოდინებოდათ ეს ამბავი, არ მოგიწერიათ კი. იმედი მაქვს, მიიღებთ სათანადო ზომებს და შედეგს მაცნობებთ.

ნ. რამ.-მა გადმომცა, თითქოს სტამბოლში მიემართონ ჩვენი ოპოზიციის სახელით, თუ ნაციონალ-დემოკრატების სახელით ანტანტას წარმომადგენლებისთვის დაეთქვათ, რომ არ გაეწიათ ანგარიში ჩვენი მთავრობისთვის, რომ სხვა ძალებთან დაეწყოთ საქმე და სხ. მეორეს მხრით ს. წერეთელმა გადმოგვცა, თითქოს ყარსის კონფერენციაზე ქართველების დელეგატთა შორის კ. თუმანოვი ერიაო. თქვენ ეს ამბები ჩემზე წინეთ იცოდით ალბათ. რაშია საქმე? საჭიროა დაბეჯითებით გაგება, ჰქონდა თუ არა ადგილი ხსენებულ ვიზიტს მანდ. თან რას ნიშნავს თუმანოვის მიერ ბოლშევიკურ-თურქულ კოალიციის დაცვა. მოსალოდნელია, ჩვენი ნაც. დემოკრატები ბოლშევიკების თანხმობით თურქებს ეჩურჩულებიან, რომ მომავლისთვის ყავდეთ მფარველი თავის პოლიტიკურ პოზიციის გასამაგრებლათ. ცნობილია, ბოლშევიკებს არ სურთ მათ შემდეგ დემოკრატია დარჩეს მართველობაში, რომ ამით გაიადვილონ ისევ შემობრუნება. რა თქმა უნდა, ყველა ამას არა აქვს სერიოზული მნიშვნელობა, მაგრამ დღეისთვის ასეთი ნაბიჯები მავნეა და შეასუსტებს ჩვენს მდგომარეობას ევროპაში. **მე გწერდით უკვე და ახლა მხოლოდ ვადასტურებ, რომ ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ ფხა ჩვენი ერის ყოველი წრეები ერთ ფერხულში ჩაგვება.** მე არ ვამბობ თითო-ორს ინტელიგენტზე ან თავადზე, რომელიც, შეიძლება, იცქირება თურქებისკენ, მაგრამ თვით კლასი, ვაჭრებია ის თუ ღონიერი მემამულე, ოსმალოს არ გაეკარება ტრადიციულათ. მაგრამ მე მინდა სხვა რამეზე შეგეკითხოთ, და ნ. რ.-ც ეს აინტერესებს, რატომ არ მოდის ლ. ჯაფარიძე?[1] ვიზა აქვს, ფული გამოგზავნეს კონსულის სახელზე და არ მოდის! იქნებ თქვენ თვითონ არა ხართ მომხრე მისი წამოსვლის? იქნებ არ აძლევთ მას სამგზავროს. იქნებ თვითონ არ მოაქვს? ჩვენი აზრი ასეა: უთუოთ აიძულეთ წამოვიდეს, რაც გინდ იჭვიც ჰქონდესთ მასზე რამე. ჩვენ გვყავს ნაც. დემოკრატები ევროპაში: ნიკოლაძე, ვეშაპელი, მარგველაშვილი და სხ., საერთო გამოსვლას გააკეთებენ, **უცდიან მხოლოდ ლელის.** გადაეცით ეს ჩვენი სურვილი ნ. ხ.-კს, გთხოვთ, და საჩქაროთ გამოგზავნეთ ლ. ჯ. ველი პასუხს. აკ. ჩხენკელი

საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა თურქებში, ყარსის ამბავი მანდ იციან, უნდა ეცადოთ მისი ნამდვილი მიზნები...

---

[1] ლ. ჯაფარიძე (1895-1934), — სიმბოლისტი პოეტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ემიგრაციაში წავიდა კონსტანტინეპოლში, საიდანაც დაბრუნდა უკან, გარდაიცვალა საქართველოში 1934 წელს.

მიკვირს, ვინ იწერება აქედან ჩვენი მუშაობაზე?! რამ. მოსწერა ხომ... ს[1], ეს ხომ არა გაქვთ სათქმელი? საიდუმლოება გვმართებს სასტიკი, ფრანგებს ძალიანაც უნდათ უდროოთ გამჟღავნდეს, იტყვიან, სერიოზული ხალხი არ ყოფილანო. ისედაც სახელი გატეხილი გვაქვს.

ა. ჩ.[2]

სომხებთან ცალკე გვაქვს შეხვედრა, რომ ჩავაგონოთ რამე. ვხვდებით თათრებსაც, როცა საჭიროა."

„პარიზი. 24. XI. 21

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

ამასთანავე გიგზავნით ლოუშერთან შეხვედრის ანგარიშს. ესაა დაამზადეს და ისიც საკმაოთ ცუდათ. ყოველ შემთხვევაში, მთავარი მომენტები არის. მას შემდეგ ჩვენ გვქონდა ერთი სხდომა ექსპერტებთან; ფრანგების მხრით იყვნენ წარმომადგენელნი: მთავრობის თავმჯდომარის (თავმჯდომარე), ფინანსთა მინისტრის, გზათა, სამხედრო (კორბელი) და ნაფთის, აგრეთვე ლოუშერის წარმომადგენელი (მდივანი).

მოგვთხოვეს, როგორც ლოუშერმა, ციფრები: რა გვეჭივრება, რამდენი, რა გარანტიას ვიძლევით. ჩვენ არ გვქონდა ყველა ეს დამზადებული და სხდომა გადიდო. ახლა ვმუშაობთ ამაზე და რამდენსამე დღეში დავამზადებთ, შემდეგ გვექნება ისევ შეხვედრა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვაჯანჯლებთ, უმთავრესი მიზეზი სომხებია, რომელთაც არ უნდათ, უცდიან ინგლისს და სხ. მეორე მიზეზი ისაა, რომ სომხეთს და მთას არაფერი აქვთ მანდამაინც საგარანტიო, მოითხოვენ დანარჩენ ორისაგან თითქმის მთელს მსხვერპლს არამცთუ განთავისუფლების, არამედ აღმშენებლობის მიზნითაც! როცა პოლიტსაკითხი დგას, სომხები უარყოფენ კავშირის არსებობას, როცა ეკონ. საკითხი დგას, ფედერაციასაც კი აჭარბებენ, თითქოს ერთი მთლიანი სახელმწიფო გვქონდეს! უფრო დაწვრილებით ამ ჟამათ არ შემიძლია. ჩვენი მიზანია რაცხა ფერათ ჩავითრიოთ საფრანგეთი, მოხელე ექსპერტებთან ლაპარაკი მხოლოდ დასაწყისია, თავი და თავია ფინანსთა და მრეწველობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება, რომელიც დაგვეწყება, როცა მთელი საქმე მოხსენდება მთავრობას და მიიღებს მისგან დასტურს. ბრიანი ხვალ გამოვა ამერიკიდან, უნდა დავახვედროთ რამე, მეშინია ვერ მოვასწრებთ. უმთავრესი კიდევ ისაა, რომ საფრანგეთს არ სურს უინგლისოთ ხელის მოკიდება, ეს კი დაკავშირებულია მათი უთანხმოების გაქრობასთან ახლო-აღმოსავლეთის საკითხში. ვნახოთ. მე უკვე გაცნობეთ დეპეშით, რომ გენ. მდივანი დარჩეს მანდ ახალ განკარგულებამდე. დავიბარეთ იტალიიდან გენ. ერისთავი[3], ენა ჩინებულათ იცის, თან

[1] იგულისხმება ნოე ხომერიკი.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 27.

[3] გენ. ერისთავი, — ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ერისთავი (5 ივლისი, 1873, თბილისი, — 10 თებერვალი 1955, პარიზი) — ქართველი სამხედრო-მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1917). ქსნის ერისთავთა შთამომავალი. 1892 წ. დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და სამხედრო სამსახურში შეევიდა. 1895 წ. პოდპორუჩიკის ჩინით დაამთავრა მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი და გაამწესეს ლაიბ-გვარდიის ცხენოსან არტილერიაში. დაამთავრა მიხეილის საარტილერიო აკადემია (1903) და ოფიცერთა საარტილერიო სკოლა

იცნობენ აქ. ჩვენ არ ვიცით, როგორ ხასიათს მიიღებს მოლაპარაკება, კონიუნქტურა და ფრანგები ცვალებადია, ამიტომ ხარჯებს უნდა ვერიდოთ. გადაეცით ეს მდივანს.

თქვენ მწერდით ამას წინათ ზოგიერთ ჩემ მიერ მოწდვილ ფაქტებზე. უარყოფდით მათ და თითქოს კილოც არაჩვეულებრივი გქონდათ. რაშია საქმე? უნდა სთქვათ პირდაპირ. რაც შეეხება ფაქტებს: 1) საფრანგეთის კომერციული აგენტის შესახებ სამინისტროდან გავიგეთ საიდუმლოთ: პელეს გაუგზავნია და ჩვენ საყვედური მივწერეთო. 2) სამწუხაროთ, ინგლისიც გზავნის კომ. აგენტს, პრინციპიალურათ გადაწყვეტილია, და, შეიძლება, მაკდონალდი გაგზავნონ, ბაქოს ყოფ. კონსული, არ აქებენ მას. რაც შეეხება კ. თუმანოვს, წერეთელს გაუგია „ჩემოსაგან" თფილისიდან, ესეა, სწორი უნდა იყოს.

ძლიერ საჭიროდ მიმაჩნია გვქონდეს სწორი და პერიოდული ინფორმაცია რამდენი გემი მიდის და მოდის საქართველოდან, რა მიაქვთ და მოაქვთ. გთხოვთ მიანდოთ საკონსულოს და პერიოდულად მიგზავნოთ. როგორც ეტყობა სტამბოლში ახლა ბევრი ხალხია, თვით ამერიკიდანაც, რომელნიც ელაპარაკებიან ბოლშევიკებს ნავთზე, შავ ქვაზე. საჭიროა და-

(1907). მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში (1904-05); პოლკოვნიკი (1908). პირველი მსოფლიო ომის დროს თავი გამოიჩინა კაუშენის ბრძოლაში (1914 წ. 6 აგვ.) და მიიღო გენერალ-მაიორის წოდება; მეთაურობდა კავალერგარდის პოლკს, გვარდიის კავალერიის ბრიგადას, დივიზიას. 1917 წ. აგვისტოში დაინიშნა კავკასიის მე-3 არმიული კორპუსის მეთაურად და მიიღო გენერალ-ლეიტენანტის ჩინი. 1917 წ. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ქართული არმიის რიგებში ჩადგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით იმყოფებოდა ანკარაში, საიდანაც, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, საფრანგეთში გადასახლდა. აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის საიმპერატორო არმიის ყოფილი ოფიცრების ემიგრანტულ ორგანიზაციებში. 1921 წლის 8 თებერვალს დაესწრო აუდიენციას ოსმალეთის მომავალ პრეზიდენტთან, გენერალ მუსტაფა ქემალ ფაშასთან. ცნობილია, რომ ქემალ ფაშა საგანგებოდ მიესალმა ალექსანდრე ერისთავს და მისი სახელით ქართულ არმიას, ხოლო გენერალმა ამისთვის მადლობა გადაუხადა. საქართველოს დელეგაცია 1921 წლის თებერვლის ბოლოს ჯერ კიდევ ანკარაში იმყოფებოდა და სამშობლოში აღარც დაბრუნებულა. ალექსანდრე ერისთავი საფრანგეთში დასახლდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის საიმპერატორო არმიის ყოფილი ოფიცრების ემიგრანტულ ორგანიზაციებში. იყო რა „რუსი სამხედრო ინვალიდების კავშირის" საფრანგეთის განყოფილების უფროსი და თავმჯდომარე, ჩაატარა კოლოსალური სამუშაო, რათა შეეგროვებინა სახსრები ლტოლვილებისა და მოხუცებულების თავშესაფრების შენახვისათვის; მუშაობდა ინსპექტორად სადაზღვევო კომპანიაში „ა შღქუანაისე"; 1930–იან წლებში კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სამხედრო–სამეცნიერო კურსებზე, არტილერისტ ოფიცერთა საზოგადოებაში; 1938 წელს აირჩიეს არტილერისტ ოფიცერთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ; სათავეში ედგა მიხეილის საარტილერიო აკადემიის კურსდამთავრებულთა გაერთიანების გამგეობას, იყო „კავალერგარდთა ოჯახის" თავმჯდომარე და რიგი სხვა ორგანიზაციების მზრუნველი. პარალელურად, იგი ხელმძღვანელობდა „იმპერატორ ნიკოლოზ მეორის წმინდა ხსოვნის პატივისმცემელთა კავშირს". ალექსანდრე ერისთავი უძღვებოდა ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის" პერიოდული გამოცემის, გაზეთ „თეთრი გიორგის" სამხედრო დამატებას, სადაც გამოქვეყნებული აქვს სამხედრო თვალსაზრისით მეტად საინტერესო და სპეციფიკური ხასიათის მასალები. გენერალ ერისთავს ცოლად ჰყავდა დონელ კაზაკთა ატამანის, ინფანტერიის გენერლის, იაკობ დიმიტრის ძე მალამას ასული – ვერა მალამა, რომელთანაც შვილები არ შესძენია. გარდაიცვალა 1955 წლის 10 თებერვალს, პარიზში. განისვენებს სენტ-ჟენევიევ-დე-ბუას სასაფლაოზე, ძმასთან, გენერალ-მაიორ გიგუშა ერისთავთან ერთად.

ტრიალდეთ მათ შორის. საჭიროა არა მარტო ცოდნა, რა კეთდება, არამედ ისაც, როგორ გადმოვიბიროთ ეს ხალხი. ამ მხრივ, თქვენ ბევრის გაკეთება შეგიძლიათ, იმედია, როგორც ჩვეულებრივ.

ზურაბი[1] წავიდა დღეს დილით ამერიკაში. ჩვენ ვნახეთ აქ ფრანკ ვანდერლიპი[2], აღგვითქვა დახმარება.

აკ. ჩხენკელი

გთხოვთ აღნიშნოთ ყოველთვის ჩემი წერილების მიღება: იჭვი მეპარება იქნებ ზოგი არ მიგიღიათ. ა. ჩ."[3]

„პარიზი. 5. XII. 21

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

ამის გადმომცემი ჰაროლდ ბარტონ ამერიკის შეერთ. შტ. ვაჭრობის მინისტრის, ე. ი. ჰუვერის, დელეგატია. ის ყოფილა ჩვენში, ქართველი ქალი მაყაშვილი შეურთავს, რომელიც თან მიჰყავს. ბ. ბარტონს მინდობილი აქვს შეისწავლოს ამიერ-კავკასიის, განსაკუთრებით ბაქოს სამრეწველო პირობები და თუ მოსახერხებელია, გზა გაუკაფოს ამერიკის მსხვილ კაპიტალს იქ. მას ექნება, რა თქმა უნდა, მოლაპარაკება დღევანდელი ბატონების წარმომადგენლებთან სტამბოლში, მოსალოდნელია თვითონაც წამოვიდეს ჩვენში. ის ამბობს, ამერიკა არ არის პოლიტიკურათ დაინტერესებული კავკასიის რესპუბლიკებით, მას არ შეუცვლია თავისი უარყოფითი პოზიცია მათ მიმართ და ეძებს მხოლოდ ეკონომიურ მუშაობის შესაძლებლობას, რაისათვის უნდა შეუთანხმდეს დღევანდელ ბატონებს. თავის თავათ ცხადია, ასეთი ვითომდა ყურადღება პოლიტ. სფეროში ფაქტიურათ ნამდვილ პოლიტიკას წარმოადგენს, ჩვენთვის დამღუპველს.

ეს პირველათაა, ამერიკა რომ გზავნის თავის კაცს კონკრეტული მიზნით, ეტყობა, მას გადაუწყვეტია დროზე მიუსწროს რუსეთს, რომელიც უკეთეს საჯარო ვაჭრობას მოელის, და საცაა კიდეც გაანაწილებენ მას... მთავარი ხომ იგივე ნავთია, რომლის შესახებ სასტიკი ბრძოლა წარმოებს მსოფლიო ასპარეზზე. ჩვენთვის დიდ უბედურებას წარმოადგენს ამერიკის გულგრილობა, თითქოს მტრობა ლიმიტროფების მიმართ: ამას უწევენ დიდ ანგარიშს ინგლისი და საფრანგეთი, მაგრამ ეს უბედურება შეიძლება ბედნიერებად ვაქციოთ, თუ მის, ამერიკის, დაინტერესებით მოხერხებულათ ვისარგებლებთ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ექნება ბარტონის მოხსენებებს თავის შეფისადმი. ჩვენ აქ გვქონდა მასთან შეხვედრა, ბევრი ვიბაასეთ, მაგრამ ის თავისას არ იშლის: ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, გავაჩაღებთ მრეწველობას და ეს ხომ სასარგებლოა ყოველ რეჟიმშიო. ჩვენ ვუმტკიცებდით მას, რამდენად ძნელია და უიმედო ბოლშევიკებისადმი დანდობა და მუშაობა მათი მფარველობის ქვეშ, რამდენად უსამართლოა კავკასიის ხალხთა აბუჩათ აგდება, რამდენათ სახიფათოა

[1] ზურაბი — ზურაბ ავალიშვილი.

[2] ფრანკ ვანდერლიპი, — სერ ფრენკ არტურ ვანდერლიპი (1864-1937) ამერიკელი ბანკირი, ფინანსისტი, მეწარმე, იყო ხაზინის მდივნის თანაშემწე, 1909-1919 წლებში აშშ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ფედერალური სარეზერვო სისტემის დამაარსებელი.

[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 28.

ამ ხალხთა გაღიზიანება, რომელნიც ბოლოს და ბოლოს თუ გამწარდენ, არავის დაანებებენო თავის ზურგზე ნავარდს და მოუსპობენ როგორც ბოლშევიკებს, ისე მათ კონტრ აგენტებს საშუალებას გაიტანონ კავკასიიდან რამე... მეორეს მხრით, ჩვენ არ ვთხოვთ ამერიკას – ვეუბნებით ჩვენ – სამხედრო დახმარებას, არც ნივთიერ მოწყალებას, მოვითხოვთ მხოლოდ მისგან პირი მოიბრუნოს ჩვენსკენ და მოგვეპყრას ისე, როგორც თავისუფლების მოყვარე ხალხს, რის შემდეგ, ეჭვს გარეშე, მთელი ევროპა უფრო გაბედულათ გამოესარჩლება ჩვენს ქვეყანას და ამ შემთხვევაში არც კი იქნება საჭირო ძალადობა ბოლშევიკების მიმართ, ისინი თვითონვე აიკრეფენ ფეხს, – ისე გაჭირვებული არიან ისინი დღეს...

ეს ჩვენი ნალაპარაკები იმიტომ მომყავს აქ, რომ საჭიროა თქვენც ამგვარივე აზრით ელაპარაკოთ მას. თქვენ შეგიძლიათ დიდი სარგებლობა მოუტანოთ საქმეს, თუ დაიჭერთ მასთან მჭიდრო კავშირს და ღრმად შეაგნებინებთ ჩვენს პრობლემას. მე ველი თქვენგან პასუხს ამ საგანზე. მე გწერდით ამას წინათ, სტამბოლში ბევრია მოგზავნილი ხალხი მეთქი, რომელიც ცდილობს შეუთანხმდეს დღევანდელ ბატონებს. საჭიროა დიდი სიფხიზლე. კარპე მოდებაძე პარიზში უნდა იყოს, – რანაირად მოხდა ეს, რატომ თქვენგან არაფერი ვიცი? აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 7. XII. 21

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

თქვენი უკანასკნელი წერილიდან ვტყობილობ, თითქოს თქვენ არ მიგიღიათ ჩემი წერილი ლაუშერთან შეხვედრის ანგარიშთან ერთად. შემდეგში გთხოვთ დამიდასტუროთ ყოველთვის. ორხელ განიმეორეთ, ამის გარდა, რომ იქნებ წერილებს უნდა ვაჩვენებდე სხვებს, თითქოს მე ამას არ ვშვრებოდე! თქვენს წერილებს ვაკითხებ თავმჯდომარეს, გარეშ. საქ. მინისტრს, მის ამხანაგს და, როცა საჭიროა, სხვა წევრებსაც მთავრობისა. უკანასკნელათ თქვენ თითქოს არ იტოვებთ დედნებს თქვენი წერილებისა: ეს უხერხულია საქმისათვის, გთხოვთ აწი მაინც იქონიოთ ეს სახეში.

ლაუშერთან შეხვედრის შემდეგ ჩვენ ორჯერ გვქონდა შეხვედრა იმ მოხელეებთან, ვისაც ჩვენი საქმეებზე მოხსენების შედგენა მიენდო. ამასთანავე გიგზავნით ამ ქაღალდების ასლებს, რომელიც გადავეცით. სრულიად საიდუმლოთ უნდა შეინახოთ ისინი. რაც შეეხება ექსპერტებს, ჯერ, შეიძლება ითქვას, მათ მუშაობა არ დაუწყიათ, ფრანგების მხრით განზრახულია, ჯერ საქმე ბრიანსა და ლაუშერს უნდა მოხსენდეს ცალ-ცალკე (ორივეს კაბინეტის შეფების ამხანაგები იყვნენ დანიშნული ჩვენთან მოსალაპარაკებლათ). შემდეგ ეს ორი მინისტრი ითათბირებენ და ბოლოს ისინივე საქმეს მინისტრთა საბჭოს მოახსენებენ. და, თუ მთავრობამ მოიწონა გეგმა საერთოთ, აი მაშინ დაიწყებენ ორივე მხარის ექსპერტები ნამდვილ დეტალურ გეგმის გამომუშავებას. და იმავე დროს ეტყვიან ფინანსთა და მრეწველობის ჯგუფებს დაიწყონ ჩვენთან მოლაპარაკება და ხელშეკრულებათა დადება.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 29.

როგორც ხედავთ პროცედურა ჯერ კიდევ დიდია წინ. მე არა გწერთ ამაზე დაწვრილებით ერთი მიტომ, რომ ვერ ვასწრებ (მთელი ლაპარაკი და შეხვედრები კავშირის სახელით, როცა საერთო სხდომა არაა, მე მიხდება, გარდა სხვა სამუშაოსი), და მეორეც იმიტომ, რომ ასეა საჭირო, გადავაჭარბეთ ჩვენი საქმიანობის მნიშვნელობა, ვინ იცის, ჯერ კიდევ როგორ დატრიალდება საქმე. ჩემის ცნობით, მოხსენება გაუკეთდებათ ამ დღეებში, თუ არაა უკვე გაკეთებული. ბრიანსა და ლაუშერს, შეგვპირდენ გავაკეთებთო. ჯერ კიდევ არ ვიცი, იქნებ საქმეს იმიტომ აჩქარებენ, რომ კერზონთან მოლაპარაკების დროს ახლო აღმოსავლეთზე, რომელიც განზრახულია ჩქარა, ჩვენზედაც უნდათ ჩამოაგდონ ლაპარაკი. ისინი ხომ გვეუბნებიან დაბეჯითებით, რომ ინგლისის უმისოთ ვერ შესძლებენ ჩვენი საქმის აღებას. ყოველ შემთხვევაში, მე, რაც შემეძლო, მოვამზადე მომხსენებლები. ვიღებ სხვა ზომებსაც, რომ ბრიანმა დასვას პრაქტიკულათ ჩვენი საკითხი მომავალ შეხვედრის დროს ინგლისელებთან. აქ კიდევ რუსეთის საკითხი მოწოლილია, უეჭველათ განზრახულია ერთი ვეება საერთაშორისო კონსორციუმის დაარსება ავათმყოფ რუსეთის მოსავლელათ. იმავე დროს თითქოს უეჭველია, რომ მიზანში ბაქოა ამოღებული, რომ უზრუნველყონ რუსეთისადმი ნივთიერი დახმარება, ვინაიდან სხვა არაფერი მოეპოვება რუსეთს, რომელიც მისცემს მას ჩქარა შემოსავალს. სხვა პოლიტიკურ აუტანელ პირობებზედაც რომ არ ვილაპარაკოთ რუსეთში. არის მოსალოდნელი, რომ რუსეთს ბაქო ჩამოართვან გირაოდ, რა თქმა უნდა; საჭირო ნავთის მისთვის უზრუნველყოფით. და ამ შემთხვევაში ამიერკავკასიის საკითხი სულ სხვა ელფერს ღებულობს. მე გამოგიგზავნეთ ამერიკ. ვაჭრობის მინისტრის ჰუვერის დელეგატის ბ. ბარტონის სახელით წერილი, საიდანაც გაიგებთ, რომ ამერიკაც არაა წინააღმდეგი მიიღოს რუსეთის კომბინაციაში მონაწილეობა. კავკასია უნდა გამოვყოთ!

გენ. მდივანი თავის დროზე ვერ წამოვიდა, სამწუხაროთ, ეხლა კი საშუალება არა გვაქვს ორი გენერალი ვიყოლიოთ აქ. ერისთავი კარგათ მუშაობს, იცნობენ აქ (რაინდია საპატიო ლეგიონისა), ფრანგულიც კარგათ იცის. ოდიშელიძის მოწვევაზე თავმჯდომარემ უარი სთქვა, არა გვაქვს საშუალება ხარჯის გადიდების. ზაქარიაძემ უნდა შესძლოს საქმის მოვლა მარტო, უკიდურეს შემთხვევაში დაიხმაროს ვინმე ახალგაზრდა აფიცერი ხარჯების გაუდიდებლათ. საზოგადოთ უნდა ვერიდოთ კანცელარიების შექმნას. ძლიერ კარგია, რომ მიგიღწევიათ პელესთან ორგანიზ. კავშირს. ველით ცნობებს ამ მუშაობის შესახებ. გიგზავნით ამასთანავე დამტკიცებულ ხარჯთ–აღრიცხვას სტამბოლის წარმომადგენლობისათვის, რომელიც 1. I. 22-დან შედის ძალაში. შეამჩნევთ, რომ შემოკლებულია ხარჯები, უნდა ინუგეშოთ იმით, რომ სხვაგან უფრო რადიკალურათ შეამცირეს! უეჭველია, უარესი მოგველის, თუ რამე არ გვეშველა.

მე მივწერე ნ. ხომერიკს სომხებთან და უკრაინელებთან მოლაპარაკების შესახებ, აქ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა. სრულად უალაგოდ და უდროოდ მიგვაჩნია ჩვენ, თავმჯდომარის აზრიც ესაა, ეხლა საზღვრებზე ლაპარაკი

სომხებთან. ჩვენ იმიტომ შევიტანეთ კავშირის დეკლარაციაში „საავალდებულო არბიტრაჟი", რომ არ გვინდოდა აქ ამაზე ლაპარაკი. ჩვენ მოგვცენ აქ წინადადება, მაგრამ წავიყრუეთ; სტამბოლშიც იმდენი დაგითმიათ, რომ დაუჯერებელია. ტყუილია, გონიათ ჩვენებს, რომ არბიტრაჟი ჩვენ გვავნებს. ერთად ერთი სერიოზული სახელმწიფო კავკასიაში საქართველოა, ნუ თუ გგონიათ, რომ მას დასჩაგრავენ? ახლა კითხეთ ფრანგებს, ვინც ალავერდში მუშაობს, ვისთან უნდათ! მე მივწერე ხომერიკს ჩემი აზრი, ახლა კი გწერთ თავმჯდომარის და ჩემს აზრს ფორმალურათ, რომ საჭიროა შეუმჩნევლათ მოსპოთ ამაზე ლაპარაკი. სომხებთან ჩვენ გვინდა მუშაობა, ჩემი აზრი იცით, მაგრამ მე ვამბობ დროზე და ადგილზე, დღეს ამას სარგებლობის მოტანა არ შეუძლია, ხოლო ვნებას კი მოგვიტანს უეჭველათ. რატომ არ უნევთ ანგარიშს საზოგადო აზრს, დაგვამადლებენ ქართველები? მთელი უბედურება იმაშია, რომ სომხები ორი დებულებით ხელმძღვანელობენ: 1) კავკასია რუსეთს უპყრია, 2) ბოლშევიზმს დიდი ხანი არ უწერია... რაც შეეხება უკრაინელებს, მე გამაკვირვა თქვენმა ხელმა პროექტზე, არც კი შემეკითხეთ წინდანინ. მაზედაც მქონდა ლაპარაკი თავმჯდომარესთან. აქ ისე იყო საქმე წარმოდგენილი, რომ, თუ ვინცობაა დაგვჭირდა ხელის მოწერა, არაოფიციალურმა პირებმა უნდა მოაწერონ. ასე რომ თქვენ უკან უნდა წაიღოთ თქვენი მოწერა. თქვენ კარგათ იცით, უკრაინელები არ არიან დაინტერესებული დამალონ ეს. აქედან ბოლშევიკები გამართავენ კამპანიას და ეს ხალხს ავნებს. ამასაც თავმჯდომარის მინდობილობით გწერთ. საზოგადოთ ყოველ ასეთ ნაბიჯის გადადგმის წინ გთხოვთ შემეკითხოთ. პასუხს მე მთხოვენ და ვალდებულიცა ვარ დავფარო ანუ დავიცვა თქვენი ნაბიჯები. კარპე მოდებაძის აქ ჩამოსვლაზე გწერდით, არ მართლდება, მგონი, მომწერეთ. – ძალიან ვჩქარობ. აკ. ჩხენკელი."[1]

„ლონდონი 20. XII. 21

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

ამასთანავე გიგზავნით ასლებს, რომელიც საიდუმლოთ შეინახება. შევეცდები მოკლეთ გაგაცნოთ მდგომარეობა, დრო ცოტა მაქვს. ინგლისი, დაიმედებული ირლანდიის საკითხის თავიდან მოშორებით, იწყებს აქტიურ საქმიანობას საერთაშორისო სარბიელზე. მისი პრემიერი ბჭობს ამჟამად ბრიანთან, კითხვები: რეპარასიონ, ახლო აღმოსავლეთი, რუსეთი, – და ყველაზე წინ – გამორკვევა – არსებობს თუ არა ანტანტა.

რუსეთის მიმართ. ლ. ჯორჯი ცდილობს გამონახოს საერთო ენა ბოლშევიკებთან, მაგრამ ლ. კერზონი და ვაჭრობა-მრეწველობის წრეები წინააღმდეგია ამისი. ამათ საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ შეთანხმება დიდი სახელმწიფოების, ამერიკა-გერმანიის ჩათრევით, შედგენა საერთო პირობების ბოლშევიკებისთვის, რომელიც უკანასკნელთა სრულს კაპიტულაციას მოასწავებს. შეიძლება რამე კომპრომისი გამოინახოს, შეიძლება ლ. ჯორჯმა გაიმარჯვოს – იცნონ ბოლშევიკები, – მაგრამ ამით ფონს ვერ გავა, პირობები მაინც უნდა წარუდგინონ მოსკოვს.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 30-31.

ოსმალეთის მიმართ. ინგლისი თვლის ფრანკო-ქემალისტების შეთანხმებას კაპიტულაციად ანგორის წინაშე, მე ამას არ ვიზამო, საშუალება? რუსეთიო! ჩემი კოზირი რუსეთია, ხოლო საფრანგეთის – ოსმალეთიო. ორივეს სურს თანხმობა მოსკოვსა და ანგორას შორის, მაგრამ ერთს მოსკოვის გამოყენებით, მეორეს – ანგორასი. ლ. ჯორჯის მოსკოვთან შეთანხმების ერთ-ერთი მოტივი ესაა. მაგრამ ლ. კერზონს სურს შეუთანხმდეს საფრანგეთს ოსმალეთის შესახებ და მეტი შანსებია ეს გაიმარჯვებს. ლ. ჯორჯის მეთოდი ნიშნავს ომს მოსკოვისა ანგორასთან, ამიტომ წითელი ჯარი კავკასიაში მისთვის საჭიროა. როცა ისარგებლებს რუსეთი (საბერძნეთი ვერ გამოდგა), ის შეეცდება რუსეთის დაბმას, რაც ისე ადვილი არ იქნება.

უბედურება ისაა, რომ საფრანგეთი მიჯაჭვულია რეინზე, გერმანია გაკოტრების გზას ადგია, ამიტომ რეპარასიონი ჩრდილავს ყველა დანარჩენს. თუ გამონახეს რამე ზომა ვერსალის ზავის შესასწორებლათ, ლ. ჯორჯს მთელი პროგრამა უნდა ჰქონდეს, მაშინ შეუდგებიან სხვა საკითხებს, პირველ რიგზე ახლო აღმოსავლეთის.

ჩემი მუშაობა მდგომარეობს: გარიყოს კავკასიის საკითხი რუსეთის საკითხისგან, აიძულონ რუსეთი და ოსმალეთი დღესვე გაიყვანონ ჯარები საქართველოდან, აიღონ შემარიგებელი ხაზი ოსმალეთის მიმართ და მოგვცენ საშუალება თავს ვუშველოთ, ვინაიდან რუსეთის აღდგენას ყველა ურთულეს და უძნელეს საქმედ თვლიან. საჭიროა კავკასიის ეხლავე აღდგენა. ვინახულე ბევრი მნიშვნელოვანი პირები ყოველ წრიდან, თანაგრძნობა გვაქვს უეჭველათ!

ჩვენდა მოულოდნელათ მეგობრებმა შეკითხვა შეიტანეს თემთა პალატაში... არ ვიცი მართლა აქვს წითლებს დაკავებული საქართველო თუ არა! სტენოგრამა მოგივაო. პარიზიდან მოგწერთ, როგორც კი მოვიცლი, 23 -ს მოვდივარ. ინგლისი არ დასტოვებს კავკასიას...

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 25. XII. 21

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

როგორც ლონდონიდან გწერდით, თქვენ იქიდან მიიღებთ სტენოგრამას, სადაც მოთავსებულია როგორც ჩვენი, ისე სომხების შეკითხვა. აქ გიგზავნით თარგმანს პირველისას, რომ გააცნოთ სხვებსაც. არაა, ვფიქრობ, საჭირო მისი გაზეთში მოთავსება, თუმცა მას ვხსნით უფრო ჩვენდა სასარგებლოთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოფიც. განცხადებას, რომ ჩვენ გვიცნეს და გვთვლიან დამოუკიდებლად, თუმცა მთავრობას „ყოფილს" და მე „კერძო პირს" მეძახიან. ოკუპაცია, რა თქმა უნდა, ჩინებულათ იციან, მაგრამ არ უნდათ ამის ოფიც. რეგისტრაცია ჯერ-ჯერობით; როცა დრო მოვა, ამას აღიარებენ და შესაფერ ზომასაც მიიღებენ ალბათ. ჯერ თითქოს უჯერებენ მოსკოვს, რომ საქართველო დამოუკიდებელია (მას შეეკითხენ კიდეც, როცა მის გაუქმებაზე ხმა გავარდა და კატეგორგიული პასუხი (?) მიიღეს) და თავის დროზე მოთხოვენ მას სიტყვა საქმედ აქცი-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 32.

ოს, ე. ი. ჯარები გაიყვანოს. ასე რომ, თუმცა ჩვენდა უნებურათ, შეკითხვა შეტანილ იქნა, ის უფრო სასარგებლოა ჩვენთვის, ვინემ მავნე. საჭიროა განუმარტოთ სხვებს, რომ შემცდარი დასკვნა არ გააკეთონ. სტენოგრამა წააკითხეთ ინგლისის ჰო–კომისარს, მომწერეთ მისი აზრი, ნუთუ მანაც არ იცის ოკუპაცია?! მე გავუგზავნე მემუარი ამის შესახებ, ახლა მოგივათ.

საერთოთ თითქოს დაბეჯითებით ითქმის, რომ ლონდონს არ სურს ელაპარაკოს მოსკოვს კავკასიის შესახებ. მე მქონდა რამდენიმე გავლენიან ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლებთან ლაპარაკი და დასკვნა ასეთი გამოვიტანე. როგორც ეტყობა, ინგლისს უნდა სურდეს კავკასია „ნებით" ჩამოართვას რუსეთს, როგორც ერთგვარი გარანტია, რომ გაანაღდოს თავისი ზარალი თუ მომავალი დახმარება რუსეთისადმი. ამასთანავე გიგზავნით ერთს დამახასიათებელ ანგარიშს ჩემი ბაასისა ურკორტთან[1], ეს ისაა, რომელმაც გაილაშქრა კრასინის სახელზე წერილით მოსკოვის წინააღმდეგ, და რომელიც სათავეშია ინგლისის ყველა მრეწველებისა რუსეთში (წინეთ). ფრიად საყურადღებოა მისი მსჯელობა რუსეთზე, ის საფუძვლიანათ ანგრევს ზოგიერთ ჩვენგანის ფანტაზიას, თითქოს რუსეთის ფეხზე დადგომა ასე ადვილი იყოს. დოკუმენტი არ უნდა გახმაურდეს, გვავნებს. მე ჩქარა დავბრუნდები ლონდონში და განვაგრძობ ამ ნიადაგზე მუშაობას.

თქვენ ალბათ მიიღეთ აქედან წერილი და ასლები. ფრანგმა დროებით შეაჩერა ლაპარაკი ჩვენთან: ეშინია აწყენინოს ინგლისს, გაამხილა სომეხმა. თუ მოხდა შეთანხმება ახლო აღმოსავლეთის შეასახებ, ისევ განვაახლებთ ლაპარაკს, თუმცა ინგლისის უმისოთ არაფერი გაკეთდება. დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ბრიანი ალბათ დაეცემა და ამ შემთხვევაში ვინ იცის როგორ მოგვეპყრობა ახალი პრემიერი. ჩქარა მოხდება კონფერენციები, ვეცდებით და ვნახოთ. რაც უნდა იცნონ რუსეთი, კავკასიის პერსპექტივები თითქოს უფრო იმედიანია დღეს.

თქვენი წერილები 8 და 13. XII თარიღით მივიღე. აქაური პოლიტ. კომისია ვერ მუშაობს სისტემატიურათ. მე თავის დროზე იმ აზრის ვიყავი, რომ მისი როლი მთავრობას უნდა ეკისრნა აქ, ახლა ეთანხმებიან ამ აზრს, დანიშვნენ საქმის მმართველს და მას ექნება სისტემატიური მიწერ-მოწერა. – სამხედრო საქმეებზე აბა რა უნდა მოგწეროთ? აქედან გამოგზავნილ ასლებში უნდა ყოფილიყო ამის შესახებ, ვკითხოთ ერისთავს. გვეყოლება უთუოთ მარტო ჯარი, გეგმა უნდა შესდგეს უთუოთ, ფრანგი უნდა დაიხმაროთ, უთხარით პელეს მცოდნე აფიცერი მოგცენ. გილოცავთ ახალ წელს!

აკ. ჩხენკელი."[2]

„პარიზი. 8. I. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

წერილი №40 მივიღე. გუშინ გამოგეგზავნათ ასლები იმ ნოტებისა, რომელიც გადაეცა უმაღლეს საბჭოს ბაქოს და კავკასიის სახელით. კანში

[1] ურკორტი, — ლორდი უორკორტი, ინგლისელი ფინანსისტი და მრეწველი, ნეპის პერიოდში რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების ინიციატორი.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 33.

ევგენი[1] არის. ჯერ იყო რომში და ნახა ბინოში[2] და დელა ტორეტა[3]. აღუთქვეს დახმარება საქართველოს გამოყოფაში. იქედან როგორც გვამცნეს, დოსიე წაიღო ბრიანმა კავკასიის შესახებ. იცით, როგორ გადაწყდა საქმე კანში. იწვევენ კონფერენციას მარტის თვეს იტალიაში, რუსეთსაც დაუშვებენ, მხოლოდ არ ვიცით, წინასწარ მოთხოვენ თუ არა რეზოლუციაში აღნიშნულ პირობების მიღებას. მოსკოვი ალბათ მიიღებს და დაესწრება. დიდი აბსურდი კი გამოვა: მას აძლევენ ნებას როგორც უნდა ისე იხტუნოს, ხოლო უცხოელების მუშაობა რუსეთში კერძო საკუთრების ფორმებში უნდა წარმოებდეს. ლ. ჯორჯს, როგორც სწერენ, საარჩევნო კამპანიისთვის ეჭირვებოდა უფრო რეზოლუცია, რომ მუშების გული მოიგოს. ჩვენი ცდა იმაშია, დაგვიშვან კონფერენციაზე, საქართველო მაინც, რომელიც იურიდ. ცნობილია. მაგრამ ლ. ჯორჯისაგან იმასაც უნდა ველოდეთ, რომ მოსკოვს მისცემენ ნებას „დამოუკიდებელ" რესპუბლიკების დელეგატები გამოგზავნოს! კითხვა გამოირკვევა, როცა დაბრუნდებიან პარიზში და ლონდონში. ახლო–აღმოსავლეთის შესახებაც იქნება თათბირი სამი მინისტრისა, ნოტა გაუგზავნე ევგენის ყოველ შემთხვევისთვის, იქნებ კანში მოხვდეს იგი. ასლი მოგივათ. საყურადღებოა ჩვენთვის შეთანხმდებიან თუ არა რეპარატივნ-ის, ახლო-აღმოსავლეთის შესახებ. იმედია. ახლა იმაზეც ლაპარაკობენ, რომ კავშირი შეკრან საფრანგეთმა და ინგლისმა. ირლანდიის პარლამენტმაც დაადასტურა ლონდონის შეთანხმება. ყველა ეს მოასწავებს იმას, რომ მეტი მოცალება და საშუალება ექნებათ ახლა მიუდგენ რუსეთს და მის ყოფილ ნაწილებს. ერთი სიტყვით, ჩქარა გამოირკვევა საერთო როლები. – ვნახე აქ რატენაუ,[4] რომელსაც აბრალებენ შტინერთან[5] ერთად რუსეთის მთლიანათ აღებას საექსპლოატაციოთ. მართალიც არის. მე ვუმტკიცებდი მეორე მეთოდის სიმარტივეს, ე. ი. რაიონებად დაყოფას, კავკასიის ადვილად აღდგენას შედარებით. შთაბეჭდილება მოვახდინე, მგონი, მთელი საათი ვუქაქანებდი, მასალაც მივეცი. გერმანია, სათქმელად, უძლურია, მაგრამ მის აზრს ანგარიშს გაუწევენ, როცა კითხვა რუსეთის ეკონომ. აღდგენაზე მიდგება.

ზურაბისაგან მომდის მოხსენებები ვაშინგტონიდან, აი საერთოთ რას იწერება: საგარეო სამინისტროში ვილაპარაკეთ, მემუარიც გადავეცით: იქ

---

[1] ევგენი —ევგენი გეგეჭკორი, საქ, დემ. რესპუბლიკის ყოფილი საგ. საქ. მინისტრი.

[2] ბინოში, — იტალიელი დიპლომატი.

[3] დელა ტორეტა, — იტალიელი დიპლომატი.

[4] რატენაუ, — ვალტერ რატენაუ (1867-1922), მეწარმე ემილ რატენაუს შვილი, ელექტროწარმოების პიონერი გერმანიაში, ფირმა —AEG-ის დამფუძნებელი. I მსოფლიო ომის მონინააღმდეგე. გეგმიური ეკონომიკის შემქნელი. ვაიმარის რესპუბლიკის დროს იყო გერმანიის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ჯერ იყო რეკონსტრუქციის, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი. მეგობრობდა აინშტაინთან. მოელაპარაკა დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრს ლოიდ ჯორჯს. რის შედეგად გერმანიას უნდა მოხსნოდა რეპარაციის გადახდის ვალდებულება. მის დროს მოეწერა ხელი რაპალოს ხელშეკრულებას. ცდილობდა საბჭოთა კავშირთან დაახლოებას, რის გამოც მოკლეს ულტრამემარჯვენე გერმანული დაჯგუფების წევრებმა 1922 წლის 24 ივნისს.

[5] შტინერი, — ვალტერ რატენაუს დროს გერმანელი დიპლომატი, სამრეწველო-ეკონომიკურ სფეროში საბჭოთა რუსეთთან დაახლოების მომხრე.

ისე უარყოფითათ არ ეპყრობიან განაპირა ქვეყნების ცნობას, როგორც გვეგონაო, ბალტიელებს ჩქარა იცნობენო; თუ ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდებთ, ჩვენც გიცნობთო, ჰუვერი ვნახე საქართველოს დახმარების შესახებო 20 მილიონიდან, ჩვენ გავგზავნეთ თქვენში... თუ გვაცნობა გაჭივრებული ხართ, დაგეხმარებითო (უნდა ეცადოთ მის ნახვას); რუსეთს ჩვენ ვეხმარებით არა იმიტომ, რომ ბოლშევიკები გავამაგროთო, ამიტომ არ ვეწევით მოსკოვის და პეტროგრადის რაიონებს, თუმცა იქ ალაგ-ალაგ შიმშილიაო; ჰუვერმა არაფერი იცის ბარტონზეო, ხოლო მისმა თანაშემწემ ედვარდ დ. ურარ-მა თქვა, ბარტონი მე გავგზავნე საინფორმაციოთო (ყურადღებაა საჭირო); დეპუტატები ბევრი გამაცნო ჩენდლერმა, პრესაშიც მოვათავსე ცოტა რამო; კონფერენციაზე რუსეთის საკითხი არ დაისმის, ვნახულობ დელეგაციების წევრებსო... ერთი სიტყვით, ეწევა უფრო პროპაგანდას. მე ვნახე ჰარვეი ლონდონში, მოიწონა, რომ ეაშ-ში კაცი გვყავს.

ანგორაში კაცის გასაგზავნათ საეჭვოა ახალი თანხა გადადონ. არ შეუძლია პოლიტ. კომისიას ერთი თავისი აგენტი იქ გაგზავნოს? მას ოთხი აგენტი ყავდა, თუ არ ვცდები, ზღვის პირებზე.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 12. I. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

ვიჩქარი გაუწყოთ კანის უმაღლესი საბჭოს დადგენილება, რომელიც ეს არის ტელეფონით გადმომცა იქიდან გეგეჭკორმა: საქართველო არ იქნეს მოწვეული ევროპის ეკონომ. კონფერენციაზე გენუაში. მოწვევა მოუთხოვია საფრანგეთს, მას მიმხრობია ბელგია და იტალია. მხოლოთ ინგლისი არ დათანხმებულა იმ მიზეზით, რომ გენუას კონფერენცია ეკონომიურ და ფინანსიურ კითხვებისთვის არის მოწვეული, ხოლო მის ქვეყნიდან ლტოლვილმა მთავრობამ რა მასალა შეუძლია მოგვაწოდოსო. არ იქნება მოწვეული არც თფილისის დღევანდელი „მთავრობაო". ფრანგებს და მათ მომხრეებს ჩქარა დაუთმიათ ინგლისელებისთვის და კითხვაც მოხსნილა. ევგენის იმედი აქვს ოქმის შოვნისა, თვითონაც ჩამოვა ორ დღეში და მაშინ დამატებით მოგეწერებათ.

ეს ამბავი არაა თავის თავათ გასაკვირი და მოულოდნელი. ინგლისში ჯერ-ჯერობით ის ხაზი იმარჯვებს, რომ არ დაუყენონ მოსკოვს პოლიტიკური პირობები მის მიერ დაკავებული რესპუბლიკების შესახებ. როგორც გწერდით, იქ შეიძლება დაინტერესებულიც არ არიან მოსკოვმა ჯარი გაიყვანოს კავკასიიდან იმ განზრახვით, რომ ის გამოყენებულ იქნას სამხრეთით...

თქვენ ალბათ მიიღეთ უმაღლ. საბჭოზე გადაცემული ნოტების ასლები. როგორც იქ, ისე გეგეჭკორმა ცალკე ნოტით მოითხოვა მომავალ კონფერენციაზე დაშვება. ნიადაგიც თითქოს მომზადებული იყო, უმრავლესობა ჩვენ გვემხრობოდა და გვეგონა ინგლისის წინააღმდეგობას დასძლევდენ. ეს ასეც იქნებოდა, რომ უმრავლესობას თავი გამოედო, მაგრამ ეს შეუ-

1 სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 34.

ძლებელი შეიქნა მისთვის, განსაკუთრებით როცა ბრიანი ბენვის ხიდზე დგას და ელის დაცემას...

ჩვენ განვაგრძობთ, თავის თავათ მისახვედრია, კამპანიას, მოვიკრებთ მთელს ძალ-ღონეს სამივე დედაქალაქში. არც ისაა ურიგო, რომ დაისვა ჩვენი საკითხი, დაინახა და გაიგო ყველამ, რომ იგი სდგას, ინგლისზეც მოახდენდა ეს შთაბეჭდილებას. არის შიში, რომ ინგლისმა არ მისცეს მოსკოვს საშუალება მოიყვანოს ყველა ეგრ. წოდ. დამოუკიდებელ რესპუბლიკების დელეგატები. ეს გაამაგრებდა დღევანდელი ბატონების პოზიციას ჩვენში, თუმცა საქართველოს თუ გინდ ბოლშევიკურ დელეგატის დაშვება ადასტურებს დამოუკიდებლობის პრინციპს. გადაწყვეტილია ჯერ-ჯერობით, როგორც თავში ვწერ საქართველო არ მოინვიონ საზოგადოთ. იქონიეთ სახეში და ასე გადაეცით ყველას, რომ კანის ინციდენტი არ არის დიდმნიშვნელოვანი იმდენათ, რამდენათ რუსეთის საკითხი ჯერ ბევრნაირათ იცვლის ფერს. მისი აღდგენა ზღაპარია და ამაში დარწმუნდებიან. – საჭიროა ენერგიული ლაპარაკი იქონიონ კერძო პირებმა თავიანთ ნაცნობებთან... არ არის საჭირო ამ მოლაპარაკებაზე სხვა ვინმე მწერდეს, გარდა თქვენისა. თქვენ უნდა იქონიოთ მსჯელობა ოფიც. პირებთან. ნ. ხ. წერილი მიიღო ნ. ჟ.-მ. დათიკო ჩამოვიდა რამდენიმე დღეა, უცდის ევგენის და მერმე წავა აღმოსავლეთით. – უიმედობას და სასოწარკვეთილებას ადგილი არ უნდა ქონდეს, ჩვენი ხალხის პატრონთ არ უნდა გვეშინოდეს არაფრის.

აკ. ჩხენკელი

გადაეცით მიშას, რომ არა მაქვს საშუალება ცალკე ვწერო. საქმისათვის უკეთესია თან – თქვენი საშუალებით ხდებოდეს მინერ-მოწერა. ვთხოვ ძალიან ცუდათ არ ჩამომართვას.

ა. ჩ."[1]

„პარიზი. 22. I. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

თქვენი წერილები №41 და 42 მივიღე. რუმბოლდთან ლაპარაკიდან საეჭვოა ჯერ-ჯერობით რამე გამოვიდეს. ყველა ნიშნები იმის მაჩვენებელია, რომ ... გაურბის არა თუ შეთანხმებას ჩვენთან, არამედ უბრალოთ ბაასსაც. და მის მთავარი მიზეზი უნდა იყოს ალბათ ის, რომ მას არ უნდა უმცირესი საბაბი მისცეს მოსკოვს, თითქოს ის არღვევს შარშანდელ მარტის ხელშეკრულებას, რომლის ერთი მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ ის აცხადებს თავის D sint ressement კავკასიის საქმეებში. ლ. ჯორჯი, ეტყობა, გენუის კონფერენციაზე აშენებს თავის კარიერას. ეს კი მოითხოვს უდიდეს სიფრთხილეს. არის სხვა მიზეზებიც, მაგ., ანგორასთან შეურიგებლობა. ამის გარდა, ინგლ. მთავრობას არა აქვს ჩვეულებად კონკრეტულათ ილაპარაკოს თავის ინტერესებზე, უფრო საიმედოა მოქმედება კერძო გავლენ. პირების საშუალებით.

ჩვენ უკვე გადაწყვეტილი გვაქვს ამ გზას დავადგეთ. ნიადაგს ვსინჯავთ,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 35.

ვნახულობთ პირებს და კიდეც ჩქარა მომავალში მივცემთ კონკრეტულ წინადადებას ეკონომ. ხასიათისა. ერთია მხოლოდ: ჯერ აქ უნდა გავიგოთ, როგორ უყურებს ჩვენს საქმეს ახალი კაბინეტი. ვილაპარაკებთ ლაუშერთან, ის ახლა კერძოა, მოთავე საფრანგ. მრენველობისა, თან მისი აზრია უთუოთ ინგლისთან ერთათ მოკიდონ კავკასიას ხელი. ზომები მიღებულია მთავრობის პოზიციის გამოსარკვევათ, რას ფიქრობს გენუაში და სხ. ჩემის ცნობით ლაუშერი, – მინისტრის გეგმა იყო ჯერ კავკასიიდან დაეწყოთ „რუსეთის აღდგენა"; შტინერის გეგმა: რუსეთის რკინის–გზების აღდგენით დაიწყონ; ინგლ. გეგმა: ფულის კურსის საერთაშორისო ეკილიბრი. ცხადი კია ჯერჯერობით ერთი, გენუის კონფერენციიდან არაფერი გამოვა, ბოლშევიკებს ფულს არავინ მისცემს, არც უცხოელთა მუშაობა შეიძლება დღევანდ. რუსეთში. ასე რომ, კავკასიის საქმე ყველაზე რეალურია. თქვენი ცნობა ოკუპაციის შესახებ საინტერესოა, უთუოთ შეამოწმეთ. ამას უნდა ქონდეს კავშირი კავკასიის მოსკოვის მიერ ნებით დათმობასთან, შეუმოწმ. ხმებია, თითქოს ვაჭრობენ...

ირ. წერეთ. დღეს წავიდა ლონდონს. მას მინდობილი აქვს აამოქმედოს მუშათა პარტია, ნახავს აგრეთვე მოღვაწეთ, ძალიან მონდომებული კია. ლონდონში მე დავაწყებინე მუშაობა ნ. ნიკოლაძეს, როგორც კერძო პირს და ცნობილ მოღვაწეს კავკასიაში. მან კი იცის დაინტერესება და ვფიქროფ, სარგებლობას მოგვიტანს. მთავრობას მოხსენდა.

ეს არის ნ. ხომერიკის დეპეშა მოვიდა. წერილი უკვე გამოუგზავნა მას დ. შარაშიძემ. აქ იმიტომაა საჭირო საჩქაროთ მოხდეს ინტერ–პარტ. კონფერენცია, რომ გენუამდე უნდა ვაჩვენოთ ყველა და ყველგან ერთი ეროვნ. ფრონტი. ამას მივაღწევთ უთუოთ, თუ ნ. დ.–ს ეყოლებათ 4 დამსწრე. ეს იქნება ს. დ., ნ. დ., ს. ფ.[1] შეთანხმება, რომელიც ნაყოფს გამოიღებს ჩვენშიც. მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ ახლავე გვეჭივრება ეს აქ. თქვენ ხელი შეუნყვეთ უთუოთ. ჩვენ მომხრენი ვართ, რა თქმა უნდა, მეორე ინტ..პარტ. კონფერენციისა ჩვენში. სამწუხაროთ, აქ არ შეიძლება ჯერ ლაპარაკი „ქვეშ–მავალზე", ოსმალოს იმედიც ცოტაა, სანამ სამი ბეი არ დაბრუნდება. კავშირის ბიუროსათვის გამოიგზავნება 5.000 ფრ. ჩვენის მხრით, სომხებსა და თათრებს უკვე გამოუგზავნიათ თავისიანებისთვის თვითეულს ამდენივე. დაიწყონ მუშაობა, დიდ ხარჯებს ერიდონ, თორემ ვერ შევძლებთ.

ეკონომ. მასალა გამოგეგზავნათ? რატომ არ ეტყვით ჩვენებს, რომ ლონდონის პრესსაში წერა ძნელია, მასალას ვაძლევთ, მაგრამ არ იბეჭდება მეათედიც. გვაქვს მუშაობა მწერლებში, ხუთიოდეს ვიცნობთ, გეპირდებიან.

აკ. ჩხენკელი."[2]

„პარიზი. 30. I. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

წერილები №43 და 44 მივიღე. ანგორაში ან მის მახლობლათ კაცის გაგზავნას აქ მაინცდამაინც არ თანაუგრძნობენ, არ ყოფილა ამაზე მსჯელობა მთავრობაში, მაგრამ კერძო, მაგ. თავმჯდომარე ამ აზრის იყო, როცა

[1] სოციალ-დემოკრატები, ნაციონალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 390, ფ. 36.

მე გადავეცი მას თქვენი პირვანდელი წინადადება. მეც არ ვთვლი მიზანშეწონილად გაგზავნას. მახსოვს, ბერლინიდან მინვევდნენ სტამბოლში, გერმ. მთავრობაც მეუბნებოდა ამას, მაგრამ არ წავედი... თუ შუაში არ გვყავს ვინმე, მათთან ვერას გავხდებით. მაგრამ სულ სხვა ვისმეს გაგზავნა საინფორმაციოთ, დასაზვერავათ და არა მოსალაპარაკებლათ, და ეს მქონდა მე სახეში, როცა გწერდით, შეიძლება პოლიტ. კომისიის სმეტიდან ერთი აგენტის ხარჯი ანგორისთვის გადაიდოს მეთქი. თუ ის აგენტი არ აფასებს, სხვა აგენტი უნდა იშოვოთ, თურქულის მცოდნე. მდივანი არ გამოდგება, შეუმჩნეველი ვერ დარჩება, თან შეიძლება მას მართლა შეუხვდეს წასვლა, მხოლოდ როცა ამის ნიშანი გვექნებასავით ანგორიდან... გწერდით წინეთ. მე მაინც მოვახსენებ მთავრობას და თუ არ მოგწერეთ შემთხვევით; დაასკვენით, რომ ზემო მოყვანილი აზრი გავიდა.

ლონდონიდან მოგვდის ცნობა, რომ კაკი ენერგიულათ მუშაობს. ის „მიხტომია" ჰენდერსონს და ის თითქოს შეპირებია დახმარებას: კიდევ დასმენ საკითხს ეგზეკუტივში და ფრაქციაში. მოთხოვენ იმედია, ამა თუ იმ სახით მთავრობას ჩვენს დაშობას ან მოსმენას გენუაში. ლონდონიდან თქვენ უკვე გაქვთ ალბათ ერთი ჩემი ნოტის ასლი კერზონის სახელზე, სადაც სჩანს, რომ მე მას ოფიც.-თ წარვუდგინე ეგზეკუტივის რეზოლუცია. თქვენ ალბათ მოგწერენ აქედან, რომ ამ რეზოლუციაზე მოსკოვის მაგიერ კრასინის თანაშემწემ ბერზინმა გასცა გასუხი ეგზეკუტივს: ყალბი, ჯამბაზური, სიცრუე პასუხი გაეგზავნა აქედან ეგზეკუტივს. ამის გარდა მაკდონალდმა მოიწერა, რომ ის დაარწმუნეს ...-ში, რომ საქართველო ახსოვთ და უშველიან. მაშ, მასალა გაქვთ სალაპარაკო, მუშათა პარტიას ბოლოს დავძრავთ... მხოლოდ სახელებს მაინცდამაინც ნუ ახსენებთ.

კერძო პირებთან ლაპარაკს განაგრძობენ ლონდონში, ნიკომ[1] ვანსიტარტიც[2] კი ნახა და ელაპარაკა, როგორც მემარჯვენე პარტიის წევრმა, მაგრამ ჩვენმა მომხრემ. მოგეწერებათ ცალკე. მრეწველობის რეზოლუციას წაიკითხავდით, აგრეთვე სავაჭრო პალატის: მოითხოვენ კერძო საკუთრების აღიარებას ყველასათვის და ინდივიდუალურ ნ. ი. პიროვნების თავისუფლებას. ამბობენ, უამისოთ ინგლისი გროშსაც არ გაიმეტებს რუსეთისთვისო, თუ გინდ იურიდ-თ ცნონ საბჭ. მთავრობა. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ლონდონი შეთანხმებულია მოსკოვთან კავკასიის შესახებ, ამასთან უნდა ქონდეს კავშირი იმას, რასაც თქვენ იწერებოდით რაღაც სამზადისის შესახებ სტამბოლში...

აქ საქმე მოულოდნელათ კარგათ მიდის იმ მხრივ, რომ პრემიერი დაინტერესდა, მივუგზავნეთ სამი პირი, გადავეცით ქალალდები ცალკე და ერთათ კავშირთან, მე მიმიღებს ამ დღეებში... არ არის ჯერ დრო გარკვეულათ

[1] ნიკო, — ნიკო ნიკოლაძე.

[2] ვანსიტარტი, — სერ რობერტ ჯილბერტ ვანსიტარტი (1881-1957), ბრიტანელი დიპლომატი, ბარონი. მუშაობდა ბრიტანეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სხვადასხვა ქვეყნეში: საფრანგეთში, ირანში, შვედეთსა და ეგვიპტეში. 1914-1915 წლებში დიდი ბრიტანეთის საგ. უწყებაში, მონაწილეობდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში, 1920-1924 წლებში იყო ბრიტანეთის საგ. საქმეთასამინისტროს მდივანი. მომხრე იყო გერმანიის წინააალმდეგ მკაცრი პოლიტიკური ხაზის გატარებისა.

მოგწეროთ, გაიგებთ ჩქარა. ერთი კია, თუ ჩაება, ბრიანზე უფრო მედგრათ წასწევს წინ. გენუაშიც დაგვეხმარება ალბათ. იცით, რომ მოსკოვს თან მოყავს საქართ. და სხ. დელეგატები! ვმუშაობ წინასწარ ევროპის ყველა სახელმწიფოების წინაშე მათი ელჩების საშუალებით, განსაკუთრებით რუსეთის „მეზობლებთან".

აკ. ჩხენკელი.[1]

გენ. ოდიშელიძის მემუარი მივიღე. გამოვიყენებთ."

„პარიზი. 19. II. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

წერილები №46 და 47 მივიღე. კარგია, რომ მაშინვე მოგიწერიათ ახმეტელისთვის რ. შესახებ. კანდელაკი წავიდა იქვე ამ საღამოს, ნახავს და მიიღებს ზომებს, რომ არ გვავნოს. გვწერდენ მორიგებით სურთ გათავება, ჩვენც ეგ გვინდა, ამიტომ წავიდა კ.-იც. ჩინებული საქმეა აფიცრების და იუნკრების ვარშავაში მოწყობა, ეს თქვენი დამსახურებაა. გველევა საკენკი, საჭირო იქნება მეტი ხალხის ჩამოცილება. აქაც იყო არა ერთხელ განზრახული მიგვემართნა ფულის შესახებ რუსეთიდან გამოსულ რესპუბლიკათა მთავრობათათვის, მაგრამ დღემდე უხერხულათ იყო ჩათვლილი: გვეშინია უარის. კიდევ მოვა ფიქრები და გაცნობებთ, მანამდე ნუ დაიწყებთ. ამ დღეებში იგზავნება საბახტარიშვილი პო.–ბალტ.–ფინეთში. რომ მოაგვაროს მათი მწყობრი გამოსვლა გენუაში ჩვენდა სასარგებლოთ, აქ უკვე მქონდა საფუძვლიანი ბაასი მათ ელჩებთან, ნოტაც გადავეცი; შესაძლოა იმავე საბახტარაშვილს მიენდოს ფულის შესახებაც. თუმცა, მართალი გითხრათ, მე დავიცდიდი გენუის გათავებამდე. მთავრობა გადაწყვეტს. – იუსუფ ბეის[2] მისსია უკვე მოდის ევროპაში, მას თითქოს ბექირ სამი ბეიც გამოყვება შემდეგ, ჩვენ ვიღებთ ზომებს ფრანგებთან; შეგვათანხმონ...

კიდევ ვერ გწერთ გარკვეულათ ახალ მთავრობის დამოკიდებულებას ჩვენდამი. ჩემი შეხვედრა პუანკარესთან გადაიდო, მომავალ კვირაში მოხერხდეს იქნებ. ელაპარაკა მას ორი დღის წინ ერთმა გავლ. პირმა. გამოუჩენია ჩვენი საქმის ცოდნა და ინტერესიც, უთქვამს უთუოთ მივიღებო, თფილისის დღევანდელ ბატონების გენუაში დაშვებას წინააღუდგებიო. თქვენ უკვე გამოგეგზავნათ ასლები, აღეძარი ახლად ჩვენი დაშვება. გუშინ მომივიდა კერზონის პასუხი: უმაღ. საბჭომ დაადგინა კანში მხოლოდ ევროპ. სახელმწიფოები მოვიწვიოთო. ეს ჩვენც ვიცოდით, მაგრამ არაოფიციალურათ, ახლა კი ცხადია, რომ ინგლისი წინააღუდგება საქართ-ს დაშვებას, მაშასადამე, არც ბუდუს[3] მანდატს მიიღებს. მეორეს მხრით, იწყება ექსპერტების მუშაობა-სამზადისი, და ამიტომ უნდა ველოდეთ, რომ კავკასია და საქართველოს საკითხი თავის თავათ დაისმება. იძულებული იქნებიან, სხვა რომ არ იყოს, ნავთზე იმსჯელონ, ხოლო აქედან პიპე-ლინე–ს გვერდს ვერ აუხვევენ, – დაისმება კითხვა, ვის უნდა ელაპარაკონ საქართველოს სახელით! მეორე საფუძველი: შეეხებიან ვალების განაწილებას ყოფილ

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 37.
[2] იუსუფ ბეი, — თურქი პოლიტიკოსი.
[3] ბუდუ, — ბუდუ მდივანი, ბოლშევიკი.

რუსეთის ლიმიტროფებზე, ვინ უნდა მოუწეროს ხელი საქართველოს სახელით? სწორეთ ამ ექსპერიმენტალურ მეთოდით ვცდილობთ შევასმინოთ, რომ „ევროპაში" ვართ! არის ზომები მიღებული, ვნახოთ.

რაც შეეხება ინგლისში მუშაობას, გზები და პირები გამონახულია, ძნელდება მხოლოდ პრაქტიკული ლაპარაკის დაწყება: ისინი, როგორც ეტყობა, ...-ს მიმართვენ წინასწარ, ხოლო, ვინაიდან მისგან ვერ იღებენ გადაჭრილ პასუხს, მერყეობენ, ვერ შემოდიან პირობებში. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ რუბიკონსაც ჩქარა გადავლახავთ ნიკო ნიკ. აქ არის, მას მიეცემა დირექტივები, თუ როგორი წინადადებანი უნდა გააკეთოს კერძოთ.

ხვალ ალბათ გაიხსნება ჩვენი კონფერენცია, სტამბოლიდან ჩამოვიდნენ. ჩამოვლენ ალბათ ბერლინიდანაც. კარგია, თუ შეთანხმდნენ; იმედი მაქვს. – კიდევ გახსენებთ: საჭიროა უთუოთ გვქონდეს ცნობები გემების მიმოსვლაზე და ექსპორტ-იმპორტზე საქონლის დასახელებით, აგრეთვე ეკონომ. ცვლილებებზე ჩვენში.

+ისინი ითარგმნებიან, იმედია, „თვისა საქართველოსთვის". უკეთესია უკომენტაროთ ისტამბებოდეს.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 26. II. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

ამასთანავე გიგზავნით პუანკარესთან დარბაზობის ანგარიშს. (თფ. საქ.-ში არ მოათავსოთ. შეიძლება გაამრავლოთ და გაგზავნოთ შინ საიმედო პირებისთვის, გადათარგმნეთ და აჩვენეთ საფრანგეთის წარმომადგენელთ, არა უშავს, თითქმის სტენოგრაფიულია). მაშასადამე, პუანკარეც იმეორებს კერზონის აზრს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცრუ დელეგატებს არ დაუშვებენ. ნავთზე და ვალებზეც არ ვილაპარაკებთო, აზერბეიჯანიც არ იქნება წარმოდგენილიო... უნდა ითქვას, არაჩვეულებრივ კარგათ მიმიღო, საქმე იცის. პირველ ფრაზაზე მიმიხვდებოდა, რაც უნდა მეთქვა, თითქოს განგებ იხმარა ორჯერ „აღმატებულება", რაიც აქ არაა ხმარებაში მანდამაინც... ვფიქრობ, ჩვენმა მეგობარმა გავლენ. დეპუტატმა საყვედური თუ უთხრა უფრო ადრე მიუღებლობის გამო. მინდოდა მელაპარაკნა ახლო აღმოსავლეთის საკითხზედაც, არ დამცალდა, გარეთ უცდიდნენ სხვები. მას შეეძლო არ შეხებოდა გენუასაც, რადგან ეს იყო ოფიც. წარდგენა ახალ პრემიერის წინაშე.

მეორე დღეს, ე. ი. გუშინ მას ქონდა შეხვედრა ლ. ჯორჯთან ბუდონში. ჩემი შთაბეჭდილება გუშინ წინ, რომ მას მოგვარებული ჰქონდა საქმე ლონდონთან, გამართლდა. გაზეთები დიდის ზეიმით აცხადებენ სრულს თანხმობას ორ პრემიერისა. აქედან ცხადია, გენუას არ ექნება ის მნიშვნელობა, რასაც წერდენ. რუსეთის მიმართ ლ. ჯორჯი თმობს მოსკოვის იურიდ. ცნობას, სანამ ის არ წარმოადგენს ნამდვილ გარანტიებს, ხოლო პუანკარე თანახმაა ეკონომ. მუშაობისა რუსეთთან. კონკრეტულათ რუსე-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 390, ფ. 38.

თის და კავკასიის სიმდიდრეზე შეიძლება მართლაც არ ილაპარაკოს კონ-ფერენციამ, ეს იქნება უფრო ექსპერტების საქმე, მაგრამ ფაქტიურათ ყველა ეკონომ საქმეებს ხომ მრეწველები და კომერსანტები აწარმოებენ რუსეთთან, მათ უკან კი მთავრობები დგანან. ჩვენის ცნობით, არსებობს ხელშეკრულება „შელ"-სა და კრასინს შორის ნავთის შესახებ, შიდ არც კია ნახსენები ბაქო, გროზნი ან ნავთსადენი. ამ რიგათ, კავკასიის უმთავრე-სი სიმდიდრე უკვე ბაზარზეა გამოტანილი, ინგლ. მთავრობა კი თითქოს არაფერ შუაშია. ასე მოხდება ალბათ დონეცის შესახებ, მხოლოდ აქ უპი-რატესობა ალბათ საფრანგეთს მიეცემა. ბულონის შეთანხმების ღერძი ეს უნდა იყოს. დააკმაყოფილონ თავი ნავთით და ნახშირით, ხოლო გამტარე-ბლად კერძო პირები წამოაყენონ.

ეს ფაქტები ჯერ კიდევ შესამოწმებელია, დასკვნები ნაადრევია. კაკი[1] დაბრუნდა ლონდონიდან. მუშათა პარტია რამდენათმე შეუნძრევია, მან რეზოლუცია მიიღო და მიანდო ტომ შოთეს მთავრობასთან მოქმედება ჩვენს შესახებ. უნდოდათ კიდევ დაესვათ კითხვა თემთა პალატაში, მა-გრამ წინდაწინ უნდოდათ პასუხის გაგება. უთქვამთ... ამდროებით უკეთეს პასუხს ვერ მოგცემთ, ვინემ დეკემბერშიო. სრულიად საიდუმლოთ ერთ პასუხისმგებელ პირს უთქვამს: სტამბოლიდან ჩვენი წარმომადგენელი ცუდ ცნობებს იძლევა საქართველოს შესახებ, ასე რომ ლორდ კერზონი უარყოფით უყურებს თქვენს საქმესო. ამას გატყობინებთ არა გასახმიანე-ბლათ, არამედ ზომების მისაღებათ გაიგოთ ვინაა ეს წარმომადგენელი: სამხედრო თუ სამოქალაქო და შეძლებისდაგვარათ საქმის გამოსას-წორებლად. რა თქმა უნდა თავი წყარო რუსებიდან და სომხებიდან არის, რომელთა აგენტებად ყოლას ისინი ხომ ვერ მოიშლიან. ძნელია ამ მოშხა-მულ იარაღთან ბრძოლა, მაგრამ უნდა ეცადოთ.

ზ. ავალიშვ. ჩამოვიდა ამერიკიდან, ახალი იმის გარდა, რაც მოგწერეთ, არაფერია.

აკ. ჩხენკელი."[2]

„ანგარიში.

ელჩი ა. ჩხენკელის შეხვედრა ბ. პუანკარესთან, საფრანგეთის პრე-მიერთან 24. II. 22 დილის 10 ს.

ურთიერთმისალმების და მობოდიშების შემდეგ პუანკარეს მიერ, რომ მან მოუცლელობის გამო ვერ შესძლო უფრო ადრე მიეღო ელჩი:

პუანკარე – ჩვენ მივიღეთ სამწუხარო ცნობები საქართველოში მომხდარ არეულობის შესახებ.

ა. ჩ. (იღებს უბიდან სტამბოლიდან მიღებულ დეპეშას და აწვდის პ-ს) სწორეთ მეც მივიღე დეპეშა სტამბოლიდან, ველი დაწერილებით ცნობებს.

პ-რე – (კითხულობს თავიდან ბოლომდე) ჩვენც სტამბოლის საშუალე-ბით მივიღეთ, მაგრამ ჩვენი ცნობები უფრო მძიმეა: თითქოს ერთი ჩვენი მოქალაქე მოეკლათ, სხვები დაეჭიროთ. ჩვენ მაშინვე გავგზავნეთ საპრო-ტესტო დეპეშა ჩიჩერინთან და მივიღეთ პასუხად (ღიმილით), რომ მომხდარ

[1] კაკი, — ირაკლი წერეთელი.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 390, ფ.39.

ამბავში პასუხს აგებს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაო.

ა. ჩ. – ამით ერთხელ კიდევ სურს მოსკოვს დაგარწმუნონ, რომ საქართველო თავისუფალია და კიდეც ამიტომ განიზრახა მან საქართველოს ყალბი წარმომადგენელი ჩამოიყვანოს თან გენუაში.

პ-რე – არას დროს! ჩვენ არ ვცნობთ და არც დავუშვებთ ყალბ წარმომადგენელს გენუაში. ჩვენ ოფისში არსებობს მხოლოდ ლეგალური მთავრობა, რომელიც ჩვენ ვცანით და რომელსაც თქვენ წარმოადგენთ.

ა. ჩ. – დიდათ გმადლობთ ამ სიტყვებისთვის. ჩვენ დიდათ ვაფასებთ იმ ინიციატივას, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ გამოიჩინა კანში, როცა მოითხოვა მან ჩვენი მთავრობის მიწვევა გენუის კონფერ–ზე.

პ-რე – სამწუხაროთ, ჩვენი წინადადება არ გავიდა კანში. ლორდ კერზონმა დაიჩემა, რომ საქართველო აზიაშიაო (ღიმილით), თუმცა იაპონიაც ხომ აზიაშია! (სამხრეთი აფრიკაც არაა ახლო! – ჩაურთავს ა. ჩ.). ერთი სიტყვით, თქვენი ქვეყანა არ იქნება წარმოდგენილი გენუაში; იყავით დამშვიდებული, ჩვენ არ დავუშვებთ, რომ მის სახელით ბოლშევიკების დელეგატმა ილაპარაკოს იქ. მის სახელით.

ა. ჩ. – დარწმუნებული ვარ ამაში, მაგრამ ჩვენ გვეშინია, რომ საქართველოს შესახებ მაინც იქნება ჩვენ დაუსწრებლად გენუაში ლაპარაკი. (როგორ? კითხულობს პ–რე). მოგეხსენებათ, ნავთის საკითხი დიდ როლს ითამაშებს გენუის კონფერენციაზე; ლონდონში ანდაზაც კი არსებობს ასეთი: „ბაქო რომ არ იყოს, არც გენუის კონფერენცია იქნებოდაო!" როცა ნავთზეა ლაპარაკი, შეუძლებელია არ ილაპარაკონ ნავთსადენზე, რომელიც ნახევარით ჩვენს ტერიტორიაზე გადის თფილისით ბათუმში. თუ ეს ასეა, ჩვენ გვებადება კითხვა: ვის ელაპარაკებიან ნავთსადენზე, – ბათუმის ნავთსადგურზე".

პ-რე – ნავთზე ჩვენ სულაც არ გვექნება ლაპარაკი გენუაში.

ა. ჩ. – (განცვიფრებული) როგორ: ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ ევროპის და რუსეთის ეკონომიურ აღდგენაზე ბჭობდნენ და ნავთს არ შეეხონ. თქვენ მოგეხსენებათ, ბაქო ადერბეიჯანშია; მართალია, ის არაა იურიდიულათ ცნობილი, მაგრამ ჩვენ რას გვეტყვიან, ნავთსადენის მონაწილეთ".

პ-რე – ვიცი კარგათ, მაგრამ არც აზერბეიჯანზე გვექნება ლაპარაკი, ისიც ხომ აზიაშია, ლორდ კერზონის სურვილით კავკასიის რესპუბლიკები არ იქნებიან გენუაში წარმოდგენილი, ეს გადაწყვეტილია.

ა. ჩ. – ჩვენ გვაფიქრებს მეორე გარემოებაც. გენუაში უთუოთ შეეხებიან რუსეთის ვალებს. ჩვენ არა ერთხელ განვაცხადეთ აქ, რომ მზათა ვართ გადავიხადოთ ჩვენი წილი. უთუოთ დაისმება იქ კითხვა, როგორ უნდა განაწილდეს ეს ვალები საკუთარ რუსეთზე და მის ყოფილ ნაწილებზე. ჩვენ გვაინტერესებს, მაგ., ვინ უნდა მოაწეროს ხელი შეთანხმებას ვალების შესახებ საქართველოს სახელით.

პ-რე – აქამდის არ მიაღწევს საქმე გენუაში (ცოტა დაფიქრების შემდეგ), და კიდეც რომ მიაღწიოს, რასაკვირველია, ვალებზე თქვენ, ლეგალ. მთავრობამ, უნდა მოაწეროთ ხელი, ისე როგორც მოსკოვმა რუსეთის

ვალებზე.

ა. ჩ. – თქვენმა ჩინებულმა მემუარმა გენუის შესახებ, რომელიც გადაეცა ლონდონს, ჩვენ გაგვათამამა და ხელახლათ აღვძარით უმაღლეს საბჭოს წევრთა წინაშე კითხვა ჩვენს დაშვებაზე და საქართველოს ევაკუაციაზე

პ-რე – ჩვენი მემუარის აზრებს ახლა ყველგან იზიარებენ.

ა. ჩ. – ჩვენც ასე ვფიქრობთ. თქვენ პირობად უდებთ მოსკოვს იმ მემუარში კანის რეზოლუციის მიღებას. იქ კი არის მე-6 მუხლი, რომელიც ავალებს ყველას და მათ შორის რუსეთს, რომ თავი შეიკავოს ყოველგვარ აგრესიისაგან მეზობლების მიმართ. ჩვენს მიმართ ხომ ვერაგულათ დაარღვია მოსკოვმა ეს პირობა. ეს მოვლენა დიდათ აფიქრებს რუსეთის ყოფილ ნაწილებს: პოლონეთს, ფინლანდიას და ბალტიის რესპუბლიკებს. მე მქონდა ლაპარაკი მათ ელჩებთან და ისინი ფიქრობენ კიდეც გააკეთონ ერთგვარი დეკლარაცია გენუაში ამ სახიფათო პრეცედენტის შესახებ.

პ-რე – ეს კარგი იდეა არის.

ა. ჩ. – მით უფრო ადვილათ გააკეთებენ ხსენებული სახელმწიფოები ამ ნაბიჯს, თუ საფრანგეთის მხრივ ექნებათ მათ თავის დროზე გათამამება (პ–რე არაფერს ამბობს, მაგრამ, ეტყობა რომ თანახმაა). თქვენსა და ლოიდ ჯორჯს შორის, თუ არ ვცდები, არის განსხვავება იმაში, რომ თქვენ გსურთ დაუყენოთ მოსკოვის დელეგაციას გენუაში კითხვა, იღებს თუ არა ის კანის რეზოლუციას, მაშინ როდესაც ლოიდ ჯორჯი ფიქრობს: ვინაიდან მოსკოვმა მიიღო მოწვევა გენუაში, ამით მან რეზოლუციაც მიიღოვო.

პ-რე – სრული სიმართლეა, ეს უთანხმოება არსებობს ჩვენს შორის და მგონია, ჩემი აზრი გაიმარჯვებს.

ა. ჩ. – სწორეთ ამიტომ, როცა მოსკოვის დელეგატებს დაუყენებენ კითხვას რეზოლუციის შესახებ, პოლონეთის და სხვა დელეგატებს მოხდენილი შემთხვევა ექნებათ გააკეთონ დეკლარაცია. (პ–რე დგება). ჩვენი ხალხი საფრანგეთს შემოყურებს, აქვს იმედი დახმარებისა და ეცდება გაამართლოს მისდამი ნდობა.

პ-რე – დარწმუნებული იყავით ჩვენს სიმპატიაში და დახმარებაში; თქვენ პირადათ, როგორც წინეთ, აწიც ძლიერ კარგათ იქნებით მიღებული ჩვენს სამინისტროში (დარბაზობა გაგრძელდა 10 წუთს).“[1]

„**პარიზი. III. 22**

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

წერილი №48 მივიღე. აგრეთვე თავმჯდ-მ მიიღო წერილი 24. II. ვითათბირეთ იმის შესახებ და მივანდეთ კ. საბახტ-ს, რომელიც გუშინ ვარშავაში გაემგზავრა, გადადგას იქ ნაბიჯები. ჩვენ არ უყურებთ ამ საქმეს ისე ადვილათ, როგორც შეიძლება, თქვენ, არსებითათ განსხვავება არაა ჩვენს შორის. ფულის შესახებაც იმავე სიძნელეს ვხედავთ, იმ განსხვავებით, რომ, თუ უარი გვითხრეს, პოლიტიკურათ გვავნებს. ვერ შევძლებთ ისე წელგამართულათ მოვთხოვოთ დიპლომ. დახმარება. სამწუხაროა,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 40-41.

რომ ჩვენში არ უწევენ ანგარიშს მდგომარეობის სირთულეს: უტერიტორიო მთავრობას კი არა ბევრ ევროპიელ პატარა სახელმწიფოს უჭირს მაგვარი საქმეების მოწყობა. საჭიროა ცოტათი ფრთა შეაკვეცოთ მათი სურვილებს. ჩვენს მდგომარეობაში ლაპარაკსაც უნდა ვერიდოთ ისეთ რამეზე, რომელზედაც არა ვართ დარწმუნებული, რომ შეგვისრულებენ. ამით არ მინდა ვთქვა, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ელაპარაკოთ მანდ პოლ. წარმომად-ს. პირიქით, შეიძლება მანდედან სჯობდეს მოქმედება, და მისი მისსიაც ხომ ამისთანა რამეებში მდგომარეობს. მე ვიცნობ გრ. ზამოისკის, კარგათაც ვართ, მაგრამ უფრო უმნიშვნელო რამეზე უფროსის... პოლ-ს არ უნდა არასგზით აჩვენოს მტრობა მოსკოვს. საზოგადოთ საიდუმლოთ მოქმედება გმართებთ, არ დაგიმადლებენ. ერთი საინტერესო ცნობაც მომივიდა ლონდონიდან, თუმცა სომხის წყაროდან, თითქოს 9. X. 21 პარიზში მიეწერათ ასეთ რამიზა: „პოლონეთის მთავრობა პრინციპიალურათ თანახმაა კავკასიის საქართველოს და სომხეთის ოსმალეთთან შეერთების“.! ეს მოგონილია, იმედია, მაგრამ ცოტა სიფრთხილე გმართებთ, მათ ეჭვრებათ ძლიერ ოსმალეთის კავშირი...

შევიტყვე, რომ რამდენიმე ოფიცერი გერმანიაშიც არიან, რომელთაც უნდათ პოლონეთში წასვლა. მიიღეთ სახეში ესენიც. მე ვწერ ამის შესახებ ახმეტელს. გთხოვთ არ გამოგრჩეთ. მე ვიცი, მაგ., ერთი კარგი ოფიცერი სიამაშვილი, რომელსაც დახვრეტა მიუსაჯეს ცოლიანათ (ჯერ აზერბეიჯანში იყო, უკანასკნელათ ბათუმში და სიცოცხლეს უმწარებდა ბოლშევიკებს): ის მსახურებდა წინეთ ვარშავაში, იცნობენ და მიიღებენ. სხვებიც არიან.

იქ ჩვენი მდგომარეობა მაგრდება. პუანკარეს მაშინვე მოუწერია თავის ცნობილი ინსტრუქცია, ჩიჩერინის ნოტის საპასუხოთ, თავის ელჩებისთვის რომში და ლონდონში განეცხადებინათ სათანადო მთავრობათათვის არას გზით არ დაიშვება საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის „ყალბი ბოლშ. დელეგატებიო“. ბულონში თითქოს შეთანხმებულან, რომ ეს რესპუბლიკები არ იქნებიან წარმოდგენილი, გენუაში; რაც შეეხება რუსეთის ცნობას, თვითოეული სახელმწიფო იტოვებს მოქმედების თავისუფლებას. აქაურ ექსპერტების კომისიამ მიიღო მეთოდი, რომელსაც ჩვენ ვიცავდით ... განზრახულია რუსეთის აღდგენა რეგიონალურათ. კავკასია თავის ნაფთით გამოყოფილია და სვამენ საკითხს ვის უნდა ელაპარაკონ ჩვენი რესპუბლიკების სახელით. მოსკოვის და თფილისის ვაჟ-ბატონებს არაო, დავრჩით ჩვენ! ჩქარა შეიყრებიან ექსპერტები ლონდონში, ვნახოთ. შამბრის საგარეო კომისიამ თავის თავმჯდომარის ლეგის პირით და სენატის ერთმა ჯგუფმა წერილობით მოსთხოვენ პ-რეს დაუდოს მოსკოვს ერთ-ერთ პირობად საქართველოს ევაკუაცია და ჩვენი დაშვება გენუაში. პრესსა კარგი გვაქვს. ლონდონში კიდევ დაუსვამთ კითხვა, პასუხი იგივეა თითქმის, მოგივათ სტენოგრამა... გაჩუმებულია. ამიტომ კერძო პირები ვერ ბედავენ ჩვენთან შეთანხმებას: დღეს ჩამოვიდოდა იუსუფ ქემალი, ნიადაგს ვამზადებ.

ა.კ. ჩ.“[1]

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 42.

„რომი. 27.III.22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

ეს მესამე კვირაა, რაც აქ ვარ და ვმუშაობ. უმთავრესად გენუისათვის. ნიადაგი ერთობ ცუდია ჩვენი მიზნებისთვის, ვინაიდან იტალია იძულებულია ეკონომიურ კრიზისის და ჩამორჩენის გამო სხვის ხმას აყვეს და ეს სხვა ინგლისია. რუსეთთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენა, თვით მის ცნობას აქაური წრეები არამცთუ შესაძლებლად, არამედ საჭიროდაც კი თვლიან: სოციალისტები და დემოკრატ-პოპულ??? ამას პირდაპირ მოითხოვენ, კომუნისტებზე მეტია ლაპარაკი. მეორეს მხრით, იტალიის წარმომადგენელი-კონსული თფილისში ჩვენთვის სასარგებლო ცნობებს უნდა აწვდიდეს მთავრობას. საგარეო სამინისტროს ერთ-ერთი მოხელე – ვალენტინი, რომელსაც ჩვენი საქმეები აბარია, იმდენად დაბრმავებულია, რომ არ ხედავს განსხვავებას რუსეთსა და საქართველოს შორის, თითქოს ჩვენშიც შინაურ ხასიათის იყოს სოვეტიზაცია, როგორც რუსეთში! განსაკუთრებით ქართველ კომისრების ეგრ. წოდ. მთავრობის სათავეში ყოფნა მას გადამწყვეტ მომენტად მიაჩნია. ლონდონშიც ხომ ასე ფიქრობს ზოგიერთი. ეს ბოლშევიკების მოშხამული იარაღია ჩვენს წინააღმდეგ.

სამწუხაროთ უნდა ვაღიაროთ, რომ აქ პროპაგანდა-აგიტაციით ბევრს ვერას გახდები, ვინაიდან, როგორც ვთქვი, ობიექტიური პირობები ჩვენთვის არასასარგებლო მიმართულებას აძლევს აქაურ პოლიტიკას. რა თქმა უნდა, პირად შეხვედრების დროს დიდ თავაზიაანობას, თუ გნებავთ სიმპატიასაც იჩენენ იტალიელები, მაგრამ ეს არ უნდა გვატყუებდეს. მართალია, მითხრა რომ საგარეო მინისტრს შანცერს გაუგზავნიდა დეპეშას პარიზში ჩვენს შესახებ, მაგრამ ეს უკანასკნელი მე ვნახე რომიდან წასვლის წინდღით და მანაც მხოლოდ ზოგადი დაპირებები მომცა და მოიმიზეზა ის, რომ ჯერ ახალია: ველაპარაკე ვრცლათ პალატის კომისიის ყველა წევრებს. ნაციონალისტებიდან დაწყებული სოციალისტებამდე, პრეზიდიუმს ცალკე, და დამპირდენ იქონიებენ მსჯელობას კომისიაში, როცა შანცერი დაბრუნდება. ჩემ თხოვნაზე, რომ იტალიამ თავზე იდოს ჩვენი მოწვევის ინიციატივა, გარკვევით ვერ მიპასუხეს. მე მქონდა უფლება საფრანგეთის სამინისტროსაგან მეთქვა, რომ პარიზი მხარს დაუჭერს რომის ინიციატივას და ეს შთაბეჭდილებას ახდენს აქ, შეეკითხებიან ალბათ პარიზს.... გენუის მომავალი გენერ. სეკრეტარი გავიცანი და დახმარება აღმითქვა, აგრეთვე ვეცადე გავლენა მომეხდინა ერთ პირზე, რომელსაც მინდობილი აქვს მოხსენების დაწერა მთავრობისთვის რუსეთის საკითხზე... პრესის საგარ. საქმეთა რედაქტორებს ცალკე ველაპარაკები და მაძლევენ კიდეც ბანს. აქა იქ, იყო ინტერვიუც და სხ.

ბოლშევიზმი ყველას ეჯავრება რა თქმა უნდა, არა აქვთ იმედი დიდი რამის გაკეთების რუსეთში, საქართველოში ხომ თვით ბოლშევიკებმა დაადეს სეკვესტრი მათ ბანკს და საქონელს, რის გამო აფრთხილებს კონსული მრეწველ-ვაჭრებს, მაგრამ ეს არ შველის, რადგან დამოუკიდებელი პოლიტიკა აქვთ. მე მაქვს შეხვედრები მრეწველებთანაც. ესენი უფრო რე-

ალურათ უცქერიან საგანს.

გთხოვთ მიიღოთ სახეში ზემომოყვანილი, იქონიოთ მსჯელობა იტალიის მანდაურ წარმომადგენელთან. საჭიროა აგრეთვე ფაქტების მიწვდენა ფრანზონის წინააღმდეგ: ის რომ თავის ჯიბის საქმეს აკეთებს ჩვენში!

ამ კვირის დამლევს დავბრუნდები პარიზს, მისამართი იქაური. აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი 8. IV.22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

თქვენი უკანასკ. წერილი (№ არ მახსოვს, გავუგზ. თავმჯდ-ს) მივიღე. დროებითი ზავი ანგორასთან, თუ მართლა შესდგა, დიდ შედეგებს იქონიებს. შეიძლება იმის შიშიც ჰქონდა ანგორას, რომ მოსკოვისაგან მთიშავენო – ესაა ლონდონის მიზანი. რომიდან წამოსვლის დღეს კიდევ ვნახე შანცერი და ჩემ საყვედურებზე – რატომ დატოვეთ ღიად ამიერკავკასიაოსმალოს გამიჯვნა – მიპასუხა: „საზავო კონფერენციაზე, რომელიც უნდა შესდგეს სტამბოლში, გადავჭრით ამ კითხვასო". ჩემ კითხვაზე – ასე დაადგინეთ თუ არა პარიზში-მეთქი – მიპასუხა: „არა, ეს ჩემი აზრია" – კონფერენცია კი უეჭველი მანდ არის განზრახული და ჩვენც დიდი დათვალიერება მოგველის: ჯერ არ ჰქონია მთავრობას მსჯელობა ამაზე – რა თქმა უნდა, თუ ანგორა–მოსკოვის მეგობრობა გაგრძელდა ზავის შემდეგაც, ჩვენ მანდ არ გვედგომება.

პოლონეთიდან ამ დღეებში დაბრუნდება საბახტარაშვილი და მაშინ მოგეწერებათ სრული ანგარიში, რა გაკეთდა იმ საინტერესო საქმის გამო. – მეორეს მხრით, საჭიროა დაუყოვნებლივ გვაცნობოთ, თუ რა გაკეთდა ჩვენი სამხედრო პირების პოლონეთში გადაყვანის შესახებ. თქვენ ალბათ მოგწერეს, რომ ლტოლვილების დახმარება ისპობა უსახსრობის გამო ორი თვის შემდეგ, ამიტომ საჭიროა შეძლებისადაგვარათ ყველანი გავისტუმროთ აქ. აზერბეიჯანს ნუ დავუთმობთ ადგილს, ვინაიდან სამხედრო პირები სხვაგანაც გვყავს. გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ამ კითხვას და ცნობებიც დროზე მოგვანოდოთ.

გენუაში იგზავნებიან: **ევგენი, კაკი, მდივანი, ვეშაპელი, ავალიშვილი და მე.** შეიძლება ყველა ერთათ არ წავიდნენ, კაკი და მდივანი ბერლინში არიან: თქვენ ალბათ მოგივიდათ პუანკარეს განცხადება პალატაში: საქართველოს და სხვა კავკასიის რესპუბლიკების სახელით მოსკოვის მთავრობას არა აქვს უფლება ილაპარაკოს, მას (უკანონოდ) უკავია ეს რესპუბლიკები. საქართველოზე ლაპარაკობდა უფრო, ჩვენ ის იურიდ. ვიცანით და მის მაგიერ სხვას არ ვალაპარკებთ. სამინისტროშიც მქონდა ხანგრძლივი ლაპარაკი, წამიკითხეს ადგილი ინსტრუქციისა, სადაც ამგვარივეა ლაპარაკი ჩვენზე. ვნახე ბარტუც, რომელმაც გადმოგვცა, მთავრობაში ეს არის ლაპარაკი გვქონდა თქვენზე და თქვენ ამით კმაყოფილი უნდა იყოთო. გვთხოვა პატარა ნოტა, გზაში წავიკითხავო. ჩვენც გავუგზავნეთ გუშინ საღამოს: საზოგადოთ პუანკარემ არ მისცა თავის დელ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 43.

ეგატებს დიდი უფლებები. ყველაფერს თვითონ სწყვეტს აქ. ვნახოთ რა გამოვა. შეიძლება მოვახერხო მისი ნახვა ამ დღეებში.

ინგლისის და აქედან იტალიის იმედი ცოტაა: მთელი ჩვენი ცდა ჩაგვეთრია ლონდონის მრეწველ-ფინანსისტების წრეები, ჯერ-ჯერობით ამაო გამოდგა... შეჩერდა სინდიკატის შედგენა მეორე ჯგუფის მიერ... შელმა მიიღო მოსკოვისაგან მთელი ზედმეტი ნავთი და მთავრობა ცდილობს მოსკოვის ცნობას, რომ ხელშეკრულება ძალაში შევიდეს! როგორც ხედავთ, ლონდონი დაინტერესებულია „ნაციონალიზაციაში", ამიტომ შინაურ საქმეებში ნუ ვერევითო! ვფიქრობ, ყელზე დაადგებათ... რასაც ერნმუნებოდენ მიშას; ჯერ-ჯერობით ფუჭი გამოდგა. საჭიროა დემონსტრაცია ამისი, რომ ხალხის წინააღმდეგ მისი ქონებით ვაჭრობა ძნელია.... დროა იფიქრონ ამაზე იმათ, ვისიც ჯერ არს... აკ. ჩხენკელი.[1]

„სანტა-მარგარიტა. 23. IV.22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

აქამდისინ ვერ მოგწერეთ, არა მაქვს სრულიად მოცალება: აქეთ მე არ ვაპირებდი წამოსვლას პირველ ხანებში მაინც, მაგრამ იტალიამ გვიმუხთლა. არ მოგვცა ვიზები ჩვენი დელეგაციისათვის: ამგვარათ ევგენი და სხვები ვერ წამოვიდენ. ამიტომ უკანასკნელ წუთში ისევ მე შემეექნა წამოსვლა და ჩემთან ერთად ზურაბ ავალიშვილს, რომელსაც ჩემი მდივანი დავარქვი – როგორც ელჩს რომში, ვერ მითხრეს უარი. ჩვენ ორის გარდა არიან: ს. მდივანი, რომელსაც ბერლინში უშოვია ვიზა, ალბათ იქ არ მიუწერიათ, და გ. მაჩაბელი, რომიდან. ვერ ჩამოვიდნენ სრულიად აზერბაიჯანელები, სომხები და მთიელნი, ვცდილობ ძალიან, მაგრამ ჯერ არაფერი გამოვიდა. აქაც ინგლისის ხელია, იტალია ხომ იმის ყმაა. **არ უნდა გაამჟღავნოთ ვიზების სკანდალი, გული არ გაუტყდეთ ჩვენში.**

პარიზში მე მართლა მიმიღო პუანკარემ და მქონდა მასთან საფუძვლიანი ბაასი, მთხოვა წერილობითი განმარტება და დამპირდა ჩვენ დელეგაციას გავუგზავნი გენუაში ჩემი ინსტრუქციებითო: მე გადაეეცი, სადაც ზოგი რამე მოვიყვანე სიფრთხილის გამო. ასლს გიგზავნით და საიდუმლოთ უნდა შეინახოთ.

აქედან მე გამოგიგზავნეთ ორი დეპეშა, პირველი ეხებოდა „L'humanité"-ს მიერ გავრცელებულ ხმას, თითქო ბუდუ დაეშვათ კონფერენციაზე, ალბათ ასეთივე ხმებს ავრცელებს „როსტი", ამიტომ, მათი განფანტვა საჭიროდ დავინახე. სამანდატო კომისიაში მართლაც არის დასმული კითხვა საქართველოს წარმომადგენლობის შესახებ, მოსკოვის დელეგაციამ შეიტანა თავის სიაში, როგორც დამატებითი დელეგატები ბუდუ, ნარიმანოვი და ბეგზადიანი. ჩვენ ვინახულეთ თვითეული ექსპერტი-იურისტი, რომელსაც კომისიამ მიანდო თავისი აზრის წარმოდგენა, ხუთი რიცხვით (ანტანტას წარმომადგენელნი), გადავეცით მასალა ყოველგვარი: გვარწმუნებენენ, რომ საფიქრებელი არაფერია: საქართველო, როგორც აზიაში მყოფი, მოწვეული არ იყო, მაშ არც მის დელეგაციას არ უნდა ჰქონდეს

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 44.

ადგილი, მით უფრო ნაკლებ მოსკოვის ან თფილისის ბოლშევიკებისა, რომელთაც ძალათ უჭირავთ ქვეყანა, ჩვენ მიერ იურიდ. ცნობილი და თუ არის ვინმე დასაშვები, ეს ისევ ლეგალურ მთავრობის წარმომადგენელიო. ფრანგები არ აჩქარებენ კითხვის გარჩევას, ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი მისი გადაუწყვეტლობის. ბუდუ და სხვები არსათ არ არიან დაშვებული: არც კონფერენციებზე, არც კომისიებში.

მეორე დეპეშა ეხებოდა მოძრაობას სვანეთში. ეს კითხვა აღვძარით კიდევ პარიზიდან, გაუგზავნეთ კონფერენციის თავმჯდომარეს: აქ განიხილეს ის პირველ კომისიაში ბრანტინგის[1] და მოტას[2] ინიციატივით და მიანდვეს შანცერს მოლაპარაკებოდა მოსკოვის დელეგაციას სისხლის ღვრის შესაჩერებლათ. მოსკოველები, ვიცით რას უპასუხებდენ, ამიტომ გთხოვთ მოგეხერხებიათ რაცხაფერათ, რომ კომისრებს დაედასტურებიათ ეს ამბები თავიანთ მთავრობებისთვის.

საერთოთ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საკითხი ბევრს აინტერესებს გენუაში, თანაგრძნობა ყოველმხრიდან გვესმის. მთელი დღე დავრბივართ, გაზეთებში ბევრი იწერება, გამოგიგზავნით. თვით კონფერენციის ბედი არაა უზრუნველყოფილი, შეიძლება დაიშალოს უნაყოფოდ: ერთ მოვლენას აქვს ადგილი: ჩვენს საკითხს ხელზე იხვევენ ჩვენი მეგობრები მოპირდაპირეთა წინააღმდეგ. ესეც კი კარგია.

გიგზავნით წერილს „საქართველოსთვის", კიდევ გამოუგზავნით, თუ დრო ვიხელთე. აკ. ჩხენკელი."[3]

„პარიზი. 13. VI.22.

გენუის შემდეგ არ მომიწერია. ვერ მოვიცალე. იქაური წერილები ყველა მოვიდა. გენუაშიც მივიღე უკანასკნელი. იქ თქვენ, სხვათა შორის, წერდით ჩვენი ეკლესიის შესახებ. უეჭველად, მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის აუტოკეფალიის მსოფლიო პატრიარქის მიერ ცნობას. ეს ხელს შეგვიწყობს ყველგან. სამწუხაროდ, ჩვენი სამღვდელოება ძლიერ პასიური არის, უნდა ბაძავდენ სომხებს. ჩვენც გულგრილათ ვუყურებდით. **დაბოლოს, მოუხეშავათაც...**

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა ირყევა, ასე ვთქვათ, გენუიდან გწერდით ამის ნიშნებზე. გერმანიაში საგარეო სამინისტრო მზადაა გაავრცელოს საქართველოზე რაპალოს ხელშეკრულება, რაიც ცნობის უკან ნაღებას უდრის. ს. დ. მინისტრები წინააღმდეგი არიან და თითქოს შესძლეს საქმის შეჩერება შემოდგომამდე, ასე იწერება ახმეტელი. ვთხოულობ ვინმე წავიდეს აქედან და დაბინავდეს ბერლინში. მაგრამ ჯერ არ გაგზავნეს არავინ. განზრახულია წერეთელი (კაკი) დაბინავდება იქ. ახლა ლონდონშია II ინტერნაციონალის კონგრესზე. საინტერესოა რატენაუს მოტივიც: საქართველოს რუსეთისგან გამოყოფა ინგლისის პოლიტიკას ეწი-

[1] ბრანტინგი — კარლ იალმარ ბრანტინგი (1860-1925), შვედი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსი, პირველი პრემიერ-მინისტრი შვედეთში სოც-დეკების პარტიიდან.
[2] მოტა — ჯუზეპე მოტა (1871-1940), შვეიცარიელი პოლიტიკოსი, ფედერალური საბჭოს წევრი, პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი. 1920 წელს შვეიცარიის პრეზიდენტი, ერთა ლიგის გენერალური ასამბლეის თავ-რე 1924-1925 წლებში.
[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 45.

ნააღმდეგება. ლოიდ ჯორჯმა იცოდა ალბათ ??? წინდანინ. ის გვითხრის ნამდვილათ სამარეს. ...-ში (ლონდონში?) უთქვამთ სუმბათაშვილისათვის: სესილ ჰარსტს[1] ალბათ საბჭოთა რესპუბლიკები ჰქონდა სახეში, როცა ინგლისის მიერ თქვენს ცნობას უარყოფდაო. ჩვენმა მთავრობამ სხვებთან თანხმობა განაცხადა პარიზში 27.1.1921 თქვენი იურიდ. ცნობაზე, მაგრამ ეს სისრულეში არ მოგვიყვანია დატრიალებული ამბების გამო (ოკუპაცია), ამიტომ ცნობის უკან წაღება, ლონდონშივე იტალიის მიერ ხელშეკრულების დადება მოსკოვთან (უკანასკნელმა არ დაამტკიცა) უმთავრესათ კავკასიას ეხება. ასე რომ, რომიც ლონდონს გაყვება. უნდა ეცადოთ მანდ. რომის და ლონდონის ჰოკომისრებთან, ნუ გაუმხელთ ყველაფერს.

სულ სხვა კითხვაა, გამოვა თუ არა რამე რუსეთთან მოლაპარაკებიდან. ლენინის გადადგომა იქონიებს გავლენას. ჰაგაში ძნელი დასაშვებია შესძლოს შეთანხმება, სურვილი ერთია, შესაძლებლობა კი მეორე. ჩვენ გაუგზავნით წარმომადგენელს 26-თვის, როცა რუსებთან დაიწყებენ მუშაობას.

ჩვენი მთავარი ბაზა ისევ პარიზია. მთავრობა სიტყვით მაინც არ გვაკლებს თავის ყურადღებას. დაწყებულია მუშაობა უფრო კონკრეტული კითხვების ირგვლივ. ერთის მხრით დახმარება დიპლომატიური, მეორე მხრით დახმარება... ჩვენში და მესამე მხრით ეკონომიურ ხელშეკრულებათა დადება ფრანგებთან. არის მეოთხე დარგიც: ჩვენი დამოკიდებულება საფრანგეთთან მომავალში. არც ერთ ამ კითხვაზე არ შეიძლებოდა გარკვეული პასუხის გაცემა. ჩვენი ხაზი არ შეიცავს საკონფლიქტო საქმეს პარიზსა და ლონდონს შორის. ვცდილობთ პირიქით შეთანხმდნენ ორივენი ჩვენს შესახებ. კიდევ მოვინერები საიდუმლოთ. კარგია თუ ხომერიკი ჩამოვა. გწერთ ჩემს აზრს. არის ბევრი რამ სათქმელი და გასაკეთებელი. ჩემი მოხსენება გენუას შესახებ გამოგეგზავნათ. არ უნდა გამოქვეყნდეს, ისე კი გააცნოთ ყველას ჩვენშიც... გენ. ერისთავმა მისწერა გენ. ზაქარიაძეს იარაღის შესახებ. ესეც უკანასკნელი მიღწევაა, ფულს არ გვთხოვენ გარდა გაყიდულის საფასურისა. შესძლებთ კი ??? მინიმუმი გამოყოთ და გააგზავნოთ? ან შეინახოთ. დიდი წინდახედულებაა საჭირო. ინგლ. ხელს შეგიშლით. ათენის იუნკრებს რა ეშველებათ? გადაყვანა ვარშავაში ხსნა იქნებოდა მათთვის. თავმჯდომარეც ამ აზრისაა. მაშ ეცადეთ.

გაზეთის მიერ დოკუმენტების (გენუის) გამოცემა შემოკლებულათ დაუშვებელია. ნუ თუ ამიტომ ხარჯავს ხაზინა ამდენ ფულს?! გადაეცით, გთხოვთ.

ა. ჩ."[2]

„პარიზი. 11.VII.22.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

თქვენი წერილი 2. VII. თარიღით მივიღე. საუბედუროდ, ვერ მოვიცალე მოსაწერათ. მაგრამ დიდ საკითხზე მე არ ვფიქრობდი მაინც მომეწერა, რადგან ნ. ხომერიკი აქ არის და ის ჩამოგიტანთ დაწვრილებით ამბებს.

[1] სესილი ჰარტსი — (1870-1963), ბრტანელი პოლიტიკოსი, სამართლის დოქტორი.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 52.

აქაურმა მოლაპარაკებამ, რომელიც დაწყებული იყო კიდევ გენუიდან ჩემი ჩამობრუნების უმალ, კონკრეტული ხასიათი მიიღო. ვნახე პირადათ ბ. პუანკარე და გადავეცი ნოტა და თან ახსნაც მივეცი სიტყვიერი. დოკუმენტების ასლები მოგივათ ნ. ხომერიკის ხელით. დიდი საიდუმლოებით არის მათი შენახვა საჭირო. ნ. ხომერიკმა მოგწერათ და მე კიდევ გიმეორებთ, რომ ბევრია ??? კრების შესახებ დამოკიდებული გენ. პელე და მის თანამშრომლებისაგან, თუ რას სწერს ან მოიწერება ის შემდეგ ჩვენ შესახებ აქ. უნდა გითხრათ სრულიად დაბეჯითებით, რომ გენ. პელეს ენერგიულათ რომ ეწარმოებინა ჩვენი საქმე, ეჭვს გარეშეა, ჩვენ აქამდინაც მივაღწევდით რამეს. მისმა გაგზავნილმა პირმა (გვარი მოგწერეთ). ძალიან ცუდი აზრი ჩამოიტანა თფილისიდან (მასთან ულაპარაკნია პირადათ კ. საბახტარიშვილს. თითქოს ჩვენში მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება სუფევდეს. თუ ასეთი საკუთარი ცნობებით იკვებება პელე და თვითონაც ასე კვებავს აქაურებს, მაშინ არაფერი გამოვა. რამდენადაც მე გავიგე, გენ. პელე დარჩება სტამბოლში ელჩად, როცა ნორმალური დამოკიდებულება აღსდგება ოსმალეთთან, – მაშ მის აზრს აფასებენ აქ.

ჰააგაში გაიგზავნა ს. მდივანი, არის იქ ორ კვირაზე მეტია. მისგან მიღებულ წერილებიდან ახალი არაფერია იმის გარდა, რაც პრესაში იწერება. ნახულობს დელეგატებს, პრესის ხალხს და ეწევა გენუისებურ მუშაობას. საერთოთ ყველას ჰგონია, რომ ჰააგიდან არაფერი გამოვა. რუსებს სჭირიათ კრედიტი, გამღები კი არავინაა, თვით ინგლისიც მერყეობს, და ასეთ პირობებში კი ბოლშევიკებიც „რადიკალობენ" და ფრაზებით აპირებენ ქვეყნის შეშინებას. კულისებში ნავთის საკითხი ჰააგაშიც თამაშობს როლს, მაგრამ აქედანაც ბევრი არაფერი გამოვა, თუ ჩვენი ხალხები მიხვდებიან, დაიცვან საკუთარი ინტერესები... ერთი სიტყვით, ეხლა უფრო შორს არიან თითქოს შეთანხმებასთან, ვინემ გენუაში. არავინ იცის, იქნება უკანასკნელ წუთს რუსებმა დაიჩიოქონ საჯაროთ. მაშინ არ ვიცი, როგორ დატრიალდება საქმე: მათში უმწეო მდგომარეობა უკიდურეს საფეხურს უნდა განიცდიდეს რუსეთში. მდივანი იწერება სხ. შორ. რკ. ბელევი დაითხოვა მოსკოვმაო. მას ცუდი საქმე მოუვიდა: ჩვენ ჩამოვართვით პასპორტი, მოსკოვისას აქ არ იღებენ, და ამიტომ ჩაიმწყვდა პარიზში.

რაც შეეხება იუნკრებს, მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ თუ მოხერხდება მათი გადაყვანა ვარშავაში, უნდა ვეცადოთ. რასაკვირველია, ჯერ უნდა უცადოთ ოფიცრების ბედის გამორკვევას, – მე არ ვიცოდი ეს, ე. ი. რომ სამგზავრო ფული აკავებთ მათ. არ ვიცი, კვინიტაძე რას სწერს ათინაში, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: რომ მეც ვიზიარებდი აზრს მათი გადაყვანისა, როგორც გწერდით კიდეც. რა თქმა უნდა, ცოტა უხერხულობა იქნება საბერძნ. მთავრობის წინაშე, მაგრამ რამდენიმე კარგი ოფიცრის ყოლა და ისიც ჩქარა, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენთვის. მეც მივწერ და დავარიგებ მოთმინება იქონიონ.

ემიგრანტების დახმარების შესახებ ვ. კანდელაკმა[1] მოგწერათ თურმე,

[1] ვ. კანდელაკი, — ვალერიან ანტონის ძე კანდელაკი (დ. 22 აგვისტო, 1881, სოფ. გამოჩინებული, ქუთაისის გუბერნია — გ. 4 მარტი, 1944, თბილისი) — ქართველი მეღვინე. ვალერიან

მე არ ვერევი ამ საქმეში.

იქნებ მომწეროთ ავტოკეფალიის შესახებ, თუ რამე გაკეთდა.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 23. VII. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

რაც ნ. ხ. წამოვიდა თქვენსკენ, აქ საქმის მსვლელობა ასეთია: სამ ც. სამინისტრომ გადასცა საქმე საგარეო სამინისტროს და, როგორც გვარწმუნებენ, გააკეთა დასკვნა... გუშინ ვიყავი საგარეოში, სადაც მითხრეს: ოფიციალურათ არ შეგვიძლია დახმარება გაგიწიოთ, ოფიციოზურად კი ძალიან გვინდა გამოგადგეთ, მაგრამ თანხები არა გვაქვს საკმარისი, ე. ი. საიდუმლო თანხები. ამ რიგათ, ერთგვარ ჩიხში ამოვყავით თავი! მომავალ კვირას კიდევ ვნახავ, დავიწყებ სამხედროდან და გავათავებ საგარეოთი.

რა თქმა უნდა, ისეთი უმნიშვნელო თანხის უქონლობა, რომელიც ჩვენ გვჭირია, არაა მანდამაინც დასაჯერებელი. უნდა ვიფიქროთ, მიზეზი სხვაა: ან არ ენდობიან ჩვენს შესაძლებლობას, ან ერიდებათ მოკავშირის ჩრდილოეთით. პირველის შესახებ მითხრეს: გენდობით, უეჭველათ, თქვენს შესაძლებლობას ვუყურებთ, როგორც realisible, მაგრამ მე მაინც სკეპტიკურათ ვუყურებ ამ რწმუნებას. მართალია, როგორც სხვა წყაროებიდანაც, გავიგე, ფ.პ. tries lieu duspose, მაგრამ უკიდურესათ ფრთხილი კაცია, როგორც ამბობენ. მერმე ის არის ნამდვილი ბატონი და პატრონი მდგომარეობის, მის უნებურათ ერთ ნაბიჯსაც ვერავინ გადადგამს, თორემ ასეთი პატარა საქმეს ცალკე სამისნისტროც გაახერხებდა საკუთარ წყაროებიდან: ყოველ შემთხვევაში. მე იმ აზრისა ვარ, რომ საქმე უარყოფით ბოლომდე არ მივიყვანოთ: ე. ი., თუ ვინცობა�ა დღეს არ დაგვაკმაყოფილეს, ჩვენ უნდა ვეეცადოთ კითხვა ღიად დარჩეს უკეთეს მომენტისთვის. მე ველი თქვენგან ცნობას, რა გაკეთდა მანდ, არის თუ არა გ. პელე მონადინებული ჩვენთვის, თვლის თუ არა, ის ჩვენს შესაძლებლობას არა მარტო სასურველად, არამედ რეალურად და საჩქაროდ. მის აზრს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს.

მინდა დავსძინო ერთი რამეც: ჩვენი მთავარი მტერი ობიექტურათ Réparation-ის საკითხია. აქ ყოველგვარი თაოსნობა და საქმიანობა მოდუნებულია სხვა, გარდა რკინის მიმართულებისა. საშინლათ ეშინიათ ალბიონის, რომ განცალკევდებიან, ლოიდ ჯორჯიც ძალიან მოხერხებულათ და გამოზოგვით იმარჯვებს ამ იარაღს. საფუძველიც კი არის ეშიშობდეთ, რომ აქაურები ყოველგვარ დათმობაზე წავლენ, თუ ალბიონი სამაგიეროთ გერმანიის მიმართ გვერდში ამოუდგება მათ... გახსოვთ, რა დღე დაუთევა ანგორას შეთანხმების გამო...

ნ. ხ. გადმოგცემდათ ფრიად საყურადღებო დარბაზობის შესახებ ფერიდ ბეისგან. ანგორაში სულისკვეთება უეჭველათ ხელსაყრელია ჩვენთვის:

ალბელაკი იყო ქართული მელვინეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელმაც მიმართულება მისცა მელვინეობის განვითარებას საქართველოში. 1921 წლიდან იყო ემიგრაციაში.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 390, ფ. 53.

უჭირთ, ერთის მხრით, ეშინიათ იზოლიაციის, მეორეს მხრით. ამ ლაპარაკს განვაგრძობთ. ფეტი ბეის ფრიად საყურადღებო მოლაპარაკება აქვს აქ, დღეს შეხვდება ჰ.-ს. უფრო კონკრეტულათ შემდეგ. თქვენ კი არავითარი ავანსები არ გაუკეთოთ მათ, ეხლა ისინი ჩვენ მოგვმართავენ, გვთხოვენ კიდეც დავეხმაროთ აქ. თქვენგან ველი ინფორმაციას ადგილობრივ ხასიათისა, რა ხდება მანდ „ანგორაში??

ჰააგის შესახებ ანგარიში მოგივათ მდივნისაგან, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა: საერთო ხაზი არეოდა: მოლაპარაკებას მთავრობათა შორის რუსეთის საკითხზე შეცვლის ალბათ მოლაპარაკება უცხო მრენწველთა და მოსკოვს შორის. ნავთის მრეწველებმა თითქოს შექმნეს მთლიანი ფრონტი, შიდ ითრევენ ამერიკელებსაც. ლონდონში იქნება თათბირი, ფორმალურათ, მესოპოტამიაზე, მაგრამ არსებითათ კავკასიაზეც.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 1. VIII.22.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

სამხედრო სამინისტროში ახალი ზომები იქნა მიღებული: ულაპარაკნიათ საგარეო სამინისტროსთან და უთქვამთ იქ, რომ გარდა თავისუფალი კრედიტის უქონლობისა, ხელს გვიშლის „Pacte nonaggression" ვითარ შეგვიძლია ვიმოქმედოთ მოსკოვის წინააღმდეგო. თქვენ უკვე გაქვთ ხელში სამინისტროს პასუხი ჩემ ნოტაზე სწორეთ ამ საკითხის შესახებ (ბელგიისაც გამოგეგზავნათ); მართალია, იქ არაფერი იყო თქმული არსებით, მაგრამ ზოგადათ მაინც გვპირდებოდენ ყურადღებას მიაქცევდენ ჩვენს მოთხოვნას რეზერვი გაეკეთებინათ „Pacte"-ის ჩვენს ქვეყანაზე გავრცელების შესახებ. ბოლოს და ბოლოს დამპირდენ სამხ. სამ-ში, რომ ხელახლათ აღძრავენ კითხვას და დაიცავენ ენერგიულათ.

საგარეოში არ მიცდია ხელახლათ იმ მიზეზით, რომ ახალს არაფერს მეტყოდენ. თან საჭირო იყო დაცდა, სანამ ლონდონს არ მოიარდენ. ეხლა უკვე დანიშნულია 7-სთვის პუანკარე-ლ. ჯორჯის შეხვედრა, 15-სთვის უკვე „echoanse"-ი დგება ამ რიგით, ეს აგვისტოც „separation"-მა უნდა შთანთქას. აქეთ კიდევ გართულებაა სტამბოლის ირგვლივ, უთანხმოება პარიზსა და ლონდონს შორის. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ **თვეები მიდის, ხოლო რეალურს არაფერს ვხედავთ, გარდა ტკბილი სიტყვებისა... რომელიც, შეიძლება, შესცვალონ, თუ ნამეტანი მივაწექით** – როგორც ვწერდი, ხელსაყრელ მომენტს უნდა ვუცადოთ.

თქვენმა განცხადებამ უკანასკნელ წერილში (22. VII.) და ორჯერ კიდევ განმეორებამ იქვე, რომ თქვენ მოგმართათ არაერთხელ პ-ემ[2] თხოვნით მიგეცათ საშუალება მისთვის საკუთარი ცნობები ჰქონოდა საქართველოდან და ამისათვის ფულიც კი შემოგაძლიათ, ხოლო თქვენ ვერ შესძელით დაკმაყოფილება, – ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ამას თქვენ პირველათ გვწერთ. ხ-კსაც არაფერი უთქვამს. მე არ შე-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 54.

[2] უნდა იგულისხმებოდეს ანტანტის ჯარების სარდალი ოსმალეთში — გენერალი პელე.

ვუდგები ამ დიდმნიშვნელოვან ამბავის დაფასებას, უნდა ვთქვა მხოლოდ, რომ პ-ეს არ შეეძლო გამსჭვალულიყო ჩვენი საქმის სიმწვავით, ასე, არც დანდობოდა ჩვენს ინფორმაციას, როცა ასეთი, შედარებით, ადვილი საქმე ვერ მოვუპოვეთ. არ ვიცი, შეიძლება, თქვენ ყველანი ასე არ უყურებთ ამ ინციდენტს (თუმცა თქვენ პირადათ მნიშვნელობას აწერთ მას, ამიტომ უბრუნდებით რამდენჯერმე). მაგრამ აწიც არაა გვიან, თუ კი თქვენ დაუყონებლივ მოუწყობთ პ-ეს ამ საქმეს: ე. ი. უნდა მისცეთ საიმედო პირები ადგილობრივ, დაეხმაროთ თვითონაც გაგზავნონ ვინმე საკუთარი რისკით. მარტო ის რათ ღირს, რომ მტრის შესახებ ცნობებისთვის თვითონ დახარჯავენ ფულს... მე მითხრეს აქ, რომ დენცს აქვს ამის საშუალება, შეუძლია გამოიწეროს აქედან, ესაა მისი დანიშნულება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მანდაურების და შემდეგ აქაურების ჩათრევა. ჩვენ უნდა გადუშალოთ მათ მთელი სურათი, მალვა ან გადაჭარბება შეუძლებელია; ბოლოს და ბოლოს, თუ მათი წელი არ გვექნა, სულერთია, ნაბიჯსაც ვერ გადავგამთ. ველით ამაზე ცნობებს სიჩქარით.

ფეტი ბეი ვნახეთ, მან სრულად არ დაადასტურა ფერიდ ბეის ნათქვამი, იმეორებდა ძველ ფრაზებს მოსკოვთან მეგობრობაზე... ან არ გვენდო: ან აქ ცივი წყალი გადაასხა პ-ემ. რა თქმა უნდა, ლონდონის შეხვედრის წინ იმედს არ მისცემდენ. ასე რომ, ჩვენი პირვანდელი შთაბეჭდილება ანგორას ლოიალობის შესახებ შენელდა. გარეგნულათ, ცხადია, ანგორაში პირობები შეცვლილია. მოსკოვის გაელენის შესუსტებას უნდა მიეწეროს ქემალის ექსცესები.

რამიშვილი ნავა ხვალ ან ზეგ. დავაბარებ, რაც საჭიროა.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 8. VIII. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

უკანასკნელი შეხვედრები ორსავე სამინისტროში იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ განმიცხადეს, პ-ემ[2] მიანდო სამხედრო მინისტრს მოახსენოს ჩვენი საქმე მინისტრთა საბჭოს. კითხვის ასე დასმას ჩვენ ვხსნით უარყოფითად: თვითონ არ იღებს თავზე პასუხისმგებლობას, მაგრამ ხათრი აქვს და უარს ვერ გვეუბნება, ხოლო ასეთ პირობებში მთავრობა რას დაგიდევს. სამინისტროთა მოხელენი კი დადებით შედეგს მოელიან! „ეს დავაც" ჩქარა გადაწყდება, იმედია. უნდა აღვნიშნო, აქ ძალიან გულგატეხილი არიან წარსული შეცდომებით, როცა დენიკინს და სხ. ეხმარებოდენ, არ უნდათ შეტოპონ მზგავს ავანტიურაში, როგორც თვითონ ამბობენ. ვერ ხედავენ ძირითად განსხვავებას. რუსეთში ერეოდენ სამოქალაქო ომში, ჩვენში კი ეროვნული საქმეა.

აღვძარი კითხვა, სანამ საქმე გაირჩეოდეს მთავრობაში, რომელიც ალბათ ლონდონის შემდეგ მოხდება, გააგზავნონ თავისი ოფიცერი სპეციალურათ ჩვენი სამზადისის შესასწავლათ. ჯერ დამეთანხმენ, დაასახელეს კიდეც კოლ. კორბელი, მაგრამ შემდეგ თქვეს: ეს ხომ უხერხული იქნება,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 390, ფ. 55.

[2] იულისხმება საფრანგეთის პრეზიდენტი — პუანკარე.

მას ყველა იცნობს! ისინი ფიქრობდენ ისეთ პირზე, რომელსაც შეეძლებოდა შეუმჩნევლათ ჩასვლა ჩვენში. უკანასკნელათ შემდეგ აზრს დაადგენ: ჩვენ გვყავს აქ კომანდ. დენც, კაცი დიდი უნარის და ენერგიის, მივმართავთ მას წინადადებით შესძლებს ის თუ არა თავის თანამშრომლებთან ერთათ სპეციალურათ შეისწავლოს ჩვენი საქმეები; მივცემთ აგრეთვე დირექტივებს, თუ რა უნდა გააკეთოს და სხ. დენცს ყოლია ხუთიოდე ოფიცერი, ერთი მათგანი, შეუძლია, გაგზავნოს ჩვენში და სხ. თუ ვინცობაა დენცს არ ექნა დრო და საშუალება ეს განსაკუთრებული მისსია აიღოს, მაშინ უნდა მოსწეროს აქ და დამატებით გაუგზავნიან ოფიცერს. აი, საერთოთ რაც გავიგე: საჭიროა, მაშასადამე. დენცმა ენერგიულათ ჩასჭიდოს ხელი ჩვენს საქმეს. მას შეუძლია დეპოშიაც მიაწოდოს აქ ზოგიერთი არგუმენტი ჩვენი სამზადისის რეალობის შესახებ, რაიც ხელს შეუწყობს ჩვენი საქმის დადებითათ გადაჭრას მთავრობაში. მიიღეთ სათანადო ზომები, მეტია შეჩერება ამაზე.

ეს სწორეთ ისაა, რაც თქვენ იწერებით უკანასკნელ წერილში 1. VIII. 22 თარიღით: აქედან საქმის მინდობა და დირექტივები. პელესთან სამხედ. სამინისტროს არა აქვს პირდაპირი კავშირი, ის უფრო დიპლომატ. მისსიას ასრულებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, მის ჩარევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს: ვეცდები მის შესახებაც საგარ. სამინისტროში: დაუტრიალდით იქ, მიეცით საშუალება ყველაფერი იცოდენ...

გავიგე, რომ სტამბოლის ქართველები აუწერელ სიხარულს ეძლევიან იმის გამო, რომ საფ-თის დახმარება უზრუნველყოფილიაო! მოუვიდა ერთ კერძო პირს წერილი და მომმართა საყვედურით, რატომ მან არაფერი არ იცის. ეს მოასწავებს, სამწუხაროთ, რომ ჩვენი საქმე ხმიანდება, რამაც, თუ ფრანგების ყურამდე მიაღწია, ყოველგვარ ნდობას დავკარგავთ. თქვენ იცით, მეორეს მხრით, თუ როგორ გაქურდეს აქ მოსკოვის აგენტებმა ესერების ბიურო, უნდა იცოდენ სტამბოლში მუშაობაც. ჩვენ, სხ.შორ. დიდი სიფრთხილე გვმართებს.

მომწერეთ, არიან თუ არა თქვენი აზრის ჩვენები, რომ, თუ დახმარება არ გვექნა აღთქმული აქედან, ჩვენ ვერ გავინძრევით. საზოგადოთ ძალიან გვეშინია რამე უბედურებას არ გადავყაროთ ხალხი.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 23. VIII. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

თქვენი დეპეშა დენცის შესახებ მივიღე. ჯერ კიდევ არ ჩამოსულა აქ, ეტყობა, თორემ შეტყობინებას დამპირდენ. მდგომარეობა ჯერეც არაა გამორკვეული, მაგრამ მაინც სჩანს აქედანვე, რომ საქმე ფერხდება. ლონდონის მოლაპარაკების ჩაშლამ ძალიან გაართულა ევროპის მდგომარეობა; თქვენ იცით გაზეთებიდან, განაგრძობენ საქმის მოგვარებას. მაგრამ ბევრი არ ეჭვობს, რომ აქედან არაფერი გამოვა და საფრანგეთს დასჭირდება ცალკე გამოსვლა. ასეთ პირობებში თითქმის დაუჯერებელი იქნებოდა,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 390, ფ. 56.

რომ მთავრობის, განსაკუთრებით ფრთხილ პ-რეს რამე ნაბიჯი გადაედგა.

ეს კიდეც მითხრეს გუშინ... ე. ი. საეჭვოა მინისტრთა საბჭომ რამე აღგვითქვას ამ დროებით. ხაზ-გასმით აღნიშნეს, რომ შეუძლებელია მათთვის „რუსეთის საქმეში" ჩარევა. რუსეთი, რომელიც დღეს თქვენთან არის, ხომ მტრობად ჩათვლის ჩვენს დახმარებასო! სულ სხვაა, თქვენ თვითონ რომ შესძლებდეთ ამ ქვეყნის განთავისუფლებას, თქვენი მთავრობა რომ თავის ქვეყანაში იქნეს, მაშინ ჩვენ აშკართაც შეგვეძლო დახმარებაო. ჩემ შეკითხვაზე – ხომ არ შესცვალეთ პოზიცია მოსკოვის მიმართ მეთქი – კატეგორიულათ მიპასუხეს – არაო. მე კი ვფიქრობ, ეს ასე არაა: ეს რამდენიმე ხანია მათ დაიწყეს ნიადაგის მოსინჯვა, არიან მათი ხალხი ბერლინში და ელაპარაკებიან რუსებს, ტემპს-ის ერთი თანამშრომელი ბოლლინი მოსკოვშია და სხ. ეხლა ჰერიოც აპირებს რუსეთში გამგზავრებას „კერძოთ" (ჩვენ ზომებს ვიღებთ მასთან), მაშასადამე, ცდა აშკარა ხდება. რასაკვირველია, ეს ცდა კიდეე არ მოასწავებს უკვე შეთანხმებას მოსკოვთან. ეს შეუძლებელიც იქნება ბოლოს და ბოლოს. მაგრამ ასეთ მომენტში არაა გასაკვირი, თუ ჩვენს მიმართ სიფრთხილეს იჩენენ. მე გწერდით, რომ საჭირო იქნება ვეცადოთ ღიათ დარჩეს საკითხი უკეთეს დროისთვის.

მაგრამ ამან ერთ წუთსაც არ უნდა შეაჩეროს ჩვენი მუშაობა მათთან. ნუ დავივიწყებთ, სამხედრო სამინისტრო მხარს გვიჭერს, მისგან სამჯერ მოუვიდა წარდგენა პ-ს, ასე რომ მასთან მჭიდრო კავშირი აუცილებელია: განსაკუთრებულია ამ შემთხვევაში სტამბოლის მნიშვნელობა. დენცს უეჭველათ მიანდობენ ჩვენს საქმეს, ასე დამპირდენ, ის ვალდებული იქნება მიაწოდოს სისტემატიურათ ცნობები ჩვენს შესახებ და, მაშასადამე, ბევრი იქნება დამოკიდებული ამ მუშაობიდან.

ან-იას ჩავარდნამ, თუ მართალია, ძალიან ჩაგვაფიქრა. არაა შეუძლებელი, რომ მტერმა ბევრი რამე იცის. საიდუმლოს ვერ ვინახავთ, კიდეე მოვიდა ცნობა სტამბოლიდან, რომ იქ ქართველები დიდს იმედებს ამყარებენ...

კონფერენცია ვენეციაში მოხდება. სუმბათოვისთვის უთქვამთ, რომ ოსმალეთი „საკმაოთ სუსტია" მასთან ზავის ჩამოსაგდებათ! წყაროს ნუ დაასახელებთ. იჭვს გარეშეა, ინგლისიც მოიხედავს ჩვენსკენ, თუ სრუტეებს დაეპატრონა... საფრანგეთს რეინი მიანება ალბათ. გიგზავნით ნ. რ. წერილის ასლს. ყოველი ამ გვარი ქაღალდი ??? უნდა ინახებოდეს.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 24. VIII. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

ძალიან საწყენი საქმე დაგვემართა: დენცი ჩამოვიდა, აქედან ბორდოში წავიდა და გუშინ საღამოს გაემგზავრა სტამბოლისაკენ, და ჩვენ კი მიუხედავათ დიდი ცდისა; ვერ ვნახეთ სულაც. დაგვპირდენ დაბეჯითებით ჩამოსვლას შეგატყობინებთო და არ შეგვატყობინენ. ბოლოს გვითხრეს, რომ ის თქვენი საქმიზა არ ჩამოსულა, ნახა ავათმყოფი ოჯახობა ბორდოში და უკან დაბრუნდაო. არ უარყოფენ, რომ იყო სამხ. სამინისტროში, მაშასად-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 57.

ამე, გააკეთა სიტყვიერი მოხსენება მაინც და შესაძლოა, იგი იყო პესიმისტური, თუნდაც სიმპატიით აღსავსე ჩვენდამი, თუ, რა თქმა უნდა, თქვენი აზრი მასზე სწორია. ისე კი უარყოფენ, თითქოს ჩვენს შესახებ საქმე ეთქვას მას. რომ არ გვანახვეს ის, ეს ცხადია. შეუძლებელია უბრალო მაკინყობით მოსვლოდათ ეს, და მერმე ჩვენ არ ვეშვებოდით.

მე არ ვფიქრობ მაინც, რომ დენცის მოხსენებას გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონოდა, რადგან მის ჩამოსვლამდიც ცხადი იყო, რომ ჩვენი საკითხის გადასაჭრელათ მომენტი ხელსაყრელი არ იყო. მე გავიგე დანამდვილებით ორსავე სამინისტროში, რომ კითხვა, თუმცა დაისმება მინისტრთა საბჭოში, მაგრამ დადებითათ არაა იმედი გადაიჭრას იგი: მე არ ვფიქობ მკვახე უარი ეთქვათ, პირიქით, ქათინაურები ბევრი იქნებოდა, თანაგრძნობაც, მაგრამ Pour le moment არაფერი შეგვიძლიაო, იტყოდენ. ამიტომ ჩვენ ვარჩიეთ მოგვეხსნა დროებით კითხვა წესრიგიდან და აღგვეძრა ისევ უფრო ხელსაყრელ მომენტში. ამისდა მიხედვით მივიღე ზომები ორსავე ალაგას და ვუცდი შედეგს. კითხვა პირობითია დასმული: ე. ი. თუ ამ დროებით არ შეგიძლიათ დადებითათ გვიპასუხოთ, გადადექით-მეთქი.

ლაპარაკის დროს სხვაც გამოირკვა. სამხ. სამინისტროში: ამბობენ: ბოლშევიკები ჯერ საკმაო მძლავრი არიან, პირველათ შეიძლება, გაიმარჯვოთ, მაგრამ ვერ შეარჩენთ, ისევ სჯობს დაიცადოთ. მით უფრო რომ ოსმალეთიც არაა სანდო... როგორც ხედავთ. ჩვენი მტკიცება შესაძლებლობაზე, ეხლა არ მიაჩნიათო მთლათ სწორათ. მათ აქვთ სხვა ინფორმაციაც, რომელიც ჩვენსას არ ეთანხმება, უკანასკნელი ორი თვის ამბები ჩვენებიდან არ მოგვსვლია, შეიძლება რამე ცვლილება მოხდა.

თქვენ იცით, ჩვენ გვქონდა ლაპარაკი თვითონ გაეგზავნათ ვინმე ჩვენში, რომ თავის თვალით ენახა ჩვენი და მტრის შესაძლებლობანი. წინეთ გვეთანხმებოდენ, ეხლა ამაზეც უარი თქვეს და მიზეზად ბოლშევიკების მიერ ინგლისელთა გემების დაჭერა მოიყვანეს ბათუმში. მაგრამ ბოლოს მაინც მითხრეს, რომმ იქონიებენ დენცთან განსაკუთრებულ კავშირს ჩვენს შესახებ. ამიტომ თქვენი მუშაობა დენცთან ზედმინევნით სასარგებლო და აუცილებელიც იქნება. ეხლა მანდედან უნდა ხდებოდეს უმთავრესათ ერთგვარი შეხსენება, დაინტერესება: დენცთან ლაპარაკის დედა-აზრს მოიწერებით, იმედია.

აქაური პერსპექტივები უნდა იცოდენ ჩვენებმა, ვისაც ჯერ არს, სხვაფრივ კი დიდი საიდუმლოება გმართებთ, განსაკუთრებით წყაროების მხრით. გთხოვთ გამოიკითხოთ შუმჩნევლათ, საიდან გაიგეს ჯაყელმა[1] და

[1] ჯაყელი, — ალექსანდრე ჯაყელი ცნობილი ქართველი მრეწველი, ჭიათურის მარგანეცის მომპოვებელი სააქციო საზოგადოება "ჩემოს" პრეზიდენტი. გასაბჭოებისთანავე, ოჯახთან ერთად სტამბოლში გადასახლება მოუხდა, თუმცა სულ რამდენიმე წლის შემდეგ, "ნეპის" პერიოდში საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა, ალექსანდრე ჯაყელისათვის დაბრუნება და საქმის გაგრძელება ეთხოვა, რადგან ჭიათურის მარგანეცის უცხოელი მომხმარებლები უარს ამბობდნენ ბოლშევიკებთან საქმიან ურთიერთობაზე. 1926 წელს სტალინი პირადად შეხვედრია ალექსანდრე ჯაყელს და ურჩევია მისთვის, სააქციო საზოგადოების მთელი საკუთრება ნებაყოფლობით გადაეცა საბჭოთა ხელისუფლებისათვის! რაზედაც მტკიცე უარი მიიღო. ჯაყელი დააპატიმრეს, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ მის გარეშე

სხვებმა, თითქოს აქ ჩვენ საქმე გაჩარხული გვქონდეს. აქედან არ იქნებოდა ეს ხმა, რადგან აქ, პირიქით, დაპრკოლებები გვეღობება...

აკ. ჩხენკელი.[1]

„პარიზი. 23. IX. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

გაზეთებიდან იცით, რომ დეპ. ჰერიო რუსეთს გაემგზავრა. ახლა უკვე სიმ. მდივნისაგან გეცოდინებათ, რომ ჩვენ გვქონდა მასთან კავშირი და ერთგვარი „დაბარება". გადმოგცემთ დაწვრილებით მდივანი. მე მხოლოდ ვაქცევ თქვენს ყურადღებაას იმას, რომ ჩვენ ჩავაგონეთ ჰერიოს გამგზავრებულიყო მოსკოვიდან ბაქო-ბათუმს და, თუმცა ის არ შეგვპირებია, მაგრამ იდეა ჭკუაში დაუჯდა. ჩვენ გვინდოდა გვესარგებლნა მისი მოგზაურობით ჩვენში და საზოგადოთ კავკასიაში იმ აზრით, რომ ხალხს ნათელეყო მისთვის თავისი სულისკვეთება. არ უნდა დარიდებოდენ ცოტა ხმიან გამოსვლებსაც: მანიფესტაცია-დელეგაციებს და სხ. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენთვის, თუ ჰერიო მართლა გაიმსჭვალებოდა ჩვენი აზრით და გრძნობით. ამიტომ გთხოვთ, თუ კიდევ არ მიგიღიათ ზომა, აცნობოთ რაც შეიძლება ჩქარა ჩვენში ჰერიოს ჩამოსვლის შესაძლებლობა და ურჩიოთ შესაფერისი სამზადისი. არ უნდა გაიგონ კი წინდაწინ „ბატონებმა", თორემ მათ შეუძლიათ თავათ მოგზაურობის ჩაშლა. უთუოთ საჭიროა ჩვენ მეზობლებსაც ერჩიოს, განსაკუთრებით ბაქო-გროზნოში დახვდენ როგორც რიგია. მსხვერპლიც რომ მოყვეს ამ შეხვედრას, არ უნდა შეუშინდენ... გთხოვთ მაცნობოთ, რა გაკეთდა.

სანამ ეს წერილი მოგივათ, დეპეშით მოგცემენ, იმედია, პასუხს თქვენს მოთხოვნაზე შესახებ ოფიცერ-იუნკრების გასამგზავრებელ ფულისა. მეორე დეპეშა ეს არის მოვიდა. ხვალ მთავრობის სხდომაზე გაირჩევა. მოვიდა წერილიც 12. IX. თარიღით. მაშ თქვენ საბერძნეთის იუნკრების გადაყვანაც მოგიგვარებიათ? ძალიან კარგია. მე უთუოდ მოვითხოვ გამოგეგზავნოთ გასამგზავრებელი. ძალიან გთხოვთ ბერლინის 5-ოდე ოფიცერი არ გამოგრჩეთ. მათი გამგზავრება ხომ ნაკლები დაჯდება. გენ. ქუთათელაძეს უეჭველათ იცნობენ პოლონეთში, თავის დარგში ის ცნობილი იყო, ამიტომ შეიძლებოდა ის გამოეყენებიათ ძალიან საპასუხისმგებლო საქმეშიც, თუ გინდ, კერძოთ, ე. ი. არა როგორც დიდი პოსტის მქონე. თუ თქვენ

მარგანეცის გაყიდვას ვერ შეძლებდნენ. ამიტომ მალევე გამოუშვეს და ამერიკაში გაგზავნეს მოლაპარაკების დასაწყებად. პრეზიდენტ ჰუვერთან შეხვედრისას ჯაყელმა დაინყო ობიექტური ინფორმაციის გავრცელება ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შესახებ. შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში ინყება ლაპარაკი საერთაშორისო სანქციების შემოღების თაობაზე. საქართველოდან ჯაყელს უთვლიან, ანტისაბჭოური საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში მისი ოჯახის სავარაუდო ლიკვიდაციის შესახებ. ცხრა წლის ოთარისა და მისი დედის, ნინო ხუჯაძე-ჯაყელის დარჩენა სამშობლოში ძალზე სახიფათო ხდება. 1929 წელს ნინო ხუჯაძემ, აჭარელი მეგობრების დახმარებით, 11 წლის ეაუთან ერთად მალულად დატოვა საქართველო, სტამბოლის გაელით ჩავიდა პარიზში, იქიდან კი ბელგიაში გაემგზავრა. ჯაყელები ბრიუსელში დასახლდნენ. მათთან ხშირად სტუმრობდნენ ქართული ემიგრაციის გამოჩენილი მოღვაწეები, მეცნიერები, უცხოელი ქართველოლოგები.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 58.

დაუხასიათებთ მას, როგორ ერთობ suodeste და პატიოსანი, კარგი იქნება, სირცხვილს არ გვაქმევს.

ჩამოვიდა ხუხუნი და ჩამოიტანა წერილები. ჯერ მხოლოდ წაკითხული თუ აქვთ, ვინც მიიღო, იცით, ხალხი ქალაქ გარეთ ცხოვრობს, – თუ იმსჯელენ, მოგწერთ. მანამ კი ცოტა მაკვირვებს ორი მიმდინარეობის ასე დაპირდაპირება. მერმე ამ მომენტში, როცა არ ვიცით, რით გათავდება ქემალის „გამარჯვება"! ცხადია, დგება გადამწყვეეტი წუთი, როცა უნდა გაირკვეს მოკავშირეთა პოზიცია. უეჭველია, ფრანგმა და იტალიელმა უკვე დაივიწყეს ომი ოსმალეთთან, ისინი უფრო ახლო არიან მასთან ვინემ ინგლისელთან, რომელიც გარიყეს კიდეც! ამ წერილის მიღებამდე შეიძლება თქვენ ცეცხლის ალში იქნეთ გახვეული... შეიძლება გაგიძახონ კიდეც თუ ქემალი და არალოვი ხელი-ხელგაყრილი შემოვიდენ. ოსმალოს მორჯულება შეუძლებელია, თუ ერთი ნამცეცი გამარჯვება ხვდა სადმე: მთვრალი არიან. ასე გონიათ – მათ უნდა უკარნახონ ზავი ევროპას! საჭიროა ცდა, ჩვენი ხალხი მშვენივრათ დაიცდის, უნდა გაირკვეს მდგომაარეობა, გულის თქმას ნუ ავყვებით.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 9.X. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

წერილი 1. X თარიღით მივიღე. შიდ იყო კონვერტი თავმჯდომარისათვის, დახურული. გთხოვთ, როცა წერილი კერძო ხასიათის არაა, ნუ დაბეჭდავთ, რადგან თავმჯდომარე არ არის ქალაქში და, სანამ მისგან უკან დაბრუნდებოდეს იგი, წერილი იკარგვის. მე არ ვიცი რაა შიდ, და ამიტომ ვერ ვხსნი.

გიგზავნით ნოტების ასლებს, რომელიც ამ დღეებში გადავეცით. ისინი უნდა დაისტამბოს უცვლელათ გაზეთში. ვინაიდან ჩვენ სხვა ოფიციოზი არა გვაქვს. შეიძლება მოეწყოს „თ.ს."-ში[2] განყოფილება დოკუმენტებისთვის. ბეჭდავენ, სამწუხაროთ, ზერელეთ, ხან თავი აკლია, ხან ბოლო, არ არის თარიღი და სხ. რომ არ დამავიწყდეს: გთხოვთ მოაშლევინოთ გაზეთს სიტყვა „დაპყრობილ" საქართველოს ხმარება! განუმარტეთ, რომ დაპყრობა თვით ჰქმნის უფლებას, ჩვენის მხრივ, ამის ცნობა დიდათ მავნეა, უნდა ხმარობდენ „ოკუპაციას!" 12. IX თარიღით გამოგზავნილ წერილზე თქვენ არაფერს იწერებით, ხომ არ დაკარგულა? მასში იყო, სხვათა შორის, საგაზეთო წერილიც ჩემგან.

ნოტები გადავეცი პირადათ, როგორც მთავრობას, ისე ელჩებს, მათ შორის, იაპონელსაც. აქ სამინისტროში მითხრეს, რომ მათ უკვე მიუციათ წინადადება ინგლისელებისა და იტალიელებისათვის, როცა რუსეთის მოწვევაზე აღძრულა კითხვა, საქართველოს ნაც. მთავრობა მოვინვიოთო, მაგრამ მათ არაფერი უპასუხნიათ. საზოგადოთ, შეუძლებლად მიაჩნდათ რუსეთის მოწვევა, რომლის მთავრობა არ გვიცვნიაო. ასე ფიქრობდა ინგლისის ელჩიც, ხოლო იტალიისა აშკარათ ამბობდა, ჩვენ, პირიქით, მოვ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 59.

[2] გაზეთი „თავისუფალი საქართველო".

ითხოვთ რუსეთის მოწვევასო. როგორც ეტყობა, ბოლოს და ბოლოს რამე კომპრომისი გაიმარჯვებს. და ეს თქვენ ალბათ გეცოდინებათ, სანამ ამას მიიღებთ. ფიქრობენ, ან მეორე კონფერენცია მოიწვიონ სპეციალურათ სრუტეების შესახებ, და აქ კი რუსეთსაც მოიწვევენ; ან ოფიციოზურათ მოისმინონ საზავო კონფერენციაზე რუსეთი და მისი „ალიები". ორსავე შემთხვევაში, აქ დაგვაიმედეს, რომ ჩვენც მოგვისმენენ. ვნახოთ, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი, თუ გინდ არ მოგვიწვიონ. გაცნობებთ თავის დროზე.

თქვენ არაფერს იწერებით, გქონდათ თუ არა მანდ ლაპარაკი ჰო-კომისრებთან ამ საგანზე, ამას უთუოთ მნიშვნელობა ექნებოდა, თუ მოსწერდენ თავიანთ მთავრობათ. გადაეცათ კერძოთ ასლები დიდი ნოტისა.

მე გწერდით მოგესინჯათ ნიადაგი ინგლისელებთან. გყავდათ წინეთ ნაცნობები ხელქვეითებშიც. ჩემის შთაბეჭდილებით, ისინი ახლა ცოტა სხვაგვარ უნდა უყურებდენ საგანს. პრესა ერთსულოვანია ლონდონში, რომ ლ.ჯ. პოლიტიკა დამარცხდა, რომ ახლო აღმოსავლეთის კითხვა სულ სხვაგვარ უნდა მოგვარდეს, ვინემ წინეთ ლამობდენ. სახეში აქვთ უმთავრესათ რუსეთის წამოჭრა, იღვიძებს ძველი მეტოქეობა....

რუსეთის შესახებ იმიტომ გწერდით, რომ ვიცოდი მანდ აინტერესებდათ ნ. ხ. და ვალიკოს, აგრეთვე ჭუმბურიძეს[1], ჩამოიტანა მან თუ არა წერილები აქ. „ორი მიმდინარეობა"-ში ვგულისხმობდი: იმათ, ვინაც დღესვე ფიქრობენ „დაკვრას" და იმათ, ვინც მოცდას ამჯობინებს. მე გთხოვთ მიყოლიოთ au courant, უამისოთ მუშაობა ძნელია. მე ვამბობ: იმის გარდა, რომ სხვები იწერებიან, თქვენც უნდა მოიწეროთ, როგორც ოფ. წარმ-მა.

აკ. ჩხენკელი."[2]

„პარიზი. 26. X. 22.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

თქვენი წერილები ყველა მოვიდა. არ მომიწერია აქამდისინ, რადგან დიდ მუშაობაში ვიყავით და იმავე დროს დღემდი საბოლოო რამის მოწერა არ შეგვეძლო. აქ დართული მასალიდან დაინახავთ, რომ ფრიად საყურადღებო კამათი გაიმართა პარზსა და ლონდონს შორის ჩვენი დაშვების შესახებ. ლორდ კერზონი ამტკიცებს, რომ პარიზში უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და არა მისი მთავრობა, ბრიანის წერილიდან გეგეჭკორისადმი ნათლათ სჩანს, რომ იცნეს ერთიცა და მეორეც. უნდა ითქვას სიმართლე, პუანკარემ ძალიან ენერგიული ბრძოლა გასწია ჩვენთვის, მაგრამ მაინც ვერ დააჯერა კერზონი. ბოლო დღეს ვიყავით სამინისტროში და გაგვაცნეს ოქმი უმაღლეს საბჭოს სხდომებისა 21 და 27 იანვრის 1921, და, დახეთ ჩვენს გაკვირვებას, იქ მართლა არ აღმოჩნდა მთავრობის ცნობა! არის ნათქვამი საქართველოს ცნობა, თვით ბრიანის, როგორც თავმჯდომარის, საბოლოო ფორმულაშიც თქმა არ უნდა, ოქმი რეზიუმეა მხოლოდ, შემოკლებული, აგრეთვე ბრიანის წერილი ხომ თავის თავათ ოფიციალური დოკუმენტია, რომლის უკან წაღება შეუძლე-

[1] ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯუღელი და ნიკოლოზ ჭუმბურიძე, სოციალ-დემოკრატი ემიგრანტები.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 60.

ბელია, მაგრამ თუ დაწერილს დავუკვირდებით, კერზონს თითქოს საფუძველი აქვს დავისათვის. მაგრამ არის ერთი გარემოებაც: ერთი წლით ადრე მანამდე, ე. ი. 1920 წ. სწორეთ საქართველოს მთავრობა იცნეს დე ფაქტო, ხოლო შემდეგ თვით ქვეყნის დე იურე ცნობა ავტომატიურათ გადავიდა მის მთავრობაზე. სფორცამ ძალიან გაიკვირვა კერზონის არგუმენტაცია, ის ხომ თვითონ დაესწრო უმაღ. საბჭოს სხდომებს. მაგრამ რასა იქთ, დასძინა მან, როცა კერზონს არ სურს თქვენი მოწვევა, იურიდიული კაზუისტიკით აბა რა შეგიძლიათო. მიუხედავათ მისი პირადი სიმპატიისა ჩვენდამი, სფორცამ უძლურად სცნო თავისი თავი რომ გავლენა იქონიოს მის მთავრობაზე, რომელიც ასე ფორმალურათ (მან ხომ ელჩიც დანიშნა თბილისში მაშინვე), არამედ არსებითათ ინგლისს ეკედლება ჩვენს კითხვაში. ასე რომ საფრანგეთი უმცირესობაში დარჩა.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, თუ როგორ გათავდა ეს დავა. თქვენ უკვე წაიკითხავთ ხვალ დილით, რომ მოწვევის ბარათი გაეგზავნა მარტო მოსკოვს. სამინისტროში გვითხრეს დღეს, რომ კერზონმა მიიღო პუანკარეს ტელეგრამა-შესწორებაო, ე. ი. რომ საქართველოს და უკრაინას არ გაუგზავნოს მოწვევა (??? არც ჩვეენ და არც თფილისის ვაჟ-ბატონებს). აქ ელიან, რომ მოსკოვი და, შეიძლება, ანგორაც პროტესტს განაცხადებენ და ხელახლავ დასვამენ საქართველოს და უკრაინის კითხვას, და მაშინ ისევ გაჩაღდეს, იქნება, მიწერ-მოწერა. ჩვენ დავტოვეთ კარი ღიად, როგორც შეიტყობთ, მიუთითეთ ფრთხილათ ორივე მთავრობის მოწვევაზე, შეიძლება ამ კომპრომისს მიეცეს ძალა, თუმცა საეჭვოა...

ვაპირებ ორიოდე დღით ლონდონში წასვლას, თუმცა სრულიად უიმედოთ. კერზონს კბილი ჰქონდა და აქვს ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ. მას ვერ მოაბრუნებს ვერავინ, არ მიმიღებს, ცხადია, თან საარჩევნო ციებ-ცხელება...

თქვენს აზრს ნოტაზე არ ვიზიარებთ: იგი ეძლეოდა არა თურქებს, არამედ სხვებს; საზღვრების საკითხი ერთ-ერთი ფორმალური მოტივი იყო დაშვების სასარგებლოთ. ა. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 15. XI. 22.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

აქ ჩადებულ რეზიუმედან გაიგებთ, თუ რა სახე მიიღო საქართველოს კონფერენციაზე მიწვევის კითხვამ. მისი გამოგზავნა შევაჩერე, რადგან უცბათ წავიკითხე, „რეიტერის" ცნობა და მინდოდა ჯერ გამომერკვია, რაშია საქმე. მხოლოდ გუშინ მივიღე ლონდონიდან დასტური, რომ ეს ცნობა მართალია. კერზონი სწერს მოსკოვს, სხ. შ., რომ საქართველოს და უკრაინის წარმომადგენელნი თქვენ შეგიძლიათ იყოლიოთ თქვენს დელეგაციაში! მე კი არ ვეთანხმები ამას, რაც პერეტიმ მითხრა, და ის კი ამბობდა მხოლოდ იმაზე, რომ ჩვენ ვერ დაუშლით ფიზიკურათ ვინც უნდა იყოლიოს მოსკოვმა თავის დელეგაციაში, და არა ის, თითქოს ერთგვარი ნინადადება უნდა მიეცეს მოსკოვს მათი წამოყვანის: ეს მთელი კონტრასტია. მე მეშინია, რომ ეს უარესია

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 61.

კერზონის პირველი წინადადების მოენვიათ საქართველოს ბოლშ. მთავრობა, როგორც ასეთი, და არა როგორც ნაწილი მოსკოვისა, რაიც, უკანასკნელი, დიდათ მოეწონება მოსკოვს. რეზიუმეში მხოლოდ მოკლეთაა მოყვანილი ჩვენი გრძელი ბაასი, მაგრამ იქიდანაც ნათლათ სჩანს, რომ პარიზი და ლონდონი შეთანხმდენ შეჩერებულიყვნენ პირველ შეთანხმებაზე, ე. ი. არ მოვენვიეთ არც ჩვენ, არც თფილისელნი. წარმოიდგინეთ კიდევ გუშინ განიმეორეს აზიის განყოფილებაში იგივე სიტყვა-სიტყვით, რაც პერეტიმ მითხრა, მაგრამ იმავე დროს ისინი თითქოს არ ხედავენ წინააღმდეგობას შეთანხმებასა და კერზონის პასუხს შორის მოსკოვისადმი. ქართველი ბოლშევიკები არ იქნებიან, როგორც საქართველოს წარმომადგენელნი, დაშვებული, არც მოსკოვს მისცემენ ამის ნებასო, – მაშ რათ ეუბნება კერზონი მოსკოვს ჩამოიყვანე ისინიო. ერთი სიტყვით, ვერ გამოვარკვიე ჯერ გადაცდა თუ არა კერზონი თავის პასუხში შეთანხმების საზღვრებს. აქ ეხლა ისე არიან გართული სხვა უფრო, მათთვის, დიდი კითხვებით, რომ ვერც კი გიპასუხებენ შეკითხვებზე დალაგებით. კერზონს, მოსალოდნელია, სახეში ჰქონდა, არ მიეცა მოსკოვისთვის საშუალება საქართველოს და უკრაინის ხმით ესარგებლნა, განსკუთრებით სრუტეების საკითხში, ამიტომ გახადა მან ამ ორი ქვეყნის წარმომადგენელნი ნაწილად მოსკოვის დელეგაციისა. მართალია, მოსკოვსაც მხოლოდ სათათბირო ხმა ექნება, როგორც მაცნობებენ ლონდონიდან, მაგრამ, როცა ლაპარაკობ სამი ქვეყნის სახელით, მეტი წონა აქვს შენს ნათქვამს. ასე თუ ისე, ჯერ არ არის ნათელი კითხვა, შეიძლება, როგორც აქ ამტკიცებენ, ასაღელვებელი არაფერია – შეიძლება თვით მოსკოვმა არ ინებოს ჩამოსვლაო, რაიც საეჭვოა. ჩვენ სხვაგვარაც ვაყენებთ კითხვას: კონფერენციამ აღნიშნოს თავის ოქმებში, თუ რატომ ვერ დაესწრო საქართველო, და დაუტოვოს ამ უკანასკნელს ადგილი ყველა იმ ხელშეკრულებებში და ორგანოებში, რომელიც კონფერენციას უნდა დარჩეს, როგორც შედეგი.

თქვენ იხილავთ აგრეთვე იმასაც, რომ პარიზმა მოსთხოვა ლონდონს ჩვენი „მოსმენა". ჯერ არ უპასუხნიათ იქიდან, f.o.-ში ესეც საეჭვოთ მიაჩნიათ! ისე კი ირწმუნებიან თქვენი მეგობრები ვართო, მხოლოდ მომენტი არაა ხელსაყრელი და მანამდე კი არ გვინდა რუსებს ავეშალოთო. რომში და ლონდონში დიდ მუშაობას ეწევიან სუმბათ. და მაჩაბელი, ვინ არ ნახეს, ვინ არ დაიხმარეს, არაფერი გავიდა: კერზონის „ჯიუტობა" ვერ სძლიეს. მე მივდივარ 18-19-ს ლოზანაში, არავინ დანიშნეს სხვა ამხანაგად სამწუხაროდ. შავიშვილი კი დამხვდება, რა თქმა უნდა. ჩემი მისამართი აქ იქნება.

აკ. ჩხენკელი."[1]

„ლოზანა. 23.XI. 22.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

თავმჯდომარემ მე წამაკითხა თქვენი წერილი. მინდოდა მეპასუხნა და ვერ მოვიცალე. მაგრამ ცოტა რამ ლოზანაზე. რუსებს ელიან. შეთანხმება ანტანტაში უფრო პრინციპებზე უნდა იყოს, პრაქტიკულ კითხვებს რომ მიადგებიან, სიძნელენი იჩენენ თავს, ეს მით უფრო, რომ თურქები და რუსები მთლიან ფრონტს შექმნიან. მე ჯერ ნიადაგს უსინჯავ. ვაწყობ შეხვედრებს,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 62.

თუმცა დიდები ვერ იცლიან ჯერ ჩვენთვის. დაშვება უიმედოა, მოსმენა იქნებ მოხერხდეს. ლონდონმა ამაზედაც უარი თქვა: სომხები მოსაყვანი არაა, რადგან მათ მოვისმენთ მხოლოდ ოსმალეთის სომხებზეო. რომიც მას დაეთანხმა, იქაური კონსულიც ჩვენი წინააღმდეგია და მუსოლინიც გადაბირულია ჯერ-ჯერობით. რამდენი არ ვეცადე უკანასკნელის ნახვას (მუსოლინის — დ. ჭ) აქ, ჯერ არ მოხერხდა. საფრ. სამინისტროში ამბობენ, კერზონის პასუხი მოსკოვისადმი ამბობს „საქართველოს წარმომადგენელზეო", ჩვენ კი სახეში გვქონდა ის, რომ ვერ დავუშლიდით მოსკოვს თავის დელეგაციაში ყოლოდა „პერსონალური" ქართველი, უკრაინელი, თუ კიდევ სხვა ვინმე.

ეხლა თქვენ წერილზე, მივიღე გუშინ მეორეც, 13. XI-ს დაწერილი. უთანხმოება თურქსა და რუსს შორის იქნებ არსებობს ადგილობრივ, აქ კი, უეჭველათ, ისინი ერთათ იქნებიან მე მექნება უთუოთ რაიმე დამოკიდებულება თურქებთან. შუამავალი ნაცნობიც არის, მაგრამ პრაქტიკულს არაფერს გამოველი. ისმეთის[1] შესახებ ითქმის ის, რომ სწორეთ მან მოაწერა ხელი დიდი ომის დროს, სამხედრო შტაბის სახელით, შეთანხმებას „ქართულ კომიტეტთან", რომელიც საზღვარგარეთ დაარსდა ქართველი ხალხის დაუკითხავათ. იმ შეთანხმებით ოსმალეთი ცნობდა საქართველოს ფარგლებში: ბათუმის, ართვინის, არტაანის და ოლთისის ოლქებს! ეხლა, რა თქმა უნდა, ეს უბრალო ფარატინა ქაღალდია. მე მინდა მხოლოდ იმის თქმა, რომ ისმეთმა იცის ჩვენი საკითხი.

თქვენ ინერებით აქტივობაზე ჩვენში და კავკასიაში. წინეთაც მქონდა გაგებული თავმჯდომარისაგან რაღაცა მინერ-მოწერა ამის შესახებ, თუმცა არ წამიკითხავს. მთავრობაშიც განაცხადა ერთხელ თავმჯდომარემ, რომ აქტივობა „გარდუვალი" ხდება და უკეთესია ისევ კონფერენციის დროს მოხდესო, მეც სწორეთ ასე მივწერეო. მანვე წაგვაკითხა მაშინ თქვენი წერილი, საიდანაც სჩანდა, რომ სტამბოლში „ერთხმათ" მიიღეს აქტივობაო. ჩვენ კამათი გვქონდა მოკლე. პასუხისმგებლობას არავინ ფიქრობს გაექცეს, მაგრამ რამდენათ დროულია ახლა აქტივობა... აი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. მე არ ვთვლი მას არც „დროულად და არც გარდაუვალად". გწერდით კიდეც ამაზე წინეთ. ჩვენთვის აუცილებელია სამი პირობა: ა) ერთი რომელიმე დიდის რეალური დახმარება, ბ) უზრუნველობა სამხრეთის მხრით და გ) მეზობლების ჩვენთან ერთათ

[1] ისმეთი, — ისმეთ ინენიუ (1884-1973) — თურქეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, თურქეთის II პრეზიდენტი. ქემალ ათათურქის შემცვლელი. ისმეთ ინენიუ დაიბადა 1884 წლის 24 სექტემბერს ქალაქ იზმირში, ოსმალეთის იმპერიის ჩინოვნიკის ოჯახში. ახალგაზრდა თურქების რევოლუციის დროს იყო ათათურქის ახლო თანამებრძოლი. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო პოლკოვნიკი მესოპოტამიის ფრონტზე. თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის დამყარების შემდეგ გახდა ქვეყნის პირველი პრემიერ-მინისტრი და ეს თანამდებობა ეკავა 1937 წლამდე, ხოლო ათათურქის გარდაცვალების შემდეგ 1938 წლის 11 ნოემბერს აირჩიეს თურქეთის პრეზიდენტად და ამ თანამდებობაზე დარჩა 1950 წლამდე. პოლიტიკაში დაბრუნდა 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ და ეკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი 1961–1965 წლებში. პოლიტიკიდან წავიდა 1972 წელს. გარდაიცვალა 1973 წლის 25 დეკემბერს, ანკარაში.

გამოსვლა. აი, ამ პირობებში ჩვენ შეგვეძლო არ დაგვეცადა საგარეო თუ საშინაო კრიზისისათვის თვით რუსეთში. რაშია საქმე, რამ აიძულა ჩვენები დაეყენებიათ წეს-რიგში აქტივობა? დახმარება არსაიდან არაა, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა უარესდება, მოსკოვიც საშინლად ანადგურებს ქვეყანას, საჭიროა ამიტომ გამოსვლაო! მე ლოლიკას ვერ ვხედავ ამაში. არც ის მწამს, რომ ჩვენი ხალხი ვერ აიტანს უარეს ჯოჯოხეთს. მას არ შეუძლია ვა-ბანკ, მან უნდა უცადოს კონიუნქტურის გამოცვლას. მას ახლა ესმის მხოლოდ, რომ თავისუფლების შენარჩუნება არც ისე ადვილია, როგორც მას ეგონა წინეთ.

ვწუხვარ, დრო არა მაქვს, მაგრამ ისედაც ნათელია მგონი რისი თქმაც მინდოდა. აკ. ჩხენკელი."[1]

„ლოზანა. 29. XI. 22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

წერილს დასაწყისში მიწერილი აქვს: „დასტამბეთ ჩქარა, დიდი ნოტა დასტამბეს თუ არა? საჭიროა უთუოთ. ა. ჩ".

მდგომარეობა საძაგელია. აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის თაოსნობით მოუწერიათ მოსკოვისთვის: შეგიძლიათ თქვენს დელეგაციაში იყოლიოთ „უკრაინელი და ქართველი დელეგატებიო". ინგლისის დელეგაციაში მაჩვენეს ეს ტექსტი და მითხრეს, რედაქცია ფრანგების არისო! მე არ დავიჯერე, მივარდი ფრანგების დელეგაციაში – გადაჭრილი ვერაფერი მითხრეს, იჭვში შევედი და სწორეთ მე-4-ე დღეს თვით ჰაფასმა გამოაქვეყნა ტექსტი, როგორც პირველი, ისე მეორის პასუხისა მოსკოვისადმი, და უკანასკნელში სწორეთ იგივე ამოვიკითხე, რაც ინგლისელებთან! ამ რიგათ, ფრანგმა იფლიდა, შებარბაცდა, არ ვიცი მხოლოდ, ნიშნავს თუ არა ეს მათ მიერ პოზიციის შეცვლას ჩვენს მიმართ. მართლაც, პირველ პასუხში ისინი უარს ეუბნებიან მოსკოვს როგორც ჩვენი, ისე თფილისელების დაშვებაზე, ან უკეთ, არ უპასუხებენ სულაც ამ მოთხოვნაზე; მეორე პასუხში კი თფილისელს მოსკოვის წრეში ათავსებენ და ჩვენ კი მოსმენაზეც უარს გვეუბნებიან.

მე აღვძარი კითხვა ფორმალურათ, ასლს აქვე გიგზავნით, მაგრამ იმედი განმენდილია თითქმის. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ მაინც. მივდივარ ყველასთან... ვევედრები, ვდაობ, ვჩხუბობ კიდეც. ვნახოთ... გარონი ორჯერ ვინახულე; კარგი მოხუცია მაგრამ უკვე მოშლილია, ვერაფერს მპირდება, გარკვევით. მუსოლინმაც შებორკა ალბათ, მათ დელეგაციაში ლაგოს ეკითხებიან მეტს, კონსულტას დირექტორია, ის კი აშკარა წინააღმდეეგია ჩვენი. მუსოლინი ვერ ვნახე, მიუხედავათ მეცადინეობისა, პირადი წერილისა მასთან. ინგლისელნი თავისას არ იშლიან: ჩვენ ვერ შევეხებით სხვა კითხვას გარდა სრუტეებისა, ამიტომ ვერ შევედავებით რუსებს, რატომ არიან საქართველოში, ვერც იმას დავუშლით საქართველოს სახელით ილაპარაკონ, ან კიდევ ალაპარაკონ თავისი „აგენტი ქართველი": დარჩნენ ფრანგები და იმათაც ცხვირი ამოსვრილი აქვთ...

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 63.

ჩიჩერინი და მდივანი ამ საღამოს უნდა მოსულიყვნენ, ზეგ შეუდგებიან, როგორც ამბობენ სრუტეების საკითხს. ამის მოსვლამდე თქვენ უკვე გეცოდინებათ ამბები. ერთის იმედი მაქვს ცოტათი: რუსები გააბრაზებენ მოპირდაპირეთ უტაქტობით, შეიძლება ამან შეგვიწყოს ხელი; ინგლისელებს სულაც არ მოსწონთ, რომ „ქართველიც" მოსკოვის პოზიციას დაიჭერს სრუტეების საკითხში. მე ეს ჩავაწვეთე მათ დიდი ხანია ყურში არა-პირდაპირ. იაპონიის და პატარების დელეგაციებიც ვცდილობ, თუმცა ვიცი, რომ ისინი ხმასაც არ ამოიღებენ.

ვგზავნი პატარა წერილს გაზეთისთვის. შიდ არც კი ვახსენებ ჩვენს საქმეს, რადგან არ ვიცი, როგორ გადაწყდება იგი. თქვენ იწერებოდით, ნუ დავუმალავთ ხალხს საქმის ვითარებას. თითქოს მე მქონდეს პირდაპირი მიწერ-მოწერა მასთან. თქვენ იცით, გწერთ ყოველთვის, რაც ხდება, მაშ ჩვენში გადაცემაც თქვენი მოვალეობა უნდა იყოს. მეორე წერილში უკვე მოვიწერები ალბათ გაზეთისთვის თქვენს შესახებ, რადგან ალბათ მეცოდინება შედეგი და შემეძლება მისი დაფასებაც.

აკ. ჩხენკელი."[1]

„ლოზანა. 13. XII.22

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

წერილს ზემოდან აწერია: „თურქული წიგნაკი მეტი რად არ გამოგზავნეთ? გთხოვთ დაუყონებლივ დაასტამბიოთ ჩვენში მაინც".

მე მიწერილი მაქვს ასათიანისთვის[2], ჩემი მოხსენებათა ასლები გიგზავნონ სისტემატიურათ: მიჭირს ვწერო ყველას, როგორც პარიზიდან. თქვენი ორი წერილი 27. XI და 4. XII თარიღი აქ მივიღე. „თავის. საქ." დახურვა ძალიან მეწყინა, არ იწერებით მიიღეთ თუ არა პირვ. კორესპ-ცია, დაისტამბება თუ არა ჩვენში. თუ მოვიცალე, განგრძობას ვფიქრობდი. მივიღე თქვენი დარბაზობა ფაშასთან, მთლათ ნუ დაენდობით, არ გიმუხთლონ. აგრეთვე ბარ-კის.

პრესიდან იცით საერთოთ, რაც ხდება აქ. რუსებს აქ უფრო მძლავრი მოპირდაპირე დახვდა, ვინემ გენუაში – ლორდ კერზონი: ისინი გათიშა თურქებისგან, თუმცა მთლათ ცხადათ არ ამბობენ, ზავს მოაწერენ ალბათ ხელს და შეიძლება, ოსმალო-ინგლ-დაახლოებას აქ ჩაეყაროს საძირკველი: არიან განუწყვეტელ ჩუმი მასლაათში. მეც ვსარგებლობ მომენტით, თუმცა დიდ რამეს არ უნდა ველოდეთ ამ წუთში... ბუდუ რუს. დელეგაციაშია, სდუმს, როგორც გენუაში. Pleans Pasports-იც არ წარუდგენია, ასე რომ საქართველო არაა ფორმალურათ წარმოდგენილი, თუმცა ჩიჩერინი ძალიან ხშირათ ახსენებს მას. ამ რიგათ, შესაძლოა, ბოლოს და ბოლოს, რომ მარტო რუსეთი დარჩეს კონფერენციის დოკუმენტებში. თუ ჩიჩერინმა ხელი მოაწერა. ვცდილობ ძალიან, რომ საქართველოს დაუტოვონ ადგილი. იქნეს შეტანილი Riverains სიაში, მაგრამ არ ვიცი, რა გამოვა. ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა მტკიცე შევქმენით აქ, გვიწევენ ანგარიშს და,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ.64.

[2] ასათიანი, — იულისხმება სოსიპატრე ასათიანი, პარიზის ქართული ემიგრაციის მდივანი.

ასე წარმოიდგინეთ, რუსეთის და ოსმალეთის პრობლემებზეც პრესა სიამოვნებით სარგებლობს ჩვენი მოსაზრებებით, დაუსახელებლათ, რა თქმა უნდა. ამასთანავე გიგზავნით ორ უკანასკნელ ნოტის ასლებს ჩვენთვის ადგილის დატოვების და სრუტეების შესახებ.

თქვენ მეკამათებით ოსმალეთთან საზღვრების შესახებ. მე უკვე მოგწერეთ ერთხელ, რა ადგილს ვუთმობთ ამ კითხვას. შემცდარი ხართ, თუ ფიქრობთ, რომ „დიპლომატიით" შეიძლება თურქის გადმობირება: ამის დამალვით, იმის გამოჩენით: არც არავითარი ავანსი შველის საქმეს, თუ გარემოებამ არ აიძულა ისინი ჩვენსკენ მოიხედონ. დღევანდლ პირობებში უკეთესია, თურქმა იცოდეს ჩვენი უკმაყოფილება, ამიტომ ქათინაურებს უნდა ვერიდოთ მათ მიმართ. საზღვრის კითხვას ჩვენ ვთვლით აქტუალურად: ამ წუთში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ არსებობს. **თქვენ და, როგორც იწერებით, ჟორდანია და რამიშვილიც, ურიგდებით თურქის მიერ „ბათუმის მხარის დაჭერას დროებით". მე ეს არ ვიცოდი და არც ვინაწილებ ამ აზრს, ვინაიდან ეხლა ბათუმის დაკავება არ იქნება „დროებითი",** არამედ ის იქნება, რომ ყოველგვარ ავანსებს ერიდოთ. თურქი თითსაც არ გაანძრევს ჩვენთვის – ინტრიგებს კი გასწევს – თუ მის უკან ვინმე ძლიერი არ იქნა, ჩვენც ამის ძებნაში ვართ.

ორიოდე სიტყვა აქტივობის შესახებ. მე მომესმა ერთხელ, რომ ნ. ხ. მთვლიდა მე „ენტუზიასტად", თქვენც ასე ფიქრობთ, სამწუხაროთ: სწორეთ ნ. ხ. დასწრებით შევიტანე მე წერილობითი წინადადება. სადაც ჩამოთვლილია ის სამი პირობა, როელზედაც 12 ნოემბ. გწერდით, მაშასადამე, მე კი არ მიცვლია ფერი. მეორეს მხრით, თქვენ იმეორებთ, რაც მე მოგწერეთ პერეტის სიტყვებით: ჯერ აქტივობა, მერმე დახმარება. მე ეს პრობლემატიურად მიმაჩნია... აზერბ. და მთა არ გამოვა ანგორის უმისოთ, თქვენც თანახმა ხართ ამაში, მაშ ვალდებული ხართ მისწეროთ ჩვენში ილუზიებს არ დაემყარონ: მე ვშიშობ მთელი საქ-ც არ გამოვა, აღმოსავლეთი.

აკ. ჩხენკელი."[1]

„ლოზანა. 4. I. 23.

ახალი მისამართი: Hotel Mirabeau.

პარიზიდან გამოგეგზავნათ პერეტისთან დარბაზობის მოკლე ანგარიში. იქ არ იყო მოხსენებული ზოგიერთი რამ, რომელიც ახლა მინდა მოგწეროთ: ზოგადი წინასიტყვაობის შემდეგ, რომ ლოზანის ზავის შემდეგ ჩვენ გვეხსნება ხელები სამოქმედოთ, მე შევეკითხე პერეტის – რჩება თუ არა საფრანგ. მთავრობის პროგრამა იგივე ჩვენს მიმართ. პერეტი შეყოყმანდა ცოტათი და თქვა: კი, რატომაც არა. და მაშინვე გადამიგდო ლაპარაკი იმაზე, თუ რა ამბავია ჩვენში: მე მოვუყევი ძალაუნებურათ ეს და დავაბოლოვე: ხალხის დარაზმვა გრძელდება, ის მზათაა გამოსვლისთვის, თვით ლოზ. კონფერენციის დროისთვის ეპირებოდენ ამას, მაგრამ, ერთის მხრით, უიმედობა თქვენი დახმარებისა, როგორც განზრახული იყო, და, მეორეს მხრით, შიში ოსმალეთის მხრით, – არ გვაძლევდა საფუძველს

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ.65.

დაგვედასტურებია აქედან ჩვენ, ხალხის გამოსვლა. პერეტიმ მოისმინა ეს და ბოლოს თქვა: სხვანაირათ თქვენ არ შეგეძლოთ, მესმის.

ზემო თქმულიდან რამე საბოლოო დასკვნის გამოტანა ნაადრევია, რა თქმა უნდა, ამაზე კიდევ გვექნება ლაპარაკი შემდეგ, მაგრამ ერთი მაინც ცხადია: ეხლა ნაკლებ ფიქრობენ ზაფხულის კომბინაციაზე. მიზეზი იგივეა, რაც ყოველთვის: რეინზე მიჯაჭვული არიან, და რუსეთისკენ იჭვრიტებიან. საინტერესო იყო, რომ პერეტიმ გამართლება დააპირა Temps ხაზის (იხ. ანგარიში). ბარერმაც მითხრა პირადათ, რომ მან შესჩივლა პუანკარეს მის შესახებ. ჩემის აზრით, ჯერ არაფერი უნდა იყოს სერიოზული პარიზსა და მოსკოვს შორის. ცხადია მხოლოდ, რომ პირველი ერიდება მეორის გაღიზიანებას. ასე რომ, თუ გენუაში ფრანგები უდგენ კრიჭაში რუსებს, აქ ინგლისელნი გამოდიან ამ როლში.

რაც შეეხება აქაურ მუშაობას, იგი შეჩერებულია თითქმის პარიზის თათბირის გამო, და, თუ იქ ვერ მორიგდენ, აქაც იქონიებს გავლენას. მე მხოლოდ გუშინწინ ჩამოვბრუნდი აქ, პარიზში ვიყავი იმიტომ, რომ ზოგიერთი კითხვები გამომერკვია. მაგ., თქვენ იცით ჩემი მოხსენებიდან, რომ აქ გავაბი ლაპარაკი ინგლ.-თან და მექნება უფრო სერიოზ. შეხვედრებიც, თუ კონფერენციამ ნორმალ. მსვლელობა მიიღო. უნდა ითქვას, საშობოთ ჩვენს კომბინაციებს ინტერესით ეკიდებოდენ ისინი და სხვანაირადაც არ შეიძლებოდა, რადგან მთელი ცდა შავ ზღვაზე თავისუფლათ გასვლისა ბოლოს და ბოლოს კავკასიისკენ იყო მიმართული. ჩვენ არ ვიცით, უბრალო ხერხია თუ არა მათი მხრით ჩვენსკენ ერთგვარი მობრუნება, და ეს აქ ვერ გამოირკვევა, რა თქმა უნდა. ამისათვის ზავი არამც თუ მოწერილი, რატიფიკაციაც უნდა ჰქონდეს მას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პრაქტიკულათ ლაპარაკი ლონდონში.

ასევეა თურქების მიმართაც. ხშირათ ვხვდებით მათ, ძალიან ვეხმატკბილებით, მაგრამ წონა დიდი არა აქვს ასეთ ლაპარაკს. მთავარი არ მინახავს, შემომითვალა ჯერ არ შემიძლიაო – რუსების ეშინია! დამოკიდებულება მათი ფრანგებთან ცოტათი გართულდა: გვიღალატენო, გაიძახოდენ. უკანასკნელათ იმედი აქვთ პარიზში აიშლებიან და ფრანგები ისევ ჩვენსკენ იქნებიან.

ჩვენს წინ სდგას ორი კითხვა, რომელსაც დიდის სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ. 1) ვისთან იქნება ოსმალეთი მომავალში – თუ რუსეთს გამოეთიშა? რომ ოსმალეთი დაუკავშირდება ერთს რომელიმეს, ცხადია, ინგლისს ან საფრანგეთს. განმარტოება მისთვის შეუძლებელი იქნება. ისინი ლაპარაკობენ: საფრანგეთთან უფრო გვეადვილება საერთო ენის გამონახვა, მაგრამ ინგლისი უფრო ძლიერია აღმოსავლეთში. ამიტომ, თუ ინგლისი შეცვლის თავის პოლიტიკას ჩვენს მიმართ, ჩვენც მასთან უნდა ვიქონიოთ ძალა-უნებურათ საქმე... მნიშვნელობა ჩვენთვის ქართ.,[1] ამ კითხვის თავის თავათ ცხადია: ჩვენც იძულებული ვიქნებით ალბათ მომავალში იქვე ვეძიოთ ნავთსაყდური, სადაც ოსმალეთი მიადგება. 2) დიდათ სახიფათოა, რომ ინგლისმა შეგვი-

[1] ბევრი სიტყვა, ისევე, როგორც ამ შემთხვევაში, ჩხენკელთან დაუმთავრებელია და ადრესატს მინიშნებას აძლევს. ეს, ალბათ, გარკვეული დაშიფვრის ფორმა იყო მისთვის.

ტყუოს რამე კომბინაციაში, რომლის ასრულება მას სახეში არა აქვს სერიოზულათ, და ამ მიზეზით საფრანგეთმა ხელი გვკრას მკერდზე! ამიტომ ჩვენი ცდა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ეს ორი დიდი სახელმწიფო მორიგდენ ჩვენს შესახებ, ეს მუდამ ენაზე უნდა გვეკეროს თვითეულთან ლაპარაკის დროს, მორიგება კი მათი საქმეა უმთავრესათ. შესაძლოა ერთმა მიდრეკილებამ გაიმარჯვოს ბოლოს და ბოლოს: საფრანგეთი ინგლისს მიანებებს ახლ. აღმოსავლეთში მოქმედებას, ხოლო ინგლისი – საფრ.-ს რეინზე. ამ შეეთხვევაში არაა საფუძველი აიშალონ ოსმალეთის და ჩვენს გამო. ერთია მხოლოდ დამაფიქრებელი: როდის აღსდგება ძველებური „მეგობრობა" ინგლისსა და ოსმალეთს შორის? მანამდე რუსებს ვერ მოშორდება ოსმალეთი.

თქვენი წერილები, წიგნაკები მომივიდა: „ანექსიის" მასალას გამოვიყენებთ. ორმხრივ მჭრელი კია: ერთის მხრით, ჩვენთვის არაა ხელსაყრელი. ანექსიის კონსტატაცია. ასეთ რამეს საერთო გამოსვლით უპასუხებენ, თორემ ევროპა ადვილათ შეურიგდება მას, მეორეს მხრივ, უნდა გავწიოთ კამპანია, ეს აუცილებელია. ბუდუ უკვე წავიდა აქედან. მასიელის წერილიდან რუსებისადმი იცით, რომ თავმჯდომარენი კერზონი, ბარერი და გარონი თანახმა არიან აღნიშნონ საქართველო ოქმებში, მაგრამ მის მაგიერ ისინი ასე ფიქრობენ თითქოს რუსების, მათ შორის, ბუდუს დაშვებას. შეიძლება ამ „მნარე ფიალას" გაექცა ის. აგრეთვე ის სჭიროდათ ალბათ მოსკოვში ანექსიის დასაკანონებლათ".

ნ. ხ. წერილები საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ მაშინვე ალღო აუღია მას მდგომარეობისათვის: დამოუკიდებლათ გამოსვლა შეუძლებელიაო, ხანგრძლივ პროცესისთვისაც უნდა მზათ ვიყოთ. ამით დაბოლოვდა ჩვენი „დავაც". ერის აზროვნების გადატრიალებას ვერ შესძლებს დროული, გარდამავალი მოვლენები; ჩვენი ერი პატარაა, მას ეჭიერება დრო და ადგილის შერჩევა. ვინც ამბობს: თუ ახლა არა, მერმე ყველაფერი დაკარგულიაო, მას არ სწამს საქმე და უნდა ერთი „გამოსვლით" დაანახვოს საქმის წაგება.[1]

თქვენ კიდევ იკვირვებთ არევ-დარევას პარიზში. სხვების შესახებ მე ვერას გეტყვით, ერთი კი უნდა მოგაგონოთ. მთავრობის პარიზში ჩამოსვლიდან მაშინვე გადაწყდა შემდეგი: მიენდოს დიპლომატ. საქმეების წარმოება, რა თქმა უნდა, მთავრობის კონტროლის ქვეშ, ელჩს. ეს თქვენ მოგეწერათ თავის დროზე, როგორც სხვებს. ამ უკანასკნელამდე მუშაობა ნორმალურათ მიდიოდა: გვქონდა მიწერ-მოწერა, გიპასუხებდით შეკითხვებზე, გაწვდიდით სახელმძღვანელო აზრებსაც. ბოლოს თქვენ ამაქციეთ გვერდი და არევ-დარევა კი გიკვირთ!

აკ. ჩხენკელი."[2]

---

[1] ეს სიტყვები ეხებოდა მომავალი ანტისაბჭოთა აჯანყების მზადებას, რასაც იმ კონკრეტულ პირობებში არ ემხრობოდა ჩხენკელი. ის მხარს ჭერდა მის გადატანას მომავლისთვის, როდესაც საამისოდ ყველა ნიადაგი მომზადდებოდა და ქართველი ხალხი ტყუილად არ შეაკვდებოდა მრავალრიცხოვან მტერს. ნოე ხომერიკის სიტყვები მან ჩათვალა ამ ადამიანის აზრის შეცვლად, თუმცა, ხომერიკი საქართველოში ჩამოვიდა აჯანყების ხელმძღვანელობისთვის, ჩეკამ დააპატიმრა და სხვა ორგანიზატორებთან ერთად სიკვდილით დასაჯა.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 66-67.

„ლოზანა. 19. I. 23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

გიგზავნით კონფერენციისათვის გადაცემულ ნოტას „ანექსიის“ შესახებ. მე ეს სიტყვა არ ვახსენე ფორმალურათ, გამოვიყენე მხოლოდ მასალა ძველი თეზისების დასასაბუთებლათ. ასე უნდა მოხდეს ყველა ჩვენს ოფიციალურ ქაღალდებში, სანამ თვით რუსები არ გაუმხელენ ევროპას ფორმალურათ. მხოლოდ მაშინ უნდა გადაიცეს პროტესტი. გთხოვთ გააფრთხილოთ ჩვენები ძველ „ბუნტარებს“ მოგაგონებთ: ემზადებიან საერთო გამოსვლისთვის. არ იციან და არც შეუძლიათ იცოდენ, როდის შესძლებენ ამას, მანამ კი არ თვლიან საჭიროდ რაიმე სახით უპასუხონ ისეთ დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც ეხება ხალხის უფლების შელახვას. მიიწერეთ ერთი მაინც ქნან: ასწერონ, რაც მოხდა, ფორმალურ კვალიფიკაციას ნუ გააკეთებენ, დასახონ როგორც ცდა (покушение), მოაწეროს ხელი ეროვნ. ცენტრმა და გამოგზავნოს. იქნებ მიტინგებიც მოხდეს ყველგან, ქალაქ-სოფლებში და რეზოლუციები. ნოტას გიგზავნი, რა თქმა უნდა, იგივე ხაზი აიღონ, გაამდიდრონ ფაქტებით, ლოზანა კი განზე დატოვონ. თორემ სრულიად უხმაუროთ ჩატარება საშიშია. ლონდონიდან გავრცელდა, მაგ., დეპეშა: საქ-ლოს ანექსია გაუკეთეს, იგი არ არის უკვე დამოუკიდებელი ერთეულიო. ამას ზედ რომ დართოდა რამე გამოხმაურება, სხვა იყო.

სამწუხაროა, რომ თავმჯდომარეს შეკითხვა ბათუმის შესახებ შემცდარათ მოუცია: მე მას გავუგზავნე თვით თქვენი წერილი, მაშასადამე, გაუგებრობა და თვით შეკითხვა სრულიად მეტი იყო. გეკითხებით, მართალია თუ არა ესა და ეს მიგიწერიათ ელჩისთვისო, და წერილი კი ხელში ჰქონდა თქვენი და ხედავდა, რაც მოიწერეთ! რაც შეეხება კითხვის არსებით მხარეს, თქვენ გადაჭარბებულ ოპტიმიზმს იჩენთ. ევროპა ისე დაუძლურდა, რომ თურქებიც არ ეპუებიან მას. ერთ მშვენიერ დღეს, თურქმა რომ ბათუმი კი არა, თფილისი და ბაქოც აიღოს, დღევანდელ უილაჯობის ხანაში არავინ შეედავება, ზოგი კი მოურიგდება მას, რომ ეკონომიურათ ისარგებლოს ჩვენი სიმდიდრით. ჩვენ გვმართებს უდიდესი სიფრთხილე ამ ხანად, თურქს არ უნდა დავენდოთ, თუ რომელიმე დიდი სახელმწიფო არა გვყავს თავდებად. ლოზანაში არიან ქემალისტები, მაგრამ არიან ორიოდე ძველი „ჟონ-თურქებიც“. მაგ., ჯავად ბეის (ძველ. ფინ. მინისტ.) არ სწამს, რომ ქემალისტები ასე ადვილათ დაშორდებიან მოსკოვს. თუ არჩევნები არ მოხდა და მთავრობა უფრო შორსმჭვრეტი არ გაჩნდა სტამბოლში, ავანტიურებს ჩქარა არ მოელება ბოლოვო. იმასვე ლაპარაკობს ხუსლინ ჰაჯიდ ბეი, ტანანას რედაქტორი. ვასახელებ მათ, რომ იქონიოთ მათთან საქმე, როცა ჩამოვლენ მანდ. მერმე ევროპის „ნგრევის“ გამო (რური) ძალიან ცუდი დრო დგება. ომით გათავდებოდეს რუსეთის ჩარევით სხვაა, ისე კი იქნება მუდმივი კოფლიქტები და შიში შიგნით, გარეთ უყურადღებობა: ჩვენს მიმართ.

სხვა პარტიების შესახებ რასაც იწერებით, სრულიად გეთანხმებით, მა-

გრამ ეს გაცილებით ადრე იყო გასაკეთებელი, ჩემმა ცდამ ამაოდ ჩამიარა ამ მხრივ. სხვებს კი თხოვენ ლოიალობას!

ა. ჩ."[1]

„ლოზანა. 2. II. 23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

მივიღე თქვენი წერილი 26.I თარიღით, აგრეთვე პოლიტ. ანგარიში, უკანასკნელი ჯერ არ წამიკითხია უდროობის გამო. არ ვიცი, მოგდიოდათ თუ არა ჩემი მოხსენებათა ასლები მთავრობისთვის, უკანასკნელათ თავმჯდომარემ მოისურვა მისთვის მეგზავნა პირდაპირ, თან არაა მიზანშეწონილი მისი სხვებისთვის გზავნაო. მე მივწერე თქვენთვის გაეკეთებია გამონაკლისი, არ უპასუხნია. პარიზში ჩასვლისას მოვძებნი.

იქაური საქმე ჩვენთვის კარგათ გათავდა. კერზონს ვანერ უმთავრესათ, სხვებიც მას მიყვებოდენ. ა) საქართველო შეტანილი იქნა Procès verbaux-ში თვით რუსების გაუფრთხილებელი თხოვნით. ჩვენც ამას ვთხოულობდით. გაიხსენეთ მასიგლის წერილი თავმჯდომარეთა სახელით, რუსებმა თანხმობის ნიშნად პასუხი არ გასცეს. ბ) სრუტეების კონვენციაში, იქ, სადაც ლაპარაკია კომისიაზე, ჩამოთვალეს სახელმწიფოები, რომელთაც უფლება აქვთ წარმომადგენელი გაგზავნონ, მათ შორის რუსეთიც. მაგრამ ჩვენთვის სპეციალურათ დაურთეს ერთი აბზაცი, რომ ეს უფლება ჩვენთვის ინახება, დასახელებული არა ვართ, მართალია, მაგრამ მეტი სხვა ცნობილი სახელმწიფო არ არსებობს. კომენტარები მოხსენებაშია, გ) ჩიჩერინმა განაცხადა გუშინ ხელს არ მოვანერო, მაშასადამე, საქართველოს მაგიერ მის მიერ ხელის მონერა თავის თავათ აიხსნება, ამის უფლებას მას მაინც არ დართავდენ. ასე რომ, არამცთუ უარყოფითი აზრით არ შელახულა ჩვენი სტატუტი, არამედ დადებითი აზრითაც განმტკიცდა იგი.

ინგლისელებთან დაახლოებას ერიდებოდენ უკანასკნელათ. დაწვრილებით მოხსენებაში. მე მინდა აქ მხოლოდ თქვენი ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ სტამბოლში გამოიგზავნა Times-ის ერთ-ერთი რედაქტორი Wr. Sordou, მას დიდ ხანს ელაპარაკა შავიშვილი[2], მე-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 390, ფ. 68.

[2] შავიშვილი, — ხარიტონ შავიშვილი (1886-1975), რევოლუციონერი და დიპლომატი, მის მშობლებს შვიდი შვილი ჰყავდათ, ექესი ეაჟი და ერთი ქალიშვილი. ხარიტონის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უფროსმა ძმამ, ვანომ. სწორედ მან ნაიყვანა ბათუმში, 1881 ნელს და რევოლუციურ საქმიანობაში ჩააბა. აქ დაუახლოვდა სოციალ–დემოკრატებს – ისიდორე რამიშვილს, ნოე ხომერიკს, ბენია ჩხიკვიშვილს, ნოე რამიშვილს. აქვე გაიცნო ნოე ჟორდანია და იოსებ სტალინი. რევოლუციური მოღვაწეობა ჭიათურაში გააგრძელა, საიდანაც ქუთაისში გადავიდა. 1906 ნელს დააპატიმრეს, ჯერ მეტეხის ციხეში ჰყავდათ, შემდეგ ციმბირში გადაასახლეს. სხვადასხვა საპყრობილეში გაიცნო ცნობილი რევოლუციონერები, მათ შორის ლევ ტროცკი. 1908 ნლის გაზაფხულზე მოახერხა ციმბირიდან გაქცევა, გადალახა რუსეთი, პოლონეთი და საბოლოოდ შვეიცარიაში აღმოჩნდა, სადაც უფროსი ძმა, ვანო ეგულებოდა. ჟენევაში ძალიან ახალგაზრდა, 21 ნლისა ჩავიდა. იქ გაიცნო ლენინი. ახლო ურთიერთობა ჰქონდა მენშევიკთა ბელადებთან – პლეხანოვსა და მარტოვთან. ეს ყველაფერი ხარიტონ შავიშვილს დაწვრილებით აქვს აღნერილი 1974 ნელს ჟენევაში, ფრანგულ ენაზე გამოცემულ ნიგნში – „რუსი რევოლუციონერები ჟენევაში 1908 ნელს". 1918 ნლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილმა პირმა მიხეილ სუმბათაშვილმა ხარიტონ შაეიშვილთან ერთად ბერნში დააარსა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგნელობა. 1918 ნლის ნოემბერში ხარიტონ შავიშვილი ჟენევაში, ერთა ლიგაში საქართველოს წარმომადგენლად დაინიშნა.

მუარიც კი შეადგინა ნათქვამიდან, გვითხრა Times-ერთ-ერთი რედაქტორი, მისტერ სერდენი, რომელიც საუზმედ გვყავდა, და დასძინა – გორდონი დარჩება სტამბოლში და მუშაობას გასწევსო. საჭიროა უთუოთ მოიკითხოთ, დაუახლოვდით თანდათან. ბევრი ცრუმორწმუნეობა ჰქონდა ჩვენი ახლო წარსულზე, ბევრში მართალიც იყო, კონსერვატორია მტკიცე, სანდოა, მისგან იქნება ბევრი რამ დამოკიდებული გაზეთში.

ვნახე ისმეთი, რიზა ნური, მალავენ თავის აზრს, ეშინიათ რუსების, ზავის შემდეგ არ ვიცით, რას იქმენ. ცხადია, რუსეთისგან გამოთიშვა შესაძლებელია მათთვის, თუ მეგობარს იშოვიან სხვას. ეს ალბათ ინგლისია, მაგრამ მათ შორის ჯერ ორმოა. ზავიც ბენზე კიდია, ამის მოსვლამდე გეცოდინებათ შედეგი. ფრანგებს რომ სისუსტე არ გამოეჩინათ, უთუოთ მოინერდენ.

ხუსეინ ჯაჰიდ ბეის[1] დავუახლოვდით, მისმა „ტანინმა" უკლებლათ გამოაქვეყნა ჩემი უკანასკნელი ნოტა. ახალაგზ. თურქთა ტვინია, აქ მასზე უკეთესი არავინაა მათში. უთუოთ უნდა დაუახლოვდეთ. ჟურნალ ორიენტის რედაქტორი კარასო გავიცანი, ჩემი ინტერვიუ გავუგზავნე, დიდი სურვილი გამოიჩინა ჩვენთან კავშირისა, ვწერ თქვენ საყურადღებოთ.

აკ. ჩხენკელი."[2]

„პარიზი. 17. II. 23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

გიგზავნით უკანასკნელ (მეოთხე) კორესპონდენციას „ლოზანადან".

1921 წლის თებერვალში საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ხარიტონ შავიშვილი ჟენევაში დარჩა და 1934 წლამდე აგრძელებდა მოღვაწეობას ერთა ლიგაში როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი. იგი იყო ერთა ლიგის საერთაშორისო ასოციაციების გაერთიანების გენერალური საბჭოს წევრი და მონაწილეობდა ამ გაერთიანების ყოველწლიურ შეკრებებში ევროპის დიდ ქალაქებში. არაერთხელ გამოსულა ერთა ლიგის სხდომაზე საბჭოთა კავშირის მძაფრი კრიტიკით. ცნობილია მისი გამოსვლა გაეროში 1934 წელს, როდესაც საბჭოთა რუსეთს ბრალი დასდო საიდუმლო შეიარაღებაში. 1918 წლის ნოემბერში ხარიტონ შავიშვილმა ბერნში დააარსა ქართული პრესის ბიურო, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. 25 წლის განმავლობაში ბიურო ყოველთვიურად აქვეყნებდა ცნობებს საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მსოფლიო პრესაში, თუმცა 1921 წლის შემდეგ ოფიციალურად აკრძალული ჰქონდა ინფორმაციის გავრცელება. 1925 წელს ხარიტონ შავიშვილმა "ჟურნალ დე ჟენევე"-ის რედაქტორ ჟან მარტენთან ერთად შვეიცარიაში დააარსა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ბრძოლა მოსკოვის მიერ საქართველოს შესახებ გავრცელებული ცილისწამების წინააღმდეგ. კომიტეტში შედიოდნენ შვეიცარიის ყველა პარტიის – ლიბერალების, რადიკალების, კონსერვატორებისა და სოციალისტების, აგრეთვე, ჟენევაში გამომავალი ყველა გაზეთის რედაქციის წარმომადგენლები. ხარიტონ შავიშვილი 1975 წლის 27 იანვარს 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ჟენევის კოლონის სასაფლაოზე. პატივისცემის ნიშნად ჟენეველმა სოციალისტებმა სამუდამოდ შეისყიდეს სასაფლაოს ნაკვეთი, ხოლო უცხოეთის ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოებამ სამშობლოს წინაშე განეული ღვაწლისთვის მიანიჭა თავადის (Prince) ტიტული.

[1] ჰუსეინ ჯაჰიდ ბეი, — იალჩინ ჰუსეინ ჯაჰიდ (1875-1957), თურქი პუბლიცისტი, მწერალი და პოლიტიკოსი, გაზეთ „ტანინის" რედაქტორი, ანტანტის მიერ კონსტანტინოპოლის დაკავების შემდეგ გაასახლეს კუნძულ მალტაზე, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ გამოსცემდა გაზეთს, მაგრამ აკრძალეს მემარჯვენე მიმართულების გამო. იყო ოსმალეთის პარლამენტის დეპუტატი. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გაზეთის-„ულუსის" ერთ-ერთი რედაქტორი. თურქული ნაციონალიზმის მიმდევარი.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 69.

თქვენი დეპეშა მისამართის შესახებ მივიღე. არ ველოდი ახსნას ფოსტით. იქნება რამე ინციდენტს ჰქონდა ადგილი, ან კიდევ ჩვენი მდგომარეობა უფრო დელიკატური გახდა. იქნება ახალი ბატონების წყალობით. მე უნდა გთხოვოთ გამეორებით ყველა ინფორმაციები, ორი ცალი აგზავნოთ პარიზში, ერთი მთავრობისთვის და ერთიც საელჩოსთვის. უკანასკნელი, მაგი, მე არ მიმიღია (ზინოვიევის[1] შესახებ) და ჯერ კიდევ ვერ ჩავიგდე ხელში. მე კი მჭირია ჩემი მუშაობისათვის, უამისოთ ოფიციალური შეხვედრებიც უხერხული გამოდის ჩვენთვის, პირველი ამას მკითხავენ, რა ამბავია ჩვენში. ჩვეულებრივ თვითეულ ინფორმაციას მე ვიყენებ ჩემთვის, ვაწერინებ მოკლე კომუნიკე-ს და ძალიან მადლიერი მრჩებიან, როცა გადავცემ a titre prik. ამასთანავე თქვენ რომ განაგრძობთ ალბათ ინფორმაციის მიწოდებას ლონდონში, რომში და ბერლინში. ეს აუცილებელია თუ გვინდა გამუდმებით ვასაზრდოოთ ინტერესი ჩვენდამი. მე გთხოვთ უგზავნოთ აგრეთვე სალაყაიას ვარშავაში და შავიშვილს ჟენევაში (უკანასკნელის მისამართი: 10, rue de l'aubérine). ჩემი დაკვირვებით, ხალხთა ლიგის სეკრეტარიატი ძალიან ყურადღებით გვეპყრობა, თხოულობს მასალებს ჩვენი ქვეყნის შესახებ. შავიშვილიც თითქოს ოფიციალური დელეგატი იყოს სახალხო ლიგის წინაშე, ისე კარგათ ღებულობენ. სამწუხაროთ, მას ვერ აძლევს მთავრობა გასამრჯელოს (უგზავნიან 300 ფრანგ. ფრ. ნვრილი ხარჯებისათვის), ისე კი დაუზოგველათ მუშაობს. სალაყაია თქვენც გწერთ ალბათ, რამდენათ საჭიროა მისთვის ინფორმაცია. მე გადმომცეს ძალიან შეამცირეს თქვენი შტატებიო, შეიძლება გაგიჭირდეთ, მაგრამ რა უნდა ექნა სხვაფრივ არ ეიცი, მე უნდა გთხოვოთ მაინც.

გობეჩიამ გადმომცა, სხ. შ., რომ ეროვნულ ცენტრს ყველა ჩვენი მუშაობის შესახებ არაფერი მიდიოდაო! რაღაც ერთხელ თუ ორხელ ნაუკითხიათ თავმჯდომარის წერილი. პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია. ჩვენ აქ უცხოეთში ინტენსიურ მუშაობას ვეწევით, განვლეთ უკვე რამდენიმე ხანა მუშაობისა, ვწერთ განუწყვეტლივ და ერ. ცენტრმა კი არაფერი იცის. ყველა ეს ს. დ. პარტიას, ან უკეთ ცე-კას თავის სადიდებლად უქცევია! თქვენ ინერებოდით, რომ ჩვენ, ქართველებს, დასამალავი არაფერი გვაქვს ერთმანეთთანო, განურჩევლათ პარტიასი, მაგრამ მე წარმოდგენილად არ მქონდა, თუ იმ ზომამდე მალავდა ერთი პარტია ყველაფერს. პირდაპირ სასოწარკვეთილებას ეძლევი, გეკარგვის ხალისი მუშაობისა, როცა ხედავ ასეთ უნაყოფობას. ასე ერის საქმის წარმოება შეუძლებელია. მე არ ვამბობ ფულების ხარჯვაზე, ნათესავებსაც არ ვწერ, ერთად ერთი გადამცემი ინსტანცია თქვენა ხართ საელჩოსათვის აქაც, ლონდონში და რომში, ბერლინიდანაც. თქვენ, უჩვეულოდ გზავნიდით სისტემატიურათ ინფორმაციას, მხოლოდ ადგილობრივ ის არ ეძლეოდა ერ. ცენტრს. მე გთხოვდით, იქნებ შეგეძლოთ მაცნობოთ, როგორაა ახლა ეს საქმე, შეიძლება თუ არა reinede S.

[1] ზინოვიევი, — გრიგორი ევსეევის ძე ზინოვიევი, ნამდვილი გვარი რადომისლსკი (1883-1936), რუსი ბოლშევიკი, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ლენინის თანამებრძოლი, კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, იყო სხვადასხვა მაღალ პარტიულ თანამდებობებზე. შეეწირა სტალინურ რეპრესიებს, დახვრიტეს 1936 წელს.

მე ველი თქვენგან ცნობას, ინახულეთ თუ არა სამივე მოკავშირეთა მისსიები ლოზანის შემდეგ, საჭირო იქნება ??? იყოლიოთ ჩემი მოხსენებების ძალით, თვითეულს თავისი დოზა, რა თქმა უნდა. უნდა აჩვენოთ სრუტეების კონვენციის 12 მუხლი. მასიგლის წერილი, მათ მადლობა უნდა გადუხადოთ, მიუხედავათ იმისა, რომ, შეიძლება, ერთი ნაკლებია, მეორე მეტი ღირსი ამისა...

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 18. III. 23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

თქვენი წერილები (ორი) მივიღე. რასაც თურქებზე იწერებით, სრული სიმართლეა. სანამ თავათ არ დაინახავენ საფრთხეს ჩრდილოეთიდან, ან სანამ ერთი ვინმე დიდი ევროპიდან არ შეიყვანს მათ თავის საერთო პოლიტიკის სისტემაში, მანამ ისინი არ მოისურვებენ ჩვენთან სერიოზულ ლაპარაკს. აკი იმიტომ გწერდით არაერთხელ, უაზროა, თუ გნებავთ, მავნეც მათ რამე ავანსები მივცეთ ჩვენი თაოსნობით. ეს იმას არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ არ გმართებთ მათთან განუწყნარებელი მიმოსვლა და კავშირი. პირიქით, უნდა ვებაასოთ მათ ჩვენ საქმეებზე. ხშირათ ძალიან სასარგებლოა საერთო თემაზედაც ჩამოვუგდოთ ლაპარაკი: ევროპის სიტუაციაზე, ინგლისის რუსეთთან დაახლოების შესაძლებლობაზე, საფრანგეთი თითქოს დგება ამ გზაზე, თუ ნამეტანი გააჭიანურეს, შეიძლება მთლათ გარიყული დარჩენ. თქვენ კითხულობთ ალბათ, ინგლისში ბევრს წერენ რუსეთთან შეთანხმებაზე, მთავარი მიზეზი ისაა, ყველა ერთხმათ აღიარებს ბოლშევიკების გადაგდება ჩქარა მომავალში არ შეიძლებაო... რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არის მეტი შანსები, რომ ინგლისი დაუპირისპირდება რუსეთს, გერმანიაც გვერდში ამოიყენოს იქნება; ისიც საფ.-ის მიდრეკილება – რუსეთი, პოლონეთი, მცირე ანტანტა, იტალიასაც ეპოტინებიან. თურქეთს აქედანაც მოელის ხიფათი, მით უფრო, რომ ფრანგებს გული გაუტყდათ მათზე. რატომ არ მომწერეთ, ნახულობთ თუ არა „ტანინის" დირექტორს ხუსეინ ჯაჰიდ ბეის, ჩემის შთაბეჭდილებით ეს მომავლის კაცია.

ინგლისიდან ერთი ცუდი ნიშნის ამბავი მომივიდა: ჯერ იყო და მთლად გააუქმეს F. O.-ში საქართველოს და საზოგადოთ ამიერ-კავკასიის განყოფილება, მაგრამ ჩვენი საქმეები მაინც აღმოსავლეთის დეპარტამენტს ექვემდებარებოდა, სადაც ნაცნობები და მეგობრები გვყვანდა; ეხლა კი ჩვენი საქმეები ჩრდილოეთის დეპარტამენტისათვის გადაუციათ, ე. ი. რუსეთისას! უთქვამთ, ამათ ასე ნუ გაიგებთო, პრაქტიკული მოსაზრებით არის გამოწვეულიო. გეეპყრობიან უკეთ, უეჭველად ლოზანის შემდეგ. მე ჯერ კიდევ ვერ წავედი ლონდონში, თუმცა ამას მოითხოვენ ჩვენები. დიპ. ვიზას არ მაძლევენ, მაგრამ მთავარი მიზეზი ისაა, რომ, სანამ ზავი არაა, ინგლისელი არაფერს გეტყვის. სუმბათოვისგან მომდის ყოველ კვირა ცნობები, ნახულობს ბევრ ხალხს, ელაპარაკება იმას, რასაც აქედან ვწერ.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 70.

ჯერ ჯერობით პრაქტიკულათ არაფერი გამოდის. კერზონს აქვს თავში ჩვენი საქმე, ამას აშკარად გვეუბნებიან, მაგრამ მისი ნახვა ხომ შეუძლებელია. ისინი ნახვასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას აწერენ, ამიტომაც ასე ძნელია დიდების ნახვა.

გწერდით წინათ და კიდევ უნდა გავიმეორო, რომ აუცილებელია მანდ მუსაიფი პრაქტიკულ თემაზე ინგლ. ხალხთან. მხოლოდ მათ შეუძლიათ ჩააგონონ ლონდონს რამე. მათ ხომ იციან კარგათ ჩვენი მდგომარეობა ცხადია: მქონდა შემთხვევა მათ ინფორმაციას გავცნობოდი ჩვენ შესახებ: გაცილებით უფრო საფუძვლიანია, ვინემ რასაც ჩვენ ვღებულობთ. რასაც ვალენტინი იწერება გაზაფხულის შესახებ, შეიძლებოდა კითხვის სახით დაგეესვათ მათთვის: როგორ შეხედავენ, რას უნდა მოველოდოთ მათგან, გვირჩევენ თუ არა?

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 11.IV.23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

თქვენი წერილი ერთი ინტერვიუ-თურთ მივიღე. თქვენ იცით ჩემი აზრი თურქების შესახებ, რომელიც თქვენისგან არ განირჩევა. თავისთავად საყურადღებოა, რომ ზოგიერთი გავლენიანი თურქი არ ერიდება უკვე აშკარათ გვითხრას, რომ ისინი არ დაგეცემენ ზურგში დანას. ნინეთ ისინი გაურბოდნენ ამას. ეს პროგრესია უეჭველათ, და მომასწავებელია იმისი, რომ ისინი გრძნობენ მოსკოვთან აშლას ამ ჩქარა მომავალში. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა თქვენ მიერ გამოგზავნილი ამონაწერები თურქული პრესიდან. თქვენთან მოსაუბრე თურქის ნათქვამი ბათუმისა, ახალციხე-ახალქალაქის შესახებ დამახასიათებელია და მაჩვენებელია იმისა, რომ ისინი გაუსწორებელი არიან. თქვენ კარგა გიქნიათ, რომ კონკრეტულათ არ გილაპარაკნიათ ამ საგანზე, ისე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი თავიანთ მადას არასგზით არ შეკვეცენ. ძალაუნებურათ უნდა ვუცადოთ ისეთ მომენტს, როცა ისინი უფრო ნათლად დაინახავენ ხიფათს ჩრდილოეთიდან. და თვითონ იქნებიან იძულებული უანგაროთ დაგვიახლოვდნენ. მეორეს მხრივ, საჭიროა რომ ვინმე მესამე დიდი ზურგს გვიმაგრებდეს, როგორც მათ, ისე ჩვენ. ასე რუსეთს ვერ აწყენინებენ ისინი თუ გინდ მალულადაც, რადგან არ კმარა, რომ მათ არ უნდოდეთ მასთან ომი, შეიძლება რუსეთმა თავისთავათ მოისურვოს ეს და არავითარ პასუხისმგებლობასაც არ გრძნობს ამისთვის. მაშასადამე, ჯერ უკეთესია ჩვენთვის ტერიტორ. კითხვებზე არ ვედავოთ მათ. ჩვენთვის საკმარისია თუ ისინი კეთილგანწყობილ ნეიტრალობას დაიკავებენ, ვინცობაა, რამე მოხდეს ამ მხრივ, ცოტა არ იყოს, ოპტიმისტობენ ჩვენში. და ეს თქვენგან ვიცით – და აქაც ლამის იგივე აზრი გაბატონდეს. მე მართალი გითხრათ, არ ვიზიარებ ამას, დანდობა თურქზე შეუძლებელია, თუ ვინმე გარანტი არ გვყავს. თქვენ მიიღებთ, თუ ჯერ არ მიგიღიათ, აქაურ ნაფიქრალს მარკის პასუხად. მე უფრო გარკვეულ პოზიციის მომხრე ვი-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 71.

ყავი, ე. ი. უამბობდი, თუ ეს და ეს პირობები არაა წინდაწინ მიღწეული, არ შეიძლება გამოსვლა მეთქი. აქ კი ზოგიერთები სხვაგვარ ფიქრობენ და შესაძლებლათ მიაჩნიათ არ დაუცადონ... საზოგადოთ ისეთ გადატეხვის ხანას განვიცდით, რომ პირდაპირ ისტორიული დანაშაული იქნებოდა გულის თქმას ავყოლოდით და არ დაგვეცადა მდგომარეობის უფრო ნათლათ გამორკვევისათვის. ის რაც თქვენთვის ინგლისელებს უთქვამთ, ფრიად საყურადღებოა. მზგავს მოტივებს მეც ვიმარჯვებდი აქ კამათის დროს. **არის ერის ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა ცდა და თავის შეკავება უფრო მეტ გამბედაობას მოითხოვს, ვინემ აქტიურობა. დამდგარნი ისედაც ტყვიის წინ, თუ ხელში ჩაუვარდენ, რაც მოსალოდნელია ყოველ წუთს, ისინი ამჯობინებენ გამოსვლას, რომ ძვირათ დაუჯინონ მტერს თავიანთი სიცოცხლე...**[1]

დეპეშით იმიტომ შეგეკითხეთ კათალიკოზის შესახებ, რომ კენტერბერის მთავარ ეპისკოპოზს მისვლია მსოფლიო პატრიარქისაგან დეპეშა: „დაეხმარეთ დატუსაღებულ კათალიკოსსო“ და მან კი ჩვენ მოგვმართა მასალისათვის. ის აპირებს შეკითხვას ლორდთა პალატაში, ცდილობენ თემთა პალატაშიც. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით. F.O.-საც მიუნდვია თავის აგენტისთვის მოსკოვში ნაბიჯი გადაედგა. ერთი სიტყვით, აქ, ლონდონში, მთელი კამპანია იწყება. საჭიროა აცნობოთ ჩვენში ეს და მოითხოვოთ იქიდან უფრო დაწვრილებითი ცნობები. მაშინ ჩვენ შეგვეძლება ოფიციალ. გამოსვლა. აკ. ჩ.“[2]

„პარიზი. 4. V.23.

საქართველოს წარმომადგენლობას სტამბოლში.

არაფერი მიმიღია 14. IV. თარიღის წერილის შემდეგ. მოუთმენლად მოველოდი ჩვენების ახსნა-განმარტებას უკანასკნელი ტერორისტულ აქტების შესახებ საოკუპაციო ძალების მიერ, რით იყო იგი გამოწვეული, ხომ არ ჩავარდნიათ ხელში საიდუმლო საბუთები, შემდეგ რითაა გამონვეული მაღალ ოფიცრების დაჭერა, რაზედაც თქვენ იწერებოდით. აქ ჩაგვივარდა ხელში ზოგიერთი №№ „Заря Востока“, აქ ძალიან ხშირათ ახსენებენ „პარიტეტულ“ კომიტეტს, მის განზრახვებს „აჯანყებისთვის“; მეორე სტამბაც აღმოუჩენიათ, არის მთელი სიები ს.დ.-დან გამოსული ძველი მუშებისა და სხ. მე მაფიქრებს, რამე გარდატეხა არ ხდებოდეს მუშათა წრეებში, შეიძლება ხალხშიც არის ერთგვარი დემორალზაცია.... მთლათ დამავიწყდა, ქართულ კომსომოლების გაჩენა, მათი მონაწილეობა ეკლესიების დარბევა-გამასხარავებაში. ყველა ეს ერთათ აღებული ერთგვარ შთაბეჭდილებას ახდენს გარეშეზე მაინც. ძალიან კარგი იქნებოდა გვცოდნოდა უკეთ, რაშია საქმე.

გიგზავნით მემუარს ორი წლის მუშაობის შესახებ. მას დაერთო თქვენი და სხვების მოკლე მიმოხილვებიც და ერთათ გადაეცა მთავრობას. დაგვიანდა გადაწერა, მანქანა მქონდა ერთი, კიდევ ბერლინში გაკეთებული 1918 წ. მთლათ მოშლილია. ეხლა ფულია თქვენგან თანახმათ დაპირებისა. მა-

[1] საუბარია მომავალ აჯანყებაზე, რომელსაც მხარს არ ჭერდა ჩხენკელი

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 72.

გრამ მანამდე ძალიან მადლობელი ვიქნებოდი, თუ გადააწერინებთ მანდ მანქანაზე მემუარს და რამდენსამე ცალს გამომიგზავნიდით. საიდუმლოთ უნდა იქნეს შენახული.

მთავრობას სურს გააგზავნოს ერთი პირი ანგორაში (საიდუმლოთ – მაჩაბელი) და მომანდო შეგეკითხოთ თქვენ, როგორ შეიძლება მისი იქ გამგზავრება. რა გზით: სტამბოლიდან თუ სმირნიდან. არის თუ არა ჯერ ამის დრო და სხ. მას ექნება მხოლოდ კერძო მისსია, ნიადაგის მოსინჯვა, დამზადება, ზოგიერთ ძველ ნაცნობების ნახვა და სხ. ჯერ არა მაქვს მისგან თანხმობა, მიმაწერინეს მისთვისაც. შეიძლება წასვლამდე, თუ დათანხმდა, ისმეთიც ნახოს კერძოთ. ველი პასუხს, თქვენს აზრს.

ლოზანაში საქმე ჭიანურდება, ჯერ ვერ დავინახეთ საჭიროთ იქ ვისმეს გაგზავნა, შავიშვილი სწევს ერთგვარ მეთვალყურეობას, ნახა ზოგიერთები, მაგრამ საყურადღებო ვერაფერი გაიგო ჯერ. რუსები არ არიან მინვეული, სრუტეების კონვენციას არ მოელის თითქოს შეცვლა და მით ჩვენს სტატუტს არ მოელის ჯერ ხიფათი. თუ მორიგდენ ორივე მხარე, მაშინ შეიძლება დადგეს უკეთესი მომენტი პრაქტიკულ ლაპარაკისთვის და მაშინ გაიგზავნება აქედან ვინმე.

ხალხთა ჰააგის საბჭომ იმსჯელა დახურულ კარებში ჩვენ მიერ მოთხოვნილ ანკეტებზე და, ვინაიდან ის დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვი არ დართავდა ნებას კომისიის ჩვენში გაგზავნაზე, თავის გენერალ-სეკრეტარიატს მიანდო მასალების მოგროვება და შემდეგ სხდომისთვის მოხსენება.

წარმომადგენლობის ბინის შესახებ სტამბოლში მე მაშინვე მივმართე მთავრობას, მაგრამ ჯერეც არ განუხილავთ, სამწუხაროთ. მომავალ ორშაბათისთვის დაისმის კითხვა და კიდეც გავა. ვფიქრობ. აკ. ჩხენკელი."[1]

„ლონდონი 27.VI.23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

თქვენგან არ მიმიღია ინფორმაცია 15 მაღალ ოფიცრის დახვრეტის შესახებ[2]. დეპეშა მივიღეთ კიდევ პარიზში, მხოლოდ ჩვენ ველოდით დაწვრილებით ცნობებს, თუ რა პირობებში მოხდა ეს სიმხეცე და რა მოყვა ამას შედეგად მუშაობის განგრძობის მხრივ. სუმბათაშვილმა მი-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 73.

[2] საუბარია იმ ფაქტზე, რომელიც „სამხედრო ცენტრის" წევრთა ლიკვიდაციას ეხება. ქართველი სამხედროები დააპატიმრეს, გაასამართლეს ანტი-საბჭოთა აჯანყების მონყობის მცდელობისთვის და სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს. სხვადასხვა ნყაროს თანახმად, განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1923 წლის 20 მაისს, თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე. ადამიანები, ვინც დახვრეტილი იქნა „სამხედრო ცენტრში" მონანილეობის ბრალდებით: 1. გენერალი ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი;2. გენერალ-მაიორი ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე; 3. პოლკოვნიკი გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი; 4. პოლკოვნიკი როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილი; 5. გენერალი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი; 6. უმცროსი ოფიცერი ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელი; 7. როტმისტერი სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი; 8. როტმისტერი ფარნაოზ ლევანის ძე ყარალაშვილი; 9. იასონ მათეს ძე კერესელიძე; 10. ოფიცერი ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე; 11. სიმონ იაგორის ძე ჭიაბრიშვილი; 12. პოლკოვნიკი ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი; 13. პოლკოვნიკი ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილი; 14. ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი; 15. დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი.

იღო „კომუნისტის" (23. V.) კომუნიკე აჯანყებისთვის სამზადისზე. ეტყობა, მოღალატე შიგნიდანაა. ერთი სიტყვით, საჭიროა ჩვენების განმარტება: აქ და სხვაგანაც ჩვენ ვსარგებლობთ ამ ამბებით იმ მხრივ, რომ ვაჩვენოთ ქვეყანას რაგვარი მოქმედებაა ჩვენში. მეორეს მხრით, არც კათალიკოზის[1] და ეპისკოპოზების ჩეკაში ჩასმის შესახებ მოგვდის განმარტება. აქ კი ეს შთაბეჭდილებას ახდენს, შეიძლებოდა ამ მხრიდან მიდგომა საქმის, მაგრამ ცნობები გვაკლია. სამწუხაროთ, ეკლესიის საქმეს არ აქცევენ ჩვენები დიდ ყურადღებას. ან შეიძლება პარიზში გაგზავნილი გაქვთ სრული ინფორმაცია, მე არ მომსვლია, მიუხედავათ, თხოვნისა.

მე აქ არ დავრჩები დიდ ხანს. პირობები ერთობ ცუდია ამჟამად. ანგლო-რუსეთის ხელშეკრულების ძალაში დატოვება არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ მისი რამე სჯერა ან ერთსა, ან მეორეს, მაგრამ ინგლისი მაინც ფიქრობს „ლოიალური" დარჩეს მოსკოვის მიმართ და ჩვენ არავითარ იმედებს არ გვაძლევენ დახმარების მხრივ. ამისათვის ეხლა თითქოს ახალი საბაბიც მიეცათ: შენიშვნა, რომ მოსკოვის მოწინააღმდეგე „ემიგრანტებს" არ გაუწევენ დახმარებას, ხელშეკრულებაშია შეტანილი.

არაოფიციალური, მაგრამ მცოდნე პირები კი ამბობენ: სანამ რეპარაციის კრიზისი არ დასრულებულა, მანამ ინგლისს არ შეუძლია სხვის საქმეში ჩაებასო; მას არ სურს ვისმეს მიერ რამე ავანტიურა მოხდეს რუსეთში, უკანასკნელის ომში ჩაბმა კიდევ უფრო გაართულებს საქმესო. მაგრამ, თუ რეპარაციის საკითხში რამე შედეგებს მიაღწიეს და თუ ოსმალოსთან ზავი მოხდა, ინგლისს ისევ გაეხსნება ხელიო... ყოველ შემთხვევაში, კონკრეტულათ არც ესენი ამბობენ, თუ რა სახეს მიიღებს ინგლისის პოლიტიკა შემდეგში, ე. ი. როცა ხელსაყრელი მომენტი დადგება. მაგრამ, მეორეს მხრით, ისიც მართალია, რომ ამის ცოდნა შეუძლებელია აქ. მათი განზრახვების გასაგებათ ყოველი საშუალება დახშულია, მით უფრო, რომ ეს იცის ერთმა ან ორმა პირმა მთელს ინგლისში.

საერთო შთაბეჭდილება ჩემი ისეთია, რომ აქ ამჯობინებენ ბოლშევიკების მიერ რუსეთის გახრწნის პროცესის განგრძობას; არც სხვას დაანებებენ უშველოს მას, შესაძლებელიც რომ იყოს ეს; ევოლუციის არავის სწამს, – მაშასადამე, დაუცდიან დაშლას, როცა ჩვენ თვითონ შეეიძლებთ გამოსვლას ამ ჯოჯოხეთიდან და... მხოლოდ მაშინ მოგვხედავენ!

საუბედუროთ, თურქების მიმართ ყველა სკეპტიციზმს იჩენს, მათგან არაფერი გამოვაო. უკეთეს შემთხვევაში, გვირჩევენ იმუშავეთ თურქებთანო. მაგრამ თურქები მეუბნებოდენ ლოზანაში – არა, ჯერ ევროპა დააინტერესეთო!

გწერთ მოკლეთ, დრო არა მაქვს: ვეცდები პარიზიდან, როცა ჩავალ.

აკ. ჩხენკელი."[2]

---

[1] ფაქტი ეხება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას დაპატიმრებას, რისი მიზეზი გახდა გენუის კონფერენციისადმი უწმინდესის მიმართვა, სადაც მხილებული იყო რუსული აგრესია საქართველოში.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 74.

„პარიზი. 26. VII. 23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

ველი ცნობებს თქვენი მეცადინეობის შესახებ. იქედანაც მოგწერთ თუ რამე გავიგე.

გიგზავნით ამასთანავე ჩემი ნოტის ასლს, რომელიც ეგზავნება ერთსა და იმავე დროს საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობათ. თქვენ მიხვდებით, რა ხიფათის წინ ვდგავართ: რუსები ეცდებიან „კავშირი" იხმარონ ფარად და საქართველოს სახელით ხელი მოაწერონ სტამბოლში კონვენციაზე. მე ვცდილობ აქ და ლონდონში ინსტრუქცია გაგზავნონ სტამბოლში, ამის ხელის შემშლელი, მაგრამ ვშიშობ, რომ რუსის ისტორია ხელს შეუშლის ამას. ამიტომ ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორის ენერგიით ეცდებით თქვენ მანდ მოკავშირეთა წარმომადგენლების წინაშე, რათა მათ ხელი შეუშალონ მოსკოვის განზრახვებს. ლოზანაში შავიშვილმა უკვე გადასცა კონფერენციას მისი დახურვის წინ პატარა ნოტა იმავე აზრის, მიაკერეს საქმეს და კანონიერათ დაინახეს ჩვენი მოთხოვნა. გთხოვთ კარგათ დააკვირდეთ ჩემი ნოტის არგუმენტაციას: მართლაცდა დიდი უგუნურება იქნებოდა, რომ სტამბოლში წაახდინონ ის, რაც ლოზანაში გააკეთეს. თქვენ ეცდებით გაიგოთ მცირე მოხელეთა დახმარებით, რას მისწერენ აქედან, თუ მისწერეს საზოგადოთ.

ერთს გარემოებას ვაქცევ თქვენს ყურადღებას: კონვენციის უკანასკნელი ტექსტი მე მივიღე აქ სამინისტროსაგან და იქ რუსეთი არ სჩანს მონაწილედ, ე. ი. თავში, სადაც ამბობენ – ჩვენ ინგლისი, საფრანგეთი და სხ., რუსეთი სულაც არაა დასახელებული (პირვანდელ პროექტებში ის ყველგან დასახელებული იყო) და მოქცეულია მხოლოდ მე-19 მუხლში, როგორც ნოტიდან დაინახავთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ის გათანასწორებულია საქართველოსთან იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი არაა დასახელებული, არამედ ნაგულისხმევი. ამ ალინეას საზგადოთ „ქართულ" ალინეას ეძახოდენ ლოზანაში, წინა პროექტებში იგი არ იყო და მხოლოდ ორი ალინეასაგან შედგებოდა მუხლი. ჩვენი ფორმულა თვით კერზონს ეკუთვნის. მე გნერდით თავის დროზე, მასიგლის წერილიც მანდ გაქვთ. ყველა ამას იმიტომ გწერთ, რომ წარმოუდგენელია ის, რაც ტექსტშია, წაშალონ იორდანსკის[1] ხელის მოწერით. მათ, ე. ი. მოკავშირეთა წარმომადგენელთ ამის უფლება არა აქვთ. აქ არის მხოლოდ უშუალო ხელის მოწერაზე დასწრება. იორდანსკი მოინდომებს ალბათ მოაწეროს: მე დელეგატი რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ამიერ–კავკასიის კავშირის მთავრობათა და სხ. ამიერკავკასიაში კი საქართველო იგულისხმება. ამით ჩვენს ადგილს კომისიაში რუსეთი დაიკავებს და ოქმებში საქართველოს ცალკე შეტანა უხმოდ დარჩება. ეს თავის თავათ საინტერესო კაზუსია: ცალმხრივ ხელის მოწერას რუსების მხრით აქვს თუ არა ძალა გააბათი-

[1] იორდანსკი, — ნიკალაი ივანეს ძე იორდანსკი (1876-1928), რევოლუციონერი, ჟურნალისტი, საბჭოთა რუსეთის დიპლომატი.

ლოს თვით ტექსტის ესა თუ ის ადგილი, აქ კი ლაპარაკია რუსეთზე და საქართველოზე ცალ-ცალკე: მაშინებს ის, რომ რუსი აწერს ხელს სხვების გვერდით, მაგრამ ყველა ეს თეორიული მსჯელობაა, ჩვენც გვაინტერესებს პრაქტიკა. არ გვითხრან შემდეგ საქართველოს მაგიერ ხელმოწერილია და მის მაგივრობას სწევს „კავშირი", იგივე რუსეთი.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 7.VIII.23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

ამასთანავე გიგზავნით ედ-მემუარს, რომელიც ამ დღეებში გადავეცი პოლონეთის ელჩს, სიტყვიერი მოლაპარაკების შემდეგ, მისი მთავრობისათვის. გადავეცი იგი აგრეთვე პუანკარეს სათანადო საწინამძღოლო ნოტითურთ, სადაც ვთხოვ მას მეგობრულ დახმარებას ვარშავის მთავრობის წინაშე. ცნობა პირველათ ვარშავიდან მომივიდა, მერმე ელჩმა დამიდასტურა და გამანდო ისიც, რომ მას თხოვს მისი მთავრობა გაიგოს ვე-დორსეს აზრი. ჯერ არ ვიცით საბოლოოთ, რა უთხრეს მას, მხოლოდ პირველ შეხვედრაზე თითქოს არ ურჩიეს ასეთი საქმის ჩადენა: ამ რიგათ, როგორც ხედავთ, პოლონეთის დღევანდელი მთავრობა პირველი აპირებს გამოეთიშოს მოკავშირეთ ჩვენს საკითხში. თქვენი წერილიდან, 28. VIII, არა სჩანს, რომ თქვენ ანგარიშს უწევთ პოლიტიკურ ცვლილებას ვარშავაში ამ უკანასკნელით, იქ ეხლა მოსკოვთან მორიგებაზე ფიქრობენ, თან ლოძი დაეძებს ბაზარს...

ჩემს წერილს 27. VII თარიღით მიიღებდით. მას შემდეგ შეცვალეს გეგმა: იორდანსკიმ რომში უნდა მოაწეროს ხელიო. მეც ამ მიმართულებით ვმეცადინეობ. ლონდონში თითქოს უფრო მხურვალეთ მოეპყრენ ჩვენს საქმეს, თუმცა აქაც არ გვიწყვეტენ იმედს. ვნახოთ.

ლოზანის ზავის შემდეგ მართლაც უნდა ველოდეთ რამე ახალ სიოს ოსმალეთში, თუმცა, როგორც მე გწერდით კიდევ ლონდონიდან, აქ სკეპტიციზმია გაბატონებული ამ მხრივ. ბოლოს ისიც მითხრეს, სადაც ჯერ არს, რომ თურქს ნუ ენდობითო. არ გაგიტანთო. იქ ფიქრობენ, რომ თურქი ჯერ კიდევ დიდ ხანს იჯამბაზებს, სანამ ჩამოშორდება მოსკოვს: რამდენათაც მე შევაფასე მდგომარეობა, ინგლისიც არ ჩქარობს, დაცდის ტაქტიკას ადგია. ყოველ შემთხვევაში, თვითონ არ მიმართავს ოსმალეთს რჩევით დაიწყოს ჩვენი მუშაობა კავკასიის რუსებისგან გაწმენდის მიზნით. ასეთია ტაქტიკა სპარსეთის მიმართაც. ერთი სიტყვით, ცდიან მომენტს, როცა ეს ორი სამაჰმადიანო ქვეყანა, იმედგაცრუებულნი რუსეთისაგან და ნივთიერ გაჭირვებაში ჩავარდნილნი, თვითონ მიმართავენ ინგლისს შველისათვის: აი, მაშინ ჩასჭიდებენ ხელს და გარანტიებსაც მოითხოვენ. აღმოსავლეთი გარყვნეს ბოლშევიკებმაო, — გაიძახიან ლონდონში, მათ სიტყვას ვერ დაენდობიო.

უკანასკნელათ ლონდონში ჩამოვიდა Time-ს კორესპონდენტი გორდონი, რომელზედაც მე კიდევ ლოზანიდნ გწერდით და გთხოვდით მასთან

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 75.

დაახლოებას. როცა გავიგე მისგან, რომ მას არ ჰქონია თქვენთან შეხვედრა, ძლიერ შევწუხდი, ვინაიდან მან დაჰყო მანდ 6 თვე და ჩამოსვლისას მაშინვე გაუკეთა მან ვრცელი მოხსენება პირადათ კერზონს და ამერის ცალ-ცალკე. მას ჰქონია შეხვედრა კედიასთან[1] და ოფიცერ შალიკაშვილთან[2]. საერთოთ კარგათ უყურებს ჩვენს ქვეყანას, დარწმუნებული ვარ,

[1] კედია, — მიხეილ კედია (1902-1953), — იურისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა ზუგდიდში. მამა – მელქისედეკ (მექი) კედია დამოუკიდებელ საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს „საგანგებო რაზმის" მეთაური იყო. თბილისის I გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ კედია საქართველოს მთავრობამ სხვა ახალგაზრდებთან ერთად სასწავლებლად საზღვარგარეთ გაგზავნა. სწავლობდა ბერლინისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში, იურიდიულ ფაკულტეტზე. 1921 წლიდან ემიგრაციაშია, ცხოვრობდა პარიზში, მუშაობდა უნივერმაღ „ბომარშეში", სხვადასხვა დროს იყო სოციალ–ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წევრი, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" ერთ-ერთი დამაარსებელი, მონაწილეობდა „კავკასიის კონფედერაციის" საქმიანობაში, თანამშრომლობდა ჰაიდარ ბამატის ჟურნალ „კავკასიასთან". მიხეილ ახმეტელის, ალექსანდრე ნიკურაძის, გიორგი მაღალაშვილის და შალვა მაღლაკელიძის მსგავსად, გერმანელთა ნდობით, პოლიტიკური გავლენითა და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა, „აბვერისა" და „გესტაპოს თანამშრომელი, მიხეილ კედია, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს „ქართველი შინდლერი". 1940 წლის შემოდგომაზე, როდესაც ოკუპირებულ პარიზში გერმანიის საგანგებო წარმომადგენელმა გააუქმა პარიზში მოქმედი ქართული წარმომადგენლობა და დააპატიმრეს „ლტოლვილთა ოფისის" მდივანი სოსიპატრე ასათიანი, აუცილებელი გახდა, სასწრაფოდ გამოენახათ ისეთი ვინმე, ვინც გერმანიის ხელისუფლების წინაშე შეძლებდა ქართული ემიგრაციის დაცვას. ეს მისია მიხეილ კედიას დაეკისრა. მან დეპორტაციისაგან იხსნა ქართველი მაჰმადიანები, გერმანელებს დაუმტკიცა, რომ ისინი ისლამის მიმდევარი ქართველები იყვნენ. მალეე გერმანელებმა ქართველი ებრაელების დაპატიმრებებიც დაიწყეს, მათ შორის იყო დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა–მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი (ერთ-ერთი ორგანიზატორი ეროვნული საგანძურის ევაკუაციისა საფარანგეთში). ქართველი ემიგრანტების ჩარევითა და მიხეილ კედიას მოხერხების წყალობით, გერმენელებმა პატიმრობიდან გაანთავისუფლეს იოსებ ელიგულაშვილი. მიხეილ კედიამ შექმნა მითი, რომ ქართველ მაჰმადიანთა მსგავსად, ქართველი ებრაელებიც ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო რწმენით მოსეს რჯულის მიმდევარნი. მიხეილ კედიას შუამდგომლობით მოამზადეს საქართველოში გადმოსასხმელი პარაშუტისტთა ჯგუფი „თამარ პირველი" და „თამარ მეორე". მათი უმრავლესობა მისიის შესრულებისას დაიღუპა, ნაწილი კი დააპატიმრეს. მიხეილ კედია არ ეთანხმებოდა „ნაცისტების მხეცურ პოლიტიკას", ითელებოდა ანტიკომუნისტ და ანტისაბჭოთა პატრიოტად, მეგობრობდა ჰიტლერთან დაპირისპირებულ გავლენიან გერმანელებთან. ერთ-ერთი მათგანი იყო გრაფი ფონ შულენბურგი, რომელიც 1944 წლის 20 აგვისტოს წარუმატებელი შეთქულების შემდეგ ჩამოახრჩვეს. 1944 წლის აპრილში მიხეილ კედიამ გავლენიანი მეგობრების დახმარებით გერმანია- დატოვა და თავი შვეიცარიას შეაფარა. ამგვარად იგი ცდილობდა თავიდან აეცილებინა სასამართლო პროცესი. მას ბრალად ედებოდა გერმანელებთან თანამშრომლობა და ფრანგები „სამხედრო დამნაშავედ" თვლიდნენ. საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა მიხეილ კედიას ინტერნირებას. მას საცხოვრებლად ჟენევა განუსაზღვრეს. 1946 წლის 3 მაისს მან ფიცის ქვეშ მისცა წერილობითი ჩვენება: გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის განმავლობაში მე შევძელი უამრავი ქართველი და სხვა ეროვნების ებრაელი მეხსნა ზოგიერთი გერმანელი ფუნქციონერის დასჯისაგან." მიხეილ კედიას ჩვენებას თან ახლდა დოკუმენტები, რომლებიც მის სიმართლეს ადასტურებდა. ემიგრაციაში ნასვლამდე მიხეილ კედიამ იქორწინა ეალია ფაჩულიაზე, რომელთანაც ქალ–ვაჟი დიკა და ზურაბი შეეძინა. 1953 წ. არტერიოსკლეროზით დაავადებულმა და იმედგაცრუებულმა მიხეილ კედიამ თავი მოიკლა.

[2] ოფიცერი შალიკაშვილი, — დიმიტრი შალიკაშვილი (1896-1947) — სამხედრო პირი. დიმიტრი შალიკაშვილი თბილისში დაიბადა. მამაბისი — იოსებ (სოსიკო) შალიკაშვილი, სამხედრო იყო, მოგვიანებით თავი გაანება სამხედრო სამსახურს და საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო. —1895 წელს იოსებ შალიკაშვილი არჩეულ იქნა სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად. გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით, სამართლიანო-

რომ თქვენს მიზანს მიაღწევთო და სხ. სტამბოლშივე იყო ამერიკელი ბარტონი, მაყაშვილის ქალი ყავს ცოლად. ამაზედაც გწერდით დიდი ხანია, ქართველი პატრიოტი გამხდარა.

ლონდონში ეხლა რამდენიმე საიმედო მეგობარი გვყავს, მზათ არიან იმუშაონ ჩვენთვის, პერსპექტივებიც აქვთ; გვაქვს საშუალება მივაწვდინოთ ჩვენი ხმა საჭირო პირებს, დიდებსაც, საჭიროა მუდმივი სისტემატიური მუშაობა იქ. ჯერ ვერ ხერხდება,, სამწუხაროთ, მე კი არ შემიძლია დავტოვო პარიზი დიდის ხნით.

მან დიდი სამსახური გაგვიწია ლონდონში. ინახულა ბევრი პირი და მისცა ჩვენთვის სასარგებლო „ჩვენება". ეხლა ამერიკაშია და მუშაობს ჩვენთვის. ის ჰუვერისგან იყო გამოგზავნილი, დაჰყო თფილისში ერთი წელი. გორდონს და ბარტონს იმიტომ ვახსენებ ერთათ, რომ ისინი მეგობრებია, მეორემ დიდი გავლენა მოახდინა პირველზე. გორდონმა ცოტა

ბითა და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით. დიმიტრი შალიკაშვილის დედა – ნინო სტაროსელსკაია დიდად განათლებული პიროვნების, 1874-1884 წწ. ბაქოს გუერნატორის, ხოლო მოგვიანებით სენატორისა და კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილის, დიმიტრი სტაროსელსკის ქალიშვილი იყო. იგი ყოველ კეთილ საქმეში გვერდით ედგა თავის ქვისლს ილია ჭავჭავაძეს და ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. 1914 წელს დიმიტრიმ ვერცხლის მედალზე დაამთავრა ვაჟთა პირველი გიმნაზია და პეტერბურგის ვაჟთა კორპუსში ჩაირიცხა. I მსოფლიო ომის დროს იბრძოდა რუსეთ–გერმანიის ფრონტზე. 1918 წ. სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის საქმეში. მსახურობდა საქართველოს სამხედრო სამინისტროს უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებაში.1920 წლის დეკემბერში ორდონანსის ოფიცერი დიმიტრი შალიკაშვილი ქართულ დიპლომატიურ მისიასთან ერთად, საქართველო–თურქეთის საკითხებზე თურქეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ანკარაში იმყოფებოდა. 1921 წ. წითელი არმიის საქართველოში შემოჭრის დროს, იგი ჯერ კიდევ თურქეთში იყო და სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. 1922 წ. ბოლოს, დიმიტრი შალიკაშვილმა, სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად, პოლონეთს შეაფარა თავი. პოლონეთის ხელისუფლებამ საუკეთესო პირობები შეუქმნა ლტოლვილებს. სამხედრო სკოლაში ჩარიცხეს იუნკერები და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ოფიცრის ჩინით სხვადასხვა პოლკებში მიავლინეს. ოფიცრები საცხოვრებლითა და სამსახურით უზრუნველყვეს. 1932 წ. დიმიტრი შალიკაშვილი დაქორწინდა პეტერბურგიდან ვარშავაში ემიგრირებული გენერლის ასულზე – გრაფინია მარია რიუდიგერ–ბელიაევაზე. მასთან შეეძინა სამი შვილი – იოსებ ოთარ შალიკაშვილი, ჯონ მალხაზ შალიკაშვილი და ნინო ალექსანდრა გაალ შალიკაშვილი. 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად პოლონეთის არმია მალე დამარცხდა. პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ ქართველ ოფიცერთა ნაწილი პარტიზანებს შეუერთდა, ნაწილი კი ვერმახტის ქართულ ნაწილებში აღმოჩნდა, რადგან გერმანია მიაჩნდათ საბჭოთა იმპერიისაგან საშშობლოს დასასნელად ერთადერთ რეალურ ძალად. ამ ბრძოლებში ბევრი ქართველი დაიღუპა, გადარჩენილთა ნაწილმა მოასწრო და 1944 წელს საბჭოთა არმიის პოლონეთში შესვლის შემდეგ დასავლეთში გაიხიზნა. მაიორი დიმიტრი შალიკაშვილი 1944 წლის ივნისამდე ნორმანდიაში (ჩრდილოეთ საფრანგეთი), ხოლო ივნისიდან 1945 წლის მაისამდე "ქართული შტაბის" დავალებით ჩრდილოეთ იტალიაში იმყოფებოდა და აქ პატრონობდა აღმოსავლეთ ევროპიდან ლტოლვილ ემიგრანტ და ტყვედ ჩავარდნილ "საბჭოთა ქართველებს". II მსოფლიო ომის შემდეგ დიმიტრი შალიკაშვილის ოჯახმა თავი ბავარიაში მცხოვრებ ნათესაველს შეაფარა. ომში გერმანიის დამარცხებამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა გერმანიის მხარეზე მებრძოლები. 1952 წელს შალიკაშვილები ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდნენ და ილინოისის შტატის ქალაქ პეორიაში დაბინავდნენ. დიმიტრი შალიკაშვილი გარდაიცვალა 1978 წელს. დაკრძალულია ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში. მისი ვაჟები ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამსახურში შევიდნენ. უფროსი, ოთარ შალიკაშვილი გენერლის ჩინით გავიდა თადარიგში. ხოლო უმცროსი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, ამერიკის შეერთებული შტატების პრზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის მთავარი სამხედრო მრჩეველი, ოთხი ვარსკვლავის მქონე გენერალი.

სენსაციური რამ მითხრა: ოსმალეთს გადაწყვეტილი აქვს ისარგებლოს რუსეთის სისუსტით და აიღოს ამიერკავკასია და შემდეგ თურქესტანშიც გააჩაღოს მუშაობაო; აზერბეიჯანს სომხეთითურთ შეიერთებს, ხოლო საქართველოსთან მეგობრულ განწყობილებაში იქნებაო... მე არ ვიცი, როგორ შეხვდენ მის ნათქვამს F.O.-ში, შეიძლება ამიტომ მითხრეს იქ თურქს ნუ ენდობითო! მე ბევრი ვეცადე გამეგო, დაანებებდენ თუ არა ოსმალეთს ბაქოში მოკალათებას, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერი გავიგე; არ თანაუგრძნობენ კი, შეუძლებლად მიაჩნიათ, მაგრამ იმასაც დასძენენ, რომ იარაღით ვერ შესძლებენ ჩარევას: მთავარი მიზეზი რურია.

როგორც ხედავთ, კითხვა არაა ჯერ გარკვეული. ნორმალური დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენა და ლონდონში ოსმალეთის ელჩის ყოლა ალბათ ხელს შეგვიწყობს. სხ. შ. მაჩაბელი მეორეხელ იყო ლოზანაში, მაგრამ ისმეთმა არ მიიღო თითქოს ამ მიზეზით, როგორც თვითონ იწერება, რომ შენ ძველი მთავრობის კაცი ხარო! მე კი მიმიღო და ისიც გაცილებით უარეს დროს.

რაც შეეხება რუსეთს, ლონდონში მოდიოდა ხმები, თითქოს ბოლშევიკები მზათ იყვნენ სრული კაპიტულაციისათვის, ე. ი. ისინი დათმობენ ყველა იმას, რაც მათ გენუაში და ჰააგაში მოთხოვენო. მიზანი კაპიტულაციისა ცნობის მიღწევა არისო: ჩემმა ძიებამ ვერ დამიმტკიცა, რომ ასეთი მომენტი მართლაც დამდაგარიყო, ისიც კი ვიფიქრე, იქნებ ბოლშევიკებმა დაჰყარეს ეს ხმა მეთქი – მაგრამ პირობით შეკითხვაზე მაინც ვიღებდი ყველგან ასეთ პასუხს: თუ რუსებმა დათმეს ყველაფერში, მაშინ ალბათ ვიცნობთო. მეც ამიტომ ვაგონებდი ყველას. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთ პირობად საქ-ს დამოუკიდებლობის აღდგენა დაედოთ. ამ მხრივ, ჩემი შთაბეჭდილებით, უიმედო არაა ჩვენი საქმე. თუ კონფლიქტი ლონდონსა და პარიზს შორის არ გაღრმავდა. მე მითხრეს F.O-ში, თუ ასეთი მომენტი დადგა, ოფიციალურათაც უნდა აღძრა კითხვაო.

ფრიად საყურადღებოა ერთი რჩევაც, რომელიც იქიდანვეა: შეინახეთ ხალხი ფიზიკურათ და მორალურათ, ერიდეთ ყოველგვარ აჯანყებას, თქვენ მარტო ვერას გახდებით, მშველელი არავინაა, გაგწყვეტენ, თავი მოიმკვდარუნეთ შესაფერ დრომდე... ძალიან უკმაყოფილო არიან ჩვენზე, თითქოს უკანასკნელი ხვრეტა ჩვენი ტაქტიკით იყვეს გამოწვეული. რაც შეეხება შეკითხვას, არ იყო სნოუდენის კერძო ინიციატივა. მაკდონალდმა და სხვებმა არ ჰქნეს. შეეკითხენ მხოლოდ კრასინს. გიგზავნით პასუხს. სტენოგრამა მოგივათ. არ უნდა ვთქვათ, რომ ფრაქციას არ ეკუთვნის შეკითხვა. აკ. ჩხენკელი."[1]

„**პარიზი. 13. IX. 23.**

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

თქვენი წერილი 7. IX. თარიღით მივიღე. მივიღე მის ადრე ინფორმაციაც და ერთი დეპეშა. საგარეო სამინისტროდან მიღებული ქაღალდი უკვე მოგივიდათ ალბათ ჩემი კერძო წერილითურთ. შემდეგ ნ. რ.-მა[2] გამოგიგ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ.76-77.
[2] ნოე რამიშვილმა.

ზავნათ დეპეშა, რომელიც გიდასტურებდათ ჩემს კერძო ნათქვამს. ჩვენ მოგვმართეს სამხ. სამინისტროდანაც და შემოგვჩივლეს, თქვენმა წარმომადგენელმა უარი თქვა ნაშთის მიღებაზეო. ჩვენ ავუხსენით, თუ რამდენათ ძნელია ჩვენთვის დღევანდელ პირობებში ამაზე ზრუნვა, და შევთანხმდით ეს საქმე საბოლოოთ მოაწესრიგონ ადგილზე ჩვენ ორის წარმომადგენლებმა. ასე მისწერენ თავისიანს, როგორც მეც გწერთ. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში კი ჩაგვაგდეთ. რაც თქვენი პირველი თხოვნა მოგვივიდა ცოტა რამის დათმობის შესახებ, ავამტვერეთ სამინისტროთა კარები. ვთხოვდით ახალს, აგრეთვე ნაშთს, ვარწმუნებდით კარგათ მოუვარ-თქო – თქვენ ასე იწერებოდით – და ბოლოს ჩავჯექით. განა მე თავიდანვე იჭვით ვუყურებდი მოვლის საქმეს, განვაცხადე კიდეც, მაგრამ არ მომასვენეს და შედეგი უკვე იცით. მართლაც, კითხვა იმაში როდია, ძველია თუ ახალი, არამედ მოვლაში: თუ ახალს მოუვლით, ძველს რატომ ვერ მოუვლითო. მაგრამ ეს ნარსულია. მე ვთქვი, ადგილობრივ მივანდეთ გადაჭრა-თქო, იმ იმედით, შეიძლება რამე გაახერხოთ. სხვა რომ არა იყოს, განაღდებას იქნება რამე თანხა დაეტოვებია. უკანასკნელათ შეფასებული იყო 54.000 ფრ. სამხ. სამინისტროს წარმომადგენელი ფიქრობს საჯარო ვაჭრობაზე გაყიდოს, არ ვიცი, ფულს ჩვენთვის თვლიან თუ არა, როგორც ნაშთს. ჩვენ ვერ დავსვით ეს კითხვა, უხერხული იყო, მაგრამ ჩვენ მაინც იმ აზრისა ვართ, რომ შეიძლებოდა უკიდურეს შემთხვევაში მანდაურებისთვის მიგეხედათ, დაგვიმადლებდენ მაინც. ესაა და ეს.

აუცილებლათ საჭიროა ეხლავე შეუდგეთ პასპორტ-ვიზის საქმის მოგვარებას. გამოდის, თუ ამ მხრივ შეღავათი არ მოგვცენ, ყველაზე უფრო შეურიგებელნიც, მომუშავენიც, მათ, რუსებს, მიმართავდენ. ბერლინში ნახეს გამოსავალი, ვიზას ცალკე ფურცელზე აძლევენ, რომელიც შემდეგ ისპობა, ასე რომ მოსკოვის აგენტები ვერ იხილავენ. თუ ასეთ შეღავათსაც არ მოგვცემენ, აბა რას უნდა მოველოდეთ მათგან. რაც შეეხება მისამართს, ჯერ არაა დიპლ. დამოკიდებულება, ამიტომ ვერიდები უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ. უკეთესია მანდედან დაიწყოთ, მაცნობეთ მე და შემდეგ აქაც გადავდგამ ნაბიჯს. არ უყვართ ასეთი მოყვრობა, რაღაც სახიფათოდ მოეჩვენებათ.

ჩვენც გადმოგვცენ ბევრი რამ შინაურ შფოთზე მანდ, მაგრამ ისიც დასძინეს მოსკოვიტებთან მოლაპარაკებას ხელს უშლის ბათუმზე და აზერბეიჯანზე კამათიო: თითქოს მანდ ეუბნებიან რუსებს, რომ ბათუმი საქართველოს დავუთმეთ და არა რუსეთსო, აზერბეიჯანში სტუმრად ჩამოდით, ეხლა კი მასპინძლად აცხადებთ თავს. თითქოს ანგორაში არის უკვე მთიელთა და თათრების ორგანიზაცია, ჩვენ კი გარიყული ვართ. უსახსრობა, მგონი, არ დაგვანებებს რამე გავაკეთოთ იქ, ეცადეთ მანდ.

პრემიერ ბოლდუინის შვილი მყავდა დღეს საუზმედ. იქნებ გამოგვადგეს შემდეგ.

აკ. ჩხენკელი."[1]

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 81.

„პარიზი. 25. X. 23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

თქვენი ვრცელი წერილი, მასზე ადრე „დეპოს“ სია, მივიღე. ამდენი ხანია ვერ მოგწერეთ, ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, პოლიტიკური სეზონი ეს არის დაიწყო. მთელი ყურადღება მიპყრობილია რეინისაკენ, მდგომარეობა რთულდება და ჩვენთვის ვინ მოიცლის. მოვლენათა ლოლიკა ვინ იცის, სად გადისვრის დიდებს, პატარები თრთიან. მოსკოვი ეცდება თავი შეიკავოს, მაგრამ მისი ჩათრევა მაინც შეუძლებელი არაა... ამ შემთხვევაში შეიძლება ჩვენთვისაც დაჰკრას ჟამმა. ამიტომ მუდმივი სიფხიზლე აუცილებელია. ალბათ ამას კარგათ გრძნობენ ჩვენში, გახსენება მაინც საჭიროა. კარგა ხანია არაფერი მოგვსვლია, ნუთუ რამე მარცხი მოუვიდათ კიდევ? თქვენ იწერებით ოსმალოს ნეიტრალიზებაზე; ეს საეჭვოა, თუმცა სიმძიმის ცენტრი აქ არ არის უკვე. ეხლა უფრო აშკარაა, ვინემ წინეთ, რომ, თუ ოსმალოს უკან არა სდგას ვინმე დიდი, ის ვერაფერს გაბედავს და, რომც გაბედოს, ბოლო სახიფათო იქნება. ამიტომ უნდა მივაწვეთ ისევ დიდებს, მათ აგენტებთან მუსაიფი მანდ დიდათ სასარგებლო იქნება. მოსკოვის მოთხოვნა „კავშირის“ ცნობის შესახებ, რომელზედაც თქვენ იწერებით, საყურადღებოა, კარგი იქნება, თუ გამოარკვევთ, რა პირობები წაუყენა ანგორამ. შეიძლება ის, რაზედაც მე გწერდით? საზოგადოთ ვრცელი ინფორმაცია მოსკოვ-ანგორის ამდენი თვის მოლაპარაკების შესახებ – აი, რა გვეჭირვება. შეუძლებელია ყველაფერი დაიმალოს. თუ ვცდებით „Последния Известия“-ში ვინმე ფედოროვი სწერდა საინტერესო ცნობებს, ადასტურებდა დავას ბათუმის და აზერბეიჯანის შესახებ, ეტყობა, არ ყოფილა შეუძლებელი ამბების გაგება. რატომ ერთხელ მაინც არ მიხვალთ ჯაჰიდთან, „ტანინ“–ის რედაქტორთან? ან იქნებ იყავით და არ მოგიწერიათ. ქემალმა ისე შეტოპა პიროვნულ განდიდების ტალღებში, რომ ის, ეტყობა, მოსკოვის ამხანაგობას არ დატოვებს. წაიკითხავდით კერზონის სიტყვას საიმპერიო კონფერენციაზე: მანამ არ დაეხმარება ფინანსიურათ ინგლისი, სანამ მთავრობა არ გარდაიქმნება ანგორაში, ქემალის მთავრობას არ ენდობიან.

მოსკოვი სარგებლობს ევროპაში გართულებით: ლონდონში კრასინი და რაკოვსკი[1], აქ შეინმანი,[2] ხმაურობენ, ზოგიერთ კონტრაქტებს უკვე მოაწ-

---

[1] რაკოვსკი, — ქრისტიან გიორგის ძე რაკოვსკი (1873-1941). საბჭოთა პოლიტიკური, დიპლომატიური და სახ. მოღვაწე. მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში ბალკანეთის ქვეყნებში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთსა და უკრაინაში. წარმოშობით ბულგარელი. ნამდვილი სახელი და გვარია კრისტია სტანჩევი. 1889 წლიდან მარქსისტი გახდა, აქვს რთული რევოლუციური ბიოგრაფია, 1917 წელს შექმნა საბჭოთა ჩეკას მსგავსი ორგანიზაცია ყირიმში კონტრევოლუციასთან ბრძოლის მიზნით უკრაინასა და რუმინეთში. 1918 წელს სტალინსა და მასუილსკისთან ერთად სამშვიდობო მოლაპარაკებებს მართავდა უკრაინის ცენტრ. რადასთან; 1918 წელს დიპლომატიური მოლაპარაკებებისთვის გაიგზავნა გერმანიაში, საიდანაც ბუხარინთან, იოფეესთან და სხვა თანამგზავრებთან ერთად გამოაძევეს ნოემბრის რევოლუციის მზადებაში ეჭვმიტანილი. 1919-1921 წლებში რუსეთსა და უკრაინაში ეჭირა სხვადასხვა მაღალი თანამდებობები. 1922 წელს საბჭოთა დელეგაციის წევრი იყო გენუის კონფერენციაზე. გამოდიოდა სტალინის ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1937 წ. დააპატიმრეს. დახვრიტეს მოგვიანებით, 1941 წელს, გერმანიასთან ომის დაწყებისშემდეგ.

[2] შეინმანი, —საბჭოთა რუსეთის ელჩი საქართველოში საქართველოს ოკუპაციის დროს. დაინიშნა სერგეი მირონის ძე კიროვის გაწვევის შემდეგ, 1920 წლის მაისში. თბილისის ნაცვლად, ელჩის მოვალეობას ასრულებდა ბაქოდან.

ერეს ხელი, პრესაც ჰყავთ ცნობის მოსარჩლე, ამბობენ, ამ ზამთარს შეიძლება კიდეც მიაღწიოს რამესო. მოსკოვი თმობს ფაქტიურათ პოზიციებს, ვინ იცის, ჩვენ გვმართებს დაფაცურება და სწორეთ ეხლა წამოგვენია ჯიბის სისუსტემ. შეიძლება ცოტა წაგვეხმაროს მოსკოვთან პოლემიკამ! ყოველ შემთხვევაში, ინტერნაციონალის ბიუროში დაპირებიან ირ. წერეთელს, თქვენს პასუხს და ს. დ. პარტიის წინადადებას საანკეტო კომისიის შესახებ გადავცემთ მოსკოვს. ჩვენ აქ ასე შევთანხმდით: პასუხს მე მივცემ, ხოლო წინადადებას ირაკლი გადაუგზავნის. ბერზინის[1] წერილი ეკამათება ერთ პატარა ექსპოზეს, რომელიც მე გადავეცი ამ ზაფხულს შოუს და ჰენდერსონს, მათ კი – რუსებს. ბერზინის წერილი მოგივათ ლონდონიდან, ხოლო პასუხი მანამ უნდა გადათარგმნოთ, რომ თავის დროზე შესძლოთ ჩვენში გადაგზავნა ორივესი – წყარო არა გაქვთ, შეიძლებოდა მანდვე დასტამბვა. თარგმანში ხანდისხან მიუტეველელ შეცდომებს უშვებენ, გთხოვთ ყურადღებას. – ნ. რამიშვილს გადაეცით ორხელ თქვენი პაკეთები. შინაარსი არ გაუცვნია. – პასპორტ-ვიზების საქმე, კიდევ გთხოვთ, მოაგვარეთ.

აკ. ჩხენკელი.

პელე ვნახე მილიერანის სადილზე. კარგათ შევხვდით. ნიშნავენ ელჩად ოსმალეთში."[2]

„პარიზი. 16. XI. 23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

თქვენი წერილი, 7. XI.23 თარიღით, მივიღე სხვა პაკეთებთან ერთათ. ნ. რამიშვილმა გამაცნო თავის წერილი. თავმჯდომარის სახელზე გამოგზავნილი არ მინახავს. საზოგადოთ წინეთ ვის რას სწერდით, არ ვიცი. მეორდება იგივე არანორმალური მდგომარეობა. სხვებს რასაც სწერთ, იგივე მოკლეთ მაინც უნდა იქნეს განმეორებული თქვენს ჩემდამი წერილებში, თორემ არაა გარანტია, რომ ??? ვიქნები. 7. XI წერილები მოვიდა შემთხვევით სხდომის დღეს, თორემ პაკეთებს გაუხსნელათ ვუგზავნი ადრესატებს და, ვინაიდან ისინი პარიზს გარეთ არიან, მერმე არ ვხედავ წასაკითხათ. ვფიქრობ ავიწყდებათ. ან თუ რამე იმალება ჩემგან და ევგენისაგან, უნდა ვიცოდეთ. ეიმეორებ, სასაყვედუროთ არ ვწერ, თუ არ ვიცით საქმეების ყოველმხრივი ვითარება, ძნელია პოლიტიკის წარმოება აქ.

მე უკვე გწერდით, რომ ევროპაში ათასგვარ გართულების გამო მოსალოდნელია გასკდეს სადმე და ამიტომ მუდამ მზათ და ფხიზლათ უნდა ვიყოთ რომ მოხდენილი მომენტი არ გაუშვათ. ამას სწერთ თქვენ უთუოთ შინ. მე არ ვიცი, რას გწერთ რამიშვილი, რომლის წერილს აქვე ვდებ. შევჩერდები მხოლოდ თქვენს წერილზე რ-დმი, რომელიც გადავიკითხე, როგორც ზევით ვამბობ. პოლონეთზე ცოტაა იმედი. მისი პოლიტიკა იქითკენაა მიმართული რომ აიცდინოს, რაც არ უნდა დაუჯდეს, შეტაკე-

[1] ბერზინი, — იან კარლოს ძე ბერზინი (1890-1938), საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, წარმოშობით ლატვიელი, საბჭოთა დაზვერვის ორგანოების მუშაკი. დაიჭირეს 1937 წელს და დახვრიტეს 1938 წ.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 82.

ბა რუსეთთან. მთელი მისი ცდა, და, პარიზიც ამას აგონებს მას, იმაშია, რომ სალტე შემოარტყან „ვერსალის ზავის წინააღმდეგ ამბოხებულ" გერმანიას. დმოვსკის და კირფანტის მოვლენებიც ამას მოასწავებს, სხვას არაფერს. თუმცა ოფიციალურათ უარყოფენ პარიზში და ლონდონში, არ იქნება მოულოდნელი, რომ თვითეული ცდილობს მორიგებას მოსკოვთან, ამასაც კი უნდა მოველოდეთ! სალაყაიას ჯერ არ დაუდასტურებია პრესის ცნობა, ვითომ პოლონეთმა იცნო „კავშირი". ეს არ იქნება გასაკვირი. მით უფრო სეიდამ, სანამ ის მინისტრი იყო, უპასუხა შეკითხვაზე საგარეო კომისიაში საქართველოს გულისათვის ჩვენ ვერ ვეომებით რუსეთსო, უნდა ვიცნოთ „კავშირიო". ამ რიგათ, თქვენი პერსპექტივა პოლონეთის შესახებ ვერაა სწორი. ასეთი რამ შინაც არ უნდა მიეწეროს, რომ ილუზიები არ დაებადოთ. დამკომის მიმართვა ხალხისადმი, მაგ. ილიუზიური იყო, რამდენათაც იქ ნათქვამი იყო, თითქოს ინგლისის მუშათა პარტია ასე ენერგიულათ გვემხრობა. მაკდონალდმა თვითონვე გითხრათ, რისი გაკეთებას უნდა ველოდეთ... თქვენ სწერთ რ-ს აგრეთვე ნაწილების გადაყვანაზე რუსეთში და აქედან ასკვნით გართულებას ცენტრებში. შეიძლება. მაგრამ ამ პრობლემატიურ რამეს ვერ დავუკავშირებთ ჩვენს გამოსვლას. ვფიქრობ ჩვენში დადგა ერთგვარი რეალისტური ხანა, გრძნობენ კარგათ, **რომ არც ისე ადვილია თავის დაღწევა უცხოეთის უღლისაგან, და მარტო ყოველ შემთხვევაში, რისკს ვერ გასწევენ. თუ ჩვენებს საჭიროდ მიაჩნიათ სადმე ერთგვარი ამოძრავება ყურადღების მისაპყრობათ, დიდი შეცდომაა, არავის სცალია ჩვენთვის.** ეს მომენტი ჩვენ გავუშვით გენუის და ლოზანის კონფერენციის დროს. როგორც რუსეთის მასშტაბით მოაზრე ჩვენს გენერლებს, ისე ჩვენებსაც სჭირდათ და სჭირთ. დიდ გამოსვლების მზადებაში პატარა გამოსვლები უყურადღებოთ რჩებოდათ. დღეს არც პატარა გამოსვლებისთვის არის შესაფერი მომენტი: ისე ჩაახრჩობენ, თითსაც არ გაანძრევს არავინ ევროპაში.

P.S. გიგზავნით ნოტის ასლს, რომელიც გადავეცი აქაურ ნონს. გადაცემულია აგრეთვე კენტერბ. არქიეპისკოპოზისათვის. უნდა გადასცეთ მსგავსი მსოფლიო პატრიარქს, ან საბჭოს, გაგზავნეთ შინაც. ა. ჩ.

თქვენ მიპასუხებთ ოსმალეთის ნეიტრალობის შესახებ. მე მაინც ვფიქრობ, მიუხედავათ სისუსტისა, ოსმალეთი მაინც თავისას იქს ჩვენს მიმართ. თუ ის მარტო იქნა მიშვებული. ის გაუსწორებელია ამ მხრივ, აჭარის ლოიალობაც ვერ გვიშველის, ესეც ხომ პრობლემატურია. ჩვენი წარსული პოლიტიკა იქ საკმაოთ უგუნური იყო. მაგრამ მე სულ სხვა მაწუხებს ამ ჟამად: შეიძლება ჩვენს ზურგს უკან მოხდეს მორიგება ოსმალეთსა და ინგლისს შორის, და უკანასკნელმა მისცეს პირველს კარტ ბლანში. საუბედუროთ, ჩვენ ვერ ვინახავთ საიდუმლოს და არც გვენდობიან, არ გვეტყვიან არაფერს; შეიძლება სხვა მიზეზიც აქვთ. ინგლისის მეთოდს ძლიერ ჰგავს, რომ ის არ სჩანდეს. არც რაიმე გარანტიები ჰქონდეს ჩვენს შესახებ და ისე მიუშვას ოსმალეთი ამიერ-კავკასიაში. გამოვა რამე კარგი, არ გამოვა, ხელს დაიბანს. ამიტომ უნდა ეცადოთ, წელებზე ფეხი დაიდგათ, რომ

თავის დროზე გაიგოთ, თუ რამე მოლაპარაკება ხდება, მსგავსი მოსულის შესახებ, რომელზედაც იწერებით. ყველაზე საყურადღებო, რაც შეიძლება ინტიმური დამოკიდებულება ინგლისის აგენტებთან მანდ. ჩვენ ამას ვერ მივაღწიეთ საუბედუროთ, თორემ ოსმალოსთან გაადვილებული იქნებოდა ლაპარაკი. რაუფთან შეხვედრას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. იმედია, მიაღწევთ. ერთი გავლენიანი თურქი არ გაგვიჩნდა, რომ შეგვძლებოდა პრაქტიკული ლაპარაკი. რაუფს მოკითხვა ჩემგან, თვითონ მითვლიდა ყოველთვის და ამიტომ გწერთ.

ლონდონში წასვლა იდება ძალა-უნებურათ. უნდა წავსულიყავი სესიის გახსნიდან „მის მაგიერ" ჩაღდება საარჩევნო კამპანია. იმედია, ლოიდ ჯორჯი ვერ გაიმარჯვებს, თორემ მეხი იქნება ჩვენთვის.

ჩვენ აქ ეს რამდენიმე ხანია დავიწყეთ აზერბეიჯანელებთან ცალკე და უფრო ხშირათ შეხვედრა. უკანასკნელათ მივიღეთ მთელი რიგი დადგენილებათა, რომელთაც ამასთანავე გაცნობებთ: 1) საკავშირო დეკლარაციის შეუცვლელათ, საქ-ს და აზ.-ის წარმომადგენლები (ელჩი და აზ-ბ-ის დელეგაციის თავმჯდომარე) ხშირათ უნდა ხვდებოდენ და ცდილობდენ საერთო ნაბიჯების გადადგმას ორის სახელით: 2) ასევე უნდა მოეწყოს სტამბოლშიც, რაზედაც მიეწეროს: 3) თურქულ ორკვირეულში „ახალი კავკასია" უნდა დაარსდეს კოლეგია (ორის) მისი მონინავეთა და ქრონიკის, ორივე ქვეყნის შესახებ, სახელმძღვანელო, 4) სურვილია გამოთქმული შეძლებისდაგვარათ ცოტათი დავეხმაროთ ორგანოს ნივთიერათ, სტამბოლიდან ცნობების მიღების მიხედვით (შეიძლებოდა ამ გაზეთში ბერზინის წერილის და ჩემი პასუხის მოკლე რეზიუმეს მიცემა); 5) გაიგზავნოს პარიზიდან ანგორაში საერთო ნოტა „კავშირის" ცნობის წინააღმდეგ (იწერება), 6) ეცადოს ორივემ ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფის დაარსება, განსაკუთრებით მენავთეთა. „შელ" და სომხების შეთანხმების წინააღმდეგ მოსკოვთან; 6) მოეწეროს შინ, რომ იქაც ასეთი მუშაობა, ორი ქვეყნის ორგანიზაციის გაჩაღებულ იქნას... გატყობინებთ რა ამას, უნდა დავძინო, რომ სომხებთან უხერხულად არის ამ ჟამად მიჩნეული ამ ნიადაგზე მუშაობა, რაც შეეხება მთიელებს ისინი, სამწუხაროთ, ფაქტიურად არაფერს აკეთებენ აქ. სტამბოლში პირობები სხვანაირია ალბათ, მაგრამ ამიერ-კავკასიის ფარგლებში მუშაობა უფრო რეალურია ამჟამად, მე ვამბობ საიდუმლო ნაბიჯების გადასადგმელათ. საერთო გამოსვლებისთვის სხვაა, რა თქმა უნდა. თქვენი წერილებიდანაც სჩანს, რომ აზ-ბს ხვდებით.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 5.XII.23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

აქ ჩამოსულმა ჩვენმა გენ. კონსულმა ბ. ს. გოგოლაშვილმა ერთი დიდათ სამწუხარო ამბავი ჩამომიტანა. ჩემი არქივი, რომელიც ცალკე სკივრში და სიით ჩავაბარე საგარეო საქმეთა სამინისტროს თფილისში 1918 წ. დამლევს გაუფანტავთ თურმე და მხოლოდ ერთი ნაწილი შეუმჩნევია მას ქართველ

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 83-84.

კათოლიკეთა სავანეში, სადაც თქვენც ყოფილხართ მასთან ერთათ მთავრობის საგნების დასათვალიერებლათ. გოგოლაშვილმა გადმომცა ჩვენი დელეგაციის მიერ (ჩემი თავმჯდომარეობით) ბერლინში დადებული ხუთი ხელშეკრულება — დედანი. მას არ წამოუღია, თუმცა უნახავს იქვე ოთახში ყდები წარწერით: „აკ. ჩხენკელის საბუთები". პირდაპირ დაუჯერებელია ასეთი მოპყრობა სახელმწიფო საბუთებისადმი; მე ვფიქრობდი, სტამბოლში არ დარჩენილა საგარეო სამინისტროს არც ერთი საბუთი და, მაშასადამე, ჩემი არქივიც აქ გამოგზავნილ საბუთებში მეგულებოდა. სკივრში იყო მრავალი საყურადღებო საბუთები შესახებ საქართველოს სახელით ნაწარმოებ საქმეებისა. ეს იყო, ერთი სიტყვით, პირველი დიპლომატიური ნაბიჯები უცხოეთში. თუ მტერს ჩაუვარდა ხელში, დიდ ვნებას მოგვიტანს, მაგრამ მათი დაკარგვა ისედაც საზიანოა, ვინაიდან ჩვენ არ გვექნება საშუალება საკუთარი ალვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულება უცხოეთთან მისი დამოუკიდებლობის პირველი დღიდან. სახელმწიფოს აშენებას ვფიქრობდით და მის საბუთებსაც ვერ ვუვლით! მე არ ვიცი, ვინაა პასუხისმგებელი... ალბათ ყველა ჩვენ, რადგან თავის დღეში არ ყოფილა ჩვენს შორის შრომა განაწილებული და არავინ არ იცოდა გარკვევით, რისთვის უნდა ეგო მას პასუხი.

მაგრამ გვიანაა ამაზე ლაპარაკი. მე გთხოვთ მხოლოდ იმას, რომ თქვენ თვითონ პირადათ იკისროთ როგორც ჩემი ისე სხვების საბუთების დაგროვება და ყუთში ჩაკეტვა და შემთხვევისთანავე აქეთ გადმოგზავნა. მართალია საქმეები გაქვთ, მაგრამ გარწმუნებთ ამ საბუთების დაკარგვა დიდ ზიანს მოგვაყენებს. მე უკვე გადავეცი ამის შესახებ მთავრობას განცხადება და ვთხოვე მიაქციოს ყურადღება, რათა საბუთები ერთხელ და სამუდამოთ უზრუნველ იქნას დაკარგვისაგან. აქ ჩამოტანილიც არაა, საუბედუროთ, ნეს-რიგში მოყვანილი და დაბეჭდილი ბევრი ვარიანტი,. ერთათ ერთი მიზეზი, საქმე არაა ბევრი და ცოტაც ერთმანეთის იმედით არ კეთდება.

თქვენი წერილი და შიდ ევგენისა და ვალიკოსათვის გადასაცემიც მოვიდა. ევგენის პასუხი ვის სახელზე გადმოიგზავნა. მე არ ვიცი შინაარსი არც ერთის, იქნებ საჭიროც არაა. თავი და თავი ისაა, რომ საქმეების შესახებ სრულიად მოკლეთ მეც უნდა მომწეროთ ყოველთვის, ხოლო სხვებს, როგორც საჭიროთ დაინახოთ. როცა თქვენ მითვლით კერძო წერილში, რომ თქვენთვის საჭიროა იცოდეთ „კრებულის" აზრი, გავიწყდებათ, რომ ასეთი ფინანსური მოთხოვნა მე შემიძლია დავაკმაყოფილო ყოველთვის (წინაალმდეგი ერთი ფაქტიც არ უნდა ჰქონდესთ), თუ მეცოდინება რაშია საქმე. ერთი სიტყვით, სწერეთ ყველას, მაგრამ რეზიუმე ყველა ამისა მე მომაწვდინეთ თავის დროზე. არაფერს გწერთ სეითის[1] და ნოეს[2] უქეიფო-

[1] სეითი — უნდა იგულისხმებოდეს სეით დევდარიანი (1879-1937), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, დამოუკიდებელი საქართველოს მოღვაწე, დაიბადა ქ. ქუთაისში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია 1898 წელს; შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტი. XX საუკუნის 10-იან წლებში იყო სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ხარკოვში; 1917 წელს დაბრუნდა სამშობლოში; ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის (1921 თებერვალი-მარტი) შემდეგ აქტიურად ჩაება საქართველოს ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში; გარდა პოლიტიკისა ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას; 1937 წელს, რეპრესიების დროს დახვრიტეს.

[2] ნოე — ნოე ჟორდანია

ბის გამო. მოგწერენ, ჩვენ ეს გავიგეთ ერთი კვირით ადრე ბერლინიდან.

აკ. ჩხენკელი.

აქვე გიგზავნით მოკლე წერილს სულეიმან კომახიძის გადასაცემათ. ლ. ჯაფარიძემ გადმომცა, ელის ჩემგანო. ნაკითხვის შემდეგ დაბეჭდეთ იგი."[1]

„პარიზი. 22. XII. 23.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

გუშინ გამოგიგზავნეთ თქვენს მისამართზე კერძო დაზღ. წერილი, სადაც გთხოვდით დაგვეხმაროთ ვიზების შოვნაში გრ. ცინცაბაძე და ბიქტ. ცენტერაძისათვის, თქვენ იცით რა მიზნით. აქ ვეცადე, კიდევ ვეცდები, მაგრამ მეშინია არაფერი გამოვა. მერმე მეშინია, როცა დეპეშით შეეკითხებიან ანგორას, ვაი თუ იქ რუსებმა გაიგონ. ერთი სიტყვით, ძალიანი დაფაცურება გმართებთ, თან სიფრთხილე.

გიგზავნით ნოტის ასლს, რომელიც გადაეცით რაქიბ ბეის. მან იგი მიიღო la titre personel და დაგვპირდა გადაგზავნიდა საჩქაროთ: ბევრი სისულელე ილაპარაკა, მაგ., თუ ქართველ ერს სურს „კავშირში" შესვლა, ჩვენ რა გვეთქმისო და სხ. ბევრი ვეჩიჩინე, მაგრამ მათ თავში რამე შეიტანო ტუკია საჭირო! ამ ნიადაგზე განაგრძობთ მუშაობას.

ეხლა რაც შეეხება თქვენს პოლემიკას, მე უბრალო ვარ მის გამოწვევაში. თქვენ კარგათ არ კითხულობთ ჩემს წერილებს, თორემ იმდენ გაუგებრობას ადვილათ აიცდენდით თავიდან. არას დროს არ მითქვამს, რომ საჭირო არაა თურქებთან ლაპარაკი, პირიქით! მაგრამ ამან არ უნდა დაგვავიწყოს მეორე მიმართულებითაც მუშაობა, ე. ი. მესამე ფაქტორის საშუალებით. ამიტომ გწერთ მუდამ, მიაქციოთ უდიდესი ყურადღება მისსიებთან მუშაობას მანდ. ამ მხრივ მინიმუმი კეთდება. ძნელია, დიდათ ძნელია, გეთანხმებით წინდაწინ, მაგრამ ყოველ წუთში ეს უნდა გახსოვდეთ: თქვენს თეორიას არ ვიზიარებ: ძლიერი ოსმალეთი უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, ოღონდ გაეგებოდეს თავისი დანიშნულება ჩვენს მიმართ. ინტრიგანობას მაინც უნდა მოველოდეთ მისგან, გინდ სუსტიც იყოს. თქვენ სამართლიანათ იმეორებთ ყოველთვის: თურქს ეშინია რუსისო, სწორეთ ამიტომაა აუცილებელი მესამე ფაქტორი – თქვენ დაგვიწყნიათ ჩვენი დირექტივები ორი წლის წინ: კერძო და ლოკალურ გამოსვლების მოწყობა სწორედ ყურადღების მისაქცევათ კონფერენციების; გაიხსენეთ სვანეთის როლი გენუაში. აი, რა მქონდა მე სახეში. – არას დროს არ მიფიქრია დიპლომატიის უაღრესობაზე შინაურ მუშაობის მიმართ, ჩემი ანგარიში მაინც რად დაგავიწყდათ? – არასდროს არ დამვიწყნია სამზადისი რაიმე საერთაშორისო გართულების მომენტისთვის. გადიკითხეთ უკანასკნელი წერილი მაინც, რომელსაც ეკამათებით, სწორეთ ასეთი ფართე პერსპექტივა მუდამ თვალწინ უნდა გვქონდეს.

მაგრამ თქვენ არ გახსოვთ ისიც, რასაც თვითონ იწერებით! მე შევეხე ნ. რ. წერილს, სადაც პოლონეთზე იყო ლაპარაკი (გოგოლაშვილის მიერ მოტანილი არ წამიკითხავს. მე მაინც დაჟინებით გთხოვთ რეზიუმე მე გადმომცეთ, რასაც სხვებს სწერთ, საქმის შესახებ, რა თქმა უნდა). თქვენ იმ წერილში

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 85.

გამოსვლებზე სწერდით, თხოულობდით ჩვენს აზრს დეპეშითაც კი. აი, თუ თქვენ ამის ნახევარი მაინც მისწერეთ შინ, რასაც ნ. რ. სწერდით, ეს ილიუზიაზე უარესიცაა. როცა მე გწერთ პოლონეთის პოლიტიკურ მიმართულებაზე, ალბათ საბუთიც მაქვს სრულიად საიმედო... როცა ამას პარიზიდან გწერენ, თქვენც უნდა მიხვდეთ დასკვნის გამოყვანას – რუსეთის მიმართ მთელი გადატეხვა ხდება ზოგი სხვაგანაც, მაგრამ ამაზე შემდეგ... მიჩქარიან ძალიან.

აკ. ჩხენკელი.

ძალიან ვწუხვარ, რომ რაუფი ვერ ჩაგიგდიათ ხელში, მაშინ ის ასე ზოგადათ არ ილაპარაკებდა."[1]

„პარიზი. 18. II.24.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

ამასთანავე გიგზავნით: ა) Coates მემუარს ჰენდერსონის[2] სახელზე, ბ) ჩემს პასუხს მასზე, გ) ჩემს ნოტას ინგლისის მთავრობის სახელზე, დ) ინგლ. გარეშე საქ. მინისტრის პარლამენტარულ ამხანაგის წერილს ირ. წერეთ...

ავათმყოფობამ შემიშალა ხელი მომეწერა. ლონდონში მე ცოტა ხანს დავრჩი და ისიც ჩემი პასუხის დასაწერათ. იქ იყო ერთი თვე ირ. წერეთელი და მუშაობდა მხოლოდ ტრავაისტებთან[3], მან ასე არჩია. ძალიან გამიძნელდა Coates პასუხის დაწერა, მასალა არ გვქონდა საკმაო, დ. შარაშიძის გამოგზავნილმაც ვერაფერი შეგვმატა: მხოლოდ უკანასკნელ წუთს ვიშოვე „3 b." და ამან ცოტათი გაგვიადვილა საქმე. მე არ ვიცი აცნობეთ თუ არა თქვენ ჩვენში ჩემი პირველი პასუხი. საჭირო იყო თავის დროზე მიელოთ ჩვენებს ზომა ფაქტების დასაგროვებლათ, შემოწმების შემდეგ რა თქმა უნდა. ეხლა მაინც უნდა გაკეთდეს ეს. სრულიად უმნიშვნელოა მთელი ეს პოლემიკა, თუ ჩვენში არაფერი იციან, გთხოვთ დაბეჯითებით სათანადო ზომები მიიღოთ, რათა ჩვენებმა მოგვაწოდონ დალაგებული ფაქტები. Coates ან სხვა ვინმე კიდევ დასწერს რამეს და საჭიროა მომზადებული ვიყოთ. მით უფრო, ეხლა ჩვენ „ყოფილებსაც" იყენებს მოსკოვი. მაგ., ხელში ჩამივარდა 2.II „კომუნისტი" და იქ სწერს ს. დევდარიანი, მთელს მასალას ჩვენი ცე-კას მუშაობის შესახებ (ხმალაძის განათებით ალბათ!) II ინტერნაციონალს უგზავნი და მან განგვსაჯოსო. ყველაზე მოწამლული იარაღი სწორეთ ესაა. ვნახე აგრეთვე I-II ნომერი იმავე გაზეთისა, სადაც სწერია **სამღვდელოების ამ თვეშივე გასამართლების შესახებ: ასამართლებენ ქართველები დამოუკიდებლობის დაცვისათვის. რა უნდა იფიქროს უცხოელმა. ერთი სიტყვით, შეუძლებელია ამ ნიადაგზე ბრძოლა,** თუ ფაქტიური მასალა არ გვექნა.

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 390, ფ. 86.

[2] ჰენდერსონი, — არტურ ჰენდერსონი (1863-1935), ინგლისელი პოლიტიკოსი და საზ. მოღვაწე. ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში (1934). ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მხარს უჭერდა ერთა ლიგის შექმნასა და მშვდობისთვის ევროპის ერთიან ბრძოლას. 1923 წელს იყო ჰამბურგში ლეიბორისტ-სოციალისტთა I მსოფლიო კონფერენციის თავრე. გახდა შინაგან საქმეთა მინისტრი ინგლისის პირველ ლეიბორისტულ მთავრობაში.

[3] ტრავაისტები, — ვფიქრობთ, უნდა იყოს ტრუდისტები, ანუ ინგლისის შრომის პარტია, ვისთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა ამ დროს ინგლისში მყოფი ირაკლი წერეთელი.

ირ. წერეთელმა მემუარი გადასცა პონსონბის[1], მაგრამ ასლი არა მაქვს, მაგრამ იქ განმეორებულია იგივე, რასაც ჩემს ნოტაში ნახავთ. თქვენ უკვე მოგწერეს, რაც იქნა ამ დროებით მიღწეული ლონდონში. პონსონბის წერილი, რომელსაც აქვე ვუდებ, უფრო ნათლათ წარმოგიდგენთ საქმეს. თუმცა იგი არაა მაინცდამაინც ნათელი! განსაზღვრაზე, ე. ი. საქართველოს დასახელებაზე, როგორც საგანი რეზერვისა, ჯერ-ჯერობით უარს ამბობენ. ირაკლის აქვს იმედი, რომ ეს მაინც მოხდება რუსებთან მოლაპარაკების დროს. პონსონბი ამასაც არ ამბობს კატეგორიულათ... რომ მაკდონალდის ნოტაში ნაგულისხმევია რეზერვი ჩვენს შესახებ. ეგეც დიპლ. ხრიკია. მთავარი საფუძველი ჩვენი იმედისა ისაა, რომ ისინი ასე ადვილათ ვერ მოურიგდებიან რუსებს და მაშასადამე, დადგება მომენტი, როცა საჭიროდ დაინახავენ, სხ. შ. საქართველოს ნათელი და აშკარა რეზერვი გაუკეთონ. თორემ თუ დიდ საკითხებში მორიგდენ, ზოგადი ფრაზა ფარატინად იქცევა და ძალაში დარჩება ჩიჩერინის განმარტება: „იმ ტერიტორიებისა, სადაც ჩვენი ხელისუფლება ვრცელდებაო". ყოველ შემთხვევაში, მიღწეულიც არაა უნიშვნელო, კარი ჯერ კიდევ ღიათ გვრჩება. ჩვენ გვეშინია რამე ახალი ილიუზიები არ დაებადოთ ჩვენში. თქვენ მისწერდით ალბათ, რომ სტატუტი არაა შელახული... ესაა და ეს ჯერჯერობით. რაც შეეხება ევაკუაციის მოთხოვნას, ამაზე ფიქრიც შეუძლებელია ტრავაისტების მხრით.

აკ. ჩხენკელი.

ჩემი ნოტა მუსოლინისთვის გამოგეგზავნათ თუ არ ვცდები. ა. ჩ."[2]

„პარიზი. 27.II.24

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

18 ამ თვეს გწერდით ლონდონში გაწეულ მუშაობის და მისი პირველი შედეგის შესახებ. გამოგიგზავნეთ იმავე წერილთან, სხ. შ. პონსონბის წერილის ასლი კაკის სახელზე. ეხლა გიგზავნით იმავე პონსონბის პასუხს და აგრეთვე მაკდონალდისას სათემო პალატაში, 13 და 18 თებერვლის სტენოგრამებიდან გადმოთარგმნილი ადგილების სახით. თარგმანი გადახედულია და სწორი. როცა ეს მასალა განიხილეს მთავრობა-პრეზიდიუმის სხდომაზე, საჭიროდ დაინახეს მეცნობებია თქვენთვის ეს მასალა ზოგიერთი განმარტებით, რათა თქვენ შეგეძლოთ გადასცეთ ჩვენში, რომ იქ ყალბი აზრები არ დაიბადოს. გაცნობებთ, სხ. შ. სინკლერის და პრინგ-

[1] პონსონბი, — არტურ ავგუსტ უილიამ ჰარი პონსობი (1871-1946), ბრიტანელი პოლიტიკოსი, მწერალი და საზ. მღვანე. სერ ჰარი პონსობის — დედოფალ ვიქტორიას პირადი მდივნის შვილი. მას მიაწერდნენ ფრაზას: „როდესაც ომი ჩაღდება, მისი პირველი მსხვერპლი სიმართლე ხდება". სხვადასხვა წლებში მუშაობდა დიპლომატიურ პოსტზე ლონდონში, კონსტანტინოპოლში, კოპენჰაგენში, იყო ლეიბორისტული პარტიის წევრი, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა თემთა პალატაში, ეწინააღმდეგებოდა 1907 წლის ინგლის-რუსეთის ხელშეკრულებას, ბრიტანეთის მონაწილეობას I მსოფლიო ომში. რამზეი მაკდონალდის ლეიბორისტულ მთავრობაში ეჭირა ბრიტანეთის საგ. საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა. 1940 წელს გამოვიდა ლეიბ. პარტიიდან იმის გამო. რომ პარტიამ მხარი დაუჭირა ნაციონალისტურ ძალებს უინსტონ ჩერჩილის მეთაურობით. 1943წელს მიიღო ინსულტი. გარდაიცვალა 1946 წ.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 87.

ლის შეკითხვები ჩვენგან არაა გამოწვეული. ორივე ლიბერალია.

თქვენ უკვე მოგწერეს აქედან ირ. წერეთლის ფორმულა – მოსკოვის „კავშირის" ცნობით საქართველოს საერთაშორისო სტატუტი არას გზით შერყეული არაარ. ასეთი იყო, ყოველ შემთხვევაში, ირაკლის რწმენა ლონდონში ნანახ-გაგონილის შემდეგ, ამასვე ადასტურებდა თითქოს პონსონბის წერილიც. ამ წერილში, მართალია, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის მაგიერ მის „actual position–ზე იყო ლაპარაკი, რომელიც „in no way was altered[1]-ო, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში პირველ აბზაცში ნახსენებ მუსაიფს ირაკლისთან, და უკანასკნელს სწორეთ ჩვენი სტატუტის, ე. ი. ცნობის ძალაში დატოვებაზე ჰქონდა ბაასი, მაშინ მოყვანილი ფრაზა უნდა იყოს იმედების აღმძვრელი. ირაკლი ეხლა ბერლინშია და მას მიენდო როგორც ამის, ისე ქვემოთ ნათქვამის გამორკვევა.

მაგრამ, როცა წავიკითხეთ სტენოგრამები, ეს იჭვები არამცთუ აღგვეძრა, გაგვეზარდა კიდეც. მართლაც, პონსონბი მიუგებს: თუ „კავშირის" მთავრობა დაგვეთანხმება, თფილისში კონსულს გაუგზავნითო. მაკდონალდი კი სრულიად აშკარათ თვლის „ამიერკავკასიის ფედერაციას" „კავშირის" ნაწილად, და ჩამოთვლის სხვა ნაწილებსაც. როცა მას ეკითხებიან, უკან ხომ არ მიგაქვს საქართველოს და სხვების ცნობაო; ის უპასუხებს: „The answer is in the affirmative, inasmuch as the territories mentioned are understood to asknowlodge the authority of the 22 on Soverhweit".[2]

როცა მას ეკითხებიან, რა ზომებს იღებს სამივე რესპუბლიკის აღდგენისთვის, ის უპასუხებს: „obvionsly that question musibe answered partey at least by the peoples of the countries thenselves". ამ ფრაზის აზრი ცხადია: თუ ხალხები თავათ არ გაინძრევიანო, ეს მით უფრო, რომ ეს გაიგო ადრე კაკიმ ლონდონში მისგან.

მე არ ვეხები სხვა ადგილებს, თვითონ წაიკითხავთ. კითხვაა შეგვიძლია თუ არა მის შემდეგ ვთქვათ გადაჭრით, რომ ჩვენი სტატუტი დაცულია? არა. და ამ შემთხვევაში სხვა დასკვნის გაკეთება არ შეიძლება იმის გარდა, რომ მოგვატყუეს! მაგრამ ამ დასკვნას მაინც არ ვაკეთებთ ჯერ, ვინაიდან პირველი ინგლ. ფრაზაში მაინც განმეორებულია თითქოს ნოტის რეზერვი. ჩვენ არ ვიცით ჯერ კაკის აზრი ამის შესახებ. არ ვიცით ისიც, იქმს რამეს თუ არა ჩვენთვის მაკდონალდი რუსებთან ლაპარაკის დროს. აი, ამას ვცდილობთ გავიგოთ და ამიტომ ჯერ-ჯერობით უნდა მოვიფიქროთ, რომ რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულება ჯერ არ არის განსაზღვრული და აქედან ახლა ისიც, რას გვიპირებენ ჩვენ. აი, რა უნდა აცნობოთ ჩვენებს. ვგზავნი აგრეთვე ლიუქსემბურგში მიღებულ რეზოლუციას, აქედან სჩანს, რომ მდგომარეობა თითქოს არ შეცვლილა უფრო პირველი ფრაზა „Negociations"-ის შესახებ ინგლისელებს ეკუთვნის.

აკ. ჩხენკელი."[3]

---

[1] არანაირად არ შეცელილაო.

[2] ტექსტი გაუგებრად წერია, უნდა ნიშნავდეს: ეთანხმება ცნობას (აღიარებას), რამდენადაც აღნიშნული ტერიტორიები აღიარებულია 22 ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 88.

„პარიზი. 28. II. 24.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

დიდი ხანია არ მომიწერია, რადგან შინაურობის შესახებ ევგენიმ იკისრა წერა, და ჩემს დარგში კი ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. ეს არის ევგენი მეკითხებოდა ტელეფონით თქვენგან ხომ არაფერიაო. ცოტა გვიკვირს, რომ ინფორმაცია ასე ღარიბათ მოგვდის: ძალიან არეული უნდა იყოს მიმოსვლა. კარგა ხანია, ბერლინის „Fni"–ში (?) იყო ცნობა, თითქოს ბათუმის ახლო ნავი ჩაეძირათ რუსებს და ხუთი პოლიტიკური დაეხრჩოს. არც ის ვიცით რიგიანათ, რა მოხდა თფილისში თებერვალს თუ მარტს: ხმა მოვიდა, თითქოს მოეხერხებიოთ პოლიტიკურების გაქცევა. ჩვენ ვიფიქრეთ, შეიძლება ესენი დავღუპოთ, რადგან ნათქვამი იყო გაზეთში – „ჩეკისგან დევნილებიო". თუ არ შეგეკითხეთ დეპეშით, ეს იმიტომ, რომ დაუჯერებლად მივიჩნიეთ, მით უფრო – თქვენ სდუმდით. მეორე ხმაც მოგვწვდა: თითქოს თქვენ გაეექურდოთ, 6 ათასი თურქ. ლირა წაიღესო!

დიდის ყურადღებით ვადევნებთ თვალ-ყურს ლონდონის მოლაპარაკებას: აქედან ვერავინ გავგზავნეთ უსახსრობის გამო: ისედაც შემოგვითვალეს იქიდან თქვენი ჩამოსვლა არაა საჭიროვო. ჩვენ ამას არ დავუჯერებდით, რომ სახსარი გვქონოდა. ერთი სანდო წყაროდან გავიგეთ, რომ მაკდონალდი მაინც დასვამს მოლაპარაკების დროს საქართველოს საკითხს. მე უნდა გთხოვოთ, ეს საიდუმლოდ შეინახოთ, ასე გვთხოვენ. მერმე ჩვენ მაინც არა ვართ დარწმუნებული, რომ ეს მოლოდინი გამართლდება. შინ არასგზით არ მისწეროთ. პრესას თქვენ თვითონ ადევნებთ თვალ-ყურს, ზოგიერთი გამონაკლისით, რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ არის მიმართული. F.O.-ში უთხრეს სუმბათაშვილს, რომ მთავრობა ვერ მისცემს სესხს მოსკოვს, ხოლო კერძო პირები გარანტიებს მოითხოვენ. თქვენ უკვე წაკითხული გაქვთ ბანკირების მემუარი, რომელიც ფაქტიურათ მოსკოვის მიერ თავის თავის უარყოფას მოითხოვს. არის ერთი ჩამაფიქრებელი გარემოება: ძველ რუსეთს აქვს ინგლისის ბანკებში 60 მილ. გირვანქათ და შეიძლება ეს მისცენ მოსკოვსო. საეჭვოა სიძნელენი გადალახონ, წინასწარმეტყველება უადგილოა. მქონდა ადრე ერთი ცნობაც, მაკდონალდი ახლო მომავალში დიდ ამბებს ელის რუსეთში. და ამისი შედეგი მთელი კავკასიის განთავისულება იქნებაო! ამას თითქოს არ იმჩნევს ის საჯაროთ და შერიგებაზე ზრუნავს.

პუანკარეს სიტყვა წაკითხული გექნებათ, სენატში. საყურადღებო აქა ისაა, რომ მას მიუმართავს სამინისტროსთვის, რუსეთის მიმართ შეთანხმებით ვიმოქმედოთო: მეც როცა ვნახულობ ვისმეს, მეუბნებიან, ამერიკასაც ჩვენსავით პოზიცია უჭირავსო. მიუხედავათ ამისა, თუ ლონდონში შერიგება მოხდა, ეს ცუდ გავლენას იქონიებს აქ ჩვენთვის. არჩევნებსაც ხომ დიდი შედეგი ექნება, თუმცა ეხლა მას მეტი შანსი აქვს.

ვნახე ის, ვისზედაც თქვენ მწერდით, კიდევ ვნახავთ, ეხლა სულ ცალკე, არ ვიცი. ეხლა ლონდონში უნდა იყოს. აქიდან ელის ხსნას ყველასთვის. სხვა ახალი არაფერი უთქვამს. თუ ზურგს უკან არ გეყოლათ ლ.[1] არ

[1] ლონდონი. აქედან ჩანს, რომ საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მცდელობით ლონ-

გირჩევთო... ინახულა სხვებიც. სომეხი არაა კმაყოფილი.

ლონდონიდან გვამცნეს კერძოთ: მოსკოვი მზათაა გაანთავისუფლოს კათალიკოზი და სხვები, თუ ისინი წავლენ უცხოეთში. ჩვენ დავინახეთ პოლიტიკურათ დაუშვებლად კათალიკოზის მიერ ტერიტორიის დატოვება. უნდა ამცნოთ ეს შინ, რომ იცოდენ ჩვენი აზრი. ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ, ინგლისი დაგვეხმარა.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 1.VII.24

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

ეს ორი კვირაა მოწერას ვაპირებ და ვსდებ უფრო გარკვეულ ამბების მოლოდინში. დღესაც ძნელია რამე გარკვეულის მოწერა. წინეთ, როცა ერიო კიდევ არ იყო პრემიერი, დიდს იმედს გვაძლევდენ მეგობრები; რადიკალებსა და სოციალისტებს შორის ურთიერთ მოლაპარაკების დროს, პროგრამის ირგვლივ, არა ერთხელ ჩამოაგდეს ლაპარაკი საქართველოზე და გვაიმედებდენ ძალიან, რომ საფრანგეთი ხელს არ შეუშვებს საქართველოსო; ხოლო როცა ერიო ჩადგა მთავრობაში, მდგომარეობა საგრძნობლათ შეიცვალა. რომ სიტყვა არ გავაგრძელო, საკმარისია აღვნიშნო, რომ ერიომ სთქვა მისთვის უფრო სახესრული მაკდონალდის რეზერვი ჩაურთოს მოსკოვის ცნობის აქტში! როცა მას უთხრეს, რომ ეს შეუძლებელია და დამღუპველი, მან იკითხა ჩვენი ფორმულა და, როცა გააცნეს, თქვა მოვიფიქრებო: მანვე დასძინა, ერთი კვირის შემდეგ შევუდგები რუსეთის პრობლემის შესწავლას – ეს იყო ლონდონში გამგზავრების წინ, ეხლა კი მიმართეთ ერთ პირს, რომელსაც მივანდევი კითხვის დამუშავება. როცა მიმართეს ამ პირს, მანაც განაცხადა გულახდილათ, რომ ჩვენი ფორმულა მიღებულია მათთვის, და დასძინა, რომ მაკდონალდის ფორმულა არის „plus habile".[2]

ამასთანავე გიგზავნით ჩემ მიერ გადაცემულ ნოტის ასლს. ვითხოვე აუდიენცია ერიოსთან, მაგრამ ჯერ არ მიპასუხეს. გიგზავნით ფორმულასაც, რომელზედაც შევჩერდით, თუ ნოტაში აღნიშნული არ მიიღეს. დაპირებული გვაქვს, რომ გვაცნობებენ თავის დროზე მათს საბოლოო აზრს, რომ კიდევ შევძლოთ უკანასკნელათ მიწოლა.

როგორც ხედავთ, მემარცხენეთა გამარჯვება აქაც ასევე სახიფათო გამოდის ჩვენთვის, როგორც ლონდონში. განსხვავება ისაა, რომ აქ უფრო ტკბილი სიტყვებით გვიმასპინძლდებიან. სოციალისტებს შეეძლოთ, რასაკვირველია, გაეტანათ ჩვენი საკითხი, მაგრამ ისინი უფრო იმაზე ცდილობენ, რომ საჩქაროთ იცნონ მოსკოვი, ვინემ ჩვენთვის ხეირიანი რეზერვი გაკეთდეს: ჩვენს საკითხს ისინი უყენებენ ერიოს უფრო შინაურულათ, მეგობრულათ. უკანასკნელთ ჩვენ დაგვპირდენ, რომ მათი ფრაქცია პალატაში მისწერს ოფიციალურათ ერიოს და მოსთხოვს მას საქართველოს

დონის ხელისუფლებას ზეგავლენა მოუხდენია რუსეთზე, რათა საპატიმროდან გათავისუფლებულიყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 390, ფ. 89.

[2] უფრო ჭკვიანი.

უფლების შენახვას. ამასთანავე გიგზავნით წერილს, რომელიც გაეგზავნა ლ. ბლუმს და პ. ფირს. თუ შეასრულეს, ესეც კარგია.

აი, მოკლეთ საქმის ვითარება. შეიძლება, სანამ ამ წერილს მიიღებთ, გაზეთში ნაიკითხოთ მოსკოვის ცნობა. ყოველ შემთხვევაში, აქ ძალიან აჩქარებდენ, თუმცა ერიო პირადათ მერყეობდა იმ მხრივ, რამდენათ საჭიროა აჩქარებაო ლონდონში, ჩვენის ცნობით, მას არ ჰქონია სპეციალური ლაპარაკი რუსეთზე, ჰკითხა მხოლოდ მაკდონალდს, როგორ მიდის კონფერენცია რუსებთან და მიიღო მიკიბულ-მოკიბული პასუხი. საქმიანი წრეები წინააღმდეგი არიან აქ უპირობოთ ცნობის, მაგრამ მათ არ უწევენ ანგარიშს: ლონდონის კონფერენციისათვის შანსები დიდი არ უნდა იყოს. მაგრამ მის ჩაფლავებას არ უცდიან თითქოს აქ.

შინ თქვენ აცნობებთ, თუ საქმე გაჭიანურდა, რომ ჩვენ ვცდილობთ და იმედიც არ დაგვიკარგავს, მაგრამ ნამეტანი დაიმედებაც არ ივარგებს. ერთი წერილიდან გავიგე, მაგ., რომ შინ დარწმუნებული არიან, რომ საერთაშორისო სიტუაცია ჩვენს სასარგებლოთ არის მიმართული"! თქვენ მიხვდებით, რომელ წერილზეა ლაპარაკი, იქვეა აღნიშნული, რომ ავტორი ემყარება პარიზის (24.I) და სტამბოლის (6. II) წერილებს...

აკ. ჩხენკელი.

გიგზავნით აგრეთვე „memuars ", რომელსაც ჩვენ ვაძლევთ ნაცნობებს აქ. არ უნდა აჩვენოთ ინგლისელებს. ეწყინებათ.

ა.ჩ."[1]

„პარიზი. 19.VII.24

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

მე თქვენ გწერდით 1-ლ ამ თვეს კონსტანტინეს მისამართით (პასუხი არ მიმიღია), რომ აქაური სოციალისტ. ფრაქცია გვპირდება ოფიციალურ წერილის მიწერას ერიოსთვის ჩვენ დასაცავათ მეთქი. ეხლა გიგზავნით ამასთანავე ამ წერილის ასლსაც. იქიდან დაინახავთ, რომ, რამდენათაც შეიძლება, დაბეჯითებით იცავენ ჩვენს სტატუტს და სწორეთ რეზერვის იმ ფორმულას უდგენენ ერიოს, რომელიც ჩვენ მივაწოდეთ და თქვენც გამოგიგზავნეთ. ეს ნაბიჯი ფრაქციის მხრით მაქსიმუმია, რისი მიღწევა შეიძლებოდა. უკეთესი იყო, რა თქმა უნდა, რომ ჩვენი ქვეყნის უფლების შენახვა, როგორც ერთ-ერთი პირობა შესულიყო რადიკალების და სოციალისტების თანამშრომლობის პროგრამაში, მაგ., როგორც მოსკოვის ცნობა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. მანდ გადათარგმნით სოც. ფრაქციის წერილს და შინ გაგზავნით, დასტამბვა არ ივარგებს ჯერ-ჯერობით.

გადაწყვეტილი იყო მოსკოვის ცნობა კიდევ ამ თვის დამლევისთვის, მაგრამ შეჩერდა და ეხლა, როგორც გავიგე, ერიოს ლონდონის კონფერენციიდან დაბრუნების უმალ მოხდება იგი. საუბედუროთ, როგორც სჩანს, საბოლოოთ შეჩერდენ მაკდონალდის ფორმულაზე: შეუძლებელი არაა კიდევ მოხდეს შეცვლა უკანასკნელ წუთს. და ეს დამოკიდებულია იმისგან, ექნება თუ არა რამე მოლაპარაკება ერიოს ლონდონში თავის კოლეგებთან, განსაკუთრებით ამერიკელებთან. ის აპირებდა ამას, ყოველ შემთხვევაში,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 90.

კერძოთ. ჩვენ კიდევ ვიღონებთ რამეს. ჯერ არ ვიცით, რა შთაბეჭდილება მოახდინა ერიოზე სოც. ფრაქციის წერილმა. ამას გავიგებთ ალბათ მხოლოდ მისი დაბრუნების შემდეგ. აი, რა შეიძლება ჯერ-ჯერობით ითქვას.

ერთხელ კიდევ გვამცნეს სანდო წყაროებიდან, რომ მაკდონალდს არ დავვიწყნივართ: არც ისე ცუდათაა საქართველოს საქმე, როგორც თქვენ გგონიათო, უთქვამს მას და დაუსკვნია, მე ვარ „???"[1] საქართველოს მომავალზეო. ძნელია გამოცნობა, რა ჰქონდა მას კონკრეტულათ სახეში, რა მხრივ ფიქრობს საქმის მოვლას. სამწუხაროთ, ჩვენ ის ვერ დავარწმუნეთ, რომ მისი მტკიცე სიტყვა, მარტო სიტყვა, მოსკოვს დათმობისკენ წაიყვანდა, – შეიძლება ეხლა ფიქრობს ამ მეთოდის ხმარებას! საეჭვოა. არის მეორე შესაძლებლობაც: ლონდონსა და მოსკოვს შორის რამე ეკონომიური შეთანხმება თუ კიდევ დასაშვებია სესხთან დაკავშირებით, ეს ალბათ მოხდება კავკასიის ხარჯზე, და ამ შემთხვევაში არაა მოულოდნელი ჩვენმა საკითხმა წამოყოს თავი: თქვენ იცით, ბევრს სწერენ კონცესიებზე სპარსეთში, ჩვენში... ასე თუ ისე, ყურდაცქვეტილი უნდა ვიყოთ. თქვენ, სამწუხაროთ, არ აქცევთ სათანადო ყურადღებას მანდაურ დიდ მისიებთან მუშაობას, ისინი რომ გზავნიდნენ აქ და ლონდონში სისტემატიურათ რამეს ჩვენი პერსპექტივების შესახებ, ძლიერ სასარგებლო იქნებოდა: საჭიროა არ მოეშვათ მათ, საბაბი უნდა იშოვოთ ხშირათ.

თქვენ მეკითხებით სომხების ახალი როლის შესახებ მოსულ-ქურთისტანის საქმეში. ეს მართალია, რადგან ვიცი თვით სომხებისაგან. რაც შეეხება აბხაზს, მან ნახა ყველა. სომხებთან თითქმის გამონახა ენა, არ დაპირებია არაფერს. მე ვნახე მეორეხელ მარტო და დიდხანს ვიბაასეთ, ზოგიერთ დასკვნებზეც მივედით, მაგრამ ამაზე სხვა დროს. – ლონდონს, ჟენევას და ვარშავას ნუ დატოვებთ უინფორმაციოთ.

აკ. ჩხენკელი."[2]

„პარიზი. 4. VIII. 24.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

თქვენი პაკეთი წერილებით და სხვა მასალებითურთ მივიღე. აქ მდგომარეობა უცვლელია, და ასეც დარჩება ალბათ ერიოს დაბრუნებამდე. სანამ ის ლონდონში წავიდოდა, ერიო ნახა რენოდელმა, სოც. ფრაქციის წერილის მიღების შემდეგ. უკანასკნელს ალბათ უმოქმედნია ერიოზე რამდენათმე, მაგრამ მეორე, შერბილებულ ფორმულასაც არ იღებს (ფრაქციის მიერ წარდგენილს). საქართველოს უფლების დასაცავათ მე შემიძლია მოსკოვის ცნობის აქტში ვთქვა შემდეგიო: „???"[3] ან კიდევ Ohaus cadre des Traités et engagements[4] ეს ფორმულა ჩვენ სრულიად არ გვაკმაყოფილებს, იგი აბსტრაქტულია და არ გულისხმობს საქართველოს. ერიო რომ შეიცვალოს, მისი მემკვიდრე სულაც არ ჩათვლის თავის თავს დავალებულად ჩვენს მიმართ. ერთი საშუალება კიდევაა, ეს – თუ ერიო საჯაროთ გააკეთ-

[1] ფრნგული ნაწერი არ იკითხება.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ.91.
[3] გაურკვეველია.
[4] თარგმანი: ჩარჩო ხელშეკრულებები და ვალდებულებები.

ებს ამ ინტერპრეტაციას. მაგ. პალატაში, რომ ამ ფორმულით მან შეინახა საქართველოს სტატუტი: თუ უკეთეს ვერ მივაღწიეთ მაინც ჩვენ დაგვრჩენია ვეცადოთ ვათქმევინოთ ეს პალატაში შეკითხვის საშუალებით. მეტია ამაზე ლაპარაკი, რომ მე ვხვდები ყველა პარტიების წარმომადგენელთ, ისინიც მპირდებიან, მაგრამ... ვინ იცის.

უკანასკნელათ ცოტა აირია საქმე. ერთის მხრივ ლონდონის კონფერენცია გრძელდება. რეპარაციის –, მეორეს მხრით, ახლოვდება ანგლო-რუსული კონფერენციის ფინალი. თუ პირველი თავდება შეთანხმებით, არაა ნათელი, რით გათავდება მეორე. F.O. ინახავს საიდუმლოებას კიდევ უფრო სასტიკათ, ვინემ კერზონის დროს. უეჭველია, ორივე ამ მოვლენას ერთაგვარი გავლენა ექნება: იბადება კითხვა: რა გაუსწრებს წინ: ცნობა თუ მოლაპარაკება. იქ სამინისტროში ის აზრია, რომ ჯერ ცნობა მოხდებაო, იქ ლონდონში ერიო აძლევს საკოურკის (?) თავის პირობებს, თითქოს მოლაპარაკებით უნდა დაიწყოს. ამასთანავე უეჭველია, არის კერძო ლაპარაკი მოკავშირეთა შორის რუსეთის შესახებ. ჰაუზის ჩამოსვლას ამერიკიდან აქვს უთუოთ მნიშვნელობა რუსეთის საკითხშიც. ყველა ეს გამოირკვევა რამდენათმე მაინც ამ კვირაში.

ამასთანავე გიგზავნით ორ ასლს: !) დეპ. ობრიოს წერილში ერიოსადმი. ძალიან ჰგავს სოც. ფრაქციის წერილს, რომელიც მე მას გადავეცი მასალად. ის არის მთავარი მდივანი პატარა, მაგრამ გავლენიან ჯგუფის (ფრედერიკ ბრიუნე, ლავასიორ). ეკუთვნიან ფრანგულ სოც. პარტიას; ამ ჯგუფს აქვს კავშირი დამოუკიდ. სოციალისტებთან და რესპუბლიკან. სოციალისტებთან (ბრიანი, პენელევე). 2) ჩვენი კავშირის საერთო ნოტას ჰერიოსადმი, კარგა ხანია ვამუშავებთ მას, ძნელი იყო შეთანხმება თვითეულის სურვილის და ამიტომ უფრო მოკლე და ზოგადი ფორმა მიეცა. შეხვედრების დროს ვრწმუნდებით, რომ ყურადღება ექცევა კავკასიის მთლიან ფრონტსაც, ერთგვარ petite entente-ს[1] უნდა წარმოადგენდეთო, გვეუბნებიან და ჩვენც გადავდგით ეს ნაბიჯი. ეკონომიურ მომენტს, რომ ჩვენთვის სავალდებულო არ არის მოსკოვის მიერ გაცემული კონცესიები და სხ.., ექცევა ყურადღება. ჩვენი კერძო მუშაობის ყველა ეტაპები არ იციან მეზობლებმა, არც შეიძლება ეს, სამწუხაროთ, – მიიღეთ მხედველობაში. აკ. ჩხენკელი."[2]

„პარიზი. 18.VIII.24.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

მდგომარეობა ჯერ კიდევ უცვლელია. მოკავშირეთა კონფერენციის შეთანხმებათა გათავებას ის მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რომ რეპარაციის საკითხმა შეიძლება ისე არ დაჩრდილოს შემდეგში რუსეთის საკითხი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, შეიძლება უფრო მტკიცეთ დახვდნენ მოსკოვის ორჭოფულ პოლიტიკას. ანგლო-რუსულ ხელშეკრულებათა დადება ერთგვარი ნიშანია საერთოთ რუსეთთან საერთაშორისო შეთანხმების პროცესის დაჩქარებისა. მართალია, მთავარი კითხვები გადაუჭრელად დარჩა, მაგრამ მოსკოვმა უკვე დათმო პრინციპებში, თუ სესხს მიიღებს. ჩვენის

[1] პატარა ანტანტას უწოდებდნენ კავკასიის კონფედერაციას.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ.78.

ცნობით, რუსები ელაპარაკებიან ბანკირებს, მაგრამ უფრო მოსალოდნელია შეუთანხმდნენ „stell"და „standart oil"-ს რომელნიც თითქოს მზათ არიან უზრუნველჰყონ სესხი რუსეთისათვის, ნაწილათ. ისინი მოითხოვენ მთელი წარმოების და ექსპორტის გადაცემას ბაქოში და გროზნოში. არ ირევენ მთავრობას მონაწილედ, აძლევენ მას წილს მოგებიდან, ფიქრობენ დააკმაყოფილონ ძველი მრეწველნიც განსაკუთრებულ საზოგადოების შექმნით და მათთვის უსახელო აქციების დარიგებით. ფიქრობენ, თუ ეს შეთანხმება მოხდა, უცხოელნი ვერ იმუშავებენ მაინც, თუ რამე არსებითი გარანტია არ ექნათო, სახეში აქვთ თითქოს მათივე საკუთარი ადმინისტრაცია... ძნელია მაინც დაბეჯითებით რამის თქმა. მაკდონალდმა გადმოგვცა ამას წინეთ ერთი პირის საშუალებით: თქვენი საქმე არც ისე ცუდათაააო; როცა ეკითხები სამინისტროს, ჩვენგან ნურაფელს ელითო; სამხედროში თითქოს ნუგეშს გვაძლევენ... რაც შეეხება საფრანგეთს, ახალი არაფერია, დღეს ბრუნდება ერიო და მაშინ ვნახოთ.

თქვენ მეკითხებით სომხების პოლიტიკაზე მოსულსა და ქურთისტანში. მე არა ვფიქრობ, იმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, შეიძლება თითო-ორ ინგლისელს ჰქონდა ეს იდეა, სომხებიც (ოსმალეთის) ჩაებღაუჭენ მას და ამით გათავდა ალბათ. მე შევამოწმებიე ეს ამბავი ლონდონში და სნორეთ ასე მომწერეს; რაც შეეხება მთავრობას, მას არ სურს ისეთი რამ ჩაიდინოს, რაც უფრო გაამწვავებდა ანგორასთან დამოკიდებულებასო. ეს კიდევ არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ ინგლისი ისევ არ მოიმარჯვებს რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ ეს სხვა საკითხია. ანგორა საზოგადოთ არ ცდილობს მეგობრები გაიჩინოს: რუსეთი რომ მართლა შევიდეს ევროპის კონცერტში, არა მგონი, რომ ეს სახიფათო არ იყოს ოსმალეთისთვის. ეს უკანასკნელი უშვებს საუკეთესო მომენტებს. მაგ. ოსმალეთს რომ მეტი აქტივობა გამოეჩინა დიპლომატიაში, შესაძლოა, სანამ აქ რუსეთს მოურიგდებოდენ, მისთვის და ჩვენთვისაც მეტი ანგარიში გაეწიათ. არ ესმით მანდ, რომ რუსეთთან მორიგება ნიშნავს პირველ ყოვლისა კავკასიაზე ხელის დადებას ეკონომიურათ, თვით რუსეთის ხიშტის ქვეშ. არ ყოფილან რეალისტები ანგორაში, ებაასეთ მეგობრებს...

აბხაზმა[1] გადმომცა თქვენთან ბაასი... ნეიტრალობაზე განიმეორა იგ-

[1] აბხაზი. — ნიკოლოზ აფხაზი (1899, თბილისი - 1987, ქ. ვიქტორია, კანადა) — ქართველი იურისტი, სამხედრო პირი. დაიბადა ილია ჭავჭავაძის დისშვილის, ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზისა და ელენე იოსელიანის ოჯახში. ნიკოლოზ აფხაზის წინაპრები დიდგვაროვანი აფხაზი თავადები – შარვაშიძეები იყვნენ, რომელთაც აფხაზეთი XVII საუკუნეში დატოვეს და კახეთში, სოფელ კარდენახში დასახლდნენ. მათ აფხაზის ფსევდონიმი დაიმკვიდრეს. ნიკოლოზ აფხაზმა 1918 წელს დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია. 1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. 1921 წელს, საქართველოს ანექსიის შემდეგ ნიკოლოზი და ელენე საფრანგეთში გაიხიზნენ და პარიზში კოტე აფხაზის ჩასვლასაც ელოდნენ. საქართველოში დარჩენილი კოტე აფხაზი კი შეურიგებლად იბრძოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. 1923 წლის თებერვალში ის და სამხედრო ცენტრის 14 წევრი დააპატიმრეს. 20 მაისს საშინელი წამების შემდეგ ყველანი დახვრიტეს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე. ნიკოლოზ აფხაზი და დედამისი ქართული სათვისტომოს აქტიური ნევრები იყვნენ. 1926 წელს პარიზში დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიიღო დოქტორის ხარისხი, მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, ჰქონდა საადვოკატო პრაქტიკა. პყავდა მდი-

ივე. სხვა კითხვებზე გვქონდა ჩვენ უმთავრესი ბაასი, მაგრამ არ იყო აქტუალური და ამიტომ არ მომიწერია. მთავარი დებულება მისი ასეთი იყო: სანამ ვერ იშოვით ძლიერ დამხმარეს ევროპაში ან ამერიკაში (წყალი, იარაღი), არ უნდა გაინძრეთო. ჩვენ ხომ მასეთებს არ დავეძებთ!

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი. 29. VIII. 24.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში.

ლოზანის ეპოპეა დამთავრდა უვნებლათ ჩვენთვის: იორდანსკის არ მისცეს ნება, გარდა სახელი და გვარისა, სხვა რამე დაეწერა კონვენციაზე. მე-19 მუხლის მესამე ალინეა უცვლელათ დარჩა. მაშ ადგილი დაბეჭებული აქვს საქართველოს. კონვენციაში. მე ის უკვე გადმომცეს, სიტყვა რუსეთს არაფერი არ ემატება არსად, ე.. ი. არაა ნათქვამი „კავშირი" ან „ფედერაცია" ან „საბჭოთა". საყურადღებოა, ჩემი ნოტის შესახებ მიწერ-მოწერა იყო ლონდონსა და პარიზს შორის, რის შემდეგ მისწერეს რომში, არას გზით არ დაეშვათ დაეწერა რუსს სხვა რამე. იგი, ნოტი, კერზონმა წაიკითხა და, მისი ბრძანებით, კომისიამ განიხილა F.O.-ში, ელის თუ არა რამე ხიფათი ჩვენს სტატუტს, და შემდეგ დაიბარეს სუმბათოვი და კატეგორიულათ განუცხადეს – არა, არ ელისო. ამ რიგათ, გადავრჩით ამ ჭაპან-წყვეტას, უქმათ არ ჩაგვიარა იგი. გაცნობებთ შინ საიდუმლოთ, რომ ლოზანიდან გამაგრებული გამოვედით. თვით დიდი კითხვა – შავი ზღვის ინტერნაციონალიზაცია – დადებითათ გადაწყდა, რაიც ახალ პერსპექტივებს გვიშლის. რუსეთის მიერ ახლის მაგიერ ძველი პოზიციების დაკარგვა მარჯვეთ უნდა გამოიყენონ შინ

რაც შეეხება რიგის ჩვენზე გავრცელებას, გიგზავნით პუანკარეს პასუხს ჩემს მიმართვაზე. არ ველოდი, მართალი გითხრათ, ასეთ დროს

დარი ამერიკელი კლიენტები, მათ შორის ამერიკელი ცოლ-ქმარი კელები. მათ ნიკოლოზ აფხაზს სამეურვეოდ მიანდეს კარ-მიდამო და 120 ოთახიანი სასახლე, სადაც II მსოფლიო ომამდე დედასთან ერთად ცხოვრობდა. 1930-იანი წლების დამლევს ნიკოლოზ აფხაზი ოფიცრის წოდებით შევიდა სამხედრო სამსახურში, საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ გახდა გენერალ შარლ დე გოლის მეთაურობით გაშლილი „საფრანგეთის წინააღმდეგობის" მოძრაობის აქტიური წევრი. იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში, ალჟირსა და ლიბიაში. გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო საფრანგეთის რამდენიმე პრესტიჟული სამხედრო ჯილდოთი, მათ შორის საპატიო ლეგიონის ორდენით. ერთ-ერთი ოპერაციის დროს ტყვედ ჩავარდა, იჯდა საკონცენტრაციო ბანაკში. ამ ამბავმა დედამისს სიცოცხლე მოუსწრაფა. ნიკოლოზი ტყვეობიდან 1944 წელს განთავისუფლდა. 1921 წელს ნიკოლოზ აფხაზმა პარიზში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე მარჯორი (პეგი) ჰემბერტონ-კარტერი (1902-1994), რომელსაც დიდი ოჯახური ტრაგედია ჰქონდა გადატანილი. პეგი 3 წლის ასაკში დაობლდა, მეურვეები ყურადღებას არ აქცევდნენ. საბოლოოდ ბავშვი მდიდარმა ოჯახმა იშვილა, მამობილის გარდაცვალების შემდეგ, დედობილთან ერთად ბევრს მოგზაურობდა და ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. მას მიმოწერა ჰქონდა და მეგობრობდა ნიკოლოზთან, ხოლო პარიზში ჩამოსვლის დროს ხვდებოდა. 1946 წელს ნიკოლოზ აფხაზი და მარჯორი ნიუ–იორკში შეხვდნენ ერთმანეთს და დაქორწინდნენ, შემდეგ დასახლდნენ კანადაში, ბრიტანეთის კოლუმბიაში, კუნძულ ვანკუვერის ქალაქ ვიქტორიაში. შეიძინეს მოზრდილი ნაკვეთი და ულამაზესი ლანდშაფტური ბაღი გააშენეს კანადის მკაცრ კლიმატურ პირობებში. ცოლ-ქმარი 40 წელი ატარებდა ექსპერიმენტებს, ანახლებდა და ალამაზებდა ბაღს, რომელიც მსოფლიოშია ცნობილი და დღეს ბრიტანეთის კოლუმბიის ბუნების დაცვის საზოგადოების საკუთრებაა. ნიკოლოზ აფხაზს შვილები არ დარჩენია.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 79.

პასუხს მისგან. პოლონეთის ამბიციისთვის, ის მკაცრათ იწყებს, მაგრამ ბოლოს ამბობს იმას, რაც ჩვენ გვინდოდა, და, როცა ის ათავებს ამით. Que les fractions encisagues we puissant influer, a l'avenir, sur le statut international de la Georgie",[1] ეს დიდი მნიშვნელოვანი განცხადებაა ჩვენი დანგრევის მე-3 წლის მეორე ნახევარში. ასეთ კატეგორიულ განცხადებას ჩვენ არ მოველოდით მისგან. ქაღალდი საიდუმლოთ უნდა შეინახოთ, პოლონელებმა არ უნდა გაიგონ, მაგრამ დიპლომ-მუსაიფში სხვებთან უნდა გამოიყენოთ. თუ საფრანგეთის პოზიციით კმაყოფილი ვართ, ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ პოლონეთი მაინც არ გაგვწირავს. Известия უკვე აცხადებს, რიგის ხელშეკრულება განსაცდელშიაო, რადგან პოლონეთი არ ცნობილობს „კავშირსო"... პოლონეთში მუშაობენ სალაყაია და სხვები, მეგობრებიც გვყავს, ვნახოთ. კონფერენცია ჯერ არ გახსნილა იქ.

თქვენი წერილები მივიღე, ინფორმაციაც. დ. მ. კომიტეტის ხალხთა ლიგა ცისადმი მიმართვა გადასაკეთებელი შეგვექნა. ცოტა უხერხულია, რომ დედანს არ ვურდგენთ ლ. გაზ. ჩვენ მოვიმიზეზეთ კონსპირაცია, დაშიფრული იყო თქო. გამოგეგზავნებათ ქართული და ფრანგული ტექსტი, სნორეთ ეს უნდა გამოაქვეყნონ შინაც, რომ სიყალბე არ დაგვაბრალონ. თვით სტამბოლში რომ დაიბეჭდებოდეს და ისე გაიგზავნებოდეს, უკეთესია – ეს ჩემი კერძო აზრია.

ევაკუაციის შემდეგ რა მოგველის მანდ? ამას დიდის ინტერესით ველით. პასპორტ-ვიზების საქმე როგორა გაქვთ მანდ? აქ ვიზას არ იძლევიან თურქები, ბოლშ. პასპორტი მოიტანეთო! ნუ თუ არ შეიძლება ისეთივე პატივი დაგვდონ, როგორც გერმანიამ? – ეს გვიკრავს ვიზას. საჭიროა ზომების მიღება უთუოთ.

აქ ხმა მოვიდა, ხოსრო სულთანოვი ანგორაში გაიწვიეს დეპეშითო, მართალია თუ არა? რაღაც სამზადისში არიანო... ეცადეთ არ გამოგეპაროსთ რამე. გაქვთ თუ არა მიმოსვლა ინგლისელებთან, ფრანგებთან?

აკ. ჩხენკელი.

კ. კანდელაკი არ არის აქ. გამოგეგზავნათ ჩეკით. იქედან 20.000 ბინისთვის. როგორი იქნება თქვენი მისამართი? უცხოელთ ფოსტა-ტელეგრაფიც ხომ ისპობა!"[2]

„პარიზი. 1.X.24

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

თქვენ უკვე გამოგეგზავნათ სტენოგრ. ანგარიში ხალხთა ლიგის საზ. სხდომისა ჩვენ საკითხზე. ეს ანგარიში ნინასწარია და შეუსწორებელი, შეცდომებიც არის დასტებში, საბოლოო გამოგეგზავნებათ, როცა მივიღებთ. აქვე გიგზავნით თვით დადგენილებას: ამის შემდეგ ჩვენ გადავეცით ახალი ნოტა საბჭოს და ვთხოვეთ კიდევ ამ სესიაში შედგომოდენ ჩვენს საკითხს და მიეღოთ დაუყონებლივ ზომები სისხლისღვრის შესაჩერებლათ და თვით რუსულ-ქართული კონფლიქტის მოსაწესრიგებლათ.

[1] თარგმანი: „რომ მომავალში საქართველოს საერთაშორისო სტატუსზე შეიძლება გავლენა მოახდინოს".
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 80.

ძალიან ცოტა იმედი იყო, რომ საბჭო შეიწყნარებდა ჩვენს თხოვნას. ნოტის ასლი ხელთ არ მაქვს, გამოგეგზავნებათ. დადგენილებაში ერთი ახალი მომენტია: საბჭოს შეუძლია მიმართოს სახელმწიფოთ-ლიგის წევრთ დახმარებისთვის. მხედველობაში ყავდათ მხოლოდ ორი: ინგლისი და საფრანგეთი, მაგრამ სხვებს რომ საწყენად არ დარჩენოდათ, არ გაუსვეს ამას ხაზი. პარიზში ცდილობდენ, რომ ერიოს პირდაპირი ნაბიჯი გადაედგა ჩვენს საკითხზე მოსკოვის წინაშე, ჟენევაში მწერდენ, თითქოს მან აღგვითქვა ეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ იყო, კიდევ ვცდილობთ. ჟენევაში ჰენდერსონს მივაწერინე მაკდონალდისთვის იმავე საგანზე, მხოლოდ შედეგი ჯერ არ ვიცი. ირ. წერეთელი ლონდონშია და ცდილობს ამ მიმართულებით. მე წავალ იქ ალბათ ამ ორ დღეში.

ჟენევაში სამი საფეხური განვიცადეთ: სკეპტიციზმი მოძრაობისადმი ჩვენში, იმედები მოძრაობის გაძლიერება – გაგანიერებისა, დამარცხება მოძრაობის და იმედების გაცრუება. მე ვამბობ დელეგაციების სულისკვეთებაზე. ამის და მიხედვით თვით ჩვენმა საქმემ განიცადა სამი სხვა და სხვა მოპყრობა ლიგის მიერ. პირველ ხანებში ხელოვნურად თვლიდენ მთელს გამოსვლას, ჩვენ გვაბრუნებდენ და ამიტომ ლიგის მიერ ხმის ამოღებას შეუძლებლად სახავდენ. ასეთი იყო თვით მეგობრების აზრიც. ჩვენ გვქონდა სპეციალური შეხვედრა დელეგატ-სოციალისტებთან და ერთგვარათ მივაღწიეთ მათ დარწმუნებას იმაში, რომ მოძრაობა სტიქიურია, სისხლი იღვრის, მრავალია მსხვერპლი, ეს მოძრაობა პირველი არ არის და სხ. იმ დროსთვის მაკდონალდი და ერიო შეთანხმდნენ თავმჯდომარის (ნ. ჟ.) დეპეშის გამო და მიანდვეს თავიანთ დელეგაციებს რამე გაეკეთებიათ. ამასობაში ცნობები მოძრაობის შესახებ მოედო მთელს ქვეყანას, სხვისი ცნობები გაცილებით უფრო დრამატისტული იყო, ვინემ ჩვენი, ეხლა უკვე ლაპარაკობდენ მთელს კავკასიაზე. თვით სომხეთშიც ელანდებოდათ აფეთქება, ჩვენ ვაძლევდით „Дни"-ს ტომებს პრესაში და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც რუსებისგან გამოსულათ. (სხ. შ. ეს გაზეთი, ჩვენის ცნობით, რუსეთიდან იღებდა ცნობებს, ხშირათ ისეთს, რომელიც მოსკოვს მისდიოდა კავკასიიდან და მალავდა). ყველა ქვეყნის და ენის პრესა დიდად ხმაურობდა. იყო მრავალი წერილებიც, ყველა სიმპატიური ჩვენთვის, გარდა კომუნისტურისა, რა თქმა უნდა. შვეიცარიისათვის ეს ხომ იყო მთელი ???. სწერდენ ყოველ დღე, ერთ კვირა დღეს ილოცეს ყველა ეკლესიებში საქართველოსთვის.

ჩვენც ვისარგებლეთ ამ მომენტით, მაგრამ სიძნელენიც გადაგვეღობა. ლორდ პარმურმა[1] მითხრა, რომ კითხვას საბჭოში აღძრავდა და მისამართი დამატოვებია, ვინცობაა საბჭოში დაგიბაროს და პირადი ახსნა მოგთხოვოსო. ეს უკანასკნელი მოსაზრება ხელსაყრელი იყო ჩვენთვის. მაგრამ პირველი მიუღებელი, რადგან ეს ნიშნავდა კითხვის საზ. სხდომაზე არ გამოტანას. მივიღეთ ზომები ამის წინააღმდეეგ და მივაღწიეთ მიზანს:

[1] ლორდი პარმური, — (1852-1941), ბრიტანელი პოლიტიკოსი, ბრიტანეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში, ლეიბორისტი.

პოლ ბონკურმა[1] დააჯერა პარმური, რომ კითხვა დასმულიყო საზოგადო სხდომაზე, ასეც მოხდა. მან თვითონ წარმოსთქვა სიტყვა, სადაც გაატარა ის აზრი, რომ ომია ორ სახელმწიფოს შორის და ლიგის ჩარევა აუცილებელიაო: წინადადება კი ზომიერი გამოდგა – განმეორება 1922 წ. რეზოლუციისა. პარმური, განსაკუთრებით მისი სპეციალისტები ვერ დაარწმუნეს იმაში, რომ დაემატებიათ რამე არსებითი. მეორეს მხრით, თუ ჩვენ პირველ ნოტაში ზოგადათ მოვითხოვდით ჩარევას, ეხლა ვიყენებდით კითხვა პაკეტის მე-17-ე პარაგრაფის მომარჯვებას, რომლის თანახმათ მეომარ არაწევრ სახელმწიფოთა მიმართ ლიგა ვალდებულია იგივე ნაბიჯები გადადგას, რაც სახელმწ. წევრთა მიმართ, კონფლიქტის მშვიდობიან, არბიტრაჟის თუ სხვა გზით ჩასაქრობათ. არ მოხერხდა ეს კომისიაში; ინგლისელნი წინააღმდეგი იყვნენ. ბონკურს არ ეცალა, არ იყო იქ, ჰენდერსონს არ ქონდა მაკდონალდისგან ჩვენი საქმე მინდობილი, დებრუკერი რაღმე არ გაუშვა იქ ჰიუსმანსმა და სხ. პარმური თვითონ არ წავიდა, გაგზავნა ჯილბერტ მიურე (პროფ. დელეგატი), ამ უკანასკნელმა კი არაფერი იცოდა. შეხვედრის დროს განმიცხადა: ჩვენ ვიცანით მოსკოვის „კავშირი", ხელი შეკრული გვაქვს, საფრანგეთი თავისუფალია, არ ღირს მთელი რეზოლუციის გამეორება.... მიურეს, სჩანდა, არაფერი სცოდნია ჩვენზე, გავაცანი, მისთვის ახალი ამბავი იყო, რომ მაკდონალდმა ერთგვარი რეზერვი გააკეთა მოსკოვის ცნობის ნოტაში, ვაჩვენე პონსონბის ოფიც. წერილიც, რომ ამ ცნებით ჩვენი მდგომარეობა არ იცვლება. მან არ დამალა ეთქვა, რომ ჩემი მტკიცება საფუძვლიანია, და უნდა ითქვას, შემდეგ ის უფრო აქტიური და ლოიალური იყო. კომისიაში მისი ინტერპრეტაცია მაკდონალდის მიერ მოსკოვის ცნობისა ფრიად საყურადღებო იყო, მაგრამ, სამწუხაროთ, ოქმში მხოლოდ ორიოდე სიტყვა აღმოჩნდა (სტენოგრამა არაა კომისიებში). იყვენ დელეგატები, ვინც გულის წყრომას გამოთქვამდენ იმის შესახებ, რომ საბჭოს არაფერი გაუკეთებია ორი წლის განმავლობაში. დებრუკერი მომზადებული იყო, სამჯერ აიღო სიტყვა და ყოველი განმარტება მისცა. ოქმი გამოგეგზავნებათ.

კომისიის წინადადებაც უფერული გამოდგა, გარდა ორი მომენტისა: მდგომარეობის „ტრაღიკულად" ჩათვლა და სხვა სახელმწიფოების დახმარების მოთხოვნა. მაგრამ ამის შემდეგ კიდევ გართულდა საქმე. და ეს იყო სწორეთ მესამე საფეხური: დამარცხების ცნობები, მოძრაობის ბოლშევიკების პროვოკაციად გამოცხადება, იტალიის კონსულის დეპეშა თფილისიდან, რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარაო... კომისიის წევრებმა განაცხადეს, წინადადება უნდა ჩატარდეს საზ. სხდომაზე უდებატოდო. ამ შემთხვევაში, ყველაზე ჯიუტი ბონკური გამოდგა: დებატები საქმეს გაგვიფუჭებსო, იტალიელნი რეზერვს გააკეთებენ. წინადადება არ გავაო.

[1] პოლ ბონკური, — ოგიუსტენ ალფრედ ჟოზეფ პოლ-ბონკური (1873-1972), ფრანგი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სხვადასხვა დროს იყო შრომისა და სოც. უზრუნველყოფის, ეროვნული თავდაცვისა და სამხედრო, საგარეო საქმეთა, სახელმწიფო მინისტრის თანამდებობებზე, საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენელი ჟენევაში. საფრანგთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, 1916 წელს ამ პარტიიდან გახდა პარლამენტის დეპუტატი. იბეჭდებოდა საფრანგეთის მემარცხენე გაზეთებში.

არ მოახდინა შთაბეჭდილება მასზე არც იმან, რომ იტალიელებმა კატეგორიულად აღმითქვეს არ იქმენ ასეთ რამეს, არც იმან, რომ ინგლისელი ილაპარაკებდა (ჰენდერსონმა აღმითქვა ლაპარაკი, მაგრამ უკანასკნელათ უხერხულად დაინახა თავათ კომისიის წევრ – მიურესთვის წაერთვა სიტყვა საზ. სხდომას და კომისიებს მხოლოდ ერთხმათ შეუძლიათ დადგენილების მიღება). შედეგი იცით, იყო დებატები და არც არაფერი წამხდარა, იმ განსხვავებით, რომ დებრუკერს ჰქონდა მომზადებული მშვენიერი პრინციპიალური სიტყვა, და იმის მაგიერ მოკლეთ თქვა ორიოდე ზოგადი სიტყვა: მასზე ალბათ იმოქმედა ბონკურის შიშმა და უმთავრესათ ჰამანსის[1] ჩაგონებამ. საზოგადოთ ეს უკანასკნელი იმის წინააღმდეგიც იყო, რომ წინადადებას ბელგიის სახელიც მიმატებოდა, მაგრამ ეს მოხდა მის და თვით დებრიუკერის მოულოდნელათ: ბონკურმა შეუკითხავათ დაასახელა ინგლისთან და საფრანგეთთან ბელგიაც, მერმე კი უკან წაღება შეუძლებელი იყო.

აი მოკლეთ ჟენევის ამბები. განზრახვა გვაქვს ცალკე წიგნაკად გამოვცეთ ანგარიშები, ოქმები და ჩვენი დეპეშები და ნოტები. მოძრაობამ უეჭველათ გამოაცოცხლა ჩვენი კითხვა, ინგლისში იგი უფრო აქტუალური გახდა, აქაც შეიძლება ერიომ ვერ შესძლოს ისე ადვილათ ჩვენი წაშლა. ამერიკაში, უეჭველათ, რაღაც განსაკუთრებული მოსაზრებით ბერავდენ მოძრაობას, Chicago tribune-ის გაზვიადებული ცნობები უსარჩულოთ არ მომხდარა ალბათ. მოსკოვს ძლიერ ეშინია, ჩვენმა საკითხმა ხელი არ შეუშალოს, როგორც ერთ-ერთ საბუთმა, ანგლო-რუსული ხელშეკრულების რატიფიკაციას. მგონი, არა უსაფუძვლოთ. სრულიად უეჭველია, ინგლისის მთავრობის სათავეში მაკდონალდი არ ყოფილიყო, უფრო არსებითს შედეგებს მივაღწევდით, არა იმდენათ ლიგის საშუალებით, რამდენათ უშუალოთ, ლონდონის მიერ. პირდაპირ სამარცხვინოა, გაუგონარი, რომ სოციალისტების მხრით არაფერი ისეთი არ მომხდარა, რაც შთაბეჭდილებას მოახდენდა მოსკოვზე. მათი რეზოლუციები მკვდარ სიტყვად იქცა. არ ვიცი, რას მიაღწევს ირ. წერეთელი ინტერნაციონალის ეგზეკუტივში, მეშინია – კიდევ ერთ რეზოლუციას, რომელსაც არ შეასრულებს მაკდონალდი, პირველ რიგზე.

მე წავიკითხე თქვენი უკანასკნელი წერილი თავმჯდომარისადმი, გუშინ მოვიდა. მტრებმა რომ ყველაფერი იცოდენ, ეს წინათაც ცხადი იყო: მოისურვეს სისხლში ჩახრჩობა. და კიდეც მიაღწიეს. სურათი არა გვაქვს, რა თქმა უნდა, მთლიანი, ეს კი აუცილებელია: მე არ ვამბობ ისტორიაზე; ეს უეჭველათ ვრცელი იქნება და უმთავრესად მომავლის საქმეა. დღეს-დღეობით გვეჭვირება შემოწმებული ფაქტები, მხოლოდ ფაქტები, რომ შესძლოთ მათი დალაგება და გამოქვეყნება სრულად პრაქტიკული მიზნისთვის – სამუშაოთ. საჭიროა ეხლავე შეუდგეთ სხვებთან ერთად ამ საქმეს და გამოგზავნოთ საჩქაროთ ფაქტების ნუსხა. აქაც შეუდგებიან უეჭველათ.

აკ. ჩხენკელი."[2]

[1] ჰამანსი, — ბელგიელი სოციალისტი.
2 სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 92-94.

„ლონდონი. 11. X. 24.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

ამასთანავე გიგზავნით თემთა პალატის სტენოგრამებიდან ამონაწერებს 2 და 8 ამ თვის სხდომებისა. ჩვენს და აგრეთვე აზერბეიჯანისა და სომხეთის შესახებ. როგორც ხედავთ, მუშათა პარტიის მთავრობამ სავსებით აგვიღო ხელთ და წაშალა, რამდენათ მისგან არის დამოკიდებული ჩვენი საერთაშორისო სტატუტი. საყურადღებოა, პონსონბის გამოსვლა მოხდა მეორე დღეს მას შემდეგ, რაც ინტერნაციონალის ეგზეკუტივმა განსაკუთრებული რეზოლიუცია მიიღო, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობა მის, ინტერნაციონალის, პატივმოყვარეობის კითხვად არის აღიარებული და მის მიერ გამოქვეყნებულ მანიფესტში, იხრის რა ქედს ჩვენი ახლათ წამებულ და დახოცილ სოციალისტების წინაშე, ამბობს, რომ, თუ პირველ ინტერნაციონალს თავის დროშაზე ეწერა პოლონეთის თავისუფლება, დღევანდელს უნდა ეწეროს საქართველოს თავისუფლებაო!

ამას მიაღწია ირაკლი წერეთელმა თავისი მოხერხებული ტაქტიკით და მანვე შეეცადა პონსონბის სიტყვების გამოკეთებას. მუშათა ეგზეკუტივმა, ხუთი მინისტრის თანდასწრებით, მოისმინა ირაკლი, რომელმაც წამოაყენა ორი მოთხოვნილება: ა) მთავრობამ გამოაკეთოს თემთა პალატაშივე პონსონბის სიტყვები და ბ) იმავე მთავრობამ იკისროს შუამავლობა რუსეთსა და საქართველოს შორის მათ მოსარიგებლათ. ეგზეკუტივმა ერთხმათ დაადგინა მოეთხოვოს მთავრობას ორივე ამ მუხლის დაკმაყოფილება. მოსწერა კიდეც პრემიერ მაკდონალდს. მანამდის, ორი დღის წინ, ირაკლი მოისმინა პალატის სოც.ფრაქციამ და თან კომისიაც გამოყო კითხვის შესასწავლათ, კომისიამ საქმე ეგზეკუტივს გადასცა.

ვინაიდან ამავე დროს პოლიტ. კრიზისი მოხდა და მაკდონალდის კაბინეტი თავის ბოლოს უახლოვდებოდა, ძალიან ცოტა იმედი იყო, რომ რამე გაკეთდებოდა. მაგრამ, დახეთ შემთხვევას, მაკდონალდს მისცეს შეკითხვა დაცემის ორიოდე საათის წინ და მას შეეძლო გამოეკეთებია საქმე, ნამდვილათ კი დაადასტურა პონსონბის სიტყვები, თუმცა ბუნდოვნათ, როგორც მას სჩვევია, ან სიტყვა ბანზე ააგდო. ამ რიგათ, ის მოიქცა ისე, როგორც არც ერთი „ბურჟუაზიული" პრემიერი არ მოიქცეოდა. გვარწმუნებდენ სიტყვიერათ და წერილობით რომ გააკეთეს რეზერვი რუსეთის ცნობის ნოტაში, გვირჩევდენ არ გვეხმაურა, პონსონბის წერილი ირაკლისადმი არ გამოგვეყენებია და სხ. და ამავე დროს ჩუმათ, უხმაუროთ ნაგვშალეს. საჭიროთ ვთვლი გაგაფრთხილოთ, რომ ეს ჩვენი უკმაყოფილება და აღშფოთება არ გაგვაქვს გარეთ, ამაზე კამათიც იყო ცოტა თავმჯდომარესა და ირაკლის შორის. მთავარი მოტივი ისაა, რომ მუშ. პარტიის აშკარა გადამტერება მავნე იქნებოდა ჩვენთვის. სხვა პარტიები აქ სარგებლობენ ჩვენი შემთხვევით მუშ.პარტიის და მისი მთავრობის წინააღმდეგ, პალატაში საკუთარის თაოსნობით აკეთებენ შეკითხვებს, სწერენ პრესაში. ამიტომ გთხოვთ არ გახმაურდეს, ასე ვთქვათ, ირაკლის საიდუმლო ნაბიჯები და მასალები, თურმე ცვლილება მოხდა ამ მხრივ, მოგწერენ პარიზიდან.

კონსერ. და ლიბერ. პარტიები ეხლა სარგებლობენ ხალხთა ლიგაში ბრიტანეთის დელეგატების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციით, რეზერვის არსებობის შესახებ. აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი, 31. X.24.

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

ეს არის დეპეშით მოგმართეთ ახალ ლტოლვილთა შესახებ საქართველოდან. ჩვენ მივიღეთ თქვენგან დეპეშა და წერილები, სადაც გვატყობინებდით, რომ ახალი ლტოლვილები გადმოვიდნენ ოსმალეთში და ითხოვდით მათთვის ნებართვას საფრანგეთში ჩამოსვლისა მუშაობაზე. შემდეგ კიდევ იწერებოდით თქვენ, რომ სტამბოლში მოაღწიეს ორმა გურიიდან და ორიც კიდევ მოვაო. დეპეშაში კი უკვე იტყობინებოდით, რომ ასი ლტოლვილი უკვე გადმოვიდა და აქედან 50 გზაშია სტამბოლისკენო. ვინაიდან ხალხი არ იყო სტამბოლში და მათი ვინაობა არ ვიცოდით, შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი წესით ვიზის შოვა. ამიტომ მივმართეთ შრომის სამინისტროს თხოვნით, ამთავითვე ეჩვენებიათ მრეწველნი, ვისაც შეეძლო მიეღო ჩვენი ლტოლვილები მუშაობაზე და ამის ძალით გაეგზავნათ კონტრაქტები სტამბოლში საფრანგეთის კონსულისათვის, რომელსაც უნდა შეევსო ეს ქაღალდები ლტოლვილთა სახელებით და პარტიობით გამოეგზავნათ საფრანგეთში. დაგვპირდენ მივიღებთ ზომებსო და დღეს შეგვატყობინეს, რომ საქმე მოგვარებულია. მათი სიტყვით ლტოლვილები მიღებული იქნებიან სამუშაოზე მარსელის რაიონში. გაეგზავნება კონტრაქტების ფურცლები საფრანგეთის კონსულს სტამბოლში, გვთხოვეს თქვენი მისამართი და გვითხრეს, კონსული თქვენს წარმომადგენელს გადასცემს ფურცლებს და ის ჩასწერს სახელსა და გვარებსო. ჩვენ აღვძარით კითხვა იმის შესახებაც, რომ უფასოდ ან დაკლებულ ფასებში გადმოეყვანათ ლტოლვილები სტამბოლიდან მარსელში, მაგრამ ეს არ შეგვიძლიაო, გვითხრეს. სამინისტრო ელის, რომ ლტოლვილები წამოვლენ არა თითო-ორ-ორი, არამედ პარტიებათ, არანაკლებ 25 კაცისა, გვკითხეს, რამდენ დღეში ან კვირაში ჩამოვლენო. ჩვენ არ შეგვეძლო მიგვეცა პასუხი, ვუთხარით მხოლოდ, რომ ისინი გზაში არინ და არ დააყოვნებენ სტამბოლში ჩამოსვლასთქო. რაოდენობა ჩვენ დავასახელეთ, თანახმათ მთავრობის დადგენილებისა, 200 ან ცოტა მეტი, მაგრამ ამჟამათ 50-ს ველი-თქო და ამათთვის ფურცლებს უკვე გზავნიან.

ასეთია საქმის ვითარება. ჩვენ გვეშინია ცოტათი, რომ ლტოლვილები ვერ მოიყრიან ჩქარა თავს სტამბოლში, იქნება ვერ მოაწიონ ამ მოკლე ხანში, იქნება მათი რიცხვი ნაკლებია, ამიტომ შეგეკითხეთ დეპეშით და, იმედია, გვაცნობებთ. არ გვინდოდა, რომ სამინისტროში ცუდათ შეხედონ ჩვენს საქციელს, იმდენი ეცადნენ აქ ზოგიერთმა პირებმა. ამიტომ ნამეტანს გთხოვთ მიიღოთ სათნადო ზომა, რომ სიტყვა არ გაგვიმტყუნდეს. ფული უკვე გამოგიგზავნეს აქედან ლტოლვილებისათვის. აქ ლაპარაკობდენ, რომ სტამბოლში არსებობს ორგანიზაციები (ხალხთა ლიგის და სხვ.) და თქვენ გავალებენ, იქნება მათი დახმარებით შეძლოთ ლტოლვილების

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 390, ფ. 95.

უფასოთ ან ნაკლებ ფასებში გამომგზავრება.

აკ. ჩხენკელი."[1]

„პარიზი, 3. XI, 24

საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში

ამას წინათ გწერდით: თანახმათ ირაკლი წერეთლის მიერ ლონდონიდან მიღებული წერილისა, რომ ტრუდისტების ფრაქციიდან გამოყოფილ კომისიას ჩვენი საქმისათვის უთხოვია მოსკოვში გამგზავრებულ ტრედუნიონისტთა დელეგაციისათვის, რათა მას შეეკრიბა ცნობები საქართველოს და განსაკუთრებით აქ ამ უკანასკნელათ მომხდარი ამბების შესახებ, დელეგაციისთვის გადაუციათ ჩვენი მასალაც. გწერდით აგრეთვე დელეგაციის ჩვენში გამგზავრების შესაძლებლობას, და გთხოვდით მიგეწვდინათ შინ ეს ამბავი, რომ შეძლებისდაგვარათ მიეცათ სწორი ცნობები. პრესაში უკვე წაიკითხეთ მას აქეთ, რომ ტ...უ...[2] დელეგაცია პერსელის[3] მეთაურობით უკვე თფილისშია. ცხადია, მტრები ემზადებიან დიდი კამპანიისათვის ჩვენს წინააღმდეგ, ეცდებიან მიაწოდონ დელეგაციას ჩეკისტების მასალა, არ მიაკარებენ ნამდვილ ხალხს, არ აჩვენებენ ნამდვილ სურათს დატრიალებულ საშინელებისა. იმის მიხედვით, თუ რა ცნობები მოდიოდა მოსკოვიდან დელეგაციის შესახებ, მოსალოდნელია, რომ ის იკისრებს თავის თავზე მოსკოვისა და მისი ჯალათების გათეთრებას ინგლისის, და საზოგადოთ ევროპის საზოგადო აზრის წინაშე ჩვენს საქმეში.

ასეთი საშიშროების წინაშე საჭიროა მთელის ენერგიით შევეცადოთ ამ ავაზაკური ცდის ჩაშლას. მე უკვე გთხოვდით ერთხელ, რომ საჭიროა პირველ რიგში, სწორი და დეტალური ცნობების დაგროვება ჩვენში მომხდარი ამბების შესახებ. მას შემდეგ უკვე მოვიდა თქვენგან ზოგიერთი მასალა, მათ შორის ფრიად საყურადღებო სია დახოცილთა:: ვინაობა, წლოვანება, პროფესია, ადგილი, აი სწორეთ ასეთი ცნობები დიდ სამსახურს გაგვიწევდა, თუ ის იქნება შევსებული. მე ვფიქრობ იმასაც, რომ ჩვენს მუშაობაში დღეს ამ მასალის დაგროვებას უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს. მაშასადამე, ერთი მხრით დახასიათება ცოცხალი და უტყუარი ფაქტებით თვით მოძრაობის მასშტაბის და, მეორე მხრით, დემონსტრაცია უცხოეთში ჩადენილ სიმხეცეთა, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა.

ამასთან დაკავშირებით, უნდა გთხოვოთ დაბეჯითებით, რომ უგზავნოთ ინფორმაცია აგრეთვე ლონდონს, ამას წინათ მწერდით თქვენ, რომ ინფორმაცია ეგზავნება, პარიზის გარდა, ბერლინს, ვარშავას, ჟენევას, ხოლო ლონდონი არ დაგისახელებიათ. და მართლაც, ლონდონი არ იღებს და იქ კი ყველაზე მეტად არის საჭირო იგი. მე ვიცი პრაქტიკიდან, რომ როცა სუმბათაშვილს მიდიოდა ინფორმაცია, ის იმავე დღესვე თარგმნიდა და ამრავლებდა და უგზავნიდა პრესას. თქვენ იწერებოდით, რომ ტეხნიკა ძალიან შემცირებული გაქვთ ეხლა, მაგრამ ამ შემთხვევაში უმჯობესი იყო გამოგეტოვებიათ ერთი რომელიმე უმნიშვნელო პუნქტი და ლონდონში

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 390, ფ. 96.

[2] ტრეფ უნიონი — ინგლისელ მუშათა კავშირი (პროფკავშირი).

[3] პერსელი — ინგლისის პროფესიული კავშირის თავმჯდომარე 1924 წელს.

მაინც გეგზავნათ. გთხოვთ, დღეიდან მაინც ნუ იქნება ასე.

ლტოლვილების შესახებ არაერთხელ მოგწერეთ: საფრანგ. კონსულს აქვს ბრძანება ყველა გამოუშვას, მას მიაწერინეთ ოფიც. ანგორისათვის ეს ამბავი. სამინისტროშიც დაგვპირდენ, მისწერენ გენერალ მუჟენს. ერთი გაფრთხილება: ნუ იტყვით მაინცდამაინც, რომ მეომარნი არიან (ლტოლვილები), ცნობის შემდეგ საშიშია. ამიტომ მივმართეთ შრომის სამინისტროს... დღეს კაცს ვგზავნით მარსელში... ზომებს მივიღებთ.

აკ. ჩხენკელი."[1]

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილები სტამბოლიდან და ლონდონიდან აკაკი ჩხენკელისადმი. 05.11.1922 — 23. 06. 1929

აკაკი ჩხენკელისადმი მიწერილი კონსტანტინე გვარჯალაძის წერილებიდან ჩანს, რომ აკაკი ჩხენკელი, ფაქტობრივად, პარიზისა და სტამბოლის პოლიტიკურ ემიგრაციათა მუშაობის კოორდინატორია. ის გვარჯალაძისგან ღებულობდა ცნობებს როგორც თურქეთში, ასევე საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, ასევე სრულად აწვდიდა სტამბოლს პარიზის პოლიტიკური კომისიის მუშაობის, მისი და სხვა ქართველ პოლიტიკოსთა დიპლომატიური შეხვედრების ანგარიშებს.

გვარჯალაძეც და ჩხენკელიც ერთმანეთისგან მიღებულ ინფორმაციებს ავრცელებდნენ მთავრობის ყველა ჯგუფში. წერილები იწერებოდა ხელით, ფოსტაც ზოგჯერ იგვიანებდა, ამიტომ საჭირო ხდებოდა მიღებული ინფორმაციის გავრცელება მთელს ევროპაში მოღვაწე ქართველ დიპლომატებში.

წერილებიდან იკვეთება რამდენიმე პრობლემა: 1.საქართველოსთან კავშირის შეკვრა სურდათ უკრაინის ეროვნული მთავრობის წარმომადგენლებს, რაზეც ქართველი დიპლომატები თავს იკავებდნენ რუსეთის ფაქტორის გამო; 2. სტამბოლის კომისია არალეგალურად მუშაობდა ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებთან, მაგრამ მზად იყო ჩხენკელის შენიშვნები და სურვილები გაეზიარებინა და მუშაობა მისი რჩევით გაეგრძელებინა; 3. საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ესწრაფოდა ამერიკის მხარდაჭერის მოპოვებას, რასაც წინააღმდეგობა თვით ამერიკიდან ხვდებოდა; 4. გვარჯალაძე თხოვდა ჩხენკელს არაოფიციალური კაცის გაგზავნას ანგორაში (ანკარა) ინფორმაციების შესაკრებად, რასაც მთიელებიც (შამილი) ურჩევდნენ სტამბოლის კომისიის წევრებს; 5. გვარჯალაძე ატყობინებდა ჩხენკელს, რომ არაოფიციალურ შეხვედრებს იყენებდა საქართველოს საკითხის მოსაგვარებლად, ასახელებდა ბარტონის (კავკასიაში ამერიკის წარმომადგენლის) სტუმრობას, მეუღლესთან ერთად, მასთან საუბარს და მოთხოვნას, რომ ბოლშევიკურ საქართველოსთან, როგორც არაკანონიერ მთავრობასთან, თავიანთი წარმომადგენლები არ უნდა გამოეგზავნათ ევროპის სახელმწიფოებს: 6.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 390, ფ. 97.

ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოების თავმჯდომარე — კარპე მოდებაძე ორპირ პოლიტიკას აწარმოებდა და ეს არ მოსწონდა ემიგრაციულ წრეებს, ის დაუკითხავად დადიოდა და ეკონომიკურ ხელშეკრულებებზე ესაუბრებოდა ევროპის ქვეყნებს; 7. წერილებში საუბარია ქართული ჯარის მომავალ ორგანიზაციაზე, გენერალ ზაქარიაძის ჩაბმაზე ამ საკითხის გადაჭრაში; 8.. ჩხენკელი უნდა გაცნობოდა ევროპაში მყოფი სამხედრო პირების მიმოწერას სტამბოლში დარჩენილ ქართველ სამხედროებთან, რომ არცერთი კითხვა უპასუხოდ არ დარჩენილიყო. ამას გარდა, ქვემოთ მოტანილ წერილებში სხვა უამრავი პოლიტიკურ-დიპლომატიური თემაცაა წამოჭრილი.

წერილი I

„27. XII.. 21, 16 დეკემბერი, სტამბოლი

საქართველოს ელჩს პარიზში

ჩემ წინა წერილებში დამავიწყდა მოწერა ორი საკითხის შესახებ.

– როცა აქ ჩვენ სომხებთან ვცდილობდით დაახლოვებას და საერთო მუშაობის წარმოებას, მე ეს თავიდანვე ისე მესმოდა, რომ ჩვენ ბევრი საორგანიზაციო და ტეხნიკური სამუშაო გვაქვს და უმთავრესათ ამას უნდა მიექცეს ყურადღება. საერთო მუშაობით ჩვენ უნდა დავკავშირებოდით ჩვენ ქვეყნებს აქ და ადგილობრივათაც (საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში და მთაში[1]) და საერთო მუშაობა უნდა გაჩაღებულიყო; უამისოთ ხომ ვერაფერს გავაკეთებთ. როცა ჩვენი ამხანაგები გაიგზავნა სომხებთან სამუშაოთ, მათ მაშვინ სწორეთ ასეთი დავალება ჰქონდათ. სომხებმა წამოაყენეს ტერიტორიის საკითხი, ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენ მუდამ გვთიშავდა და ერთათ მუშაობის შესაძლებლობას გვისპობდა. ტერიტორიის საკითხი ასე ადვილათ რომ მოგვარებულიყო – ჩვენ შორის აბა მაშვინ ჩვენ ამდენი საჭინჭყლო რა გვქონდა. ჩემის აზრით პარიზის 10 ივნისის ხელშეკრულებას[2] ის აზრი აქვს, რომ იქ საერთო პრინციპებში ვთანხმდებით, ამას ვაცხადებთ, ტერიტორიალური საკითხი კი ჯერ კიდევ გადაუჭრელია და ის არბიტრაჟის გზით უნდა გადაიჭრას: ვინც ფიქრობს, რომ ამ საკითხს აგარონიანთან და სხვებთან უბრალო ლაპარაკით მოაგვარებს, იმან, რასაკვირველია, არ იცის მთელი ის აურზაური, რომელიც ამ კითხვის ირგვლივ მუდამ ტრიალებდა. მე ჩვენებს ვურჩიე ტერიტორიის საკითხში სომხებს არ გავყოლოდით და ეს საკითხი მოეხსნათ, რადგანაც მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ საკითხს ვერ გამოარკვევენ და დამოკიდებულება კი ერთი მეორესთან გამწვავდება. ჩვენები ამბობენ, რომ ლაპარაკი დაიწყეს, ჩათრეულნი არიან და კითხვის მოხსნა ცუდ შთაბეჭდილებას მოახთენსო. ეს არ არის მართალი: ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს საკითხი არბიტრაჟის საკითხია და იქ გაირჩევა. ეხლა კი უნდა ვიმუშაოთ იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენ პირდაპირ

[1] იგულისხმება ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა.

[2] პარიზის 10 ივნისის ხელშეკრულება — კავკასიის კონფედერაციის შესახებ დადებული, სადაც ნათქვამი იყო, რომ ტერიტორიულ საკითხებზე დავა შემდეგში მოგვარდებოდა არბიტრაჟის საშუალებით. დაიდო საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანსა და მთიელთა რესპუბლიკებს შორის.

შეეგვეხება და რასაც ჩვენგან დღევანდელი მომენტი მოითხოვს. პოლიტიკურმა კომისიამ დროებით მუშაობა შეაჩერა და პარიზში მოიწერა წერილი და ითხოვა თქვენი აზრი ამის შესახებ. მე ძლიერ ვსწუხვარ, რომ მე ასეთი მნიშვნელოვანი კითხვის შესახებ დროზე ვერ მოვიწერე. მაგრამ არც ისე გვიანია მგონი. ყოველ შემთხვევაში ჩემი დაბეჯითებითი აზრია, რომ ეს საკითხი აქ მოიხსნას, თორემ საქმეს გავამწვავებთ; მე აქ გადმომცეს, რომ პარიზის ცენტრალური პოლიტიკური კომისია ასეთი მოლაპარაკების თანახმაა – თუ ეს მართალია და თქვენი აზრიც ესაა, მაშვინ, რაასაკვირველია, გაგრძელდება ლაპარაკი ამის შეესახებ, მე კი პირადათ არა ვარ ამის თანახმა და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ამას კარგი შედეგი არ მოყვება... სომხებს ათასი კითხვის წამოყენება შეუძლია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ისინი ჩვენ დღის წესრიგში დავსვათ.

– გენ. ზაქარიაძეს[1] საინფორმაციოდ ვამუშავებ ინგლისელებთან და ფრანგებთანაც. პოლიტიკური საკითხებისათვის მას ხანდახან თან მიყვება ზოგი ჩვენი პოლიტიკური მოღვაწე. ეს მუშაობა არა ოფიციალურია. ამის შესახებ ქე მოგწერეს თქვენ (მ. არსენიძე) და წერილი ალბათ უკვე დიდი ხანიც არის მიღებული გექნებათ. ასეთი მუშაობაც, რასაკვირველია,

[1] ალექსანდრე ზაქარიაძე 1884-1957. დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ ქვედა სიმონეთში. მამა – ყარამან მაქსიმეს ძე ზაქარიაძე, დედა – ბარბალე ნიკოლოზის ასული ბასილაძე. 1900 წელს დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. 1901 წ. შევიდა თბილისის ოფიცერთა სკოლაში, რომელიც 1903 წ. დაამთავრა იუნკერის წოდებით. გამოჩენილი თავდადებისათვის დააჯილდოვეს ნმ. ანას IV ხარისხის ორდენით .1905 წ. ოქტომბერში ალექსანდრე ზაქარიაძე პეტერბურგში მიავლინეს ახალწვეულთა აღსაზრდელად, თუმცა ცოტა ხანში თბილისში გადმოიყვანეს კურინსკის 79-ე პოლკში. 1907 წ. პორუჩიკის წოდებაზე ნარადგინეს. 1909 წ. სექტემბერში ჩაირიცხა პეტერბურგის საიმპერატორო სამხედრო აკადემიაში, რომელიც 1911 წ. შტაბსკაპიტნის ჩინით დაამთავრა. 1909 წელსვე დაქორწინდა იტალიური ნარმოშობის თბილისელ მარია ლონგოზე, რომელთანაც ორი ვაჟი ვალერიანე და გიორგი შეეძინა. 1914 წლიდან კაპიტანია. იგი I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე იყო. 1915 წ. ოქტომბერში 27-ე კორპუსის შტაბის ოფიცერია პოდპოლკოვნიკის წოდებით, დეკემბერში კი პოლკოვნიკი. 1917 წლის იანვრიდან ლიტვაშია, იყო ლიტვის შტაბის უფროსის მოადგილე. 1917 წელს ნმ. გიორგის მე-4 ხარისხის დაფნით შემკული ორდენი მიანიჭეს. 1917 წ. 27 ოქტომბერს რიგაში სამსახურის დროს ალექსანდრე ზაქარიაძემ თბილისიდან დეპეშა მიიღო საქართველოში დაბრუნების წინადადებით. 22 ნოემბერს ის უკვე თბილისში იყო. დაინიშნა ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის შტაბის უფროსად. 1918 წელს იგი სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობს, არის ქართული კორპუსის შტაბის უფროსი, საველე არმიის შტაბის უფროსი, სანაინის ფრონტის ხელმძღვანელი, საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე. 1919 წ. 1 აგვისტოს ალექსანდრე ზაქარიაძე დაინიშნა საქართველოს გენერალური შტაბის უფროსად, მიანიჭეს ქართული არმიის გენერლის წოდება. 1921 წ. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ალექსანდრე ზაქარიაძე ეროვნულ მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. თავდაპირველად სტამბოლში ჩავიდა. 1922 წ. პოლონეთის მთავრობისა და მარშალ პილსუდსკის ინიციატივით დაახლოებით სამას ქართველ სამხედრო ემიგრანტთან ერთად პოლონეთში მიიწვიეს. 1923 წ. 1 იანვარს იგი პოლონეთის არმიაში ბრიგადის გენერლად მიიღეს. 1927 წ. 1 მაისს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე ალექსანდრე ზაქარიაძეს მიანიჭეს დივიზიის გენერლობა. 1939 წ. სექტემბერში პოლონეთში შეჭრილი გერმანიის არმიის სარდლობამ ალექსანდრე ზაქარიაძე „პოლონეთის დამცველ უკანასკნელ რაინდად" გამოაცხადა. II მსოფლიო ომის შემდეგ, 1945-48 წლებში ალექსანდრე ზაქარიაძე იმყოფებოდა გერმანიაში, ინგლისელების საოკუპაციო ზონაში, ყოფილ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში – „ვილაბადესენსა" და „პეკელსპაიმში". საბოლოოდ დასახლდა საფრანგეთში, ლევილში. გარდაიცვალა 1957 წ. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე. ალექსანდრე ზაქარიძემ დატოვა მოგონებები „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – 1917-1921 წ. წ.", რომელიც იაშვიათი და ძვირფასი პირველწყაროა აღნიშნული პერიოდის შესასწავლად.

უსათუოდ ერთნაირ ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული. ხშირათ აქაც არის ნაკლი, მაგრამ ეს აიხსნება მით, რომ ჩვენ არ გვყავს ენის მცოდნე და სათანადოთ გამოცდილი ადამიანები. აქ გენ. ზაქარიაძეს მოუვიდა გენ. ერისთავისაგან[1] წერილი, თხოულობს პასუხს ზოგ მისთვის საინტერესო კითხვებზე. გენ. ზაქარიაძე მას ამ დღეებში გამოუგზავნის ვრცელ პასუხს. მე გენ. ზაქარიაძეს დავავალე, რომ ყოველგვარი მასალა და საჭირო ცნობა მიაწოდოს იქ გენ. ერისთავს. – ოღონდ საჭირო იქნება, რომ გენ. ერისთავმაც მოგვაწოდოს აქიდგან საჭირო ცნობები, ხალხი ამ საქმისათვის. საერთოთ კი ეს მუშაობა, თუკი ფრთხილად ვიქნებით...

წინა წერილში გწერდით და ეხლაც მინდა გაგახსენოთ, რომ პარიზის და სტამბოლის პოლიტიკურ კომისიების ურთიერთობა არ არის ნორმალური. აქ ამაზე ხშირაათაა ლაპარაკი, იქითა წერილებსაც ვიწერებით, მაგრამ პასუხი არა გვაქვსო. ნ. რამიშვილი – კომიტეტის თავმჯდომარე იქ არ არის ეხლა. თუ მოელაპარაკებით დიდ ნოეს[2] და ამ საკითხს მოაგვარებთ, ძლიერი კარგი იქნება, თორემ აქ ამ მხრივ საქმე ვერ მიდის ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი მდგომარეობა! ბევრ რამეში ალბათ გაუგებრობაა და ამას ამხანაგურათ უნდა მოგვარება და არა შეხლა-შემოხლით.[3]

როგორც ვნახეთ, წერილში დასმულია რამდენიმე პრობლემა: 1. პარიზისა და სტამბოლის პოლიტიკურ კომისიებს შეთანხმებულად უნდა ემოქმედათ, რაც ხშირად არ ხერხდებოდა და სამწუხარო შედეგებსაც იღებდა; 2. პარიზის 10 ივნისის შეთანხმება კავკასიის 4 ქვეყანას შორის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და მთიელთა რესპუბლიკა) კავკასიის კონფედერაციის შექმნის თაობაზე სტამბოლის პოლიტიკურ კომისიას მიუღებლად მიაჩნდა, რადგან სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიებისთვის ქართთულ მხარეს არ უნდა მოესმინა მისი უსამართლო ხასიათის გამო; 3. საჭირო იყო მეტი საინფორმაციო კონტაქტები ინგლისთან და საფრანგეთთან, რასაც სტამბოლის კომისია ახერხებდა გენ. ზაქარიაძის საშუალებით. ამ კონტაქტებს აძნელებდა ევროპული ენების მცოდნე ადამიანების ნაკლებობა; 4. პარიზისა და სტამბოლის ემიგრაციულ წრეებს შორის ხშირი იყო გაუგებრობა, შეხლა-შემოხლა, რაც უნდა მოეგვარებინა აკაკი ჩხენკელს ნოე ჟორდანიასთან შეთანხმებით."

წერილი II

„კონსტანტინოპოლი, 8 დეკემბერი, 1921.

საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩს ბ-ნ ა. ჩხენკელს.

წარმოგიდგენთ რა სასამართლოს ხარჯთაღრიცხვას განმარტებით, მაქვს პატივი მოგახსენოთ ამის გამო ჩემი აზრი: სტამბოლში არსებულს ჩვენს სასამართლოს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც პოლიტიკურის მხრივ, ისე მთავრობის და ყველა ჩვენი მოქალაქეთა ინტერესების დაცვისათვის. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის დღევანდელ პირობებში ძნელი იქნე-

[1] გენერალი ერისთავი — გენერალი ალექსანდრე ერისთავი, საფრანგეთში მცხოვრები ემიგრანტი გენერალი.
[2] დიდი ნოე, — იგულისხმება ნოე ჟორდანია
[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 1-2.

ბა რაიმე დიდი ხარჯები გავსწიოთ ამ სასამართლოზე. რადგანაც დღეს რომ მისი წევრები დღეში სასამართლოს საქმეებს რამოდენიმე საათს ანდომებდეს, – ამიტომ საჭირო იქნება გამოვნახოთ ისეთი პირები, რომლებიც უსასყიდლოთ შესძლებენ ამ მუშაობას. თან ალბათ სასამართლოს რაიმე ცოტა შემოსავალი მაინც ექნება და ამ შემოსავალს მისი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს.

კ. გვარჯალაძე."

6 დეკემბერს კ. გვარჯალაძეს გაეგზავნა პასუხი, რომ მთავრობის დადგენილებით სასამართლოს შენახვა დევნილ ხელისუფლებას არ შეეძლო, მას საკუთარი შემოსავლებით უნდა დაეფარა ხარჯები. ეს დადგენილება ზემოთ მოტანილი წერილისთვის ჩხენკელს საკუთარი ხელით აქვს მიწერილი:

„მთავრობის დადგენილება:

სასამართლოს შესანახათ მთავრობას არ შეუძლია თანხები გადადვას. სასამართლომ თავისთავი შემოსავლებიდან უნდა დაფაროს.

5/12.21."[1]

წერილი III

„29 დეკემბერი. 1921, სტამბოლი.

საქართველოს ელჩს პარიზში

გიდასტურებთ, რომ თქვენი წერილი, გამოგზავნილი პარიზიდგან, 7. XII. 21 მივიღე 24 ამ თვეს. წერილი გადმოგზავნილი ლონდონიდგან 20. XII. 21 მივიღე 27 ამ თვეს და უკანასკნელათ გუშინ მივიღე თქვენი წერილი (5. XII. 21) ბარტონის[2] ხელით გამოგზავნილი. ჩემი წერილების როგორც კერძო, ისე მით უფრო ოფიციალურის, დედნებს მე მუდამ ვიტოვებ არქივისათვის. მე ვიცი, რომ ჩემ წერილებს თქვენ მთავრობის წევრებს აკითხებთ, ამის შესახებ მე ყოველთვის მქონდა ცნობა. თუ ეხლა გთხოვეთ, რომ ჩემი წერილები მთავრობის წევრებისათვის გაგეცნოთ ეს მხოლოდ მისთვის, რომ თქვენ ხშირათ ამ ბოლო დროს პარიზში არა ხართ და რომ არ მიგვიწყებოდათ, მინდოდა მხოლოთ უბრალოთ ეს მომეგონებია თქვენთვის. მართალია, რომ მე თქვენ ხშირათ გთხოვთ მეტი ცნობები მომაწოდოთ – ეს მიტომ რომ საქმისათვის და ჩემი აქაური მუშაობისათვის მეტათ საჭიროა, რომ მე ჩვენი მუშაობის მდგომარეობას და ხასიათს ვიცნობდე. ამნაირი თხოვნით კვლავ ხშირათ მოგმართავთ. ისე კი მე თქვენი მადლობელი ვარ ყველა თქვენი რეგულარულათ მოწოდებული ცნობებისათვის.

მე ძლიერ კმაყოფილი ვარ, რომ მთავრობის თავმჯდომარის და თქვენი აზრი სომხებთან საზღვრებზე ლაპარაკის შესახებ იგივეა, როგორც ჩემი. მე პირადათ ამ ლაპარაკში მონაწილეობა არ მიმიღია. იქ იყვნენ მხოლოთ პარტიათა წარმომადგენელნი. თუმცა ამხანაგები მთხოვდნენ იქ მონაწილეობის მიღებას, მაგრამ როგორც ოფიციალურმა პირმა, მე ამ კომისიას გვერდი

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 3.

[2] ბარტონი — ჰაროლდ ბარტონი, ამერიკის შეერთ. შტ. ვაჭრობის მინისტრის, ე. ი. ჰუვერის, დელეგატი. ჩამოვიდა საქართველოში, ცოლად შეირთო ქართველი ქალი მაყაშვილი. ბარტონს მინდობილი ჰქონდა ამიერ-კავკასიის, განსაკუთრებით ბაქოს სამრეწველო პირობების შესწავლა და ამერიკის მსხვილი კაპიტალის იქ დაბანდებისთვის ზრუნვა.

აუხვიე, რისთვისაც ერთნაირი საყვედურიც მითხრეს, ამ „ოფიციალურობისათვის". მაგრამ მე მაინც იმ გზას ვადგევარ, რომ მუშაობის განაწილება და მისი სხვადასხვაობა უნდა არსებობდეს და სადაც საჭირო არ არის და ხშირადაც მავნებელია, იქ ტყვილა უბრალოთ არ ეჩხირებოდე. სომხებთან საზღვრების შესახებ ლაპარაკი შეჩერდა – ამ საკითხს თუ რამე გვებედა არბიტრაჟი გაარჩევს. – რაც შეეხება უკრაინელებთან ერთად ხელის მოწერას, მე სრულიათ გეთანხმები თქვენ, რომ ეს ერთნაირი უხერხულობაა. უკრაინელები, რომელთა მდგომარეობა ვერ არის კარგი და რომელთა ინტერესიც არის ყველას დაანახვოს, რომ მათ სხვებთან კავშირი აქვს, ეგებ შეეცადონ ეს გაახმაურონ. მაგრამ არ მგონია. მე აქაც იმ გზას ვადექი, როგორც სომხებთან ლაპარაკის დროს. მაგრამ უკრაინელები მოითხოვდნენ, რომ მეც შემხვედროდნენ. მიუხედავათ იმისა, რომ ზემო აღნიშნულ მიზეზების გამო მე ეს უხერხულათ ვცანი და ამის შესახებ ველაპარაკე ჩვენ პოლიტიკურ კომისიას, ჩვენები მაინც დაბეჯითებით მთხოვდნენ უკრაინელების ერთათ შეხვედრას. მე დავთანხმდი იქ მონაწილეობა მიმეღო მხოლოთ იმ პირობით, რომ ეს იქნებოდა უბრალო თათბირი და გვექნებოდა ლაპარაკი მხოლოდ ერთნაირ პროექტზე, რომელსაც ჩვენი მთავრობა განიხილავდა ან მიიღებდა ან არა და თუ მიიღებდა, საბოლაოთ ხელის მოწერას მიანდობდა მის მიერ დანიშნულ კაცს. ასე რომ, იმ პროექტზე ჩემი ხელის მოწერა არაფერს არ ნიშნავს და მას უკრაინელებმა რომც მოინდომონ ჩვენ წინააღმდეგ, ვერ გამოიყენებენ მგონი. ისე კი ჩვენებს ძლიერ უყვართ თვითოეულ პოლიტიკურ ნაბიჯს ოფიციალური ბეჭედი მიარტყან. ამ მხრივ ასეთ ნაბიჯებს მე მუდამ გაურბივარ. მომავალში კიდევ უფრო მოვერიდები მათ. პოლიტიკურ კომისიის მუშაობის ხასიათი ერთია, ჩემი მუშაობის კი მეორე. – ნინათ გწერდით, რომ ფრანგებთან და ინგლისელებთან ვამუშავებ ხალხს არა ოფიციალურათ. მათ ყველას მე ვუწევ ხელმძღვანელობას, რომ ჩვენი მუშაობის მიმართულება, აზრი და მთელი ჩვენი მოქმედება მთლიანი და შეთანხმებული იყოს. ისე რომ, თუ თქვენი აზრით რამე ნაბიჯების გადადგმა იქნება საჭირო არა ოფიციალური გზის საშუალებით, მაშვინ მე რასაკვირველია თქვენგან შესაფერ ინსტრუქციას მივიღებ, რომ ის აქ გავატარო მათი საშუალებით, ვინც ჩემთან მუშაობენ. – გუშინ საღამოს ჩემთან იყო ბარტონი თავისი ცოლით, რომელმაც თქვენი წერილი გადმომცა. მთელი ორსაათ ნახევრის განმავლობაში ვუმტკიცებდი მას, რომ ამერიკელებს, რომელთაც უნდათ კავკასიაში სამუშაოთ ფეხი მოიკიდონ, შეუძლიათ ისეთი ანტიამერიკული განწყობილება შექმნან იქ, რომ მომავალში მათ დაეკარგება ყოველივე საშუალება რისიმე იქ გაკეთებისა.

ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, — მომიგო მან, — თუ თქვენ და თქვენი აქაური მთავრობა აიღებს ანტიამერიკულ გეზს და თქვენ ხალხს ჩვენ წაგვისისინებთო. ჩვენი ქვეყანა დემოკრატიული ქვეყანაა – ვუპასუხე მე – ჩვენ ვეყრდნობით ჩვენი ხალხის აზრს და მუშაობას, ჩვენ ვალდებული ვართ ანგარიში გავუწიოთ მის სიმპატია ანტიპატიას, ჩვენ კი არ ვიქნებით

იმის მიზეზი, რომ თქვენ მომავალში ჩვენში მუშაობა გაგიჭირდეთ, არამედ თვითონ თქვენ, რომლებიც ვერ ირჩევთ სათანადო დროს და მომენტს, რომ ჩვენში თქვენ მუშაობა დაიწყოთ. ნუ იმუშავებთ ისე, ისეთ მომენტში – როცა თქვენ შეგიძლიათ ჩვენი ხალხის უკმაყოფილება გამოიწვიოთ-თქო. თუ კი მანდამაინც თქვენ კი გადაწყვიტეთ იქით წასვლა – მაშვინ ნუ იზამთ ისეთ რამეებს, რაზედაც ჩვენ არ შეგვეკითხებით და ჩვენ რჩევას არ მიიღებთ-თქო. მას მე გულწრფელათ ველაპარაკე – რისათვის დიდი მადლობა მითხრა. დაბოლოს სთქვა, რომ ის წავა საინფორმაციოთ – შეკრებს ცნობებს ყველა წრეებში და მერმედ მოახსენებს მის მთავრობას. უკან დაბრუნებისას გამომივლის. არის აქ ერთი ამერიკელი კიდევ, რომელიც მოდებაძესთან[1] მარგანეცის შესახებ აწარმოებს ლაპარაკს, მაგრამ ჯერ არაფერი გამოუვიდათ მგონი. არ მგონია, რომ დღევანდელ პირობებში უცხოელებმა ჩვენში ან გაბედონ, ან შესძლონ ფაქტიურათ მუშაობა. თუ კი კავკასიის პოლიტიკური ბედი ჩვენთვის ცუდათ გადაწყდება, მაშვინ სხვა საქმეა. ჯერ უცხოელს ჩვენში, რამდენადაც ჩვენ ცნობები გვაქვს, არც ერთი დიდი საქმე არ დაუწყია. – კიდევ ერთხელ გაცნობებთ, რომ პელე კატეგორიულათ უარს ამბობს, რომ მას ჩვენში ოფიციალური აგენტი გაეგზავნოს. არც ინგლისს გაუგზავნია ჯერ ვინმე. ლონდონში დაისვა ეს საკითხი, მაგრამ ჯერ–ჯერობით ღიათ რჩებათ.

თქვენ მწერთ, რომ მოდებაძე პარიზშია. გუშინწინ კი აქ იყო. ასე რომ, ეს არ არის მართალი. ეს ექვსი თვეა ძლიერ ცდილობდა რომ იქით წამოსულიყო, მაგრამ ეს მან ვერ შესძლო. უნდოდა გალანდიაში წასვლა. გალანდიელმა ელჩმა მითხრა, რომ ის პირადათ მას არ მისცემს ვიზას. ეხლა მგონი „ჩემოს" ნევრები გააგაში სამინისტროში ცდილობენ რომ მიიღონ ნებართვა და პარიზზედაც გავლენა მოახდინონ. მე ჩემსას ვიზამ, ნუ დააკლებთ ცდას ნურც თქვენ, და ეს ყაჩაღი აქ ხუნდში გვეყოლება მომწყვდევილი. – ამას წინათ აქ თათბირი გვქონდა პოლიტიკურ კომისიასთან ერთათ და ის აზრი გამოითქვა, რომ კარგი იქნებოდა ვინმე არა ოფიციალური კაცი გვყოლოდა საინფორმაციო და სამუშაოთ ანგორაში[2].

მართალია პირდაპირ, სხვა ვინმე ძლიერი თუ არ დაგვეხმარა, თურქებთან საქმის მოგვარება ძნელი იქნება, მაგრამ ასეთ მუშაობას მაინც მნიშვნელობა ექნებოდა. მე აქაურებთან მაქვს კავშირი, მაგრამ ძალა და გავლენა მაინც ანგორაშია დღეს. პრინცი შამილი იყო გუშინ ჩემთან და მანაც ასეთი აზრი გამოთქვა. მოილაპარაკეთ და თუ თქვენაც საჭიროთ დაინახავთ, მაშვინ უნდა გავგზავნოთ ვინმე.

ამ დღეებში ზაქარიაძე გადმოგზავნის ყველა თავის მოსაზრებებს და პასუხებს იმ კითხვებზე, რომელიც დაუსვა მას ერისთავმა. კარგი იქნება, რომ ყოველივეს, რაც იგზავნება იქიდგან აქაურ სამხედრო პირებისათვის, თქვენ გაცნობილ იყოთ ან და თქვენით იგზავნებოდეს. ასევე ვიზამ მე აქედგან. ეს კარგი იქნება – რადგანაც საშუალებას მოგვცემს თვალყური

[1] კარპე მოდებაძე, — ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოების „ჩემოს"თავ-რე, მოლაპარაკებას აწარმოებდა ამერიკელ ბარტონთან.

[2] ანგორა, — ქალაქი ანკარა, სადაც იმყოფებოდა ქემალ-ფაშას (ათა-თურქი) ხელისუფლება.

ვადევნოთ, რომ მიწერ–მოწერა და საჭირო პასუხების და ცნობების მიწოდება არ დაგვიანდეს. თუ მთავრობას აქვს შემუშავებული ან სამოქმედო ან მომავალი ჯარის ორგანიზაციის გეგმა – გვაცნობეთ აქ, ეს ზაქარიაძეს საშუალებას მისცემს უფრო თამამათ და ნაყოფიერათ იმუშაოს. უამისოთ ის ჯერ გაურკვეველია და ამას კი შეუძლია ცუდი შთაბეჭდილება მოახთინოს ფრანგებზე. პირველ შთაბეჭდილებებს ხომ იცით რა მნიშვნელობა აქვს.

კ. გვარჯალაძე."[1]

წერილი IV

„სტამბოლი. 20. I. 22

საქართველოს ელჩს პარიზში.

მივიღე თქვენი წერილი (პარიზი. 12. I. 22). მე გწერდით თქვენ, რომ ჩვენი საკითხის შესახებ მქონდა აქ ლაპარაკი ინგლისელებთან (ჩემი წერილი თქვენდამი № 42). მან, ვისთანაც მქონდა ეს ლაპარაკი, შემპირდა, რომ მოელაპარაკებოდა უმაღლეს კომისარს და პასუხს მომცემდა. გუშინ საღამოს მან შემდეგი გადმომცა: მე მქონდა ლაპარაკი და მივიღე წინადადება – ეს თქვენი ნალაპარაკევი გადავცე ლონდონში. იქ წყდება ყველა ასეთი საკითხები და კითხვა იმ ფორმით, როგორც აქ დასვით თქვენ იქ უნდა იქმნას განხილულიო. ოღონდ მინდა ვიცოდე, თუ შემიძლია მე იქ ვამცნო, რომ თქვენ მელაპარაკეთ აქ როგორც ოფიციალურმა პირმაო, რომ მით ამ კითხვას უფრო ოფიციალური ხასიათი მიეცესო. მე მას უთხარი, რომ მას შეუძლია ეს თავისუფლათ ჰქმნას და დაუმატოს კიდევ, რომ ჩემი აზრი როგორც ოფიციალური პირისა, არის გამოხატულება და ეყრდნობა საზოგადოებრივ აზრს იმ ხალხისა, იმ წრეებისა და თუ გინდ იმ პარტიისა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ქართველ ხალხს, რომელთა პოლიტიკას მხარს უჭერს ქართველი ხალხი და რომელნიც კვლავ იქნებიან ქართველ ხალხის ხელმძღვანელნი, როცა ჩვენ დავუბრუნდებით ჩვენ სამშობლოს-თქო. მან კმაყოფილება გამოსთქვა ამის პირდაპირ და ნათლათ პასუხისათვის. სთქვა, რომ ის მიიწერება ყველაფერს ლონდონში. დაუმატა აგრეთვე, რომ მე რასაკვირველია ვერ გეტყვი, თუ რა ხაზს დაადგებიან იქაო. ეს მათი საქმეაო. პოლიტიკას ისინი ხელმძღვანელობენ და მასში ჩვენ ხომ ვერ ჩავერევითო. ეს, რასაკვირველია, ასეა. მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთ პასუხს მივიღებდი, მაგრამ მგონია, მაინც კარგია, როცა აქედგან გარკვეულათ იქით მიიწერებიან. აქ გვარწმუნებენ, რომ ჩვენ საკითხს ლონდონში კარგათ იცნობენ. აქაურ ჩვენს მუშაობას, არის ეს კერძო ხასიათისა თუ ოფიციალური, მე მხოლოთ ვაძლევ მნიშვნელობას იმდენათ, რამდენათ შესაძლებელი იქნება, რომ ამით ლონდონში ჩვენზე მეტი ინფორმაცია იყოს და მით თქვენ მუშაობა გაგიადვილდეთ. ისე კი, რასაკვირველია, მთავარი საქმე თქვენ უნდა გააკეთოთ. საქმეს რასაკვირველია ლონდონი და არა სტამბოლი გადასწყვეტს.

წინა წერილში გწერდით და ეხლაც ვიმეორებ, რომ დიდათ აინტერესებს ინგლისელებს თუ რა ფორმებით გვეხმარება ჩვენ ინგლისის მუშები და თუ

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 4-7.

აქვთ მათ ლონდონის მთავრობასთან ჩვენი საკითხის შესახებ ლაპარაკი. მათი ამ კითხვიდგან ცხადათ სჩანს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინგლისის მუშების აზრს ჩვენ სასარგებლოთ. თქვენ ალბათ ჩვენი მუშაობის ამ მხარეს სათანადო ყურადღებას აქცევთ. კარგი იქნებოდა, რომ ერთი ვინმე ცნობილი და გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე ლონდონს ენერგიულათ მიაწობოდეს.

– ბრიანის გავარდნამ ცოტა შეგვაფიქრა. მაგრამ არ მგონია რომ მათი პოლიტიკა თვალსაჩინოთ შეიცვალოს. იმედი გვაქვს, რომ მალე პუანკარესაც მიიმხრობთ. – დღეს საღამოს გვქონდა შეერთებული კრება საქართველოს, აზერბეიჯანის და მთის წარმომადგენლებისა და პოლიტიკურ კომისიებისა. საკითხი ეხებოდა ანატოლიაში კაცის გაგზავნას. როგორც გწერდით წინა წერილში, საზოგადო აზრია, რომ კაცები უნდა გავგზავნოთ იქ სამუშაოთ. აზერბეიჯანლების აზრით, ეს შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში უნდა ვცადოთ. თუ მართალია ის ჩვენი ცნობა, რომ ანგორის ზოგ წრეებს უნდა კავშირი იქონიონ კავკასიის რესპუბლიკების უწინდელ მთავრობების კაცებთან – კაცის გაგზავნა კი არ უნდა დავიგვიანოთ. ჩვენ აქ ხვალიდგან შევუდგებით ნიადაგის მოშინჯვას თუ რამდენათ ეს შესაძლებელი იქნება. თქვენც თქვენი მხრით მოელაპარაკეთ ფერიდ ბეის. მდივანი, როგორც ყოფილი წარმომადგენელი იქ, ეგებ ცოტა ოდიოზურათ ეჩვენოთ, მაგრამ ვნახოთ. სხვა კაცი ჩვენ არ გვყავს, როგორც გწერდით. კანის კონფერენციის გადაწყვეტილება ჩვენს შესახებ ჩვენ სწორეთ ისე გავიგეთ, როგორც თქვენ გვწერთ და ასეთ განმარტებას ვაძლევთ აქ მას. ამ განმარტებას აქ ინგლისელებიც ეთანხმებიან. კ. გვარჯალაძე."[1]

ამრიგად, წერილში დასმულია რამდენიმე პრობლემა: 1. სტამბოლში მყოფი ინგლისის უმაღლესი კომისარი ვერ წყვეტს ვერცერთ პრობლემას ინგლისის მთავრობის გარეშე, თავად ინგლისის მთავრობას კი ამ დროს ჯერ კიდევ არა აქვს მკაფიო გეგმა საბჭოთა რუსეთთან და, ბუნებრივად, მის მიერ დაპყრობილ საქართველოსთან ურთიერთობაში; 2.ინგლისის უმაღლესი კომისარი მოითხოვდა სტამბოლის პოლიტიკური კომისიის წარმომადგენლისგან (თავ-რე ნოე ხომერიკი იყო და იმჟამად არ იმყოფებოდა თურქეთში), მისი ოფიციალური სამთავრობო სტატუსი დაედასტურებინა, რაც გააკეთა გვარჯალაძემ და ამის შემდეგ კომისარი დაპირდა, რომ მის კითხვებს გადასცემდა ბრიტანეთის მთავრობას ; 3. ბრიტანეთს არ უნდა ეღიარებინა საბჭოთა რუსეთი და არც საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება, ბრიტანეთის გადაწყვეტილება ევროპაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ იქ უნდა გაგზავნილიყო ყველაზე გავლენიანი ქართველი პოლიტიკოსი „ბრიტანელებზე მისაწოლად"; 4. ოთხთა კომისია (კავკასიის ქვეყნების) შეკრებილა სტამბულში, უმსჯელიათ ანგორაში კაცის გაგზავნაზე, მაგრამ ვერაფერი გადაუწყვეტიათ, ჩხენკელს ამ საკითხზე მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა საფრანგეთში თურქეთის წარმომადგენელ ფერიდ-ბეისთან; 5. კანის კონფერენციის შედეგები სტამ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ .8-9.

ბოლშიც ისევე გაუგიათ და იგივე ინფორმაციას ავრცელებდნენ, როგორც ამას ინერებოდა აკაკი ჩხენკელი.

წერილი V

„10 იანვარი, 22,სტამბოლი.

საქართველოს ელჩს პარიზში.

მივიღე თქვენი წერილი (25. XII. 21). მივიღე აგრეთვე ლონდონიდგან სტენოგრაფიული ანგარიში 19 დეკემბრის პარლამენტის სხდომისა, სადაც ჩვენ საკითხს შეეხენ. მეც მგონია, რომ იქ უფრო ჩვენ სასარგებლოთ მოხთა ლაპარაკი. არის ზოგი ადგილი მინისტრის ამხანაგის სიტყვებში ცოტა უხერხული ჩვენთვის, მაგრამ ამას არა უშავს. მე მეორე დღეს ვნახე აქ უმაღლეს კომისრის თანაშემწე და გამოვკითხე, თუ მართალია ის, რომ ლონდონში საქართველოს ოკუპაციის შესახებ არ იციან რა და ნუთუ სტამბოლიდგან ამის შესახებ მოხსენებები არ იგზავნება. მე მან მაჩვენა 13 სხვა და სხვა დროს გაგზავნილი მოხსენებები ლონდონში ჩვენი საქმის შესახებ. ზოგ მოხსენებებში დაწვრილებითაც არის საქართველოს ოკუპაციის შესახებ, რუსეთის ჯარის რაოდენობის და დისლოკაციის შესახებ. თუ ჩვენ მოხსენებებს არ კითხულობენ არ ვიცით, ისე კი ყოველათ შეუძლებელია, რომ საქართველოს ოკუპაციის შესახებ ლონდონმა არაფერი იცოდესო. შეიძლება შეკითხვას დიპლომატიურათ არ უპასუხესო. მეც პირადათ ეს მგონია. საზოგადოთ სტამბოლში ინგლისელები ჩვენი საკითხით მეტათ დაინტერესებულნი არიან. მე ქე გწერდით, რომ აქ ჩემთან კერძო პირებსაც ვამუშავებ-თქო. კერძო ნალაპარაკევის შინაარსს მე თქვენ არა გწერთ. ეს არც ისე საჭიროა. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ეს კერძო ლაპარაკი, როცა ის წარმოებულია დანყობილათ და მოფიქრებულათ, კარგია ძლიერ საპროპაგანდოთ და ყინვის ერთნაირათ გასადნობათ. კერძო ნალაპარაკევი ოფიციალურ პირებამდე მიდის რასაკვირველია. მით უფრო აქ საჭიროა სიფრთხილე და დაფიქრება. რაც შეგვიძლია ყველა მხარეებს შესაფერათ ყურადღებას ვაქცევთ. გუშინ წინ საღამოს ჩემ ბინაზე ვითომ სადარბაზოთ მოვიდა ინგლ. კომისრის თანაშემწე. ბაასი იყო საქართველოს მდგომარეობაზე და მის პერსპექტივებზედაც. ლაპარაკის დროს კითხვა დამისვა, **თუ როგორ ვუყურებთ ჩვენ ყუბანის ჩვენ კავშირში შემოყვანას.** მე ვუამბე იმ კარგ განწყობილებაზე, რომელიც ჩვენ ამ სამი წლის განმავლობაში გვქონდა ყუბანელებთან, რომ მათ ჩვენ ხანდახან კიდევაც ვეხმარებოდით შეძლებისდაგვარათ. რაც შეეხება კი მათ ჩვენ კავშირში შემოყვანას, ეს კი ძნელი საკითხია. **ყუბანელები 7 მილიონი მცხოვრებია, მათი ჩვენ კავშირში შემოყვანა ერთნაირათ სლოვიანებში ჩვენ გათქვეფას მოასწავებს. ჩვენ ეხლა სლოვიანებიდგან გვინდა თავი გავინთავისუფლოთ და ყუბანელების ჩვენ კავშირში შემოყვანა ალბათ ჩვენთვის საძნელო იქნება-თქო.** მას ეს აზრი მოეწონა. ეს აზრი უსათუოთ სახეში მისაღებიაო. ისე კი, ვუთხარი მე მას, ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ ყუბანელებიც იქმნან თავისუფალნი და გვქონდეს მათთან უმკვიდრესი მეზობლური და სხ. კავშირი-თქო. **დაღესტანის და გროზნოს რაიონის თქვენ კავშირში შე-**

მოსვლის წინააღმდეგი ხომ არ ხართო. არა თუ ამის წინააღმდეგნი ჩვენ არ ვართ, არამედ ქართველები ვიყავით ყოველთვის იმის ინიციატორები, რომ ჩრდილო კავკასია ჩვენ კავშირში შემოსულიყო-თქო. 10 ივნისის დეკლარაცია ჩვენი ინიციატორობით იყო დაწერილი-თქო. მერმედ იკითხა თუ ჩვენ გვაქვს რამე კავშირი და ლაპარაკი ინგლისის ფინანსიურ წრეებთან. აქ მე ძლიერ გამომადგა ის ცნობები, რომლებიც ამ ბოლო ხანს მქონდა თქვენგან მიღებული. საერთოთ ამ ლაპარაკმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. იცოდეთ ცნობები აქედგან Foreign offices რეგულიარულათ ეგზავნება. სხვათა შორის მკითხა ჩემმა სტუმარმა, თუ რატომ ეკონომიურ ხასიათის წერილებს არ ათავსებენ თქვენები ლონდონის ჟურნალებშიო. ამ საქმის გაკეთება ადვილათ შეუძლია ვოიტინსკის. თუ ეს არ შეიძლება, მაშვინ გადმომიგზავნეთ რამოდენიმე ხნით ის მასალები, რომლებიც ვოიტინსკის ჰქონდა საქართველოდგან წამოღებული და რომლებიც ეხლა იქ პარიზში ჩვენ დელეგაციაში თქვენთან ინახება და მე აქედგან საჭირო ცნობებს ამოვაღებინებ და აქედგანვე გავგზავნი ლონდონში დასაბეჭდათ. ამ მხარეს მივაქციოთ მეტი ყურადღება.

პარიზიდან მოვიდა ნ. ჟორდანიას წერილი კონფერენციის მოწვევის შესახებ. სიძნელეს იწვევს მისი ტექნიკური მხარე. ეს მხარე კი აქ პოლიტიკურ კომისიას ვერ აქვს მოგვარებული, რადგანაც ის ძნელი მოსაგვარებელია. ეხლა მე მთხოვენ, რომ ეს ოფიციალური გზით მოვაწყო. ან მინანოსკით გადავგზავნო ესენი ჩვენში, ან და მათ ოფიციალურათ ქემალისტებმა მისცენ საშუალება ტრაპეზონდში მისვლა-მოსვლისა. მინანოსკა უბრალო ნავი არ არის, რომ ის ჩვენი სურვილისამებრ ვინმემ მოგვცეს. და მართლაც პელეს მოადგილემ (პელე ეხლა პარიზში წამოვიდა) მითხრა, რომ ეს საქმე საზღვაო მინისტრის საქმეა და აქაურ ადმირალს პარიზიდგან უნდა მოუვიდეს ბრძანებაო. უნდა იყოს რამე სერიოზული საბაბი, რომ სამხედრო გემი ვინმემ მოგცეთო. მე არ ვიცი კი როგორ დაუსაბუთებთ იქ ამას თქვენ საზღვაო მინისტრს. ისე კი თუ ამას კი მოახერხებთ, ამას რალა ემჯობინება.

ქემალისტებს აქ სტამბოლში თავისი წარმომადგენელი არ ყავთ. იზეთ ფაშამ მითხრა კი, რომ ტრაპეზონდში სტამბოლის მთავრობას არ აქვს გავლენა და ჩვენთვის იქით და უკან ნებართვის გაცემა სამოგზაუროთ ძნელიაო. მიმართეთ ან ანგორის მთავრობას, ან მის წარმომადგენლებს ევროპაშიო. ეხლა აქ ჩვენები ამბობენ ეგებ ეს თქვენ მოახერხოთ ქემალის წარმომადგენელთან პარიზშიო. ეგებ შეეცადოთ და ნიადაგი მოსინჯოთ. ისე კი ასეთი საქმეები ჩუმათ და არალეგალურათ უნდა ხთებოდეს. ოფიციალურათ ასეთი რამეების გაკეთება უფრო ძნელია, თან ათასგვარ იჭვიანობას იწვევს და ასე ადვილათ ხომ ყველა ვერ გენდობა. მაგრამ ჩვენ ამხანაგებს არალეგალური მუშაობა ცოტა არ იყოს გადავიწყებული აქვთ. ყოველ შემთხვევაში მათ უნდა დავეხმაროთ. მე აქ ყოველნაირ ზომებს მივიღებ. ეცადეთ თქვენაც იქ.

მივიღე ვარშავიდგან ცნობა ჩვენი იუნკრებიდგან. აღტაცებულნი არიან იმ მიღებით და პატივისცემით, რომელნიც მათ განუცდიათ როგორც

გზაში, ისე თვით ვარშავაში. გალატში რომ ჩასულან, მათ იქ პოლონელების გენერალური კონსული დახვედრია და მათთვის სპეციალური ვაგონი მიუცია. ლვოვში მათთვის ხალხს ოვაციები გაუმართავთ. ვარშავაში ჩასვლისას მათ სადგურზე მთავრობის მიერ სპეციალურათ მათთვის დანიშნული ოფიცრები დახვედრიან, რომლებიც მათზე ზრუნავენ. მე მეგონა, რომ ჩვენ იუნკრებს კრაკოვის სამხედრო სასწავლებელში გაგზავნიდნენ. მაგრამ ისინი ყველა ვარშავაში დაუტოვებიათ. ეს სასწავლებელი ძლიერ კარგია. ტანსაცმელით, საჭმელით, მოპყრობით აღტაცებულნი არიან. კარგათ არიან ჩვენი იუნკრები ათინაშიდაც. კარგი მაინც რომ ეს ახალგაზრდობა ტყვილა არ დაგვეკარგა. უბრალო ცნობისათვის. ამას წინათ – ჩაი მქონდა ჩვენ ბინაზე, სადაც მოვიწვიეთ ჩვენი ნაცნობები და მეგობრები. ყველანი მოვიდნენ. იყვნენ: იაპონიის უმაღლესი კომისარი თავის მრჩეველით, პელეს მოადგილე, პოლონელების, ბელგიის, შვეციის და ბერძნების წარმომადგენლები. რუმბოლდის მოადგილე შეუძლებლობის გამო ვერ მოვიდა, ბოდიში მოიხადა წერილობითი და იმედი გამოსთქვა რომ ახლო მომავალში უსათუოთ მოვა ჩვენთან. ამას იმიტომ გწერთ, რომ საყურადღებოა ოფიციალურობას მიჩვეულ დიპლომატების ასეთი ყურადღება საქართველოსადმი.

ველი ცნობებს თქვენი მუშაობის შესახებ.

გილოცავთ მრავალ ახალ წელს თავისუფალ საქართველოში.

კ. გვარჯალაძე.

P. S. რაც შეეხება ჩვენი ემიგრანტების პრაგაში გადაგზავნას. მიგრანტთა კომიტეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ რადგანაც ემიგრანტებს მუდმივათ მთავრობის დახმარება ვერ ექნება და ამავე დროს გზის ხარჯები დიდია, მათი სადმე გადაყვანა ამ დროებით ვერ არის მიზან შეწონილი. თან ოროლი – სამ-სამი კაცი უკვე მუდმივ მიდის გერმანიისაკენ. ბოლგარიაზე, სადაც ცხოვრება მეტათ იაფია და თვით ჩეხოსლოვაკიაზე, ჩვენი ემიგრანტები უარს ამბობენ. ან გერმანიაში გაგვიშვით, თორემ სხვაგან არ გვინდაო.

კ. გ."[1]

წერილიდან ჩანს საქართველოს საკითხის ირგვლივ ევროპის ქვეყნებში ამ დროს არსებული თვალსაზრისები: 1. საფრანგეთი სიტყვით მხარს უჭერდა საქართველოს ეროვნულ მთავრობას, აკრიტიკებდა ბოლშევიკურ რუსეთს და მის საოკუპაციო პოლიტიკას, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებდა; 2. ინგლისი იმ ინფორმაციებსაც მალავდა, რასაც ქართველი დიპლომატები თუ სტამბოლში მყოფი მათი უმაღლესი კომისარი აწვდიდა, ეს ყველაფერი ჭირდებოდა იმ ინერტულობის დასაფარავად, რომელსაც იჩენდა საბჭოთა რუსეთის მიმართ, რომელთანაც სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის გაფორმებას აპირებდა; 3. ჩანს, რომ ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ამ დროს საკითხი ისმებოდა ცალკე ყუბანის რესპუბლიკის აღიარებასა და კავკასიის ქვეყნების მასთან შეერთებაზე, ამაზე საქართველოს წარმომადგენელს უთქვამს ინგლისის კომისრის თანაშემწისთვის, რომ 7 მილიონიან ყუბანს საქართველო ვერ შეუერთდებოდა, ის აპირებდა არა სლავიანურ მოსახლეობასთან, არამედ კავკასიის ქვეყნებთან გაერთიანებას; 4.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 10-13.

საჭირო იყო მეტი მუშაობა ეკონომიკურ სფეროში ინგლისში; 5. ნოე ჟორდანიას სურვილს — კონფერენცია მოეწვიათ სტამბოლში ან ტრაპიზონში, ძნელად მოსაგვარებლად მიიჩნევდა გვარჯალაძე და ამას უხსნიდა ჩხენკელს; 6. სუბარია პოლონეთის ჯარში ქართველების მიღებასა და იმ დიდ მხარდაჭერაზე, რაც ქართველ სამხედროებს აღმოუჩინეს პილსუდსკის თაოსნობით. სტამბოლიდან ქართველი სამხედროები ოჯახებით ან გერმანიაში მიდიოდნენ, ან ვარშავაში.

წერილი VI

„16 იანვარი, სტამბოლი, .

საქართველოს ელჩს პარიზში.

ჩვენი საკითხის გარკვევის და გადაწყვეტის ხანა მოახლოვებულია. ყველა ფრონტზე მიწოლა, ყველას დაინტერესება, ყველას ჩვენდამი დახმარება – აი რა მაინტერესებს მე დღეს. წინა წერილში ქე გწერდით ინგლისელებთან ლაპარაკის შესახებ. გუშინ კიდევ ვნახე რუმბოლდის[1] მრჩეველი და მეტათ გავლენიანი პირი აქ. მას ველაპარაკე ჩვენი საკითხის შესახებ. უთხარი, რომ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ინგლისელების დღევანდელი სიჩუმე და გაურკვევლობა კავკასიის საკითხში საზოგადოთ და საქართველოს საკითხში კერძოთ. ინგლისელები ხშირათ ამბობთ, რომ დიდი ინტერესები გაქვთ კავკასიაში, არც გინდათ ეს თქვენი ინტერესები იქ მიატოვოთ. მაგრამ ჩვენ დღემდის ვერ ვხედავთ სინამდვილეში, რომ თქვენ მართლაც დაინტერესებული ხართ ჩვენით. ჩვენ არ ვხედავთ არც თქვენ სურვილს, არც თქვენ გეგმას ჩვენში მუშაობისას მომავალში, ჩვენ არ ვიღებთ თქვენ რჩევებს, თქვენ ერთნაირათ განზე დგეხართ და ისეთ შთაბეჭდილებას ახთენთ ყველაზე, თითქოს თქვენ არც კი გაინტერესებდეს ჩვენი სვე ბედი. ჩვენ კი გვგონია. რომ ეს უბრალო პლატონიური სურვილები და სიმპატიები რეალურ რამეთ უნდა იქცეს. ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს სურვილი იურიდიულ ფორმებში ჩამოსხმისა. ეხლა ახლოვდება დრო, როცა ასეა თუ ისე, გინდათ არ გინდათ, ჩვენი საკითხიც უნდა დაისვას და მას რამე პასუხი გაეცეს. და აი სწორეთ ამ მომენტისათვის ჩვენ უნდა გვქონდეს რამე ხელში, რითაც ჩვენ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ არათუ ჩვენ შორის ლაპარაკის დროს, არამედ მაშინაც კი, როცა სხვებთანაც გვექნება ლაპარაკი. თუ მართლა კიდევ ადგეხართ თქვენ იმ გზას, რომ კავკასია თქვენთვის ინტერესს წარმოადგენს; თუ გაინტერესებთ თქვენ ეკონომიური მუშაობა ჩვენში, თუ გაინტერესებთ ბათომის და ფოთის პორტების საკითხი, თუ კი საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები წარმოადგენს თქვენთვის ერთნაირ კარებს, რომლებიც თქვენ გაგიადვილებთ კავშირს და საქმიანობას იმ ქვეყნებთან სადაც თქვენი გავლენაა და სადაც თქვენა ხართ ბატონ პატრონი, მაშვინ უნდა ვიცოდეთ ერთმანეთის აზრი და ყველაფერი პირობები ქაღალდზე უნდა დაიწეროს-თქო. აი სწორეთ ამ დროიდგან ჩვენი საკითხი მიიღებს უფრო რეალურ ხასიათს-თქო. ინგლისის დემოკრატია, მისი უძლიერესი ორგანიზაცია მუშათა კლასისა ჩვენ დამოუკიდებლობას

[1] რუმბოლდი, — ამ დროს იყო ინგლისის ელჩი ვარშავაში.

და თავისუფლებას უჭერს მხარს. ეს უდიდესი ფაქტია და ეს თქვენ ძლიერ გაგიადვილებს მუშაობას-თქო. თან თუ სტამბოლელები მიიღებთ უფრო აქტიური ზომებს და ამ საკითხის მოგვარებაში და წინ წაწევაში და მისი დადებითათ გადაჭრაში ითამაშებთ სათანადო როლს, ალბათ ამასაც ექნება დიდი მნიშვნელობა თუგინდაც პირადათ თქვენთვინაც. ბევრ თქვენგანს ჰგონია, რომ ეს მეტათ რთული საკითხია და ასე ადვილათ არ გადიჭრებაო. მაგრამ თუ კი თქვენ მართლაც გინდათ, რომ ეს საკითხი გადიჭრას, ვინმემ ხომ უნდა დასვას ის, ვინმემ ხომ უნდა იკისროს ინიციატივა-თქო. ლაპარაკის და პროპაგანდის ხანამ განვლო. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ თქვენმა მთავრობამ უნდა მოგველაპარაკოს ჩვენ და მოგვცეს საშუალება რომ ეს ლაპარაკი ჩამოისხას ერთნაირ გარკვეულ ფორმებში. ჩვენთვის საჭირო იქნება ჩვენ შორის დაიდოს ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების დასადებათ და ლაპარაკისათვის ჩვენ მზათა ვართ, გაცადოთ თქვენ. თუ კი საჭიროა, რომ თქვენი მეტი ინიციატივისათვის, ეს ჩემი თქვენთან ნალაპარაკევი იცოდეს ჩემგანვე უმაღლესმა კომისარმა, მე მზათ ვარ ჩემი მოსაზრებები, მათაც წარუდგინო. შეიძლება ჩვენ მათ წინასწარ ველაპარაკოთ, მე შემოვალ თქვენთან ამ ორ–სამ დღეში და თქვენ აზრს მეტყვით. მან მიპასუხა, იმ დღეიდანო, რაც რომ ჩვენი წარმომადგენელი აღარ არის კავასიაშიო, ყველა საკითხებს რომლებიც კავკასიას და საქართველოს შეეხება, სწყვეტენ ლონდონშიო. მე მოველაპარაკები ყველა იმის შესახებ, რაც დღეს აქ ითქვა უმაღლეს კომისარსო და შედეგს ამ დღეებში გაცნობო. ვნახოთ, რას მეტყვის... ძლიერ მეხმარება ჩვენ საქმეებში აქ ინგლისელებთან იაპონიის უმაღლესი კომისარი. ის ნამდვილ პროპაგანდას ეწევა ჩვენთვის და მას უსათუოთ აქვს გავლენა აქ ინგლისელების აზრზე. რაც შეეხება თვითონ მას, მან შემპირდა, რომ ის ჩვენთვის სასარგებლო ინფორმაციას მიაწვდის იაპონიის წარმომადგენლებს, როგორც კანაში, ისე მომავალ ყველა კონფერენციებზე; განსაკუთრებით იმ კონფერენციაზე, რომელიც იქნება მარტში. იაპონელები ევროპაში არ იცნობენ ჩვენ საკითხს, აქ ის ასე თუ ისე უკვე გაეცნო ჩვენ საკითხს და მის აზრს და მის დასკვნებს უსათუოთ ექნება მნიშვნელობა. ყველა ის მოხსენებები, რომლებიც აქედგან გაიგზავნება ტოკიოში, იმავე დღეს მათი ასლი გაეგზავნება აქედგან იაპონიის წარმომადგენლებს სხვა და სხვა კონფერენციებზე, ამას ექნება მნიშვნელობა. და ამას ეს სიამოვნებით შეასრულებს. – რაც შეეხება თურქებთან მუშაობას – მათთან ვმუშაობ არა მე მარტო, არამედ აქაც ვიხმარიებ ფრანგებს, პოლონელებს და რუმინელებს. ყველა ესენი დიდი სიამოვნებით გვაწევენ ჩვენ ერთნაირათ ბანს. მაგრამ თურქებს ძლიერ ეშინიათ, რომ კავკასიას ინგლისელები არ დაუბრუნებენო. ინგლისელების იქ მისვლას მათ რუსების კი არა, ეშმაკების მოსვლა ურჩევნიათ. რუსეთი სუსტი იქნება რამოდენიმე ხნით, იმდენს ვერას დაკვაკლებსო, თან ეხლა და ამ ახლო მომავალში რუსეთი, ჩვენთვის საჭირო იქნებაო. ინგლისის აქ შემოსვლით კი ჩვენი პერსპექტივები სულ სხვა მსვლელობებს მიიღებენო. ასე რომ თურქებმა რომ თავისი სურვილით მოინდომონ რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და

ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენა, ეს რასაკვირველია არ არის მოსალოდნელი. სათათრეთი უნდა ვაიძულოთ სხვისი დახმარებით ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენაში და რუსეთთან კავშირის გაწყვეტაში. სათათრეთს ჩვენი ცნობებით კავკასიის ფრონტზე არ ყავს ბევრი ჯარი. რუსეთთან მას კარგი განწყობილება აქვს და დღემდის იღებს ფულს და იარაღს. ამ მხრივ დიდი ილლუზიები არ უნდა გვქონდეს. გავლენიან თურქთა პოლიტიკურ მოღვაწეებთან მაქვს კავშირი და ამ კავშირს, რასაკვირველია, უნდა დიდი ყურადღების მიქცევა.

კ. გვარჯალაძე

არა ოფიციალური წყაროებიდგან არის ცნობები ვითომც იქ ინგლისელები შტაბში კავკასიის საოკუპაციო გეგმას ამუშავებდნენ და მარტში მოხთება ეს ოკუპაციაო. ეს არის ჯერ ჯერობით უბრალო ხმები, მაგრამ ხმები დაჟინებითი. დაწვრილებით ჯერ ვერ გავიგეთ. როცა გვეცოდინება, რამე ასეთი აზრი მართლა არსებობს, გაგაგებინებთ.

კ. გ."[1]

როგორც ვნახეთ, წერილში კვლავ გამოიკვეთა ინგლისელების მხარდაჭერის მოპოვებისათვის ქართველების ბრძოლა, ამისთვის როგორც დიპლომატიური, ასევე, პირადი ურთიერთობების გამოყენება. ქართველები ინგლისის კონსტანტინეპოლელ წარმომადგენლებს მიანიშნებდნენ ინგლისელი მუშების შესაძლო თანადგომაზე, ევროპის იმ სოციალისტური წრეების თანამშრომლობაზე, რომელთაგან ბევრი ხელისუფლებაშიც იყვნენ. გვარჯალაძე მიუთითებდა ჩხენკელს, რომ იაპონიის სამხედრო წრეები მხარს უჭერდნენ საქართველოს და ჰპირდებოდნენ ინგლისთან მოლაპარაკებებში შუამდგომლობასაც, თუმცა, ევროპაში მომსახურე იაპონელებს საქართველოსადმი მსგავსი დამოკიდებულება არ ჰქონიათ. ჩანს, როგორ ეშინოდა თურქეთს ანტანტის ყოფილი ძლიერი ქვეყნის — ინგლისის პოზიციების გაძლიერებისა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. ეს შიში აიძულებდა მას კავშირი დაემყარებინა ბოლშევიკურ რუსეთთან, მიეღო მისგან ფული და იარაღი და საქართველოს დამოუკიდებლობა არ ეცნო. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ძნელი სამუშაოს ჩატარება უხდებოდა სტამბოლის პოლიტიკურ კომისიას და ამას ცდილობდა გავლენიან თურქ პოლიტიკოსებთან კავშირით, ევროპის ქვეყნების დიპლომატიური მისიების საშუალებით. ინგლისის შიში ისე ძლიერი იყო, რომ თურქეთში ხმები ვრცელდებოდა ბრიტანეთის ჯარებით მოკლე ხანში კავკასიის შესაძლო ოკუპაციაზე.

წერილი VII

„23 .I. 22

საქართველოს ელჩს პარიზში

მივიღე თქვენი წერილი (პარიზი. 8. I. 22) და ყველა ნოტების ასლები. ერთ ჩემ წერილში (№40) გწერდით ანგორაში კაცის გაგზავნის შესახებ.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 14-16.

თქვენ მეკითხებით, თუ შესაძლებელია იმ ხალხიდგან, რომლებიც პოლიტიკურ კომისიას ტრაპეზონდში ყავს, ვინმე ავირჩიოთ. მე ვიკითხე და იმ ორი კაცისაგან, რომლებიც ტრაპიზონდში იმყოფებიან ამ საქმისათვინ არც ერთი კაცი არ გამოდგება. ისინი მხოლოთ ტეხნიკურ მუშაობას ეწევიან-თქო. ჩვენი საქმისთვის კი საჭიროა თავიანი კაცი. ამ დღეებში აქ ანტალიიდგან ჩამოვიდა აზერბაიჯანის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვექილოვი[1]. ის დიდი ხანია ყოფილა იქ და ზოგ მეტათ საინტერესო ცნობებს იძლევა. ირკვევა რომ როცა ბოლშევიკები ჩვენ შემოგვესიენ, ჩვენდამი დახმარების საკითხი ანგორაში მართლა დასმული ყოფილა. ბექირ სამის ჯგუფი ჩვენ დახმარებას უწევდა თურმე მხარს. კიაზიმ კარაბექირ ფაშა[2], რომელიც აღჭურვილია დიდი უფლებებით და მოქმედებს ერთნაირათ დამოუკიდებლადაც კავკასიის ფრონტზე, ბექირ სამი ბეის ჯგუფის აზრს არ იზიარებდა თურმე. მისი აზრით და ცნობებით ჩვენ ანტანტის ხელში ერთნაირი იარაღი ვიყავით. ასეთ ცნობებს მას აძლევდა მოსკოვი, რომელიც თავის მხრივ იღებდა ვითომ ამ ცნობებს კრანახისაგან. კიაზიმ კარა ბექირ ფაშას ეშინოდა რა ინგლისელების და ფრანგების იმ დროს და სთვლიდა რა აუცილებლივ საჭიროებას რუსეთთან კავშირისას, უარს ამბობდა ჩვენს დახმარებაზე და ცდილობდა ბოლშევიკების ჩვენში შემოყვანით მათთან დაახლოვებას. ბოლშევიკებთან დამეზობლებამ და მათთან ამ ბოლო დროს საქმიანობამ თურქები დაარწმუნა, ამბობს ვექილოვი, თუ ვისთან აქვთ მათ საქმე. ამ უკანასკნელათ, როცა ანგორის დელეგაცია მუქთარ-ბეის თავმჯდომარეობით მისულა თფილისში კავკასიის რესპუბლიკებთან სავაჭრო საქმეებზე მოსალაპარაკებლათ, მათ თფილისში დახვედრიათ მოსკოვის წარმომადგენელი, რომელიც აძლევდა ტონს და ხელმძღვანელობდა მთელ მუშაობას: ამას ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოუხთენია თურქებზე და უკმაყოფილონი დაბრუნებულან. ეხლა ხედავენ, რომ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებულობა უბრალო ფიქციაა და მეტი არაფერიო. ჯერ კიდევ რუსეთთან კავშირი აქვთ და ამ ახლო მომავალში თურქები თვითონ არ იკისრებენ ამ კავშირის გაწყვეტას. ისე კი ისინი ეხლა უკვე იწყებენ ყურებას იმათკენ, ვინც ნამდვილათ წარმოადგენს კავკასიის ერებს და მტერია ბოლშევიზმისა. დამოკიდებულება ოფიციალური რასაკვირველია დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. მაგრამ იქ ვინმე ჭკვიანი კაცის ყოლა და მით თურქებთან ეხლავე ადგილობრივათ მუშაობის დაწყება კი ჩვენი აზრით აუცილებელია. ეს კაცი იქნება იქით

[1] ვექილოვი, — დამოუკიდებელი აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრი.

[2] კიაზიმ კარაბექირ ფაშა, — კიაზიმ მუსა კარაბექირი (1882-1948), თურქი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ბალკანეთის ომისა და I მსოფლიო ომის მონაწილე. 1919 წლიდან დაუახლოვდა და მეგობრობდა მუსტაფა ქემალთან (ათა-თურქი). 1920 წელს ებრძოდა სომხებს; 1921 წელს მისი მეთაურობით მოახდინა თურქულმა ჯარმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიების ოკუპაცია. იყო თურქეთის დიდი ეროვნული საკრებულოს სპიკერი, 1922წელს მონაწილეობდა სხდომაში, რომელმაც გააუქმა მონარქია (სულთნის ხელისუფლება). 1924 წელს განუდგა ქემალს პრინციპული უთანხმოების გამო, დატოვა სამხედრო სამსახური და შექმნა საკუთარი რესპუბლიკური პარტია, რომელიც მალე აიკრძალა.

გაგზავნილი როგორც არა ოფიციალური. თვით ანგორაში კაცის ყოლა ძნელია. იქ თვით აზერბეიჯანელებს არ უშვებენ. მაგრამ ანატოლიის სხვა ადგილებში ეს მოხერხდება. მე და ნ. ხომერიკმა მოვილაპარაკეთ აქ პოლიტიკურ კომისიაზე, მაგრამ საამისოთ აქ კაცი ჩვენ არ გვყავს. ცოტა მაინც ენა უნდა იცოდეს, ანგარიშგასაწევი კაციც უნდა იყოს. აქ დასახელებულ იქმნა ასეთ პირათ სოსიკო მდივანი. ის იქ მაინც ქე იღებს ჯამაგირს და ხარჯი დიდი არ ნავა. თან ცოტათი „მოითურქებს". ენა წყლიანია და ნიადაგის მოსამზადებლათ კარგი იქნება. ჩვენ მეტი კაცი ვერ გამოვნახეთ. თქვენ ალბათ ანგორის წარმომადგენელთან გაქვთ კავშირი და ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. აზერბეიჯანელებს ყავთ თავისი კაცები ყველგან იქ. საჭიროა ჩვენი კაციც იყოს აქ. ათასნაირი ხმები დადის ამ ანატოლიაში და მარტო რომ ამ ცუდ ხმებს შეებრძოლო იქ და უარჰყო ის, ამას ექნება მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევისათვის გთხოვთ, რომ ეს საკითხი, თუ კი ის თქვენ მიგაჩნიათ საყურადღებოთ, თქვენვე გადაჭრათ და თუ მდივანის გაგზავნის წინააღმდეგი იქნებით, მაშვინ ვინმეზე მიგვითითოთ. პასუხს ნუ დაგვიგვიანებთ. ამ წერილში მე გწერთ არა მხოლოთ ჩემ აზრს, არამედ მთელი პოლიტიკური კომისიის აზრსაც, რადგანაც რომ თქვენ მათ ანდობთ ვინმეს გაგზავნას. ზედმეტია მასზე ლაპარაკი, რომ თურქებში უფრო ფართეთ უნდა დავაყენოთ მუშაობა, ვიდრე ეს დღესა გვაქვს ჩვენ.

– აქ ინგლისელებს ხშირათ აინტერესებთ, თუ რა მონაწილეობას იღებს ინგლისის მუშები ჩვენ საკითხში. თუ იყო შემთხვევები, რომ მუშების წარმომადგენლებმა ინგლისის მთავრობას მიმართეს ჩვენდა მხარის დასაჭერად, ანდა რა სხვა ფორმებში გამოიხატება მათი თქვენდამი დახმარებაო. მე მქონდა ცნობა რომ ინგლისის მუშების აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადასტურა ბრიუსელის რეზოლუცია და გადასცა ის კრასინს მოსკოვისათვის; ამის მეტი მე არაფერი ვიცი ინგლისში მუშებს შორის ჩვენი მუშაობის შესახებ. ვიცი, რასაკვირველია, იმ რეზოლუციის შესახებ, რომელიც ბრაიტონში მიიღეს ნ. ჟორდანიას თანდასწრებით. თუ რამე არის კიდევ თქვენს ხელთ გთხოვთ მაცნობოთ. ჩემთვის უბრალო ცნობას აქვს მნიშვნელობა: არც ერთ ფაქტს არ გაუშვებ, რომ არ გამოვიყენო რამეში აქ. ხვალ საღამოს 5 საათზე ვიქნები ინგლისელებთან, ვნახოთ თუ რას მეტყვიან პასუხათ იმ ლაპარაკის შესახებ, რომელზედაც გწერდით წინა წერილში. მალე მოგწერთ.

კ. გვარჯალაძე."[1]

როგორც ირკვევა, აკაკი ჩხენკელი თანახმა იყო ანკარაში საქართველოს წარმომადგენლის გაგზავნაზე, რეკომენდაციას იძლეოდა ტრაპიზონში მყოფი ქართველებიდან შეერჩიათ ვინმე, მაგრამ, გვარჯალაძის აზრით, არცერთი არ გამოდგებოდა, ენის უცოდინრობისა და პოლიტიკური გაუნათლებლობის გამო; ანკარაში წარმომადგენლის გაგზავნა სტამბოლის პოლიტიკურ კომისიას კიდევ უფრო გადაანყვეტინა აზერბაიჯანის ყოფილმა შს მინისტრმა ვექილოვმა, რომელმაც ქართველებს გააგებინა ქემალისტების სურვილი — დახმარებოდნენ საქართველოს ბოლშევიკების აგრესიის დროს, მაგრამ თურქთა სხვა ფრთამ შეაცვლევინათ ეს გად-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ22-23

აწყვეტილება, ისინი თვლიდნენ, რომ ანტანტის მიმართ საქართველოს პოზიცია არ იყო მყარი და შეძლებოდა იგი ინგლისელების ან ფრანგების მხარეზე გადასულიყო, რაც საშიში იქნებოდა თურქეთისთვის. ზოგადად კი, საქართველოში არსებული რეჟიმი არ მოსწონდათ თურქებს, რადგან ისინი დამოუკიდებლად, მოსკოვის გარეშე მეზობლებთან ურთიერთობის ვერცერთ საკითხს ვერ წყვეტდნენ.

ამგვარ სიტუაციაში ანკარაში გასაგზავნ ყველაზე კარგ კანდიდატად ჩაითვალა სოსიკო (სიმონ) მდივანი, რომელიც გამოცდილი იყო დიპლომატიის დარგში (ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ელჩი იყო თურქეთში). კანდიდატურა ჯერ ჩხენკელს, მასთან ერთად მთავრობის ყველა ყოფილ წევრს უნდა განეხილა და მიეცა თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი კანდიდატი თავად უნდა მოეძებნათ.

გვარჯალაძე ჩხენკელს თხოვდა ყველა იმ დოკუმენტის გაგზავნას, რაც ინგლისელ მუშებთან და სოციალისტებთან ქართველების კავშირს ეხებოდა. ეს მასალები ჭირდებოდა სტამბოლში ინგლისის წარმომადგენლებთან საუბრისათვის.

წერილი VIII

„სტამბოლი. 31. I. 22.

საქართველოს ელჩს პარიზში.

თქვენი წერილი (22. I. 22) დღეს მივიღე. ნაც. დემოკრატების წარმომადგენლები – ლ. ჯაფარიძე და რ. გაბაშვილი ამ დღეებში წამოვლენ ალბათ. მე მათ აქეთგან პარიზის დაუკითხველად პირდაპირ მოუწყვე ვიზები. ასე რომ ამ მხრივ მათ დაბრკოლება არ აქვთ. ინგლისში კერძო გზით მუშაობამ შეიძლება კარგი ნაყოფი გამოიღოს. დღეს ინგლისი ისეთ პირობებშია, რომ ოფიციალურ გზებს შეიძლება ხშირათ განგებ უხვევს გვერდს. ამ მხრივ ირაკლისაც[1] და ნიკოლაძესაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. სამწუხაროა მხოლოთ რომ ირაკლი ამდენ ხანს ვერ დაიძრა. წინა წერილში ქე გწერდით თუ რა ყურადღებას აქცევენ ხშირათ ოფიციალური პირები იმ პოზიციას, რომელზედაც დგას ინგლისის მუშათა კლასი ჩვენ საკითხში. ერთი მაგარი მინოლა იქ ამ მხრივ ბევრ რამეს გაგვიკეთებს. ამ ბოლო დროს აქ სტამბოლში ინგლისელები დიდ ყურადღებას აქცევენ სხვა და სხვა სახელმწიფოების მუშაობას ჩვენში. კერძო გზის საშუალებით გვთხოვეს მათთვის მიგვეცა იტალიელებთან ხელშეკრულების ასლი ტყვარჩელის ნახშირის შესახებ. აგრეთვე მათ ძლიერ აინტერესებთ ის ხელშეკრულება, რომელიც „ჩემომ" დასდვა უცხოელებთან, აგრეთვე სხვა კერძო ეკონომიური ხასიათის მუშაობა ჩვენში – „ჩქარა მომავალში კონკრეტიულ ეკონომიურ ხასიათის წინადადების მიცემა" მათთვის რასაკვირველია საჭირო და დროულია. გუშინ აქაურ ერთ გაზეთში ცნობა იყო რომ კრასინმა[2] ლონდონში გაიწვია მოდებაძე, რომელმაც მას უნდა მიაწოდოს ცნობები ეკონომიურ კითხვების შესახებ კავკასიაში. ეს ცნობები კრასინს

[1] ირაკლი — ირაკლი წერეთელი (1881-1959), ცნობილი სოციალ-დემოკრატი.

[2] კრასინი — ლეონიდ კრასინი (რუს. Леони́д Бори́сович Кра́син; 1870-1926) — ინჟინერი, სოციალური მეწარმე. საბჭოთა კავშირში იყო ცნობილი დიპლომატი. თბილისის 1907 წლის ექსპროპრიაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

გენუის კონფერენციისათვის ეჭირვება –. მოდებაძემ თავის სპეკულაციების საქმეები სტამბოლში უფრო იცის, ვიდრე რამ კავკასიის შესახებ. მაგრამ საშიშია, რომ რუსეთმა არ აიძულოს ინგლისი და მისი საშუალებით, სხვებიც და გენუაში ჩვენი ავაზაკების[1] წარმომადგენელი არ მოიწვიონ. თქვენ ყველა ამის შესახებ რასაკვირველია ზომები მიღებული გექნებათ. გთხოვთ წარმომადგენლობის ხარჯების დასაფარავი თანხები თვის პირველ რიცხვებში იგზავნებოდეს.

კ. გვარჯალაძე."[2]

სოციალ-დემოკრატები, წერილის მიხედვით, ფართოდ იყენებდნენ არა მარტო თანაპარტიელების, არამედ ოპოზიციის პოლიტიკურ კაპიტალსაც. მაგ. დიდ იმედებს ამყარებენ ნიკოლაძის მოლაპარაკებებზე ინგლისთან. ჩანს, რომ ინგლისი დაინტერესებული იყო საქართველოს ქვანახშირითა და მარგანეცით. კრასინმა ლონდონშიც გაიწვია ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოების მეთაური კარპე მოდებაძე, რომელზედაც ბოლშევიკები ზეწოლას ახდენდნენ. გვარჯალაძე მას არ თვლის პატიოსან და თავისი საქმის მცოდნე ადამიანად.

წერილი IX

„სტამბოლი 5. II. 22.

საქართველოს ელჩს პარიზში

ამ სამი დღის წინ აქ ჩამოვიდა საქართველოდგან რაუშერი[3]. მეორე დღესვე მოვიდა ჩემთან. ბევრი საინტერესო ცნობები გადმომცა. როგორც ამბობს, ბოლშევიკებთან მისი დამოკიდებულება ამ ბოლო ხანებში დიდად გამწვავებულა. ბერლინში მომხთარი მუშათა კრებას, რომელსაც კარლო და ნოე რამიშვილი დაესწრენ, შთაბეჭდილება მოუხთენია ბოლშევიკებზე და მათ მოუთხოვიათ რაუშერისთვის მიეღო მას ზომები ბერლინის მთავრობის წინაშე და ბოლშევიკების საწინააღმდეეგო აგიტაცია შეჩერებულიყო. რაუშერს უთქვამს, რომ მთავრობა აქ არაფერ შუაშია, ეს პარტიის მოქმედებაა და მას მთავრობა ვერ აღუკრძალავსო. ბოლშევიკები მაინც თავისას გაიძახოდენ და რაუშერს ემუქრებოდნენ, რომ თქვენ ლეგაციას არ ვიცნობთო. ეს ყოფილა დეკემბერში. ამ თვეშივე რაუშერს უნდოდა თურმე წამოსვლა საქმეებზე ბერლინში, მაგრამ მას თურმე დიპლომატიური უფლებებით წამოსვლის ნება არ დართეს. რაუშერსაც სხვაფერ წამოსვლაზე უარი უთქვამს.. ეხლა ამ ბოლო დროს მას მაინც განუზრახავს წამოსვლა. მისი წამოსვლისას მთელი მისი ნივთები სათითაოთ გაუშინჯავთ. მის უკმაყოფილებას საზღვარი არ აქვს. თუ კი კაცს რაიმე დაეჯერება, მე ჯერ არც საქართველოდგან მოსული წერილებიდგან ან და იქიდგან ჩამოტანილი ამბებიდგან არ მომისმენია ბოლშევიკების ისეთი სასტიკი კრიტიკა და მათდამი უარის ყოფით მოქცევა, როგორც ამას აქ რაუშერი ამბობდა. მისი გადმოცემით ქართველი ხალხი მთლათ, როგორც ერთი კაცი, ბოლშევიკების წინააღმდეგია. ბოლშევიკების რეჟიმთან შერიგებაზე

[1] „ჩვენი ავაზაკები" — იგულისხმება ხელისუფლებაში მოსული ქართველი ბოლშევიკები.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 17
[3] რაუშერი —გერმანიის წარმომადგენელი საქართველოში 1921-1922 წლებში.

ლაპარაკი სასაცილო რამ არისო. ამ მხრივ ხალხის სულიერი მდგომარეობა კარგი არისო. ეკონომიურათ ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს ვერაფრის გაკეთება და ვერც ვერაფერს გააკეთებენ მომავალში. საქართველოს არ აქვს არავითარი ნედლი მასალა, რის გამოტანაც კი შეიძლებოდესო. ჭიათურაში მუშები არ არიან, მუშაობა არ სწარმოებს. ისე კი წარმოება არ არის განადაგურებულიო. ის ცოტა ნავთი-მაზუთი, რომლის მიცემა ეგებ შესძლოს ბაქომ, საქართველოს ჯერ ვერ მიუღია, რადგანაც ამას სამაგიერო მისაცემათ არაფერი აბადიაო: უცხოელები მოდიან და ვერავითარ საქმეს აქ ვერ აწყობენო, ყველა ხელცარიელი უკან მიდისო. ამერიკელი ბარტონი, რომელიც ამას წინეთ წავიდა იქით, რაუშერის ცნობით, დარწმუნებულია იმაში, რომ აქ არაფერი გაკეთდება ბოლშევიკებთან. როგორც გადმომცა რაუშერმა მასაც ბევრი ულაპარაკნია ბარტონთან ეკონომიური საქმიანობის შესახებ დღევანდელ საქართველოში. გერმანელ კაპიტალისტებს ჩვენი მუშაობა არ დაუწყიათ და სერიოზულათ ამაზე ახლა ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო. – ბოლშევიკებს ჩვენში მისი აზრით არავითარი გავლენა არ აქვთ, მათ მხოლოთ მოსული უცხო ელემენტები უჭერენ მხარსო. მთელ საქართველოში ალბათ რამდენიმე ასი მომხრე ქართველი თუ ეყოლებათო. მთელ აზერბეიჯანში ჩემი ღრმა რწმენით დღეს ამათ 500 კაციც არ ეყოლება მომხრე აზერბაიჯანელთა შორისო. ბოლშევიკები საშინელ სიმკაცრეს იჩენენ და არაფერს არ ერიდებიანო. პარტიათა შორის დიდი უთანხმოებაა და მისი აზრით აუცილებელია შეთანხმება და მომავალში კოალიციის სახით გამოსვლა. დიდი წინააღმდეგია იმის, რომ რამე უდროული გამოსვლები მოხდეს ჩვენის მხრით, ფიზიკურათ გაგანადგურებენო, საქართველომ ასეთი ექსპერიმენტი არ უნდა ჩაიდინოსო. მთელ საქართველოში დღეს ყოფილა 40.000 წითელი არმიელი. ამ ბოლო ხანებში დიდი ნაწილი ამ ჯარებისა მიდის ბათუმის ოლქისაკენ. აჭარაში ქემალისტების დიდი მუშაობა სწარმოებს. ქემალისტები ბათუმს სერიოზულათ ემუქრებიან და მის ხელში ჩასაგდებათ ემზადებიან, როცა ამისათვის ხელსაყრელ მომენტს იშოვიან. კონფიდენციალურათ გადმომცა, რომ მას ქონებია ლაპარაკი ალი ფუათ ფაშასთან და მუხტარ ბეისთან, რომელიც ეხლა ანგორის დელეგაციის თავმჯდომარეა თფილისში. ამ ლაპარაკიდგან ამას ის დასკვნა გამოუტანია, რომ ქემალისტებს უნდათ ბათომის დაჭერა. ბოლშევიკებს ეშინიათ ამის და ესენიც აგროვებენ აქ ჯარსო. თურქებთან თქვენი მორიგება მეტათ ძნელი იქნებაო. მტკიცდება ის, რისიც ჩვენ ასე ხშირათ გვეშინოდა. ამას, რასაკვირველია, ეხლავე უნდა, რაც კი შეგვიძლია, ყურადღების მიქცევა. რაუშერი ამბობს, რომ ის შეუძლებლათ თვლის, რომ დღევანდელი საქართველო გერმანიამ იცნოს. დღევანდელ პირობებში როცა ბოლშევიკები მის ლეგაციას ანგარიშს არ უწევენ თბილისში, ამას აქ დარჩენა ან მუშაობა ეძნელება და არც მინდა დაბრუნებაო. მაძლევენ წინადადებას ან მოსკოვში, ან ათინაში წავიდე წარმომადგენლათო. მირჩევნია ათინაო. საზოგადოთ რაუშერს ჩვენი მომავლის საკითხი არ აქვს კარგათ გარკვეული. ისე რთულია ის პირობები, რომლებშიდაც თქვენ

გიხთებათ ბრძოლაო, ყოველივე მხრივ იმდენი მტრები გასევიათ, რომ ძნელია ჩემთვის თქვენი მომავლის ნათლათ წარმოდგენაო. რომ მომემზადებია და ჩვენ სასარგებლოთ და გარკვეულათ ბერლინში მას მოხსენება გაეკეთებია, მე მას გავაცანი ჩვენი მუშაობა გერმანიაში (ნ. რამიშვილის და კარლოსი) დაწვრილებით. ჩვენდამი დამოკიდებულება ყველა სოციალისტურ პარტიებისა, გარდა გიჟი კომუნისტებისა. უამბე, რომ ბურჟუაზიული წრეებიც და მათი პარტიებიც არ არიან ჩვენ წინააღმდეგ. გავაცანი მას შაიდემანის[1], ბერშტეინის[2], ველსის[3], ბრაიტმზიდის[4], გილფერდინგის,[5] კაუტსკის[6] და სხ. აზრი ჩვენ შესახებ, რომ მით მასზე გავლენა მომეხთინა. ეხლა მან იცის, თუ რას ფიქრობენ მთავრობის ან სხვა და სხვა პარტიების წრეები ჩვენზე და მის მოხსენების გაკეთების დროს ამას ალბათ მნიშვნელობა ექნება. აი სწორეთ ეხლა, როცა ამ წერილს ვწერ, პოლიტიკურ კომისიიდგან გადმომცეს რაუშერის ნოტა ბოლშევიკებთან ჩვენი რკინის გზის მასალის შესახებ, რომელიც ეხლა ბრემენში იმყოფება. ამ ნოტაში რაუშერი ბოლშევიკებს აღუთქვამს, რომ ის მათ სასარგებლოთ მისცემს ჩვენებას, რადგანაც, მისი აზრით, ეს საქონელი ეკუთვნის ბოლშევიკურ და არა მენშევიკურ მთავრობას. ნოტა დაწერილია ნოემბერში, მაშვინ, როცა რაუშერსა და ბოლშევიკებს შორის არ იყო კიდევ ასეთი ცუდი დამოკიდებულება. სამწუხაროთ, რაუშერი დღეს დილით უკვე წავიდა და არ მაქვს საშუალება ეს ცნობა შევამოწმო და მისი აზრი გავიგო. ისე კი, მე მგონია ჯერ უნდა გავიგოთ რაშია საქმე, პირადათ ის გავაფრთხილოთ და საქმე ჩვენ სასარგებლოთ მოვაგვარებიოთ და არა ეხლავე ავსტეხოთ მის წინააღმდეგ კამპანია როგორც მოღალატის და გამცემლის... ლადოს[7] მივწერ ეხლავე ყველაფერს, რომ რაუშერის ჩასვლისთანავე გამოარკვიოს საქმის ვითარება. ჩემზე რაუშერს არ მოუხთენია ჟულიკის და ცუდი კაცის შთაბეჭდილება – თუმცა მე პირადათ მისი მოქმედება ბოლო ხანებში ჩვენში არ მომწონდა.

აქაური პოლონეთის ელჩის საშუალებით კიდევ ვსთხოვეთ პოლონეთის მთავრობას ჩვენი ოფიცრების მიღება მათ სააფიცრო კურსებზე. ამ კურსებზე შეიძლება მიღებულ იქმნას უბრალო ოფიცრიდგან დაწყებული გენერლამდე. იქ ბევრ რამეებს შეისწავლიან, თან ახალ სისტემებსაც გაეცნობიან. იქაც მივწერე ჩვენ იუნკრებს, რომ გაეგოთ ყველაფერი. გუშინ მივიღეთ ვარშავიდგან მთავრობისაგან ცნობა, რომ მიიღებენ 70-მდე ოფიცერს კურსებზე. გადავარჩევთ კარგ ოფიცრებს, რომლებიც ჩვენ

[1] შაიდემანი — ფილიპ შაიდემანი (1865-1939) — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, რომელმაც გამოაცხადა ვაიმარის რესპუბლიკა 1918 წლის 9 ნოემბერს და მისი მეორე კანცლერი გახდა.
[2] ბერნშტეინი, — ედუარდ ბერნშტეინი (1850-1932), გერმანელი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, რევიზონიზმის იდეოლოგი, ეროვნებით ებრაელი.
[3] ველსი —. გერმანელი სოციალ-დემოკრატი.
[4] ბრაიტმზიდი _ გერმანელი სოციალ-დემოკრატი
[5] გილფერდინგი — ალექსანდრ ფიოდორის ძე, გერმანელი სოციალ-დემოკრატი
[6] კაუტსკი — კარლ კაუცკი (1854-1938) — გერმანელ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი და თეორეტიკოსი, II ინტერნაციონალის დამფუძნებელი.
[7] ლადო — ვლადიმერ ახმეტელი (1875-1942), საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ბერლინში.

ხარჯზე ცხოვრობს აქ. აგრეთვე მათაც, რომელთაც ჩვენგან დახმარება არ ეძლევათ. დაახლოვებით ასეთები იქნებიან 50-60 კაცამდის. თან მინდა მათ დაუმატო აზერბაიჯანელები 10 კაცი (მათ მეტი აქ არცკი ყავთ) და გავაგზავნო ისინი ვარშავაში. ძნელი საკითხია ცოლ-შვილს რა უყოთ. მიღებული მაქვს ზომები ეს საკითხიც გამოვარკვიო. რამდენიმე იუნკერი დარჩა აქ. ისინიც მიიღეს სხვებთან ერთათ ვარშავაში.

კ. გვარჯალაძე"[1]

წერილი X

„სტამბოლი 9. II. 22

საქართველოს ელჩს პარიზში

მივიღე თქვენი წერილი (30.1.22). ჩემ წინა წერილში რაუშერთან ნალაპარაკევიდგან დამავიწყდა შემდეგი: მასთან ხშირათ დადიოდენ თურმე სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენელნი და ყველა რასაკვირველია თავისათვის ეწეოდა პროპაგანდას. ძლიერ ხშირათ ყოფილა მასთან კედია,[2] რომელიც მიმტკიცებდა რომ ეხლა მთელი ხალხის სიმპატია ჩვენსკენ არისო. ძველ მთავრობას აძაგებდა და ამტკიცებდა, რომ მას არავითარი გავლენა არ აქვს ქართველ ხალხშიო. რად დადიოდა ჩემთან ხუნდაძე[3] და გიორგაძეო[4]. მას უფრო ახსოვს გიორგაძე და მისი ნალაპარაკევი. გიორგაძეზეც მიმტკიცებდა, რომ ძველ მთავრობას აღარ აქვს ხალხში გავლენა და საჭიროა ახალი კოალიციონურ პრინციპზე შედგენილი მთავრობაო. როცა მე შევეკითხე რაუშერს. თუ იცის მან, რომ გიორგაძე ჩვენი პარტიიდგან გავიდა და მონინააღმდეგე ჯგუფს ეკუთვნის, მან მიპასუხა, რომ ამის შესახებ არა იცის რა. ეს იმას ნიშნავს, რომ მასთან ჩვენებს არ ჰქონებიათ მკვიდრი კავშირი და მიტომაც რაუშერს სათანადო ინფორმაცია არ ჰქონია. მე მას აქ ბევრი ველაპარაკე საქმის ნამდვილ ვითარებაზე. არ მგონია, რომ მან ბერლინში ბოლშევიკების სასარგებლოთ რამე კარგი სთქვას, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ძველ მთავრობაზე კარგი რამე სთქვას მან, ისე ბევრი აქვს მას ცუდი რამ ნალაპარაკევი ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ. მე ქე მივწერე ლადოს, რომ ამას ყურადღება მიაქციოს. თქვენც იქონიეთ ეს

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნ. 2, საქ. 404, ფ. 18-21.

[2] ეროვნულ-დემოკრატი სპირდონ კედია.

[3] ხუნდაძე — მიხეილ ხუნდაძე (1898-1983), — ქართული პოლიტ, ემიგრაციის სოციალისტური ფრთის თვალსაჩინო ნარმომადგენელი, დაიბადა თბილსში, 1915 წელსშევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, 1919 წლიდან ბერლინისა და ფრაიბერგის უნივერსტეეებში სნავობდა პოლიტეკონომიას, აქვე დაიცვა დისერტაცია. იყო ვერნერ სომბარის მონაფე, სრულიად ახალგაზრდა მონაწილეობდა ევროპის სოციალ-დემოკრატთა კონგრესში. გრიგოლ წერეთლის დახასიატებით „მიხეილ ხუნდაძე იყო დიდი კულტურის, ცოდნის, ნამდვილი ევროპულიღირსებების მატარებელი. კარგი ორატორი, კარგი მწერალი, ღირსეული ოჯახის პატრონი. ჩვენ უპატიებელ ცოდვად ვუთვლით ემიგრაციიდან მოშორებით ყოფნას (წერეთელი გრ., ქართული ემიგრაცია და ადამიანები, პარიზი, 1971, გვ,110), მიხეილ ხუნდაძეთავისუფლად საუბრობდა ევროპის ყველა დიდ ენაზე, თავის მეუღლე პეგისთან ერთად ცხოვრობდა ვიროფლეში, ქალაქში, სადაც ირაკლი წერეთელიც ცხოვრობდა დის ოჯახთან ერთად. გარდაიცვალა პარიზში, 1893წლის 31 იანვარს, დაკრძალულია ლევილის ქართველთა საძმო სასაფლაოზე.

[4] გიორგაძე — უნდა იგულსხმებოდეს გრიგოლ ტიმოთეს ძე გიორგაძე (1879-1937), ყოფილი სამხედრო მინისტრი, რომელიც საბოლოოდ საბჭოთა საქართველოში დარჩა და 1937 წელს დახვრიტეს.

სახეში. ეგებ მე ვცდებოდე და მან მთავრობის წინააღმდეგ არაფერი სთქვას ცუდი, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

საქართველოდგან ჩვენები იწერებიან უფულობის შესახებ. აქ პოლიტიკურმა კომისიამ მე მომმართა, რომ შევეცადო სადმე ფულის შოვნას ჩემ აქაურ მეგობრებში. მათი საშუალებით ვსთხოვო მათ მთავრობას სესხათ ფული. ეს რასაკვირველია ასი და ათასი ფრანკის საქმე არ იქნება. მე მართალია მოვაწყვე ჩვენი იუნკრები და ოფიცრები ზოგი საბერძნეთში, ზოგი პოლონეთში მაგრამ აქ რომ მაშინვე სესხი მოგვცენ, ეს კიდევ დიდი საკითხია. მერმედ ეს ისეთი საკითხია, რომ მის უბრალო აღძვრასაც თქვენ დაუკითხავათ ვერ ვიკისრებ. თუ ეს საჭიროა და ამისათვის უნდა ვცადოთ, მე მგონია ეს მთავრობამ უნდა ეცადოს ევროპის რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან. თქვენ ამას იზამთ ან პარიზში, ან სპეციალურათ მთავრობის სახელით ამ საქმისათვის სადმე გაგზავნით კაცს. ან და კიდევ, როცა გენუაში იქნებით, იქ შეხვდებით ყველა სახელმწიფოების სრულ უფლებიან წარმომადგენლებს, რომელთა წინაშე შეგიძლიათ აღძრათ ეს კითხვა და მიიღოთ შესაფერი პასუხი. მე დღეს არ ვიცი არც ფულის რაოდენობა, არც თუ რა გარანტიები შეიძლება მივცეთ და ასე ზერელე ლაპარაკს მართალი გითხრათ ვერავის დაუწყებ. ისე თუ კი თქვენ გადაწყვეტთ და შესაფერ ინსტრუქციებს მომცემთ, მაშინ აქ მე შემიძლია აქაურ ელჩებს – ჩემ კარგ ნაცნობებს და მეგობრებს მე ამის შესახებ ვსთხოვო. რომ მათ იშვამდგომლონ ამის შესახებ თავთავიანთ მთავრობებთან. უამისოთ მე ვერავის აქ ლაპარაკს ვერ დაუწყებ. ისე კი მე მგონი ამ საქმეს თქვენ გაცილებით უფრო მოუვლით, კიდრე მე. საქართველოდგან მივიღეთ ცნობა, რომ ბოლშევიკები ფუცფუცობენ და „სამარშრუტო პოეზდებით" რაღაცების გატანის მოსწრებას ცდილობენო. დანამდვილებით არ ვიცით რაშია საქმე. მაგრამ შეიძლება ამ ფუცფუცებს კავკასიის „ნებით" დათმობასთან ჰქონდეს კავშირი. თუ მართლაც და კავკასიას თმობენ, მაშვინ ალბათ მოსკოვი იღებს ყოველგვარ ზომებს, რომ საქართველო გაცარცვოს და ყველაფერი გაიტანოს რუსეთში.

მე სრულიათ გეთანხმებით თქვენ, რომ ანატოლიაში კაცის გაგზავნა მოსალაპარაკებლათ ტყვილა წყლის ნაყვა იქნება. ამ მიზნით კაცის გაგზავნას იქ ზოგი აზერბეიჯანლები უფრო უჭერენ მხარს. მაგრამ ტექნიკური საქმეების მოსაგვარებლათ და დასაზვერავად – საინფორმაციოთ კი კაცის ყოლა აუცილებელია. კარგი აგენტები ჩვენ ჯერ არ გვყოლია. ვინც ტრაპიზონდში არიან, არც ერთი არ ვარგა. არც უკეთესი კანდიდატი ამ დროებით არ გვყავს. ვეძებთ. როცა საშუალება გვექნება ანატოლიაში დაუბრკოლებლივ შესვლისა, გავგზავნით მაშვინ.

კ. გვარჯალაძე."[1]

ზემოთმოტანილ წერილში იმავე საკითხებზეა ლაპარაკი, რაც წინა გზავნილებში, მაგრამ აქ უფრო გამოკვეთილია ოპოზიციის ბრალი ელჩებისა და უცხოელების დეზინფორმაციაში, საქართველოს დემოკრატიული მთავრობის კრიტიკაში.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 25-26.

მომდევნო წერილით კი, გვარჯალაძე თურქეთისა და ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიურ ურთიერთობებზე საუბრობს, აკეთებს მომავლის პროგნოზებს, ეხება რუსი ბოლშევიკების ინტრიგას, რომლებიც ქართველ ხალხში ავრცელებდა ხმებს, რომ თურქეთი ემზადებოდა აჭარის დასაკავებლად. ამით ცდილობდა საქართველოს მოსახლეობის დაშინებას, თურქეთთან მის დაშორებას და რუსოფილური გრძნობების გაძლიერებას. ამ საკითხს წინ წამოწევდნენ სტამბოლში მოქმედი პოლიტიკური ძალები თურქ პოლიტიკოსებთან და ამით საკითხის მოგვარების გარკვეულ პრევენციასაც ახდენდნენ. ისმებოდა საკითხი იარაღის შეძენასა და სესხის აღებაზე. ყველაფერი ეს იგეგმებოდა მომავალი ბრძოლებისათვის ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, თუკი ასეთი ბრძოლა საჭირო გახდებოდა.

წერილი XI

„სტამბოლი. 20. II. 22.

საქართველოს ელჩს პარიზში.

მე არაერთხელ მომიწერია თქვენთვის, რომ თურქებთან ჩვენ ჩვენი საკუთარი ძალით მორიგებას ვერ შეესძლებთ. ამ საქმის მოგვარებაში ჩვენ სხვები უნდა დაგვეხმარონ. მაგრამ სადავო არც ის უნდა იყოს, რომ პროპაგანდა თურქთა შორის და მათი საზოგადოებრივი აზრის ჩვენ სასარგებლოთ მომხრობა აუცილებელია. ამას წინათ მე მქონდა ლაპარაკი მახმუდ ფაშასთან, რომელსაც დიდი გავლენა აქვს, როგორც აქ, ისე ანგორაში. მას მე მდგომარეობა დაუხატე შემდეგნაირათ: საფრანგეთმა გავლენა მოიპოვა ევროპის კონტინენტზე. გავლენა აქვს სათათრეთში და სხვა მუსულმანურ ქვეყნებში. ამ მხრივ ინგლისი დიდათ ჩამორჩა უკან საფრანგეთს. ის რასაკვირველია ამას ვერ მოითმენს და ეძებს სხვა გზებს ამის საწინააღმდეგოთ. მოსალოდნელია ინგლისმა თავის ორბიტაში გერმანიის და რუსეთის შეყვანა მოინდომოს და მისი ამ ქვეყნებში გავლენა საფრანგეთის სხვა ქვეყნებში გავლენას დაუპირისპიროს. ამის ნიშნები უკვე არის. შეიძლება, რომ ინგლისი გაერთიანებულ რუსეთს დაეყრდნოს. მას დღეს უფრო ეშინია სათათრეთის გავლენის მუსულმანურ ქვეყნებში, ვიდრე ეკონომიურათ განადგურებულ რუსეთის, რომელიც წინათ ინგლისის ინტერესებს სპარსეთში და ინდოეთში ემუქრებოდა. დღეს თუ ინგლისი შესძლებს აღმოსავლეთის ქვეყნებში ბოლშევიკებს ანტიინგლისური პროპაგანდა შეაჩერებიოს, ის რუსეთს იცნობს, მას დაეყრდნობა და მისი ძალების გამოყენებით სათათრეთის დასუსტებას შეეცდება. ასე რომ, თქვენი დღევანდელი მოკავშირე რუსეთი თქვენი მოსისხლე მტერი იქნება ხვალ. და მას კი ზურგს მასზე კიდევ უფრო ძლიერი ქვეყანა გაუმაგრებს. ადვილი შესაძლებელია, რომ ინგლისმა გაყიდოს კავკასია და მისცეს ის რუსებს, მერმე კი თქვენი მოსაზღვრე რუსეთი თქვენვე მოგადგება საჯიჯგნათ. დღეს ბოლშევიკები ამისათვის უკვე იწყებენ მზადებას. ბოლშევიკები დღეს ხედავენ, რომ მათ საქართველოში, აზერბეიჯანში და სხ. არავითარი გავლენა არ აქვთ, ყველგან აქ ანტირუსული ორიენტაციის მომხრენი არიან. ეხლა ბოლშევიკები მიმართავენ ინტრიგებს და ჩვენში ავრცელებენ ხმებს, ვითომც თურქები

ბათომს და მის არე-მარეს ემუქრებით (ეს, რასაკვირველია, მართალია, თურქები მართლა ემუქრება ბათომს, მაგრამ მე განგებ მივაწერე ეს ბოლშევიკების ინტრიგებს). ამით ბოლშევიკებს უნდათ დააშინონ ჩვენი ხალხი, გამოიწვიონ მასში ანტითურქული გრძნობა და მით განამტკიცონ რუსოფილობა. ჩვენ პოლიტიკურ მოღვაწეებს ძლიერ გვეშინია ამის, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ თურქები არა თუ ხელს არ გვიწყობთ, რომ ეს არ მოხდეს, არამედ კაცს ეგონება, რომ განგებ ცდილობთ, რომ ეს ასე მოხდეს. მახმუდ ფაშა შეფიქრდა და დამიწყო იმის მტკიცება, რომ ჩვენ ბათომს არასოდეს არ ვემუქრებოდით და საქართველოს საწინააღმდეგო არა გვაქვს რაო. ეგებ შესძლოთ თქვენ ინტერვიუს სახით განაცხადოთ, რომ თქვენ გქონდათ ლაპარაკი ამის შესახებ თურქებთან და ეს მართალი არ არის, არამედ ბოლშევიკების ინტრიგააო. ეს ინტერვიუ ეგებ თქვენ ქართულ გაზეთში გამოაქვეყნოთო. მე მას უთხარი, რომ მე ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიზამ, რადგანაც მე კი ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ეს მართლაც ტყუილია. მე რომ ეს განვაცხადო ჩემი ხალხის წინაშე და მერმედ თქვენ მართლადაც დაგვესხათ თავზე, მაშინ როგორ უნდა ვაგო პასუხი ხალხის წინაშე-თქო. შეგიძლიათ მაგალითათ თქვენ, შევეკითხე მას: მომცეთ იმის გარანტია რომ ანგორა ასეთ საქმეს არ ჩაიდენს-თქო. ის ჭკვიანი კაცია და ამის გარანტიას აბა როგორ მომცემდა და რომც მოეცა, აბა თურქების სიტყვებს რა ფასი აქვთ? მერმედ მანვე მომცა წინადადება ერთათ აქაურ გარეშე საქმეთა მინისტრთან მივსულიყავით. მეორე დღესვე წავედით იზეთ ფაშასთან. მასაც ეგევე უთხარი, რაც მახმუდს. ისიც დიდათ დაინტერესდა. მანაც სთქვა, რომ მას არ შეუძლია ეხლავე სთქვას, თუ რას ფიქრობენ ანგორელები, მაგრამ თუ კი ისინი ჩვენ მომავალს ნათლათ ითვალისწინებენ, მაშინ თავისუფალ კავკასიის საკითხს დიდი ყურადღება უნდა მიაქციონო. დაბოლოს, მან მახმუდ ფაშასთან ერთათ მირჩიეს შევხვედროდი ანგორის დელეგაციის თავმჯდომარეს იუსუფ ქემალ ბეის და მასაც მოვლაპარაკებოდი. თანაც პოლიტიკურ კომისიას ჰქონდა ზოგი პრაქტიკული კითხვები გამოსარკვევათ. აზერბეიჯანელებთან და მთიელებთან ერთათ გადავწყვიტეთ იუსუფ ქემალ ბეის შევხვედროდით და შეხვედრის მოწყობა მივანდვეთ აზერბეიჯანლებს, ხორცით და რწმენით თურქების ძმებს. ერთი კვირაა, რაც რომ იუსუფ ქემალ ბეი იქ არის მაგრამ ჯერ მას ვერ შევხდით. როგორც დღეს გავიგე, ის ამ შეხვედრას გაურბის, ჩვენ ბოლშევიკებთან გვაქვს საქმე და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთო. ამ შეხვედრებმა ბექირ სამისაც ავნოო. ერთი სიტყვით, ერთჯერ კიდევ უფრო ვრწმუნდებით იმაში, რომ თურქებთან პირდაპირ საქმის ქონა და ლაპარაკი ძნელია და მე ვიტყვი, ეგებ მავნებელიც იყოს. ჩემი რწმენით, ესენი ჩვენ გაგვყიდიან დღეს და ბოლშევიკებს ყველაფერს ეუბნებიან. ამიტომაც არის, რომ ჩვენ ამხანაგებს აქ ვურჩევ, რომ თუ კაცები გვეყოლება სადმე ანატოლიაში ტექნიკურ საქმეებისათვის, ამის შესახებ თურქებმა ბევრი არაფერი უნდა იცოდენ. ეს უფრო არალეგალურათ უნდა ხთებოდეს. მე იუსუფ ქემალ ბეის ვერ შევხვდი, ამას არც ვნანობ. იგივე ვერსია, რომელზედაც მახმუდს და

იზეთ ფაშას ველაპარაკე, ვუამბე ფრანგებს და პოლონელებს, რომლებიც თურქებთან ძლიერ კარგათ არიან და მათ ადვილათ ელაპარაკებიან. გუშინწინ ფრანგების წარმომადგენელს და დღეს დილით კი პოლონელებს უნახავთ თურქები და ყველა ამის შესახებ ულაპარაკნიათ. განსაკუთრებით პოლონელები ცდილობენ. თურქებს განუცხადებიათ, რომ ისინი კავკასიას და განსაკუთრებით საქართველოს აქცევენ დიდ ყურადღებას და როცა ამისათვის იქნება შესაფერი მომენტი, ისინი შეეცდებიან ყველა ამ საკითხების მოგვარებას. მათი ჩვეულებრივი მშრალი სიტყვები. ყოველ შემთხვევაში ფრანგების და პოლონელების მათთან ლაპარაკს ეგებ ჰქონდეს ერთნაირი ნიადაგისათვის სამზადებელი მნიშვნელობა და მეტათ მეტი მნიშვნელობა იმაზე, რომ მე პირდაპირ მენახა ისინი. პოლონელები ამ მოკლე ხანში გაგზავნიან თავის კაცს თფილისში, სადაც ის სხვათა შორის ინახულებს თურქების წარმომადგენელს და ექნება მასთან ლაპარაკი.. მერმედ ის უკან გამობრუნდება და ყველაფერ ამბებს ჩამოიტანს. პოლონელების ელჩს მოსკოვში აქვს კავშირი ანგორელებთან, მასთანაც გვექნება აქედან კავშირი. აგრეთვე ეგებ ახლო მომავალში პოლონეთის მისია წავიდეს ანგორაში და მისი საშუალებითაც შევეცდები ჩვენ სასარგებლოთ ალაპარაკებას. უბრალო, წვრიმალ ფაქტსაც უყურადღებოდ არ დავტოვებ, თუ კი საქმისათვის მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება. ჩვენი მთავრობა მუშაობის დიპლომატიურ მხარის გარეთ ყურადღებას აქცევს ალბათ ზოგ დიდათ მნიშვნელოვან პრაქტიკულ საკითხებსაც. მათ შორის მე მინდა ეხლა თქვენი ყურადღება მივაქციო იარაღის საკითხს. მე აქ იარაღის შესახებ ლაპარაკი მქონდა პოლონელებთან: მათი აზრით, ამ კითხვის აღძვრა შეიძლება და კიდევაც აღძრავს აქედგან. მხოლოთ საჭირო იქნება იქაც ვინმემ ამ საკითხზე იმუშაოს. თუ პარიზიდგან ამ საქმეზე ვინმე წავა იქით, აქ მირჩიეს, რომ მიმართოთ ჯერ მთავრობას, რადგანაც ეს საკითხი ჯერ მთავრობაში დაისმება, მერმედ პარლამენტის კომისიებში და ამნაირად გაჭიანურდება, არამეთ მიმართეთ პირდაპირ პილსუცკისო, მას მთავრობაზე დიდი გავლენა აქვს და ერთი რომ გადაულაპარაკოს, მეტი არ უნდაო, ამავე დროს მეც აქედგან დაგეხმარებით პოლონელი ელჩის საშუალებით, თუ ვინმეს ვარშავაში გაგზავნით. მე ხვალ ან ზეგ გენ. ზაქარიაძეს შევადგენიებ სიას იმ იარაღისას, რომელიც ჩვენთვის აუცილებლივ საჭირო იქნება პირველ დროს და გადავცემ პოლონელებს, მის ასლს თქვენც გამოგიგზავნით. პოლონეთში ეგებ ფულიც ვიშოვოთ სასესხებლათ, პირველ დროს რომ გვეყოფა იმდენი. ამაზედაც მოიფიქრეთ და მომწერეთ ყველაფერი დაჩქარებით, თუ კაცი წავა პარიზიდგან პოლონეთში, შემატყობინეთ, მომწერეთ თქვენი აზრი ყველა ამ კითხვების შესახებ და მე აქეთგან საკმარისად დავეხმარები. იფიქრეთ რუმინიაზედაც, როცა იარაღის ძებნას დაიწყებთ, საზოგადოთ მე მგონია, რომ სამხედრო საქმეს სპეციალურათ დატრიალება უნდა. ეგებ თქვენ საჭიროდ დაინახოთ ეს მხარე ჩვენი მუშაობისა სპეციალურათ მიენდოს მთავრობის ერთ ვინმე წევრს და მან იზრუნოს ყველა სამხედრო კითხვებზე. იარაღზე, მომავალ ჯარის

ორგანიზაციაზე, ევროპაში ამ კითხვაზე შეთანხმებულათ მუშაობაზე და ხელმძღვანელობაზე, თან ის სპეციალურათ გაეცნობა რომელიმე სახელმწიფოს სამხედრო სამინისტროს ორგანიზაციას და სხვა, ეს ხომ ჩვენთვის მეტად საჭირბოროტო საკითხია ეხლაც და ახლო მომავალშიც.

როგორც წინეთ გწერდით, ვარშავიდგან აქაურ პოლონეთის ელჩს მოუვიდა ნებართვა, რომ გააგზავნოს იქით 50-70 ქართველი ოფიცრები სამხედრო კურსებზე პოლონეთის მთავრობის ხარჯზე. აქ მოვახთინეთ აღწერა ისეთი ოფიცრებისა, რომელნიც არ არიან რუსოფილები და მორალურათ ჩვენ ავტორიტეტს არ შელახავენ იქ – ასეთები აღმოჩნდა 50 კაცამდე; 10-15 ცოლიანია – მინდა მათი ცოლების საკითხიც მოვაგვარო და მერმეთ გავისტუმრებ მათ იქით. ჩვენი იუნკრები პოლონელები კმაყოფილი არიან და თვით იუნკრებიც მათ ბედს შეხარიან.

11 თებერვალს მომხთარ ამბების შესახებ საქართველოში ყველა ოცდაორი სახელმწიფოს წარმომადგენელთ გავაგებიე დანწრილებით ყველაფერი და ყველაზე მგონი შთაბეჭდილება იქონია ამ ფაქტმა.

გუშინ ვნახე გენ. პელე. მითხრა რომ გინახავს ის თქვენ და გენ. ერისთავს. პუანკარე თქვენს მიმართ იგივე პოლიტიკას აწარმოებს, რასაც ბრიანი აწარმოებდაო. მაინტერესებს საფრანგეთის კაბინეტის დამოკიდებულება ეხლა ჩვენდამი და საზოგადოთ მთელი თქვენი მუშაობა, ალბათ ნახავდით ბენეშს, რომელიც ითვლება მცირე ანტანტის ბურჯათ და რომელსაც გავლენა აქვს თვით დიდ ანტანტაშიდაც. მისი ჩვენდამი მხარის დაჭერა მეტათ მნიშვნელოვანი იქნება ჩვენთვის.

ველი თქვენგან ცნობებს.

კ. გვარჯალაძე

აქვე გიგზავნით ანგორასა და უკრაინას შორის დადებულ ხელშეკრულების ასლს."[1]

წერილი XII

„სტამბოლი. 7. III. 1922.

საქართველოს ელჩს პარიზში.

აქვე გიგზავნი სიას იმ იარაღისას, რომელიც შეიძლება პოლონეთში მივიღოთ. ეს სია შედგენილია აქაურ პოლონეთის საელჩოს სამხედრო ატაშესთან შეთანხმებით. როგორც დაინახავთ, სია იყოფა ორ ნაწილათ 1) Лит. А. და 2) Лит. В. თუ გადაწყდება, რომ იარაღი მივიღოთ, მაშვინ პირველ პარტიათ მივიღებთ Лит. А. და თუ მოვახერხებთ, ეგებ ეს წინდაწინ გავიტანოთ. მეორე პარტიას მერმედ დასახმარებლათ გავიტანთ. ეს მეორე პარტია უფრო დიდძალი იქნება, რასაკვირველია. ტეხნიკურათ პოლონეთიდგან იარაღის გამოტანა ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ეს შეიძლება ასე მოხთეს: თუ კი პრინციპიალურათ გადაწყდება ეს კითხვა, მაშინ შეიძლება იარაღი სადმე დავაწყოთ – მაგალითად ლვოვში და აქედგან კი რუმინიის გზით ორ დღეში შეგვიძლია ეს იარაღი გალაცში მივიტანოთ გემზე დასაწყობათ. პოლონეთის და რუმინიას შორის ხელშეკრულების ძალით პოლონეთს აქვს უფლება გალაცის პორტით ისარგებლოს, იქ მას თავის საწყობებიც აქვს. ეხლა კი საჭიროა ამ საქმეს

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 36-41.

დაუტრიალდეთ და ის სისრულეში მოვიყვანოთ, რომ საჭიროების დროს ხელ-
ცარიელი არ დავრჩეთ. მე თქვენც და ნ. ჟ. ვწერდი ამის შესახებ. მე პირადათ
საჭიროთ მიმაჩნია ვინმე პარიზიდგან წავიდეს ამ საქმეზე პოლონეთში. იქით
უნდა წავიდეს ვინმე გავლენიანი და სახელის მქონე კაცი. ის ამ საქმისათვის,
ეგებ ფულის საკითხისათვისაც, ნახავს პილსუცკის და სხვებს და საქმეს მო-
აგვარებს. აქედგან უკვე წავიდა მოხსენება ამის შესახებ და მუდამ ვეცდები და
არ მოვეშვები და რამდენადაც აქედგან იქნება დამოკიდებული ამ საკითხის
დადებითი გადაწყვეტა. ამის ნუ გეშინიათ. ოლონდ იქიდგან თქვენც მიაწევით.
თქვენ ალბათ ამ საკითხს მთავრობის თავმჯდომარეს გააცნობთ, მან რამოდ-
ენიმეთ უკვე იცის ამის შესახებ და სათანადო ზომებს მიიღებთ. აქედგან
გაგზავნილი მოხსენება ვარშავაში იქნება 20 მარტისათვის. იქ ერთი კვირის
განმავლობაში გაეცნობიან ალბათ მას. ამ მოხსენებასთან კავშირი ექნება
სამხედრო სამინისტროში მოსამსახურე შემდეგ პირთ: 1) ზარემბას – სამხე-
დრო პოლიტიკურ განყოფილების უფროსი 2) მატუშევსკის – ინფორმაციულ
განყოფილების უფროსი 3) სიკორსკის – გენერალურ შტაბის უფროსს და
სამხედრო მინისტრს. ის პირი, რომელიც ჩავა ვარშავაში, მათ ყველას ნახავს
და მოელაპარაკება, რომ ეს საკითხი დადებითათ გადაწყდეს. თან როგორც
ზემოთ ვამბობდი პილსუცკისაც და საგარეო საქმეთა მინისტრსაც ნახავს. –
პოლონეთში ჯარი ეხლა გადაიარაღებულია ფრანგული სისტემის იარაღით,
რუსული სისტემის იარაღი მათ საწყობებში უწყვიათ. რუმინიაშიდაც საჭიროა
ცდა. როცა ვინმე წავა პარიზიდგან გამაგებინეთ, მაშვინ აქედგან პოლონეთის
საელჩოდგან ვარშავაში მათ ნაცნობ პირებისათვის დეპეშებს დავაგზავნინებ,
რომ იქ ჩასულ პირს ყურადღებით მოეპყრან. ამ საკითხზედ სერიოზულათ
მოილაპარაკეთ და ნუ დააყოვნებთ. მე პირადათ მგონია, რომ კარგი იქნება
ვარშავაში წავიდეს ევგენი[1], რომელსაც ყავს ძველი მეგობრები დუმიდგან და
სახელი აქვს, ან ნოე რამიშვილი, რომელიც ენერგიულათ მოკიდებს ხელს ამ
საქმეს. პოლონელებს მე მოველაპარაკე აქ თურქებისადმი იარაღის მიცემის
შესახებ. დაბოლოს პოლონელებმა აღმითქვეს, თუ თურქები მათგან იარაღს
მოითხოვენ, პოლონელები მათ განუცხადებენ 1) რომ სათათრეთი პოლო-
ნელებს იმდენათ აინტერესებს, რამდენათაც კავკასია არ იქნება რუსეთის
ხელში და რუსები კავკასიონის ქედს არ გამოსცილდებიან, 2) სათათრეთმა
უნდა მისცეს პოლონელებს გარანტია რომ ის საზოგადოთ არ იხმარს იარაღს
საქართველოს წინააღმდეგ და 3) ექნება მას საქართველოს მიმართ კეთილ
განწყობილი ნეიტრალიტეტი, სხვაფრივ ჩვენ ინტერეს არ შეადგენს. რომ
თქვენ თურქებს იარაღი მოგცეთო. საქმე იმაშია, რომ თურქები ეძებენ საშუ-
ალებას იარაღი რუსეთს გარეთ სხვაგანაც იშოვონ. პოლონეთი ამას ებღაუ-
ჭება და ფიქრობს, თუ სათათრეთმა იშოვა სხვაგან იარაღის მიღების საშუ-
ალება, ეს ერთნაირათ გააადვილებს თურქების რუსებიდგან დაშორებასო.
შეიძლება აქ ვინმეს სხვისი ხელიც იყოს. ჩვენც, თუ კი სათათრეთი რუსებს
რამენაირათ დაშორდება, ამით მოვიგებთ, მით უმეტეს, რომ თურქების ახალ
მოკავშირეებთან საქმეებს უფრო მოვაგვარებთ. ასეა თუ ისე, ჩვენ ყოველივე

[1] ევგენი — ევგენი გეგეჭკორი, საქართველოს დ.რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი

მოსალოდნელი მომენტით უნდა ვისარგებლოთ და არც ერთი ფაქტი გამოუყენებლათ არ უნდა დავტოვოთ. ოღონდ ერთი უნდა ვსთქვა – მე პირადათ არ მწამს, რომ თურქებმა ასე ადვილათ და ასე ადრე რუსეთთან კავშირი გაწყვიტოს. დღემდინ ანგორა სარგებლობდა ყოველივე მხრით რუსეთით. რუსეთს კი ანგორისაგან ერთი გროშიც კი არ მიუღია. თან როცა ვაკვირდები ანგორის პოლიტიკას და მის რუსეთთან ეხლანდელ დამოკიდებულებას და განსაკუთრებით ამ დამოკიდებულების კიდევ უფრო გამაგრებას, ვერ ვხედავ იმ პირობებს, რომლის ძალით ანგორამ თავისი ნებით რუსეთს ჩამოშორდეს. ამ კითხვის შესახებ მშვენიერი წერილი არის მოთავსებული „Revue ??? deux mondes"- ში. ჩვენ ხალხსაც, როგორც ამას ამბობენ ეხლათ ჩამოსული ჩვენი ამხანაგები, ინსტინკტიურათ ეშინია თურქების თურმე და გაიძახიან, ბოლშევიკებს რომ შევებრძოლებით, თურქები ზურგში ხომ არ დაგვცხებენო. ბოლშევიკებიც ამით სარგებლობენ და ხალხს ეუბნებიან თურმე: როცა მენშევიკები იყო აქ, თურქების საშიშროება მუდამ იყოო, ეხლა ჩვენ მათთან კარგათ ვართ და ისინი აღარ გვემუქრებიანო, თუ ჩვენ წავედით აქედგან, მეორე დღესვე აქ თურქები მოვლენო. გთხოვთ თქვენ მუშაობის შესახებ ცნობებს ნუ მოგვაკლებთ. ეს ჩემთვის აქ მეტათ საჭიროა.

კ. გვარჯალაძე

აქვე გიგზავნით ერთ დოკუმენტს რუსების მუშაობის შესახებ ჩვენში[1].

წერილი XIII

11. III. 22, სტამბოლი.

საქართველოს ელჩს პარიზში.

აქვე გიგზავნით ცნობებს გემების და საქონლის მოძრაობის შესახებ სტამბოლსა და საქართველოს პორტებთა შორის. ვეცდები აწი ყოველთვიურათ მოგაწოდოთ ასეთი ცნობები. გეგზავნებათ აგრეთვე სამხედრო ცნობები, ჩვენ მიერ მიღებული აქ სხვა და სხვა მისიებიდგან. საქართველოდგან მიღებულ ცნობებს პოლიტიკური კომისია აგზავნის.

თურქების მისია წამოვიდა აქით. თქვენ ალბათ ინახულებთ მათ იქ. წამოვიდა აგრეთვე სტამბოლიდგან მეორე მათი დელეგაცია იზეთ ფაშას თავმჯდომარეობით. ამასაც ინახულებთ, რასაკვირველია. ის გავლენიანი კაცია, როგორც ანტანტის წრეებში, ასე ქემალისტების და რამდენათაც დაეჯერება თურქს, ვითომ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის მნიშვნელობა შეგნებული აქვს. – ირაკლისაგან მოვიდა აქ ცნობა, რომ ლონდონში Foreign office-ში ვილაცას გამოუთქვამს ის აზრი, რომ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს ეხლა არ ვსვამთ, ეს მიტომ, რომ სტამბოლის ჩვენი წარმომადგენელია ამის წინააღმდეგიო. ჩვენ აქ სამი გზით: სამხედრო პირების საშუალებით, კერძო და ოფიციალური ნაცნობობით შევეცადეთ გაგვეგო საქმის ნამდვილი ვითარება. ჩვენ ამათ უთხარით აქ, რომ სტამბოლის ინფორმაციას და აზრს ჩვენი საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ნუ მოგვაკლებენ მათ დახმარებას და ჩვენზე კარგი აზრის მიწოდებას და სხ. ესენი ყველა თითქმის ერთი და იგივეს ამბობს. ჩვენ ვაგზავნით თქვენზე იმ

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 31-33.

ინფორმაციას, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდგან ჩვენ ხელთ გვაქვსო. ეს ინფორმაცია თქვენი წინააღმდეგი არ არისო. ბოლშევიკურ საქართველოში კარგი არაფერი არ არის და მისი ქება-დიდება უაზრობა იქნებოდაო. რაც შეეხება აქედგან ჩვენი აზრის მიხედვით ლონდონში მთავრობის მიერ პოლიტიკის წარმოებას, უნდა იცოდეთ რომ აქედგან ჩვენ უბრალო ინფორმაციის მეტს ლონდონს არაფერს ვწერთო. თუ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დღეს ლონდონი არ სვამს და ჩვენც ერთნაირათ თავდაჭერილათ ვართ, ეს მიტომ, რომ ინგლისს აქვს ხელშეკრულება მოსკოვთან, რომლის ძალით ინგლისი არ უნდა უნევდეს წინააღმდეგობას რუსეთის გავლენას იმ განაპირა ქვეყნებში, რომლებიც რუსეთიდგან გამოვიდნენო. ამით აიხსნებოდა ის ფაქტიც, რომ ბოლშევიკების თავდასხმის დროს ვერ დაგეხმარეთ და ვერც ერთი თქვენი კაცი ბათომიდგან ჩვენი გემით ვერ წამოვიყვანეთო, ყველა ამის შესახებ ინსტრუქცია გვქონდა ჩვენ ლონდონიდგანო. ისე კი გარწმუნებთ რომ სტამბოლს თქვენი წინააღმდეგი არაფერი აქვსო. ძნელია, რასაკვირველია იმის თქმა, თუ ვინ უფრო ლაპარაკობს მართალს – ლონდონი თუ სტამბოლი, როცა ერთი მეორეს ეფარებიან.

– აზერბეიჯანლები წინანდებურათ უიჯალადონი არიან. ჩემი დაკვირვებიდგან აქ მე ასეთი შთაბეჭდილება მაქვს: თურქები მათ აქ არავითარ ანგარიშს არ უწევენ და არც ელაპარაკებიან. თუ ხანდისხან მათ ელაპარაკებიან, ეს იმდენათ, რამდენადაც ადერბეიჯანლების თავის აგენტებათ გამოყენება უნდათ. სომხები ხომ მუდამ მერყეობდნენ და მერყეობენ დღესაც. აქაურ პოლონელებს მათი რუსოფილობა ძლიერ არ მოსწონთ. ამას წინათ სომხებთან აქ მივაგზავნე პოლონელები. პოლონელებს მათთან ვითომ თავის ინიციატივით ულაპარაკნიათ; უთხრობიათ, რომ ქართველები და აზერბაიჯანლები რუსეთის ორიენტაციის წინააღმდეგ არიან და არავითარ შემთხვევაში არ დაგანებებენ, რომ თქვენ ისინი რუსეთისაკენ გააქანოთო, უმჯობესი იქნება შეთანხმდით და თქვენ საქმეებში ყველა სხვებიც დაგვიხმარეთო.

ამ ცოტა ხანში აქ ჩამოვა ვრაციანი[1] და მისი მთავრობის წევრები, შეი-

[1] ვრაციანი — სიმონ ვრაციანი (დ. 1882 — გ. 1969) — სომეხი პოლიტიკური მოღვაწე, სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი პრემიერ-მინისტრი (25 ნოემბერი-2 დეკემბერი, 1920). დაიბადა სოფელ ბოლშიე-სალში. განათლება მიიღო დონის ნახიჭევანში. 1906 წელს ეჩმიაძინის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ დაბრუნდა ნახიჭევანში. ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, მაგრამ დევნის გამო გადავიდა ჯერ ბათუმში, შემდეგ ტრაპიზონში და ბოლოს კონსტანტინოპოლში. 1908 წელს დაბრუნდა რუსეთში და სწავლა განაგრძო სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ და პედაგოგიურ ფაკულტეტებზე. 1911-1913 წლებში იყო ამერიკაში გამომავალი გაზეთ „სამშობლო"-ს რედაქტორი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში იმყოფებოდა თბილისში, იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. 1918 წელს აირჩიეს ამიერკავკასიის სეიმის წევრად. სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი - ქვეყნის პარლამენტში. მოგვიანებით გახდა დაშნაკური მთავრობის სოფლის მეურნეობისა და შრომის მინისტრი. 1920 წლის 25 ნოემბერს დანიშნეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრად, მაგრამ რსფსრ-ს მიერ ქვეყნის გასაბჭოების გამო 2 დეკემბერს დატოვა თანამდებობა. 1921 წელს დააარსა სამშობლოს ხსნის კომიტეტი. აქტიურად მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყებებში, რომელშიც დამარცხების გამო დატოვა ქვეყანა. სამშობლოდან წასვლის შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში, აშშ-ში, ახლო აღმოსავლეთში და ა. შ. 1951 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ბეირუთში სომხური სემინარიის დირექტორი. გარდაიცვალა 1969 წელს ბეირუთში.

ძლება მისმა ჩამოსვლამ ერთნაირათ ატმოსფერა გასწმინდოს: ის მგონი დამოუკიდებლობის მომხრეა. ისე კი სომხობის აზრი გაყოფილია ორ მიმდინარეობათ: ერთს სურს პატარა სომხეთი რუსეთთან ერთათ – მეორეს კი, თუ ეს რამენაირათ მოსახერხებელი იქნება, დიდი სომხეთი გაერთიანებული სათათრეთის პროტექტორატის ქვეშ სათანადო გარანტიებით. არ ვიცი რამდენათ ძლიერია მათში წმინდა დამოუკიდებლობის ჯგუფი.

ხვალ გამოვგზავნი იარაღის სიას.

კ. გვარჯალაძე."[1]

წერილი XIV

23. III. 22, სტამბოლი.

საქართველოს ელჩს პარიზში.

მივიღე თქვენი წერილი (8. III. 22.). მართალია, რომ პოლონეთს არ უნდა გააღიზიანოს რუსეთი და შეიძლება გაურბოდეს, და ეს ასეც უნდა იყოს. ყოველივე საბაბს, რითაც სადემაგოგიოთ ბოლშევიკები ისარგებლებენ. აქ ისინი სიფრთხილით და წინდახედულათ მოქმედებენ. მაგრამ ამავე დროს ეშინიათ რუსეთის, როგორც ბოლშევიკური, ისე არა ბოლშევიკურის. თავისი მომავლის ერთნაირმა უზრუნველყოფამ ისინი არ უნდა შეაჩეროს ზოგიერთ უხერხულობის წინაშედაც. ამიტომ მე მაინც მგონია, რომ პოლონელებთან ლაპარაკი შეიძლება. მათ ხომ მიიღეს იუნკრები, ხომ მიიღეს ჩვენი ოფიცრები? ამის შესახებაც იყო ყვირილი, რომ პოლონელები ბოლშევიკების წინააღმდეგ თავის ჯარში ქართველ ოფიცრებს იღებსო. ერთ ბანკეტზე ვარშავაში გენერალურ შტაბის ოფიცრები ჩვენ იუნკრებს ისეთ სიტყვას ეუბნებოდნენ, რომ ის მართლა კი უნდა ეთქვა მას პოლიტიკური მოსაზრებით. მაგრამ მაინც სთქვა. სიფრთხილით ლაპარაკი და მუშაობა, რასაკვირველია აუცილებელია, უამისოთ ჩვენ ხომ ყველგან ფეხს მოვიტეხთ, მაგრამ ერთნაირი დაჟინებით ჩვენ საქმეებზე ქაქანი ხომ აუცილებელია. მეტადრე რომ რუსეთის წინაშე შიში ჩვენ პოლონელებთან მეტათ გვაკავშირებს. მაგათთან ჩვენ უნდა ვლაპარაკობდეთ ჩვენ საქმეებზე შინაურულათ და არა ოფიციალურათ. თუ გინდაც, რომ შინაურულათ უარი გვითხრან დროებით რამეზე, მე პირადათ ამას იმდენ მნიშვნელობას არ ვაძლევ. მე მაინც მგონია, რომ პოლონეთში ჩვენი ცნობილი მოღვაწენი წასულიყვნენ, მეტის გაკეთება შეიძლებოდა, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. – რაც შეეხება თქვენ ცნობას თურქ-პოლონელების ხელშეკრულების გამო, არ მგონია რომ ეს მართალი იყოს. ეს სომხებმა მეც მითხრეს აქ და მთხოვეს რომ გამეგო ამის შესახებ პოლონელებთან. პოლონელები ამ ხელშეკრულებას იმ შინაარსით, როგორც თქვენ მატყობინებდით, უარს ყოფენ. ჩვენ გვაინტერესებს ოსმალეთი იმდენათ, რამდენადაც კავკასიაც იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელიო. მაშინ მართლაც ერთნაირი რეალური ძალა იქნება რუსეთის წინააღმდეგო. კავკასიის რესპუბლიკებს რომ სათათრეთმა ანექსია გაუკეთოს, მთელი თავისი ძალა მერმედ სათათრეთმა ამ რესპუბლიკების დამორჩილებას უნდა მოანდომოსო და კავკასიის რესპუბლიკათა პოტენციალური ძალა რუსეთთან საბრძოლველათ მთლათ გააქარწყლოსო. მე პირადათ ვერ წარმომიდგენია, თუ რა ინტერესები აიძულებდა

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნ. 2, საქ. 404, ფ. 34-35.

პოლონელებს, როცა ასეთ რამეს ხელს აწერდნენ. მე მიტომ არ მჯერა ეს. თუ კი რამე ასეთი არსებობს, ეხლავე უნდა გამოვარკვიოთ ეს. მე პირადათ ვეცდები ეს ვქნა.

გუშინ ჩემთან იყო „კავკასკოე სლოვოს" ყოფილი რედაქტორი სემიონოვი[1]. ის წამოსულა პარიზიდგან ბელგრადში, სადაც რუსების ემიგრაციას ჰქონია კრება თავისი ძალების გასაერთიანებლათ. იყრიან თავს ვრანგელის[2] გარშემო. მოელიან ჩაგდებას. ეძებენ გზებს, საშუალებებს, როგორ ქმნან ეს. ჩვენ საერთო მტერი გვყავს, სთქვა სემიონოვმა, მიზანიც ერთი გვაქვს – გადავაგდოთ ბოლშევიკები და აი ამ საერთო საქმისათვის გვინდა ვიცოდეთ თუ გვექნება თქვენი თანხმობა, რომ „დობროვოლცების" ჯარი შემოვიდეს საქართველოში და ამიერკავკასიაშიო. ამ ორი თვის წინეთ ქე გწერდი ამათ ფარულ მუშაობის შესახებ ამიერ კავკასიის საოკუპაციოთ. ეხლა ამას ესენი აღარ ფარავენ. საოკუპაციო ჯარი ჩვენი იქნება, სამოქალაქო ადმინისტრაცია თქვენიო. სწორეთ ისე, როგორც ამას გვპირდებოდენ თურქები ბათუმში. მე მას უთხარი. დენიკინს და ვრანგელს ჩვენ ხალხში არ აქვს კარგი სახელი, წარსულში ჩვენ შორის ვერ იყო კარგი დამოკიდებულება და მერმე ის არ გამოსწორებულა. ჩვენი მიზანია ჩვენი სახელმწიფოებრივობის აღდგენა და ჩვენი ხალხის თავისუფლება. ერთი საოკუპაციო ჯარის მაგიერ მეორე ოკუპანტების მიყვანას ჩვენი ხალხი ვერ გაიგებს და არც არის გასაგები-თქო.

მეორე დიდი საკითხი ეს თურქების საკითხია. თქვენ თურქები ძლიერ ცუდათ გიყურებთ, ეშინიათ თქვენი და თქვენი ჩვენში შემოსვლა მათთვის იქნება ერთნაირი საბაბი ამიერკავკასიაში შემოჭრისა და ჩვენი ტერიტორიის სამხედრო ასპარეზათ გადაქცევისა და განადგურებისა. როცა მას შევეკითხე, თუ ისინი იღებენ საიდანმე დახმარებას, თუ აქვთ მათ ფული, პური და იარაღი, მან სთქვა, რომ დახმარება არსაიდან არის, მაგრამ როცა ბაქო გვექნება ხელთ, ევროპა კრედიტს გაგვიხსნის და ყველაფერი გვექნებაო. ერთი სიტყვით სემიონოვი ან ცინიკი პოლიტიკოსია და აბრაგულად ყველაფერზე დომხალივით ლაპარაკობს, ან და პოლიტიკის მაგას არაფერი გაეგება. დაბოლოს გამომეთხოვა – ეს წინასწარი ლაპარაკია და პარიზში თქვენ მთავრობის წევრებსაც მოველაპარაკებიო. დამაჯერებელია სემიონოვის ასეთი ლაპარაკი, მეტადრე რომ ეხლა ბევრნაირი ხმებია. ხმებია, რომ ვითომც ვრანგელს ინგლისელები უმაგრებენ ზურგს. თუ ჯარით ვერ დაეხმარებიან, ფულით და იარაღით უზრუნველყოფს მასო. თუ დარწმუნებული არიან ინგლისელები ბოლშევიკების დაცემაში, საშიშია წინანდელი ისტორია არ განიმეორონ და

[1] იულიან სემიონოვი, — კადეტების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისში გამომავალი ყოველდღიური გაზეთის — „კავკაზსკოე სლოვოს" რედაქტორი (1914-1916 წ. წ.). ანტისახელმწიფოებრივი სულისკვეთებისთვის გაზეთი მთავრობამ აკრძალა 1919 წელს რის შემდეგ გამოვიდა „ზაკავკაზსკოე სლოვოს სახელით (1919-1921 წ. წ.).

[2] ვრანგელი, — ბარონი პეტრე ნიკოლოზის ძე ვრანგელი (დ. 27 აგვისტო/25 აგვისტო, 1878 წელი, ნოვოალექსანდროვსკი, კოვენის გუბერნია, რუსეთის იმპერია — გ. 25 აპრილი 1928, ბრიუსელი, ბელგია) — რუსი მხედართმთავარი, გენერალი, რუსეთ-იაპონიის ომის გმირი და პირველი მსოფლიო ომის გმირი, რუსეთის სამოქალაქო ომის დროს თეთრი მოძრაობის (1918—1920 წლებში) ლიდერი. რუსული არმიის მთავარსარდალი ყირიმსა და პოლონეთში (1920 წელს), გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი, (1918). წმინდა გიორგის ორდენის კავალერი.

ვრანგელს არ დაეხმარონ. აქ ეხლა ჩამოვიდა ინგლისის ჯარის ზოგი ნაწილები, თან ახლავთ, თურმე ის ოფიცრები, რომლებიც გასულ წლებში სამხრეთ რუსეთში იყვნენ ვრანგელთან. თან აქ სამხედრო შტაბში ბევრი რუსის გენერლები და ოფიცრები მსახურობენ და ერთნაირი რუსოფილური ატმოსფეროა. იქნება ფრანგებსაც არ სძინავთ. დაჟინებით ამბობენ, რომ ვრანგელი ფრანგებიდანაც იღებს დახმარებას – მდგომარეობის შეცვლასთან, იმედის დაკარგვასთან, რომ ბოლშევიკებს შეუძლიათ დიდხანს გაძლონ, იწყება სხვადასხვა ძალთა შეჯიბრება – მონახონ რუსებთა შორის ისეთი ელემენტები, რომლებიც ბოლშევიკების მემკვიდრეებათ გახთებიან და მათზე გავლენა მოახთინონ და მისი სიმპატია დაიმსახურონ, რომ მით მომავალ რუსეთში თავის გავლენა გააძლიერონ. დიდი რყევა და გამოურკვევლობაა. როცა მე სემიონოვს შევეკითხე, ნუთუ უკეთესი არ იქნება, რომ მათ მოქმედება რუსეთის ტერიტორიაზე დაიწყონ, თუგინდ, მაგალითად, პეტროგრადიდგან, თუ ამის ძალა კი შესწევთ და ჩვენ კი ჩვენ ქვეყანას ჩვენი ძალებით გავწმენდავთ ბოლშევიკებისაგან-თქო, მან სთქვა: კი მაგრამ ევროპელების აზრით რუსეთის აღდგენა უფრო ადვილია კავკასიის გზითო... ერთი რამ, რაც რუსეთს შეუძლია მისცეს დღეს ევროპას – ეს ნავთიაო. ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ ემზადებიან რუსის ხულიგნები და ევროპიელებიც აქეთკენ იწყებენ ყურებას, რადგანაც სხვა მომქმედი და აქტიური ელემენტები არსათ სჩანან. ამ მდგომარეობას დიდი ყურადღების მიქცევა უნდა პარიზში და ლონდონში – ყოველგვარ გადაწყვეტილებას იქ იღებენ. ჩვენი მხრივ ჩვენ აქ მივაქცევთ სათანადო ყურადღებას. ისეთ გამოურკვეველ ხანაში, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ, გარკვეული სამოქმედო გეგმა არავის აქვს, არც შეიძლება ჰქონდეთ. და შესაძლებელია სახელმწიფოების აზრი და ტაქტიკა ათასნაირათ შეიცვალოს დროის, გარემოების და ძალთა განწყობილების მიხედვით. ჩვენ კი ალბათ, რასაკვირველია, ჩვენი მუშაობის ხაზს გავყვებით და თუ ვინიცობაა ინგლისელების ან ფრანგების სიმპატია ვრანგელისკენ გადიხარა ჩვენ წინააღმდეგ, ჩვენდა დასაპყრობათ და ჩვენი სახელმწიფოებრივობის მოსასპობათ, ჩვენგან ისინი ვერასოდეს თანხმობას ვერ მიიღებენ, და ვერც ასე ადვილათ შევა ჩვენში ვრანგელის ბანდა. ჯერ კიდევ ათასნაირ სირთულეს უნდა მოველოდეთ, შეიძლება მოულოდნელიც მოხთეს. ყოველ შემთხვევაში მე ღრმათ მრწამს ჩვენი კარგი მომავალი.

ჩამოვიდა ვრაციანი, იყო ჩემთან და ბევრი იბაასა. ახთენს კარგ შთაბეჭდილებას. თუ კაცს სიტყვით დაეჯერება, არის გულწრფელი მომხრე შეთანხმებისა, მიდის ამ რწმენით იქით. შეიძლება თავისიანებზე ერთნაირი კარგი გავლენა იქონიოს. – აღმოსავლეთის საკითხების შესახებ კონფერენცია უკვე გაიხსნა. თუ თურქები ბერძნებს შეურიგდა და ანტანტანასთანაც ზავი ჩამოაგდო და ამავე დროს ჩვენმა საკითხმა თუ არ მიიღო რამე გარკვეული სახე, მეშინია, რომ ჩვენ სტამბოლი არ დავკარგოთ, როგორც სამუშაოს ცენტრი და სხვაგან არ დაგვჭირდეს გადაბარგვა. – მალე პოლიტიკურ კომისიას ხალხის გადაყვანა დასჭირდება. უბრალო გემით მათი გაგზავნა სახიფათოა. მე მივმართე აქ, მაგრამ ამბობენ, რომ ეს პარიზის საქმეა, იქიდგან უნდა იყოს

განკარგულებაო. ნინეთ ქე გწერდით ამის შესახებ. ეხლა დროა, რომ ეს საქმე მოეწყოს და იქიდგან სამხედრო-საზღვაო სამინისტრომ მისცეს განკარგულება, თუ ეს შესაძლებელი კი იქნება, რომ აქედგან პატარა სამხედრო მინონოსკით სადმე შავი ზღვის პირათ გადასვას ჩვენი ხალხი. ევგენი იწერებოდა, რომ ამაზე უკვე დავიწყეთ მუშაობაო. რაც ჩქარა იქნება, მით უკეთესია. ხალხი აუცილებლივ უნდა გაიგზავნოს.

კ. გვარჯალაძე."[1]

წერილი XV

„6. IV. 22, სტამბოლი. 31. III. 22.

საქართველოს ელჩს პარიზში.

ჩემ წინა წერილში გწერდით კადეტ სემიონოვის და მოხალისეების შესახებ. ყველა სხვადასხვა იმ ცნობებიდგან, რომლებიც მე აქ მაქვს ირკვევა შემდეგი: მოხალისეებს დახმარება უგრძელდება ფრანგებიდგან, დიდი არ იყოს შეიძლება ეს დახმარება, მაგრამ ერთნაირ დახმარებას ისინი ფრანგებიდგან ღებულობენ. ამავე დროს არც ინგლისელები ტოვებენ მათ უყურადღებოთ. აქაური ცნობების მიხედვით, ამ ცოტა ხნის წინეთ, ინგლისელებმა მათ მისცეს იარაღი (20.000 თავი 16 ზარბაზანი და მისი მოწყობილობა. და სხვა) და ეს იარაღი მათ გადიტანეს ერთ მახლობელ სახელმწიფოს პორტში. ფრანგების და ინგლისელების დღევანდელი ვრანგელისადმი დახმარება, ჩემის აზრით, არ შეიძლება აიხსნას მით, ვითომც საფრანგეთს და ინგლისს ვრანგელის მიმართ რამე გარკვეული პოლიტიკა ჰქონდეთ, ანდა მით ჩვენი გარკვეული მოწინააღმდეგენი იყვნენ.

საფრანგეთს და ინგლისს ვრანგელისტების მიმართ სწორეთ არ აქვთ არავითარი გარკვეული პოლიტიკა, მაგრამ ამავე დროს მათ მაინც ცუდათ არ ეპყრობიან და ზოგ მათ თხოვნებსაც აკმაყოფილებენ, რომ მით მათზე ერთნაირი გავლენაა არ დაჰკარგონ და ვინიცობაა, რომ ვრანგელს ბედმა გაუღიმოს, ამ მომენტით საფრანგეთ–ინგლისმა ისარგებლოს და რუსეთშიდაც გავლენა მოიპოვოს. არც საფრანგეთს და არც ინგლისს არ უნდა ვრანგელზე გავლენა თუგინდ დროებითაც ხელიდან გაუშვას. ამით აიხსნება ალბათ ის, რომ ვრანგელს ისინი ზოგ დახმარებაზე უარს არ ეუბნებიან. ბოლშევიკების დაცემაში ისინი ასე თუ ისე რწმუნდებიან და ამავე დროს იქით აქეთ იცქირებიან, მონახონ ისეთი ელემენტები, რომლებზედაც ისინი მომავალში დაეყრდნობიან რუსეთში.

მე აქ კომისრებს და ზოგ ელჩებს, პირადათ ჩემ მეგობრებს განუცხადე: მოხალისეთა მომხრეები ევროპაში რუსეთის ემიგრანტთა შორის ხმებს ავრცელებენ, რომ ვითომც საქართველოს და ამიერკავკასიის მცხოვრებნი მოხალისეებს თავისას ეპატიჟებოდნენ. ამით ალბათ მოხალისეთ უნდათ ერთნაირი ნიადაგი მოიმზადონ მომავალ მათი ავანტიურებისათვის, როგორც არის დესანტი და სხვ. ამ ხმებით ბოლშევიკები სარგებლობენ თავის მხრივ და თხოულობენ, რომ საქართველოში და კავკასიაში წითელი ჯარების რიცხვი გაამრავლონ. ეს არა თუ აუტანელი იქნება ისედაც დამშეული ხალხისათვის, არამედ გააძნელებს და გაართულებს ბოლშევიკების

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 27-30.

რეჟიმის დაცემას ჩვენში. ქართველი ხალხი გაერთიანებული ერთი სურვილით გაინთავისუფლოს თავი ოკუპანტებისაგან და აღადგინოს თავისი დამოუკიდებლობა, ენერგიულათ შეებრძოლება ყოველგვარ ავანტიურას მოხალისეთა ჯარისა. ქართველი ხალხი, რომელსაც ეზიზღება დღეს ბოლშევიკების ოკუპაცია, იმავე თავდადებით უარს ყოფს ახალი ოპონენტების ყოველგვარ ავანტიურებს და სხ.

– მე ძლიერ მაინტერესებს იარაღის საკითხი. არ ვიცი მოუსწრო თუ არა ყველა ჩემმა ცნობებმა, რომელნიც მე თქვენ მოგაწოდეთ, ვარშავაში გაგზავნილ კაცს. ამ საკითხის დადებითად გადასაწყვეტათ საჭირო იყო ერთნაირი წინასწარი მუშაობა იქ განსაზღვრულ პიროვნებებთან და პირდაპირ დასმა ამ საკითხის მთავრობაში, ან პარლამენტის კომისიაში მასზე ბჭობა, პირდაპირ ამ კითხვის დახმარება იქნებოდა. – კიდევ ერთხელ შევამოწმე თქვენი ცნობა, ვითომც პოლონელებს ჰქონდეთ ხელშეკრულება ანგორასთან, რომლის ძალით პოლონელებს არაფერი აქვთ საწინააღმდეგო თუ სომხეთს და საქართველოსაც თურქები შეიერთებენ და საჭიროების დროს ამიერკავკასიაში შევლენ.

პოლონელები განაგრძობენ ყველა ამაების უარის ყოფას. გუშინ ელჩმა მაჩვენა ვარშავიდგან მოსული დეპეშა, სადაც მას ატყობინებენ, რომ ასეთ ხმებს განგებ ავრცელებენ ბოლშევიკებიო. ძნელია, რასაკვირველია, იმის თქმა, თუ ვინ ამბობს მართალს. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს მართალია, პოლონელების მხრივ ეს დიდი სისულელე იქნებოდა და მათ ინტერესებს ეს სრულიადაც არ შეესაბამებოდა. – თურქებსა და ბერძნებს შორის ზავი ვარდება. ჩვენ თუ თურქებს ვერ მოვურიგდით და აქ მერმედ ბოლშევიკების წარმომადგენელი ჩამოვიდა, ჩვენ აქ მუშაობას გაგვიძნელებენ. მაგრამ მე მგონია, რომ აქ მუშაობა და აქედგან ჩვენ სამშობლოსთან კავშირი მაინც შესაძლებელი იქნება. რასაკვირველია, ეს უნდა ხდებოდეს ჩუმათ და არალეგალურათ და არა იმ მეთოდით, როგორც ეხლა აქ ჩვენ ვმუშაობთ და რაზედაც ყველამ ყველაფერი იცის. ოფიციალურათ აქ პოლიტიკური კომისია ვერ იმუშავებს. მისი ოფიციალობა არც დღემდინ იყო საჭირო და არც მომავალში იქნება. მათ სწორეთ რომ ჩუმი სამუშაო აქვთ, ასე უნდა ემუშავა მას დღემდინ და ასეთი მუშაობა როგორც არ უნდა შეიცვალოს პირობები, ვგონებ რომ შესაძლებელი იქნება (თუ პირობები გაუარესდა სტამბოლში, მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლის მუშაობა, რასაკვირველია, გაძნელდება და შეუძლებელიც იქნება). რამოდენიმე თვეში აქ ანგორის მთავრობა ვერ ჩამოვა. ყველა საკითხის ძიების გამორკვევას და მერმედ სტამბოლის თურქებისათვის გადაცემას კარგი დრო დასჭირდება. და თუ მერმედ დავინახავ, რომ ახალი ბაზა ჩვენი მუშაობისათვის აუცილებელი იქნება, ამას მოვაწყობთ ან ბოლგარიაში, ან რუმინიაში. ჯერ კი პრაქტიკულათ ამ საქმისათვის შედგომა ნაადრევი იქნებოდა.

– ამ დღეებში იაპონიის უმაღლეს კომისარს ჰქონდა ჩემთან ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მათი კომერსანტები, რომლებიც ამ ომის დროს მეტათ გამდიდრდნენ, მიდიან ევროპაში, სადმე მუშაობის დასაწყებათო. მათ დიდად

აინტერესებს ნავთის საქმე, აგრეთვე სხვა კონცესიებიც. მომთხოვა აქ სხვადასხვა მასალები, რომელსაც დაამუშავებს და მერმედ მთავრობას მისწერს. ზოგი მათი ვაჭრები და მრეწველები კიდეც მოდიან მგონი ტოკიოდგან: შეიძლება მათ გამოიარონ პარიზით. მე მივეცი თქვენი ადრესი თუ ვინიცობაა ჩამოვიდეს იქ, რასაკვირველია მათ კარგათ მიიღებთ და ფინანსთა მინისტრსაც მოალაპარკებთ. ჩვენ ვეძებთ სამუშაოს ევროპაში და შეიძლება ამისათვის გვექნეს კარგი პირობები, საქართველოშიდაც უნდა წამოვიდნენ სამუშაოთო. მე მას, რასაკვირველია, ურჩიე ჩვენთან საქმის დაჭერა და რომ ბოლშევიკებთან არავითარ კავშირში არ შევიდენ. ისიც თანახმაა ამისა.

კ. გვარჯალაძე."[1]

წერილი XVI

„20 აპრილი, 1922, სტამბოლი

საქართველოს ელჩს პარიზში

ამ დღეებში მოველი აქ მახმუდ ფაშას[2], რომელიც ანგორაში წავიდა

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 43-44.

[2] მახმუდ ფაშა, — ეროვნებით ქართველი, ნამდვილი გვარი თავდგირიძე. მაჰმუდ ფაშა 1864 წელს დაიბადა ჩურუქ-სუში (ახლ. ქ. ქობულეთი) ჰუსეინ-ბეი თავდგირიძის ოჯახში. დაწყებითი განათლება ქობულეთში მიიღო. 1874 წელს სტამბოლში ჩავიდა და ჩაირიცხა ქულელის საშუალო სამხედრო სასწავლებელში. 1887 წელს კი სამეფო სახმელეთო-საინჟინრო სასწავლებელი დაამთავრა, უფროსი ლეიტენანტის წოდებით. 1888 წელს, სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, შტაბს-კაპიტნის წოდება მიანიჭეს და გაანაწილეს ოსმალეთის გენერალურ შტაბში. მონაწილეობდა კრეტის ამბოხების ჩახშობაში, შემდეგ კი საბერძნეთის საზღვარზე სადაზვერვო ჯგუფს შეუერთდა. 1891 წელს მაიორის წოდება მიიღო და ჰიჯაზის სამხედრო დივიზიის განკარგულებაში გადავიდა. ამ პერიოდში ჯერ ჰალების სარეზერვო დივიზიის შტაბის უფროსის, შემდეგ კი დამასკოში დისლოცირებული მეხუთე არმიის შტაბის ხელმძღვანელის თანამდებობებზე იმყოფებოდა. აქეე მიიღო ვიცე-პოლკოვნიკის წოდება. 1896 წელს დრუზების აჯანყების ჩახშობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამის შემდეგ იგი სტამბულში, გენერალურ შტაბში დააბრუნეს. 1897 წელს მონაწილეობდა საბერძნეთთან ომში. შემდეგ კი ჯერ ალასონიის არმიის მე-5 დივიზიის სარდლად, მოგვიანებით კი თესალიის რკინიგზის კომისრად დაინიშნა. 1899 წელს პოლკოვნიკის წოდება მიიღო და კეთილმოწყობის სამინისტროში სამხედრო ნარმომადგენლად დაიწყო მუშაობა. 1901 ნელს სულთან აბდულჰამიდ II—ს ნარუდგინეს პოლიციის უსაფუძველო პატაკები სტამბოლში მყოფი ქართველების ტახტის მემკვიდრესთან კავშირის თაობაზე, რის საფუძველზეც მაჰმუდ ფაშა და მისი ნათესავები ჰალებში გადაასახლეს. კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ იგი სტამბოლში დაბრუნდა, გენერალური შტაბის პირველი განყოფილების დირექტორად დაინიშნა და ბრიგადის გენერლის წოდება მიიღო. ცოტა ხანში გენერალური შტაბის მეორე უფროსად გადაიყვანეს. მონაწილეობა მიიღო ოსმალეთის არმიის მოდერნიზაციაში გერმანიის უმაღლესი სარდლობის ეგიდით. 1910 ნელს ინგლისური არმიის საშემოდგომო მანევრებზე დასაკვირვებლად ინგლისში გაემგზავრა. დანიშნული იყო საზოგადოებრივ საქმიანობათა მინისტრად პოლიტიკურ პარტია „ერთიანობა და პროგრესში". დიდი წვლილი აქვს შეტანილი 1911 ნელს ტრიპოლიტანიის ომის დროს ამ მხარეში საბრძოლო მასალების გადასროლაში. 1912-1913 წლების ბალკანეთის ომების დროს მე—17 კორპუსის ხელმძღვანელად დაინიშნა. მუპთარ ფაშას დაჭრის შემდეგ მესამე კორპუსის სარდლად მაჰმუდ ფაშა დაინიშნა. 1913 ნლის 24 იანვრიდან 1914 ნლის 9 მარტამდე მაჰმუდ შევკათ ფაშას კაბინეტში საზღვაო მინისტრის თანამდებობა ეკავა. 1913 ნლის 29 სექტემბერს ბულგარეთთან დადებულ სტამბოლის ხელშეკრულებას თურქეთის სახელით მან მოაწერა ხელი. ბალკანეთის ომებში განეული სამსახურისთვის დივიზიის გენერლის წოდება მიანიჭეს. 1914 ნლის 14 მარტს სენატის ნევრი გახდა. საიტ ჰალიმ ფაშას კაბინეტში საზღვაო და კეთილმოწყობის მინისტრების პორტფელები ჩააბარეს. იგი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, მობილიზაციის წინააღმდეგ გამოვიდა, მას მიაჩნდა, რომ ოსმალეთი მზად არ იყო ომისთვის, გადადგა და სამშობლოს მონახულების საბაბით ბათუმში გაემგზავრა. 1918-1919 ნლებში, ოსმალეთის დამარცხების შემდეგ პირველ მსოფლიო ომში, ხელმძღვანელობდა კომისიას საზავო მოლაპარაკებებზე. 1919 ნელს მხარი დაუჭირა სომხებს ტერიტორიალური დათმობების საკითხებში, რამაც ათათურქის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია. 1919 ნელს, აღმოსაელეთ შავიზღვისპირეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტრაპიზონსა და მიმდე-

ამას წინათ ერთი თვით. შემპირდა, რომ გაიგებდა იქაურების აზრს. რასაკვირველია, რამე სიმართლის გაგება მაგათგან ძნელია, მაგრამ დაახლოებით რამეს მაინც მივუხვდეთ. ეხლა, თურქების საქმე გამოკეთდა და ბერძნები თითქმის წამოაჩოქეს, აზერბეიჯანელებიც იმართებიან წელში და აშკარათ თურქებისაკენ იყურებიან: ამას მოწმობს ის დეკლარაციებიც, რომლებიც თოფჩიბაშევმა და ჩერმოევმა პარიზში გააკეთეს. ასე იქცევიან აქაც სტამბოლში სხვა წვრილფეხა აზერბეიჯანელები. ერთმა მათგანმა – ვექილოვმა თავის ერთ ინტერვიუში პარიზის 11 ივნისის შეთანხმებას დეზავუაცია უყო, თურქები თავის უფროს ძმებათ გამოაცხადა და აზრი გამოსთქვა, რომ თურქებ-სომხების საკითხში სხვები არ უნდა ერეოდესო. ესე იგი სომხები თურქებს პირისპირ უნდა მიუტოვოთ სახრავათ – ყველა ეს ერთხელ კიდევ ნათლათ მოწმობს იმას, რომ აზერბეიჯანელები სრულიადაც არ არის სანდო ელემენტები და მეტადრე მათ ჩვენ ვერ დავეყრდნობით სხვების წინააღმდეგ. ესენი ყველა ერთნაირათ დასაბამი და ლაგამამოსადები არიან. აქ მაგათ ვუთხარი, რომ მათ ორ ფრონტზე წოწიალს თავი დაანებონ და ერთი რამ გარკვეული გზა აირჩიონ. სხვანაირათ ჩვენ მაგათთან არ ვიმუშავებთ და რაც უნდა ის ქმნან მერმედ. ესენიც ჩვეულებრივად იწყებენ ფიცს და ლოცვას. თავიდათავი საქმე კი ჩემის აზრით არის ის, თუ რას ფიქრობს თვით აზერბეიჯანის ხალხი, თუ როგორი კავშირი და გავლენა ექნება ჩვენებს ადგილობრივათ მათზე, მაშინ აქაური თოფჩიბაშევ-ვექილოვები არ იქნებიან საშიში – თუ კი ადგილობრივათ ამ მხრივ ჩვენი საქმე ვერ იქნება კარგად დაყენებული – მაშინ თუგინდ ყველა აქაურები ჩვენი გადაჭრილი მომხრენიც რომ იყვნენ, ვერას უშველის საქმეს.

ეხლა ოფიცრების შესახებ. საბერძნეთში და პოლონეთში ჩვენი იუნკრების მოწყობის შემდეგ მინდოდა რომ სადმე ოფიცრებიც მომეწყო. ერთი რომ ხალხი რამეს ისწავლიდა, მეორე, ხარჯები შეგვიმოკლდებოდა. ვსთხოვე

ბარე ტერიტორიებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. სტამბოლის ოკუპაციისა და დეპუტატთა კრების დათხოვნის შემდეგ, 1920 წლის 16 მარტს გენერალ მილნეს გადაწყვეტილებით დააპატიმრეს და მალტაზე გადაასახლეს.

მაჰმუდ ფაშას დაპატიმრება გააპროტესტა იტალიის უმაღლესმა კომისარმა, რომელმაც სტამბოლში ინგლისის უმაღლეს კომისარს სთხოვა მისი გათავისუფლება. ადმირალმა დე რობეკმა იტალიის უმაღლეს კომისარს საპასუხოდ აცნობა, რომ მაჰმუდ ფაშა დააპატიმრეს გენერალ მილნეს სამხედრო მოსაზრებების გამო და რომ იგი დაკავშირებული იყო სამშვიდობო შეთანხმების დადების მოწინააღმდეგეთა ორგანიზაციასთან. აუცილებელი იყო ამ ორგანიზაციის განადგურება. ამ მიმოწერის დროს მაჰმუდ ფაშა უკვე მალტაზე იყო გადასახლებაში. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ოზბორნმა ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა: „შესაძლებელია მაჰმუდ ფაშა, როგორც იტალიის უმაღლესმა კომისარმა განაცხადა, მართლა ეწინააღმდეგებოდა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიას ომის პერიოდში, მაგრამ მკაცრმა სამშვიდობო პირობებმა მას ნაციონალისტებისკენ უბიძგა. ამიტომ მაისას ნათქვამი სარწმუნო არ არის“. 1921 წელს, რეპატრიაციის შემდეგ, მაჰმუდ ფაშა გაათავისუფლეს. მცირე ხნით გერმანიაში გაემგზავრა. სტამბოლში დაბრუნებული დამად ფერით ფაშას მთავრობის კაბინეტში შევიდა, მაგრამ მალე გადადგა. მაჰმუდ ფაშამ იცოდა ფრანგული და გერმანული ენები, კარგად ერკვეოდა მათემატიკაში, ყოველთვის ადევნებდა თვალს ევროპაში გამოსულ სამხედრო, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ ნაწარმოებებს. იგი მარშალ ნური ფაშას სიძე იყო. მის მეუღლეს ლამია ერქვა. ჰყავდა ორი ასული – ფაზილეთი და ფატმა მეზიეთი. ფაზილეთი მცირენლოვანი გარდაიცვალა, ფატმა მეზიეთი ცოლად გაჰყვა ვალა ნურეთინ ბეის. მაჰმუდ ფაშა თავდგირიძე (ქობულეთელი) 1931 წლის 31 ივლისს კიბოთი გარდაიცვალა. დაკრძალეს სტამბოლში, კარაჯაჰმედის სასაფლაოზე. ქაბათაშში მდებარე მის სასახლეში ერთხანს ბეიოღლუს ლიცეუმი იყო განთავსებული.

პოლონელებს. მათ განაცხადეს პრინციპიალური თანხმობა და მოითხოვეს მათი სია. ჩვენ აქ შევკრიბეთ ოფიცრები და გამოუცხადეთ ჩაწერილიყვნენ. გენერლებმა მაშინ უარი სთქვეს: რა დროს ჩვენი სწავლაა, ოფიცრებმა ცოლ-შვილი გვყავს და მათ ვერ დავტოვებთო, თან ტყვილა იქით როგორ ნავიდეთო, ჯამაგირი დაგვენიშნოსო. ჩაიწერა სიაში ცოტა ხალხი. მერმედ აქ პოლონეთის ელჩმა სთქვა, რომ თუმცა ბინის საკითხი ძნელია ვარშავაში, მაგრამ ეგებ შევსძლოთ ცოლების ნაყვანაც თუ უმათოთ ოფიცრები არ მოდიანო. შეეკითხა სამინისტროს. სამინისტრო უარს არ იტყობინება, ალბათ არ უნდა რამოდენიმე ცოლისათვის უარი სთქვას, მაგრამ არც მათი წაყვანა უნდათ. მე ვთხოვე ელჩს, რომ ვინც უცოლოებია ის გაგვეგზავნა, მაგრამ ჯერ პასუხი არ გვაქვს. ჩვენი ხალხი უაღრესათ პრეტენზიების და უდარდელები არიან. ეხლა მთავრობის დადგენილებით დახმარება უწყდება ყველას ივნისიდან. დღეს იყვნენ ჩემთან გენერლები: ოდიშელიძე[1], ყაზბეგი[2], ბაქრაძე,[3] კონიევი[4], ჩხ-

[1] ოდიშელიძე, — ილია ზურაბის ზე ოდიშელიძე (1865-1925), რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომის მონაწილე, 1914 წ. მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება და დაინიშნა არმიის შტაბის უფროსად. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. სხვადასხვა დროს იყო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, სამხედრო მინისტრის მოადგილე, სამხედრო საბჭოს თავ-რე, პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი სამხედრო ექსპერტი. 1921 წლიდან გარდაცვალებამდე იმყოფებოდა ემიგრაციაში.

[2] ყაზბეგი, — ივანე ყაზბეგი (1860-1944). მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა (1904-1905) და პირველ მსოფლიო (1914-1918) ომებში. 1916 წელს მას გენერალ-მაიორის წოდება ებოძა. 1918-1921 წლებში ივანე ყაზბეგი მსახურობდა ქართულ ჯარში, სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსად. 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ჯერ თურქეთში (სტამბოლი), 1922 წლიდან კი ქართველ ოფიცერთა ჯგუფთან ერთად შევიდა პოლონეთის ჯარში. დაიმსახურა ბრიგადის გენერლის სამხედრო წოდება. ივანე ყაზბეგი, კირილე ქუთათელაძე და ზაქარია ბაქრაძე ერთადერთნი არიან საქართველოდან, ვინც სამი სახელმწიფოს გენერალი გახდა. ყველა მათგანი პოლონეთში ტრაგიკულად დაიღუპა. ივანე ყაზბეგი 1944 წლის 2 დეკემბერს გარადაიცვლა ქ. ვარშავაში.

[3] ბაქრაძე, — ზაქარია (ბაქრო) ბაქრაძე (1968/1870-1938) — ქართველი-პოლონელი სამხედრო ოფიცერი და როგორც ქართული არმიის, ასევე პოლონური არმიის გენერალი.ცნობილი ისტორიკოსის — დიმიტრი ბაქრაძის შვილიშვილი. ის ჯერ რუსეთის არმიაში მსახურობდა და მერე პოლონეთის არმიის გენერალი გახდა. ზაქარია დაქორწინებული იყო რუსეთის არმიის კაპიტნის ქალიშვილ ანა ამაშუკელზე. მათ ორი ქალიშვილი ჰყავდათ: ნატალია და კირა. ოჯახი საქართველოში დატოვა, მაგრამ ეს, ალბათ მათივე უსაფრთხოებისთვის. 1918 წელს შეუერთდა ეროვნულ არმიას და გახდა მაღალი რანგის თანამდებობის პირი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. მონაწილეობდა 1921 წლის თებერვალსა და მარტში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, იგი ემიგრაციაში წავიდა.იყო პოლონეთის არმიის გენერალი. ტრაგიკულად დაიღუპა ავტო-კატასტროფაში. ბიდგოშჩის თეატრის მოედანზე, მას საფოსტო ფურგონი დაეჯახა. იგი ბიდგოშჩში, 3 მაისის ქუჩაზე მართლმადიდებლურ სამხედრო სასაფლაოზე დაკრძალეს. ომის შემდეგ ეს სასაფლაო განადგურდა, ცხედრები კცინსკის ქუჩაზე, სხვა სასაფლაოზე გადაასვენეს.

4 კონიევი, — ქართული ეროვნული არმიის გენერალი ალექსანდრე გრიგოლის ძე კონიაშვილი (1873- 1951). დაიბადა თბილისში, ოფიცრის ოჯახში. დასრულებული ჰქონდა კლასიკური გიმნაზია და თბილისის იუნკერთა სამხედრო სასწავლებელი. მონაწილეობდა რუსეთ–იაპონიის ომში; ირიცხებოდა ქვეითი ჯარის ოფიცრად. პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914–1918) მიიღო რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ხარისხი და არზრუმის ციხე-სიმაგრის შტურმით აღებისას დაჯილდოვდა წმ. გიორგის ორდენით. 1918–21 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. 1918 წელს ხელმძღვანელობდა საგანგებო რაზმს და სახალხო გვარდიას სამეგრელოში. სოჭის კონფლიქტის დროს (1918–1919) პოლკოვნიკის ჩინით იბრძოდა სოჭის ფრონტზე. 1919 წელს გახდა გენერალ–მაიორი. 1920 წელს იყო ოსეთის მიმართულების ჯარების სარდალი. 1921 წლიდან ალექსანდრე კონიაშვილი იმყოფებოდა ემიგრაციაში, ჯერ თურქეთში, შემდეგ

ეიძე[1] და მთხოვეს, რომ მათ დახმარება არ შეუწყდეთ. ეს, რასაკვირველია, მთავრობის საქმეა. ზოგ მათგანს მართლაც რომ დახვრეტა მოელის, სხვებს კი ალბათ ბოლშევიკები რუსეთისაკენ უკრავენ თავს, როგორც ამას ამ ბოლო ხანებში შვრებიან თურმე. ყოველ შემთხვევაში, თქვენ მაცნობეთ თქვენი აზრი. – ამას წინათ მე მივიღე გენ. კვინიტაძის წერილი, სადაც ის მთხოვდა, რომ იუნკრები საბერძნეთიდან ვარშავაში გადამეყვანა. მე ეს ყოვლათ შეუძლებლათ მიმაჩნია. მართალია ვარშავაში სჯობს, იქ სწავლაც უკეთესია და დროც ნაკლები უნდა, მაგრამ ბერძნებს ასე უხეშათ ხელს ვერ ვკრავთ და ვერ ვეტყვით, რომ ისინი არ ვარგან, მეტადრე რომ ასე კარგად გვეპყრობიან. მარტო იუნკრებზე ხომ არ არის საქმე. საბერძნეთის მთავრობამ ჩვენ დიდი პატივი გვცა. მან დაადგინა რომ ყოველ წლივ ოცი ქართველი მიიღოს მის სკოლებში. ის აძლევს ჩვენ იუნკრებს ჯიბის ფულსაც. – ესეც მათი სპეციალური დადგენილება იყო, – თვეში ჩვენ იუნკრებიზა 600 ფრანკი უნდა გვეგზავნა ჯიბის ფულათ. ეხლა ამ ფულს მთავრობა აძლევს, თუმცა, როგორც იცით, საბერძნეთის ფინანსური მდგომარეობა ვერ არის კარგი. ყველა ამ მოსაზრებით მე მგონია, რომ იუნკრების გადაყვანის საკითხს ჩვენ ვერ აღვძრავთ – მეტადრე ძნელი იქნება ეს პირადათ ჩემთვის.

კ. გვარჯალაძე.

P. S. დეკანოზიშვილის ცოლის პასპორტის შესახებ მე ვიკითხე აქ, თუ რაშია საქმე. ის ჯერ საქართველოშია და აქ არ ჩამოსულა ასე რომ მათ უარს პასპორტზე ვერ ეტყოდენ. როცა ჩამოვა მივცემთ."[2]

წერილი XVII

„26 აპრილი

საქართველოს წარმომადგენელს პარიზში.

აქვე გიგზავნით ზოგ საინტერესო ცნობებს. ისინი მიღებულია თვით ბოლშევიკების წყაროებიდგან. ამ წყაროს გახმაურება არ არის საჭირო, რასაკვირველია. საქართველოდგან მოსული ცნობების მიხედვით. ჩვენი ხალხი მტკიცე და გაუტეხელია. მისი პოლიტიკური სიმწიფე და მოქმედებაში წინდახედულება ჩვენი კარგი მომავალის იმედის განმამტკიცებელია. როგორც სჩანს დიდათ შეჰყურებენ გენუის კონფერენციას. ბოლშევიკებს იქ ხმა გაუვრცელებიათ. ჩვენ დაგვიშვეს კონფერენციაზე – გავგზავნეთ კაცი კიდეცო. კანის დადგენილების თანახმათ ჩვენ არ დაგვიშვებენ ალბათ. მაგრამ თუ ბუდუს უარს ეტყვიან, ჩიჩერინი ვერ შესძლებს მის იქ

პოლონეთში. 1923 წლიდან ირიცხება პოლონეთის ეროვნულ არმიაში. 1926 წელს მიიღო ბრიგადირის მაღალი სამხედრო წოდება და დაინიშნა ქვეითი ჯარის ერთ–ერთი დივიზიის მეთაურის მოადგილედ. პოლონეთის არმიაში თითქმის ოცწლიანი მოღვაწეობის მანძილზე დაიმსახურა არაერთი მაღალი ჯილდო. ოკუპაციის შემდეგ სამხედრო სამსახურიდან გადადგა. ცხოვრობდა ჯერ იტალიაში, 1939 წლიდან კი, არგენტინაში. გარდაიცვალა 1951 წელს ბუენოს აირესში. დაკრძალულია იქვე.

[1] ჩხეიძე, — ალექსანდრე ჩხეიძე (1873 — 1941) . მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. მსახურობდა პოლონეთსა და საქართველოში. 1939 წელს წითელი არმიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის დროს დააპატიმრა ნკვდ-მ როგორც „ხალხის მტერი". დახვრიტეს, სავარაუდოდ, 1941 წლის ზამთარში, კატინში.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 45-47.

ჩაკვეხებას, ეს მათთვის კარგი სკოლა იქნება. აქ საქართველოდგან ჩამოვიდა იტალიის კონსული ფრანცონი. ის ჩამოვიდა მგონი, რომ აქ ბანკებში რამ შეინახოს და მეორე მხრივ მგონი ეშინია ამ კონფერენციის დროს ჩვენში არაფერი მოხთეს და მას ვინმემ რამე ზიანი არ მიაყენოს. მე მას შევხვდი პოლონელებისას (ელჩმა მომიწყო ვითომც შემთხვევითი შეხვედრა მასთან), ძლიერ უკმაყოფილოა ჩვენი მთავრობის. რაღაცათი პირადათ არის შეურაცხყოფილი. არ მოსწონს უკანასკნელ ხანების მაღალი შტილის ჩვენი პოლიტიკა. ნაკლებ ემდურება ევგენის. ისე კი ამბობს, რომ გარდა ბოლშევიკ მცირე ჯგუფისა, მთელი ქართველი ხალხი ბოლშევიკების წინააღმდეგი არისო. მე არასოდეს არ მითქვას და ვერც ვიტყოდი, რომ საქართველო ბოლშევიკურია და რევკომს შეურიგდა – მე ვამბობ, რომ რუსეთი ძლიერია, მას თქვენში დიდი ჯარი ჰყავს და მისი იქიდგან გაგდება გაგიჭირდებათო. პოლონეთის ელჩმა მას გადასცა, რომ რაუშერი, რომელიც ბოლშევიკებისაკენ იხრებოდა, საქართველოს ძველი მთავრობის ცდით გაწვეული იქმნა იქიდგანო. ეს ცნობა მას, როგორც ბარანოვსკიმ გადმომცა, არ მოსწონებია. მაგრამ იქონიებს კი მასზე რამე გავლენას? დიდი გაიძვერა და იეზუიტი ვინმეა. სალამი და გამარჯვება ყველა თქვენ.

კ. გვარჯალაძე."[1]

წერილი XVIII

„სტამბოლი 29/IV. 22

საქართველოს წარმომადგენელს პარიზში

წერილის თავში მინაწერი ფრაზა: „თქვენ დრო და მოცალეობა არ გექნებათ მაგრამ ზოგი ცნობების მოწოდება კარგი იქნება. აქ ყველანი მეკითხებიან ჩვენს შესახებ".

გუშინწინ ნოე ჟორდანიადგან მივიღე შემდეგი დეპეშა: „გენუის კონფერენციის პოლიტიკურმა კომისიამ დაადგინა მოსთხოვოს ჩიჩერინს ომიანობის შეწყვეტა საქართველოში სვანების წინააღმდეგ. მეორე ინტერნაციონალმა ასეთივე მოთხოვნილება წაუყენა მოსკოვს ტელეგრამით, ითხოვენ კითხვა გადაეცეს გადასაწყვეტათ ცხრათა კომისიას". ეს ცნობა იმავე დღესვე გადავეცი საქაართველოში. გენუის კომისიის გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს – ჩვეენი კითხვა იღებს ერთნაირ გარკვეულ სახეს მაგრამ მაინც მეშინია ამ ცნობამ ჩვენ ხალხში არ შეჰქმნას გადამეტებული ილლუზია: ყოველ შემთხვევაში ამ ცნობის მიწოდება აუცილებელი რამ არის. აქვე გიგზავნი ახლათ მოსულ ცნობებს საქართველოდგან. ცნობა საქართველოდგან რუსული ჯარების გაყვანის შესახებ მეტათ საინტერესოა, მაგრამ, უთუოთ თხოულობს შემოწმებას და დამტკიცებას. ისე კი ეხლა ბოლშევიკები დიდი მონდომებით ცდილობენ ქართული ლაშქრის შექმნას. აძლიერებენ ჩეკისტების რაზმებს. დადგენილია საქართველოში ორი ბრიგადა შექმნან. უნდათ ალბათ ქართულ ლაშქარს დაეყრდნონ. აძლიერებენ რეპრესიებს „შინაური მტრების" წინააღმდეგ და ციხეები პოლიტიკურებით არის ავსებული. დღეს აქ ჩამოვიდნენ საქართველოდგან

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 48.

ჩვენი ებრაელები, რომლებიც გადმოგვცემენ, რომ სვანები ჯერ კიდევ მაგრათ არიანო. თვით ფრანცონის გადმოცემით, თურქებს და ბოლშევიკებს შორის დიდი უნდობლობა სუფევს. ერთი მეორეს გამოყენება სურთ, მაგრამ, ერთმანეთის არავითარი ნდობა არა აქვთო. ისე კი თურქები ბოლშევიკებიდგან დახმარებას დღესაც იღებენო. ფრანცონი ჯერ კიდევ აქ არის, მგონი ეშინია ჯერ ჯერობით უკან გაბრუნება. ის ნამდვილი ბოლშევიკების აგენტია. საქართველოში თურმე ათასნაირი ფანტასტიური ცნობებია გენუის შესახებ, მეტადრე, რომ ბოლშევიკები არაფერს აღარ სწერენ გენუაზე მათ გაზეთებში. დიდათ უკმაყოფილო არიან ჩვენები საქართველოში, რომ მათ გარკვეულ რამეებს საგარეო პოლიტიკიდგან არას ვწერთ. მაგრამ რა უნდა მივწეროთ, როცა ისეთი გარკვეული, როგორიც მათ უნდათ, ჩვენ არაფერი გვაქვს.

კ. გვარჯალაძე."[1]

წერილი XIX

„5 მაისი 1922, სტამბოლი.

საქართველოს ელჩს პარიზში.

თქვენი წერილი (23. IV. 22) მივიღე. კორესპონდენციაც გადავეცი „საქართველოს" დასაბეჭდათ. ამ კონფერენციის შესახებ, როგორც იცით ყველგან დიდი მითქმა-მოთქმა არის. მე პირადათ, მართალი გითხრათ, არაფერ დიდ რამეს მისგან არ მოველოდი და არც მოველი. საქართველოში და ჩვენ აქაურ კოლონიაში დიდი ილუზიებია საზოგადოთ ამ კონფერენციის მიმართ. ჩვენ, საზოგადოთ ქართველები, ილუზიების ხალხი ვართ და მეშინია, როცა ეს ილუზიები დიდი მასშტაბით არ გამართლდება, ამან არ გამოიწვიოს გულის გატეხა და ჩვენს საქმეზე და მიზანზე გულის აცრუება. როცა ჩვენ საქართველოში ვიწერებით, ან აქ ჩვენებს საქმის მდგომარეობას ვუხსნით, მე იმ აზრისა ვარ, რომ გამხნევება საჭიროა, მაგრამ გადამეტებულ და ტენდენციურ ცნობების მიწოდებას თავი გავანებოთ. ამას მავნებლობის მეტი, არაფერი მოაქვს. ჩვენ ხალხს, რომელიც ეროვნულათ ასე შეგნებულია და გაერთიანებულია, რომელმაც მოიპოვა ასეთი ავტორიტეტი ყველგან, რომელსაც ეხლა ყველგან იცნობენ, საშიში არაფერი აქვს, მომავალი მისია, ოღონდ განთავისუფლების ხანას ორი კვირით ან ერთი თვით კი არ უნდა ვითვლიდეთ, არამედ გაცილებით უკეთესია ხალხის ფსიხოლოგიისათვის ბრძოლა უფრო ხანგრძლივი დროით იყოს ნაანგარიშევი. თუ დრო დაგირჩეთ, თქვენ ცნობებს ჩვენთვისაც აქანა საქართველოზა მნიშვნელობა ექნებოდა.

დღეს ნავიკითხე გაზეთებში რადიო ჩიჩერინის პასუხზე შანცერის მიმართ. ის სვანების ამბებზე არას ამბობს და ზოგადათ მასლაათობს. ეშინია, რომ ამ ამბავმა მათ პრესტიჟს არ ავნოს გენუაში. ეგებ ამ შიშით არის გამოწვეული მათი ინსტრუქცია მოსკოვიდგან, თუ ჩვენი ცნობა, რომელიც მივიღეთ ამას წინათ საქართველოდგან მართალია, რომ შეაჩერონ სამხედრო მოქმედება სვანების წინააღმდეგ. როგორც კი მივიღებთ რამე ახალ ცნობებს იმ წამსვე გაცნობებთ.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 49.

კ. საბახტარაშვილი მწერდა ვარშავიდგან, რომ იარაღის საქმე ჩემის შთაბეჭდილებით მოგვარდებაო. თქვენ ალბათ ამას მიაქცევთ ყურადღებას, როცა დრო და გარემოება ამისათვის ხელსაყრელი იქნება.

კ. გვარჯალაძე."[1]

წერილი XX

„სტამბოლი. 8 მაისი, 22.

საქართველოს წარმომადგენელს პარიზში.

მივიღე თქვენი წერილი (1. V. 22). „თავისუფალ საქართველოს" გადავეცი თქვენი კორესპონდენცია. იქ დღეს აწყობილი იყო თქვენი პირველი წერილი. მაგრამ რადგანაც მეორე თქვენ წერილში უფრო გამამხნევებელი ცნობები იყო, მიტომ მგონი ის წერილი ამოიღეს და ეს მეორე წერილი გაუშვეს. ორივეზა ერთათ მგონი ადგილი არ იყო. კარგია, რომ გენუაში ჩვენზე ამდენი ხმაურობაა. აქაური ელჩები შეხვედრების დროს ხშირათ მეუბნებიან, რომ ქართველებზე გენუაში ბევრს ლაპარაკობენო. ასეა თუ ისე მაინც დიდი საქმეა, რომ საქართველო ცალკე სახელმწიფოთაა ნაცნობი და მისი სახელით არ ალაპარაკებენ არც მოსკოვს და არც ქართველ აბრაგებს. კიდევ ერთხელ გატყობინებთ, რომ ქართველი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება ბოლშევიკებისადმი საქართველოში, აქ ყველამ კარგათ იცის და როგორც მარნმუნებენ, ამის შესახებ თავ თავიანთ მთავრობებსაც ატყობინებენ. ზოგ მთავრობას თავის განსაკუთრებული პოლიტიკა აქვს ბოლშევიკების მიმართ და რაც უარყოფითი ცნობები არ უნდა ჰქონდეთ მათ ბოლშევიკებზე, ხშირათ ისინი ამ ცნობებზე არას ლაპარაკობენ ან და მალავენ (როგორც მაგალითათ ინგლისელები.). ჩემ წინანდელ წერილში გწერდით რომ სკირმუნტს მოლაპარაკებოდით ეგებ იარაღის შესახებ. დღეს დილით პოლონელები იყვნენ ჩემთან და გადმომცენ, რომ მათ შუამდგომლობას იარაღის შესახებ ვარშავა დასთანხმებია. პოლონეთის სამხედრო ატაშეს რუმინიაში მინდობილი აქვს გამოიკვლიოს თუ როგორ უნდა მიიტანონ იარაღი გალაციაში. აქაურ პოლონეთის სამხედრო ატაშეს ექნება კავშირი ჩემთან და მან უნდა ამცნოს ვარშავას დრო, როცა საჭირო იქნება თქვენთვის იარაღი და შესაძლებელი იქნება მისი გადატანა ჩვენში. ეხლა ალბათ აღარ იქნება საჭირო ამაზე ლაპარაკი სკირმუნტთან, მეტადრე რომ ამას უფრო გვიწყობს სამხედრო უწყება რომელიც ხშირათ არ ეთანხმება საგარეოს. თუ ეს მოხერხთა, ეს მეტათ დიდი საქმეა. ყოველგვარი სიფრთხილისათვის მაქვს მიქცეული ყურადღება. მეშინია ეს არ გაიგოს ბოლშევიკებმა და მათი ყვირილით არ დააფრთხონ პოლონელები. რაც შეეხება იარაღის თავის დროზე გადატანას და კიდევ უფრო მის დროზე მოხმარებას, ყოველგვარი სიფრთხილე და აუჩქარებლობა დაცული იქნება. დიდი სალამი ბ. ზურაბს[2] და სოსიკოს[3]. გაგიმარჯოთ

კ. გვარჯალაძე.

იარაღის შესახებ ვაცნობე პარიზსაც."[4]

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნ. 2, საქ. 404, ფ. 51.

[2] ზურაბი — ზ. ავალიშვილი.

[3] სოსიკო — სიმონ მდივანი.

[4] სცსსა, ფონდი 1831, აღნ. 2, საქ. 404, ფ. 52.

1922 წლის ნოემბერში გვარჯალაძე შეხვდა ზემოთ მოტანილ წერილებში დასმულ საკითხთა გასარკვევად თურქ პოლიტიკოსს — რეფეტ-ფაშას. მან ამ შეხვედრის ოქმი გადაუგზავნა ჩხენკელს.

„1922 წელი,

შეხვედრა რეფეტ-ფაშასთან 16 ნოემბრის ნაშუადღევის 2 საათზე.

ოქმი

გვარჯალაძე: საქართველოს ნაციონალური მთავრობის და სტამბოლის მთელი ქართული კოლონიის სახელით ნება მომეცით მოგესალმოთ თქვენ, როგორც ოსმალეთის ნაციონალისტური მთავრობის წარმომადგენელს.

თქვენო აღმატებულებავ! მე წარმოვადგენ აქ საქართველოს იმ აზრს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეა და თავგამოდებით იცავს მას. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ ახლა დიდ ცდაში არიან საქართველოს დამოუკიდებლობას სრულიათ მოუღონ ბოლო და ის რუსეთის უბრალო პროვინციათ გადააქციონ როგორც ამ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში იყო. ჩვენ გვგონიან და ღრმათ გვწამს, რომ ოსმალეთი დაინტერესებულია მისი მეზობელი ქვეყნები, როგორც საქართველო და აზერბაიჯანია, იყვნენ დამოუკიდებელნი. ქართველი ერი შეეცდება და ყოველ ღონეს იხმარს, რომ თავი არავის დაამონებიოს და დარჩეს თავისუფალი. მე მაქვს ინსტრუქციები ჩემი მთავრობისაგან, ვიცი აგრეთვე აზრი ნაციონალურ კომიტეტისა, რომელიც აერთებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა პარტიებს და რომელიც იმყოფება თვით საქართველოში. მე მაქვს დავალებული ვიქონიო მჭიდრო კონტაქტი ოსმალეთის მთავრობასთან და ოსმალეთის საზოგადოებრივ აზრთან, ყველგან აქ ნიადაგი მოვამზადო და მით საქართველოს დამოუკიდებლობას მტკიცე ნიადაგი ჩაეყაროს.

რეფეტ ფაშა: მე გულწრფელათ და ენერგიულად უნდა გამოგიცხადოთ თქვენ შემდეგი: ჩვენ ვიცანით საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთიც. თუ ვინმეს შეაქვს რაიმე კორექტივი ამ ქვეყნების დამოუკიდებლობაში, ეს ჩვენ არ გვეხება. ჩვენ ეს ქვეყნები უკვე ვცანით. მათი წარმომადგენლებიც, მაგალითად აბილოვი, არის ჩვენში და ამ ქვეყნებს ჩვენ ვიცნობთ უკვე როგორც დამოუკიდებელს. გთხოვთ მომცეთ ერთი მცირედი ინფორმაცია. თქვენ სთქვით, რომ წარმოადგენთ საქართველოს ნაციონალურ მთავრობას. სად არის დღეს ეს მთავრობა?

გვარჯალაძე: როცა ბოლშევიკებმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს, ევაკუაციის შემდეგ ჩვენი მთავრობა წამოვიდა საზღვარგარეთ და იმყოფება დღეს ის პარიზში.

რეფეტ ფაშა: ამ მთავრობის შემადგენლობა იგივეა, თუ მოხდა რამე ცვლილება მასში?

გვარჯალაძე: ჩვენი მთავრობა დარჩა ძველი შემადგენლობით.

რეფეტ ფაშა: თქვენ ზოგმა სახელმწიფოებმა გცნოთ მგონი?

გვარჯალაძე: დიახ, ჩვენ 17-მა დიდმა და პატარა სახელმწიფოებმა გვცნეს. ჩვენ დღემდე ვაგრძელებთ მუშაობას, რომ საქართველოს დამოუკ-

იდებლობას ყველამ დაუჭიროს მხარი. ამ მხრივ ჩვენი მთავრობის წარმომადგენელს პარიზში ხშირად უცდია და ჰქონია ლაპარაკი ანგორის მთავრობის წარმომადგენელთანაც. ჩვენ იმასაც კი შევეცადეთ, რომ ანგორაში ვინმე არაოფიციალურათ გაგვეგზავნა და მასთან კავშირი გაგვება. მაგრამ თქვენები ფრთხილობდნენ, ამბობდნენ, რომ დღეს ომი გვაქვს ანტანტასთან, საბერძნეთთან, რუსეთიდან კი ვიღებთ დახმარებას და ამიტომ დროებით გვჭირდება სიფრთხილეო. ამ ფაქტს ჩვენც ვუწევდით ანგარიშს. შეიძლება დღეს ჩვენი დაახლოების მომენტი არ იყოს ისე შორს, როგორც წინეთ, რადგან წინანდელი დამაბრკოლებელი მიზეზები თანდათან ჰქრებიან.

რეფეტ ფაშა: ყოველ შემთხვევაში რუსეთი დღეს კიდევ გვჭირდება, ის ჩვენ ბევრად დაგვეხმარა, ინტერნაციონალური ჩვენი მდგმარეობა კიდევ გამოურკვეველია და ამ პირობებში რუსეთს სიფრთხილით უნდა მოპყრობა. ჩვენ ძლიერ კარგათ ვიცით, რომ დღევანდელი რუსეთი ძველი რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას განაგრძობს. ამ მხრივ მას კავკასიაშიც უნდა შემოიტანოს ცვლილება. მაგრამ მე კიდევ ერთხელ გარწმუნებთ თქვენ, რომ ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველო, აზერბაიჯანი და თუ გინდა სომხეთიც.

გვარჯალაძე: ჩვენ მუდამ გვწამდა, რომ ოსმალეთის დიდი იტერესი არის, რომ ეს ქვეყნები თავისუფალნი და დამოუკიდებელნი იყვნენ. არ ვიცი ჯერ რამდენად მართალია ის ცნობა, რომელიც მე აქ გუშინ მივიღე. გადმომცეს, რომ მოსკოვმა ის ბოლშევიკებიც კი, რომლებსაც საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეობა დასწამეს, გაიწვია რუსეთში და მათ ადგილას დანიშნა საქართველოს ნამდვილი ანექსიის მომხრეები. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ რუსეთი ამ გზისაკენ მიექანება და დღეს ამას აღარ მალავს. ჩვენი ხალხი ამას არასოდეს არ შეურიგდება. ასეთი მდგომარეობაა აზერბაიჯანშიდაც. აზერბაიჯანლებს და ჩვენ ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს, ვმუშაობთ ერთადაც, ორივეს გვინდა თქვენთან დაახლოვება და თანხმობით მუშაობა. ვფიქრობთ, რომ ეს საერთო მუშაობა ამ ახლო მომავალში ჩვენთვის აუცილებელი გახდება. ჩვენი ხალხი, რუსეთის ხიშტების ქვეშ მყოფი და ანტირუსულათ განწყობილი, ფიქრობს და დარწმუნებულია, რომ ოსმალეთი მისი მეგობარი არის და იქნება მოსალოდნელი აუცილებელი მომენტების დროს. სომხებთან არ ვართ ჩვენ დღეს ცუდათ, არც მათი რამე წინააღმდეგი გვაქვს, მაგრამ რადგანაც ჩვენი სამოქმედო ხაზი ერთმანეთს მთლად ვერ ეგუება, ამიტომ დღეს ერთათ ვერ ვმუშაობთ. ვგონებთ, რომ ისინი თვითონ გამონახავენ თქვენთან საერთო ენას.

რეფეტ ფაშა: კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ რუსეთი ახალ იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს, ჩვენ მასთან გვაქვს მხოლოდ (ფრანგუალად) პოლიტიკა. ის ჩვენთვის საჭიროა. თქვენ იმუშავეთ ერთად. ვიმეორებ, რომ ჩვენ არ ვართ პრინციპიალურად არც სომხეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი, მაგრამ მათ მაინც ნუ ჩააფრინდებით. რაც შეეხება საქართველოს და აზერბაიჯანს, ჩვენ მთლად თქვენი მომხრე ვართ.

გვარჯალაძე: თქვენო აღმატებულებავ! მე უკვე მოგახსენეთ, რომ მე მაქვს კავშირი ჩემ ხალხთან საქართველოში. მაქვს მინერ-მონერა ჩემს მთავრობასთან და მსურს აგრეთვე მქონდეს თქვენთანაც კავშირი, იქნება ეს კავშირი ოფიციალური თუ ოფიციოზური, ეს სულ ერთია, რომ მით საშუალება გვქონდეს ერთი მეორესთან დაახლოებული ვიყოთ და ერთი მეორის ამბავი ვიცოდეთ.

რეფეტ ფაშა: ეხლა ვილაპარაკოთ არა ოფიციალურათ, არამედ მეგობრულად. ჩვენ გვაქვს ბოლშევიკებთან ხელშეკრულება, რომლის ძალით ჩვენ ვერ მოვითმენთ ჩვენ ტერიტორიაზე ვერცერთ იმ ორგანიზაციას, რომლის მოქმედება მიმართული იქნება საბჭოთა რუსეთის, ან საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ. ამისდა მიხედვით ჩემთვის ძნელი და შეუძლებელი იქნება ვიქონიო თქვენთან ოფიციალური ან ოფიციოზური კავშირი, ამას ბოლშევიკები ყურადღებას მიაქცევენ და დაიწყება მათი პროტესტები. ამ პროცესებს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ.

გვარჯალაძე: ყველა ეს მესმის მე, მაგრამ ვსთქვათ, რომ საჭირო იქმნეს ჩემი აქ დარჩენა, მე არ მექნება საშუალება ვიქონიო თქვენთან კავშირი, როგორც კერძო პირმა?

რეფეტ ფაშა: ამას მოვახერხებთ. თქვენ შეგიძლიათ იქონიოთ ჩემთან კავშირი, როგორც კერძო პირს. ეს იქნება უფრო შეუმჩნევლათ და უხმაუროთ. თუ რამე ორგანიზაციები გაქვთ აქ, ეხლავე დაშალეთ, რომ ბოლშევიკებს არ მიეცეს საბაბი თქვენი გაძევების მოთხოვნისა, უმჯობესია, თუ ამას უმტკივნეულოთ იზამთ და ჩემი ჩარევა ამ საქმეში არ იქნება საჭირო.

გვარჯალაძე: გმადლობთ მეგობრული რჩევისათვის. მე შევეცდები, ყველაფერი მოვაწყო ისე, როგორც ამას საერთო ინტერესი გვიკარნახებს. თქვენო აღმატებულებავ! ამავე დროს აქ არიან ჩვენი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, მე იმედი მაქვს, რომ მათაც მიეცემათ საშუალება აქ დარჩნენ.

რეფეტ ფაშა: მე ვეცდები, თქვენ კი სცადეთ, რომ მათაც არ მისცენ ბოლშევიკებს არავითარი საბაბი პროტესტებისათვის. ნუ აწარმოებენ ნურავითარ მუშაობას აქ, ხინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი იქნება მათი აქ გაჩერება. დღეს იმნაირ მდგომარეობაში ვართ, რომ ძნელია ბოლშევიკებთან დადებულ ხელშეკრულებას ანგარიში არ გაეუწიოთ. ისე დარწმუნებული იყავი, რომ ჩვენ ქართველების მეგობრები ვართ.

გვარჯალაძე: გმადლობთ. თქვენო აღმატებულებავ! კიდევ ერთი პატარა საკითხი. ქალაქში, როგორც მოგეხსენებათ, პანიკაა, ყველა გარბის. ათასნაირი ხმებია... ქართველებც აქცევენ ამ ხმებს ყურადღებას და ხშირათ მოდიან ჩემთან, რომ მათ რამე დამამშვიდებელი პასუხი მივსცე. მე მათ გადაჭრით ვეუბნები, რომ ყოველ შემთხვევაში ეს არ არიან თურქები, რომელთაგან მათ მოელის აქ რაიმე საშიშროება. მე თქვენი დიდი მადლობელი ვიქნები, თუ მომცემთ ნებას ისინი რითიმე დავამშვიდო.

რეფეტ ფაშა: მე თქვენ კატეგორიულათ გიცხადებთ და გადაეცით ქართველებს, რომ მათ აქ არავითარი საშიშროება არ მოელის. თუ საჭირო იქნება ჩვენ თქვენ კიდევაც დაგიცავთ. იყავით ყველა მშვიდათ. ჩვენ

გვაბრალებენ, ვითომც სმირნა დაგვეწვას. ეს არ არის მართალი, სმირნა ბერძნებმა და სომხებმა დაწვეს, ჩვენ ვცდილობთ წესრიგი დავიცვათ.

გვარჯალაძე: მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად ნავა, თქვენ დღეს დიდათ გამარჯვებული ხართ, სულ მალე ოსმალეთი გახდება თავისუფალი და დამოუკიდებელი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა თქვენთვისაც ძლიერ ხელსაყრელი იქნება და მას მხარს დაუჭერთ.

რეფეტ ფაშა: მერწმუნეთ ამაში, ჩვენ საერთო ბევრი გვაქვს და მომავალშიც საერთო სამუშაო ბევრი გვექნება. ჩვენ საუკეთესო მეგობრები უნდა ვიყოთ.

ალიანსი 45 წუთი გაგრძელდა."[1]

1923 წლის სამი წერილით გვარჯალაძე საუბრობდა იაპონელების დაინტერესებაზე საქართველოს საკითხით, მისი მსჯელობიდან ჩანს ევროპაში პოლიტიკური მუშაობის მეტად გაშლის სურვილი, ასევე, ის წინააღმდეგობანიც, რაც ქართულ პოლიტიკურ ელიტაში იყო.

წერილი XXI

„Constantinopole, le 30 მაისი 1923

აკაკი! ეს რამდენიმე დღეა აქ სტამბოლში იმყოფებოდა იაპონელი – იამანუჩი. ის იყო გენუაში იაპონიის მთავრობის ექსპერტათ. როგორც იაპონიის ელჩმა გადმომცა ის გავლენიანი კაცია და წევრია უდიდეს ფირმების იაპონიაში. იაპონელებს ძლიერ აინტერესებს ნავთის საკითხი. ესენი ხომ დღემდის ამერიკიდგან იყვნენ დამოკიდებული ნავთის საქმეში, დღეს კი როგორც იცით, ინგლისს უნდა ყველას კისერზე წამოაჯდეს. ესენიც ეძებენ თავის გზებს. კერძოთ ამათ აინტერესებს ნავთის წყაროები საქართველოში. მე ზოგი მასალები მივეცი მათ აქ. ბევრი ჩვენ აქ არაფერი გვქონდა. ეგებ თქვენ გაქვს რამე. ინგლისის მიერ ნავთის მონოპოლია ამათ არ მოსწონთ, არც მოსკოვის მიერ ნავთის ნაციონალიზაცია, არ მოეწონებათ არც „კავკასიის რესპუბლიკების ნაციონალიზაცია" მოსკოვის მიერ. თუ იაპონელებს ერთნაირათ დავაინტერესებთ, შეიძლება პოლიტიკურათ მხარი დაგვიჭირონ გააგაში. ეს იაპონელი მიდის გააგის კონფერენციაზე იაპონიის მთავრობის ექსპერტათ. მიიღეთ კარგათ და მოელაპარაკე ყველაფერზე

შენი კ. გვარჯალაძე."[2]

წერილი XXII

„19/XII 23.

ძმაო აკაკი! დღეს დილით კურიერის ხელით გამოვაგზავნე წერილები. მოიკითხეთ. შინიდგან ამბების შესახებ ვწერ ჩვენ ბიუროს და ნ. რ., რაც კი საჩქაროა. სხვა ცნობებს ამ დღეებში გადმოვაგზავნი. ევგენისაც ვწერ წერილს, ის მეკითხებოდა ერთი რამის შესახებ და ალბათ გეტყვის მასზე. კიდევ ერთხელ მინდა გითხრა, აკაკი, რომ, რაც კი არის მთავარი და საყურადღებო, მეტადრე დიპლომატიური სფეროდგან, ყოველთვის ამის შესახებ შენ გწერდი. ჩემი აზრი იყო, პირველათ ეს შენ გცოდნოდა და მერმედ ამას სხვებიც

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 120, ფურცელი 1-6.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 53.

გაიგებდნენ. რაც შეეხება ოსმალეთში ჩემ მუშაობას, ეს ასე იყო წინედაც და ასეა დღესაც. ვიცი შენაც და ევგენისგანაც, რომ თქვენ ეცნობით ერთათ აქედგან გამოგზავნილ ჩემ წერილებს. მე მქონდა და მაქვს მიწერ-მოწერა ორივე ნოესთან[1]. დიდ ნოეს[2] ეხლა მისი ავადმყოფობის შემდეგ აღარ ვწერ. მათთან განსაკუთრებით საქართველოს შესახებ მქონდა მიწერ-მოწერა. ან ხანდახან ისინი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ წამოაყენებდნენ საკითხებს და მათზე მეც ჩემ აზრს ვწერდი. მართალი გითხრა, ჩემი გონება ვერ მიხვედრილა, მე ვერ გამიგია ის არანორმალური მდგომარეობა, რომელიც დღეს პარიზშია. ოთხი-ხუთი კაცი და ასეთი კარჩაკეტილობა! პარიზელებს უნდა უნდოდეს იმაზე ლაპარაკი, რომ ეხლა ჩვენი ხალხის ბელადებისათვის უაღრესათ საჭიროა ერთათ ფიქრი, ერთათ მოლაპარაკება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ზოგის მიღება, ზოგის დაწუნება და აუცილებლივ ერთი საერთო ხაზის ქონება? მე პირადათ ნოეებთან, კარლოსთან, შენთან, ევგენისთან და ზოგ სხვებთან სამალავი არაფერი მაქვს და სწორეთ წერილებს ისე ვწერ, რომ მათი წაკითხვაც ყველას შეგეძლოთ. ჩემ წერილებს ხშირათ საპასუხო ხასიათი აქვთ და ის შენთვის საინტერესო არ იქნება. ხან იყო შემთხვევა, რომ ყველას გწერდით ერთათ წერილებს, წერილების გამოგზავნა უცბათ დამირჩებოდა და ერთად იმავე ამბავის შესახებ ყველას ცალკე ვერ მოგწერდით. ასეთ შემთხვევაში ხან ერთ ნოეს და ხან მეორეს წერილს დაუხურავს ვაგზავნიდი, რომ შენ წაგეკითხა, როგორც ეს ვქენი ამ უკანასკნელათ, როცა თქვენ ყველას კოლექტიურ აზრს მოვითხოვდი. გარდა ამისა, რაც ვიწერები, წერილებს ყოველთვის გწერთ: შენ, მაგალითად, გწერ – ვუგზავნი ნოეს წერილს, იქ შენთვის საინტერესო ამბებია და წაიკითხე-თქო, ანდა ევგენის თუ ნოეს ვწერ – მოდის წერილი აკაკის სახელზე და ამბებს იქიდგან ამოიკითხავ-თქო. მეტი მე რა უნდა ვქნა? რომ შემეძლოს ემიგრანტულ ფსიხოლოგიის ძირ ბუდიანათ ამოფხვრა, ამაზე სიამოვნებით დაგეხმარებოდი, მაგრამ ეს რომ ძნელი საქმეა, ამას შენ იქ ჩემზე უკეთ ხედავ. ისე, აკაკი, მე სრულიათ გეთანხმები, ხანდახან ძლიერ მაღელვებს ეს კიდევაც, რომ მუშაობის ასეთი წესი არ არის მარგებელი. კიდევ ერთხელ – გაცილებით ნაკლებ, ვინემ სხვებთან, ეგებ გინდა რამე დავმალო შენთან. თუ რამე უნებლიეთ გამომრჩება, მომწერე და ყველაფერზე მოგწერ. შენი კ. გვარჯალაძე."[3]

წერილი XXIII

„ძმაო აკაკი,

თანახმა ვარ, რომ ჩემი წერილების სათაური იყოს: – „ირლანდიის ბრძოლა თავისუფლებისათვის". გარდა ამისა, გთხოვ შენ პირადათ, თუ იქნება კიდევ რამე შესასწორებელი, წაკითხვის დროს შეასწორო ის. ამ მხრივ შენ პირადათ სრულ თავისუფლებას გაძლევ. ახალი ფორმატი მე უფრო მომწონს. ადგილიც მეტია წერილებისათვის და გადასაგზავნათაც უფრო ადვილი იქნება. – საომარი ნომრისთვის შევეცთები ვიშოვო წერილები.

ინგლისელებმა გადმომცეს ინტერნაციონალის ეგზეკუტივში დებრუკერის გამოსვლის შესახებ. ამათ ისე გაუგიათ, რომ დებრუკერი ვითომ

[1] ორი ნოე — ნოე ხომერიკი და ნოე რამიშვილი.

[2] დიდი ნოე — ნოე ჟორდანია.

[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 54.

უკრაინის და კავკასიის დამოუკიდებლობას ებრძოდეს. ბევრი ილაპარაკა უცხოელების დახმარების და ომის ავანტიურაზეთ. მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ აქ ჩვენი საერთო მეგობარი ცუდ როლს არ თამაშობდეს. როცა მე ვიყავი ამ უკანასკნელათ პარიზში ბევრი ველაპარაკე ორივე ნოეს მასთან მორიგებაზე და კომპრომისზე. თვით ირაკლისაც ველაპარაკე ამაზე. როგორც სჩანს, ირაკლი მაინც განაგრძობს ბრძოლას. მას ავიწყდება ერთი რამ - ყველაფერი, რაც მას დღემდინ გაუკეთებია (და მას კი ცოტა არ გაუკეთებია, ეს ცხადია), ეხლა მის მიერვე ინგრევა და იღუპება. გაკეთება იყო ძნელი (ირაკლიმაც არ უნდა დაივიწყოს ის, რომ ევროპაში მის გარდა ჩვენ საკითხზე სხვებიც მუშაობდენ და მათაც აქვთ თავიანთი წვლილი იქ შეტანილი) თორემ წახთენა და გაფუჭება ძლიერ ადვილია. ნ. ჟ. ამბობდა, წერეთელი ჯინიანი კაცია და უკან არ დაიხევს და კალაპოტში არ ჩადგებაო. მეშინია, რომ ის მართალი არ გამოდგეს ამაში. ჩემის აზრით, საჭიროა ეხლავე, თუ უკვე გვიანი აღარ არის, რომ ის ჩააყენოთ კალაპოტში და ამ უცხოელებს ნუ გვისინებს. ის პარტიის წარმომადგენელია და მისი ხაზი უნდა გაატაროს. ყველაზე უფრო ცუდი ის არის, რომ ბევრს ეხლა წერეთელი ისე ესმის, რომ ვითომც ის ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყოს. ეს შეიძლება ასედაც იყოს, ყოველ შემთხვევაში, ეს ჯერ ირაკლის ხმამაღლა ჩვენ შორის არ უთქვამს. რა უხეირო ხალხი ვართ! ვაკეთებთ, ვაკეთებთ და მერმედ უცბათ ვკრავთ წიხლს დასანგრევათ. მე ჯერ ჯერობით ამის შესახებ შენ გწერ. არ ვიცი იქ განწყობილება რანაირია, არ მინდა კი ცეცხლში ნავთი შევასხა. ყველაფერი კი ეს სამწუხაროა.

კეთილი სურვილებით კ. გვარჯალაძე."[1]

გარდა ამ 23 წერილისა, წიგნში შევიტანეთ 1924 წლის მიმოწერა აკაკი ჩხენკელსა და კონსტანტინე გვარჯალაძეს შორის. მაშინ მათი პოზიციები თითქოს გაიყარა, ამის მიზეზიც გამოიკვეთა: ისინი განსხვავებულად ხედავდნენ 1924 წლის აჯანყების საკითხს ისევე, როგორც ბევრი პოლიტიკოსის თვალსაზრისი იყო იმ დროს განსხვავებული, ჩხენკელს მიაჩნდა, რომ იმ პირობებში, როდესაც ევროპა მხარს არ უჭერდა საქართველოს, უიარაღო და მარტო დარჩენილი ქვეყანა ბოლშევიკურ ჯარს ვერ დაამარცხებდა და ეს ამაო სისხლის ღვრა იქნებოდა. გვარჯალაძე კი ბრძოლას უჭერდა მხარს და, მისი რწმენით, თუნდაც დამარცხება საბოლოო მარცხს არ ნიშნავდა. ორივე ამ პოზიციას ჰქონდა ოავისი ლოგიკა. როგორც ჩანს, ეს კარგად იგრძნეს ამ ადამიანებმაც და მათი ურთიერთობა ამით არ დასრულებულა. კარგად იცოდნენ, რომ ორივეს ერთი ეროვნული მიზანი ჰქონდა, ერთი ოცნება — რუსული ბოლშევიზმის დამარცხების წყურვილი და დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. 1929 წელს მის მიერ ჩხენკელისთვის მინერილი წერილიც ამას მოწმობს.

„28 ივნისი 1929. Haverstoun HM

აკაკი,

მაპატიე, რომ დროზე ვერ გიპასუხე შენ წინა წერილზე, მაგრამ საშინლათ დაკავებული ვიყავი და დრო არ მქონდა. თან ნოეს[2] ყოველთვის ეს-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნ. 2, საქ. 404, ფ 59.
[2] ნოე — ნოე რამიშვილი.

თხოვდი მის წერილებზე ჩემი პასუხი თქვენთვისაც წაეკითხვინებინა. ამ-ბებს ალბათ იქიდგან გებულობდი. ნუხელ საღამოს გადმოვუგზავნე მას მაკდონალდ–ჰენდერსონის პასუხი ჩემდამი. ალბათ უკვე გადმოგიგზავ-ნიდა. დღეს ევგენისაც ვწერ ოფიციალურ წერილს და იმასაც ნაიკითხავ. ხელ–ახლათ აღარ გავიმეორებ, რასაც იქ ვწერ მათ. მხოლოთ მინდა კერ-ძოთ ერთი რამე გითხრა. დღეს დილით მივიღე ნ. ჟ. წერილი, სადაც ის მწერს, რომ ჩვენ უთუოთ უნდა გვქონდეს მთავრობის პასუხი, იქნება ის დადები-თი, თუ არა დადებითი. თუ იქნება დადებითი პასუხი და ეს ჩვენ ნინდაწ-ინვე გვეცოდინება, ის რასაკვირველია, უნდა გვქონდეს ჩვენ. თუ მთავ-რობის პასუხი იქნება არადადებითი, ამას დიდათ უნდა ვერიდოთ, რადგა-ნაც ამას შეუძლია ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა კიდევ გააუარესოს. ასეთ პირობებში უკეთესია მთავრობას არ უჩხიკინოთ, არ გავახელოთ ის და ცუდი რამე არ ვათქმევინოთ. ეს არის ჩემი გადაჭრილი აზრი და სანამ ჩვენი ზურაბის სხვანაირ აზრს ევგენი გეგეჭკორის ხელის მოწერით ოფი-ციალური წერილით არ მივიღებ, ამ ხაზს მე არ გადავცილდები.

ნოეს მიერ ასეთ ნაირათ კითხვის დასმაზე ალბათ იმოქმედა თქვენ მიერ მიღებულმა ცნობებმა ალენის შესახებ. ალენი ეხლა უკან იხევს და ამბობს სულ წინააღმდეგს: მე ეს ისე ვსთქვი, თორემ ასეთი რამის გაკეთება, როგორ შემიძლიანო. არასოდეს არ ვარგა გადამეტება და ილუზიების შექმნა. მა-გრამ მას ალბათ არ ეგონა, რომ ჩვენ მის ნალაპარაკევს ამდენ ყურადღებას მივაქცევდით. ჩემთვის პირადათ ისიც საკითხი იყო, რომ თუგინ ალენს შესძლებოდა ის, რაც თქვენ მოგწერეს, ამ შემთხვევაშიდაც თუ ყოველ პირობებში მთავრობისადმი შეკითხვის შეტანა მიზანშეწონილი იქნებოდა. ამის შესახებ ვრცლად ვწერ ევგენის. ალენი ამ დილით წამოვიდა პარიზში, შეიძლება შემოიაროს შენთან. სუმბათაშვილს ჩემთვის არაფერი უთქვამს და არც მინახავს. გუგუშვილს კი ხშირათ ვხედავ.

ჯანმრთელობა და კარგათ ყოფნა,

კ. გვარჯალაძე."[1]

აკაკი ჩხენკელის წერილები გენუიდან პარიზში, საქართველოს მთავრობისადმი

წერილი პირველი

„1922 წლის 23 აპრილი, სანტა მარგარიტა

საქართველოს მთავრობას

„ნ. რამიშვილის დეპეშა მივიღე. მართლაც, კომისიას შანცერისთვის მიუნდვია საქმის გამორკვევა და არა ფაქტასათვის[2]. ინიციატივა აუღიათ

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქ. 404, ფ. 57.

[2] ფაქტა, — ლუიჯი ფაქტა (1861-1930). იტალიელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ხელმძღვანელობდა მინისტრთა კაბინეტს 1922 წლის 26 თებერვლიდან 1922 წლის 31 ოქ-ტომბრამდე. ის იყო იტალიის მინისტრთა საბჭოს ბოლო თავ-რე.

ბრანტინგს[1] და მოტას[2], ბარტუს[3] და ლ. ჯორჯს მხარი დაუჭერიათ. დღეს გავიგეთ, რომ შანცერს უკვე ჰქონია მოლაპარაკება მოსკოვის დელეგატებთან. sans résultat — გვითხრეს, ლაკონურათ. ის ალბათ მოახსენებს კომისიას და მაშინ გავიგებთ უფრო დაწვრილებით. მე გავუგზავნე გვარჯალაძეს დეპეშა, რათა მოეხერხებინა ჰო კომისრების[4] მიერ საქართველოს (სვანეთის) ამბების დადასტურება. ამასვე ვთხოულობდი პარიზიდან, და თუ სამინისტროში აქვთ საკუთარი ცნობები ჩვენში ამბოხების შესახებ, გამოეგზავნათ აქაურ დელეგაციისათვის. უამისოთ გვაფიქრებს, რომ ჩვენი ცნობები სარწმუნოდ არ ჩაითვალოს, და მოსკოველებიც ხომ არავითარ საშუალებას არ დაერიდებიან მათ გასაბათილებლათ. გარდა იმისა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა უნდა ინახულოს პერეტი, ფინანსთა მინისტრმაც ხშირათ ინახულოს ისინი, ვისთანაც ჩვენ საქმე გვაქვს. შეიძლება მისი ინფორმაცია აქ გამოგვადგეს.

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ჩვენი საკითხი ერთგვარ პატარა ფოკუსად იქცა გენუაში, მეგობრებს თითქოს განზრახვაც აქვთ, გამოიყენონ იგი მოსკოველებისა და მათი მფარველების წინააღმდეგ. ეს გამოჩნდება სამანდატო კომისიაში, რომელიც შეუდგება ალბათ თავის საქმეს, და ეს საქმე ფაქტიურათ რუსეთს და ჩვენ შეგვეხება, სხვა ქვეყნების მანდატების განხილვა ერთი წუთის ფორმალობაა. ვისაც კი შევხვდებით, თითქოს გვილოცავენ, თქვენი საკითხი ძლიერ საინტერესო ხდებაო. გაზეთების რეპორტიორები კი დაგვდევენ, წინეთ ჩვენ დადევდით. ბეჭდავენ ინტერვიუებს, წერილებს, მასალის მოკლე შინაარსი გამოგეგზავნებათ. ამერიკის „ასოც. პრესსის" წარმომადგენელი დავაინტერესეთ, უკვე გაუგზავნა ვეება დეპეშა ყველა გაზეთებს. სტიდი ვნახეთ. ის სასტიკათ კიცხავს ლ. ჯორჯის პოლიტიკას, უწინასწარმეტყველებს მას დამარცხებას და მაშინ თქვენი საქმეც გამოსწორდებაო.

რა თქმა უნდა, ყველა ეს გვაძლევს კიდევ ბრძოლის გარანტიას. თუ რუსეთთან შეთანხმება განხორციელდა, ინტერესი ჩვენდამი ისევ დაიწევს. ფრანგები ცუდ გუნებაზე არიან, გრძნობენ, რომ მახეში გაებენ, როცა კანში ბრიანმა დათმო ბევრი, რომ ახლა გვიანია უკანდახევა. მათ და ინგლისელებს შორის უნდობლობაა და ჯორჯი თითქოს დაემუქრა დღეს ფრანგებს, ფრსხილათ, თორემ ალიანსი გაქრებაო. დასაწყისში ფრანგები თითქოს გარიყულნი იყვნენ, ახლა კი მათი წონა მატულობს. ყველა ხედავს, რომ რუს ბოლშევიკებთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა. ფრანგები ამბობენ: ვთქვათ გარანტიები მოგვცენ, მაგრამ გარანტიების გარანტიები სადაარ! შეიძლება ამ კონფერენციამ ნდობის მაგიერ დიდი უნდობლობა დათესოს ხალხთა

---

[1] ბრანტინგი, — ბრანტინგი, — კარლ იალმარ ბრანტინგი (1860-1925), შვედი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსი, პირველი პრემიერ-მინისტრი შვედეთში სოც-დეკების პარტიიდან.

[2] მოტა, — მოტა, — ჯუზეპე მოტა (1871-1940), შვეიცარიელი პოლიტიკოსი, ფედერალური საბჭოს წევრი, პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი. 1920 წელს შვეიცარიის პრეზიდენტი, ერთა ლიგის გენერალური ასამბლეის თავ-რე 1924-1925 წლებში

[3] ბარტუ, — ლუი ბარტუ (1862-1934). ფრანგი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე III რესპუბლიკის პერიოდში.

[4] ჰო კომისრები — ანტანტის ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლები კონსტანტინოპოლში.

შორისო. ვიზების შესახებ ნოტა მივეცი შანცერს კავკასიის კავშირის სახელით, ამბობენ, კარგი იქნებოდა სხვა რესპუბლიკებიც ახმაურებულიყვნენო, დელეგატებს კი არ უშვებენ!

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი მეორე

„სანტა მარგარიტა, 24. IV, 1922

საქართველოს მთავრობას

მხოლოდ დღეს დილით დავიჭირე ბრანტინგი. გათენებისას წავედი პირდაპირ მასთან ავტომობილით, ქალაქგარეთაა შორს. ასე ყოფილა საქმე მცირე კომისიაში, რომელიც გამოყოფილია პირველად დიდ კომისიიდან რუსების საქმეებისათვის, ბრანტინგს აღუძრავს საკითხი ჩვენი თავმჯდომარის ტელეგრამის შესახებ და მოუთხოვია რამე ზომა სისხლისღვრის შესაჩერებლათ, მოტას მხარი დაუჭერია, ხოლო ბარტუს შეუტანია წინადადება, მინდობოდა შანცერს მოლაპარაკებოდა რუსებს, რასაც მიმხრობია ლოიდ ჯორჯი. ჩემს კითხვაზე ბრანტინგმა თქვა, შანცერმა უნდა მოგვიტანოს თავის მოლაპარაკების შედეგიო. მე მას ვუთხარი, თუ რას ეტყოდნენ რუსები შანცერს: რომ ქართველებმა მიიწვიეს რუსები, თავზე ევლებიან მათ, არავითარი აჯანყება და სამხედრო შეტაკება არაა და სხვ. მოვამზადე რაც შეიძლება სადისკუსიოთ, გადავეცი მასალები და ერთხელ კიდევ წერილობით გადავეცი დასაცავი დებულებანი. აღმითქვა, რომ ეცდება. ეხლა უნდა ვნახო სხვები, მაგრამ უბედურება ისაა, რომ პირდაპირ გაურბიან შეხვედრას, ან არ სცალიათ.

ვნახე სნოუდენის[2] ქალიც, რომელიც ორი დღით ლ. ჯორჯის ოჯახში იქნება აქ, მოვამზადეთ ძალიან: გადავეცით მასალა და ვთხოვეთ 5 წუთით მაინც მოეწყო ჩვენი შეხვედრა ლ. ჯორჯთან. აღგვითქვა ეცდება და ველით პასუხს.

ამბობენ, კონფერენცია განიცდის კრიტიკულ მომენტსო, შაბათამდე ვერ გასტანსო, მაგრამ დანამდვილებით არაფერი ითქმის. შანცერს სანჩოს ეძახიან, ხოლო ლ. ჯორჯს დონ-კიხოტს. რუს-გერმან. პირობამ ერთობ გაამწვავა მდგომარეობა. არის ნიშნები, რომ კულისებში იყოფენ კავკასიის ნავთს.

ფინ. მინისტრს ვთხოვ, რომ რაც შეიძლება მეტი ცალი გამოგზავნოს მისი ეკონომიური გამოსვლებისა, აგრეთვე დანარჩენი მასალა-ბროშურები.

ვიზების შესახებ განკარგულება გაგზავნილია როგორც ჩვენთვის, ისე მეზობლებისთვისო, მაგრამ შეიძლება ახლაც გვატყუებენ, დეპეშა გამოვგზავნე.

როგორც ვიწერებოდი, თავი და თავი არა ხომერიკის დეპეშებია, არამედ ჰ. კომისრების ოფიციალური დასტური. ველი სტამბოლიდან პასუხს.

ჟანტიზონმა გავგზავნე თქვენს შესახებ დეპეშა „Temps"-შიო, უთუოთ გამოვა.

პირდაპირ გაგვაძაღლა ასე შორს ყოფნამ. დილით ადრე მივდივართ

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა2, საქმე 61, ფურც. 1.

[2] სნოუდენის ქალი, — საუბარია ეთელ სნოუდენის, ინგლისელი სოციალისტის, ლეიბორისტული პარტიის ლიდერის მეუღლეზე.

გენუაში და მთელი დღე ქუჩაში ვართ, თან ხარჯები აუტანელია, მხოლოდ გუშინწინ ვიშოვეთ ორი უფასო ბილეთი, დაგვპირდენ კიდევ.

ბუდუს არ აჩვენებენ ჟურნალისტებს, ავათაააო.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი მესამე

„სანტა მარგარიტა, 26. IV, 1922

პირველ მდივანს

წერილები მოვიდა სამივე, ახლა რეგულარულათ მოდის. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ პერეტისთვის გაგეგზავნათ ფინანსთა მინისტრის მიერ შედგენილი ეკონომიური ექსპოზეები? საწინამძღოლო წერილში უნდა გეთქვათ, რომ დაკავშირებით ჩემი მასთან პირადი ლაპარაკისა, ეგზავნება. ინტერპარტიულ კონფერენციის ორიგინალი გვინდოდა აქაურ კონფერენციაზე ოფიციალურათ წარსადგენათ. ამ რიგათ ნარვადგინე უკვე საქართველოდან მოსული მემუარი. არქივისთვის შეგეძლოთ ოფიციალურათ შემოწმებული პირი დაგეტოვებინათ და გეთქვათ, რომ დედანი გენუის კონფერენციას გადაეცაო. მასაც აქვს თავისი არქივი. ნოტა მანდვე გადაეცით იტალიის ელჩს ამ შემთხვევაში. ამას გარდა, კონსტიტუცია უნდა გაეგზავნოს მთავარ რედაქციებს, უნივერსიტეტებს, მთავარ ნაციონალურ ბიბლიოთეკებს და სხვ, ბრიტანეთის მუზეუმს ცალკე.

ყველა მასალა, რომელიც ჩვენ წამოვიღეთ (ბაბემ იცის) უნდა გამოიგზავნოს 20-30 ცალი თითო. მოელაპარაკეთ ფინანსთა მინისტრს.

კიდევ გაეგზავნა დეპეშა დღეს სფორცას[2] ნაცნობისაგან, მისცეს აზერბაიჯანს და მთას ვიზები. შეატყობინეთ ეცადონ.

აკ. ჩხენკელი."[3]

წერილი მეოთხე

„სანტა მარგარიტა, 27. IV, 1922

საქართველოს მთავრობას

გვარჯალაძისგან მოვიდა დეპეშა, საიდანაც სჩანს, თითქოს მოძრაობა ფართოვდება ჩვენში, ასლს გამოვგზავნით. გადავცემთ აქ კონფერენციას და პრესას. მეორე დეპეშით მიპასუხებს შეკითხვაზე, რომ ჰო კომისრებს აქვთ საკუთარი ცნობები, ატყობინებენ თავიანთ მთავრობებს და ვეცდები გენუაშიც მიაწვდინონ ეს ცნობებიო. საეჭვოა მოხერხდეს ეს, თუ პარიზში არ ვეცადეთ მისნერონ ბარტუს. ველი, რა პასუხი გასცა პერეტიმ ევგენის. დღეს უკვე გავიგე, რომ შანცერმა მარტო წერილის გაგზავნით შეასრულა თავისი მისია რუსებთან, სიტყვიერათ არ ულაპარაკნია, ეტყობა, მოტამ გვითხრა, რომ ბრანტინგის და მისი გამოსვლა ჰუმანიტარული ხასიათისა იყოვო, პოლიტიკურათ არ შეგვეძლო შევხებოდითო. ბევრი მტკიცება დამჭირდა და ბოლოს დავარწმუნე, თითქოს რომ ჩვენი საკითხი თავისთავად იქცა პოლიტიკურად დაკავშირებით რუსების მანდატისა, კანის რეზოლუციისა და ვთხოვე სიტყვის შეწევა. დამპირდა მასალას შევისნავლიო.

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 61, ფურც .2

[2] კარლო სფორცა (1872-1952), იტალიელი დიპლომატი, ანტიფაშისტი.

[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 61, ფურც. 4.

ვნახეთ „Forwats"-ის კორესპონდენტი, მან განაცხადა, რომ ეს თვით რატენაუ იყო, რომელმაც განაცხადა ჩემს შეკითხვაზე, რომ საქართველოს შესახებ არ გვქონია ლაპარაკი რუსებთანო, და აქედან, ის არ არის ნაგულისხმები ხელშეკრულებაშიო. ეს აზრი დამიდასტურა კატეგორიულათ აგრეთვე ჰალფერდინგმა.

გავიგეთ, თითქოს ფრანზონი დაუბარებიათ თფილისიდან და ის უკვე გზაშია სტამბოლიდანო. ესეც იმის მაჩვენებელია, რომ კავკასიის საკითხი იტალიელებსაც ძალიან აინტერესებთ და თითქოს რყევაში არიან, ვის ელაპარაკონ, მოსკოვს თუ ჩვენ. ინგლისელების ხაზი მოსკოვია, იტალიელთაც იქითკენ ეპატიჟებიან, ლაპარაკს უკვე განაგრძობენ აქ მენავთენი რუსებთან, ეს უეჭველია, ხოლო ხალხს კონფერენციის ამა თუ იმ ინციდენტით ართობენ.

გვყავდა დღეს საუზმეზე „Temps"- ის კორესპონდენტი, როდენი და ჟანტიზონი, პირველი მომზადებულია საკმაოთ, გრძნობს ინგლისელების მუშაობას კულისებში და უნდა ხელი შეუშალოს, თუ მასალა ექნა ამას ალბათ იშოვის და დასწერს, ატყდება განგაში ამასთან დაკავშირებით, სპეციალ ყურადღებას მიაპყრობს საქართველოს და კავკასიას. არის ერთგვარი ინტერესი აქ სხვა რესპუბლიკებზეც. ზოგმა შემოგვჩივლა, რომ კავშირის სახელით არ აკეთებთ დეკლარაციასო. ვიზებს არაფერი ეშველა აზერბაიჯანელებისათვის. როგორც ეტყობა, აქაურმა მთავრობამ მისცა პირობა მოსკოვს, არ ჩამოეშვა ისინი. კარგი იქნებოდა, სფორცასთან ჩვენც დავხმარებოდით მათ, თუ განაცხადეს უკრაინელებსავით, ნავთს არავის დავანებებთო, ერთგვარ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ჩერმოევის ფრანგი ჩამოვიდა და ჩვენც გამოგვადგება ალბათ, რადგან კარლოს აქვს თითქოს მოწერილი მისი გამოყენება.

რუსებისათვის რაღაც ულტიმატუმებს ამზადებენ. მაშინ გამოირკვევა ბედი კონფერენციისა, იქნებ ჩქარა დაიშალოს, თუ ვერ მორიგდენ, ეს იქნებოდა კარგი, მაგრამ ლ. ჯორჯი ალბათ ეცდება რაღაც დადგენილებები გამოატანიოს, თუგინდ მათ არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ქონდეს.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი მეხუთე

„სანტა მარგარიტა, 18. IV, 1922

საქართველოს მთავრობას

წერილს ნარნერა აქვს: საიდუმლო. ზურაბი[2] ჩამოვიდა

გუშინ საბოლოოდ გამოვარკვიეთ, რომ კითხვა ბოლშევიკების დაშვების შესახებ, საქართველოს სახელით, ჯერ არაა გადაწყვეტილი. შეიძლება ის კიდეც გაჭიანურდეს. თუ მივიღებთ სახეში ფრანგების ასეთ განზრახვას: არ უნდათ ამაზე მისცენ ბრძოლა მოპირდაპირეთ. ეს საკმაოთ ნათლათ გამოთქვა ბარერმა, რომელიც უხელმძღვანელებს ამ საქმეს ფრანგების მხრით. არ სჩანდა, რომ პრესაში გავრცელებულ ინციდენტს ჰქონოდა

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 61, ფურც. 3

[2] ზურაბ ავალიშვილი.

ალაგი. თუმცა შეგვპირდა მტკიცედ დაიცავდა ჩვენს საქმეს, როცა ჯერი ჩვენზე მოვაო. ეს ნიშნავს იმას, რომ არსებობს ვიწრო კომისია იურისტებისაგან, რომელმაც უნდა წარადგინოს თავისი აზრი მანდატებზე. ჩვენ ვნახეთ მისი თავმჯდომარე იტალიელი ჩელეზია და დიდხანს ვილაპარაკეთ. მან გვითხრა: მოსკოველმა ბოლშევიკებმა განაცხადეს, ჩვენ გვაქვს მანდატი საქართველოსგანო. ჩელეზია იზიარებს იმ აზრს, რომ საქართველოს დღევანდელ მდგმარეობაში არ შეეძლო მანდატის გაცემაო, თან იგი არ არის სულაც მოწვეულიო. მან დაგვაიმედა შეისწავლიდა საგანს საფუძვლიანათ, მივეცი მასალა. სხვათა შორის, მან განაცხადა თითქოს შანცერს მიეცეს მისთვის როგორც დირექტივა, ne pas compromettre საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაო. საინტერესოა, მას დოსიეში არ აღმოაჩნდა გეგეჭკორის ნოტა. იმდენათ მოუწყობელია, ალბათ პრეზიდანტსი არ გადაუციათ კიდევ. ჩვენ მივეცით ასლი. ბელგიელმა, ვინმე ვიკონტ დავინიონ, უფრო გადაჭრით გვითხრა: ნუ გეფიქრებათ, არ დაუშვებთო. ის შეფია ჟასპარის კაბინეტის და აღმითქვა შეხვედრის მოწყობა მასთან. რაც შეეხება ინგლისელს, ვინმე სესილ ჰორსტს და იაპონელ ჰატოიმას, შინ არ დაგვხვდენ, დავუტოვეთ მასალა და ვეცდებით დღეს ვნახოთ. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს არ უნდა წავაგოთ საქმე. ერთმა ბრიტანელმა (არ იკითხება კარგად, დ. ჭ.), რომელიც დაძვრება რუსებთან და გერმანელებთან, გვითხრა, რომ მოსკოველებმა იციან თქვენი ჩამოსვლა და შეფიქრიანებული არიან და თვალყურს გადევნებენო. მას გონია, რომ იტალიელებს არ უნდათ თქვენი მომდურება, მაგრამ ისე დაინტერესებული არიან რუსეთთან ნორმალური დამოკიდებულების ჩამოგდებაში, რომ მათი მოქმედება გენუაში ძალაუნებურათ თქვენ წინააღმდეგ იქნება მიმართულიო. მე ის გავიცანი კიდევ რომში ეტისთან[1] და ვნახავთ ხშირათ, რომ გავიგოთ რა ხდება მტრების ბანაკში. კონფერენციის საქმე ვერ უნდა იყოს საერთოთ კარგათ: მოსკოველები ზოგად ფრაზეოლოგიას ვერ სცილდებიანო, შეიძლება ამ ორ-სამ დღეში შევწყვიტოთ მათთან ლაპარაკი, თუ არ დაგვეთანხმენ წარდგენილ პირობებშიო. ეს გამოდის ფრანგ. ბელგ. წყაროებიდან, მათ უხარიათ კიდეც. ვფიქრობ მოსკოველები ბოლოს დაეთანხმებიან ყველაფერში.

ვიზების საქმე კიდევ ვერ მოგვარდა: შანცერის ნახვა გაჭირდება (ვცდილობ კი), ისე ეტყობა, სხვებისგან არაფერი გამოვა. სფორცა უნდა ინახულოს ევგენიმ უთუოთ.

აკ. ჩხენკელი."[2]

წერილი მეექვსე

„სანტა მარგარიტა, 21. IV, 1922

საქართველოს მთავრობას

როგორც გადმომცეს, დღეს დილით პირველად პოლიტიკურ კომისიაში წაუკითხავთ თავმჯდომარის დეპეშა ჩვენში სამხედრო მოქმედების შესახებ და მიუნდვიათ თავმჯდომარე ფაქტასათვის — მოთხოვოს რუსე-

[1] ეტი, — პერეტი დე ლა როკას შემოკლებული ვარიანტი.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 61, ფურც. 5.

თის დელეგაციას paplikations და სისხლის ღვრის შეჩერება. მეორე ცნობით, რომელსაც შემოწმება ეჭირვება, თითქოს ფაქტას დაევალა გასცეს წერილობითი პასუხი ჩვენს თავმჯდომარეს.

მცირე კომისიას ჯერ კიდევ არ განუგრძვია მანდატების განხილვა. მარწმუნებენ, შიში ნუ გაქვთო. ინგლისელი სესილ ჰორსტის აზრი კიდევ დამიდასტურეს, რომ საქართველოს სახელით, რომელიც არაა მოწვეული, არავის არ დაუშვებთო, მისი ნახვა კი შეუძლებელი გახდა ჯერ კიდევ.

გერმანელების პასუხი უკვე იცით, აგრეთვე რუსების. საერთოთ დამაკმაყოფილებლად თვლიან როგორც ერთს, ისე მეორეს, უკანასკნელთა პასუხი შეიძლება ბაზად დაედოს მოლაპარაკების განგრძობასო. ამიტომ აირჩიეს ექსპერტების მცირე კომისია 7 წევრისაგან. ამათ ნახვას ვეცდებით და გადავცეთ იქნებ ეკონომიური მასალა. კონფერენციის თავმჯდომარეს კი გადავეცით ჯერ გეგეჭკორის ნოტა, შემდეგ ავალიშვილის მიერ ჩამოტანილი მემუარი და დღეს კი ჩვენი პარტიების და კათალიკოსის მონაწერი. ჯერ მათ არავინ დახედავს, შეიძლება სულაც არ განიხილონ, თუ კონიუნქტურა არ შეიცვალა.

ასეთი რამ თითქოს ემჩნევა, და ეს ალბათ გერმ.რუს. ნახტომის შემდეგ პრესა ინტერესს იმჩნევს. დღეს ექვსამდე გვქონდა წინადადება ინტერვიუს და სხვა მასალების გადასაცემათ. ხვალ გვაქვს დანიშნული შეხვედრა მათთან, ხომერიკის ახალ დეპეშასაც გადავცემთ. ცოტა გაუგებარია როგორ ხდება ასეთი ამბები ერთ კუთხეში და დანარჩენ საქართველოში შეყურებენ „სეირს", ალბათ ანტანტას კომისრებს არაფერი ცნობა არა აქვთ სტამბოლში. საჭიროა გარეშე საქმეთა მინისტრმა ინახულოს პერეტი დე ლა როკა, გააცნოს მეორე... დე, მას კითხოს, აქვს თუ არა ცნობა და თუ აქვთ, მოსწეროს თავის დელეგაციას აქ სათანადო დირექტივები, საჭიროა აგრეთვე იკითხოს, რა პასუხი გასცენ აქედან ჩემს მემუარს, რომელიც იქიდან უნდა გამოეგზავნათ აქ დირექტივებითურთ, აგრეთვე ბოლშევიკების შესახებ, მათი ცდა საქართველოს წარმომადგენლობისა.

საუბედუროთ, რამდენს რას არა წერს „Temps"-ი და ერთხელაც არ შეიძლება გაერიოს ჩვენი სახელი. მე ვფიქრობ, არაა საკმარისი, შეიძლება ნაკლიცაა, რომ მარტო ერთი პირი და ისიც არაქართველი ელაპარაკება რედაქციას. საჭიროა სხვამაც ნახოს, განუმარტოს, დაინტერესებაც კი შეიძლება. კრასინის ინტერვიუ დაბეჭდეს, ცენტრში ნავთი იყო და გაზეთმა კი ვერ ნახა საჭიროდ უბრალო შენიშვნა გაეკეთებინა. ახლა მაინც, როცა გაზეთს არაფერი სწამს გენუის კონფერენციისა, უნდა მიაქციოს ყურადღება კავკასიას. ჟანტიზონი ვნახეთ, ვეცდებით მოვაწერინოთ. აქედან გენუის ერთმა გაზეთმა დასწერა დიდი ასოებით რუს. გერმ. „ტეტეს" შემდეგ კონფერენციაზე მოლაპარაკება ექნებათ ანტიბოლშევიკურ ძალებთანო და დასახელებულნი იყვნენ განაპირა ქვეყნები, უკრაინაც. ეს მართალი არ იყო, მაგრამ მომენტს ახასიათებდა.

მივიღე, როგორც იქნა, ფოსტა პარიზიდან.

აკ. ჩხენკელი."[1]

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 61, ფურც. 7.

წერილი მეშვიდე
„სანტა მარგარიტა, 20. IV, 1922
საქართველოს მთავრობას

ეს ორი დღე დიდი აურზაურით ჩაიარა. თქვენ იცით მიზეზი, რუს.გერმ. ხელშეკრულება. სანამ ეს წერილი მოგივათ, თქვენ უკვე გეცოდინებათ რითი დამთავრდა ეს. ამიტომ მე არ ვეხები მას. თავისთავათ ცხადია, რუს.გერმ. გამოსვლა ამტკიცებს ანტანტას, მაგრამ ამან შეიძლება ჩვენც კარგი ნაყოფი მოგვიტანოს. აჩრდილი რუს. გერმ. ალიანსისა, და ამას კიდევ ოსმალეთი თუ დაემატა, ბევრს უფრთხობს აქ ძილს, პირველ რიგში ფრანგებს. ამ პირობებში რუსეთის დასუსტება, მისგან რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის ჩამოგლეჯა, თითქოს მათ ინტერესს შეეფერება. საინტერესოა, რომ ამ მხრივ ფრანგები უკრაინელებსაც კი აძლევენ იმედებს: იქ პუანკარე ღებულობს მათ წარმომადგენლებს...

სამუშაო პირობები საძაგელი იყო, არცერთი მეთაურის ნახვა არ შეიძლებოდა, მუდამ ბჭობაში იყვნენ. ჯერ, როცა მეორე და მესამე პირებს ელაპარაკები, არაფერი რჩება თავში, როგორც ცერცვი კედელს, ყველა იმის ფიქრშია, როგორ დამთავრდება „კრიზისი". ლ. ჯორჯმა უთუოთ იცოდა, მან ამიტომ მთელი რისხვა გერმანიას დაატეხა, რომ რუსეთი გამოთიშოს. ეს ხომ მოლიპული გზაა ფრანგებისათვის. ისინი გვარწმუნებენ ნუ გეშინიათო, ბარერს კიდევ შევხვდით „უცაბედათ", მაგრამ ვაი თუ გერმანიის აჩრდილის წინაშე კიდევ დათმონ, როგორც ჩვეულებრივ. არ იქნა და არა ინგლისელების შეხვედრა. არასდროს არ არიან შინ. მაჩაბლებმა გაიცვნეს შემთხვევით ლორდი ბირკენჰედი, ოჯახობით, რომელმაც მიიპატიჟა ისინი თავის იახტაში (ის ხომ ლორდ ჩანსელერი არის და ერთ-ერთი ლიდერი კონსერვატორების, არის აქ დასასვენებლათ ვითომ, ბჭობს კი ყოველდღე ლ. ჯორჯთან). ბევრი ელაპარაკნენ მას. მაგრამ ვეჭვობ, სიტყვა შეგვანიოს სესილ ჰორსტს, რომელიც ვერასგზით ვერ ვნახეთ, ინგლ. პრესბიუროს შეფი მივუგზავნეთ (მაკლოურ) და შემოგვითვალა, თქვენი საქმე ხომ ნათელია, საქართველო არ მოუნვევიათ და მაშ, მისი სახელით სხვას როგორ შეუძლია ილაპარაკოსო. მე მაინც არა მაქვს მათი იმედი. არის ერთი ნიშანი: სკარმუნტმა გვითხრა, ჩვენ პირობა გვაქვს დადებული რუსეთთან მათ შინაურ საქმეებში არ ჩავერიოთო. ეს აზრი მას უთუოთ ლონდონში ჩააგონეს. უნდა ვედავო მათ დელეგაციას, თუ დავიჭირე, რომ ისინი სიბრიყვეს ჩმახავენ, ჩვენი საკითხი საერთაშორისოა და არა შინაური. ბრანტიანო დავიჭირეთ, მაგრამ სიტყვა არ მოგვაცვლევია, სხვა დროს მინახულეთო. სნოუდენის ქალს ვეძებ, აქ უნდა იყოს, იქნება ის მივუგზავნოთ. ვიყავით აქაურ არქიეპისკოპოსთან და გადავეცით ამბროსის წერილი, ახლავე გავუგზავნი პაპსო, შანცერსაც მოველაპარაკებიო, ასევე გვითხრა ერთმა გავლენიანმა სენატორმა და პუბლიცისტმა (იტალ. მორელო). ბრანტინგი კიდევ ვერ ვნახეთ.

ჩვენი კითხვა თითქო მართლა ნათელია, მაგრამ თუ რუსებს შეუთანხმდენ, შესაძლოა ჩვენ ამ კომბინაციის მსხვერპლი გაგვხადონ. ვიზების საქმე სანიმუშოა ამ მხრივ: გვეუბნებიან განკარგულება გავეცითო, პარიზში კი არ მოდის!

ხვალ დილით ბიურო და შრეიდერი გენუაში გადაგვყავს. ჩვენც გვინდა იქ გადავბარგდეთ. რუსებთან სიახლოვე ხელსაყრელი არაა: დაგვდევენ ჯაშუშები. ჯერ მე წერილი არ მიმიღია პარიზიდან, რა მიზეზია? ფულსაც ველით.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი მერვე

სანტა მარგარიტა, 26. IV, 1922

„საქართველოს მთავრობას

კონფერენციის გენ. სეკრეტარმა... გადმოგვცა, რომ დღეს მას შანცერის მიერ ხელმოწერილი წერილი გადაუცია მოსკოვის დელეგაციისათვის, სადც ის მოითხოვს რუსულ მცირე კომისიის სახელით, რომ ტერორის რეჟიმი გაუქმებულ იქნეს საქართველოში. დღეს მითხრა ამ კომისიის ერთმა წევრამა, ჯერ არაფერი მოუხსენებია შანცერს ჩვენ მიერ მინდობილ საქმეზეო, აქედან ვასკვნი, რომ ის ამ წერილით იწყებს „მინდობილ სამეს". რა თქმა უნდა, ამ მიწერ-მოწერას იმდენი მნიშვნელობა არ აქვს, პირიქით, მას „შინაურ" საქმის ელფერი აძევს, მაგრამ ამ ნიადაგზე შეგვიძლია კითხვის გაღრმავება. აგრეთვე ლ. ჯორჯის ახალი გეგმის „პაქტ"-ის პოლიტიკურათ დავსვამთ კითხვას: უფლების აღდგენა, ევაკუაცია.

საჭიროა მხოლოთ პარიზიდან დახმარება, საფუძვლიანი მოლაპარაკება სამინისტროში, რომ მისცენ ბრძანება დელეგაციას დასვას საკითხი, როგორც რიგია, გამოიჩინოს თაოსნობა. **ამდენი ტკბილი სიტყვები და საქმით არაფერი, პირდაპირ წარმოუდგენელია.** უნდა ეთქვას: რუს.-გერმან. კავშირის შემდეგ ცხადზე უცხადესია რუსეთს არ მოშორდეს არარუსული ტერიტორიები და მით ფრთა შემოეკვეცოს. ეს საფრანეთის ინტერესია. გუშინ კიდევ ვნახეთ ბარერი, ბევრი რამ ვუთხარი რუსეთზე და მან საჭიროდ დაინახა უფრო მჭიდრო კავშირი გვქონდეს მათ დელეგაციასთან, საქმით კი არ ასრულებენ! **ეტყვი, ერთი ყურიდან მეორეში გადის, თავში არაფერი რჩებათ.** კონფერენციიდან არაფერი გამოვაო, მისი აზრით. ბენეშმაც[2] იგივე მითხრა და დასძინა— რუსეთს არ იცნობენო.

იტალიის ოფიც. და უფრო არაოფიც. წრეებს შეფიქრიანება ეტყობათ რუსეთის მიმართ და ახლა უფრო ყურადღებით ეპყრობიან ჩვენს საკითხს. დღეს მაგალითად. იტალიის პრესსის წარმომადგენელმა კითხვა დაუსვა სამინისტროს წარმომადგენელს (ყოველ დღე თვითეული დელეგაცია აწვდის ინფორმაციას თავის პრესას), როგორ უყურებთ საქართველოს კითხვასო. პასუხი: ეს კითხვა პირდაპირ არ უდგას კონფერენციას, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სტატუტი, როგორც ჩვენ მიერ ცნობილია, ხელუხლებელი უნდა დარჩესო. მეორეს მხრით, სენა-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 61, ფურც. 8.

[2] ბენეში, — ედუარდ ბენეში (1884 — 1948) — ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ჩეხოსლოვაკიის მეორე პრეზიდენტი 1935-1948 წლებში (1938-1945 წლებში იმყოფებოდა დევნილობაში, თუმცა პრეზიდენტის ტიტული არ შეწყვეტია). ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1918-1935 წლებში. ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი საზღვარგარეთ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

ტორი კონტი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კავკასიის საკითხში, მას მინდობილი აქვს მისი დამუშავება, და ის კი გვარწმუნებს, რომ სრულიად ჩვენს მხარეზეა. ასევე დაინტერესებულნი არიან ზოგიერთი დეპუტატი და თითქმის მთელი პრესა ჩვენდა სასარგებლოთ. შანცერს ყოველდღე ელაპარაკება ვინმე ჩვენ შესახებ, რა თქმა უნდა, მთავრობა არაა ჯერ კიდევ მთლათ სანდო, მაგრამ საზოგადო აზრი ჩვენს მხარეზეა.

დავიწყეთ გამორკვევა კითხვის: ვართ თუ არა ჩვენ ჩატანებული რუსეთის ფარგლებში რაპალოს ხელშეკრულების ძალით, ვნახეთ — „Berl. Fagel"-ის თანამშრომლები და ამბობენ, დიახ, ხართო. „Forwards"-ის თანამშრომელი კი დამოუკიდებლათ სვამს ამ კითხვას გაზეთში იქედან და ამბობს, არაო. რუსეთის ცნობა სრულიადაც არ მოასწავებს საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის ცნობასო, ამისთვის საჭირო იქნებოდა მასთან ხელშეკრულებაო. კიდევ განვაგრძობთ გამოკვლევას, **სიფრთხილე გვმართებს, რადგან ყველგან ჯაშუშებია დელეგაციების კარებზე და საფიქრებელია „გერმანოფილობა" არ დაგვწამონ ასეთ გამწვავებულ პირობებში ფრანგებმა.**

ბუდუს მიმართა ერთმა რეპორტიორმა, მან არ უთხრა არაფერი და რაკოვსკიზე მიუთითა. ეტყობა, აკრძალული აქვს ლაპარაკი. ვეშაპელი ჩამოვიდა. კაკი მოდისო, მოვიდა დეპეშა, კარგია.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი მეცხრე

სანტა მარგარიტა, 29. IV, 1922

საქართველოს მთავრობას

უკვე იყო მსჯელობა ექსპერტთა კომისიაში საქართველოს მანდატის შესახებ. თავმჯდომარემ გააკეთა კარგი მოხსენება. საქართველო არ იყო მოწვეული გენუაში, მაშ, არც მის დელეგაციაზე შეიძლება ლაპარაკი, რომ ყოფილიყო ის მოწვეული, ჩვენ შეგვეძლო დაგვეშვა დელეგაცია იმ მთავრობისა, რომელიც ჩვენ ვიცანით. მოსკოვის მთავრობას, რომელსაც უჭირავს საქართველო ძალით და მის დაყენებულ ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეიძლება დაეკისროს საქართველოს წარმომადგენლობა. ფრანგი სრულიად დაეთანხმა მოხსენებას და შეიტანა წინადადება ეს კითხვა კომისიას დაბრუნებოდა. ამას მხარი დაუჭირა ბელგიელმა და წინადადება მიღებული იქნა. ინგლისელი სდუმდა მხოლოდ. როგორც გადმომცეს, ჩელეზიას სიტყვით, თვითონ ის ჯერ ვერ ვნახეთ, კიდევ რომში გავიცანი და იქ კარგად მოვამზადეთ, მას დაუძენია, ჩემი მოხსენება შანცერის დირექტივებზე იყო აგებულიო. ვნახავთ უთუოთ და თუ არის რაიმე შეცდომა გადმოცემაში, გაცნობებთ. გავიგებთ აგრეთვე რა მიზნით შეიტანა ფრანგმა წინადადება. ბარერმა ხომ მითხრა, რომ ის ამჯობინებს ათრიოს ეს კითხვა და შეებრძოლოს მოსკოველებს ჯერ უფრო დიდ კითხვაში, შეიძლება ამ ტაქტიკის შედეგია.

წერეთელი წუხელის ჩამოვიდა და დღესვე შეხვდა ალბერტ თომას, რომელმაც დაუთქვა უთუოთ მოველაპარაკები ლ. ჯორჯსო. წინდაწინ იყო წერ. მომზადებული, თუ რა მხრით შეხებოდა კითხვას, თომას უთქვამს მხ-

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქმე 61, ფ. 9.

ოლოდ, რომ საჭიროა დროს შერჩევა, თუ არა ლ. ჯორჯთან ძალიან ძნელია მ\უსაიფი ისეთ საგანზე, რომელიც მას არ სურსო, მაშინვე ლაპარაკს სხვა საგანზე გადაიტანსო. ბრანტინგი ხვალ მიდის სტოკჰოლმში და მისი ნახვა ვერ მოხერხდა დღეს, ისე საკმაოთ იყო მომზადებული ჩვენგან, მაგრამ, რადგან მიდის, ნახვასაც (მეორეჯერ) არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა მაინცდამაინც, სნოუდენის ქალი[1] დაგვეკარგა, არა გვაქვს მისგან ცნობა. შეიძლება ლ. ჯორჯის ოჯახს გაყვა სადმე და შემდეგ მოგვაწვდინოს რამე. არ შეიძლება დავეტყუებიეთ, ან იქნება ლ.ჯ. ვერ იშოვა საბაასოთ.

თურქებისგან აქ არის ჯელალ ედინ არიფ ბე, რომელიც ვნახეთ. გერმ. რუს კომბინაციაში არ შევდივართო, საზავო მოლაპარაკება დაიწყება ისმიდში, ქემალი იქნება თვითონო, ზავი თუ ჩამოვაგდეთ მოგირიგდებითო.

დელეგაციამ წერეთლის დასწრებით და წინადადებით იმსჯელა, არის თუ არა საჭირო გარეშე საქმეთა მინისტრის გენუაში ჩამოსვლა და იმ აზრს დაადგა, რომ ამას არ მოითხოვს მდგომარეობაო, და თუ მუშაობის მომენტში საჭირო შეიქნა მისი ჩამოსვლა, მაშინ ვაცნობებთო. მეორეს მხრით, აუცილებლათ საჭიროა ორთაგან ერთის — მინისტრის ან ელჩის ყოფნა პარიზში, რადგან პუანკარე იქ არისო. და ამიტომ, თუ მინისტრი აქ ჩამოვიდა, ელჩი პარიზში უნდა დაბრუნდესო. თუ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ერთი მისი წევრი აქ იყოს, ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიიღოსო, ე. ი. ელჩი უკან უნდა გაიწვიოსო.

რუსებმა ლამის გათიშოს ანტანტა. გუშინ ბარტუ პარიზში უნდა წასულიყო, და არც დაბრუნდებაო, ამბობენ: უთანხმოების ღერძი კერძო საკუთრების და ნაციონალიზაციის კითხვაა. ინგლისი უთმობს რუსებს, საფრანგეთი არასგზით. სრულიად მართლდება ის, რომ საფუძვლად ნაციონალიზაციისა ლ. ჯორჯი ნავთს უდებს. ამბობენ, ინგლისის დელეგაციაში უთანხმოება არისო ნაციონალიზაციის კითხვაში. გადაეცი კონფერენციის თავმჯდომარეს დეპეშა სტამბოლიდან, ხელშეკრულებანი რუსეთთან და მთავრობის მემუარი თავდასხმაზე სანინამძღოლო ნოტით.

აკ. ჩხენკელი."[2]

წერილი მეათე

„გენუა, 30. IV. 1922

საქ. მთავრობას

გიგზავნით პირველ მუხლს რუსებისთვის გადასაცემ მემუარისა, რომელიც უკვე მიიღეს მოკავშირეებმა. გამოგიგზავნეთ დეპეშა, რათა გარეშე საქმეთა მინისტრს მოგეთხოვა პუანკარესთვის ებრძანებინა თავის დელეგაციისათვის — შეიტანონ აგრეთვე საქართველო. ჯერ არაა გვიან, რადგან კვლავ დარჩათ 11 მუხლი შესამუშავებელი. იმედი ცოტაა, მაგრამ მაინც უნდა მოვითხოვოთ.

აკ. ჩხენკელი."[3]

---

[1] სნოუდენის ქალი, — იგულისხმება სოციალისტ სნოუდენის მეუღლე.
[2] სცსსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქმე 61, ფ. 10.
[3] სცსსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქმე 61, ფ. 11.

წერილი მეთერთმეტე
სანტა მარგარიტა, 1, V, 1922
„საქართველოს მთავრობას

ორჯერ გამოვგზავნე დეპეშა იმის შესახებ, რომ საჭიროა ძალიან ენერგიული მოქმედება პარიზში. ფრანგების მდგომარეობა აქ ისეთი არანორმალურია, რომ ჩვენს საქმეს კი არა, თავისასაც ვერ იცავენ რიგიანათ. მოკლებული არიან უფლებას ერთი ნაბიჯი გადაგან პარიზის ნებადაურთველათ, თან ატმოსფერო ძალიან ცუდი შექმნა მათ ირგვლივ ლ.ჯორჯმა. პირდაპირ უსისინებს მათზე ყველას და იტალიელნიც ხომ მას აყვნენ. შეიძლება პერეტის დახმარებით მოხერხდეს თვით პუანკარეს ნახვა. მეორეს მხრით, საგარეო კომისია იკრიბება ხუთშაბათს, მაშასადამე მას შეუძლია ერთგვარი დავალება მისცეს მთავრობას. უთუოთ უნდა აამოქმედოთ ჰერრიო, მას დაპირებული აქვს. აქ ყოფილა და მხოლოდ მისი წასვლის დღეს გავიგეთ.

რამდენი კარგი შემთხვევა გაუშვეს ფრანგებმა ხმა ამოეღოთ ჩვენს შესახებ, პირობებიც ხელს უწყობდა, რადგან თითქმის ყველა დელეგაციები და პრესა თანაგვიგრძნობს. როცა, მაგალითად, ჩიჩერინი ბესარაბიაზე თუ ჩიტაზე თავის პრეტენზიებს აცხადებდა, ბარტუს შეეძლო საქართველო ეხსენებია. პრესის ხალხი გასაქანს არ აძლევს რაკოვსკის, წამდაუწუმ საქართველოს მაგალითს აჩრის. რუსებისთვის მემუარი-ულტიმატუმი რომ მზადდება, ძალიან კარგად შეეძლოთ ფრანგებს ეხსენებიათ საქართველო. პირველი მუხლის განხილვის დროს აქ რუმინიის წინადადებით ჩართულია უზრუნველყოფა status quo teritorial. საქართველო რომ დაკავებულია, ეს არ ახსენა არავინ და არ მოითხოვა ამ უსამართლობის გასწორება.

სულ ჩქარა, თუ უცაბედათ არ შეწყდა კონფერენცია, Nonagression პაკეტზე ექნებათ მსჯელობა, პროექტები თითქოს მზადაა, — უთუოთ შესაძლებელია მოვითხოვოთ, რომ ჩვენ ჩაგვრთონ. აქ ვმუშაობთ, რა თქმა უნდა, ქაღალდსაც ვაძლევთ, მაგრამ საჭიროა მაქედან უბრძანონ. ასევე, ეკონომიურ კითხვებში კულისებში ყიდიან კავკასიის სიმდიდრეთ, ცნობაც კი მოვიდა ინგლისიდან, რომ თითქოს საქართველოს და აზერბაიჯანის ბოლშევიკებს ხელშეკრულება დაედოთ შელის კომპანიასთან, უკანასკნელის წარმომადგენელი სწორეთ თფილისიდან აქ ჩამოვიდა, კოლონელ ბოილ, რომელთანაც ნიკოლაძეს და სუმბათოვს არაერთხელ ჰქონიათ წინათ შეხვედრა. ფრანგების ინტერესია და ამას მე პირდაპირ ვეუბნებოდი პუანკარეს (იხ. ჩემი მემუარი), რომ დასვან საკითხი კონფერენციაზე, რამდენათ კანონიერია მოსკოვის მიერ ჩვენ სიმდიდრეთა შესახებ პირობების დადება, ჩვენ თვითონ შეგვაქვს მასზე ქაღალდი, მაშასადამე ექნებათ საბაბი.

ახლა ისიც უნდა გვაფიქრებდეს, რომ თუ ვინიცობაა შეუთანხმდენ რუსებს საქართველოს მანდატზეც, არ დაუთმონ მათ. ჩელეზია ვნახე და მართლაც საქართველოს მანდატის შესახებ კომისიისათვის გადაუციათ გადასაჭრელათ საკითხი, თუმცა გვარწმუნებდა, რომ ყველანი თანახმა იყვნენ საქართველოს სახელით არ დაეშვათ აქ მოწვეული არც ჩიჩერინი,

არც ბუდუ. მაგრამ კითხვის გადადება დამაფიქრებელია. ინგლისელი არ სდუმდა თურმე, როგორც შეცდომით გადმოგვცეს, ისიც ფრანგთან ერთად კომისიაზე გადაცემას მოითხოვდა. მაშასადამე, ამ კითხვაზეც საჭიროა მანდ თქმა.

ჩიჩერინის წერილი ბარტუსთან ხრიკი უნდა იყოს, თვით ლ. ჯორჯის მიერ ჩაგონებული. ამით თითქოს ამზადებენ ნიადაგს სეპარატიულ შეთანხმებისათვის ინგლისსა და რუსეთს შორის. თქვენ მოგმართეთ, მაგრამ არ ისურვეთ, ამიტომ ჩვენ მარტო შევთანხმდითო, იტყვიან. რა თქმა უნდა, ფრანგების მდგომარეობა არაა ისე სუსტი, თუ თვითონ არ შედრკენ. გუშინ მაგ. დიდი დავა ჰქონდათ სიუს კომისიაში ჟასპარს და ლ. ჯორჯს კერძო საკუთრების და ნაციონალიზაციის შესახებ, ფრანგები კი სდუმდენ და ბელგიელნი ღელავენ, ხომ არ გაგვყიდესო. პუანკარეს იმედი აქვთ, ალბათ ეს ტაქტიკურის მოსაზრებით ქმნაო მისმა ბარტუმ...

ვნახეთ დიამანტი, რუმინიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ბევრი ველაპარაკეთ. წერეთელმა ნახა რენოდელი და დააფაცურებს.

ჩამოვიდა აქ მოულოდნელათ გ. გვაზავა[1], სტამბოლიდან. საქართველოდან გამოსულა 1 აპრილს, დაადასტურა მოძრაობა, სვანეთ-

[1] გიორგი გვაზავა — (1869-1941) პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი. დაიბადა სოფ. სუჯუნაში. ადრე დაობლებული დედის ძმამ ბლაღოჩინმა შალამბერიძემ ნაიყვანა სოფ. ნოქალაქევში აღსაზრდელად. პირველდაწყებით განათლებას ნოქალაქევსა და მარტვილში იღებს, შემდეგ სწავლას თბილისის სასულიერო სემინარიასა და გიმნაზიაში აგრძელებს. გიმნაზიის დამთავრებისთანავე მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე შედის, იყო „კავკასიის სტიპენდიანტი". განათლების მიღებას სორბონის უნივერსიტეტში ასრულებს, სადაც დაარსა სტუდენტური გაერთიანება „თავისუფლების ლიგა". XIX ს-ის 90-იანი წლებიდან თბილისში ცხოვრობს, მუშაობს ადვოკატად, ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ და სამწერლო მოღვაწეობას, თანამშრომლობს ქართულ და რუსულ პრესაში. 1906 წ. თანამოაზრეებთან ერთად დაარსა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. 1907 წ. ვარლამ ჩერქეზიშვილთან და მიხაკო წერეთელთან ერთად გამოსცა „Грузинская мысль", ჟურნალი ცენზურამ აკრძალა. მთავრობის სანინააღმდეგო კორესპონდეციებისათვის 1911 წ. მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1912 წ. გიორგი გვაზავა დაქორწინდა ნინო ჩერქეზიშვილზე შეეძინათ ქალ-ვაჟი – მზია და ჯამლეთი (1916 წ. თბილისში დაბადებული გიორგი (ჯამლეთი) ემიგრაციაში გაიზარდა, საფრანგეთი მის მეორე სამშობლოდ იქცა და ერთგულად ემსახურა მას. II მსოფლიო ომის დაწყებისთანავე როგორც კურსანტი გაინვიეს სამხედრო-საჰაერო ძალებში და უმცროსი ლეიტენანტის წოდებით იბრძოდა ჟან-როჟე კაუფმანის ასეულში. დემობილიზაციის შემდეგ ვერაფრით შეეგუა საფრანგეთის დამარცხებას და 1942 წ. ივნისში გიორგი (ჯამლეთ) გვაზავა ხდება „საფრანგეთის მეომარი ძალების" წევრი. გიორგი გვაზავამ 1917 წ. რუსულ ენაზე გამოსცა ნაშრომი „საქართველო საერთაშორისო თვალსაზრისით", სადაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მართლზომიერება დაასაბუთა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში გიორგი გვაზავა იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების, ეროვნული საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი, მონაწილეობდა საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში. 1921 წლიდან გიორგი გვზავა ემიგრაციაშია. პარიზში დასახლების შემდეგ, 1926-1939 წწ. ფრანგულ ენაზე გამოსცემდა ჟ. „პრომეთეს". 1929 წ. პარიზში გამოქვეყნდა მის მიერ თარგმნილი ჟოლიო დე კრებიონის ტრაგედია „რადამისტი და ზენობია" სათაურით „ფარსმან მეფე ივერიისა". ასევე თარგმნა პასინის „მითრიდატი", ექსილეს „მიჯაჭვული პრომეთე". 1938 წ. პარიზში გამოიცა გ. გვაზავას მიერ ფრანგულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი" (პროზაული ვარიანტი). 1929-1938 წწ. პარიზში გიორგი გვაზავას რედაქტორობით გამოდიოდა საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის ორგანო გაზ. „საქართველო", სადაც წერილებს ათავსებდა „გ. გ."-ს, „სტამბოლელის", „მეთვალყურეს", „მკითხველის", „წკიპურტის", „Politicys"-ის, „X"-ის ხელმონერით. გიორგი გვაზავა გარდაიცვალა პარიზში 1941 წ. 20 იანვარს, დაკრძალულია ბატინიოლის სასაფლაოზე.

ში და სხვაგან. მოქმედებენ არა მარტო ადგილობრივნი, არამედ ბარიდან გადასულებიო. მათ შორის ოფიცრები, რომელნიც უხელმძღვანელებენ თურმე მთელს ოპერაციებს. ყველა ისინი, ვინც იმალება, აჯანყებულ კუთხეებში გადადიან, მოითხოვენ თურმე დახმარებას იარაღით, ფულით. თუ იარაღს ვერ ვიშოვით, ფული მაინც უნდა მივანვდინოთ, რადგან იარაღი თვით წითლებისგან იშოვებაო და მართლაც მათგან წართმეული თუ მიცემული იარაღიც დიდ როლს თამაშობსო. გვაზავა ალბათ წამოვა პარიზში და იქ მოგახსენებთ. პოლიტიკურ პარტიებზე და მათ მუშაობაზე თითქმის არაფერი იცის, ოთახში ყოფილა გამომწყვდეული.

გავიგეთ ფრანზონი ჩამოსულა სტამბოლში და უკან დაბრუნებულა. თითქოს მოსულა აქ დეპეშა მისგან მისი უფროსებისათვის, რომ საქართველოში მოძრაობა არის და ბოლშევიკები თავს ვერ ართმევენო[1]. ალბათ ვრცელი მოხსენება გამოგზავნა. შანცერი მუდამ ლ. ჯორჯთანაა სიტყვით და საქმით, ხოლო პრესა და გავლენიანი დეპუტატები და სენატორები ჩვენ გვექომაგებიან. სხვათაშორის მილანის გავლენიანმა კორესპონდენტმა „დე ლა სერას" დირექტორმა დიდი წერილი დაწერა ჩვენს სასარგებლოთ და ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, დელეგატებზედაც. კიდევ გვპირდება.

აკ. ჩხენკელი."[2]

წერილი მეთორმეტე

სანტა მარგარიტა, 2, V, 1922

საქართველოს მთავრობას

საერთო მდგომარეობა ამ წერილის მოსვლისას ალბათ გამორკვეული იქნება. დღეს კი ამბობენ, ერთის მხრით, თითქოს ბარტუ არ დაბრუნდება და ბარერმა უარი თქვა რუსების მემუარზე ხელის მოწერაზეო! ასე თუ ისე, კლიტე მანდ, პარიზშია. იქ რას იტყვიან ესაა თავი და თავი. ჯერ მხოლოდ ბელგიელნი ამბობენ აშკარათ ნაციონალიზაციის ძალაში დარჩენის წინააღმდეგნი ვართო. ბარერი ვერ ვნახე მესამეჯერ. წვრილი მოხელენი თავს იგდებენ, საჭიროა ეთქვას პერეტის მათ შესახებ, ველი საზოგადოთ პარიზიდან რა გაკეთდა, მოვიწერე რაცაა გასაკეთებელი, ფინ. მინისტრმაც უნდა ნახოს ჩვენი ინფორმატორები.

ჩიჩერინმა წერილობითი პასუხი გასცა შანცერს ჩვენს შესახებ, ტექსტს ხვალ გავიგებთ, თუ პრესაში არ გამოქვეყნდა, პროპაგანდისტული ხასიათი აქვსო, თან სიყალბე და სიცრუით უნდა იყოს შეზავებული. თავისთავათ ძალიან კარგია, პასუხი რომ გასცა, ხდის საინტერესოდ ყველასათვის ჩვენს საკითხს. ჩვენც ხომ პასუხს გავცემთ.

ფრანკ ვანდერლიპი ვნახეთ. მან თქვა: ამერიკა არასდროს არ დათანხმდება, რომ რუსეთში უცხოელთათვის ნაციონალიზაცია დარჩეს ძალაში მათ კერძო ქონებაზე, ჩემის აზრით, ის პროტესტსაც განაცხადებს, დღეს

[1] შენიშვნა: 1923 წლის მარტის მემუარში ჩხენკელი საწინააღმდეგო ცნობას გვაძლევს: მისი თქმით, ფრანზონმა სტამბოლიდან დემოკრატიული ხელისუფლების საწინააღმდეგო ცნობა მიაწვდინა კონფერენციაზე მყოფ იტალიის წარმომადგენლებს.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღ.2, საქმე 61, ფურც. 12-13.

სადილათ ამერიკის ელჩთან ვარ(ჩაილდი რომშია და მინდობილი აქვს თვალ-ყურის დევნება). მას ვეტყვი თქვენს საქმეზე და ის მიწერს ვაშინგტონშიო. მან გვითხრა, რომ კიდევ გუშინ მოაწერეს საბჭოთა კონტრაქტს ხელი რუსებმა და შელის კომპანიამო. ეტყობოდა, ეს უფრო აინტერესებდა მას, ვინემ სხვა რამე. ჩემს შეკითხვაზე მიპასუხა: პარიზში რომ დაგპირდით, ვერ შევასრულე, ავათ ვიყავი და ჰიუზთან არ მილაპარაკნიაო. ისე კი ეტყობოდა, ახლა უკეთ გვიცნობს და თანაგვიგრძნობს. ელჩი ჩაილდი უნდა ვნახო, თუ მომიხერხდა.

საზოგადოთ, თუ ამერიკელნი გვერდში ამოუდგნენ ფრანგებს რუსების შესახებ, მაშინ უკვე ლ. ჯორჯი დამარცხდება. ყველას თვალები ამერიკის ოქროსაკენ უჭირავს, უამისოთ ქვეყნის აღდგენა ოცნებაა. ვფიქრობ, ფრანგებს აქვთ ვანდერლიპთან კონტაქტი და მათი სიმტკიცეც უფრო ამ კონტაქტისაგან არის დამოკიდებული. არის მეორე მომენტიც: ლ. ჯორჯი ალბათ ემუქრება ფრანგებს გერმანიის მიმართ არ გამოგყვებიო, და ამ შემთხვევაში წააჩოქონ იქნება.

ალბერ თომას, როგორც წერეთელს გაუგია მესამე პირისაგან, ულაპარაკნია ჩვენს შესახებ ლ.ჯორჯთან, მაგრამ შინაარსი ბაასისა ვერ შეიტყო, ვინაიდან ის, თომა, ამ დილით უცაბედათ პარიზში წასულა, დაბრუნდება 3-4 დღეშიო.

ერთმა რედაქტორმა (მარგოტიმ), რომელიც კიდევ რომში დავიმეგობრეთ (მან გადაათარგმნინა და გამოაცემინა შევალეს წიგნაკი იტალიურად) და რომელმაც გაგვაცნო დონ სტურცო, გვითხრა, რომ დონ სტურცომ კატეგორიულათ განუცხადა შანცერს: იცოდეთ საქართველოს საქმე იტალიის საქმეაო, ამიტომ ყოველგვარი დახმარება გაუწიეთ მასო. ამას მნიშვნელობა აქვს და აღვნიშნავ ამიტომ.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი მეცამეტე

„აკაკი ჩხენკელი, 11.IV, 22

სანტა მარგარიტადან პარიზში

პირველ მდივანს

წერილები და სხვა მასალა რეგულარულათ მოდის. ხელშეკრულებანი მივიღეთ. მივიღეთ ასევე ვოიტინსკის მიერ გამოგზავნილი რეზოლუციების კრებული. ფინანსთა მინისტრს გადაეცით, რომ ვეშაპელი[2] და მდივანი

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღ. 2, საქმე 61, ფურც. 14.

[2] ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ვეშაპელი (1892-1926). დაიბადასოფელ საირხეში. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას სტიპენდია დაუნიშნა და სასწავლებლად მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გაგზავნა. სტუდენტობისას აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვის ლიტერატურულ ცხოვრებაში. 1915 წელს ჩაება გაზეთ „საქართველოს" მუშაობაში, წერილებს წერდა იმ დროისათვის აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემებზე. ამ წლებში დაწერა რამდენიმე შრომა ქართულ და რუსულ ენებზე, რომელთა შორის აღსანიშნავია „საქართველო და ლაზისტანი" და „საქართველოს შეერთება რუსეთთან". 1916 წელს გრიგოლ ვეშაპელმა მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა დაასრულა. ფლობდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გრიგოლ ვეშაპელი სამშობლოში დაბრუნდა. იგი იყო ერთ–ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ახლად დაარსებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ამავე პარტიის ორგანოს „საქა-

ელიან ამ თვის ჯამაგირს, არ დარჩათ არაფერი. საზოგადოთ მეტი გვეხარჯვის, ვინემ დადგენილია. და ეს კიდევ იმ პირობებში, რომ ჩვენი მთავრობის მიერ სასტუმროებისათვის დანიშნულ ტარიფს უფრო ნაკლებს გვახდევინებენ მარგარეტაში. საელჩოს მოსამსახურეთ ფინ. მინისტრისგან მიეცემათ ამ თვის. ჩემი მაკრინეს გადაეცით, ზურაბის — მის ცოლს.

ველი პუანკარესთან საუბრის ანგარიშს.

ა. ჩ."[1]

წერილი მეთოთხმეტე

„სანტა მარგარიტა, 4, V, 1922

საქართველოს მთავრობას

წერეთელს ტყუილათ შეექნა გამგზავრება. ვოიტინსკის დეპეშა შემდეგ მივიღეთ. მაშინვე გავგზავნეთ საჩქარო დეპეშა, მაგრამ ვერ მიუსწრო ალ-

---

რთველოს" რედაქტორი. 1917 წელს გრიგოლ ვეშაპელი არჩეულ იქნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სათათბირო ორგანოს – სეიმის წევრად. ასევე იყო ეროვნული საბჭოს წევრი, რომელიც მისი ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით შეიქმნა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გრიგოლ ვეშაპელი არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად – საქართველოს პარლამენტის დეპუტატად. პარლამენტში იგი შევიდა, როგორც დამოუკიდებელი ნაციონალურ–დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი, რომლის ორგანო იყო გაზეთი „კლდე". გრიგოლ ვეშაპელი აქტიურად იყო ჩართული ჟურნალისტურ საქმიანობაში. 1917 წლიდან რედაქტორობდა გაზეთ „საქართველოს", 1918-1920 წლებში — „კლდეს" (1919 წ. გაზეთი ზოგჯერ „სალი კლდის", „პიტალო კლდის" სახელით გამოდიოდა), 1920 წელს — გაზეთ „ნაციონალისტს", ხოლო 1920-1921 წლებში — „მინას". ეროვნულ–დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი განხეთქილების გამო გრიგოლ ვეშაპელი გაემიჯნა ძირითად პარტიულ ბირთვს და შექმნა „მინის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია", რომლის ორგანოსაც ასევე მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „მინა" წარმოადგენდა. მისი მოადგილე იყო გიორგი ლეონიძე, რომელმაც 1920 წლის რამდენიმე ნომერს გრიგოლ ვეშაპელის ნაცვლად მოანერა ხელი. 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ იგი ემიგრაციაში არ გაპყოლია საქართველოს მთავრობას. რამდენიმე თვე ბათუმში დარჩა, შემდეგ სტამბოლში იმყოფებოდა, შემოიარა ევროპის ქვეყნები და ბოლოს პარიზში ჩავიდა. ენეოდა ანტიბოლშევიკურ პროპაგანდას, როგორც დამოუკიდებლად ისე ემიგრანტულ მთავრობასთან ერთად. გრიგოლ ვეშაპელი რევაზ გაბაშვილთან და დავით ვაჩნაძესთან ერთად მონაწილეობდა „სტამბოლის პოლიტიკური კომისიის" მუშაობაში, როგორც ედპ-ეს წევრი. ქართული დელეგაციის შემადგენლობაში იყო 1922 წლის ვაშინგტონის კონფერენციაზე. 1924 წლის მაისიდან გრიგოლ ვეშაპელი უპირისპირდება საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას. 1924 წლის დამარცხებამ გრიგოლ ვეშაპელზე მძიმედ იმოქმედა. მან ღაინყო მზადება სამშობლოში ჩამოსასვლელად. მან კავშირი დაამყარა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან ევროპაში, 1924 წლის 5 ნოემბერს პარიზში დააარსა გაზეთი „ახალი საქართველო" (გამოდიოდა 1924-26 წწ. ბერლინსა და პარიზში), რომლის ფურცლებიდანაც ემიგრატებს საბჭოთა საქართველოში დაბრუნებას მოუწოდებდა და აქტიური საბჭოთა პროპაგანდისტი გახდა. ამის გამო დიდი კონფლიქტი წარმოიშვა მასა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლ ქართველ ემიგრანტებს შორის. 1925 წლის 9 აგვისტოს კაფე „ვოლტერში" მათ ხელი შეუშალეს პარიზში ქართული „საბჭოთა კოლონიის" დაფუძნებას, რასაც მოპყვა თებერვლის დაპირისპირებები. კულმინაცია 1926 წლის 28 თებერვლის სისხლიანი შეტაკება იყო, რაც „ოდენკურის ამბების" სახელწოდებითაა ცნობილი. 1926 წლის 10 ივნისს გრიგოლ ვეშაპელი პარიზში რამდენიმე გასროლით მოკლა ავთანდილ მერაბაშვილმა. 1926 წლის 14 ივნისს გრიგოლ ვეშაპელი დაკრძალეს პარიზში, მონპარნასის სასაფლაოზე. ნეკროლოგი და გამოსათხოვარი წერილები დაიბეჭდა მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ახალ საქართველოში". ამ ფაქტს გამოეხმაურა საბჭოთა პრესა. ნეკროლოგები გამოქვეყნდა საქართველოშიც („Заря Востока" და „კომუნისტი"). 1928 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მშობლების თხოვნით გრიგოლ ვეშაპელის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენა და თბილისში, დიდუბის პანთეონში დაკრძალა. 1937 წელს ხელისუფლების გადაწყვეტილებით მისი ნეშტი დიდუბიდან ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღ. 2, საქმე 61, ფურც. 15.

ბათ. შევთანხმდით უკან უნდა დაბრუნებულიყო წერეთელი. ის აქ საჭიროა უმთავრესათ იმისთვის, რომ ალბერ თომას გააკეთებინოს რამე.

თქვენგან არ მოგვდის ცნობა, გაუგზავნა თუ არა თავმჯდომარემ დეპეშა ფაქტას. ასლი ფოსტით გამოგზავნეთ, თუ დედანი შეცვალეთ, გავავრცელებთ პრესაში. ჩვენი პასუხის ასლი უკვე გაქვთ, თუ დეპეშა კიდევ არაა გამოგზავნილი, მაშინ უთუოთ იქნება საჭირო ზოგიერთი დეტალის შეტანა მასში. **ჩვენ მოვითხოვთ არამარტო სისხლისღვრის შეჩერებას, — ამის წინააღმდეგი თითქოს ბოლშევიკებიც არ არიან, მაგრამ აჯანყებულნი არ თანხმდებიან, — არამედ მიზეზის მოსპობას, ევაკუაციას და უფლების აღდგენას,** რა თქმა უნდა, საეჭვოა მივაღწიოთ მიზანს, მაგრამ მაინც უნდა დავაწვეთ ერთ რამეს: კომისია ვაიძულოთ რამე ზომა გამონახოს ჩვენი კითხვის გამოსარკვევათ: ანკეტა, პლებისციტი და მიანდოს ეს საქმე რომელიმე საერთაშორისო ორგანოს. ჩვენ ვამბობთ, რომ ხელთ გვაქვს წითელი ჯარების უფროსების განკარგულებანი აჯანყებულთა წინააღმდეგ, მაგრამ ფაქტიურათ ისინი წვრილმან რამეს ეხებიან, ამიტომ გთხოვთ დაუყონებლივ გამოგზავნოთ ეს მასალა. ჩვენ ძალიან ვისარგებლეთ დროებითი მყუდროებით, პრესაში მოათავსეს ჩვენი პასუხი, ზოგმა მთლათ, ზოგმა რეზიუმე. სააგენტოებმაც გადასცეს, ინგლისის და ამერიკელების კორესპონდენტებმაც წაიღეს და შეგვპირდენ გაგზავნას. ჟანტიზონს გადაუცია არეულათ „Temps"-ისათვის, საჭიროა აიძულოთ დასტამბოს როგორც ეს, ისე „ნონ.აგრესიონ"-ის ნოტა. მე გწერდით, რომ საჭიროა რედაქტორთან უფრო საფუძვლიანი მოლაპარაკება, სწორეთ დროა დააყენონ ჩვენი კითხვა. ამონაჭრები მომდის, მაგრამ თითქმის ვერ ვხედავთ წერილებს ჩვენზე.

„ნავთის სკანდალი", რომელიც ავატეხინეთ აქედან, როდენს ჩვენ მივეცით მასალა, ძალიან მჭრელი იარაღი გამოდგა, ლ. ჯორჯის პოზიცია ძლიერ შეასუსტა: მაშ, ამდენი ლამაზი ფრაზები მშვიდობასა და კაცთა შორის სათნოებაზე უანგარო არ ყოფილაო, საიდუმლოთ უნდა დარჩეს, თორემ ინგლისელები არ დაგვიმადლებენ.

მაჩაბლის ცოლი[1] ელაპარაკა ლოიდ ჯორჯის ცოლს, აღმოჩნდა, რომ უკანასკნელს ჰქონია წარმოდგენა ჩვენს საკითხზე, უთქვამს ერთი საგულისხმო ფრაზა: „დიდათ სამწუხაროა, რომ პატარა ნაციები მსხვერპლათ უნდა იქნენ მიტანილიო"!..

მოლცანი ვნახეთ შემთხვევით, რაპალოს ხელშეკრულების ავტორი, როცა წერეთლისათვის ვიზას ვიღებდით დიუსელდორფში გასამგზავრებლათ. მან თქვა დაახლოებით შემდეგი: საქართველო არ შედის რაპალოს ხელშეკრულებაში, მაგრამ ვინაიდან ჩიჩერინს აქვს მანდატი თქვენი ქვეყნისა, ჩვენთვის საკმარისი იქნება ნოტების გაცვლა მასთან, რომ საქართველოზეც გავრცელდეს ხელშეკრულება, ასევე იქნება უკრაინის შესახებ. ტყუილია, თითქოს ჩვენ ცალკე დაგვედოს ხელშეკრულება, ჩვენ სიმპატია არ გვაკლია თქვენთვის, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ ფაქტიურ მთავრობას, რომელიც რუსეთის ფედერაციაში გრძნობს თავს,

[1] საუბარია გიორგი მაჩაბლის იტალიელ მეუღლეზე — ნორინა ჯილიზე.

ჩვენ არ ვგზავნით თბილისში ელჩს, იქ გვეყოლება მხოლოდ გენერალური კონსული, თქვენი საელჩო ბერლინში წარმოადგენს გახიზნულ მთავრობას, როგორც რუსეთის ძველი საელჩოები მოკავშირე ქვეყნებში. ის არ ჩაითვლება საქართველოს წარმომადგენლობად. ჩვენ მოგვდის თბილისიდან ცნობები ყოველ 2-3 დღეში და არაფერს გვწერენ აჯანყების შესახებ. ეს არის ჩამოვიდა იქიდან რუშერის ცოლი და თქვა: სრული სიწყნარეაო. ბოლოს უხუმრია კიდეც თავხედურათ: ზოგ პატარა სახელმწიფოს უყვარს თავისი მარკები ჰქონდეს, თქვენც ხომ ლამაზი მარკები გაქვთ და შეგიძლიათ იქონიოთ რუსეთის ფარგლებშიც.

აქ საჭირო არაა განმეორება ჩვენი პასუხის. შეიძლება მოლცანი, როგორც თავიდან ამ პოზიციის დამცველი, აჭარბებს, მაგრამ ერთი ცხადია, თბილისის ვაჟბატონები ცდილობენ შეეკრან ბერლინს. ეს მათ პრესტიჟსაც კი ასწევს ჩვენში. მდივანი და ნარიმანოვი მოდიან თითქოს უკან, ფაქტიურათ ბერლინში მივწერე ახმეტელს, საჭიროა ამოძრავება ჩვენი მეგობრების. დიდი კამპანია უნდა გავსწიოთ იქ. ახლა მაინც ცხადი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ საჭიროა ბერლინი ჩვენი მუშაობის მეორე ცენტრად ვაქციოთ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თუ ვიმუშავებთ, არც ისე ადვილია ღალატი და სიტყვის უკან წაღება ბერლინის მთავრობის მიერ. დაყოვნება შეუძლებელია.

მივიღე წერილი გარეშე საქმეთა მინისტრის. თუ პუანკარე ნახოს, უნდა გადასცეს მას, რომ ნავთის მახინაციების შესახებ მე უკვე გავაფრთხილე ის და ბარერი აქ, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. პირდაპირ დაუჯერებელია, რომ საფრანგეთის დელეგაცია აქ სრულიად არ გვაქცევს ყურადღებას, მაშინ, როდესაც ნიადაგი მომზადებულია როგორც კონფერენციაში, ისე პრესაში. განსაკუთრებით ახლა, როცა ჩიჩერინი თვითონ ამბობს, მოდით განვიხილოთ ჩაგრულ ერთა პრობლემაო, შეიძლება დაარსდეს რამე ორგანო..?? მას შეეძლო გენ. პელესაგან მიეღო ცნობები ჩვენს შესახებ. შეეძლოთ მოეთხოვათ აქ — მოგვისმინონ ეკონომიურ კითხვებთან დაკავშირებით. Pacte non agression კიდევ სხვაა.

გვარჯალაძესთან კავშირი მაქვს, ვთხოვე წერილით, დეპეშით, რომ ჰ. კომისრებმა დაადასტურონ მოძრაობა.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი მეთხუთმეტე

„სანტა მარგარიტა, 4, V, 1922

საქართველოს მთავრობას

ჩვენი პასუხი ჩიჩერინის ნოტაზე უკვე გადაცემული იყო, როცა თავმჯდომარის დეპეშა მოვიდა. გეგზავნებათ როგორც ეს პასუხი, ისე ჩვენი ნოტა pacte non agression-ის შესახებ.

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ლ.ჯორჯს თავისი კაცები მიუგზავნია რუსებისათვის და უკითხავს: აქვთ თუ არა მათ რამე წინააღმდეგი, რომ pact-ში შეტანილი იქნან პოლონეთი, რუმინია და საქართველო? რუსებს უპასუხნიათ, პოლონეთის წინააღმდეგ არაფერი გვაქვს, რუმინი-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 61, ფ. 17.

აც შეგიძლიათ შეიტანოთ, მხოლოდ ერთი რეზერვით, რომ გამორკვეული იქნას ამა თუ იმ სახით ბესარაბიელთა ნებისყოფა, რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ კატეგორიულათ წინააღმდეგი ვართ მისი შეტანის. შესაძლოა საქართველოს კითხვის დაყენება ლ. ჯორჯის მიერ ნაყოფია ალბერ თომას მასთან ლაპარაკისა, დანამდვილებით არ ვიცი, რადგან ალბერ თომა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა პარიზიდან.

ესაა მივიღე მეორე დეპეშაც თავმჯდომარისა დიუსელდორფში ცხრათა კომისიის სხდომის შესახებ. შუაღამეზე გადაცილებულია. ხოლო წერეთელი გენუაში გადავიდა დღეს, ხვალ დილით ვნახავ და გიპასუხებთ დეპეშით. წერეთელი საჭირო იყო აქ ალბერ თომას დაბრუნებისას, მაგრამ იქაც ხომ სასარგებლო იქნებოდა მისი ყოფნა. ერთი სიტყვით, ხვალ გაცნობებთ.

ერთი დღეა სხვადასხვა წრის იტალიელნი პირდაპირ თუ კოლონ ბოდრერის პირით გვეუბნებიან, საჭიროა შეურიგდეთ რუსებსო. უფრო სერიოზულად მოგვეჩვენა ეს წინადადება, როცა ის ფორმალურათ გამიკეთა კონფ. გენ. მდივანმა ბარონ რ ავეცანომ, გნებავთ მე გაგიწევთ bon office. გადავცემ იტალიის დელეგაციას და შეიძლება შუამავლობა გასწიოს, ოღონდ თქვენ მოგვეცით თქვენი ფორმულა შეთანხმებისო. მე ვუპასუხე, რომ რუსებთან ლაპარაკი უნაყოფოა, ისინი ამას გამოიყენებენ პროპაგანდისათვის, ან რა გვაქვს სათქმელი მანამ, სანამ ჯარი არ გაუყვანიათ ჩვენი ქვეყნიდან-მეთქი. ამ საგანზე ქონდა მსჯელობა დელეგაციას და ის იმ აზრს დაადგა, რომ არ არის საფუძველი ჩვენის მხრით გადაიდგას რამე ნაბიჯი და ეცნობოს ამის შესახებ მთავრობასო. მე არ მომიწერია აქამდე, რადგან ვუცდიდი დელეგაციის აზრს. მეორეს მხრით, ფრიად სახიფათოდ ვთვლიდი ჩვენთვის იტალიელების აყოლას. მე არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ რომ მათ ჩვენი კომპრომეტაცია არ უნდოდეთ ერთადერთი მეგობრების — ფრანგების თვალში. ჩვენმა დელეგაციამ ისიც კი დაადგინა, რომ შეხვედრის დროს ამის შესახებ გაკვრით ეცნობოს ფრანგების ერთერთ დელეგატს, რომ მათ ცუდათ არ ჩამოგვართვან, თუ ვინიცობაა ყური მოკრეს იტალიელების ფუსფუსს. და ეს არც იქნება გასაკვირი, რადგან საქართველოზე აქ მეტს ლაპარაკობენ, ვინემ ევროპის ორ-სამ პატარა სახელმწიფოზე ერთათ აღებული. ფული სრულიად შემოელია დელეგაციას. ზოგს დღიურიც არა აქვს, რადგან ხარჯები დიდია. სანამ უფრო კონკრეტულათ მოვიწერებოდე, გამოგზავნეთ ავანსათ კიდევ 5 ათასი ფრანკი.

აკ. ჩხენკელი.[1]

წერილი მეთექვსმეტე

„სანტა მარგარიტა, 10, V, 1922

საქართველოს მთავრობას

დეპეშებიდან უკვე იცით, რომ დღეს ერთხელ კიდევ შეეხენ ჩვენს საკითხს. მხოლოდ ამ შემთხვევაში 5 შ. მ. სახელმწიფოთა სხდომა. უკანასკნელს ჰქონდა მომწესრიგებელი ხასიათი, ე. ი. უნდა გადაეჭრათ — შეტანილი იქნება თუ არა ესა თუ ის კითხვა კონფერენციის დღის წესრიგში. კითხვები კი აღძრუ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 61, ფურც. 21.

ლი იყო არმოწვეულ სახელმწიფოებისგან, აგრეთვე ზოგიერთ უკმაყოფილო ეროვნული პროვინციებიდან. გარდა ორიოდე კითხვისა, დანარჩენები არ იქნა შეტანილი კონფ. დღის წესრიგში. საქართველოს შესახებ დაადასტურეს კანის დადგენილება, ე.ი. როგორც აზიაში მდებარეს, მას ვერ შევეხებითო. ხოლო რაც შეეხება რუსების პრეტენზიას, ილაპარაკონ საქართველოს სახელით, — გადაეცა განსახილველათ სამანდატო კომისიას. როგორც ბარერმა განაცხადა, ასევე არკვევენ აზერბაიჯანისა და სომხეთის საკითხს. ჩვენ კიდევ გუშინ გადმოგვცა საფრანგეთის დელეგაციის გენ. მდივანმა, რომ შანცერმა გამოგვიგზავნა თქვენს მიერ გადაცემულის ასლები (მემუარი, მანდატის შესახებ მიმართვა საქართველოს პოლიტ. პარტიებისა, პატრიარქის წერილი) და ხვალისთვის არის დანიშნული მათი განხილვა. მან თქვა, რომ უკეთესია ფრანგების აზრით, ვეცადოთ არ შევარყიოთ საქართველოს იურიდიული მდგომარეობა და ამიტომ უნდა განვაცხადოთ ხვალ, რომ კონფერენცია არ არის კომპეტენტური განიხილოს არ მოწვეული საქართველოს საკითხიო. ჩვენს შედავებაზე მან გვიპასუხა: ინგლისელებს უნდა ვერიდოთ, რადგან თუ განვიხილეთ თქვენი კითხვა, შეიძლება ის არა თქვენდა სასარგებლოთ გადაწყდესო, მაგრამ ბოლოს მაინც გვითხრა — მოგვიტანეთ თქვენი ფორმულაო.

ამასთანავე ვგზავნი ჩვენს ფორმულას. იგი გადავეცით ფრანგების გარდა ბელგიელებსაც. ვნახეთ სხდომის წინ ბარერი, იტალ. ვისკონტი ვენოსტა და იაპონელი მრჩეველი. სხდომის შემდეგ ველაპარაკეთ ჟასპარს. უკანასკნელმა განაცხადა, რომ არ შეგვეძლო თქვენი ფორმულის დასმა, რადგან კომისია თქვენ აზიას მიგანერთ, ჩვენს შენიშვნაზე: „ნავთი ხომ ევროპაში იმყოფება-თქო"— მან ჩაიცინა და განაცხადა: თქვენ იცით, მე მუდამ თქვენი მომხრე ვიყავი და ვარ, დღევანდელ პირობებში უკეთესია არ დაისვას თქვენი კითხვა და უნდა ვეცადოთ რუსები არ დაუშვან თქვენს მაგიერ, სამანდატო კომისიაში მე თვითონ ვარ და ამ აზრს გავატარებ.

ამრიგად, ფრანგები და ბელგიელნი, შეშინებულნი იმით, რომ ლ. ჯორჯმა არ მოათავსოს საქართველო რუსეთის ფარგლებში, ბჭობენ კანის პოზიციაზე დგომას, რაც მათის აზრით ხელსაყრელია ჩვენთვის. რაც შეეხება სვანეთის ამბებზე გამოწვეულ მიწერ-მოწერას, ამაზე შეხება არაა დღეს (გადაშლილია, მაგრამ წაკითხულიდან იკვეთება აზრი, ამ საკითხზე მაინც უნდა ავახმაუროთ პრესაო). ვისკონტი ვენოსა ვნახე კიდევ.

ფული კიდეე არ მოსულა. ველით. თოფჩიბაშევი ჩამოვიდა. პუანკარემ რა თქვა..."[1]

წერილი მეჩვიდმეტე

„სანტა მარგარიტა, 17, V, 1922

საქართველოს მთავრობას

სამანდატო კომისიამ ერთხმად დაადგინა გუშინ, რომ მოსკოვის მანდატი საქართველოზე არ იყოს ცნობილი და ამიტომ არ იქნეს დაშვებული ბოლშევიკური დელეგაცია საქართველოს სახელით. ბუდუმ, როგორც გადმომცეს, როგორც კი გაიგო ეს, აიყარა ბარგი და გაიპარა ბერლინში.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 61, ფურც. 21.

ბარტუ და ბარერი ვნახე დღეს, მიუვარდი შინ, როცა ტელეფონით არაფერი გამოვიდა. ჯერ ვნახე ბარტუ. ვუთხარი საყვედური, რომ ინგლისელთა წინადადება ბოლშ. საქართველოს დაშვების შესახებ პარიზიდან გავიგე (ვუამბე, რაც საჭირო იყო პუანკარე-გეგეჭკორის შეხვედრიდან). თქვენს დელეგაციასთან ძნელია მუშაობა-მეთქი და სხ. მას სცოდნია ჩვენი როლი ნავთის ირგვლივ განგაშის ატეხვის შესახებ და მადლობა გვითხრა; ამის შემდეგ ლ. ჯორჯი გამოიცვალაო და დათმობაზე მიდისო. მე ვუამბე უფრო დაწვრილებით, როგორ დავამუშავეთ პრესა, რომ შელი-კრასინის პროექტი ჩვენ ვიშოვნეთ და სხ. და დავუმატე: თქვენ რომ ჩვენთან კონტაქტი გქონოდათ, ბოლშევიკებთან ბრძოლაში გამოგადგებოდით-მეთქი, საზოგადოთ გახარებული იყო გამარჯვებით, ე.ი. კონფერენციის ჩაფლავებით.

მე შევეხე Pacte non agression-ს და ვთხოვე, არაფრით არ დაეშვა ჩვენი კომპრომენტაცია. მას ქონია პუანკარეს აზრი, თქვა, საშიშია საქართველოს შეტანაო, მაგრამ აღმითქვა, რომ პირველ კომისიაში არასგზით არ დავუშვებ ისეთ რამეს, რომელიც თქვენი წინააღმდეგი იქნებაო. საუბედუროთ, ფრანგები და ბელგიელები არ იღებენ მონაწილეობას მცირე ანუ რუსების კომისიაში, ამიტომ რაც იქ მოხდა გუშინ, მე ვუამბე. გადმომცა დიამანტომ - რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ჩიჩერინმა, სხვათა შორის, თქვა, რომ თუ პაქტი გინდათ მივიღოთ, იაპონიამ დასცალოს ციმბირიო. მას ენერგიულათ შეეკამათა იში, ამ დროს ლ. ჯორჯი ჩაერია და თქვა: ციმბირი აზიაშია და ვერ შევეხებით, როგორც ვერ შევეხეთ საქართველოს და აზერბაიჯანსო. აი, რატომ მინდოდა ბარტუს სიფხიზლე ამ საკითხში.

თქვენ უკვე იცით, რომ მცირე კომისიაში შეთანხმება მოხდა რუსებთან, მხოლოდ შეიტანეს ჩიჩერინის მოთხოვნა, რომ პაკტი ვრცელდება რუსეთთან დღევანდელ მოკავშირე მთავრობებზე. თავმჯდომარემ შანცერმა განაცხადა და ოქმში შევიდა, რომ ამით ჩვენ არ ვცნობთ ამ მთავრობებსო. პირველი კომისია ხვალაა, არ ვიცი, რას იქმს ბარტუ, შეასრულებს თუ არა დაპირებას. დამავიწყდა, იში წინააღმდეგი იყო ჩიჩერინის დამატების. მოიყვანა საქართველო როგორც საბუთი: ლ. ჯორჯმა გაიყვანაო.

ვუბრუნდები ბარერს, რომელიც ბარტუს შემდეგ ვნახე. სამანდატო კომისიაში, მიამბო მან, ინგლისელი (სესილ ჰორსტ) მოითხოვდა ბოლოს საქართველოს დაშვებას (თვითონ არ იყო ამ აზრის, ლ.ჯ. უბრძანა) მე წინააღმდეგი ვარო, ენერგიულათ მხარი დამიჭირეს იტალიელმა და იაპონელმაო, ჟასპარიც მაშინვე მოგვეკედლა. მეორედ ავიღეო სიტყვა, ბოლოს ინგლისელი მოტყდა და შემოგვიერთდა, დადგენილება ეხება აზერბაიჯანსაც, ხოლო სომხეთზე არაფერი იყო თქმულიო. რას ნიშნავს ეს, გავიგებ. იგივე მითხრა მორელიმ.

მდივანი გეტყოდათ, ჩვენ გადავეცით ის მასალა, რომელიც თავმჯდომარის წერილში იყო „Temps"- ში ჩემი პასუხის დამატებით ჩიჩერინის წერილზე.

აკ. ჩხენკელი."[1]

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 61, ფურც. 19.

წერილი მეთვრამეტე
„სანტა მარგარიტა, 19, V, 1922
საქართველოს მთავრობას

მე გწერდით სამანდატო კომისიის სხდომის შესახებ. ახლა გიგზავნით ამ სხდომის ოქმის ასლს (შინაურულათ მოგვცა თავმჯდომარე ჩელეზიამ, ძლიერ კარგად გვეპყრობოდა, დიდი მადლობის ღირსია) და კონფერენციის მიერ დღეს დამტკიცებულ მოხსენებას იმავე კომისიისა. ორივე საბუთიდან ნათლათ ჩანს დადგენილება ბოლშევიკების არდაშვების შესახებ. ნათქვამია მხოლოდ: მოსკოვის დელეგაციას არა მოწვეულ ქვეყნების წარმომადგენლობაც ჰქონია დავალებულიო. მეორეს მხრით, მდივანს, ნარიმანოვს და ბეგზადიანს თავიანთი მანდატი არ წარუდგენიათ. მაგრამ სხდომის ოქმში ერთი განსხვავებული ადგილიცაა: სესილ ჰორსტი აცხადებს, ჩვენ საქართველო არ გვიცვნიაო! ასეთი სიყალბე გაუგონარია. უეჭველათ, ლ. ჯორჯმა უბრძანა ეს მას. ჩვენ გვაქვს ოფიციალური წერილი ე. გეგეჭკორის სახელზე, რომელშიც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აცნობებს, იურიდიულათ გიცანითო. შემდეგ ჰამსუორსის პასუხი თემთა პალატაში შარშან შემოდგომას: საქართველო ვიცანით de faqto — 1920 წელს, de iure — 1921 წელსო. მე ვუგზავნი ამ მასალას სუმბათოვს და ვანდობ იკითხოს Fo-ში. უგზავნი აგრეთვე სტამბოლს და ბერლინს.

ბევრს ვცდილობ, რომ ვიშოვო რუსების კომისიის სხდომების ოქმები. დაპირებული ვარ. აქ იყო ბაასი ჩვენზედაც. როგორც გწერდით, ბარტუმ ვერ შეასრულა თავისი დაპირება: ფრანგები არც პირველ კომისიას დაესწრენ. **არ გამოჩნდა ერთი ადამიანიც, რომ ეთქვა ერთი სიტყვა მოსკოვის ავაზაკობაზე ჩვენში. პატარა სახელმწიფოთა დელეგატები კრინტს ვერ ძრავდნენ, დიდები არცკი ფიქრობდენ. დღეს დავესწარი უკანასკნელ სხდომას კონფერენციისა და არავინ შეხებია მოსკოვის მიერ დაჩაგრულ ერებს. წარმოითქვა საზეიმო საპროპაგანდო სიტყვები.**

თავმჯდომარისა და გარეშე საქმეთა მინისტრის წერილები მივიღე რამდენიმე დღეა. არ იყო ხელსაყრელი მომენტი, რომ ჩვენვე აღგვეძრა საკითხი იტალიელთა წინაშე, ესენი კი არავითარ ინტერესს არ იჩენდენ ჩვენი ბოლშევიკებთან მორიგების ირგვლივ. ალბათ ესენიც დარწმუნდენ, რომ ეს უიმედო საქმეა. ჩვენი იჭვები თავის დროზე მოვიწერე: კომპრომეტაცია ფრანგების თვალში, რადგან მაშინ მართლაც ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდენ ჩვენს შესახებ. წერეთელთან მქონდა ლაპარაკი, შემდეგ მდივანთან და ვეშაპელთან და **ყველა იმ აზრის ვიყავით, რომ არ შეიძლებოდა ამ კითხვის ხელახლა დასმა და არც ჩვენის მხრით იმის ფიქრი, რომ მოსკოვი დათმობდა საქართველოს და ჯარებს გაიყვანდა იქიდან, სრულიად უიმედოა.** ინგლისი მხოლოდ იმიტომ უჭერს მხარს რუსეთთან მუშაობას, რომ კავკასია უკანასკნელის ხელშია, უამისოდ ზედაც არ შეხედავდა. და ასეთ კოზირს რუსეთი აბა როგორ გაუშვებს ხელიდან! მე ვამცნე ბარტუს ბარონ ავეცანას წინადადება. სომხების მუშაობა აქ საიდუმლოებით არის მოცული. იყვნენ კი კავშირში რუსებთან. აზერბაიჯანს კარგი პრესა

აქვს, ნიადაგი ჩვენ მოვუმზადეთ.

თუმცა ვითხოვე დეპეშით 2000 ფრანკი, მაგრამ არ მომდის. თუ აქამდე არ გამოგზავნილა, გთხოვთ გამომიგზავნოთ...

აკ. ჩხენკელი."[1]

იმას, თუ როგორ იყენებდა ჩხენკელი ყველა შემთხვევას (უცხოელ დიპლომატებს ხვდებოდა ქუჩაში, მიდიოდა სახლებში, რაც არც ისე ადვილი იყო ევროპელების წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით), მაგრამ არაორდინალური იყო საქართველოს ბედი და მისი პოლიტიკოსებიც ასევე უნდა მოქცეულიყვენენ. „სხვა რომ არ იყოს, ჩვენს სასტუმროში ცხოვრობს კეინისი, მასთან შეხვედრებით ცოტას არ მოვიგებთ, და ეს კი უფრო ზურაბს ეხერხება. მერმე დასაწერიც გვექნება უეჭველათ. მე დავიწყე ლაპარაკი ზოგიერთებთან, მაგრამ საიმისოს ჯერ ვერას გწერთ, სამშაბათიდან დაიწყება ნამდვილი მუშაობა. ვიზების შესახებ კონტარინის, გენ. სეკრეტარს საგ. საქ, სამინისტროში უთქვამს პირადათ, მივეცი პარიზს ინსტრუქციაო. თუ ესეც ტყუილია, მაშინ უფრო დიდი მიზეზია რაღაც, მეზობლების შესახებ ჯერ არ შემეძლო გამეკეთებია რამე. საზოგადოთ ჩამოვედი ცუდ დროს... საუბრობს, რომ მისი ჩამოსვლიდან ორი დღე მუშაობა შეჩერებული იყო უქმეების გამო. აზუსტებს იმ დეტალებს, რა პირობებშიც უხდებოდა მუშაობა.[2]

სოსიპატრე ასათიანის წერილები

იმას, თუ როგორი დაძაბული და მრავალმხრივი იყო ჩხენკელის საქმიანობა გენუაში, მისი ვიზის მიღებაც კი როგორ გაუჭირდა ქართულ ლეგაციას, როგორ ჰყავდა ოჯახიც (მეუღლე მაკრინე თურქია) ჩაბმული ამ მუშაობაში, მოწმობს საქართველოს საელჩოს მდივნის — სოსიპატრე ასათიანის[3] წერილები პარიზიდან გენუაში აკაკი ჩხენკელისადმი, 1922 წლის 19-29 აპრილს გგაგზავნილი. მოვიტანთ რამდენიმე მათგანს:

„დღეს კრება აქვს კავშირს, რომელსაც მე და ევგენიც დავესწრებით. კავშირს სურს გააგზავნოს დელეგაცია სფორცასთან ვიზების შესახებ, მე ვფიქრობ, რომ არც მიიღებს და ევგენის წასვლაც არ მგონია, რომ სასურველი იყოს ასეთ ხალხთან პოლიტიკურად.

თანახმად თქვენი სურვილისა, ვინახულე გუშინ ბ. მედიჩი, ავუხსენი მიზეზი თქვენი გენუაში ყოფნის, — მიპასუხა, რომ მანამ არაფერი თქვამთ, ისინიც ჩუმად იქნებიან. მადლობა გადამიხადა, რომ შეეატყობინე, გავუსვი ხაზი იმას, რომ თქვენ ძალიან გსურდათ მას გაეგო მიზეზი თქვენი

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწ.2, საქმე 61, ფურც. 20.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 61, ფურც. 6.

[3] სოსიპატრე ასათიანი — (1872-1971). დამთავრა ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1905 წელს დაპატიმრებული იყო რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო. 1908 წლიდან ცხოვრობდა შვეიცარიაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. იყო ლეჩხუმ–სვანეთის კომისარი. 1918 წელს საქართველოს მთავრობამ დიპლომატიური მისიით ჯერ უკრაინაში, შემდეგ რუმინეთში გაგზავნა. 1919 წლის ნოემბრიდან მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციის მდივნად. 1921 წლის თებერვლიდან 1933 წლამდე (საელჩოს გაუქმებამდე) იყო საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი. 1933–1947 წ. წ. კი „ქართული ოფისის" დირექტორი.

ენუაში ჩასვლის. ღრმა პატივისცემით ს. ასათიანი.[1]

ასათიანი ატყობინებდა ჩხენკელს, რომ საქართველოდან მიიღეს მასწავლებელთა კავშირის მიმართვა „ევროპის სხვადასხვა ორგანიზაციებისადმი გადასაცემად, ამ მიმართვას გიგზავნიან თქვენ და გთხოვენ ის გადასცეთ ყველა ორგანიზაციას ევროპისას, თავმჯდომარემ განკარგულება გასცა გადაითარგმნოს". ეს არის ეხლა დაბრუნდა გარეშე საქმეთა მინისტრი სფორცადან, აღუთქვა, რომ ორ დღეში იქნება ვიზაო.[2]

„24 აპრილი, 1922 წელი, პარიზი

ბ. ა. ი. ჩხენკელს

ბატონო ელჩო!

ეს მესამე წერილია, რომ გიგზავნით დაზღვეულს და სამწუხაროა, თუ მართლა თქვენ აქედან ჩვენს კორესპონდენციებს ვერ ღებულობთ. თუ ეხლაც არ გაქვთ ჩემი წერილები მიღებული, სჩანს, რომ ენუაში მოსვლისას ჩვენი კორესპონდენცია, თქვენზე მომართული, სხვაგან იგზავნება.

გიგზავნით 4 ცალს მეუმრავლესეების შემოსევის შესახებ, მემუარისას. მეტი არ აღმოჩნდა. ყარსის ხელშეკრულებას გამოვგზავნი ხვალ, რადგანაც 17 გვერდია და ასე უცბად მისი გადაბეჭდვა არ ხერხდება. ინტერპარტიული კონფერენციის მოწოდების დედანის გამოგზავნა ვერ გაიგეს აქ თუ რად არის საჭირო, როდესაც თარგმანი მანდ გაქვთ, — ყოველ შემთხვევისათვის ბ. რამიშვილი და ბ. თავმჯდომარე ასე გთხოვთ, შემოთვალეთ თუ რა საჭიროებას წარმოადგენს იმ დედნის გამოგზავნა, რომელიც არხივში უნდა რჩებოდესო.

ვოიტინსკის, როგორც მითხრა, უკვე გამოუგზავნია ??? წიგნის შესახებ. მითხრა, რომ მისწერა ბერლინში, საიდანაც მიიღებთ პირდაპირ. ბ. წერეთელმა რომ ჩამოიტანა, ის ბ. თავმჯდომარეს უკავია და ესაჭიროება სამუშაოდ.

ვიზები მოგვცეს ჩვენ ყველას, ხოლო სომხებს ორ კაცს, ადერბეიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიას არ მისცეს. გთხოვენ მიიღოთ ზომები.

ღრმა პატივისცემით, ს. ასათიანი."[3]

„ბ. ა. ი. ჩხენკელს, ენუაში

27 აპრილი, 1922 წელი, პარიზი

ბატონო ელჩო!

თქვენი წერილები დანიშნულებისამებრ მიდის, მოღებისთანავე. ჯერჯერობით მიღებული მაქვს 4 წერილი (უკანასკნელი 24 აპრილის არის) მთავრობის სახელზე, ორი კი ჩემს სახელზე.

გრენარს ველაპარაკე გუშინ ტელეფონით საგარეო სამინისტროში (თქვენ იცით, რომ ის განაგებს რუსეთის შესახებ ინფორმაციის საქმეს და თუ გახსოვთ პერრეტი მუდამ იმასთან გვაგზავნიდა), რომ გამეგო თუ რამე ცნობები ჰქონდათ უკანასკნელი ამბების შესახებ ჩვენში, — გამოირკვა, რომ მათ არავითარი, არც ოფიციალური და არც კერძო, გარდა იმისა, რასაც გაზეთში არ კითხულობენ, არ ქონიათ. დანარჩენ საკითხებზე მათთან

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფ. 1.
[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფ .2.
[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფ. 3.

ლაპარაკი, განსაკუთრებით ეხლა, სრულიად მეტია, მათ არაფერი არ ახსოვთ, გარდა გერმანიისა და რეპარაციისა, საერთოდ ყველა თავის ოჯახის გადარჩენაზე ფიქრობს და ჩვენი ტრაგედია მათთვის უბრალო სიმპათიის გამომწვევი საგანია და მეტი არაფერი. ჩვენი გადარჩენა ისევე შიგნიდან და რაიმე შემთხვევითი საერთაშორისო კომბინაციიდან თუ შეიძლება — დანარჩენი ყველაფერი ფუჭია. ჯერჯერობით ჩვენთვის ხელსაყრელია კონფერენციის არევა-დარევა, თორემ თუ შეურიგდენ, მაშინ ჩვენი საქმე ცუდათ იქნება, რადგან პოლიტიკურ-ეკონომიურმა ექილიბრმა სიმპატიები არ იცის და ღმერთმა იცის ამ ექილიბრის აღსადგენად სად მიგვაკრავენ და ვის გადააყლაპვიებენ ჩვენს თავს. ამ ექილიბრის წყალობით იყო, რომ ჩვენზე ხუთმეტჯერ მეტი პოლონეთი ოთხჯერ გაიყვეს...

მოვიდა ბ. კ. გვარჯალაძის წერილი, — ის სასტიკი წინააღმდეგია იმისი, საბერძნეთიდან იუნკრები გამოყვანილი იქნენ. ეს ამას მიაჩნია საბერძნეთის მთავრობის, რომელსაც გადაუწყვეტია ოცი მოსწავლის მიღება ყოველწლიურად და რომელიც ჯიბის ფულსაც კი აძლევს მოსწავლეებს, შეურაცხყოფად. წერილს გამოგიგზავნით, როგორც კი ბ. თავმჯდომარე დააბრუნებს. იმ წერილში ბევრი საყვედურია ჩვენს მოკავშირეებზედაც, რომელთაც გამოკვეთილი პოლიტიკა არ აქვთ, მისი აზრით.

ქალბატონმა მაკრინემ გადმომცა თქვენი განკარგულება შესახებ „Посл. новост"-ის გამოგზავნისა, რაც დღეიდან რეგულარულად გამოგეგზავნებათ.

ბ. საფრ. მთავრობის თავმჯდომარემ სადილზე მიგიწვიათ თქვენ და ქალბატონი მაკრინე. მივსწერე თქვენი გენუაში ყოფნა და მაკრინეს შეუძლებლობა. დღეს მე მომივიდა. რა უნდა ვქნა, უნდა წავიდე, თუმცაღა ჩვენს პირობებში ეს ცოტა არ იყვეს უხერხულად მიმაჩნია.

აქვე გიგზავნით 4 ცალს ყარსის ხელშეკრულებას და ბ. ვ. კაჩუხაშვილის წერილს. დანარჩენი წინად გაახელით. ამონაჭრებს გიგზავნით ბ. ვოიტინსკი, მიჩვენა დიდი შეკვრა გამზადებული თქვენთვის. საქართველოდან სხვა არაფერი მოსულა. ლეგაციაში საქმეები ნორმალურად მიმდინარეობს.

ღრმა პატივისცემით ს. ასათიანი."[1]

„ბ. ა. ი. ჩხენკელს

გენუაში

2 მაისი, 1922 წელი, პარიზი

ბ. ელჩო!

თქვენს წერილებს ყველას რეგულარულად ვღებულობთ. უკანასკნელი წერილი დამატებით (პირველი მუხლის ტექსტი რუსებისათვის გადასაცემ მემუარისა) 30 აპრილის თარიღით გუშინ, 1 მაისს მივიღეთ. წერილები უმალვე დანიშნულებისამებრ იგზავნება.

პირველ მაისს გარეშე საქმეთა მინისტრთან ერთად ვინახულეთ ბ. პერეტტი — დელა როკა. ჩვენი ამბების შესახებ, როგორც წინათ გწერდი, მათ არავითარი ცნობები არ აქვთ, არც კერძო და არც ოფიციალური. ჩვენ გავაცანით უკანასკნელი ტელეგრამის შინაარსი და განუმარტეთ, რომ მოთ-

1 სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფურც. 4-5.

მინებიდან გამოსული ხალხი მოუწოდებლად აღდგა და იარაღით ებრძვის დამპყრობლებს, რაოდენივე პროვინციები უკვე თავისუფალია და სხვ. ჩვენს შეკითხვაზე — შეიძლება თუ არა ჩვენს ხალხს რაიმე დახმარება ექნეს ალიანსიდან-თქო, მან ვერაფერი ვერ გვითხრა გარდა იმისა, რომ სიმპატიები აქვთ ჩვენი. ინსტრუქციები და მემუარი, როგორც შეგპირებიათ თქვენ, გაუგზავნია დელეგაციისათვის, დღესაც გაუგზავნი ტელეგრამას ბარტუს, რომ მან აუცილებლად ინახულოს ბ. ჩხენკელიო — დასძინა. ბ. გარეშე საქმეთა მინისტრმა საკმაოთ განუმარტა თუ რამდენათ განსაცდელშია დღეს ჩვენი საკითხი და რომ თანახმად კანის რეზოლუციისა, მომენტიც არის ჩვენს საკითხსაც შეეხონო, მან აღგვითქვა, რომ ყველა ნალაპარაკევს გადასცემდა მთავრობის თავმჯდომარეს და ბარტუსაც შესაფერ ცნობებს მიაწვდიდა. მასვე გადავეცით თქვენი სურვილი შესახებ იმისა, რომ გქონოდათ შესაძლებლობა დელეგაციის მოხელეებთან თავისუფლათ მისვლის და ლაპარაკის. ესეც აღნიშნა თავის „კარიე"—ში. ამ დღეებში გარეშე საქმეთა მინისტრი ინახულებს ბ. პუანკარეს. შედეგს უმალვე მოგწერთ.

ახმეტელიდან მივიღე ცნობა, რომ 1000 კნიჟკა პასპორტის თფილისში რომ გამოუციათ, იმის მსგავსი 16 გვერდიანი ეღირება 6000 მარკა, ხოლო უფრო კარგს ქაღალდზე და 32 გვერდიანი ვიზებისათვის ეღირება 10 000 მარკა. ბ. ფინანსთა მინისტრმა განმიცხადა, რომ ლეგაციას აქვს ნაშთები და იმ ნაშთებიდან გაიღეთ თანხა, ჩვენ ვერაფერს მოგცემთო. გთხოვთ შემატყობიოთ თქვენი აზრი. მე საერთოდ არ ვიცი ლეგაციის ნაშთების ამბავი, მაშასადამე არც ის ვიცი თუ რა ნაშთები გვაქვს, თუ დაუკვეთო, რომელი? ე. ი. 6000 თუ 10000 მარკის. პასპორტის ბლანკები აღარ გვაქვს. პასპორტის გაცემაზე უარის თქმა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ აღარ ვარსებობთ. ან საიდან გავიღო ეს თანხა. ფორმალურად ეს ყველაფერი მთავრობის საქმეა. ლეგაციაში მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს.

ღრმა პატივისცემით ს. ასათიანი."[1]

„9,V , 22, პარიზი.

ძვირფასო აკაკი!

გიგზავნით ტექსტს იმ ტელეგრამისას, რომელიც კონფერენციის თავმჯდომარეს ფაქტას გაეგზავნა, როგორც თქვენ თხოულობდით. აგრეთვე გიგზავნით კ. გვარჯალაძის ტელეგრამის ტექსტს — ყოველ შემთხვევისათვის, რადგანაც ვფიქრობთ, რომ მან თქვენც გამოგიგზავნათ ეს ტელეგრამა. თქვენი წერილები მოდის რეგულარულად, უკანასკნელი წერილი 7 მაისიდან არის.

ხელშეკრულებანი და კონსტიტუცია დაგვგზავნეთ ყველგან, რაოდენიმე ლეგაციამ განმეორებით გვთხოვა, რაც სიამოვნებით შევასრულეთ, გვთხოვეს ლეგაციის არხივისათვის. თქვენ გამოგიგზავნეთ უკანასკნელად (5 მაისს) ორმოცდაათი ხელშეკრულების ტექსტი, მეტის გამოგზავნა, თუ ზედმიწევნით საჭიროებას არ წარმოადგენს, არ შეგვიძლია, დაგვრჩა სულ 70 ცალი.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფურც. 6-7.

ფიუქსტენბერგი იყო დღეს ჩემთან და ამიწერა მათი ფინანსიურად კრიტიკული მდგომარეობა, განსაკუთრებით გვიჭირს ამ მაისში, რადგანაც ამ ხანებში მეტად საინტერესო და საჭირო მუშაობა შევასრულეთ, რაც დიდათ გამოსადეგია საერთო საქმისათვის (ბოლშევიკებთან ბრძოლა), ათას ფრანკს რომ დაგვეხმარებოდეს საქართველოს ლეგაცია, ეს დიდი შეღავათი იქნება ჩვენთვისო. რადგანაც მე არ შემეძლო რაიმე გარკვეული პასუხის მიცემა, ვუპასუხე, რომ თქვენ მოგწერდით ამის შესახებ და ამასთანავე ჩვენი ფინანსური მდგომარეობაც გაკვრით გავაცანი.

გთხოვთ გვაცნობოთ, თუ რა პასუხი გავცე ფიურსტენბერგს, მან მითხრა, რომ თქვენ ამის შესახებ იცით, „სვოდკა" მომიტანა, გამოგიგზავნით ხვალ ან ზეგ.

პასპორტების შესახებ ფინანსთა მინისტრს სურს დააყენოს საკითხი მთავრობის კრებაზე, რაც დაგვიანდება და ჩვენ კი ბლანკები აღარ გვაქვს.

პუანკარე ხვალ მიგვიღებს (ოთხშაბათს 6 საათზე, 10 მაისს). თქვენი უკანასკნელი წერილით ვისარგებლებთ, ეხლაც ალბათ დიპლომატიური პასუხით გამოგვისტუმრებს, საუბედუროთ მდგომარეობაც ისეთია მათთვის, რომ ეხლა გარკვეულს ვერაფერს გვეტყვიან. მაგენი რომ რომაელების ფსიხოლოგიით არ იყვნენ მონამლული და ჩვენ რომ რამეთ გვაგდებდენ, განა მათ ჩვენზე უფრო ვინმე გამოადგებათ რუსეთის საქმეებში?

დიუმერგი და ლეიგი ჯერ პასუხს არ იძლევიან, ეს ხუთი დღეა, რაც მიღება ვსთხოვეთ. ფული გამოგეგზავნებათ ხვალ ან ზეგ. ვოიტინსკი ყოველთვის გიგზავნით ამონაჭრებს და ინფორმაციას, რომელსაც პრესსას ვაწვდით. „Посл. новост"-ი მოდის ყოველ საღამოს. ღებულობთ არა?

თქვენი ს. ასათიანი."[1]

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიმართვა ხალხთა ლიგას, თბილისი, 25 მაისი, 1923 წელი

[ტექსტის დედანი დაწერილია ჩხენკელის ხელით, გადაბეჭდილია საბეჭდ მანქანაზე, ნათქვამია, რომ ასლი დაეგზავნა ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს, მთავრობებს, ამსტერდამის ინტერნაციონალს]

„ქართველი ერის სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის გარშემო შემოკრებილია დღეს მრავალტანჯული ქართველი ერი, მიმართავს ერთა ლიგას და მისი საშუალებით მთელს განათლებულ კაცობრიობას და აუწყებს მათ ქართველი ერის დღევანდელ უბედურ მდგომარეობას.

ჩვენს მიერ აღწერილი სურათი ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობისა იქნება მკრთალი, რადგან შეუძლებელია სიტყვიერათ გადმოცემა იმ ვაებისა, იმ წამების, რომელსაც დღეს განიცდის საქართვე-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 62, ფურც. 9-10.

ლო. ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში ჰქონია თავისი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, თავისი მმართველობა და გმირულად იცავდა თავის სამშობლოს. ასოცი წლის წინათ რუსეთმა ფეხქვეშ გასთელა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და შეუდგა ქართველი ერისა და მისი კულტურის განადგურებას. მაგრამ ქართველ ერს ისეთი ძლიერი კულტურა აღმოაჩნდა, რომ ველიკორუსული ნაციონალიზმი მასთან ვერას გახდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ წართმეული დამოუკიდებლობა და სუვერენობა აღიდგინა. მან შექმნა ეროვნული კრება, მთავრობა, ადმინისტრაცია, ჯარი, სასამართლო და სხვ. ევროპის სახელმწიფოებმა ჯერ ფაქტიურად და შემდეგ იურიდიულად იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. 1921 წლის თებერვალში რუსის ჯარი მოულოდნელად შემოესია პატარა საქართველოს, ქართველმა ერმა შემოსეულთა წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოლა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ის დაეცა, რუსეთმა ის კვლავ დაიჭირა. დღეს საქართველო რუსეთის ოკუპაციის ქვეშ არის, ეს ოკუპაცია არ შეედრება ისტორიაში დღემდე ცნობილ არცერთ ძალდატანებას.

რუსეთმა ფაქტიურად მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა, განათლებული კაცობრიობის თვალისასახვევად მან შექმნა ოთხსართულიანი „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი", რომელიც უდიდესი სიცრუეა ბოლშევიკური სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა. ნამდვილად საქართველოს განაგებს რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, ფული, ჯარი და სხვა არ არსებობს, ყოველივე ეს წაშალა მოსკოვმა და კომუნისტურმა ოლიგარქიამ, ხოლო საქართველოში გაამეფა უსაშინლესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. დღეს საქართველოს განაგებს რუსეთის ჩეკა და დამსჯელი რაზმები, დღეს საქართველო სასაკლაოთ არის გადაქცეული. რუსეთის ჩეკა, რომელიც საქართველოში მძვინვარებს, ეს უსაშინლესი სირცხვილი და ლაქაა XX ს-ში. ამ დაწესებულებებში განუკითხავათ, გაუხამართლებლათ, დაუკითხავათ იხვრიტება ქართველი ერის საუკეთესო შვილები, ინტელიგენცია, მხედრობა, მუშები, გლეხები და კოოპერატორები. მსხვერპლს ჯერ შიმშილით ასუსტებენ, შემდეგ თავში ჩაქუჩის ჩარტყმით აყრუებენ, ხელფეხშეკრულთ საბარგო მანქანებზე ყრიან და ქალაქგარეთ ხვრეტენ. ამ გზით ქართველმა ერმა დაკარგა არა ერთი და ორი ასეული საზოგადო მოღვაწე და პატრიოტი. გმირებს ნაჩქარევათ ზერელეთ მოთხრილ ორმოებში ყრიან და მათ ლეშებს ძაღლები ათრევენ სასაფლაოზე. მშობლებს, ნათესავებს, ამხანაგებს არა აქვთ საშუალება დაასაფლავონ დახვრეტილ-ნანამებნი. რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ამ ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი და გურია. ამ ორი თვის წინათ, გურია — ეს საქართველოს საუკეთესო და კულტურული ნაწილი, სამხედრო ექსპედიციებმა მთლად გაანადგურა. აქ ჩეკამ გაგზავნა დამსჯელი რაზმების მეთაურებათ ყოფილი ყაჩაღი, რომელმაც გადასწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანა-

შაულო ხალხი, ცეცხლში დასწვეს ახალგაზრდა 15 წლის ვაჟი. ეს ვერაგი მოკლეს და ამ მკვლელობას დამპყრობლებმა იმით უპასუხეს, რომ ღამით, 13 თებერვალს, 1923 წელს, 92 კაცი გამოიყვანეს თბილისის ციხიდან და დახვრიტეს. გურიაში დახვრეტილია რამდენიმე ასეული კაცი. ზოგიერთი ოჯახები სულ ამოწყვიტეს, ზოგი დასწვეს და დაანგრიეს. ასეთივე მდგომარეობაშია კახეთი-თიანეთის და თელავის მაზრები. ოკუპანტები ანადგურებენ ყველა კულტურულ ძალებს. ამ წლის 20 მაისს რუსეთის ჩეკამ გაუსამართლებლათ დახვრიტა 15 მხედარი, ქართველი მხედრობის ხელმძღვანელნი, გენერლები და შტაბის ოფიცრები, სახელგანთქმული მეომრები და პოლიტიკური მოღვაწენი.

გარდა ამ ფიზიკური განადგურებისა, რუსეთი სპობს ერის კულტურას: ისპობა და ნიავდება საუკუნოებით შექმმნილი კულტურული ნაშთები, საქართველოში არ გაისმის არა თუ თავისუფალი სიტყვა და აზრი, მორწმუნე ხალხს ლოცვაც აღარ შეუძლია; ბოლშევიკურმა რუსეთმა დაანგრია ეკლესია-მონასტრები და მორწმუნე ხალხი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. განუკითხავათ არიან ჩაყრილნი სარდაფებში სარწმუნოების საუკეთესო წარმომადგენელნი. ხალხის სიმდიდრეს იტაცებენ და ითვისებენ უცხო ელემენტები. ყველა წრისა და პროფესიის ადამიანები ავაზაკურათ იცარცვება, ხალხის ნაოფლარით ოკუპანტები განცხრომაში ცხოვრობენ. არცერთ მშრომელს, არცერთ მწარმოებელს აღარ ეკუთვნის არც სიცოცხლე და არც მისი ოფლით შეძენილი დოვლათი. ყველაფერს ოკუპანტების ხიშტებით იტაცებენ. ქალაქის მცხოვრებლები იმდენად დაბეგრილნი არიან, რომ უკანასკნელ საოჯახო ნივთებს ყიდიან, რომ გადასახადები გაასწორონ. ასეთივე დღეშია გლეხობა, მთელი მისი ავლადიდება ოკუპანტების განკარგულებაშია და ის სულს ღაფავს გაჭირვებისაგან. გლეხს, რომელიც არ არის მომხრე ბოლშევიკების, ყველაფერი წართმეული აქვს, სახლიც და სამუშაო ინვენტარიც. წართმეულს ურიგებენ თავის მომხრეებს, ასეთივე უღლის ქვეშ გმინავენ ქართველი მუშები. საქართველოს ციხეები მუშებით არის სავსე, ეს არ იკმარეს და რუსეთის ციე მხარეებში ერეკებიან ასობით ადამიანს, სამშობლოდან აძევებენ ყველას, ვინც თავისი ქვეყნის მოღალატე არ არის და მოძლადეთა მომხრე არ არის. ოკუპანტები საშინელ წამებას აყენებენ მუშებს და გლეხებს, რომ მათ ხელიდან გამოგლიჯონ მათი რეჟიმის მოწონება და მხარდაჭერა. ზოგნი ვერ უძლებენ ამ მეოცე საუკუნის ინკვიზიციას და უწერენ ხელს ჩეკაში შედგენილ საშინელ ცილისწამებებზე ქართველ ერზე. ქართველი ერი შეგნებულად ებრძვის თავდამსხმელთ და იცავს თავის კულტურას და დამოუკიდებლობას. ერთა ლიგისადმი მომართვა ქართველი ერისათვის არის ერთი ამ საშუალებათაგანი. განათლებული საზოგადოების წარმომადგენლობავ, ისმინეთ ხმა კულტურული პატარა ერისა, ეს ერი იულიტებაფიზიკურად, ისპობა მისი კულტურა, ინგრევა მისი ეროვნული კერა.

საქართვლოს დამოუკიდებლობის კომიტეტს იმედი აქვს, რომ ერთა ლიგა, ეს სამართლიანობის უაღრესი ორგანო აღიმაღლებს თავის ავ-

ტორიტეტულ ხმას ამ მიმართვაში აღნერილს საშინელ დანაშაულობათა წინააღმდეგ, რომელსაც სჩადიან რუსეთის დღევანდელი ბატონები ქართველი ერის მიმართ.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. 25 მაისი, 1923 წელი."

შენიშვნა: საქართველოდან ამ მიმართვის შესახებ გვწერენ, რომ ის ნაჩქარევათ არის შედგენილი და შეასწორ-შეალამაზეთო, სტამბოლმა მისი შესწორება არ იკისრა და საჭიროა ეს იკისრონ პარიზში მყოფებმა.[1]

როგორც ჩანს, აკაკი ჩხენკელმა საქართველოდნ გაგზავნილი ტექსტი გადაწერა, ბევრი რამ შეცვალა, ჩაასწორა და ისე გაამზადა ევროპის ქვეყნების მთავრობებისთვის დასაგზავნად.

აკაკი ჩხენკელის წერილები ჟენევიდან და ლონდონიდან საქართველოს მთავრობისადმი პარიზში ეროვნებათა საბჭოში საქართველოს საკითხის დაყენებისა და ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულებაზე საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

5. IX-9. X, 1924 წელი

1924 წლის მოვლენებს და მისი სამართლიანობის საკითხზე მსჯელობას აგრძელებდა აკაკი ჩხენკელი იმ წერილებში, რომელსაც ჟენევიდან და ლონდონიდან უგზავნიდა პარიზში მყოფ თანაპარტიელებს და ატყობინებდა ევროპელი დიპლომატების თვალსაზრისს საქართველოს შესახებ. ამ წერილებიდან ჩანს, რატომ იყო გაბრაზებული ჩხენკელი და რას თვლიდა გადამეტებულ ინფორმაციად, რომელიც გადაუმოწმებლად, მის გარეშე მიაწოდეს ევროპელ დიპლომატებს საქართველოში საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მიმდინარე გამოსვლებზე.

მოგვაქვს აკაკი ჩხენკელის მიერ 1924 წლის სექტემბრიდან გაგზავნილი 16 წერილი საქართველოს მთავრობისადმი.

წერილი I

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 5.IX, 24

დღეს მიღებული კანდელაკის წერილიდან არ სჩანს, რომ თქვენც მიიღეთ სტამბულიდან დეპეშა, რომელიც ჩართულია აქვე ჩადებულ ნოტაში, რომელსაც დღეს ვაძლევთ ხალხთა ლიგას. როგორც დაინახავთ, ამ ნოტიდან უკანასკნელ წუთში ამოვიღეთ ადგილი ნახევარი საქართველოს განთავისუფლების შესახებ. ეს მით უფრო, რომ იმავე გვარჯალაძისგან დღეს მივიღეთ მეორე დეპეშა ასეთი შინაარსის: „დამატებითი ცნობები არა მაქვს, მტერმა განგებ შეკრა ყველა გზები, არ უნდა საქართველოსთან კავშირი იყოს, სურს მოძრაობა ჩაახშოს და არარაობად გამოაცხადოს". თუ გზების შეკვრა შესძლო მტერმა, აშკარაა, არც ისე კარგათაა საქმე. ბათუმში წაგებულიცაა. რომ მოძრაობა სერიოზულია, იქიდანაც ჩანს, რომ გუშინდელ „დნი-"ში ვრცელი ცნობებია ბრძოლის შესახებ სხვადასხვა ადგილას, ფოილოდან დაწყებული. საჭიროა თვითონ ნახოთ ნომერი. ჩვენ დღეს ვაძლევთ ამ ცნობებს პრესას. ახმეტელს ვწერ გაიგოს წყარო

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 114, ფ. 1-7.

რედაქციაში, მაშინ მეორე ნოტას გადავცემთ. ჩვენ მივეცით სააგენტოებს გვარჯალაძის დეპეშა, აქ დაისტამბა, პარიზშიც „joum de Dobak" და შეიძლება კიდევ სხვაგან. სუმბათაშვილი მწერს, რომ მანაც მიიღო და გადასცა პრესას, იქაურ სამინისტროში ცნობები არ აქვთო. მიკვირს.

ჩვენ არ ვიცით, რას ემყარებოდა გვარჯალაძე, მას დებრიუკერისთვისაც გამოუგზავნია, დაუშვებელია მისი მხრით, ჩვენთვისაც არ უნდა გამოეგზავნა ჯერ, თუ წყარო საიმედო არ იყო. დებრიუკერს არ სჯერა, არც სხვებს, ვისაც აჩვენა: ასე იციან, კონფერენციების დროს უთუოთ უნდა გამოახტუნონ რამეო! მართალი მოგახსენოთ, როსტას დეპეშა არ ყოფილიყო, სრულიად გააბათილებდენ სტამბოლის ცნობას. ამან გაგვაბედია თვით ნოტის დაწერაც. დებრიუკერი იმ აზრის იყო, რომ შეუძლებელია, დიდათ მავნე ამ ცნობების ოფიციალურათ ხალხთა ლიგისთვის გადაცემაო. ჩვენ დავითანხმეთ მაინც ის, რომ გადაგვედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ ძალიან ფრთხილათ: არ დაგვეყენებია კონკრეტული მოთხოვნა ამ დროებით, ზოგადათ გვეთქვა მიიღონ ისეთი ზომები, რომელსაც თვითონ საჭიროთ დაინახავენ. ჩვენ არ გავხსენით პწკალები „პარიტეტულ" კომიტეტზე, არც ანდრონიკაშვილზე, ვამბობთ სტიქიურია თვით მოძრაობა, მაგრამ ესეც ბნელათაა ცოტა. რატომ? იმიტომ, რომ დავუცადოთ ამბების განვითარებას და მივცეთ შემდეგ უფრო გარკვეული სახე ჩვენს ნაბიჯებს.

ნოტას გადავცემთ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იმას დაარიგებენ ოფიციალურათ. მით უფრო ნაკლებ, რომ კითხვას დასვამენ, ატმოსფეროც სრულიად არაა ხელსაყრელი. დებრიუკერი ამბობს, დიდებს ვერ გააგონებთ, ხოლო პატარები ვერაფერს გაბედავენო. დაგვრჩენია, ჩვენ გავავრცელოთ. ერთში მაინც შევთანხმდით: დებრიუკერმა იდო თავის თავზე მოიპატიჟოს ჩვენთან ყოველი ქვეყნის დელეგატი — სოციალისტები და გავმართოთ თათბირი, რა უნდა გაკეთდეს აქ ჩვენს საკითხში. როგორც გუშინ გადმოგვცა, მან დაითანხმა უკვე ერთი ნაწილი და იმედი აქვს დანარჩენებსაც ჩაითრევს; განზრახულია მომავალ სამშაბათს, ამ კვირაში არც ივარგებდა „დიდი დღეების" გამო, სადაც დიდები ენაწყლიანობენ.

დებრიუკერმა თქვა, რომ ის ილაპარაკებს კომისიაში სომეხ ლტოლვოლთა კავკას. სომხეთში ჩასახლების შესახებ და შეეხება საქართველოსაც. ჩვენ მას გავურკვიეთ სომეხ ლტოლვილთა კავკასიაში ჩასახლების უარყოფითი მხარენი, მიიღებს მხედველობაში, დაგვპირდა.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი II

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 5.IX, 24

მოტასთვის და სხვა დელეგატებისთვის, აგრეთვე მოსკოვისთვის თავმჯდომარის მიერ გაგზავნილი დეპეშების ასლები გუშინ მივიღეთ. სახტათ დავრჩით ერთი იმიტომ, რომ მიღებულია — დელეგაციას ანდობენ გადაცემას, ისე რის მაქნისია? მეორეც, კითხვას უკვე სვამთ ოფიციალურათ ლიგის წინაშე, მაშინ, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა მოსინჯული ნიადაგი, არ ვიცოდით გადადგმული ნაბიჯის (ჩვენი ნოტა) ეფექტი; მესა-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 1.

მე, მართალია, მოტას და ერიოს (არასოციალისტებსაც) უგზავნით, მაგრამ ტენდენცია ცხადია: ბრანტინგი, ჰენდერსონი, პოლ ბონკურ და დებრიუკერი პირველი დელეგატები არ არიან, ამ უკანასკნელთ კი ჭკუაში არ დაუჯდებათ. მოსკოვისადმი დეპეშის გაგზავნა ტაქტიკურათ სწორეთ რომ მიზანშეწონილი იყო, მაგრამ არა მგონი საჭირო ყოფილიყოს „ეკონომიკური და კომერციული" დაპირებები, — მე არ ვფიქრობ, მთავრობა ელოდეს, რომ მოსკოვი შემოვა მოლაპარაკებაში. ყველა ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ გვეშინია, არ გვაკნოს. თუ კითხვა არაა რიგიანათ დამუშავებული და გამომსვლელნი მომზადებული, არ ამაგრებს ჩვენს პოზიციას: აუცილებლობას უფრო ადვილათ ურიგდებიან.

ეს არის ვებაასე დებრუკერს იმის შესახებ, თუ როგორ დაგვეყენებია კითხვა ხვალ სოც. დელეგატებთან. მან აიღო თავმჯდომარის დეპეშა და თქვა, იგი უკვე დაყენებულიაო. მან გაიგო, რა თქმა უნდა, რომ ფსიხოლოგიური მომენტი ამართლებდა ამ ნაბიჯს და გამოთქვა თავისი იჭვები არბიტრაჟის შესახებ. თან დასძინა ფორმალური დაბრკოლებანი: საქართველო წევრი არ არის ლიგის, არც რუსეთი, მაშასადამე, „პაქტი" არ ავალებს ლიგას ჩაერიოს. ფინლანდია წევრი იყო, ამიტომ ლიგა ვალდებული იყო ჩარეოდა კარელიის საქმეში, მაგრამ ეს პრეცენდენტიც არაა გამამხნევებელი, რადგან რუსეთი არ დათანხმდა: მართალია, შესაძლოა რომელიმე ავტორი შეეხოს საკითხს საერთო სხდომაზე, მაგრამ ეს უმნიშვნელოა მდგომარეობასთან შედარებით და, თუ წინდაწინ არა ვართ მომზადებული, შეიძლება ისეთი რამე წამოროშონ სხვებმა, რომ 1922 წ. მიღებული რეზოლუცია წაგვიხდინონ (ეს სამინისტროშიც მითხრეს პარიზში, კანდელაკმა იცის). ბოლოს მაინც დავაჯერე დებრიუკერი, რომ სწორეთ ეს რეზოლუცია ფანტავს ფორმალურ იჭვებს, ვინაიდან მის თანახმათ, ლიგა ანდობს თავის საბჭოს მიიღოს დიპლ. და მშვიდ. ზომები; რომ საქართველო წევრი არ არის, მაგრამ დაშვებულია ლიგის ტეხნიკურ ორგანიზაციებში; რომ ის ცნობილია ბევრისგან; რომ თავი და თავი სისხლის დაღვრაა, რომელსაც გულგრილათ ვერ შეხედავს ლიგა; რომ არბიტრაჟი, თუგინდ მოსკოვმა უარყოს, ერთადერთი გამოსავალია-მეთქი და სხვა. შევთანხმდით, მოვუმზადო დებრიუკერს მასალები, რომ ხვალინდელ შეხვედრაზე გააკეთოს მოხსენება, წინდაწინ ელაპარაკოს ბრანტინგს, ბონკურს, ჟუოს, ერთი სიტყვით, ხვალ უნდა გამოვიმუშავოთ ერთგვარი გეგმა. შემდეგ მივმართავთ არასოციალისტ დელეგატებს.

გიგზავნით ამონაჭრებს, უკანასკნელი დეპეშა სტამბოლიდან მთლათ ვერ ამოვიკითხეთ, თუ თქვენც მიიღეთ, გამოგზავნეთ. მოტასთვის და სხვ. გამოგზავნილ დეპეშას ვერ გამოვაქვეყნებდით: ჩვენ არც ადრესატი ვართ, არც გადამცემი, ისე დაუშვებელია. ჰოლანდიის, რუმინიის და ბოლგარიის მთავ. დელეგატები ჯერ ვერ ვნახე, ვნახავ სპეც. საკითხზე, რაზედაც იწერებოდით. იმედი ცოტაა. პოლონ. დელეგაციას აქვს ცნობა ვარშავიდან, იგივეა, ალბათ სტამბოლს იქაც გაუგზავნია,

აკ. ჩხენკელი."[1]

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 2.

წერილი III

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 10.IX, 24

ეს არის ლორდ პარმურისგან მოვდივარ, რომელთანაც ჰენდერსონმა მომიწყო შეხვედრა. მომისმინა, წარუდგინე ჩვენი ნოტა. თავმჯდომარის მაკდონალდსისადმი დეპეშა ვახსენე. ველაპარაკე რეპრესიებზე, მძევლების დახოცვა თფილისში... და აგრეთვე ავუხსენი, თუ როგორ გვაქვს ჩვენ წარმოდგენილი ლიგის ჩარევა. პარმურმა არაფერი თქვა კონკრეტულათ: ჩვენს დელეგაციაში განვიხილავთ საქმეს, თუ მოხერხდა, დროუმონდს დავისწრებთო, დასტოვეთ მისამართი, იქნება საბჭომ მოგისმინოთო, მე სრულიად თანაგიგრძნობთ, გაგიწევთ დახმარებასო. აი, მისი სიტყვები.

წუხელის ვახშმად მეტი გავიგეთ, იყვნენ: ჰენდერსონი, ბრანტინგი, პოლ ბონკური, დებრიუკერი, ბოსებიერი (დანიის გარ. საქ. მინისტრი), ჟუო და ედიმილიო (პროფესორი აქ და სოც.). პოლ ბონკურმა განაცხადა, რომ ერიომ და მაკდონალდმა იმავე დროს მიიღეს თავმჯდომარის დეპეშა, იქვე შეთანხმდნენ კითხვა დაისვას ლიგაში, ერიომ გადმომცა დეპეშა და დასძინა, — თქვენ თავზე მიიღეთ მზრუნველობაო. ჰენდერსონმა განაცხადა, რომ მაკდონალდმა პარმურს მიანდო ეს საქმეო (პარმურმა არაფერი მითხრა ამაზე, ბუნებრივია). მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბონკურს კიდევ მეტი სცოდნია: საბჭოში უკვე ლაპარაკობენ ამაზე, სეკრეტარიატი ეძებს ფორმულას და შეიძლება ხვალ (დღეს) კიდეც გაარჩიონო. ბრანტინგმა შენიშნა: ცუდი იქნება, თუ საკითხი საბჭოდან არ გამოვიდაო, უნდა ეცადოთ საერთო სხდომაზე დაისვასო. ამ აზრს ის დაიცავს საბჭოში, იმედია. შეგვპირდენ გამოსვლას საერთო სხდომაზე, პოლ ბონკურმა კატეგორიულათ. შემდეგ გვქონდა ბაასი მდგომარეობაზე, Jour. de Sen. კითხულობენ დელეგატები, კითხვა აქტუალურია ასე თუ ისე. დებრიუკერმა განავითარა თუ როგორ უნდა დაისვას კითხვა. ძლიერ დამაბრკოლებლად თვლიან, რომ მოსკოვის პირბადედ ქართველი კომუნისტები (კომისრები) გამოდიან. სწორეთ ვახშმის დროს მოვიდა თქვენი დეპეშა თფილისის სასიკვდილო განჩინების შესახებ. ჩვენ გამოგვაქვს მოძრაობა, როგორც სტიქიური, უფრო საერთო, გაგრძელება წინანდელი გამოსვლებისა, სხვაგვარი დახასიათება მავნეა, დაგვწამებენ, რომ ჩვენ ვებრძვით იმათ, ამიტომ დამკომზე და პარიტკომზე წერა პრესაში გვავნებს.

გეგეჭკორის დეპეშა გვქონდა, თავმჯდომარის მოწერილი ნოტა ჯერ არ არის, გვეშინია დაგვიანდეს. ისიც საშიშია მოვიდეს და არ მიუდგეს. საჭიროა იურიდ. დასაბუთება: ცნობა საქართველოსი, როგორც მეომარი მხარე, დაყრდნობა ლიგის რეზოლუციაზე (1922) ერთის მხრით და პაქტის 17.12 და 16 მუხლი, მეორეს მხრით. ნოტა ჩვენ უნდა მოგვენდოს გადასაცემათ, თუ დაგვიანდა, ჩვენ დავწეროთ იქნება, დამოკიდებულია, რამდენათ საჩქაროა. პარმურმა ცოტათი დამამშვიდა: ჯერ დელეგაციაში გავარჩევთო, კიდევ გავიგებ, საშინელია ხალხის დაჭერა. ბონკურს მივადექი, ერთ წუთსაც არ მცალიაო. მართლა, წუხელის მითხრა მან: მე ვერ ვუპასუხებ, მისწერეთ თვითონ თავმჯდომარეს...

რუსული ინფორმაციები დიდ საქმეს გვიშვება, არ იციან, რომ ჩვენ ვათავსებთ. უფრო მეტი ნდობით ეპყრობიან, მართალია დამარცხებებზე წერენ ხშირათ, მაგრამ მდგომარეობის სერიოზულობა მაინც ჩანს.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი IV

საქართველოს მთავრობას ჟენევა, 10.IX, 24

ვუცდი ბრანტინგს მის სასტუმროში და გწერთ. დღეს გწერდით პარმურთან და სხვებთან შეხვედრაზე. ამ საღამოს კი გავიგე ცუდი ამბავი, ჰენდერსონმა გადმომცა, რომ პარმურმა გადაწყვიტა პირველი შემთხვევით ისარგებლოს და დასვას თქვენი კითხვა საბჭოშიო. მაშ, მათ ჰქონიათ უკვე სხდომა დელეგაციაში. ეს ნიშნავს რამე უმნიშვნელო დადგენილების მიღებას და საზოგადო სხდომაზე არგამოტანას. პარმური ემყარება 1922 წ. გამოტანილ რეზოლუციასო, ე. ი. ლიგამ უკვე მიანდო ამის თანახმათ საბჭოსო, ეხლა კი ამ უკანასკნელმა უნდა იმსჯელოსო. ჰენდერსონს ვთხოვეთ, დებრიუკერიც იყო, ეცადოს საზოგადო სხდომაზე გაატანიოს. დაგვპირდა, მაგრამ არ შეასრულებს, სრულიად ცხადია. ვიცით ნამდვილი ნყაროდან, რომ უნდა მიიღონ une resolucion genereuse wais generale, ე.ი. არაფერი არ თქვან საწყენი მოსკოვის.

გავიქეცით ბონკურთან და კარზე დავიჭირეთ, სადღაც მიდიოდა. როცა გაიგო, ელდა ეცა, როგორ, მე ერიომ მომანდო სწორედ საზოგადო სხდომაზე გამომეტანა კითხვაო. გარწმუნებთ, მომმართა, საბჭოს სხდომაზე ვნახავ პარმურს და ვეცდებიო. როცა მე შევნიშნე, განა თვით საბჭოს სხდომაზე არ შეუძლია თქვენს დელეგატს (ჟუვე ნელია ჩვეულებრივ), ბონკურმა ლაკონიურათ განაცხადა: ჩვენ ვერ გადავაბიჯებთ პარმურს, ერთხელ თუ შეიტანა, მორჩა და გათავდა, ჩვენ ვერას ვუშველითო. ვეცდები წინასწარ მოვაშლევინო ეს განზრახვაო, განაცხადა მან.

შემდეგ ვიმსჯელეთ მე და დებრიუკერმა, — რა ვქნათ, საბჭო თითქმის ყოველ დღეა, შეიძლება ხვალვე განიხილონ... ნოტა თავმჯდომარის არ არის, გადავწყვიტეთ, თუ დილით არ იქნა, ჩვენ დავწეროთ.

მივედი შინ, დამხვდა ნოტა!! 9-ს გამოგიგზავნიათ, როგორც გეგეჭკორი მატყობინებდა დეპეშით. მხოლოდ ველოდი, იგი ჩვენ მოგვივიდოდა გადასაცემათ, განსაკუთრებით ჩემი წერილის შემდეგ დეპეშების გამო. პირდაპირ დაუჯერებელია ასეთი არაჩვეულებრივი ნაბიჯები, არ შეიძლება საკუთარი დელეგატისადმი ასეთი მოქცევა, იქნებ გსურთ, რომ მე აქ არავინ მელაპარაკოს? არ მჭირდება მტკიცება, რომ აქ პირადულ ელემენტს არ აქვს ადგილი. ეს არის შემთხვევა მოტას პირადათ ნახვის განსაკუთრებული მისიით, მაშ, მას ვერ ვნახავთ, ტყუილი იმედია, ქაღალდი უკვე მაქვსო, — მიპასუხებს. რაც შეეხება შინაარსს, თუმცა დაუსაბუთებლათ, კითხვა სწორეთ დგას: საზოგადო სხდომაზე დასვითო, მოითხოვს თავმჯდომარე. ფაქტი კი საშიშია დასახელებული: თფილისის და ბათუმის გარდა მთელი საქართველო ჩვენს ხელშიაო. მერე ამბობს: საქართველოდან მივიღეო. კანდელაკის წერ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 3.

ილში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები ეს. რაშია საქმე? ნუთუ ასეთი დიდი ამბავი მოხდა და ის კი არაფერს იტყოდა? პირდაპირ გასაოცარია! თუ ნამდვილი, სრულიად სანდო წყარო არა გაქვთ, პირდაპირ გაუგონარია ოფიციალურ ქაღალდში ასეთი ფაქტი. იქნებ გგონიათ, რომ არ კითხულობენ, არ ესმით წაკითხული. ასე თუ ისე, ნაბიჯი გადადგმულია, ჩვენც მას უნდა მივსდიოთ. ერთი ფორმალური მხარე: მოტას არ წაუკითხავს თავმჯდომარის დეპეშა სხდომაზე, ალბათ ბიურომ არ დართო ნება. არც ნოტას წაიკითხავს. პარმურმა სულაც არ იცოდა, რომ მოტას და სხვებს დეპეშები ჰქონდათ. ასე რომ უხმოდ დარჩება ალბათ ნოტაც, თუ არ მივაწვდინეთ პარმურს და ბონკურს.

სწორეთ იმიტომ მინდა ვნახო ბრანტინგი, რომ გავაცნო ნოტა და ვსთხოვო საბჭოში არ დაამარხვინოს ნოტა. საზოგადოთ კი სრულიად დავრწმუნდი, რომ ლიგა დეკორაციაა, კითხვას სწყვეტენ ინგლისი და საფრანგეთი, პირველი უმთავრესათ.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი V

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 11. IX. 24

თქვენი დეპეშის თანახმათ მე შევუდგები ნოტის მოფიქრებას და მასალის გადასინჯვას ამისათვის, როცა შავიშვილმა მამცნო, რომ ჩვენი კითხვა უკვე დასმულა საზოგადო სხდომაზეთ. თქვენ წაკითხული გექნებათ პრესაში. ბონკურმა შეასრულა დანაპირი — კითხვა გაიტანა საზ. სხდომაზე. როგორ, ჯერ არ ვიცით. ვფიქრობ ცოტა თვითონაც დათმო: სიტყვაში იერიში არ მიუტანია მოსკოვზე, მაგრამ კითხვა სწორათ დასვა. ჩვენ არ მოგვისმენია, ვიყავით სხდომაზე და ერთი საათის წინ გავედით. სტენოგრამას ჯერ ვერ გიგზავნით, რადგან ერთი ცალი იყო და წაიღო შ.-მა რედაქციებში, მთელათ გვინდა მოთავსდეს. შინაარსს არ ვეხები. რეზოლუციას 1922ნ. ადასტურებენ და სხვა არაფერი. ამას უძღოდა წინ ერთგვარი კერძო კამათი. ბონკური მოითხოვდა დაეძინათ ფრაზა: „თანახმათ პაქტისა". დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამას, რადგან გზები და საშუალებანი ნაჩვენებია და საბჭოს არ შეუძლია გადაუხვიოს ან მაუდს ამოუდოს, როგორც აქამდის. პარმური შეიძლება წასულიყო დათმობაზე, მაგრამ მისმა სპეციალისტებმა დიდი წინააღმდეგობა გასწიესო. დებრუკერი და მასთან ფრანგის სპეციალისტები ებრძოდენ ინგლისელებს, მაგრამ ამაოთ. დათმეს ბონკურმა და დებრუკერმა, რადგან, ინგლისის წინააღმდეგ, ერთსულოვნება დაირღვეოდა და თან ბევრი შეშინდებოდა.

პროცედურა ასეთი იქნებაო: გადაეცემა წესრიგის კომისიას, ეს უბრალო ფორმალობაა ამ შემთხვევაში, დაბრუნდება ისევ საზ. სხდომაზე, აქ მიიღებენ წეს-რიგში და გადასცემენ მე-6-ე კომისიას, რომლის თავმჯდომარე ჩვენი კარგი ნაცნობია – ენკელი, ფინელი ელჩი პარიზში. ამ კომისიაში იქნება არსებითი მსჯელობა, შეიმუშავებენ დადგენილების პროექტს, აირჩევენ მომხსენებელს და მესამეჯერ მივა საზ. სხდომაზე. ფორმალურათ კიდევ შესაძლებელია შესწორება, გადამუშავება, ხოლო

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 4-6.

ფაქტიურათ არ ხდება ასე, თუ დიდები წინააღმდეგი არიან. უნდა ვეცადოთ, რა თქმა უნდა. ჰენდერსონი რომ დაგვეხმარებოდეს, არაა უიმედო, მაგრამ ერთი კია: დებრუკერი და მე ვარჩევდით დიდს მანიფესტაციას საზ. სხდომაზე და ზომიერ რეზოლუციას, უკანასკნელი, რაც უნდა უტრიალონ, მაინც გულისხმობს დამოუკ. საქარ.-ს, იქნება თუ არა ეს მანიფესტაცია: იმედია, მაგრამ დამოკიდებულია ამბების განვითარებაზე ჩვენში, აგრეთვე იმაზე, როდის დაისმის საზ.სხდომაზე: თუ გათავებისას, შეიძლება ვერმიშ. გამოვიდეს, მით უფრო როცა თანხ. გაიარა.

სხდომიდან იმიტომ წავედი, რომ პოლონეთის მინისტრთან მქონდა შეხვედრა დანიშნული. სანუგეშოს ვერაფერს გწერთ, თავაზიანათ იყო, მაგრამ ნამეტანი თავშეკავებული. რამდენი არ ვეცადე, რა მხრიდან არ მივუდექი საკითხს, ვერაფერი გავანყვე, იმეორებდა რიგის ხელშეკრულებას, რომლის ძალით ჩვენ არ შეგვიძლია არაფერიო. ამ პირობებში მე ვერ დავინახე საჭიროდ დამეყენებია პირდაპირ კითხვა, მომეთხოვა ესა თუ ის. თქვენ მეგობრები ბევრი გყავთო, ხაზს უსვამდა, თითქოს ამით იმის თქმა უნდოდა, — მიმართეთ სხვასო. ნაროდნ. დემოკრატების მინისტრისგან სხვაგვარ შეუძლებელი იყო ალბათ: ისინი გერმანოფობები და რუსოფილები არიან. ლუკაშევიჩი ვნახე იქვე ერთი წუთით და დამპირდა შემოსვლას ჩემთან, მასთან შეიძლება ლაპარაკი.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი VI

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 15. IX. 24

მივიღე თავმჯდომარის ორი წერილი, აგრეთვე გარეშე საქ. მინისტრის ერთი, ბიულეტენების და ნოტების ასლებიც. წესრიგის კომისიამ უკვე დაადგინა დასვას ჩვენი კითხვა საზ. სხდომაზე და გადაეცეს მე-6-ე კომისიას. საზ. სხდომა პარასკევამდე არ იქნებაო. მის უმისოთ კი თითქოს არ შეუძლია მე-6-ე კომისიას განიხილოს. ამბობენ, შეიძლება ამ კომისიამ მანამდე არ დაიცადოსო. რამდენი არ ვეცადე, ენკელი ჯერ ვერ ვნახე. თუ ერიომ რამე მოიწერა აქ, როგორც გპირდებათ, შეიძლება კიდევ მოხერხდეს რეზოლუციის გამოკეთება. თუ მაკდონალდიც მოიწერს, მაშინ უეჭველია. მოხელეებმა არაფერი იციან, მთავრების ნახვა ნამეტანი ძნელია, სულ კომისიებში სხედან. აქ ასე აქვთ საქმე წარმოდგენილი: ჯერ საზ. სხდომა დაავალებს საბჭოს, მხოლოდ შემდეგ შეეცდება უკანასკნელი ზომების გამონახვას, როგორს, ძნელია გამოცნობა. ლიგა რომ მიანდობდეს პარიზს და ლონდონს, კარგია, მაგრამ ჩვეულებრივ ხდება წინაუკმო: პარიზი და ლონდონი ანდობს ლიგას... რეპრესიების შესახებ კითხვის ფორმალურათ დასმა საშიშია იმ მხრივ, რომ პრინციპ. კითხვას: ორ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებს შეიძლება გვერდი აუხვიონ. ისე კი რეპრესიების შეჩერებაზე მშვიდ. ხალხის მიმართ, რა თქმა უნდა, მუდამ ვღაღადებთ. საზოგადოთ სასწრაფო ზომებს არ უნდა მოველოდეთ ლიგისაგან, ეს შეეძლოთ მხოლოდ ერიოს და მაკდონალდს. რენოდელის წერილი ერთობ სუს-

1 სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 8.

ტია. დაგვღუპა ამ სოც. დემოკრ. მთავრობებმა, თორემ სამხედრო გემების გამოჩენა შავ ზღვაზე დიდ სამსახურს გაგვიწევდა, ეს კი სულ ადვილი იყო, რადგან სრუტეები ღია არის. საჭიროა კ. ფურნიეს, პერეტის ნახვა. ჩვენი პირველი ნოტა დამკომის მემორანდომითურთ ძლივს გადასცა სეკრეტარიატმა საზ. სხდომის ბიუროს, ალბათ დარიგდება. ვცდილობთ თავმჯდომარის ტელეგრ.-ნოტებიც დარიგდეს ოფიციალურათ, ჩვენ ვარიგებთ.

პრესა, თუმცა... — არ ბეჭდავენ ერთხელ გამოქვეყნებულს, კარგათ გვიჭერს მხარს. საღამოს ან ხვალ ჟ. მარტენის მოწინავე გამოვა Gowin.de Geu. მის კომიტეტს ჰქონდა სხდომა ჩემი თანადასწრებით და დაადგინა გამართოს მიტინგი, რომელზედაც სურს მოიწვიოს ცნობილი დეპუტატები.

ეს არის საუზმედ მყავდა ლუკაშევიჩი და წავიდა. გავაცანი ვითარება დაწვრილებით და დავუყენე კითხვა (დიდი საიდუმლოა) იარაღზე და ფულზე. მან ვერ მომცა პასუხი, რა თქმა უნდა, მოელაპარაკება მინისტრს, მაგრამ ამის გადაწყვეტა მხოლოდ ვარშავაში შეიძლებაო. ის არ გვირჩევს კაცის გაგზავნას იქ ჯერ-ჯერობით და ილებს თავის თავზე კითხვის გამორკვევას. მან თქვა, შეიძლება ამ დღეებში წავიდე ვარშავაში, გამოვარკვევ ყველაფერს და დავბრუნდებიო. თუ ვერ წავედი, მაშინ ვეცდები წერილობით გავიგოვო. იარაღის საქმე მას საეჭვოთ მიაჩნია. მე დავუსახელე ორი გზა: რუმინია ან დანცინგი, ბულგარიასთან არა აქვთ სპეციალ. დამოკიდებულება. გვაფრთხილებს: როცა რუმინიას ან სხვას ელაპარაკებით, ჩვენ არ დაგვასახელოთო. რაც შეეხება ფულს, მე გადავუშალე მას დიდი და პატარა პროგრამა, შესაძლებელია ლაპარაკი მხოლოდ პატარაზე: კავშირი საქართველოსთან, კავშირი კავკასიის სხვა ხალხებთან, აგენტურა მტრის ორგანოებში, დახმარება გამოქცეულებს — აი, მიზნები, რომლისთვის საშუალება გვეჭირვება მეთქი. მან ვერ დამპირდა, მაგრამ ეს კითხვა უფრო ადვილათ მოსაგვარებელია, ვინემ პირველი. ჩემი შთაბეჭდილებით, უნდა დავუცადოთ ცოტა ხანს კიდევ, ვნახავთ, თუ არა და... ა. ჩ."[1]

წერილი VII

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 16.IX, 24

წუხელის გიპასუხეთ დეპეშით თავმჯდომარის წერილზე 14. IX, რომ ეს დღეები აქ საჭიროა დარჩენა. ინგლისში, მეშინია, მაკდონალდს ვერ ვნახავ, სამინისტროში ვერაფერს მეტყვიან, მუშათა პარტიაში კი უკეთესი იყო სხვა ვინმე, თუ წერეთელი არ წავა. თან ლონდონშიც არ იქნებიან ამ არდადეგების დროს. ჰენდერსონი აქაა, ვცდილობ მასთან საფუძვლიანათ მოლაპარაკებას. თუ მან თავზე იდო მოსთხოვოს მაკდონალდს ჩარევა, მასზე გავლენიანი ხომ არავინაა მის პარტიაში. საუბედუროთ ჩემზე არაა დამოკიდებული მისი ნახვა, ამასაც დრო უნდა. ზეგ დელეგატ სოციალისტებს საუზმე აქვთ, გვეგონა ჩვენც დაგვიძახებდენ, დღეს დებრუკერი გვეუბნებოდა უნდა მიეწვიეთო, იქნება კიდევ მოგვივიდეს. ეს დიდი საქმე იქნებოდა, დავიხმარდით.

ენკელს ველაპარაკე დიდხანს. თქვა: ლიგის სხდომაზე 1922 წლის რე-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 12.

ზოლუციის მიღება ნიშნავს კითხვის ისევ საბჭოზე გადასვლას, იქ კი ისევ მიიძინებს, საჭიროა თვით ყრილობამ უჩვენოს გზა და საშუალებანი; მე-6-ე კომისიას არავითარი მასალა არა აქვს, მოტამ ახსენა ერთხელ ბიურო-ში თქვენი დეპეშა-ნოტები, წამაკითხა კიდეც, მაგრამ ოფიციალურად არ დაურიგეს დელეგატებს, ვთხოვ მოტას ჩემს კომისიას მაინც გადმოსცენ. აღინიშნა მთავარი მომენტები ჩვენი კითხვის დღევანდელი მდგომარეობის, ვაჩვენე ზოგიერთი დოკუმენტებიც: პანსონბის, ერიოსი, ბრიანის. ფორმულ. ასეთი მივეცი: ჩვენი ხალხი იბრძვის დღიდან ოკუპაციისა, დღევანდელი გამოსვლა მხოლოდ გაგრძელებაა, მაშასადამე ის არის მეომარი მხარე (სხ. შ. სიტყვა insurrection-ის მაგივრად soulevement-ს უნდა ვხმარობდეთ) და ასედაც უნდა იქნას ცნობილი, ამიტომ ლიგამ ან საბჭომ უნდა მიმართოს როგორც რუსეთს, ისე საქართველოს წინადადებით მიიღონ მისი შუამავლობა და არბიტრაჟი, თანახმად პაქტის მე-17-ე მუხლისა. ენკელმა დამპირდა, რომ მეწვევა კომისიის სხდომის წინ, რომელიც განზრახულია პარასკევ-შაბათს, სხვა კითხვა არ გვაქვსო. ლიგის საზ. სხდომა კი უნდა მოხდეს ხუთშაბათსო.

ამ მუსაიფიდან ის დასკვნა გამოვიყვანე, სხ. შორ., რომ საჭიროა ჩვენის მხრით ფორმალურათ ნოტა, წავედი დებრუკერთან სათათბიროდ, ის არ დამეთანხმა: თქვენი ნოტა სახიფათოა, თუ ინგლისი და საფრანგეთი არ დათანხმდენ. არბიტრაჟზე მათ რომ არ შეეტანათ წინადადება, თქვენს ნოტებს ძალა არ ჰქონდა, როგორც არა წევრ სახელმწიფოსგან გადმოცემულსო. შევთანხმდით მაინც მზათ ვიქონიოთ ნოტა; თვითონ დებრუკერი მოამზადებს მემორანდუმს, რომელიც შეიძლება სიტყვად აქციოს კომისიაში წარმოსათქმელათ, თუ ჰიმანსი დაითანხმა, რომ ის, დებრუკერი წავიდეს მის მაგიერ კომისიაში. მიგვიწვია ოთხშაბათს საღამოს, მანამდე კი არ სცალია. დამპირდა, თუ შეხვდა ფრანგებს და ინგლისელებს, გაიკითხავს დაგვიჭერენ თუ არა მხარს არბიტრაჟის შესახებ. მე ვუთხარი, ერიოს უნდა მოეწერა ბონკურისათვის მეთქი, აგრეთვე მაკდონალდს პარმურისათვის, ამბებიც უფრო დიდი ხდება.

დღეს გავიგე ლუკაშევიჩისაგან, პეტლიურა[1] ბერნშია საიდუმლოთო, არავინ არ უნდა იცოდესო. უნდა ნახოს ხვალვე ვინმე თქვენგანმა Schoumitzky 78 r. 9ay-Lussac და გაიგოს მისგნ, როგორ შეიძლება ჩემგან მისი ნახვა, არა მგონია დაგვიმალოს. ველი პასუხს საჩქაროთ.

აკ. ჩხენკელი."[2]

წერილი VIII

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 17.IX, 24

როგორც ეტყობა, ერიოს არ აუსრულებია დაპირება, არ მიუწერია დამატებით ბონკურისათვის. უკანასკნელმა კატეგორიულათ იუარა რაიმე ინსტრუქციის მიღება ერიოსაგან. ამ პირობებში მისგან მოსალოდნელი

[1] პეტლიურა. — პეტლიურა სიმონ ვასილის ძე (1879-1926 წწ.), უკრაინელი სამხედრო მოღვაწე, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დირექტორატის თავ.-რე 1919-20 წწ. ჯარისა და ფლოტის მთავარი ატამანი.

[2] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 13.

იყო შემდეგი პასუხი: იმის მეტი, რაც გაკეთდა, შეუძლებელია გაკეთდეს. პაქტის ან არბიტრაჟის ხსენება შეუძლებელია ერთხელ ცდის შემდეგ: ეხლა საქმე დამოკიდებულია საბჭოზე, რომელსაც დადგენილება გადაეცემა ლიგისაგან. ეცადეთ იქ, მე ერთ წუთითაც არა მაქვს დრო. ბონკური თანახმაა, რომ სიტუაცია შეიცვალა, მოძრაობა უფრო ფართე ხასიათს იღებს, ელის მისი გავრცელების შესაძლებლობას თვით რუსეთში, მაგრამ მეტი არაფერი შეგვიძლიაო.

ვნახე მანტუ, სეკრეტარიატის პოლიტ. განყ. დირექტორი, რომელიც ეხმარებოდა მოსკოვს კითხვის დასმის დროს, და ვკითხე რჩევა, ერიოს რომ რაიმე მოეწერა, შეიძლება დაგხმარებოდით, მაგრამ საჭიროა მაკდონალდმაც რაიმე მოსწეროს თავის დელეგაციასო. ის საეჭვოთ თვლის საზოგადოთ, რომ ლიგამ ან მისმა საბჭომ რაიმე გააკეთოს დღევანდელ პირობებში, სხვა საქმეა, თუ მოძრაობა უფრო გაძლიერდაო. რაც შეეხება ნოტების ოფიც. დარიგებას, მიპასუხა, რომ ისინი ყრილობის ბიუროშია და თუ იქიდან არ მოგვცენ განკარგულება, ისე ვერ დაიკარგებაო, საჭიროა რომელიმე დელეგაციამ მოსთხოვოს მოტასო, ეს უკვე აღმითქვეს ენკელმა და დებრიუკერმა. მქონდა ხანგრძლივი ლაპარაკი პუსტისთან, ესტონიის გარეშე საქმეთა მინისტრთან. ვუთხარი, რა გვჭირდება როგორც დიდი, ისე პატარა მასშტაბით. ის თვლის დასაშვებად მხოლოდ ფინანსურ დახმარებაზე ლაპარაკს და ჩვენ სწორედ აქედან მივუდექით. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ბევრი არ შეგვიძლია, რამდენს მოითხოვთ ჩვენგანო. მე არ დავასახელე, ჩვენ გვჭირია კაი ძალი-მეთქი, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ცოტასაც უნდა დავჯერდეთ-მეთქი. მან იკითხა საელჩოს ბიუჯეტი და იქიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეში აქვს შეიძლება რამდენიმე ათეული ათასი. ყოველ შემთხვევაში პუსტი არ გვპირდება გადაჭრით, ჩაგვიდოს ხელში, ვითათბირებ ზოგიერთებთან და გაცნობებთო. ვთხოვე სიჩქარე, რადგან ყველაფერი ამჟამად მოძრაობის გახანგრძლივებას უნდა შეეწიროს-მეთქი. აღმითქვა.

მქონდა დარბაზობა ბულგარიის საგარეო საქმეთა მინისტრ კალფოვთან. ძალიან აინტერესებს, რა თქმა უნდა, ჩვენი საქმეები. გვარწმუნებს მისი მთავრობის სიმპათიაში და დასძენს: ჩვენ ერთი და იგივე მტერი გვყავსო და სხ. როცა ჩამოვუგდე ლაპარაკი, შესაძლებელია თუ არა ბულგარიის გზით რამის მიწოდება ჩვენი ხალხისათვის, ის დაფიქრდა: ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს, მეზობლები იჭვით გვიცქერიან, ევროპაც, რუსეთიც აყვირდება, ჩვენ განიარაღებული ვართ, არა გვაქვს მოგცეთ და სხ. კალფოვი განსაკუთრებით უფრთხოდა იმას, რომ ჩვენ არ გვეგულა მისი ქვეყანა ბაზად. ფულზე არ ჩამომიგდია ლაპარაკი. ჩემის შთაბეჭდილებით, მათ ელჩთან მაინც შეიძლება პარიზში ლაპარაკის განგრძობა.

ამდენი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნობები კავკასიიდან ხელს გვიშლის მუშაობაში: გვარჯალაძე თითქოს უიმედოა და მხოლოდ რეპრესიებზე ჩივის. სხვისი წყაროები მოძრაობის გაფართოებას გვამცნობს. რომელ ერთს დავუჯეროთ? კარგი იქნებოდა, თუ თქვენგან მივიღებდი რამე

ცნობებს სარწმუნოდ.

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი IX

„ჟენევა, 17.IX, 24

კონია,[2]

ეს არის იყო ჩემთან პოლონეთის სოც. პარტიის მდივანი და დეპუტატი ნიზდიაკოვსკი (Nisdziakovski) და მელაპარაკა იმავე საგანზე, რაზედაც ლუკაშევიჩმა. მან ყველაფერი იცის და მეტ იმედსაც იძლევა. მითხრა, მოელაპარაკება ერთხელ კიდევ სკიშინსკის (მინისტრს) და ლუკაშევიჩს. უკანასკნელი ზეგ მიდის ვარშავაში და სამშაბათს დაბრუნდებაო. მაშინ ალბათ ჩამოიტანს დაპირებულ პასუხს. ნიზდიაკოვსკი ამაღამ მიდის პარიზში, შემოვა თქვენთან და მოელაპარაკეთ. ის არ ბრუნდება ჯერ პოლონეთში, 27 ამ თვეს ლონდონში მიდის ინტერნაც. ეგზეკუტივზე, ასე რომ, იძულებული ვართ დავემყაროთ იმაზე, რასაც შორიდან გააკეთებს, ან კიდევ რასაც ლუკაშევიჩი ჩამოიტანს. აქედან, იმედი აქვთ, სკაშინსკის მხარი ექნებათ. მე ვფიქრობ, იმავე კონკრეტულ საჭიროებაზე უნდა შეჩერდეთ, რაც მე: კავშირი ჩვენ ქვეყანასთან, კავშირი ადგილობრივ მეზობლებთან, აგენტურა მტრის ბანაკში (გარდა ნამდვილათ გაწეული ხარჯებისა, იგულისხმება თურქების, რუსების თუ სხვების „დასაჩუქრება", ესაა მთავარი — მეთქი, ვუთხარი). მეორე ხაზზე მოდის ცოტა ამუნიციის შეპარება უბრალო ბაგაჟით და სპეც. პირებით, პროპაგანდა-აგიტაცია აქ, ევროპაში, ამერიკაშიც, და ბოლოს, წარმომადგენლობანი. პოლონელებმა არ უნდა იცოდნენ სხვა ჩვენი ნაბიჯები, მაგ., პუსტისთან ლაპარაკი და სხ. ყოველ მხრით უიმედობა უნდა დავუხატოთ.

ეხლა, რაც შეეხება აქაურ ხარჯებს: ყველაფერი გავისტუმრე 15-მდის და ვალიც დამრჩა 40-50 ფრანკამდე! არ ვიცი, რა ვქნა, რაც არ შევამოკლე, მაინც ვერას გავხდი. გთხოვ გამოგზავნო კიდევ არა ნაკლებ 300 შვ. ფრ.

აკ. ჩხენკელი."[3]

წერილი X

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 18.IX, 24

ეს არის დეპეშა გამოგიგზავნეთ, შეგეჩერებიათ საბახტარაშვილი ამ წერილის მოსვლამდე (თავმჯდომარის ორი წერილი და სხვა მასალები მივიღე). გუშინ გწერდით, რომ ლუკაშევიჩი[4] ზეგ (ე. ი. ხვალ) მიემგზავრება ვარშავაში-მეთქი. დღეს ვნახე ის და თქვა, რომ შემდეგ კვირისთვის გადაიდოო. მაშ ამ შემთხვევაში საჭიროა, — ვისარგებლე მე, — ჩვენ თვითონ გავგზავნოთ კაცი-მეთქი. ის დამეთანხმა და დასძინა უხმაუროთ, მოხდეს

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 14.

[2] კონია, — უნდა იყოს კონსტანტინე კანდელაკი, ემიგრაციის ფინანსთა განმკარგავი, ყოფილი ფინ. მინისტრი.

[3] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 15.

[4] ლუკაშევიჩი, — იუზუფ ლუკაშევიჩი (1863-1928), პოლონელი მოღვაწე. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, ეჭირა სხვადასხვა თანამდებობები პოლონეთის რესპუბლიკაში, 1919-1920 წ.წ.იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, იყო პოლონეთის პრეზიდენტიც (1922-26).

ესო. მე ვთხოვე, დეპეშით ან წერილით ეცნობებია სკაშინსკის თავისი კარგი აზრი. დეპეშით არ შეიძლება, წერილით ვეცდებითო. მაგრამ დასძინა, კარი ყველგან ღია დაგხვდებათო. რამიშვილი სცდება, ლუკაშევიჩმა იცის ყველაფერი, ვისთან გვილაპარაკნია, რას დაგვპირებიან და სხ. მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ ისინი არ არიან ადგილზე. დარჩა ერთი სიკორსკი, რომელიც ლუკაშევიჩის გადმოცემით, ნამდვილი მეგობარია ჩვენი. გარდა ამისა, სკაშინსკის და მას ჰქონიათ ბაასი თავის სამხედრო სპეციალისტთან აქ და მას უთქვამს იარაღით დახმარება შეუძლებელი იქნებაო. მიზეზები მისახვედრია, არ ვასახელებ. მასასადამე ჩვენ უნდა დავაწვეთ ფულს, ასე ვშვრებოდი მე თავიდანვე, ხოლო უფრო გონიერია ლაპარაკი იარაღიდან დაიწყოს. საჭიროა კონიამ[1] მიიღოს სახეში, რაც მე მოგწერეთ, რომ გაუგებრობა არ გამოვიდეს. ლუკ.იჩი სთვლის ყველაზე უკეთესად პოლ. სოციალ. ლიდერების დახმარებას, ძალიან საიდუმლოთ რა თქმა უნდა. ნიზდიაკოვსკი უკვე შემოვიდა თქვენთან ალბათ, ამაზე გუშინ გწერდით. მას უნდა გამოერთვას ძლიერ კატეგორიული წერილები იმ პირებთან, ვისაც კონიამ უნდა მიმართოს ვარშავაში. თვითონ რომ მიდიოდეს იქ, ყველას აჯობებდა. როგორც შევატყვე, მთავრობას ეშინია სოციალისტების — გაილაშქრებენ ჩვენს წინააღმდეგო, ამიტომაა საჭირო მათი ჩარევა. კონია, იმედია, ტაქტით იმოქმედებს. არასგზით არ უნდა მიიღონ შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ფულს სხვა რამისთვის დავხარჯავთ, გარდა ბრძოლისთვის შინ და გარეთ.

რაც შეეხება თუმანიშვილს, მე მისთვის არ მიმინდვია არავითარი პოლიტ. ნაბიჯი, მოქმედებს ალბათ მომენტის მიხედვით, დარიგებას მივწერ. ერთი კია, მას ჰქონდა ჩემი ქაღალდი, გეგეჭკორმა და კანდელაკმა იციან შინაარსი. სამინისტრომ დეპეშით აცნობა სკაშინსკის[2] აქ, რომ თუმანიშვილია დანიშნულიო. ლუკ-ჩი კმაყოფილია, იცნობს, თვითონ განმიცხადა. ცოტა უხერხულობა გამოვიდა, მათი ელჩისთვის — შლაკოვსკისთვის არ მიმიწერია, თავმჯდომარის რეზერვის გამო, მაგრამ ეხლა ესეც გამოსწორებულია. ლუკ-ჩმა მითხრა, რომ ყურულაშვილი იყო ჩემთან, მაგრამ, ვინაიდან სალაყაიას ქაღალდი არ მოუტანია, არ მივიღეო. კარგი აზრის არ უნდა იყოს მასზე, მოძრავი კი არისო. მე ვუთხარი, პირადათ არ ვიცნობ, პოლიტიკური არაფერი მიგვინდვია მისთვის, მაგრამ პრესაში ივარგებსმეთქი. ამაში ისიც დამეთანხმა.

ფეტი ბეი[3] ვნახე. ვიცნობდი წინეთ. ეტყობა, ერიდება მოსკოვის აგენტებს, ძალიან თავშეკავებული იყო, მთელი ჩვენი თანაგრძნობა თქვენს მხარეზეაო, ჩვენგან ნურაფერს საზარალოს ნუ მოელით, მხოლოდ დახმარება არ შეგვიძლიაო. მას აქვს ზოგი ცნობები ჩვენი მეზობლების შესახებ, ეშინია მხოლოდ. არ არიან ჩათრეული. მადლობელია ჩვენი დემენტის, მან გამიადვილა ნახვა, ისე თვალს მარიდებდა.

ა. ჩ."[4]

---

[1] კონია — კონსტანტინე კანდელაკი.
[2] სკაშინსკი, — პოლონელი სამხედრო მოღვაწე.
[3] ფეტი ბეი, — თურქი დიპლომატი, თურქეთის ელჩი პარიზში 20-იან წლებში.
[4] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 126, ფ. 18.

წერილი XI

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 21.IX, 24

გუშინ მოგწერეთ მოკლეთ, რაც მოხდა კომისიაში. მცირე კომისიის სხდომა რუსული იყო. არ ვიცი სრული იქაური მსჯელობა. დებრიუკერი გუშინ საღამოსვე წავიდა მალულად ქალაქგარეთ, დღესაც არ დაბრუნებულა, სხვების ნახვაც ხომ შეუძლებელია კვირაობით; მაინც ვიყავი, არავინ დამხვდა. გავუგზავნე მასალა, ვინც გუშინ ილაპარაკეს, პირადათ, თუ საზ. სხდომაზე მოისურვეს ლაპარაკი, მომზადებულნი იყვნენ. დელეგაციებს ხომ ადრევე დავუგზავნეთ, სჩანს, არ კითხულობენ.

გუშინ დილით, საზ. სხდომამდე ვნახე ენკელი, ბრანტინგი, ბონკური, დებრიუკერი, ინგლისელნი ვერცერთი. ყველა ამათი, გარდა ბონკურისა, რომელსაც ამ საგანზე არ ულაპარაკნია, აზრი ის იყო, რომ ძველი რეზოლუციის უბრალოთ განმეორება ერთგვარი საყვედური იქნებოდა საბჭოს მიმართო... ალბათ ნამდვილი მიზეზი, თუ რატომ მითხრა მიურემ გუშინწინ, მოტივის დაუსახელებლათ, რეზოლუციის განმეორება უნაყოფოაო. მეც ვისარგებლე ამით და მივაწვდინე ყველა მთავარი დელეგაციის ყურამდე (პუსტი მეხმარებოდა საიდუმლოთ, ისე ვერ ბედავს), რომ კარგი იქნება დაერთოს საბჭოს უფლება მიმართოს ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს-მეთქი. აზრი მოეწონათ, მაგრამ მარტო ორი მთავრობის დასახელება საწყენათ დაინახეს სხვებისათვის, ამიტომ არჩიეს ზოგადად თქმა — სახელმწიფოების მიმართვა. მეორეს მხრით, გუშინწინ ჰიმანსი არ დათანხმდა, რომ დებრიუკერი წასულიყო მე-6-ე კომისიაში, რომლის წევრი თვითონ იყო. მაგრამ გუშინ, ბონკურის დახმარებით, ეს მოხერხდა, თვითონ, არ შემიძლია დასწრებაო — თქვა მან. არ ვიცი, გაარჩევს თუ არა საზოგადოებრივი სხდომა მაშინვე ჩვენს კითხვას, ეს უკეთესია, რა თქმა უნდა, რადგან თუ ბოლომდე დარჩა, დისკუსია არ იქნება. იმედია, მომხსენებლად დებრიუკერს აირჩევს კომისია, ჰენდერსონმა თუ შეასრულა დანაპირი, აგრეთვე ბონკურმა და ბრანტინგმა (უკანასკნელი თავშეკავებულია, არ მისულა კომისიაში, თუმცა დამპირდა), სხვებიც გამოვლენ უეჭველათ და მაშინ მთელი სხდომა ჩვენი იქნება. ხვალ უნდა ვეცადოთ, შევაქეზიანოთ.

საერთო ხაზი ასეთია: ინგლისის მორიდებით შეიძლება დაიჩრდილოს ფაქტი, რომ იგი სწარმოებს სახელმწიფოთა შორის. იტყვიან, ალბათ, ზოგადათ, რომ სისხლი იღვრის და ცნობენ საჭიროთ მის შეჩერებას. მაგრამ ეს არ უშლის ხელს გარემოებას, რომ თვით რეზოლუციის მიღება უკვე თავისთავათ ნიშნავს, რომ არის ორი სახელმწიფო, რომელთა შორის კონფლიქტია.

არ შეიძლება ითქვას, რომ პარიზი წელს გვაწყობდეს: თქვენი კომუნიკე, რომ ბრძოლა წაგებულია რკინისგზის ხაზზე და ხალხი გადავიდა პარტიზანულ ბრძოლაზე, დიდი მავნე იყო, ზოგ დელეგატს წაეკითხა „Quotidien"-ში. პირიქით, „დეილი ტელეგრაფ"-ის თანახმათ, ჩვენ შევთავაზეთ კიდეც ერთი დეპეშა: 17-ს თფილისი ჩვენს ხელში იყო-თქო. ბაქოს სწვავს აჯანყებულები-თქო. მეორეს მხრით, რატომ წერეთელი ან ჩხეიძე არ აწერს ხელს

სოციალისტებისადმი მიმართვას, რატომ გგონიათ, რომ თავმჯდომარის ხელი ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხაზს გვიმტკიცებს?

ა. ჩ."[1]

ნერილს ზემოდან მიწერილი აქვს: ბერნიდან არაფერი მიმიღია. ნ. რ.-ს საყურადღებოთ.

წერილი XII

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 22.IX, 24

ამასთანავე გიგზავნით მე-6-ე კომისიის მიერ მიღებულ (ამ დილით) მოხსენებას, რომელიც უკვე გადაეცა ლიგის საზ. სხდომას და ეს უკანასკნელი ალბათ ხვალ განიხილავს. რეზოლუციად არის მოყვანილი მოხსენებაში და ეს უკანასკნელ მთლათ გადაეცემა შესასრულებლათ ლიგის საბჭოს. ძალიან რბილია, არ არის ნაჩვენები დღევანდელი ბრძოლის ხასიათიც, ბნელათაა ყველაფერი, მაგრამ უკეთესის მიღწევა შეუძლებელი გახდა. მოძრაობის შესუსტებამაც — აქ წაგებაზე ამბობენ — ხელი შეუწყო.

ფრანგმა ობერმა მითხრა, რომ მცირე კომისიაში ბონინ ლონგარი (იტალია) ყოველ ზომას ხმარობდა, მოსკოვისთვის ნამეტანი საწყენი არ გამოსულიყო. ეტყობა, იტალიას არ ჰქონია რეზერვი, მსგავსი მაკდონალდისა, მოსკოვის ცნობის აქტში. კანადის დელეგატმა მაკდონალდმა მითხრა, მომხსენებლად მე ვარ არჩეული და ვეცდები დაგიცვათო, მასალა აქვს. მისი არჩევის შესახებ დებრიუკერმა მითხრა, რომ ბონინ ლონგარის კანდიდატურაც იყო წამოყენებული, მაგრამ მე მას მაკდონალდის დავუპირისპირეო.

რაც შეეხება ორატორებს: დებრიუკერის გარდა სხვები, არ ვიცი, შეასრულებენ თუ არა დაპირებას. ბონკური, ჰენდერსონი, ვეცდები ვნახო ისინი და სხვებიც. ბოლგარიის დელეგატებს ურჩიეს სხვებმა გამოსვლა, ვერ გაბედავენ, რა თქმა უნდა, თორემ კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა. დებრიუკერს ეშინია, რომ დებატები მოკლე იქნებაო.

გიგზავნით ლიგის ბიულეტენის ერთ ადგილს. როგორც ხედავთ, სულ არაფერია მოთავსებული მე-6-ე კომისიის სხდომიდან. ეხლა ამბობენ, სხდომა „კერძო" იყოვო. პირდაპირ დაუჯერებელია მათი სიმხდალე. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაურეს ინტერპრეტაციას მოსკოვის ცნობისა, მთელი დელეგაციის აზრი იყო ეს, როგორც გაირკვა. როგორ დავიჯერო, რომ ოქმში არ იყოს მეტი თქმული, ვეცდები ენკელის წინაშე მიშოვოს ოქმი. პრესაში უკულმართადაა აღწერილი ეს თემა და მიურეს განმარტება სულაც გამოტოვებულია. რასაც „Quotidien"-ი ანერს, მას არ უთქვამს.

ბიულეტენში შეამჩნევთ სომხების შესახებ ორიოდე სიტყვას. დებრიუკერმა გადმომცა, კავკასიაში სომეხ ლტოლვილთა დასახლება არ ხერხდებაო. უდაბნო სარდ. ბარიტის (ერევნის რესპუბლიკაში) მორწყვა მილიონები დაჯდება, ხოლო ფულის შემოწირვა არავის სურსო (საფრანგეთს შეუწირავს 300 000 ფრანკი, წვეთია ზღვაში); კიდეც რომ მოირწყას, არაა იმედი, რომ თურქები ხელს არ ახლებენო. ზოგი დელეგატი მოითხოვდა კავკასიის სხვა რესპუბლიკებში ჩაესახლებინათ, მაგრამ ეს უყურადღებოთ

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 19.

დარჩაო. გადაეცემა მუდმივ კომისიას კითხვის შესწავლაო... ამ კომისიას არ გაუხსნეს კრედიტი, როგორც ბიულეტენშია თქმული. მანტუც მეუბნებოდა საქმის უიმედობაზე. გიგზავნით აგრეთვე ჟან მარტენის მოწოდებას. მიტინგი არ ხერხდება მგონი: ბონკურმა უარი თქვა, ინგლისელები არ ყავთ და სხ. **გუშინ აქ პროტ. და კათ. ეკლესიებში ილოცეს საქართველოსთვის. ამბობენ, ზოგან მოქალაქენი სტიროდენო, მთელს შვეიცარიაში უნდა ყოფილიყოვო.**

ა. ჩ."[1]

წერილი XIII

„საქართველოს მთავრობას ჟენევა, 25.IX, 24

სამი დღეა, რაც წესრიგშია ჩვენი საკითხი და მხოლოდ ამ საღამოს განიხილა იგი საზოგადო სხდომამ. მომივიდა ცუდი საქმე — თვითონ ვერ დავესწარი, რადგან ნოტას ვამზადებდი შინ საბჭოსათვის, რომელიც უნდა გადავცეთ ეხლავე. ვათავებ იმით, რომ საბჭო შეუდგეს ჩვენს საქმეს ამავე სესიაში, რომელიც გაგრძელდება ლიგის სესიის დახურვამდე ან 1-2 დღით უფრო გვიან. იმედი არ არის, რა თქმა უნდა, თორემ საჭირო იყო დარჩენა და ეხლა საბჭოს წევრებში მუშაობა, მაგრამ საშვალებაც არა მაქვს და ზეგ წამოვალ, თუ ხვალისთვის მოვახერხეთ თარგმნა და ხელის მოწერა. დებრიუკერი გვეყოლება ხვალ საუზმეზე და წავაკითხებთ პროექტს.

დღევანდელი სხდომის სტენოგრამას ხვალ გამოგიგზავნით; როგორც გადმომცეს, კარგად ჩატარდაო. ილაპარაკეს: მაურემ, მაკდონალდმა, დებრიუკერმა, მონემ და ბონინ ლონგარმა. მაურეს კიდევ უფრო ნათლათ გაუკეთებია ინტერპრეტაცია ინგლისის მიერ მოსკოვის ცნობისათვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. კანადელ მაკდონალდს მშვენივრად დაუცავს მოხსენება, რომელსაც აქვე გიგზავნით, თავად ბონინ ლონგარიც უკეთ გამოსულა, ვინემ კომისიაში. დებრიუკერზე მეტია ლაპარაკი, ბონე კი უცაბედათ გამოსულა, რადგან სხვა ფრანგი არ აღმოჩენილა. ბონკური შეუძლოთ არისო.

მექნება შემთხვევა, პირადათ მოგახსენოთ, თუ რამდენი ვაი-ვაგლახი უძღოდა წინ ამ დებატებს. ერთხელ გადასწყვიტა კომისიამ სულ არ ელაპარაკნათ და ისე მიეღოთ წინადადება. იტალიელმა ბონინ ლონგარმა განაცხადა თურმე, რომ თუ ილაპარაკეთ, ჩვენ იძულებული ვიქნებით, რეზერვი გავაკეთოთო. მან შერყია ცოტათი დებრიუკერიც, ვინაიდან პაქტის ძალით, თუ ერთი ხმა წინააღმდეგია, ყოველი წინადადება უარყოფილად ითვლება. სამშაბათ საღამოს შვეიციის დელეგაციას დიდი წვეულება ჰქონდა, მთელი ლიგა დაესწრო და ჩვენც მოვხვდით. შეიძლება თქვას, რომ მთელი ეს საღამო ჩვენს სააგიტაციო ასპარეზად გავხადეთ. ვის არ ველაპარაკეთ. ბონკურთან კამათი მოგვიხდა: ის კატეგორიულათ უარს ამბობდა სიტყვის აღებაზე და მთელს დებულებებს მოკლედ თვლიდა, რადგან ამას შეუძლია გამოიწვიოს იტალიის ჩარევაო. ვეცი ბონინ ლონგარის და სიტყვა ჩამოვართვი, ხელს არ შეგვიშლიდა. მაინც ვერ დავაჯერე ბონკური. ბენე-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 20.

შიც მას მიუდგა. მეორე მხრით, ჰენდერსონმა უხერხულათ დაინახა გამოსვლა, რადგან კომისიიდან მაურე არის და ის ილაპარაკებსო. მე არ ვეხები სხვებს, ვისაც გამოსვლა ვთხოვეთ.

პ...ა უკვე ვნახე, არავითარი დაპირება ან იმედი არ მომცა. ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ხალხი საბრძოლველათ, რადგან ის უიარაღოაო. პოლონეთის და რუმინიის იმედი არა აქვს. სხვა სახელმწიფოებთან კი ჩვეული სრული დამოკიდებულება არც აქვს, ყოველ შემთხვევაში, განაცხადა მან, ჩვენი ხალხი გულის ტკივილით უყურებს საქართველოს გამოსვლას და თუ რამე საინტერესო მომივიდა, გაცნობებო. პ-ლა უფრო შორეულ პერსპექტივას ისახავს, როცა ევროპას გადაუვლის დღევანდელი პარიტიზმი ბოლშევიკებისადმიო. ღარიბათ ცხოვრობს, ეტყობა, არაფერი გააჩნიათ. ლუკაშევიჩი ნავიდა გუშინწინ ვარშავაში. დამპირდა ეცდება. მივწერ ვარშავაში...

აკ. ჩხენკელი."[1]

წერილი XIV

„ლონდონი, 4.X,.24 წელი

მთავრობის თავმჯდომარეს

თქვენი ექსპრესი წერილი მივიღე. ნავიკითხე ირ. წერეთლის შეკითხვა თემთა პალატაში და პონსონბის პასუხი, ირაკლის მხოლოდ გუშინ ნაშუადღევს გაუგია თემთა პალატის დარბაზში ერთ კომისიის სხდომაზე, რომელიც ლებორ ფრაქციას გამოუყვია ჩვენი კითხვის გასასინჯავათ. თვით ფრაქციას ირაკლი გუშინწინ მოუსმენია აბრამოვიჩთან ერთათ და ამოურჩევია კომისია 5 პირისაგან. როგორც ხედავთ ირაკლის კითხვა აღუძრავს კიდევ პონსონბის გამოსვლამდე. კომისიაში ირაკლისთვის დაუსახელებიათ ორი დაბრკოლება: ა) საქართველოს რუსეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს; ბ) საქართველოდან ჯარის გაყვანა გამოიწვევს თურქების მიერ სომხების ჟლეტას (ერევანში). ირაკლის უპასუხნია, სხ. შ. რომ ამ დაბრკოლებათა გაქარწყლება შეიძლება რუსებთან მოლაპარაკების დროს, ჩვენ მზათ ვართ გარანტიებიც მივცეთ, ოღონდ მუშათა პარტიამ ან მისმა მთავრობამ აიღოს თავის თავზე შუამავლობა ჩვენსა და რუსეთს შორისო. სწორედ ამ დროს შეუკითხავთ ირაკლისთვის, იცის თუ არა მან შეკითხვა თემთა პალატაში და პონსონბის პასუხი, და გაუცვნიათ მისთვის. ირაკლის განუცხადებია: თუ მთავრობა და მუშათა პარტია ინაწილებს პონსონბის აზრს, ეს ნიშნავს თქვენ ხელი აგიღიათ ჩვენ საქმეზე, წინააღმდეგ თქვენი დადგენილებებისა. კომისიას მიუცია ირაკლისთვის წინადადება მიემართნა პარტიის ეგზეკუტივისათვის და ურჩევია დაეწერა მემუარი; სხ. შ. აღუნიშნავს, რომ კაუცკის წიგნი საკმარისია მომხდარი ამბების დასახასიათებლათო. ირაკლი ჩასული იყო ეგზეკუტივში და ელაპარაკა გილის, რომელიც ფაქტიურათ ჰენდერსონის მაგიერობას ასრულებს. დაპირდენ, მიუხედავად მწვავე პოლიტ. კრიზისისა, შემდეგ კვირაში მოახსენებენ ეგზეკუტივს, შესაძლებელია რომ თვითონ ირაკლიც მიიწვიონ კითხვის საბოლოოდ გამოსარკვევათ.

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 126, ფ. 21.

ჩვენი მიზანია, მთავრობამ გააკეთოს პონსონბის პასუხის გამაქარწყლებელი განცხადება, ირაკლისაც ასე ესმის ეს საქმე. მიღწევა ამ მიზნის მე საეჭვოთ, შეუძლებლათ მიმაჩნია, მაგრამ საჭიროა მაინც ყოველი საშუალებები ამოიწუროს. მანამდის შეუძლებელია მოპირდაპირე პარტიებისადმი მიმართვა, რადგან ესენი შეკითხვისათვის გამოიყენებენ ჩვენს მასალას და პასუხი კი უარესია მოსალოდნელი მთავრობისგან. თქვენი წერილიც ასე გავიგე მე. ერთი კია საფიქრებელი: იქნება, სანამ ირაკლი კითხვას გამოარკვევდეს, პალატა დაითხოვონ, და მაშინ იქ საქმის გამოსწორება შეუძლებელი გახდება, მაგრამ სხვა გზას ვეღარ ვხედავ, საჭიროა მაინც დაცდა. ზოგიერთ პირებს, რომლებზედაც ლაპარაკი გვქონდა, მაინც ვნახავ, თუ აქ არიან. სუმბათაშვილი გუშინწინ ჩამოსულა და ჯერ არაფერი იცის. მაგრამ ჯერ მემუარი უნდა შევადგინოთ და ამაზე ვმუშაობთ.

როცა ირაკლის ბინიდან ვბრუნდებოდი, (ცხოვრობს ეგზეკუტივის ახლო) ჰენდერსონი შემხვდა. გავყევი ეგზეკუტივამდე და განვუცხადე ჩვენი გაკვირვება პონსონბის პასუხის გამო. მე არაფერი ვიცი, არ წამიკითხავს, წუხელის ჩამოვედიო, მიპასუხა მან. ჟენევაში რაც მოხდა, იმის შემდეგ ასეთ რამეს არ მოველოდი მეთქი, დავსძინე. შეგვხვდა ბრამლუი, რომელიც სხვებთან ერთად მოსკოვში მიდის მდგომარეობის გასაცნობათ. მე მინდა საქართველოშიც ჩავიდეო, თქვა მან. ჰენდერსონმა გააწყვეტინა: თუ არჩევნები მოხდა, ვერ წახვალთო. შემდეგ, როცა მარტო დავრჩით, ჰენდერსონს ვთხოვე დახმარება, თან ისიც ვუთხარი, რომ ირაკლი ამ საქმეზეა აქ მეთქი. ირაკლი მინვეულია მშრომელთა პარტიის კონგრესზე.

გუშინ დეპეშით ვითხოვე პოლ ბონკურის სიტყვის (ჟენევაში წარმოთქ.) გამოგზავნა, ველი. აკ ჩხენკელი

მინაწერები:

ჩემი მისამართი: Kensington Gate hotel, 106, Qween gate...

ირაკლის მისამართი: 87 Lecleston Square. Loudru S.W.I."[1]

წერილი XV

საქართველოს მთავრობას

ლონდონი. 8. X. 24

მე ვწერდი თავმჯდომარეს 4. X. იმის შესახებ, რომ წერეთელს ჰქონდა მოხსენება მუშათა ფრაქციაში და შემდეგ მოლაპარაკება უკანასკნელის მიერ არჩეულ კომისიაში, რომელმაც ის მიგზავნა მუშ. პარტიის ეგზეკუტივთან. ორშაბათს ირაკლი დაიბარეს ეგზეკუტივში, რომელსაც თითქმის ყველა წევრები და მათ შორის ხუთი მინისტრი დასწრებიან, კლაინსი, რობერტს, დავის და ორიც სხვა. ჰენდერსონი არ ყოფილა. ირაკლის მიუცია ვრცელი განმარტება და წამოუყენებია ორი თხოვნა, პონსონბის სიტყვის გამოკეთება თემთა პალატაშივე, ერთგვარი შუამავლობა ჩვენსა და მოსკოვს შორის. მისთვის უკითხავთ, თუ როგორ ესმის მას პრაქტიკულათ ეს წინადადებები. ირაკლის უპასუხნია ა) პონსონბის ნათქვამი შეიძლება განმარტებულ იქნას იმ რიგათ, თითქოს ის ეხებოდა საქართველოს ფაქტიურ მდგომარეობას,

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღნერა 2, საქმე 126, ფ. 22-22ბ.

ხოლო რაც შეეხება იურიდიულ მხარეს, იგი უცვლელათ რჩება, ე.ი. ის ინგლისს უკან არ მიაქვს – აი რა შეუძლია მთავრობას განაცხადოსო. ბ) შუამავლობა ჩვენ ისე გვესმის, რომ ინგლისის მთავრობას შეუძლია განუცხადოს მოსკოვს: ჩვენ ვიცანით საქართველო და არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ ჩვენ სიტყვაზე, ჩვენ ვფიქრობთ, თქვენ შეგეძლოთ მორიგება ქართველებთან, მით უფრო, ესენი მზათ არიან თქვენი ეკონომიკური და სტრატეგიული მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონ, ოღონდ გაიყვანეთ ჯარები და მიეცით ხალხს საშუალება იცხოვრონ ისე, როგორც მას ეპრიანება. ირაკლისთვის უკითხავთ, შეუძლია თუ არა მას ამ გარანტიების გეგმა წარმოადგინოს, რაზედაც მას უპასუხნია, შემიძლია და წარმოვადგენ ჩემ მეგობრებთან შეთანხმებით, მხოლოდ საჭიროა ამ თავითვე, რომ თქვენ დაითანხმოთ მოსკოვი, რომ ის პრინციპიალურათ მზათაა ამ ბაზაზე გამართოს ჩვენთან მოლაპარაკება. ამის შემდეგ ირაკლი წამოვიდა და ეგზეკუტივმა ითათბირა და შედეგიც შეატყობინეს ირაკლის: ეგზეკუტივმა ერთხმათ დაადგინა დაკმაყოფილებულ იქნას ჩვენი თხოვნა და მიწეროს მაკდონალდს გამოაკეთოს პონსობის მიერ წარდგენილი საქმე და ჩაერიოს საქართველოს საქმეში. პონსობის წერილს ირაკლისადმი ერთგვარი როლი უთამაშნია, ირაკლის მოთხოვეს ასლი შემდეგ, აგრეთვე ყოფილა ნახსენები თათბირზე ინგლისის დელეგაციის პოზიცია ხალხთა ლიგაში წელს. აი, საერთოთ რაც გადმომცა ირაკლიმ; მეგონა თვითონ მოგწერათ, ასე თქვა, თვითონ ის მოითხოვს საიდუმლოთ იქნას შენახული ეს. იჭვი არ მაქვს, ეს წერილი რომ წაეკითხა, ბევრ რამეს ამომაშლევინებდა. ასე მოიქცა პირველი წერილის მიმართ. მთავარი მისი მოტივი ისაა, რომ არ ვიცით გამოვა რამე თუ არა. ამაში მართალია.

ეხლა რაც შეეხება ანტონიშვილს, ის დავიბარეთ. ის არ ნაცნობა შემკითხველს პალატაში. HowardBurg morning Post-ისათვის მიუცია მასალა, შეიძლება იმან გადასცათ, მაგრამ უფრო დასაჯერებელია ... წერილს დაემყარა ალბათ მისი მეგობარი. ირაკლიმ გააფრთხილა ანტონიშვილი, ჩვენ არავითარი საიდუმლო დაპირება, არც წერილი არა გვაქვს მთავრობის წევრებისგან, ისარგებლეთ იმ მასალით, რაც გამოქვეყნებულიაო. გთხოვთ, გამოგზავნოთ თფილისის პრესის ზოგი ნომერი, სადაც ფაქტებია მთავარი, დღეს გადაეცემა ეგზეკუტივს და ფრაქციას.

აკაკი ჩხენკელი."[1]

ჩართული წერილი XVI

„ლონდონი, 9, X, 24

კონია[2],

გუშინ მივწერე მთავრობას აქაური მუშაობის შესახებ კაკის მიერ. პარლამენტის დათხოვა არ იძლეოდა იმედს, რომ მთავრობა შეასრულებდა რასაც მას სწერდა მუშ. პარტიის ეგზეკუტივი. მაგრამ წარმოიდგინე, მოულოდნელად მაინც მისცენ მშვენიერი შემთხვევა გაეკეთებია ის მინიმუმი, რაც მას მოსთხოვეს — პონსონბის ნათქვამის გამოკეთება. მისცეს შეკითხვები აპსლეიმ და პრინგლმა, უკანასკნელმა ჟენევაში გაკეთებული ინტერ-

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 24.

[2] კონია — კონსტანტინე საბახტარაშვილი.

პრეტაციის (მიურეს) შესახებ, ჩვენდა დამოუკიდებლათ, რა თქმა უნდა. მაგრამ მაკდონალდმა უფრო დაადასტურა პონსონბის სიტყვები, ვინემ გაასწორა, ან კიდევ სიტყვა ბანზე ააგდო. ჩემი დასკვნა ასეთია: ყოვლად უსინდისო კაცი ყოფილა. ხვალ გამოვგზავნი სტენოგრამიდან ამონაწერს. მე არ მინდა ამაზე შევჩერდე, კაკი წამოვა და ის გეტყვისთ ყველაფერს.

მეც წამოვალ, მაგრამ მინდა ვნახო ზოგიერთი პირი, თუ მოხერხდა ამ საარჩევნო განამაწიაში. სანამ არ გამოირკვევა ბოლომდის მთავრობის პოზიცია, ვინმეს ნახვა წყლის ნაყვა იყო, ეხლა, თუმცა ეს გამორკვევა უსარგებლო გამოდგა ჩვენთვის, ვეცდები მაინც რამეს. უნდა ვეეედროთ განგებას, რომ მაკდონალდი არ მოექცეს ისევ მთავრობას სათავეში, თორემ რუსებთან მორიგება და სესხი ფაქტად იქცევა.

შენგან მიკვირს, არაფერი მითხარი სკოტის შესახებ, მას ახალი მანდატი მოუთხოვია და პროექტიც გამოუგზავნია. ეხლა იწერება ის სოფლიდან, რომ ორ ჯგუფთან აქვს მას მოლაპარაკება და თითქოს რაღაცას გამოელის. ცოტა გულნატკენიც უნდა იყოს, რომ მანდატი არ მოუვიდა: ამდენს ვმუშაობ, ხარჯს ვეწევი და ნდობით არ მეპყრობიანო... ამას სწერს სუმბათაშვილს თავის მამულიდან, მე აქ რომ ვარ, არ იცის. ეხლა ვიბარებ აქ ორშაბათისთვის და მოველაპარაკები, აგრეთვე ვთხოვ მაჩვენოს იმ ორი ჯგუფის ხალხი. მანამდის გამომიგზავნე მისი პროექტი შენი შენიშვნებით, თუ გაქვს ასეთი, ხელმოუწერელი, რა თქმა უნდა. ვეტყვი, მე მომანდვეს მოლაპარაკება და ამისდა მიხედვით მოგეცემა მანდატი, თუ რამეს მიაღწევ მეთქი.

მინდა ლიგაში წარმოთქმული სიტყვები (ინგლისელების მიერ), აგრეთვე ედ-მემუარი, შევსებული ახალი ფაქტებით, დავურიგო პრესას და პოლიტ. მოღვაწეთ. პრესაში ამ მეორე მასალით უსარგებლნიათ სწორეთ, რომელიც სუმბათაშვილს დაურიგებია, როცა მე ჟენევაში ვიყავი.

შავიშვილის ანგარიშს აქ ნუ გამოგზავნი. პარიზიდან ორჯერ მივწერე, აქედან ერთჯერ გამოეგზავნა ბონკურის სიტყვის სტენოგრამა, ხმას არ მცემს! შეიძლება მოგივიდათ მანდა, გამოგზავნე უთუოთ. მასალები მივიღე. ცოტა კი მეშინია, საელჩოს სახელით აძლევთ ცნობებს, თუ არ გამართლდა, სახელს უტეხთ.

აკაკი ჩხენკელი."[1]

ოქმი საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის — ედუარდ ერიოს[2] საქართველოს ელჩ აკაკი ჩხენკელთან გამართული დარბაზობის შესახებ.[3]

23 ოქტომბერი, 1924 წელი.

დარბაზობა გაგრძელდა 22 წუთი და ჰქონდა მეტად მეგობრული ხასიათი. ორხელ შემოვიდა კაბინეტის შეფი, 5 წუთი დაგრჩათ, გაგვიანდებათო, ერიო არ განძრეულა.

---

[1] სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 126, ფ. 24.

[2] ედუარდ ერიო — (1872-1957), ფრანგი პოლიტიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მღვაწე.

[3] ოქმი შედგენილია ჩხენკელის მიერ და მასში მოცემული შენიშვნები თუ განმარტებებიც მას ეკუთვნის.

ე ლ ჩ ი: (მისალმების შემდეგ): მე წავიკითხე ამ დილით პალატის საფინანსო კომისიის ოფიციალური კომუნიკე თქვენ მიერ მიცემულ განმარტების შესახებ, გუშინ რუსეთის ცნობის პირობებზე, ამიტომ მე დამრჩენია მხოლოდ უღრმესი მადლლობა მოგიძღვნათ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: (აწყვეტინებს): რისი მადლობა, რა წაიკითხეთ?

ე ლ ჩ ი: ის, რომ თქვენ შეინახეთ საქართველოს უფლება იმ ცნობის ფორმულაში. ჩვენ ვიცოდით კიდევ რენოდელისაგან თქვენი დაპირება, რომ აპირებთ ცნობის ფორმულაში შეიტანთ რეზიუმეს საფრანგეთის მიერ გაცემულ „engagementsis" შესახებ (ფრანგულადაა ბრჭყალებში სიტყვა), და ეს გულისხმობს საფრანგეთის მიერ საქართველოს ცნობის შენახვას, როგორც თქვენ გითქვამთ რენოდელისათვის. სწორეთ ეს სიტყვა ამოვიკითხე მე დილით და უფრო ადრე ისიც, რომ ამავე ფორმულაში აღნიშნული იქნება მეორე მომენტიც, რომ თქვენ ცნობთ „კავშირის მთავრობას" იმ ტერიტორიაში, სადაც ცნობენ მის ხელისუფლებას.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: (ღიმილით): თქვენ კი იჭვნეულობდით ჩემს მეგობრობაში, გეგონათ ზურგი შემოგაქციეთ, მას შემდეგ, რაც რუსეთი მოვიარე!

ე ლ ჩ ი: არა, არ ვიჭვნეულობდი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: (აწყვეტინებს ფიცხლათ): maisnon(ფრანგ.)! გაიხსენეთ ჩვენი მუსაიფი მაშინვე, რუსეთიდან დაბრუნებისას (სახლში ჰქონდა საუზმე, რომელიც ჩხენკელმა გაუმართა მას გეგეჭკორის თანდასწრებით რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ბაასმა დიდხანს გასტანა, კამათსაც ჰქონდა ადგილი). მე სიტყვის კაცი ვარ და ეხლაც ისეთივე მეგობარი ვარ საქართველოსი, როგორიც ნინეთ.

ე ლ ჩ ი: თქვენ მიაქციეთ, უეჭველათ, ყურადღება ჩიჩერინის მოხსენებას ამ დღეებში კავშირის ისპოლკომის წინაშე, მან თქვა სხვათა შორის, რომ მას იმედი აქვს, საფრანგეთი გამოგზავნის ელჩს „კავშირის" მთელი ტერიტორიისათვის, ჩვენ ვიგრძენით, რომ ის ამ სიტყვებით გამოთქვამდა შიშს, რომ თქვენ გამორიცხავთ საქართველოს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: შეიძლება. dailleurs. მე ვუთხარი რაკოვსკის ლონდონში სრულიად გადაჭრით, რომ შევინახავ საქართველოს უფლებას მეთქი! (ივონ დელბოსმა, დემონზის კომისიის წევრმა (დეპუტატია) უთხრა ორი დღის წინ ელჩს: რუსეთმა გვითხრა, თუ ცნობის აქტში ახსენეთ საქართველო, ასეთი ცნობა ჩვენ არ გვინდაო. გუშინწინ საღამოს მე სადილად მყავდა დემონზის კომისიის წევრები და თვითონ შევიტანე `engagements~ წარმოდგენილ პროექტში. (ელჩმა ეს ამბავი უკვე იცოდა უფრო დაწვრილებით რენოდელისაგან, რომელიც დაესწრო სადილს). ჯერ მეფეების დროს არ უცვნიათ (amais) საფრანგეთს ან ინგლისს საქართველოს ანექსია, ჩვენ როგორ შეგვეძლო ეხლა სხვაგვარ მოვქცეულიყავით. მომეცით ეხლავე ნოტა ამ საგანზე და აღწერეთ რა პირობებში მოხდა საქართველოს ანექსია პირველათ და საფრანგეთის და ინგლისის დამოკიდებულება ამ აქტთან (გაეგზავნა სამინისტროს ძველი ტრაქტატი კომენტარებით ??? -ს (არ ჩანს) მიერ ჟენევაში გამოცემული).

ე ლ ჩ ი: თქვენს სამინისტროს არქივში უნდა იყოს ცნობები ამის შესახებ, გაეცით ბრძანება და მოგართმევენ, ჩვენ არ გვგონია, რომ საფრანგეთს და ინგლისს მიეცეს ოდესმე სანქცია ანექსიისათვის.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ძალიან კარგი, მე გავსცემ განკარგულებას (წერს განკარგულებას ცალკე ფურცელზე).

ე ლ ჩ ი: მაგრამ არც ის უნდა დარჩეს უყურადღებოდ, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმაც დასდო ჩვენთან ხელშეკრულება, რომლითაც ურეზერვოთ იცნო საქართველოს დმოუკიდებლობა და შემდეგ დაარღვია. ეს ფაქტი დიდმნიშნელოვანია და, იმედია, თქვენ ისარგებლებთ მით. საფრანგეთმაც ხომ ამ აქტის შემდეგ გვიცნო ჩვენ, ე. ი. რუსეთის მიერ ჩვენი ცნობის შემდეგ, ამას დიდი ანგარიშს უწევენ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: საფინანსო კომისიაში არავინ შემომდავებია ცნობის პირობების შესახებ, კომუნისტებიც იყვნენ იქ (ელჩმა იცოდა რა მოხდა კომისიაში რენოდელისაგან, კაშენს და გარბერის კმაყოფილება გამოუცხადებიათ პირიქით).

ე ლ ჩ ი: საინტერესოა, თუ კომუნისტებმა იცოდნენ, რომ თქვენს პირობებში შედიოდა აგრეთვე რეზერვი საქართველოს შესახებ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: თქვა ფრანგულად ფრაზა, რაზეც ელჩმა თქვა კარგად ვერ გავიგეო და ერიომ გაუმეორა: როცა ჩვენს ელჩს გავგზავნით მოსკოვში, ის საქართველოს ინტერესების დამცველიც იქნებაო.

ე ლ ჩ ი: (ძალიან ფრთხილათ) აქ როგორი პროცედურა იქნება! რუსეთის ელჩი პარიზში ალბათ გეტყვით, თქვენ იცანით კავშირი, რომელშიც საქართველოც შედის, აქ კი არის საქართველოს საელჩო, რისი მაქნისი არიან ესენი? თქვენ რას უპასუხებთ?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: nous verons(ფრანგ).

ე ლ ჩ ი: (ძალიან ფრთხილათ): თქვენ დაასახელეთ თქვენი ცნობის აქტში საქართველო, როგორც მე გთხოვდით ჩემს ნოტაში, თუმცა რა თქმა უნდა გულისხმობდით მას, თქვენ ალბათ დროულათ არ დაინახეთ ეს; ძალიან კარგი იქნებოდა შემდეგში მაინც გაკეთდებოდეს თქვენს მიერ ინტერპრეტაცია საჯაროთ, რომ თქვენ ამით გულისხმობდით საქართველოს უფლების შენახვას.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: რატომაც არა, ეს შესაძლებელია, მაგ. პალატაში, როცა ამის დრო მოვა. (ელჩს ჰქონდა რენოდელისაგან გაგონებული კიდევ ამ ზაფხულს, რომ შეიძლება შეკითხვის საშუალებით ერიოს გავაკეთებიოთ პალატაში ინტერპრეტაციაო).

ე ლ ჩ ი: დიდათ გმადლობთ. ვერ წარმოიდგენთ ძვირფასო ერიო, რა საშინელი იმედის გაცრუება იქნებოდა ქართველი ხალხისათვის, რომელიც იცლება სისხლისაგან უთანასწორო ბრძოლაში, თქვენ რომ ხელი აგელოთ მასზე. მან იცის ძლიერ კარგად, თუ როგორ იცავდა მას ყოველთვის საფრანგეთი და მისი მეთაურები, წაუკითხავს იქაურ სახელმწიფო მოღვაწეთა სიტყვები მის სასარგებლოდ. თქვენი სიტყვები და ნაწერები მან იცის არა ლეგალურ განცხადებებიდან. ჩვენი მეზობლებიც, კავკასიის ხალხ-

ებიც, დიდი შიშით შეპყურებენ თქვენ მიერ რუსეთის ცნობას, მათ თქვენი ნახვა სურდათ, ჩვენ ნოტებიც გადმოგეცით ერთათ, იქნებ მითხრათ რამე სანუგეშო, მათთვის გადასაცემი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: მე დიდი სიმპათიით ვუყურებ აზერბაიჯანელებს, მთიელებს, ვიცავ, როგორათაც შემიძლია, მათ ინტერესებს. მე ჩემს სიტყვაში, ხალხთა ლიგის წინაშე, ენერგიულათ დავიცავი პატარა ერები, ასეთივე იქნება ჩემი პოლიტიკა მომავალშიც.

ე ლ ჩ ი: ჩვენ დიდი მადლობელი ვართ თქვენი დელეგაციის ჟენევაში. მე ვიყავი იქ პოლ ბონკურისაგან თქვენი დაბარებით ჩვენს შესახებ. მან სწორათ დააყენა კითხვა თავის სიტყვაში. ლიგის კრებამ საქმე საბჭოს მიანდო, ამან კი არაფერი გააკეთა სამწუხაროთ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ დიდი სახელმწიფოები დაეხმარებიან საქართველოს, ხმობდნენ მარტო საფრანგეთს და ინგლისს, შემდეგ მე ლონდონშიც ვიყავი და მივიღე ისეთი შთაბეჭდილება, რომ სარანგეთისგან ელიან მტკიცე ნაბიჯებს საქართველოს დასაცავად, მაშინ ინგლისიც უფრო გაბედული იქნება ამ მხრივ. (პატარა პაუზის შემდეგ): რუსეთის მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოურკვეველია, არ ვიცით როგორ განვითარდება იქ საქმეები, არ არის შეუძლებელი, რომ რამე გართულება მოხდეს იქ, შიგნით, განსაკუთრებით საზღვრებზე. ჩვენ ვიცით ცოტა რამ ამის შესახებ, რომ პოლონეთში და რუმინიაში არ გრძნობენ თავს უზრუნველყოფილად. რომ რამე მოხდეს, ამ შემთხვევაში კავკასია ითამაშებს თავის როლს, საფრანგეთს დიდი პრესტიჟი და სიმპათია აქვს კავკასიის ხალხებში, ამას ფულათ ვერ იყიდით, ამიტომ საჭიროა ეს პრესტიჟი და სიმპათია შეინახოთ. თუ რამე მოხდა, თუ რუსეთი თავს დაესხა თქვენს მოკავშირეთ, კავკასია რეზერვში გეყოლებათ, ის მოიზიდავს საკმაო ძალას, ამით თქვენს მოკავშირეებს საქმეს გაუადვილებთ, ოსმალეთიც დიდათ დაინტერესებულია, იცით, მას ეშინია რუსეთის, ის იძულებული იქნება პოლონეთს და განსაკუთრებით კავკასიას გვერდში ამოუდგეს. მე უფრო იმიტომ მოვედი თქვენთან, რომ პირადად მეთქვა ეს. ჩვენი მეგობრები სოციალისტები სხვა მენტალიტეტის ხალხია, მათი საშუალებით ვერ გადმოგცემდით ამას. (ერიომ დიდი ყურადღებით მოისმინა ეს, იმეორებდა ხშირად: ie komprends. რურის და საზოგადოთ რეპარაციის საკითხი ერთგვარ კალაპოტში ჩააყენეთ, რასაც მხურვალეთ გილოცავთ, ეხლა უფრო შეგიძლიათ მეტი აქტივობა გამოიჩინოთ სხვაგან, რუსეთის საკითხიც სწორედ ეხლა ისმის პრაქტიკულათ. ჩვენ მოველით ამიტომ მეტ ყურადღებას კავკასიისკენაც, ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი nous, nous inspirions, ერთი თქვენი ფრაზით, რომელიც იხმარეთ ორი წლის წინ: „ხალხი, რომელსაც უნდა თავისუფლება და იბრძვის თავისუფლებისათვის, იქნება კიდეც თავისუფალი"!..

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ამას ახლაც გიმეორებთ, თქვენ მართალი ხართ!

ე ლ ჩ ი: როდის გააგზავნით მოსკოვში ცნობის დეპეშას?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: მალე.[1]

---

[1] სცსსა 1831, აღწ. 2, საქმე 129, 1–4.

Dodo Chumburidze

Akaki Chkhenkeli - statesman, diplomat, patriot

> ***"Freedom is not manna falling down from Heaven; it should be snatched out of the hands of the enemy; to gain it first you need to prepare, to show unwavering will, be ready to sacrifice... in a word, you have to fight. A nation which does not fight for freedom does not deserve to be free"***
>
> ***Akaki Chkhenkeli***

A century ago, in 1918, two of the dearest dreams of the Georgians came true, two events of crucial importance occurred: the Georgian university was opened in Tbilisi on January 26 and on May 26 the country regained the statehood lost 117 years earlier. Akaki Chkhenkeli – an outstanding figure, a person distinguished by his statehood-mindedness and diplomatic talent, and a fervent patriot was in the centre of both events.

This book is dedicated to these events we are so proud of and is a reminder of the challenges and success the Georgians, the Georgian people had to face while going through those hard times; it makes us browse over the pages of our history, over the pages stained with drops of blood of those who stood guard over our country, it leads us to meet people devoted to their motherland and to the bright future of their motherland, the majority of whom, having lived in exile, having lived their lives in dreams about their motherland, never had a chance to see their native land and, lay buried in an alien land far away from their motherland.

The protagonist of the book is the person who dedicated his whole life to the fight for the freedom of his motherland, to promoting ideas of humanism and democracy, the person who would never allow to be confined within the frames of particular party interests or particular ideology, the person to whom values were of utmost importance. We will also learn about the people and their lives and works who spared no effort to ensure the bright future towards Europe for our country, to ensure our country's independence and strength. Their purpose was noble and their deeds were benevolent.

The period of 1918-1921 is the crucial period in the recent history of Georgia. In spite of the fact that Georgia is proud of more-than-two-thousand-year-long experience of statehood, the foundation for today's new Georgian state was laid in those years when Georgia managed to regain the statehood lost 117 years earlier and was able to establish modern-day democratic public institutions, to implement reforms, when the nation was at last united around the idea of independence, ready to embark on the road leading to Europe and when Georgia's aspiration for closer integration with European structures appeared.

After the October Revolution in Russia, the ruling party of Social Democrats declared themselves as a Georgian party, abandoned the orientation towards Russia and remained committed to the European political orientation throughout the whole history of their existence. Two major values, the Georgian politicians of that time have in common with the main goals of today's policy of Georgia are: the idea of independence and orientation towards Europe; and owing to these two values their lives and works can be considered as the experience of statehood. From the moment of coming to power till the end of their days, they remained committed to these ideas; they had never missed a single chance and had taken advantage of all the opportunities to promote the idea of independence of Georgia and to make this idea popular in European countries. In spite of the fact that they were Socialists and before the declaration of independence their statements and political slogans sounded more international and cosmopolitan than national, since the day the country gained its independence their socialism was not aggressive like that of the Bolsheviks', they had never preached bloodshed and killing, this was a socialism with European features and despite the lack of experience in state management and despite the short period of time there were given to put their ideas into practice, they managed to successfully implement many of these ideas, which fascinated European socialists, who visited Georgia in 1920.

Naturally, not all the reforms carried out and all the aspects of the internal and foreign policy implemented within the period of two years and eight months by the inexperienced government, which was surrounded by ill-disposed figures who fiercely opposed to Georgia's independence, and against the background of constant tension, were flawless and successful. There were mistakes, a distinct lack of democracy, which was anything but easy to correct or eliminate for a post-colonial country and for the generations who were born and had had the experience of living in the Russian Empire. Despite all these difficulties, independent Georgian state became a reality, the country was moving forward in the right direction with successful economic, social, cultural and military policies. Contemporary society's vision of the future was absolutely adequate and the country was heading towards a better future, though this historical process was interrupted by the violence used by the Russia's Soviet Empire.

Neither during the period of independence nor before or ever after that period, no community of Georgian emigrants to Russia as well as Georgians who had joined the ranks of Russian emigrants abroad, neither liberal-democrats or imperial-monarchists nor representatives of the field of culture and art, with only a few exceptions, share or appreciate the idea of independence of Georgia. Georgia and the whole Caucasus were considered part of Russia.

Patriots and prominent figures in independent Georgia – the first democratic republic of Georgia - and among them Akaki Chkhenkeli were the ones

who used to think and write a lot about Russia's aggression and the means of fighting for independence of Georgia, its industrial, economic, cultural and spiritual aspects and political methods.

Akaki Chkhenkeli – a prominent Georgian politician and public figure, the first foreign minister of the Transcaucasian Republic and the Democratic Republic of Georgia, the ambassador of Georgia to France, a patriot emigrant was an outstanding person of his time. In spite of the fact that he was a Social Democrat, he would never allow to be confined within the frames of particular party interests, and the national ideals had always been the number one priority for him. His diplomatic talent and statehood-mindedness were best revealed at the times after the Treaty of Brest, when the situation exacerbated due to the difficulties associated with the identification of the political orientation of Georgia and with the conflict of interest with the Ottoman imperial ambitions. Akaki Chkhenkeli did his best to contain these ambitions and to follow the right diplomatic steps with the help from German allies; he managed to gain the support of the Europeans who had great diplomatic experience, and his success in this direction was highly appreciated by leading politicians at the Batumi Peace Conference. Akaki Chkhenkeli earned additional recognition for his efforts put into diplomatic activities abroad. He continued fighting for the liberation of Georgia and restoration of an independent state, to the end of his days.

Akaki Chkhenkeli was born on May 19, 1874 in the village of Okumi (Samurzakano, Abkhazia) to a large family of a priest. His parents had nine children. His father – Ivane Chkhenkeli – from the town of Khoni - was an intellectual and highly educated person. His mother – Irine Giorgadze – was a remarkably virtuous and refined person. Akaki Chkhenkeli's grandfathers from both paternal and maternal lines were clergies.

Akaki Chkhenkeli had had fond memories of his childhood and relationship with Abkhazian and Mingrelian peers to the end of his days. He knew Mingrelian and Abkhazian languages well enough and whenever the topic of the Lazes living in the territories of the Ottoman Empire was raised among international diplomatic circles, he would find it easy to prove the kinship of the Lazes with the Georgian-speaking nation, through demonstrating his knowledge of the language of the Lazes to his foreign counterparts.

After graduating from the Khoni gymnasium, Akaki Chkhenkeli entered the Tbilisi Theological Seminary, but in 1893 he was expelled from the Seminary due to his participation in the strike action taken against the anti-Georgian regime established in the Seminary.

The same 1893 was the year when he embarked on the road of his political activities. He continued studying Law at the Moscow University. He spent the period between 1896 and 1901 living and studying Law in Russia: Kiev, Moscow and St. Petersburg. Though, he couldn't finish his studies there either,

because of the obstacles created by his involvement and participation in the youth revolutionary movement, which was quite popular there at that time.

During the period from 1902 to 1904 Akaki Chkhenkeli worked as a lawyer in Abkhazia and simultaneously he fought against the aggressive policy of Russia, wrote articles for the Georgian and Russian newspapers and was actively involved in the public activities. He became a leader of the Georgian Party in Abkhazia together with Tedo Sakhokia and Atimoz Jugheli. Soon he married Makrine Turkia (1881-1967), who remained as a devoted friend and wife of Akaki Chkhenkeli, who was permanently busy engaged in public activities.

Soon after getting married, Akaki Chkhenkeli went abroad to continue his studies.

As he wrote later, he spent three years living in Berlin, a year - in Vienna, a year - in Paris and a year - in London. During this period he studied Socialist theories and the works dedicated to the application of these theories to practice, he attended Socialist conferences and congresses.

Akaki Chkhenkeli graduated from the University of Leipzig in 1907 and continued his studies in Geneva. The 5th conference of the Russian Social Democratic Labour Party was held in Geneva in 1908. Akaki Chkhenkeli attended the conference and made a speech in which he raised the question of the national autonomy of Georgia within the Russian Empire, for the first time.

Akaki Chkhenkeli was one of the well-educated politicians among the Georgian Social Democrats. He was distinguished by having diverse interests. In 1900s he was the first Georgian thinker who was interested in and seriously studied Friedrich Nietzsche's works.

In 1909 Akaki Chkhenkeli returned to Georgia and got engaged in journalistic activity. His articles were predominantly dedicated to the topics associated with national issues and parliamentary elections. He published his articles about national issues in Georgian and Russian newspapers. His articles on the issues of parliamentary life caused much interest and thanks to these articles he became well-known as a competent specialist and an expert in this field.

During the mass arrests in 1910 Akaki Chkhenkeli was first imprisoned in the Metekhi prison and then sent into exile to Rostov, where other Georgian Social Democrats were already exiled.

Akaki Chkhenkeli returned to Georgia in 1912, before the elections of the State Duma of the Russian Empire of the 4th convocation. Akaki Chkhenkeli defeated Alexander Shervashidze in the elections by receiving more votes and became a member of the State Duma representing Abkhazia and Batumi-Kars District; he became a member of the Menshevik faction of the State Duma and held centrist position. He is one of the first Georgian Mensheviks who sided with the idea of the national and cultural autonomy for Georgia. He advocated self-determination for the Georgians from the rostrum of the State

Duma. As a member of the State Duma, Akaki Chkhenkeli's political activity was confined to speeches made from the rostrum of the State Duma. His fierce speeches on the problems associated with social and national issues as well as on the case of so called "Adjarian traitors" are very well known.

His speeches in the State Duma brought popularity to Akaki Chkhenkeli. The most memorable in this respect was his speech against the military budget made in 1914. It gained the support of all the left-wing members of the State Duma. This fact served as a basis for the infuriated government to dismiss the State Duma. In 1916 only, Akaki Chkhenkeli made 49 speeches in the State Duma and there are relevant entries in the roster of the State Duma.

In 1914 Akaki Chkhenkeli participated in the Brussels meeting convened by the International Socialist Bureau.

The aftermath of the February 1917 revolution served as an incentive for his national activities, which were intensified. Akaki Chkhenkeli became a representative of the interim government of Russia in Transcaucasia, worked for the Special Transcaucasian Committee, which was abolished after the 1917 October Revolution.

In November 1917, Akaki Chkhenkeli was elected as deputy chairman of the National Council by the decision of the National Congress of Georgia; though, he shouldered the main burden of the Council's activities.

In January 1918, when the Bolsheviks and Lenin's administration came to power in Russia, Georgian politicians lost hope for the return of democratic forces in the government of Russia and decided to establish Transcaucasian Sejm. Nikoloz (Karlo) Chkhenkeli – a well-known figure in Russia was elected as the head of the Transcaucasian Sejm, Evgeni Gegechkori became the head of the Transcaucasian government, and he also became the minister in charge of the Armed Forces; Akaki Chkhenkeli was given the position of the Foreign Minister.

This was one of the most important periods in the history of Georgia when the Georgians had to fight to solve two issues of crucial importance: restoration of the Autocephaly of the Georgian Apostolic Church and establishment of Tbilisi University. Akaki Chkhenkeli is the person whose contribution to the implementation of these two crucially important projects is enormous, as he supported the Georgian society and those who fought to solve the problems which stood in the way of these endeavours.

The list of the positions he held during the short period from the fall of the Russian Empire to the day Georgia was declared independent will be enough to better understand Akaki Chkhenkeli's contribution and the diligence he demonstrated to this cause. Akaki Chkhenkeli was a member of the Special Transcaucasian Committee; the chairman of the National Council of Georgia; a member of the Transcaucasian Commissariat; a delegate of the First National Congress of Georgia; Deputy Chairman of the National Council of

Georgia; a member of the Transcaucasian Sejm; the head of the delegations to the Trabzon and Batumi Peace Conferences; the head of the government of the Transcaucasian Democratic Federative Republic. His distinguished diplomatic talent and statehood-mindedness played a special role in the declaration of independence by Georgia.

On May 26, 1918 Georgia adopted the Act of Independence, which established the Democratic Republic of Georgia, and a well experienced diplomat - Akaki Chkhenkeli became the Foreign Minister of the Democratic Republic of Georgia.

Besides being the head of the delegations to the Transcaucasian Peace Conferences in Trabzon and Batumi, in June 1918 Akaki Chkhenkeli was the head of the delegation from Georgia to Germany. During the period of independence of Georgia Akaki Chkhenkeli worked a lot to gain the international recognition for Georgia, to make Georgia join the League of Nations. When the Red Army of Bolshevik Russia invaded Georgia in February 1921, Akaki Chkhenkeli was no longer the Foreign Minister of the Democratic Republic of Georgia; he was the first ambassador of Georgia to France - the place where political turmoil prevailed - new World Order was being established at the Paris Conference. The same day the Red Army occupied Tbilisi, effectively ending the Democratic Republic of Georgia, Akaki Chkhenkeli was met at the Elyse's Palace with great honor, the then President of the country - Millerand gave him the Ambassador's mandate. Akaki Chkhenkeli continued his diplomatic activities in France for thirteen years i.e., until the Georgian Legation [embassy], headed by Akaki Chkhenkeli, was abolished in 1933.

Akaki Chkhenkeli did his best to help Georgian students, young people and political emigrants living throughout Europe. On March 3, 1929, the committee for supporting the Georgians suffering from tuberculosis was founded in Paris at his initiative. The committee helped multiple of people suffering from tuberculosis and saved their lives. Akaki Chkhenkeli's personal correspondence covers many examples of charitable work done by him, and shows some additional personality traits of this figure portraying him as a great benefactor and philanthropist.

Akaki Chkhenkeli continued his national-liberation struggle for the restoration of Georgia's independence, even after the abolition of the Georgian Legation [embassy]. In order to draw the attention of Europeans to the problems faced by Georgia, Akaki Chkhenkeli maintained contacts with the diasporas of emigrants from the countries, which used to form part of the former Russian Empire, and tried his best to make them actively participate in the national-liberation movement; simultaneously, he worked as a journalist and a publicist. The book authored by Akaki Chkhenkeli under the pseudonym "Anchini" - "The State and the nation" was published in Paris in 1939.

The archive compiled by Akaki Chkhenkeli - one of the best preserved and

well organized archives – speaks about the character of its compiler and his responsibility before his contemporary as well as future Georgia. The materials from this archive served as the basis for our book. Researchers as well as individuals, who are interested in the life and work of this prominent figure, can get access to the documents stored in this archive, analyze them, interpret them and use them in their studies. And we hope that in the future many of others will take advantage of this opportunity.

Akaki Chkhenkeli died in Paris in 1959. He is buried at the Leuville cemetery. He had a son - Aleksi, who was a military man and fought in the army of General de Gaulle. After retirement Aleksi Chkhenkeli moved to the USA. Akaki Chkhenkeli's younger brother - Kita Chkhenkeli was a famous linguist and a public figure, a professor at the Zurich University.

Akaki Chkhenkeli's wife – Makrine gave the archive compiled by his husband to a Kartvelologists Leah Flury who was Kita Chkhenkeli's student. The archive contained: Independence Act (the original), the Constitution and the State Standard of the Democratic Republic of Georgia. Later these relics were returned to Georgia.

Akaki Chkhenkeli's letters and his works are frequently used in the studies and papers of the researchers working on this period. Though, we have never had a publication of this size. The Monograph describes the road Akaki Chkhenkeli had to walk to become a national figure, a public figure, a European-level diplomat and a politician and the changes his attitudes and thoughts had undergone.

This is the first time a significant part of Akaki Chkhenkeli's rich epistolary heritage has been published. His epistolary correspondence was addressed to numerous contemporary politicians. He had personal contacts and had met with the prominent diplomats and public figures of 1920s and 1930s, such as: The UK Prime Ministers, Lords and representatives of various parties, the French Presidents, the last king of Italy -Vittorio Emmanuel III, he had met Mussolini several times and other German diplomats, who later played a big role in the German politics, American diplomats, Turkish politicians and others. During these meetings he would never miss the opportunity to serve the interests of Georgia, to search for and make use of any means, which might help Georgia to restore the independence it had lost and to provide peaceful future for his motherland.

When the Georgian patriots living in emigration lost all the hopes for them to ever be able to return to their motherland and for the justice to ever be restored, some of them declared the ruling party and its leaders responsible for all the disasters. In spite of the fact that he had held high positions in that government, Akaki Chkhenkeli was the last to be criticized. This is evidenced by memoirs and articles published in the emigrants' newspapers. Though, it should be noted that memoirs, especially when the authors of these memoirs

are advocates of different political ideologies, tend to be biased, and their discourse tend to be full of allegations and sometimes even slanders. This kind of literature causes interest and is popular but the degree of their credibility is quite low. In order to be fair we should critically evaluate each and every idea expressed by the authors of the memoirs; besides we should also consider the epoch and the country, i.e. when and where the person concerned acts, or the event takes place. The most important criterion while evaluating a person or an event should be the benefit they brought or intended to bring to our country, to Georgian statehood - the core value of the Georgian nation. In this respect Akaki Chkhenkeli proved to endure all trials and stand all tests and therefore he deserves to be ranked among the greatest Georgian politicians of all times.

History is not a simple set of single episodes but a whole picture of permanent aspiration and fight for maintaining national identity, maintaining faith in humanity and kindness. Akaki Chkhenkeli's portrait - the portrait of a prominent XX century diplomat, politician, public figure and patriot holds a prominent place in this single picture of the history of Georgia.

აკაკი ჩხენკელის მშობლები
მამა — დეკანოზი ივანე პეტრეს ძე ჩხენკელი

დედა — ირინა ბესარიონის ასული გიორგაძე



ოქუმის ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა. 1910 წელი.

აკაკი ჩხენკელის ძმა —
ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და მთარგმნელი
კიტა (პეტრე) ჩხენკელი (1895-1963)

აკაკი ჩხენკელი ახალგაზრდობაში

ეპისკოპოსი
გაბრიელ (ქიქოძე)
(1825-1896)

კათალიკოს-პატრიარქი
კირიონ II (საძაგლიშვილი)
(1855-1918)

არზაყან ემხვარი (1880-1939)
აკაკი ჩხენკელის
ბავშვობის მეგობარი

თედო სახოკია (1868-1956)
მწერალი და საზოგადო მოღვაწე,
„ქართული პარტიის" ლიდერი



რუსეთის სათათბიროს (დუმის) გახსნა, 27 აპრილი (10 მაისი) 1906 წელი

რუსეთის II სათათბიროს (დუმა) წევრები, 1906 წელი.
(მარცხნიდან მეორე — ნოე ჟორდანია)



რუსეთის IV სათათბირო (დუმა), 1912 წელი

რუსეთის IV სათათბიროს დეპუტატები საქართველოდან

აკაკი ჩხენკელი
(1874-1959)
სოხუმის ოკრუგი,
ბათუმისა და ყარსის
ოლქი

კარლო ჩხეიძე
(1864-1926)
თბილისის გუბერნია

ვარლამ გელოვანი
(1878-1915)
ქუთაისის გუბერნია

არჩილ ჯორჯაძე
(1872-1913)
სოციალისტ-ფედერალისტი

ვლადიმერ დარჩიაშვილი
(1872-1916)
სოციალტ-დემოკრატი

მარცხნიდან მარჯვნივ: ნიკო თავდგირიძე, კიტა აბაშიძე, ივანე ზურაბიშვილი, იაკობ ფანცხავა, ვლადიმერ ლორთქიფანიძე



ავტოკეფალიის გამოცხადების დღეს — 25 მარტი, 1917 წელი.
ქვემოთ: წმინდა სინოდის დადგენილება ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.

იონა მეუნარგია (1852-1919)
მწერალი, საზოგადო მოღვაწე

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი
(1878-1965) ლინგვისტი,
ორიენტალისტი, პოლიტიკოსი
და საზოგადო მოღვაწე

პეტრე მელიქიშვილი
(1850-1927) ქიმიკოსი, თბილისის
უნივერსიტეტის პირველი რექტორი

ივანე ჯავახიშვილი
(1876-1940) ისტორიკოსი,
თბილისის უნივერსიტეტის
დამაარსებელი და რექტორი

თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგთა პირველი შემადგენლობა



თბილისის უნივერსიტეტი. 1918 წელი



საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები



Постановленіе Особаго Закавказскаго Комитета.

დადგენილება ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომი) დაარსების შესახებ





საქართველოს I რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოები — დროშა და გერბი; ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით შექმნეს იაკობ ნიკოლაძემ და იოსებ შარლემანმა

ნოე რამიშვილი (1881-1930) საქ. დემოკრ. რესპუბლიკის I თავმჯდომარე, შსს მინისტრი

ნოე ჟორდანია (1868-1953) საქ. I რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

ნოე ხომერიკი (1850-1927), საქ. I რესპუბლიკის მთავრობის შრომისა და მინათმოქ. მინისტრი

აკაკი ჩხენკელი (1874-1959), საქ. I რესპუბლიკის მთავრობის ელჩი ევროპაში

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926), საქ. I რესპუბლიკის პარლ.-სა და დამფუძნ. კრების თავ-რე

ევგენი გეგეჭკორი (1881-1954), საქ. I რესპუბლიკის მთავრობის საგ. საქმეთა მინისტრი

კონსტანტინე გვარჯალაძე (1864-1969), საქ. I რესპუბლიკის მთავრობის საგ. საქმ. მინისტ-რის ამხანაგი, დიპლომატი.

გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1938), საქ. I რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო საქმეთა და განათლების მინისტრი

გიორგი ლასხიშვილი (1866-1931), საქ. I რესპუბლიკის მთავრობის განათლების პირველი მინისტრი

არისტო ჭუმბაძე (1880-1971), მწერალი, მთარგმნელი, საქ. I რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატი

ხარიტონ შავიშვილი (1886-1975), მწერალი, დიპლომატი

მიხეილ სუმბათაშვილი (1885-1954) საქ. I რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში

არტილერიის გენერალი ფონ კრეზენშტაინი, Friedrich Kreß von Kressenstein (1870-1948); გენერლის ვიზიტი ქუთაისში (მასპინძლებს შორის, მარჯვნიდან პირველი — დავით კლდიაშვილი

ფონ ლოსოვი Otto Hermann von Lossow (1868-1938)

გრაფი შულენბურგი Friedrich-Werner Graf von der Schulenburg (1875-1944)

გერმანელი ჯარების სარდალი კავკასიაში ეგან-კრიგერი Edward Jenö von Egan-Kriege (1886-1965)

გერმანელი ჯარისკაცები საქართველოში 1918 წელი



საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია ბერლინში, 1918, მარცხნიდან სხედან: ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ჩხენკელი, ზურაბ ავალიშვილი; დგანან: სპირიდონ კედია, გიორგი მაჩაბელი და მიხაკო წერეთელი

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია ბერლინში, 1918

მარჯანიშვილი ვლადიმერ ახმეტელაშვილი (1875-1942) საქართველოს წარმომადგენელი გერმანიაში

ირაკლი (კაკი) წერეთელი (1881-1959) სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსი, დიპლომატი, ორატორი

კონსტანტინე კანდელაკი (1883-1958) სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსი, საქართველოს დემ. რესპუბლიკის ფინანს. მინისტრი

სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი (1883-1958) სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსი, დიპლომატი.

გენ. გიორგი კვინიტაძე
(ჩიქოვანი) (1874-1970)

გენ. ილია ოდიშელიძე
(1883-1958)

გენ. ალექსანდრე ჩხეიძე (1873-
1941)

გენ. ალექსანდრე ზაქარიაძე
(1884-1957)

გენ.
გიორგი
მაზნიაშვილი
(1870-1937)

ვალიკო ჯუღელი (1887-1924)
ეროვნული გვარდიის სარდალი



ვალოდია გოგუაძის (1883-1958) ჯავშნოსანი, 1921 წელი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი (1888-1930) საქართველოს ეროვნული გმირი 1924 წლის აჯანყების მეთაური

კოტე აფხაზი (1867-1923) ილია ჭავჭავაძის დის შვილი, დახვრიტა „ჩეკამ" 15 ქართველ პატრიოტ-თან ერთად 1923 წლის 20 მაისს

შეფიცულები, 1924 წელი

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, 1919 წლის 12 მარტი

მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველი სამხარეო ყრილობა. მეორე რიგში, მარცხნიდან მეექვსე — აკაკი ჩხენკელი



საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრები, 1920 წელი

II ინტერნაციონალის წარმომადგენლის — კამილ ჰიუსმანის გამოსვლა დამოუკიდებლობის მეორე წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე, 1920 წელი



II ინტერნაციონალის წარმომადგენლები საქართველოში: მანქანაში სხედან — კ. გვარჯალაძე, კამილ ჰიუსმანი, რენოდელი, ვანდერველდე. 1920 წელი

II ინტერნაციონალის წარმომადგენლები საქართველოში: 1920 წელი

მარჯორი უორდროპი (1869-1909), ბრიტანელი სწავლული და მთარგმნელი

ოლივერ უორდროპი (1864-1948), ბრიტანელი დიპლომატი, გაერთ. სამეფოს წარმ. კავკასიაში 1919-1920 წლებში

მარჯორი უორდროპი ქართულ კაბაში

გიორგი მაჩაბელი (1885-1935), ეროვნულ-დემოკრატი, დიპლომატი, საქ. წარმომადგენელი იტალიაში

მარია კარმი (ნორინა ჯილი) (1880-1957), იტალიელი ბალერინა, გიორგი მაჩაბლის მეუღლე

სიმონ მდივანი (1876-1937), სოციალისტ-ფედერალისტი, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი დიპლ. მისიებში

ლეო კერესელიძე (1885-1943), ეროვნულ-დემოკრატი, გენერალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი


საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
1918 - 1921 წლებში
ერთა ლიგის მიერ დამტკიცებული საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები
ლეგენდა
ბაკურიანი
ბორჯომი
ახალციხე
ახალქალაქი
ბოლნისი
დმანისი
ბაზალეთი
ალაზანი
ყარსი
ერზურუმი
ბორჩალო
ელენოვკა
ალექსანდროპოლი
ეჯმიაძინი
ოლთისი
ბალაქანი
ზაქათალა
ელისავეტპოლი
ბაკური
ბაკოსანი
ბაკინი
ბაკუ
ბაკა
ბაკანი
ბაკანა
ბაკანა
ბაკანა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ერთა ლიგის მიერ
აღიარებულ საზღვრებში
შავი ზღვა
კასპიის ზღვა
ბუადზე
სოჭი
ბაგრა
ბიჭვინთა
სოხუმი
ოჩამჩირე
ანაკლია
ფოთი
ბათუმი
სარფი
ტრაპეზონი
ერზერუმი
ალაფერდი
ყარსი
ბიბლეები
ბორჩალო
ბაქო
ბელაქანი
ბაქურიანი
ბაკურიანი
ბორჩალო
ბოლნისი
ბარისახო
ბესტა
ბალიეი
ბალი
ბუდიდი
ბესტბაფონი
ბიბინეული
ბორი
ბულაკი
ბაბანი
ბაბანი
ბაბან

პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, 1919 წელი. „დიდი ოთხეული“ (მარცხნიდან მარჯვნივ): დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ ლოიდ ჯორჯი, იტალიის პრემიერი ვიტორიო ორლანდო, საფრანგეთის პრემიერი ჟორჟ კლემანსო, აშშ პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი

საფრანგეთში საქართველოს ელჩი — აკაკი ჩხენკელი და საელჩოს მდივანი სოსიპატრე ასათიანი საფრანგეთის პრეზიდენტთან მიღებაზე 1921ნლის 25 თებერვალს

ლორდი ჯორჯ ნათანიელ კერ-
ზონი (1859-1925)

დევიდ ლოიდ ჯორჯი (1863-1925)

ჟორჟ ბენჟამენ კლემანსო (1841-
1929)

რაიმონ პუანკარე (1860-1934)

არისტიდ ბრიანი (1861-1932)

კარლო სფორცა (1872-1952)

ბენიტო მუსოლინი (1883-1945)

იტალიის მეფე ვიტორიო ემანუილ III (1869-1947)

მუსტაფა ჩოკაევი (შოკაი)
(1890-1941)

ანდრია გუგუშვილი (1895-1970)

დავით ვაჩნაძე (1884-1962)

სპირიდონ კედია (1884-1948)

ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925)

რევაზ გაბაშვილი (1883-1969)

კონსტანტინე გამსახურდია (1893-1975)

ვახტანგ ღამბაშიძე (1872-1951)

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია (1861-1927)

ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) (1872-1924)

არქიმანდრიტი მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე (1899-1945)

ქართველები პოლონეთის არმიაში. ცენტრში: ალექსანდრე ჩხეიძე და ვიტალი უგრეხელიძე

იეჟი გიორგი თუმანიშვილი
(პავლე თუმანიშვილის ვაჟი)
(1916-2017)

პოლონეთის არმიის ქართველი
ოფიცერი ვალერიან თევზაძე
(1892-1985)

ძმები:
დავით ღამბაშიძე (1884-1963)
ვახტანგ ღამბაშიძე (1872-1951)

ერ.-დემ. სპირიდონ კედია (1887-1948) და საქ.-ს წარმომადგ. აშშ.-ში — ვასილ დუმბაძე (1881-1943)

გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874-1970) და პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი (1888-1930)

ვლადიმერ ვოიტინსკი (1885-1960)

სოც.-დეკი ნიკოლოზ ფუმბურიძე (1886-1933)

ირკუტსკში გადასახლებული სოციალისტები. სხედან: ირაკლი ნერეთელი (1881-1959) და ვლადიმირ ვოიტინსკი

აკაკი ჩხენკელი, XX საუკუნის 30-იანი წლები

ალექსი აკაკის ძე ჩხენკელი (1905-1985), ლეიტენანტ-კოლონელი, საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ბატალიონის მეთაური. მსახურობდა დე გოლის არმიაში

სახელთა საძიებელი

აბაშელი ალექსანდრე 324 354
აბაშიძე 422
აბაშიძე გიორგი
აბაშიძე მემედ 87, 96
აბაშიძე ივანე (კიტა) 10, 100
აბდულჰამიდ II 655
აბრამოვიჩი 712
აგაბეკოვი გეორგ 127, 316
აგარონიანი ა. 296, 313, 621
აგნი-ფაშა 89
ადლერი ვიქტორ 517
ავალიშვილი ზურაბ 14, 141, 142, 148, 149, 153, 154, 163, 168, 172, 173, 178, 180, 184, 189, 193, 203, 204, 205, 206, 207, 209, 210, 225, 236, 252, 278, 279, 289, 302, 303, 304, 305, 315, 430, 510, 537, 542, 548, 555, 560, 561, 661, 668, 672, 674, 690
ავალოვი 497
ავეცანო რომან 305, 686, 689
აზაბ-აღა ზადე ჰეილული 34
ათათურქი 127, 145, 294, 299, 433, 437, 541, 576, 597, 626, 630, 635, 678, 635
ალავიძე ალექსანდრე 355
ალბერი თომას 188, 204, 303, 442
ალენი უილიამ 504, 505, 506, 508, 668
ალექსანდრე ეპისკოპოსი 65
ალექსი-მესხიშვილი შ. 122
ალიხანოვ-ავარსკი მახსუდ 47
ალშიბაია გრიგოლ 376
ალშიბაია მიხეილ 376
ალშიბაია რუსუდან 376
ამაშუკელი ანა 657
ამაშუკელი კირა 657
ამაშუკელი ნატალია 657
ამბროსი კათალიკოსი (იხ. ხელაია ამბროსი)
ამერი 593
ამირეჯიბი შალვა 104, 391
ანდრია ეპისკოპოსი 59
ანდრია მოციქული 355

ანდრონიკაშვილი ალექსანდრე 323, 325, 589, 698
ანდრონიკაშვილი ივანე 95, 96
ანდრონიკაშვილი კონსტანტინე 323, 327
ანი (იხ. ჟორდანია ნოე)
ანდრო (ეპისკოპოსი) 59
ანტონიშვილი 714
ანტონოვსკაია ა. 481
ანტუანეტა-პასკუინი მარია 251
ანჩინი (ჩხენკელი აკაკი) 15
აპეტიანი 84
არავიაშვილი 441, 443
არონიშიძე არტემ 355
არსენ ეპისკოპოსი 59, 60, 347
არსენიძე მ. 622
არსენიძე რაჟდენ 441, 525
ასათიანი ალექსანდრე 106, 372
ასათიანი სოსიპატრე (ჭიჭიკო) 190, 191, 195, 308, 347, 366, 371, 379, 456, 525, 578, 593, 690, 691, 692, 693, 694
ასკურავა 449
აფხაზი ალექსანდრე 447, 454, 461, 463, 468, 609
აფხაზი კონსტანტინე (კოტე) 94, 95, 96, 97, 117, 323, 324, 325, 589, 611
აფზახი ნიკოლოზ (ნიკო) 94, 611, 612
აქსელროდი პაულ 168, 390, 517
აღმაშენებელი დავით 506
აშორდია 67
ახმეტელაშვილი გიორგი (იხ.ახმეტელი გიორგი)
ახმეტელაშვილი ვლადიმერ (იხ. ახმეტელი ლადო)
ახმეტელაშვილი სტეფანე 113
ახმეტელი გიორგი 446
ახმეტელი ლადო 113, 173, 190, 185, 217, 232, 237, 238, 241, 328, 352, 445, 446, 447, 448, 451, 452, 453, 454, 455, 456, 485, 501, 553, 558, 640, 641, 685, 693, 697
ახმეტელი მიხეილ 593
ახმეტელი სიკო 113

ბაბე 456, 671
ბაგრამიანი 315
ბაგრატიონი ალექსანდრე 355
ბაგრატიონი ირაკლი 250, 251
ბაგრატიონ-მუხრანელი სიმონ 323, 325, 589
ბაგრატიონი ხორხე 251

ბათმანაშვილი შიო 354
ბალაძე შიო 283
ბალინსკი 427
ბალფური 204
ბამატოვი ჰაიდარ (ბამატი) 126, 140, 381, 593
ბარათაშვილი იასე 104, 106
ბარათაშვილი ნიკოლოზ 391
ბარანოვსკი 659
ბარბიუსი ანრი 338
ბარენბერგ-გოსლარი 259, 260
ბარერი 306, 580, 581, 672, 675, 676, 677, 681, 685, 686, 687, 688
ბარლიცკი 361 594
ბარტონი არولد 279,542, 544, 549, 594, 624, 625, 639
ბარტუ ლუი 249, 290, 291, 308, 311, 560, 669, 670, 671, 678, 679, 680, 681, 688, 689, 693
ატონ (იხ. წერეთელი მიხეილ (მიხაკო)
ბაუერი ოტო 28, 433
ბაქრაძე დიმიტრი 657
ბაქრაძე ვალერიან 522
ბაქრაძე ვლადიმერ 240
ბაქრაძე ზაქარია 301, 355, 657
ბაქრაძე იაზონ 173, 185, 188, 199, 212, 215, 217, 218, 222, 223, 224, 482, 485
ბაქრაძე ლაშა 356
ბახმეტევი 280
ბებელი 113
ბეგზადიანი 306, 313, 475, 561, 689
ბელევი 564
ბელთაძე ლ. 334
ბენდიანიშვილი ალექსანდრე 7[illegible]
ბენეტი 449
ბენეში ედუარდ 440, 441, 443, 646, 676, 711, 712
ბერბერიანი 316, 598, 600
ბერზინი იან კარლოს ძე 552, 598, 600
ბერია ლავრენტი 522, 523
ბერიშვილი ტიერი 10, 153
ბერმონტი 497
ბერნსტორფი 150, 151
ბერნშტეინი ედუარდ 640
ბერნშტეინი ერიკ 449, 452, 453, 454
ბერძენიშვილი ნამეტია 521

ბექირ სამი-ბეი 245
ბიიონი 457
ბილევი 564
ბინოში 548
ბირკენჰედი 675
ბლუიტერი ვილჰელმ 453
ბლუმი ლ. 329, 608
ბოდრერი 475, 476, 686
ბოილი 679
ბოლდვინი ოლივერ 505, 506
ბოლდვინი (შვილი) 329, 596
ბოლინი 569
ბონარი ლოუ 432
ბონკური პოლ 333, 615, 699, 700, 701, 702, 705, 706, 709, 710, 711, 713, 715, 718
ბონომი 456, 470, 471
ბორკი 213
ბორჟო (პროფესორი) 192, 259
ბოსებიერი 700
ბოტა 182
ბოჯიანო პიკო 471
ბრაისი 191, 192, 193
ბრაიტმზიდი 640
ბრამლეი 713
ბრანდესი 217
ბრანტიანო 675
ბრანტინგი კარლ იალმარ 168, 285, 297, 335, 498, 517, 562, 669, 670, 671, 675, 678, 699, 700, 701, 702, 709
ბრეგანი შარლ 525
ბრიანი არისტიდ 245, 246, 285, 297 315, 316, 332, 456, 536, 537, 540, 543, 544, 545, 547, 548, 550, 553, 610, 628, 669, 705
ბრიუნე ფრედერიკ 610
ბროგბერგი 488
ბრუსეისი 499
ბუიონი ფრანკლინ 533, 537
ბულგანინი ნიკოლოზ 524
ბურნაშევი 184
ბურცევი 492
ბურჭულაძე ივანე 65, 68
ბუშე 167
ბუხარინი 397, 398, 597

გაბაძვილი რევაზ 119, 249, 324, 380, 524, 529, 530, 531, 637, 683
გაბბა მ. 227
გაბლიანი გივი 376
გაბრიელ ეპისკოპოსი 57, 60, 61, 338
გავაშელი მ. 104
გავიერა მარია-მერსედესი 251
გაზარიანი ტერ გ. 122
გაიდარი 317
გაიდაროვი 316
გამახარია ჯემალ 57, 60, 61
გამსახურდია ზვიად 5
გამსახურდია კონსტანტინე 211, 212, 216, 217, 449
განტემიროვი 533
გარბერი 717
გარუნი 577, 581
გაჩეჩილაძე გრიგოლ 173, 222, 224
გაჩეჩილაძე მელიტონ 222
გაჯიბეკოვი დ. 313
გაჯინსკი მამედ 126
გეგეჭკორი ევგენი 12, 36, 101, 104, 122, 129, 136, 145, 196 228 236, 303, 307, 309, 311, 312, 313, 334, 363, 364, 368, 388, 394, 442, 445, 454, 455, 456, 457, 458, 463, 464, 465, 466, 468, 508, 509, 510, 519, 520, 521, 522, 537, 548, 549, 550, 560, 561, 573, 601, 606, 647, 659, 666, 668, 671, 673, 674, 688, 689, 690, 700, 701, 708, 716
ვეგეჭკორი სოსიკი 455
ვეგია ივანე 65, 68
ვედევანიშვილი იოსებ 103, 104
ველოვანი ვარლამ 36, 37, 41
ვერგედავა-ჭელიძე ზაირა 7, 103, 106
ვერშელმანი 65
ვვაზავა გიორგი 106, 116, 157, 173, 207, 348, 511, 680, 681
ვვარამაძე ნიკოლოზ 9
ვვარჯალაძე კონსტანტინე (კოწია) 14, 159, 161, 173, 178, 179, 203 205, 207, 210, 242, 252, 84, 296, 297, 298, 302, 333, 334, 340, 364, 382, 436, 439, 440, 442, 458, 508 509, 532, 620, 624, 628, 631, 632, 634, 636, 637, 638, 641, 642, 643, 646, 648, 650, 653, 655, 658, 660, 661, 662, 663, 664, 665, 666, 667, 671, 685, 692, 693, 697, 698, 706

გველესიანი რომან 355
გილზერდინგი ალექსანდრე 640
გილი 712
გილიოპი ჯეიმს 207
გიორგაძე ბესარიონ 9
გიორგაძე გრიგოლ 106, 641
გიორგაძე ირინე 9
გიორგობიანი ტრიფონ ივანეს ძე 380
გობეჩია ვლადიმერ 13
გობეჩია ი. 104, 441, 585
გოგიჩაიშვილი 508
გოგოლაშვილი ოთარ 7
გოგოლაშვილი სოსო (იოსებ) 87, 89, 202, 600, 601, 602
გოგოლაძე კაპიტონ 34, 87
გოგუაძე ვალოდია 368, 369, 520, 521
გოგუაძე ივლიტა 369
გოზალიშვილი 173, 300
გოლდმანი ილია 278
გოლევკო 361, 380, 381
გოლი დე (იხ. დე გოლი)
გოლიცინი 68, 79
გოლუბცოვი 347
გოლშინი 77
გომართელი ივანე 104
გორემიკინი 54
გორდონი 584, 592, 594
გოცაძე სერგო 511, 512,
გოცირიძე გიორგი 141
ვოძიაშვილი ალექსანდრე 355, 356, 362
გრაბსკი 377, 380
გრენარი 691
გრიგოლია 70
გრძელიძე რევაზ 7
გუგუშვილი ანდრია 205, 503, 507, 508, 509, 521, 668
გულისაშვილი ელიზბარ 325, 589
გუნრასი 537
გურსკი 363, 371, 375
გურული ვახტანგ 7, 101, 102, 103, 122
გურული ზაქარია 11
გურჯიძე 174, 175, 437
გუსარსკი 362

დადეშქელიანი ილამაზ 456, 490
დადიანი ნიკო 280
დადიანი ნიკოლოზ (კოკი) ნიკოლოზის ძე 528
დადიანი შამსონ 106
დადიანი შალვა 104, 324
დავითაია ფარნა 65, 68
დავითი და კონსტანტინე (მხეიძეები) 350
დავინიონი (ვიკონტი) 673
დავისი 713
დათეშიძე რაჟდენ 501
დაიალა 476
დანი 517
დარჩიაშვილი ვლადიმერ 22, 33, 36
დაუშვილი რუსუდან 355, 356, 526
დგებუაძე ანდრია 104
დებრიუკერი ლუი 233, 293, 335, 336, 666, 698, 699, 700, 702, 703, 704, 705, 706, 709, 710, 711
დელ-პროპორტო 277
დე გოლი 526
დევდარიანი სეით 601, 603
დეკანოზიშვილი გიორგი 391, 658
დელბოისი ივან716
დელპროპორტი 277
დემბსკი 361
დემონზი 716
დენიკინი ანტონ 180, 181, 186, 193, 229, 231, 434, 452, 460, 491, 492, 494, 495, 496, 497, 561, 567, 651
დენცი 567, 568, 569, 570, 503
დიამანტი 680, 688
დიასამიძე გრიგოლ 447
დიდიძე ირ. 87
დიდრო დენი 3
დირი 214
დიუმერგი 694
დმიტრიევი ევგენი 234
დმიტრიევისა ალექსანდრა 234
დონსკოი დიმიტრი 101, 122
დროუმონდი 700
დრუგოვი პეტრე 59
დუბროვინსკი 41

დუდუჩავა 366
დუმბაძე დავით 280
დუმბაძე ვასილ 280
დუმბაძე ივანე 280, 281
დუმერგი 309
დღვილავა მამია 7

ებერტი ფრიდრიხ 238, 431, 433, 448
ებშტეინი 390
ედიმილოი 700
ეკატერინე II 166
ელიავა ნიკო 11
ელიავა უშანგი 11
ელიავა შალვა 149
ელიგულაშვილი იოსებ 316, 593
ელიზბარაშვილი ელიზბარ 11
ემანუელ III 56, 251, 274, 275, 276
ემხვარი არზაყან 73, 441
ემხვარი ლადო 73
ემხვარი მელიტონ 34
ენგელსი ა. 233
ენგურელი ალ. (იხ. ივანე ჩხენკელი)
ენვერ-ფაშა 124, 125, 126, 127, 128, 129, 131, 133, 152, 477
ენჯელი 702, 703, 704, 706, 708, 710
ერეკლე II 184
ერვე 407
ერიო (იხ. ჰერიო)
ერისთავი (მაიორი) 374
ერისთავი ალექსანდრე 540, 541, 563, 623
ერისთავი გიგუშა 541
ერისთავი რაფიელ 324
ერქომაიშვილი ნესტორ 331
ესქილე 680

ვადაჭკორია შოთა 7, 8, 103
ვალა ნერუთინბეი 656
ვალენტინი 276, 304, 559
ვანგენჰაიმი 167
ვანდერველდი ემილ 233, 517

ვანდერლიპი ფრანკ 542, 681, 682
ვანსირტატი რობერტ 430, 552
ვაჟა-ფშაველა 324
ვარდიძე შალვა 283
ვასსალო 475
ვატაცი 63
ვაშაყმაძე ნინო 7, 8
ვაჩნაძე დავით 103, 104, 106, 131, 249, 313, 355, 380, 524, 683
ვაჩნაძე დოლიკა 356
ვაჩნაძე ელიზბარ 324
ვაჩნაძე მერაბ 7, 102, 122
ვაჩნაძე ნიკოლოზ 355
ვაჩნაძე ქეთევან 527
ვეზენდონკი ო. 130
ვეზირიშვილი ნინო 250
ვეიგამი 313
ველსი 431, 640
ვენოსტა (ვისკონტი) 687
ვერეშჩაგინი 62
ვეტცელი 71
ვექილოვი 316, 635, 636, 656
ვეშაპელი გრიგოლ 90, 103, 104, 106, 116, 126, 128, 129, 130, 180, 199, 289, 324, 510, 511, 539, 560, 677, 682, 683, 689
ვეჰიბ-ფაშა 128, 132, 137, 143, 144, 145, 146, 151, 240, 241
ვილსონი ვუდრო 227, 228, 259, 278
ვილსონი ჰენრი 281
ვილჰელმ II 249, 250, 414
ვირტი 536
ვიტაოსი 358, 361, 362
ვიტორიო ემანუელ III (იხ.ემანუელ III)
ვიტტე ლევ 222
ვოიტინსკი ვლადიმერ 283, 306, 474, 630, 682, 691, 692
ვოლკონსკი 497
ვოლსკი გრიგოლ 12, 35, 76
ვოროვსკი 468
ვორონინი იური 63
ვორონცოვ-დაშკოვი ილარიონ 79, 280
ვორონცოვი მიხეილ 345
ვრანგელი პეტრე 651, 652, 653
ვრაციანი სიმონ 649, 652
ვშელაკი 382

ზამოისკი გრიგოლ 365, 558
ზანდუკელი ნიკოლოზ 323, 325, 589
ზარდაბი ჰასან-ბექი 312
ზარემბა 647
ზაქარიაძე ალექსანდრე 332, 355, 359, 360, 373, 374, 376, 377, 378, 383, 384, 385, 386, 387, 388, 533, 536, 563, 621, 622, 623, 626, 627, 645
ზაქარიაძე გიორგი 359
ზაქარიაძე ვალერიან 359
ზახაროვი დიმიტრი 34
ზდანოვიჩი გიორგი 218
ზიკოვი 35
ზინოვიევი ანატოლი 397, 398, 407, 413, 585
ზოსიძე ნუგზარ 7
ზუბალაშვილი 316
ზურაბიშვილი არჩილ 514
ზურაბიშვილი ივანე 514
ზურაბიშვილი ლევან 514
ზურაბიშვილი სალომე 514

თავაძე (გენერალი) 113
თავდგირიძე მაჰმუდ (იხ. მაჰმუდ-ბეი)
თავდგირიძე ნიკო 34, 35, 67, 68, 76, 352
თავდგირიძე ჰუსეინ 655
თალაათ-ენვერ ჯემალი 150
თამაზ შაჰი 184
თაყაიშვილი ექვთიმე 119, 214, 229, 447, 453, 515
თაყაიშვილი პატიკო 356
თევზაია ბიქტორ 160, 161, 162, 430
თევზაძე ვალერიან 355
თევზაძე ვლადიმერ 380
თეკლათელი ბ. (იხ. თევზაია ბიქტორ)
თევფიკ-სალიმ ბეი 128
თოთიბაძე პარმენ 331
თოიძე 422
თომა ალბერ 188, 204, 303, 442, 470, 677, 682, 684, 686
თოფჩიბაშევი 296, 312, 314, 315, 316, 317, 381, 532, 656, 687
თულაევი 298

თუმანიშვილი (კონსული) 424
თუმანოვი კ. 539, 541
თუმანიშვილი პავლე 106, 194, 195, 332, 361, 362, 363, 366, 371, 373, 377, 378, 380, 381, 708
თურქია მაკრინე (მაშო) 10, 15, 34, 69, 441, 461, 467, 491, 514, 515, 690, 692
თურქია სიმონ 441

Ია
ამანუჩი 665
იანკოვსკი ვაცლავ 222, 381
იანქოშვილი მათე 115, 162
იასტრებოვი ვ. 65
იაშვილი გრიგოლ 357
იაშვილი (იუნკერი) 356
იაშვილი პაოლო 324
იენსენი იოჰანეს 217, 488
ივანიცკი დიმიტრი 345
ივანიცკი-ინგილო რაფიელ 103, 104, 189, 190,344, 345, 346, 348, 349, 351, 352, 353, 354, 355, 441, 443
ივანიცკი ირაკლი 345
ივანიცკი ლეონიდე 345
ივანიცკი რუსუდან 345
იზეტ-ფაშა 88, 145, 630, 644, 645, 648
იზოტოვი არსენ (იხ. არსენ ეპისკოპოსი)
ილეკიმუდი 389
ინასარიძე კარლო 385
ინგოროყვა პავლე 117, 180, 324, 529
ინჯია ვასილ 355
იოაჰიმი 249, 250, 428
იორდანსკი ნიკალაი 591, 592, 612
იოსელიანი ელენე 611
იოფე 306, 597
ისლამოვი ა. 313
ისლამოვი შეიხულ 537
ისმეთ ინენიუ 576, 584, 589, 595
ისმეთ-ფაშა 295, 402
იუდენიჩი 492, 495
იუნგი კარლ 165
იუსუფ-ბეი 128, 553
იში 688

იშხნელი მიხეილ 392
იპანჯანიანი 181

კაგანოვიჩი 524
კავრიანი (მარკიზი) 270
კაკი (იხ. წერეთელი ირაკლი)
კალანდარიშვილი 331
კალანდაძე როლანდ 7
კალაძე ვ. 232
კალინინი მიხეილ 63
კალფოვი 706
კამენევი ლევ 397, 398, 413
კანდელაკი გრიგოლ 65, 68
კანდელაკი (პოლკოვნიკი) 385, 386
კანდელაკი ვალერიან ანტონის ძე 564
კანდელაკი კონსტანტინე (კოწია) 74, 173, 191, 195, 284, 299, 315, 316, 333, 351, 372, 478, 508, 520, 553, 613, 697, 699, 701, 707, 708
კანდელაკი მიხეილ 355, 388
კანდელაკი ნიკოლოზ 355
კანტემიროვი 533
კაპანაძე 422
კაპანაძე იოსებ 352
კარაბექირ-ფაშა კიაზიმ 635
კარასო 584
კარახანი 635
კარგარეთელი ალექსანდრე 324
კარკარიანი 84
კარჩიკიანი ბ. 122
კასიანოვი 80
კაუფმანი ჟან-როჟე 680
კაუცკი კარლ 159 233, 242, 338, 454, 640, 712
კაუცკი ლუიზა 233
კაშენი მარს 537, 717
კაჩაზნუნი 134, 138
კაჩაური დავით 104
კაჩუხაშვილი 692
კახიანი მიხეილ 198, 104, 106
კახიანი ნ. 334
კედია დიკა 593
კედია ზეინაბ 514

კედია ზურაბ 593
კედია მელქისედეკ 593
კედია მიხეილ 593
კედია სპირიდონ 14, 104, 106, 372, 381, 511, 641
კეინსი 690
კელები 612
კეჟერაძე 67
კენტერბერიის მთავარეპისკოპოსი 349
კერენსკი 316, 341, 504
კერესელიძე გიორგი 149, 173, 353, 391, 392, 452, 500
კერესელიძე ეკატერინე 149
კერესელიძე თამარ (გიორგის მეუღლე) 501
კერესელიძე იასონ მათეს ძე 65, 66, 323, 325, 589
კერესელიძე ლეო 389, 390, 391, 395, 500
კერზონი 243, 246, 247, 248, 254, 255, 256, 257, 294, 299 402, 457, 544, 545, 546, 552, 553, 555, 556, 573, 574, 575, 576, 578, 581, 583, 587, 591, 593, 597, 610, 612
კვალიაშვილი ლევან 355
კვალიაშვილი მიხეილ 356, 357
კერზონი 243, 246, 247, 248, 254, 255, 256, 257, 294, 299
კვინიტაძე გიორგი 141, 233, 357, 386, 536, 564, 658
კიკვიძე კონსტანტინე 355
კიკნაძე ვაჟა 286
კიროვი სერგო 597
კირიონი 59, 69, 119
კიულმანი კ. 131
კიულმანი ფ. 170
კიშენი 181,
კლაინსი 713
კლემანსო ჟორჟ 175, 204, 205, 210, 430, 536
კლიმიაშვილი დავით 355
კლიმიაშვილი ლევან (ლელო) 325, 589
კნოლი 382
კობა (იხ. სტალინი)
კობახიძე რუსუდან 460
კოზიაშვილი ალექსანდრე 355
კოზმავა ივან შარვანის ძე 34
კოკაია 441
კოლბი ბეინ ბრიჯ 228, 278
კოლჩაკი 185, 226, 491, 492, 496
კომახიძე სულეიმან 89, 90, 602

კონიაშვილი ალექსანდრე 355, 657
კონიევი (იხ. კონიაშვილი ალექსანდრე)
კონტარინი 690
კონტი 277, 677
კორბელი კოლ. 567
კორვინ-პავლოვსკი 360
კოროსტოვეცი 505
კრანახი 635
კრასინი ლეონიდ 247, 287, 290, 308, 552, 555, 595, 597, 636, 637, 674, 688
კრანახი 635
კრებიონი დე ჟულიო 680
კრესი 156, 176 450
კრივოშკინი 495
კრონი (კაპიტანი) 450
კროპოტკინი პეტრე 207
კრუპენსკი 38, 39, 41, 48, 49, 50
კუკ-კოლისი 200
კულიშერი 277
კუპატაძე ბონდო 35
კუტუზოვი მიხეილ 406

ლაგო 271, 272, 273
ლავასიორი 610
ლალუაშვილი ვანო 356
ლასინგი 204
ლასხიშვილი გიორგი 103, 104, 106
ლაღიძე დავით 356
ლაშქარაშვილი მიხეილ 324
ლებედინსკი 122
ლევანდოვსკი ვლადიმერ ანტონის ძე 122
ლევანდოვსკი მიხეილ კარლოს ძე 122
ლევიცკი 68,
ლეიგი 309, 558, 694
ლემბოჯი 362, 397, 398, 404, 406, 407, 429
ლენინი 12, 114, 122, 123, 127, 174, 236, 287, 299, 397, 398, 404, 406, 407, 429, 506, 507, 516, 518, 563, 583, 585
ლეონიდე (კათალიკოს-პატრიარქი) 479
ლეონიძე გიორგი 683
ლიანოზოვი 496

ლიახოვი 94, 95
ლიი 397, 400
ლინდე 379
ლიონიძე ალექსანდრე 234
ლიტვინოვი 290, 306
ლობე 431
ლომაძე კარლო 331
ლომთათიძე ალექსანდრე 104, 230, 231
ლომიძე ვიქტორ 356
ლომოური 173
ლომჯარია ანტონ 331
ლონგარი ბონინ 710, 711
ლონგე 453
ლონგო მარიამ 359
ლორთქიფანიძე ავნი-ფაშა 392
ლორთქიფანიძე გრიგოლ 129, 130, 189, 197, 202, 396
ლორთქიფანიძე ვლადიმერ 460
ლორთქიფანიძე იზმაილ 198
ლორთქიფანიძე ჰასან 14
ლორთქიფანიძე 89
ლორთქიფანიძე მარიამ 149
ლოსი 382
ლოსოვი ფონ 130, 132, 133, 134, 137, 138, 140, 141, 149, 150, 151, 156
ლოსსკი 497
ლოუ 456
ლოუშერი ა. 315, 540, 543, 544, 550, 551
ლუდენდორფი 131, 502,
ლუკაშევიჩი 703, 704, 705, 707, 708, 712
ლუქსემბურგი როზა 517
ლუშერი ა. (იხ. ლოუშერი ა.)

მაგერამოვი მ. 313, 316
მათიკაშვილი ნიკოლოზ 356
მაზნიაშვილი გიორგი 333
მაიერი ედუარდ 213, 214
მაისა 656
მაკდონალდი რამზეი 233, 329, 332, 335, 336, 441 517, 541, 552, 595, 599, 604, 605, 606, 607, 608, 611, 614, 615, 617, 700, 703, 704, 706, 710, 711, 714, 715
მაკლაკოვი 316

მაკლოუერი 675
მალამა ვერა 541
მალამა იაკობ 541
მალენკოვი გიორგი 523, 524
მალინოვსკი 516
მამალაძე ზენონ 355, 356
მამაცაშვილი ი.ქ. 234
მამინაიშვილი ე. 65
მამულაიშვილი გიორგი 331
მანველიშვილი ალექსანდრე 289, 293
მანტუ 706, 711
მანუილსკი 597
მარგველაშვილი გივი 501
მარგველაშვილი ტიტე 501, 510, 511, 539
მარგოტი 682
მარიანი ალექსანდრო 489
მარი ნიკო 62
მარკე ადრიან 233
მარკოვი 42
მარო 440
მარტელი 259
მარტენი ჟან 174, 442, 584, 704, 711
მარტინო დე 471
მარტოვი 174, 429, 517, 583
მარქსი კარლ 429
მარშანია ტატაშ 34
მასიგლი 585
მატუშევსკი 647
მაურე 709, 710, 711
მაღალაშვილი გიორგი 593
მაღალაშვილი ნ. 391, 392
მაღლაკელიძე შალვა 593
მაყაშვილი-ბარტონი 594
მაყაშვილი კოტე 117, 324. 393
მაჩაბელი გიორგი 158, 249, 250, 260, 271, 280, 281, 296, 346, 347, 459, 461, 462, 463, 465, 467, 469, 470, 473, 474, 475, 476, 477, 478, 479, 480, 561, 575, 589, 595, 675, 684
მაჩაბელი ივანე 250
მაჩაბელი ილია 281
მაჩაბელი ვასილ 250
მაჩაბელი მიხეილ 106, 249, 250

მაჩაბელი ნორინა 675, 684
მაჩაბლები (იხ. გიორგი და ნორინა)
მაჩოშვილი 429
მაჭავარიანი ალექსანდრე 323, 325, 589
მაჭავარიანი დავით 57, 65, 66, 355
მაჭავარიანი იოსებ 103, 104
მახარაძე (?) 356
მახარაძე გერასიმე 236
მახარაძე ფილიპე 242
მახვილაძე კ. 429
მაჰმუდ-ფაშა 200, 390, 643, 644, 655, 656
მგელაძე ვლასა 75, 325, 390
მდივანი ბუდუ 290, 306, 308, 309, 339, 405, 472 475, 553, 561, 562, 578, 581, 658, 571, 677, 680, 685, 687, 689
მდივანი სამსონ 106
მდივანი სიმონ (სოსიკო) 106, 229, 283, 288, 309, 316, 339, 356, 536, 560, 561, 564, 566, 571, 636, 637, 661, 682, 689
მედიჩი 690
მეზიეთი ფატმა 656
მეიერი 177
მეკელაინი რიჰარდ 214, 215
მელკუგოვი აკოფო (იაკობ) 127
მელიქ-ასლანოვი მ. 122
მელიქიშვილი პეტრე 119, 515
მელქოიანი ანასტასი 84
მენაღარიშვილი 522
მენთეშაშვილი ავთანდილ 7
მერაბიშვილი ავთანდილ 683
მესხი კონსტანტინე 104
მესხიშვილი შალვა 103, 104, 106
მთავრობის თავმჯდომარე (იხ. ჟორდანია ნოე)
მიკულსკი 54, 81
მილიერანი ალექსანდრ-ეტიენი 15, 245, 292, 598
მილნი (გენერალი) 199, 656
მილერი 9
მილიუკოვი 161, 418, 419, 420, 444
მირბახი 140
მირიანაშვილი იოსებ 352
მისალატი 189
მიულერი ავგუსტ 259, 261, 262, 263, 264, 265, 267, 431
მიულერი ჰერმან 453, 454, 455

მიურე ჯილბერტ 615, 616
მიქაელიანი-ტერ 316
მიქელაძე ილიკო სამსონის ძე 423
მიქელაძე პლატონ 355
მიქელაძე შალვა 104
მიშა (იხ. სუმბათაშვილი მიხეილ)
მიშლიავსკი 95
მჟავანაძე 57
მოდებაძე კარპე 545, 611, 126, 638
მოდილიანი 475
მოკინო 204
მოლოტოვი ვიაჩესლავ 523
მოლცანი 684, 685
მონე 711
მორგანი 280, 281
მორელი 675, 688
მორია პ. 392
მორისი ს.-ე 504
მოტა ჯუზეპე 293, 319, 353, 562, 669, 670, 698, 699, 701, 702, 705, 706
„მოხუცი აჭარელი“ 91, 92, 93, 94
მუჟენი 620
მური 227
მურუსიძე შორენა 7
მუსოლინი 250, 251, 316, 383, 576, 577, 604
უსტაფა ქემალი (იხ. ათათურქი)
მუსხელიშვილი როსტომ 323, 325, 589
მუხთარ-ბეი 128, 639
მუჯირი ალექსანდრე 7
მღვდლიევი 242

ნაზარბეკოვი თომა 132, 137, 141, 146
ნაზარი (მიტროპოლიტი) 350, 353
ნათაძე გრიგოლ 104
ნათიშვილი 87
ნაკაშიძე ელენე (ნელი) 339
ნაკაშიძე-ბოლქვაძე ელისაბედ 229, 339
ნაკაშიძე ირინე 339
ნაკაშიძე ნიკო 527
ნაკაშიძე ნინო 339
ნანიტაშვილი ნ. 288

ნაპოლეონი 406
ნარეკალიძე ივანე 323
ნარიმანოვი 306, 475, 561, 685, 689
ნატროშვილი 65
ნაცვლიშვილი 422
ნაცვლიშვილი პაატა 357
ნაცვლიშვილი ფარნაოზ 356
ნედზრალკოვსკი 361
ნერსესიანი 341
ნერუჩევი ა. 122
ნიზდიაკოვსკი 707, 708
ნიკოლა დე 470, 471
ნიკოლაძე ნიკო 14, 117, 136, 158, 163, 437, 439, 457, 467, 469, 539, 551, 552, 554, 637, 638, 679
ნიკოლაძე ნინო 514
ნიკოლოზ II 79, 275, 281, 541
ნიკურაძე ალექსანდრე 593
ნიზამედინ-ბეი 128
ნიკონი (ეგზარქოსი) 347
ნიკურაძე ალექსანდრე 593
ნინიძე კირილე 377
ნინოშვილი ეგნატე 429
ნიტტი 227
ნიცშე ფრიდრიხ 10, 69
ნოდია ემელიანე 421
ნოვიცკი 46
ნოიჰაუზი 216, 217
ნორაკიძე სპირიდონ 65, 68
ნორკე 408
ნური რიზა 584
ნუსრეთ-ბეი 128
ნუცუბიძე შალვა 117, 501

ობერი 710
ობრიო 610
ოგანჯანიანი ა. 122, 178, 183, 438
ოდიშელიძე ილია 142, 553, 657
ოზბორნი 656
ორბაი ჰუსეინ რაუფი (იხ. რაუფ-ბეი)
ორბელიანი ელისაბედ 522

ორბელიანი ირაკლი 522
ორბელიანი სულხან-საბა 171
ორლანდო 470, 471
ორსინი 483
ორჯონიკიძე სერგო 324, 404, 512
ორჯონიკიძე-ტოროშელიძე მინადორა 229
ორპან-ბეი 128
ოსი 477
ოსიძე ი. 59
ოსმან ნისიმ-ფაშა 297
ოქროპირიძე ლეონიდე 65
ოპანჯანიანი (იხ.ოგანჯანიანი)

პავლიაშვილი გოლა 324
პავლინსკი გენადი 59
პალემი 497
პანსონბი 705, 712, 713, 714, 715
პაპავა აკაკი 447
პაპავა თამარ 447
პაპაძიანი 315, 317
პაპაჯანოვი მიხეილ 36, 101
პარმური 614, 615, 700, 701, 702
პარომაქსიზოვი 84
პასინი 680
პაჩელი-ნუნციუსი (კარდინალი) 346, 348, 352,
პეგასოვა-მახვილაძე ელეონორა 229
პელე 239, 533, 538, 539, 541, 547, 564, 565, 568, 598, 626, 630, 631, 646, 685
პელცი 362
პენელეევე 610
პეპინოვი ახმედ 126
პერეტი დე ლა როკა 258, 304, 305, 307, 308, 311, 536, 575, 579, 580, 669, 670, 671, 673, 679, 681, 691, 692, 704
პერლი 361
პერონი 259
პერსელი 619
პეტრე დიდი (პეტრე I) 182, 401
პეტლიურა 705
პეტერსონი 54
პილსუდსკი იოზეფ 316, 355, 645, 647

პირუშკევიჩი 161
პიტირიმი (ეგზარქოსი) 54
პიშონი 204, 495
პლატონი (ეგზარქოსი) 352
პლეხანოვი გიორგი 174, 180, 390, 429, 517, 583
პონსონბი არტურ ავგუსტ 604, 605, 617
პოპოვი 81
პოროშინი 54, 79
პოსტორგუევი 84
პრეობრაჟენსკი აგაფი 59
პრჟევალსკი 110, 111, 122
პრინგლი 604, 605
პუანკარე რაიმონ 246, 247, 292, 294, 305, 307, 308, 309, 310, 311, 473, 553, 554, 555, 556, 557, 558, 560, 561, 566, 567, 569, 573, 574, 580, 592, 606, 612, 628, 646, 674, 675, 678, 679, 680, 685, 687, 688, 693, 694
პუსტი 706, 707, 709
პურიშკევიჩი 42

ჟანტიზონი პოლ 152, 670, 672, 674, 684
ჟასპარი 306, 673, 680, 687, 688
ჟელიგოვსკი 378, 379
ჟიუსენარი 481
ჟორდანია ნოე 12, 15, 22, 23, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 36, 101, 103, 104, 108, 109, 112, 115, 116, 128, , 132, 137, 138, 139, 140, 141, 171, 174, 181, 226, 227, 271, 274, 277, 285, 303, 328, 330, 332, 333, 340, 342, 368, 380, 390, 393, 429, 431, 449, 457, 458, 462, 463, 464, 465, 508, 510, 517, 519, 520, 521, 535, 550, 579, 601, 614, 623, 630, 636, 647, 659, 666, 667, 668, 691, 692, 700, 701, 703, 704, 708, 710, 712, 713
ჟორდანია რედიკ 519
ჟორესი ჟან 330, 407, 518
ჟორჟოლიანი ანტონ 380
ჟორჟოლიანი ბიქტორ 189, 195, 437
ჟუვე (ჟუო) 699, 700, 701
ჟურული გიორგი 103, 104, 106

რადეკი 397
რაზიკაშვილი ლევან 324

რაკოვსკი ქრისტიან 397, 597, 677, 679, 716
რამიშვილი ისიდორე 174, 429, 583
რამიშვილი ნოე 11, 13, 101, 103, 104, 106, 107, 108, 128, 136, 141, 154, 155, 157, 158, 159, 174 176, 283, 303, 312, 313, 317, 346, 361, 381, 386, 387, 394, 440, 510, 534, 535, 539, 567, 569, 579, 583, 595, 598, 602, 603, 623, 638, 640, 647, 665, 666,667, 668, 691, 708, 710
რასპუტინი 275
რატენაუ ვალტერ 292, 562
რატიშვილი 356
რაუფ-ბეი 128, 145, 477, 600, 603
რაუშერი ულრიხ 238, 463, 472, 473, 638, 639, 640, 641, 659, 685
რაფიევი 532
რაქიბ-ბეი 602
რაჭველიშვილი ქრისტეფორე 103, 104
რეინჰარტი 250
რეკლიუ ელისე 207
რენოდელი პიერ 233, 442, 680, 703, 716, 717
რეფეტ-ფაშა 96, 97, 662, 663, 664, 665
რეხზამერი 457
რიკოვი 397, 398
რიმსკი-კორსაკოვი 497
რიუდიგერ-ბელიაევა მარია 594
რობაქიძე ბ. 429
რობაქიძე გრიგოლ 117, 174
რობეკი დე (ადმირალი) 656
რობერტსი 713
რობესპიერი 399
როდენი 672, 684
როდზიენკო 161
როდოლო 270, 271, 276
როზენი 499
როკოსოვსკი 306
რომანოვები 411
როსტა 698
როსტომაშვილი 424
როშიანკო 516
როჰსბახი პაულ 213
რუზველტი 523
რუმბოლდი 632
რუსთა

რუსიშვილი მიხეილ 355
ველი შოთა 171
რუსტამბეკოვი 532
რუჩი 35
რცხილაძე გრიგოლ 86, 103, 104, 106, 116, 194
რ.ხ. (ლორდი) 204

Sააკაშვილი მიხეილ 348
საბახტარაშვილი კონსტანტინე (კონია) 73, 189, 195, 205, 235, 238, 239, 240, 283, 297, 300, 312, 313, 463, 553, 557, 560, 564, 661, 707, 714
სადივ-ბეი 128
სავინკოვი 316, 317
საითიძე გიორგი (გელა) 7, 37
საიტ ჰალიმ ფაშა 655
საკოურკი 610
სალაზკინი 495, 496
სალაყაია იოსებ (სოსო) 332, 356, 357, 358, 360, 362, 363, 364, 365, 366, 367, 369, 370, 371, 373, 375, 376, 378, 379, 381, 382, 383, 384, 385, 386, 585, 599, 613, 708
სალტიკოვ-შჩედრინი 481
სამი-ბეი ბექირ 257, 258, 313, 463, 464, 537, 551, 553, 635, 644
სამსონი 442
სამხარაძე 380
სანიკიძე 14
სარალიძე ლელა 7, 286
სარაჯიშვილი დავით 329
საღირაშვილი დავით 449
საყვარელიძე პავლე 104, 106
საძაგლიშვილი კირიონ (იხ. ირიონი)
სახოკია თედო 10, 59, 60, 65, 68
სეიდუ 291, 358, 362, 599
სემიონოვი იულიან 651, 652, 653
სერდენი 584
სერვერ-ბეგი (ჯაყელი) 200
სერგი (ეპისკოპოსი) 59
სეფა-ბეი 88
სექტი ფონ 131
სვანიძე ალექსანდრე (ალიოშა) 328, 329, 332, 472, 474

სვანიძე კატო 328
სიამაშვილი ლადო 298, 355, 558
სიდამონ-ერისთავი ვლადიმერ 355
სიდამონიძე უშანგი 7
სიკორსკი ვლადისლავ 358, 647, 708
სილაგაძე აპოლონ 7, 101,
სინკლერი 604
სიორიძე მალხაზ 7, 128
სიტურატი ვან 468
სიუ 680
სიხარულიძე ფრიდონ 103
სკარმუნტი 661, 675
სკარპა 306
სკაშინსკი 377, 707, 708
სკოტი 715
სკობელევი მათე 36, 42
სნოუდენი 233, 517, 595, 670, 678
სოლოლაშვილი ოლღა 229
სოლუცი 269, 270
სონინო 483, 489
სონღულაშვილი ავთანდილ 7
სორდოი 583
სოღორაშვილი გრიგოლ სტანისლავის ძე 34
სპეროვსკი დიმიტრი 59
სტალინი 25, 174, 328, 329, 396, 397, 398, 399, 400, 402, 404, 405, 406, 412, 413, 416, 417, 506, 507, 523, 524, 585, 597
სტანჩევი კრისტია 597
სტაროსელსკი დიმიტრი 594
სტაროსელსკი ნინო 594
სტიდი 669
სტივენსი 122
სტილი უიკჰამ 397
სტოლიპინი 50
სტრანგი 453
სტრასბურგსკი 362
სტუდნიცკი 361
სტურცო დონ 682
სუგისარა 428
სულაბერიძე იაკობ 87
სულაქველიძე ვალოდია 521
სულაძე 382

სულთანოვი ხოსრო 613
სულხანიშვილი ალექსანდრე 324
სუმბათაშვილი მიხეილ 96, 174, 175, 176, 177, 178, 182, 188, 189, 190, 191, 193, 197, 205, 209, 210, 222, 236, 313, 329, 382, 432, 433 432, 436, 437, 442, 561, 466, 469, 504, 505, 506, 507, 508, 509, 521, 563, 575, 583, 586, 589, 606, 612, 619, 679, 689, 698, 713, 715
სუმბათოვი (იხ. სუმბათაშვილი მიხეილ)
სურგულაძე პეტრე 392
სურგულაძე სერგო 331
სუხომლინოვი 280, 281,
სფორცა კარლო 243, 461 465, 574, 671, 672, 673, 690, 691
სფორცა ჯორჯიო 251, 267, 268, 269, 273, 274
სხირტლაძე 300

ტალაატ-ფაშა 127
ტალახაძე ი. 326
ტალიანი 468, 548
ტენტილი მატეი 476
ტეოდოროვსკი სერედა 373, 381
ტიმოშკინი 42
ტიტონი 189
ტოლსტოი ლევ 408, 481, 513
ტომა ალბერ (იხ. თომა ალბერ)
ტომპსონი 204
ტომსკი 397
ტორეტა დელა 456, 468, 471
ტოტოჩავა სიმონ 331
ტრევერი 475
ტრევესი 476
ტრია 518
ტროლისტრა 517
ტროცკი ლევ 174, 397, 398, 507, 517, 583
ტურიაშვილი კონსტანტინე 355
ტუღუში მოსე 331
ტყემალაძე მარკოზ 352

უბირია მიხეილ 511
უზნაძე დიმიტრი 117
ულ-ნელამი (შეიხი) 141

უორდროპი მარჯორი 171, 207
უორდროპი ოლივერ 171, 172, 192, 437
უორკორტი 547
ურარი ედვარდ 549
ურატაძე გრიგოლ 110, 380, 524
ურუშაძე 422
უსპენსკი გლებ 316
უშაკოვა სოფიო 521

ფადეევი ა. 481
ფავლენიშვილი გიორგი 355
ფაზილეთი 656
ფარუქი ომარ 127, 128
ფაქტა ლუიჯი 290, 305, 668, 673, 674, 684, 693
ფალავა გოგიტა 106, 323, 325, 334,
ფალავა ლევან 519
ფაჩულია ვალია 593
ფედოროვი 597
ფევზი-ფაშა 96
ფეიქრიშვილი ალექსი 324
ფერიდ-ფაშა 88, 567, 628, 656
ფეტი-ბეი 566, 567, 708
ფილიპოვიჩი 362, 363, 365
ფილოიანი აკოფ 34
ფირი პ. 608
ფირჩხაია 422
ფირჩხაძე 422
ფირცხალავა სამსონ 103, 104, 106
ფიურმსტერბერგი 694
ფიფია გ. 131
ფლობერი გუსტავ 481
ფლური ლეა 15
ფოში ფერდინანდ 535
ფრანზონი (ფრანძონი) ფრანჩესკო 249, 250, 304, 473, 560, 659, 660, 672, 681
ფრიზი 217
ფურნიე 704
ფუათ-ფაშა ალი 639
ფურცელაძე ანტონ 10

ქავთარაძე ივანე 355, 383, 384
ქავჟარაძე ი. 60
ქართველიშვილი ვ. 391
ქარუმიძე შალვა 454
ქარცივაძე ნიკოლოზ (კოლია) 103, 104, 158, 323, 324
ქემალი იუსუფ 558, 644
ქემალ ფაშა (იხ. ათათურქი)
ქერქაძეები 422
ქიაჩელი ლეო 117
ქიქავა ფილიპე 34
ქიქოძე აბრიელ (იხ. აბრიელ ეპისკოპოსი)
ქიქოძე გერონტი 10, 17, 117
ქიქოძე ნინო 338
ქორელი 9
ქუთათელაძე (გენერალი) 571
ქორქია საშა 74
ქოქრაშვილი ხათუნა 286
ქუთათელაძე ბიძინა 355
ქუთათელაძე (გენერალი) 571
ქუთათელაძე დავით 355
ქუთათელაძე ივანე 323, 325, 589
ქუთათელაძე კირილე 298, 301, 355, 657

ღამბაშიძე დავით 173, 178, 179, 193, 203, 205, 206, 209, 482, 504, 509
ღამბაშიძე ვახტანგ 206, 515
ღლონტები 422
ღლონტი მ. 429
ღლონტი სიმონ 331
ღოლევკო (იხ. ოლევკო)
ღოღობერიძე ლევან 198
ღუსარსკი (იხ. გუსარსკი)

ყაზბეგი ივანე 301, 355, 362, 657
ყაზბეგი როსტომ 356
ყარალაშვილი ფარნაოზ ლევანის ძე 325, 589
ყარანგოზაშვილი ივანე 325
ყაუხჩიშვილი მიხეილ 173, 222, 452, 483
ყიფიანი ალექსანდრე 355
ყიფიანი დიმიტრი 391
ყიფიანი რუბენ 189

ყიფიანის ქალი 190, 194
ყიფშიძე იოსებ 119
ყორღანოვი 316
ყურულიშვილი სერგო 332, 355, 383, 708

შავიშვილი ეკატერინე 174
შავიშვილი იზაბელა (ნინო) 174
შავიშვილი ლევან 174
შავიშვილი ემანუელ 174
შავიშვილი ვანო 174, 583, 584
შავიშვილი ხარიტონ 174, 175, 437, 439, 440, 442, 443, 508, 517, 575, 583, 585, 589, 591, 702, 715
შაიდემანი ფილიპ 640
შალამბერიძე 680
შალიკაშვილი დიმიტრი 355, 380, 593, 594
შალიკაშვილი ვალერიან 9
შალიკაშვილი იოსებ ოთარის ძე 594
შალიკაშვილი იოსებ (სოსიკო) 593
შალიკაშვილი ნინო ალექსანდრა 594
შალიკაშვილი ჯონ მალხაზ 594
შალიკოვ-კატკოვი 484, 490
შამბრი 558
შამილი 626
შანცერი 304, 305, 473, 474, 475, 549, 560, 562, 660, 668, 669, 670, 673, 675, 676, 677, 681, 682, 686, 687, 688
შარაშიძე გიგო 338
შარაშიძე დავით 338, 449, 551, 603
შარაშიძე შალვა (თაგუნა) 338
შარაშიძე ქრისტინე (ჩიტო) 229, 338
შარაძე გურამ 7, 11, 119, 120, 385
შარვაშიძე გიორგი 280
შარვაშიძეები 611
შებედევები 478
შევალიე აბელი 119, 239, 240 258, 442, 682
შევქათ-ფაშა მაჰმუდ 655
შეინმანი 463, 597
შელენბურგი 249
შელი 561, 679, 682, 688
შენგელია გურამ 54
შენგელაია ლ. 104
შერვაშიძე ალექსანდრე 12, 34, 77

შერვაშიძე გიორგი 70
შექსპირი უილიამ 250
შვარცი (იხ. ხმეტელი ლადო)
შინგარევი 47
შინდლერი 593
შკურო 437
შლაკოვსკი 708
შლუიცერი ვილჰელმ 453
შოე თომას 233, 555
შოკაი (იხ. ჩოკაევი)
შველიძე დიმიტრი 7, 207
შპრინგერი 28
შრეიდერი 676
შტამერი 259, 265, 266, 267
შტეინი 475
შტინერი 548, 551
შულენბურგი 130, 131, 249, 593
შულინგი 161

ჩაილდი 682
ჩანსლერი 675
ჩაჩა პავლე იორდანის ძე 34
ჩეზარო 474
ჩელეზია 306, 673, 677, 679, 689
ჩენდლერი 549
ჩერმოევი არცუ 296
ჩერმოევი ოსმან 296, 532, 533
ჩერმოევი ტაპა 126, 296, 312, 313, 315, 317, 656, 672
ჩერუტი 275, 462, 463, 464
ჩერქეზიშვილი ივანე 104
ჩერქეზიშვილი (კონსული) 489
ჩერქეზიშვილი ვარლამ 207, 680
ჩერქეზიშვილი მზია 680
ჩერქეზიშვილი ნინო 680
ჩერქეზიშვილი ჯამლეთ 680
ჩერჩილი უინსტონ 316, 456, 523, 604
ჩეჩელაშვილი იოსებ 383
ჩიგაგოვი სერაფიმ 59
ჩიგოგიძე ნ. 104
ჩიქოვანი გ. 87
ჩიქოვანი ლელო 324

ჩიჩერინი გიორგი 249, 291, 294, 306, 309. 402, 405, 415, 470, 475, 555, 558, 578, 583, 604, 658, 660, 679, 680, 681, 684, 685, 688, 716
ჩოგოვაძე მ. 499
ჩოკაევი 504, 507
ჩოლოყაშვილი სვიმონ 324
ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) 324, 325, 326, 327, 356, 370, 373, 374, 375, 376, 514
ჩრდილელი დიმიტრი 325, 589
ჩუბინიძე ვალერიან 9, 11
ჩხატარაიშვილი 422
ჩხატარაშვილი დ. 376
ჩხეიძე ალექსანდრე 355, 357, 384, 385, 386, 387, 388, 657, 658, 659
ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) 12, 36, 42, 51, 123, 157, 158, 163, 169, 194, 204, 225, 226, 229, 230, 309, 324, 313, 360, 361, 362, 368, 390, 429, 430, 431, 432, 435, 437, 439, 440, 441, 442, 443, 444, 445, 484, 499, 514, 516, 517, 638, 640, 666, 672, 709
ჩხენკელი ალექსი 526, 527
ჩხენკელი ანა 9, 58, 61
ჩხენკელი გივი 527
ჩხენკელი ივანე ივანეს ძე 9, 58, 61
ჩხენკელი ივანე პეტრეს ძე 8, 9, 56, 57, 58, 60, 65, 66, 67, 69
ჩხენკელი თამარ 527
ჩხენკელი კიტა (პეტრე) 9, 58, 448
ჩხენკელი ლუკა 9, 58, 61
ჩხენკელი მარიამ 9, 58, 61
ჩხენკელი მიხეილ 9, 58, 61
ჩხენკელი ნეონილა 9, 58, 61
ჩხენკელი პეტრე 57
ჩხიკვაძე ნესტორ 11
ჩხიკვიშვილი ბენია 174, 325, 330, 331, 334, 349, 583

ცალე 488
ცალიკოვი ახმედ 533
ცენტერაძე ბიქტორ 325, 334, 602
ციბაძე (იუნკერი) 357
ციეგტი 127, 128
ცინცაბაძე გრიგოლ 602
ცინცაძე კალისტრატე 352
ციცქიშვილი ვ. 392
ცომაია ლალი 356
ცხვედაძე ალექსანდრე 324

ცხოვრებაძე გოგი 290

ძერჟინსკი ფელიქს 127
ძოწენიძე 57

წერეთელი-ბენარი ელენე 4
წერეთელი 422
წერეთელი აკაკი 391
წერეთელი გრიგოლ 4
წერეთელი ირაკლი (კაკი) 36, 157, 158, 160, 162, 168, 169, 189, 193, 195, 199, 225, 283, 288, 299, 303, 304, 329, 348, 361, 368, 430, 434, 441, 442, 443, 445, 453, 510, 520, 551, 552, 555, 560, 562, 598, 603, 604, 605, 614, 617, 619, 637, 648, 667, 677, 678, 680, 684, 686, 689, 691, 704, 709, 712, 713, 714
წერეთელი მიხეილ (მიხაკო) 7, 18, 19, 20, 21, 22, 168 196, 205, 209, 353, 383, 384, 466, 482, 485, 486, 490, 501, 680
წერეთელი სილოვან 538, 539, 541
წინამძღვრიშვილი გიორგი 334
წულაძე ა. 87
წულაძე ვასილ 95, 339
წულუკიძე ვარდენ 323, 325, 589
წულუკიძე ნიკოლოზ 421

ჭავჭავაძე ალექსანდრე (გენერალი) 113
ჭავჭავაძე ილია 163, 165, 170, 207, 213, 280, 390, 447, 501, 594, 611
ჭავჭავაძე სპირიდონ 325, 373, 374, 375, 376, 378
ჭიაბრიშვილი ანდრო 11
ჭიაბრიშვილი სიმონ იაგორის ძე 323, 325, 589
ჭინჭარაული დიმიტრი 324
ჭიჭინაძე ი. 57
ჭუმბაძე არისტო 173, 196, 480, 481, 483, 484, 486, 487, 490, 491, 492, 496, 497
ჭუმბურიძე დოდო 87, 211, 286, 345, 421
ჭუმბურიძე ნიკოლოზ (კოლია) 73, 573
ჭყონია დავით 355

ხადჟიტლაძე (იხ. ხანჯალაძე)
ხავთასი ალექსი 422
ხავთასი ერმილე 420
ხაინდრავა ივლიანე 421, 422, 423, 427
ხალილ-ბეი (იხ. ჰალილ-ბეი)

ხანჯალაძე 492
ხარაშვილი ბარბარე 345
ხარლამოვი ვასილ. 100, 101, 534
ხას-მამედოვი ხ.ბ. 122, 532, 535
ხატისოვი (ხატისიანი) 134, 138, 313, 315, 316, 317
ხელაია ამბროსი 293, 347, 348, 350, 590, 607, 674, 675
ხელაია ბესარიონ 65, 66
ხელაშვილი მიხა 324
ხელაძე დავით 390
ხელაძე ანტონ 173
ხეჩინაშვილი 501
ხიმშიაშვილი გიორგი 323, 325, 589
ხმალაძე 603
ხოვანსკი ალექსანდრე 59
ხოკონდოკოვი 316
ხომერიკი ნოე 13, 174, 252, 284, 297, 300, 325, 331, 333, 334, 349, 458, 532, 534, 535, 537, 539, 544, 550, 551, 563, 564, 565, 566,573, 579, 581, 583, 628 , 636, 666, 667, 670, 674
ხოი ედუარდ 204
ხოფერია 432
ხოშტარია აკაკი 329
ხოშტარია 432
ხოშტარია მინადორა 329
ხრუშჩოვი ნიკიტა 524
ხუნდაძე გაბრიელ 168, 169, 236
ხუნდაძე მიხეილ 119, 641
ხუსლინ-ხაჯიდ ბეი 582
ხუხუნი 572

ჯაბადარი ალექსანდრე 391
ჯაბაგი 316
ჯავად-ბეი 582
ჯავახიშვილი იასონ 324, 327
ჯავახიშვილი ივანე 117, 119, 153, 180, 183, 184, 515
ჯავახიშვილი მიხეილ 281
ჯავრიშვილი 484, 490
ჯამალიანი არშაკ 341, 342, 343
ჯამი-ბეი 297
ჯანგველაძე 36
ჯანელიძე ოთარ 7
ჯაფარიძე არჩილ 331

ჯაფარიძე ლელი 349, 539, 637
ჯაფაროვი იუსუფ 36,
ჯაფაროვი მ. 101, 122
ჯაყელი ალექსანდრე 463, 570
ჯაყელი გიორგი 189, 193, 299, 422
ჯაჰიდ იალჩინ ჰუსეინ 584, 586, 597
ჯალალ-ედ დინ არიფ ბეი 678
ჯედსონი 227
ჯემალ-ფაშა 127
ჯიბლაძე სილიბისტრო 103, 104, 429
ჯილი ნორინა 250, 346
ჯინჯიხაძე სპირიდონ 57
ჯიოლიტი 251, 470, 471
ჯიშკარიანი ნიკიფორე 423, 426, 427, 428, 429
ჯორჯაძე არჩილ 17, 37, 55
ჯორჯი ლოიდ 227, 245, 246, 247, 248, 251, 252, 264, 290, 291, 292, 299, 300, 306, 308, 430, 456, 469, 470, 545, 546, 548, 550, 554, 557, 563, 565, 566, 573, 600, 669, 670, 672, 675, 676, 677, 678, 679, 680, 681, 682, 684, 685, 686, 687, 688, 689
ჯუღაშვილი იოსებ (იხ. სტალინი)
ჯუღელი ანთიმოზ 10, 65, 68
ჯუღელი ვალიკო 295, 298 325, 326, 334, 349, 369, 535, 573, 601

ჰალილ-ბეი 128, 130, 131, 132, 133, 142, 143, 150, 151
ჰალფერდინგი 672
ჰამსუორსი 689
ჰარბორდი 227
ჰარდინგი 278
ჰარვეი 549
ჰარტსი სესილ 306, 563, 673, 674, 675, 688, 689
ჰატოიმა 673
ჰაუზი 610
ჰაფასი 577
ჰეილულ ბეგ აზაბ-აღა ზადე (იხ. აზაბ-აღა ზადე ჰეილული)
ჰემბერტონ-კარტერი მარჯორი 612
ჰენდერსონი არტურ 552, 603, 614, 615, 616, 700, 701, 703, 704, 709, 710, 712, 713
ჰერიო 247, 309, 330, 569, 571, 607, 609, 614, 679, 699, 700, 701, 703, 705, 715, 716, 717, 718
ჰიმანსი 705, 709
ჰინდენბერგი 501, 502

ჰიტლერი ადოლფ 500, 502, 593
ჰიუზი 682
ჰიუსმანი კამილ 299, 517, 518, 615
ჰოლდავი ფელიქს 213
ჰომელი ფრიც 213
ჰორნი 468
ჰუვერი 279, 542, 544, 549, 594
ჰუსეინ-ოღლი ახმედ 34
ჰუსეინ-ოღლი სალათ 84
ჰუსელი 173
ჰუსინცი 214

სარჩევი

წინათქმა 3
აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური პორტრეტისათვის 4
აკაკი ჩხენკელის მოკლე ბიოგრაფია 8
ეროვნული საკითხი არა სოციალ-დემოკრატიული პოზიციიდან 16
რა ჰქონდათ გასაყოფი აკაკი ჩხენკელსა და მიხაკო წერეთელს
ჩხენკელის ნაშრომი — „ერი თუ კაცობრიობა?
(ბ. „Baton"-ის წიგნის გამო)" 18
ერის, კოსმოპოლიტიზმისა და
ინტერნაციონალიზმის კავშირი: „ერი და ჩვენ"
აკაკი ჩხენკელი და ნოე ჟორდანია ეროვნული საკითხის შესახებ 22
ერი, კაცობრიობა და საზოგადოება 24
როგორ ესმოდა ნაციონალური სახელმწიფო
აკაკი ჩხენკელს 1915 წელს 25
ტერიტორიის საკითხი
ეროვნული თვითმმართველობის პროგრამაში 26
რას აძლევდა საქართველოს ავსტრია-უნგრეთის იმპერიასა და
ავსტრიელ სოციალ-დემოკრატთა პროგრამაში
ერონული საკითხისადმი მიდგომის გამოცდილება 28
რას ნიშნავდა ჩხენკელისათვის
საქართველოს თვითმმართველობა 29
როგორ უნდა მოეწყოს თვითმმართველობა:
ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი 30
როგორი უნდა ყოფილიყო ეკონომიკის განვითარების გეზი 31
აკაკი ჩხენკელი —
რუსეთის IV სახელმწიფო დუმის დეპუტატი 33
აკაკი ჩხენკელის სხვა გამოსვლები რუსეთის იმპერიის
IV სახელმწიფო სათათბიროში 53
აკაკი ჩხენკელი და აფხაზეთი 56
აკაკი ჩხენკელი და აჭარის საკითხი 76
აჭარის საკითხი და ჩხენკელი დამოუკიდებლობის წლებში 86
აკაკი ჩხენკელის პუბლიცისტური წერილი „ხმა აჭარიდან"
1920-იანი წლები 91
რას წერდა აკაკი ჩხენკელი მოგვიანებით
აჭარასა და კოტე აფხაზზე 94
ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო და
აკაკი ჩხენკელი 97
აკაკი ჩხენკელი —
საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს თამჯდომარე 102
აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოში 110

აკაკი ჩხენკელის როლი
თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში 117
აკაკი ჩხენკელის სიტყვა პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე
1917 წლის 18 ოქტომბერს 120
აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობა ამიერკავკასიის კომისარიატში 121
აკაკი ჩხენკელი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და
ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში 124
მინისტრი თავმჯდომარის საპასუხო ნოტა
ოტომანთა დელეგაციის თავმჯდომარის მიმართ
23 მაისი, 392 (თარგმანი) 146
აკაკი ჩხენკელის დიპლომატიური მოღვაწეობა
დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წლებში)
რუსეთი თუ ევროპა? 153
ქართველი დიპლომატის პირველი ნაბიჯები 165
აკაკი ჩხენკელის წერილები ბერნიდან და ჟენევიდან
(1918-1919 წ.წ.) 172
აკაკი ჩხენკელის წერილები გრიგოლ ლორთქიფანიძისადმი 197
რა გააკეთა ინგლისის „გულის მოსაგებად"
ქართულმა დიპლომატიამ 1919 წელს 202
აკაკი ჩხენკელის წერილები ბერლინიდან და ბერნიდან —
ლონდონში საქართველოს მთავრობის რწმუნებულის,
დავით ღამბაშიძისადმი 205
კონსტანტინე განსახურდიას სამი წერილი
აკაკი ჩხენკელისადმი (1919 წელი) 211
საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის
ეკონომიკური კავშირები ევროპასთან
იაზონ ბაქრაძის წერილები აკაკი ჩხენკელთან
1918-1920 წლებში 217
პარიზის კონფერენცია და აკაკი ჩხენკელი 224
აკაკი ჩხენკელი —
საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი 229
აკაკი ჩხენკელის დიპლომატიური ნაბიჯები
საბჭოთა რუსეთის თავდასხმის პირველ თვეებში 235
აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობა
ევროპის დიპლომატიურ სარბიელზე 1921-1923 წლებში 242
1921 წელი — სამშობლოდან დევნილი ემიგრანტი
დიპლომატის შეხვედრები ევროპელ კოლეგებთან 254
1921 წლის სხვა შეხვედრები
უცხოელ დიპლომატებთან და სწავლულებთან 258
დარბაზობა გერმანიის ელჩთან ლონდონში 265
1921 წლის შეხვედრები
იტალიელ დიპლომატებთან და სახელმწიფო მოღვაწეებთან 267

დიპლომატიური ურთიერთობა ვაშინგტონთან 278
აკაკი ჩხენკელის ურთიერთობა
კონსტანტინოპოლის პოლიტიკურ კომისიასთან.
1921-1923 წლები 283
აკაკი ჩხენკელის მიმონერა
გენუის კონფერენციის შესახებ
ნოე რამიშვილთან, ზურაბ ავალიშვილთან,
ევგენი გეგეჭკორთან და სხვ. 303
კავკასიის კონფედერაციის საკითხი და აკაკი ჩხენკელი 312
1924 წლის აჯანყება და აკაკი ჩხენკელი 322
აკაკი ჩხენკელი
ემიგრაციაში ქართველ-სომეხთა დამოკიდებულების შესახებ 341
აკაკი ჩხენკელი და საბჭოთა საქართველოში ეკლესიის საკითხი;
ჩხენკელისა და რაფიელ ივანიცკის (ინგილოს) მიმონერა 344
აკაკი ჩხენკელი და
საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაცია პოლონეთში 355
გენერალ ლეო კერესელიძის წერილები ნიციდან
აკაკი ჩხენკელისადმი, 1929 წელი 389
აკაკი ჩხენკელის მიერ
საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შეფასება 396
რას წერდა აკაკი ჩხენკელი
საბჭოთა კავშირის მეათე წლისთავზე 404
აკაკი ჩხენკელის წერილი — „ბოლშევიზმი და ერები" 406
მოსკოვი და ჩვენ 414
რუსები და ჩვენ 417
აკაკი ჩხენკელი და
აღმოსავლეთ ციმბირის ქართული კოლონია 420
აკაკი ჩხენკელი და კარლო ჩხეიძე 429
აკაკი ჩხენკელის წერილები ვლადიმერ ახმეტელთან 446
აკაკი ჩხენკელის წერილები ევგენი გეგეჭკორთან 454
აკაკი ჩხენკელი და გიორგი მაჩაბელი 459
დიპლომატ არისტო ჭუმბაძის მიმონერა ჩხენკელთან,
1919 წელი 480
ქართული ემიგრაცია ევროპული სახელმწიფოების
საერთაშორისო პოლიტიკაში 20-30-იან წლებში და
აკაკი ჩხენკელი 500
ანდრია გუგუშვილის წერილები აკაკი ჩხენკელისადმი 503
განხეთქილება „ქართულად" ემიგრაციულ წრეებში და
აკაკი ჩხენკელის პოზიცია 509
ემიგრანტების ჩამოტყუების ცდა და
ჩხენკელის რეაქცია საბჭოთა მთავრობის
1946 წლის 14 ივნისის „უკაზთან" დაკავშირებით 512

აკაკი ჩხენკელის ცხოვრების ბოლო წლები 513
აკაკი ჩხენკელის შთამომავლები 526
ბოლოთქმა 528
აკაკი ჩხენკელის მიმოწერა 532
აკაკი ჩხენკელის წერილები კონსტანტინოპოლში
საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან —
კონსტანტინე გვარჯალაძესთან (1921-1924) 532
საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის
კონსტანტინე გვარჯალაძის წერილები სტამბოლიდან და
ლონდონიდან აკაკი ჩხენკელისადმი. 05.11.1922, 23. 06. 1929 620
შეხვედრა რეფეტ-ფაშასთან
16 ნოემბრის ნაშუადღევის 2 საათზე.
ოქმი 662
აკაკი ჩხენკელის წერილები გენუიდან პარიზში,
საქართველოს მთავრობისადმი 668
სოსიპატრე ასათიანის წერილები 690
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის
მიმართვა ხალხთა ლიგას, თბილისი, 25 მაისი, 1923 წელი 694
აკაკი ჩხენკელის წერილები ჟენევიდან და ლონდონიდან
საქართველოს მთავრობისადმი პარიზში
ეროვნებათა საბჭოში საქართველოს საკითხის დაყენებისა და
ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულებაზე
საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ.
5. IX-9. X, 1924 წელი 697
Akaki Chkhenkeli - statesman, diplomat, patriot 719
სახელთა საძიებელი 765
სარჩევი 799

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ერთა ლიგის მიერ
აღიარებულ საზღვრებში
შავი ზღვა
კასპიის ზღვა
ბათუმი
ბაკურიანი
ბორჯომი
ბოლნისი
ბელაქანი
ბაქურიანი
ბარისახო
ბესტაფონი
ბიქვინთა
ბალი
ბაღდადი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან